



ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

IVANE JAVAKHISHVILI
TBILISI STATE UNIVERSITY



კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა
და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტი

Institute of Classical, Byzantine and Modern Greek Studies

ნანა ტონია, ეკატერინე კობახიძე, გიორგი უგულავა, მაია დანელია
Nana Tonia, Ekaterine Kobakhidze, Giorgi Ugulava, Maia Danelia

ანტიკურობა ქართულ მხატვრულ ლიტერატურაში
CLASSICAL ANTIQUITY IN GEORGIAN LITERATURE



თბილისი
2025
პროგრამა „ლოგოსი“

რეცენზენტები: აკადემიკოსი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი რისმაგ გორდეზიანი
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი იამზე გაგუა

Reviewers: Academician, Dr. Hab. **Rismag Gordeziani**
Dr. Hab. **Iamze Gagua**

რედაქტორები: ფილოლოგიის დოქტორი მედეა აბულაშვილი
ეკატერინე კვირკველია

Editors: Doctor of Philology **Medea Abulashvili**
Ekaterine Kvirkvelia

ინგლისური ტექსტის კონსულტანტი: თამარ ბაკურაძე
English Text Consultant: **Tamar Bakuradze**

პროექტი „ანტიკურობა ქართულ მხატვრულ ლიტერატურაში“ განხორციელდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული ფუნდამენტური კვლევებისთვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტის მეშვეობით (გრანტის ნომერი: FR-21-1947)

The Project “Classical Antiquity in Georgian Literature” was supported by Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia (SRNSFG) (grant N FR-21-1947)



©ნანა ტონია, ეკატერინე კობახიძე, გიორგი უგულავა, მაია დანელია
© Nana Tonia, Ekaterine Kobakhidze, Giorgi Ugulava, Maia Danelia

გარეკანზე: © ირაკლი ფარჯიანი, ოდისეა, პასტელი, 37X31,5სმ. 1981
On the Cover: © Irakli Parjiani, Odyssey, Pastel on paper, 37X31,5cm. 1981

ს ა რ ზ ე ვ ი:

წინათქმა

პირველი თავი – ანტიკურობა ძველ ქართულ ლიტერატურაში (VIII-XIV სს.)

ჰიმნოგრაფიული პოეზია (ნანა ტონია)

ჰაგიოგრაფია

გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება (ეკატერინე კობახიძე, გიორგი უგულავა)

მოქცევაჲ ქართლისაჲ (ეკატერინე კობახიძე)

ისტორიული პროზა

ქართლის ცხოვრება (ეკატერინე კობახიძე)

შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი (გიორგი უგულავა)

სახოტბო პოეზია (ნანა ტონია)

მეორე თავი – ანტიკურობა ძველ ქართულ ლიტერატურაში (XVII-XVIII სს.)

ლირიკა და სამოგზაურო-მემუარისტული პროზა (მაია დანელია)

დავით გურამიშვილი (ეკატერინე კობახიძე)

მესამე თავი – ანტიკურობა ახალ ქართულ ლიტერატურაში (XIX ს.)

რომანტიზმი

თეიმურაზ ბატონიშვილი (მაია დანელია)

დავით მაჩაბელი, ალექსანდრე და ვახტანგ ორბელიანები (მაია დანელია)

სოლომონ რაზმაძე (მაია დანელია)

ალექსანდრე ჭავჭავაძე, გრიგოლ ორბელიანი, ნიკოლოზ ბარათაშვილი (მაია დანელია)

გრიგოლ რჩეულიშვილი (მაია დანელია)

რეალიზმი

ილია ჭავჭავაძე (ეკატერინე კობახიძე, გიორგი უგულავა)

აკაკი წერეთელი (ეკატერინე კობახიძე)

ბაჩანა (ეკატერინე კობახიძე)

მეოთხე თავი – ანტიკურობა უახლეს ქართულ ლიტერატურაში (XX ს.)

მოდერნიზმი

გრიგოლ რობაქიძე (ნანა ტონია)
გალაკტიონ ტაბიძე (ნანა ტონია)
პაოლო იაშვილი (ნანა ტონია)
ტიციან ტაბიძე (ნანა ტონია)
ვალერიან გაფრინდაშვილი (ნანა ტონია)
სანდრო შანშიაშვილი (ეკატერინე კობახიძე)
კონსტანტინე გამსახურდია (გიორგი უგულავა)
კოლაუ ნადირაძე (მაია დანელია)
ტერენტი გრანელი (ეკატერინე კობახიძე)
გოგლა ლეონიძე (მაია დანელია)
გიორგი ყიფიანი (გიორგი უგულავა)
გიორგი კორნაპელი (ნანა ტონია)

კრიტიკული რეალიზმი

სერგო კლდიაშვილი (ეკატერინე კობახიძე)
გრიგოლ აბაშიძე (გიორგი უგულავა)
ლადო ასათიანი (გიორგი უგულავა)
იოსებ ნონეშვილი (მაია დანელია)
შოთა ნიშნიანძე (მაია დანელია)
მერაბ კოსტავა (ეკატერინე კობახიძე)
არჩილ სულაკაური (გიორგი უგულავა)

მეხუთე თავი – ანტიკურობა თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში (XX-XI სს-ის მიჯნა და XXI ს.)

ჭაბუა ამირეჯიბი (გიორგი უგულავა)
მურმან ლეხანიძე (გიორგი უგულავა)
ანა კალანდაძე (ეკატერინე კობახიძე)
თამაზ ჭილაძე (გიორგი უგულავა)
ოთარ ჭილაძე (გიორგი უგულავა)
ვახტანგ (ვახუშტი) კოტეტიშვილი (ეკატერინე კობახიძე)
გურამ დოჩანაშვილი (ეკატერინე კობახიძე)
გიორგი ხომერიკი (ნანა ტონია)
ბესიკ ხარანაული (გიორგი უგულავა)

კოტე ჯანდიერი (გიორგი უგულავა)
შოთა იათაშვილი (მაია დანელია)
ლაშა ბულაძე (ეკატერინე კობახიძე)
პაატა ციკოლია (ეკატერინე კობახიძე)
დიანა ანფიმიადი (ნანა ტონია)

C o n t e n t s

Preface

Chapter One – Classical Antiquity in Ancient Georgian Literature (8th-15th cc)

Hymnography (Nana Tonia)

Hagiography

Giorgi Merchule, The Vita of Grigol Khandzteli (Ekaterine Kobakhidze, Giorgi Ugulava)

The Conversion of Kartli (Ekaterine Kobakhidze)

Historical Prose

Life of Katrli (Ekaterine Kobakhidze)

Shota Rustaveli, The Knight in the Panther's Skin (Giorgi Ugulava)

Praise Poetry (Nana Tonia)

Chapter Two – Classical Antiquity in Ancient Georgian Literature (17th and 18th cc)

17th-18th Century Lyric Poetry, Travelogues and Memoirist Prose (Maia Danelia)

Davit Guramishvili (Ekaterine Kobakhidze)

Chapter Three – Classical Antiquity in New (19th Century) Period of Georgian Literature

Romanticism

Teimuraz Batonishvili (Maia Danelia)

Davit Machabeli, Alexander and Vakhtang Orbeliani (Maia Danelia)

Solomon Razmadze (Maia Danelia)

Alexander Chavchavadze, Grigol Orbeliani, Nikoloz Baratashvili (Maia Danelia)

Grigol Rcheulishvili (Maia Danelia)

Realism

Ilia Chavchavadze (Ekaterine Kobakhidze, Giorgi Ugulava)

Akaki Tsereteli (Ekaterine Kobakhidze)

Bachana -Tedo Razikashvili (Ekaterine Kobakhidze)

Chapter Four – Classical Antiquity in the Newest Period of Georgian Literature (20th Century)

Modernism

Grigol Robakidze (Nana Tonia)

Galaktion Tabidze (Nana Tonia)

“Blue Horns” (Paolo Iashvili, Titsian Tabidze, Valerian Gaprindashvili) (Nana Tonia)

Sandro Shanshiashvili (Ekaterine Kobakhidze)

Konstantine Gamsakhurdia (Giorgi Ugulava)

Kolau Nadiradze (Maia Danelia)

Terenti Graneli (Ekaterine Kobakhidze)

Gogla Leonidze (Maia Danelia)

Giorgi Kipiani (Giorgi Ugulava)

Giorgi Kornapeli (Nana Tonia)

Critical Realism

Sergo Kldiashvili (Ekaterine Kobakhidze)

Grigol Abashidze (Giorgi Ugulava)

Lado Asatiani (Giorgi Ugulava)

Ioseb Noneshvili (Maia Danelia)

Shota Nishnianidze (Maia Danelia)

Merab Kostava (Ekaterine Kobakhidze)

Archil Sulakauri (Giorgi Ugulava)

Chapter Five – Classical Antiquity in Contemporary Georgian Literature (Border of the 20th - 21th cc and the 21st c)

Chabua Amirejibi (Giorgi Ugulava)

Murman Lebanidze (Giorgi Ugulava)
Ana Kalandadze (Ekaterine Kobakhidze)
Tamaz Chiladze (Giorgi Ugulava)
Otar Chiladze (Giorgi Ugulava)
Vakhtang (Vakhushti) Kotetishvili (Ekaterine Kobakhidze)
Guram Dochanashvili (Ekaterine Kobakhidze)
Gia Khomeriki (Nana Tonia)
Besik Kharanauli (Giorgi Ugulava)
Kote Jandieri (Giorgi Ugulava)
Shota Iatashvili (Maia Danelia)
Lasha Bugadze (Ekaterine Kobakhidze)
Paata Tsikolia (Ekaterine Kobakhidze)
Diana Anphimiadi (Nana Tonia)

წინათქმა

ანტიკურობის კულტურული მემკვიდრეობის როლის შეფასება თანამედროვე ცივილიზაციის განვითარებაში ერთობ რთულია. ამ მემკვიდრეობის ნებისმიერ სფეროში შეიძლება აღმოვაჩინოთ იდეები, რომლებმაც განსაკუთრებული გავლენა იქონიეს ყველა მომდევნო ეპოქის ხალხთა სულიერ თუ მატერიალურ კულტურაში. ევროპული ცივილიზაციის ისტორიაში ანტიკური მემკვიდრეობისადმი მიბრუნების რამდენიმე მნიშვნელოვანი ეტაპი გამოიკვეთა (კაროლინგური, ოტტოთა ეპოქის, რენესანსის), რომელთა შესწავლას მრავალი ნაშრომი მიეძღვნა, თუმცა ამ მიმართებით არანაკლებ მნიშვნელოვანია XX-XXI საუკუნეთა მიჯნა, რომელიც უკვე იქცა ავანგარდად მსოფლიო კულტურის პრაქტიკაში. ანტიკური მემკვიდრეობის ამ უწყვეტმა დომინირებამ განაპირობა მისი ფუნდამენტური კვლევის აუცილებლობა გლობალური მასშტაბით. მართალია, მსგავს კვლევებს ჯერ კიდევ ელინისტურ ეპოქაში ჩაეყარა საფუძველი, თუმცა მეცნიერული რეფლექსია და ცალკეულ მიმართულებათა ფორმირება, რომელიც ეპოქათა და კულტურათა ურთიერთგავლენის ერთობლიობას განიხილავს ანტიკური მემკვიდრეობის კონტექსტში, მხოლოდ გასული საუკუნის ბოლოს გახდა შესაძლებელი – მაშინ, როდესაც ჰუმანიტარულ ცნობიერებაში გამოიკვეთა ანტიკური ცივილიზაციის ინტერპრეტაციის ახლებური პარადიგმები დაკავშირებული საზოგადოების ისტორიულ ცნობიერებასთან, სიმბოლურ წარმოდგენებთან, ფასეულობებთან და ა.შ.

დასავლეთევროპულ და ამერიკულ კულტუროლოგიაში ანტიკურობისა და მომდევნო ეპოქათა ამგვარი ურთიერთმიმართება განისაზღვრა ტერმინით „რეცეფცია“. მართალია, სხვადასხვა ეპოქაში არაერთგზის ყოფილა მცდელობა ძველი სამყაროს მონაპოვართა ინტერპრეტაციისა თუ გაცნობიერებისა, მისი ფენომენების გააზრებისა, მაგრამ თავდაპირველად ეს იყო ლიტერატურათმცოდნეობითი კვლევები და ეყრდნობოდა ტექსტის ჰერმენევტიკული და ტექსტუალური ანალიზის იმ პრინციპებს, რაც განეკუთვნებოდა კლასიკური ფილოლოგიის, ფილოსოფიისა თუ ისტორიოგრაფიის სფეროებს. მაგრამ უკანასკნელ ხანებში რეცეფციულმა კვლევებმა უფრო გაიფართოვეს არეალი და მიზნად დაისახეს რეცეფციათა მოდელების გამოვლენა შესაბამისი მეთოდოლოგიური მიეზებით.

გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან მოყოლებული, ანტიკურობის რეცეფციების კვლევა ერთ-ერთ უმთავრეს მიმართულებად იქცა არა მხოლოდ ევროპულ, არამედ მსოფლიო ლიტერატურათმცოდნეობაში. კვლევის მიმართულებანი იმდენად მრავალფეროვანი აღმოჩნდა, რომ აუცილებელი გახდა დაფუძნება სპეციალური ჟურნალისა, რომელიც მიეძღვნებოდა ანტიკურობის

რეცეფციების კომპლექსურ განხილვას. ასეთი ჟურნალია “Classical Receptions Journal”, რომელიც 2009 წლიდან გამოიცემა ოქსფორდში და მოიცავს ძველი საბერძნეთისა და რომის მატერიალური კულტურისა და ტექსტების რეცეფციის ყველა ასპექტს როგორც ანტიკურ, ისე თანამედროვე სამყაროში.

ფუნდამენტურმა კვლევებმა ანტიკურობის ტრადიციული გაგების უმთავრეს პრობლემათა შორის გამოკვეთეს ერთი განსაკუთრებით საინტერესო ასპექტი, რომელიც საჭიროებდა პასუხს კითხვაზე: „დრო იცვლება და ანტიკურობა – არა, თუ ანტიკურობა იცვლება თაობიდან თაობამდე, მკვლევრიდან მკვლევრამდე?“¹

მართლაც, მიმართება ანტიკურობისადმი და აქედან გამომდინარე, მის შესახებ არსებული გამოკვლევებისადმი, გამუდმებით იცვლება. არც ისე შორეულ წარსულში ანტიკურობის შესწავლა მოქცეული იყო ერთგვარ ჩარჩოში, რომელიც არ ითვალისწინებდა ისეთ ცნებებს, როგორებიც არის სუბიექტივიზმი, ინდივიდუალობა, დაშვების თეორია, გენდერი და სხვა, რომელთაც უხვად იყენებენ უახლეს გამოკვლევათა ავტორები. მათი დამსახურებაა ის, რომ შესაძლებელი გახდა ანტიკურობის გაგების სამანთა არა მხოლოდ გაფართოება, არამედ ეროვნულ ლიტერატურათა წარმოჩენა და ჩართვა მსოფლიო კულტურის განვითარების პროცესში. ასე რომ, Reception studies საფუძვლად უდევს წარსულსა და თანამედროვეობას შორის მუდმივი დიალოგი და უფრო მეტიც, კულტურათაშორისი კომუნიკაცია.

ანტიკური ხანის შემდგომდროინდელ ეპოქათა მწერლები და პოეტები ძველ ავტორებში აღმოაჩენდნენ ხოლმე ისეთ ტექსტებს, რომლებიც მნიშვნელოვანწილად ესადაგებოდა მათ თანამედროვე ტენდენციებს. ეს „აღმოჩენები“ იცვლებოდა ეპოქიდან ეპოქამდე. ასე ხდებოდა შუა საუკუნეების ევროპაში, როდესაც რომაელი ავტორების პოპულარობა დამოკიდებული იყო ეპოქალურ ტენდენციებზე. მორალიზებულ სამყაროში (ოტტოთა ეპოქა) ჰორაციუსი იყო მიღებული თავისი სენტენციური პოეზიით; მოგვიანებით (სიახლეთა ეპოქა), როდესაც საერო ინტერესების გამოღვიძების ხანა დადგა, ოვიდიუსი გახდა უფრო მნიშვნელოვანი და ეპოქასაც მისი სახელი ეწოდა (ოვიდიუსისეული).

კულტურათაშორისი კომუნიკაცია გულისხმობს არა მხოლოდ დიალოგს ანტიკურობასა და თანამედროვეობას შორის, არამედ მათი ურთიერთმიმართების გააზრებასაც ინტერტექსტუალურ სივრცეში. ამ დროს მნიშვნელოვანია რეცეფციულ კვლევათა გაფართოება, რომლის უმთავრეს მოვლენად მიიჩნევა ეროვნულ ლიტერატურათა ჩართვა იმ **მოდულებში**, რომელთა არსებობასაც არა მხოლოდ

¹ J. I. Porter. Reception Studies: Future Prospects. In: A companion to classical reception, ed. by L. Hardwick, C. Stray. Oxford, 2008, გვ. 469-481.

ევროპული, არამედ აღმოსავლური და, ზოგადად, მსოფლიო ლიტერატურული პროცესები განაპირობებენ. ამ თვალსაზრისით, ანტიკური მემკვიდრეობის რეცეფციების შესწავლას ქართულ ლიტერატურაში, რომელსაც ევროპულ ლიტერატურათა შორის ყველაზე ხანგრძლივი ისტორია აკავშირებს ანტიკურობასთან, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. ეს განსაკუთრებულობა ურთიერთგანმაპირობებელია:

ერთი მხრივ, რამდენადაც ქართულ ლიტერატურას მრავალსაუკუნოვანი ისტორია აკავშირებს ანტიკურ სამყაროსთან და თავისი განვითარების ყველა ეტაპზე ის იყო როგორც დასავლური, ისე აღმოსავლური ლიტერატურული პროცესების ავანგარდში, რაც აისახა კიდევ მის მრავალფეროვან სასულიერო თუ საერო ხასიათის ქმნილებებში, რომელთაგან ზოგი მსოფლიო კლასიკის შედევრადც კი არის აღიარებული, ამდენად იგი რეცეფციათა მოდელის განუყრელ ნაწილს უნდა წარმოადგენდეს. ამის დასტურად იგულისხმება ის ფაქტი, რომ უკანასკნელ ხანებში ანტიკურობის ყველაზე ცნობილ ფუნდამენტურ ენციკლოპედიაში *Der Neue Pauly*, სადაც ხუთი ტომი ეთმობა ანტიკური ტრადიციის ასახვას მსოფლიო ლიტერატურაში, წარმოდგენილია სტატია კლასიკური მემკვიდრეობის შესახებ ქართულ მწერლობაში (ავტორი – რისმაგ გორდეზიანი);²

მეორე მხრივ, ანტიკურობის რეცეფციათა მოდელში მთელი მრავალფეროვნებით ასახული ქართული ლიტერატურა თავისი ფასდაუდებელი სიმაღლეების გამო, რაც განპირობებულია მისი დასავლურ-აღმოსავლური დისკურსით, ღირსეულ ადგილს დაიმკვიდრებს ლიტერატურულ სამყაროში.

უნდა აღინიშნოს, რომ ცალკეულ ეროვნულ ლიტერატურებში უკვე დიდი ხანია არსებობს მონოგრაფიული გამოკვლევები ანტიკურობის რეცეფციის შესახებ,³ რაც საფუძვლად დაედო მსოფლიო ლიტერატურული პროცესების გათვალისწინებით შექმნილ ე.წ. რეცეფციულ მოდელებს. რაც შეეხება ქართულ ლიტერატურას, მართალია, უკანასკნელ ხანებამდე ამ მიმართებით იწერებოდა ცალკეული სტატიები და გამოკვლევები, თუმცა მათ არ ჰქონიათ სისტემური, მონოგრაფიული ხასიათი, სადაც, შეძლებისდაგვარად, სრულად იქნებოდა ასახული ანტიკური ტრადიციის კვალი ქართულ მწერლობაში.

² R. Gordesiani. Georgien. In: *Der Neue Pauly, Enzyklopädie der Antike. Rezeptions und Wissenschaftsgeschichte*. 14. Hrsg. H. Cancik, H. Schneider und M. Landfester. Stuttgart, 1996, გვ. 132-140.

³ K. Fleming, A. Simon. *The Reception of Classical Antiquity in German Literature*. Munich, 2013; *The Oxford History of Classical Reception in English Literature*. Vol. 1, ed. by R. Copeland.; Vol. 2, ed. by P. Cheney and Ph. Hardie, 2016; G. di Giammarino. *La tradizione classica nella letteratura Italiana*. 2011; V. Riedel. *Antikerezeption in der deutschen Literatur von Renaissance-Humanismus bis zur Gegenwart*. Weimar, 2000.

მონოგრაფია „ანტიკურობა ქართულ მხატვრულ ლიტერატურაში“ არის ფუნდამენტური, ორენოვანი (ქართული, ინგლისური) გამოკვლევა, სადაც მასშტაბური სახით პირველად არის წარმოდგენილი ანტიკურობის რეცეფციები ქართულ მხატვრულ ლიტერატურაში მისი განვითარების ყველა ეტაპზე.

მონოგრაფიის ავტორებმა თავი მოუყარეს ყველა იმ კვლევას, რომელიც ამა თუ იმ ავტორზე უკვე არსებობდა. მათ ასევე ხელთ ჰქონდათ პროექტის „ანტიკურობის რეცეფცია ქართულ ლიტერატურაში“ ორენოვანი მასალა,⁴ რომელიც მოიცავს 140-მდე ქართველი მწერლისა და პოეტის შესახებ ინფორმაციას, ანტიკურობის რეცეფციის ამსახველ მნიშვნელოვან პასაჟებს და კომენტარებს. ხშირ შემთხვევაში მონოგრაფიაში ავტორთა საკუთარი დაკვირვებები, თვალსაზრისები და მიგნებებია წარმოდგენილი, რაც პირველად ქვეყნდება ამ ნაშრომის ფარგლებში. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ ზოგიერთ ავტორზე, რომლის თხზულებებში ანტიკურობის კვალი საკმაოდ მნიშვნელოვანია, აქამდე არ არსებობდა რაიმე სახის გამოკვლევა, რაც მონოგრაფიის დამატებით სიახლეს წარმოადგენს.

მონოგრაფიის ავტორების მიერ ანტიკურობის სისტემურმა კვლევამ ქართულ მხატვრულ ლიტერატურაში კონკრეტულ მონაცემებზე დაყრდნობით მყარი დასაბუთება შესძინა თვალსაზრისს, რომ ბერძნულ-რომაული ელემენტი ქართული ლიტერატურის ყველა პერიოდშია წარმოდგენილი, რაც ცხადყოფს, რომ ანტიკურობა ქართულ ლიტერატურაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს. ეს ტენდენცია თვალსაჩინოა უკვე VIII საუკუნიდან. ჯერ კიდევ ჰიმნოგრაფიაში დასტურდება ანტიკურობის კვალი, მაგრამ თხზულებათა შინაარსიდან გამომდინარე, მეტწილად ჩნდებიან ისტორიული პირები, რომლებიც ქრისტიანობასთან არიან დაკავშირებულნი. საინტერესოა, რომ მითოლოგიურ წიაღსვლებს ჰიმნოგრაფიაში საერო ლიტერატურის გამოჩენის შემდეგ ვხვდებით (ორფეოსი, აქილეოსი, ოლიმპოს მთა და სხვ.). რაც შეეხება თავად საერო ლიტერატურას, ცხადია, მასში სასულიერო შინაარსის ლიტერატურასთან შედარებით, მითოლოგიური მასალის გამოყენების დიაპაზონი საგრძნობლად მოცულობითია.

საყურადღებოა, რომ ქართული მხატვრული ლიტერატურა ანტიკურობას იყენებს სხვადასხვა კონტექსტში – როგორც ბერძნულ-რომაულ, ისე ქართულ ნარატივში. ეს ტერმინები, როგორც წესი, მხატვრული განზოგადების თვალსაჩინო მაგალითებს წარმოადგენენ. ამ საფუძველზე ყალიბდება არაერთი შედარება, ეპითეტი და მეტაფორა და მათ კვალდაკვალ – ანტიკურობის რეცეფციის შემთხვევა.

⁴ ავტორები: ნანა ტონია (ხელმძღვანელი), გვანცა კოპლატაძე, ეკატერინე კობახიძე, ზაზა ხინთიბიძე, მაია დანელია, გიორგი უგულავა. ხელმისაწვდომია ონლაინ: <http://classicaltradition.tsu.ge/> ბოლო ნახვა: 07.04.2023.

ანტიკური მემკვიდრეობის ეს საკმაოდ მნიშვნელოვანი სფერო ქართულ ლიტერატურაში წარმოდგენილია როგორც ანტიკურობაშივე ერთგვარ კლიშეებად ქცეულ სიმბოლოებად, ისე მხატვრული გადამუშავების სრულიად ახალ, ორიგინალურ სახეებად. საინტერესოა იმაზე დაკვირვებაც, რომ ანტიკურობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი პასაჟები მრავალფეროვნად და ორიგინალურად აისახა ქართულ ლიტერატურაში, რაც გვაძლევს საფუძველს დავასკვნათ, რომ ამ მასალის აღქმა ხდებოდა ნარატივთან ერთად და ანტიკური შეხედულებები არა ფრაგმენტულად, არამედ კომპლექსურად იყო ჩართული ქართული ლიტერატურის მიერ შემუშავებული მხატვრული სახეების ბაზაში. აშკარაა, რომ ეს ტენდენცია განსაკუთრებით ძლიერდება XI-XIII საუკუნეებში, როდესაც საქართველოს ისტორიაში დგება პოლიტიკურ-კულტურული აღმავლობის პერიოდი, რომელიც კარს უხსნის დასავლური იდეებისა და ფასეულობების შემოდიწებას ქართულ საზოგადოებაში. ანტიკურობასთან დაახლოების ახალი ტალღა XVII-XVIII საუკუნეებიდან შეინიშნება და XIX-XXI საუკუნეებში განსაკუთრებული ინტენსივობით გრძელდება. ამ პერიოდში ევროპული ლიტერატურული ტენდენციების კვალდაკვალ, ქართულ მწერლობაში ანტიკურობის არაერთი ადაპტაცია და რეცეფცია იქმნება, რაც, თავის მხრივ, კვლევების მუდმივ განახლებას საჭიროებს.

ნიშანდობლივია, რომ ანტიკური სამყაროს მხატვრული სიმბოლოები, რომლებიც საერთოევროპული ესთეტიკური აზროვნების მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენენ, თანდათანობით უფრო გამოკვეთილად ხდებიან ქართული მხატვრული სახეების ე.წ. ბანკის განუყოფელი ნაწილი, რაც თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში ტრადიციულად ორგანული ე.წ. დასავლური ელემენტის გაძლიერებას წარმოაჩენს.

პირველი თავი

ანტიკურობა ძველ ქართულ ლიტერატურაში (VIII-XIV სს.)

ჰიმნოგრაფიული პოეზია

ნანა ტონია

ქართული ჰიმნოგრაფიის საწყის ხანად VI საუკუნეს ასახელებენ მკვლევრები. ჩვენამდე შემორჩენილია ჰიმნოგრაფიული ლიტერატურის როგორც ორიგინალური, ასევე თარგმნილი ძეგლები. მათ უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებათ არა მხოლოდ ქართული, არამედ ბიზანტიური ლიტერატურის შესწავლის საქმეში, რამეთუ ქართულ ენაზე თარგმნილია ბევრი ისეთი ნიმუში ბიზანტიური ლიტერატურისა, რომელთა ორიგინალები დაკარგულია, ან ჯერხანად არ არის მიკვლეული.

მართლმადიდებლური ეკლესიის ჰიმნოგრაფიის ძირითადი ჟანრები და ტექსტები ჩამოყალიბდა ბიზანტიურ ეპოქაში უპირატესად ორი ლიტურგიკული ტრადიციის საფუძველზე: იერუსალიმურის (პალესტინურის) და კონსტანტინოპოლურის.

ქართული ჰიმნოგრაფიის შემსწავლელი მეცნიერება, ჰიმნოლოგია, საქართველოში უკვე X საუკუნიდან იღებს თავის დასაბამს.⁵ ჰიმნოგრაფიული ლიტერატურის კვლევისა და სისტემატიზაციის ცდები წარმოდგენილია ისეთი თვალსაჩინო ბიზანტიელი ავტორების თხზულებებში, როგორებიც იყვნენ მიქაელ მოდრეკილი, გიორგი მთაწმინდელი, ეფრემ მცირე და იოანე პეტრიწი.

ქართული ჰიმნოგრაფიული პოეზიის მრავალი გამოცემა განხორციელდა. მათგან უმნიშვნელოვანესია: ათონის კრებული,⁶ ძველი ქართული სასულიერო პოეზია,⁷ ძლისპირნი,⁸ ჭილ-ეტრატის იადაგარი,⁹ XVII-XVIII საუკუნეების ქართული პოეზიის ისტორიიდან,¹⁰ უძველესი იადაგარი,¹¹ ნევმირებული ძლისპირნი,¹² იოანე

⁵ ნ. სულავა. ქართული ჰიმნოგრაფია: ტრადიცია და პოეტიკა. თბილისი, 2006.

⁶ ათონის ივერის მონასტრის 1074 წლის ხელთნაწერი აღაპებით. საიუბილეო გამოცემა საეკლესიო მუზეუმისა. მ. ჯანაშვილის რედაქციით. ტფილისი, 1901.

⁷ პ. ინგოროყვა. ძველი ქართული სასულიერო პოეზია. I. ტფილისი, 1913.

⁸ ძლისპირნი. გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო ე. მეტრეველმა. თბილისი. 2000.

⁹ ჭილ-ეტრატის იადაგარი. გამოსაცემად მოამზადეს აკ. შანიძემ, ა. მარტიროსოვმა, ა. ჯიშიაშვილმა. თბილისი, 1977.

¹⁰ მ. ქავთარია. ძველი ქართული პოეზიის ისტორიიდან (XVII-XVIII სს.). თბილისი, 1977.

¹¹ უძველესი იადაგარი. გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და საძიებლები დაურთეს ელ. მეტრეველმა, ც. ჭანკიევმა და ლ. ხევსურიანმა. თბილისი, 1980.

მინჩხის პოეზია,¹³ ქება და დიდება ქართულისა ენისაჲ,¹⁴ XII-XIII საუკუნეების ქართული ჰიმნოგრაფია,¹⁵ გიორგი მთაწმინდელის „თთუენი“, სექტემბრის თვის მასალა.¹⁶

ქართული ჰიმნოგრაფიის კვლევის საკითხებზე ქართველ ფილოლოგთა კორიფეები მუშაობდნენ. ფასდაუდებელია ივ. ჯავახიშვილის, კ. კეკელიძის, პ. ინგოროყვას, ელ. მეტრეველის, გ. იმედაშვილის და სხვათა წვლილი. მათი კვლევების საფუძველზე შესაძლებელი გახდა ჰიმნოგრაფიული ხელნაწერების აღწერა და გამოცემა, მათი სტრუქტურისა და ფორმის, მოტივებისა და სახისმეტყველების კვლევა; საგალობელთა მუსიკალური ბუნების შესწავლა.

ქართული ჰიმნოგრაფიის ისტორიაში დასტურდება რამდენიმე ჰიმნოგრაფიული სკოლის არსებობა სამონასტრო ცენტრებში როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთ.¹⁷

ქრისტიანულ ტაძრებში თავდაპირველად ფსალმუნები იგალობებოდა. VI საუკუნეში ღვთისმსახურებაში იზრდება გალობის როლი და იქმნება ე.წ. მონოტროპარები. ილ. აბულაძე მიიჩნევდა, რომ ქართული ორიგინალური ჰიმნოგრაფიის საწყისი დაკავშირებულია VI საუკუნის სახელოვანი მოღვაწის შიო მღვიმელის სახელთან, რომელიც სხვა მამებთან ერთად ჩამოვიდა ასურეთიდან და დასახლდა საქართველოში.

საღვთისმსახურო მოღვაწეობა დროთა განმავლობაში ძლიერდებოდა, მდიდრდებოდა ჰიმნოგრაფიული ტექსტებით, რომელთაც ორგვარი დანიშნულება ჰქონდათ. განასხვავებდნენ ლიტურგიკულ და არალიტურგიკულ ტექსტებს.

¹² ნევემირებული ძლისპირნი. გამოსცა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო გ. კიკნაძემ. თბილისი, 1982.

¹³ იოანე მინჩხის პოეზია. გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო ლ. ხაჩიძემ. თბილისი, 1987.

¹⁴ ქება და დიდება ქართულისა ენისაჲ. გამოსაცემად მოამზადა ტ. ფუტყარაძემ. თბილისი, 2000.

¹⁵ ნ. სულავა. XII-XIII საუკუნეების ქართული ჰიმნოგრაფია. თბილისი, 2003.

¹⁶ ლ. ჯღამაია. გიორგი ათონელის „თვენი“, სექტემბერი. თბილისი, 2007.

¹⁷ ჰიმნოგრაფიული მემკვიდრეობის ცნობილი მკვლევარი ნესტან სულავა თავის შრომაში „ქართული ჰიმნოგრაფია: ტრადიცია და პოეტიკა“ (თბილისი, 2006) მკითხველს ჰიმნოგრაფიულ სკოლათა ასეთ ნუსხას სთავაზობს: 1. პალესტინური ანუ იერუსალიმურ – საბაწმიდური და სინური ჰიმნოგრაფიული სკოლა, რომელიც იერუსალიმურ საღვთისმსახურო პრაქტიკას მისდევს; 2. ტაო-კლარჯეთის ჰიმნოგრაფიული სკოლა, რომელშიც კონსტანტინოპოლური და იერუსალიმურ-საბაწმიდური საღვთისმსახურო ტრადიციებია შეზავებული; 3. ათონის საღვთისმეტყველო სკოლა, რომელიც კონსტანტინოპოლურ საღვთისმეტყველო პრაქტიკას მისდევდა. აქვე უნდა აღინიშნოს მოკრძალებული როლი შავი მთის საღვთისმეტყველო სკოლისა, რომელსაც მუდმივი ურთიერთობა ჰქონდა ივირონის საღვთისმეტყველო-ლიტერატურულ ცენტრთან; 4. შიომღვიმის; 5. გელათისა და 6. დავით გარეჯის საღვთისმეტყველო სკოლები; 7. მცხეთის საკათალიკოსოს, განსაკუთრებით ანტონ პირველის ჰიმნოგრაფიული სკოლა (გვ. 11-12).

ლიტურგიკული ტექსტები ღვთისმსახურებაში გამოიყენებოდა, არალიტურგიკული მხოლოდ საკითხავად იყო განკუთვნილი, მას იამბიკოს ფორმა ჰქონდა, თუმცა პოეტურ თხზულებად არ მიიჩნეოდა.

ქართული გალობა ქართული კულტურის განუყოფელი ნაწილია. საგალობლები იწერებოდა როგორც ადგილობრივ, ისე საქართველოს საზღვრებს მიღმა არსებულ სამონასტრო კერებში: პალესტინაში, სინას მთაზე, ათონზე, იერუსალიმში. განსაკუთრებული იყო იერუსალიმის მახლობლად მდებარე **საბა განწმენდილის** ლავრა, სადაც თავდაპირველად საგალობელთა ქართულ თარგმანებზე მუშაობდნენ იქ მოღვაწე ბერები. თარგმნილ ჰიმნოგრაფიულ ქმნილებებს თავი მოუყარეს უძველეს ქართულ კრებულებში – ლექციონარებში. შემორჩენილია უძველეს ლექციონართა ნუსხები (კალის, ლატალის, სინური, პარიზული), რომლებშიც იერუსალიმის ლიტურგიკული პრაქტიკის V-X საუკუნეებია აღბეჭდილი. სწორედ ამ ლექციონარების საფუძველზე შეიქმნა პირველი დამოუკიდებელი ჰიმნოგრაფიული კრებული სახელწოდებით – **იადგარი** (ეს სპარსულიდან შემოსული სიტყვა ნიშნავს „სამახსოვროს“). ეს კრებული, რომელიც ადრეულ შუა საუკუნეებში უნდა შექმნილიყო, ბიზანტიური და ქართული ჰიმნოგრაფიის განვითარების საწყის საფეხურს ასახავს. მკვლევრები განასხვავებენ უძველესი ტიპის ქართულ იადგარს, რომლის ტექსტები VII-VIII საუკუნეებში უნდა ყოფილიყო თარგმნილი და ახალ იადგარს, რომელიც IX-X საუკუნეთა მიჯნაზე შეიქმნა.

იადგარის ჩვენამდე მოღწეული თითქმის ყველა ნუსხას X საუკუნით ათარიღებენ. მათში წარმოდგენილია თარგმნილი და ორიგინალური საგალობლების უმდიდრესი საგანძური, რასაც თან ერთვის უძველესი სანოტო სისტემით ჩაწერილი გალობათა მელოდიები. ამ იადგარებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებათ არა მხოლოდ ქართული, არამედ ბიზანტიური ჰიმნოგრაფიის ისტორიის შესწავლის საქმეში, რამეთუ მათი ბერძნული დედნები ჯერხანად მიკვლეული არ არის. ქართული იადგარები ქართულ (იერუსალიმურ) ლექციონართან ერთად ჰიმნოგრაფიის ისტორიის შესწავლის უმნიშვნელოვანესი წყაროა XI საუკუნის დამდეგამდე.

საბაწმიდის ჰიმნოგრაფიული სკოლის ტრადიციები გრძელდებოდა სხვა სალიტერატურო ცენტრებში. მათგან თავისი მნიშვნელობით გამოირჩეოდა **ტაო-კლარჯეთის სამონასტრო** სკოლა, რომლის მესვეური იყო IX საუკუნის დიდი საეკლესიო მოღვაწე ღირსი მამა გრიგოლ ხანძთელი. მას თავად შეუთხზავს საგალობელთა სრული კრებული – „საწელიწადო იადგარი“, რომელმაც დიდი წვლილი იქონია ქართული ჰიმნოგრაფიის განვითარებაში. ამ პერიოდში მოღვაწეობდნენ ისეთი ჰიმნოგრაფოსები, როგორებიც იყვნენ: იოანე მინჩხი, იოანე

მტბევარი, ეზრა, კურდანაჲ, სტეფანე სანანოის ძე, იოანე ქონქოზის ძე, მიქაელ მოდრეკილი და სხვები. მათი შემოქმედება X საუკუნის ე.წ. დიდ იადგარებში (წვირმის იადგარი, იელის იადგარი, მიქაელ მოდრეკილის იადგარი) აისახა. განსაკუთრებული მნიშვნელობის იყო მეხური¹⁸ დიდი იადგარები, რომელთა შორის გამოირჩეოდა მიქაელ მოდრეკილის კრებული „საწელიწადო იადგარი“ (5-425), რომელიც მოიცავს მანამდე არსებულ მთელ ჰიმნოგრაფიულ მემკვიდრეობას, როგორც ნათარგმნ, ასევე ორიგინალურს.

XI საუკუნიდან ქართული ქრისტიანული ლიტერატურის უმთავრესი ცენტრი ინაცვლებს **ათონის ივერთა მონასტერში**, სადაც მოღვაწეობდნენ ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელები. მათ სახელს უკავშირდება ახალი ეტაპი ქართული ჰიმნოგრაფიის განვითარებაში, რაც გამოიხატა ჰიმნოგრაფიულ ძეგლთა ახალი პრინციპებით თარგმნის სფეროში, ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელებმა ბერძნულიდან თარგმნეს უმნიშვნელოვანესი ჰაგიოგრაფიული კრებულები. განსაკუთრებული მნიშვნელობისაა გიორგი მთაწმინდელის მიერ შედგენილი „თთუენი“, რომელშიც წარმოდგენილია ამა თუ იმ წმინდანისადმი მიძღვნილი თითქმის ყველა საგალობელი.

ამავე პერიოდის უმნიშვნელოვანესი საგანმანათლებლო კერა იყო **პეტრიწონის მონასტერი**, რომლის ლიტერატურულ-ფილოსოფიური სკოლის წარმომადგენელი იყო იოანე პეტრიწი. მან ქართული მწერლობა უფრო მეტად დაუახლოვა ბიზანტიურს; მოღვაწეობა განაგრძო გელათის მონასტერში, რომელიც დღემდე ქართული საეკლესიო გალობის უმთავრესი კერაა საქართველოში.

გელათის მონასტრის დაარსება დიდი მეფის, დავით აღმაშენებლის ძალისხმევით მოხდა. ეს იყო შუა საუკუნეების პირველი აკადემია, რომელმაც გზა გაუკაფა ქართულ რენესანსს.¹⁹ გელათის აკადემიაში მოღვაწეობდნენ ქართული მეცნიერებისა და კულტურის გამოჩენილი მოღვაწეები, რამაც მისი როგორც უმაღლესი კულტურული და სასწავლო ცენტრის მნიშვნელობა უაღრესად აღამაღლა.

¹⁸ „მეხური“ ჰიმნოგრაფიული ტერმინია და აღნიშნავს „ახალი წესით დაწერილ ან თარგმნილ და მელოდიასთან შერწყმულ საგალობელს“. მეხური, როგორც ტერმინი დადასტურებულია X-XI საუკუნეების ხელნაწერებში („გალობანი მეხურნი“). „ახალი წესი“ დაკავშირებული იყო იოანე დამასკელის სახელთან, გულისხმობდა ძლისპირ-ტროპართა რიტმულ-მელოდიურ თანხმობას და მელოდიის ფიქსაციას ტექსტებზე, რაც X საუკუნიდან განხორციელდა „ნევმების“ (ნიშნების) მეშვეობით. მეხელები იყვნენ პირველი პროფესიონალი მთარგმნელები და იმავდროულად მგალობელ-მუსიკოსები, რომლებმაც ბერძნულიდან გადმოიღეს რვახმიანი რიტმული (მარცვლოვანი საზომით დაწერილი) გალობის საწელიწადო რეპერტუარი და მას მოარგეს კილოები რიტმული პუნქტუაციისა და ნევმების გამოყენებით.

¹⁹ იხ. დ. მელიქიშვილი. გელათი – „სხუა ათინა და მეორე იერუსალიმი“. თბილისი, 2006.

დავითი დიდად ზრუნავდა საზღვარგარეთ არსებულ კულტურულ სავანეებზე. იგი მფარველობდა არა მხოლოდ თანამემამულეებს, არამედ უცხოელ მეცნიერებსა და სწავლულებსაც.

დავით აღმაშენებელმა თავისი წვლილი შეიტანა ქართული ჰიმნოგრაფიის განვითარებაშიც. მას ეკუთვნის ორიგინალური პოეტური ქმნილება „გალობანი სინანულისანი“, რომელიც ქართული ჰიმნოგრაფიის შედევრად არის აღიარებული. დავით აღმაშენებლის მეფობის პერიოდი საქართველოს ისტორიის „ოქროს ხანად“ არის აღიარებული.

„ოქროს ხანაში“ მოუწია მეფობა თამარს, ბაგრატიონთა დინასტიის ბრწყინვალე წარმომადგენელს.

XII-XIII საუკუნეებში ერთიანი და ეკონომიკურად ძლიერ საქართველოში განათლებამ და კულტურამ მაღალ დონეს მიაღწია. ოპიზის, ოშკის, შატბერდის, ბერთის, ხანძთის და სხვა მონასტრებთან არსებობდა საგანმანათლებლო სკოლები. საზღვარგარეთ არსებულ საგანმანათლებლო კერათაგან აღსანიშნავია ათონის ივერთა მონასტერი, პეტრიწონის მონასტერი, მონასტერი შავ მთაზე სირიაში და სხვა.

დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის ეპოქის ოქროს ხანის დასრულებას კულტურის დაღმავლობა მოჰყვა. მონღოლთა შემოსევებმა (XIII ს.), თემურ-ლენგის ლაშქრობებმა (XIV-XV სს.), ირანისა და ოსმალეთის მტრულმა ძალებმა (XVI ს.), კავკასიურ ტომთა ბრძოლებმა, შინააშლილობამ ქვეყანას დაღუპვის საფრთხე შეუქმნეს.

XIII-XVI საუკუნეები უმძიმესი იყო საქართველოს ისტორიაში, რამაც, ბუნებრივია, თავისი დაღი დაასვა ქართული კულტურის ყველა სფეროს, მათ შორის ქართულ სამგალობლო ხელოვნებას. მტრის მიერ გამარცხვულ ტაძრებში განადგურდა ჰიმნოგრაფიული კრებულები და მაინც, ძნელბედობისდა მიუხედავად ქართული საგალობლის ხმა მაინც ისმოდა დარბევას გადარჩენილ ეკლესია-მონასტრებში. ჩვენამდე მოაღწიეს XVII-XVIII საუკუნეებით დათარიღებულმა ჰიმნოგრაფიულმა კრებულებმა, სადაც მოხსენიებულნი არიან ისეთი ჰიმნოგრაფოსები, როგორებიც იყვნენ ნიკოლოზ მაღალაშვილი, გრიგოლ ვახვახიშვილი-დოდორქელი, იასე ერისთავი, ბესარიონ ორბელიშვილი, ნიკოლოზ ჩერქეზიშვილი და სხვები. აღნიშნული პერიოდის კულტურულ ცხოვრებაში განსაკუთრებული იყო ერეკლე I-ის მეფობის ხანა, მის დროს ქართული სულიერი კულტურის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს კერად იქცა **გარეჯის მონასტერი**, სადაც თავი მოიყარეს მწერლებმა, მქადაგებლებმა, მგალობლებმა და სხვებმა. ისტორიული წყაროების ცნობით, გარეჯის მრავალმთის მონასტრები სამეფო კარის განსაკუთრებული ხელშეწყობით სარგებლობდნენ. იქ არსებულა სამგალობლო სკოლა, სადაც

აღზრდილან კათალიკოსი ანტონ I, ამბროსი ნეკრესელი, გერმანე ხუცესი მონაზონი, არქიმანდრიტი გერონტი სოლოდაშვილი და სხვანი.

XVIII საუკუნის დასასრულს, ერეკლე II-ის ხელშეწყობით ჩამოყალიბდა სვეტიცხოვლის საკათალიკოსო სკოლა, სადაც ისწავლებოდა გალობის ხელოვნება. მაგრამ სულ მალე საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმებამ (1811 წ.), რასაც მოჰყვა ქართულ ტაძრებში რუსული წირვა-ლოცვის დამკვიდრება, სამგალობლო ტრადიციის განვითარება დიდი ხნით შეაფერხა, თუმცა ვერ აღმოფხვრა.

* * *

ქრისტიანულმა რელიგიამ საქართველოს საშინაო და საგარეო ცხოვრებაში განუზომლად დიდი როლი შეასრულა. საქართველო, რომელიც გეოგრაფიულად აღმოსავლეთის ქვეყნად მოიაზრებოდა „ოდითგანვე კულტურის დასავლურ ჯგუფს უკავშირდებოდა. მასზე დიდ გავლენას ახდენდა აღმოსავლეთი, მაგრამ ქართული კულტურის ისტორიაში ნიადაგ იგრძნობოდა, ასე ვთქვათ, აღმოსავლურობის დამღევის ტენდენცია. მედიევალური კულტურის დადგომასთან ერთად ჩვენ საბოლოოდ ჩავერთეთ ევროპული (კერძოდ, აღმოსავლურ-ევროპული, ან: აღმოსავლურ-ქრისტიანული) კულტურულ-ისტორიულ „ოიკუმენაში“ (კულტურულ არეალში)“.²⁰

VI-XIII საუკუნეები საქართველოს ისტორიის მწვერვლების ხანა იყო. მისი სამეფოები გარეშე მტრის მუდმივ ექსპანსიას განიცდიდნენ. დიდი მსხვერპლის ფასად ქართველმა ხალხმა მაინც შეძლო თვითმყოფადობის შენარჩუნება. ისტორიულ ქარტახილებში მტრულად განწყობილ მეზობელთა თუ მომხდურთა წინააღმდეგ ბრძოლის მთავარ იარაღად ქართველთათვის სარწმუნოების შენარჩუნება იქცა. ქართული ლიტერატურის დიდი მესვეურის, კ. კეკელიძის თქმით: „შეიქმნა შესაფერისი „იდეოლოგია“, სახელდობრ, რელიგიურ-მისტიკური, რომელმაც გამოხატულება საეკლესიო-სასულიერო ლიტერატურაში ჰპოვა“.²¹ ამ სახელმწიფოებრივი იდეოლოგიის შექმნაში მონაწილეობდა სასულიერო მწერლობის ყველა დარგი, მათ შორის ჰიმნოგრაფია, რომელსაც განსაკუთრებული როლი ენიჭებოდა. და ეს ბუნებრივია, რამეთუ საგალობელში, განსხვავებით ჰაგიოგრაფიული თხზულებისაგან, შემოქმედის მხატვრულ წარმოსახვაში გატარებული თეოლოგიური ცოდნა აისახა, რაც შერწყმული იყო მუსიკასთან. მართალია, საგალობლების თემატიკა შემოსაზღვრულია, რადგანაც მათში

²⁰ რ. სირაძე. ქართული აგიოგრაფია. თბილისი, 1987, გვ. 19.

²¹ კ. კეკელიძე. ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია. ტ. I. თბილისი, 1980, გვ. 45.

შესხმულნი არიან მაცხოვარი, ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი და წმინდანები, ან განდიდებულია საუფლო დღესასწაულები. მიუხედავად ამისა, საგალობლებში მაღალმხატვრული პოეტური ხელოვნებით წარმოჩნდა სიმბოლოებით დაფარული სიბრძნეც და ის მრავალმნიშვნელოვანი ინფორმაცია, რომლის გაცნობიერებაც მხოლოდ ლიტურგიკული განათლების მქონე მკითხველს ხელეწიფება.

V საუკუნეში საქართველოს ეკლესიამ ბიზანტიური ეკლესიისგან დამოუკიდებლობა – ავტოკეფალია მოიპოვა. წერილობით დადასტურებულია, რომ ქართულ ეკლესიაში უკვე VI საუკუნეში წირვა-ლოცვა ქართულად აღევლინებოდა. ეს კი ცხადს ხდის, რომ სწორედ ამ პერიოდში უნდა ჩამოყალიბებულიყო ქართული გალობა. გამოკვლევების თანახმად, VI საუკუნისთვის საეკლესიო კალენდრების შევსებასთან ერთად მომრავლდა საგალობლები, შეიქმნა ჰიმნის ახალი სახეობები: სტიქარონები და გალობანი („კანონი“), რამაც სათავე დაუდო ახალი ტიპის ლიტურგიკულ-ჰიმნოგრაფიულ კრებულის, „იადგარის“ ჩამოყალიბებას. ჩვენამდე მისი ოთხი ძირითადი ნუსხაა შემორჩენილი, მათგან უმნიშვნელოვანესია „ჭილ-ეტრატის იადგარი“. მასში წარმოდგენილია წმინდა აბოს სახელზე შეთხზული სტიქარონები, არასრული, ორი გალობისგან შემდგარი კანონი და ჯელოთბანისაჲ ანუ ჟამიწირვის მონოსტროფიული ჰიმნი. საგალობლები ქართველი ჰიმნოდის მიერ არის დაწერილი.

„ჭილ-ეტრატის „იადგარის“ სრული ტექსტი 1977 წელს გამოიცა აკ. შანიძის რედაქციით („ძველი ქართული ენის ძეგლები“, 15); 1980 წელს დაიბეჭდა უძველესი იადგარის ტექსტი, დადგენილი IX-X საუკუნეების ხუთი ხელნაწერის მიხედვით. ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და საძიებლები დაურთეს ელ. მეტრეველმა, ც. ჭანკიევმა და ლ. ხევსურიანმა. მკვლევართა ვარაუდით, ჭილ-ეტრატის იადგარი გადაწერილი უნდა იყოს IX-X საუკუნეთა მიჯნაზე, არა უგვიანეს X საუკუნისა. შინაარსობრივად, მასში VII-VIII საუკუნეების იერუსალიმური ტრადიცია არის ასახული. მისი ბერძნული მოდელი დაკარგულია.

უძველეს „იადგარში“ შემონახული საგალობლების ტექსტში, წარმართული სამყაროს ხსენების კვალი არ შეინიშნება.

X საუკუნე

ქართული ორიგინალური ჰიმნოგრაფიის შესანიშნავი ნიმუშები შემონახულია X საუკუნის II ნახევრის ლიტურგიკულ-ჰიმნოგრაფიული პოეზიის ორ უმნიშვნელოვანეს კრებულში: მიქაელ მოდრეკილის „იადგარსა“ და იორდანეს „ძლისპირში“. ანტიკურობასთან დაკავშირებულ ტერმინთა მოხსენიება შეინიშნება მიქაელ მოდრეკილის „იადგარში“ წარმოდგენილი ზოგიერთი ავტორის საგალობელში.

მიქაელ მოდრეკილი მოღვაწეობდა X საუკუნეში. მის მიერ შედგენილი და რედაქტირებული „იადგარი“ ძველი ქართული წიგნის ხელოვნების ბრწყინვალე ნიმუშია.

კრებული შედგენილია შატბერდის მონასტერში 978-988 წლებში. თავდაპირველად, მასში 1264 გვერდი უნდა ყოფილიყო. ჩვენამდე 544 ფურცელია შემორჩენილი. საგალობელთა დიდი ნაწილი ნევმირებულია, კრებულს აკლია საწყისი და ბოლო ნაწილები.

მიქაელ მოდრეკილმა თავი მოუყარა მისი დროისათვის ქართულ მღვდელმსახურებაში გავრცელებულ მთელი წლის მეხურ საგალობლებს, როგორც ორიგინალურს, ასევე თარგმანს. ქართველ ავტორთა შორის ვხვდებით თავად *მიქაელ მოდრეკილის*, *იოანე მტბევარის*, *იოანე მინჩხის*, *სტეფანე სანანოისძე-ჭყონდიდელის*, *ეზრას*, *იოანე ქონქოზის ძის*, *ბასილი ხანძთელის*, *კურდანაძის*, *გიორგი მერჩულისა* და ზოგიერთი ანონიმი ავტორის საგალობლებს. ბერძენთაგან კრებულში წარმოდგენილია ანდრია კრიტელის, კოზმა იერუსალიმელის, იოანე დამასკელის, თეოფანესა და ეფრემის ქმნილებები. ბერძნულიდან თარგმნილი საგალობლების უდიდესი ნაწილი ანონიმურია. კრებულში წარმოდგენილი დაახლოებით ორასი საგალობლიდან მიქაელ მოდრეკილის კუთვნილებად ოთხი ჰიმნია დადასტურებული: ორი აღდგომის (მესამე და მეშვიდე ხმისა), ერთი ნათლისღების (პირველი ხმისა), ერთი კი – ძველი და ახალი სჯულის მამებისადმი მიძღვნილი (მერვე ხმისა). ამ საგალობელთა გარდა სამეცნიერო ლიტერატურაში მიქაელ მოდრეკილის კუთვნილებად დასახელებულია ჰიმნები, რომელთაც აქვთ მინაწერი: „ქართულნი“.

მიქაელ მოდრეკილის „იადგარს“ მნიშვნელობას მატებს ის, რომ პალესტინური ტიპის ამ კრებულის ბერძნული მოდელი, რომელიც გავრცელებული უნდა ყოფილიყო ბიზანტიის აღმოსავლეთ პროვინციებში IX-X საუკუნეებამდე,

დაკარგულია და მასზე მსჯელობა შესაძლებელია მხოლოდ ქართული „იადგარის“ მიხედვით.

მიქაელ მოდრეკილის ჰიმნები 1978 წელს სამ წიგნად გამოსცა ვ. გვახარიაშ. მიქაელ მოდრეკილის საგალობელთა ცალკეული ტექსტები შესწავლილია ქართველ მეცნიერთა მიერ. მათ შორის განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის პ. ინგოროყვას.²² მან დაადგინა კრებულის სტრუქტურა, შედგენილობა; გამოყო საგალობელთა ის ნაწილი, რომელიც, მისი აზრით, ეკუთვნოდა გრიგოლ ხანძთელს; შეისწავლა კრებულში წარმოდგენილ ქართველ ჰიმნოგრაფთა საგალობლები ფორმის, მოცულობის, საზომისა და შინაარსის თვალთახედვით.

მიქაელ მოდრეკილის ჰიმნებში ანტიკური სამყაროსათვის კუთვნილი ერთადერთი ტერმინი – „იქედნე“ იკითხება.

ცისკრად ნეტარარიანთა დასდებელნი: თავნი იტყვან აბო

„ნაშობნო *იქედნეთანო*, ვინ გიჩუენა თქვენ სივლტოლად მოწვენადის[ა] მისგან საუკუნოდასა რისხვისა მის მომავალისა, რამეთუ არაჲ ჰყავთ თქვენ ნაყოფნი სიმართლისაჲ! ეტყოდა წინამორბედი მომავალთა მისა: „მაშინ მოვიდა მცხნელი გალილეადთ იორდანეს ნათლისღებად, განმანათლებელი ყოველთაჲ!“

ამ ამონარიდის შინაარსი ასე უნდა გავიგოთ: „იქედნეს ნაშობნო, თქვენ ვინ დაგანახათ მისი გაქცევა მომავალი საუკუნო რისხვისგან, [ნუთუ მათგან], რომელნიც არ არიან მართალნი!“

იქედნე//ექიდნა ბერძნულ მითოლოგიაში შემზარავი დაიმონია, ნახევრად ქალი, ნახევრად გველი.

ექიდნასა და ტიფონის შეუღლების შემდეგ გაჩნდნენ საშინელი ურჩხულები: ქიმერა, კერბეროსი, ლერნეს ჰიდრა, ნემეას ლომი, სფინქსი, ორთისი. ექიდნას ადგილსამყოფელად მიჩნეული იყო ჰადესი, სკვითია ან მღვიმე კილიკიაში.

მიქაელ მოდრეკილის სახისმეტყველება ნათელია: „იქედნეს ნაშობნი“, ანუ ისინი, რომლებიც არ არიან მართლმორწმუნენი.

ინტერესს მოკლებული არ უნდა იყოს „ხელოვანთმთავრად“ აღიარებული ჰიმნოგრაფოსის მიერ პოეტურად აღქმული წარმართული სამყარო – „*უმჯულოების უფსკრული*“ (აქ წარმართობაში იგულისხმება ბერძნულ-რომაული პოლითეიზმი):

გალობანი აღვსებისანი

გალობაჲ V

²² პ. ინგოროყვა. ძველი ქართული პოეზია. I. ტფილისი, 1913, გვ. 226-239.

მოქცევამან ცოდვისამან
და უფსკრულმან უშჯულოვებისამან
დამნთქა სიღრმესა საცთურთასა
ნავითა უდებებისაითა!
ეკუეთნეს სულსა ჩემსა
ღელვანი მტერისა განსაცდელთანი,
შთანთქა უწყლოდ მკეცმან სულთა მომსრველმან
და აწ
შენდა მოვილტვი, ქრისტე, ცხოვრებისა სასოო,
მოყავ ჯელი შეწევნისაჲ,
მიხსენ ვითარ იონა ვეშაპისაგან,
და პეტრე დანთქმისაგან...

იამბიკონი

III „განძლიერდასა“

მხოლოდშობილო, ქრისტე, ღმრთისა სიტყუაო,
რაჟამს ჯორციოთა აღჰმალლდი ჯუარსა ზედა,
უბიწოდთა მით სისხლითა მოიყიდე
და დაიწინდე *ეკლესიაჲ წარმართთაჲ*,
ვითარცა სძალი, უკვდავმან მეუფემან.

იოანე კონქოზისძე. სავარაუდოა, რომ ცხოვრობდა და მოღვაწეობდა X საუკუნეში. ამ ქართველი ჰიმნოგრაფოსის შესახებ ბიოგრაფიული ცნობები არ იძებნება. იგი ავტორია მიქაელ მოდრეკილის „იადგარში“ წარმოდგენილი ვრცელი იამბიკური საგალობლისა „გალობანი ქრისტეს ნათლისღებისანი და ჰაბო ისმაიტელყოფილისა ქართველისანი“.

გალობანი ქრისტეს ნათლისღებისანი და ჰაბო ისმაიტელ-ყოფილისა ქართველისანი

„შეგინებულისა მის სარწმუნოვებისა მოძღუართა სამშჯავროდ მიგცეს ღირსო, ვითარცა პავლე *ჰრომედ* ჰურიათა მათ და უშჯულომან მძლავრმან განაჩინა შენთვის სიკუდილი საწადელი!“

ამ ამონარიდში ჩვენს ყურადღებას იპყრობს ქალაქ რომის ხსენება (*ჰრომედ*). როგორც ცნობილია, პავლე მოციქული, წმინდა პეტრე მოციქულმან და სხვა ქრისტიანებთან ერთად მოწამეობრივად აღესრულა: იმპერატორის ბრძანებით მას თავი მოჰკვეთეს, წმინდა პეტრე კი თავდაყირა აცვეს ჯვარს. ეს მოხდა რომში, იმპერიის დედაქალაქში, იმპერატორ ნერონის მიერ ქრისტიანთა დევნის ჟამს ახ.წ. 67 წლის 29 ივნისს.

ამონარიდი ასე იკითხება:

[შენსგან უარყოფილი სარწმუნოების მოძღვრებებმა სამსჯავროზე გადაგცეს, ღირსეულო, როგორც პავლე მოციქული ურიებმა რომში და მძლავრმა ურჯულომ გამოგიტანა სასურველი სასიკვდილო განაჩენი].

იოანე მინჩხი. X საუკუნის I ნახევრის საეკლესიო მოღვაწე, პოეტი და ჰიმნოგრაფოსი იოანე მინჩხი წარმოშობით დასავლეთ საქართველოს სოფელ ინჩხიდან ყოფილა. მოღვაწეობდა სინას მთაზე. იქ დაცულ ქართულ ხელნაწერთა აღწერისას მისი საგალობლების შემცველი ნუსხები ნ. მარმა და ივ. ჯავახიშვილმა აღმოაჩინეს 1902 წელს.

მოგვიანებით იოანე მინჩხის 4 საგალობელი ამოიკითხეს *მიქაელ მოდრეკილის* საგალობელთა კრებულში („იადგარი“). პარიზის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში დაცულ დიდმარხვისათვის შედგენილ საგალობელთა კრებულში („მარხვანი“) კი აღმოჩნდა მისი 77 საგალობელი.

იოანე მინჩხის ჰიმნოგრაფიული მემკვიდრეობის კვლევას ქართველ მეცნიერთა მრავალი ნაშრომი მიეძღვნა.²³ დღეისათვის დადგენილია რომ: ა) იოანე მინჩხი პირველი ქართველი ავტორია, რომელმაც „იადგრებიდან“ ცალკე კრებულად გამოყო „მარხვანი“ (დიდმარხვისათვის შექმნილი ჰიმნები). მსგავსი კრებულები ბიზანტიაში IX-X საუკუნეებში უკვე არსებობდა. როგორც ჩანს, ეს ცნობილი იყო მინჩხისთვის და

²³ ივ. ჯავახიშვილი. სინას მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა. თბილისი, 1947; კ. კეკელიძე. ახალი შრომა ძველი ქართული პოეზიის შესახებ. ლიტერატურული მიეზანი. XI. თბილისი, 1958, გვ. 447-461; კ. კეკელიძე. ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან. ტ. VI. თბილისი, 1960; ე. თაყაიშვილი. პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის ქართული ხელნაწერები. პარიზი, 1933; პ. ინგოროყვა. ძველი ქართული პოეზია. თხზულებათა კრებული. ტ. III. თბილისი, 1965; იოანე მინჩხი. პოეზია. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო ლ. ხაჩიძემ. თბილისი, 1987.

მან ბიზანტიური ტიპის „მარხვანს“ შემატა ორიგინალური ქართული ჰიმნები. ეს მოდელი საფუძვლად დაედო ქართული „მარხვანების“ ყოველ შემდგომ რედაქციას; ბ) IX საუკუნის ორიგინალური საგალობლები გამოირჩევიან საზომების, რიტმის, ხმიანობის თავისებურებებით; მათი ენა და მხატვრული სახეები „თეოლოგიური ლირიზმის“ ნიშნით არის აღბეჭდილი. მან დაამკვიდრა სტროფულ-ტაეპობრივი მეტრული საზომი, რომელსაც „მინჩხურს“ უწოდებენ.

იოანე მინჩხის პოეზიამ დიდი გავლენა იქონია შემდგომ ეპოქათა ქართული ჰიმნოგრაფიის განვითარებაზე. კორნელი კეკელიძის ზუსტი შენიშვნით, იოანე მინჩხის სახელთან არის დაკავშირებული ქართული ღვთისმსახურების ნაციონალიზაცია.

მარხვანი

„ცოდვილნო, *იქედნეს* ნაშობნო,
ვისგან იხილეთ რისხვისგან გაქცევა?“

„მოითხოვეს *პილატესგან* უფლის წმინდა გვამი“

„და დაარწმუნეს *პილატე*,
რათა შენ ჯვარს ეცვი, მხსნელო ჩვენო“

დასდებულნი წმიდისა აღდგომისანი

„მაშინ ეტყოდეს
პილატეს უმჯულონი“

„ხოლო *პილატე*მ გადასცა...
რათა ჯვარს ეცვათ“.

გალობაჲ II, 4

„მოჰხედე, მხსნელო, ვენახსა ამას შენსა,
რომელი დაასხი
ხელითა პირველ მეფისა
კონსტანტინე მორწმუნისაჲთა!“

გალობაჲ II, 32

„თეოდოსი, და ყოველსა
ქუეყანასა
განსცა ჳმაჲ შენი
და ურიცხვსა იონთა ერსა
დასცა ჴარი შენი
და შიშნეულად
გერჴდეს ყოველნი!“

ეს უკანასკნელი ამონარიდი ასე იკითხება:
„ხოლო თეოდოსიოს მართლის
ურწმუნოებაჲ დასძლია სული წმიდის გონიერებამ,
გარდაიცვალა გული მისი
და მეფობდა იგი იონიელებზე“.

იოანე მინჩხის საგალობლებში ანტიკური სამყაროს რამდენიმე ტერმინი იკითხება:

იქედნე

კონსტანტინე – რომის სახელოვანი იმპერატორი (272-337 წწ.).

პილატე – რომის იმპერიაში შემავალი იუდეის პროვინციის მეხუთე პრეფექტი იმპერატორ ტიბერიუსის დროს (26-36 წწ.). პილატე პონტოელი ისტორიაში ცნობილია როგორც ქრისტეს მსაჯული.

თეოდოსიუსი – რომის იმპერატორი 379-395 წლებში. მან ქრისტიანობა გამოაცხადა რომის იმპერიის ოფიციალურ რელიგიად. მართლმადიდებლურმა ეკლესიამ იგი წმინდანად აღიარა და მას წმინდა თეოდოსიუსის სახელით მოიხსენიებს.

იონთა – იონიელი – იგივე ელინი.

იოანე ზოსიმე მოღვაწეობდა X საუკუნეში. მის შესახებ ბიოგრაფიული ცნობები მეტად მწირია. მათი გათვალისწინება მკვლევართ საშუალებას აძლევს იოანე ზოსიმე მოიხსენიონ როგორც სასულიერო მწერალი და ჰიმნოგრაფოსი. სინას მთის ქართული ხელნაწერების ანდერძ-მინაწერების შესწავლამ ცხადყო, რომ იოანე ზოსიმე მოღვაწეობდა პალესტინაში, ჯერ საბაწმიდის ლავრაში, ხოლო X საუკუნის 70-იანი წლებიდან – სინას მთაზე.

იოანე ზოსიმეს სახელით ცნობილია ენციკლოპედიური ხასიათის ნაშრომი „საგალობელნი იადგარნი“, რომელშიც სხვადასხვა ლიტურგიკული თხუზლებიდან ამოკრებილი ტექსტებია გაერთიანებული.

იოანე ზოსიმეს უმნიშვნელოვანეს ქმნილებებად მიჩნეულია საგალობლები: „ქება და დიდება ქართულისა ენისა“ და „ქართულისა ენისათჳს“, რომლებიც პირველად გამოაქვეყნა პ. ინგოროყვამ 1924 წელს (ჟურნალი „კავკასიონი“, №1-2). მას შემდეგ ამ ძეგლებისადმი ინტერესი არ დამცხრალა. განსაკუთრებული მნიშვნელობის აღმოჩნდა საგალობელი „ქება და დიდება ქართულისა ენისა“, რომლის შინაარსიც ასე განმარტეს სახელოვანმა ქართველმა მეცნიერებმა ალ. ცაგარელმა, კ. კეკელიძემ და პ. ინგოროყვამ: „ქართული ენა უფლის ენაა, მეორედ მოსვლის შემდეგ ღმერთი ქართულად განიკითხავს“. ტექსტზე მუშაობდნენ ქართული კულტურის სხვა მესვეურნიც: გრ. რობაქიძე, აკ. ბაქრაძე, რ. პატარიძე, ზ. გამსახურდია და სხვანი. ხელნაწერი, შინაარსიდან გამომდინარე, რწმენისა და ქართული ენის საგალობლად ჩაითვალა.

იოანე ზოსიმეს ეს ქმნილება მრავალ საიდუმლოს იტევს და მრავალგვარი განმარტების შესაძლებლობას აჩენს. ერთ-ერთ ასეთ რთულად ასახსნელ გამონათქვამად დასახელებულია ანტიკურობასთან დაკავშირებული ფრაზა:

1. „დამარხულ არს ენა ქართული დღემდე მეორედ მოსვლისა მესიისა საწამებლად, რადთა ყოველსა ენასა ღმერთმა ამხილოს ამით ენითა.
2. და ესე ენა მძინარე არს დღესამომდე, და სახარებასა შინა ამას ენასა ლაზარე ჰრქვან!
3. და ახალმან წინო მოაქცია და *ჰელენე დედოფალმან*, ესე არიან ორნი დანი, ვითარცა მარიამ და მართად,
4. და მეგობრობად ამისთჳს თქუა, ვითარმედ ყოველი საიდუმლოდ ამას ენასა შინა და დამარხულ არს.

ჩვენს ყურადღებას იპყრობს ტექსტის ამ ფრაგმენტში ნახსენები ჰელენე დედოფალი და მისი სახისმეტყველება. ამასთან დაკავშირებით საგულისხმო მოსაზრებანი აქვს გამოთქმული ზ. გამსახურდიას იოანე ზოსიმეს ამ საგალობლისადმი მიძღვნილ ვრცელ გამოკვლევაში. მისი აზრით, სიტყვა „ენა“ იმ ეპოქაში, როდესაც შეიქმნა სახარებები და აპოკალიპსისი, ან როდესაც აღმოცენდა ქრისტიანობა და ჰაგიოგრაფიულ-ჰიმნოგრაფიული ლიტერატურა, ნიშნავდა „ერს“, „ეროვნებას“. ამიტომ პირველი ფრაზები თანამედროვე ენაზე ასე უნდა გავიგოთ: „ქართველი ეროვნება და მისი ენა (ქართველი ერი) შენარჩუნებული იქნება მისი (ქრისტეს) მეორედ მოსვლის დღემდე, რათა მან სწამოს (ქრისტესთვის), რათა ყოველი ერი ღმერთმა ამხილოს ამ ერის მეშვეობით“. ზ. გამსახურდიას თქმით, იოანე ზოსიმეს ეპოქაში ტერმინი „ერი“ და „ეროვნება“ ჯერ კიდევ არ არსებობდა, ამიტომ მათ ნაცვლად მან იხმარა „ენა“, რომლის შინაარსშიც იგულისხმებოდა „ერი“, „ეროვნება“, „მოდგმა“.

აქედან გამომდინარე ფრიად საინტერესოა პუბლიკაციის ავტორის მსჯელობა ჰელენე დედოფალთან დაკავშირებით: წარმოუდგენელია, რომ ქართული ენა წმინდა ნინოს გარდა „მოექცია“ ჰელენე დედოფალსაც. „აბა ჰელენე დედოფალი როგორ მოაქცევდა ქართულ ენას? ან ნუთუ ქართული ენა ნინოს მიერ ქართლის მონათვლისთანავე წარმართული ენიდან ქრისტიანულ ენად იქცეოდა უმაღლეს? ნინოს ხომ არ შეუქმნა რაიმე ნაწარმოები ქართულ ენაზე? ან რა განსხვავებაა წარმართულ ენასა და ქრისტიანულ ენას შორის? მაგრამ საქმე ის გახლავთ, რომ აქ კვლავ საქმე ეხება ერის, ეროვნების მოქცევას... ჰელენე დედოფლის წვლილიც გასაგებია: მან ხელი შეუწყო ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოაცხადებას რომში, რის შემდეგაც მომზადდა ნიადაგი საქართველოს გაქრისტიანებისთვისაც. გარდა ამისა, ჰელენე დედოფლის ზრუნვა ქართლის მოქცევისათვის და ნინოსთან მეგობრობა ისტორიული ფაქტია“.

„რატომ არის ნინო მარიამი, ხოლო ჰელენე მართა?“ – სვამს კითხვას პუბლიკაციის ავტორი და იხსენებს ეპიზოდს ლუკას სახარებიდან (ლუკა 10. 38-42), სადაც მარიამი, რომელიც მუდამ უსმენდა მაცხოვარს და საოჯახო საქმეს არ აკეთებდა, არის სიმბოლო სულის შინაგანი მედიტაციური აქტივობისა, მარადის ღვთის ჭვრეტისა, მისტიკისა, ხოლო მართა, რომელიც ნიადაგ საოჯახო საქმეს აკეთებს, სიმბოლოა სულის გარეგანი აქტივობისა სოციალური ყოფისა და ქველმოქმედების სფეროში. ზ. გამსახურდია განმარტავს: „ერთი მისტიური ჭვრეტის გზაა, მეორე სოციალური განვითარებისა, სახელმწიფოებრივი მოღვაწეობისა და პოზიტიური თეოლოგიის ამ ორ გზას შორის პრიორიტეტს თავად მაცხოვარი ანიჭებს პირველს, ე.ი. მარიამს. ამის გამო ნინო, მისტიკოსი ქალი, ნათელმხილველი, მარადის

მლოცველი და მმარხველი და მით სულიწმიდის მადლის მომპოვებელი, შედარებულია მარიამთან, ხოლო ჰელენე დედოფალი, იმპერატრისა რომისა, სოციალურ სფეროში მოღვაწე, შედარებულია მართასთან. ამით ავტორი მიგვანიშნებს აგრეთვე იმ ორი იმპულსის თავისებურებაზე, რომელიც შემოვიდა საქართველოში მათი მეშვეობით. ერთთან დაკავშირებულია ღვთის მისტიური ჭვრეტა, მისტიური თეოლოგია, მეორესთან – ქველმოქმედება და სამართლიანობა სოციალურ სფეროში, აგრეთვე ოფიციალური დოგმატური თეოლოგია, რომელიც წარმოადგენდა სახელმწიფო იდეოლოგიას. ამითვეა განმარტებული იმ ორი მოდემის მისიის თავისებურება, რომლის წარმომადგენლებიც არიან ნინო და ჰელენე დედოფალი“.²⁴

ელენე დედოფალი (Flavia Iulia Helena, 248/250-330 წწ.) იყო რომის იმპერატორის, კონსტანტინე დიდის დედა. ევსევი კესარიელის მტკიცებით, ელენე დედოფლის გაქრისტიანება მისი შვილის, კონსტანტინეს სურვილით მოხდა მაშინ, როდესაც იგი ასაკით 60 წელს იყო გადაცილებული (ევსევი კესარიელი, კონსტანტინეს ისტორია, წიგნი 3, თავი 47). იმპერატორს სჯეროდა, რომ უზარმაზარ იმპერიას ქრისტიანული სარწმუნოება გააერთიანებდა. ამიტომ, ყოველნაირად ეხმარებოდა ეკლესიას, აშენებდა ტაძრებს, ზრუნავდა სამღვდელოებაზე. მან თავისი ხანდაზმული დედა, ელენე დედოფალი იერუსალიმს მიავლინა, რათა მოეძებნა ცხოველსმყოფელი ჯვარი, რომელზეც გაკრული იყო იესო ქრისტე. ელენე დედოფალმა იერუსალიმის პატრიარქ მაკარისტან ერთად 326 წელს სასწაულებრივად აღმოაჩინა ეს ჯვარი.

ეკლესიის წინაშე უდიდესი დამსახურებისა და ცხოველსმყოფელი ჯვრის აღმოჩენისთვის წმინდა ელენე დედოფალს მოციქულთასწორი ეწოდა.

XI-XIII საუკუნეები

XI საუკუნიდან ქართული ქრისტიანული ლიტერატურისა და მუსიკის უმთავრეს კერას ათონის ივერთა მონასტერი წარმოადგენდა. იქ მოღვაწეობდნენ წმინდა მამები – ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელები. მათ სახელებთან არის დაკავშირებული ქართული ჰიმნოგრაფიის ახალი ეტაპი. ათონელმა მამებმა ბერძნულიდან თარგმნეს ჰიმნოგრაფიული ქმნილებები. გიორგი მთაწმინდელმა შეაგროვა წმინდანებისადმი მიძღვნილი თითქმის ყველა საგალობელი და იადგარს უწოდა „თთუენი“. ეს იყო პოეტურად და მუსიკალურად განწყობილი, ქართულ თარგმნილი კრებული, რომელსაც გიორგი მცირემ „გვრგვნი კათოლიკე ეკლესიისად, შემკული თუალითა და ანთრაკითა“ უწოდა. გიორგი მთაწმინდელმა „თთუენში“

²⁴ ზ. გამსახურდია. „ქება და დიდება ქართულისა ენისად“. დიდგორი. 28.04.2010.

შეიტანა იოდასაფის, წმიდა ნინოს, წმიდა ილარიონ ქართველისა და წმინდა ეფთვიმესადმი მიძღვნილი საგალობლები. ამ იადგარმა, რომელიც XII საუკუნის დასაწყისში შეასწორა არსენ ბერმა, ლიტურგიკული პრაქტიკიდან განდევნა მანამდე არსებული ჰიმნოგრაფიული კრებულები. გიორგი მთაწმინდელს სხვა ჰიმნოგრაფიული კრებულებიც შეუდგენია. ივირონის მონასტერში მოღვაწეობდნენ სხვა ქართველი ჰიმნოგრაფოსები: ბასილი ბაგრატის ძე მთაწმინდელი, ზოსიმე და ეზრა მთაწმინდელები. გიორგი შავთელს შეუქმნია თავისი მოწაფე გიორგი მთაწმინდელისადმი მიძღვნილი საგალობელი.

XI საუკუნეში არსებულ ლიტერატურულ-ფილოსოფიური კერებიდან უმნიშვნელოვანესი იყო პეტრიწონის მონასტერი, სადაც მოღვაწეობდა იოანე პეტრიწი. იგი ქართველ მკვლევართა ვარაუდით, გელათის აკადემიაში პირველ მოძღვართა შორის უნდა ყოფილიყო მიწვეული.

გელათის მშენებლობა დავითს 1106 წელს დაუწყო. გელათის საღვთისმეტყველო სკოლაში ჰიმნოგრაფია წარმმართველი არ ყოფილა, მაგრამ იქ მოღვაწე *არსენ იყალთოელი, იეზეკიელი, იოანე პეტრიწი, პეტრე გელათელი* წერდნენ იამბიკოებს. „XII-XIII საუკუნეში შეიქმნა საღვთისმეტყველო-ფილოსოფიური სიღრმით და სიმბოლური აზროვნებით გამორჩეული საგალობლები: დავით აღმაშენებლის „გალობანი სინანულისანი“, დემეტრე-დამიანეს იამბიკოები, ნიკოლოზ გულაბერისძის „გალობანი სუეტისა ცხოველისანი“, თამარ მეფის სახელით ცნობილი იამბიკოები „ცასა ცათასა და ქალწულებრივთა“, იოანე ანჩელის „გალობანი ანჩისხატისანი“, იოანე შავთელის „გალობანი ვარძიისა ღთმრისმშობლისანი“, არსენ ბულმაისიძის საგალობლები მარტყოფის მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატის, წმინდა ნინოს, შიო მღვიმელის თემაზე, აბუსერისძე ტბელის ორი, საბა სვინგელოზის ერთი და არსენ ჭყონდიდელის ექვსი ჰიმნოგრაფიული კანონი“.²⁵

არსენ იყალთოელი. მოღვაწეობდა XI-XII საუკუნეთა მიჯნაზე. ისტორიაში ცნობილია როგორც დიდი სასულიერო მოღვაწე, ფილოსოფოსი, მწერალი, ჰიმნოგრაფოსი.

არსენი წარმოშობით იყალთოდან იყო, წყაროებში მოიხსენიება ვაჩესძედ. ცნობილია, რომ მან განათლება მიიღო ბიზანტიაში, მანგანის აკადემიაში. მისი მოძღვრები ყოფილან მიქაელ ფსელოსი და იოანე ნომოფილაქსი. 80-იან წლებში არსენი ეფრემ მცირეს ხელმძღვანელობით სირიაში, შავ მთაზე მოღვაწეობდა. მისი გარდაცვალების შემდეგ დაბრუნებულა მანგანის მონასტერში, ბოლოს კი ჩამოსულა

²⁵ უფრო დაწვრ. იხ. ნ. სულავა. XII-XIII საუკუნეების ქართული ჰიმნოგრაფია. თბილისი, 2003.

საქართველოში, გელათის აკადემიაში. მას დავით აღმაშენებლის მოწოდებითა და შემწეობით დაუარსებია იყალთოს აკადემია და მისი პირველი რექტორიც ყოფილა. ბოლოს შიომღვიმის მონასტერში დამკვიდრებულა.

არსენ იყალთოელის მდიდარი მემკვიდრეობა, რომელიც მოიცავს ბიზანტიელ მწერალთა ფილოსოფიურ-თეოლოგიური თხზულებების კომენტირებულ თარგმანებს, ჯერ კიდევ სრულად შესწავლილი არ არის. არსენს მოიხსენიებენ ანატომიის მცოდნედ („ანატომიკოსად“); მას შეუდგენია ფიზიკის სახელმძღვანელო, რომლითაც ასწავლიდა გელათისა და იყალთოს აკადემიებში. ყოველივე ამასთან ერთად წერდა სასულიერო შინაარსის იამბიკოებს. აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი მკვლევარი (თ. ჟორდანიას, ზ. ჭიჭინაძე, ალ. ხახანაშვილი, ივ. ლოლაშვილი) არსენ იყალთოელს აიგივებს არსენ ბერთან.

საინტერესოა, რომ არსენ იყალთოელი, რომელსაც მიღებული ჰქონდა ფილოსოფიური განათლება და რომლის შემოქმედების უდიდესი ნაწილი უმნიშვნელოვანეს ფილოსოფიურ ტრაქტატთა ახსნა-განმარტებითი თარგმანებია, თავის იამბიკოშიც ფილოსოფიურად მოაზროვნე პოეტად წარმოგვიდგება. ის ასახელებს ორ ფილოსოფოსს, ორიგენესა და მანენტოს, რომელთაც „საცთურთა უფსკრულის ორ ვეშაპად მოიხსენიებს“.

იამბიკო

არსენ მეტყველებს ამათ იყალთოელი:

II. ... ამას ჩემთვისცა იოხდ, ოდ საკვირველო,
რომელმან შენთა სიტყუათა უფსკრულისა
სივრცისა კერძოდ ფრიად შრომით წავჰლე
ელლინურსა რად ქართველთა ენად ვსცვლიდი
ნიშებმოსილთა მამათა სიქადულო!

III. საუკუნოდმცა იცსენების არსენი:
აქა დასრულდა ერთბამად განქიქებად.
ელლინებრისა სულთა პირველყოფისად
და თანად ორთა უფსკრულისა ვეშაპთა
ორიგენის და *მანენტოდს*, საცთურისად.²⁶

²⁶ ქართული პოეზია. ტ. I. ძველი ქართული პოეზია V-XII სს. შემდგ.: ს. ცაიშვილი. თბილისი, 1979.

ორიგენე ცხოვრობდა და მოღვაწეობდა II საუკუნეში (დაიბადა 185 წელს ალექსანდრიაში). მას მოიხსენიებენ ასკეტად, სწავლულად და ადრეული ქრისტიანობის პერიოდის თეოლოგად. მისი თეოლოგიური სწავლება მოიცავდა ტექსტუალურ კრიტიკას, ბიბლიურ ეგზეგეზას, ფილოსოფიურ თეოლოგიასა და ჰომილეტიკას.

ორიგენეს დარჩა უმდიდრესი წერილობითი მემკვიდრეობა, რომელიც სრულყოფილად შესწავლილი არ არის. ამ მემკვიდრეობიდან უმნიშვნელოვანესია: ეგზეგეტიკური თხრობანი, პოლემიკური და დიდაქტიკური წერილები, „ლოცვის შესახებ“, „საწყისთა შესახებ“, ეპისტოლეები ამონიოსისადმი, გრიგოლ საკვირველთმოქმედისადმი და სხვა. მისი რჩეული თხზულებების კრებულს „ფილოკალია“ („მშვენიერების მოყვარეობა“) ეწოდება. მეცნიერული თვალსაზრისით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თხზულება „ჰეგზალპები“. ეს არის ძველი აღთქმის ნუსხა ექვს სვეტად. ორიგენეს რელიგიურ-ფილოსოფიური მრწამსი და პოზიცია ნათლად არის ჩამოყალიბებული შრომაში „საწყისთა შესახებ“.

ორიგენეს მიერ გამოთქმულმა მოსაზრებებმა ეკლესიის წიაღში სქიზმა გამოიწვია. წარმოიქმნა ორი მტრული ბანაკი: ორიგინელთა და ანტიორიგინელთა, რომლებიც არა მხოლოდ სიტყვიერად, არამედ ფიზიკურადაც კი უპირისპირდებოდნენ ერთმანეთს.

543 წელს იმპერატორმა იუსტინიანემ გამოსცა ედიქტი, რომლის მიხედვითაც ორიგენე ცხადდებოდა ერეტიკოსად, რასაც დაეთანხმა მეხუთე მსოფლიო კრება (553 წ.).

როგორც ჩანს, არსენ იყალთოელი, რომელიც, უეჭველია, კარგად იცნობდა ორიგენეს მოძღვრებებს, იზიარებდა მსოფლიო კრების განაჩენს.

მანენტომ. ძველ ქართულ წყაროებში ასე მოიხსენიება ირანელი წინასწარმეტყველი და მანიქეიზმის დამაარსებელი მანი (216-276 წწ.). ის ამტკიცებდა, რომ რელიგიათა ყოველი დამფუძნებელი, ვინც მასზე ადრე მოევლინა ქვეყანას, მხოლოდ თავის ხალხს უქადაგებდა ჭეშმარიტებას: ბუდა – ინდოელებს, ზარათუშტრა – ირანელებს, ქრისტე – იუდეველებს, თავად კი ძალუძს მთელი კაცობრიობა განწმინდოს ცოდვათაგან და გაუნათოს სულის ხსნის გზა. მის ქადაგებას საფუძვლად ედო ქრისტიანული მესიანიზმისა (რელიგიური მოძღვრება კაცობრიობის მხსნელზე, მესიაზე, რომელიც ქვეყნად ამყარებს შესრიგს, ადამიანებს იხსნის ცოდვათაგან) და ზოროასტრიზმის დუალიზმის (სამყაროს ორი საწყისი აქვს: სიკეთე და ბოროტება, სინათლე და წყვდიადი. პირველის მეუფეა ღმერთი, მეორის – სატანა. მათი ბრძოლა დასრულდება სიკეთის გამარჯვებით) იდეათა ერთიანობა.

მანიქეიზმი მთელ მსოფლიოში გავრცელდა და თავისუფალი აზროვნების სინონიმად იქცა. ქართული წყაროების თანახმად, ამ მოძღვრებას X საუკუნის საქართველოშიც იცნობდნენ. ის სალიტერატურო გზით უნდა შემოსულიყო. მანიქეიზმის იდეები უპირატესად სამეფო კარსა და განათლებულ საზოგადოებაში ვრცელდებოდა. დავით აღმაშენებლისა და თამარის შემწყნარებლობა მუსლიმი პოეტებისა და სწავლულებისადმი საფუძვლად ედო კულტურულ ურთიერთობებს მუსლიმურ აღმოსავლეთსა და ქართველთა შორის. მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავდა იმას, რომ ქართველ მოღვაწეებს, ფილოსოფოსებსა თუ პოეტებს არ ჰქონოდათ საკუთარი აზრის გამოხატვის შესაძლებლობა. ამის დასტურია არსენ იყალთოელის ეს პატარა იამბიკო.

არსენ ბერი XI-XII საუკუნეთა მიჯნაზე მოღვაწეობდა. იგი დავით აღმაშენებლის თანამედროვე, სამეფო კართან და თავად მეფესთან დაახლოებული პირი იყო. დავით აღმაშენებლის განსაკუთრებული დამოკიდებულებისა და იმ პიროვნული თვისებების წყალობით, რომლებითაც გამოირჩეოდა არსენ ბერი, დღეს ხელთ გვაქვს მისი სახელით მოღწეული ფრიად საგულისხმო თხზულებები, რომლებიც ნათელს ჰფენენ ჩვენი ისტორიის კლასიკურ პერიოდს. არსენ ბერს ეკუთვნის დავით აღმაშენებლის ხოტბა „მეფესა დავითს – მონაზონი არსენი“. მასვე მიეწერება რუის-ურბნისის კრების ძეგლისწერისა და დავით აღმაშენებლის ორი ანდერძის შედგენა, ნინოს ცხოვრების მეტაფრასული რედაქცია, ანდრია კრიტელის დიდი კანონის თარგმანი. მკვლევართა ერთი ნაწილის აზრით (ს. კაკაბაძე, კ. კეკელიძე), არსენ ბერი უნდა იყოს დავით აღმაშენებლის მემკვიდრე-ისტორიოგრაფოსი, ავტორი თხზულებისა „ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი“.

ამ თხზულებათაგან ჩვენთვის საინტერესოა სახოტბო შინაარსის მქონე მიძღვნა „მეფესა დავითს – მონაზონი არსენი“. სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრებების თანახმად, ეს უნდა ყოფილიყო საჯარო სიტყვა. როგორც სათაურიდან ირკვევა, იგი ეძღვნება დავით აღმაშენებელს, რომელსაც მეხოტბე ბერი მიმართავს ვითარცა ცოცხალს, „... კეთილად მსახურსა და ღმრთივ დაცულ მეფესა...“

თანამედროვე მკითხველისათვის იოლად შესამჩნევია ის, რომ „მიძღვნა“ დაწერილია სახოტბო მჭევრმეტყველებისათვის ნიშანდობლივი ხერხებით; ავტორი უხვად იყენებს პოეტურ შედარებებს, რომლებიც მეფეთა-მეფის დიდებულებას წარმოაჩენენ. ისტორიამ ცხადყო, რომ არსენ ბერის ეს აღმატებული შესხმა იყო გულწრფელი. დავით აღმაშენებლის საქმენი დღესაც იმსახურებენ აღფრთოვანებას.

ამ სახოტბო ქმნილებაში ნათლად აისახა არსენ ბერისთვის ნიშანდობლივი არა მხოლოდ ორატორული თუ პოეტური ნიჭიერება, არამედ განათლებულობის სიღრმე.

იგი დავით აღმაშენებელს ადარებს რჩეულ მითოლოგიურ და ისტორიულ პიროვნებას. ამ შემთხვევაში ჩვენთვის საინტერესოა ანტიკურობასთან დაკავშირებული სახისმეტყველება.

მეფესა დავითს – მონაზონი არსენი

ამათდა მომართ რასა იტყვი, რასა სიბრძნის – მოყუარებ შენ, უფროისად ბრწყინვალეო, თუალო ყოვლისა სოფლისა მეფეთა ერთგუამობისაო, რომელი – ეგე ჰაეროვან ხარ, ვითარცა სამყაროჲ ხილულსა სოფელსა შორის; საჩინო, ვითარცა მზე ვარსკულავთა შორის; ბრწყინულე, ვითარცა ეთერი ნივთთა შორის; ნათლის-ფერ, ვითარცა ელვაჲ ღრუბელთა შორის; ცისკროვან, ვითარცა აღმოსავალი კერძოთა შორის; ტკბილ, ვითარცა არე ჟამთა შორის; ღმრთის სახე, ვითარცა საყუარელი სათნოებათა შორის; გულისსათქუმელ, ვითარცა ოქროჲ მიწათა შორის; ელვარე, ვითარცა იაკინთი ქვათა შორის; მაღალ, ვითარცა ფინიკი ნერგთა შორის; შუენიერ, ვითარცა ვარდი ყუავილთა შორის; აღმატებულ, ვითარცა სამოთხე ქუეყანასა შორის; ძლიერ, ვითარცა ლომი მხეცთა შორის; სახელგანთქმული, ვითარცა ნებროთ გმირთა შორის; ახოვან, ვითარცა ისო წინამბრძოლთა შორის; მოშურნე, ვითარცა ფინეზ მღდელთა შორის; მხნე, ვითარცა სამფსონ მსაჯულთა შორის; უბრძოლელ, ვითარცა *აქილლევ ელიინთა* შორის; ვითარცა სოლომონ მეფეთა შორის; მშჳდ, ვითარცა დავით ცხებულთა შორის; შურისმამიებელ, ვითარცა იოსია შარავანდედთა შორის; უზარო, ვითარცა *მაკედონელი* მფლობელთა შორის; განმადიდებელ ფლობისა, ვითარცა *ავღვსტოს კეისართა* შორის; კაცთმოყუარე, ვითარცა ჩემი იესო ღმერთთა შორის; ბუნებით ღმერთი, მაღლით ღმერთ-ქმნულთა შორის; მჭურვალე, ვითარცა პეტრე მოწაფეთა შორის; საყუარელ, ვითარცა იოანე მეგობართა შორის; მკვრცხლ, ვითარცა პავლე მოციქულთა შორის; სახის დასაბამ უცთომელისა ქრისტიანობისა, ვითარცა *დიდი კონსტანტინე* თვთმპყრობელთა შორის; სიმტკიცე კეთილად მსახურებისა, ვითარცა თევდოსი სკიპტრის-მპყრობელთა შორის, სათნო უჩნან ესენი მყუდროებასა შენსა? განსვენებულ არს ამათ ზედა სიბოროტისა სულთა მღევნელი დავითიანი სული შენი? რომელნი-იგი აწ ძღვნად მოგართვნა შენ მწყობრმან შენთა ამათ ნაზირეველთა სიმრავლესამან, რადთა შენ მიართვენ ესენი ღმერთსა და მოწყალე ჰყო ამათ მიერ წყალობისმოყვარე უფალი, რომელ მოსწრაფებით შემოკრბაჲ უბრძანე შენ და დიდისა ამისდა ღმრთისა სათნოჲსა წარმართებისა თანა შუამდგომლად ღმრთისა მიმართ მოიგენ, ვითარცა საკუთარი მონანი, რადთა რომელიმე ღმრთისსახისა მღვდელთმთავრობისა მიერ მახლობელ ექმნებოდის შენთვის ღმერთსა, ხოლო რომელიმე მღდელ მშვენიერითა მეოხებითა შეესაკუთრებოდის

დამზადებულსა. სხვასა სულთქუმანი მოაქვნიდენ, სხვასა-განდობაჲ ცრმელითა, სხვასა – რადთურთით არარას ქონებაჲ, კეისრისასა – ყოველსავე, ღმრთისასა – მხოლოდ ხორცთა ოდენ და მათსა მარხვითა განლუულთაჲ, სხვასა – სიტყვაჲ დაღათუ მდაბალი და უნდომ, გარნა არავე უერმომ, არცა უმუსიკელომ მიმზიდველ ყოფად სმენისა; ამის თანა-შემსგავსებულიცა ძალისაჲ ყოველთა ვედრებაჲ, ყოველთა ლიტანიობაჲ, ყოველთა ერთხმობაჲ, ვითარმედ დავით კეთილად მსახურისა და ღმრთივდაცვულისა მეფისა ჩვენისასა მრავალმცა არიან წელიწადნი!”

ამ ამონარიდში რამდენიმე პოეტური შედარების გააზრება არის მნიშვნელოვანი:

I. უპირველეს ყოვლისა, „ხოტბაში“ მოხსენიებულია ელინური მითოლოგიის სახელოვანი პერსონაჟი *აქილევესი*. არსენ ბერი მიმართავს მეფეს, რომ იგი არის „უბრძოლველ, ვითარცა აქილეე ელლინთა შორის“.

აქილევესი ძველბერძნულ მითოსში ცნობილია როგორც გმირი, რომლის დამარცხებაც შეუძლებელი იყო ადამიანური ძალით. იგი განიგმირა პარისის ისრით, რომელიც ღმერთმა აპოლონმა წარმართა.

სიტყვა „უბრძოლი“ ძველ ქართულ ტექსტებში „უძლეველს“ ნიშნავს,²⁷ შესაბამისად, პოეტური შედარება ასე იკითხება: „უძლეველი, ვითარცა აქილევესი ბერძენთა შორის“.

II. არსენ ბერი დავით აღმაშენებელს უწოდებს „უზაროს“ და ადარებს მაკედონელს: „უზარო, ვითარცა მაკედონელი მფლობელთა შორის“.

ცხადია, იგულისხმება ალექსანდრე მაკედონელი. „ზარი“ როგორც ძველ, ასევე თანამედროვე მეტყველებაში „შიშს“ ნიშნავს, ხოლო „მფლობელი“ („მფლობელობა“ – მთავრობა, ხელისუფლება, მძლავრობა; „ფლობა“ – ხელმწიფება) – ხელმწიფეს. შესაბამისად, ეს ხატოვანი შედარება თანამედროვე ენაზე ასე წაიკითხება:

„უშიში, ვითარცა მაკედონელი ხელმწიფეთა (ძალისმპყრობელთა) შორის“.

III. არსენ ბერი აღნიშნავს, რომ დავით აღმაშენებელი არის „განმადიდებელ ფლობისა, ვითარცა ავღუსტოს კეისართა შორის“. იგულისხმება, რომ მეფეთ-მეფე დავითმა ისევე განადიდა თავისი ხელმწიფება, ვითარცა ოქტავიანუს ავგუსტუსმა. რომაელი და შემდგომი პერიოდების ისტორიოგრაფოსები ერთხმად მიუთითებდნენ ოქტავიანუს ავგუსტუსის მიერ საიმპერატორო ხელისუფლების გაძლიერებასა და რომის იმპერიის განდიდებაზე.

²⁷ ილ. აბულაძე. ძველი ქართული ენის ლექსიკონი. თბილისი, 1973.

IV. სახოტბო ჰიმნის ავტორი ახსენებს კონსტანტინე დიდს, სახელოვან რომაელ იმპერატორს, რომელმაც პირველმა ანტიკური სამყაროს ისტორიაში ახ.წ. 313 წელს გამოსცა რჯულშემწყნარებლობის აქტი (მედიოლანუმის ედიქტი), რომლითაც ქრისტიანებს სხვა რელიგიური მიმდინარეობების მიმდევართ თანაბარი უფლებები ენიჭებოდათ. მედიოლანის ედიქტით დაიწყო ქრისტიანული ეკლესიის დამკვიდრება და ამას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა არა მხოლოდ რომის იმპერიის, არამედ მთელი შემდგომი საუკუნეებისთვის. სწორედ ამას გულისხმობდა, როგორც ჩანს, არსენ ბერი, როდესაც დავით აღმაშენებელს კონსტანტინე დიდის „უცთომელს“ უწოდებდა:

„სახის დასაბამ უცთომელსა ქრისტიანობისა,
ვითარცა დიდი კონსტანტინე თვითმპყრობელთა შორის“.

არსენ ბერი, როგორც ეს ზემოთ აღინიშნა, შესაძლოა, იყოს ავტორი თხზულებისა „ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი“, სადაც გვხვდება დავით აღმაშენებლის აქილევსთან, ალექსანდრე მაკედონელთან და ოქტავიანუს ავგუსტუსთან შედარების ანალოგიური მაგალითები. ის, თუ რა წყაროებს შეიძლება ეყრდნობოდეს თხზულების ავტორი აქილევსის, ალექსანდრე მაკედონელისა და ოქტავიანუსის შესახებ, განხილულია თავში „ანტიკურობა „ქართლის ცხოვრებაში“ (ქვეთავი დავითის ისტორიკოსი „ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი“).

იეზეკიელი. მოღვაწეობდა XII საუკუნეში. XVII საუკუნის მოღვაწე ანტონ I „წყობილსიტყვაობაში“ მას უწოდებს „საკვირველ პიიტკოსს, ღმრთისმეტყველ რიტორს, ჭეშმარიტ ფილოსოფოსს“. მისივე თქმით, იეზეკიელი იოანე პეტრიწისა და არსენ იყალთოელის თანასწორია. მკვლევართა ვარაუდით, იეზეკიელი ბერი უნდა ყოფილიყო და იოანე პეტრიწის ლიტერატურული სკოლის მოღვაწე.

ჩვენამდე მოაღწია მისმა სამმა იამბიკომ. აქედან ორი აკროსტიქულია.

იეზეკიელისაგან უბადრუკისა

I. „იძღვენ საცემნი *ორგევსის* ჳმათ დამხსნელნი
ნათელმყოფელო ალთა გულისათაო,
ნივთ კერძოდ მუსიკთ ჳმათასა ზესთა
ესე მიიღე აღმონაშენი მშობელმან

შენნი იოხენ მამაო იოანე“.²⁸

იეზუკიელის ამ პირველ იამბიკოში მოიხსენიება ორფევისი და წინადადების შინაარსი ასეთია: „მიიღე ძღვენი ორფევისის ხმას აღმატებული“. იოანე პეტრიწის ლიტერატურული სკოლის წარმომადგენელმა, ბუნებრივია, კარგად იცოდა ბერძნული მითოლოგია და პოეტური შედარებისთვის ოსტატურად გამოიყენა „ორფევისის ხმა“ ანუ „ორფევისის მუსიკა“.

ორფევისი – ბერძნული მითოსის ცნობილი პერსონაჟი, განთქმული თავისი მუსიკალური ხელოვნებით.

იოანე ჭიმჭიმელი. XII საუკუნის საეკლესიო მოღვაწე, მთარგმნელი და ფილოსოფოსი. მას განათლება პეტრიწონის სალიტერატურო სკოლაში მიუღია, უთარგმნია ეგზეგეტიკური ხასიათის თხზულებები: 1) „თარგმანებად ეკლესიასტისა“ მიტროფანე სმირნელისა; 2) „თარგმანებად ეკლესიასტისა“ ოლიმპიოდორე ალექსანდრიელისა; 3) „თარგმანებად მარკოზის სახარებისა“ თეოფილაქტე ბულგარელისა; 4) „თარგმანებად ლუკას სახარებისა“.

საქართველოს ეკლესიის მკვლევარი მ. ჯანაშვილი აღნიშნავს, რომ იოანე ჭიმჭიმელს გრემში სალიტერატურო სკოლა ჰქონდა, სადაც ფილოსოფიას, ღვთისმეტყველებას, ბერძნულ, არაბულ და ასურულ ენებს ასწავლიდა.

იოანე ჭიმჭიმელის ფრესკა გამოსახული ყოფილა იერუსალიმის ჯვრის მონასტერში.²⁹

აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი მეცნიერი იოანე ჭიმჭიმელს იოანე პეტრიწად მიიჩნევს. მაგრამ ბოლო ხანების გამოკვლევები ცხადყოფენ, რომ ისინი სხვადასხვა პიროვნებები არიან, რამეთუ იოანე პეტრიწი გიორგი II-ისა და დავით აღმაშენებლის თანამედროვეა, ხოლო იოანე ჭიმჭიმელი – გიორგი III-ისა და თამარ მეფისა. მათ მთელი საუკუნე აშორებს ერთმანეთს.

ძველი ქართული საისტორიო თხზულებათა კრებულში, „ქართლის ცხოვრება“ იოანე ჭიმჭიმელის სახელით ცნობილი რამდენიმე იამბიკოა ამოკითხული. მათ შორის არის რუსთველისეული სტროფით გამართული ჩვენთვის საინტერესო ლექსი:

„იოანე იტყვის ჭიმჭიმელი:

თუ *თალი მილისეველმან* სფერო შესახა შამსისი,

²⁸ ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლები. შემდგ.: ივ. ლოლაშვილი. თბილისი, 1978.

²⁹ ტ. გაბაშვილი. მიმოსვლა. წიგნში: ქართული პროზა. წიგნი V. მეჩვიდმეტე-მეთვრამეტე საუკუნეთა მწერლობა. შემდგ.: გ. გვერდწითელი, ნ. ებრაღიძე, რ. თვარაძე. თბილისი, 1983.

მან ისტრულაბსა დასცა და მიდგნა დაყიყა ჯამსისი,
დავით – ვთქუა – ზესთა განდიდნეს, მით ჯრმალი ჯორცსა ჟამს მისი,
და *აქილევისებრ* ძალითა მპყრობ *ელადეთსა* ჟამს ისი“.³⁰

(113-114)

თანამედროვე ქართულ ენაზე ეს ლექსი ასე წაიკითხება: „თუ თალეს მილესელმა მზის სფერო გამოსახა (ე.ი. განსაზღვრა მზის სფეროს სიდიდე), ასტროლაბი მოიმარჯვა და ჯიმშედ ჯამის (საკუთარი სახელია) ცხოვრების წუთი (დაყიყა – წუთი) უჩვენა, მე უნდა ვთქვა, რომ დავითი განდიდდა უზენაესად იმით, რომ მისმა ხმალმა გაანადგურა მტერი და ელადის მპყრობელი აქილევისის მსგავსად ხამს იგიც იყოს ძალითა მპყრობელი“.

თალი მილესეველი – იგულისხმება ბერძენი მოაზროვნე, მათემატიკოსი და ასტრონომი, ერთ-ერთი „შვიდ ბრძენთაგანი“ თალესი, რომელიც კუნძულ სამოსის ქალაქ მილესში დაიბადა (ძვ.წ. 525-547 წწ.).

თალესი აკვირდებოდა ბუნების მოვლენებს. მან პირველმა აღმოაჩინა, რომ მზის დაბნელებას მთვარის ჩრდილი იწვევს, აქედან გამომდინარე იწინასწარმეტყველა ძვ.წ. 585 წლის 28 მაისის მზის დაბნელება, რითაც გააოცა თანამოქალაქენი.

აქილევისი – ბერძნული მითოსის ძლევა მოსილი გმირი.

დავით აღმაშენებლისა და თამარის ეპოქის უმნიშვნელოვანესი მოვლენა იყო განათლებისა და კულტურის განვითარებისათვის ზრუნვა, რაც გამოიხატებოდა კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრების შექმნაში. ცნობილია, რომ დავით აღმაშენებელმა განათლების მისაღებად საბერძნეთში 40 ახალგაზრდა გაგზავნა, საფუძველი ჩაუყარა გელათის უმაღლეს სკოლას, აკადემიას, რომელსაც მოჰყვა აკადემიები იყალთოსა და გრემში. ბუნებრივია, ამ დროისათვის განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა ღვთისმეტყველებას, ფილოსოფიას, გრამატიკას და სხვა მეცნიერებებს და მათ შორის ასტრონომიას. კლასიკური პერიოდის საქართველო უკვე იცნობდა პტოლემეაიოსის ასტრონომიულ სისტემას. ასტრონომიული ცოდნა პოეტური სახეებისა და შედარებების დაუშრეტელ წყაროდ იქცა არა მხოლოდ

³⁰ ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. II. თბილისი, 1959.

სიტყვაკაზმული მწერლობისათვის, არამედ ისტორიოგრაფიული ლიტერატურისთვისაც.³¹

დავით აღმაშენებელი. საქართველოს ბრწყინვალე მეფე 1089-1125 წლებში, დიდი სახელმწიფო მოღვაწე, ძლევამოსილი მხედართმთავარი. მას განსაკუთრებული ადგილი უკავია საქართველოს ისტორიაში. დავითმა საბოლოოდ დაასრულა ფეოდალური საქართველოს გაერთიანების პროცესი, სელჩუკი დამპყრობლები ქვეყნიდან განდევნა, მტერთაგან მიტაცებული ტერიტორიები დაიბრუნა და საქართველო ძლევამოსილ სახელმწიფოდ აქცია.

ქვეყნისა და ერის წინაშე უდიდესი დამსახურებებისათვის ქართულმა მართლმადიდებელმა ეკლესიამ დავით აღმაშენებელი წმინდანად შერაცხა.

დავითი განსწავლული მეფე იყო და ერის განათლებაზე განსაკუთრებულად ზრუნავდა. ცოდნის მიღების მიზნით მან 40 ნარჩევი ყმაწვილი საბერძნეთში (ბიზანტიაში) გაგზავნა, რათა ესწავლათ ენები, ეთარგმნათ ბიზანტიური ლიტერატურის მნიშვნელოვანი ძეგლები და საქართველოში ჩამოეტანათ, რაც მათ აღასრულეს კიდევ.

დავითის მეფობის პერიოდში საქართველოში რამდენიმე უმაღლესი სკოლა არსებობდა. მათ შორის გამოირჩეოდა გელათის აკადემია. დავითის ისტორიოგრაფოსი გელათს მოიხსენიებს „ყოვლისა აღმოსავლეთისა მეორედ იერუსალიმად, სასწავლოდ ყოვლისა კეთილისად, მოძღურად სწავლულებისად, სხუად ათინად, ფრიად უაღრეს მისსა საღრმთოთა შინა წესთა...“ („ქართლის ცხოვრება“). დავითი დიდ ყურადღებას აქცევდა კულტურული ცენტრების გამრავლებას საზღვრებს გარეთაც.

გარდაცვალებამდე მცირე ხნით ადრე, დავით აღმაშენებელმა დაწერა ჰიმნი „გალობანი სინანულისანი“, რომელშიც ზოგადსაკაცობრიო სევდაა ასახული. საგალობელმა მკვლევართა ყურადღება ადრიდანვე დაიმსახურა (გ. ხელაძე, ნ. ურბნელი, ალ. ხახანაშვილი, კ. კეკელიძე, ივ. ჯავახიშვილი, თ. ჟორდანიას, შ. ნუცუბიძე, რ. მეტრეველი, ლ. გრიგალაშვილი და სხვები). მკვლევართა საყოველთაო აღნიშვნით, „გალობანი სინანულისანი“ თავისი ზოგადადამიანური ფიქრებითა და მრწამსით, ღრმა ემოციურობით ქრისტიანული მწერლობის შედევრად უნდა იქნეს შერაცხული. საგალობელში აისახა არა მხოლოდ მისი შემოქმედის, არამედ მთელი ეპოქის მსოფლადქმა სამყაროსა და ადამიანური ცოდვის, სინანულისა თუ

³¹ შდრ. გ. იმედაშვილი. ზოგი რამ რუსთველის შვიდი მნათობის შესახებ. საქ. მეცნ. აკადემიის მოამბე. ტ. XI. № 4. 1950.

ქრისტიანული მრწამსის სხვა საკითხებზე. ავტორისეული ფრაზები, გამონათქვამები უშუალოდ უკავშირდება თეოლოგიურ-ფილოსოფიურ პრობლემატიკას. „გალობანი“ წარმოაჩენს არა ეპოქალურ იდეებს სამყაროსა და ადამიანის ურთიერთმიმართებებზე, არამედ ავტორის, და ეს ავტორი მეფეა, სულიერ მდგომარეობას, მის განცდებსა და აზრებს ცოდვისა და სინანულის თაობაზე.

„გალობანი“ არა მხოლოდ ლირიკული, არამედ ფილოსოფიური ძეგლიც არის. ის მკითხველისგან თანამოაზრეობას მოითხოვს. შესაბამისად, მკითხველი განსწავლული უნდა იყოს ძველ ფილოსოფიურ და რელიგიურ საკითხებში, უნდა ერკვეოდეს იმ პრობლემატიკაში, რომელმაც თავისი კვალი დატოვა დავით აღმაშენებლის მსოფლადქმადში.

ჩვენ არ ვისახავთ მიზნად ამ უაღრესად რთული და მაღალპოეტური ქმნილების ანალიზს. წარმოვადგენთ მხოლოდ ერთ პასაჟს, რომელშიც ჩანს მეფეთა-მეფის დამოკიდებულება „ელინთა სარწმუნოებისადმი“:

„ელლინთა მიერ ვერ ცნობად
სიბრძნისა ღმრთისაჲთა ღმრთისაჲ
და შემოქმედისგან
შექმნილთა მიმართ
ცვალებად თაყუანისცემისაჲ სრულ-ყყავ, რაჟამს
თითოეულსა ვნებისა კერპსა ვჰმსახურე“.³²

ეს ამონარიდი შესაძლებელია ასე გავიგოთ:
„დავასრულე თითოეული უკეთური კერპის მსახურება,
ოდეს ელინთა [მსგავსად] არ მქონდა შეცნობილი
ღმერთის ღვთაებრივი სიბრძნე
და შემოქმედს, ვითარცა შექმნილი, არ ვცემდი თაყვანს“.

აქ დავით აღმაშენებელი გულისხმობს შემდეგს: ანტიკური ხანის ბერძენთა რელიგია და ფილოსოფია ვერ შესწვდა ჭეშმარიტი ღმერთის არსს და მისი სიბრძნის ღვთაებრიობას.

„გალობანი სინანულისანი“ მსოფლიო კულტურის შედეგრთა შორის იკავებს ადგილს მრავალი მიზეზის გამო. მათ შორის იგი „იმითაც უტოლდება ამ შედეგებს, რომ ძეგლში ადამიანური ცოდვებით გამოწვეულ მძაფრ განცდებს ახლავს ნათელი

³² „გალობანი სინანულისანი“, მესმასა, 3. იხ. ლ. გრიგალაშვილი. დავით აღმაშენებლის „გალობანი სინანულისანი“. თბილისი, 2005.

ტონები ადამიანის სრულქმნის ღრმა რწმენისა. ადამიანის შეგნებაში სინანულის გრძნობის დაბადება უკვე გულისხმობს პიროვნების თვისობრივ გარდაქმნასა და სულიერ ამაღლებას³³.

საყურადღებოა, რომ ამ კონტექსტში პიროვნების თვისობრივ გარდაქმნაში დიდ როლს ასრულებს განათლება, რომელიც კაცობრიობის, მათ შორის, ბერძნული ფილოსოფიური მემკვიდრეობის ათვისებას და კრიტიკულ გააზრებას გულისხმობს.

თამარ მეფე, საქართველოს მეფე 1184-1213 წლებში. მისი მბრძანებლობის პერიოდი საქართველოს ოქროს ხანის დაემთხვა. თამარს ასეთი ტიტულით მოიხსენიებდნენ: „მეფეთ მეფე და დედოფალთ დედოფალი აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა, შირვანთა და შაჰანშაჰთა და ყოვლისა აღმოსავლეთისა და დასავლეთისა თვითმფლობელობითა მპყრობელი“.

თამარის დროს საქართველო უძლიერეს სახელმწიფოდ იქცა. გამუდმებული ლაშქრობების შედეგად საქართველოს სამეფო ხელისუფლებამ დაიქვემდებარა აღმოსავლეთ და დასავლეთ ამიერკავკასიის სავაჭრო გზები. თამარის ძალისხმევით შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროზე ლაზურ-ჭანური ტომებით დასახლებულ ტერიტორიაზე შეიქმნა ტრაპიზონის სამეფო. თამარის დროს საქართველოს ბიზანტიის იმპერიაში დამკვიდრებული ჰქონდა თავისი ადგილი, რომელიც თანდათან განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენდა.

ერთიანსა და ეკონომიკურად მომძლავრებულ ფეოდალურ საქართველოში განათლებამ და კულტურამ მაღალ დონეს მიაღწია. საქართველოში მრავლად იყო რიტორიკული სკოლები, რომელთა უმეტესი ნაწილი ოპიზის, ოშკის, შატბერდის, ბერთის, ხანძთის და სხვა მონასტრებთან იყო დაფუძნებული. თამარის მმართველობის პერიოდში საქართველოს ჰქონდა თავისი საგანმანათლებლო კერები საზღვრებს გარეთაც. მათგან აღსანიშნავია ივერთა მონასტერი ათონის მთაზე, მონასტერი შავ მთაზე (სირიაში), პეტრიწონის მონასტერი ბულგარეთში და სხვა.

XII საუკუნის საქართველოში უმნიშვნელოვანესი მოვლენა იყო საერო ლიტერატურის განვითარება. თამარის კარზე შეიქმნა მსოფლიო პოეზიის შედევრად აღიარებული შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“.

ქართულმა ეკლესიამ ღვაწლმოსილი „დედოფალთ დედოფალი, მეფეთ მეფე“ თამარი წმინდანად შერაცხა.

³³ ლ. გრიგალაშვილი. დავით აღმაშენებლის „გალობანი სინანულისანი“. თბილისი, 2005, გვ. 126.

თამარ მეფის სახელით ცნობილია ორი იამბიკო. მათგან ერთი „ცათა ცათასა“ ჩვენთვის საინტერესოა იმ თვალსაზრისით, რომ მასში მოიხსენიება ტერმინი „ღადირი“.

3. „შენგან, ქალწულო, რომელსა შენთვის დავით
როკვიდა, მისა ღმრთისა ძედ შენდა ყოფად,
მე, თამარ, მიწაჲ შენი და მიერივე,
ცხებულებასა ღირს-მყავ და თვისობასა
ედემს, ღადირთად, სამხრით და ჩრდილოეთით
შუამფლობელი, იავარს შენდა ვმრთულობ...“

თამარ მეფის ეს იამბიკო სრულად მოთავსებულია საისტორიო თხზულებაში „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“. ლექსის შეთხზვის დროდ ქრონიკის ავტორი მიიჩნევს 1195 წელს მომხდარ შამქორის ბრძოლას. ამ ომში გამარჯვების შედეგად მოპოვებული სეფე დროშა, რომელიც შალვა ახალციხელმა მოსტაცა აგარიანებს, თამარმა მადლიერების ნიშნად ხახულის ღვთისმშობლის ხატს ძვირფას მანიაკთან ერთად შესწირა და მასვე უძღვნა ხუთსტროფიანი იამბიკური საგალობელი. მასში თამარი ქრისტიანული ღვთისმეტყველების უმთავრეს პრობლემებს ეხება: სამყაროს შექმნის, სამების, ქრისტეს შობის და ა.შ. საგალობელში საუბარია ისტორიულ მოვლენებზეც და რელიგიურ ტენდენციებზეც.

თამარ მეფის ამ საგალობელს საფუძვლიანი გამოკვლევა მიუძღვნა პროფესორმა ნ. სულავამ („შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი და თამარ მეფის იამბიკოები“). მკვლევარი ამტკიცებს, რომ „ვეფხისტყაოსნისა“ და თამარ მეფის საგალობლების შედარებითი შესწავლა წარმოაჩენს მათ ავტორთა „პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი შეხედულებების, მსოფლმხედველობის, სახისმეტყველების მსგავსებას, რაც მოსალოდნელიც იყო ერთ ეპოქაში მოღვაწე შემოქმედთაგან. მათი შემოქმედებითი მრწამსი ქრისტიანული ცნობიერებისა და ეროვნული თვითშემეცნების შეზავებაა, რითაც ღირსეულ წინამორბედთა ლიტერატურულ-ესთეტიკური და მსოფლმხედველობრივი ტრადიციების გამგრძელებლად მოველინნენ ქართულ კულტურას“.

თამარ მეფის იამბიკოს იმ სტროფში, რომელმაც ჩვენი ყურადღება მიიპყრო, აისახა XII-XIII საუკუნეების საქართველოს სამეფო კარისთვის ნიშანდობლივი მესიანიზმის იდეოლოგია: ქართველ მეფეთა ბიბლიური ჩამომავლობის თემა, რომელიც ადრეული საუკუნეებიდან იღებდა დასაბამს. თამარი ასახელებს ბიბლიურ დავით წინასწარმეტყველს, რომელსაც ღვთისმშობლისა და „ღმრთის ძის“

სიმბოლოებთან ახსენებს. დედოფალი ზაგრაციონთა მოდგმას ბიბლიურ მოდგმად მიიჩნევდა რა, საკუთარ თავს აღმოსავლეთისა („ედემი“) და დასავლეთის („ლადირი“),³⁴ სამხრეთისა და ჩრდილოეთის „შუამფლობელად“ წარმოაჩენდა.

იოანე შავთელი, იგივე აბდულ-მესსია შავთელი XII-XIII საუკუნეებში მოღვაწე ქართველი პოეტია. როგორც ზედწოდებიდან ჩანს, იგი სოფელ შავთიდან ყოფილა. „ქართლის ცხოვრების“ მემატიანე მას უწოდებს „ფილოსოფოსსა და რიტორს, ლექსთა გამომთქმელსა და მოლუაწებათა შინა განთქმულს“. იგი თამარ მეფესთან დაახლოებული პირი ყოფილა; იოანე თამარს ახლდა ვარძიასა და ოძრეხში, ბასიანის ბრძოლაში (1203 წ.), იქვე შეუთხზავს „გალობანი ვარძიისა ღმრთისმშობლისანი“. მასვე მიეწერება სასულიერო ხასიათის სხვა თხზულებანი. იოანე შავთელს წყაროები ასახელებენ კლასიკური ეპოქის ძეგლის „აბდულმესიანის“ ავტორად. ამ ქმნილებაში იგი თავის თავს „მწირსა“ და „მსხმებს“ უწოდებს. როგორც ჩანს, იოანე შავთელი სასულიერო პირი ყოფილა, რაზეც მიუთითებს მის ქმნილებებში გამოვლენილი ღრმა საღვთისმეტყველო განათლება. იგი ღრმა სიბერეში გარდაიცვალა და გარდაცვალებისთანავე შერაცხულ იქნა წმინდანთა დასში. მას მოიხსენიებს შოთა რუსთაველი „ვეფხისტყაოსანში“.

გალობანი ვარძიისა ღმრთისმშობლისანი

„ულუმპიანი მძლეობად მოგუენიჭა,
ლახუარი მცდომთაჲ და ფარები შეიფქვა,

³⁴ *პავლე ინგოროყვას* აზრით, „ედემი“ შესაძლოა, გავიგოთ როგორც მსოფლიოს აღმოსავლეთ მიჯნა; ხოლო „ლადირი“ ანუ „ჰერაკლეს ბჭეები“ – მსოფლიოს უკიდურესი დასავლეთ მიჯნა (პ. ინგოროყვა. ძველი ქართული სასულიერო პოეზია. I. ტფილისი, 1913);

რევაზ სირაძის შენიშვნით „ედემი და ლადირა ისეთივე ოპოზიციას, როგორც სამხრეთი და ჩრდილოეთი“ (რ. სირაძე. „ცასა ცათასა“. თამარ მეფის იამბიკო. ლიტერატურული საქართველო. 1993 წ., 14 მაისი);

ილია აბულაძის ლექსიკონში „ლადირი“ განმარტებულია როგორც „ჰადესი“ (უძველესი რედაქციები ბასილი კესარიელის „ექუსთა დღეთათვის“ და გრიგოლ ნოსელის „კაცისა აგებულებისათვის“. ილ. აბულაძის რედაქციით. თბილისი, 1964);

ლიანა კვირიკაშვილი „ლადირს“ „ადამიანური შესაძლებლობების ზღვარის“ მეტაფორად მიიჩნევს (ბიზანტიური ლიტერატურის ქრესტომათია. III. ლ. კვირიკაშვილის რედაქციით. თბილისი, 1996, გვ. 214);

გიორგი ალიბეგაშვილის განმარტებით „ლადირი“ დასავლეთის სიმბოლური სახელია (გ. ალიბეგაშვილი. გეოგრაფიული მხარეები ბიბლიაში. ლიტერატურა და ხელოვნება. №1. 1993, გვ. 12);

სულხან-საბა ორბელიანი და *ვახუშტი ბატონიშვილი* „ლადირს“ კონკრეტულ გეოგრაფიულ ადგილად ასახელებენ და „ქედ გორაკთ წარზიდულად“ განმარტავენ (სულხან-საბა ორბელიანი. ლექსიკონი ქართული. წიგნი II. თბილისი, 1968).

ირემთა სრბითა განმტკიცნეს ტყეთა ფერჳნი,
ეტინეველთა ალი აღედვა ურჩთა,
რისხვით დაემხუნეს საყდართაჲთ ურწმუნონი!“

.....

„*ორიგინესი* შეიჩუნა სიცბილი,
ლმობაჲ ეწიენ დავრდომილთაჲ არიოზს,
აექჳნ ენაჲ *ნესტორს* სასასა მისა,
დადუმნა უღმრთოჲ და მოსპო კაცთაგან...“.³⁵

იოანე შავთელის საგალობელში ყურადღებას იპყრობს სიტყვა „ულუმპიანი“, რომელიც ძველ ქართულ წყაროთა განმარტებებში „ოლიმპიურს“, „უზესთაესს“, „ოლიმპიელს“ და ბოლოს „მეფეს“ აღნიშნავს. „ულუმპიანობა“ იკითხება როგორც „ოლიმპიური დიდება“, „მეფურობა“, „აღმატებულობა“.³⁶ შესაბამისად, კარედის შინაარსი ასეთია: „*დიდებული (ბრწყინვალე) გამარჯვება მოგვენიჭა. წინააღმდეგობთა (ურწმუნოთა, სატანათა) ლახვარი და ფარები დაიმსხვრა, ირმებმა ლაღად დაიწყეს ტყეებში სრბოლა, ეტნის ალი მოედოთ ურჩებს, რისხვით დაემხო ურწმუნოთა საყდრები*“.

საგალობელში ნახსენებნი არიან:

ორიგენე, რომლის მცდარობა (*სიცბილი*) შეჩვენებულ იქნა.

არიოზი, თეოლოგი და ფილოსოფოსი, დამკვიდრებელი არიანული მოძღვრებისა, რომელიც 325 წელს ნიკეის პირველ კრებაზე ერესად გამოაცხადეს.

ნესტორი, ბერძნული მითოლოგიის გმირი, ცნობილი სიბრძნითა და მჭევრმეტყველებით.

კარედის შინაარსი შესაძლებელია ასე გავიგოთ: „ორიგენე და არიოზი ბრძნული ქადაგებით დაგმოვილ იქნენ.“

არსენ ბულმაისიმისძე მოღვაწეობდა XIII საუკუნეში, იყო რუსუდან დედოფლის თანამედროვე. ისტორიული წყაროები მას მოიხსენიებენ მწიგნობართუხუცესად, ჭყონდიდელ-კათალიკოსად, ჰიმნოგრაფოსად და მწერლად.

³⁵ ქართული პოეზია. ტ. I. ძველი ქართული პოეზია V-XII სს. შემდგ.: ს. ცაიშვილი. თბილისი, 1979.

³⁶ ქართლის ცხოვრება („ძველი ქართლის ცხოვრება“). გამოსაცემად მოამზადეს, წინასიტყვაობა და ტერმინთა განმარტებანი დაურთეს აკადემიკოსებმა ილ. ანთელავამ და ნ. შოშიაშვილმა. თბილისი, 1996, გვ. 552-558. შდრ. ძველი ქართული ენის შეერთებული ლექსიკონი. შემდგ.: გრ. რუხაძე. რედ. გ. კოპლატაძე. თბილისი, 2008.

არსენ ბულმაისიმისძემ მდიდარი შემოქმედებითი მემკვიდრეობა დატოვა. მისი თხზულებებიდან ჩვენამდე მოაღწია შემდეგმა თხზულებებმა:

1. ხელთუქმნელი ხატისადმი მიძღვნილი საგალობელთა ციკლი;
2. ეპისტოლე აბუსერ აბუსერისძისადმი;
3. შიო მღვიმელისადმი მიძღვნილი საგალობლები;
4. წმინდა ნინოსადმი მიძღვნილი ჰიმნოგრაფიული კანონი;
5. მსოფლიო წმინდანთა სათვეო სვინაქსარი.

არსენ ბულმაისიმისძის ცხოვრება და შემოქმედება სრულყოფილად წარმოდგენილია დ. ზოიძის ამავე სახელწოდების მქონე სადისერტაციო ნაშრომში (ბათუმი, 2021), აგრეთვე: სულავა ნ., XII-XIII საუკუნეების ქართული ჰიმნოგრაფია, თბილისი, 2000 და სხვ.

გალობანი წმიდისა მოციქულისა ნინოჲსნი

„ზნელსა განჰყარე ზნელისა მოხუევითა
ბრძენსა მეფესა მსგავსსა *კონსტანტინესა*,
ო, ხელოვანო მკურნალო და მოძღუარო,
ვლიტანიობთ ჩვენ პირსა შენსა,
ქალწულო, ქრისტეს ქადაგო და დიდო მოციქულო“.

არსენ ბულმაისიმისძის საკმაოდ ვრცელი მემკვიდრეობის გაცნობა ნათელს ხდის, რომ მისი ჰიმნოგრაფიული ქმნილებები გამოირჩევა მაღალი ეროვნული თვითშეგნებით, სამშობლოს სიყვარულით, თეოლოგიურ-ფილოსოფიური სიღრმით, მაღალმხატვრული აზროვნებით. ანტიკურობის გავლენის კვალი შეინიშნება ავტორისეულ სინატიფესა და დახვეწილობაში. საგალობელში მოხსენიებულია რომის სახელოვანი იმპერატორი კონსტანტინე, რომლის სახელსაც საყოველთაოდ ცნობილი ისტორიული მოვლენები უკავშირდება.

აბუსერისძე ტბელი მოღვაწეობდა XIII საუკუნეში. იგი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ერისთავთერისთავთა სახელოვანი გვარის წარმომადგენელი იყო. ცნობილია როგორც ჰიმნოგრაფოსი, მწერალი, ასტრონომი, საეკლესიო მუსიკათმცოდნე და მწიგნობარი. ვარაუდობენ, რომ მან გელათის აკადემიაში მიიღო

ისეთი განათება, რამაც საშუალება მისცა ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებულ ჟანრებში მოღვაწეობით დაემკვიდრებინა სახელი.

ტბელ აბუსერისძის ლიტერატურული და მეცნიერული თხზულებები სათანადოდ არის შესწავლილი ქართველ მკვლევართა მიერ. აღიარებულია, რომ მისმა შემოქმედებამ წარუშლელი კვალი დატოვა ქართული კულტურის ისტორიაში.

წმიდა ტბელი ცნობილია, როგორც წმიდა და ღმერთშემოსილი მამა. საქართველოს სამოციქულო ეკლესიის მიერ წმიდა ტბელის კანონიზაციით სამუდამოდ დაკანონდა მისი, ვითარცა წმიდა მამის პატივისცემა და შესაბამისად დაფასდა მისი ღვაწლი ქართული ეკლესიისა და კულტურის წინაშე.

ტბელ აბუსერისძის შემოქმედება მრავალფეროვანია. იგი მოიცავს 5 თხზულებას: 1. ახალნი სასწაულნი წმინდისა მთავარმოწამისა გიორგისნი; 2. გალობანი სამთა იოვანეთანი; 3. გალობანი წმიდისა ღმრთისმშობელისანი; 4. ქრონიკონი სრული მისითა საუწყებელითა განგებითა; 5. „გალობანი მწვალებელთა შეჩვენებისანი“.

ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესო აღმოჩნდა „გალობანი მწვალებელთა შეჩვენებისანი“. ეს თხზულება წმიდა ტბელ აბუსერისძის ანტიერეტიკული შინაარსის ჰიმნოგრაფიული კანონია, რომელიც სრულდებოდა დიდმარხვის პირველ კვირიაკეს, მართლმადიდებლობის ზეიმის დღესასწაულზე. მასში დასახლებულია ყველა მწვალებელი შვიდი ებრაული ერესით დაწყებული ხატმებრძოლებით დასრულებული, რომლებსაც ავტორი ანათემას გადასცემს.

„მწვალებელთა შეჩვენების“ ამ საგალობელში რომაული და ბიზანტიური სამყაროს მრავალი პირია მოხსენიებული. მათ შორის:

ადრიანე (I, 5) – ჰადრიანუსი (ადრიანე) – რომის იმპერატორი ანტონინუსთა დინასტიიდან (76-138 წწ.). რომს განაგებდა 117-138 წწ.;

ანტონინე (III. 1) – იმპერატორი ანტონინუსი (138-161 წწ.);

დეკოი (IV. 1) – იმპერატორი დეკიუსი (249-251 წწ.);

დეოკლიტიანე (VI. 2) – დიოკლიტიანუსი, რომის იმპერატორი (285-305 წწ.);

ელიანოს (VIII. 4) – ბიზანტიის იმპერატორი ივლიანე განდგომილი (361-363 წწ.);

კლავდიოს (I. 5) – რომის იმპერატორი 41-54 წწ.;

კომოდ (III. 1) – რომის იმპერატორი 180-192 წწ.;

კონსტანტინე დიდი (VI. 2-3) – კონსტანტინე I დიდი. რომს მბრძანებლობდა 306-337 წწ. (მოხსენიებულია არა როგორც შესაჩვენებელი, არამედ როგორც კონსტანტის მშობელი);

კოსტანტი (VI. 3) – კონსტანტინე დიდის ძე;

ონორ (IV. 1) – იმპერატორი ურანიუსი, რომს განაგებდა 248-253 წწ.;

სევეროზ (III. 2) – სევერუს სეპტიმუსი, რომის იმპერატორი 193-211 წწ.;
ღალინო (IV. 1) – გალიენუსი, რომის იმპერატორი 260-268 წწ.;
ჰეროდე (I. 4) – იუდეველთა მეფე (ძვ.წ. 73-4). ძვ.წ. 40 წელს რომის სენატმა მეფედ გამოაცხადა. ატარებდა ქვეყნის ელინიზაციის პოლიტიკას. მის დროს იშვა ქრისტე ბეთლემში.

თხზულებაში დასახელებულია ქალაქი კონსტანტინოპოლი (IX. 4), საბერძნეთი (IV. 2), ჰრომი (IX. 11. 1), ალექსანდრია (IX. II. 1).

ბოლოსიტყვა

ჰიმნოგრაფიული სტილის თავისებურებანი და მათი ასახვის ზოგიერთი ასპექტი ქართულ საგალობლებში

საეკლესიო ჰიმნოგრაფიამ, ისევე როგორც სიტყვაკაზმული მწერლობის ნებისმიერმა ჟანრმა, სრულყოფის საკმაოდ დიდი გზა განვლო. ჰიმნოგრაფოსები საგალობლებს „დიდებისმეტყველებას“ უწოდებენ, რადგანაც მათი უპირველესი დანიშნულება ადამიანთა ღვთივგანბრძნობაა, რაც უფლის, ყოვლადწმიდა ღვთისშობლისა და წმინდანების დიდებით გამოიხატება. ეს დიდებანი კი, გამოთქმული ღრმააზროვანი სიმბოლოებით, მაღალმხატვრულ პოეტურ ქმნილებებად იქცევიან და წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებენ.

სიმბოლური აზროვნება კაცობრიობას ოდითგან მოსდგამს. ის ადამიანური მსოფლადქმის განუყოფელი ნაწილია. უძველეს ხალხთა მითოპოეტური აზროვნება დღეს სიმბოლოთა ენაზე აღიქმება; სიმბოლოებად იქცნენ ის მითოსური თუ ისტორიული ფიგურებიც, რომლებმაც ღრმა კვალი დატოვეს კაცობრიობის ისტორიაში. სათქმელის სიმბოლოებით გამოხატვა ნიშანდობლივი იყო წმიდა წერილისთვისაც (ძველი და ახალი აღთქმა) და ანტიკური აზროვნებისთვისაც. მართალია, ბიბლიის სიმბოლური ენა სასულიერო სამწერლობო ენის საფუძველი იყო, მაგრამ სასულიერო პოეზიას უარი არ უთქვამს ანტიკურ სამყაროსთან დაკავშირებულ ტრადიციაზე.

სასულიერო პოეზია, რომელიც აგებულია სახისმეტყველებით სისტემაზე, პოეტურ მეტაფორაზე, სახეთა შედარება-შეპირისპირებაზე, უზუსტეს ასოციაციებსა თუ ალიტერაციებზე და კიდევ სხვა გამომსახველობით ხერხებზე, დიდი ხნის განმავლობაში ამოუცნობი იყო. კამათს საფუძვლად ედო შეკითხვა: არის კი ის საერთოდ პოეზია? სწავლულები, რომლებიც იკვლევდნენ სასულიერო პოეზიას, აღნიშნავდნენ, რომ საეკლესიო ჰიმნები, მართალია, განსხვავდებოდნენ ძველბერძნული (კლასიკური) ჰიმნებისაგან პოეტიკური პროსოდის თვალსაზრისით, მაგრამ არც პროზად აღიქმებოდნენ. საეკლესიო საგალობელთა ინტენსიურმა კვლევამ, რომელიც ევროპაში XIX საუკუნის 30-იან წლებში დაიწყო, აჩვენა, რომ ლიტერატურის ეს ჟანრი ჭეშმარიტი პოეზიაა.

მკვლევართა წინაშე კიდევ ერთი პრობლემა იდგა: რა მიმართებაში იყო საეკლესიო პოეზია თავის წინამორბედ, უპირატესად ბერძნულ კლასიკურ პოეზიასთან? აქ აზრი ორად გაიყო. მკვლევართა ერთი ნაწილი ამტკიცებდა, რომ საეკლესიო პოეზია აღმოცენდა რა ქრისტიანული რელიგიის ახალი საფუძარიდან, ბერძნული ტრადიციის სრული უარყოფის ეგისით, ის ვერ მიჰბამავდა ძველ ნიმუშებს. აქედან გამომდინარე, მიაგნო მან გამომსახველობის ახალ ფორმებსა და საშუალებებს. კერძოდ: ჰიმნოგრაფია ახლოაღმოსავლურ პოეზიასთანაც იყო წილნაყარი და საფუძვლად ედო ლექსთწყობის ახალი რიტმიკა, რაც ახალ შინაარსთან ერთად მას ძირფესვიანად განასხვავებდა ანტიკური პოეზიისგან.

არსებობდა სხვა მოსაზრებაც. ცნობილი ბიზანტინოლოგი ს. ს. ავერინცევი მიიჩნევდა და მას მრავალი თანამოაზრე ჰყავდა, რომ ადრეული ხანის ბიზანტიურ ლიტერატურას, კერძოდ კი ჰიმნოგრაფიას, შეუძლებელია არ ესარგებლა წინამორბედი პოეტიკური ინსტრუმენტარიებით.³⁷ კერძოდ კი იმ ტრადიციით, რასაც სთავაზობდა ანტიკური კლასიკა. ჰიმნები ქრისტიანული რელიგიის გავრცელებამდეც იქმნებოდა. ცნობილია ძველ ეგვიპტეში, მესოპოტამიასა თუ ძველ საბერძნეთში შექმნილ ჰიმნთა კრებულები.

* * *

თავად ტერმინი „ჰიმნი“ (ბერძნ. ὕμνος, ლათ. hymnos) უძველესია, თუმცა მისი წარმომავლობა უცნობია ეტიმოლოგებისათვის. ცნობილი ლექსიკოგრაფოსები პ. შანტრენი და ი. ფრისკი თანხმდებიან იმაზე, რომ ამ ტერმინისთვის არ არსებობს „საიმედო ეტიმოლოგია“ და რომ ძიებათა კვალი შესაძლოა წინაბერძნულ ან სულაც არაბერძნულ არქაიკამდე მიდიოდეს.

³⁷ С. С. Аверинцев. Поэтика ранневизантийской литературы. СПб., 2004.

ყოველივე იმას, რაც ჩვენ ვიცით ჰიმნისა და მასთან ისტორიულად დაკავშირებულ სახესხვაობათა თაობაზე, მივყავართ არა რიტუალთან, არამედ ლიტერატურულად გაფორმებულ ქმნილებასთან, ანუ ძველბერძნული პოეზიის ერთ-ერთ ჟანრთან. ცნობილია ჰიმნთა განსხვავებული ტიპები, რომლებიც ეძღვნებიან ღმერთებს ან განკუთვნილნი არიან რელიგიური თუ რომელიმე სახელმწიფოებრივი ხასიათის დღესასწაულისათვის. მათი საკრალური ფორმა უცნობია, რადგანაც დროთა განმავლობაში განიცადეს რა პოეტური მოდიფიკაცია, მიიღეს სრულიად სხვა, ლიტერატურული სახე. თუმცა სწორედ ამ ახალმა სახემ შეუნარჩუნა მათ, ერთი მხრივ, ფორმა, ხოლო, მეორე მხრივ, ხელი შეეწყო ახალი ფორმების წარმოქმნას ლიტერატურული პროცესების განვითარებასთან ერთად.

ძველბერძნულ მელიკაში (ანუ მელოსურ, სასიმღერო ლირიკაში) განსაკუთრებული ადგილი ეკავა ქორიკულ სიმღერებს. მათ ჰიმნების ფორმა ჰქონდათ, ისინი განადიდებდნენ ღმერთებსა და გმირებს და იმღერებოდნენ იმ პროცესებსა თუ საზეიმო დღესასწაულებზე, რომელთაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდათ პოლისის სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში. ჰიმნების შეკვთებს იღებდნენ სახელოვანი პოეტები და მუსიკოსები. ჰიმნები მუდამ სრულდებოდა მუსიკის თანხლებით.

ცნობილია, რომ მცირე აზიაში არსებობდა მომღერალთა ჯგუფები, უფრო სწორი იქნებოდა გვეთქვას „ჰიმნების მთხზველთა“ ჯგუფები, რომელთაც „ჰიმნოიდებად“ (hymnoidoi) უხმობდნენ; უფრო ადრეული უნდა ყოფილიყო ჰომერიდ-მომღერალთა გაერთიანებები, რომელთა შემოქმედების მთელი კრებულია ჩვენამდე მოღწეული. ყოველივე ეს კი მეტყველებს იმაზე, რომ უკვე ელინურ სამყაროში ერთმანეთის გვერდით არსებობდა ეპიკური და ჰიმნოიდური სკოლები, რომლებსაც გააჩნდათ შემოქმედებითი მოღვაწეობის საკუთარი ტრადიცია და პრაქტიკა.

ასე რომ ჩვენთვის არ არის ცნობილი ჰიმნთა უძველესი საკულტო ნიმუშები, მოგვეპოვება მათი ლიტერატურულად სრულქმნილ სახესხვაობათა მცირე ნაწილი და მაინც ეს შესაძლებლობას გვაძლევს ვისაუბროთ ჰიმნზე, როგორც ჟანრზე, ამ ჟანრის განვითარებაზე და როლზე ლიტერატურულ პროცესებში.

ევროპული ლიტერატურისათვის მნიშვნელოვანი აღმოჩნდა არა სახელოვან ძველბერძენ მელიკოსთა (ალკეოსი, ალკმანი, პინდაროსი და სხვები) დახვეწილი და მტრულად მრავალფეროვანი ჰიმნები, არამედ ის კრებულები, რომლებშიც თავმოყრილი იყო არა რთული მეტრული საზომებით, არამედ დაქტილური ჰექსამეტრით გამართული ჰიმნები. ეს პოეტური საზომი კარგად იყო ცნობილი ევროპელთათვის ჰომეროსის ქმნილებებიდან. ჰექსამეტრებით გამართულმა ჰიმნებმა ანტიკურობის დასასრულამდე შეინარჩუნეს სრულყოფილი ფორმა, მაგრამ ვერ

შეასრულეს მოდელის როლი ევროპული შუა საუკუნეების ჰიმნოგრაფიაში, რომელიც ეფუძნებოდა პრინციპულად ახალ, ქრისტიანულ კულტურას და რომელსაც რელიგიურად განსაზღვრული ფორმა და შინაარსი გააჩნდა.

შუა საუკუნეთა ჰიმნოგრაფია საეკლესიო მწერლობის დამოუკიდებელი ლიტერატურულ ჟანრად ჩამოყალიბდა. ამ ჟანრის სპეციფიკა ფილოლოგიის სამანებს სცდება და მოიცავს ისეთ საეკლესიო დისციპლინებს, როგორც არის რიტორიკა, ჰომილეტიკა, დოგმატიკა, პატრისტიკა და რა თქმა უნდა, პოეტიკა, ესთეტიკა და მუსიკა. თუმცა ამ დისციპლინებს წმინდა საეკლესიო მეცნიერებებად არ მიიჩნევენ.

მთავარი მაინც ის არის, რომ ჰიმნოგრაფიული ენის ბუნება მუდამ იყო *იგავური*. თავად „იესო ქრისტე ხალხს ესაუბრებოდა იგავებით და იგავების გარეშე არ საუბრობდა მათთან“ (მათე, 13. 34). ეკლესიამ გაიზიარა ეს ნათქვამი და ისეთ ქმნილებებს, როგორც არის საგალობელი, მიაწერა იგავური ხასიათი. ამაში თავისი როლი შეასრულა იგავური მეტყველების ახლოადმოსავლურმა კულტურამ, რომელიც განსაკუთრებით ახლობელი იყო ბიზანტიური მსოფლალქმისთვის. „ამ თვალსაზრისით შეიძლება ვამტკიცოთ, რომ ფორმითაც და შინაარსითაც ჰიმნოგრაფისათვის გადამწყვეტი იყო არა ბერძნული, არამედ სემიტური პოეტიკა. ამ ჰიმნოგრაფიის უადრესი ფორმები – ტროპარი და კონდაკი – მიუთითებენ სირიული პოეზიის გავლენაზე. ამგვარად, ბიზანტიურ ღვთისმსახურებაში საგალობლის როლი განისაზღვრა ორი „კოორდინატით“: ა) მისი ადგილით ღვთისმსახურების სტრუქტურაში (რასაც ჩვენ ვუწოდებთ ლიტურგიკულ ფუნქციას), რომელიც დასაბამს იღებს კულტის ცერემონიული, „სადღესასწაულო“ გაგებიდან, რაც ნიშანდობლივი იყო ელინისტური ლიტურგიკული ღვთისმოსაობისთვის; ბ) მისი შინაარსითა და ფორმით, რომელიც დაკანონდა ადრექრისტიანულ-ბიბლიური და სემიტური გადმოცემებით“.³⁸

გარდა იგავისა, რომლის ბუნებაც ჰარმონიულად შეერწყა ჰიმნოგრაფიულ ჟანრს, არის კიდევ სხვა პოეტური ფორმები, რომლებმაც ასეთივე არსებითი ზეგავლენა იქონიეს საგალობელთა ჩამოყალიბებაში. ესენია: *გნომეები* და *სენტენციები* – დიდაქტიკური და ფილოსოფიური პოეზიის მცირე სახეობანი. ბერძნული სიტყვა Γνώμη და ლათინური Sententia აღნიშნავენ მოკლედ და შთამბეჭდავად გამოთქმულ სიბრძნეს. ბერძნულ ლიტერატურაში გნომეთა მთელი კრებულებია, გნომეები ამოკრებილია თითქმის ყველა დიდი პოეტის შემოქმედებიდან. ძველ იბრაელში გნომურ პოეტურ ქმნილებებად ასახელებენ ეკლესიასტესა და სირაქის (ბენ სირა) წიგნებს, აგრეთვე ფილონ ალექსანდრიელისა და იოსებ ფლავიოსის ზოგიერთ თხზულებას, როგორც ნიმუშებს ფილოსოფიური სენტენციების ჟანრის

³⁸ Прот. А. Шмеман. Литургическое богословие. СПб., 2006, гл. 142.

ტრანსფორმაციისა ელინისტურ იუდაიზმში, სადაც იგავური ფორმით წარმოჩნდა იუდეური რელიგიის ეთიკური შინაარსი.³⁹ ადრეულ ქრისტიანულ ეპოქაში ლიტერატურის გნომურმა ჟანრმა, რომელშიც აირეკლა ელინურ-იუდეური მემკვიდრეობა, ფართო გავრცელება პოვა. სენტენციათა ციტატები დიდი რაოდენობით იკითხება კლემენს ალექსანდრიელისა და მისი ეპოქის სხვა მოღვაწეთა შემოქმედებაში. ერთ-ერთი პირველი, რომელმაც შეადგინა წმინდად ქრისტიანული სენტენციები, იყო გრიგოლ ღვთისმეტყველი.⁴⁰ გნომური პოეზია სტროფების სიმოკლის გამო კარგად ესადაგებოდა მუსიკალურ ინსტრუმენტთა მარტივ აკომპონიმენტს, ამიტომ იოლად დაიმკვიდრა თავი როგორც ლიტერატურულ ქმნილებებში, ასევე ხალხურ ფოლკლორში.

ჰიმნოგრაფიული შემოქმედების სტილისტიკაზე მნიშვნელოვანი გავლენა იქონია *ეპიტაფიათა* და *ეპიგრამათა* ჟანრმაც, რომელიც ასევე ანტიკური სამყაროს კუთვნილებაა. სენტენციათა მსგავსად ეს პოეზიაც დიდაქტიკურია და ფილოსოფიური. ისევე როგორც გნომური პოეზია, ეპიგრამატული პოეზიაც მორალურ თემატიკაზე იყო აგებული და მას სასკოლო დანიშნულებაც გააჩნდა. ეს კი იყო საფუძველი იმისა, რომ ქრისტიანულ აზრს სათავესოდ ეგულისხმა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი აღმოჩნდა მისთვის ეპიტაფიის ჟანრი, რომელიც იქცა დასატირებელ სიმღერად მოწამისათვის. ეპიტაფიაში მთელი ცხოვრების არსია ასახული მოკლედ, მაგრამ შთამბეჭდავი სიტყვებით. მისი მიზანია შექმნას მოწამის დაუვიწყარი სახე.

ეპიტაფიათა ლიტერატურული ფორმა მრავალგვარი იყო. ზოგიერთი ეპიტაფია იწერებოდა გარდაცვლილისადმი მიმართვის ფორმით, ზოგი წარმოთქმული იყო თავად გარდაცვლილის მიერ „ვითარცა ხმა იდუმალი სამარიდან“. ზოგი ეპიტაფია იწერებოდა დიალოგის, ზოგიც კითხვა-პასუხის ფორმით. ზოგს პროსოპოპოიას (προσωποποιία, ლათ. personificatio – „გასულიერება“, „განსახიერება“) ფორმა ჰქონდა. ასეთია, მაგალითად, გიორგი ღვთისმეტყველის ეპიტაფია ბასილი დიდზე. ეპიტაფიები უპირატესად განადიდებენ გარდაცვლილის ეთიკურ ღირსებებს. ხშირად ეს გარდამეტებულია, მაგრამ ემსახურება ცოცხალთა დამოძღვრას. მოგვიანებით წმიდა მოწამეთადმი მიძღვნილი ეპიტაფიები გარდაისახნენ *ტროპართა* ჟანრში და დასატირებელი ინტონაცია შეცვალეს პანეგირიკულით. ტროპარებში მოგვიანებით გამოჩნდა ახალი რიტორიკული ფიგურა – „ეიდოლოპოია“ (ειδωλοποιία), რომელიც

³⁹ Ю. Н. Аржанов. Сирийские ветхозаветные псевдоэпиграфы. СПб., 2011, გვ. 168.

⁴⁰ А. В. Говоров. Святой Григорий Богослов как христианский поэт. Полное собрание творений святых отцов церкви и церковных писателей. Т. 2. М., 2011, გვ. 602.

გარდაცვლილს წარმოადგენდა როგორც ცოცხალსა და მოსაუბრეს. რაც შეეხება ეპიგრამას, მან შეიძინა წმინდანებისადმი მიმართვის ფორმა.

ჟანრი, რომელმაც ყველაზე დიდი გავლენა იქონია ჰიმნოგრაფიულ შემოქმედებაში, იყო ჟანრი *ჰომილიებისა* (ὁμιλία – „მიმართვა“, „გაცნობა“). ეს იყო სხვადასხვა საეკლესიო დღესასწაულზე წარმოსათქმელი ხოტბანი და პანეგირიკები. ამ ჟანრის ფუძემდებელთა შორის ასახელებენ რომანოზ მელიოდოსსა და იოანე ოქროპირს, ჰომილიების სახელოვან შემოქმედთაგან უმნიშვნელოვანესს – გრიგოლ ღვთისმეტყველს, რომელსაც ხშირად იმოწმებდნენ ჰიმნოგრაფიულ შედევრთა ავტორები (კოზმა მაიუმელი, იოანე დამასკელი და სხვანი).

ჟანრები, რომლებიც დავასახელებთ და რომლებიც, როგორც აღვნიშნეთ, ანტიკურობიდან იღებენ დასაბამს, იმ ლიტერატურულ სუბსტრატებად იქცნენ, საიდანაც საგალობელთა მთხზველებმა ამოკრიბეს საუკეთესო პოეტური ფორმები, შექმნეს საეკლესიო ჰიმნოგრაფიული სტილი.

იგავებიდან ჰიმნოგრაფიულმა სტილმა გაითავისა მინიშნებისა და იდუმალების, დაფარული ალუზიის (უპირატესად ბიბლიური თემატიკის), დაუმთავრებელი სათქმელის პოეზია;

სირიული პოეზიიდან ჰიმნოგრაფიულმა სტილმა შეითვისა დიალოგის, ეგზეგეტიკური აზროვნების, სტროფის აგებულების (აკროსტიქი, რეფრენი და სხვა) ფორმები;⁴¹

ანტიკურობიდან ჰიმნოგრაფიამ მიიღო დიდაქტიკურ-ფილოსოფიური სტილი, გამოსათქმელი აზრის სისხარტე და სიზუსტე, აფორიზმულობა. გნომური და სენტენციური სტრუქტურული კომპოზიცია მსგავსია კანონისა და სხვა სტიქარონებისა, სადაც ყოველი ტროპარი თავისებური სენტენციაა, რომელშიც ლაკონიურად არის მოცემული რომელიმე საეკლესიო დღესასწაულის იდეა და რომელიც ფიქრის სურვილს აღძრავს.

ეპიტაფიათა და ეპიგრამათა ჟანრმა ჰიმნოგრაფიულ სტილს შემატა წარმოსათქმელი აზრის სინათლე და მარადიულობასთან ზიარება, ტექსტის სიტყვიერ ძეგლად აგება მომავალი თაობებისთვის წარმოსაჩენად.

ჰომილიებმა ჰიმნოგრაფიული სტილი გაამდიდრეს გამორჩეული რიტორიკული გამონათქვამებითა და რიტორიკული ფიგურებისა თუ ტროპების მთელი იმ ინსტრუმენტარით, რაც ანტიკური ხანის მჭევრმეტყველურმა სკოლამ დატოვა.

საეკლესიო გალობათა თანამედროვე გამოკვლევებში ჰიმნოგრაფიული ტექსტების სამი მიმართებით შესწავლაზეა საუბარი. პირველი ეხება *საგალობელთა მეტრული ლექსთწყობის* საკითხებს. ბიზანტიურ (ბერძნულ) ჰიმნოგრაფიაში ეს

⁴¹ Н. В. Пигулевская. Культура сирийцев в средние века. М., 1979, гл. 138.

საზომია იამბური ტრიმეტრი, საყოველთაოდ გავრცელებული სილაბურ-ტონური, რომელიც გულისხმობს, რომ ყოველ სტროფში დაცულია მარცვალთა თანაბარი რაოდენობა და მახვილთა თანაბარი რიცხვი. ამის მიღწევა ქართული საგალობლებისთვის შეუძლებელია ენისა და პოეტიკის სრულიად განსხვავებულ სიბრტყეში არსებობის გამო.

ჰიმნოგრაფიული ტექსტების გაფორმების მეორე პოეტიკური ელემენტია *რიტორიკული კანონები*: რიტორიკული ფიგურები, ტროპები, ფარული ალუზიები, პარაბოლები და, საერთოდ, ფილოლოგიური მეცნიერების მთელი ინსტრუმენტია, რომლითაც ფონეტიკურად და ესთეტიკურად იკაზმება წმინდა ტექსტები.

და ბოლოს, მესამე განზომილება გულისხმობს მენტალურ დონეს; ეს არის *აზრის პოეტიკა*, რომელიც იქმნება მეტაფორული წიაღსვლებით. და მართლაც, ლექსიკურ ელემენტთა სემანტიკურ ჯაჭვს, მსგავსფუძიან სიტყვათა, თუნდაც ბგერათა განმეორებას და მსგავს საშუალებებს შეუძლიათ მსმენელის გონებაში სახის დინამიკის აღმოცენება. ფიგურებისა და ტროპების შეთანასწორება გადმოსაცემ ინფორმაციასთან აცოცხლებს თხრობას და წმინდანის ცხოვრების ამა თუ იმ ეპიზოდის ან თავდადების ახალ, ორიგინალურ სურათს ქმნის. „მეტაფორისა და მეტონიმის მიზანი ის კი არ არის, რომ განსაზღვრული სემანტიკური ჩანაცვლებით გამოითქვას ის, რაც შესაძლოა გამოითქვას ამ ჩანაცვლების გარეშე, არამედ ის, რომ გადმოსცეს ისეთი ინფორმაცია, რისი გადმოცემაც სხვაგვარად შეუძლებელი იქნებოდა“.⁴²

გამოკვლევებმა ცხადყვეს, რომ ბიზანტიური საეკლესიო პოეზია, რომელიც სრულიად ახალი შინაარსის შემცველი იყო, უხვად სარგებლობდა ანტიკური რიტორიკული ფიგურებით თუ სახეებით, რომლებიც განასხვავებდნენ პოეტურ მეტყველებას პროზაულისგან, ამაღლებულ რიტორიკას – ყოველდღიურობისგან, ამ ფიგურათა ნუსხა (σχήματα) – აზროვნების ფიგურები და ფიგურები სიტყვათა, აგრეთვე სწავლება სიტყვათა თანამიმდევრობის თაობაზე – გვხვდება ჯერ კიდევ არისტოტელეს „რიტორიკაში“, კვინტილიანუსისა და ციცერონის თხზულებებში. ამ ფიგურებს ვხვდებით თანამედროვე პოეზიაშიც.

ქართული გალობა, რომელსაც მკვლევართა აღიარებით, საბაწმიდის სავანეში ჩაეყარა საფუძველი, თავდაპირველად ბერძნულიდან ნათარგმნი ჰიმნებით იყო წარმოდგენილი. ბუნებრივია, ბიზანტიურმა საგალობლებში დიდი გავლენა იქონიეს ქართული საეკლესიო ჰიმნების განვითარებაზე. შესაბამისად, ლექსთწყობის ის სისტემა და სახისმეტყველების ის ფორმა, რომელიც შეიმუშავა ბიზანტიურმა სკოლამ, ახლობელი იყო ქართული მწიგნობრებისთვისაც. ამაზე ნათლად

⁴² Ю. М. Лотман. Семиосфера. СПб., 2010, გვ. 185.

მეტყველებენ ის საგალობლები, რომელთა ავტორებიც იყვნენ მიქაელ მოდრეკილი, იოანე მინჩხი, იოანე ზოსიმე, არსენ ბერი, თუნდაც დავით აღმაშენებელი, თამარ მეფე და მრავალნი სხვანი, რომელთა ჩვენამდე მოღწეულ ჰიმნებში დასტურდება მითოლოგიურ სახეთა, ისტორიულ პირთა თუ გეოგრაფიულ ტერმინთა ხსენება. ეს საკმაოდ საინტერესო სფეროა იმის დასტურსაყოფად, თუ რამდენად მნიშვნელოვანი იყო ანტიკური სამყარო ქართველი ჰიმნოგრაფიისთვის და რა შემთხვევაში მიმართავდნენ მას საკუთარი აზრების გამოსახატად.

ჯერ კიდევ რომაულ ეპოქაში ცდილობდნენ ქრისტიანი მოღვაწეები ახალი იდეოლოგიის წარმართულ იდეოლოგიასთან შეჯერებას. ამ მხრივ უპირველესნი იყვნენ კლემენს ალექსანდრიელი და ორიგენე. მათ კვალს მიჰყვებოდნენ კაპადოკიელი მოღვაწენი აღმოსავლეთში – გრიგოლ ღვთისმეტყველი და ბასილი დიდი, ხოლო დასავლეთში – ნეტარი ავგუსტინე.

ქრისტიანი ახალგაზრდა თაობისათვის მნიშვნელოვანი იყო ბასილი დიდის თხზულება „ახალგაზრდებს იმის თაობაზე, თუ როგორ მიიღონ სარგებელი წარმართული მწერლობიდან“.

ავტორის აზრით, ქრისტიანი ადამიანი მუდამ უნდა ცდილობდეს სულის გამდიდრებას. ეს მიიღწევა მხოლოდ განათლებით. განათლების მიღება კი შესაძლებელია „ძველი დროის ადამიანთა ნაწერებით“, თუმცა შერჩევით.

ბასილი მიიჩნევს, რომ წარმართული ნაწარმოების შერჩევისას მნიშვნელოვანია მისი ეთიკური მხარის გააზრება. მკითხველმა მხოლოდ იმ ავტორის ნაწარმოებები უნდა წაიკითხოს, რომელიც ზნეობრივად სრულყოფილსა და ღირსეულ ადამიანებზე წერს. თუ ასეთ შემოქმედს აღმოვაჩენთ, მას უნდა მოვუსმინოთ და მის გმირებსაც უნდა მივბადოთ.

ტრაქტატიდან აშკარად ჩანს, რომ ბასილი კესარიელი ცდილობს წარმართული კულტურის მიღწევები შეუთანასწოროს ქრისტიანულ მსოფლალქმას. ის უცილობლად მიიჩნევს წინამორბედი ეპოქის მონაპოვართა ცოდნის აუცილებლობას, თუმცა ეს ცოდნა საფუძველი უნდა იყოს იმ ჭეშმარიტების შეცნობისა, რომელსაც ქრისტიანული რელიგია ქადაგებს.

პირველ ქრისტიან მამებს განათლება წარმართულ სკოლებში ჰქონდათ მიღებული. ანტიკური სამყაროს დიდებულ მოღვაწეთა მოძღვრებანი, მათი აზროვნების ნაწილი იყო. შესაბამისად, ისინი კარგად ხედავდნენ განათლების როლს ქრისტიანული იდეოლოგიის სამსახურში. მიუხედავად ამისა, ელინური კულტურის მიღება-არმიღების თაობაზე კამათი ათწლეულების განმავლობაში გრძელდებოდა. საკითხი ეხებოდა წინააღმდეგობას რწმენასა და ცოდნას, ღვთისმეტყველებასა და მისი გამოხატვის კლასიკურ ფორმებს (ბერძნული მჭევრმეტყველება) შორის. ეს

ბრძოლა განათლების სასარგებლოდ დასრულდა. ელინური ლიტერატურა თავისი მითოლოგიით, მხატვრული სახეებით, ამაღლებული სტილით, ცნებებით, ტერმინებითა თუ გამომსახველობითი ხელოვნების სხვა მონაპოვრით მიიღო ქრისტიანულმა ლიტერატურამ „როგორც უკვე შემუშავებული მზა, დახვეწილი მხატვრულ-ლიტერატურული ფორმები“.⁴³ ამ ფორმათა შორის შედარებით თვალსაჩინო არის *ტერმინოლოგიური* სფერო, რომელიც სიღრმისეულ განათლებას მოითხოვს. ავტორის ცნობიერებაში არსებული და მხატვრულ ქმნილებაში განცხადებული ტერმინი (მითოსური, ისტორიული, ეთნოგრაფიული, გეოგრაფიული, ენათმეცნიერული თუ სხვ.) ზედმიწევნით ზუსტად უნდა მისადაგებოდეს იმ ემოციასა და განწყობას, რისთვისაც შეიქმნა თავად ეს ქმნილება.

ჩვენი მიზანი იყო, სწორედ, ტერმინოლოგიური თვალსაზრისით წარმოგვედგინა ის, თუ როგორი იყო ქართველ ჰიმნოგრაფოსთა დამოკიდებულება ანტიკური მითოსის, ლიტერატურისა თუ ისტორიული ფიგურებისადმი.

* * *

მიქაელ მოდრეკილის „იადგარში“ წარმოდგენილ ქართულ, ორიგინალურ საგალობლებში მხოლოდ სამი ჰიმნოგრაფოსის ქმნილებებში შევძელით აღმოგვეჩინა ანტიკურობასთან დაკავშირებული ტერმინები, თანაც მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ავტორი ცდილობს უკიდურესი საშინელებით წარმოსახოს წარმართული სამყარო. მიქაელ მოდრეკილისთვის ის „უშჯულოების უფსკრულია, სადაც „ცოდვისა მოქცევა“ საცთურთა სიღრმეში ნთქამს სულს. წარმართნი არიან „ნაშობნი ექედნეთანი“.

გამოთქმა „ნაშობნი ექედნეთანი“ გვხვდება აგრეთვე იოანე მინჩხის კრებულში („მარხვანი“). მასთანვე მოიხსენიება ტერმინ „უშჯულოსთან“ ერთად პილატე პონტოელის სახელი. როგორც ცნობილია, იგი იყო რომის იმპერიაში შემავალი იუდეის პროვინციის მეხუთე პრეფექტი იმპერატორ ტიბერიუსის დროს. პირველი საუკუნის რომაელი ისტორიოგრაფოსები ტიტუსი და ტიბერიუსი მას პროკურატორად მოიხსენიებენ. პილატე პონტოელი ისტორიაში ქრისტეს მსაჯულად არის ცნობილი. იესოს ჯვარცმა სწორედ მისი პრეფექტობის პერიოდში მოხდა. ამიტომ სრულიად ბუნებრივია მისი სახელის მრავალგზისი მოხსენიება არა მხოლოდ იოანე მინჩხის, არამედ სხვა ავტორთა საგალობლებში.

რაც შეეხება კონსტანტინეს, რომელსაც მინჩხი „მორწმუნედ“ მოიხსენიებს, ასევე ანტიკური სამყაროს წარმომადგენელია. იგი რომის იმპერატორი იყო 306 წლიდან.

⁴³ ქ. ბეზარაშვილი. რიტორიკისა და თარგმანის თეორია და პრაქტიკა გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებათა ქართული თარგმანების მიხედვით. ავტორეფრატი. თბილისი, 2004, გვ. 106; ქ. ბეზარაშვილი. ალფორიულობისა და აფორისტულობისათვის პატრისტიკაში და რუსთაველთან. ლიტერატურული ძიებანი. № 22. თბილისი, 2001, გვ. 161-172.

რომის იმპერატორები სამი საუკუნის განმავლობაში დაუნდობლად დევნიდნენ ქრისტიანობას. მათი დევნის შეწყვეტა კონსტანტინეს სახელთან არის დაკავშირებული. მან თანამოსაყდრე ლიკინიუსთან ერთად 313 წელს მედიოლანუმში გამოსცა ედიქტი, რომლის მიხედვითაც ქრისტიანობა ნებადართულ რელიგიად გამოცხადდა.

თავად კონსტანტინემ თავისი ცხოვრების უდიდესი ნაწილი როგორც წარმართმა, ისე გაატარა, თუმცა ბოლოს ქრისტიანობისაკენ გადაიხარა და მხოლოდ სიკვდილის წინ მიიღო ქრისტიანობა.

ვინაიდან კონსტანტინე I-მა (დიდმა) ქრისტიანული რელიგია სახელმწიფო რელიგიად აღიარა, მას მოციქულთასწორი უწოდეს. მოგვიანებით კი ეკლესიამ წმინდანად შერაცხა.

ამიტომ, ქრისტიანი მოღვაწენი მას მუდამ ქებით მოიხსენიებენ.

X საუკუნის ჰიმნოგრაფოსთაგან განსაკუთრებულია იოანე ზოსიმეს „ქებაჲ და დიდებაჲ ქართულისა ენისაჲ“, რადგანაც საგალობელი საყოველთაო აზრით, უდიდეს საიდუმლოს ინახავს. მას მრავალი გამოკვლევა მიემდვნა, მრავალი რამ განიმარტა, თუმცა უმთავრესი კვლავ რჩება ამოუცნობი.

ჩვენთვის საინტერესო აღმოჩნდა ელენე დედოფლის ხსენება და მასთან დაკავშირებული სახისმეტყველება, რომელზეც საკმაოდ ვრცლად და დამაჯერებლად მსჯელობს ზ. გამსახურდია ამ ჰიმნისადმი მიძღვნილ გამოკვლევაში.

ელენე დედოფალი ანტიკური სამყაროს იმ პერიოდის მოღვაწეა, როდესაც ქრისტიანობა ჯერ კიდევ იდევნებოდა. თავად დედოფალს კი უდიდესი დამსახურება მიუძღვის მართლმადიდებლური ეკლესიის წინაშე. ამიტომ მას მოციქულთასწორი ეწოდა და მას მუდამ მოწიწებითა და სიყვარულით მოიხსენიებენ ჰიმნოგრაფოსები.

ანტიკურობასთან დაკავშირებულ პირთა თუ ტერმინთა მოხსენიების თვალსაზრისით, შედარებით ვრცელი და მრავალფეროვანია ნუსხა იმ ჰიმნოგრაფოსებისა, რომლებიც XI-XIII საუკუნეებში მოღვაწეობდნენ. მხედველობაში მაქვს ის რეალობა, რომ ამ პერიოდის „ქებისმეტყუელთა“ შორის ვხვდებით როგორც აღიარებულ ჰიმნოგრაფოსებს, ასევე საქართველოს დიდებულ მეფეებს, დავით აღმაშენებელსა და თამარს, რომელთა მოღვაწეობამ ჰიმნოგრაფიის სფეროშიც წარუშლელი კვალი დატოვა.

საგულისხმოა, რომ ამ პერიოდის ქართულ საგალობლებში სულ უფრო ხშირია ანტიკური სამყაროს როგორც მითოლოგიურ, ასევე ისტორიულ პირთა მოხსენიება. მითოლოგიურ ფიგურათაგან საგალობლებში აღიბეჭდა აქილევსისა (არსენ ბერი, იოანე ჭიმჭიმელი) და ორფევსის (იეზეკიელი) სახეები, ვხვდებით ტერმინებს:

„ღადირი // ჰადესი“ (თამარ მეფე), „ულუმპიანი // ოლიმპიელი“ (იოანე შავთელი); ჰიმნოგრაფოსები მოიხსენიებენ ფილოსოფოსებს: ორიგენეს (არსენ იყალთოელი, იოანე შავთელი), თალესს (იოანე ჭიმჭიმელი); საკმაოდ ვრცელია ნუსხა იმ მბრძანებელთა, რომლებიც დასახელებულნი არიან ჰიმნებში. მათგან ქებით მოიხსენიებიან ალექსანდრე მაკედონელი, ოქტავიანუს ავგუსტუსი და კონსტანტინე დიდი (არსენ ბერი, არსენ ბულმაისიმისძე), მაგრამ ცნობილია ტბელი აბუსერისძის „გალობანი მწვალებელთა შეჩვენებისანი“, რომლის იდეაც, გამოკვლევათა თანახმად, ჰიმნოგრაფოსს ექვთიმე ათონელის „მცირე სჯულისკანონიდან“ მიუღია. მწვალებელნი ჰიმნოგრაფიულ ტექსტებში ხშირად მოიხსენიებიან, მაგრამ „მწვალებელთა ყოველთა“ ერთად თავმოყრილი ანათემები იშვიათია. ერთ-ერთი ასეთ ანათემათაგან არის ტბელი აბუსერისძის თხზულება, სადაც მრავალთა შორის მოიხსენიებიან რომის იმპერატორები ((3)ადრიანუსი, ანტონიუსი, დეკიუსი, კლავდიუსი, კომოდუსი, კონსტანტინუსი, ურანიუსი, სევერუს სეპტიმუსი, გალიენუსი; ბიზანტიის იმპერატორი ივლიანე განდგომილი.

ეს საგალობელი ტბელ აბუსერიძეს ისტორიული მწვალბედობის ჟამს დაუწერია. მას „როგორც ჭეშმარიტ ჭირისუფალს, სურდა თავისი შემოქმედებით სულიერად განმტკიცებინა თანამემამულეები. სწორედ ამ იდეით არის ნაკარნახევი მისი შემოქმედების სასწავლო-პედაგოგიური და დიდაქტიკური ხასიათი. ამავე მიზანს ისახავს „გალობანი მწვალებელთა შეჩვენებისანი“. იოანე დამასკელის მსგავსად, ტბელი აბუსარიძე მწვალბედობის ისტორიას იმის გამო წერს, „რადთა რაჟამს ტყუვილსა მათსა მეცნიერ ვიყვნეთ, ჭეშმარიტებასა ზედა უფროის დამტკიცებულ ვიქმნეთ“.⁴⁴

ჩვენი ნაშრომი სხვა ფუნდამენტური გამოკვლევების კვალად ცხადყოფს, რომ თანამემამულეებში რწმენისა და სამშობლოს სიყვარულის განმტკიცების იდეას მთელი ძალისხმევით ემსახურებოდნენ ქართველი ჰიმნოგრაფოსები, უაღრესად განათლებულნი, წინამორბედ კულტურას ზიარებულნი და ახალი, ზნეობრივად ამაღლებული იდეოლოგიის შემოქმედნი.

ქართველ ჰიმნოგრაფოსთა საგალობლებში დადასტურებული ანტიკური ხანის სახელთა ნუსხა:

1. მიქაელ მოდრეკილი. X საუკუნე.
იქედნე

⁴⁴ რ. ხალვაში. ტბელ აბუსერისძის „გალობანი მწვალებელთა შეჩვენებისანი“. თბილისი, 2003, გვ. 19.

(ცისკრად ნეტარიანთა დასდებელნი: თავნი იტყვიან აბო)

2. იოანე ქონქოსისძე. X საუკუნე.

ჰრომედ – რომი

(გალობანი ქრისტეს ნათლისღებისანი და ჰაზო ისმაიტელყოფილისა ქართველისანი).

3. იოანე მინჩხი. X საუკუნე.

იქედნე

პილატე

(მარხვანი)

პილატე

(დასდებელნი წმიდისა აღდგომისანი)

კონსტანტინე

თევდოსი

იონთა

(გალობანი II, 4; 32)

4. იოანე ზოსიმე. X საუკუნე.

ჰელენე დედოფალი

(ქებაჲ და დიდებაჲ ქართულისა ენისაჲ)

5. არსენ იყალთოელი. XI-XII საუკუნეთა მიჯნა.

ელლინურსა

ელლინებრისა

ორიგენის

(იამბიკო. არსენ მეტყველებს ამათ იყალთოელი)

6. არსენ ბერი. XI-XII საუკუნეთა მიჯნა.

აქილევ

ელინთა [შორის]

მაკედონელი

ავღვსტოს
კეისართა [შორის]
კონსტანტინე
(მეფესა დავითს მონაზონი არსენი)

7. იეზეკიელი. XII საუკუნე.
ორფეესი
(იამბიკო. იეზეკიელისგან უბადრუკისა)

8. იოანე ჭიმჭიმელი. XI საუკუნე.
თალი მილესეველმან
აქილევსებრ
(იოანე იტყვის ჭიმჭიმელი).

9. დავით აღმაშენებელი. XI საუკუნე.
ელლინთა
(გალობანი სინანულისანი)

10. თამარ მეფე. XI-XII საუკუნე.
ლადირთად (ჰადესი)
(იამბიკო. ცათა ცათასა)

11. იოანე შავთელი. XII-XIII საუკუნეთა მიჯნა.
ულუმპიანი
ორიგენესი
ნესტორ
(გალობანი ვარძიისა ღმრთისმშობლისანი)

12. არსენ ბულმაისიმისძე. XIII საუკუნე.
კონსტანტინესა
(გალობანი წმიდისა მოციქულისა ნინოსნი)

13. აბუსერიძე ტბელი. XIII საუკუნე.
ადრიანე
ანტონინე

დეოკლიტიანე
ელიანოს
კლავდიოს
კომოდ
კონსტანტინე დიდი
კოსტანტი
ონორ
სევეროზ
დალინო
ჰეროდე

საბერძნეთი
ჰრომი
ალექსანდრია

(„გალობანი მწვალებელთა შეჩუენებისანი“)

ანტიკური ხანის სახელთა განმარტებანი:

მითოლოგიური ფიგურები:

აქილეესი (აქილეე) – ბერძნული მითოსის სახელმთხვეჭილი გმირი, ტროას ომის მონაწილე. ჰომეროსის „ილიადას“ მთავარი ფიგურა.
ექიდნა (იქედნე) – შემზარავი დაიმონი ბერძნულ მითოსში. ნახევრად ქალი, ნახევრადგველი, ტარტაროსის და გეას ასული.
ოლიმპიელი (ულუმპიანი) – ბერძნები ასე მოიხსენიებენ ოლიმპოსზე დავანებულ ღმერთებს. აქ: ძლევაძმოსილი, უზესთაესი.
ორფეესი – ბერძნული მითოსის სახელოვანი მგოსანი. პერსონაჟი საყოველთაოდ ცნობილი მითისა სახელწოდებით „ორფეესი და ევრიდიკე“.

ტოპოგრაფიული ტერმინები:

ალექსანდრია – ალექსანდრე მაკედონელის მიერ დაარსებული ქალაქი ეგვიპტეში.
იონია (იონთა) – ძველ ქართულ ტექსტებში ხშირად საბერძნეთის მნიშვნელობით ნახმარი ტერმინი.
ელინი (ელინთა, ელინურისა, ელლინთა) – ბერძენი.

რომი (ჰრომედი) – რომაული იმპერიის დედაქალაქი.

ჰადესი (ლადირი) – 1. მიწისქვეშა სამყაროს ღვთაება; 2. მიწისქვეშა სამეფო.

ისტორიული პირები:

ავგუსტუსი (ავღვსტოს) – ოქტავიანუს ავგუსტუსი (ძვ.წ. 63 – ახ.წ. 14 წ.) რომის იმპერიის დამაარსებელი და მისი პირველი იმპერატორი. იმპერიას მართავდა ძვ.წ. 27 – ახ.წ. 14 წწ.

ანტონინუსი (ანტონინე) – რომის იმპერატორი 138-161 წწ.

გალიენუსი (ღალინო) – რომის იმპერატორი 260-268 წწ.

დეოკლეტიანუსი (დეოკლიტიანე) – რომის იმპერატორი 284-305 წწ.

ელიანოსი (ელიანოს) – ივლიანე განდგომილი, ბიზანტიის იმპერატორი 361-363 წწ.

თეოდოსიუსი (თევდოსი) – რომის იმპერატორი 379-395 წწ.

თალესი (თალი მილესეველი) – თალეს მილესელი. სოკრატემდეელი ბერძენი ფილოსოფოსი. შვიდ ბერძენ ბრძენთაგან ერთ-ერთი.

კეისარი – იულიუს კეისარი, ძველი რომის ერთ-ერთი უდიდესი სახელმწიფო მოღვაწე, მხედართმთავარი, მწერალი, ორატორი. რომის დიქტატორი ძვ.წ. 46-44 წწ.

კლავდიუსი (კლავდიოს) – რომის იმპერატორი 41-54 წწ.

კომოდუსი (კომოდ) – რომის იმპერატორი 180-192 წწ.

კონსტანტინე დიდი – კონსტანტინე I დიდი. რომის მბრძანებელი 306-337 წწ.

კოსტანტი – კონსტანტინე დიდის ძე.

მაკედონელი – ალექსანდრე III, მაკედონიის მეფე ძვ.წ. 336-323 წწ. ყველაზე წარმატებული მხედართმთავარი ისტორიაში. პირველი მსოფლიო იმპერიის მბრძანებელი.

ორიგენე (ორიგენი) – ორიგენე ალექსანდრიელი, იგივე ორიგენე ადამანტი. ასკეტი სწავლული და ადრეული ქრისტიანული პერიოდის თეოლოგი, ნეოპლატონიკოსი.

პილატე – პილატე პონტოელი (Pontius Pilatus). რომის იმპერიაში შემავალი იუდეის პროვინციის მეხუთე პრეფექტი იმპერატორ ტიბერიუსის დროს 26-36 წწ.

სევერუს სეპტიმუსი (სევეროზ) – რომის იმპერატორი 193-211 წწ.

ურანიუსი (ონორ) – იმპერატორი ურანიუსი. რომს განაგებდა 348-253 წწ.

ღალიანო (იხ. გალიენუსი).

ჰადრიანუსი (ადრიანე) – რომის იმპერატორი 117-138 წლებში.

ჰელენე დედოფალი – მოციქულთასწორი ელენე, რომის იმპერატორის, კონსტანტინე დიდის დედა.

ჰეროდე – იუდეველთა მეფე ძვ.წ. 73-4 წწ. ძვ.წ. 40 წელს რომის სენატმა მეფედ აღიარა. მის დროს იშვა ქრისტე ბეთლემში. ატარებდა ქვეყნის ელინიზაციის პოლიტიკას.

ჰაგიოგრაფია

ჰაგიოგრაფიული ჟანრი ქართულ ლიტერატურაში უძველესია, ქართულ ენაზე შექმნილი პირველი ლიტერატურული ძეგლი სწორედ ამ ჟანრს განეკუთვნება – იაკობ ცურტაველის „შუშანიკის წამება“, რომელიც V საუკუნით თარიღდება; თუმცა ანტიკურობასთან დაკავშირებული მასალა ქართულ ჰაგიოგრაფიულ თხზულებებში მხოლოდ დაახლოებით IX საუკუნიდანაა დადასტურებული: გიორგი მერჩულეს მიერ X საუკუნეში დაწერილ „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ და უცნობი ავტორის მიერ შექმნილ „მოქცევაჲ ქართლისაჲში“, რომელიც VIII-IX ან IX-X საუკუნეების მიჯნაზეა შექმნილი

გიორგი მერჩულე, „ცხოვრებაჲ გრიგოლ ხანძთელისაჲ“

ეკატერინე კობახიძე, გიორგი უგულავა

ჰაგიოგრაფიული ნაწარმოების სრული სათაურია „შრომაჲ და მოღუაწებაჲ ღირსად ცხოვრებისაჲ წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა გრიგოლისი არქიმანდრიტისაჲ, ხანცთისა და შატბერდის აღმაშენებლისაჲ, და მის თანაჲ კსენებაჲ მრავალთა მამათა ნეტართაჲ“, რომლის ავტორია X საუკუნის მწერალი გიორგი მერჩულე.

თხზულება გრიგოლ ხანძთელის გარდაცვალებიდან 90 წლის შემდეგ, 951 წელს არის დაწერილი. ნაწარმოებში აღწერილია VIII-IX საუკუნეების დიდი საეკლესიო მამის და ტაო-კლარჯეთის სამონასტრო ცხოვრების სულისჩამდგმელის, გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება და მოღვაწეობა. გრიგოლ ხანძთელმა ღვაწლი დასდო არა მხოლოდ ერთი რეგიონის სულიერ გამთლიანებას, არამედ ნიადაგი მოუმზადა საქართველოს სახელმწიფოებრიობის იდეის ჩამოყალიბებას.

ნაწარმოების ავტორი, როგორც ეს ნაწარმოებშიც ნახსენებია, არის X საუკუნის მოღვაწე გიორგი მერჩულე. „მერჩულე“, როგორც ეს პ. ინგოროყვამ დაადგინა, აღნიშნავს რჯულის მოძღვარს, რაც საეკლესიო სამართლის მცოდნეს შეესაბამება.⁴⁵ იგი, როგორც ეს მისი თხზულებიდან ირკვევა, ამ მიმართულებით ძალიან განათლებული ადამიანი, კანონიკური საეკლესიო სამართლის დიდი მცოდნე ყოფილა.⁴⁶

ნაწარმოებში ბერძნულ-რომაულ სამყაროსთან დაკავშირებული ერთი პასაჟი იძებნება. ეს შემთხვევა უაღრესად საყურადღებოა, რადგან იგი არის ანტიკურობის შესახებ ერთ-ერთი უაღრესი მაგალითი ქართულ მხატვრულ ლიტერატურაში.

„ხოლო სიბრძნეცა იგი ამის სოფლისა ფილოსოფოსთაჲ ისწავა კეთილად და, რომელი პოვის სიტყუაჲ კეთილი შეიწყნარის, ხოლო ჯერკუალი განაგდის. და განითქუა სისრულე იგი მისი სახელოვნად ყოველთა შორის, ხოლო გარემესა სიბრძნესა სოფლისასა ჰბასრობნ სიტყვსაებრ მოციქულისა“.⁴⁷

ტექსტის ამ მონაკვეთის შესახებ პ. კეკელიძე აღნიშნავს: „მამასადამე, უკვე იმ დროს ღებულობდნენ არა მარტო საეკლესიო საღმრთისმეტყველო განათლებას, არამედ საერო, ფილოსოფიურსაც“.⁴⁸

საყურადღებოა, რომ რ. სირაძე შემდეგნაირად აკონკრეტებს მნიშვნელობას ფრაზისა „სიბრძნეცა იგი ამის სოფლისა ფილოსოფოსთაჲ“, რომელსაც პ. კეკელიძე მოკლედ „ფილოსოფიას“ უწოდებს: „მამასადამე, გვაქვს პირდაპირი ცნობა, რომ მერვე საუკუნის საქართველოში ზედმიწევნით სწავლობდნენ რელიგიურ სიბრძნეს, რელიგიურ ფილოსოფიას, არამედ, აგრეთვე, „ამის სოფლის ფილოსოფოსთა“ სიბრძნესაც, რაშიც მხოლოდ და მხოლოდ ანტიკური ფილოსოფია უნდა ვიგულისხმოთ“.⁴⁹

გ. კოპლატაძე თვლის, რომ აქ „იგულისხმება როგორც ანტიკური ხანის ფილოსოფოსები ქრისტემდე, ასევე ფილოსოფოსები, რომელნიც ქრისტეს შემდეგ

⁴⁵ პ. ინგოროყვა. გიორგი მერჩულე. ქართველი მწერალი მეათე საუკუნისა. თბილისი, 1954, გვ. 10-11.

⁴⁶ პ. ინგოროყვა. გიორგი მერჩულე. ქართველი მწერალი მეათე საუკუნისა. თბილისი, 1954, გვ. 23.

⁴⁷ გიორგი მერჩულე. ცხორებაჲ გრიგოლ ხანცთელისაჲ. ტექსტი ვარიანტებითურთ: ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. წ. I. V-X სს. ხელმძღ. და რედ.: ილ. აბულაძე. თბილისი, 1963, გვ. 250.

⁴⁸ პ. კეკელიძე. ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია. ტ. I. თბილისი, 1980, გვ. 156.

⁴⁹ რ. თვარაძე. „გარდასახედი“. მწერლობა, რელიგიური ფილოსოფია, ისტორია. თბილისი, 1997, გვ. 469.

მისი მოძღვრების ზეგავლენით ანტიკური ფილოსოფიის, კერძოდ პლატონიზმის აღორძინებას შეეცადნენ, ე.წ. ნეოპლატონიკოსები⁵⁰.

ნაწარმოების ეს მონაკვეთი მნიშვნელოვან ინფორმაციას შეიცავს შუა საუკუნეების ქრისტიანულ საქართველოში ანტიკური ფილოსოფიის მიმართ დამოკიდებულების შესახებ. კერძოდ, ფრაზა: „**რომელი პოვის სიტყუაჲ კეთილი შეიწყნარის, ხოლო ჯერკუალი განაგდის**“, უნდა გავიგოთ როგორც ანტიკური ფილოსოფიურ მემკვიდრეობის კრიტიკულ-ანალიტიკურ შესწავლა. ანტიკური ფილოსოფიიდან რაც, ქრისტიანული გაგებით, სასარგებლოა სულისათვის (**სიტყუაჲ კეთილი**), ის ადანიანმა უნდა შეითვისოს, ხოლო – მავნებელი (**ჯერკუალი**) არ გაითავისოს.

საყურადღებოა, რომ გრიგოლ ხანძთელის განსაკუთრებულ უნარებზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდას ანტიკური ფილოსოფიის შესწავლისას შეეძლო თავად გაეანალიზებინა რთული ფილოსოფიური ტექსტები და ანტიკური მემკვიდრეობიდან ამოეკრიბა მისთვის სასარგებლო ცოდნა.

აქვე ყურადღებას გავამახვილებდით იმ მომენტზე, რომ ადამიანის სრულყოფილი განათლებისათვის, როგორც ამას გიორგი მერჩულე შენიშნავს, აუცილებელია როგორც ქრისტიანული სწავლების, ისე ანტიკური ფილოსოფიის ცოდნა. ეს დასკვნა გამომდინარეობს ჩვენ მიერ განხილული პასაჟის ბოლო ფრაზიდან: „**და განითქუა სისრულე იგი მისი სახელოვნად ყოველთა შორის**“, რაც აშკარად მიუთითებს იმაზე, რომ გრიგოლ ხანძთელის განათლების სრულყოფილება (**სისრულე იგი მისი**) განპირობებულია ქრისტიანული თეოლოგიის (**გარეშესა სიბრძნესა სოფლისასა**) ცოდნასთან ერთად ანტიკური ფილოსოფიის (**სიბრძნეცა იგი ამის სოფლისა ფილოსოფოსთაჲ**) შესწავლით. ამ ფილოსოფიის შესწავლის მეთოდებს შორის გიორგი მერჩულე, როგორც აღინიშნა, დიდ განსხვავებას ხედავს. თეოლოგია უნდა იყოს ნასწავლი ზედმიწევნით, სიტყვა-სიტყვით (**ჰბასრობნ სიტყვსაებრ მოციქულისა**), ხოლო ანტიკური ფილოსოფია – კრიტიკულად.

აღნიშნული პასაჟი გარკვევით მიუთითებს, რომ VIII საუკუნის საქართველოში განათლება ანტიკური ფილოსოფიის შესწავლის გარეშე სრულყოფილად არ მიიჩნეოდა. მნიშვნელოვნად მიგვაჩნია, რომ ამ საკითხზე მსჯელობა ხდება ჰაგიოგრაფიულ ნაწარმოებში, რომლის ძირითადი მიზანი სულიერად დაწინაურებული მოღვაწის ქრისტიანული ღვაწლის დაფასება წარმოადგენს.

⁵⁰ გ. კოპლატაძე. გიორგი მერჩულე: ვებგვერდი „ანტიკურობის რეცეფცია ქართულ ლიტერატურაში“. ავტორები: ნანა ტონია, გვანცა კოპლატაძე, ეკატერინე კობახიძე, ზაზა ხინთიბიძე, მაია დანელია, გიორგი უგულავა. ხელმისაწვდომია ონლაინ: <http://classicaltradition.tsu.ge> ბოლო ნახვა: 15.06.2024.

ასევე საყურადღებოდ გვეჩვენება ნაწარმოების ისტორიული კონტექსტის გათვალისწინება, რაც კიდევ უფრო გამოკვეთს ნაწარმოების ამ მონაკვეთის მნიშვნელობას VIII-IX საუკუნეების საქართველოს კულტურული და საგანმანათლებლო პრიორიტეტების იდენტიფიკაციისთვის.

VIII-IX საუკუნეები საქართველოში და მთლიანად კავკასიაში არაბული ბატონობის პერიოდია. VII საუკუნის 40-იანი წლებიდან მოყოლებული არაბები გამოჩნდნენ კავკასიაში და დაამარცხეს ორი დიდი ძალა, რომელიც იქამდე პრეტენზიას აცხადებდა კავკასიის საკუთარი გავლენის ქვეშ მოქცევაზე – სასანიდური ირანი და ბიზანტიის იმპერია. არაბების საქართველოში შემოსვლის მომენტისთვის აღმოსავლეთით, ისტორიულ ქართლში მეფობა გაუქმებული იყო და აღმოსავლეთ საქართველო სასანიდების გავლენის ქვეშ იმყოფებოდა.

არაბულმა დაპყრობამ საქართველო, ფაქტობრივად, მთლიანად მოსწყვიტა ბერძნულ-რომაულ სივრცეს (უპირველეს ყოვლისა ბიზანტიას, რომელმაც ტერიტორიები დაკარგა და მცირე აზიაში, განსაკუთრებით მის აღმოსავლეთ ნაწილში მისი გავლენა მნიშვნელოვნად შემცირდა) როგორც პოლიტიკურად, ისე კულტურულად. თუმცა, VIII საუკუნიდან მოყოლებული, განსაკუთრებით კი IX საუკუნეში არაბული მმართველობა ეტაპობრივად სუსტდება. არაბების მიერ დასმული მოხელე, ამირა, რომელიც თბილისში იჯდა და არაბების ძალაუფლებას აღმოსავლეთ საქართველოში თბილისიდან აკონტროლებდა, ფაქტობრივად, დამოუკიდებელი ხდება და ნაკლებად ემორჩილება ხალიფას. საქართველო ხალიფატის უკიდურეს ჩრდილოეთ ნაწილს წარმოადგენდა და ცენტრალური ხელისუფლების კონტროლი სუსტი იყო, განსაკუთრებით – დასავლეთ საქართველოში.

ქართული ეროვნული მოძრაობა ამ პერიოდში თბილისიდან და ქართლიდან, არაბთა მმართველობის ცენტრიდან მოშორებით, დასავლეთ საქართველოში, ყველაზე მეტად კი ტაო-კლარჯეთში იწყება, სადაც ბიზანტიური კულტურულ-პოლიტიკური გავლენის კვალი გეოგრაფიული მიზეზების წყალობით ბევრად უფრო ძლიერი იყო. შესაბამისად, იმატებს ინტერესი ანტიკური და პოსტანტიკური (ქრისტიანული) სამყაროს მიმართ. ეს უნდა ასახულიყო კულტურულ და საგანმანათლებლო დონეზეც, რასაც ვხედავთ კიდევ გრიგოლ ხანძთელის შემთხვევაში.

მოქცევა ქართლისაჲ

„მოქცევა ქართლისაჲ“ ისტორიულ-ჰაგიოგრაფიული თხზულებაა, რომელმაც ჩვენამდე რამდენიმე რედაქციით მოაღწია.⁵¹

თხზულება ორი ნაწარმოებისგან შედგება. პირველ ნაწილში, რომელსაც ხშირად „ქრონიკას“ უწოდებენ, მოთხრობილია ამბები ალექსანდრე მაკედონელის ქართლში ლაშქრობიდან IX საუკუნეებდე, ხოლო მეორე თხზულებაში, რომლის სათაურია „ნინოს ცხოვრება“, ვხვდებით ცნობებს ქართლის გაქრისტიანების შესახებ. მეცნიერთა შორის არ არის თანხმობა „მოქცევა ქართლისაჲ“-ის ტექსტის ამ ორი თხზულების ერთიანობის შესახებ.

„მოქცევა ქართლისაჲ“-ის ყველაზე ადრეული სინური რედაქცია (N/Sin 50) გადაწერილია IX-X საუკუნეების მიჯნაზე. შესაბამისად, ითვლება, რომ თხზულება IX საუკუნეში უნდა იყოს დაწერილი. ამასთან დაკავშირებით ივ. ჯავახიშვილი მითითებს : „...ეს მატიაზე შეუძლებელია IX საუკუნეზე უწინარეს იყოს შედგენილი იმიტომ, რომ როგორც განსვენებულმა პროფ. ბოლოტოვმა სამართლიანად აღნიშნა, იქ ერთი მსხვილი ქრონოლოგიური შეცდომა მოიპოვება და სასაწესოთა მეფეების დედაქალაქად ბაღდადი დასახელებული... რომელიც იმ დროს ჯერ არ არსებობდა, რადგან მის აგებას მხოლოდ 762 წელს შეუდგნენ... ეს გარემოება მემატიაზეს აღარა სცოდნია, ხოლო მას რომ თუნდ VIII საუკუნეში ეცხოვრა, უნდა სცოდნოდა, როდის ააგეს ქ. ბაღდადი, როგორც ეს იცოდა მაგალითად იოანე საბანის ძემ... ამის გამო ჰკუპაზე უფრო ახლოს იქნება ვიფიქროთ, რომ მოქცევა ქართლისაჲს მატიაზე IX საუკუნეშია შედგენილი“.⁵² არსებობს მოსაზრება, რომ თხზულებაში შემავალი „ნინოს ცხოვრება“ ნაწარმოები VIII საუკუნეში ან VII-VIII საუკუნეთა მიჯნაზე უნდა დაწერილიყო.⁵³ ამ ბოლო ხანს რამდენიმე მეცნიერმა წამოაყენა ვარაუდი, რომ ნაწარმოები IV საუკუნეში შეიქმნა.⁵⁴

რაც შეეხება „ქრონიკებს“, დღეისათვის დადგენილია, რომ ნაწარმოების ეს ნაწილი VII საუკუნის II ნახევარში დაიწერა.⁵⁵

⁵¹ შატბერდული, ჭელიშური და სინური (N/Sin48 და N/Sin50) რედაქციები.

⁵² ივ. ჯავახიშვილი. თხზულებანი. ტ. 8. თბილისი, 1977, გვ. 114.

⁵³ პ. ინგოროყვა. თხზულებანი. ტ. IV. თბილისი, 1978, გვ. 525; მ. ლორთქიფანიძე. ადრეფეოდალური ხანის ქართული საისტორიო მწერლობა. თბილისი, 1966, გვ. 129.

⁵⁴ რ. სირაძე. „ნინოს ცხოვრება“ და დასაწყისი ქართული მწერლობისა. განთიადი. № 3. 1989, გვ. 237, გვ. 439; გ. კუჭუხიძე. კიდევ ერთხელ „წმ. ნინოს ცხოვრების“ დათარიღებისათვის. ლიტერატურული მივანი. XX. 1999, გვ. 25, გვ.129; გრ. გიორგაძე. ხეთურ-არმაზული ტრადიები. მნათობი. № 7. 1985, გვ. 156; ს. გოგიტიძე. მირიან მეფე და ქართლის მოქცევა. ბათუმი, 1997, გვ. 40.

⁵⁵ პ. ინგოროყვა. ქართული მწერლობის ისტორიის მოკლე მიმოხილვა. მნათობი. № 4. 1939, გვ. 136; მ. გოგოლაძე. „მოქცევა ქართლისაჲს“ შედგენილობა, წყაროები და დათარიღება. საქართველო. № 3.

ნაწარმოების შემქმნელის შესახებ ცნობები არ მოვეპოვებთ, თუმცა გამომდინარე იმ მოცემულობიდან, რომ, მკვლევართა დასკვნით, „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ის ავტორი იყენებს არაერთ წყაროს (მაგ.: ფსევდოკალისტენეს აპოკრიფულ რომანს ალექსანდრე მაკედონელზე, ალექსანდრე კვიპრელის „მონაზვნის ქრონიკას“, შესაძლოა, რაღაც ადგილობრივ „სამშენებლო ქრონიკას“) და აგრეთვე უძველეს ქართულ წყაროებს, რომელთაგან ერთი – გრიგოლ დიაკვნის „მოკლედ აღწერილი ქართლის მოქცევის წიგნი“ თავად ავტორის მიერაა ნახსენები ჭელიშურ რედაქციაში, მიჩნეულია, რომ ნაწარმოების ავტორი იყო მეტად წიგნიერი და განათლებული ადამიანი.

საყურადღებოა, რომ თანამედროვე არქეოლოგიური კვლევების შუქზე, „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ ისტორიული თვალსაზრისით საკმაოდ სანდო წყაროდაა მიჩნეული.

„მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ის ხშირად ეყრდნობიან მომდევნო პერიოდის ავტორები, მათ შორის, „ქართლის ცხოვრების“ მემკვიდრეები.

ნაწარმოებში ანტიკურობასთან დაკავშირებული მეტად საყურადღებო პასაჟი დასტურდება.

ალექსანდრე მაკედონელის ქართლში ლაშქრობა

„მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ის პირველ თხზულებაში, რომელსაც პირობითად ვუწოდებთ „ქრონიკას“, როგორც აღვნიშნეთ, გადმოცემულია ამბები ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობიდან VIII საუკუნის ჩათვლით.

სწორედ აქ, ქართულ მწერლობაში პირველად ვხვდებით ცნობებს ალექსანდრე მაკედონელის მიერ ქართლის დაპყრობაზე, რომელიც გარკვეული სახეცვლილებებით გვხვდება: „ქართლის ცხოვრებაში“ (ლეონტი მროველი, „ცხოვრება ქართველთა მეფეთა“); XII საუკუნეში არსენ ბერის (იყალბოელის?) მიერ დაწერილ მეტაფრასულ ნაწარმოებში „ცხოვრებაჲ და მოქალაქობაჲ და ღუაწლი წმიდისა და ღირსისა დედისა ჩუენისა ნინოდისი, რომელმან ქადაგა ქრისტე, ღმერთი ჩუენი, ქუეყანასა ჩრდილოდსასა და განანათლა ნათესავი ქართველთაჲ“ და XI-XII საუკუნის უცნობი ავტორის ნაწარმოებში „ცხოვრებაჲ და მოქალაქობაჲ ღირსისა და მოციქულთა სწორისა ნეტარისა ნინოდისი“.

1998, გვ. 46; ს. ყუბანეიშვილი. გრიგოლ დიაკონი და მისი თხზულება. ლიტერატურული ძიებანი. II. 1945. გვ. 61.

„ქრონიკის“ დასაწყისში ავტორი მოგვითხრობს, რომ ალექსანდრე მაკედონელმა ილაშქრა ქართლში, რომელშიც იმ დროს ცხოვრობდა „ბუნ-თურქთა“ მსგავსი ველური საზოგადოება (ან ბუნ-თურქნი) და ასევე ბინადრობდნენ ლტოლვილი „ჰონები“. ალექსანდრემ დალეწა ქართლის ციხეები და ქალაქები, „ჰონნი“ გაანადგურა, სარკინები მცხოვრებნი 11-თვიანი ალყის შემდეგ დასაიხვეწნენ ჩრდილოეთ კავკასიაში.⁵⁶ ალექსანდრეს ამ ლაშქრობაში თან ახლდა აზო, არიან-ქათლის მეფის ძე და მას ალექსანდრემ მისცა ქართლი სამართავად.

„და თანა-ჰყვანდა ალექსანდრეს მეფესა აზომ, ძჳ არიან-ქართლისა მეფისაჲ, და მას მიუბოძა მცხეთაჲ საჯდომად და საზღვარი დაუდგა მას ჰერეთი, და ეგრის წყალი, და სომხითი და მთაჲ ცროლისა[ჲ] და წარვიდა. ხოლო ესე აზომ წარვიდა არ[ი]ან-ქართლად, მამისა თჳსისა და წარმოიყვანა რვაჲ სახლი და ათნი სახლნი მამა-მძუძეთანი, და დაჯდა ძუელ მცხეთას და თანა-ჰყვანდეს კერპნი ღმრთად – გაცი და გა. და ესე იყო პირველი მეფჳ მცხეთას შინა აზომ, ძჳ არიან-ქართველთა მეფისაჲ, და მოკუდა.

და შემდგომად მისა დადგა ფარნავაზ. ამან აღმართა კერპი დიდი ცხვ[რ]სა ზედა, და დასდგა სახელი მისი არმაზი. და მოქმნა ზღუდე წყლით კერძო, და ჰრქვან არმაზ“. ⁵⁷

ამრიგად, „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ის „ქრონიკის“ თანახმად, ირკვევა, რომ ალექსანდრეს განუწყესებია ქართლის მმართველად ვინმე აზო, რომელიც იყო „არიან-ქართლის“ მეფის შვილი, რომელსაც თავისი სამშობლოდან გადმოუსახლებია საკუთარი რვა და მამამძუძეთა ათი ოჯახი (გვარი), თან წამოუღია გაცის და გას კერპები და გახდარა ქართლის პირველი მეფე.

ამ ეპიზოდს ლეონტი მროველი „ქართლის ცხოვრებაში“, კერძოდ, თხზულებაში „ცხოვრება ქართველთა მეფეთა“ განსხვავებულად გადმოსცემს, სადაც იგი აზოს მაკედონელ მხედართმთავარ აზონად და მის თანმხლებ პირებს „ფროტატოსელებად“ წარმოადგენს⁵⁸ (კომენტარები და ანალიზი იხ. ნაშრომის ქვეთავში „ქართლის ცხოვრება“). რაც შეეხება ამ ამბის ვერსიებს, რომელიც ჩანს XII საუკუნეში არსენ

⁵⁶ ტექსტის ინტერპრეტაციის ვარიანტები იხ. ტ. ფუტყარაძე. ბუნ თურქნი: პალეოგრაფიული შეცდომა, თურქულენოვანი ხალხის აღმნიშვნელი ერთ-ერთი უძველესი ეთნონიმი, კომპაქტურად დასახლებული ლტოლვილი „თურქები“ თუ „სასტიკ წარმართთა“ აღმნიშვნელი მეტაფორა? ხელმისაწვდომია ონლაინ: <https://iberiana.wordpress.com/about/t-putkaradze/> ბოლო ნახვა: 28.01.2025

⁵⁷ შატბერდის კრებული X საუკუნისა. ბ. გიგინეიშვილისა და ელ. გიუნაშვილის გამოცემით. თბილისი, 1979, გვ. 320

⁵⁸ გ. ქავთარაძე: „[აზონის, – ე. კ.] საკითხთან დაკავშირებით „მეფეთა ცხოვრება“ აშკარა შეუსაბამისობას ავლენს „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ზემოთმოყვანილ ცნობასთან. „მეფეთა ცხოვრებისათვის“ არიან ქართლის მეფის ძე აზო მაკედონელი აზონია“ (გ. ქავთარაძე. „არიან-ქართლის“ საკითხისათვის. ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის შრომები. IX. 2009, გვ. 41).

ბერის (იყალთოელის?) მიერ დაწერილ მეტაფრასულ ნაწარმოებში „ცხოვრება და მოქალაქობა და ღუაწლი წმიდისა და ღირსისა დედისა ჩუენისა ნინოდისი, რომელმან ქადაგა ქრისტე, ღმერთი ჩუენი, ქუეყანასა ჩრდილოდსასა და განანათლა ნათესავი ქართველთა“ და XI-XII საუკუნის უცნობი ავტორის ნაწარმოებში „ცხოვრება და მოქალაქობა ღირსისა და მოციქულთა სწორისა ნეტარისა ნინოდისი“, აღსანიშნავია, რომ ორივე მათგანი იმეორებს აზოს არიან-ქართლის მეფისწულობას, თუმცა გადმოსახლებულთა შესახებ განსხვავებულ ვერსიას გვთავაზობს. კერძოდ, არსენ ბერის რედაქციაში ვკითხულობთ: „აზოა წარვიდა არ[ი]ან-ქართლად, მამისა თჳსისა და წარმოიყვანა მუნით ათასი სახლი მდაბიო და მოქალაქე დედებით, ყრმებითურთ მათით – და კუალად ათი სახლი მთავართაგან პალატისათა“;⁵⁹ ხოლო უცნობი ავტორის მეტაფრასულ რედაქციაში წერია: „მაშინ აზოელ წარვიდა ქართლად არიან მამისა თჳსისა და წარმოიყვანა მუნით ათასი სახლი მდაბიოდ, და კუალად ათი სახლი მთავართაგან და ყოვლით დედა-წულით მათით მოიყვანნა და დაეშენნა ქართლს“.⁶⁰

„ქრონიკის“ ეს ცნობა არაერთი მეცნიერის მიერ იქნა შესწავლილი. მკვლევართა დაკვირვებით, „ქართლის ცხოვრებაში“ ლეონტი მროველის თხზულების დასაწყისში მოთხრობილ ამბავს, რომელიც ასახავს ქართლში ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობამდე ისტორიას (თარგამოსიანთა 8 ძმის შთამომავალთა განსახლებას აღმოსავლეთ ანატოლიასა და საქართველოში; მათ ბრძოლას ასურელებთან და მიდიელებთან; ხაზართა შემოსევებს, ირანელებთან დაპირისპირებას და ა.შ.), რომელიც წერილობით წყაროებს უნდა ეფუძნებოდეს,⁶¹ ბევრი აქვს საერთო აზოს ამბავთან, რომელიც ანალოგიური პრინციპებითაა შედგენილი. გ. მელიქიშვილი სამართლიანად შენიშნავდა, რომ „მოქცევა ქართლისად“-ში აზოს ეპიზოდში მოცემული ციფრები რვა და ათი ქართულ ისტორიოგრაფიაში ხშირად გამოიყენებოდა.⁶² მ. სანაძე განმარტავს, რომ აზოს მოჰყავს 8 სახლი ქართველთა, ხოლო ლეონტი მროველის ცნობით, ქართლოსთა შვილები და შვილიშვილები რვანი არიან და მკვლევარი აზოს შესახებ თქმულებას ქართლოსის ამბის ვარიაციად აღიქვამს.⁶³ ამავედროულად, საყურადღებოა, რომ მოვსეს ხორენაცის⁶⁴ და ბერძნული

⁵⁹ ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. წ. III (მეტაფრასული რედაქციები). ილ. აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით. თბილისი, 1971, გვ. 47.

⁶⁰ ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. წიგნი III (მეტაფრასული რედაქციები). ილ. აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით. თბილისი, 1971, გვ. 80.

⁶¹ მ. სანაძე. „ქართლის ცხოვრება“ და საქართველოს ისტორიის უძველესი პერიოდი (ქართლოსიდან მირიანამდე). თბილისი, 2001, გვ. 26.

⁶² მოვსეს ხორენაცი. სომხეთის ისტორია. ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი და შენიშვნები დაურთო ალ. აბდალაძემ. თბილისი, 1984, გვ. 280.

⁶³ მ. სანაძე. „ქართლის ცხოვრება“ და საქართველოს ისტორიის უძველესი პერიოდი (ქართლოსიდან მირიანამდე). თბილისი, 2001, გვ. 37-38.

წყაროების მიხედვით,⁶⁵ ალექსანდრე მაკედონელმა ქართლში დანიშნა არა აზო, არამედ – მიჰრდატი/ მითრანე.

მიჰრდატის ნაცვლად აზოს და მოგვიანებით – აზონის გამოჩენა ქართულ წყაროებში, ს. ჯანაშიას აზრით, აქემენიდურ ეპოქაში მოხდა, ხოლო მ. სანაძის აზრით⁶⁶ – ელინისტურ ხანაში, რომლის დროსაც მაკედონელის მოლაშქრეები გაეცნენ სამხრეთ კავკასიის ხალხთა თქმულებებს და მათ ბერძნული ანალოგები მოუძებნეს. ამას, მკვლევრის აზრით, უნდა ასახავდეს სტრაბონის ცნობა სომხეთის ისტორიის შესახებ, სადაც ვკითხულობთ: „არმენოსმა არმენიონიდან, თესალიის ქალაქიდან... ილაშქრა იაზონთან ერთად არმენიაში... ამ ვაჟკაცებმა კი ალექსანდრესთან ერთად ილაშქრეს“,⁶⁷ რაც იმაზე მიუთითებს, ქართულ წყაროებში დაცული აზო/აზონის ლაშქრობის ამბავი წარმოადგენს ადგილობრივი თქმულების ბერძნულ გადამუშავებას. ამ თვალსაზრისს შეიძლება გარკვეულ გამართლებას უძებნიდეს ტაციტუსთან დაცული ცნობა, რომ იბერელები და ალბანელები თავიანთ წარმოშობას იაზონს უკავშირებენ⁶⁸ და სტრაბონთან დაცული ინფორმაცია, რომ სომხეთში, იბერიასა და ალბანეთში მათ დახვდათ იაზონის (ადგ. აზო) ტაძრები „ფრიად პატივცემული ბარბაროსთაგან“.⁶⁹

კ. კეკელიძე მიიჩნევდა, რომ ალექსანდრე მაკედონელის ქართლში ლაშქრობის ამბავი ამოღებულია ფსევდოკალისტენეს პოპულარული რომანიდან „ალექსანდრია“.⁷⁰ ამ აზრს იზიარებდნენ: ს. კაკაბაძე,⁷¹ კ. ინგოროყვა,⁷² ს. ყაუხჩიშვილი,⁷³ გ. მამულია⁷⁴ და გ. მელიქიშვილი.⁷⁵

⁶⁴ მოვსეს ხორენაცი. სომხეთის ისტორია. ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი და შენიშვნები დაურთო ალ. აბდალაძემ. თბილისი, 1984, გვ. 107.

⁶⁵ არიანე. ალექსანდრეს ანაბაზისი. ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. V. ძველბერძნულიდან თარგმნა, გამოკვლევები და საძიებლები დაურთო თ. ყაუხჩიშვილმა, თბილისი, 1983, გვ. 170; Диодор Сицилийский. Историческая библиотека. Кн. XVIII. Поход Александра. Перевод с древнегреческого М. С. Сергеевко. Москва, Ленинград, 1962, гв. 331; Г. Меликишвили. К истории древней Грузии. Тбилиси, 1959, гв. 277 და შმდგ.; გ. მამულია. „არიან ქართლის“ საკითხისათვის. საქართველოს, კავკასიის და მახლობელი აღმოსავლეთის საკითხები. თბილისი, 1968, გვ. 226-229.

⁶⁶ მ. სანაძე. „ქართლის ცხოვრება“ და საქართველოს ისტორიის უძველესი პერიოდი (ქართლოსიდან მირიანამდე). თბილისი, 2001, გვ. 39.

⁶⁷ თ. ყაუხჩიშვილი. სტრაბონის გეოგრაფია: ცნობები საქართველოს შესახებ. თბილისი, 1957, გვ. 193.

⁶⁸ ტაციტუსის ცნობები საქართველოს შესახებ. ლათინური ტექსტი ქართული თარგმანით, შესავალი ნარკვევითა და კომენტარებით გამოსცა ალ. გამყრელიძემ. თბილისი, 1979, გვ. 57, შენიშვნა 131-132.

⁶⁹ თ. ყაუხჩიშვილი. სტრაბონის გეოგრაფია: ცნობები საქართველოს შესახებ. თბილისი, 1957, გვ. 184.

⁷⁰ კ. კეკელიძე. ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია. ტ. II. თბილისი, 1981, გვ. 255.

⁷¹ ს. კაკაბაძე. ძველი ქართული მატიაწეები. საისტორიო ძიებანი. ტფილისი, 1924, გვ. 132.

⁷² კ. ინგოროყვა. რუსთაველის ეპოქის სალიტერატურო მემკვიდრეობა. რუსთაველის კრებული. ტფილისი, 1938 გვ. 59-60.

⁷³ ს. ყაუხჩიშვილი. ბერძნული ლიტერატურის ისტორია. I. თბილისი, 1949, გვ. 232.

საბოლოო დასკვნებისთვის მნიშვნელოვანია იმის დადგენა, თუ რა უნდა იგულისხმებოდეს ტერმინში „არიან-ქართლი“.

ამასთან დაკავშირებით არაერთი თვალსაზრისია გამოთქმული, რომელთა სრულად განხილვა, ნაშრომის ფორმატიდან გამომდინარე, შეუძლებელია, შესაბამისად, განვიხილავთ რამდენიმე ყველაზე ცნობილ მოსაზრებას.

აკადემიკოსი ს. ჯანაშია თვლიდა, რომ „არიან-ქართლი“ წარმოადგენს მოგონებას ჰარი-ქვეყნის, როგორც ქართველთა უძველესი საცხოვრისის შესახებ, რეალურად აქ შესაძლებელია იგულისხმებოდეს როგორც მიტანი, ისე ურარტუც, ვანის ტბის მიდამოები, რადგან... ჰარის ქვეყანა შეიცავდა ერთსაც და მეორესაც.⁷⁶

გ. მელიქიშვილი თავდაპირველად განმარტავდა, რომ „არიან-ქართლის“ „არიანი“, შესაძლოა, პირენეის დამახინჯებით იყოს მიღებული, რადგან ძველად ცნობილი და პოპულარული იყო მითი ესპანეთის იბერიიდან კავკასიის იბერიაში ხალხთა გადმოსახლების შესახებ,⁷⁷ თუმცა აქვე გ. მელიქიშვილი მიუთითებდა, რომ არსებობს „არიან-ქართლის“ ინტერპრეტაციის სხვა შესაძლებლობაც: პონტოს სამეფოს დამაარსებელი მითრიდატე, რომელიც მოსე ხორენელის ცნობით, ალექსანდრე მაკედონელმა იბერთა მმართველად განაწესა, იყო „კიოსისა და არრიანას“ (რას წარმოადგენდა „არრიანა“, უცნობია) მეფე, რაც, როგორც ჩანს, რომელიღაც წყაროში „არიან-ქართლად“ იქნა გააზრებული.⁷⁸ მოგვიანებით გ. მელიქიშვილი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ არიან-ქართლი უნდა იყოს საქართველოს სამხრეთ-დასავლეთის კუთხე, რომელიც აქემენიდთა ირანს ექვემდებარებოდა. ამ კუთხეს უფრო ჩრდილოეთით მოსახლე ქართველები უწოდებდნენ ირანის ქართლს – „არიან-ქართლს“. ეს „ირანის ქართლი“, მეცნიერის აზრით, შეიძლება გაგებულ იქნეს როგორც ტაო-კლარჯეთის ტერიტორია, ყოფილი დიაოხის სამეფო, მოგვიანებით – გუგარქის საპიტიახშო სახლი.⁷⁹

ვფიქრობთ, რომ გ. მელიქიშვილის ეს შეხედულება სრულიად სამართლიანად არის მიჩნეული მართებულად თანამედროვე ისტორიოგრაფიაში. მოვსეს ხორენაცთან დაცული ცნობა ალექსანდრეს მიერ ქართლის მმართველად დარეჰის

⁷⁴ გ. მამულია. კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს ჩამოყალიბება ძველ ქართლში, თბილისი, 1979, გვ. 152-153.

⁷⁵ Г. А. Меликишвили. К истории древней Грузии. Тбилиси, 1959, гв. 38.

⁷⁶ ს. ჯანაშია. შრომები. ტ. II. თბილისი, 1952, გვ. 70.

⁷⁷ Г. А. Меликишвили. К истории древней Грузии. Тбилиси, 1959, гв. 280.

⁷⁸ გ. მელიქიშვილი. ძველი ქართული, სომხური და ბერძნული საისტორიო ტრადიცია და ქართლის (იბერიის) სამეფოს წარმოქმნის საკითხი. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების მოამბე. № 2. 1962, გვ. 221, გვ. 225-227.

⁷⁹ გ. მელიქიშვილი. საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის უძველესი საკითხისათვის. თბილისი, 1965, გვ. 16.

(დარიოსის) ნახარარ მიჰრდატის (მიტრიდატეს) განწესების შესახებ, რაც, დიდი ალბათობით, ფალსიფიკაციას წარმოადგენს,⁸⁰ არ მიემართება „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ტექსტში გადმოცემულ ნარატივს ალექსანდრე მაკედონელის მიერ „არიან-ქართლის“ მეფისწული აზოს დანიშვნის შესახებ. ალექსანდრეს ქართლში ლაშქრობის ამბავი, როგორც ამას კ. კეკელიძე მართებულად მიიჩნევდა, ამოღებულია ფსევდოკალისტენეს პოპულარული რომანიდან „ალექსანდრიანი“.⁸¹

საინტერესოა, რატომ იქნა ამ კონტექსტში ნახსენები ალექსანდრე მაკედონელი და რატომ დაუკავშირა „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ავტორმა ეს მოვლენა ალექსანდრე მაკედონელს?

ამ ცნობასთან დაკავშირებით გ. ქავთარაძე აღნიშნავს: „კარგად არის ცნობილი, რომ თვით ალექსანდრეს არასოდეს ულაშქრია კავკასიაში, თუმცა ქართული და სომხური მატიაწეების სამართლიანად ლეგენდარულად მიჩნეული ცნობები ალექსანდრე დიდის მონაწილეობის შესახებ კავკასიასა და მისი მიმდებარე მხარეების საქმეებში და ადგილობრივ მმართველთა, სავარაუდოთ, რეალურად არსებული სურვილი – დაეკავშირებინათ საკუთარი მიზნები მაკედონელთა ინტერესებთან და გამოეყენებინათ მათი ძალაუფლება ამ მიზნების რეალიზაციისათვის, თითქოს ასახულია ახ.წ. II საუკუნის რომაელი მწერლისა და პოლიტიკოსის, ფლავიუს არიანეს თხზულებაში „ალექსანდრეს ლაშქრობა“ [ფლავიუს არიანეს ცნობით, ძვ.წ. 329/328 წ. „ხორაზმელების“ მეფე ფარსმანესი ალექსანდრეს ეახლა და შესთავაზა მას მოკავშირეობა მეზობლების, კოლხებისა და ამადონების წინააღმდეგ ბრძოლაში. ალექსანდრე მას დაჰპირდა, რომ აზიის დაპყრობისა და ჰელესპონტოსისა და პროპონტიდისის გავლით საბერძნეთში დაბრუნების შემდეგ იგი აუცილებლად შეიჭრებოდა პონტოში“ (Arrianus, 67, XV, IV) – ე.კ.].⁸²

ა. ბოსვორთის აზრით, ამბის [არიანესთან მოცემულის – ე.კ.] პირველ გადმომცემს არ ეპარებოდა ეჭვი იმაში, რომ ალექსანდრეს ნამდვილად ჰქონდა იმის მისწრაფება, რომ დაემორჩილებინა შავიზღვისპირეთის მიმდებარე ტერიტორია. ეს, მისი აზრით, უკავშირდებოდა ძვ.წ. 328 წ. შემუშავებულ გეგმებს.⁸³

⁸⁰ თ. დუნდუა, ნ. ფიფია, ე. კობახიძე. ემერის წარწერა. წიგნში: ნ. ფიფია, ე. კობახიძე, თ. დუნდუა. ანტიკური ხანის ბერძნული და ლათინური წარწერები როგორც საქართველოს ისტორიის წყარო. თბილისი, 2022, გვ. 44-61.

⁸¹ კ. კეკელიძე. ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია. ტ. II. თბილისი, 1981, გვ. 255.

⁸² G. Kavtaradze. Probleme der historischen Geographie Anatoliens und Transkaukasiens im ersten Jahrtausend v. Chr. (Caucasica). Orbis Terrarum, Internationale Zeitschrift für historische Geographie der Alten Welt. 2. Stuttgart, 1996, გვ. 191-216.

⁸³ A. B. Bosworth. From Arrian to Alexander. Studies in Historical Interpretation. Oxford, 1988, გვ. 192.

თ. ქემერტელიძის აზრით, „არიან-ქართლის“ ამბავი შესაძლოა ასახავდეს აქემენიდების სამეფოს XVIII სატრაპიის ერთ-ერთი მხარის მმართველის, ანდა XIX სატრაპიის გამგებლის, აზონის ისტორიას, რომელსაც ალექსანდრე მაკედონელმა XIX სატრაპიასთან ერთად ჩააბარა ჩრდილოეთით მდებარე ქვეყნის გამგეობა და ამ სახით ახალი სატრაპია – მცხეთისა (იბერიისა) ჩამოაყალიბა.⁸⁴

ალექსანდრე მაკედონელის ქართლში ლაშქრობის საკითხს „ქართლის ცხოვრებაში“, კერძოდ – ლეონტი მროველის საისტორიო თხზულებაში „ცხოვრება ქართველთა მეფეთა“ – კიდევ ერთხელ დავუბრუნდებით.

ისტორიული პროზა

„ქართლის ცხოვრება“

ეკატერინე კობახიძე

საყოველთაო აღიარებით, „ქართლის ცხოვრება“ წარმოადგენს საქართველოს ისტორიის მთავარ მატრიანეს, რომელშიც თავმოყრილია სხვადასხვა ავტორთა მიერ სხვადასხვა ეპოქაში დაწერილი თხზულებები. ისტორიის მკვლევართა მიერ მიჩნეულია, რომ „ქართლის ცხოვრება“ საქართველოს ისტორიის ერთადერთი გაბმული წერილობითი წყარო, და, ამასთან, ქვეყნის ოფიციალური ისტორიაა. „სახარება“, „ვეფხისტყაოსანი“ და „ქართლის ცხოვრება“ შუა საუკუნეების საქართველოს იდეურ-პოლიტიკურ დასაყრდენს წარმოადგენდა.⁸⁵ „ქართლის ცხოვრების“ შექმნის თარიღი დღემდე საკამათოა. გამოთქმულია ვარაუდები, რომ იგი შეადგინეს VII-VIII, VIII-IX ან XI-XII საუკუნეთა მიჯნაზე. ბოლო დროს დამკვიდრებულია აზრი, რომ „ქართლის ცხოვრება“ პირვანდელი სახით შეადგინეს XI-XII საუკუნეში, რასაც წინ უძღოდა ქვეყნის პოლიტიკური, კულტურული და ეკონომიკური დაწინაურება. სწორედ ამ პროცესებმა „დღის წესრიგში დააყენა საქართველოს წარსულის ერთიანი და სრული აღნუსხვა. აქ იგულისხმებოდა არა

⁸⁴ თ. ქემერტელიძე. ქართლის იბერიის სამეფოს წარმოქმნის თარიღის შესახებ. საქართველოს ხელოვნების მუზეუმი ნარკვევები. ტ. VI. თბილისი, 2000, გვ. 31.

⁸⁵ ქართლის ცხოვრება. მთ. რედ.: რ. მეტრეველი, სარედაქციო კოლეგია: მ. აბაშიძე, გ. ალასანია, ზ. ალექსიძე, თ. გამყრელიძე, გ. კარტოზია, მ. ლორთქიფანიძე, დ. მუსხელიშვილი, ჯ. ზ. სარჯველაძე, მ. ქავთარია, ც. ქურციკიძე, მ. შანიძე, ელ. ცაგარეიშვილი, ჯ. ედ. ხომტარია-ბროსე. თბილისი. 2008, გვ. 8.

მარტო უბრალო აღწერა ისტორიისა, არამედ საქართველოს პოლიტიკური ერთიანობისა და ბაგრატიონთა მეფობის იდეოლოგიური დასაბუთებაც⁸⁶.

არსებობს „ქართლის ცხოვრების“ ორი ე.წ. „ციკლი“, რომელსაც პირობითად უწოდებენ „ახალ ქართლის ცხოვრებას“ და „ქართლის ცხოვრების გაგრძელებას“. „ძველ ქართლის ცხოვრების“ ციკლში,⁸⁷ რომელიც მოგვითხრობს საქართველოს ისტორიას უძველესი დროიდან XIV საუკუნის დასაწყისამდე (ციკლის უკანასკნელი თხზულება, „ასწლოვანი ისტორია“ გიორგი ბრწყინვალეს გამეფებით სრულდება) შესულია შემდეგი ავტორები და ნაწარმოებები: ლეონტი მროველი, „ცხოვრება ქართუელთა მეფეთა და პირველთაგანთა მამათა და ნათესავთა“ და „მოქცევა მირიამ მეფისა და თანა ყოვლისა ქართლისა წმიდისა და ნეტარისა დედისა ჩუენისა ნინო მოციქულის მიერ“, ჯუანშერი, „ცხოვრება და მოქალაქობა ვახტანგ გორგასლისა“; ლეონტი მროველი, „წამება წმიდისა და დიდებულისა მოწამისა არჩილისი“; უცნობი ავტორი, „მატიანე ქართლისაჲ“; უცნობი ავტორი, „ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი“; უცნობი ავტორი, „ლაშა გიორგის დროინდელი მატიანე“; სუმბატ დავითის ძე, „ცხოვრება და უწყება ბაგრატონიანთა“; უცნობი ავტორი, „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“; ბასილი ეზოსმოდვარი, „ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი“; ჟამთააღმწერელი, „ასწლოვანი ისტორია“ (სათაური პირობითია).

XVIII საუკუნის დასაწყისში ვახტანგ VI-ის დავალებით ე.წ. სწავლულ კაცთა კომისიამ ბერი ეგნატაშვილის მეთაურობით დაადგინა „ქართლის ცხოვრების“ ტექსტი, მოახდინა მისი რედაქტირება-შეკლება და ამავდროულად შეადგინა „ქართლის ცხოვრების“ გაგრძელება, რომელსაც ხშირად შეცდომით უწოდებენ „ახალ ქართლის ცხოვრებას“. მასში გადმოცემულია XIV-XVII საუკუნეების ისტორია. მოგვიანებით შეიქმნა „ქართლის ცხოვრების“ გაგრძელების გადაკეთებული ვერსია, რომელიც შეადგინა XVIII საუკუნის უცნობმა ავტორმა.

„ქართლის ცხოვრება“ მნიშვნელოვანი წყაროა არა მხოლოდ საქართველოს, არამედ სხვადასხვა ქვეყნებისა და ხალხების ისტორიის შესასწავლად. მასში დაცულია ცნობები სომხების, ოსების, ყაზარდოელების, ლეკების, აზერბაიჯანელების, ბერძნების, რომაელების, სპარსელების, არაბების, ბიზანტიელების, ოსმალების, მონღოლებისა და სხვა ხალხების შესახებ.

⁸⁶ ქართლის ცხოვრება. მთ. რედ.: რ. მეტრეველი, სარედაქციო კოლეგია: მ. აბაშიძე, გ. ალასანია, ზ. ალექსიძე, თ. გამყრელიძე, გ. კარტოზია, მ. ლორთქიფანიძე, დ. მუსხელიშვილი, † ზ. სარჯველაძე, მ. ქავთარია, ც. ქურციკიძე, მ. შანიძე, ელ. ცაგარეიშვილი, † ედ. ხოშტარია-ბროსე. თბილისი. 2008, გვ. 11.

⁸⁷ ჩვენამდე მოღწეულია „ქართლის ცხოვრების“ ძველი ციკლის ხუთი ნუსხა: მარიამ დედოფლისეული, ანასეული, ჭალაშვილისეული, მაჩაბლისეული და მცხეთურ-კლიმიაშვილისეული.

გარდა ისტორიული მნიშვნელობისა, საყურადღებოა „ქართლის ცხოვრების“ ლიტერატურულ-მხატვრული ღირებულებაც. „ქართლის ცხოვრების“ თხრობა, როგორც წესი, არ ეყრდნობა ისტორიული მოვლენების მშრალ გადმოცემას. მასში მაღალმხატვრულად ასახულია ქვეყნის დრამატული თავგადასავალი ამ თავგადასავლის მთავარი პერსონაჟებითა და მეორეხარისხოვანი გმირებით. „ქართლის ცხოვრების“ ენობრივ ქსოვილში კარგად ჩანს როგორც ქართული საერო მწერლობის ტრადიციები, ისე აღმოსავლური და დასავლური ლიტერატურული ტენდენციები. საქართველოს ისტორიის გადმოცემისას „ქართლის ცხოვრების“ ავტორები ხშირად მიმართავენ ანალოგიებს და შედარებებს აღმოსავლეთისა და დასავლეთის ისტორიიდან და მწერლობიდან, რაც ცხადყოფს არა მხოლოდ მწერალთა ერუდიციასა და ანალიტიკურ უნარებს, არამედ – საქართველოს მატიანის მსოფლიოს ისტორიაში ინტეგრაციის სურვილს.

ამ კონტექსტში განსაკუთრებით საყურადღებოა „ქართლის ცხოვრებაში“ დასავლური კულტურის მთავარი დასაყრდენის – ბერძნულ-რომაული ცივილიზაციის კვალის და მისი მნიშვნელობის შესწავლა. უშუალოდ ამ საკითხზე არსებობს რამდენიმე გამოკვლევა, რომელთაგან ყველაზე მნიშვნელოვანი ეკუთვნის: კ. კეკელიძეს,⁸⁸ აკად. ს. ყაუხჩიშვილს⁸⁹ და აკად. თ. ყაუხჩიშვილს.⁹⁰ ანტიკურობასთან დაკავშირებული მონაკვეთების ანალიზისას ნაშრომში სხვადასხვა მეცნიერთა ინტერპრეტაციათა გვერდით ხშირად წარმოდგენილია ტექსტის ჩემული განმარტებებიც.

ანტიკურობის შესწავლისას მივყევით ქრონოლოგიურ პრინციპს, ნაწარმოებთა იმ მიმდევრობას, რომელიც ს. ყაუხჩიშვილის გამოცემაშია დაცული და ამ საფუძველზე ცალ-ცალკე განვიხილავთ „ქართლის ცხოვრების“ იმ თხზულებებს, სადაც დასტურდება ბერძნულ-რომაულ სამყაროსთან დაკავშირებულ მასალა. ციტირებები ეყრდნობა ს. ყაუხჩიშვილის „ქართლის ცხოვრების“ გამოცემას, რადგან

⁸⁸ კ. კეკელიძე. „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ როგორც ლიტერატურული წყარო. რუსთაველის კრებული. ტფილისი, 1938.

⁸⁹ ს. ყაუხჩიშვილი. „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ და იოანე პეტრიწი. სსრ მეცნ. აკად. მოამბე. III. № 1. 1942; ს. ყაუხჩიშვილი. „ფირესტე // ორესტე“. ლიტერატურული ძიებანი. II. 1945, გვ. 159-165.

⁹⁰ თ. ყაუხჩიშვილი. ანტიკური სამყარო რუსთაველის ეპოქის ისტორიოგრაფიაში. თამარის ისტორიკოსები. მაცნე, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია. № 3. 1974; თ. ყაუხჩიშვილი. ანტიკური სამყარო ქართულ ისტორიოგრაფიაში. ჟამთააღმწერელი. ივ. ჯავახიშვილის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული. თბილისი, 1976.

იგი დადგენილია ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით და მასში შესულია თხზულებები როგორც ძველი, ისე ახალი ციკლის „ქართლის ცხოვრებიდან“.⁹¹

ლეონტი მროველი, „ცხოვრება ქართულთა მეფეთა და პირველთაგანთა მამათა და ნათესავთა“

ლეონტი მროველის ვინაობის და მოღვაწეობის პერიოდის შესახებ დაზუსტებული ცნობები არ მოგვეპოვება. ზოგიერთი მოსაზრებით, იგი უნდა გაიგივდეს რუისის ეპისკოპოსთან, რომელიც 1066 წლის თრეხვის (ქარელის რაიონი) ნუსხა-ხუცურით შესრულებულ წარწერაში იხსენიება⁹² და ასევე მთავარეპისკოპოსთან, რომლის შესახებაც ცნობა შემონახულია ამჟამად ეროვნულ ბიბლიოთეკაში დაცულ XI საუკუნის ათონურ ხელნაწერში.⁹³ არსებობს ვარაუდი, რომ ლეონტი მროველი VIII საუკუნის I ნახევრის მოღვაწეა.⁹⁴ უახლესი კვლევებიც ადასტურებენ, რომ ლეონტი მროველის თხზულებები სწორედ VIII საუკუნეს განეკუთვნება⁹⁵. გამოთქმულია თვალსაზრისი, რომ ლეონტი მროველი იყო ნაწარმოების არა ავტორი, არამედ შემდგენელი-რედაქტორი.⁹⁶

ლეონტი მროველს „ქართლის ცხოვრების“ რამდენიმე თხზულება მიეწერება: „ცხოვრება ქართულთა მეფეთა და პირველთაგანთა მამათა და ნათესავთა“, „მოქცევა მირიან მეფისა და თანა ყოვლისა ქართლისა წმიდისა და ნეტარისა დედისა ჩუენისა ნინო მოციქულის მიერ“ და „წამება წმიდისა და დიდებულისა მოწამისა არჩილისი“. ანტიკურობის თვალსაზრისით, საყურადღებოა მისი პირველი ნაწარმოები „ცხოვრება ქართულთა მეფეთა და პირველთაგანთა მამათა და ნათესავთა“, რომელიც

⁹¹ ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. I. თბილისი, 1955; ქართლის ცხოვრება., ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. II. თბილისი, 1959.

⁹² გ. გაფრინდაშვილი. ლეონტი მროველის 1066 წ. სამშენებლო წარწერა თრეხვის ქვაბებიდან. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზ. მეცნიერების განყოფილების მოამბე. № 1. 1961.

⁹³ კ. გრიგოლია. ისევ ლეონტი მროველის ავტორობის შესახებ. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზ. მეცნიერების განყოფილების მოამბე. № 5 (14). 1963; კ. გრიგოლია. ლეონტი მროველი XI საუკუნის ქართველი ისტორიკოსი და მისი შესწავლის თანამედროვე მდგომარეობა. თსუ შრომები. ტ. 87. 1960.

⁹⁴ პ. ინგოროყვა. ლეონტი მროველი, ქართველი ისტორიკოსი, „ამბავთა მწერალი“ მე-8 საუკუნისა, ენიშნის მოამბე. 1941, გვ. 93-152.

⁹⁵ S. H. Rapp. Jr. Studies in Medieval Georgian Historiography: Early Texts and Eurasian Contexts. Corpus Scriptorum Christianorum Orientalium. Vol. 601, subsidia, Vol. 113. Louvain, 2003.

⁹⁶ გ. ქავთარაძე. „არიან-ქართლის“ საკითხისათვის. ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის შრომები. IX. 2009, გვ. 41.

გადმოგვცემს საქართველოს ისტორიას უძველესი ხანიდან ახ.წ. IV საუკუნის ბოლომდე.

ამ თხზულებიდან განსაკუთრებით საინტერესოა მესამე თავი – შემოსვლა ალექსანდრესი [და მეფე ფარნავაზიანნი] (გვ. 17-24), მოკლედ გადმოგვცემს ანტიკურობასთან დაკავშირებული მონაკვეთების შინაარსს.

თხზულების მესამე წიგნში გადმოცემულია ამბავი ალექსანდრე მაკედონელის საქართველოში, კერძოდ, ქართლში ლაშქრობის შესახებ. ლეონტი მროველი მოგვითხრობს, რომ ალექსანდრემ დაიპყრო სრულიად ქართლი, ჰერეთი და ეგრისი და მის მცხოვრებლებს თავად ალექსანდრეს მიერ შექმნილი რელიგიის თაყვანისცემა უბრძანა. მემატიანის ცნობით, მის მიერ დაპყრობილი მიწების „პატრიკად“ ალექსანდრემ დაადგინა მისი ერთ-ერთი მაკედონელი ნათესავი აზო, რომელსაც „ჰრომიდან“ გადმოსახლებული ასი ათასი „ფროტატოსელი“ კაცი ჩააბარა. ამის შემდეგ ალექსანდრე გაემართა ეგვიტეში, სადაც დააფუძნა ქალაქი ალექსანდრია და მრავალი ლაშქრობის შემდეგ, მეთოთხმეტე წელს გარდაიცვალა. გარდაცვალებამდე მან თავის მხედართმთავრებს დაუნაწილა მის მიერ დაპყრობილი ქვეყნები, მათ შორის – საბერძნეთი და ქართლი, რომლის მმართველად დაადგინა ბიზანტიოსი და რომლის მორჩილებაც უბრძანა აზონს. ალექსანდრეს გარდაცვალების შემდეგ აზონმა უგულუბელყო ალექსანდრეს მიერ შექმნილი სარწმუნოება და დაიწყო კერპების თაყვანისცემა, შეავიწროვა როგორც ადგილობრივები, ისე „ჰრომაელნი“ და მათ შორის ყველაზე გამორჩეულები მოაკვლევინა. ამ დროს მცხეთაში ცხოვრობდა ერთი ქართველი ჭაბუკი, სახელად ფარნავაზი, მმისწული სამარისი, რომელიც ალექსანდრეს მოსვლის დროს მცხეთის მამასახლისი იყო. დედის რჩევით, რომელიც ასპანელი სპარსელი იყო, ფარნავაზი გაერიდა აზონს. ერთხელ ნადირობისას მან გამოქვაბულში აურაცხელი განძი აღმოაჩინა. ფარნავაზმა კავშირი შეკრა ეგრისის ერისთავ ქუჯისტან, ოსებთან და ლეკებთან, მათ შორის – აზონის მოძულე 1000 „ჰრომაელ“ მხედართან და ეგრისთან აზონის ჯარი სასტიკად დაამარცხა. აზონი გამაგრდა კლარჯეთის ციხეში. ფარნავაზმა ბიზანტიოსისგან მიიღო მფარველობა და განიმტკიცა ძალაუფლება ქართლში. ერთი წლის შემდეგ აზო ბერძნების დახმარებით კვლავ შეეცადა ბრძოლით დაებრუნებინა ძალაუფლება, მაგრამ დამარცხდა. უკანდახევისას აზონი მოკლულ იქნა. ფარნავაზმა მის სამფლობელოში დაასახლა მიმხრობილი „ჰრომაელი“ მხედრები და მათ აზნაურები უწოდა.

ჯერ კიდევ „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ში ნახსენები ისტორია ქართლის პირველი მეფის, აზოს შესახებ, რომელიც ლეონტი მროველმა გარკვეული სახეცვლილებით გადმოგვცა, არაერთი მეცნიერის შესწავლის საგანი გახდა.

კ. კეკელიძე მიიჩნევდა, რომ ალექსანდრე მაკედონელის ქართლში ლაშქრობის ამბავი ლეონტი მროველმა ამოიღო ფსევდოკალისტენეს პოპულარული რომანიდან „ალექსანდრიანი“.⁹⁷ ამ აზრს, როგორც ეს „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ის ტექსტის ანალიზისას ადრე ვახსენეთ, იზიარებდნენ: ს. კაკაბაძე,⁹⁸ პ. ინგოროყვა,⁹⁹ ს. ყაუხჩიშვილი,¹⁰⁰ გ. მამულია¹⁰¹ და გ. მელიქიშვილი.¹⁰²

გ. მელიქიშვილის აზრით, ლეონტი მროველმა ამ ამბავში გააერთიანა ორი ციკლი, რომელიც სხვა წყაროებიდან იყო ცნობილი. კერძოდ, მოვსეს ხორენაცის „სომეხთა ისტორიაში“ გადმოცემული ამბავი მიჰრდატის შესახებ (რაც აზოს ამბავს დაუკავშირა) და ფარნავაზის ისტორია. მკვლევრის აზრით, ეს ამბები „შესაძლოა, ადრე ერთმანეთის დამოუკიდებლად არსებობდნენ, ანდა იქნებ სულაც არიანეს და იბერიის სამეფოს წარმოქმნის შესახებ არსებული ერთი და იმავე ამბის იმ ვარიანტებს წარმოადგენდნენ, რომლებიც „მეფეთა ცხოვრების“ ავტორმა გვიანდელ ლიტერატურულ ვერსიაში გააერთიანა“.¹⁰³

გ. ქავთარაძე თვლის, რომ კავკასიასა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე ალექსანდრეს ლეგენდარული ლაშქრობის შესახებ ცნობების არსებობა ქართულ და სომხურ მატყანეებში ნაკარნახები იყო ადგილობრივ მმართველთა სურვილით, რომ საკუთარი მიზნები მაკედონელთა ინტერესებთან დაეკავშირებინათ და ამით განემტკიცებინათ ავტორიტეტი და ძალაუფლება. ამავდროულად, გ. ქავთარაძის აზრით, „ადგილობრივ მმართველთა ეს მისწრაფება, გარკვეულწილად, უნდა ემყარებოდეს წყაროებში, კერძოდ ფლავიუს არიანეს თხზულებაში „ალექსანდრეს ლაშქრობა“ დაცულ ინფორმაციასაც. ფლავიუს არიანეს ცნობით, ძვ.წ. 329/328 წ. „ხორაზმელების“ მეფე ფარსმანესი ალექსანდრეს ეახლა და შესთავაზა მას მოკავშირეობა მეზობლების – კოლხებისა და ამადონების წინააღმდეგ ბრძოლაში. ალექსანდრე მას დაჰპირდა, რომ აზიის დაპყრობისა და ჰელესპონტოსისა და პროპონტიდისის გავლით საბერძნეთში დაბრუნების შემდეგ იგი აუცილებლად შეიჭრებოდა პონტოში“ (67, XV, IV) – ე.კ.].¹⁰⁴

⁹⁷ კ. კეკელიძე. ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია. ტ. II. თბილისი, 1981, გვ. 255.

⁹⁸ ს. კაკაბაძე. ძველი ქართული მატყანეები. საისტორიო ძიებანი. ტფილისი, 1924, გვ. 132.

⁹⁹ პ. ინგოროყვა. რუსთაველის ეპოქის სალიტერატურო მემკვიდრეობა. რუსთაველის კრებული. ტფილისი, 1938 გვ. 59-60.

¹⁰⁰ ს. ყაუხჩიშვილი. ბერძნული ლიტერატურის ისტორია. I. თბილისი, 1949, გვ. 232.

¹⁰¹ გ. მამულია. კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს ჩამოყალიბება ძველ ქართლში. თბილისი, 1979, გვ. 152-153.

¹⁰² Г. А. Меликишвили. К истории древней Грузии. Тбилиси, 1959, гв. 38.

¹⁰³ Г. А. Меликишвили. К истории древней Грузии. Тбилиси, 1959, гв. 280.

¹⁰⁴ G. Kavtaradze. Probleme der historischen Geographie Anatoliens und Transkaukasiens, im ersten Jahrtausend v. Chr. (Caucasica). Orbis Terrarum, Internationale Zeitschrift für historische Geographie der Alten Welt. 2. Stuttgart, 1996, гв. 191-216.

ა. ბოსვორთის აზრით, [არიანესთან მოცემული – ე.კ.] ამბის პირველ გადმომცემს არ ეპარებოდა ეჭვი იმაში, რომ ალექსანდრეს ნამდვილად ჰქონდა იმის მისწრაფება, რომ დაემორჩილებინა შავიზღვისპირეთის მიმდებარე ტერიტორია. ეს, მისი აზრით, უკავშირდებოდა ძვ. წ. 328 წ. შემუშავებულ გეგმებს.¹⁰⁵

თ. ქემერტელიძის შეხედულებით, „არიან ქართლის“ ამბავი შესაძლოა ასახავდეს აქემენიდების სამეფოს XVIII სატრაპიის ერთ-ერთი მხარის მმართველის, ანდა XIX სატრაპიის გამგებლის, აზონის ისტორიას, რომელსაც ალექსანდრე მაკედონელმა XIX სატრაპიასთან ერთად ჩააბარა ჩრდილოეთით მდებარე ქვეყნის გამგეობა და ამ სახით ახალი სატრაპია – მცხეთისა (იბერიისა) ჩამოაყალიბა.¹⁰⁶

„აზონი მცხეთაში 24 წელი მეფობდა, და 301 წელს დიადოქოს ანტიგონეს მოკვლის შემდეგ წინა აზიის ზედამხედველობის უფლება მიენიჭა იქამდე თრაკიის გამგებელს ლისიმაქეს. ამ დროისათვის სელევკიმ უკან დაიბრუნა მესოპოტამიის გამგებლობა. ამ ცვლილებებმა გავლენა იქონია აზონის ბედზეც. კერძოდ 301 წელს მისი მფარველი ანტიგონეს მოკვლის შემდეგ აზონს აუჯანყდა მცხეთის მამასახლისის ძმისწული ფარნავაზი. მან ორწლიანი ბრძოლის შემდეგ მცხეთის ტახტი დაიჭირა, მას მხარს უჭერდა სელევკი, აზონს კი ლისიმაქე. გამარჯვების შემდეგ, როგორც ითქვა, ფარნავაზმა აზონის მამული ქვეყანა ანუ არიან-ქართლი დალაშქრა. რასაც მოსდევს, როგორც ჩანს, კლარჯეთის მმართველთა ხანმოკლე ბატონობა მცხეთაში, რომელიც ადგილობრივ წარჩინებულთა საგვარეულოს წარმომადგენელთა მმართველობის აღდგენით – ფარნავაზის გამეფებით მთავრდება“.¹⁰⁷

მართლაც, აზოს და ფარნავაზის დაპირისპირება შესაძლოა ასახავდეს ელინისტურ სამყაროში დიადოხოსთა ორი სხვადასხვა პოლიტიკური ჯგუფის დაპირისპირებას. ელინისტურ სივრცეში მიმდინარე პერმანენტული ომებისა და დაპირისპირებების ფონზე ორი დიდი ისტორიული მოვლენაა, რომელიც არსობრივად ცვლის ელინისტური სივრცის პოლიტიკურ გეოგრაფიას – იპსოსის ბრძოლა (ძვ.წ. 301 წ.) და კიროპედიონის ბრძოლა (ძვ.წ. 281 წ.). კიროპედიონის ბრძოლის თარიღი გარკვეულწილად თანხვდება ქართულ საისტორიო ტრადიციაში დამკვიდრებულ თარიღს ფარნავაზის მეფობის დაწყების შესახებ. ლოგიკურია დავუშვათ, რომ აზო შესაძლებელია ყოფილიყო ელინისტური სივრცის ნაწილი,

¹⁰⁵ A. B. Bosworth. From Arrian to Alexander. Studies in Historical Interpretation. Oxford, 1988, გვ. 192.

¹⁰⁶ თ. ქემერტელიძე. ქართლის იბერიის სამეფოს წარმოქმნის თარიღის შესახებ. საქართველოს ხელოვნების მუზეუმი ნარკვევები. ტ. VI. თბილისი, 2000, გვ. 31.

¹⁰⁷ თ. ქემერტელიძე. ქართლის იბერიის სამეფოს წარმოქმნის თარიღის შესახებ. საქართველოს ხელოვნების მუზეუმის ნარკვევები. ტ. VI. თბილისი, 2000, გვ. 37.

მაგალითად, დაკავშირებული იყო მცირე აზიის ელინისტურ მმართველებთან და მათი ვასალური მმართველის რანგში მართავდა ქართლს და მას უპირისპირდება ფარნავაზი, ადგილობრივი ელიტური ჯგუფების წარმომადგენელი, რომელიც „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით უკავშირდება ანტიოქოსს, სელევკიდების თანამმართველს ძვ.წ. 291 წლიდან და მის დამოუკიდებელ მმართველს ძვ.წ. 281 წლიდან. სელევკიდებთან ქართლის სამეფოს კონტაქტები სხვა ისტორიული წყაროებითაც დასტურდება.

ლეონტი მროველის თხზულების მესამე თავში ანტიკურობასთან დაკავშირებული ინფორმაცია სიღრმისეულ შესწავლას საჭიროებს, რისთვისაც დეტალურად განვიხილავ ტექსტის საყურადღებო პასაჟებს (ტერმინები და მონაკვეთები, რომელიც კომენტირებას საჭიროებს, ციტაციაში გამოყოფილია ჩემ მიერ).

1) „ესე ალექსანდრე გამოჩნდა ქუეყანასა საბერძნეთისასა, ქუეყანასა, რომელსა ჰქვან მაკედონი, ძე ნიკტანებისა, მეგვპტელისა, ვითარცა წერილ არს ამბავი მისი წიგნსა ბერძენთასა [...] შემდგომად ამისსა განძლიერდა ალექსანდრე და დაიპყრა ყოველი ქუეყანა, და აღმოვიდა ქუეყანასა ქართლისასა [...] დაიპყრა ალექსანდრე ყოველი ქართლი [...] და დაუტევა [ალექსანდრე მაკედონელმა – ე.კ.] მათ ზედა პატრიკად სახელად აზონ ძე იერედოსისი, ნათესავი მისი ქუეყანით მაკედონით და მისცა ასი ათასი კაცი ქუეყანით ჰრომით, რომელსა ჰქვან ფროტათოს. ეს ფროტათოსელნი იყვნეს კაცნი ძლიერნი და მკნენი, და ეკირთებოდეს ქუეყანასა ჰრომისასა. და მოიყვანნა ქათლად, მისცა აზონ პატრიკსა და დაუტევა ქართლს ერისთავად აზონ, და მის თანა სპანი იგი, მპყრობელად ქართლისა“.¹⁰⁸

ა) ძე ნიკტანებისა, მეგვპტელისა; წიგნსა ბერძენთასა

ქართულ ისტორიოგრაფიაში სამართლიანადაა აღნიშნული, რომ „ბერძენთა წიგნი“ არის ფსევდოკალისტენეს პოპულარული თხზულება „ალექსანდრეს რომანი“ ანუ „ალექსანდრიანი“ (იხ. ზემოთ). „ალექსანდრიანის“ რედაქციების ანალიზის საფუძველზე დადგენილია, რომ ზემოთ მოტანილი ფრაზა, სადაც აღნიშნულია, რომ ალექსანდრე მაკედონელი იყო ეგვიპტის ფარაონ ნიკტანების (ნიკტანაფ II – ძვ.წ. 358-341 წწ.) ძე, „ალექსანდრეს რომანის“ ყველა რედაქციისათვისაა დამახასიათებელი და მასზე დაყრდნობით ერთი რომელიმე კონკრეტული რედაქციის გამოყოფა არ ხერხდება.¹⁰⁹

ბ) პატრიკი

¹⁰⁸ ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. I. თბილისი, 1955, გვ. 16-17.

¹⁰⁹ ვ. ვაშაკიძე. „მეფეთა ცხოვრება“ და „ბერძნული ალექსანდრიანი“. საისტორიო-წყარომცოდნეობითი ძიებანი. 2014, გვ. 65.

რ. თომსონი, რომელიც, დიდი ალბათობით, ემყარება ბერძნულ სიტყვას πατριქიძე, „პატრიკს“ თარგმნის როგორც „პატრიციუსს“.¹¹⁰ დაახლოებით ამავე აზრისაა გ. ქავთარაძე, რომელიც ლეონტი მროველის ამ პასაჟს აღიქვამს, როგორც რომის იმპერიის ხანის მონათხრობს.¹¹¹ ჩემი აზრით, ასევე შესაძლებელია, რომ ამ კონტექსტში გავითვალისწინოთ სიტყვა πατριკიძე „მამისა, მემკვიდრეობის უფლების მქონე, მამის მსგავსი“,¹¹² რადგან, როგორც ეს ტექსტის მომდევნო პასაჟებიდან ირკვევა, ქართლში დამკვიდრებული იყო ტერმინი „მამასახლისი“ („და იყო იგი ძმისწული სამარისი, რომელი მოსლვასა მას ალექსანდრესსა მცხეთელი მამასახლისი ყოფილიყო“¹¹³), რომლის ბერძნულ შესატყვისად, გარკვეულწილად, შეიძლება აღვიქვათ πατριკიძე.

გ) აზონ, ფროტატოს, ფროტატოსელნი

სახელების „აზონი“-ს და ასევე „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ში ნახსენები „აზო“-ს წარმომავლობასთან დაკავშირებით, დ. ბრონდი და მის კვალდაკვალ გ. ქანთარია და მ. სანაძე მიიჩნევენ, რომ აზო/აზონი კავშირშია არგონავტების მითის იაზონთან;¹¹⁴ ს. რეპი აზუსტებს, რომ აზოდ/აზონი შესაძლოა ბერძნული იაზონის ადგილობრივი შერყვნილი სახესხვაობა იყოს.¹¹⁵

რაც შეეხება ლეონტი მროველთან ნახსენებ ამბავს ფროტატოსელი ჯარისკაცების შესახებ, გ. მელიქიშვილი თვლის, რომ „ეს ამბავი აზონის მიერ წამოყვანილი რომაელი ჯარისკაცების შესახებ მთლიანად იყო გამოგონილი მემატთანეს მიერ და დამატებული „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ის სიუჟეტზე ქართველთა პირველი მეფის აზოს შესახებ“.¹¹⁶

გ. ქავთარაძის აზრით, „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ის აზოს პიროვნების მორგების საჭიროებამ „მეფეთა ცხოვრების“ კონცეფციასთან ქართველთა ავტოქთონობასა და მათი პირველი, ადგილობრივი მეფის ფარნავაზის შესახებ „მეფეთა ცხოვრების“

¹¹⁰ R. W. Thomson. *Rewriting Caucasian History. The Medieval Armenian Adaptation of the Georgian Chronicles. The Original Georgian Texts and the Armenian Adaptation.* Translated with introduction and commentary by R. W. Thomson. Oxford, 1996, გვ. 25.

¹¹¹ გ. ქავთარაძე. „არიან-ქართლის“ საკითხისათვის. ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის შრომები. IX. 2009, გვ. 45.

¹¹² A Greek-English Lexicon. Compiled by H. G. Liddell and R. Scott. A New Edition Revised and Augmented throughout by Sir H. S. Jones. Oxford, 1961.

¹¹³ ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. I. თბილისი, 1955, გვ. 20.

¹¹⁴ D. Braund. *Georgia in Antiquity. A History of Colchis and Transcaucasian Iberia, 500 BC – AC 562.* Oxford, 1994, გვ. 114; გ. ქანთარია. აზონი. თბილისი, 2000; მ. სანაძე. „ქართლის ცხოვრება“ და საქართველოს ისტორიის უძველესი პერიოდი (ქართლოსიდან მირიანამდე). თბილისი, 2001, გვ. 38-41.

¹¹⁵ S. H. Rapp. Jr. *Studies in Medieval Georgian Historiography: Early Texts and Eurasian Contexts.* Corpus Scriptorum Christianorum Orientalium. Vol. 601, subsidia, Vol. 113. Louvain, 2003, გვ. 270-271.

¹¹⁶ Г. А. Меликишвили. К истории древней Грузии. Тбилиси, 1959, гв. 280.

ავტორი (თუ რედაქტორი) აიძულა აზო „მაკედონელი“ აზონით, ხოლო აზოს თანამემამულეები [...] აზონის თანმხლები „რომაელი ჯარისკაცებით“, „ფროტათოსელებით“ შეეცვალა“.¹¹⁷

ი. გაგოშიძის შეხედულებით, ტერმინი [ფროტათოსელნი – ე.კ.] შესაძლოა მომდინარეობდეს ბერძნული *πρότατοις*-იდან, რაც „დაწინაურებულს“, წინა ხაზზე მდგომს ნიშნავს. მაგრამ „მეფეთა ცხოვრების“ ავტორმა იგი მნიშვნელობის გარეშე გამოიყენა.¹¹⁸

გ. ლორთქიფანიძე მიიჩნევს, რომ ფროტათოსელნი შეიძლება უკავშირდებოდეს ბერძნულ სიტყვას *πρό-τασις* / *προ-τάσσω*, რომელიც გამოყენებული იყო ალექსანდრე დიდის დროინდელი სამხედრო კორპუსის აღმნიშვნელად.¹¹⁹

გ. ქავთარაძე ტექსტის ამ მონაკვეთის ანალიზისას წერს: „ერთი შეხედვით, ტექსტში აშკარა წინააღმდეგობაა. რომაული ქვეყნის, ფროტათოს მოსახლეობა ფროტათოსელნი იგივე ჰრომნი ალექსანდრე მაკედონელის ქვეყანაში ავიწროებენ რომს. ეს წინააღმდეგობა ადვილი ასახსნელია, თუ დავუშვებთ, რომ „მეფეთა ცხოვრებაში“ ან იმ ტექსტში, რომლისგანაც არის დასესხებული მოცემულ შემთხვევაში ეს თხზულება, საუბარია არა ალექსანდრე დიდის, არამედ რომის იმპერიის ხანაზე“.¹²⁰ ამ მსჯელობის საფუძველზე გ. ქავთარაძე ტერმინს „ფროტათოსელნი“ უკავშირებს ვესპასიანეს ხანის მთავარსარდლის, ჰირიუს ფრონტოს სახელს. მისი აზრით, ეს ტერმინი თავდაპირველად აღნიშნავდა ჰირიუს ფრონტოს ხელქვეით მყოფ სამხედრო ერთეულს და შემდგომში (ჯერ კიდევ „მეფეთა ცხოვრების“ შედგენამდე) გაგებული იყო როგორც ბერძნული სიტყვა *προ-τάττω* „ადგილი ან პოსტი რაიმეს წინ“.¹²¹

როგორც ვხედავთ, ტექსტის ამ მონაკვეთის შესახებ ურთიერთსაწინააღმდეგო თვალსაზრისები არსებობს. სანამ ჩემს დაკვირვებას შემოგთავაზებთ, უნდა აღინიშნოს, რომ ბუნებრივია, არ ვამტკიცებ ლეონტი მროველის თხზულებაში დაცული ცნობის უტყუარობას, რაც, ცხადია, სათუთა, განსაკუთრებით ალექსანდრე მაკედონელის ქართლში ლაშქრობისა და 100 000 „ფროტათოსელის“ გადმოსახლების

¹¹⁷ გ. ქავთარაძე. „არიან-ქართლის“ საკითხისათვის. ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის შრომები. IX. 2009, გვ. 41.

¹¹⁸ Ю. М. Гагошидзе. Самадло, археологические раскопки. Тбилиси, 1979, გვ. 97.

¹¹⁹ Г. Лордкипанидзе. Проблемы войны и мира в Античной Грузии (VI-V вв до н. э.). Caucasica. The journal of Caucasian Studies. Vol. 2, 1998, გვ. 160.

¹²⁰ გ. ქავთარაძე. „არიან-ქართლის“ საკითხისათვის. ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის შრომები. IX. 2009, გვ. 41.

¹²¹ გ. ქავთარაძე. „არიან-ქართლის“ საკითხისათვის. ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის შრომები. IX. 2009, გვ. 45.

შესახებ,¹²² ჩემი კომენტარით ვცდილობ, გავერკვე მწერლის ლოგიკაში და მოვიყვანო მისი სათქმელი ისტორიულ რეალობასთან მეტ-ნაკლებ თანხმობაში.

თავდაპირველად ყურადღება უნდა მიექცეს ლეონტი მროველის ტექსტში დადასტურებული ზოგიერთი ეთნიკური და გეოგრაფიული სახელის იდენტიფიკაციის საკითხს. თუკი „მაკედონელი“, „მაკედონი“, „საბერძნეთი“ სრულიად გასაგებია მკითხველისთვის, სახელები: „ჰრომი“ და „ჰრომაელები“ მკვლევართა მიერ არაერთგვაროვნადაა განმარტებული. „ჰრომი“ და „ჰრომაელები“ რომ ამ კონტექსტში „რომს“ და „რომაელებს“ არ აღნიშნავს,¹²³ გასაგებია, მეტი ალბათობით აქ „ჰრომი“ და „ჰრომაელები“ უნდა გავიგოთ როგორც „საბერძნეთი“ და „ბერძნები“.¹²⁴ თუმცა, ჩემი აზრით, არც ისაა გამორიცხული, რომ „ჰრომი“ ამ კონტექსტში გავიგოთ როგორც მაკედონიის სამეფოს მიერ დაპყრობილი ტერიტორიების საერთო სახელწოდება (ალექსანდრე მაკედონელის იმპერია), რომლის პარალელურად არსებობს „მაკედონია“ და „საბერძნეთი“ როგორც ამ ტერიტორიის ცალკეული რეგიონები.

შესაბამისად, ჩემი ვარაუდით, მოცემული ეპიზოდი ლეონტი მროველის თხზულებიდან „ცხოვრება ქართუელთა მეფეთა და პირველთაგანთა მამათა და ნათესავთა“ აზონისა და ფროტატოსელი ჯარისკაცების მოხსენიებით ასე შეიძლება გავიგოთ: ქართლის მმართველად დაინიშნა თესალიელ¹²⁵ (ფთიოტისელ) ცხენოსანთა რაზმის ხელმძღვანელი და დიდი ალბათობით, თესალიის წარჩინებულთა დინასტიის წარმომადგენელი, სახელად იასონი/ იაზონი.

ამ თვალსაზრისის დასასაბუთებლად მომყავს შემდეგი არგუმენტები:

- თესალია, რომელსაც ჩრდილოეთიდან მაკედონია ესაზღვრებოდა, ძვ.წ. IV საუკუნიდან, ერთგვარი პირობითი დამოუკიდებლობის მიუხედავად,

¹²² დიდი ალბათობით ასი ათასის ნაცვლად აქ უნდა იყოს „ათასი“, როგორც ეს ტექსტში სხვაგან გვხვდება „მაშინ ათასი მკედარი რჩეული ჰრომთა მათგანი, რომელთა ბოროტი წაჰკიდებოდა აზონისაგან, განუდგეს აზონს და მივიდეს წინაშე ფარნავაზისა“ (ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. I. თბილისი, 1955, გვ. 23).

¹²³ ძველი ქართული ენის შეერთებული ლექსიკონი: 16800 სიტყვა. შედგენილია ილ. აბულაძის, აკ. შანიძის, ივ. იმნაიშვილისა და სხვა ავტორთა ლექსიკონური წყაროების მიხედვით. შემდგ.: გრ. რუხაძე; რედ.: გ. კოპლატაძე. დაიბეჭდა სრ. საქ. კათოლიკოს-პატრიარქის ილია II ლოცვა-კურთხევით. თბილისი, 2008, გვ. 452. ხელმისაწვდომია ონლაინ:

<http://www.nplg.gov.ge/saskolo/index.php?a=list&d=44&t=dict&w1=%E1%83%B0&w2=%E1%83%A0> ბოლო ნახვა: 18.05.2024.

¹²⁴ გრ. რუხაძე. საღმრთისმეტყველო ლექსიკონი-ცნობარი. მე-2 გამოცემა. რედ.: გ. კოპლატაძე. თბილისი, 2013, გვ. 340. ხელმისაწვდომია ონლაინ:

<http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=45&t=1998> ბოლო ნახვა: 18.05.2024.

¹²⁵ „თესალიელი“ ფორმით „თეტალოელი“ ცნობილია „ელინთა ზღაპრობანისთვის“ – ილ. აბულაძე. „ელინთა ზღაპრობანი“. ენიმკის მოამბე. X. 1941, გვ. 43.

მაკედონიის შემადგენლობაში შედიოდა; „თესალიელთა ლიგის“ ქვეყანა მუდმივად რჩებოდა ე.წ. „ფეთქებად“ რეგიონად, სადაც ხშირი იყო ანტიმაკედონული გამოსვლები, დინასტიური ბრძოლები და სამხედრო დაპირისპირებები,¹²⁶ რასაც უნდა ასახავდეს ფრაზა: „ეკირთებოდეს ქუეყანასა ჰრომისასა“;

- თესალიელები ცნობილნი იყვნენ ცხენოსნობით¹²⁷, საბრძოლო თვისებებით და მათ მხედრობას მაკედონელ მეფეთა, განსაკუთრებით – ფილიპე და ალექსანდრე მაკედონელების არმიაში დაწინაურებული და მნიშვნელოვანი როლი ეკისრებოდათ¹²⁸ (შდრ. „ფროტათოსელნი იყვნეს კაცნი ძლიერნი და მჭნენი“). ამის მიზეზი, უპირველეს ყოვლისა, იყო ის ფაქტი, რომ თესალიელთა მხედრობას არისტოკრატთა წარმომადგენლები შეადგენდნენ.¹²⁹

- მაკედონიის მეფეები ცდილობდნენ დამოყვრებოდნენ თესალიელ დიდებულებს, ცნობილია, რომ ფილიპემ ცოლად შეირთო თესალიური სამეფო საგვარეულოს – ალეუადების წარმომადგენელი ფილინა¹³⁰ (შდრ. „აზონ მე იერედოსისი, ნათესავი მისი ქუეყანით მაკედონით“).

- თესალიაში, გასაგები მიზეზების გამო (აქ იგულისხმება არგონავტების მითის მთავარი პერსონაჟი, თესალიის იოლკოსის მეფისწული იასონი) საკმაოდ გავრცელებული იყო სახელი იასონი/იაზონი, რომელიც თესალიის არაერთ მმართველს ერქვა, მათ შორის – წყაროებიდან ცნობილ იაზონ თერელს, რომელსაც მიეწერება თესალიური მხედრობის განსაკუთრებული ტაქტიკის შემოღება.¹³¹

- თესალია ოთხი ოლქისგან შედგებოდა: თესალიოტისი, ჰესტიაიოტისი, პელასგიოტისი და ფთიოტისი (Φθιώτις).¹³² ამ უკანასკნელის მკვიდრები, ბუნებრივია, იყვნენ ფთიოტისელნი (შდრ. **ფროტათოსელნი**). ფთიოტისელნი

¹²⁶ Dictionary of Greek and Roman geography. Ed. by William Smyth. in two volumes. Vol. 2. London, 1851, გვ. 1168-1169; R. A. Gabriel. Philip II of Macedonia: Greater Than Alexander. Washington, D.C, 2010, გვ. 13, გვ. 199.

¹²⁷ ალექსანდრეს ცნობილი ცხენი ბუკეფალოსი (ბუცეფალი) სწორედ თესალიური თავლებიდან იყო - Ar. An. 5.19.

¹²⁸ J. R. Ashley. The Macedonian Empire: The Era of Warfare Under Philip II and Alexander the Great, 359-323 B.C. 2004, გვ. 31.

¹²⁹ R. Strootman. Alexander's Thessalian Cavalry. Talanta. Proceedings of the Dutch Archaeological and Historical Society. Vol. XLII-XLIII (2010-2011), 2012, გვ. 66.

¹³⁰ R. Strootman. Alexander's Thessalian Cavalry. Talanta. Proceedings of the Dutch Archaeological and Historical Society. Vol. XLII-XLIII (2010-2011), 2012, გვ. 54.

¹³¹ J. E. Lendon. Soldiers and Ghosts: A History of Battle in Classical Antiquity. 2006, გვ. 98-106.

¹³² R. Strootman. Alexander's Thessalian Cavalry. Talanta. Proceedings of the Dutch Archaeological and Historical Society. Vol. XLII-XLIII (2010-2011), 2012, გვ. 53.

ალექსანდრესთვის, ცხადია, მეტად იყვნენ ღირებულნი, რადგან მისი იდეალური გმირი, მითიური აქილევსი, სწორედ ფთიოტიკიდან იყო.

• ქართლში მოსულ ფროტატოსელთა დიდი ნაწილი რომ სწორედ მხედრები იყვნენ, დასტურდება ამავე ნაწარმოების მომდევნო პასაჟიდან: „მაშინ ათასი მჭედარი რჩეული ჰრომთა მათგანი, რომელთა ბოროტი წაჰკიდებოდა აზონისაგან, განუდგეს აზონს და მივიდეს წინაშე ფარნავაზისა“.¹³³

რამ გამოიწვია „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ში ნახსენები „არიან-ქართლის“ მეფისწულის ტრანსფორმაცია ალექსანდრე მაკედონელის მხედართმთავარ აზონად?

მ. სანაძის აზრით, „ქართლის ცხოვრების“ ავტორმა „ქართველთა მოსვლა სამხრეთიდან დანარჩენ შვიდ „მმასთან“ ერთად, როგორც ვნახეთ, ქართლოსს დაუკავშირა. ამიტომ აზო ქართველთა მოსვლის სიუჟეტიდან ამოვარდა. ის მოსულ სასტიკ მტრად იქცა და თანდათან მისი სახელი იაზონთან გაიგივების გამო ირანული სამყაროდან (არიან-ქართლი, მამა იარედი) ბერძნულ სამყაროს დაუკავშირდა, ალექსანდრე მაკედონელის მიერ ქართლში დანიშნულ „პატრიკად“ იქცა.“¹³⁴

ამას, მკვლევრის აზრით, უნდა ასახავდეს სტრაბონის ცნობა სომხეთის ისტორიის შესახებ, სადაც ვკითხულობთ: „არმენოსმა არმენიონიდან, თესალიის ქალაქიდან... ილაშქრა იაზონთან ერთად არმენიაში... ამ ვაჟკაცებმა კი ალექსანდრესთან ერთად ილაშქრეს“.¹³⁵

შესაბამისად, თუ ამ თვალსაზრისს დავეყრდნობით, თხზულებაში საჭირო გახდა ბერძენი მხედართმთავრისთვის შესაბამისი „ანტურაჟის“ შექმნა, რისთვისაც გამოყენებული იყვნენ „ფროტატოსელი“ მხედრები, რომლებიც, ჩემი აზრით, ალექსანდრე მაკედონელის თესალიელ, ფთიოტიკელ ცხენოსნებს განასახიერებენ, ხოლო სახელი „აზონი“ ბუნებრივად ჯდება თესალიელ მმართველთა ტიპურ საკუთარ სახელთა ნუსხაში.

2) „და უბრძანა ალექსანდრე აზონს, რათა პატივსცემდნენ მზესა და მთოვარესა და ვარსკულავთა ხუთთა, და ჰმსახურებდეს ღმერთსა უხილავსა, დამბადებელსა ყოვლისასა რამეთუ მას ჟამსა არა იყო წინასწარმეტყუელი და მოძღუარი სჯულისა

¹³³ ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. I. თბილისი, 1955, გვ. 23.

¹³⁴ მ. სანაძე. „ქართლის ცხოვრება“ და საქართველოს ისტორიის უძველესი პერიოდი (ქართლოსიდან მირიანამდე). თბილისი, 2001, გვ. 38.

¹³⁵ თ. ყაუხჩიშვილი. სტრაბონის გეოგრაფია: ცნობები საქართველოს შესახებ. თბილისი, 1957, გვ. 193.

ქეშმარიტისა, არამედ თვით მოიგონა სჯული ესე ალექსანდრე, მეფობასა შინა მისსა ყოველსა ქუეყანასა სჯული ესე დაუდვა და წარვიდა ალექსანდრე“.¹³⁶

ტექსტის ამ მონაკვეთში ნახსენებია რელიგია, რომელიც, ლეონტი მროველის თქმით, თავად ალექსანდრემ გამოიგონა და გულისხმობდა მზისა და მთვარის, ხუთი ვარსკვლავის, უხილავი, შემოქმედის ღმერთის თაყვანისცემას.

საყურადღებოა, რომ ეს ცნობა არსად გვხვდება „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ის იმ მონაკვეთში, სადაც გადმოცემულია ალექსანდრეს ქართლში ლაშქრობის ეპიზოდი, თუმცა ქართლში მზის, მთვარის და ხუთი ვარსკვლავის თაყვანისცემის შესახებ ინფორმაცია ლეონტი მროველის ამ თხზულების მეორე წიგნშიც ჩანს, სადაც ნათქვამია: „იქმნეს მსახურ მზისა და მთოვარისა და ვარსკულავთა ხუთთა“.¹³⁷ რაც შეეხება უხილავი, შემოქმედი ღმერთის თაყვანისცემას, რომელიც ალექსანდრემ თავად გამოიგონა, ეს ცნობა ემყარება „ალექსანდრეს რომანის“ იმ ეპიზოდს, სადაც საუბარია ალექსანდრეს მიერ იერუსალიმში ყოფნაზე. ალექსანდრემ, რომანის მიხედვით, ებრაელთა ღმერთის თაყვანისცემა მიიღო და უარყო ყველა დანარჩენი ღმერთი.¹³⁸

აღსანიშნავია, რომ „ალექსანდრიანის“ რედაქციების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ ლეონტი მროველის „მეფეთა ცხოვრების“ ის ეპიზოდები, სადაც მოთხრობილია მაკედონელის სიკვდილის ამბავი და მისი გარდაცვალებისა შემდგომი მოვლენები, ამოღებულია ე.წ. γ (გამა) რედაქციიდან, რომელიც დათარიღებულია VII-VIII საუკუნეებით.¹³⁹

უცნობი ავტორი, „ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი“

თხზულება, მეცნიერთა უმეტესობის ვარაუდით, დაწერილია 1130-იან წლებში¹⁴⁰ და ასახავს დავით IV აღმაშენებლის (1089-1125) ცხოვრების და მოღვაწეობის

¹³⁶ ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. I. თბილისი, 1955, გვ. 18.

¹³⁷ ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. I. თბილისი, 1955, გვ. 19.

¹³⁸ ამასთან დაკავშირებით იხ. ვ. ვაშაკიძე. „მეფეთა ცხოვრება“ და „ბერძნული ალექსანდრიანი“. საისტორიო-წყაროთმცოდნეობითი ძიებანი. 2014, გვ. 67.

¹³⁹ ვ. ვაშაკიძე. „მეფეთა ცხოვრება“ და „ბერძნული ალექსანდრიანი“. საისტორიო-წყაროთმცოდნეობითი ძიებანი. 2014, გვ. 67.

¹⁴⁰ ჯ. ოდიშელი. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის ვინაობის საკითხისათვის. ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე. V. 1963, გვ. 211-220; ა. ზოგვერაძე. დავით აღმაშენებლის ისტორიის თარიღისა და

ცალკეულ ეპიზოდებს, კერძოდ – 1080-1125 წლების ამბებს. ნაწარმოებში მოთხრობილია დავით აღმაშენებლის მიერ გატარებული სამხედრო, პოლიტიკური და რელიგიური რეფორმების შესახებ.

თხზულების ავტორი უცნობია, თუმცა პოპულარულია ვარაუდი, რომ იგი არის არსენ ბერი,¹⁴¹ რომელიც იყო XI-XII საუკუნის საეკლესიო მოღვაწე, დავით აღმაშენებლის მოძღვარი, შიომღვიმის ლავრის აღმშენებელი და მწერალი. მას მიეწერება დავით აღმაშენებლის ხოტბა „მეფესა დავითს მონაზონი არსენი“, რუის-ურბნისის კრების ძეგლისწერისა და დავით აღმაშენებლის ორი ანდერძის შედგენა, ნინოს ცხოვრების მეტაფრასული რედაქცია და ანდრია კრიტელის დიდი კანონის თარგმანი.

არსებობს თვალსაზრისი, რომ არსენ ბერი არის არსენ იყალთოელი¹⁴² – XI-XII საუკუნეების სასულიერო მოღვაწე, მიქაელ ფსელოსის და იოანე ნომოფილასის მოსწავლე მანგანის აკადემიაში, ცნობილი ფილოსოფოსი, მწერალი და პოეტი-ჰიმნოგრაფი. ზოგიერთ მკვლევარს ავტორად მიაჩნია იოანე კათალიკოსი ან სვიმონ ჭყონდიდელი.¹⁴³

ივ. ჯავახიშვილის განმარტებით, „დავითის ისტორიკოსს ახასიათებს შესანიშნავი ენა, ოდნავი გატაცება რიტორიკით და მის ცნობებს კი – სრული ჭეშმარიტება“.¹⁴⁴

რ. მეტრეველი აღნიშნავს, რომ „ქართლის ცხოვრების“ ავტორთა შორის სანიმუშოდაა მიჩნეული დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, ფრიად განსწავლული პიროვნება, დასავლეთისა და აღმოსავლეთის კულტურების კარგი მცოდნე. მას მემკვიდრის მოვალეობა ფრიად საპასუხისმგებლო საქმედ მიაჩნია და თვლის, რომ ამა თუ იმ მოვლენის ან პიროვნების მოღვაწეობის სრულყოფილად ასახვისთვის აუცილებელია „რიტორიკის“ მაღალი ხელოვნება, ე.ი. უნარი მასალის მწყობრი, მართებული გადმოცემისა. ამასთან, იგი მემკვიდრესგან მოითხოვს, არ გააზვიადონ („განავრცელონ“) რაიმე ამბავი და ნივთი საქმეთანი (არსებული მასალა) არ

ხასიათის შესახებ. ქართული ისტორიოგრაფია. II. 1971, გვ. 70-83; კ. კეკელიძე მიიჩნევს, რომ ნაწარმოები შექმნილია 1123-1126 წლებში (კ. კეკელიძე. ქართული ლიტერატურის ისტორია. ტ. I. თბილისი, 1951, გვ. 290).

¹⁴¹ ს. კაკაბაძე. დავით აღმაშენებლის მემკვიდრის ვინაობა. ტფილისი, 1913; კ. კეკელიძე. ქართული ლიტერატურის ისტორია. ტ. I. თბილისი, 1951, გვ. 290.

¹⁴² კ. გრიგოლია. არსენ ბერი. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. ტ. 1. თბილისი, 1975, გვ. 585.

¹⁴³ თ. ჟორდანიას. ქრონიკები. I. თბილისი, 2004, გვ. XLV და შმდგ.

¹⁴⁴ ივ. ჯავახიშვილი. ძველი ქართული საისტორიო მწერლობა. თბილისი, 1916, გვ. 152-165.

დაამახინჯონ“.¹⁴⁵ რ. მეტრეველის თქმით, „ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი“ „დაწერილია კარგი ქართულით, მხატვრულად, დიდი გულწრფელობით. იგი მრავალ მნიშვნელოვან ქრონოლოგიურ ცნობას შეიცავს, რომელთა სანდოობა სხვა წყაროებთან შეჯერებით მტკიცდება. ყოველივე ეს ამ მატთანეს საქართველოს ისტორიის პირველხარისხიანი წყაროს მნიშვნელობას ანიჭებს“¹⁴⁶.

ისტორიკოსთა შორის დავით აღმაშენებლის მემატთანე გამორჩეულია ერუდიციითა და კეთილსინდისიერებით. იგი შესანიშნავად იცნობს როგორც აღმოსავლეთის, ისე დასავლეთის კულტურებს, ხშირად იმოწმებს ისტორიულ და ლიტერატურულ წყაროებს.

ივ. ჯავახიშვილი ასე აფასებდა დავით აღმაშენებლის ისტორიკოსს: „ებრაელების ისტორია იქნებოდა თუ ქრისტიანობის, ძველი წარმართ ბერძნებისა და სპარსელების ისტორია იქნებოდა, ჩვენი ავტორისათვის სულერთი – მას სრულებით თავისუფლად მოჰყავს ყველა ხალხების და მეფეების ცხოვრების მაგალითები და საქართველოს მდგომარეობისა და საქართველოს მეფის მოღვაწეობას იმ მაგალითებს ადარებს“.¹⁴⁷

ანტიკურობის შესახებ ინფორმაცია და მისი რეცეფცია თხზულების არაერთ პასაჟში გვხვდება.

1) „სხუად ათინად“

დავით აღმაშენებლის ღვთის სადიდებელ საქმეთა აღწერის დროს ისტორიკოსი მიუთითებს, რომ მეფემ ღვთისმშობლის სამსახურისთვის ლიპარიტეთის მამული გადასცა ასაშენებლად გელათის მონასტრისა, რომელიც წარმოადგენს სარწმუნოებრივი მნიშვნელობით მთელი აღმოსავლეთის მეორე იერუსალიმს, ხოლო საგანმანათლებლო თვალსაზრისით არის სხვა („სხუა“) ათენი, რომელსაც გელათი აღემატება საღმრთო მსახურებით და საეკლესიო სწავლულებით:

„და მამული ლიპარიტეთი უმკვდროდ დარჩომილ იყო, არამედ სხუათა მრავალთა და სამართლიანთა უსარჩლელ-მიუხუეჭელთა სოფელთა თანა მისცნა დედასა ღმრთისასა სამსახურებელად მისსა წინაშე მდგომელთა მისთათვის. უზრუნველი ტრაპეზი განუჩინა, რომელიცა აწ წინამდებარე არს ყოვლისა

¹⁴⁵ ქართლის ცხოვრება. მთ. რედ.: რ. მეტრეველი, სარედაქციო კოლეგია: მ. აბაშიძე, გ. ალასანია, ზ. ალექსიძე, თ. გამყრელიძე, გ. კარტოზია, მ. ლორთქიფანიძე, დ. მუსხელიშვილი, † ზ. სარჯველაძე, მ. ქავთარია, ც. ქურციკიძე, მ. შანიძე, ელ. ცაგარეიშვილი, † ედ. ხოშტარია-ბროსე. თბილისი 2008, გვ. 21.

¹⁴⁶ ქართლის ცხოვრება. მთ. რედ.: რ. მეტრეველი, სარედაქციო კოლეგია: მ. აბაშიძე, გ. ალასანია, ზ. ალექსიძე, თ. გამყრელიძე, გ. კარტოზია, მ. ლორთქიფანიძე, დ. მუსხელიშვილი, † ზ. სარჯველაძე, მ. ქავთარია, ც. ქურციკიძე, მ. შანიძე, ელ. ცაგარეიშვილი, † ედ. ხოშტარია-ბროსე. თბილისი 2008, გვ. 21.

¹⁴⁷ ივ. ჯავახიშვილი. ძველი ქართული საისტორიო მწერლობა. თბილისი, 1916, გვ. 163-164.

აღმოსავალისა მეორედ იერუსალემად, სასწავლოდ ყოვლისა კეთილისად, მოძღურად სწავლულებისად, **სხუად ათინად**, ფრიად უაღრეს მისსა საღმრთოთა შინა წესსა, დიაკონად ყოვლისა საეკლესიო შუენიერებისად. ხოლო სახელი მისი – გელათი“.¹⁴⁸

თ. ყაუხჩიშვილი ტექსტის ამ მონაკვეთთან დაკავშირებით განმარტავს: „ათენი ერთგან ავტორისათვის სინონიმია სწავლულების კერისა[...] მართალია ამ ნაწყვეტიდან არ ჩანს, თუ რა დროის ათენზეა ლაპარაკი, ისტორიკოსის დროინდელზე, თუ ადრინდელზე. მაგრამ ჩვენ ვფიქრობთ, რომ მაინც ადრინდელზე – ათენის დიდება (არა მხოლოდ პოლიტიკური, არამედ კულტურული) სწორედ კლასიკურ, ანტიკურ ხანაშია. კლასიკური ხანის მერე ათენის მნიშვნელობა მაინც დიდია, მაგრამ ასეთი ცენტრები სხვაც ჩნდება ელინისტურ სამყაროში (ალექსანდრია, ანტიოქია, პერგამონი...). როგორც იერუსალიმს აქვს ქრისტიანობისათვის ისეთი მნიშვნელობა, როგორც არა აქვს არცერთ ქალაქს, ასევე კლასიკური ხანის ათენი ისაა იმ მეცნიერებებისათვის, რომელიც შემდეგი ხანის ცივილიზებულ სამყაროში ისწავლებოდა, ვითარდებოდა, რაც, როგორც ჩანს, დავით აღმაშენებლის ისტორიკოსისათვის კარგადაა ცნობილი“.¹⁴⁹

თ. ყაუხჩიშვილის თვალსაზრისის გასამყარებლად იმასაც დავამატებდი, რომ გელათის დახასიათებისას დავითის ისტორიკოსი არ აცხადებს გელათს მეორე ათენად, როგორც ეს იერუსალიმის შემთხვევაშია, არამედ **„სხუად ათინად“**, რაც ისე უნდა გავიგოთ, რომ, მართალია, გელათის აკადემია განათლების დონით უტოლდებოდა ათენს, მაგრამ ამავდროულად, არ შეიძლებოდა მთლიანად გაიგივებულიყო მასთან. ათენისგან განსხვავებით, გელათი შეიქმნა **„სასწავლოდ ყოვლისა კეთილისად“**, რაც განმარტებულია როგორც საეკლესიო სწავლების სიკეთე. სწორედ ამ უკანასკნელით გელათი ათენს ბევრად აღემატება (**„ფრიად უაღრეს მისსა“**), რომელიც ამ სიკეთეს მოკლებული იყო. შესაბამისად, აქ ნამდვილად იხსენიება ანტიკური ხანის ათენი, რომელიც განათლების მაღალი დონის მიუხედავად, გასაგები მიზეზების გამო, არ შეიძლება ყოფილიყო ქრისტიანული საეკლესიო სწავლების ცენტრი.

ჩვენი აზრით, ასევე საყურადღებოა, რომ ციტატა გარკვევით ცხადყოფს, რომ გელათის აკადემიაში ინტენსიურად მიმდინარეობდა ანტიკური ფილოსოფიის სწავლება (ცხადია, კრიტიკული განხილვის გზით). ამაში გვარწმუნებს გელათის შედარება მაინცადამაინც ათენთან, რომელიც ანტიკურ სამყაროში სწორედ

¹⁴⁸ ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. I. თბილისი, 1955, გვ. 330-331.

¹⁴⁹ თ. ყაუხჩიშვილი. ანტიკური სამყარო რუსთაველის ეპოქის ისტორიოგრაფიაში. I. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი. მაცნე, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია. № 4. 1973, გვ. 125.

ფილოსოფიის ცენტრად იყო მიჩნეული და არა, მაგალითად, კონსტანტინოპოლთან, რომლის მანგანის აკადემიაში აღიზარდნენ გელათის აკადემიაში მოღვაწე ისეთი ცნობილი ქართველი სწავლულები, როგორებიც იყვნენ: არსენ იყალთოელი, იოანე პეტრიწი და სხვ.

2) ალექსანდრე მაკედონელი

დავითის ისტორიკოსი დავით აღმაშენებელს, როგორც გამორჩეულ სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწეს, არაერთხელ ადარებს მაკედონელს და ასკვნის, რომ საქართველოს მეფე ბევრად აღემატებოდა ალექსანდრე დიდს. განვიხილოთ ეს მაგალითები და მათი კონტექსტი.

ა) დავითის წარმატებული საგარეო პოლიტიკისა და სამხედრო ნიჭით მოხიბლული ავტორი აღწერს დავით აღმაშენებლის მიერ ყივჩაყთა ჩამოსახლების შესახებ 1118 წელს მიღებული გადაწყვეტილების სიბრძნეს:

„და მსგავსად ალექსანდრესა ქმნა და ამან-ცა სულთ-ითქუნა, რამეთუ ითქუმის-ცა მისთჳს, ვითარმედ ფილოსოფოსმან ვინ-მე რქუა მას: „არიან-ო მრავალნი და ურიცხუნი სამეფონი, რომელთა არ-ცა თუ სახელი გასმიეს შენ“. და მან სულთ-ითქუნა და თქუა: „უკეთუ დამიშთეს ესენი, რა იყოს მპყრობელობა ჩემი“. ამისთჳს-ცა ამან მეორემან ალექსანდრე განიზრახა სივრცითა გონებისათა, რამეთუ სხუაებრ არა იყო ღონე, და უწყოდა კეთილად ყივჩაყთა ნათესავისა სიმრავლე, და წყობათა შინა სიმკნე, სისუბუქე და მიმოსლვა, სიფიცხე მიმართებისა, ადვილად დასამჭირვლობა და ყოვლითურთ მომზავებლობა ნებისა თჳსისა“.¹⁵⁰

მოცემულ პასაჟში დავით აღმაშენებელი მეორე ალექსანდრედაა სახელდებული, რადგან იგი ალექსანდრე მაკედონელს მასშტაბური აზროვნებით („სივრცითა გონებისათა“) არ ჩამოუვარდებოდა და სწორად აცნობიერებდა, რომ ქვეყანას სამხედრო პოტენციალის გაზრდისთვის, ქართული ჯარის ბრძოლისუნარიანობისა და რიცხოვნობის გასაზრდელად და საზღვრების გაფართოებისათვის ესაჭიროებოდა ყივჩაყთა სიმრავლე და სამხედრო მხნეობა.

ბ) ყივჩაყთა ჩამოსახლების შედეგად ქართველთა გაძლიერებული ჯარის ლაშქრობების შეფასებისას ისტორიკოსი კვლავ უბრუნდება დავითის სამხედრო ნიჭის შედარებას ალექსანდრე მაკედონელთან:

„ესენი რა ესრეთ შემოიკრიბნა, და დააწყუნა გუარად-გუარად და დაუდგინნა სპასალარნი და მმართველნი; და ეგრეთ-ვე თჳსისა სამეფოსა სპანი, რჩეულნი და მოკაზმულნი, ცხენ-კეთილნი და პირ-შეუქცეველნი; და საშუალ მათსა თჳთ იგი

¹⁵⁰ ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. I. თბილისი, 1955, გვ. 335-336.

უმსგავსო სპასპეტი და წინა-მბრძოლი, მიმსგავსებული ძუელისა ქაიხოსროსთვის მოთხოვნილობა, წინა-უძლოდა, და იწყო რბევად სპარსეთისა, შარვანისა და სომხითისა დიდისა. რამეთუ არა დაშურებოდა, არ-ცა მოეწყინებოდა, არამედ ჟამიერად და წესიერად აღაშქრებდა მათ, მართებდა და განაგებდა მსგავსად მისსა დიდ-გონეობითა, და ვინ-ღა-მცა იყო წინა-მდგომი მისი, და ანუ მიმმართი ომისა მის წინაშე. რამეთუ დაღათუ წერილმან ფროთვანსა ვეფხსა მიაღმსგავსა **მაკედონელი** იგი სიფიცხითა მიმმართველობისათვის, და მსწრაფლ მიმოვლისა ქუეყანათა შინა, და ჭრელად მრავალ-ფერობისათვის ქცევათა და განზრახვათა მისთასა, არამედ ჩუენი ესე გვრგვინოსანი და **ახალი ალექსანდრე**, დაღათუ იყო ჟამითა შემდგომი, არამედ არა საქმითა-ცა, არ-ცა განზრახვითა, არ-ცა / სიმკნითა უმცირე, და თვით მათ საქმეთა შინა, რომელთა მძლედ ითქმის **ალექსანდრე**, არა უმდაბლე. არამედ მრავლითა უმაღლეს მგონიეს ესე“.¹⁵¹

ამრიგად, დავითის ისტორიკოსის აზრით, ალექსანდრე, რომელსა ფროთვანს ვეფხვს ამსგავსებდნენ, რადგან იგი გამოირჩეოდა სიფიცხით, სისწრაფით და მოქმედებისა და გადაწყვეტილებათა მრავალფეროვნებით („ჭრელად მრავალფერობისთვის“), ბევრად ჩამორჩებოდა „ახალ ალექსანდრეს“ – დავით აღმაშენებელს, საქმით, განზრახვით და სიმხნით.

გ) დავით აღმაშენებლის მიერ 1121-1122 წლებში თბილისი შემოერთებისთვის წარმოებული ბრძოლების შეფასებისას დავითის ისტორიკოსი წერს:

„ხოლო ამაღ რა თხრობად მოვიწიე, ვაებისა ღირსად შევრაცხენ დიდნი იგი და სახელოვანნი გამომეტყუელნი, ვიტყვ უკვე უმბროსსა და არისტოვლის ელინთა, ხოლო იოსიპოს ებრაელსა, რომელთაგანმან ერთმან **ტროადელთა და აქაველთანი** შეამკვნა თხრობანი, თუ ვითარ აღამეძნონ და პრიამოს, ანუ აქილევი და ეკტორ, მერმეცა ოდისეოს და ორესტი ეკუთვნეს, და ვინ ვის მძლე ექმნა. და მეორემან **ალექსანდრესნი** წარმოთქუნა მძლეობანი, სიმკნენი და ძლევა-შემოსილობანი, ხოლო მესამემან **ვესპასიანე ტიტოძს-მიერნი** მეტომეთა თვსთა-ზედანი ჭირნი მისცა აღწერასა. და ვინათგან ამათ ნივთნი საქმეთანი არა აქუნდეს კმად მისათხრობელად, ამისთვისცა მის კელოვნებითა რიტორობისათა განავრცელნეს, ვითარცა იტყვის თვით სადამე **ალექსანდრე**: „არა დიდ იყავ **აქილევი**, არამედ დიდსა მიემთხვიე მაქებელსა **უმბროსს**“. რამეთი ოცდარვა წელი განგრძობასა **ტროადელთა მბრძოლისასა** ვერა-რა ღირსი ქებისა იქმნა“.¹⁵²

¹⁵¹ ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. I. თბილისი, 1955, გვ. 337-338.

¹⁵² ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. I. თბილისი, 1955, გვ. 342.

როგორც ვხედავთ, დავითის ისტორიკოსი აქ ახსენებს ანტიკურობასთან დაკავშირებულ არაერთ პიროვნებას: ჰომეროსს, არისტობულეს, იოსებ ფლავიუსს, აგამემნონს, პრიამოსს, აქილეუსს, ჰექტორს, ოდისევსს, ორესტესს, ალექსანდრე მაკედონელს, ვესპასიანეს, ტიტუსს, აქილეუსს.

მოხსენიებულია შემდეგი ისტორიული ფაქტები და მითოლოგიური ნარატივები: ტროას ომის ამბები (აქაველთა და ტროელთა ბრძოლა, აგამემნონისა და პრიამოსის დაპირისპირება, აქილეუსის და ჰექტორის ორთაბრძოლა, ოდისევსისა და ორესტეს კონფლიქტი (ჰომეროსი); ალექსანდრეს გამარჯვებები (არისტობულე); ვესპასიანეს და ტიტუსის მიერ იერუსალიმის დანგრევა (იოსებ ფლავიუსი); ალექსანდრე მაკედონელის აზრი აქილეუსის შესახებ, ტროას ომის ხანგრძლივობა.

ტექსტის ამ მონაკვეთის კომენტირებისას თ. ყაუხჩიშვილი აღნიშნავს: „ამ კონტექსტში, ზედ იმის წინ, ვიდრე აღწერს დავითის მიერ თბილისის აღებას 1122 წელს, ახსენებს ჰომეროსსა და მის გმირებს. აზრი, რაც ამ ნაწყვეტიდან უნდა გამოვიტანოთ ისაა, რომ ჰომეროსის გმირების, ალექსანდრე მაკედონელის, ვესპასიანესა და ტიტუს მოღვაწეობა და სამხედრო უნარი გაცილებით უფრო მდარე იყო ვიდრე დავითის, მაგრამ მათ საქმეები დიადი გამოჩნდა იმიტომ, რომ მათ ბედმა არგუნა დიდი აღმწერლები, რომლებმაც თავიანთი რიტორიკული ოსტატობით შეამკვეს ისინი, და მათ რომ მასალად ხელთ დავითის საქმეები ჰქონოდათ, და თავისი რიტორიკით აღეწერათ ისინი, აი, მაშინ იქნებოდნენ ისინი დიდი ქების ღირსნი“.¹⁵³

ანალოგიური აქცენტებით აანალიზებს ტექსტის ამ პასაჟს რ. მეტრეველი: „დავითის მემკვიდრეებს „ვაგების ღირსად მიაჩნია ჰომეროსი და არისტობულე, რომელთაგან ერთმა შეაქო ტროას ომის გმირები, ხოლო მეორემ – ალექსანდრე მაკედონელი. იგი მიაწინებს, რომ მათ (ჰომეროსსა და არისტობულეს) არ ჰქონდათ საკმარისი „ნივთიანი საქმეთანი“ და ამის გამო იძულებულნი იყვნენ გადმოსაცემი ამბები განეცრათ „ხელოვნებითა რიტორიკისათა“. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსს მიაჩნია, რომ აქილეუსი „დიდსა მიემთხვია მაქებელსა უმბროსს“. იგი დანაწევრებით ამბობს, რომ კარგი იქნებოდა, რომ ბერძენ ავტორებს „ჰქონებოდესმცა... თხრობათა ნივთად საქმენი დავითისნი, და მათმცა აღწერნეს ჯეროვნად მათისაებრ რიტორიკისა, მაშინაღმცა ღირს ქმნილ იყვნეს ჯეროვნესა ქებასა“.¹⁵⁴

¹⁵³ თ. ყაუხჩიშვილი. ანტიკური სამყარო რუსთაველის ეპოქის ისტორიოგრაფიაში. I. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი. მაცნე, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია. № 4. 1973, გვ. 123.

¹⁵⁴ ქართლის ცხოვრება. მთ. რედ.: რ. მეტრეველი, სარედაქციო კოლეგია: მ. აბაშიძე, გ. ალასანია, ზ. ალექსიძე, თ. გამყრელიძე, გ. კარტოზია, მ. ლორთქიფანიძე, დ. მუსხელიშვილი, ჯ. ზ. სარჯველაძე, მ. ქავთარია, ც. ქურციკიძე, მ. შანიძე, ელ. ცაგარეიშვილი, ჯ. ედ. ხოშტარია-ბროსე. თბილისი, 2008, გვ. 21.

იქვე ტროას ომის ხანგრძლივობასთან დაკავშირებით თ. ყაუხჩიშვილი შენიშნავს: „ანტიკურ ტრადიციაზე დაყრდნობით და ჰომეროსის ვერსიით, ტროას ომი გრძელდებოდა 10 წელს. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი (და ჟამთააღმწერელიც) კი პირდაპირ ამბობს, ტროის ომი 28 წელს გრძელდებოდაო. იმავე გიორგი სინგელოზის ქრონოგრაფიაში არის ცნობა იმის შესახებ (რასაც არ იზიარებს ეს გიორგი სინგელოზი), რომ აგამემნონმა იმეფა 35 წელი; თუ აგამემნონმა 35 წელი იმეფა, ხოლო ომი კი მისი მეფობის მერვე წელს დაიწყო, ამ ვერსიის თანახმად ტროას ომი მართლაც 27-28 წელს გაგრძელდებულა“.¹⁵⁵

რაც შეეხება ტროას ომის გმირების წყვილ-წყვილად მოხსენიებას, რაც მათი ერთმანეთთან ბრძოლითაა განპირობებული, გარკვეულ გაუგებრობას იწვევს ამ კონტექსტში ოდისევსისა და ორესტესის მოხსენიება, რადგან მათი დაპირისპირების შესახებ წყაროებში არაფერია ცნობილი.

პ. ინგოროყვა იმაზე დაყრდნობით, რომ ქართლის ცხოვრების ანასეულ ნუსხაში „ორესტეს“ ნაცვლად წერია „ფერსიტე“, მიიჩნევს, რომ აქ შეიძლება იგულისხმებოდეს თერსიტე, რომელთანაც ოდისევსს „ილიადის“ მეორე სიმღერაში მართლაც ჰქონდა შეტაკება.¹⁵⁶

ს. ყაუხჩიშვილი მიუთითებს, რომ „მართალია, ანტიკური ლიტერატურის ძეგლებში არ გვხვდება არცერთი ეს ცნობა (ე.ი. ოდისევსისა და ორესტეს მტრობისა, ტროას ომის 28 წელს გაგრძელებისა), მაგრამ ბიზანტიურ ქრონოგრაფიებში არის ამის კვალი. მაგ., გიორგი სინგელოზის (VIII ს.) ქრონოგრაფიაში წერია: „დასაბამითგან ქვეყნისა 4331 წელი, ამ დროს მოხდა ოდისევსისა და ორესტეს ამბავი“. რა ამბავია და მართლაც მტრობაა ეს თუ არა, არ ვიცით, მაგრამ ქართველი ისტორიკოსის ცნობასთან შეჯერების შედეგად ასე უნდა დავასკვნათ. ასეთი შეხვედრა ბიზანტიელი ქრონოგრაფოსისა და ქართველი ისტორიკოსისა ორ საკითხში (1. ორესტე, 2. ოცდარვა წელი) გვაფიქრებინებს, რომ ქართველი ისტორიკოსი ტროადის ომის ამბებს იცნობდა ბიზანტიური ქრონოგრაფიის ცნობებით“.¹⁵⁷

ამასთან დაკავშირებით, თ. ყაუხჩიშვილი შენიშნავს: „ამ ნაწყვეტში საყურადღებოა ის, რომ ისტორიკოსმა იცის ჰომეროსი, იცის მისი გმირები, რომელთაც წყვილ-წყვილად ახსენებს – ერთმანეთის დართ (აგამემნონი – პრიამოსი, აქილეუსი – ჰექტორი) და ამას გარდა მწერლობაში მაინცდამაინც პოპულარული არ

¹⁵⁵ თ. ყაუხჩიშვილი. ანტიკური სამყარო რუსთაველის ეპოქის ისტორიოგრაფიაში. I. დავითის ისტორიკოსი. მაცნე, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია. № 4. 1973, გვ. 123.

¹⁵⁶ პ. ინგოროყვა. რუსთაველის ეპოქის სალიტერატურო მემკვიდრეობა. რუსთაველის კრებული. ტფილისი, 1938, გვ. 56-57.

¹⁵⁷ ს. ყაუხჩიშვილი. „ფირესტე // ორესტე“. ლიტერატურული ძიებანი. II. 1945, გვ. 159-165.

არის ეს ჩანს: 1. ერთ წყვილად ოდისევსისა და ორესტეს მოხსენებაში, 2. ტროას ომის ხანგრძლივობაში – მისი ვერსიით 28 წელს გრძელდებოდა ეს ომი“.¹⁵⁸

რაც შეეხება „არისტოვლის“ არისტოზულედ გაგებას, რომელსაც დავითის ისტორიკოსი მიიჩნევს ალექსანდრეს მთავარ ისტორიკოსად,¹⁵⁹ უნდა ითქვას, რომ ხელნაწერების უმრავლესობაში „არისტოვლის“ ნაცვლად, რომელიც ამ სახით მხოლოდ ანასეულ ნუსხაში ჩანს, დასტურდება „არისტოტელის“, „არისტოტელისა“, რაც ტექსტს გაუგებარს ხდიდა (არისტოტელე გამოდიოდა ალექსანდრეს ისტორიკოსი, რაც სინამდვილეს არ შეეფერება), რის გამოც ტექსტის ეს სიტყვა ანასეული ნუსხის მიხედვით გასწორდა.¹⁶⁰

ამავე მონაკვეთში დავითის ისტორიკოსი ახსენებს რომის იმპერატორებს: ვესპასიანუსს (69-79 წწ.) და ტიტუსს (79-81 წწ.), რომელთა შესახებ ცნობებს იღებს იოსიპოს ებრაელის (იოსებ ფლავიოსის) ნაშრომიდან „იუდეველთა ომის ისტორია“. თ. ყაუხჩიშვილის აზრით, ამბავი იერუსალიმის აღებისა და იუდეველთა რბევის შესახებ მოთხრობილია „იუდეველთა ომის ისტორიის“ V-VI წიგნებში, რომელთა მიხედვით ვესპასიანუსი უკვე რომის იმპერატორია, ხოლო მისმა ვაჟმა, ტიტუსმა საბოლოოდ აიღო იერუსალიმი.¹⁶¹ უნდა ითქვას, რომ ვესპასიანუსის და ტიტუსის მმართველობა დაწვრილებით აღწერილია გიორგი ამარტოლის „ხრონოღრაფიკ“, თუმცა, როგორც ამას დავითის ისტორიკოსი ამბობს, მას წყაროდ გამოუყენებია იოსებ ფლავიუსი.¹⁶²

საყურადღებოა, რომ არსებობდა განსხვავებული აზრი იმის თაობაზე, რომ აქ მოხსენიებულია არა 2 პიროვნება: ვესპასიანუსი და ტიტუსი, არამედ მხოლოდ ერთი – ტიტუსი, რადგან ორივე იმპერატორი იხსენიებოდა ერთნაირი სრული სახელით: Titus Flavius Vespasianus. ამ უკანასკნელ თვალსაზრისს მხარს უჭერდა ივ. ჯავახიშვილი, რომელიც ტექსტის ამ მონაკვეთის „მესამეან ვესპასიანე ტიტოს-მიერნის“ ნაცვლად ციტატა მოყავდა შემდეგნაირად „მესამეან ტიტოსმიერნი“.¹⁶³

¹⁵⁸ ს. ყაუხჩიშვილი. „ფირესტე // ორესტე“. ლიტერატურული ძიებანი. II. 1945, გვ. 123.

¹⁵⁹ ს. ყაუხჩიშვილი. ბერძნული ლიტერატურის ისტორია. II. თბილისი, 1949, გვ. 185.

¹⁶⁰ თ. ყაუხჩიშვილი. ანტიკური სამყარო რუსთაველის ეპოქის ისტორიოგრაფიაში. I. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი. მაცნე, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია. № 4. 1973, გვ. 120. სქ. 13.

¹⁶¹ თ. ყაუხჩიშვილი. ანტიკური სამყარო რუსთაველის ეპოქის ისტორიოგრაფიაში. I. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი. მაცნე, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია. № 4. 1973, გვ. 122.

¹⁶² თ. ყაუხჩიშვილი. ანტიკური სამყარო რუსთაველის ეპოქის ისტორიოგრაფიაში. I. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი. მაცნე, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია. № 4. 1973, გვ. 122.

¹⁶³ ივ. ჯავახიშვილი. ძველი ქართული საისტორიო მწერლობა. თბილისი, 1916, გვ. 159.

ივ. ჯავახიშვილის ეს თვალსაზრისი ემყარებოდა იმ ფაქტს, რომ ზოგიერთ ხელნაწერში იყო წარმოდგენილი სხვადასხვაგვარი ფორმები, მათ შორის – „ნეტიტომს“, რაც თავის დროზე ბროსემ აღადგინა „ვესპასიანე ტიტომს“ სახით, რასაც, როგორც ჩანს, არ ეთანხმებოდა ივ. ჯავახიშვილი.¹⁶⁴

ვფიქრობთ, გამომდინარე იმ მოცემულობიდან, რომ „ქართლის ცხოვრების“ ისტორიკოსთა ე.წ. საინფორმაციო ბანკში დაახლოებით ერთი და იგივე წყაროებია, ეს საკითხი უნდა გადაწყდეს „ქართლის ცხოვრების“ სხვა ავტორთა მონაცემების გათვალისწინებით. ამ თვალსაზრისით, საყურადღებოა ჟამთააღმწერლის „ასწლოვანი ისტორიის“ ის პასაჟი, რომელშიც გადმოცემულია იერუსალიმის დარბევის შესახებ ინფორმაცია იოსებ ფლავიუსის თხზულებაზე დაყრდნობით:

„და ესევეთარნი ჭირნი მოიწივნეს, რომელ არაოდეს ძუელთა სადამე წიგნთა მიერ სმენილ არს, რომელნი თანა-შეესწორებიან ქრისტეს ჯუარისა მცმელთა იუდიანთა ზედა ქმნულთა მიერ იერუსალიმისა სრულიადსა მოსპოლვასა ტიტეს და უესპასიანეს მიერ, ვითარცა ჟამთააღმწერელი და მრავალმომთხრობელი იოსიპოს წარმოიტყვს ესოდენ ძნელბედობასა იუდეველთასა, ვითარცა სამასსა ბევრსა აღრაცხავს მამაკაცსა, ოდენ სიყმილისა და მაწვილისა მიერ აღსრულებულსა. რომლისა მსგავს იქმნა ჟამსაცა ამას სარკინოზთა მიერ ქალაქსა ამას ტფილისისასა“.¹⁶⁵

შესაბამისად, ვფიქრობთ, რომ რადგან ჟამთააღმწერელთან მოცემულია ორივე სახელი, დავითის ისტორიკოსის თხზულების ამ პასაჟშიც ნამდვილად იგულისხმება ორივე იმპერატორი – ვესპასიანუსიც და ტიტუსიც.

რაც შეეხება ალექსანდრეს ნათქვამს აქილევსზე, ს. ყაუხჩიშვილის აზრით, ეს ადგილი მომდინარეობა ფსევდოკალისტენეს „ალექსანდრეს რომანიდან“.¹⁶⁶ ამ პოპულარული რომანის ძველი ქართული თარგმანი არსებობდა, თუმცა მან ჩვენამდე ვერ მოაღწია.¹⁶⁷

დ) მსჯელობს რა დავით აღმაშენებლის მიერ საქართველოს საზღვრების გაფართოების კონცეფციაზე, დავითის ისტორიკოსი თვლის, რომ ეს მოხდა დავით აღმაშენებლის თანამიმდევრული სამხედრო სტრატეგიის საშუალებით – მეფე

¹⁶⁴ თ. ყაუხჩიშვილი. ანტიკური სამყარო რუსთაველის ეპოქის ისტორიოგრაფიაში. I. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი. მაცნე, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია. № 4. 1973, გვ. 122.

¹⁶⁵ ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. II. თბილისი, 1959, გვ. 176.

¹⁶⁶ ს. ყაუხჩიშვილი. ბერძნული ლიტერატურის ისტორია. II. თბილისი, 1949, გვ. 234.

¹⁶⁷ კ. კეკელიძე. ქართული ლიტერატურის ისტორია. ტ. II. თბილისი, 1941, გვ. 251-252; გვ. 317-319; აღ. ბარამიძე. ქართული ალექსანდრიანი. საქ. სსრ. მუზეუმის მოამბე. IX. 1936, გვ. 41-50; პ. ინგოროყვა. რუსთაველის ეპოქის სალიტერატურო მემკვიდრეობა. რუსთაველის კრებული. ტფილისი, 1938, გვ. 58-63.

ბრძოლებსა და ლაშქრობებში წვრთნიდა ჯარს, არ აძლევდა მეზრძოლებს განცხრომისა და მოდუნების საშუალებას, რის მაგალითსაც თავადაც იძლეოდა. დავითი მუდმივად ზრდიდა საკუთარი ჯარის შემადგენლობას სწორედ დაპყრობითი ომების მეშვეობით და თანდათანობით იქვემდებარებდა ახალ სამეფოებს. სწორედ ამ კონტექსტში ადარებს ისტორიკოსი დავით მეფეს ალექსანდრე მაკედონელს და წერს:

„ანუ რათა-მცა ექმნეს და აღეხუნეს ესე-ოდენნი სამეფონი? ნუ უკუე ძილითა ანუ ადგილთა მწუანვილოვანთა ზედა მოსმურობითა და განცხრომითა და მაჩუკნებელთა საქმეთა შედგომითა; არა ესრეთ, არა, არამედ არ-ცა **ალექსანდრე** ქმნა ესრეთ. რამეთუ პირველად მამულისა თვისისანი შეკრიბნა და მით დაიპყრნა დასავლისანი ევროპი, იტალია, რომი და აფრიკეთი, და მათითა წარტანებითა დაიპყრა ეგვპტე, შესრულმან კარქედონით, და მიერ ეგვპტით პალესტინე და ფინიკე, და კილიკიასა თვსად შემქმნელი, წინა-განეწყო **დარიოსს**. და რაჟამს სპარსეთი მოირთო, მაშინ-და სძლო პიროს ჰინდოსა, და ეგრეთ-და ამით ყოვლითა მოვლო ყოველი ქუეყანა; და ქმნა, რა იგი ქმნა; თუ არა ქართველთა ოდენ სპითა ვერ-ცა-რას **ალექსანდრე** იქმნა კარგსა. და თუ-მცა დავითს სპარსთა ჰქონებოდა მეფობა, ანუ **ბერძენთა და ჰრომთა** ძალი, ანუ სხუათა დიდთა სამეფოთა, მაშინ-მცა გენახნეს ნაქმარნი მისნი, უაღრესნი სხუათა ქებულთანი“.¹⁶⁸

ამრიგად, დავითის ისტორიკოსის აზრით, ალექსანდრე მაკედონელი რომ ყოფილიყო დავითის ადგილას, მხოლოდ ქართველთა სპით ის ვერაფერს მიაღწევდა, ხოლო დავითი რომ ყოფილიყო ალექსანდრეს ადგილას, ანუ ალექსანდრესნაირი სამხედრო შესაძლებლობები ჰქონოდა – ყოფილიყო სპარსთა, ბერძენთა და ჰრომთა მბრძანებელი, იგი უდავოდ აღმატებული იქნებოდა ალექსანდრეზე. შესაბამისად, ისტორიკოსი მიიჩნევს, რომ დავითის მასშტაბურობა გარკვეულ ჩარჩოებში იყო მოქცეული იმით, რომ მას არ გააჩნდა ის შესაძლებლობები, რაც ჰქონდა ალექსანდრე მაკედონელს.

გ. მამულიას აზრით, მხოლოდ „ალექსანდრეს რომანიდან“ შეეძლო დავითის ისტორიკოსს ამოელო ცნობა ალექსანდრეს მარშრუტის შესახებ“.¹⁶⁹

3) მოსიმახოსი და აქილევსი

დავითის ისტორიკოსი მეფის არა მხოლოდ პოლიტიკური ალღოთი და სამხედრო წარმატებებით არის აღფრთოვანებული, იგი ქებას ასხამს მის მეომრულ

¹⁶⁸ ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. I. თბილისი, 1955, გვ. 358-359.

¹⁶⁹ გ. მამულია. ლეონტი მროველის და ჯუანშერის წერილები. თბილისი, 1965, გვ. 29.

თვისებებსა და იარაღის, კერძოდ – მშვილდ-ისრის ხმარების ხელოვნებას მათ შორის მშვიდობიან დროსაც – ნადირობისას.

„რამეთუ ვინ ჰგავნ ჯორციელი ანუ ვინ იხილა ესე-ოდენ განმარჯუებული ნადირობასა შინა. მოსიმახოს ვინ-მე ითქმის ებრაელი მოისრობის და კეთილ-მმართველობისათჳს ალექსანდრეს სპათა შორის მჯობად, და აქილევსი კენტავროსისგან განსწავლულად მოისრობისა ელენთა შორის, ხოლო ბარამ-ჯური სპარსთა შორის მოქმედად უცხოთა და საკვრველთა, გარნა ჭემმარიტად ვერ-ცა ერთი ამათგანი შეესწორებოდა ამას, ვითარცა გვხილავს ჩუენ“.¹⁷⁰

ეს მონაკვეთი საყურადღებოა ანტიკურობაში კარგად ცნობილი ისტორიული და მითოლოგიური პერსონაჟების – ალექსანდრე მაკედონელის ჯარში სახელგანთქმული მოისრის, მოსიმახოსისა და ჰომეროსის ეპოსის მთავარი გმირის, მითური აქილევსის მოხსენიებით.

კ. კეკელიძის ცნობით, სახელი მოსიმახოსი, რომელიც ალექსანდრე მაკედონელის ლაშქარში საუკეთესო მოისრობით იყო ცნობილი, ქართულ მატრიანეებში შემოსულია მხოლოდ გიორგი ამარტოლის ხრონოლრაფიდან.¹⁷¹

აქილევსთან დაკავშირებული ამ ცნობის შესახებ თ. ყაუხჩიშვილი აღნიშნავს: „აქილევსის ბიოგრაფიიდან ცნობილია: თეტიდამ რომ შვა აქილევსი, აღსაზრდელად და მოისრობის სასწავლებლად მისცა კენტავრ ქირონს. ეს ცნობა „ელინთა მეზღაპრობაშიც“ არის დაცული. ხოლო „ელინთა მეზღაპრობა“ ანუ ბერძნული ორიგინალების მიხედვით გაკეთებული კომენტარები გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებებში მოხსენიებული მითოლოგიური ამბების შესახებ ეკუთვნის ეფრემ მცირეს (XI ს.), რაც უთუოდ კარგად იცოდა ჩვენმა ისტორიკოსმა (თუ სხვა წყარო არ ჰქონდა მას კიდევ ხელთ). სხვათა შორის, „ელინთა მეზღაპრობაში“ კენტავრის სახელი არის ფორმით „ჰირონი“, აქილევსისა „აქილევსი“. ე.ი. ბერძნული ორიგინალიდან მომდინარეობს ქართული ჰ-თი“.¹⁷²

ვ. ასათიანი სამართლიანად შენიშნავს ამ ცნობის ერთ საყურადღებო დეტალს: „დავითის ისტორიკოსი, ისევე როგორც „ელინთა ზღაპრობანის“ ავტორი,

¹⁷⁰ ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. I. თბილისი, 1955, გვ. 348-349.

¹⁷¹ კ. კეკელიძე. ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან. I. თბილისი, 1956, გვ. 262-263.

¹⁷² თ. ყაუხჩიშვილი. ანტიკური სამყარო რუსთაველის ეპოქის ისტორიოგრაფიაში. I. დავითის ისტორიკოსი. მაცნე, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია. № 4. 1973, გვ. 125.

ტრადიციისაგან განსხვავებით, ყურადღებას ამახვილებს აქილევსის მოისრობაზე და არა ფეხმარდობაზე“.¹⁷³

4) პტოლემიოსი

დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი არაერთხელ მიუთითებს, რომ დავით აღმაშენებელი გამოირჩეოდა წიგნიერებითა და განათლებით. მეფეს სამხედრო ლაშქრობებსა და ნადირობისას ყოველთვის თან ჰქონდა უამრავი წიგნი, რომელთაც გატაცებით კითხულობდა. მეფე, დავითის ისტორიკოსის თქმით, დავით აღმაშენებელი განსაკუთრებით დაინტერესებული იყო საღვთისმეტყველო ლიტერატურით და ზრუნავდა, რომ სრულად შეეკრიბა, რაც კი ამ თემაზე ქართულად იყო თავმოყრილი:

„ხოლო ისმენდი, თუ ვითარ გონიერად დედად სიბრძნისა რა პოვა შიში უფლისა, ღმერთთად-ც -- საღმრთონი წერილნი. და ესენი მდიდრად შეიკრიბნა, რაოდენნი პოვნა გარდამოღებულად ენასა ქართველთასა სხუათა ენათაგან, ძუელნი და ახალნი, ვითარცა **სხუამან პტოლემეოს**, ამას ზედა ოდენ სასოვან ქმნილმან, და ესე-ოდენ შეიყუარნა და შეითვსნა, რომელ სთქუა-მცა, თუ მათ შინა ცხოველ არს და მათ შინა იძრვის იგინი იყვნეს მისსა საზრდელ, ყოველთა გემოან, და სასმელ ტკბილ და საწადელ; იგინი -- შუება, განცხრომა საწურთელ და სარგებელ. დღე და ღამე მიმოსლგათა შინა მიმდემთა, ლაშქრობათა მოუწყენელთა, შრომათა განუსუენებელთა წიგნები ეტვრთა სიმრავლესა ჯორთა და აქლემთასა; და სადა გარდაცდის ჰუნესა, პირველ ყოვლისა წიგნნი მოაქუნდიან ჯელითა, და არა დააცადის კითხვა, ვიდრე არა დაშურის“.¹⁷⁴

დავითის ისტორიკოსი მეფეს ამ კონტექსტში ადარებს „პტოლემეოსს“, რომელიც, მკვლევართა აზრით, არის III საუკუნის მოღვაწე, პტოლემიოს II ფილადელფოსი – ალექსანდრიის ბიბლიოთეკარი, რომლის დროსაც ალექსანდრიის ბიბლიოთეკა ნახევარ მილიონზე მეტი გრაგნილს შეიცავდა, რადგან პტოლემიოსი დაუღალავად შრომობდა საუკეთესო ხელნაწერების მოსაგროვებლად. და რეალურად ალექსანდრიის ბიბლიოთეკა სწორედ ფილადელფოსის მმართველობისას იქცა მნიშვნელოვან კულტურულ ცენტრად.¹⁷⁵

¹⁷³ ვ. ასათიანი. ანტიკური და ბიზანტიური ტრადიციები ძველ ქართულ მწერლობაში. თბილისი, 1996, გვ. 194.

¹⁷⁴ ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. I. თბილისი, 1955, გვ. 347

¹⁷⁵ ს. ყაუხჩიშვილი. ბერძნული ლიტერატურის ისტორია. II. თბილისი, 1949, გვ. 96, გვ. 127.

ლადირი

აქებს რა დავით აღმაშენებლის სახიერებასა და სიბრძნეს, მის უზადო გარეგნობასა და წიგნიერებას, დავითის მემკვიდრეობაზე განსაკუთრებით გამოყოფს მეფის სათნოებას, რასთან დაკავშირებით აღნიშნავს:

„მაღალ უმაღლესთათვს და მდაბალ უმდაბლესთათვს, და თვთ მათ მტერთაგან-ცა საწადელ და საყუარელ სათნოებათა მისთაგან შეკდიმებულთა. ვინა ესრეთ მიიღო ერთი-ცა სათნოებათაგანი, ვითარ ვინ ყოველთაგანმან შეიკრიბა ყოველი სრულებით თითოეული, რომელ ყოველთათვს შეუძლებელ არს დაკვრვება ოდენ, არა-თუ მიბადვება რომლითა სრულ იქმნა იგი ყოველსა შინა, ესრეთ რა აღსავსე იყო ნავი უფასოთაგან ტვრთთა სათნოებისათა, და არღარა შემძლებელ წარსლვად ლადირთა“.¹⁷⁶

ამრიგად, დავითის მემკვიდრის აზრით, ვინც ეზიარებოდა დავით აღმაშენებლის თუნდაც ერთ სათნოებას, ხდებოდა სრულყოფილი და ემსგავსებოდა მრავალი სათნოებით დატვირთულ ნავს და აღარ შეეძლო „ლადირთა“ წასვლა.

სიტყვა „ლადირთა“, რომელიც ჩანს როგორც ჰიმნოგრაფიაში, ისე ბიბლიურ ტექსტებში, რამდენიმე განმარტება არსებობს.

„ელინთა ზღაპრობანი“-ში, კერძოდ თხზულებაში „თხრობანი დიდისა ბასილის ეპიტაფიასა შინა შემოღებულნი“, მეთექვსმეტე თხრობაში „ლადირნი“ ასეა განმარტებული: „ლადირნი „ადგილი კერძოსა დასავალისათა და ადგილი იგი დასასრული არს ზღვსად და რეცა ხერთვსი რაიმე ჩუენდა მომართისა ამის ზღვსაგან ატლანტიკოსა ზღუად, ვინაჲცა თქუმულ არს, ვითარმედ არღარა თანა წარივლებიან ნავებითა ლადირნი, რაითამცა შევიდა ვინ ამიერ ჩუენ კერძოდთ ზღვთ ზღვასა მას ატლანტიკოსასა, რომელი იგი კლდოვან არს და ბნელ და ქედ მაღალ, ხოლო ლადირ სახელ-ედვა [რომელ] არს ქედი, რამეთუ ვითარცა ქედი ქუეყანისაჲ არს ადგილი იგი ლადირისაჲ“.¹⁷⁷

დავით ბაგრატიონი ძირითადად მიჰყვება „ელინთა ზღაპრობანის“ ტექსტს და ბოლოს დასძენს: „მიიწია რა ირაკლი ლადირად და ვერ შემძლებელ იყო თანასწორ სლვად მათდა და ვერცა შესლვად ოკეანოსა, ამისთვსცა ადგილსა მას აღმართნა სვეტნი, ვითარმედ იქამდე შესაძლებელ არს სლვად ნავთ მავალთათვს და მას იქეთ არღარა, ამისთვს ეწოდა ადგილსა სვეტ ირაკლისაჲ“.¹⁷⁸

¹⁷⁶ ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. I. თბილისი, 1955, გვ. 348-349.

¹⁷⁷ ილ. აბულაძე. „ელინთა ზღაპრობანი“. ენიშვის მოამბე. X. 1941, გვ. 28.

¹⁷⁸ დავით ბაგრატიონის „მითოლოგია“ (ტექსტი). წიგნში: ვ. ასათიანი. ანტიკურობა ძველ ქართულ მწერლობაში. თბილისი, 1987, გვ. 246.

სულხან-საბა ორბელიანი და ვახუშტი ბატონიშვილი „ღადირს“ კონკრეტულ გეოგრაფიულ ადგილად აღიქვამენ და „ქედ გორაკთ წარზიდულად“ განმარტავენ.¹⁷⁹

ილ. აბულაძის ლექსიკონში ღადირი განმარტებულია როგორც „ჰადესი“.¹⁸⁰

პ. ინგოროყვას აზრით, „ედემი შესაძლოა, გავიგოთ როგორც მსოფლიოს აღმოსავლეთ მიჯნა; ხოლო „ღადირი“ ანუ „ჰერაკლეს ბჭეები“ – მსოფლიოს უკიდურესი დასავლეთ მიჯნა“.¹⁸¹

რ. სირაძის შენიშვნით, „ედემი და ღადირა ისეთივე ოპოზიციანია, როგორც სამხრეთი და ჩრდილოეთი“.¹⁸²

გ. ალიბეგაშვილის განმარტებით, „ღადირი“ დასავლეთის სიმბოლური სახელია.¹⁸³

ნ. სულავა აღნიშნავს: „ღადირს მოცემულ კონტექსტში აქვს პირდაპირი მნიშვნელობაც, შეიძლება მოვიაზროთ დასავლეთად, მაგრამ, ჩემი აზრით, მას სიმბოლური დატვირთვაც აქვს“.¹⁸⁴

ლ. კვირიკაშვილი „ღადირს“ „ადამიანური შესაძლებლობების ზღვარის“ მეტაფორად მიიჩნევს.¹⁸⁵

ჩემი აზრით, კონტექსტიდან გამომდინარე, დავითის ისტორიკოსის ამ მონაკვეთში ნახსენები „ღადირი“ უფრო სიმბოლური დატვირთვისაა და შეიძლება უფრო დაკონკრეტდეს ისევ და ისევ ანტიკური წყაროების საშუალებით. სტრაბონი „გეოგრაფიაში“ იმოწმებს პინდაროსის დაკარგულ პასაჟს, რომლის მიხედვითაც სვეტები, პინდაროსი „გადესის კარიბჭეებს“ რომ უწოდებს, იყო უკიდურესი ზღვარი, რასაც მიაღწია ჰერაკლემ:

“ταύτας εἶναι νομίζοντες στήλας, ἃς Πίνδαρος καλεῖ πύλας Γαδειρίδας, εἰς ταύτας ὑστέρτας ἀφίχθαι φάσκων τὸν Ἡρακλέα” (Strabo. 3. 5. 5).

არსებობს მოსაზრება, რომ მას შემდეგ, რაც ჰეროდოტემ „ისტორიაში“ ერთმანეთთან გააიგივა ფინიკიური ქალაქ ტიროსის ღვთაება მელკარტი ჰერაკლესთან, „მელკარტის სვეტები“, რომლებიც ფინიკიელი ღვთაების ტაძარში,

¹⁷⁹ სულხან-საბა ორბელიანი. ლექსიკონი ქართული. წ. II. თბილისი, 1968.

¹⁸⁰ უმველესი რედაქციები ბასილი კესარიელის „ექუსთა დღეთათვის“ და გრიგოლ ნოსელის „კაცისა აგებულებისათვის“. ილ. აბულაძის რედაქციით. თბილისი, 1964.

¹⁸¹ პ. ინგოროყვა. ძველი ქართული სასულიერო პოეზია. I. ტფილისი, 1913.

¹⁸² რ. სირაძე. „ცასა ცათასა“. თამარ მეფის იამბიკო. ლიტერატურული საქართველო. 1993 წ. 14 მაისი.

¹⁸³ გ. ალიბეგაშვილი. გეოგრაფიული მხარეები ბიბლიაში. ლიტერატურა და ხელოვნება. № 1. 1993, გვ. 12.

¹⁸⁴ ნ. სულავა. XII-XIII საუკუნეების ქართული ჰიმნოგრაფია. თბილისი, 2003, გვ. 95.

¹⁸⁵ ბიზანტიური ლიტერატურის ქრესტომათია. ტ. III. ლ. კვირიკაშვილის რედაქციით. თბილისი, 1996, გვ. 214.

ქალაქ გადესთან მდებარეობდა, ზოგჯერ გაიგივებული იყო ჰერაკლეს ნამდვილ სვეტებთან.¹⁸⁶

შესაბამისად, გადირი (თან. კადისი ესპანეთში) მიიჩნეოდა იმ უკიდურეს წერტილად, ერთგვარ ზღვრად, რომლის იქით არ იყო ნამყოფი თავად ჰერაკლე, ბერძნული მითოლოგიის ყველაზე ცნობილი გმირი. საყურადღებოა, რომ აღორძინების ეპოქაში ეს სიტყვა განასახიერებდა ადგილს, რომლის მიღმა არაფერია, რაც ზღვაოსანთათვის ერთგვარი გაფრთხილებას წარმოადგენდა, რომ ამ ზღვარს არ გადასულიყვნენ.¹⁸⁷ ამრიგად, დავითის მემკვიდრის აზრით, დავითის სათნოებანი ისეთ გავლენას ახდენდა ადამიანებზე, რომ ისინიც იმსჯელებოდნენ ამ სათნოებით და სიკეთით და აღარ შეეძლოთ მოშორებოდნენ მას, გადაელახათ აკრძალვის (ბოროტების) ზღვარი.

შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ ანტიკურობასთან დაკავშირებული ინფორმაცია, რომელიც დავითის ისტორიკოსის მიერ გამოყენებულია დავით აღმაშენებლის მოღვაწეობის შესაფასებლად, როგორც ეს პასაჟების ანალიზიდან ვნახეთ, ამოკრებილია: იოსებ ფლავიუსის „იუდეველთა სიძველთმცოდნეობიდან“, არისტოტელეს „ისტორიიდან“, ფსევდოკალისტენეს რომანიდან „ალექსანდრიანი“ და გიორგი ამარტოლის „ხრონოღრაფიიდან“.

საკამათო თემად რჩება ამ პერიოდის ავტორებისათვის ჰომეროსის და მისი თხზულებების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის საკითხი. თუმცა ჰომეროსის ეპოსი VI-VIII საუკუნეების ქართველი მკითხველისთვის ცნობილი იყო, ს. ყაუხჩიშვილის აზრით, ძველ საქართველოში ჰომეროსის პოემების თარგმანის არსებობა ნაკლებსავარაუდოა, უფრო მოსალოდნელია, რომ ცნობილი იყო თარგმანის გადაკეთებული ვერსია.¹⁸⁸ თ. ყაუხჩიშვილი სამართლიანად მიუთითებს, რომ ქართულ ხელნაწერებში ჰომეროსის არც თარგმანი და არც მათი გადმოკეთებული ვერსია არ იძებნება, შესაბამისად, ძნელი სათქმელია, ავტორი წყაროებს ქართულად კითხულობდა, თუ დედანში.¹⁸⁹

რამდენად არის შესაძლებელი ვივარაუდოთ, რომ დავითის ისტორიკოსი კითხულობდა ძველ ბერძნულ ენაზე არსებულ ისტორიულ წყაროებს?

¹⁸⁶ W. Burkert. Greek Religion. Cambridge, 1985, გვ. 210.

¹⁸⁷ Renaissance Futurities: Science, Art, Invention. Eds. Ch. V. Black and M.-T. Álvarez. 2019, გვ. 104.

¹⁸⁸ ს. ყაუხჩიშვილი. ბერძნული ლიტერატურის ისტორია. I. თბილისი, 1950, გვ. 90-91; შდრ. პ. ინგოროყვა. რუსთაველის ეპოქის სალიტერატურო მემკვიდრეობა. რუსთაველის კრებული. ტფილისი, 1938, გვ. 56-58.

¹⁸⁹ თ. ყაუხჩიშვილი. ანტიკური სამყარო რუსთაველის ეპოქის ისტორიოგრაფიაში. I. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი. მაცნე, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია. № 4. 1973, გვ. 125.

პ. ინგოროყვას აზრით, „დავითის მემკვიდრეობაში არსად არ მოიპოვება რაიმე კვალი ბერძნული წყაროებით უშუალო სარგებლობისა, ყველა ცნობები ბერძნული მსოფლიოს შესახებ, რომელიც გვხვდება ამ ძეგლში, ამოღებულია იმ ტექსტიდან, რომელიც ამ დროს ქართული თარგმანების სახით არსებობდა (სახელდობრ, ამარტოლის ხრონოლოგია, არსენ იყალთოელის თარგმანში, იოსიფოს ფლავიოსი ანონიმი ჰუმანისტის თარგმანში; ეს ორი ძეგლი ჩვენ დრომდისაც შენახულა; ამის გარდა ომიროსსაც... ეს მწერალი მხოლოდ ქართული ვერსიის სახით იცნობდა“.¹⁹⁰

თ. ყაუხჩიშვილს პ. ინგოროყვას ეს დასკვნა სათუოდ მიაჩნია. მას მოჰყავს ტექსტიდან ამოკრებილი არაერთი ბერძნული სიტყვა და თვლის, რომ მათი გამოყენება შესაძლებელი იყო მხოლოდ ბერძნული ორიგინალიდან. თ. ყაუხჩიშვილის თქმით, დავითის ისტორიკოსს ელინური სამყაროდან „სახმარად შეთვისებული აქვს ისეთი სიტყვები, რომლებიც ქართული ენისთვის მის დროს (და არც მერე) საყოველთაო სავალდებულო არ ყოფილან“.¹⁹¹

საბოლოოდ, თ. ყაუხჩიშვილი თვლის, რომ ისტორიკოსი ნამდვილად სარგებლობდა ძველ ისტორიკოსთა თხზულებებით და შემდეგ დამატებით არგუმენტს წარმოადგენს: „როგორ უნდა წარმოვიდგინოთ დავითის დროს, ათონელების, ეფრემ მცირის, არსენი იყალთოელის, იოანე პეტრიწის გვერდით ისეთი კარის ისტორიკოსი, რომელიც მხოლოდ ქართულად ნაწერ წიგნებს კითხულობდა და ისტორიის წერისას მხოლოდ მათ ეყრდნობოდა?“.¹⁹²

სუმბატ დავითის ძე, „ცხოვრება და უწყება ბაგრატონიანთა“

სუმბატ დავითის ძე XI საუკუნის ქართველი ისტორიკოსია. მის შესახებ ზუსტი ცნობები არ შემოგვრჩა, თუმცა არსებობს ვარაუდი, რომ იგი ბაგრატონთა ტაოს შტოს მიეკუთვნებოდა.¹⁹³ ნაწარმოები, რომელიც ბაგრატონთა დავით

¹⁹⁰ პ. ინგოროყვა. რუსთაველის ეპოქის სალიტერატურო მემკვიდრეობა. რუსთაველის კრებული. ტფილისი, 1938, გვ. 60-61.

¹⁹¹ თ. ყაუხჩიშვილი. ანტიკური სამყარო რუსთაველის ეპოქის ისტორიოგრაფიაში. I. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი. მაცნე, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია. № 4. 1973, გვ. 126.

¹⁹² თ. ყაუხჩიშვილი. ანტიკური სამყარო რუსთაველის ეპოქის ისტორიოგრაფიაში. I. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი. მაცნე, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია. № 4. 1973, გვ. 126.

¹⁹³ სუმბატ დავითის ძის ქრონიკა ტაო-კლარჯეთის ბაგრატონთა შესახებ. გამოცემა მესამე. ტექსტი გამოსცა ვრცელი შესავლით, შენიშვნებით და ორი გენეალოგიური ტაბულით საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილმა წევრმა ექ. თაყაიშვილმა. მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის. ნაკვეთი 27. 1949, გვ. 11-12.

წინასწარმეტყველის შთამომავლებად აღქმას ეფუძნება, მოგვითხრობს ისტორიას ბიბლიური ადამიდან და სრულდება 1030-1031 წლების ამბებით.

როგორც ვარაუდობენ, „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ გარდა, ავტორს ხელთ ჰქონდა ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა საგვარეულო მატრიანები, რომელსაც იგი იყენებს აშოტ I-დან ბაგრატ III-მდე პერიოდის აღწერისას, რადგან თხზულების ეს მონაკვეთი გამოირჩევა უხვი ცნობებითა და ქრონოლოგიური სიზუსტით. რაც შეეხება ბაგრატ III-ის მეფობის ბოლო წლების შემდგომ მოვლენებს, დიდი ალბათობით, სუმბატ დავითის ძე მის თანადროულ მოვლენებს გადმოგვცემს.¹⁹⁴

თხზულებაში ანტიკურობასთან დაკავშირებით ერთი პასაჟი დასტურდება.

„მსწრაფლ ეწია რისხვა უმსჯავროსა მას მეფესა კოსტანტინეს, მსგავსადვე **ივლიანეს უსჯულოსა**“

ამ ციტაციის კონტექსტი შემდეგნაირია – ნაწარმოების დასასრულს სუმბატ დავითის ძე გადმოგვცემს გიორგი I-ის გარდაცვალებისა და ბიზანტიიდან სამწლიანი მძევლობის შემდეგ საქართველოში დაბრუნებული მცირეწლოვანი ბაგრატ IV-ის გამეფების ამბებს. მემკვიდრე დაწვრილებით მოგვითხრობს ბიზანტიის იმპერატორ კონსტანტინე VII (იმპ.1025-1028) პორფიროგენეტის მიერ საქართველოსთან ზავის დარღვევის, ტაოს აოხრების, ბიზანტიელთა მიერ პროვოცირებული შიდააშლილობის ისტორიას. დავით სუმბატის ძე გადმოგვცემს, რომ ასეთ კრიტიკულ მომენტში იმპერატორის გარდაცვალების გამო ბიზანტიელებს კონსტანტინოპოლში დაბრუნების ბრძანება მიუვიდათ.

ბიზანტიის იმპერატორის, კონსტანტინე VII პორფიროგენეტის გარდაცვალებასთან დაკავშირებით სუმბატ დავითის ძე აღნიშნავს:

„ხოლო ესევეთარად რა ღელვად აღტეხილად იგუემებოდა აღმოსავლეთი, მსწრაფლ ეწია რისხვა უმსჯავროსა მას მეფესა კოსტანტინეს, მსგავსადვე **ივლიანეს უსჯულოსა**, უწყალოებისათჳს ბაგრატ მეფისა ჩუენისა, მოოჯრებისათჳს მამულისა მისისა, და მოსწრაფედ მოუწერა პარკიძანოსს პროედროსსა თჳსსა, რათა მსწრაფლ შეიქცეს იგი ლაშქრითურთ თჳსით და მოვიდეს კოსტანტინეპოლედ. და წარვიდა იგი, ესმა რა ესე. და ვითარცა გარდაიცვალა ესე კოსტანტინე მეფე, დაუტევა შემდგომად მისსა მეფობა რომანოზს, ნათესავსა და მიმდგომსავე თჳსსა.“

საყურადღებოა, რომ თხზულებაში ეს არის ერთადერთი ისტორიული პარალელი.

ამრიგად, სიკვდილი კონსტანტინე იმპერატორისა, რომელიც 1028 წელს კონსტანტინოპოლში უეცრად მიიცვალა, შედარებულია სიკვდილთან იმპერატორ ფლავიუს კლავდიუს იულიანუსისა (იულიანე/ივლიანე განდგომილი), რომელიც

¹⁹⁴ ვ. გუჩუა. სუმბატ დავითის ძე. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. ტ. 9. თბილისი, 1985, გვ. 604.

სპარსული კამპანიის დროს 363 წლის 26 ივნისს შუბით სასიკვდილოდ დაიჭრა ბაღდადიდან უკანდახევისას.¹⁹⁵ გვიანდელი ქრისტიანული ტრადიციით, იულიანე ღვთისგან დაისაჯა ქრისტიანობის უარყოფისა და წარმართობისკენ შემობრუნების მიზეზით და მოკლული იყო ბერძენი ჯარისკაცის (მოგვიანებით: წმინდა მერკურიუსის) ხელით.¹⁹⁶ ღვთის სასჯელი, მემკვიდრის თქმით, კონსტანტინე VII-მ დაიმსახურა 10-11 წლის ბაგრატ IV-ის მიმართ გამოჩენილი სისასტიკის და საქართველოს მოხრეხის გამო. ავტორის ეს დასკვნა სრულიად ეთანხმება ნაწარმოების პათოსს, რომელიც გამსჭვალულია ბაგრატიონთა საგვარეულოს განდიდებითა და მისი დავით წინასწარმეტყველიდან მომდინარეობის მტკიცებით. ანტიკურობასთან დაკავშირებული ეს პასაჟი ცხადყოფს ისტორიკოსის სურვილს საქართველოს მატანიის კონკრეტული ეპიზოდი განიხილოს მსოფლიო ისტორიის კონტექსტში.

უცნობი ავტორი, „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“

„ქართლის ცხოვრებაში“ შეტანილია თამარის ორი ისტორიკოსის ნაწარმოები: „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ და „ცხოვრება მეფეთა-მეფის თამარისი“. 1884 წელს აღმოჩენილი იყო „ქართლის ცხოვრების“ მარიამისეული ნუსხა, სადაც შეტანილი იყო ნაწარმოები სათაურით „ისტორიათა და აზმათა მეტყუელებასა შინა შარავანდედთა“ რომლის შესწავლაც ამ დროიდან დაიწყო. ნაწარმოების ერთიანობის შესახებ განსხვავებული ვარაუდებია გამოთქმული. ზოგიერთ მკვლევარს ნაწარმოები ორი ნაწილისგან შემდგარად მიაჩნია და მათ ავტორებად ერთ¹⁹⁷ ან სხვადასხვა პიროვნებას¹⁹⁸ ვარაუდობს.

„ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ ავტორის ვინაობის შესახებ სხვადასხვა ვარაუდია გამოთქმული. ავტორის ვინაობისა და ტექსტის ისტორიულ-ფილოლოგიურ გამოკვლევას ცნობილ მეცნიერთა არაერთი ნაშრომი მიეძღვნა.¹⁹⁹

¹⁹⁵ Amm. Marc. Res Gestae, 25.3.6.

¹⁹⁶ Sozomenus, Historia Ecclesiastica, 6.2.

¹⁹⁷ ივ. ჯავახიშვილი. ძველი ქართული საისტორიო მწერლობა. თბილისი, 1945, გვ. 221 და შმდ.; კ. კეკელიძე. „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ როგორც ლიტერატურული წყარო. რუსთაველის კრებული. ტფილისი, 1938, გვ. 120 და შმდგ.

¹⁹⁸ პ. ინგოროყვა. ჩახრუხადე. კავკასიონი. № 1-2. 1924, გვ. 277.

¹⁹⁹ ილ. აბულაძე. ცნობა შოთა რუსთაველის ისტორიული თხზულების შესახებ. ენიშკის მოამბე. № 3. 1938; კ. გრიგოლია. თამარის მეორე ისტორიკოსის ვინაობისა და მისი თხზულების დათარიღებისათვის. თსუ შრომები. ტ. 108. 1964; ს. კაკაბაძე. შოთა რუსთაველი და მისი „ვეფხისტყაოსანი“. თბილისი, 1966; კ. კეკელიძე. „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ როგორც

თამარის ანონიმ ისტორიკოსად XII-XIII საუკუნეების სხვადასხვა მოღვაწეს მიიჩნევდნენ: საეკლესიო პირს ანტონ გლონისთავისძეს (თ. ჟორდანია); სარგის I თმოგველს (პ. ინგოროყვა); მანდატურუთუხუსეს ჭიაბერს (ს. კაკაბაძე); არსენ იშხნელს (კ. კეკელიძე); შოთა რუსთაველს (მ. წერეთელი; ივ. ლოლაშვილი).²⁰⁰

რაც შეეხება ნაწარმოების შეთხზვის თარიღს, აქაც აზრთა გარკვეული სხვადასხვაობა შეინიშნება, თუმცა მეტ-ნაკლებად დადგენილია, რომ „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ XII-XII საუკუნეთა მიჯნაზე უნდა იყოს შექმნილი.²⁰¹ თხზულებაში აღწერილია თამარისა და მისი მამის გიორგი III-ის ისტორია.

ნაწარმოების ავტორი, საყოველთაო აღიარებით, არის საკმაოდ განათლებული პიროვნება, რომელიც კარგად იცნობს აღმოსავლურ და დასავლურ ისტორიულ და ლიტერატურულ ტრადიციას. ივ. ჯავახიშვილის თქმით, „ერთსა და იმავე დროს მას შეთვისებული აქვს საწარმართოცა და საქრისტიანო მწერლობა და აზროვნებაც ისე, რომ მკვლევარი ვერ გაიგებს რა ხელობისა ან რა საქმის კაცი იყო იგი?“²⁰² „საწარმართო“ თხზულებებიდან თამარის ისტორიკოსი იყენებს ანტიკური ხანის ავტორთა თხზულებებს, ხშირად იმოწმებს მათ სხვადასხვა კონტექსტში. როგორც კ. კეკელიძე აღნიშნავს, „ავტორი დასავლური, ბერძნულ-ბიზანტიური განათლების მატარებელი და თაყვანისმცემელია; ამას ამჟღავნებს მისი ლექსიკონი, რომელშიც ჩვენ ვხვდებით არა მარტო ტექნიკურ სიტყვებსა და მაგალითებს, არამედ საკუთრივ ბერძნულ სიტყვებსაც.“²⁰³

განვიხილოთ ნაწარმოებში აღმოჩენილის ანტიკურობასთან დაკავშირებული მონაკვეთები და მათი კონტექსტი.

1. ულუმპიანი

„ისტორიანი და აზმანის“ ავტორი ამ სიტყვას რამდენჯერმე თხზულების სხვადასხვა მონაკვეთში ახსენებს გვირგვინოსან მეფეებთან დაკავშირებით.

ლიტერატურული წყარო. რუსთაველის კრებული. ტფილისი, 1938; კ. კეკელიძე. „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“. წიგნში: ქართული ლიტერატურის ისტორია. ტ. I. თბილისი, 1954; რ. კიკნაძე. ფარსადან გორგიჯანიძე და „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“. თბილისი, 1975; ივ. ლოლაშვილი. რუსთაველი და თამარის ისტორიკოსთა ვინაობის პრობლემა. თბილისი, 1961; ივ. ჯავახიშვილი. თხზულებანი თორმეტ ტომად. ტ. 8. თბილისი, 1977.

²⁰⁰ მიმოხილვისთვის იხ. რ. მეტრეველი. მეფე თამარი, ეპოქის პოლიტიკურ-კულტურული და სოციალურ-ეკონომიკური მიმოხილვა. თბილისი, 1991, გვ. 7 და შმდგ.

²⁰¹ რ. მეტრეველი. მეფე თამარი, ეპოქის პოლიტიკურ-კულტურული და სოციალურ-ეკონომიკური მიმოხილვა. თბილისი, 1991, გვ. 7.

²⁰² ივ. ჯავახიშვილი. თამარ მეფის ისტორიკოსი. ტ. VIII. თბილისი, 1977, გვ. 229.

²⁰³ კ. კეკელიძე. „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ როგორც ლიტერატურული წყარო. რუსთაველის კრებული. ტფილისი, 1938, გვ. 135-136.

ა) თამარის ისტორიკოსი თხზულების დასაწყისში აღნიშნავს, რომ თვით „ქებათა ქებას“ ავტორი, სოლომონ მეფე არაა საკმარისი, რათა გადმოიცეს „ულუმპიანობა“ ქართველ გვირგვინოსანთა:

„ქებასა ქებათასა“ რომელსა-იგი გალობს სიბრძნითამეიგავე სოლომონ, რომლისაგან შთამოთესლოვნებისა ვერ-საკმო არსა შემსხმელად ულუმპიანობათა მათ გარდაცემასა“.²⁰⁴

ბ) სახელოვან გამარჯვებებს შორის გიორგი მეფე, ისტორიკოსის თქმით, ასე ისვენებდა:

„თვთ მეფე დაჯდა სიხარულად და განსუენებად და ნადირობად. ოდესმე, ჟამსა ზამთრისასა, გარდავიდის ლიხთ-იმერეთს და მიუწიის ზღუად პონტოსა, მოიწიის და მოინადირის ალანთა ქუეყანა, რომელ არს აფხაზეთი, ოდესმე გურგენის ზღუადმდე. და ამას შინა სუფევდა და იხარებდა სუფევითა ულუმპიანითა“.²⁰⁵

გ) თამარის გამეფების გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით ნაწარმოებში აღნიშნულია:

„უკეთუმცა არა შემეცნებულ იყო სისრულესა და ჰერობასა ულუმპიანობისა და, ზეშთა სთქუათ, ამთავრებისასა მანიაკი იგი გვრგვნი მეფობისა, არმცა მრწმუნებელ ქმნილ იყო საყდარსა დავითისსა და ბექედსა სოლომონისსა“.²⁰⁶

დ) თამარის მეფედ კურთხევის შესახებ ისტორიკოსი წერს:

„აწ მხილველმან იხილა და იყო ნათელი უმეტეს ნათლისა მის პირველისა, „და იყო კეთილი, და უწოდა ნათელსა მას დღე“. და უწოდა ნათელი ულუმპიანთა შორის დიდსუეობისა“.²⁰⁷

ე) თამარის და იური ბოგოლიუბსკის ქორწილის აღწერისას ავტორი აღნიშნავს:

„და ვითარ იყო ხუედრი და რიგი ულუმპიანობისა და შარავანდედობისა მათისა, ეგრეთ იქმნა ქორწილი სახედაუდებელი და იგავ-მიუწდომელი; სიმრავლენი სახეობათანი, ძღუნობანი და ნიჭებანი თუალთა და მარგალიტთანი, ოქროჭედილთა და უჭედელთანი, სიმდიდრეთა და ღართა კერულთა და უკერელთანი, მსგეფსამდი სხარული, შუება, ძღუნობანი, გაცემანი“.²⁰⁸

²⁰⁴ ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. II. თბილისი, 1959, გვ. 1.

²⁰⁵ ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. II. თბილისი, 1959, გვ. 23.

²⁰⁶ ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. II. თბილისი, 1959, გვ. 26.

²⁰⁷ ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. II. თბილისი, 1959, გვ. 27.

²⁰⁸ ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. II. თბილისი, 1959, გვ. 65.

ვ) თამარის, დავით სოსლანისა და მათი მემკვიდრის გიორგის მონაწილეობით მოწყობილი ბრწყინვალე დარბაზობის აღწერისას ისტორიკოსი წერს:

„და დასხდეს ტახტსა ზედა ოქრო-ჭედილსა თვთ თამარ, დავით და ძე მათი გიორგი, მადიდებელნი და მასახელებელნი ყოვლისა **ულუმპიანობისა** და შარავანდთ-მპყრობელობისა გუარფესუობისანი, და რომელთათჳს მოქალაქობისა მოქმედნი“.²⁰⁹

ზ) თამარის და დავით სოსლანის ოჯახური ბედნიერების ხაზგასასმელად ავტორი მიუთითებს:

„ხოლო მწყემს ოდენ ეკმაებოდეს ტყუესა და ნატყუნავსა, და თვთ იშუებდეს, იხარებდეს, ნადირობდეს და სუფევდეს **ულუმპიანად** და შუენიერად ბედიანნი და სჯანნი თამარ და დავით ორთა შვილთა თანა, ნათელ-მოსილთა და ბრწყინვალეთა“.²¹⁰

საყურადღებოა, რომ „ულუმპიანი“ გვხვდება XII-XIII საუკუნეების ქართული ლიტერატურის სხვადასხვა ჟანრის ნაწარმოებებში: ჰიმნოგრაფიაში, სახოტბო პოეზიასა და ფილოსოფიურ თხზულებებში.

შალვა ნუცუბიძე ტერმინ „ულუმპიანის“ შესახებ (იოანე პეტრიწთან) აღნიშნავს: „ვინ არიან ეს ქართველი ოლიმპიელნი („ულუმპიანნი)? ცხადია, რომ აქ ლაპარაკია ქართველ წარმართობის ღმერთებზე...“.²¹¹

აღსანიშნავია, რომ კ. კეკელიძის აზრით, „ულუმპიანი“ არ არის დაკავშირებული ანტიკურობასთან: „ულუმპიანი“ ოლიმპოს მთის წარმართ ღმერთებს კი არ ნიშნავს, არამედ, როგორც XII-XIII საუკუნის სხვა ქართულ ლიტერატურულ ძეგლებშიაც, უმაღლესს, უდიადესს უპირატესს, უზენაესს“.²¹²

ნ. სულავას აზრით, „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ ავტორი „ულუმპიანობას“ მეფეთა თვისებად მიიჩნევს. გიორგი III-ისა და თამარ მეფის სახეებს „ულუმპიანობით“ ამკობს, რაც უზესთაესის, აღმატებულის, ოლიმპიური დიდების გამოვლინებადაა აღქმული. „ულუმპიანობა“ ძლევამოსილების აღმნიშვნელია და საკმაოდ გავრცელებული ჩანს ქრისტიანულ ლიტერატურაში“.²¹³

ჩემი მხრიდან იმას დავამატებდი, რომ მართალია, „ულუმპიანი“ ბიზანტიურ ეპოქაში სხვა მნიშვნელობას იძენს, მაგრამ თავად სიტყვის ეტიმოლოგია აშკარად

²⁰⁹ ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. II. თბილისი, 1959, გვ. 65.

²¹⁰ ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. II. თბილისი, 1959, გვ. 76.

²¹¹ იოანე პეტრიწის შრომები. ტ. II. განმარტება პროკლესათვის დიადოხოსისა და პლატონურისა ფილოსოფიისათვის. ტექსტი გამოსცეს და გამოკვლევა დაურთეს შ. ნუცუბიძემ და ს. ყაუხჩიშვილმა. თბილისი, 1937, გვ. CII.

²¹² კ. კეკელიძე. ქართული ლიტერატურის ისტორია. ტ. I. თბილისი, 1960, გვ. 300.

²¹³ ნ. სულავა. XII-XIII საუკუნეების ქართული ჰაგიოგრაფია. თბილისი, 2003, გვ. 145.

დაკავშირებულია საბერძნეთის ოლიმპოს მთასთან, სადაც ბინადრობდნენ უზენაესი ოლიმპიელი ღმერთები. ეს სიტყვა, როგორც ამას „ძველი ქართული ენის შეერთებულ ლექსიკონში“ ვკითხულობთ, ნიშნავს: 1. „ოლიმპიურს“, „უზესთაესს“; 2. „ოლიმპიელს“, „მეფეს“.²¹⁴ შესაბამისად, მიმაჩნია, რომ სიტყვა „ულუმპიანის“ განხილვა, როგორც ანტიკურ სამყაროსთან დაკავშირებული ტერმინისა, სრულიად შესაძლებელია.

2. ასფოდელ; ილზსიოს ველი

ა) თხზულების დასაწყისში ისტორიკოსი ქებას ასხამს თამარის ღვთისმოსაობას და წერს:

„ვინაცა ამან შეაყო თვისისა სულისა წყარო ხედვათა პირველსა ამას წყაროსა ქრისტესა, ნათელსა მამისასა, რომელმან მოიგონნა ხუთნი საგრძნონი: ხედვა, სმენა, შეხება, გემოსხილვა და განრჩევა. და დაამორჩილნა კლდესა მას ქრისტესა ასფოდელოდ-ქმნითა გონებისათა, არა არს მექმნი ნებისა თვისისა“.²¹⁵

ბ) ისევ თამარ მეფესთან დაკავშირებით ავტორი წერს:

„[...] იხილვებოდა ღმრთისაგან ღმერთქმნილად [თამარ მეფე – ე.კ.], შორის ღმრთთა გამკითხველად ღმრთისა სახეობად, რომელსა მოესთულო სურნელება და შუება სამოთხისა, მოეფუტკრა ვარდბუტკობა, ყვავილმცენარეობა, ასფოდელ-ნარგისობა ილზსიოს ველის ნამორჩებთა?!“²¹⁶

ასფოდელოსი, რომელიც ხმელთაშუაზღვისპირეთში ფართოდ გავრცელებული სხვადასხვა შეფერილობის მქონე სურნელოვანი ყვავილია, ბერძნულ მითოლოგიაში დაკავშირებული იყო გლოვასთან, მიწისქვეშა სამყაროსთან, ხოლო ასფოდელოსის მინდვრები – გარდაცვლილ სულთა განსვენების ადგილთან. ჰომეროსის „ოდისეაში“ ნახსენები „ასფოდელოსის მინდვრები“ (Hom. Od. 11, 539, 573; 24.14) ქრისტიანულ ლიტერატურაში იქცევა საამო და სასურველ ადგილად, ერთგვარ სამოთხედ.²¹⁷

„ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ ტექსტში ასფოდელოსი, მართალია, სურნელოვანი ყვავილის მნიშვნელობითაა ნახსენები, მაგრამ, ვფიქრობ, ნაწარმოების კონტექსტი „ასფოდელი“ ასფოდელოსის მინდვრებთან გარკვეული ალუზიის

²¹⁴ ძველი ქართული ენის შეერთებული ლექსიკონი: 16800 სიტყვა. შედგენილია ილ. აბულაძის, აკ. შანიძის, ივ. იმნაიშვილისა და სხვა ავტორთა ლექსიკონური წყაროების მიხედვით. შემდგ.: გრ. რუხაძე; რედ.: გ. კოპლატაძე. დაიბეჭდა სრ. საქ. კათოლიკოს-პატრიარქის ილია II ლოცვა-კურთხევით. თბილისი, 2008, გვ. 452. ხელმისაწვდომია ონლაინ: <http://www.nplg.gov.ge/saskolo/index.php?a=term&d=44&t=13889> ბოლო ნახვა: 18.05.2024.

²¹⁵ ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. II. თბილისი, 1959, გვ. 2.

²¹⁶ ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. II. თბილისი, 1959, გვ. 64-65.

²¹⁷ S. Reece. Homer's Asphodel Meadow. In: Homer's Winged Words, The Evolution of Ancient Greek Epic in the Light of Oral Theory. Leiden, Boston, 2009, გვ. 261-262.

სივრცეს მაინც ტოვებს, განსაკუთრებით, მეორე მონაკვეთში, სადაც სიტყვას „ასფოდელ-ნარგისობას“ მოსდევს „ილზსიოს ველის ნამორჩები“. „ილზსიოს ველი“ ბერძნულ მითოლოგიაში არის ელისიონის/ელისეს მინდვრები (Ἠλύσιον πεδῖον), სხვაგვარად – ელიზიუმი, ადგილი ჰადესში, სადაც ნეტართა სულები განისვენებენ.²¹⁸ ჰომეროსთან ესაა სამოთხე (Hom. Od. 4.560–565), რომელიც ანტიკური ხანის არაერთ ავტორთან გვხვდება.

ქრისტიანულ სამყაროში ელისეს მინდვრები, ერთგვარად, სამოთხედ აღიქმება, რაც დანტეს „ღვთაებრივ კომედიაში“ კარგად ჩანს (Div. Com. Par. Canto XV ; 25-27).

ვ. ასათიანის აზრით, „ცნობა ასფოდელისა და ილზსიოსის შესახებ „ელინთა ზღაპრობანიდან“ უნდა მომდინარეობდეს“. „ზღაპრობანის“ მიხედვით – „სახელი ილზსიოდსა... ესრეთ გამოითარგმანების, ვითარმედ „განსასუებელი უჯაჭო“ ესე იგი „არც ადგილი წსნილი და თავისუფალი ტანჯვათაგან“, ხოლო „ასფოდელოდ სახელი არს მწუანვილისაჲ, რომლისაჲ სული სულნელ და ფერი შუენიერ და ძირი მისი სარგებელ“. შესაძლოა, წყარო პეტრიწის თხზულებაც იყოს“.²¹⁹

3. ჰომეროსი

გიორგი III-ის წინაპარ ბაგრატიონთა ღვთაებრივი წარმომავლობის აღნიშვნის შემდეგ, ისტორიკოსი აქებს ჯერ კიდევ ახალგაზრდა მეფის მიერ სომხითის სამთავროთა ბრძოლით შემოერთებას (აქ იგულისხმება 1161 წელს ანისზე გალაშქრება და 1162 წელს დვინის აღება) და წერს:

„და მით მინადებისა, რომელმან ნებსოთისა ჰასაკითა მოიგო ჰაიოსის ძეთა სამთავრები, რომელთა შემსხმელად ჯამს **ომიროს** მერაბამე იგი“.²²⁰

ამრიგად, „ისტორიანი და აზმანის“ ავტორი თვლის, რომ გიორგის მიერ გადახდილი ომების აღწერას ჰომეროსი თუ შეძლებდა.

ამ პასაჟის კომენტარებისას თ. ყაუხჩიშვილი აღნიშნავს: „ისტორიკოსი იცნობს ჰომეროსს და დიდი აზრისაა მასზე, როგორც შემსხმელზე:... მოხიბლული შესაქებ მეფეთა ზნეობრივი სახით იგი წერს, თვითონ არ არის ღირსი მათი ქებისა, „შემსხმელად ჯამს **ომიროს** მერაბამე იგი“. რა არის „მერაბამე“ არ ვიცით. კ. კეკელიძის

²¹⁸ A Companion to Greek Religion. Ed. by D. Ogden. Oxford, 2007, გვ. 92.

²¹⁹ ვ. ასათიანი. ანტიკურობა ძველ ქართულ მწერლობაში. თბილისი, 1987, გვ. 89.

²²⁰ ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. II. თბილისი, 1959, გვ. 2.

გამოცემაში სხვაგვარადაა: „რომლისა შესხმაჲ ჳამს ომროსისა მიერ. რაბამ იგი ადიდა“.²²¹

ვფიქრობ, ამ შემთხვევაში ავტორი აწარმოებს ახალ სიტყვას ფილოსოფიურ-თეოლოგიური ტერმინისგან „რაბამობაჲ“ „რაბამობა“, რაც ნიშნავს „რაგვარობას“, „შესაბამისობას, ანალოგიას“.²²² ამგვარად, „მერაბამე“ უნდა ნიშნავდეს: „ის, ვინც შესაბამისად აკეთებს“.

ამრიგად, „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ ავტორი თვლის, რომ ჰომეროსის მონათხრობი სანიმუშო უნდა იყოს მათთვის, ვისაც სურს, აღწეროს ომების ამბავი, რადგან ჰომეროსი ამას შესაბამისად აკეთებს.

4. პლუტარქოსი, ალექსანდრე მაკედონელი

„ისტორიანი და აზმანის“ ავტორი მიიჩნევს, რომ ჟამთააღმწერთა მიერ გამოჩენილ პირთა, ქვეყნის მმართველთა შეფასება უნდა ეფუძნებოდეს მათ საქმეებს – საქებარი უნდა იქოს, ხოლო დასაგმობი – დაიგმოს. მაგალითად მას მოჰყავს თხზულება ალექსანდრეზე, რომლის ავტორმა, პლუტარქოსმა ალექსანდრეს ცხოვრების გადმოცემისას „იდიდსტიტყუა“ – დიდებულად აღწერა ყველაფერი, რაც წარმოადგენს „ზემომადლელი ისტორიათა მწერლობასა შინა“ – საუკეთესო-საისტორიო მწერლობის ნიმუშს – „კელმწიფეთა შემსხმელობისასა“ – მეფეთა ქებისათვის:

„იდიდსტიტყუა ალექსანდრესადმი პლუტარქოს ზემომადლელი ისტორიათა მწერლობასა შინა კელმწიფეთა შემსხმელობისასა, ვითარ ჟამთა და ჟამთა ზეგარდმო ჩინებითა აღმონათდებიან ქვეყანის მფლობელნი და მიიღებს თვთეული საქმისა შესატყვისებასა, აღმკულებასა სიტყვთა და საქმითა, და ვინმე საგმობნი აღმეგლნა ბოროტთა საქმეთა შინა“.²²³

თ. ყაუხჩიშვილი ამ პასაჟის კომენტარებისას აღნიშნავს: „ἱστορίαι παρὰ πλάγιον საკმაოდ პოპულარული ნაწარმოები იყო ყოველთვის, ყველა ეპოქაში და, ჩანს,

²²¹ თ. ყაუხჩიშვილი. ანტიკური სამყარო რუსთაველის ეპოქის ისტორიოგრაფიაში. თამარის ისტორიკოსები. მაცნე, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია. № 3. 1974, გვ. 104.

²²² ძველქართულ-ძველბერძნული ფილოსოფიურ-თეოლოგიური ტერმინოლოგიის დოკუმენტირებული ლექსიკონი = Old georgian-greek documented dictionary of philosophical-theological terminology: (მასალები) / [ქართველოლ., ჰუმანიტ. და სოც. მეცნ. ფონდი რუსთაველის ფონდი; პროექტის ავტ. და სამეცნ. ხელმძღვ. დ. მელიქიშვილი; პ/მგ რედ.: ა. ხარანაული, ბერძნ. ტექსტის რედ.: ლ. გიგინეიშვილი, ვ. ჯუღელი]. თბილისი, 2010. ხელმისაწვდომია ონლაინ: <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=index&d=27> ბოლო ნახვა: 23.05.2024.

²²³ ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. II. თბილისი, 1959, გვ. 2.

ქართველ ისტორიკოსს ესა აქვს მხედველობაში, როდესაც აქებს პლუტარქოსს და მის მიერ ალექსანდრეს განდიდებაზე ლაპარაკობს“.²²⁴

კ. კეკელიძე ასე განმარტავს ისტორიკოსის შესავალს: „მეორე დარგი მწერლობისა, რომელშიაც ჩვენი ავტორი სრული ბატონპატრონია, არის საისტორიო. თხზულების შესავალში ავტორს ხელმძღვანელიც კი დაუსახელებია, რომელსაც „ისტორიაში აღმწერლობაში“ უნდა მიბადოს; ეს არის „პლუტარქოსი, ზემომმაღლველი ისტორიათა მწერლობასა შინა კელმწიფეთა შემასხმელობისასა“. მან იცის საგანგებო ჟანრი საისტორიო მწერლობისა, ე.წ. ვასილოდრაფი, რომელიც არის მოთხრობა მეფეთა, და რომლის ნიმუშს წარმოადგენს შრომა“.²²⁵

საყურადღებოა, რომ პლუტარქოსის ქებასთან დაკავშირებულ ამ მონაკვეთს წინ უძღვის ჰომეროსის მოხსენიებაც, რაზეც მე ზემოთ უკვე გავაკეთე კომენტარი. ბუნებრივია, რომ ჰომეროსისა და პლუტარქოსის ხსენება, როგორც სანიმუშო ავტორებისა, ცხადყოფს, რომ ისტორიკოსი მისაბამად და სამაგალითოდ მიიჩნევს ძველბერძნული ლიტერატურის ამ ავტორებს, „მათზე სწორება აქვს“, ჰომეროსის შემთხვევაში – ომების აღწერისას, ხოლო ხელმწიფის განდიდების თვალსაზრისით – პლუტარქოსზე. ამ „განაცხადით“ ავტორი, ჩემი აზრით, ცხადყოფს, რომ მისი თხზულება ანტიკური მწერლობის საუკეთესო ტრადიციებს დაემყარება და მხატვრულ-დოკუმენტური ყაიდისა იქნება.

5. ალექსანდრე მაკედონელი

ნაწარმოებში იძებნება რამდენიმე პასაჟი, სადაც ავტორი სხვადასხვა კონტექსტში ახსენებს ალექსანდრე მაკედონელს.

ა) აღწერს რა მეფე გიორგის საბრძოლო შემართებას, ისტორიკოსი წერს:

„და თვით მეფე [გიორგი III – ე.კ.] **ალექსანდრეს** სუითა და სიაოშის მოყმეობითა სდევდა მრავალგზის გამომცვლელი რაზმთა, სცემდა და იცემებოდა, სრვიდა და ისროლებოდა, და ბუმბერაზნი მისნი თანაშემწეობდეს“.²²⁶

ბ) ერთ-ერთი წარუმატებელი ბრძოლისას მეფის დიდებულები ამ სიტყვებით ცდილობდნენ დაეთანხმებინათ გიორგი, რომ უკან დაეხია:

„ნუ უკუე, მეფევ, ჟამი არს ომისა, და ჟამი არს სივლტოლისა, ვინათგან ყოველსავე საქმესა ჟამი მიაჩანს. რამეთუ ოდესმე **ალექსანდრეცა** იძლივა დედაკაცისა

²²⁴ თ. ყაუხჩიშვილი. ანტიკური სამყარო რუსთაველის ეპოქის ისტორიოგრაფიაში. თამარის ისტორიკოსები. მაცნე, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია. № 3. 1974, გვ. 107.

²²⁵ კ. კეკელიძე. ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია. ტ. II. თბილისი, 1981, გვ. 270.

²²⁶ ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. II. თბილისი, 1959, გვ. 9.

მიერ, და ეგრეთვე სამხსონ [დალილასაგან და სოლომონ] სიბილასაგანი. და სხუანი სახენი ჯელმწიფეთა ძლეულებისანი წინაუყენეს“. ²²⁷

კ. კეკელიძე და ს. ყაუხჩიშვილი თვლიან, რომ ნაწარმოების ეს ადგილი ეყრდნობა გიორგი ამარტოლის „ხრონოღრაფს“. ²²⁸

გ) თამარის მეფობისას დავით სოსლანი წინამძღოლობით ქართველთა ჯარის გამარჯვებებს ისტორიკოსი ალექსანდრე მაკედონელის სამხედრო იღბლიანობას ადარებს:

„და ლაშქრობდა დავით ბრძანებით და გამოირჩეოდა თამარ სუე-ალექსანდრიანისათა და იმარჯვებდა შეწევნითა ზეგარდამოთა“. ²²⁹

დ) 1195 წელს ათაბაგმა აბუბაქარმა დაიპყრო საქართველოს ქვეშევრდომი ქვეყანა – შირვანი. შირვანშაჰი აღსართანი და მისი სიძე, ათაბაგ აბუბაქრის ძმა ამირ-მირმანი დამარცხდნენ. დამარცხებას დაერთო საშინელი მიწისძვრა, რომლის დროსაც დაიღუპნენ შირვანშას ცოლი და შვილები. აღსართანმა თამარს ურიცხვი ძღვენი მიართვა და როგორც ყმადნაფიცმა, დახმარება სთხოვა. მოციქულებმა, ისტორიკოსის თქმით, ასეთი გზავნილი გადასცეს მეფეს:

„ვინათგან ძალ აქუს ძალსა თქუენსა და ბრძნივგამო რჩეულებასა და სუესა ალექსანდრიანსა თქუენ თამარისასა, სიმცნესა და სიქველესა თქუენ დავითიანისასა, უებრობასა ლაშქართა თქუენთასა აღებად ყოვლისა სპარსეთისა, -- მაშინ დასვთ ასული თქუენი, ნათელი და შესატყვისი ნაყოფი საამო მეცნიერებისა და ბრწყინვალეზა შარავანდთ-მკრთომელობისა თქუენისა, პატრონად ყოვლისა სპარსეთისაჲ“. ²³⁰

ე) ვფიქრობ, რომ ალექსანდრე მაკედონელი ასევე უნდა იგულისხმებოდეს ნაწარმოების შემდეგ პასაჟში, რომელიც მეფე გიორგი მეფის წარმატებულ ლაშქრობათა სიმრავლის აღწერას ეძღვნება:

„ნუ უკუე და ჰნიელ მსგავსი მღასოსა, ფერჯთა წყალ-მცენარისა, ანუ ვეფხისა მის ფრთოვანისა წამსა შინა მლაშქვრელმან და აღვსებულმან აურაცხელითა და

²²⁷ ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. II. თბილისი, 1959, გვ. 13.

²²⁸ კ. კეკელიძე., ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია. ტ. II. თბილისი, 1981, გვ. 270; ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. II. თბილისი, 1959, გვ. 13.

²²⁹ ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. II. თბილისი, 1959, გვ. 55.

²³⁰ ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. II. თბილისი, 1959, გვ. 55.

მიუწდომელითა საუნჯითა გარდმფრინველობისა ნავროზობითა გეგუთსვე ეგო, რომელ მუნ მყოფთა ძლითდა სამე ირწმუნეს ყოფა ამისი“.²³¹

ფრთოსანი ვეფხვი („ვეფხვისა მის ფრთოვანისა“) ალექსანდრე მაკედონელთან კავშირში „ქართლის ცხოვრების“ კიდევ ერთ პასაჟში გვხვდება. კერძოდ, როგორც ეს დავითის ისტორიკოსთან დასტურდება, ყივჩაყთა ჩამოსახლების შედეგად დავით აღმაშენებლის მიერ ქართველთა გაძლიერებული ჯარის ლაშქრობების შეფასებისას ისტორიკოსი ადარებს დავითს ალექსანდრე მაკედონელს და აღნიშნავს:

„რამეთუ დაღათუ წერილმან ფრთოვანსა ვეფხსა მიაღმგავსა მაკედონელი იგი სიფიცხითა მიმმართველობისათჳს, და მსწრაფლ მიმოვლისა ქუეყანათა შინა“.²³²

ალექსანდრე მაკედონელის შედარება ფრთოსან ვეფხვთან „წერილში“ – დიდი ალბათობით, ფსევდოკალისტენეს „ალექსანდრიანში“ იყო მოცემული, რაც ქართველი მკითხველისთვის კარგად ცნობილი უნდა ყოფილიყო. შესაბამისად, ეს შედარება „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ ავტორმა გიორგი III-ის მიმართ მოიმარჯვა.

ვ) „ისტორიანი და აზმანის“ ავტორი მოგვითხრობს 1195 წლის მახლობელ ამბებს – საქართველოს მიერ დამარცხებულმა და ნახჭევანში გადახვეწილმა ათაბაგმა აბუბაქარმა მოსყიდულ პირებს მოაწამებლენა საკუთარი ძმა ამირ-მირმანი, რომელიც საქართველოს ქვეშევრდომი ქვეყნის, შირვანის მმართველის, შირვანშაჰის თანამებრძოლი და სიძე იყო. როდესაც ამირ-მირმანის ცუდად ყოფნა შეიტყო, დავით სოსლანი გაემგზავრა შამქორისკენ, თუმცა ცოცხალს ვერ მიუღწერო. დავითმა და დიდებულებმა პატივი მიაგეს ამირ-მირმანის ცხედარს, ხოლო თამარი შავით შეიმოსა და ცხარე ცრემლით დაიტირა გარდაცვლილი. ეს ეპიზოდი ისტორიკოსს შედარებული აქვს ალექსანდრე მაკედონელის მიერ მის მიერ ადრე დამარცხებულ ინდოელთა მეფე პოროსის მიმართ თანაგრძნობასა და დიდსულოვნებასთან.²³³

„მაშინ შემოიქცა მეფე დიდებულთურთ, მოვიდა წინაშე თამარსა და, მსგავსად ალექსანდრესა, ვით დასდვა პატივი დიდი პორეს ლუსკუმასა შინა ჯდომითა,

²³¹ ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. II. თბილისი, 1959, გვ. 334.

²³² ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტომი I. თბილისი, 1955, გვ. 337-338.

²³³ აქ ეს ამბავი არის იმის სიმბოლო, თუ როგორ გახდა ამირ-მირმანი, შირვანის მმართველი, ყოფილი მეტოქე და მოწინააღმდეგე, ერთგული მსახური და ღირსეული თანამებრძოლი ქართველი მეფეებისთვის. ალექსანდრეს ისე მოეწონა პოროსი, რომ არა მხოლოდ დატოვა მმართველად (ინდოეთის მმართველად ბერძნული წყაროების მიხედვით, მაგრამ რეალურად ეს პენჯაბია, თანამედროვე პაკისტანი და იქ მდებარე ერთ-ერთი ინდური სამეფო), არამედ მას სამფლობელოც გაუზარდა. მოკლედ, თამარის და შირვანის შაჰის ურთიერთობას წყარო ადარებს ალექსანდრეს და პოროსის ურთიერთობას, იგივე პატივისცემა, იგივე სუბორდინაცია და იმავე მტრის მოკეთედ ქცევის ამბავი (გ.უ.)

ეგრეთვე შავითა შეიმოსა ნათელი იგი, პირველი ნათლისაჲცა უბრწყინვალესი, და დიდითა ცრემლითა მოიტირნა“.²³⁴

კ. კეკელიძის აზრით, ეს ადგილი ისტორიაში შესულია რომანიდან „ალექსანდრიანი“ – პორეს (Πόρις) ეპიზოდი კარგად არის ცნობილი ალექსანდრეს ცხოვრებიდან – ხანგრძლივი და მძიმე ბრძოლის შემდეგ გაიმარჯვა მასზე ალექსანდრემ 326 წლის მაისში და ეს შესულია მის ყველა ბიოგრაფიაში.²³⁵

ზ) გიორგი III-ის გარდაცვალებით შეძრწუნებული ისტორიკოსი წერს:

„თუმცა [პირ]ველ იგი მზე მზეთა და შარავანდი ჯელმწიფობისა, ახალი ნებროთ, ალექსანდრე აქილევ, ქუეყანით ცად მიიმართა, და ამანცა მასვე მსგეფსა მის ვნებისასა ივნო; ესრეთ „ვითარცა იგი ცათა შინა, ეგრეთვე ქუეყანასა ზედა“.²³⁶

საყურადღებოა, რომ აქ ისტორიკოსი ახსენებს სამ სწორუპოვარ მეომარს, რომელსაც გიორგი მეფეს ადარებს: ნებროთს – ბიბლიურ გმირს, ქამის ძის, ხუსის (ქუშის) ვაჟს, რომელიც ითვლებოდა სწორუპოვარ მონადირედ და ომის გამომგონებლად; ალექსანდრე მაკედონელს, უდიდესი იმპერიის შემქმნელს და გენიალურ მხედართმთავარს და აქილევს, მირმიდონელთა მეფეს, რომლის გარეშეც ბერძნები ტროას ომში გამარჯვებას ვერ მოიპოვებდნენ. პიროვნებათა ამ მიმდევრობით, ჩემი აზრით, ისტორიკოსი ხაზს უსვამს, რომ გიორგი III, პირველ რიგში, არის ქრისტიანი, შემდეგ – წარმატებული მხედართმთავარი და ხელმწიფე და ბოლოს – ერთგვარი მითური გმირი, რომლის გარეშეც გამარჯვების მოპოვება შეუძლებელია.

6. აქილევსი

ალექსანდრესთან ერთ კონტექსტში ნახსენები აქილევსი არაერთხელ ჩნდება „ისტორიანი და აზმანის“ სხვადასხვა კონტექსტში, სხვადასხვა გვირგვინოსანთა დახასიათებისას.

ა) ისტორიკოსი გიორგი მეფეს ჯარის ნამდვილ წინამძღოლად, ომში გარდატეხის შემტან მებრძოლად წარმოადგენს და მისი მკლავის სიძლიერეს აქილევსისას ადარებს:

„და ვითარ იხილეს დროშა დაცემული მკლავითა აქილიანითა [გიორგი III-ისა – ე.კ.], იქცევისი მკვეთრ მკვეთელად, იჭმიეს სივლტოლა ძალისაებრ ჰუნეთასა,

²³⁴ ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. II. თბილისი, 1959, გვ. 76.

²³⁵ К. Кекелидзе. История и восхваление венценосцев. Тбилиси, 1954, гв. 12.

²³⁶ ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. II. თბილისი, 1959, გვ. 24.

რომელსა შინა აღესრულა სიტყუა – წარქცევად ერთისაგან ამირსპასალარნი, დიდებულნი და ლაშქარნი“.²³⁷

ამ პასაჟში ყურადღებას იქცევს საკუთარი სახელის ზედსართავად წარმოდგენა, რაც მას საინტერესო და ორიგინალურ ეპითეტად აქცევს. ამ ეპითეტს ავტორი ქვემოთაც იმეორებს.

ბ) გიორგის აქილევსისებური მკლავი კიდევ ერთხელ ჩანს სხვა საბრძოლო ეპიზოდში:

„ესე ვინათგან ცნა ჳელმწიფემან და სუე-განდიდებულმან [გიორგი III-მ – ე.კ.], მკლავმან აქილიანმან და გულმან მალნინტოანმან, მიეტევა სახედ მჯეცისა“.²³⁸

გ) ალექსანდრე მაკედონელის სახელის საინტერესო ფორმა გამოყენებული აქვს ისტორიკოსს ერთ-ერთ ეპიზოდში, სადაც აღნიშნულია, რომ გიორგი ალექსანდრე მაკედონელის მსგავსად, ღვთის წყალობას იყო მინდობილი:

ციტაცია: „მინდობილი [გიორგი III – ე.კ.] წყალობათა შემძლისა, ვითარ იტყვს ისტორია ისქანდერ მაკიდოვნელისა“.²³⁹

კ. კეკელიძის აზრით, „ამ ადგილს ავტორს მხედველობაში აქვს „ისქანდერ-ნამე“ ნიზამი განჯევისა, „შაჰ-ნამეს“ მიზამვით დაწერილი ფანტასტიური ისტორია ალექსანდრე მაკედონელისა“.²⁴⁰

პ. ინგოროყვას აზრით, ეს ფორმა მოდის „ალექსანდრიანის“ ირანულ-არაბული ტექსტიდან.²⁴¹

დ) ერთ-ერთ ეპიზოდში გიორგი მეფის საბრძოლო თვისებების ხატოვნად წარმოსაჩენად ისტორიკოსი გვთავაზობს ქართული და ანტიკური მასალის საინტერესო სინთეზს, სადაც ერთ კონტექსტში მოცემულია ქართული ისტორიული (ვახტანგ გორგასალი – „გორგასლიანი“) და ბერძნული მითური (აქილევსი – „აქილიანი“) რეალობა, რაც ქმნის გმირის („იროა“ – ἥραც „გმირი“) მხატვრულ სახეს და იმდროინდელი გმრობის ერთგვარ კონცეფციას:

„და თვთ იხილეს ტანითა გორგასლიანითა და მკლავითა აქილიანითა და პირითა მნათობიერითა კაცი იროად საგონებელი“ [გიორგი III ე.კ.].²⁴²

²³⁷ ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. II. თბილისი, 1959, გვ. 9.

²³⁸ ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. II. თბილისი, 1959, გვ. 11.

²³⁹ ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. II. თბილისი, 1959, გვ. 7.

²⁴⁰ კ. კეკელიძე. „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ როგორც ლიტერატურული წყარო. რუსთაველის კრებული. ტფილისი, 1938, გვ. 146-148.

²⁴¹ პ. ინგოროყვა. რუსთაველის ეპოქის სალიტერატურო მემკვიდრეობა. რუსთაველის კრებული. ტფილისი, 1938, გვ. 62-63.

ე) საყურადღებოა, რომ თხზულებაში აქილევსთან შედარებულია არა მხოლოდ გიორგი III, არამედ თამარ მეფის მეუღლე, დავით სოსლანიც:

„და მეფე [დავით სოსლანი – ე.კ.] იქცეოდა მსგავსად აქილევსისა“.²⁴³

აღსანიშნავია, რომ „ისტორიანი და აზმანის“ ტექსტს დართულ ლექსში, რომელიც იოანე ჭიმჭიმელს ეკუთვნის, დავით სოსლანი კვლავ არის შედარებული აქილევსთან:

„აქილევსებრ ძალითა მპყრობ ელადეთსა ჯამს ისი“.²⁴⁴

ვ) კვლავ აქილევსი იგულისხმება ტექსტის იმ მონაკვეთში, სადაც შექმნილია ამირ-მირმანის, ათაბაგ ყიზირ-არსლანის უმცროსი ძმისწულის საბრძოლო თვისებები:

„მოიმახოს უცთომელმან მსროლელმან და ვითარ განსწავლულმან კენტავროსისგან“.²⁴⁵

პ. ინგოროყვა სამართლიანად შენიშნავს: „აქ საყურადღებო ისაა, რომ „ისტორია-აზმათა“ ავტორი საჭიროდ არც კი სთვლის, დაასახელოს აქილევსი, რადგან გულისხმობს, რომ მკითხველებმა კარგად იციან, თუ ვინ იყო ის გმირი, რომელსაც კენტავროსმა აუცდენელი სროლა ასწავლა“.²⁴⁶

თ. ყაუხჩიშვილი ყურადღებას ამახვილებს ერთ მნიშვნელოვან დეტალზე: „განა აქილევსისთვის ესაა პირველი ნიშანი, რომ მას კენტავროსმა ასწავლა სროლა? ეს მხოლოდ ერთი დეტალია მისი ბიოგრაფიიდან, რაც არც თუ ისე პოპულარულია საერთოდ. ვფიქრობთ, აქ გამორჩენილია სახელი (აქილევსი) და ეს უფრო ხელნაწერის შეცოდებაა, ვიდრე ავტორის ლიტერატურული ხერხი, გამართლებული მკითხველი საზოგადოების განსწავლულებით ჰომეროსის გმირების დეტალურ თავგადასავალში“.²⁴⁷

²⁴² ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. II. თბილისი, 1959, გვ. 25.

²⁴³ ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. II. თბილისი, 1959, გვ. 71.

²⁴⁴ ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. II. თბილისი, 1959, გვ. 114.

²⁴⁵ ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. II. თბილისი, 1959, გვ. 69.

²⁴⁶ პ. ინგოროყვა. რუსთაველის ეპოქის სალიტერატურო მემკვიდრეობა. რუსთაველის კრებული. ტფილისი, 1938, გვ. 56.

²⁴⁷ თ. ყაუხჩიშვილი. ანტიკური სამყარო რუსთაველის ეპოქის ისტორიოგრაფიაში. თამარის ისტორიკოსები. მაცნე, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია. № 3. 1974, გვ. 104.

„მოიმახოსი“, რომელიც აქილევსთან ერთად იხსენიება ამ კონტექსტში, არის დავითის ისტორიკოსთან დადასტურებული „მოსიმახოსი“, ალექსანდრეს ლაშქარში განთქმული მოისარი, რომელიც იოსებ ფლავიუსთან იხსენიება.

კ. კეკელიძის მტკიცებით, „მოსიმახოს“ სახელი შემოსულია მატიაზეში მხოლოდ გიორგი ამარტოლის ხრონოლოგიიდან,²⁴⁸ ხოლო ტექსტის რუსული თარგმანის შენიშვნაში მიუთითებს : „Мосимах, меткий стрелок, упоминается у Иосифа Флавия“.²⁴⁹

7. ბერძენი ფილოსოფოსები

საბრძოლო თვისებებით გამორჩეული გმირების გვერდით ისტორიკოსი ახსენებს სახელგანთქმულ ბერძენ ფილოსოფოსებს:

ა) ალექსანდრე, აქილევსი, სოკრატე, პლატონი

დემეტრე I-ის მიერ გიორგი III-ის თანამოსაყდრედ გამოცხადების აღწერისას ისტორიკოსი ასე ახასიათებს გიორგის:

„აღამალა თავისა თანა და მისა სწორად მოსაყდრედ გამოაჩინა – მზე მნათობთა შორის, ალექსანდრე და ქაიხოსრო მპყრობელთა შორის, აქილევ, სამსონ და ნებროთ გმირთა შორის, სპანდია, თაჰამთა და სიაომ გოლიათთა შორის, სოლომონ, სოკრატე და პლატონ ბრძენთა შორის“.²⁵⁰

ამ პასაჟის კომენტირებისას კ. კეკელიძე აღნიშნავს: „ორმაგი ხასიათი ავტორის სწავლა განათლებისა [დასავლური ბერძნულ-ბიზანტიური განათლების და ირანულ-არაბული განათლების – ე.კ.] უფრო მეტად ჩანს იმ პოეტურ შედარებათა და მხატვრულ სახეებიდან, რომლითაც თხზულება თავიდან ბოლომდე სავსეა და რომელთა მეოხებით ის, სცილდება რა ისტორიული ნაწარმოების ფარგლებს, პოეტური შემოქმედების სფეროში გადადის... მისთვის ერთნაირად ხელმისაწვდომია ბერძნულ-ირანული მითოლოგია, ისტორია და ლიტერატურა, როგორც ეს ჩანს, თუ გინდ თხზულების დასაწყისიდანვე“.²⁵¹

თ. ყაუხჩიშვილი ტექსტის ამ მონაკვეთში ნახსენებ ბერძენ ფილოსოფოსთა შესახებ შენიშნავს: „ამ ძველი ბერძენი ფილოსოფოსების მოძღვრება ამ დროს საქართველოში კვლევის საგანიც იყო. სხვას რომ ყველაფერს თავი დავანებოთ, არ

²⁴⁸ კ. კეკელიძე. „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ როგორც ლიტერატურული წყარო. ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან. VIII. თბილისი, 1962, გვ. 146-147.

²⁴⁹ კ. კეკელიძე. „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ როგორც ლიტერატურული წყარო. ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან. VIII. თბილისი, 1962, გვ. 107.

²⁵⁰ ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. II, თბილისი. 1959, გვ. 162.

²⁵¹ კ. კეკელიძე. ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია. ტ. II. თბილისი, 1981, გვ. 268.

შეიძლება არ მოვიხსენიოთ იოანე პეტრიწის (XI-XII სს.) ორიგინალური თხზულება „განმარტებაჲ პროკლესთჳს დიადოხოზისა და პლატონურისა ფილოსოფიისთჳს“, ხოლო სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში დადგენილია, რომ „ისტორიათადა აზმათა“ ავტორი სარგებლობდა იოანე პეტრიწის შრომებით. ასეთ პირობებში სრულიად ბუნებრივია განსაზღვრებული მეფის, ავტორისათვის კარგად ცნობილი მსოფლიო მნიშვნელობის ბრძენ კაცებთან – სოკრატესთან და პლატონთან შედარება“.²⁵²

ბ) პლატონი

პლატონი კიდევ ერთხელ ნახსენებია თხზულების იმ მონაკვეთში, სადაც აღწერილია თამარის პირველი მეუღლის, გიორგი რუსის (იური ბოგოლიუბსკის) 1191 წლის აჯანყების ჩახშობა. ისტორიკოსი ასე აფასებს თამარის ლაშქრის გამარჯვების კანონზომიერებას:

„რამეთუ კეთილისა სულისათჳს ღმრთისმოყვარე და თჳსად მისი არს, ვითარ იტყჳსცა დღე ბერძენთა ხედვისა **პლატონ**: „კეთილი კეთილთათჳს არს კეთილ, ვინა იგივე კეთილი ბოროტთათჳს ბოროტ“.²⁵³

ხოლო ს. ყაუხჩიშვილის აზრით, პლატონის ეს ციტატა იოანე პეტრიწის შრომებიდანაა ამოღებული“.²⁵⁴

პლატონის ციტატასთან დაკავშირებით თ. ყაუხჩიშვილი განმარტავს, რომ, მართალია, იოანე პეტრიწის შრომებში (II, 32-36) მთელი მე-8 თავი „პირველისა კეთილობისათჳს“ ეძღვნება სიკეთის იდეას, მაგრამ ზუსტად ეს ციტატა არსად ჩანს. ზოგადად, პლატონის ფილოსოფიაში ერთ-ერთი ძირითადი იდეა არის სიკეთის იდეა, რომელსაც პლატონი განსაკუთრებით დაწვრილებით განიხილავს „ფედონსა“ და „სახელმწიფოში“ თუმცა საკუთრივ საიდანაა ციტატი, არ ვიცით“.²⁵⁵

შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ ავტორი პლატონის ამ ციტატას მეხსიერებით იმოწმებს და შესაბამისად, გარკვეულ უზუსტობას უშვებს.

²⁵² თ. ყაუხჩიშვილი. ანტიკური სამყარო რუსთაველის ეპოქის ისტორიოგრაფიაში. თამარის ისტორიკოსები. მაცნე, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია. № 3. 1974, გვ. 106.

²⁵³ ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. II. თბილისი, 1959, გვ. 53.

²⁵⁴ ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. II. თბილისი, 1959, გვ. 53.

²⁵⁵ თ. ყაუხჩიშვილი. ანტიკური სამყარო რუსთაველის ეპოქის ისტორიოგრაფიაში. თამარის ისტორიკოსები. მაცნე, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია. № 3. 1974, გვ. 106. სქ. 21.

გ) ალექსანდრე აფროდისელი

თხოვულების ერთ მონაკვეთში, სადაც აღწერილია 1161 წელს გიორგი III-ის გამარჯვება მუსლიმანი ამირების გაერთიანებულ ლაშქარზე ანისთან, გიორგი ჯერ სიტყვით მიმართავს ლაშქარს და შემდეგ მოუწოდებს, რომ პირველ რიგში შეუტეონ მტრის მედროშეს. ამის შემდეგ გიორგიც ჩაებმება ბრძოლაში. ისტორიკოსი აღნიშნავს გიორგის დახვეწილ საბრძოლო ტაქტიკას:

„ესრეთ სასოებით მოქადულმან განვლა რაზმი და სუმპერაზმანი, განაწონა კინენი მსგავსად აფროდისისა მქონესა წყობისა, მამტკიცებელისასა“.²⁵⁶

პასაჟს ასეთი შინაარსი აქვს: იმედით აღვსილმა გაიარა რაზმები და სუპერაზმები (?), გაუყარა შუბები, აფროდისის (?) მსგავსად, რომელსაც აქვს წყობა და სიმტკიცე.

კ. კეკელიძე ამ მონაკვეთს რუსულად თარგმნის ისე, რომ აფროდისის ნაცვლად ახსენებს ფრიდონს, ფირდოუსის „შაჰნამეს“ პერსონაჟს.²⁵⁷

ს. ყაუხჩიშვილის ამ პასაჟში ნახსენებ „აფროდისისა“ შემდეგნაირად განმარტავს: „მსგავსად ფროდისისა მქონესა წყობათა მამტკიცებელისასა“ ე.ი. მსგავსად ფილოსოფოს აფროდისიელისა, რომელიც მტკიცების პოსტულატებს განაწყოდა ხოლმეო. ცხადია, სიტყვით „აფროდისისა“ იგულისხმება ფილოსოფოსი ალექსანდრე აფროდისიელი, რომელსაც პეტრიწი არისტოტელის გვერდით იხსენიებს ხოლმე“.²⁵⁸

მართალია, თ. ყაუხჩიშვილი აღიარებს, რომ „ისტორიანის“ ავტორის ლექსიკაში ბევრია ისეთი, რაც პეტრიწიდან მომდინარედ შეიძლება ჩაითვალოს, მათ შორის „სუმპერაზმანი“, მაგრამ მიიჩნევს: „...ფროდისისა“²⁵⁹ (თუმცა ეს დაწერილობა ყველაზე ახლოს „აფროდისისთან“ არის), მაინც არაა აღსადგენი ფილოსოფოსის სახელად. რაც შეეხება „წყობისა მამტკიცებელისას“, „წყობა“ უნდა გავიგოთ როგორც „ჯარის“, „რაზმისა“ და „ბრძოლის“ სინონიმი. „მამტკიცებელი“ არის განმამტკიცებელი (ამ ჯარისა) და არა ფილოსოფიური „მტკიცების განმაწყობელი“. ისე რომ, მე მგონია, აქ ბერძენი ფილოსოფოსი კი არაა მოხსენიებული, არამედ რომელიმე გამოჩენილი გმირი იქნებოდა დასახელებული, ხოლო თუ „ფროდისისა“ მაინცადამაინც

²⁵⁶ ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. II. თბილისი, 1959, გვ. 9.

²⁵⁷ Картлис Цховреба. История Грузии. Главный ред.: Р. Метревели. Тбилиси, 2008, გვ. 247.

²⁵⁸ ს. ყაუხჩიშვილი. „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ და იოანე პეტრიწი. სსრ მეცნ. აკად. მოამბე. III. № 1. 1942, გვ. 92.

²⁵⁹ თ. ყაუხჩიშვილი აღნიშნავს, რომ „აფროდისისა“ არის გამომცემლის კონიექტურა, რაც აღმოჩენებულია ხელნაწერების (Mm) წაკითხვაზე – ფროდისისა (თ. ყაუხჩიშვილი. ანტიკური სამყარო რუსთაველის ეპოქის ისტორიოგრაფიაში. თამარის ისტორიკოსები. მაცნე, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია. № 3. 1974, გვ. 109).

ფილოსოფოსს აღნიშნავს, მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ ეს ადგილი პეტრიწისგან მომდინარეობს“.²⁶⁰

დ) თალესი

„ისტორიანი და აზმანი შარავნდედთანის“ ტექსტს დართული აქვს იოანე ჭიმჭიმელის ლექსი, რომელშიც ფიგურირებს „თალი მილესეველი“ – თალეს მილეტელი (ძვ.წ. VII-VI სს.) – ბერძენი ნატურფილოსოფოსი. როგორც თ. ყაუხჩიშვილი აღნიშნავს: „XI-XII საუკუნეების საქართველოში ისე დიდია ინტერესი ძველი ბერძნული სამყაროსა და, კერძოდ, ფილოსოფიისადმი, რომ არაა გასაკვირი თალესოის სახელის (და, ალბათ, არა მარტო სახელის) ცოდნა ფილოსოფოს იოანე ჭიმჭიმელისაგან“.²⁶¹ იოანე ჭიმჭიმელის ამ ლექსის შესახებ მსჯელობა დეტალურად მოცემულია თავში – „ჰიმნოგრაფიული პოეზია“.

8. ოლიმპოს ღმერთები, პლანეტები, მითოლოგიური პერსონაჟები

„ისტორიანი და აზმანი შარავნდედთანის“ ავტორი საკმაოდ კარგად იცნობს ბერძნულ პანთეონს და მითოლოგიურ პერსონაჟებს.

ა) არტემისი

როდესაც ისტორიკოსი გიორგი III-ს ახასიათებს როგორც საუკეთესო მონადირეს, აღნიშნავს:

„ვითარ ჩუბინ უცდენელა მსროლელი, მყის სისრა-მყოფი მტერთა და მკეცთა ზედა, და არტემისა სახედ, რომელი ითქმის „მთაფოლო“, რომელ არს ღმერთი მონადირე“.²⁶²

ამრიგად, უებრო მოისარი გიორგი მეფე შედარებულია ნადირობის ბერძნულ ქალღმერთ არტემისტან.

„მთაფოლო“ მიჩნეულია ეპითეტად და სხვადასხვაგვარადაა განმარტებული.

²⁶⁰ თ. ყაუხჩიშვილი. ანტიკური სამყარო რუსთაველის ეპოქის ისტორიოგრაფიაში. თამარის ისტორიკოსები. მაცნე, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია. № 3. 1974, გვ. 110.

²⁶¹ თ. ყაუხჩიშვილი. ანტიკური სამყარო რუსთაველის ეპოქის ისტორიოგრაფიაში. თამარის ისტორიკოსები. მაცნე, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია. № 3. 1974, გვ. 106.

²⁶² თ. ყაუხჩიშვილი. ანტიკური სამყარო რუსთაველის ეპოქის ისტორიოგრაფიაში. თამარის ისტორიკოსები. მაცნე, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია. № 3. 1974, გვ. 105.

ს. ყაუხჩიშვილის აზრით, „მთაფოლო“ არის ეპითეტი ταυρόπιλος (1. ხარებით მომავალი 2. ტავრების ქვეყანაში თავყვანცემული, სადაც ταυრიος თარგმნეს „მთად“, იმიტომ რომ ასე იწოდებოდა ერთ-ერთი მთა კილიკიასა და არმენიას შორის).²⁶³

ილ. აბულაძე, რომელიც ეფუძნება „ელინთა ზღაპრობანის“²⁶⁴ თვლის, რომ ταυრიος მდებარეობდა სკვითიაში, რომელიც უკავშირდებოდა არტემისს.²⁶⁵

კ. კეკელიძე მიიჩნევს, რომ „მთაფოლო არის გრაფიკულ ნიადაგზე დამახინჯებული მეორე ეპითეტი ἑλαφίβλιος „ირმებშიმტყორცნელი (ისრის)“ (სხვა შემთხვევაში ქართულად დადასტურებული ფორმა „ელაფივოლო“).²⁶⁶

თ. ყაუხჩიშვილი ამასთან დაკავშირებით განმარტავს: „πιλος და βίλος – ორივე მოგვცემს ქართულად „ფოლოს“-ს გრაფიკულ ნიადაგზე. პირველი ნაწილების (ταυრი და ελαφί) გადმოცემა „მთა“ – სიტყვით (თუ კი აქ მართლა „მთაა“ და არა რაღაც სხვა სიტყვის დამახინჯება), უფრო საეჭვოა“.²⁶⁷

„მთაფოლო“, ერთი შეხედვით, მართლაც გადამწერის შეცდომას ჰგავს და სიტყვის კონტექსტიდან გამომდინარე, მას შინაარსობრივად უფრო ἑλαφίβλιος შეეფერება, მით უმეტეს, რომ ფორმა „ელაფივოლო“ არტემისის ეპითეტად დასტურდება „ელინთა ზღაპრობანიში“.²⁶⁸

ჩემი აზრით, „მთაფოლოსთან“ დაკავშირებით, სხვაგვარი განმარტებაც შეიძლება არსებობდეს. საყურადღებოა, რომ „ელინთა ზღაპრობანის“ მიხედვით, არტემისი ჰეკატესთანაც იყო გაიგივებული ([ე]კატის ღმრთად ჰგონებენ წარმართნი, და რომელნიმე არმიდ იტყვან მას²⁶⁹), შესამაბისად, შესაძლებელია ეპითეტთა საძიებო ველის გაფართოება და ჰეკატეს ეპითეტებში (რომელთაგან ბევრი არტემისთან საზიაროა) „მთის“ შემცველი ეპითეტების ვარიანტებზე ყურადღების გამახვილება. მართლაც, ჰეკატეს და არტემისის ეპითეტებად გვევლინება: ορίπλγκτος – „მთებზე მოსიარულე“, „ουρείδριμος“ – „მთებზე მორბენალი“, და ουρεσιφοιτις – „მთებზე მოარული“.²⁷⁰

²⁶³ ს. ყაუხჩიშვილი. არტემი მთაფოლო: (მარიამ დედოფლისეული ქართლის ცხოვრება 598, გვ. 367). ჩვენი მეცნიერება. № 3-4 (15-16). 1925, გვ. 85-86.

²⁶⁴ ილ. აბულაძე. „ელინთა ზღაპრობანი“. ენიმკის მოამბე. X. 1941, გვ. 15.

²⁶⁵ ილ. აბულაძე. „ელინთა ზღაპრობანი“. ენიმკის მოამბე. X. 1941 გვ. 15, გვ. 17, გვ. 40.

²⁶⁶ К. Кекелидзе. История и восхождение венценосцев. Тбилиси, 1954, гв. 96.

²⁶⁷ თ. ყაუხჩიშვილი. ანტიკური სამყარო რუსთაველის ეპოქის ისტორიოგრაფიაში. თამარის ისტორიკოსები. მაცნე, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია. № 3. 1974, გვ. 105.

²⁶⁸ ილ. აბულაძე. „ელინთა ზღაპრობანი“. ენიმკის მოამბე. X. 1941, გვ. 15.

²⁶⁹ ილ. აბულაძე. „ელინთა ზღაპრობანი“. ენიმკის მოამბე. X. 1941, გვ. 24.

²⁷⁰ J. M. Macedo, D. Kölligan, P. Barbieri. Polyónymoi: A Lexicon of the Divine Epithets in the Orphic Hymns. Würzburg, 2021, გვ. 139.

თუკი ისტორიკოსმა თარგმნა ეს ეპითეტი ბერძნულიდან, მაშინ მას სიტყვის პირველ ნაწილთან ერთად („მთა“) მეორე ნაწილიც უნდა ეთარგმნა. ჩემი აზრით, სწორედ ამას გამოხატავს „ფოლო“, რაც შეიძლება დავუკავშიროთ ძველქართულ „ფოლოცს“, რომელიც ნიშნავს „საცალფეხო გზას, ქუჩას“.²⁷¹

ბ) აფროდიტე, აპოლონი

მეფის მშვენიერებას ისტორიკოსი „აფროდიტიანს“ – აფროდიტეს მსგავსს უწოდებს, ხოლო თამარის სიუხვეს „აპოლონიანს“ – აპოლონურს:

„კუალად დაჯდა ცხებული ღმრთისა თამარ მეფე საყდართა მათ ცამდი აღმართებულთა შუენებითა მით აფროდიტიანითა და სიუხვთა მით მზეებრითა აპოლონიანითა“.²⁷²

ამ ციტაციაში ყურადღებას იპყრობს, ერთი შეხედვით, უჩვეულო მხატვრული შედარება: „სიუხვითა ...აპოლონიანითა“, ე.ი. თამარის სიუხვე მიმსგავსებულია აპოლონთან (რომელიც ანტიკურობაში, ჩვეულებრივ, არ არის სიუხვესთან ასოცირებული); თუმცა ავტორისეული დაზუსტება, რომ ეს სიუხვე „მზეებრივია“, ყველაფერს ნათელს ჰფენს, რადგან აპოლონი, როგორც მზის ღვთაება, ცხადია მზეს უკავშირდება. რაც შეეხება მზეებრივ სიუხვეს („სიუხვთა მით მზეებრითა“), ეს ადგილი, ჩემი აზრით, ასე უნდა გავიგოთ: როგორც მზე უშურველად, უხვად გასცემს თავის სითბოსა და სინათლეს, ისე თამარი, რომელიც მზესავით ბრწყინავს, ხელგაშლილად გასცემს თავის ქვეშემრდომებზე მრავალ საბოძვარს.

ამ პასაჟში საყურადღებოა, რომ საკუთარი სახელები: აფროდიტე და აპოლონი ზედსართავი სახელის ფორმითაა წარმოდგენილი: „აფროდიტიანი“, „აპოლონიანი“, რაც, ერთი მხრივ, მეტყველებს თხზულების მხატვრულ ღირსებაზე, ხოლო, მეორე მხრივ, მიაწიშნებს ბერძნული ღმერთების მაღალ ცნობადობაზე XII საუკუნის საქართველოში.

ამავდროულად, შეიძლება ისიც ვივარაუდოთ, რომ აქ არა ღვთაებები, არამედ ციური სხეულები იგულისხმება, კერძოდ, აფროდიტე განასახიერებს ცისკრის ვარსკვლავს, პლანეტა ვენერას, ხოლო აპოლონი – მზეს. პლანეტათა შესახებ

²⁷¹ ძველი ქართული ენის შეერთებული ლექსიკონი: 16800 სიტყვა. შედგენილია ილ. აბულაძის, აკ. შანიძის, ივ. იმნაიშვილისა და სხვა ავტორთა ლექსიკონური წყაროების მიხედვით. შემდგ.: გრ. რუხაძე; რედ.: გ. კოპლატაძე. დაიბეჭდა სრ. საქ. კათოლიკოს-პატრიარქის ილია II ლოცვა-კურთხევით. თბილისი, 2008, გვ. 452. ხელმისაწვდომია ონლაინ:

<http://www.nplg.gov.ge/saskolo/index.php?a=term&d=44&t=14520> ბოლო ნახვა: 23.05.2024.

²⁷² ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. II. თბილისი, 1959, გვ. 32.

ინფორმაცია კარგადაა ცნობილი ამ პერიოდის მწერლობაში და გვხვდება „ისტორიანი და აზმანის“ ტექსტშიც, რასაც ქვემოთ განვიხილავთ.

გ) პლანეტები

თამარის შესხმისას ისტორიკოსი შენიშნავს:

„და შვდთა მათ სარტყელთა ცისათა და მნათეთა სფეროსთა. რომელ არიან: **კრონილს, ზევს და აფროდიტე, ერმი, აპოლონ და არეა** – ამათ შეასახა სფერო მიწიერი ხუთთა მათ საგრძნოს-ცნობათათა შვდმოფელად თანადართვითა სულისა და გონებისათა, და ოდესმე რომელიმე აღებაძვის ზენასა მნათსა ქუენა მნათი, გინათუ შუენებითა უცხოთა და უსახოთა, გინათუ სიბრძნის-მპყრობელობითა, გინათუ მზეებრ უხუებითა და მომფენობითა მართალთა ზედა და ცოდვილთა ზედა გინათუ მძლეველობითა სძლევდა საჭიროთა მიმართ“.²⁷³

ბერძნული პანთეონის ეს ცნობილი ღვთაებები, რომლებიც ამ კონტექსტში პლანეტებს აღნიშნავენ, კარგად იყო ცნობილი შუა საუკუნეების საქართველოშიც. ნაწარმოების ამ პასაჟთან დაკავშირებით თ. ყაუხჩიშვილი შენიშნავს: „ამავე ეპოქაში არსენ იყალთოელის მიერ თარგმნილი იოანე დამასკელის „გარდმოცემის“ ერთ-ერთი ადგილის ნაკლებ ელინოფილი სქოლიასტი წერს: „კრონოს-ზუალი, დია-მუშთარი, არეა-მარიხი, მზე-სამზს (ალბათ, უნდა იყოს – შამს. – თ.ყ.), აფროდიტე-ზუჰრა, ერმი-ოტარიდი, მთოვარე-ყამარ (S, 1463, 45). ე.ი. ამ დროს საქართველოში მნათობთა ორივე რიგის (ბერძნული და აღმოსავლური) სახელები იყო გავრცელებული და ამისდა მიხედვით, თუ მწერალი ამ დარგში უფრო მეტად რა განათლებისა, ან ორიენტაციისა იყო, ძეგლშიც ის სახელები გვხვდება“.²⁷⁴

როგორც ვხედავთ, ამ პასაჟში კვლავ ჩანს თამარის სიუხვის ეპითეტად „მზეებრი“, რომელიც ეხმიანება ჩვენ მიერ ზემოთ მოყვანილ ციტატას, სადაც ნათქვამია, რომ თამარი გამოირჩევა „სიუხვთა მით მზეებრითა **აპოლონიანითა**“, შესაბამისად, კონტექსტიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, რომ „შუენებითა მით **აფროდიტიანითა**“ მეტი ალბათობით, როგორც ეს ზემოთაც მივუთითეთ, აღნიშნავს არა ქალღმერთს, არამედ – პლანეტა ვენერას.

დ) გმირთა ეპოქა, ტროას ომი, პელოფსი, იპოდამეა, ოინომაოსი, პლუტონი, პერსეფონე.

²⁷³ ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. II. თბილისი, 1959, გვ. 28.

²⁷⁴ თ. ყაუხჩიშვილი. ანტიკური სამყარო რუსთაველის ეპოქის ისტორიოგრაფიაში. თამარის ისტორიკოსები. მაცნე, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია. № 3. 1974, გვ. 106.

როდესაც თამარის დაქორწინებაზე წერს, ავტორი არ ღალატობს თხზულებისთვის ჩვეულ, მაღალმხატვრულ სტილს და ანალოგიისთვის ძველი დროის მსოფლიოში სახელგანთქმულ წყვილებს ჩამოთვლის:

„რომლისათვის ჯამდა, თუმცა ყოფილიყო **ჯამი გმირთა** და გოლიათთა ყოფისა, ანუ-მე გარეშედ წოდებულთა **ელინთა სისხლისა დათხევისა**, ანუ-მე გაჭრანი მიჯნურთა ცოფქმნილთანი:

ვითარცა თამთა თუმიანისთვის,
ვითარ ამირან ხორაშნისთვის,
ვითარ ხოსრო – შანშა ბანუისთვის,
ვითარ მზეჭაბუკ მზისათვის ხაზართასა,
ვითარ იაკობ რაქელისთვის და
იოსებ ასანეთისთვის,
დავით ბერსაბესთვის და აბისაკისთვის,
ვითარ **პელოპი** მცნედ მბრძოლი **იპოდამისათვის, ონომას** ასულისა,
ვითარ **პლუტონ პერსეფონისთვის**“.²⁷⁵

ნაწარმოების ამ მონაკვეთში ანტიკურობასთან დაკავშირებული არაერთი პერსონაჟი და მითია წარმოდგენილი, რომელსაც ქვემოთ განვმარტავთ:

- **ჯამი გმირთა** და გოლიათთა ყოფისა; **ელინთა სისხლისა დათხევისა**

დიდი ალბათობით, აქ ბერძნულ მითოლოგიაში კარგად ცნობილი „გმირთა საუკუნე“ იგულისხმება, რომელიც მოსდევს ოქროსა, ვერცხლისა და ბრინჯაოს საუკუნეებს და წინ უსწრებს უკანასკნელ, რკინის ხანას. ეს მითი კაცობრიობის ხუთ საუკუნეზე, ჯერ კიდევ ჰესიოდეს „სამუშაონი და დღენიში“ ჩანს (Hes., Op., 106-201). ამაში გვარწმუნებს ავტორის დაზუსტება „ანუ-მე გარეშედ წოდებულთა **ელინთა სისხლისა დათხევისა**“, რაც აშკარად ტროას ომზე მიანიშნებს. მართლაც, სწორედ გმირთა ეპოქაში, ბერძნული მითოლოგიის თანახმად, მოხდა არგონავტების ლაშქრობა, თებეს ამბები და ტროას ომი.

- ვითარ **პელოპი** მცნედ მბრძოლი **იპოდამისათვის, ონომას** ასულისა
- **პლუტონ პერსეფონისთვის**

პირველ ამონარიდში გადმოცემულია ცნობილი მითი ლიდიის მეფის, ტანტალოსის ცნობილი ვაჟის, პელოპის შესახებ, რომელიც, გადასახლდა რა ლიდიიდან საბერძნეთის ქალაქ პისაში, მოიხიბლა ქალაქის მეფის, ონომაიოსის ასულით. ჰიპოდამეაზე დაქორწინებისათვის მას ეტლებით რბოლაში უნდა მიეღო

²⁷⁵ ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. II, თბილისი, 1959, გვ. 36.

მონაწილეობა, შესჯიბრებოდა საკუთარ სასიამოროს, რომელმაც მანამდე არაერთი დამარცხებული სასიძო სიკვდილით დასაჯა. დიდი ძალისხმევის, მოხერხების და ასევე სასტიკი დანაშაულის საშუალებით გამარჯვებული პელოპსი პისაში გამეფდება და ჰიპოდამეაზე დაქორწინდება.

პლუტონისა და პერსეფონეს ამბავი ასევე საკმაოდ პოპულარულ მითს წარმოადგენდა. პლუტონმა (ჰადესმა), ზევსის ძმამ და ჰადესის მბრძანებელმა გაიტაცა საკუთარი დის, დემეტრეს, ასული, მშვენიერი პერსეფონე და მასზე დაქორწინდა. მართალია, დემეტრემ მიაგნო საკუთარ ასულს და მისი უკან დაბრუნებისთვის ზევსის თანხმობაც მიიღო, მაგრამ მოხერხებულმა პლუტონმა ბროწეულის რამდენიმე მარცვალი გადააყლაპა პერსეფონეს, რითაც ასული სამუდამოდ დააკავშირა მიწისქვეშეთთან. ასე, შეთანხმებით, პერსეფონე 6 თვე დედასთან რჩება, ხოლო წლის დანარჩენი დრო მეუღლეს უბრუნდება.

ამ მითების „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ ტექსტში მოხვედრის ისტორიის შესახებ არსებობს რამდენიმე კომენტარი.

პ. ინგოროყვას აზრით, სიუჟეტი პელოფსისა და ჰიპოდამეას და პლუტონისა და პერსეფონეს შესახებ „ისტორიანი და აზმანის“ ავტორს შეეძლო ამოელო ეფრემ მცირის „ელინთა მეზღაპრეობიდან“, სადაც „ზღაპრობანი დიდისა ბასილის ეპიტაფიასა შემოდებულნი“ ანუ „ზღაპრობანი“ რომელნი საწარმართოთა წიგნთაგან მოუკსენებიან წიგნთა შინა თვსთა გრიგოლის, შეიცავენ სხვა თხრობათა შორის ასეთსაც: პელოფს და პელოპიდნი (თქმულება პელოპის, ჯნომასის და ჯნომასის ასულის იპოდამის შესახებ) და „ტრფიალება პლუტონისა პერსეფონისადმი და წარტაცება პერსეფონისი“.²⁷⁶

ილ. აბულაძის აზრით, მოცემულ შემთხვევებში მას [ავტორს] (განსაკუთრებით პელოპს-ჰიპოდამიას შემთხვევაში) არც კი მიუჩნევია საჭიროდ რაიმე განმარტება დაერთო მათ შესახებ, რაც იმაზე მიგვითითებს, რომ ეს პერსონაჟები უცხონი არ არიან ქართველი მკითხველისათვის.²⁷⁷

თ. ყაუხჩიშვილი ეთანხმება პ. ინგოროყვას ამ კომენტარს და დასძენს, რომ „თუ სხვა წყარო არ ექნებოდა ავტორს ამ წყვილის დასახელებისას [იგულისხმება პელოპსისა და ჰიპოდამეას ამბავი – ე.კ.], ეფრემ მცირის ნაშრომს მაინც გამოიყენებდა და იქიდან ამოიღებდა ამ ცნობას“.²⁷⁸

²⁷⁶ პ. ინგოროყვა. რუსთაველის ეპოქის სალიტერატურო მემკვიდრეობა. რუსთაველის კრებული. ტფილისი, 1938, გვ. 48-49.

²⁷⁷ ილ. აბულაძე. „ელინთა ზღაპრობანი“. ენიმკის მოამბე. X. 1941, გვ. 9

²⁷⁸ თ. ყაუხჩიშვილი. ანტიკური სამყარო რუსთაველის ეპოქის ისტორიოგრაფიაში. თამარის ისტორიკოსები. მაცნე, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია. № 3. 1974, გვ. 105.

„ელინთა ზღაპრობანიში“, მართლაც, დაწვრილებით მოთხრობილია ორივე ეს მითი. საყურადღებოა, რომ საკუთარ სახელთა გადმოცემის თვალსაზრისით, „ელინთა ზღაპრობანის“ და „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ ტექსტებს შორის არის გარკვეული განსხვავებები: კერძოდ, „ისტორიანი და აზმანის“ ტექსტში ჩანს „ონომაო“, ხოლო „ელინთა ზღაპრობანიში“ – ჯნომას, ჯნომადოს;²⁷⁹ პელოპი-„ისტორიანში“, ხოლო პელოფსი²⁸⁰ – „ზღაპრობანიში“ და სხვ., რაც გვაპარაუდებინებს, რომ, შესაძლოა ამ მითების შესახებ ისტორიკოსს არა „ელინთა ზღაპრობანიდან“, არამედ სხვა წყაროებიდან სცოდნოდა.

9. სხვა ისტორიული პერსონაჟები

ა) არტაქსერქსე, თემისტოკლესი, ელინთა, ათენელთა

ბრძოლის წინ გიორგი ასეთი სიტყვით მიმართავს ჯარს:

„რამეთუ გუასმიეს **ძუელთა მომთხრობელთაგან**, თუ რაოდენნი კუეთებანი თავს ისხნეს საღმრთოთა სჯულთათჳს ტომიან ებრაელთამან **არტარქსერქსის ზე, ელენთა** -- ოდეს-იგი იძლუანებოდეს **თ[ემისტ]ოკლეოს** მიერ უცთომელისა სპასპეტისაგან სოფლისა მქონებელსა მძლესა **არტარქსერქსის** ზედა, რომელმან ზღუაცა მტკიცე ყო უომრად სპაებთათჳს, ხოლო **ათინელთა** ერთისა ოდენ ქალაქისაგან უკუნრღუეულ იქმნა“.²⁸¹

საყურადღებოა, რომ მეომართა სულისკვეთების ასამაღლებლად მეფეს მოჰყავს ებრაელთა და ბერძენთა მიერ რიცხოზოვად უპირატესი სპარსელთა ჯარის ძლევის ამსახველი ისტორიული მაგალითები. აქვე იგი ახსენებს ათენის არქონტისა და მხედართმთავრის, თემისტოკლესის (ძვ.წ. 524-459 წწ.) წინამძღოლობით ბერძენ-სპარსელთა ომში ბერძენთა ბრწყინვალე გამარჯვებებს ზღვასა და ხმელეთზე, რომლის დროსაც სპარსელები უკუგდებული იყვნენ ათენიდან.

საყურადღებოა, რომ ორივე შემთხვევაში ავტორი ახსენებს სპარსელთა მეფეს „არტაქსერქსის“, რაც ისტორიული კონტექსტის თვალსაზრისით, არასწორია. ორივე შემთხვევაში აქ უნდა იყოს ნახსენები არა არტაქსერქსე I (ძვ.წ. 465-424), არამედ მისი მამა და წინამორბედი ქსერქსე I (ძვ.წ. 518-465). მართალია, არტაქსერქსე I-ის დროს ებრაელებმა მოიპოვეს გარკვეული, მათ შორის, რელიგიური თავისუფლება, რაც „ბიბლიაშია“ გადმოცემული (ეზრა, 7), მაგრამ ეს არ მომხდარა „კუეთებათა“ ე.ი. ბრძოლის საშუალებით, რაც სწორედ ქსერქსეს მეფობისას მოხდა. ეს უკანასკნელი

²⁷⁹ ილ. აბულაძე. „ელინთა ზღაპრობანი“. ენიმკის მოამბე. X. 1941, გვ. 22.

²⁸⁰ ილ. აბულაძე. „ელინთა ზღაპრობანი“. ენიმკის მოამბე. X. 1941, გვ. 22.

²⁸¹ ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. II, თბილისი. 1959, გვ. 8.

ამბავი აღწერილია სხვადასხვა წყაროში, მათ შორის ბიბლიის „ესთერის წიგნშიც“. რაც შეეხება ბერძენთა მიერ სპარსელთა ძლევას თემისტოკლესის მეთაურობით, აქ ეჭვიც არ არსებობს, რომ საქმე ეხება ქსერქსეს მეფობისას ბერძენ-სპარსელთა ომს, რომელიც ბერძენთა სრული გამარჯვებით დასრულდა. მართალია, არტაქსერქსე I-ს და თემისტოკლესაც ჰქონდათ ერთმანეთთან ურთიერთობა, მაგრამ საქმე ეხება არა ბრძოლას, არამედ ოსტრაკიზმით გაძევებული არქონტის შეფარებას სპარსეთის კარზე და მისთვის მაგნესიის მმართველის თანამდებობის მიცემას (Plut. Vit. Them.).

საყურადღებოა, რომ როგორც ეს მეფის სიტყვიდან ჩანს, ეს ამბები ქართველთათვის „ძველ მომთხრობელთაგან“ ანუ „ისტორიკოსებისგან“ სმენიათ, რაც იმაზე მეტყველებს, რომ მსოფლიო ისტორიის ამ მნიშვნელოვანი მოვლენების შესახებ ინფორმაცია საქართველოში ხელმისაწვდომი იყო ანტიკური ხანის რამდენიმე წყაროს მეშვეობით. ის ფაქტი, რომ მეფე მეზრძოლებს შთააგონებს ამ მაგალითებით, აშკარად ცხადყოფს, რომ უმრავლესობისთვის ეს არ არის ახალი, აქამდე უცნობი ამბები, სხვაგვარად რომ ვთქვათ, მეფე კი არ მოუთხრობს, არამედ შეახსენებს მეომრებს ამ ცნობილ ისტორიულ მოვლენებს, რომლებიც უნდა იქცეს მათი მოქმედების ე.წ. ორიენტირებად.

კ. კეკელიძის განმარტებით, „ებრაელთა ამბავი არტაქსერქსის დროისა ავტორს გაგონილი ექნება ან „ესთერის წიგნიდან“, ან იოსებ ფლავიოსის „იუდეველთა ისტორიიდან“, ანდა გიორგი ამარტოლის ხრონოლოგიაშიდან, ხოლო ელინთა თავგადასავალი ქსერქსის დროისა – ძველი საბერძნეთის ერთ-ერთი ისტორიიდან“.²⁸²

ბ) პითოდოროსი, კრიტია

ახასიათებს და აქებს რა თამარ მეფეს და მის მოღვაწეობას, „ისტორიანი და აზმანის“ ისტორიკოსი წერს:

„აჰა იხილვებისცა [თამარ მეფე – ე.კ.] ვითარ სოლინარი, მცენსა თანა მედინთა ნაკადისათა, და ვითარ პითოდორა და კრიტია შეგნებულთა ხედვათაგან განსაცადნი“.²⁸³

ამრიგად, თამარი ჩანდა, როგორც მილი (სოლინარი²⁸⁴), მდინარე ნაკადთან აღმოცენებული [აქ: გაკეთებული – ე.კ.] და ვითარცა პითოდოროსი და კრიტიასი,

²⁸² კ. კეკელიძე. „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ როგორც ლიტერატურული წყარო. რუსთაველის კრებული. თბილისი, 1938, გვ. 140-141.

²⁸³ ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. II, თბილისი, 1959, გვ. 29.

²⁸⁴ ძველი ქართული ენის შეერთებული ლექსიკონი: 16800 სიტყვა. შედგენილია ილ. აბულაძის, აკ. შანიძის, ივ. იმნაიშვილისა და სხვა ავტორთა ლექსიკონური წყაროების მიხედვით. შემდგ.: გრ.

რომლებიც უნდა განიცადოს შეგნებულმა (განსწავლულმა) მხედველბმა/მნახველბმა.

კ. კეკელიძე განმარტავს: „პითოდორა – აქ უნდა იგულისხმებოდეს ალექსანდრე მაკედონელის დროის პითოდორა, შესანიშნავი ხუროთმოძღვარი, რომელმაც ააშენა ათინას ტაძარი პრიენში – კრიტია, თუ ესეც მშენებლობასთან დაკავშირებული პირი არაა, შეიძლება იყოს კრიტია მცირე (VI ქრ. წ.), მეტად განათლებული ადამიანი, რომელსაც პლატონი იხსენიებს დიალოგში „კრიტია“.²⁸⁵

კ. კეკელიძე გვიანდელ ნაშრომში აზუსტებს, რომ აქ, როგორც ჩანს, იგულისხმებიან პითოდორა და კრიტიასი, სახელგანთქმული ბერძენი მოქანდაკეები ძვ.წ. V ს-სა²⁸⁶.

თ. ყაუხჩიშვილი ტექსტის ამ მონაკვეთთან დაკავშირებით წერს: „რა თქმა უნდა, კონტექსტის მიხედვით სრულიად უდავოა, რომ პითოდორა და კრიტია ორივე უნდა შეიცნოს კაცმა მათი ნაშენის, ნაკეთობის, ნაგების მიხედვით, ე.ი. ორივე ან არქიტექტორია, ან მოქანდაკე, ბერძნულ საკუთარ სახელთა ლექსიკონებისა და ინდექსების მიხედვით ყველაზე მეტად საგულვებელი ამ ადგილად არიან მრავალ პითოდოროსსა და კრიტიასს შორის ის მოქანდაკე, ხელოვანი კრიტია, რომელიც ფიდიასის დროს მოღვაწეობდა ათენში, ხოლო პითოდოროსი კი 2 სხვადასხვა შეიძლება ვიგულოთ: 1. პავსანიას მიერ ხსენებული ძვ.წ. VI ს-ის ხელოვანი (მას ეკუთვნოდა ჰერას ერთ-ერთი უძველესი გამოსახულება) და 2. პლინიუსის მიერ დასახელებული, რომლის ნამუშევრებიც პალატინის სასახლეში მოიპოვებოდა.

ახლა რომელ ამათგანს გულისხმობს ქართველი ისტორიკოსი, ან რაა მისი წყარო, ძნელია ამის დადგენა. ერთი კია, ის იცნობს თემისტოკლეს, ე.ი. საბერძნეთის ძველ ისტორიას და ეს მოქანდაკეებიც (ე.ი. VI-V საუკუნეების მოღვაწეები) იქ იქნებოდნენ დასახელებული. ამდენად, მეტად მოსალოდნელია უფრო ადრინდელი პითოდოროსის ხსენება. ისე, ძველ ბერძნულ ძეგლებში ასეთი წყვილი – პითოდოროსი და კრიტია – პოპულარული არ არის“.²⁸⁷

10. ოთხი ელემენტი-სტიქია

რუხაძე; რედ.: გ. კოპლატაძე. დაიბეჭდა სრ. საქ. კათოლიკოს-პატრიარქის ილია II ლოცვა-კურთხევით. თბილისი, 2008, გვ. 452. ხელმისაწვდომია ონლაინ:

<http://www.nplg.gov.ge/saskolo/index.php?a=term&d=44&t=13086> ბოლო ნახვა: 18.05.2024.

²⁸⁵ კ. კეკელიძე. „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ როგორც ლიტერატურული წყარო. ტფილისი, 1938, გვ. 141.

²⁸⁶ К. Кекелидзе. История и восхваление венценосцев. Тбилиси, 1954, გვ. 102.

²⁸⁷ თ. ყაუხჩიშვილი. ანტიკური სამყარო რუსთაველის ეპოქის ისტორიოგრაფიაში. თამარის ისტორიკოსები. მაცნე, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია. № 3. 1974, გვ. 108.

გიორგი III-ის სიკვდილთან დაკავშირებით ისტორიკოსი წერს:

„და ვინათგან ღმერთმან და ძემან, უწინარეს საუკუნოთა უკუდავმან, არცაღა მისგან მოსილნი ჯორცნი უკუდავ ყვნა, სხუა რამცა ვსახე, სხუა რამცა გავისახე, რამცა ნუგეშინის-მცემელი სხუა რამცა, **ოთხთა სტჯქოთაგან** დამჭირვად სული სხეულსა შინა მსმენელმან ამისმან?“. ²⁸⁸

ოთხ სტიქიათა არსის შესახებ თვალსაზრისი ანტიკურობიდან იღებს დასაბამს. როგორც ეს არისტოტელეს „მეტაფიზიკიდან“ (I, 3) ირკვევა, სოკრატემდელი ანტიკური ბერძნული ფილოსოფიის ერთ-ერთი უმთავრესი მიზანი იყო სამყაროს შემადგენელი უმცირესი მატერიალური ნაწილების ანუ საწყისი ელემენტების გამოვლენა. კერძოდ, თაღესისათვის ეს იყო წყალი, ანაქსიმენესა და დიოგენესათვის – ჰაერი, ხოლო ჰიპასი მეტაპონტელისა და ჰერაკლიტე ეფესელისათვის კი – ცეცხლი. რაც შეეხება ემპედოკლეს, მისი აზრით, არსებობს მეოთხე საწყისიც – მიწა, რომელიც დანარჩენ სამ მატერიალურ ნაწილაკთან – წყალთან, ჰაერსა და ცეცხლთან ერთად წარმოქმნის ფიზიკურ მოვლენებსა და ბუნების ანუ მატერიალურ საგნებს. კერძოდ, ეს ხდება ამ ოთხივე საწყისის ურთიერთშერევის გზით. ²⁸⁹ „ემპედოკლეს ნააზრევადან მომდინარე ეს ანტიკური ფილოსოფიური თვალსაზრისი სრულიად მისაღები აღმოჩნდა ქრისტიანული ევროპისათვის. კერძოდ, მან მყარად დაიმკვიდრა ადგილი შუა საუკუნეების სქოლასტიკაში. ამის უმთავრესი მიზეზი ის უნდა ყოფილიყო, რომ ოთხი საწყისის თაობაზე თავის არაერთ ნაშრომში ვრცლად მსჯელობს არისტოტელე („მეტაფიზიკა“, I: 3, 5, 8, V: 4; „ფიზიკა“, I: 4, 6, II: 1, III: 5; „ზეცისათვის“, III: 3-7, IV: 3-6; „წარმოქმნისა და გაქრობისათვის“, II და სხვ.)“. ²⁹⁰ ფილოსოფიური მოძღვრება ოთხი საწყისის თაობაზე ცნობილია ქართველი მწერლებისთვის. მაგალითად, ის ჩანს რუსთველის „ვეფხისტყაოსანში“ ²⁹¹.

საყურადღებოა, რომ მსგავსად „ისტორიანი და აზმანის“ ტექსტის ამ მონაკვეთისა, „ვეფხისტყაოსანშიც“ სიკვდილი აღქმულია სხეულის შემადგენელ „ოთხ ელემენტთა“ დაშლის პროცესი:

„სიკვდილი მახლავს, დამეხსენ [...]

²⁸⁸ ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. II. თბილისი, 1959, გვ. 23.

²⁸⁹ დაწვრ. იხ. ს. წერეთელი. ანტიკური ფილოსოფია. თბილისი, 1968, გვ. 136-138.

²⁹⁰ ზ. ხინთიბიძე. კომენტარი ტერმინზე „ოთხთა სტჯქოთა“ – ვებგვერდი „ანტიკურობის რეცეფცია ქართულ ლიტერატურაში“ (ავტორები: ნანა ტონია, გვანცა კოპლატაძე, ეკატერინე კობახიძე, ზაზა ხინთიბიძე, მაია დანელია, გიორგი უგულავა). ხელმისაწვდომია ონლაინ: <http://classicaltradition.tsu.ge> ბოლო ნახვა: 07.04.2023.

²⁹¹ ე. ხინთიბიძე. შუასაუკუნეობრივი და რენესანსული „ვეფხისტყაოსანში“. თბილისი, 1993, გვ. 95-96.

დამშლიან ჩემნი კავშირნი“.²⁹²

როგორც ვხედავთ, „ისტორიანი და აზმანის“ ავტორი „ოთხთა სტჯქოთა“ – ოთხ სტიქიათა შემაკავშირებლად სხეულში სულს წარმოადგენს, რომლის დატოვებისას სხეული იშლება პირველქმნილ ნაწილებად.

ბასილი ეზოსმოდღვარი, „ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი“

ივ. ჯავახიშვილმა 1923 წელს ჭალიშვილისეული ნუსხისა და ვახტანგისეული ნუსხების შეჯერების გზით აღმოაჩინა და აღადგინა თამარის მეორე ისტორიკოსის თხზულების „ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისის“ ტექსტი, რომელიც 1944 წელს გამოაქვეყნა და რომლის ავტორად მიიჩნია ბასილი ეზოსმოდღვარი.²⁹³ არსებობს ილ. აბულაძის და ს. კაკაბაძის ვარაუდი, რომ ეს თხზულება შოთა რუსთაველმა დაწერა,²⁹⁴ თუმცა მეცნიერთა დიდი ნაწილი სწორედ ივ. ჯავახიშვილის თვალსაზრისს ემხრობა.

რაც შეეხება ნაწარმოების დაწერის თარიღს, მართალია, მეცნიერები თანხმდებიან, რომ „ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი“ XIII საუკუნის დასაწყისშია დაწერილი, მაგრამ უფრო დაზუსტებული თარიღის დადგენისას აზრთა გარკვეული განსხვავება არსებობს. სავარაუდო წლებად მიიჩნევა: 1210-1213 (ივ. ჯავახიშვილი), XIII საუკუნის პირველი მეოთხედი (პ. ინგოროყვა) და 1236 წლის შემდგომი პერიოდი (ვ. კეკელიძე).²⁹⁵

ბასილი ეზოსმოდღვარი ანუ როგორც მას ხშირად უწოდებენ – თამარის მეორე ისტორიკოსი – „ისტორიანი და აზმანის“ ავტორისგან განსხვავებით, თხრობაში შედარებით ნაკლებად იყენებს მჭევრმეტყველებისთვის დამახასიათებელ მაღალმატვრულ სტილს, მეტ ყურადღებას უთმობს მოვლენათა დეტალებს, თუმცა მათ გარკვეული სიძუნწით გადმოგვცემს.

ანტიკურობის ასახვის თვალსაზრისით, თხზულებაში სულ რამდენიმე შემთხვევა ჩანს.

1. ალექსანდრე მაკედონელი

²⁹² შოთა რუსთაველი. ვეფხისტყაოსანი. სტრფ. 885, 2/4.

²⁹³ ბასილი ეზოსმოდღვარი. ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი. გამოცემა ივ. ჯავახიშვილისა. თბილისი, 1944.

²⁹⁴ რ. კიკნაძე. „ცხოვრება მეფეთ მეფისა თამარისი“. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. ტ. 11, თბილისი, 1987, გვ. 256-257.

²⁹⁵ ამასთან დაკავშირებით იხ. რ. მეტრეველი. მეფე თამარი, ეპოქის პოლიტიკურ-კულტურული და სოციალურ-ეკონომიკური მიმოხილვა. თბილისი, 1991, გვ. 10.

ქართველთა ჯარის წარმატებაზე საუბრისას ბასილი ეზოსმოდვარი საგანგებოდ აღნიშნავს თამარ მეფის მეუღლის ღვაწლს, მხედართმთავრულ ნიჭს და დავით სოსლანს ალექსანდრე მაკედონელს ადარებს:

„არცა თვთ [დავით სოსლანი – ე.კ.] უქმობდა და არცა თვსთა ყმათა აუქმებდა, ვითარ-იგი იტყვს ვინმე **ჟამთააღმწერელი, ალექსანდროსთვს**“.²⁹⁶

თ. ყაუხჩიშვილი ამ პასაჟის კომენტირებისას განმარტავს: „შესაძლოა აქაც იგივე არისტობულე იგულისხმებოდეს (ვისაც ასახელებს დავითის ისტორიკოსი), ან არადა გიორგი ამარტოლის „ხრონოგრაფი“. რაც მთავარია, ყურადღებას იპყრობს სახელის ბერძნული ფორმა „ალექსანდროს“. თუ ბასილი ეზოსმოდვარს ბერძნული დედანი ისტორიისა არ ჰქონდა ხელთ, ის თარგმანი, რომლითაც მან ისარგებლა, ე.წ. ბერძნიზმებს შეიცავდა (მიუხედავად იმისა, რომ ამ დროს საქართველოში სახელი „ალექსანდრე“ სწორედ ამ ფორმით იყო ცნობილი)“.²⁹⁷

2. ულუმპიანი, ალექსანდრე, დარიოსი

ქართველთა ჯარის მიერ ქალაქ განჯის აღებას ბასილი ეზოსმოდვარი ასე აფასებს:

„წარმოემართნეს ლაშქარნი დიდად მოხარულნი **ულუმპიანსა** ამას ზედა ძლევასა, ფრიად უადრესსა საქებელისა მისგან ძლევისა, რომელი იყო **ალექსანდრეს დარიოსს** ზედა“.²⁹⁸

ტექსტის ამ მონაკვეთთან დაკავშირებით თ. ყაუხჩიშვილი ასეთ კომენტარს გვთავაზობს: „ე.ი. თამარის ჯარების ძლევა უფრო საქებელია, ვიდრე ალექსანდრეს გამარჯვება სპარსთა მეფეზე დარიოსზე. აქ იგულისხმება ცნობილი ფაქტი ალექსანდრე მაკედონელის ბიოგრაფიიდან: მან, როგორც ვიცით, მეფობის მეექვსე წელს (ე.ი. 330 წ.) ხელთ იგდო დარიოსი და „დაცჳსნა მეფობაჲ სპარსთაჲ“ (გიორგი ამარტოლი, ხრონოგრაფი)“.²⁹⁹

რაც შეეხება სიტყვას „ულუმპიანი“, რომელიც, „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ ტექსტში რამდენჯერმე გვხვდება სხვადასხვა კონტექსტში

²⁹⁶ ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტომი II. თბილისი, 1959, გვ. 130.

²⁹⁷ თ. ყაუხჩიშვილი. ანტიკური სამყარო რუსთაველის ეპოქის ისტორიოგრაფიაში. თამარის ისტორიკოსები. მაცნე, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია. № 3. 1974, გვ. 112.

²⁹⁸ თ. ყაუხჩიშვილი. ანტიკური სამყარო რუსთაველის ეპოქის ისტორიოგრაფიაში. თამარის ისტორიკოსები. მაცნე, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია. № 3. 1974, გვ. 112.

²⁹⁹ თ. ყაუხჩიშვილი. ანტიკური სამყარო რუსთაველის ეპოქის ისტორიოგრაფიაში. თამარის ისტორიკოსები. მაცნე, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია. № 3. 1974, გვ. 112.

გვირგვინოსანთა შესხმისას, ამ შემთხვევაშიც გულისხმობს ოლიმპოს მთაზე ბინადარი უზენაესი ელინი ღმერთების სადარ, ბრწყინვალე გამარჯვებას.

3. ერმიონთა

ტექსტის წინა მონაკვეთში ნახსენები „ულუმპიანის“ გამარჯვების შემდეგ ბასილი ეზოსმოდღარი აღწერს ალაფით დატვირთული ჯარის შემოსვლას თბილისში, რომლის მიდამოები აივსო ლაშქრობისას ხელში ჩაგდებული ნადავლით: დროშებით, ტყვეებით და ურიცხვი, ზღაპრული განძით. ისტორიკოსი განსაკუთრებით გამოყოფს ზაქარია და ივანე მხარგრძელთა წვლილს ამ გამარჯვებაში და წერს:

„ნამდვლვე ერმიონთასა უსახელოვნესთა მათ კაცთა, ზაქარია და ივანე“.³⁰⁰

რას ნიშნავს სიტყვა „ერმიონთასა“, ბოლომდე გასაგები არ არის, ხომ არ უკავშირდება იგი ანტიკურ სამყაროს?

ამ სიტყვასთან დაკავშირებით თ. ყაუხჩიშვილი წერს: „ე.ი. ზაქარია და ივანე მხარგრძელები უფრო სახელოვანნი იყვნენ, ვიდრე ერმიონის შვილები. ასეა გაგებული გამოცემაში ეს ადგილი. მ. ბროსეს აზრით, ეს ერმიონის შვილები არიან ლედას შვილები, კასტორი და პოლუქსი. მარის აზრი არ შეეფერება სინამდვილეს. კასტორისა და პოლიდეკეს (პოლუქსის) ღვთაებრივი და მიწიერი მამების სახელები (ზევსი, ტინდარეუსი) კარგად არის ცნობილი ბერძნულ მითოლოგიაში. სახელი ჰერმიონი არავითარ ვარიანტში არ გვხვდება მათთან დაკავშირებით. ჰერმიონი იყო ევროპეს ვაჟი, რომელმაც დააარსა არგოლიდაში ქ. ჰერმიონე. ამას გარდა, ბევრნი არიან ქალები – ჰერმიონე: ერთ-ერთია მენელაოსისა და ელენეს ასული ჰერმიონე (ე.ი. შვილიშვილი ლედასი), მეორეა – დემეტრესა და პერსეფონეს ზედწოდება და სხვ. მაგრამ არცერთი „ჰერმიონი“ ან „ჰერმიონე“ არ არის ისეთი, რომელიც სახელგანთქმული იყო თავისი შვილებით – ორი ვაჟით, როგორც მაგ., ატრევსი (აგამემნონი – მენელაოსი), ტინდარეუსი და სხვ. აზრობრივად არც „ჰერმესიდან“ უნდა იყოს წარმოებული „ერმიონი“. ვფიქრობთ, ბერძნული სახელი ჰერმიონი (ერმიონი) აქ არაფერ შუაშია“.³⁰¹

თ. ყაუხჩიშვილი სიტყვის მნიშვნელობას სხვა წყაროებში ეძებს და წერს: „იოანე პეტრიწის შრომებში (II) ბერძნული სიტყვების საძიებელში შეტანილია „ერმაული“: „ხოლო შენ-შორისი გონება დადე ერმაულთაგან“ (104)

³⁰⁰ ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტომი II. თბილისი, 1959, გვ. 128.

³⁰¹ თ. ყაუხჩიშვილი. ანტიკური სამყარო რუსთაველის ეპოქის ისტორიოგრაფიაში. თამარის ისტორიკოსები. მაცნე, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია. № 3. 1974, გვ. 112.

„ერმაულად იმწუერვალენ აპოლოლო“ (223).

ჩვენთვის ეს ადგილი გაუგებარია. იოანე პეტრიწი (ისევე როგორც ბევრი სხვა იმდროინდელი ქართველი ავტორი) იცნობს სახელს „ერმი“ (ჰერმესისთვის), მაგრამ აზრობრივად „ერმიდან“ წარმოებულს არ ჰგავს ეს სიტყვა, ისევე როგორც ზემოთ ხსენებული „ერმიონიც“.

საბას ლექსიკონში შეტანილი აქვს სიტყვა „ერმიანი“, რომელსაც ასე განმარტავს: ერმიანი ესე იგი არს, რაჟამს საშჯელსა შინა განსაჯონ ვინმე თვნიერ თანა ყოფითა ორკერძოთა მათ მოსარჩლეთათა“ – ე.ი. ზაქარია და ივანე მხარგრძელები უფრო სახელოვანნი არიან, ვიდრე „ერმიანნი“ – ე.ი. ისინი, ვინც განსჯისას ორივე მხარეს არ ისწრებენ, ორივე მხარეს არ ისწრებენ, ორივე მხარეს არ ეკითხებიან. შესაძლოა ეს ახსნაც არ იყოს სწორი, მაგრამ ჩვენი ცოდნის ამ ეტაპზე უფრო ახლოსაა ჭეშმარიტებასთან, ვიდრე მისი ადრინდელი გაგება.³⁰²

ვ. დონდუას აზრით, „Hermion იყო ძველი გერმანელი მეფე, რომელიც სიკვდილის შემდეგ ღმერთად იქცა. ამ სახელით ძველი საქსონელები აღნიშნავდნენ მარსს, ომის ღვთაებას, ე.ი. მარსის სახელი (ჰერმიონი) შესულა ქართულ ისტორიოგრაფიაში. თამარის ისტორიკოსი ჰერმიონის ძეობით იხსენიებს მხარგრძელებს, ისედაც ბევრი ეპითეტით შემკულთა“.³⁰³

თ. ყაუხჩიშვილი სკეპტიკურად უყურებს „ერმიონთა“ განმარტების ამ ვერსიას, რადგან საეჭვოდ მიაჩნია, რომ განმდრთობილი გერმანელი მეფისა ანდა ძველი საქსონების მიერ ხმარებული მარსის (არესის) აღმნიშვნელი სიტყვის შესახებ რუსთაველის ეპოქის ისტორიკოსებს შეიძლებოდა სცოდნოდათ.³⁰⁴

მართალია, თ. ყაუხჩიშვილის მიერ „ერმიონთასას“ განმარტების ვერსია სულხან-საბას ლექსიკონში დადასტურებული „ერმიანით“ საკმაოდ დამაჯერებლად გამოიყურება, მაგრამ მაინც გაუგებარი რჩება სიტყვის მნიშვნელობა ამ კონტექსტში.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამ წინადადებას წინ უსწრებს და მოსდევს ქართველთა ბრწყინვალე გამარჯვების შემდგომი სიხარულის, უხვი ალაფის და თამარის თაყვანისცემის აღწერა, რომლის ფონზე „ერმიანთა“ – ანუ მსაჯულთ-მოსამართლეთა მოხსენიება უადგილოდ გვეჩვენება.

³⁰² თ. ყაუხჩიშვილი. ანტიკური სამყარო რუსთაველის ეპოქის ისტორიოგრაფიაში. თამარის ისტორიკოსები. მაცნე, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია. № 3. 1974, გვ. 112-113.

³⁰³ ვ. დონდუა. თამარის დროის „ერმიონთასა“. ორიონი, საუბილეო კრებული მიძღვნილი აკ. შანიძის დაბადების 80 წლისთავისადმი. თბილისი, 1967, გვ. 152-155.

³⁰⁴ თ. ყაუხჩიშვილი. ანტიკური სამყარო რუსთაველის ეპოქის ისტორიოგრაფიაში. თამარის ისტორიკოსები. მაცნე, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია. № 3. 1974, გვ. 113.

ვფიქრობთ, აქ ნაგულისხმებია სიტყვა „ერმი“, რომელიც არა მხოლოდ ღვთაება ჰერმესია, არამედ პლანეტა – „ცთომილი“ მერკურიც, ოტარიდიც,³⁰⁵ რომელსაც კარგად იცნობენ „ქართლის ცხოვრების“ ისტორიკოსები და ამ პერიოდის სხვა ჟანრის თხზულებათა ავტორებიც.

ვფიქრობთ, ამ ამონარიდში სიტყვის ზედსართავული ფორმა წარმოდგენილი, მსგავსად „აქილიანისა“, „აფროდოტიანისა“ და „აპოლონიანისა“, რაც, როგორც ეს ზემოთაც ვნახეთ, სხვადასხვა ნაწარმოებში, მათ შორის „ქართლის ცხოვრებაში“ არაერთხელ გვხვდება.

ამავდროულად გასათვალისწინებელია, რომ პლანეტა ერმი, როგორც ეს ძველი ქართული ენის ლექსიკონებში დასტურდება, ხშირად განასახიერებდა უწვერულ, აბჯარასხმულ, გამარჯვებულ ჭაბუკს („ამისა სახეობასა იტყვიან უწვერულისა ჭაბუკისასა, შეჭურვილისა, ჯელთა ქონებად ძლევისასა“³⁰⁶) და, ძველ საქართველოში არსებული წარმოდგენებით, მის ცაში³⁰⁷ იყო სხვა ვარსკვლავიც („ერმის ცაში ერთი სხვა ვარსკვლავია“³⁰⁸).

შესაბამისად, პლანეტა ერმი, რომლის ბრწყინვალეობა თვალთ ხილული იყო და რომელიც გამარჯვებული უწვერული მეომრის სახით გამოისახებოდა, შესაძლებელია ამ კონტექსტში აღვიქვათ როგორც „გამარჯვებული ახალგაზრდა მეომარი“ და წინადადება ასე ვთარგმნოთ:

³⁰⁵ ძველქართულ-ძველბერძნული ფილოსოფიურ-თეოლოგიური ტერმინოლოგიის დოკუმენტირებული ლექსიკონი = Old georgian-greek documented dictionary of philosophical-theological terminology: (მასალები) / [ქართველოლ., ჰუმანიტ. და სოც. მეცნ. ფონდი რუსთაველის ფონდი; პროექტის ავტ. და სამეცნ. ხელმძღვ. დ. მელიქიშვილი; პ/მგ რედ.: ა. ხარანაული, ბერძნ. ტექსტის რედ.: ლ. გიგინეიშვილი, ვ. ჯუღელი]. თბილისი, 2010. ხელმისაწვდომია ონლაინ: <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=27&t=1690> ბოლო ნახვა: 23.05.2024.

³⁰⁶ ლექსიკონი ქართული. ლექსიკონის წინამდებარე გამოცემა უცვლელად იმეორებს სულხან-საბა ორბელიანის თხზულებათა ორტომეულში შეტანილ ტექსტს. წყარო: სულხან-საბა ორბელიანი. ლექსიკონი ქართული. მოამზადა ილ. აბულაძემ. რედ.: ელ. მეტრეველი, ც. ქურციკიძე. თბილისი, 1991. ხელმისაწვდომია ონლაინ: <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=8&t=12285> ბოლო ნახვა: 28.05.2024.

³⁰⁷ ანტიკური წარმოდგენებით, თვითოეულ პლანეტას თავისი ცა გააჩნდა, რაც კარგად ჩანს სულხან-საბას ლექსიკონში, რასთან დაკავშირებით ელგუჯა ხინთიბიძე განმარტავს: „უძველესი ასტროლოგიურ-რელიგიური შეხედულებანი ცათა სიმრავლეზე ქართულ სინამდვილეშიც დამკვიდრებულია და მას თავიანთი ასახვა უპოვია სულხან-საბას ლექსიკონში“ (ე. ხინთიბიძე. ვეფხისტყაოსნის იდეურ-მსოფლმხედველობითი სამყარო. თბილისი, 2009, გვ. 196-223.).

³⁰⁸ ლექსიკონი ქართული. ლექსიკონის წინამდებარე გამოცემა უცვლელად იმეორებს სულხან-საბა ორბელიანის თხზულებათა ორტომეულში შეტანილ ტექსტს. წყარო: სულხან-საბა ორბელიანი. ლექსიკონი ქართული. მოამზადა ილ. აბულაძემ. რედ.: ელ. მეტრეველი, ც. ქურციკიძე. თბილისი, 1991. ხელმისაწვდომია ონლაინ: <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=8&t=12285> ბოლო ნახვა: 28.05.2024.

„ნამდვლვე გამარჯვებულ ახალგაზრდა მეომართა უსახელოვნესთა მათ კაცთა, ზაქარია და ივანე“.

ასევე, შესაძლებელია, რომ ერმი, რომლის ცა იყო რიგით მეორე („ერმი არს მეორესა ცასა ზედა“³⁰⁹), ე.ი., ყველაზე ახლოსაა მზესთან, შესაძლოა, ასევე გამოხატავდეს თამართან – „მზესთან“ ყველაზე დაახლოებულ პირებს, როგორც ეს სინამდვილეში იყვნენ ახალგაზრდა მხარგრძელები, რომელთაც სახელმწიფოში ყველაზე მნიშვნელოვანი თანამდებობები ეპყრათ.

შესაბამისად, ვფიქრობთ, რომ ეს პასაჟიც ანტიკურობასთან არის დაკავშირებული.

ჟამთააღმწერელი, „ასწლოვანი ისტორია“

თხზულების ავტორის ნამდვილი სახელი უცნობია და მის შესახებ დანამდვილებით არაფერია ცნობილი. ზოგს იგი ვარძიელი ბერი ჰგონია,³¹⁰ ზოგს – მაწყვერელი მოღვაწე.³¹¹

თხზულებაში აღწერილია XIII საუკუნის 10-იანი წლებიდან XIV საუკუნის 10-იანი წლამდე ისტორია. ნაწარმოები, მასში ასახული ქრონოლოგიური პერიოდიდან გამომდინარე, მოგვითხრობს მონღოლთა ბატონობის შესახებ საქართველოში, დავით ულუსა და დავით ნარინის მეფობის ამბებს, ქვეყნის დაქვეითებისა და დაქუცმაცების ტრაგიკულ ისტორიას.

თ. ყაუხჩიშვილის შეფასებით, „ჟამთააღმწერელის თხზულება შინაგანად შეკრული გეგმიანი ნაწარმოებია, ავტორს აქვს წიაღსვლები, აღწერილი მოვლენების შესახებ ამბობს მთავარს, თხრობა წვრილმანებით არ აქვს გადატვირთული. თხზულება XIV საუკუნის ქართული ისტორიული აზროვნების მაღალი დონის მაჩვენებელია“.³¹²

როგორც ეს „ასწლოვანი ისტორიიდან“ იკვეთება, ჟამთააღმწერელი კარგად იცნობს ქართულ, მონღოლურ, სპარსულ, ბერძნულ ისტორიულ წყაროებს და ზეპირ

³⁰⁹ ლექსიკონი ქართული. ლექსიკონის წინამდებარე გამოცემა უცვლელად იმეორებს სულხან-საბა ორბელიანის თხზულებათა ორტომეულში შეტანილ ტექსტს. წყარო: სულხან-საბა ორბელიანი. ლექსიკონი ქართული. მოამზადა ილ. აბულაძემ. რედ.: ელ. მეტრეველი, ც. ქურციკიძე. თბილისი, 1991. ხელმისაწვდომია ონლაინ:

<http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=8&t=12285> ბოლო ნახვა: 28.05.2024.

³¹⁰ თ. ჟორდანია. ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა. წიგნი 3. თბილისი, 1967.

³¹¹ კ. გრიგოლია. ჟამთააღმწერელი და მისი თხზულების სამეცნიერო მნიშვნელობა. ქართული ისტორიოგრაფია. ტ. 1. თბილისი, 1968;

³¹² შ. ხანთაძე. ჟამთააღმწერელი. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. ტ. 8. თბილისი, 1984. გვ. 239.

გადმოცემებს, კარგად ფლობს მონღოლურ და ბერძნულ ენებს. საყურადღებოა, რომ ავტორი იჩენს კრიტიკულ დამოკიდებულებას წყაროებისადმი.³¹³

„ასწლოვან ისტორიაში“ ჩართულია არაერთი საინტერესო მონაკვეთი, რომელიც ანტიკურობასთან არის დაკავშირებული.

ამ პასაჟებს ტექსტი მიხედვით თანამიმდევრულად განვიხილავ.

1) „ძუელ ოდესმე ელინთა ბრძენთა ათორმეტთა ზოდთა“

მონღოლთა წელთაღრიცხვისა და კალენდრის შესახებ მსჯელობისას ჟამთააღმწერელი წერს:

„ამათვე [მონღოლთა – ე.კ.] შექმნეს ქორონიკონის სახედ ათორმეტი წელიწადი ათორმეტთა პირუტყუთა ცხოველთა სახელსა ზედა, და თითოსა პირუტყუსა და ცხოველსა თითოსა წლის მთავრობა განუჩინეს, ვითარ ძუელ ოდესმე ელინთა ბრძენთა ათორმეტთა ზოდთა, რომელ არიან ეტლნი მზისა და მთვარისანი“.³¹⁴

თ. ყაუხჩიშვილი ამასთან დაკავშირებით შენიშნავს: „ავტორისთვის საკმაოდ კარგად არის ცნობილი ძველ ელინთა თორმეტი ზოდიაკო და ახალს, ასახსნელს, მონღოლურ ქორონიკონს მისი საშუალებით, მასთან შედარების გზით, გვიხსნის“.³¹⁵

მართლაც, საყურადღებოა, რომ მონღოლთა ისტორიისა და წეს-ჩვეულებების გადმოცემისას ჟამთააღმწერელი ხშირად მიმართავს ახსნა-განმარტებებსა ან ისტორიულ წიაღსვლებს ბერძნულ-რომაული სამყაროდან, რაც იმაზე უნდა მიანიშნებდეს, რომ XIV საუკუნის ქართველი მკითხველისთვის ანტიკური სამყარო უფრო ნაცნობი და გასაგებია, ვიდრე მონღოლური ცხოვრების წესი და ტრადიცია.

2) ვესპასიანუსი, ტიტუსი, იოსებ ფლავიუსი

როგორც ცნობილია, ხვრაზმთა იმპერიის ბოლო მმართველმა, სულთან ჯალალ ად-დინ მანგუბერდმა (ქართველებისთვის უკეთ ცნობილმა როგორც ჯალალედინმა), 1226 წელს აიღო თბილისი. სასტიკმა დამპყრობელმა ხიდზე ხატები გააწყო და ქართველებს ზედ გავლა უბრძანა. ვინც ამას არ აღასრულებდა, თავს ჰკვეთდნენ. 100 000-მა ქართველმა არ გაიარა ამ ხიდზე და ამით თავი დაიცვა საკუთარი რწმენა. ამ ტრაგიკული ამბების შეფასებისას ჟამთააღმწერელი წერს:

³¹³ თ. ყაუხჩიშვილი. ანტიკური სამყარო ქართულ ისტორიოგრაფიაში. ჟამთააღმწერელი. ივ. ჯავახიშვილის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული. თბილისი, 1976, გვ. 293.

³¹⁴ ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტომი II. თბილისი, 1959, გვ. 159.

³¹⁵ თ. ყაუხჩიშვილი. ანტიკური სამყარო ქართულ ისტორიოგრაფიაში. ჟამთააღმწერელი. ივ. ჯავახიშვილის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული. თბილისი, 1976, გვ. 298.

„და ესევეთარნი ჭირნი მოიწივნეს, რომელ არაოდეს ძუელთა სადამე წიგნთა მიერ სმენილ არს, რომელნი თანა-შეესწორებიან ქრისტეს ჯუარისა მცმელთა იუდიანთა ზედა ქმნულთა მიერ იერუსალიმისა სრულიადსა მოსპოლვასა **ტიტეს და უესპასიანეს მიერ**, ვითარცა ჟამთააღწერელი და მრავალმომთხრობელი **იოსიპოს** წარმოიტყვს ესოდენ ძნელბედობასა იუდეველთასა, ვითარცა სამასსა ბევრსა აღრაცხავს მამაკაცსა, ოდენ სიყმილისა და მაკვილისა მიერ აღსრულებულსა. რომლისა მსგავს იქმნა ჟამსაცა ამას სარკინოზთა მიერ ქალაქსა ამას ტფილისისასა“.³¹⁶

თხზულების ამ მონაკვეთთან დაკავშირებით თ. ყაუხჩიშვილი ასეთ კომენტარს აკეთებს: „ის, რაც სულტანმა ჯალალედინმა დაათია ქართველებსა და თბილისს, შედარებულია ტიტესა და ვესპასიანეს დროს იერუსალიმისა და იუდეველთა მოსპობასთან, რისი ავტორიც იოსიპოსია (ე.ი. იოსებ ფლავიუსია). იოსებ ფლავიუსმა „იუდეველთა ისტორიაში“ (VI-VII წიგნები) აღწერა იერუსალიმის დამხოვა და იუდეის საბოლოოდ დამორჩილება ვესპასიანესა და ტიტეს დროს. ამას ეხება ჟამთააღმწერლის ეს ცნობაც“.³¹⁷

ამრიგად, ჟამთააღმწერლის მიერ მოყვანილი იოსებ ფლავიუსის ცნობა ემსახურება, ერთი მხრივ, საქართველოს ამ ტრაგიკული ნარატივის ჩართვას მსოფლიო ისტორიის კონტექსტში, ხოლო, მეორე მხრივ, თბილისის იერუსალიმთან შედარებას („თანა-შეესწორებიან“), რაც ხაზს უსვამს დედაქალაქის სარწმუნოებრივ ღვაწლს. ასევე შემთხვევით არ გვეჩვენება იმის ნათელყოფა, რომ, იერუსალიმის დანგრევა „ქრისტეს ჯუარისა მცმელთა იუდიანთა ზედა ქმნულ“ ამბად აღიქმება, რაც, როგორც ჩანს, იმაზე მიანიშნებს, რომ ჯალალედინის მიერ თბილისი დარბევა, ჟამთააღმწერლის აზრით, ქართველთა მძიმე ცოდვებს უკავშირდებოდა.

3) იოსებ ფლავიუსი, ასტუვაგი, მანდანე, კროისოსი, კიროსი, აპოლონი, დელფოს სამისნო, ტროას ომი

ერთ ეპიზოდში მოთხრობილია რუსუდან დედოფლის ავი ზრახვების წყალობით რუმის სულთან ყიას ად-დინ ქეი ხუსრევ II-ის მიერ ხუთი წლის განმავლობაში ციხეში დამწყვდეული დავით ლაშას მის (ულუს) ქართველი დიდებულების ძალისხმევით და მონღოლთა ყაენის ნებით გათავისუფლების ამბავი. ჟამთააღმწერელი თხზულების ამ მონაკვეთში, რომელიც სულ ხუთიოდე წინადადებისგან შედგება, ანტიკურობასთან დაკავშირებულ არაერთ საკუთარ

³¹⁶ ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. II. თბილისი, 1959, გვ. 176.

³¹⁷ თ. ყაუხჩიშვილი. ანტიკური სამყარო ქართულ ისტორიოგრაფიაში. ჟამთააღმწერელი. ივ. ჯავახიშვილის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული. თბილისი, 1976, გვ. 297.

სახელს, ისტორიულ მოვლენას და მითს ახსენებს. საინტერესოა, რომ ავტორს ერთ კონტექსტში, ერთმანეთის გვერდით ნახსენები აქვს ბიბლიური ნარატივები და ანტიკურობასთან დაკავშირებული სიუჟეტები.

„რამეთუ სირცხულ მიჩნს კადრებად და კუალად ვერ მიძლავს დუმილად, რამეთუ უპატიო ჰყო თავი თვისი ბოროტითა ამით, რომელ აღადგინა ძმისწულსა თვისსა ზედა. გარნა განაქარვნა ზრახვანი მისნი ზეგარდამომან განგებამან, ვითარ აქიტოფელისნი დავით წინასწარმეტყუელის-ზე და არა გულისჴმა-ყო, რამეთუ განაქარვნის ზრახვანი კაცთანი ზრახვამან ღმრთისამან, ვითარ ფარაოსი მოსეს-ზე ვითარ განერა ჯელთაგან მისთა ლტოლვილი პირველად, ვითარ იტყვს ჟამთააღმწერელი **იოსიპოს**, და კუალად ვითარ განერა დავით ჯელთაგან სულტნისათა, რამეთუ ცუდად იქმნა განზრახვა მისი. და სხუაცა მოვიკსენო, რომელ იქმნა განზრახვითა მეფისა **ასტუვაგისათა**, არა ცუდ იქმნა წარვლენა ასულისა [მისისა] **მანდანისი** სპარსთათჳს ყოვლად ამას შინა მოცემა მისა მის. ისა **კვროსისი**, რომელი შემდგომად ასტუვაგისა მეფე იქმნა, ანუ არა ამო იქმნა ხრიზმოზიცა იგი **აპოლონის** დედოფლისა შენისა კარისოსი განცდილი მე ობოლი მთხრობლი ძლეული კარისოსა შეპყრობილ იქმნა კვროსის მიერ, და უმეტეს ამისსა არა განცუდნა ხრიზმოზიცა იგი **პრიამოსისი** მეფისა ასიელთასა და ყოვლისა [აღმოსავლეთისა] პირისა მთავრისა **ალექსანდრე პარიდოსისა** ზედა, რომელი იპყრა წელთა ოდათორმეტთა [უწინარეს], რომელმან, მიმტაცებელმან **ელენესმან** ცოლისა **აღამემნონის** ძ[მ]ისა **მენელეოსისგან**, ოცდარვადა წლად უმშჳდებელნი ბრძოლანი მოუგნა **ტროველთა** და სრულიადი მოსპოლვა ნათესავსა მისსა“.³¹⁸

თ. ყაუხჩიშვილი ამ მონაკვეთის დასაწყისთან დაკავშირებით განმარტავს: „იგივე იოსიპოს ჟამთააღმწერელი ნახსენებია მეორეჯერაც [იხ. ზემოთ – ე.კ.] აქ – რუსუდანის ბოროტ ზრახვებთან დაკავშირებით ძმისწულის მიმართ – „ვითარ განერა ჯელთაგან მისთა ლტოლვილი პირველად (ალბათ, მოსე რომ გადაურჩა ფარაონს – ეს უნდა იგულისხმებოდეს, რადგან ამაზეა უწინ ლაპარაკი თ.ყ.), „ვითარ იტყვის ჟამთააღმწერელი იოსიპოს“, რადგან ციტატი თითქმის არ არსებობს, მხოლოდ მინიშნებაა რაღაც გადარჩენაზე. ამიტომ დედნის დადგენა ძნელდება, მაგრამ შესაძლოა იგივე „იუდეველთა ისტორია“ იყოს წყარო, ან უფრო სავარაუდოა – „იუდეველთა სიძველთმცოდნეობა“ – მეორე ნაწარმოები იოსებ ფლავიუსისა“.³¹⁹ ხოლო ტროას ომის ეპიზოდთან დაკავშირებით თ. ყაუხჩიშვილი დაასკვნის: „აქ

³¹⁸ ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. II. თბილისი, 1959, გვ. 205.

³¹⁹ თ. ყაუხჩიშვილი. ანტიკური სამყარო ქართულ ისტორიოგრაფიაში. ჟამთააღმწერელი. ივ. ჯავახიშვილის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული. თბილისი, 1976, გვ. 297.

მოკლედ არის გადმოცემული ტროის ომის მიზეზი და მისი დასასრული, ხოლო თვით ომი, ამ ავტორის ვერსიით, 28 წელს გრძელდებოდა... ეს ვარიანტი ტროის ომის ხანგრძლივობისა საქართველოში ცნობილი ყოფილა, ხოლო ქართულ მეცნიერებაში არსებული აზრის მიხედვით, ქართველები თითქოს ჰომეროსის მეშვეობით კი არ იცნობდნენ ტროას ომის ციკლის თხზულებებს, არამედ რაღაცა სხვა ვერსიის მიხედვით (უფრო სწორი იქნება თუ ვიტყვით, ტროის ომის ციკლის თხზულებებს მარტო ჰომეროსისეული ვარიანტის მიხედვით არ იცნობდნენ)³²⁰.

გ. ასათიანი ასეთ კომენტარს აკეთებს პასაჟში ნახსენები ზოგიერთი საკუთარი სახელის შესახებ: „ასტიაგესის შესახებ ვრცლად გვიამბობს „ისტორიის მამა“ ჰეროდოტე (მგ.წ. V ს.) თავის ისტორიაში (I, 46; 73-75, 91, 107-112, 114-130, 162; III, 62, VII, 8 და სხვ.)... ჟამთააღმწერელთან „მანდანისი“ სპარსეთის მეფის კიროსის (559-529 წწ.) დედაა, რომლის ჩვილის დაღუპვა განიზრახა მისმა მამა-ასტიაგესმა, რადგან ამ უკანასკნელს ძილში ეჩვენა თავისი ასული, რომელმაც წარღვნა მთელი აზია. სიზმრის ამხსნელებმა ასტიაგეს ანიშნეს, რომ შვილიშვილი დაამხობს მის ძალაუფლებას და ამიტომაც ასტიაგე დაავალეს „სანდო კაცს“ ჰარპაგოსს ბავშვის მოკვლას. ჰარპაგოსი გადამალავს ბავშვს მწყემსთან და ამით გადაარჩენს მას“.

ალ. გამყრელიძის დასკვნით, „ქართლის ცხოვრების“ „კარისოსი“ არის იგივე კარგად ცნობილი ლიდის მეფე კროდოსი და ამ ეპიზოდისთვის წყარო არის გიორგი ამარტოლის ხრონოგრაფი. ხოლო რაც შეეხება „აპოლონის დედოფალს“, ეს უნდა ნიშნავდეს „აპოლონ დელფიელს“ ან „დელფელს“, ხოლო თუ აუცილებელია სიტყვის „დედოფლის“ დატოვება, მაშინ „აპოლონის დედოფალი“ პითიად უნდა გავიგოთ³²¹.

თ. ყაუხჩიშვილი ალ. გამყრელიძის ამ თვალსაზრისთან დაკავშირებით განმარტავს: „რა თქმა უნდა ალ. გამყრელიძის დაკვირვება გასაგებს ხდის, თუ რაზეა ტექსტში ლაპარაკი (დელფოს სამისნოს წინასწარმეტყველება ვერ გაიგო კროდოსმა, ის დამარცხდა კვროსთან ბრძოლაში და კვროსმა ის შეიპყრო), მაგრამ წინადადება მთლად გამართული მაინც არ არის“³²².

თხზულების ამ მონაკვეთში ნახსენები სიტყვა „ხრიზმოზის“ შესახებ თ. ყაუხჩიშვილი შემდეგს აღნიშნავს: „ხრიზმოზი (II, 205) – χρῖσμοζ მისნობა იმდენად იშვიათია არა თუ ორიგინალურ, არამედ ნათარგმნ ძეგლებშიც, რომ ამ

³²⁰ თ. ყაუხჩიშვილი. ანტიკური სამყარო ქართულ ისტორიოგრაფიაში. ჟამთააღმწერელი. ივ. ჯავახიშვილის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული. თბილისი, 1976, გვ. 293.

³²¹ ალ. გამყრელიძე. ჟამთააღმწერელის „კარისოსის“ / კრისოს /კროსოს“. ქართული წყაროთმცოდნეობა. III. 1971, გვ. 191-194.

³²² თ. ყაუხჩიშვილი. ანტიკური სამყარო ქართულ ისტორიოგრაფიაში. ჟამთააღმწერელი. ივ. ჯავახიშვილის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული. თბილისი, 1976, გვ. 296-297.

თვალსაზრისით ჟამთააღმწერლის თხზულებაში დაცული ეს ფორმები „ელინურ ზღაპრობასთან“ და „ისტორია – აზმასთან“ ერთად საყურადღებო ადგილს იჭერენ“.³²³

ამრიგად, ყველა ამ კომენტარის გათვალისწინებით, ტექსტი ასე შეიძლება გავიგოთ:

ჟამთააღმწერელს რცხვენია ამის კადრება და და უჭირს ამაზე დადუმება, რადგან თავი შეირცხვინა [რუსუდანმა – ე.კ.] იმ ბოროტი საქციელით, რომელიც მან ჩაიდინა საკუთარი ძმისწულის წინააღმდეგ. მაგრამ უზენაესმა განგებამ მისი ზრახვები არ აღასრულა. როგორც არ აღსრულდა აქიტოფელის ბოროტი ზრახვები დავით წინასწარმეტყველის მიმართ, რადგან ადამიანთა ზრახვებს ღვთის ზრახვა განაქარვებს ხოლმე. ისე, როგორც განქარდა ფარაონის [ზრახვები – ე.კ.] მოსეს წინააღმდეგ, რომელიც, ლტოლვილი, თავდაპირველად დაუსხლტა მას ხელიდან, როგორც ამას იტყვის იოსებ ფლავიოსი. ასევე გათავისუფლდა დავითი სულთნის ხელისგან, რადგანაც სულთანი ცუდს განიზრახავდა. ჟამთააღმწერელი აქვე ახსენებს, რომ მეფე ასტიაგესის განზრახვაც (არ იყო კარგი ე.კ), მაგრამ არ აღმოჩნდა ცუდი [შედეგი – ე.კ.] მისი ასულის, მანდანეს გაგზავნა სპარსელებისთვის, რადგან მას შვილი შეეძინა – კიროსი, რომელიც ასტიაგესის შემდეგ გამეფდა. ანუ ტყუილად არ უწინასწარმეტყველა აპოლონ დელფოსელმა კროისოსს [გაუგებარი ადგილი] რომელიც იქნა ძლეული და შეპყრობილი კიროსის მიერ და ასევე აცხადდა აზიის და მთელი აღმოსავლეთის მბრძანებლის, პრიამოსისთვის ნაწინასწარმეტყველები ალექსანდრე პარისზე, რომელმაც ოცდათორმეტი წლის ადრე [ტროას დაცემამდე – ე.კ.] მოიტაცა ელენე, აგამემნონის ძმის, მენელაოსის ცოლი, რომელმაც ოცდარვა წელი განუწყვეტელი ომი მოუტანა ტროელებს და გამოიწვია მისი [პრიამოსის] ნათესავთა სრულიად მოსპობა.

სანამ უფრო დეტალურად გავაანალიზებ აღნიშნულ მონაკვეთს, მინდა გამოვთქვა ვარაუდი ტექსტის ე.წ. „გაუგებარი“ ადგილის შესახებ, რომელიც არის შემდეგ პასაჟში:

„ანუ არა ამაო იქმნა ხრიზმოზიცა იგი აპოლონის დედოფლისა შენისა კარისოსი განცდილი მე ობოლი მთხრობლი ძლეული კარისოსა შეპყრობილ იქმნა კვროსის მიერ“.

სავსებით სამართლიანად აღნიშნავს თ. ყაუხჩიშვილი, როგორც ეს ზემოთაც მივუთითეთ, რომ „რა თქმა უნდა აღ. გამყრელიძის დაკვირვება გასაგებს ხდის, თუ რაზეა ტექსტში ლაპარაკი (დელფოს სამისნოს წინასწარმეტყველება ვერ გაიგო

³²³ თ. ყაუხჩიშვილი. ანტიკური სამყარო ქართულ ისტორიოგრაფიაში. ჟამთააღმწერელი. ივ. ჯავახიშვილის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული. თბილისი, 1976, გვ. 298.

კროსოსმა, ის დამარცხდა კვროსთან ბრძოლაში და კვროსმა ის შეიპყრო), მაგრამ წინადადება მთლად გამართული მაინც არ არის“.³²⁴

ჩემი აზრით, ეს მონაკვეთი არის ჟამთააღმწერლის ე.წ. „ჩანართი“, რომელშიც იგი რუსუდანს (დედოფალი) და საკუთარ თავს (მე ობოლი მთხრობლი) ახსენებს. ამ ჩანართით ჟამთააღმწერელი ისევ უბრუნდება ამბის ძირითად ხაზს, რომელიც დავითის ბედისწერას უკავშირდება და ისევ გადადის პირველ პირში თხრობაზე, როგორც ეს ციტატის დასაწყისში იყო („რამეთუ სირცხვლ მიჩნს კადრებად და კუალად ვერ მიძლავს დუმილად, რამეთუ უპატიო ჰყო თავი თვსი ბოროტითა ამით, რომელ აღადგინა ძმისწულსა თვსსა ზედა“). იგი რუსუდანს კროსოსს ადარებს („დედოფალი შენისა კარისოსი განცდილი“), ხოლო აპოლონის „ხრიზმოსს“ საკუთარ ნათქვამს (მონათხრობს).

ამაში გვარწმუნებს მომდევნო მონაკვეთი, სადაც ჟამთააღმწერელი პირდაპირი მიმართავს რუსუდანს, სადაც იგი მას კვლავ დედოფალს („დედოფალთ-დედოფალს“) და მეფეს უწოდებს:

„ესე ყოველი არა თვთ განზრახვით იქმნა. ზი ბრძენო, კეთილთა და პატიოსანთა ძირთა მორჩო, დედოფალთ-დედოფალო მეფეო რუსუდან. გარნა რა მოივაჰრე? იხილე, რამეთუ ხუთისა წლისა ჟამნი დაყვნა ულხინობთა ჭირთა შინა ჯურღმულსა ღრმასა, გუელთა თანა, რამეთუ ესე ზემოკსენებულნი ზრახვანი დაქსნა ზენამან განგებამან ღმრთისა ყოვლისა მპყრობელისამან, ვითარცა აწცა“.³²⁵

ამრიგად, ჟამთააღმწერლის მიერ ამ ციტატაში დამოწმებული ბიბლიური თუ ანტიკური წყაროებიდან ცნობილი ყველა მაგალითი მეტყველებს გარდუვალობაზე ღვთიური ნებისა, რომლის შეცვლა ხელმწიფეებსაც კი (ყველა შემთხვევაში მოყვანილია სწორედ სამეფო ძალაუფლების მქონე პირების შესახებ მაგალითები) არ შეუძლიათ. ყველა, ვინც ეცადა ბოროტი ზრახვებით და ხრიკებით შეეცვალა განგების ნება, ადრე თუ გვიან სასტიკად დაისაჯა ღმრთის მიერ და სასჯელი, ცხადია, არ ასცდება არც დავითის მწამებელ რუსუდანსაც. საყურადღებოა, რომ პასაჟის ბოლოს ნახსენები ტროას ომის ამბავი დამატებით იმაზეც მიანიშნებს, რომ ისჯებიან არა მხოლოდ მეფეები, არამედ მათი ქვეშემრდომებიც: „ოცდარვად წლად უმშვდებელნი ბრძოლანი მოუგნა ტროველთა და სრულიადი მოსპოლვა ნათესავსა მისსა“.³²⁶

³²⁴ თ. ყაუხჩიშვილი. ანტიკური სამყარო ქართულ ისტორიოგრაფიაში. ჟამთააღმწერელი. ივ. ჯავახიშვილის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული. თბილისი, 1976, გვ. 296-297.

³²⁵ თ. ყაუხჩიშვილი. ანტიკური სამყარო ქართულ ისტორიოგრაფიაში. ჟამთააღმწერელი. ივ. ჯავახიშვილის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული. თბილისი, 1976.

³²⁶ ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. II. თბილისი, 1959, გვ. 205.

4) „რომისა და რომოსიანთა ქუეყანასა განაგებდეს ოთხნი იპატოსნი“

ჟამთააღმწერელი ჩინგიზ ყაენის შთამომავლის, ჰულაგუ (ულო) ყაენის ალადატში გამეფების აღწერისას აღნიშნავს, რომ ადრე ოთხი ნოინი განაგებდა მონღოლთა საბრძანებელს: „რამეთუ პირველ მათ თაიჩუთთა ოთხთა ნოინთა მიერ განეგებოდა ქუეყანა საბრძანებელისა მათისა. პირველად რომგუარი, რომელ არს ხუარასანი, ერაყი, ადარბადაგანი, მოვაკანი, ბარდავი, შარვანი, საქართველო ყოველი, ხლათი და საბერძნეთი დიდი, ვიდრე ასიადმდე, -- ამათ ოთხთა ნოინთაგან განეგებოდა, და მათი საურავი იყვის“.³²⁷

იმისათვის, რომ კარგად განმარტოს მონღოლთა მმართველობის ეს სისტემა, იგი წერს: „ვითარ ძუელ ოდესმე, შემდგომად საკადრებელისა, **რომისა და რომოსიონთა ქუეყანასა განაგებდეს ოთხნი იპატოსნი**“.³²⁸

იპატოსი (ვპატოსი, იპატი, ვიპატოსი) – ἵπατος „დიდებული, მეფის წინაშე მდგარი კაცი“ აქ მმართველის მნიშვნელობითაა ნახმარი. ბიზანტიურ კოინეზე შექმნილი ეს ტერმინი რომის კონსულებსაც აღნიშნავდა. ქართულ სინამდვილეში იპატოსების ტიტულებს ატარებდნენ ქართველი დიდებულებიც. ჯვრის მონასტრის წარწერების მიხედვით, იპატოსების ტიტული ჰქონდა ქართლის ერისმთავრის, სტეფანოზის ძმას – დემეტრეს და შვილს – ადარნასეს (ერისმთავრად გახდომამდე).³²⁹ სხვა ტერმინთა განმარტებისთვის თ. ყაუხჩიშვილი აღნიშნავს: „რომოსიანნი“ – გამომცემლის კონიექტურაა, ძირითადი ხელნაწერების კითხვა-სხვაობაზე დამყარებული. ვახტანგისეულია „იონთა და რომს“, ივ. ჯავახიშვილსაც აქვს „იონთა“. „რომოსიანი“ რომის მამამთავარის „რომოსის“ სახელიდან წარმოებულად არის მიჩნეული“.³³⁰

მიუხედავად იმისა, რომ აქ ბერძნული ტერმინებია გამოყენებული, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ აქ იგულისხმება იმპერატორ დიოკლეტიანეს მიერ ჩამოყალიბებული ოთხმმართველობა – ტეტრარქია, რომლის დროსაც რომის იმპერიას მართავდა 4 მმართველი: 2 იმპერატორი და 2 კეისარი, მით უმეტეს, რომ

³²⁷ ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. II. თბილისი, 1959, გვ. 298.

³²⁸ ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. II. თბილისი, 1959, გვ. 298.

³²⁹ ქართული წარწერების კორპუსი, ლაპიდარული წარწერები. ტ. I. აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველო (V-X სს.). შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ნ. შოშიაშვილმა. თბილისი, 1980, გვ. 20.

³³⁰ თ. ყაუხჩიშვილი. ანტიკური სამყარო ქართულ ისტორიოგრაფიაში. ჟამთააღმწერელი. ივ. ჯავახიშვილის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული. თბილისი, 1976, გვ. 298.

ტექსტში, მიუხედავად გამომცემლის კონიექტურისა, ნახსენებია „რომისა“ და „რომოსიანთა“ ქვეყანა.

5) მოსიმახოსი, ნეოპტოლემოსი, პეგასოსი (?), აქილევსი, მირმიდონელები

ქვეთავის „მესამეოცდახუთე მეფე ქართლისა დავით, ძე დიმიტრი მეფისა, ბაგრატოანი“ ერთ-ერთ მონაკვეთში ნახსენებია, სავარაუდოდ ჰერეთის ერისთავი სამადავლა, რომელიც, როგორც ეს თხზულებიდან ირკვევა, მხარს უჭერს დავით მეფის გამოცხადებას ყაზან ყაენთან. იმასთან დაკავშირებით, თუ რომელი საერისთავოს გამგებელი იყო სამადავლა, არსებობს სხვადასხვა მოსაზრება,³³¹ რომელთა განხილვას, საკვლევი თემიდან გამომდინარე, არ შევუდგებით.

მწერალი საგანგებოდ აღნიშნავს XIII საუკუნის ამ დიდებულის სამხედრო ღირსებებს: „ერისთავი სამადავლა, კაცი ყოვლითა სამჯედროთა ზნითა შემკობილი და მსგავსი მოსომახოსა ებრაელისა, გინა ნეოპტოლემოს პილასი რჩეულისა, სახელოვანისა მირმიდონთ მოძღურისა“.³³²

ამ პასაჟთან დაკავშირებით თ. ყაუხჩიშვილი განმარტავს: „მამაცი მებრძოლი და განთქმული მოისარი მოსიმახოსთან არის შედარებული. „მოსომახო ებრაელი“, იგივე ადრე ხსენებული (დავითის ისტორიკოსთან და „ისტორიანი და აზმანი“) მოსიმახოსია, შედარებისას ამ ორ ისტორიკოსთან მოსიმახოსთან ერთად კენტავროსისგან განსწავლული აქილევსი იყო ხოლმე მოყვანილი, აქ, კი – აქილევსის ძე – ნეოპტოლემოსი. ნეოპტოლემოსი აქილევსის ვაჟია, ხოლო, როგორც ცნობილია, აქილევსი (და, მაშასადამე, ნეოპტოლემოსიც) მირმიდონელთა ბელადი იყო. რაც შეეხება „პილასის“ – არსად ლიტერატურაში ეს ეპითეტი ნეოპტოლემოსს ჩვეულებრივ არ ახლავს. ენობრივად კი თითქოს ერთი კომპლექსია – „ნეოპტოლემოს – პილასი“ (ისევე, როგორც ზემოთ – „ალექსანდრე – პარიდოსი“). შესაძლოა, ეს არის *πῖλᾱσις* პეგასოსი – ფრთოსანი ცხენი, რომელიც ბერძნულ მითოლოგიაში საკმაოდ პოპულარულია (ის არის პერსევის ფრთოსანი რაში), ხოლო ეპიზოდები პეგასისა და ბერძენი გმირის, ბელეროფონტის შესახებ, შესულია „ელინთა ზღაპრობანიშიც“ – იქაა ფორმა „პილასი“ და „პილასსო“.³³³ მაშინ ეს ადგილი თითქოს ასე უნდა გავიგოთ – როგორც ნეოპტოლემოსს ჰყავდა რჩეული რაში, ასევე ერისთავ სამადავლასაც. მაგრამ

³³¹ ქ. დიდმელაშვილი, დ. ყვავაძე. ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ისტორიული ძეგლები. თბილისი, 2021, გვ.14; მ. ზახტაძე. ერისთავობის ინსტიტუტი საქართველოში. თბილისი, 2003, გვ. 122-124; T. Jojua. The Portrait of Arsen I Kolonkelisdze Chkondidel-Mtsignobartukhutsesi (1170 s) at the Kolagiri Monastery of Gareji: Historical and Source Study Analysis. International Conference Davit Gareji – Multidisciplinary Study and Development Strategy. 2019. Georgia. Proceedings. Tbilisi, 2020, გვ. 77-81.

³³² ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. II. თბილისი, 1959, გვ. 301-302.

³³³ ილ. აბულაძე. „ელინთა ზღაპრობანი“. ენიმკის მოამბე. X. 1941, გვ. 25, გვ. 39.

აზრობრივად „პილასი“ აქ ზედმეტად მეჩვენება და შეიძლება ის ხელნაწერის შეცდომაა“.³³⁴

საბოლოოდ, თ. ყაუხჩიშვილი ამ პასაჟს სრული დარწმუნებულობით ვერ განმარტავს.

გვინდა დავეთანხმოთ ცნობილ მკვლევარს იმ საკითხში, რომ ჟამთააღმწერლის ტექსტში დადასტურებული „პილასი“, რომელიც თხზულებაში „ელინთა ზღაპრობანი“ ჩანს ფორმებით „პილასი“ და „პილასსო“, მჭიდროდაა დაკავშირებული ბელეროფონტის მითთან, რადგან აღნიშნავს პეგასოსს, მედუზას მოჭრილი თავიდან შობილ ფრთოსან ცხენს, რომელიც სწორედ ბელეროფონტმა გახედნა და მასზე ამხედრებულმა ურჩხულ ქიმერას წინააღმდეგ გაილაშქრა. თუ დავეყრდნობით ბერძნულ მითოლოგიას, პეგასოსს არაფერი აქვს საერთო აქილევსის ვაჟ ნეოპტოლემოსთან. „ელინთა ზღაპრობანის“ შემდეგ ნაწილში: „თხრობანი ბასილის ეპიტაფიასა თანა შემოღებულნი“ მერვე თხრობაში ვკითხულობთ: „მერვე თხრობაჲ არს ანუ პილასოფსათვის ანუ ველეროფანტისთვის, რამეთუ ორივე ესე საეჭუელ არს“.³³⁵ შესაბამისად, გაუგებარია, რატომ აკავშირებს ჟამთააღმწერელი ერთმანეთთან ნეოპტოლემოსსა და პეგასოსს.

ვფიქრობ, ნაკლებდამაჯერებლად გამოიყურება „პილასის“ გაგება რაშის ეპითეტად, რადგან ასეთი შემთხვევა ანტიკურ ლიტერატურაში არსად გვხვდება.

როგორ უნდა გადაწყდეს ეს შინაარსობრივი შეუსაბამობა, რას უნდა აღნიშნავდეს ამ კონტექსტში სიტყვა „პილასი“?

პირველ რიგში, მინდა სრულიად დავეთანხმო თ. ყაუხჩიშვილის იმ ვარაუდს, რომ „პილასი“ შეცდომა უნდა იყოს. თუმცა, უნდა განიმარტოს, ესაა თავად ავტორის, თუ გადამწერის შეცდომა და რაში მდომარეობდა ეს შეცდომა. ჩემი ვარაუდით, ამ შემთხვევაში გადამწერის შეცდომაზე უნდა ვისაუბროთ, რადგან, როგორც ჩანს, „პილასის“ ნაცვლად მოცემული პასაჟის პირვანდელ ტექსტში უნდა ყოფილიყო „პილოსი/პიროსი“ Πύριος („წითელთმიანი, ცეცხლოვანი თმის მქონე“), ნეოპტოლემოსის მეორე სახელი. შესაბამისად, ტექსტი ასე უნდა აღვადგინოთ: „ერისთავი სამადავლა, კაცი ყოვლითა სამჯედროთა ზნითა შემკობილი და მსგავსი მოსომახოსა ებრაელისა, გინა ნეოპტოლემოსს **პილოსი** რჩეულისა, სახელოვანისა მირმიდონთ მოძღურისა“.

³³⁴ თ. ყაუხჩიშვილი, ანტიკური სამყარო ქართულ ისტორიოგრაფიაში. ჟამთააღმწერელი. ივ. ჯავახიშვილის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული. თბილისი, 1976, გვ. 294.

³³⁵ ილ. აბულაძე. „ელინთა ზღაპრობანი“. ენიმკის მოამბე. X. 1941, გვ. 26.

ამ ჩასწორების შედეგად ყველაფერი გასაგები ხდება: ერისთავი სამადავლა გამოირჩეოდა სამხედრო უნარებით და ჰგავდა მოსიმაქოსს და ნეოპტოლემოს პიროსს, აქილევსის ვაჟს.

საყურადღებოა, რომ თ. ყაუხჩიშვილი ამ პასაჟის კომენტირებისას გრძნობს, რომ „ნეოპტოლემოსი“ და „პილასოსი“ ერთმანეთს მჭიდროდ უკავშირდება და აღნიშნავს: „ენობრივად კი თითქოს ერთი კომპლექსია – „ნეოპტოლემოს – პილასი“.³³⁶

ტექსტის ჩემ მიერ შეთავაზებული წაკითხვა ადვილად ხსნის იმ მომენტსაც, თუ რატომ ურთავს ავტორი ნეოპტოლემოსის სახელს „პიროსს“ და ასევე ასეთ ფრაზას „სახელოვანისა მირმიდონთ მოძღურისა“, რადგან ისტორიაში ცნობილია სხვა ნეოპტოლემოსიც, ალექსანდრე მაკედონელის ჯარის ერთ-ერთი დაწინაურებული მებრძოლი, ეაკიდების ჩამომავალი, სავარაუდოდ, ეპირეს მეფეთა შთამომავალი (Arrian, *Anabasis Alexandri*, ii.27). ასევე, საყურადღებოა, რომ არსებობდა სხვა პიროსიც, ეპიროსის მეფე (ძვ.წ. 319/318-272 წწ.) და „ნეოპტოლემოს პიროსი“ საგანგებო განმარტების „სახელოვანისა მირმიდონთ მოძღურისა“ გარეშე მკითხველს შეიძლება გაეგო, რომ აქ ნახსენებია ეპიროსის მეფე პიროსის შთამომავალი ნეოპტოლემოსი.

საყურადღებოა, რომ პიროსი, ფორმით „პუროს“ ჩანს „ელინთა ზღაპრობანიშიც“, კერძოდ, თხზულებაში „ივლიანეს პირველისა განქიქებანი“. პრიამოსის ასულ პოლიქსენეზე ნათქვამია, რომ მისით მოხიბლულ აქილევსი პარისმა აპოლონის ტაძარში ისრით სასიკვდილოდ დაჭრა. შემდეგ ვკითხულობთ: „ხოლო უკანადასკნელ განძლიერდა რაჲ ძე მისი პუიროს, გამოუჩნდა მას ჩვენებით და ჰრქუა, რადთა დაიკლას მისთვის პოლუქსენი, რომლითა ძლით იგი წარწყმდა“.³³⁷

მნიშვნელოვანია, რომ პიროსი ნახსენებია ჩახრუხადესთანაც. „თამარიანში“ ჩახრუხადე თამარის ვაჟის, ლაშა-გიორგის ქებისას ამბობს:

„ახალო პირო, მძლეო ნოსრ ვითა,

ბრძენმან გასახა, ასურმა, ისო“. (VI, 37, 1)

ჩახრუხადის თხზულების ამ მონაკვეთის კომენტირებისას ივ. ლოლაშვილი აღნიშნავს: „კონტექსტიდან ირკვევა, რომ საინტერპრეტაციო სტროფში შექმნილია ახალგაზრდა ლაშა გიორგი, რომელსაც პოეტი უწოდებს ახალ პიროს. პიროს სახელით ცნობილია ორი პიროვნება: აქილევსის ძე ნეოპტოლემი და დიდი მხედართმთავარი პირო, მეფე ეპირისა (319-272 წწ.), რომელიც მაკედონელებთან ბრძოლაში იქნა მოკლული. ამ შემთხვევაში უნდა ვიგულისხმოთ აქილევსის ძე

³³⁶ თ. ყაუხჩიშვილი. ანტიკური სამყარო ქართულ ისტორიოგრაფიაში. ჟამთააღმწერელი. ივ. ჯავახიშვილის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული. თბილისი, 1976, გვ. 294.

³³⁷ ილ. აბულაძე. „ელინთა ზღაპრობანი“. ენიმკის მოამბე. X. 1941, გვ. 32.

ნეოპტოლემი, რომელმაც მამასთან ერთად თავი ისახელა ტროადის ბრძოლებში. პოეტი დავითისა და გიორგის საქებად მშვენიერ ანალოგიებს მიმართავს: თუ დავით სოსლანი აქილევსის მსგავსი გმირია, მისი შვილი გიორგი ახალი პიროა, მე აქილევსისა“.³³⁸

ამრიგად, ირკვევა, რომ გმირის ნეოპტოლემოსთან შედარების ტრადიცია ქართულ მხატვრულ ლიტერატურაში ჯერ კიდევ XII საუკუნეში არსებულა, რაც ჟამთააღმწერლის მიერ ორი საუკუნის შემდეგ გამეორებულია სხვა გმირთან დაკავშირებით.

6) ალექსანდრე მაკედონელის მკვლელობა

თხზულების 2 პასაჟში ნახსენებია ალექსანდრე მაკედონელის გარდაცვალების, კერძოდ მისი მკვლელობის შესახებ ცნობები. ცალ-ცალკე განვიხილოთ ეს მონაკვეთები:

ა) სიტყვისმოქმედი, ალექსანდრე, მიდოსი, ანტიპატროსი

„ხოლო თქმულ არს ესეცა, ვითარმედ წამლისა მიერ აღსრულდა, ცოლისა მისისა ესუქნის მიერ მიცემითა წამლისათა. ვითარ სიტყვსმოქმედი იტყვს მაკედონელისა მის დიდისა მიდოსით თავ-მტკივნეულობად მყოფისა და იჭვსა წამლისასა მიდოს[ის] და ანტიპატროს მიერ მიცემისა ეგრეთვე დავითისა თქულ არს ესუქნის მიერ, შურისათვს ბასილი უჯარმელისა, რომელი მოაკუდინა მეფემან, უწესოებისათვს; რამეთუ თანა ეყო ბასილი ესუქნის, და არა რიდა საწოლსა პატიოსანსა მეფისასა, და ჩოჴანიცა აღიჴადა, და მთავრობა მიიტაცა, ამის უწესოებისათვს მოიკლა ბასილი“.³³⁹

ამრიგად, ამ პირველ მონაკვეთში ჟამთააღმწერელი გვიზიარებს დავით VII ულუს გარდაცვალების შესახებ ხალხში მოარულ აზრს, რომ იგი მოწამლა ჩორმადან ნოინის ქალიშვილმა ესუქნიმ, რომელიც იყო დავითის უკანასკნელი – მეოთხე ცოლი. მკვლელობის მიზეზად ნაწარმოებში დასახელებულია შურისძიება, კერძოდ – ბასილ უჯარმელ-ჰყონდიდელთან გამიჯნურებულმა ესუქნიმ არ აპატია მეუღლეს სიკვდილით დასჯა სატრფოსი, რომელიც მეფის სარეცლის შეურაცხყოფისა და უწესობისთვის იყო მოკლული. ესუქნის საქციელი ჟამთააღმწერელს შედარებული აქვს „სიტყვსმოქმედის“ მონათხრობთან მიდოსისა და ანტიპატროსის მიერ ალექსანდრე მაკედონელის მკვლელობის შესახებ.

³³⁸ ძველი ქართველი მეხოტბენი. I. ჩახრუხაძე. „ქება მეფისა თამარისი“. ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ივ. ლოლაშვილმა. თბილისი, 1957, გვ. 101.

³³⁹ ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. II, თბილისი, 1959, გვ. 268.

ნაწარმოების ამ მონაკვეთში ანტიკურობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი ინფორმაციის ანალიზისთვის ყურადღებას გავამახვილებთ ცალკეულ მონაკვეთებზე

- „ვითარ სიტყვსმოქმედი იტყვს“.

„სიტყვსმოქმედის“ მნიშვნელობის შესახებ რამდენიმე ვარაუდია გამოთქმული.

ივ. ჯავახიშვილს „სიტყვსმოქმედი“ ესმის როგორც ისტორიკოსი.³⁴⁰

პ. ინგოროყვა „სიტყვსმოქმედს“ აიგივებს *πιοιτης*-სთან.³⁴¹

გ. მამულია მუთითებს, რომ ეს სიტყვა „ქართლის ცხოვრებაში“ სხვა ავტორებთანაც გვხვდება, მაგალითად, „დიდნი სიტყვსმოქმედნი პირველნი“, თამარის ისტორიკოსის თვალსაზრისით, ანტიკური ხანის „შემსხმელ“ ისტორიკოსებს ეწოდებოდათ საერთოდ (მაგ., ჰომეროსი, პლუტარქოსი, ალექსანდრეს რომანის ავტორი და სხვ.), რომელნიც თანამედროვე გაგებით მწერლები არიან და არა ისტორიკოსები.³⁴²

თ. ყაუხჩიშვილი აღნიშნავს: „ქართული „სიტყვსმოქმედი“ არის სიტყვასიტყვით ბერძნული *λοιγιποις*. ამ სიტყვას თვით ბერძნულში სხვადასხვა მნიშვნელობა აქვს. პირველი მნიშვნელობაა – *λοιγιγράφος* და ეს მხოლოდ ისტორიკოსებს ეწოდებათ. შემდეგ – მეიგავეებს (მაგ., ეზოპე არის *λοιγιποις*), შემდეგ – ყოველგვარი ამბების მთხზველს (განსაკუთრებით პოლიტიკურის) და ა.შ. „ელინთა ზღაპრობანიში“ „ომიროს“ არის „სიტყვსმოქმედი“ (გვ. 52). ერთი სიტყვით, ამ სიტყვას აქვს ფართო, ზოგადი მნიშვნელობაც (ის, ვინც სიტყვას თხზავს, სულერთია, ეს იქნება ბელეტრისტი თუ მეცნიერი) და აქვს კერძოობითიც (ისტორიკოსი, პოეტი, მეიგავე). თუ მაგ., ამ ადგილს ფსევდოკალისტენეს რომანიდან ამოღებულად მივიჩნევთ, „სიტყვსმოქმედი“ იქნება „რომანისტი“, ხოლო, თუ, ვთქვათ, არისტოტელეს ისტორიიდან, მაშინ „სიტყვსმოქმედი“ იქნება ისტორიკოსი“.³⁴³

ვინ იგულისხმება ამ კონკრეტულ შემთხვევაში „სიტყვსმოქმედად“, ძნელი სათქმელია, თუმცა გამომდინარე იქიდან, რომ პ. ინგოროყვა მიიჩნევს, რომ ეს ამბავი ამოღებულია ალექსანდრეს რომანიდან,³⁴⁴ დიდი ალბათობით, ჟამთააღმწერელი აქ ფსევდოკალისტენეს გულისხმობს.

³⁴⁰ ივ. ჯავახიშვილი. საისტორიო მწერლობა. თბილისი, 1916, გვ. 183.

³⁴¹ პ. ინგოროყვა. გიორგი მერჩულე. ქართველი მწერალი მეათე საუკუნისა. თბილისი, 1954, გვ. 554-558.

³⁴² გ. მამულია. „დიდთა სიტყვსმოქმედთა პირველთა“ ვინაობისათვის. კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხები. თბილისი, 1966, გვ. 241-246.

³⁴³ თ. ყაუხჩიშვილი. ანტიკური სამყარო ქართულ ისტორიოგრაფიაში. ჟამთააღმწერელი. ივ. ჯავახიშვილის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული. თბილისი, 1976, გვ. 294-295.

³⁴⁴ პ. ინგოროყვა. რუსთაველის ეპოქის სალიტერატურო მემკვიდრეობა. რუსთაველის კრებული. ტფილისი, 1938, გვ. 62.

- „მაკედონელისა მის დიდისა მიდოსით თავ-მტკივნეულობად მყოფისა და იჭკსა წამლისასა მიდოს[ის] და ანტიპატროს მიერ მიცემისა“.

არსებობს ტექსტის თარგმანის ვერსია, რომელიც მიდოსთან სტუმრად მყოფ თავმტკივარ ალექსანდრე მაკედონელს მიდოსისა და ანტიპატროსის მიერ ექვიანობის გამო მოწამლულად წარმოადგენს.³⁴⁵

ჩვენ, ვემყარებით რა სიტყვის „იჭკ“ ილ. აბულაძისეულ განმარტებას,³⁴⁶ ასე გვესმის ამ მონაკვეთის თარგმანი:

როდესაც ალექსანდრე დიდი მიდოსთან იმყოფებოდა, თავატკივებულ (თავ-მტკივნეულობად მყოფისა) და ფიქრებში მყოფ ([მყოფისა] იჭკსა) ³⁴⁷ ალექსანდრეს საწამლავი (წამლისასა) მისცეს მიდოსმა და ანტიპატროსმა.

როგორც ცნობილია, მიდოსი არის მედიოს თესალიელი,³⁴⁸ ალექსანდრეს უახლოესი მეგობარი, ხოლო ანტიპატროსი, იოლაოსის და კასანდროსის მამა, იყო ფილიპე მაკედონელთან და ალექსანდრესთან დაახლოებული სამხედრო პირი და სახელმწიფო მოღვაწე, მაკედონიის მმართველი.³⁴⁹

ალექსანდრე მაკედონელის მოწამვლის შესახებ ჯერ კიდევ ანტიკურობაში სხვადასხვა აზრი არსებობდა. ზოგიერთი ავტორი (კურციუს რუფუსი, იუსტინუსი) ემხრობოდა ცნობას ალექსანდრეს მკვლელობის შესახებ, ზოგიერთი (არიანე) – უარყოფდა, ხოლო სხვანი (დიოდორე, პლუტარქოსი), გადმოსცემდნენ რა ალექსანდრეს სიკვდილის ორივე ვერსიას (ავადმყოფობით, მკვლელობით), არ ემხრობოდნენ რომელიმე ვარიანტს. თანამედროვე მეცნიერებაშიც ამ საკითხზე არ არის მიღებული ერთი კონკრეტული გადაწყვეტა.³⁵⁰

ეს ამბავი, როგორც ამას ჟამთააღმწერელი აღნიშნავს, გადმოცემულია „სიტყვსმოქმედის“ მიერ, რომელიც, როგორც ეს ზემოთაც აღინიშნა, მეცნიერთა აზრით, არის ფსევდოკალისტენე, ავტორი „ალექსანდრეს რომანისა“.³⁵¹ თუმცა,

³⁴⁵ ჟამთააღმწერელი. ასწლოვანი მატიანე (ნაწყვეტი – ხელნაწერი H-1067). რედ.: რ. მეტრეველი. გამოსცა ვ. სილოგავამ. თბილისი, 2009, გვ. 41.

³⁴⁶ იჭკ – «სუნდისი», ფიქრი; «მოლოდება» – იხ. ილ. აბულაძე. ძველი ქართული ენის ლექსიკონი (მასალები). თბილისი, 1973.

³⁴⁷ იჭკ – «სუნდისი», ფიქრი; «მოლოდება» – იხ. ილ. აბულაძე. ძველი ქართული ენის ლექსიკონი (მასალები). თბილისი, 1973.

³⁴⁸ R. A. Billows. Antigonos the One-Eyed and the Creation of the Hellenistic State. Berkeley and Los Angeles, 1990.

³⁴⁹ „Antipater“. In: Encyclopædia Britannica. Ed. by H. Chisholm. Vol. 2 (11th ed.). Cambridge, 1911, გვ. 133.

³⁵⁰ ამასთან დაკავშირებით. იხ. თ. ყაუხჩიშვილი. ანტიკური სამყარო ქართულ ისტორიოგრაფიაში. ჟამთააღმწერელი. ივ. ჯავახიშვილის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული. თბილისი, 1976, გვ. 295.

³⁵¹ პ. ინგოროყვა. რუსთაველის ეპოქის სალიტერატურო მემკვიდრეობა. რუსთაველის კრებული. ტფილისი, 1938, გვ. 62; თ. ყაუხჩიშვილი. ანტიკური სამყარო ქართულ ისტორიოგრაფიაში.

რომანის ძირითად ვერსიაში, როგორც ამაზე თ. ყაუხჩიშვილი მიუთითებს, მოთხრობილია, რომ ალექსანდრეს სიკვდილში დამნაშავე იყო ანტიპატროსი, რომელმაც მეფე საკუთარ შვილებს – იოლოსსა და კასანდროსს მოაწამვლინა.³⁵²

როგორც ამას თ. ყაუხჩიშვილი ვარაუდობს, ჟამთააღმწერელს ხელთ ჰქონდა ალექსანდრეს ცხოვრების ის რედაქცია, რომელშიც ალექსანდრეს მკვლელობაში მედიოსიც იღებდა მონაწილეობას. ამავე დროს, თ. ყაუხჩიშვილი ფიქრობს, რომ „მიდოსი“ შეიძლება იყოს „იოლოსის“, ალექსანდრეს მერიქიფის სახელის დამახინჯებული ფორმა. მედიოსი მხოლოდ არიანესთან და იუსტინესთან გვხვდება, თუმცა, ჟამთააღმწერელს და „ქართლის ცხოვრების“ სხვა ისტორიკოსებისათვის, როგორც ჩანს, ეს ავტორები ცნობილი არ იყვნენ.³⁵³

ბ) „გარნა წერილ არს, ვითარ აფროსინელთა შინა სიტყუა, იტყვს ვინმე, იბრძოლებდეს რა ანტიპატროს და ყრმა კასანდროს მოაკუდინა“.³⁵⁴

ამ მონაკვეთში, რომელიც დასტურდება მხოლოდ მარიამისეულ და მაჩაბლისეულ ნუსხებში, ავტორი დავით ნარინის დროს აბაღა-ყაენისა და მისი ძმის, თეგუდარის ჯარების ქართლში ბრძოლის წინ ახსენებს „აფროსინელთა შინა“ ნათქვამს იმის შესახებ, რომ დაპირისპირებისას, რომელშიც ფიგურირებს ალექსანდრე მაკედონელის მკვლელობისას ნახსენები ანტიპატროსი, ყრმა კასანდროსმა ვიღაც მოაკვდინა.

განვიხილოთ ამ მონაკვეთის ცალკეული ამონარიდები.

- „ვითარ აფროსინელთა შინა სიტყუა“

თ. ყაუხჩიშვილი მიიჩნევს, რომ ეს მონაკვეთი ენობრივად არის გაუგებარი. „თუ სწორეა ფორმა – „აფროსინელთა შინა“, რას ნიშნავს „აფროსინელნი“, არ ვიცი (თითქოს რაღაც ნაწარმოების სახელი უნდა იყოს!)... სიტყვა „აფროსინელნი“ თავისთავად უახლოვდება ბერძნულ სიტყვას ἀφροισιν (უგუნურება), რასაც ხმარობს ყველა ბერძენი მწერალი, ჰომეროსიდან დაწყებული, და რაც არის საპირისპირო

ჟამთააღმწერელი. ივ. ჯავახიშვილის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული. თბილისი, 1976, გვ. 295.

³⁵² თ. ყაუხჩიშვილი. ანტიკური სამყარო ქართულ ისტორიოგრაფიაში. ჟამთააღმწერელი. ივ. ჯავახიშვილის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული. თბილისი, 1976, გვ. 295.

³⁵³ თ. ყაუხჩიშვილი. ანტიკური სამყარო ქართულ ისტორიოგრაფიაში. ჟამთააღმწერელი. ივ. ჯავახიშვილის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული. თბილისი, 1976, გვ. 296.

³⁵⁴ ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. II. თბილისი, 1959, გვ. 266.

σιδιπιοσυν-სა და σιδιφ-სი. რაიმე წიგნი, რასაც ერქვას „აფროსინელნი“ (უგუნურებად, უგონოობად) და ის მოგვითხრობდეს ალექსანდრეს სიკვდილის შესახებ, არ ვიცით“.³⁵⁵

ჩემი ვარაუდით, პირველ ეპიზოდსა (ალექსანდრე მაკედონელის მოწამვლის შესახებ) და მეორე – ანტიპატროსისა და კასანდროსის მონაკვეთებს შორის გარკვეული მიმართება იგრძნობა. კერძოდ, ჟამთააღმწერელი პირველ პასაჟში მიუთითებს, რომ ცნობა ალექსანდრეს მოკვლის შესახებ მას „სიტყვსმოქმედისგან“ აუღია, ხოლო ანტიპატროსისა და კასანდროსის შესახებ ცნობა – „აფროსინელთა შინა“. მინდა დავეთანხმო თ. ყაუხჩიშვილის ვარაუდს, რომელიც ექვს გამოთქვამს, რომ თითქოს [„აფროსინელნი“ – ე.კ.] რაღაც ნაწარმოების სახელი უნდა იყოს. საყურადღებოა, რომ ეს წყარო არ არის რომელიმე „სიტყვსმოქმედის“ – ისტორიკოსის თუ მწერლის შექმნილი. ვფიქრობ, აქ იგულისხმება „ეფემერიდები“ – Ἀλεξάνδρου ἐφημερίδων βιβλία (ძვ. ქართ. „ეფემერიდნი“), ალექსანდრეს მიღვაწეობის ამსახველი დღიურები, რომელიც მეფის პირადი მდივნების, ევმენეს კარდელისა და, სავარაუდოდ, დიოდოტოს ერთრიელის მიერ დაიწერა.³⁵⁶ ამ ჩანაწერების არსებობის შესახებ ცნობები პლუტარქოსთან, ნეპოსსა და არიანესთან არის დაცული, რომლებიც სწორედ „ეფემერიდების“ მეშვეობით აღადგენენ ალექსანდრეს სიცოცხლის ბოლო დღეებს.³⁵⁷ ეფემერიდების ტექსტი დღეს დაკარგულია, ხოლო მისი ერთი ნაწყვეტი შემორჩენილია ელიანეს *Varia Historia*-ში.³⁵⁸ „ეფემერიდები“, თანამედროვე კვლევების მიხედვით, დიდი ალბათობით ავთენტურ ტექსტს წარმოადგენს.³⁵⁹ საყურადღებოა, რომ ფსევდოკალისტენესთანაც დაცულია ცნობები ამ დღიურის არსებობის შესახებ, რომლის შემდგენელსაც ის უწოდებს *ἑπιμνηματογράφος*-ს.³⁶⁰

ამრიგად, დიდი ალბათობით, „აფროსინელთა შინა სიტყუა“ აღნიშნავს „ალექსანდრეს ეფემერიდთა წიგნს“, რომლის არსებობა ჟამთააღმწერლისთვის სხვადასხვა წყაროს მეშვეობით შეიძლება ყოფილიყო ცნობილი, არ არის გამორიცხული იმის ვარაუდიც, რომ ამ წიგნის სახელწოდება თავად ჟამთააღმწერელმა დაამახინჯა (რადგან ზეპირი გადმოცემით იცოდა) ან – გადამწერმა.

- „იბრძოლებდეს რა ანტიპატროს და ყრმა კასანდროს მოაკუდინა“

³⁵⁵ თ. ყაუხჩიშვილი. ანტიკური სამყარო ქართულ ისტორიოგრაფიაში. ჟამთააღმწერელი. ივ. ჯავახიშვილის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული. თბილისი, 1976, გვ. 296.

³⁵⁶ Athenaeus, *Deipnosophistai*, 10.434B

³⁵⁷ Cornelius Nepos, *Eumenes* 1.4-6., Arrian, *Anabasis*, 7.4.6., Plutarch, *Eumenes*, 1-2;

³⁵⁸ Aelian, *Varia Historia* 3.23

³⁵⁹ A. M. Chugg. *The Journal of Alexander the Great*. *Ancient History Bulletin* 19.3-4. 2005, გვ. 155-175.

³⁶⁰ W. Kroll. *Historia Alexandri Magni Pseudo-Callisthenes*. Berlin, 1926, 3.33.14.

ამ მონაკვეთის შესახებ თ. ყაუხჩიშვილი წერს: „გაუგებარია ვინ იბრძოდნენ და ვინ ვინ მოკლა. ანტიპატროსისა და ალექსანდრეს შორის ბრძოლა არაა ცნობილი. უთანხმოება ანტიპატროსსა და ალექსანდრეს შორის იყო და ამის შემდეგ „მოაკუდინეს“ იოლოსმა და კასანდროსმა მეფე.

ხომ არ ავსებს ერთი ცნობა მეორეს – ალექსანდრე მაკედონელი მოწამლულია ანტიპატროსის მიერ მედიოსისა (თუ იოლოსისა) და ყრმა კასანდროსის (ეს დაახლოებით 350 წელს იყო დაბადებული, 27 წლის იყო ამ დროისათვის, ყრმაა კიდევ?) ხელით (იოლოსი, რომელიც გადმოცემათა ორივე ვარიანტში იხსენიება – კასანდროსთანაც და მედიოსთანაც, ქართულ ტექსტში იმ სახით, როგორც ის დღეს გვაქვს, არსად ჩანს).

მეორე ნაწყვეტის ტექსტი, რომელიც ამ სახით გაუგებარია, უთუოდ ნიშნავს შემდეგს: იბრძოდნენ. ე.ი. უთანხმოება ჰქონდათ მეფესა და ანტიპატროსს და ანტიპატროსმა ყრმა კასანდროსს მოაკვლევინა მეფე“.³⁶¹

მინდა დავეთანხმო თ. ყაუხჩიშვილის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ მონაკვეთი „გარნა წერილ არს, ვითარ აფროსინელთა შინა სიტყუა, იტყვს ვინმე, იბრძოლებდეს რა ანტიპატროს და ყრმა კასანდროს მოაკუდინა“³⁶² რომელიც, როგორც ზემოთ აღინიშნა, დასტურდება მხოლოდ მარიამისეულ და მაჩაბლისეულ ნუსხებში და რამდენიმე აზნაურით წინ უსწრებს იმ მონაკვეთს, სადაც ესუქნის მიერ დავითის მოწამელის ამბავია გადმოცემული, არის ამ უკანასკნელი ამბის შევსება და დიდი ალბათობით, ეს ორივე ამბავი ტექსტში ერთად იყო წარმოდგენილი. ამაში, პირველ რიგში, გვარწმუნებს ის ფაქტი, რომ, როგორც ამას თ. ყაუხჩიშვილი აღნიშნავს, ტექსტი გაუგებარია, რადგან არ ჩანს ვინ ებრძოდა ანტიპატროსს და ვინ მოაკვდინა კასანდროსმა.

ასევე ამაში გვარწმუნებს ნაწარმოების კონტექსტის გათვალისწინება. როგორც აღინიშნა, თხზულების ამ პასაჟში საუბარია დავით ნარინის დროს აბალა-ყაენისა და მისი ძმის, თეგუდარის ჯარების ქართლში დაპირისპირების შესახებ.

განვიხილოთ ეს მონაკვეთი:

„მაშინ ევედრა ყაენი აბალა მეფესა დავითს, რუსუდანის ძესა, რათა არღარა შეეწიოს და არცა შეუშვას თეგუდარ, და ნიჭთა დიდთა აღუთქმიდა, რამეთუ იჭკსა მქონებელი ღალატ[ი]სა თეგუდარის ყმათაგან განცხადებულად მცნობელი, თვნიერ თეგუდარის კითხვისა, ერჩდა აბალას დავით მეფე, და შეკრა გზანი, რომელ არღარა

³⁶¹ თ. ყაუხჩიშვილი. ანტიკური სამყარო ქართულ ისტორიოგრაფიაში. ჟამთააღმწერელი. ივ. ჯავახიშვილის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული. თბილისი, 1976, გვ. 296.

³⁶² ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. II. თბილისი, 1959, გვ. 266.

შეისლვებოდა ცხენითა. ხოლო თეგუდარ არა უწყოდა; და ვითარ ცნა აბაღა, რამეთუ არღარა შეეწყვის მეფე დავით, გარნა წერილ არს, ვითარ აფროსინელთა შინა სიტყუა, იტყვს ვინმე, იბრძოლებოდეს რა ანტიპატროს და ყრმა კასანდროს მოაკუდინა, -- ცნა აბაღა ყაენმან და წარმოავლინა მკედართ-მთავარი მისი სირმონ ბადური, და სხუანი მთავარნი ნოინნი, და სპისა სიმრავლე, და მოვიდეს თრიალეთს, და მოუწოდეს მეფესა დავითს და სპათა მისთა. რამეთუ მეფე სნეულობდა მას ჟამად³⁶³.

დავით ნარინმა ამ მოვლენებამდე ცოტა ხნით ადრე აბაღა ყაენისგან დამარცხებული და დევნილი თეგუდარი ქუთაისში დიდი პატივით მიიღო და დახმარებას დაჰპირდა, რადგან სურდა, რომ ყაენის წინააღმდეგ გამოეყენებინა. თეგუდარი ქართლში გადავიდა და იქ ქვეყანას აოხრებდა.

მივყვეთ კონკრეტული მონაკვეთის შინაარსს.

მაშინ აბაღა ყაენმა დავით ნარინს ხვეწნა დაუწყო, რომ იგი აღარ დახმარებოდა თეგუდარს და ამისათვის დიდ პატივს ჰპირდებოდა. დავითი დაეთანხმა, რადგან ეჭვი ჰქონდა, რაც თეგუდარის ყრმებისგან შეეტყო, რომ თეგუდარი მას უღალატებდა და შეკრა გზები ისე, რომ ცხენით უკან შესვლა შეუძლებელი იყო. ეს თეგუდარმა არ იცოდა. აბაღამ რომ გაიგო, რომ დავითი თეგუდარს აღარ დაეხმარებოდა – აქ არის ჩართული ანტიპატროსისა და კასანდროსის ამბავი: „ხოლო წერია, როგორც აფროსინელთაშია დაწერილი, ვიღაცამ თქვა ებრძოდეს რა ანტიპატროსს, და ყრმა კასანდროსმა მოკლა“ – გამოაგზავნა მხედართმთავარი სირმონ ბადური, სხვა ნოინები დიდი ჯარით, მოუწოდა დავით ულუს და მის ჯარს. ამ დროს დავითი ავად იყო.

მართლაც ამ კონტექსტში სრულიად გაუგებარია, რატომ უნდა ჩაერთო ჟამთააღმწერელს ანტიპატროსისა და კასანდროსის ამბავი, რაც აშკარად ხელოვნურად გამოიყურება. შესაბამისად, დიდი ალბათობით, ეს წინადადება უფრო მიესადაგება მიდოსის ეპიზოდს და მასთან ასე შეიძლება იყო გაერთიანებული:

„ვითარ სიტყვსმოქმედი იტყვს მაკედონელისა მის დიდისა მიდოსით თავ-მტკივნეულობად მყოფისა და იჭკსა წამლისასა მიდოს[ის] და ანტიპატროს მიერ მიცემისა გარნა წერილ არს, ვითარ აფროსინელთა შინა სიტყუა, იტყვს ვინმე, იბრძოლებოდეს რა ანტიპატროს და ყრმა კასანდროს მოაკუდინა“.

ტექსტის ასეთი ჩასწორების თუ „შევსების“ შემთხვევაში გასაგები ხდება, რომ აქ ალექსანდრეს მკვლელობის შესახებ ორი ვერსია და ორი წყაროა წარმოდგენილი. უფრო ნათლად იკვეთება პირობითი „ოპოზიცია“ – „სიტყვსმოქმედი“ და „აფროსინელთა შინა სიტყუა“, რომლის მიხედვითაც დაკონკრეტებულია, რომ

³⁶³ ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. II. თბილისი, 1959, გვ. 266.

პირველი ცნობა ეკუთვნის ფსევდოკალისტენეს (ალექსანდრე მოწამლეს მიდოსმა და ანტიპატროსმა), ხოლო მეორე („გარნა წერილ არს“) – „ეფემერიდებშია“ მითითებული (ანტიპატროსმა დაავალა კასანდროსს ალექსანდრეს მოწამვლა).

საყურადღებოა, რომ, როგორც ამას ადასტურებს „ქართლის ცხოვრების“ ახლად აღმოჩენილი ხელნაწერის ფრაგმენტი, სადაც ჟამთააღმწერლის თხზულების ეს მონაკვეთიცაა წარმოდგენილი, ამ ეპიზოდში ანტიკურობასთან დაკავშირებული კიდევ ერთი ცნობა იყო დაცული, რასაც ქვემოთ განვიხილავთ.

გ) (H-1067) ხელნაწერი

2009 წელს გამოქვეყნდა ამჟამად კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული 2 ფურცლიანი ფრაგმენტი (H-1067), რომელიც წარმოადგენს ჟამთააღმწერლის თხზულების ერთი მონაკვეთის ხელნაწერს. პირველ ფურცელზე ამ ფრაგმენტისა, რომელიც ინსტიტუტში მოხვდა მ. თამარაშვილის ფონდებიდან, მიწერილია ე. თაყაიშვილის შენიშვნა, რომ ხელნაწერი ფრანცისკანელი მისიონერის, ბერნარდე ნეპოლელის მიერ თარგმნილი და ტორე-დელ-გრეკოს ეკლესიაში დაცული ქრონიკის ნაწილს წარმოადგენდა.³⁶⁴

საყურადღებოა, რომ ეს ხელნაწერი, რომელიც 1680 წლამდე იყო ჩატანილი ნეპოლში, ადრე 40 გვერდისგან შედგებოდა. როგორც ამას მ. თამარაშვილი აღნიშნავს, ეს ხელნაწერი გადმოწერილი ყოფილა ხუცურად ნაწერი, ძველი წიგნიდან და განსხვავდებოდა მარი ბროსეს მიერ გამოცემული „ქართლის ცხოვრების“ ტექსტისგან.³⁶⁵

მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინებაც, რომ მოცემული ფრაგმენტი „ქართლის ცხოვრების“ ჩვენამდე მოღწეული ხელნაწერებიდან უძველესია და სულ ცოტა 20-25 წლით ადრინდელია 1697 წელს გადაწერილ კლიმიაშვილისეულ რედაქციაზე (Q-1219).³⁶⁶

ხელნაწერში, სადაც მოთხრობილია მეფე დემეტრე II-ის გამეფების ამბავი ურდოში გამოძახებამდე, დაცულია ჩვენ მიერ ზემოთ განხილული მონაკვეთიც, რომელიც შეეხება დავით ულუს მოწამვლის ამბავს მეუღლის, ესუქნის მიერ. საყურადღებოა, რომ ეს პასაჟი საკმაოდ განსხვავებულია სხვა ხელნაწერებში მოცემული ტექსტისაგან. განვიხილოთ ეს კონკრეტული მონაკვეთი.

³⁶⁴ ჟამთააღმწერელი. ასწლოვანი მატიანე (ნაწყვეტი – ხელნაწერი H-1067). რედ.: რ. მეტრეველი. გამოსცა ვ. სილოგავამ. თბილისი, 2009, გვ. 5-14.

³⁶⁵ ხელნაწერის ისტორიასთან დაკავშირებით იხ. ჟამთააღმწერელი. ასწლოვანი მატიანე (ნაწყვეტი – ხელნაწერი H-1067). რედ.: რ. მეტრეველი. გამოსცა ვ. სილოგავამ. თბილისი, 2009, გვ. 5-14.

³⁶⁶ ჟამთააღმწერელი. ასწლოვანი მატიანე (ნაწყვეტი – ხელნაწერი H-1067). რედ.: რ. მეტრეველი. გამოსცა ვ. სილოგავამ. თბილისი, 2009, გვ. 51.

„ხოლო თქმულ არს ესეცა, ვითარმედ წამლისა მიერ აღსრულდა ცოლისა მისისა იესუქანის მიერ, ვითარ სიტყუისმოქმედი იტყუის დიდისა მაკედონელისა მიდოსთა მსერებელისა და შემსუმელისა თასისა ირაკლისის თავმტკივნეულობად, ეჭუისმყოფსა. ეგრეთვედ დავითისათუის თქმულ არს იესუქანის მიერ შურისათუის ბასილი უჯარმელისა, რომელი მოაკუდინა მეფემან უწესობისათუის, რამეთუ თქმულ არს, ვითარმედ თან-ეყო ბასილი იესუქანს და არა რიდა საწოლსა პატიოსანსა მეფისასა და ჩოჭანიცა აიჭადნა და დივანთა მთავარობა მიიტაცა. ამის უწესობისათუის მოიკლა ბასილი“.³⁶⁷

როგორც ვხედავთ, ამ ნაწყვეტში ჩვენ მიერ ზემოთ განხილულ ვერსისთან შედარებით შეინიშნება ჩვენთვის საინტერესო შემდეგი განსხვავებები (არის სხვა განსხვავებებიც, თუმცა ჩვენი კვლევისათვის მათ არა აქვთ პრინციპული მნიშვნელობა):

- 1) მაკედონელთან დაკავშირებით აკლია სიტყვა **იჭკსა**, რომელიც, უნდა აღინიშნოს, რომ ტექსტის გამომცემელს აუხსნელი და ზედმეტი ჰგონია, რადგან ესმის როგორც „**იჭკსა წამლისასა**“.³⁶⁸ ამ სიტყვაზე კომენტარი ჩვენ ზემოთ უკვე გავაკეთეთ, რაზეც აქ აღარ შევჩერდებით;
- 2) **„იჭკსა“ ნაცვლად ტექსტში გამოყენებულია „ეჭუისმყოფსა“**
- 3) ალექსანდრე მაკედონელთან დაკავშირებით ნათქვამია, რომ იგი **„მსერებელი“** იყო ანუ სადამოს, სერობის ჟამს იმყოფებოდა მიდოსთან;
- 4) დაკონკრეტებულია, რომ ალექსანდრემ შესვა თასი (**„შემსუმელისა თასისა“**), მაშინ, როდესაც სხვა ხელნაწერებში არ არის განმარტებული რა სახით მისცეს ალექსანდრეს „წამალი“;
- 5) ამ ხელნაწერში **არ იხსენიება ანტიპატროსი და კასანდროსი**;
- 6) არ სახელდება ალექსანდრეს კონკრეტული მკვლელები თუ მკვლელობის ორგანიზატორები;
- 7) ჩნდება ახალი პერსონაჟი – **„ირაკლი“**.

განვიხილოთ თითოეული ეს განსხვავება:

ალექსანდრეს გარდაცვალების შესახებ არსებული ვერსიების შესახებ ჩვენ ზემოთ ვიმსჯელებთ, რასაც აღარ დავუბრუნდებით, დამატებით შეიძლება ვთქვათ, რომ წყაროებში არ არის განსაკუთრებით ხაზგასმული, რომ მიდოსთან

³⁶⁷ ჟამთააღმწერელი. ასწლოვანი მატიაზე (ნაწყვეტი – ხელნაწერი H-1067). რედ.: რ. მეტრეველი. გამოსცა ვ. სილოგავამ. თბილისი, 2009, გვ. 17.

³⁶⁸ ჟამთააღმწერელი. ასწლოვანი მატიაზე (ნაწყვეტი – ხელნაწერი H-1067). რედ.: რ. მეტრეველი. გამოსცა ვ. სილოგავამ. თბილისი, 2009, გვ. 50.

სტუმრადმოყვანილი ალექსანდრე სალამოს ნადიმობდა („მსერებელისა“). რაც შეეხება იმ წყაროებს, რომლებიც მხარს უჭერენ ან გვაცნობენ ალექსანდრეს მოწამვლის ვერსიას, ყველგან მითითებულია, რომ საწამლავი სასმელში, კერძოდ – ღვინოში იყო გარეული. ასევე საყურადღებოა, რომ მოცემულ ნაწყვეტში არ არის დასახელებული ალექსანდრეს მკვლელობის ორგანიზატორები ან შემსრულებლები, განსხვავებით სხვა ხელნაწერებისგან, სადაც ფიგურირებს მიდოსი, ანტიპატროსი და კასანდროსი.

სანამ ახალი პერსონაჟის, „ირაკლის“ შესახებ წარმოვადგენთ ჩვენს კომენტარს, კიდევ ერთხელ დავუბრუნდებით „იჭსა“ „ექუისმოფსა“ ინტერპრეტაციის საკითხებს.

როგორც ეს ზემოთაც აღვნიშნეთ, „იჭსა“ უნდა გავიგოთ, როგორც „ფიქრი“ და არა როგორც „ექვი“, რომელიც არ არის სიტყვის „წამლისასა“ მსაზღვრელი, რადგან „იჭსა წამლისასა“ – „ექვის, ექვიანობის წამალი“ ამ კონტექსტში სრულიად გაუგებარია (რასაც, როგორც აღვნიშნეთ, „ზედმეტ“ სიტყვად მიიჩნევენ), შესაბამისად, ჩვენი აზრით, ეს პასაჟი უნდა ითარგმნოს როგორც „თავ-მტკივნეულობად მყოფისა და იჭსა“ – ანუ „თავმტკივნეული და ფიქრში მყოფი“, სადაც „იჭსა“ სრულიადაც არ არის უადგილო ან გაუგებარი, რასაც ადასტურებს სწორედ (H-1067) ხელნაწერის ვარიანტი „ექუისმოფსა“, სადაც შინაარსობრივად გაერთიანებული ეს ორი სიტყვა არა ცალ-ცალკე, არამედ ერთ სიტყვადაა წარმოდგენილი. აქაც, მსგავსად „თავ-მტკივნეულობად მყოფისა და „იჭსა“ – „ექუისმოფსა“, გვესმის არა როგორც „ექვიანობაში, ექვში მყოფი“, არამედ ისევ და ისევ როგორც „ფიქრში მყოფი, დაფიქრებული“.

რაც შეეხება პასაჟს „შემსუმელისა თასისა ირაკლისის თავმტკივნეულობად, ექუისმოფსა“ გაგებას და ინტერპრეტაციას. ტექსტის გამომცემელმა ეს მონაკვეთი თარგმნა და განმარტა შემდეგნაირად (მოვიყვანთ ვრცელ ციტატას): „დავით ულუს მკვლელობასთან დაკავშირებით ზემოთ მოყვანილი ნაწყვეტი ორ ნაწილად იყოფა. პირველში, მეფის მკვლელობა შედარებულია დიდი ალექსანდრე მაკედონელის მკვლელობასთან, რომელიც სერობისას (სალამოს პურის ჭამისას) მოწამლეს და დავითიც, როგორც ჩანს, იესუქანის მიერ ასეთ დროს მოიწამლა და მოიკლა. მეორე ნაწილში ექვიანობა, რომლის საფუძველზეც ეს მოხდა, შედარებულია ანტიკური სამყაროს უდიდესი მითოლოგიური გმირის, ჰერაკლეს („ირაკლისი“) ასევე ექვიანობის საფუძველზე მოწამვლასა და მკვლელობასთან. საყოველთაოდ ცნობილია ჰერაკლეს გარდაცვალების ეპიზოდი, როდესაც ექვიანობის შედეგად იგი მოიკლა მისი მეორე ცოლის დეანიროს მიერ. კერძოდ, როდესაც ჰერაკლემ სახლში მიიყვანა ოიპალიის მეფის ევრიტის მზეთუნახავი ასული, როგორც ტყვე, დეანირომა ჰერაკლეს გაუგზავნა ნესის – მის მიერ მოკლული კენტავრის სისხლით გაჟღენთილი

მოსასხამი (ტანსაცმელი). ჰერაკლემ იგი ჩაიცვა და იტანჯებოდა საშინელი ტკივილებით; ამის შემდეგ იგი დაწვეს ეტას მთაზე დანთებულ უზარმაზარ კოცონზე და ამაღლდა ოლიმპზე როგორც ღმერთი.

აი, ასე ოსტატურად ახერხებს ჟამთააღმწერელი, შედარებით მცირე მოცულობის ტექსტში (როგორც ვხედავთ, იგი, მართალია, ვრცელი, მაგრამ სულ ორი-სამი წინადადებისაგან შედგება) შეადაროს დავით მეფის სიკვდილი ალექსანდრე მაკედონელის სიკვდილს, როგორც სერობისას მოწამვლის შედეგს და ეს სიკვდილი ახსნას ეჭვიანობის საფუძველზე და დაუკავშიროს ამით იგი ანტიკური სამყაროს გმირის, ჰერაკლეს ანალოგიურ საფუძველზე სიკვდილს. ფაქტობრივად, ამით ავტორი დავით მეფეს ადარებს, ერთი მხრივ, ალექსანდრე მაკედონელს და, მეორე მხრივ, ჰერაკლეს.

ჟამთააღმწერლის თხზულების აქამდე ბუდოვნად წარმოდგენილი დავით მეფის გარდაცვალების ეპიზოდის ახსნა და განმარტება შესაძლებელი გახდა „ქართლის ცხოვრების“ აქამდე გამოუყენებელი ფრაგმენტით, რომელიც, ვფიქრობ, მომავალში არაერთხელ იქნება შესწავლის საგანი“.³⁶⁹

ამრიგად, როგორც ვ. სილოგავა განმარტავს, „ეჭვიანობა, რომლის საფუძველზეც ეს მოხდა, შედარებულია ანტიკური სამყაროს უდიდესი მითოლოგიური გმირის ჰერაკლეს („ირაკლისი“) ასევე ეჭვიანობის საფუძველზე მოწამვლასა და მკვლელობასთან“. გაურკვეველია რომელ ეჭვიანობაზეა საუბარი, როდესაც განიხილება ესუქნის მიერ დავითის მოწამვლა. ტექსტში გარკვევით მითითებულია, რომ ესუქნი კი არ ეჭვიანობდა დავითზე, არამედ მკვლელობა ჩაიდინა „შურისათუის [შურისძიებისთვის – ე.კ.] ბასილი უჯარმელისა, რომელი მოაკუდინა მეფემან უწესობისათუის,“. აქ პრობლემას ისევ და ისევ სიტყვის „ეჭუისმყოფსა“ არასწორი ინტერპრეტაცია იწვევს და ისევ და ისევ კონტექსტის არასწორი გაგება. ამასთან, „ეჭუისმყოფსა“ მიემართება არა ირაკლის, არამედ ალექსანდრე მაკედონელს. რამდენადაც არ უნდა იყოს მომხიბვლელი აქ დეიანირასა და ჰერაკლეს მითის დანახვა, ეს შეუძლებელია წინადადების წყობისა და შინაარსიდან გამომდინარე. კერძოდ, **„დიდისა მაკედონელისა მიდოსთა მსერებელისა და შემსუმელისა თასისა ირაკლისის თავმტკივნეულობად, ეჭუისმყოფსა“** არ შეიძლება დაიშალოს 2 ამბად, ორ ნაწილად, რადგან აქ არის ერთი ამბავი და ერთი მოქმედი პირი – ალექსანდრე, „მიდოსთა მსერებელი“, „შემსუმელი თასისა“ „თავმტკივნეული“ და „ეჭვისმყოფი“. მაშინ რა შუაშია აქ „ირაკლი“ და ვინ არის იგი? გვინდა დავეთანხმოთ ვ. სილოგავას

³⁶⁹ ჟამთააღმწერელი. ასწლოვანი მატიანე (ნაწყვეტი – ხელნაწერი H-1067). რედ.: რ. მეტრეველი. გამოსცა ვ. სილოგავამ. თბილისი, 2009, გვ. 52-53.

მოსაზრებას, რომ აქ, მართლაც, მითური ჰერაკლე იგულისხმება, თუმცა არა დეიანირასთან კონტექსტში.

ჩემი აზრით, ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს ალექსანდრეს სიკვდილის შესახებ წყაროებში დაცულ ინფორმაციასთან (რომელიც სათავეს „ეფემერიდებიდან“ იღებს), რომლის მიხედვითაც, ალექსანდრე მოიწამლა, როდესაც გამოსცალა გაუზავებული ღვინით სავსე დიდი სასმისი ჰერაკლეს პატივსაცემად (Iust. 12.13.7; Plut. Alex., 75.3; Ar. 7.24.4-25.1; Diod. XVII, 117).

დეტალურად განვიხილოთ დიოდოროს სიცილიელთან დაცული ეს ცნობა:

„τοῦτων δὲ παρακελευομένων θυσίας ἐπιτελεῖν τοῖς θεοῖς μεγαλοπρεπεῖς μετὰ πάσης σπουδῆς παρεκλήθη πρὸς τινὰ τῶν φίλων Μῆδιον τὸν Θετταλὸν ἐπὶ κῶμον ἐλθεῖν· κἀκεῖ πολὺν ἄκρατον ἐμφορηθεὶς ἐπὶ τελευτῆς Ἡρακλέους μέγα ποτήριον πληρώσας ἐξέπιεν“ (Diod. XVII, 117).

„მათ მოუწოდეს მას, შეეწირა უხვი და დაუყოვნებელი მსხვერპლი ღმერთებისთვის, ხოლო შემდეგ მედიოსმა, თესალიელმა, მისმა ერთ-ერთმა მეგობარმა, შესთავაზა მონაწილეობა მიეღო კომოსში [აქ: დროსტარებაში, ნადიმში – ე.კ.]. იქ მან დალია ბევრი გაუზავებული ღვინო ჰერაკლეს სიკვდილის პატივსაცემად (მოსაგონრად) და ბოლოს, გაავსო რა დიდი სასმისი, ერთბაშად გამოსცალა“.

საინტერესოა, რომ იმავე ამბავს პლუტარქოსი ასე გადმოგვცემს:

„Μηδίου δεηθέντος ᾗχετο καμασόμενος πρὸς αὐτόν· κἀκεῖ πῶν ὄλην τὴν νύκτα καὶ τὴν ἐπιούσαν ἡμέραν, ἥρξατο πυρέττειν, οὔτε σκύφον Ἡρακλέους ἐκπῶν οὔτ’ ἄφνω διαλγῆς γενόμενος τὸ μετὰφρενον ᾧσπερ λόγχῃ πεπληγός...“ (Plut. Alex., 75.3).

„მიდოსის თხოვნით, მასთან ერთად წავიდა სანადიმოდ; და აი, მთელი მეორე დღის უწყვეტი სმის შემდეგ, ცხელება დაემართა. ეს არ მომხდარა მას შემდეგ, რაც მან „ჰერაკლეს თასი“ გამოსცალა და არც მას შემდეგ, რაც ზურგში უეცარი ტკივილი იგრძნო, თითქოს შუბი აძგერესო...“

ჩვენი აზრით, სწორედ ეს იგულისხმება ჟამთააღმწერლის ფრაზაში „შემსუბმელისა თასისა ირაკლისის“.

დამატებით შეიძლება იმის თქმაც, რომ მითური ჰერაკლესთვის პატივის მიგება ალექსანდრესთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო, რადგან, როგორც ამას პლუტარქოსი ამბობს:

„Ἀλέξανδρος ὅτι τῷ γένει πρὸς πατρὸς μὲν ἦν Ἡρακλείδης ἀπὸ Καράνου, πρὸς δὲ μητρὸς Αἰακίδης ἀπὸ Νεοπτολέμου, τῶν πάνυ πεπιστευμένων ἐστὶ“ (Plut. Alex. 2.1.).

„მამის მხრიდან იგი იყო შთამომავალი ჰერაკლესი კარანოსის ხაზით, ხოლო დედის მხრიდან, შთამომავალი ეაკოსისა, ნეოპტოლემოსის მეშვეობით. ეს ყოველგვარი ჭოჭმანის გარეშეა მიღებული“

შესაბამისად, (H-1067) ხელნაწერში დაცული ინფორმაცია დამატებით ცნობას გვაწვდის ალექსანდრე მაკედონელის მოწამვლის დეტალების შესახებ.

დასკვნა

ამრიგად, „ქართლის ცხოვრების“ თხზულებების შესწავლისას აშკარა ხდება, რომ ანტიკურობასთან დაკავშირებული მასალა საკმაოდ ფართოდაა გამოყენებული საქართველოს ისტორიის სხვადასხვა ეპოქის მოვლენებთან კონტექსტში. განსაკუთრებით ხშირია ასეთი შემთხვევები XI-XIV საუკუნეების ავტორებთან. ივ. ჯავახიშვილი სამართლიანად მიუთითებს, რომ ამ პერიოდში „ელინური მწერლობის ცოდნა ქართველ ისტორიკოსებს ცხადად ეტყობათ. ქართველ ისტორიკოსთა თხზულებებში ელინურ მწერლობითგან მოყვანილი ცნობები უფრო მეტია, ამასთანავე უფრო ზედმიწევნითა და უფრო დაწვრილებითაც არის გადმოცემული, ვიდრე მოსალოდნელი იყო, და ეს გარემოება გვაფიქრებინებს, რომ ელინური მწერლობის ცოდნა საქართველოში საზოგადოდ საკმაოდ საფუძვლიანი უნდა ყოფილიყო“.³⁷⁰

თ. ყაუხჩიშვილი სწორად შენიშნავს, რომ ქართველი ისტორიკოსები საკმაოდ კარგად იცნობენ ანტიკურ სამყაროს – ბერძნულ-რომაულ მწერლობას, ისტორიას, მითოლოგიასა და ხელოვნებას. ავტორები არა მხოლოდ იცნობენ ამ მასალას, არამედ იყენებენ მას „სხვადასხვა კონკრეტული ამბის განსამარტავად, უკეთ ასახსნელად, შესადარებლად“.³⁷¹

როგორც წესი, ანალოგიებისთვის მომარჯვებულია მასალა სხვადასხვა ავტორთა თხზულებებიდან.

თ. ყაუხჩიშვილი აღნიშნავს, რომ ხშირად ვერ ხერხდება იმის დადგენა, თუ როგორ მოხვდა ეს მასალა ნაწარმოებში – დედნიდან თუ თარგმანიდან, თუმცა თხზულებებში ხშირად გამოყენებული იშვითად ხმარებული ბერძნული სიტყვა მკვლევარს აფიქრებინებს, რომ ქართველი ავტორები კარგად ფლობენ ბერძნულ ენას

³⁷⁰ ივ. ჯავახიშვილი. ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ახლად. წ. I. ძველი ქართული საისტორიო მწერლობა (V-XVIII სს). მეორე-მესამე შევსებული გამოცემა. თბილისი, 1945, გვ. 29.

³⁷¹ თ. ყაუხჩიშვილი. ანტიკური სამყარო ქართულ ისტორიოგრაფიაში. ჟამთააღმწერელი. ივ. ჯავახიშვილის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული. თბილისი, 1976, გვ. 298.

და, შესაბამისად, ფილოსოფიურ-საღვთისმეტყველო ლიტერატურას ორიგინალში ეცნობიან.³⁷²

აქვე თ. ყაუხჩიშვილი მიუთითებს, რომ ქართველი ავტორების მიერ ჰომეროსის დედანში კითხვის საკითხი ბოლომდე დაუდგენელია.³⁷³

სქემატურად წარმოავადგენთ ანტიკურობასთან დაკავშირებულ მასალას, რომელიც „ქართლის ცხოვრების“ ავტორებთანაა დაცული (მუქად წარმოდგენილია ის მასალა, რომელიც სხვა ავტორებთანაც არის დაცული):

ლეონტი მროველი: ალექსანდრე მაკედონელი, აზონი, „ფროტატოსელნი“, ალექსანდრეს მიერ შექმნილი სარწმუნოება.

„ისტორიანი და აზმანი შარავნდედთანის“ ავტორი: ოლიმპოს მთა; ასფოდელოსი; ელისეს ველი; ჰომეროსი; პლუტარქოსი; ალექსანდრე მაკედონელი; პოროსი; აქილევსი; მოსიმახოსი; კენტავრი ქირონი; სოკრატე; პლატონი; ალექსანდრე აფროდისელი; თალესი; არტემისი; აფროდიტე; აპოლონი; პლანეტები: კრონოსი, ზევსი, აფროდიტე, ჰერმესი, აპოლონი და არესი; პელოპსი; ჰიპოდამეა; პლუტონი; პერსეფონე; ტროას ომი; გმირთა საუკუნე; არტაქსერქსე; თემისტოკლესი; პითოდოროსი; კრიტიასი; ოთხი ელემენტი.

ბასილი ეზოსმოდვარი: ალექსანდრე მაკედონელი; არისტობულე; ოლიმპო; ალექსანდრე; დარიოსი; პლანეტა ჰერმესი;

ჟამთააღმწერელი: ზოდიაქო; ვესპასიანუსი; ტიტუსი; იოსებ ფლავიუსი; ასტიაგე; მანდანისი; კიროსი; კროისოსი; პრიამოსი; ალექსანდრე პარისი; ტროას ომი; ტროელები; ელენე; აგამემნონი; მენელაოსი; აპოლონი; მოსიმახოსი, ნეოპტოლემოსი პიროსი; აქილევსი; მირმიდონელები; ალექსანდრე მაკედონელი; მიდოსი; ანტიპატროსი; კასანდროსი; „ეფემერიდები“; ჰერაკლე;

ამრიგად, როგორც თ. ყაუხჩიშვილს სწორად შენიშნული აქვს, ქართული ისტორიოგრაფია ამ პერიოდში იყენებს ერთსა და იმავე მასალას: მაგ., დახელოვნებული მსროლელები მოსიმახოსსა და აქილევსთან არიან შედარებული, ებრაელთა ისტორია აღწერილია იოსებ ფლავიუსის მიერ, ტროას ომი გრძელდებოდა 28 წელი და ა.შ. და ამ ფაქტს ხსნის როგორც ავტორების მიერ ერთმანეთის

³⁷² თ. ყაუხჩიშვილი. ანტიკური სამყარო ქართულ ისტორიოგრაფიაში. ჟამთააღმწერელი. ივ. ჯავახიშვილის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული. თბილისი, 1976, გვ. 299.

³⁷³ თ. ყაუხჩიშვილი. ანტიკური სამყარო ქართულ ისტორიოგრაფიაში. ჟამთააღმწერელი. ივ. ჯავახიშვილის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული. თბილისი, 1976, გვ. 299.

თხზულებების გამოყენებით, ისე იმ მოცემულობით, რომ ამ პერიოდში მხოლოდ ეს მასალა იყო ხელმისაწვდომი.³⁷⁴

შოთა რუსთაველი, „ვეფხისტყაოსანი“

გიორგი უგულავა

ისტორიული პანორამა:

ფართოდ გაზიარებულია მოსაზრება, რომ „ვეფხისტყაოსანი“ XII-XIII საუკუნეების მიჯნაზეა შექმნილი (ან XIII საუკუნეში კ. კეკელიძე). ეს ის ისტორიული პერიოდია, რომელშიც ერთდროულად რამდენიმე ფაქტორი ერთიანდება. ერთი მხრივ, არაბული მმართველობის პერიოდში (VII-X საუკუნეები) აზიის დიდი ნაწილი (არაბეთის ნახევარკუნძული, მესოპოტამია, სირია, ირანი ა.შ.), მათ შორის კავკასია და საქართველო არაბთა იმპერიაში, ე.წ. ხალიფატში, გაერთიანდა, რამაც ხელი შეუწყო ამ სივრცეში კულტურულ ტრანსფერს – მათ შორის ერთიან ენობრივ და კულტურულ სტანდარტს, სიუჟეტების, ამბებისა და ინფორმაციის იოლად ხელმისაწვდომობას და გავრცელების სისწრაფეს.

XI-XII საუკუნეებში არაბული იმპერიის მნიშვნელოვანი ნაწილი (ირანი, ჩრდილოეთ მესოპოტამია, აღმოსავლეთ ანატოლია, კავკასიის დიდი ნაწილი) თურქ-სელჩუკების გავლენის სივრცედ იქცა. თურქ-სელჩუკები, როგორც კულტურულად, ისე პოლიტიკურად დიდწილად დაეყრდნენ ადგილობრივ მმართველობის სისტემებსა და შეითვისეს ადგილობრივი კულტურული ტრადიცია. ამ მეტ-ნაკლებად ერთიან სივრცეშიც კულტურული ტრანსფერი საკმაოდ სწრაფად ხორციელდებოდა.

„ვეფხისტყაონი“ იმ პერიოდის კულტურული პროდუქტია, როდესაც დავით აღმაშენებელმა (1121-1124 წლებში, დიდგორის ბრძოლა და თბილისის აღება) საბოლოოდ გაათავისუფლა საქართველო, კერძოდ, მისი აღმოსავლეთ ნაწილი, თურქული გავლენისაგან და ერთიანი, ძლიერი, ცენტრალიზებული სახელმწიფო შექმნა, რომელიც მთელი საუკუნის განმავლობაში, სულ მცირე 1220-1235 წლებამდე (მონღოლთა შემოსვლა საქართველოში) კავკასიის უდიდეს ნაწილს აერთიანებდა და რეგიონში ყველაზე მნიშვნელოვან პოლიტიკურ ძალას წარმოადგენდა. ამ პერიოდის

³⁷⁴ თ. ყაუხჩიშვილი. ანტიკური სამყარო ქართულ ისტორიოგრაფიაში. ჟამთააღმწერელი. ივ. ჯავახიშვილის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული. თბილისი, 1976, გვ. 299.

საქართველოსთვის აღმოსავლურ კულტურასთან მჭიდრო შემხებლობა, მათ შორის ლიტერატურულ მოტივებთან, სიუჟეტებთან, ესთეტიკასთან, კულტურულ-გეოგრაფიულ სივრცესთან, ისტორიული პერსპექტივიდან იოლად ასახსნელია.

მეორე მხრივ, XII საუკუნეში ბიზანტიის იმპერიას კომნენოსების დინასტიის მმართველობის ქვეშ შედარებით სტაბილური პერიოდი ედგა, რაც ეკონომიკურ აღმავლობაში, მოსახლეობის რაოდენობის ზრდასა და ურბანული დასახლებებში გამოიხატა. გააქტიურდა სავაჭრო და კულტურული კონტაქტები ვენეციასთან და ჯენოვასთან, იტალიურ ქალაქებთან. კულტურულ დონეზე ეს პერიოდი ხასიათდება ე.წ. ადრეული ჰუმანიზმის პერიოდით, რაც გამოიხატა ანტიკური ეპოქის ავტორებით დაინტერესებით. VII საუკუნის შემდეგ ბიზანტია ყველაზე მეტად და აქტიურად დაინტერესდა ანტიკური კულტურული და ფილოსოფიური მემკვიდრეობით. განსაკუთრებით აქტუალური გახდა ანტიკური ფილოსოფიის შესწავლა. დაიწყო კომენტირებული ანტიკური ტექსტების თარგმნა. კომნენოსების მმართველობის პერიოდი ბიზანტიის ისტორიაში ერთ-ერთ კულტურულ მწვერვალად მიიჩნევა.

ლოგიკურია, დავუშვათ, რომ ეს ტენდენცია უნდა ასახულიყო საქართველოზეც, რომელსაც აქტიური პოლიტიკურ-კულტურული კონტაქტები ჰქონდა ბიზანტიასთან და ამ პერიოდის მთავარ ლიტერატურულ ნაწარმოებზე – „ვეფხისტყაოსანზე“.

„ვეფხისტყაოსანი“, როგორც კულტურული ძეგლი, უნდა ასახავდეს იმ ეპოქის საქართველოს, როგორც დასავლურ-აღმოსავლური კულტურების შეხვედრის ადგილს, ისტორიულ-პოლიტიკურ რეალობას და კულტურულ სურათს.

გამოყენებული ტერმინები:

„ვეფხისტყაოსანში“ გამოყენებული ანტიკური ტერმინები რამდენიმე კატეგორიად შეიძლება დაიყოს.

საკუთარი სახელები: პლატონი, კრონოსი, მოლი;

გეოგრაფიული ტერმინები: ზღვის ჭიპი;

სხვა ტერმინები და ცნებები: მიჯნურობა, ჰბამვენ, სახე ყოვლისა ტანისა, მოცალებობა, მიჯნურსა ...ჰმართებს; ცეცხლსა, წყალსა და მიწასა, ჰაერთა თანა; დამშლიან ჩემნი კავშირნი; შევჰრთვივარ სულთა სირასა; იგია ლხინი სოფლისა, იგია ნივთი და ვალი მისი საბოლოო მიზანიც] – „ვალი“); „სამი არის მოყვრისაგან მოყვრობისა გამოჩენა: პირველ, ნდომა სიახლისა, სიშორისა ვერ-მოთმენა, მიცემა და არას შური, ჩუქებისა არ-მოწყენა, გავლენა და მოხმარება, მისად რგებად ველთა რბენა“.

„ვეფხისტყაოსანში“ ანტიკურ სამყაროსთან პირდაპირი ბმა იკვეთება 791-ე სტროფის 3-4 სტრიქონში:

ციტაცია: „მე სიტყვასა ერთსა გკადრებ, პლატონისგან სწავლა-თქმულსა:
სიცრუე და ორპირობა ავნებს ხორცსა, მერმე სულსა.“

ავტორი მოიხსენიებს პლატონს და აცხადებს, რომ პლატონისგან მიღებული სიბრძნეა ის, რომ ტყუილი და ორპირობა ადამიანს ხორციელად და სულიერად ვნებს და აზიანებს. აღნიშნულ მონაკვეთის შესახებ კვლევაში არაერთი მოსაზრება არსებობს. ამ პასაჟის კვლევას 100 წელზე მეტი ხნის ისტორია აქვს. კვლევა ძირითადად კონცენტრირდება იმ საკითხზე, თუ რამდენად შეესაბამება გამოთქმული მოსაზრება პლატონს და რატომ, რა მიზნით იხსენიებს ავტორი პლატონის სახელს.

მკვლევართა მნიშვნელოვანი ნაწილი მიიჩნევს, რომ აღნიშნული ციტატა და მისი ძირითადი გზავნილი პლატონის ნაშრომებში არ გვხვდება და რუსთაველი პლატონს პირდაპირ არ ციტირებდა და არც მის რომელიმე ნააზრევს გამოიყენებდა.

ერთ-ერთ ადრეულ კვლევაში, რომელიც ჯერ კიდევ 1912 წლით თარიღდება, მ. უორდროპი მიიჩნევს, რომ ფრაგმენტი რომელსაც რუსთაველი პლატონს მიაწერს ბერძენი ფილოსოფოსის ნაშრომებში არსად გვხვდება.³⁷⁵

ამავე მოსაზრებას ახმოვანებს კ. კეკელიძე მის ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიაში, რომელიც დიდი ხნის მანძილზე მიიჩნეოდა ყველაზე ფუნდამენტურ კვლევად ქართული ლიტერატურის ისტორიაში. კ. კეკელიძე მიიჩნევს, რომ პლატონი არ მიემართება კონკრეტულად ძვ.წ. IV საუკუნის ფილოსოფოს პლატონს, არამედ ეს უნდა იყოს იმ დროისათვის გავრცელებული ზოგადი აღმნიშვნელი განათლებული, ბრძენი, ჭკვიანი კაცის. კ. კეკელიძე მის მოსაზრებას ამყარებს იმ არგუმენტით, რომ აღმოსავლურ ტრადიციაში პლატონის და არისტოტელეს სახელებს ხშირად მოიხსენიებდნენ ამ კონტექსტში.

კ. კეკელიძე: „მართლია ისიც, რომ პოემაში ერთხელ ფილოსოფოსი პლატონის სახელით გარკვეული დებულებაც კია მოყვანილი – „სიცრუე და ორპირობა ავნებს ხორცსა, მერმე სულსა (789), მაგრამ ვინაიდან ასეთი დებულება პლატონის თხზულებებში აღმოჩენილი არაა, უნდა ვიფიქროთ, პლატონი აქ დასახელებულია როგორც ერთ-ერთი წარმომადგენელი იმ „ბრძენთა“ და „ფილოსოფოსთა“, რომელთაც, როგორც ავტორიტეტს, პოეტი ხშირად მიმართავს ხოლმე, ისე, როგორც აღმოსავლურს, სპარსულ-არაბულ ლიტერატურაში ხშირად ვხვდებით პლატონის

³⁷⁵ “The Man in the Panther’s Skin”. A Romantic Epic by Shot’ha Rust’haveli. A Close Rendering from the Georgian Attempted by M. S. Wardrop. Tbilisi, 1966 (Reprinted from the Original English Edition, London, 1912), გვ. 180.

(აფლათუნ) და არისტოტელეს სახელს, მაგრამ არა როგორც საკუთარს, არამედ როგორც სინონიმს ბრძნისა და გონიერი ადამიანისას“.³⁷⁶

კ. კეკელიძის მოსაზრებას სხვა მეცნიერებიც (მაგალითად, ა. ბარამიძე, შ. ნუცუბიძე)³⁷⁷ იზიარებენ.

ამ პასაჟის ინტერპრეტაციის განსხვავებული ვერსიებიც არსებობს რუსთაველის ქართულ კვლევაში. პ. ინგოროყვა და ივ. ლოლაშვილი მიიჩნევენ, რომ ეს მონაკვეთი უკავშირდება ქართულ ხელნაწერს „სიბრძნისაგან პლატონ ფილოსოფოსისა“, რომელშიც გახმოვანებულია მოსაზრება, რომ „შური და ტყუილი თავი არს ყოვლისა უბედურებისა“.³⁷⁸

ნ. ნათაძე და ე. ხინთიბიძე აღნიშნულ პასაჟს პლატონს უკავშირებენ, თუმცა არ მიიჩნევენ, რომ რუსთაველი პლატონის ზუსტ ციტირებას ახდენს. ნ. ნათაძის მიხედვით, რუსთაველი ეყრდნობა პლატონის მსოფლმხედველობით პოზიციას, რომ სული უკვდავია და მის ბედს სიკვდილის შემდეგ ამ ცხოვრებაში ადამიანის ქცევა განაპირობებს.³⁷⁹

ე. ხინთიბიძეც მიიჩნევს, რომ რუსთაველის პასაჟი რეალურად პლატონის მოსაზრებას ასახავს, თუმცა მისი ზუსტი იდენტიფიცირება არ ახდენს და არ ეთანხმება იმ მოსაზრებას, რომ ეს უნდა მომდინარეობდეს აპოფთეგმური კრებულიდან „სიბრძნისაგან პლატონ ფილოსოფოსისა“. პირიქით, მიიჩნევს, რომ თავად „ვეფხისტყაოსანს“ აქვს გავლენა აღნიშნულ პასაჟზე.³⁸⁰

აღნიშნულ პასაჟს პლატონთან აკავშირებენ სხვა მკვლევრებიც. თუმცა მიიჩნევენ, რომ, ერთი მოსაზრებით, პლატონის ეს აზრი ჩვენამდე მოღწეული არ არის და რუსთაველი პლატონის ზეპირ გადმოცემას ან რომელიმე სხვა წყაროს ეყრდნობა.³⁸¹

სხვა მოსაზრებით კი, რომელსაც რამდენიმე ქართველი მეცნიერი უჭერს მხარს, რუსთაველი პლატონს ეყრდნობა, თუმცა ახდენს არა მის ზუსტ ციტირებას, არამედ გადმოაქვს მისი მსოფლმხედველობითი პოზიცია. ლ. ალექსიძე აღნიშნულ პასაჟს

³⁷⁶ კ. კეკელიძე. ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია. ტ. II. თბილისი, 1958, გვ. 180.

³⁷⁷ ალ. ბარამიძე. შოთა რუსთველი. თბილისი, 1975, გვ. 171; III. Нуцубидзе. Творчество Руставели. Тбилиси, 1958, გვ. 91, გვ. 96, გვ. 102.

³⁷⁸ პ. ინგოროყვა. რუსთაველის ეპოქის სალიტერატურო მემკვიდრეობა. რუსთაველის კრებული. ტფილისი, 1938, გვ. 791; ივ. ლოლაშვილი. სწავლანი და სიბრძნენი ფილოსოფოსთანი. გამოკვლევითა და ლექსიკონით. თბილისი, 1969, გვ. 73.

³⁷⁹ ნ. ნათაძე. ვეფხისტყაოსანი. სასკოლო გამოცემა ლექსიკონითა და კომენტარებით. თბილისი, 1974, გვ. 527 (2006, გვ. 474).

³⁸⁰ ე. ხინთიბიძე. მსოფლმხედველობითი პრობლემები ვეფხისტყაოსანში. თბილისი, 1975, გვ. 347-348.

³⁸¹ ი. მეგრელიძე. ბოლოსიტყვაობის მაგიერ. წიგნში: მ. გოგიბერიძე. რჩეული ფილოსოფიური თხზულებანი. ტ. IV. თბილისი, 1978, გვ. 348.

პლატონის მეშვიდე წერილს უკავშირებს, რომელშიც გამოთქმულია მოსაზრება, რომ უსამართლო ადამიანები იტანჯებიან ამ ქვეყანაშიც და იმ ქვეყანაშიც.³⁸²

რ. თვარაძე აღნიშნულ პასაჟს პლატონის „გორგიას“ („სიცრუე იწვევს სულის გამრუდებას 524-525) და „კანონებს“ („მატყუარა ადამიანი მოხუცებულობას ასაკში გაატარებს“ 5, 730) უკავშირებს.

ბ. ბრეგვაძე აღნიშნულ პასაჟს ნეოპლატონურ ტრადიციასთან აკავშირებს, რომელიც სხეულის, ხორცის და სულის ერთიანობას და ურთიერთკავშირს ქადაგებს.³⁸³ ხოლო ე. ხინთიბიძე მიიჩნევს, რომ რუსთაველის პასაჟი პლატონის რომელიმე კონკრეტული ეპიზოდის ან ფრაგმენტის რეცეფციას კი არ წარმოადგენს, არამედ მთლიანად პლატონის ეთიკურ მოძღვრებას და მის ფილოსოფიურ მსოფლმხედველობას უკავშირდება, რომლის მიხედვითაც, ამქვეყნიური ცხოვრება გავლენას ახდენს ადამიანის სულზე (პლატონი, X, 613ა – 621დ). „სახელმწიფოში (2, 382) პლატონი ამავე დებულებას იმეორებს. ე. ხინთიბიძე მიიჩნევს, რომ რუსთაველი იცნობს პლატონის მოძღვრებას და შეგნებულად იღებს იმ თეზას, რომელიც ქრისტიანული თეოლოგიისთვისაც მისაღებია და ქრისტიანული მსოფლალქმის ერთ-ერთ საფუძველს ქმნის.

ამ მხრივ, რუსთაველი და პლატონი კონცეპტუალურად ერთსა და იმავე დებულებას ეფუძნებიან. ზ. ხინთიბიძე მიიჩნევს, რომ რუსთაველი პლატონის თვალსაზრისს ეყრდნობა, თუმცა „თავისუფალი ინტერპრეტაციით“ გადმოაქვს, რაც რუსთაველის ციტაციის პრინციპისთვის სახასიათოა.³⁸⁴

დასკვნის სახით შეგვიძლია შევაჯამოთ მოყვანილ მოსაზრებათა შორის ორი მოსაზრება უდავოდ გამოიყოფა: ერთის მიხედვით, რუსთაველი პლატონს ასახელებს როგორც სინონიმის, სიბრძნის, გონიერი ადამიანის მაგალითად და თავის თეზას ამ ფორმით მიაწერს მას, ანუ რეფერენსი აქვს ზოგადად, ნათქვამ უნივერსალურ სიბრძნესთან და არა კონკრეტულად პლატონის ტექსტთან, ხოლო, მეორეს მიხედვით კი, რუსთაველი ეყრდნობა პლატონს, თუმცა მისი დებულება არა ზუსტი ციტაციის, არამედ თავისუფალი თარგმანის პრინციპით გადმოაქვს.

სხვა ფრაგმენტში რუსთაველი მოიხსენიებს ანტიკურ მითოლოგიურ სახელს, კრონოსს.

ციტაცია: „მაშინ ქაჯეთს მოიწია უსაზომო რისხვა ღმრთისა:

³⁸² ლ. ალექსიძე. „სიცრუე და ორპირობა ავნებს ხორცსა, მერმე სულსა“. ცისკარი. № 8. 1990, გვ. 106-112.

³⁸³ ბ. ბრეგვაძე. პლატონი და რუსთაველი. წიგნში: პლატონი. პარმენიდე. ძველი ბერძნულიდან თარგმნა, წინასიტყვაობა დამატებებით და კომენტარები დაურთო ბ. ბრეგვაძემ. თბილისი, 2002, გვ. 374, გვ. 377, გვ. 386.

³⁸⁴ ე. ხინთიბიძე. ვეფხისტყაოსნის იდეურ-მსოფლმხედველობითი სამყარო. თბილისი, 2009, გვ. 474-496.

კრონოს, წყრომით შეხედულმან, მოიშორა სიტკბო მზისა;
მათვე რისხვით გარდუბრუნდა ბორბალი და სიმგრგვლე ცისა,
ველნი მკვდართა ვერ იტევდეს, გადიადდა ჯარი მკვდრისა“.

(სტრფ. 1414)

კრონოსთან მიმართებაში მკვლევართა შორის ორი ძირითადი მოსაზრება არსებობს. ერთნი მას უკავშირებენ ასტროლოგიურ სახელს და პლანეტა სატურნს, ხოლო, მეორენი კი – მითოლოგიურ პერსონა კრონოსს.

მეცნიერთა შორის უფრო ფართოდ იყო გაზიარებული მოსაზრება, რომლის თანახმადაც, რუსთაველის მიერ მოხსენიებული „კრონოსი“ არა საკუთარი სახელი, არამედ ასტროლოგიური ტერმინია, რომელიც პლანეტა სატურნს უნდა შეესაბამებოდეს.³⁸⁵ ამ მოსაზრებას ამყარებს ისიც, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ერთ-ერთ ხელნაწერში, კომენტარების სახით მოცემულ ლექსიკონში კრონოსი ახსნილია როგორც ვარსკვლავი.

მეორე მოსაზრება, აღნიშნულ ეპიზოდში მოცემულ კრონოსს ძველი ბერძნული მითოლოგიის ღმერთ კრონოსს უკავშირებს, რომელიც ჯერ კიდევ ოლიმპიურ რელიგიამდე არსებულ ღმერთების სისტემას მიემატება.³⁸⁶

სხვა ფრაგმენტში (სტრფ. 1276), რუსთაველი მოიხსენიებს ტერმინ „მოლი-ს“.

ციტაცია: „მან გრძნეულმან მოლი რამე წამოისვა (ვარიანტი: წამოისხა) ზედა ტანსა,

მასვე წამსა დაიკარგა, გარდაფრინდა ბანით-ბანსა.“

(სტრფ. 1276, 3-4)

უფრო გაზიარებული მოსაზრების თანახმად, მკვლევართა დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ რუსთაველისეული მოლი უნდა აღნიშნავდეს მოსასხამს.³⁸⁷ თუმცა ამასთან ერთად არსებობს ჰიპოთეზა, რომელიც შესაძლებლად უშვებს რუსთაველისეული მოლის ჰომეროსისეულ „მოლუ“-სთან დაკავშირებას (ოდისეა, 10, 305) და შედეგად მიდის იმ დასკვნამდე, რომ რუსთაველი იცნობს ჰომეროსის პოემებს და მათ ეყრდნობა.

³⁸⁵ ე. ხინთიბიძე. ვეფხისტყაოსნის კრონოსი. ცისკარი. № 2. 1971, გვ. 144-152; ე. ხინთიბიძე. ვეფხისტყაოსნის იდეურ-მსოფლმხედველობითი სამყარო. თბილისი, 2009, გვ. 182-195.

³⁸⁶ დ. ქუმსიშვილი. ვეფხისტყაოსანში „დიონოსისა“ და „დივნოსის“ საკითხისათვის. მნათობი. № 8. 1969, გვ. 158-169; დ. ქუმსიშვილი. შენიშვნები ზ. კიკნაძის წერილის გამო. ცისკარი. № 2. 1970, გვ. 142-148; ზ. კიკნაძე. დიონისესა და კრონოსის გამო ვეფხისტყაოსანში. ცისკარი. №11.1969, გვ. 119-122;

³⁸⁷ ივ. ლოლაშვილი. ჰომეროსი, შავთელი, რუსთაველი. მნათობი. № 2. 1960, გვ. 143-149; ვ. ასათიანი. ანტიკური და ბიზანტიური ტრადიციები ძველ ქართულ მწერლობაში. თბილისი, 1996, გვ. 159-161; ვ. ბააკაშვილი. ჰომეროსი ძველ ქართულ მწერლობაში. კრებულში: ძველი ქართული მწერლობის საკითხები. ტ. II. თბილისი, 1964, გვ. 97.

ზ. ხინთიბიძე ეყრდნობა აღნიშნული პასაჟის ე. ხინთიბიძისეულ ინტერპრეტაციას და მიიჩნევს, რომ კვლევის სწორი პერსპექტივისთვის აუცილებელია არა მხოლოდ ტერმინების, არამედ ჰომეროსთან და რუსთაველთან არსებული იმ მთლიანი პასაჟების შედარება, რომლებშიც აღნიშნული ტერმინი გამოიყენება. შედეგად, მიდის იმ დასკვნამდე, რომ ჰომეროსისეული კირკეს და რუსთაველისეული ფატმანის მხატვრული სახეები ერთმანეთს მიემართება და მსგავს პერსონაჟებს წარმოადგენს. აღნიშნული პასაჟები ზემოთ აღნიშნული მკვლევრების მოსაზრებათა მიხედვით, კირკეს სახე ფატმანის სახეზე ახდენს გავლენას და რუსთაველი ამ კუთხით კარგად იცნობს ჰომეროსის ეპოქს და ამ მხატვრული სახის შექმნის დროს მის გავლენასაც განიცდის. მკვლევრები ამ ორი პასაჟის დეტალურ ანალიზს ახდენენ და მიდიან იმ დასკვნამდე, რომ რუსთაველი ჰომეროსის აღნიშნული სცენის თავისუფალ რეცეფციას ახდენს.³⁸⁸

ორივე ეს პასაჟი ტიპოლოგიურად მსგავსს ეპიზოდს აღწერს, როდესაც ეპიკური გმირი უცხო, ჯადოქარი ან ეგზოტიკური ქალის სამყაროში ხვდება. კირკეს პერსონაჟი ჰომეროსის შემდეგ სხვა ანტიკური ავტორების ნაწარმოებებშიც გვხვდება მისი სახის გარკვეული ტრანსფორმაციებით. ზ. ხინთიბიძე მიიჩნევს, რომ ფატმანი სწორედ ამ ტიპის ტრანსფორმაციის შედეგი უნდა იყოს.

584-ე სტროფში რუსთაველი მოიხსენიებს ტერმინს „ზღვის ჭიპი“.

ციტატა: „მან უთხრა: <<წადით, დაკარგეთ მუნ სადა ზღვისა ჭიპია>>“.

(სტრფ. 584, 1).

ზღვის ჭიპის, როგორც სამყაროს დასალიერის კატეგორია არსებობდა ანტიკურ მსოფლმხედველობაში. ანტიკური ტრადიცია სამყაროს უკიდურეს მიჯნას რიგ შემთხვევებში სწორედ ამ ტერმინით მოიხსენიებდა. შემდეგ ანტიკურობისთვის ტიპური ეს სამყაროს აღქმის სივრცული გაგება უკვე შუა საუკუნეების ტრადიციამაც გაითავისა. ანტიკურ ლიტერატურაში ეს ტერმინი გვხვდება ჰომეროსის „ოდისეაში“ (1, 50).

ანტიკურობასთან შესაძლოა დგინდებოდეს კიდევ ერთი პასაჟის (1034-1069 სტროფები) მიმართება. აღნიშნულ პასაჟში მოთხრობილია ავთანდილის მიერ ნესტან-დარეჯანის საძებრად წასვლისა და ქარავანთან შეყრის ამბავი. ნესტან-

³⁸⁸ ზ. ხინთიბიძე. ჰომეროსი და რუსთაველი, კომპოზიციური ორგანიზაციის ჰომეროსისეული პრინციპები და ეპიკური ტრადიცია. თბილისი, 2005, გვ. 213-233; S. Chintibidse. Ein Fall der Rezeption von Homers Odyssee in Rustvelis Vepxistqaosani. Georgica. 28. 2005, S. 167-182; Z. Khintibidze. Compositional Function of the Circe-Myth in Greek-Roman, Medieval European and Georgian Epic Traditions: Typological Similarity of Literary Reception? Phasis, Greek and Roman Studies. 10 (II), 2007, გვ. 48-56.

დარეჯანის ძიების დროს ავთანდილი გადაეყრება ვაჭრებს, რომელთაც ზღვაში შესვლა მეკობრეთა საფრთხის გამო ეშინიათ. ავთანდილი ვაჭრებს მეკობრეებისგან დაცვას ჰპირდება. ზღვაში შესულები მართლაც ხვდებიან მეკობრეებს, რომელთაც ავთანდილი გაუსწორდება.

ე. კობახიძე თავის სტატიაში აღნიშნულ პასაჟს უკავშირებს ცნობილ მითოლოგიურ ამბავს, რომელიც ღმერთი დიონისეს ტირსენიელი მეკობრეების მიერ გატაცების შესახებ გვამცნობს. ეს მითოლოგიური ამბავი არაერთ ანტიკურ ლიტერატურულ ნაწარმოებშია დამოწმებული (Homeros, Hymn. 7; Euripi. Cyc. 13-14, Ovid. Met. 3, 576) და შემდეგ საუკუნეებშიც მის რეცეფციას დასავლური კულტურული ტრადიცია არაერთხელ ახდენს.

ამ მითის რეცეფციას ახდენს გვიანანტიკური ავტორი ნონოსი, რომელიც თავის „დიონისიასაში“ დიონისეს ბოროტების წინააღმდეგ მებრძოლ გმირად წარმოადგენს, ხოლო მეკობრეებს – აბსოლუტურ ბოროტებად (Nonn. Dion. 45-196).

ე. კობახიძე თავის სტატიაში დეტალურად აანალიზებს ორივე პასაჟს და პოულობს მათ შორის მსგავსებებს, როგორც შინაარსობრივ (სიუჟეტური ფონი, მოქმედი პერსონაჟები, მავედრებელთა დანდობის მოტივი, მარტო ბოროტების წინააღმდეგ, ღვთაებრივი შემწეობის მიღება ა.შ.), ასევე სიმბოლიკის (ლომის სიმბოლიკა, ღვინის სიმბოლიკა, თხის სიმბოლიკა ა.შ.) დონეზე და ასკვნის, რომ რუსთაველისეული ეს პასაჟი ანტიკური მითოლოგიურ-ლიტერატურული ტრადიციის გადამუშავებულ ვარიანტს უნდა წარმოადგენდეს და ავტორი, რუსთაველი, კარგად იცნობდა ანტიკური მითის სიუჟეტსა და ძირითად მოტივს. მისივე აზრით, ეს ძირითადად უნდა მომხდარიყო შუა საუკუნეებში შესრულებული თარგმანების მეშვეობით. უფრო დაზუსტებით, რუსთაველი იცნობდა ამ მითის ნონოსისეულ ვერსიას და „დიონისიასას“.

ავტორი თავის მოსაზრებას ამყარებს იმ არგუმენტებითაც, რომ ანტიკური ეპოქის საქართველოს ტერიტორიაზე არაერთხელ დასტურდება ადგილობრივი თუ შემოტანილი ხელოვნების ნიმუშების არქეოლოგიური კვალით, რომ დიონისეს მითოლოგიური სახე კარგად ცნობილი უნდა ყოფილიყო ამ პერიოდის ქართული სამყაროსთვის. მაგალითად, ძალისას მოზაიკა, სარკინეთში აღმოჩენილი ქანდაკებები, დიონისეს ქანდაკება სოფელ კოდისწყაროდან ა.შ.

ძალისას მოზაიკაზე არასრული სახით არის შემოჩენილი ფრაგმენტი დელფინის გამოსახულებით, რომელიც შესაძლოა დიონისესა და ტირსენიელი მეკობრეების მითის რომელიმე პასაჟს ასახავდეს.³⁸⁹

მეცნიერთა შორის მრავალი კვლევაა რუსთაველისეული მიჯნურობის მსოფლმხედველობით-ფილოსოფიური გაგების შესახებ, რომელიც რუსთაველისეული მიჯნურობის გაგებას ანტიკურ ფილოსოფიურ ტრადიციასთანაც აკავშირებს.

ზ. ხინთიბიძე ეყრდნობა ნ. ნათაძის კვლევებს და აკავშირებს რუსთაველისეულ მიჯნურობას პლატონის „იდეათა თეორიასთან“ ანდაც ნეოპლატონიზმთან.

ე. ხინთიბიძე სიყვარულის რუსთაველისეულ გაგებას აკავშირებს ანტიკურ ფილოსოფიურ ტრადიციასთან – კერძოდ, პლატონთან და არისტოტელეს ეთიკასთან.³⁹⁰

1. რას ნიშნავს „მიჯნურობა პირველი და ტომი გვართა ზენათა“ (სტრფ. 20, 1)?
2. რა მნიშვნელობით იყენებს რუსთველი სიტყვას „ჰბამვენ“ (სტრფ. 21, 4)?

ანტიკურობას უნდა უკავშირდებოდეს მე-20 სტროფში მოხსენებული „გვარი“ და „ტომი“.

ციტირება: „მიჯნურობა პირველი და ტომი გვართა ზენათა“ (სტრფ. 20).

რუსთველოლოგიაში ამ საკითხის შესახებ მსჯელობა დიდი ხანია მიმდინარეობს და, ფაქტობრივად, მკვლევართა შორის შეჯერებული მოსაზრება არსებობს, რომ რუსთაველისეული „გვარი“ და „ტომი“, ერთი მხრივ, უკავშირდება შუა საუკუნეების ქართულ ფილოსოფიურ ტრადიციას და, კერძოდ, იოანე პეტრიწს, მის ნაშრომებში ეს ტერმინები არაერთხელ მოიხსენიება, მეორე მხრივ კი, ბერძნულ „ეიდოსს“ და „გენოსს“, რომლებიც ანტიკურობის დროინდელი ფილოსოფიური ტერმინებია და გვხვდება ჯერ პლატონთან და არისტოტელესთან, შემდეგ კი ნეოპლატონიკოსებთან.³⁹¹

³⁸⁹ ე. კობახიძე. ანტიკურობის კიდეც ერთი რეცეფცია *ვეფხისტყაოსანში*. კადმოსი, ჰუმანიტარულ კვლევათა ჟურნალი. 2020, გვ. 204-221; ი. ციციშვილი. ადრეკლასობრივი პერიოდის საზოგადოების ხელოვნება. წიგნში: ი. ციციშვილი. ქართული ხელოვნების ისტორია. თბილისი, 1995, გვ. 18-23.

³⁹⁰ ნ. ნათაძე. ვეფხისტყაოსნის პროლოგის კომენტარისათვის. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების მოამბე. № 2. 1963, გვ. 163-177; ნ. ნათაძე. რუსთველისეული მიჯნურობა და რენესანსი. თბილისი, 1965; ნ. ნათაძე. დროთა მიჯნაზე. თბილისი, 1974; ნ. ნათაძე. შოთა რუსთველი, ვეფხისტყაოსანი. სასკოლო გამოცემა. II გამოცემა. თბილისი, 2006; თ. ჭილაძე. ვარდის ფურცლობის ნიშანი. თბილისი, 1984; ე. ხინთიბიძე. მსოფლმხედველობითი პრობლემები ვეფხისტყაოსანში. თბილისი 1975; ე. ხინთიბიძე. ვეფხისტყაოსნის იდეურ-მსოფლმხედველობითი სამყარო. თბილისი, 2009.

³⁹¹ ამ საკითხთან დაკავშირებით იხ. ზ. ხინთიბიძის კვლევა გრანტის „ანტიკურობის რეცეფცია ქართულ მხატვრულ ლიტერატურაში“ ფარგლებში. ასევე ნ. ნათაძე, 1963; 1965, გვ. 130-135, 140-142;

ჯერ კიდევ ვახტანგ VI-იდან მოყოლებული (XVIII საუკუნის დასაწყისი) არსებობდა მოსაზრება, რომ რუსთაველისეული მიჯნურობა აღქმული ყოფილიყო არა ამქვეყნიურ, არამედ საღმრთო სიყვარულად, კერძოდ, ადამიანის სულის მიმართებად ღმერთთან. ვახტანგის შემდეგ ამ მოსაზრებამ შემდეგი მხარდაჭერა შემდეგ ეპოქაშიც მოიპოვა,³⁹² თუმცა ამ მოსაზრებას კრიტიკოსებიც ჰყავს.³⁹³

ამ საკითხთან დაკავშირებით არსებობს სხვა მოსაზრებაც თანამედროვე კვლევაში. ე. ხინთიბიძე მიიჩნევს, რომ რუსთაველისეული მიჯნურობის გაგება აერთიანებს, ერთი მხრივ, ქრისტიანულ ტრადიციას, ხოლო, მეორე მხრივ, კი ანტიკურ ტრადიციას, კერძოდ, სიყვარულის პლატონისეულ კონცეფციას და არისტოტელეს ეთიკას.

ე. ხინთიბიძის მიხედვით, რუსთაველისეული მიჯნურობის გაგება, რომელიც გულისხმობს ადამიანთა შორის სიყვარულს, მათ შორის ხორციელ სიყვარულსაც, სიყვარულის ღვთიურ ფორმას არ უპირისპირდება, პირიქით, მის ნაწილად უნდა იქნეს მოაზრებული.³⁹⁴

კერძოდ, აღნიშნული კონცეფციის თანახმად და ნ. მარის მოსაზრებისგან³⁹⁵ განსხვავებით, ³⁹⁶ მიჯნურობის რუსთაველურ თეორიაში სიყვარულის ამქვეყნიური გამოვლინება ანუ ადამიანთა მეგობრობა და მათი ურთიერთსიყვარული, რომელიც მოიცავს ქალ-ვაჟის წრფელ სიყვარულსაც, სიყვარულის საღმრთო ფორმას ანუ ადამიანის მიერ ღმერთის სიყვარულს არ უპირისპირდება.³⁹⁷ ამ კუთხით მისი შესაბამისობა პლატონის „იდეათა თეორიასთან“ არ იკვეთება, რადგან პლატონი ადამიანურ სიყვარულს მხოლოდ ღვთაებრივი სიყვარულის ანარეკლად განიხილავს.

ამ მხრივ, რუსთაველისეულ სიყვარულს უფრო მეტი მიმართება აქვს სახარებისეულ სიყვარულთან,³⁹⁸ ვიდრე პლატონისეულ „ნადიმთან“, მიუხედავად იმისა, რომ „ნადიმის“ სიყვარულის ფილოსოფიასთანაც უნდა ჰქონდეს ბმა.³⁹⁹

1974, გვ. 142; ნ. ნათაძე. შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი. სასკოლო გამოცემა. II გამოცემა. თბილისი, 2006, გვ. 467.

³⁹² აღნიშნულთან დაკავშირებით იხ. ზ. გამსახურდია. 1972, გვ. 99-100.

³⁹³ ე. ხინთიბიძე. ვეფხისტყაოსნის იდეურ-მსოფლმხედველობითი სამყარო. თბილისი, 2009, გვ. 405-408, გვ. 627.

³⁹⁴ ე. ხინთიბიძე. ვეფხისტყაოსნის იდეურ-მსოფლმხედველობითი სამყარო. თბილისი, 2009, გვ. 618-620, გვ. 652.

³⁹⁵ იხ. ნ. მარი. 1910, გვ. 49-50

³⁹⁶ ნ. მარის მოსაზრების კრიტიკისათვის იხ. ე. ხინთიბიძე. მსოფლმხედველობითი პრობლემები *ვეფხისტყაოსანში*. თბილისი, 1975, გვ. 223-236.

³⁹⁷ იხ. ე. ხინთიბიძე. ვეფხისტყაოსნის იდეურ-მსოფლმხედველობითი სამყარო. თბილისი, 2009, გვ. 618-620, გვ. 652

³⁹⁸ მათ. 22, 37-40; მარკ. 12, 30-31; ლუკ. 10, 27; I იოანე, 4, 8.

³⁹⁹ იხ. ზ. ხინთიბიძის ზემოთ აღნიშნული კვლევა.

ზ. ხინთიბიძე ე. ხინთიბიძეზე დაყრდნობით რუსთაველისეულ სიყვარულს რენესანსისეულ კატეგორიად განიხილავს, რომლის მიხედვითაც, ამქვეყნიური სიყვარული ღვთაებრივი სიყვარულია. ამ მხრივ, რუსთაველი რენესანსისეულ კონცეფციაში სრულად ჯდება, რომელიც ღვთაებრივ და ადამიანურ განზომილებებს ერთ მთლიანობად აღიქვამს. საინტერესოა, რომ ამ კუთხით რუსთაველი ასწრებს დროს – ის რენესანსისეულ კონცეფციამდე ევროპულ რენესანსამდე ბევრად უფრო ადრე მიდის.⁴⁰⁰

უნდა აღინიშნოს, რომ კიდევ ერთ ეპიზოდში, კერძოდ, მეორე სტროფში მოხსენიებულ „სახე ყოვლისა ტანისა“-ს მკვლევართა ნაწილი ანტიკურობას, კერძოდ კი, არისტოტელეს „სულის შესახებ“-ს უკავშირებს.

ამ ეპიზოდში ავტორი მოგვითხრობს სამყაროს შექმნის შესახებ. ჯერ კიდევ XX საუკუნის 30-იან და 40-იან წლებში პ. ცინცაძე და მ. გოგიბერიძე მიიჩნევდნენ, რომ ამ პასაჟში რუსთაველი არისტოტელესეულ ფორმის მიცემის, ანუ გაურკვეველისთვის ფორმის შეძენის შესახებ საუბრობს.⁴⁰¹

XX საუკუნის II ნახევარში ამ დებულებაზე კვლევა და სამეცნიერო დისკუსია გაგრძელდა. ანტიკური რეცეფციის სრულყოფილად წარმოდგენისათვის ეს დებულება ჩვენს ნაშრომში მოყვანილია, თუმცა, ამ ჰიპოთეზაზე მტკიცებითი ფორმით მსჯელობისთვის საკმარისი არგუმენტაცია არ უნდა გვქონდეს. მით უმეტეს, რომ მკვლევართა ნაწილი ამ მოსაზრებას არ ეთანხმება და მიიჩნევს, რომ სამყაროს შექმნის პასაჟში რუსთაველი სამყაროს შექმნის არა არისტოტელისეულ, არამედ ქრისტიანულ კონცეფციაზე დგას, რომლის მიხედვითაც, ყოველი სული ღმერთის შექმნილია.⁴⁰²

ანტიკურობის კიდევ ერთი შესაძლო რეცეფცია შესაძლოა იკვეთებოდეს 23-ე სტროფში, რომელშიც რუსთაველი მიჯნურთათვის აუცილებელ თვისებებზე მსჯელობის დროს „მოცალებას“, ანუ მიჯნურისთვის დროის ქონას, მისთვის სრული „პიროვნული მე“-ს დათმობის შესაძლებლობასა და რესურსს, ასახელებს.

⁴⁰⁰ იხ. ზ. ხინთიბიძის ზემოთ აღნიშნული კვლევა. ასევე – ე. ხინთიბიძე. ვეფხისტყაოსნის იდეურ-მსოფლმხედველობითი სამყარო. თბილისი, 2009, გვ. 652-655.

⁴⁰¹ პ. ცინცაძე. *ვეფხისტყაოსანი* (მსოფლმხედველობა და მხატვრული კონსტრუქცია). ტფილისი, 1936, გვ. 17; მ. გოგიბერიძე. ფილოსოფიის ისტორია. თბილისი, 1941, გვ. 216; მ. გოგიბერიძე. რუსთაველი, პეტრიწი, პრელუდიები. თბილისი, 1961, გვ. 25, გვ. 58-59.

⁴⁰² აღნიშნულთან დაკავშირებით იხ. ივ. ლოლაშვილი. რუსთაველის მსოფლმხედველობისათვის. გაზეთი *საბაღხო განათლება*. 21. IX. 1966; ივ. ლოლაშვილი. რუსთაველის მსოფლმხედველობის ისტორიული და ეროვნული საწყისები. კრებულში: შოთა რუსთაველი, შოთა რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტის საიუბილეო კრებული. თბილისი, 1966; ე. ხინთიბიძე. მსოფლმხედველობითი პრობლემები *ვეფხისტყაოსანში*. თბილისი, 1975; ე. ხინთიბიძე. ვეფხისტყაოსნის იდეურ-მსოფლმხედველობითი სამყარო. თბილისი, 2009.

რუსთაველისეული მოცალობის შესახებ რუსთველოლოგიაში არაერთი მოსაზრებაა გამოთქმული. მოცალობას განმარტავენ როგორც დროის ქონას, ანუ მოცლილობას, ასევე სულიერ შესაბამისობას, შესაფერისობას ორ ადამიანს შორის,⁴⁰³ ასევე სიმშვიდედ⁴⁰⁴ და „გონებრივ-შემეცნებით მოღვაწეობად“.⁴⁰⁵ თავის მხრივ, ე. ხინთიბიძე უკავშირებს რუსთაველისეული მოცალობის ამ გაგებას ამ ტერმინის ანტიკურ შინაარსთან, კერძოდ კი, არისტოტელესა და პლატონთან განხილულ მოცალობასთან.⁴⁰⁶

„ვეფხისტყაოსანში“ ანტიკური ფილოსოფიის, უფრო სწორად, ანტიკური მსოფლალქმის რეცეფციის უაღრესად საინტერესო შესაძლო შემთხვევა გვხვდება 1304-ე სტროფში.

ციტაცია: „ღმერთსა შემვედრე, ნუთუ კვლა დამხსნას სოფლისა შრომასა, ცეცხლსა, წყალსა და მიწასა, ჰაერთა თანა ძრომასა“ (სტრფ. 1304).

ამ შემთხვევაში შეუიარაღებელი თვალითაც ჩანს, რომ რუსთაველი იმეორებს ემპედოკლესეული ოთხი საწყისის – წყალი, ჰაერი, ცეცხლი და მიწა – თეორიას. ემპედოკლე V საუკუნის ბერძენი ფილოსოფია, სიცილიიდან, რომელმაც სამყაროს მოწყობის, კოსმოგონიის თავისეული თეორია შეიმუშავა, რომლის მიხედვითაც, სამყარო 4 ძირითადი საწყისი-ელემენტის – ზემოთ ხსენებული წყალის, ჰაერის, ცეცხლისა და მიწისგან შედგება. ემპედოკლესამდე ამ საკითხზე ფილოსოფიური დისკუსია ჯერ კიდევ სოკრატემდე ფილოსოფიური სკოლის ფარგლებში მიმდინარეობდა. ამ თაობის ფილოსოფოსები კოსმოგონიას სხვადასხვა ელემენტს უკავშირებდნენ (ჰერაკლიტოსი – ცეცხლს, თალესი – წყალს, ანაქსიმენესი – ჰაერს). ემპედოკლესმა წინასოკრატისეული ფილოსოფოსების ტრადიცია გააერთიანა, ერთ მოძღვრებაში განავითარა და ოთხი ელემენტის თეორიად აქცია.

აღსანიშნავია, რომ ემპედოკლესი თავისი მოძღვრებას წერილობით, პოეტური სახით ქმნიდა და მისი ნაწილი შემორჩენილია. ემპედოკლესს რეცეფციის მაღალი ხარისხი ჰქონდა ჯერ კიდევ ანტიკურობაში და მას მოისხენიებენ ლუკიანოსი, ლუკრეციუსი და ჰორაციუსი. შედეგად, იოლად შესაძლებელია და ლოგიკურია დავუშვათ, რომ რუსთაველს პირდაპირი და არაპირდაპირი სახით უნდა სცოდნოდა ემპედოკლესის მოძღვრების შესახებ და სწორედ ის უნდა ყოფილიყო მისი წყარო.

⁴⁰³ გ. იმედაშვილი. *ვეფხისტყაოსნის* მოცალობა. კრებულში: შოთა რუსთველი, ქართული ლიტერატურული ინსტიტუტის საიუბილეო კრებული. თბილისი, 1966, გვ. 293. ი. კალაძე. სიყმე და მოცალობა *ვეფხისტყაოსანში*. კრებულში: შოთა რუსთველი. I. თბილისი, 2000.

⁴⁰⁴ კ. დანელია. *ვეფხისტყაოსნის* ლექსიკიდან. კრებულში: ორიონი. თბილისი, 1967, გვ. 149-151.

⁴⁰⁵ ე. ხინთიბიძე. *ვეფხისტყაოსნის* იდეურ-მსოფლმხედველობითი სამყარო. თბილისი, 2009.

⁴⁰⁶ არისტოტელე. ნიკომაქეს ეთიკა. X, 7; პლატონი. ნადიმე. XXIX; პლოტინი. მშვენიერებისათვის – ენეადა I, VI, 9.

შესაძლოა, ემპედოკლესის მოძღვრებას უკავშირდებოდეს ასევე 885-ე სტრიქონი, რომელშიც იგი მოიხსენიებს:

ციტაცია: „სიკვდილი მახლავს, დამეხსენ, ხანსაღა დავჰყოფ მცირასა; [...] დამშლიან ჩემნი კავშირნი, შევჰრთვივარ სულთა სირასა“ (სტრფ. 885)

მკვლევართა ნაწილი ამ პასაჟის ინტერპრეტაციის დროს ყურადღებას ამახვილევს, რომ შესაძლოა „დამშლიან ჩემნი კავშირნი“-ში სწორედ ემპედოკლესეული ოთხი საწყისი (წყალი, ჰაერი, მიწა, ცეცხლი) იგულისხმებოდეს.⁴⁰⁷ ხოლო „სირას“ კი უკავშირებენ ნეოპლატონიკოს ფილოსოფოსს – პროკლეს და მის ძველ ბერძნულ „სეირას“ ანუ რიგს, კლასს.⁴⁰⁸ ქართველ მკვლევართა ნაწილი რუსთაველის მიერ 837-ე სტრიქონში მოხსენიებულ ფილოსოფოსებს შორის, ანტიკურ ტრადიციას ხედავს.

ციტაცია: ვის ხატად ღმრთისად გიტყვიან ფილოსოფოსნი წინანი, შენ მიშველე რა...“ (სტრფ. 837-838).

კერძოდ, ნ. ნათაძე მიიჩნევს, რომ რუსთაველისეული წინა, ანუ წინარე ეპოქების ფილოსოფოსებში უნდა იგულისხმებოდნენ პლატონი და ნეოპლატონიკოსები.⁴⁰⁹

ასევე სხვა მოსაზრებით როგორც ანტიკური ეპოქის ფილოსოფოსები, ასევე ქრისტიანი თეორეტიკოსები.⁴¹⁰

ანტიკურ ფილოსოფიასთან რუსთაველისეული მიმართება შესაძლოა იკვეთებოდეს 1323-ე სტრიქონში:

ციტაცია: „მსგავსი ყველაი მსგავსსა შობს..., ესე ბრძენთაგან თქმულია“
(სტრფ. 1323)

ნ. ნათაძე მიიჩნევს, რომ რუსთაველი ამ თეზის მოხსენიების დროს ეყრდნობა ბერძენ ფილოსოფოსს ანაქსაგორასს, რომლის ეს დებულებაც სხვადასხვა ფორმით შემდგომ სხვა ანტიკური ეპოქის ფილოსოფოსებთანაც გვხვდება, კერძოდ, არისტოტელეს „მეტაფიზიკაში“, პროკლესთან და ბასილი დიდთან.⁴¹¹

საერთო ჯამში „ვეფხისტყაოსანში“ ანტიკურობის რეცეფციაზე მსჯელობის დროს რამდენიმე ძირითადი მოსაზრება უნდა გამოიყოს. ტექსტში, ერთი მხრივ,

⁴⁰⁷ ე. ხინთიბიძე. ვეფხისტყაოსნის იდეურ-მსოფლმხედველობითი სამყარო. თბილისი, 2009, გვ. 522.

⁴⁰⁸ ნ. ნათაძე. შოთა რუსთაველი, *ვეფხისტყაოსანი*. სასკოლო გამოცემა. II გამოცემა. თბილისი. 2006, გვ. 265, გვ. 479. ასევე ამ პასაჟის პლატონისეული ინტერპრეტაციისთვის იხილეთ – ე. ხინთიბიძე, ვეფხისტყაოსნის იდეურ-მსოფლმხედველობითი სამყარო. თბილისი, 2009, გვ. 522.

⁴⁰⁹ ნ. ნათაძე. შოთა რუსთაველი, *ვეფხისტყაოსანი*. სასკოლო გამოცემა. II გამოცემა. თბილისი, 2006, გვ. 478.

⁴¹⁰ ზ. ხინთიბიძე. ჰომეროსი და რუსთაველი, კომპოზიციური ორგანიზაციის ჰომეროსისეული პრინციპები და ეპიკური ტრადიცია. თბილისი, 2005, გვ. 99.

⁴¹¹ ნ. ნათაძე. შოთა რუსთაველი, *ვეფხისტყაოსანი*. სასკოლო გამოცემა. II გამოცემა. თბილისი, 2006, გვ. 488.

დასტურდება რამდენიმე პირდაპირი რეცეფცია ანტიკურობიდან (პლატონი, კრონოსი). ამავე დროს, იოლად დასაშვებია და სარწმუნოა, რომ რუსთაველი კარგად იცნობდა ანტიკურ ფილოსოფიას და პირდაპირი ან არაპირდაპირი ფორმით ახდენს ანტიკური ფილოსოფიის ცალკეული დებულებების რეციპირებას და თავისუფალ, ან საკმაოდ მიახლოებით ციტაციას. თუმცა, გამომდინარე ამ დებულებების საკმაოდ ზოგადი და უნივერსალური ხასიათიდან, მათზე მტკიცებითი ფორმით მსჯელობა რთულია და შემდგომ კვლევას საჭიროებს.

გარდა ამისა, გამოიკვეთება ანტიკური მითოლოგიური სცენის (დიონისეს მოტაცება) რეციპირების შესაძლო ვარიანტი, რომლის დროსაც რუსთაველი არაპირდაპირი ფორმით ახდენს ძალიან პოპულარული ანტიკური მითოლოგიური სცენის რეცეფციას არაპირდაპირი გზით და ქმნის ტიპოლოგიურად და ცალკეული ელემენტების გამეორების გზით მსგავსს მხატვრულ სცენას.

სახოტბო პოეზია

ნანა ტონია

საქართველოში საერო ლიტერატურის აღმოცენებას XI-XII საუკუნეებით ათარიღებენ. ეს პერიოდი დავით აღმაშენებლისა და თამარის მეფობის ხანას ემთხვევა. დავითის რეფორმებმა პოლიტიკის, ეკონომიკის, სოციალურ ურთიერთობათა, რელიგიისა თუ კულტურის სფეროში დასაბამი მისცა ქართული სახელმწიფოს წინსვლას და განვითარებას. ქვეყნის პოლიტიკურ-ეკონომიკურმა აღმავლობამ განაპირობა განათლების, ლიტერატურისა და ხელოვნების აღორძინებაც. მდიდარი ქართული ფოლკლორისა და სასულიერო ლიტერატურის ტრადიციებზე აღმოცენდა და განვითარების საკუთარი გზა პოვა საერო მწერლობამ. ეს უმნიშვნელოვანესი მოვლენა იყო არამხოლოდ ქართული კულტურის ისტორიაში და აი, რატომ: ცნობილია, რომ შუა საუკუნეებში არსებობდნენ სახელმწიფოები, რომელთაც გააჩნდათ მდიდარი ზეპირსიტყვიერებაცა და სასულიერო მწერლობაც, თუმცა XI-XII საუკუნეებისთვის იქ საერო ლიტერატურის ჩანასახებზეც კი არ შეიძლება საუბარი. რაც შეეხება საქართველოს, აქ ერთობ საინტერესო ნიმუშები შეიქმნა საერო ლიტერატურისა, რომელიც საყოველთაოდ აღიარებული „ვეფხისტყაოსნით“ დაგვირგვინდა. ამის უმთავრესი მიზეზები სამიგებელია იმ კულტურულ კონტაქტებში, რომელიც საქართველოს ჰქონდა როგორც ქრისტიანულ ბიზანტიასთან, ასევე აღმოსავლეთის მუსლიმანურ სახელმწიფოებთან. რა თქმა უნდა, მუსლიმანურ ქვეყნებთან არსებობდა რელიგიური და იდეოლოგიური

შეუთავსებლობა თუმცა ეს კულტურულ შეუთავსებლობაში არასოდეს გადაზრდილა. გვიანდელ შუა საუკუნეებსა და შემდგომაც საქართველოში უხვად სარგებლობდნენ სპარსული ლიტერატურის მხატვრული სახეებით, მაგრამ ეს არასოდეს ყოფილა მხოლოდ მიბაძვა. ქართული ლიტერატურა მუდამ იდგა ეროვნულ ნიადაგზე, მას გააჩნდა საკუთარი პოლიტიკური კონცეფცია, რომელსაც განუხრელად იცავდა და რამაც განაპირობა ტრადიციული ლიტერატურული ჟანრების (ჰაგიოგრაფია, ჰიმნოგრაფია, ისტორიოგრაფია) გვერდით ახალი ჟანრების (სახოტბო პოეზია, ეპოსი, სარაინდო რომანი) აღმოცენება და განვითარება.

ქართული სახოტბო პოეზიის მხოლოდ ორი ძეგლი შემორჩა ჩვენამდე კლასიკური ხანიდან: „თამარიანი“, რომლის ავტორად წყაროები ასახელებენ ჩახრუხადეს და „აბდულმესიანი“, რომლის ავტორად მიჩნეულია იოანე შავთელი. ორივე ქმნილების სრულყოფილება იდეურ-მხატვრული და ჟანრული თვალსაზრისით ნათელს ხდის, რომ მათ შექმნას წინ უსწრებდა სახოტბო პოეზიის განვითარების ხანგრძლივი გზა. ჩამოყალიბების პროცესში ქართულმა სახოტბო პოეზიამ ბევრი შეითვისა დიდი ტრადიციის მქონე აღმოსავლური თუ დასავლური პოეზიიდან, მაგრამ მთავარი მაინც ის არის, რომ იმავდროულად იგი ამოიზარდა ქართული სასულიერო პოეზიიდან.

საერო ხოტბა ისევე როგორც შესხმა, საზეიმო ხასიათისაა. ორივე ერთ მიზანს ემსახურება: შექმნას თავისი გმირის დიდებული სახე, რაც ჰიპერბოლური შედარებების სიუხვით მიიღწევა. თუმცა მათ შორის არსებითი სხვაობაც არის: ჰიმნოგრაფოსი წარმოაჩენს სულიერ გმირს, მეხოტბე კი – სახელმწიფო მოღვაწეს, რომელსაც სულიერებასთან ერთად უნდა ამკობდეს განსწავლულობა, სიბრძნე, გონიერება, სიქველე და სხვა ღირსებები.

როგორც იოანე შავთელის „აბდულმესიანის“, ასევე ჩახრუხადის „თამარიანის“ მთავარი გმირი თამარ მეფეა, რომელიც ავტორთა აზრით, მესიად მოევლინა საქართველოს. მისი დიდებულების წმოსაჩენად პოეტები უხვად იყენებენ რთულ პოეტურ ხერხებს, უპირატესად მხატვრულ შედარებებსა და ჰიპერბოლებს. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ის, რომ მეხოტბენი ფრიად განსწავლული პიროვნებები არიან, მათ სიღრმისეულად იციან ბიბლია, ფილოსოფია თუ მითოსი, ევროპული და სპარსული პოეზია. ჰიპერბოლიზებულ სახეთა გვერდით მკითხველისათვის ცხადი ხდება, რომ ეს სახოტბო პოემები არ შექმნილა მხოლოდ სამეფო კარის დასაამებლად. მათ ავტორებს ჰქონდათ ამბიცია იმ გზით ევლოთ, რომელიც ჯერ კიდევ გიორგი მერჩულემ, შემდეგ კი სახელოვანმა ჰიმნოგრაფოსებმა გაუკაფეს ეროვნულ ლიტერატურას.

იოანე შავთელი. შუა საუკუნეების საქართველოს უმნიშვნელოვანესი მოღვაწე, პოეტი, ფილოსოფოსი და რიტორი. მის შესახებ ბიოგრაფიული ცნობები მწირია. თუმცა დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ იგი მოღვაწეობდა საქართველოს მეფეების გიორგი III-ისა და თამარის დროს – XII-XIII საუკუნეების მიჯნაზე. წყაროებზე დაყრდნობით ვარაუდობენ, რომ დაბადებულია სოფელ შავთაში (სამცხე), პირველადი განათლება შიომღვიმის მონასტერში მიუღია, შემდეგ გამგზავრებულია ბიზანტიაში, ათონის ივერთა მონასტერში სწავლის გასაგრძელებლად, ბოლოს უმოგზაურია ეგვიპტეში და ფინიკიაში. ამ მოგზაურობის დროს იოანე შავთელი გაეცნო ისლამური, იუდეური და აღმოსავლური ქრისტიანობის ტრადიციებს. საქართველოში დაბრუნებული მიიწვიეს სამეფო კარზე, სადაც შემოქმედებითი მოღვაწეობით გაითქვა სახელი. „ქართლის ცხოვრება“ მას მოიხსენიებს, როგორც „ლექსთა გამომთქმელსა და მოღუაწეთა შინა განთქმულს“. მკვლევართა ვარაუდით, იგი ბერად აღკვეცილა გელათის მონასტერში, სადაც დაუწერია მთავარი თხზულება „აბდულმესიანი“. გელათში იოანე შავთელს დაუპირისპირდა ადგილობრივი ეპისკოპოსი და სამღვდელოება, რის გამოც მან დატოვა მონასტერი. შავთელის ცხოვრების ბოლო წლები ბურუსით არის მოცული. უცნობია, სად და როდის აღესრულა მეხოტბე მგოსანი, რომელიც გარდაცვალებისთანავე შეურაცხავთ წმინდანთა დასში.

იოანე შავთელი ჩვენამდე შემორჩენილი რამდენიმე თხზულების ავტორია. მათ შორის: „გალობანი ვარძიის ღვთისმშობლისანი“ და „სამიებელი და მასწავლებელი“ ე.წ. „ასურული კვინკლოსისა“. მასვე ეკუთვნის ძველი ქართული მწერლობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ტექსტი „აბდულმესიანი“. ეს არის სახოტბო ქმნილება, რომელიც ეძღვნება თამარ მეფეს. ის, თუ რას ნიშნავს ამ ხოტბის სახელწოდება „აბდულმესიანი“ დღემდე გამოკვლეული არ არის. მოსაზრებები ამ საკითხთან დაკავშირებით გამოთქმული აქვთ ისეთ მკვლევრებს, როგორებიც იყვნენ პ. იოსელიანი, დ. ჩუბინაშვილი, ნ. მარი და სხვები. მკვლევართა შორის არ არის ზუსტად დადგენილი ისიც, თუ ვის ეძღვნება ეს ხოტბა – დავით აღმაშენებელს, თამარ მეფეს თუ თამარსა და დავით სოსლანს, ან თამარსა და დავით აღმაშენებელს. ბოლო ხანების ვარაუდების გათვალისწინებით შესაძლებელია ითქვას, რომ „აბდულმესიანის“ სახელით ჩვენ ვიცნობთ „თამარის ქებას“, ხოლო საკუთრივ „აბდულმესიანი“ უნდა ყოფილიყო შავთელის უფრო მნიშვნელოვანი ნაწარმოები, რომელიც დაკარგულია.

და მაინც, ჩვენამდე შემორჩა „აბდულმესიანის“ სახელით ცნობილი სახოტბო ქმნილება, რომელიც შუა საუკუნეების ქართული საერო მწერლობის უმნიშვნელოვანესი ტექსტია. მისი კითხვისას ნათლად ჩანს ავტორისეული სიბრძნე

და განსწავლულობა ბიბლიურ, ანტიკურ თუ აღმოსავლურ ფილოსოფიასა და ისტორიაში, ქრისტიანი წმინდა მამების თხზულებებში.

უკანასკნელი ხანების გამოკვლევები ცხადყოფენ, რომ უკვე X საუკუნიდან, გიორგი მერჩულესა და იოანე ზოსიმეს თხზულებებში **ქართული პოლიტიკური თეოლოგიის კონცეფციის** ჩანასახები შეინიშნება.

გიორგი მერჩულემ, რომელიც ფრიად განსწავლული პიროვნება იყო, თავის თხზულებაში „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“ ქართველთა ეროვნული მთლიანობის იდეას დაუდო დასაბამი. მისი განმარტებით: „ქართლად ფრიადი ქუეყანად აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვად ყოველი აღესრულების“.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა იმავე საუკუნეში სახელოვანი სასულიერო მწერლის იოანე ზოსიმეს მოღვაწეობას, რომლის საგალობელი „ქება და დიდებაჲ ქართულისა ენისაჲ“ ქართული პოლიტიკური კონცეფციის შემადგენელ ნაწილად განიხილება. იოანე ზოსიმე განმარტავდა, რომ „ქართული მოდგმა, ქართული ენა შემკულია და კურთხეული სახელითა უფლისათა, ღაზარე ერთა და ენათა შორის, ოთხი დღის (4 ათასი წლის) მკვდარი, დამდაბლებული და დაწუნებული, რომელმაც უნდა აღასრულოს ქრისტესთვის არნახული მოწამეობა, მომავალში აღდგება, დაიბრუნებს უნივერსალურ პოზიციას კაცობრიობის სულიერი მოძღვრისას, ხოლო ქრისტეს მეორედ მოსვლისას გახდება მამხილებელი (მსაჯული) ცოდვილი კაცობრიობისა, რითაც აღასრულებს ქრისტე-მიქაელის და სულიწმინდა-გაბრიელის მისსიას, რასაც სიმბოლურად ასახავს დავითის VI საუკუნის სტელაზე გამოსახული მიქაელისა და გაბრიელის მიერ ქართული ანბანის ამალღება-განდიდება“ (ზვიად გამსახურდია, ქება და დიდებაჲ ქართულისა ენისაჲ. I. ფილოლოგიური პრობლემები).

ქართული პოლიტიკური თეოლოგიის კონცეფციის შემდგომი საფეხურები დაკავშირებულია ლეონტი მროველის, დავით აღმაშენებლის, არსენ იყალთოელის, ნიკოლოზ გულაბერისძის, ჩახრუხაძის, შავთელისა და სხვა მოღვაწეთა სახელებთან. ამ კონცეფციის მიხედვით: 1. ქართველი მეფეები ბიბლიური წარმომავლობისანი არიან და აქედან გამომდინარე სწორედ ისინი უდგანან სათავეში ქრისტეს მიწიერ სამეფოს; 2. ქართულ ენაში დავანებულია დიდი საიდუმლო; ეს ენა ღმერთისგან არის კურთხეული და შემკული, ხოლო საქართველო ღვთისმშობლის წილხვდომილი მიწაა; 3. საქართველოს სამეფოს ღმერთისგან აქვს დაკისრებული რაღაც მნიშვნელოვანი მისია, რომლის აღსრულებაც ქართველ მეფეთა მოვალეობაა.

ის, რომ „იოანე შავთელის პოემა არ არის მხოლოდ ორატორული პოეზიის ნიმუში და რომ მასში „პოლიტიკურ-თეოლოგიური და ფილოსოფიური იდეების

ფართო სპექტრია წარმოდგენილი, რომლებიც ერთიანობაში აყალიბებენ ქართული სახელმწიფოსა და მონარქიის სისტემურ კონცეპტუალურ ხედვას“ შენიშნული აქვს ფილოსოფოს გ. ხუროშვილს⁴¹² მკვლევარი ამ დებულების ნიმუშად მიიჩნევს II თავის საწყის სტრიქონებს (სტრ. 61; 62; 63):

„ძირით მისისა იესესისა
შვილი მართალი იშვა ცხორებად,
ქალწულ-წმიდისა წილხდომილისა
საქართველოსა მეფედ წოდებად,
სვეტად სჯულისად, ზღუდეთ სულისად“.

გ. ხუროშვილის დაკვირვებით, ამ სტროფში რამდენიმე პოლიტიკურ-თეოლოგიური იდეა იკითხება; 1. ქართველი მონარქები იესეს შთამომავლები არიან (იესე ბიბლიური დავით მეფის მამაა); 2. საქართველო ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანაა; 3. საქართველო და მისი მონარქი არის ქრისტეს რჯულის და სარწმუნოების მიწიერი სიმბოლო და მცველი.

პოემის კითხვისას იოლად შესამჩნევია, რომ იოანე შავთელი ღრმად განსწავლული პიროვნება იყო. იგი კარგად იცნობდა ძველბერძნულ, აღმოსავლურსა თუ ქრისტიანულ ფილოსოფიასა და იდეოლოგიას. ამის დასტურია წინამორბედ ცივილიზაციათა სახელოვანი ფიგურების უხვი ჩამონათვალი. მათ შორის ხშირი მოხსენიებით წარმართი ბერძნები გამოირჩევიან. მათი მოხსენიება სულაც არ უქმნის უხერხულობას ქრისტიან მოღვაწეს, რამეთუ იცის, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია ათენელ (ბერძენ) ბრძენკაცთა მოძღვრების ცოდნა, გარდასულ საუკუნეთა დიდებულ პიროვნებათა ცნობა: ანტიკური ცივილიზაციის მოღვაწეთაგან იოანე შავთელთან დასახელებულია შემდეგი პიროვნებები:

სოკრატე (7, 223, 317)
პენონი (57, 213, 398)
მენანდრე (99)
აფთონი (89)
ჰიპოკრატე (223)
პარმენიდე (223)
პალამედესი (397)
პროკლე დიადოქოსი (211)

⁴¹² გ. ხუროშვილი. იოანე შავთელი, 2. „აბდულმესიანი“ – პოლიტიკური თეოლოგიის პროექტი. ქართული ფილოსოფიისა და თეოლოგიის ენციკლოპედია. ხელმისაწვდომია ონლაინ: <https://encyclopedia.ge/ka/print/133> ბოლო ნახვა: 07.11.2021.

პეროდიკოსი (223)

კეისარი (138)

ფილოსოფოსთა და პოეტთა ამ ვრცელ ჩამონათვალს ემატება ფილოსოფიურ ტერმინთა მოხსენიებაც:

ატიკური (ძველბერძნული)

პატრიკული (პატრისტიკული ღვთისმეტყველება)

პერიპატოს-პერიპატეტიკოსი (არისტოტელეს სკოლის მიმდევარი).

იოანე შავთელი იცნობს ძველბერძნული მითოსის ფიგურებს და სათანადო შემთხვევისას მათ სახელებსაც მოიხმობს თავისი აზრის დასტურად:

კრონოსი (57)

ნესტორი (383)

აპოლონი (399)

ასკლეპიოსი (400)

ანტიკური სამყაროს სრული ნუსხისთვის უნდა წარმოვადგინოთ გეოგრაფიული და ეთნოგრაფიული სახელებიც, რომლებიც ასევე უხვად დაიძებნება შავთელის პოემაში:

ათენელი (5)

კრეტა (6)

ათენი (89)

ატიკული (210)

ეტნა (234)

პრომი (254, 257, 411)

რომაელი (305, 309)

ბერძენი (309)

ელადა (412)

იოანე შავთელმა ესოდენი წიაღსვლა არა მხოლოდ ანტიკურ, არამედ სხვა წინამორბედ ეპოქებში, როგორც ჩანს, საჭიროდ მიიჩნია თავისი პოლიტიკურ-თეოლოგიური იდეის წარმოსაჩენად. იგი ქართველთა მეფეს ახასიათებს, როგორც სახელმორჩმულ მონარქს, რომლის შესახებ მხოლოდ ბრძენკაცთა ხვედრია (სტრ. 5; 6; 7; 8). სხვაგან შავთელი ხოტბას ასხამს თამარს, ვითარცა უაღრესად განათლებულ ხელმწიფეს, ძველბერძნულ (ატიკული) და პატრისტიკულ (პატრიკული) ფილოსოფიათა მცოდნეს, რომლის სიბრძნესაც თავად პროკლე დიადოქოსი და იამბლიქოსიც ვერ ჩასწვდებიან და რომელსაც სახელოვანი პერიპატეტიკოსები (პერიპატოსა) აღიარებენ (სტრ. 210; 211; 212; 213).

აღსანიშნავია, რომ იოანე შავთელი იამბლიქოსსა და პროკლე დიადოქოსს ერთად მოიხსენიებს და მათ „ებელ“ ფილოსოფოსებს უწოდებს (სტრ. 211; 224). დამაფიქრებელია ამ ტერმინის მნიშვნელობა. ფილოსოფოს ა. ქირიას აზრით, ორივე შემთხვევაში ის წარმომავლობაზე უნდა მიუთითებდეს. როგორც ცნობილია, იამბლიქოსი ქალაქ ქალკიდადან იყო, ხოლო ეს ქალაქი კუნძულ ევბეაზე (სხვა გამოთქმით „ებია“, თან. ევბოია) მდებარეობს. აქედან გამომდინარე, შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ „ებელში“ შავთელი იამბლიქოსის სადაურობას გულისხმობს. ჩანს, მან კარგად იცოდა, რომ იამბლიქოსის ფილოსოფიის გავლენა დიდი იყო პროკლე დიადოქოსზე, რომლის მეშვეობითაც იამბლიქოსის იდეებს ეზიარა ნეოპლატონიზმის მთელი ათენური სკოლა. ამიტომ იგი ამ ორ ფილოსოფოსს წარმომავლობის აღმნიშვნელი ერთი ტერმინით აერთიანებს.

ქართველთა მეფე თამარი ფილოსოფიურად მოაზროვნე მონარქია, რომელსაც ზღვისა და ხმელეთის „უფლად“ აცხადებენ ანტიკური სამყაროს ისეთი მოაზროვნენი, როგორებიც იყვნენ ჰეროდოტოსი (იროიკ), ჰიპოკრატე (ბოლრატი), პარმენიდესი (პარმენიდი), სოკრატე (სოგრატი) (სტრ. 222; 223).

სოკრატეს მრავალგზის მომხსენიებელმა იოანე შავთელმა, ბუნებრივია, კარგად იცოდა პლატონის ფილოსოფიური მოძღვრებაცა და მოსაზრებანიც „იდეალური სახელმწიფოს“ თაობაზე, სადაც სახელმწიფოს განმგებლებლად ფილოსოფოსები მოიაზრებიან. ალბათ, ამიტომ არის ასე გამოკვეთილად მინიშნება თამარის, როგორც იდეალური მმართველის, ფილოსოფიურ ბუნებაზე. მაგრამ შავთელის თვალთახედვით, მეფე საღვთო ცოდნასაც ფლობს და თავისი საკუთარი (საზეპურო) ერის სარწმუნოებრივ სიწმინდეს იცავს (სტრ. 206). იგი ზეციურ ძალთა თანაზიარია:

„წმიდათ მეშწყობრე, მათთან მოსაგრე,

ზეცისა ძალთა ხარ მოდასეცა“.

(სტრ. 232)

გ. ხუროშვილის აზრით, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ქართველ მონარქში გაერთიანებული ორი უმაღლესი რანგის ცოდნა: ფილოსოფია და ღვთისმეტყველება, რაც „განვითარების ახალ გზას უხსნის შუა საუკუნეების უმნიშვნელოვანეს ქართულ პარადიგმას: ათენისა და იერუსალიმის სინთეზის იდეას, რომლის განხორციელებაც დავით აღმაშენებელმა დაიწყო გელათში“ (იქვე).

როდესაც დავით აღმაშენებელმა გელათის მონასტრის მშენებლობა დაიწყო, იგი დარწმუნებული იყო, რომ ქვეყნის პოლიტიკური თუ კულტურული აღმავლობა დიდად იყო დამოკიდებული ერის სულიერ მდგომარეობაზე, მის ზნეობაზე. მეფეს სურდა, რომ გელათი ერის სულიერების ამაღლების კერად ექცია. სწორედ ამ მიზნით, ბიზანტიური უმაღლესი სასწავლებლის გამოცდილების გათვალისწინებით

დააარსა მან ქართული აკადემია, სადაც უცხოეთში მოღვაწე ქართველთაგან „შემოკრიბნა კაცნი პატიოსანნი ცხოვრებითა და შემკულნი ყოველთა სათნოებითა“. დავითის ისტორიოგრაფოსის ხატოვანი თქმით, გელათი მეფის სიცოცხლეშივე იქცა „ყოვლისა აღმოსავლეთისა მეორედ იერუსალიმად, სასწავლოდ ყოვლისა კეთილისად, მოძღურად სწავლებისად, სხუად ათინად, ფრიად უაღრეს მისსა საღმრთოთა შინა წესთა და კანონად ყოვლისა საეკლესიოძსა შუენიერებისად“.

გელათის აკადემია ფეხდაფეხ მისდევდა რა შუა საუკუნეების თეოლოგიურ-ფილოსოფიურ აზრს, მნიშვნელოვან საფუძველს ქმნიდა საერო ლიტერატურის აღმავლობისთვის, რასაც, თავის მხრივ, დიდად შეუწყო ხელი (ისევე როგორც ბიზანტიაში) სამეფო ხელისუფლების გაძლიერებამ. დავითისა და თამარის ეპოქაში შეიქმნა ბრწყინვალე საერო ლიტერატურა – საისტორიო თუ მხატვრული. გელათის სკოლა უნდა გაეფლათ დავითის ისტორიოგრაფოსს, „ისტორიათა და აზმათა“ ავტორს, სახელოვან მეხოტბეებსა და ბოლოს, შოთა რუსთაველს.

„ათენისა და იერუსალიმის სინთეზის“ პარადიგმის კვალად შავთელი სხვა იდეაზეც მსჯელობს. კერძოდ, ეს არის იდეა „ახალი დროის“ თაობაზე, რომელიც შუა საუკუნეების ევროპისათვის კარგად იყო ცნობილი. ეს იდეა, რომელსაც მეცნიერულ წრეებში მოიხსენიებენ *translation imperii* (ლათ. „იმპერიის გარდასვლა“)-ის სახელით, პირველად ანტიკურ წყაროებში გამოჩნდა და ეპოქიდან ეპოქას გადაეცემოდა. პირველი რომი – *caput mundi* (ლათ. „სამყაროს დედაქალაქი“) იყო რომის იმპერია, ცივილიზაციის ცენტრი, უზენაესი ძალაუფლების მქონე დედამიწაზე. რომაული იმპერიის დამხობის შემდეგ „მეორე რომად“ შეირაცხა კონსტანტინოპოლისი, ბიზანტიური იმპერიის დედაქალაქი, რომელიც იქცა რა სამყაროს ახალ შუაგულად, მრავლად იზიდავდა მონანიე ქრისტიანებს დედამიწის ყველა ქვეყნიდან. „მეორე რომმა“ ბიზანტიური იმპერიის დამხობამდე იარსება. მაგრამ მის დამხობამდე კიდევ ერთი სახელმწიფო ისაკუთრებდა „ახალი რომის“ ტიტულს. ეს იყო ფრანკთა მეფის, კარლოს დიდის სამფლობელო, რომელიც მოიცავდა მთელ ქრისტიანულ ევროპას (ინგლისისა და ასტურიის გარდა). დასავლეთის ქრისტიანთა ეს გაერთიანება საზეიმოდ აღინიშნა 800 წელს, ახალი საუკუნის დასაწყისში, შობის დღესასწაულზე, როდესაც პაპმა ლეონ III-მ რომში კარლოს დიდს იმპერატორის გვირგვინი დაადგა. ფრანკთა იმპერიის კულტურულ ცენტრად იქცა კარლოსის სატახტო ქალაქში, აახენში დაარსებული სამეფო კარის აკადემია, რომელსაც უკავშირდება ლათინური ევროპის კულტურის თითქმის ყველა ტრადიცია მთელი ორი საუკუნის განმავლობაში. აახენის სამეფო კარის პოეტს, მუადვინს ეკუთვნის ის საპროგრამო სტრიქონები, რომლის გათვალისწინებითაც სწავლულებმა დაამკვიდრეს ტერმინი „აღორძინება“, ხოლო კარლოს დიდის იმპერიას ახალი ანუ „ოქროს რომი“ უწოდეს: „კვლავ ძველ

ადათებს უბრუნდებიან ადამიანთა აზრები, სამყაროსათვის აღორძინდა კვლავ ოქროს რომი, განახლებული“. ასეთი იყო კარლოს დიდის ეპოქის განათლებული საზოგადოების საერთო აზრი.

როგორც ჩანს, იოანე შავთელმა კარგად იცოდა ამ იდეის არსებობის თაობაზე და კონსტანტინოპოლისა თუ აახენთან ერთად „ახალ რომად“ უკვე ქართულ სახელმწიფოსაც მოიაზრებდა, ვითარცა ქრისტეს მიერ ხელდასხმულს:

„აწყა რომითა, ა წყარო მითა,
ეს მოგვენიჭა ქრისტეს მიერად:
(სტრ. 257)

„ახალო რომო, შენთვის თქვეს რომო
უფროს იქმნესო მყოფთა ყოველთა“
(სტრ. 411)

მთელი პოემის დედააზრი ამ დასკვნით სტრიქონებში ასე იკითხება: ქართული სახელმწიფო, რომელიც, ძველი რომის მსგავსად განათლებისა და ღვთისმოსაობის (ათენი და იერუსალიმი) ერთიანობის სიმბოლოა, „ახალ რომად“ უნდა იწოდებოდეს, რამეთუ თავისი კულტურითა და პოლიტიკური სიძლიერით ქრისტიანული სამყაროს სხვა სამეფოებს აღემატება.

ამრიგად, იოანე შავთელის პოემა „აბდულმესიანი“ ქართული მწერლობის „ოქროს ხანის“ საერო ლიტერატურის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ქმნილებაა. იგი არა მხოლოდ სახოტბო პოეზიის ბრწყინვალე ნიმუშია, არამედ მასში განზოგადებულია იმდროინდელი საქართველოს პოლიტიკური თეოლოგიის კონცეფცია, სადაც ქართველი მეფის იდეალური პორტრეტის შექმნასთან ერთად საქართველოს სამეფოს მისია არის წარმოჩენილი.

ამონარიდები:

ავტორი: იოანე შავთელი

ეპოქა: XII-XIII სს.

ნაწარმოები: „აბდულმესიანი“⁴¹³

⁴¹³ ძველი ქართველი მეხოტბენი. II. იოანე შავთელი. აბდულმესიანი – თამარ მეფისა და დავით სოსლანის შესხმა. გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ივ. ლოლაშვილმა.

ნაწარმოების სახეობა: პოეზია

5. ციტაცია: „შემოკრებით ბრძენო, ათენელთ ძენო,
თამარს ვაქებდეთ მეფედ ცხებულსა,

6. კრიტს, ალაბს, მალრიბს, ეგვიპტეს, მაშრიყს,
ჩინეთს – მაჩინეთს, თარშის ქებულსა!

7. რომელნი ელნით, რომელნი ელნით
თავს სოგრატისებრ სწავლით გებულსა,

8. ვარსკვლავთ-მრიცხველნო, სხვათ ბრძენთ მკიცხველნო
ვერც ძალ-გიცთ ქებად, თავს ჰყოფთ ვნებულსა“ (I, 2, 1-4)

ტერმინი: ათენელთ (ათენელი)

ტერმინი: კრიტს (კრეტა)

ტერმინი: რომელნი (რომაელი)

ტერმინი: ელნით (ელინი)

ტერმინი: სოგრატისებრ (სოკრატე)

57. ციტაცია: „ზირაქს კრონოსით, ზინონს ენოსით
სწავლა დაებმის, ბრგვნილ-ჰყოფს ენითა“ (I, 15, 1)

ტერმინი: კრონოსით (კრონოსი)

ტერმინი: ზინონს (ძენონი)

89. ციტაცია: „აფთონს ბრძავს, ათენს, ესრეთ გაათენს
წყვდიაღსა ნათლად სხივნი მზისანი“ (I, 23, 1)

ტერმინი: აფთონს (აფთონი)

ტერმინი: ათენს (ათენი)

კომენტარი: „აფთონი“, ბერძენი ფილოსოფოსი, რომელიც მოღვაწეობდა III-IV
სს-ში.

99. ციტაცია: „მენანდარ გიცნობს, ოქრო-ხმად გიძნობს“ (III, 25, 1)

თბილისი, 1964; ქართული პოეზია. ტ. I. ძველი ქართული პოეზია V-XII სს. შემდგ.: ს. ცაიშვილი.
თბილისი, 1979.

ტერმინი: მენანდარ (მენანდრე)

კომენტარი: ივ. ლოლაშვილი: „განთქმული ბერძენი პოეტი-კომედიოგრაფი, იგივე „მენანდროს მოშაპირე“⁴¹⁴... შავთელს ის შეიძლება სცნობებოდა არსენ იყალთოელის აპოფთეგმებიდან“⁴¹⁵.

138. ციტაცია: „ხარკე ისარი! ხარ კეისარი,
სიმდიდრით ლაღი ჟიმშედ-მფლობელი“ (IV, 35, 1)

ტერმინი: კეისარი

210. ციტაცია: „ატიკულისა, პატრიკულისა
ხედვის უფალ ხარ სიწლოთ-სიხშოსა.

211. უთქვამთ ებელთა მაძიებელთა
შენთვის პროკლეს და [იამვლი]ხოსა:

212. არვეთა ვსებით არ ვეთავსებით
სიბრძნისა ზღვასა თამარ-პირმშოსა!“

213. ზინონ, ზენანი, მოგვთა ზენანი
მეუფედ გხმოვენ პერიპატოსა“ (VII, 53, 1-4)

ტერმინი: ატიკულისა (ატიკული)

ტერმინი: პროკლეს (პროკლე დიადოქოსი)

ტერმინი: [იამვლი]ხოსა (იამბლიქოსი)

ტერმინი: ზინონ (ენონი)

ტერმინი: პერიპატოსა (პერიპატიკული)

კომენტარი: ივ. ლოლაშვილის განმარტებით, „ატიკული = ატიკური. ატიკა კუნძულია საბერძნეთში. აქ იხმარება ზოგადი მნიშვნელობით: ძველ-ბერძნული,

⁴¹⁴ ს. ყაუხჩიშვილი. ხრონოლოგიური გეოგრაფიული მონაზონისად. ტფილისი, 1920.

⁴¹⁵ ძველი ქართველი მეხოტბენი. II. იოანე შავთელი. აბდულმესიანი – თამარ მეფისა და დავით სოსლანის შესხმა. გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ივ. ლოლაშვილმა. თბილისი, 1964, გვ. 262.

ელინურ-წარმართული; ატიკული ხედვა ანუ ძველ-ბერძნული ფილოსოფიური მოძღვრება“.⁴¹⁶

კომენტარი: ივ. ლოლაშვილის განმარტებით, „თამარი გაიგივებულია არისტოტელესთან. თუ ანტიკურ ხანაში არისტოტელე იყო პერიპატოული სკოლის ფუძემდებელი და მეუფე, ახლა, შავთელის თქმით, ფილოსოფოსნი თამარს სთვაზობენ ამ საპატოო თანამდებობას“.⁴¹⁷

222. ციტაცია: „რა მოიზარდე, თვით მოიბლარდე
ნათლითა ყოვლის მპყრობელისათა.

223. იროიკ, ბოღრატ, პარმენიდ, სოგრატ
უფლად გოქვეს ზღვისა და ხმელისათა“ (VII, 56, 1-2)

ტერმინი: იროიკ (ჰეროდოტოსი)

ტერმინი: ბოღრატ (ჰიპოკრატე)

ტერმინი: პარმენიდ (პარმენიდე)

ტერმინი: სოგრატ (სოკრატე)

კომენტარი: „იროიკ = ჰეროდოტოს მეგარელი, ჰიპოკრატეს მასწავლებელი“.

234. ციტაცია: „სიბრძნის უფსკრული, ენა – რიტორი,
მსგავს ხარ მთისა მის ეტონეოსა“ (VII, 59, 1)

ტერმინი: ეტონეოსა (ეტნა)

კომენტარი: ივ. ლოლაშვილის განმარტებით, აქ იგულისხმება ეტნა, დიდი მოქმედი ვულკანი.⁴¹⁸

257. ციტაცია: „აწყა რომითა, ა წყარო მითა,
ეს მოგვენიჭა ქრისტეს მიერად“ (IX, 66, 1)

⁴¹⁶ ძველი ქართველი მეხოტბენი. II. იოანე შავთელი. აბდულმესიანი – თამარ მეფისა და დავით სოსლანის შესხმა. გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ივ. ლოლაშვილმა. თბილისი, 1964, გვ. 267.

⁴¹⁷ ძველი ქართველი მეხოტბენი. II. იოანე შავთელი. აბდულმესიანი – თამარ მეფისა და დავით სოსლანის შესხმა. გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ივ. ლოლაშვილმა. თბილისი, 1964, გვ. 66.

⁴¹⁸ ძველი ქართველი მეხოტბენი. II. იოანე შავთელი. აბდულმესიანი – თამარ მეფისა და დავით სოსლანის შესხმა. გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ივ. ლოლაშვილმა. თბილისი, 1964, გვ. 260.

ტერმინი: რომითა (რომი)

305. ციტაცია: „გიჟმობ რომელთა, გიჟნობ რომელთა,
ყურნი მომაჰყართ, მო გონებანი!“ (X, 78, 1, 3)

ტერმინი: რომელთა (რომაელი)

309. ციტაცია: „თქვენგან ქურუმთა მყის აქ ურუმთა
მოლითა ცუდ-ყვეს ბომონთ-მოთხრობა“ (X, 79, 3)

ტერმინი: ურუმთა (ბერძენი ან რომაელი)

ტერმინი: მოლითა (მოლი) (?)

317. ციტაცია: „ალვა მოზარდი: სოგრატ, მოზარდი
ქებისა პოვნათ, ვითა სულელი“ (X, 81, 3)

ტერმინი: სოგრატ (სოკრატე)

354. ციტაცია: „როს ენა შვიდი, მათთვის დამშვიდი,
საზრახველ იყო სულთა ყოველთა -
ასურთა, ინდთა, რომთა და სინდთა,
ბერძენთა, სპარსთა, აგ-მაგუგელთა“ (X, 91, 1-2)

ტერმინი: რომთა (რომაელი)

ტერმინი: ბერძენთა (ბერძენი)

383. ციტაცია: „ნესტორად მძლეობ, არათუ ლეობ
დიმიტრის მიერ ძალ-შეზღუდულად“ (XII, 98, 3)

ტერმინი: ნესტორად (ნესტორი)

კომენტარი: პ. ინგოროყვას აზრით, აქ მოხსენიებული „ნესტორი“ ჰომეროსის „ილიადას“ სახელგანთქმული გმირი – ნესტორ პილოსელია.⁴¹⁹

⁴¹⁹ პ. ინგოროყვა. რუსთაველის ეპოქის სალიტერატურო მემკვიდრეობა. რუსთაველის კრებული. ტფილისი, 1938, გვ. 52.

კ. კეკელიძის აზრით, „აბდულმესიანში“ მოხსენებული ნესტორი არის არა ნესტორ პილოსელი, არამედ სხვა ნესტორი, გმირი ჰაგიოგრაფიული ხასიათის თხზულებისა, რომელიც ცნობილია სახელწოდებით „წამება დიმიტრი სოლუნელისა, ან თესალონიკელისა“.⁴²⁰

397. ციტაცია: „პირველ წერანი და საწერანი

პალამიდისგან მოპოვნებულ არს.

398. სიტყვის-მგებლობა, ძნელ-საგებლობა

ზინონისაგან შემოღებულ არს.

399. ტილისმ-მოგვობა, არ-ცუდ-მბორგობა

აპოლონისგან დამტკიცებულ არს.

400. მასთან ასკლიპოს ველარ მუსიკობს,

თვით ქებად თქვენდა განლიგებულ არს“ (XII, 102, 1-4)

ტერმინი: პალამიდისგან (პალამედესი)

ტერმინი: ზინონისაგან (ძენონი)

ტერმინი: აპოლონისგან (აპოლონი)

ტერმინი: ასკლიპოს (ასკლეპიოსი)

411. ციტაცია: „ახალო რომო, შენთვის, თქვეს, რომო

უფროს იქმნეო მყოფთა ყოველთა.

412. ვნატრი ელადსა, თვით მას გელათსა,

სად რომ დაკრძალვენ წმიდათ სხეულთა“ (XII, 105, 3-4)

ტერმინი: რომო (რომი)

ტერმინი: ელადსა (ელადა)

ავტორი: იოანე შავთელი

ეპოქა: XII-XIII სს.

ნაწარმოები: „გალობანი ვარძიისა ღმრთისმშობლისანი“⁴²¹

⁴²⁰ კ. კეკელიძე. ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან. ტ. IV. თბილისი, 1957, გვ. 65-66.

⁴²¹ ქართული პოეზია. ტ. I. ძველი ქართული პოეზია V-XII სს. შემდგ.: ს. ცაიშვილი. თბილისი, 1979.

ნაწარმოების სახეობა: პოეზია

ციტაცია: „ულუმპიანი მძლეობაა მოგუენიჭა,
ლახუარი მხდომთაა და ფარები შეფქვა,
ირემთა სრბითა განმტკიცნეს ტყეთა ფერხნი,
ეტინეველთა ალი აღედვა ურჩთა,
რისხვით დაემხუნეს საყდართაით ურწმუნონი!“ (გვ. 199-200)

ტერმინი: ულუმპიანი (ოლიმპიელი)

კომენტარი: ნ. სულავა: „ულუმპიანი მძლეობაა მოგუენიჭა“ – სიმბოლურად ქართველთა გამარჯვებას მიაწიშნებს, რასაც მომდევნო ტაეპებიც ადასტურებენ; აქ ნათქვამია, რომ მტრის ლახვარი და ფარები დაიმტვრა, ირემებმა ტყეებში სირბილით ფეხები განიმტკიცეს, გაიმაგრეს, ურჩ ეტინეველთა ალი აღეზნოთ, საყდართა რისხვით დაემხნენ ურწმუნონი, მტერი დამარცხდა, რა თქმა უნდა, ღვთისმშობლის წყალობითა და ოხით. აქ არ შეიძლება არ აღინიშნოს ამ ეპოქის საისტორიო მწერლობის მონაცემები, კერძოდ, იოანე შავთელის თანამედროვე „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ ავტორი „ულუმპიანობით“ ამკობს, რაც უზესთაესის, აღმატებულის, ოლიმპიური დიდების გამოვლინებადაა აღქმული. „ულუმპიანობა“ ძლევამოსილების აღმნიშვნელია და საკმაოდ გავრცელებული ჩანს ქრისტიანულ ლიტერატურაში“. ⁴²²

ჩახრუხაძე. ტრადიციის თანახმად, ჩახრუხაძე XIII საუკუნეში მოღვაწე პოეტი, რომელსაც მიეწერება სახოტბო ოდის, „თამარიანის“ ავტორობა. მისი ბიოგრაფიის აღდგენას ქართველი ლიტერატორები თავად ამ ხოტბის მიხედვით ლამობენ, თუმცა მდგომარეობას ართულებს ის, რომ პოემაში ზოგიერთი სტროფი გვიანი დროის ჩანართად არის მიჩნეული. ჩახრუხაძის ცხოვრებისა და შემოქმედების შესწავლას მიეძღვნა მრავალი ნაშრომი, სადაც მკვლევართა ურთიერთგამომრიცხავი მოსაზრებები იყო წარმოდგენილი, მათ შორის ისეთიც, რომელთა თანახმადაც, ამ ავტორს რუსთაველთანაც აიგივებდნენ. ძველ ქართულ ტექსტთა ავტორიტეტული გამომცემელი პ. ინგოროყვა აღნიშნავდა, რომ ჩახრუხაძე 1184-1188 წლებში თამარის კარზე უნდა ყოფილიყო, როგორც კარის მგოსანი, შემდეგ შირვანში გამგზავრებულა, 1193 წლისთვის ის, შესაძლოა, დაბრუნებულიყო სამეფო კარზე, თუმცა კი მალე სამშობლოდან გადახვეწილა. ამის მიზეზი, სავარაუდოდ, თამარისადმი უიმედო სიყვარული უნდა ყოფილიყო. სავარაუდოა ისიც, რომ ჩახრუხაძეს მრავალ ქვეყანაში

⁴²² ნ. სულავა. XII-XIII საუკუნეების ქართული ჰაგიოგრაფია. თბილისი, 2003, გვ. 145.

ემოგზაურა და ბოლოს ჯვრის მონასტერში გარდაცვლილიყო. ამ მოსაზრებებს მკვლევართა უმეტესობა იზიარებს.

* * *

„თამარიანი“ სახოტბო ლექსების კრებულია. მასში ჩართულია სათავგადასავლო შინაარსის ორი სხვა ლექსი, რომელთაც ტრადიციულად ელეგიებს უწოდებენ. ასე რომ ეს თხზულება შეიცავს 11 სახოტბო და 2 სათავგადასავლო ლექსს. მკვლევართა ვარაუდით, სახოტბო ლექსები შეთხზული უნდა იყოს სხვადასხვა დროს სხვადასხვა შემთხვევის გამო. თითოეულ სახოტბო ლექსს აქვს დამოუკიდებელი შინაარსი, საკუთარი ფორმა და განსხვავებული სალექსო რითმა, მაგრამ ყოველი მათგანი თამარ მეფის ქება-დიდებას ემსახურება. აქედან გამომდინარე შინაარსობრივად, იდეურად და კომპოზიციურად „თამარიანი“ მაინც ერთიანი მხატვრული ქმნილებაა. თამართან ერთად ჩახრუხაძე ქებით მოიხსენიებს მის მეუღლეს, დავით სოსლანსა და ტახტის მემკვიდრეს, გიორგი-ლაშას.

„თამარიანი“, ისევე როგორც „აბდულმესიანი“, მკვლევართა აზრით, პოლიტიკური თეოლოგიის ქმნილებათა რანგს განეკუთვნება. შესაბამისად, იგი პოლიტიკურ მიზნებს ისახავს. ავტორი ცდილობს წარმოაჩინოს მეფის ღვთისთანასწორობა, სიბრძნე, სიქველე, რაც სახელმწიფოს ერთმმართველს მესიის დონემდე აღამაღლებს. თეოლოგიური შინაარსით მდიდარი ეს თხზულება ქრისტიანულ თეოლოგიასთან თითქოს შეუთავსებელიც კი არის, რამდენადაც მასში მეფე-ადამიანის ერთგვარი „გაღმერთებაც“ კი იკითხება. ეს მიზანი პოემის დასაწყისშივე ნათელი ხდება. ავტორი ახსენებს სახელოვან ფილოსოფოსებს: დიონისე არეოპაგელს, პლატონს, არისტოტელეს, რაც იმაზე მეტყველებს, რომ თავად კარგად იცნობდა წინამორბედ ეპოქათა ფილოსოფიურ ნააზრევს. აღსანიშნავია, რომ ჩახრუხაძის მოღვაწეობის დროს ქართულად კითხულობდნ „არეოპაგიტული კორპუსის“ თხზულებებს, ცნობილია ისიც, რომ იოანე პეტრიწის მიერ თარგმნილი იყო „თეოლოგიის საწყისებიც“, სადაც პლატონისა და არისტოტელეს ფილოსოფიათა უმნიშვნელოვანესი დებულებებია განხილული.

„თამარიანში“ მრავლად იკითხება ქრისტიანული თეოლოგიის რეცეფციები, მინიშნებები ისტორიულ მოვლენებზე, ნახსენებია ძველბერძნული თუ ძველადრეკლესიული პერსონაჟები, რაც ავტორის განსწავლულობასა და ფართო ერუდიციაზე მიანიშნებს.

თხზულებაში ერთმანეთს ერწყმის ანტიკური, ბიბლიური, აღმოსავლური ლექსიკა თავისი სემანტიკით, მისტიკით, სიმბოლოებით. პოემაში წარმოჩენილია

ქრისტიანული და ეროვნულ-სახელმწიფოებრივი იდეალი, რომელსაც აღრმავებს და მეტ ემოციას სძენს ანტიკურობის რემინისცენციები.

ის, რომ ავტორი კარგად იცნობს ანტიკური სამყაროს მითოსს, ლიტერატურასა და ფილოსოფიას, ეს ნათლად ჩანს პოემის პირველივე სტრიქონებში, სადაც პოეტი აღიარებს, რომ სოკრატეს სიბრძნე და სარამას გრძნება არ არის საკმარისი თამარის შესაქებად. თვით ჰომეროსსა და პლატონსაც კი არ შეუძლიათ მისი ღირსეულად შემკობა (შესავალი, 1-4). მხოლოდ „ბრძენთა ტომელი“ არისტოტელე თავისი „ენა-ძლიერით“ თუ შეძლებს თამარ მეფის წარმოჩენას მთელი დიდებით (შესავალი, 2, 5-6). სხვაგან ვკითხულობთ, რომ სწორედ არისტოტელეს შესწევდა უნარი ხოტბა შეესხა თამარისათვის ისევე, როგორც ჰომეროსმა განადიდა აქილევსი აღწერა რა ტროას ომი. შემდეგ ავტორი აღნიშნავს, რომ მათ ქებაში არა თუ იგი, თავად სოფოკლეს კი ვერ გაეტოლება (XIV, 79, 1-4).

ამ კარედში ინტერესს იწვევს სოფოკლეს ხსენება. მის სახელს, ვფიქრობ, პირველად ვხვდებით „თამარიანის“ ამ ვერსიაში.

თუ ანტიკური ტერმინებისა და სახე-სიმბოლოების თვალსაზრისით შევადარებთ შავთელსა და ჩახრუხადის ხოტბებს, უნდა აღინიშნოს შემდეგი:

ძველი საბერძნეთის ფილოსოფოსნი უფრო მრავლად დასახელებულნი არიან შავთელთან, „აბდულმესიანში“ სულ ცოტა ცხრა ფილოსოფოსი მოიხსენიება სხვადასხვა მიზნით (სოკრატე, პენონი, აფთონი, ჰიპოკრატე, პარმენიდე, პალამედესი, პროკლე, იამბლიქოსი, ჰეროდოტოსი), მაშინ, როდესაც „თამარიანში“ მხოლოდ სამი ფილოსოფოსის სახელი იკითხება:

სოკრატე (შესავალი, 1-4; X, 100, 21-24);

პლატონი (შესავალი, 1-4; II, 23, 15; VII, 51, 53-54; XII, 65, 13; XVII, 100, 21-24);

არისტოტელე (შესავალი, 2, 5-6; XIV, 79, 1-4; XVII, 100, 21-24).

სამაგიეროდ, ჩახრუხადის პოემაში ბერძნული მითოსის მრავალი გმირი მოიხსენიება. ჩანს, ავტორი კარგად იცნობდა როგორც ძველბერძნულ მითოლოგიას, ასევე ლიტერატურას, რაზეც მიუთითებს ისეთი ავტორის მოხსენიება, როგორიც არის სოფოკლე. მას ძირითადად ვიცნობთ როგორც დრამატურგს, მაგრამ „თამარიანის“ ავტორმა იცოდა ისიც, რომ სოფოკლე წერდა ოდებსაც, რასაც გულისხმობს კიდევ მისი მოხსენიების ჟამს (XIV, 79, 1-4). ხშირად იკითხება პოემაში ჰომეროსის სახელიც (შესავალი, 1-4; I, 15, 45-46; VII, 51, 53-54; XIV, 79, 1-4).

რაც შეეხება მითოსურ გმირებს, მათი ნუსხა ასეთია:

კრონოსი (შესავალი, 3,10; XVI, 88, 5);

ზევსი (IV, 26, 6; X, 65,13; XVI, 88, 3);

აქილევსი (V, 35, 25; X, 64, 10-12; XIV, 79, 1-4; XIV, 92, 127-18; XVII, 98, 13);

ასკლეპიოსი (X, 64, 10-12);
სელენე (XVI, 88, 3);, 39, 7);
რეა (XVI, 88, 5);
პირო-ნეოპტოლემოსი (VI, 37, 1).

მითოლოგიურ და ისტორიულ პირთა გარდა „თამარიანში“ გვხვდება გეოგრაფიული და ეთნოგრაფიული ტერმინებიც:

ათენი (შესავალი, 2, 5-6; VII, 39, 7);
ელადა (VII, 38, 1-2);
ელისეს ველი (VII, 50, 49);
ელინი (I, 15, 44-46; VII, 38, 1-2; VII, 41, 16);
იონიელი (IX, 58, 9);
ტროელნი (VII, 41, 16; XIV, 79, 1-4).

როგორც აღვნიშნეთ, ჩახრუხადის „თამარიანის“ შესწავლას მრავალი ნაშრომი მიეძღვნა. მათ შორის უმნიშვნელოვანესია ივ. ლოლაშვილის ფუნდამენტური კვლევა „ძველი ქართველი მეხოტბენი. I. ჩახრუხადე. „ქება მეფისა თამარისი“, რომელიც გასული საუკუნის შუაწლებში (1957 წ.) გამოიცა და დღემდე ქართული ლიტერატურის მესვეურთა სამაგიდო წიგნია. გამოკვლევას თან ერთვის ტექსტის ვარიანტები, საძიებელი და ლექსიკონი, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სრულყოფილი ანალიზისთვის.

ტექსტის სიღრმისეულმა კვლევამ, ერუდიციამ, ჭეშმარიტი ლიტერატორის ინტუიციამ ათქმევინა მკვლევარს, რომ „მთელი თხზულება ჯანსაღი პატრიოტიზმის აპოლოგიაა. ჩახრუხადე „თამარიანში“ მხატვრული სიტყვის ვირტუოზობას აღწევს. იგი აგრძელებს იმ ლიტერატურულ ტრადიციებს, რომელნიც დაამკვიდრეს XI-XII საუკუნეების ქართული სასულიერო და საერო მწერლობის ბრწყინვალე წარმომადგენლებმა. იგი მტვირთველია იმ ენციკლოპედიური განათლებისა, რომელსაც დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის ეპოქა თხოულობდა“.⁴²³ ენციკლოპედიურ განათლებაში, ბუნებრივია, იგულისხმება ანტიკური მითოლოგია, ლიტერატურა და ფილოსოფია, რომლის რეცეფციებიც ასე უხვად დაიმეზნება ამ პატრიოტული სულისკვეთებით დაწერილ თხზულებაში.

⁴²³ ძველი ქართველი მეხოტბენი. I. ჩახრუხადე. „ქება მეფისა თამარისი“. ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ივ. ლოლაშვილმა. თბილისი, 1957, გვ. 9.

ამონარიდები:

ავტორი: ჩახრუხაძე

ეპოქა: XII-XIII სს.

ნაწარმოები: „თამარიანი“ (ქება მეფისა თამარისი)⁴²⁴

ნაწარმოების სახეობა: პოეზია

ციტაცია: „სოგრატ სიბრძნითა, სარამა გრძნითა
ვიყვნეთ, ვერა ვიქმთ საწადიერსა;
უმიროს, პლატონ სიტყვა დამატონ,
თვით ვერა მიჰხვდენ შესატყვიერსა“ (შესავალი, 1-4)

ტერმინი: სოგრატ (სოკრატე)

ტერმინი: უმიროს (ჰომეროსი)

ტერმინი: პლატონ (პლატონი)

ციტაცია: „არისტოტელო, ბრძენთა ტომელო,
თუ არა შესძლებ ენა-ძლიერსა,
ათინას თქმულა, სიღრმით დანთქმულა;
ვერავინ სრულ-ჰყოფს მას მეცნიერსა“ (შესავალი, 2, 5-6)

ტერმინი: არისტოტელო (არისტოტელე)

ტერმინი: ათინას (ათენი)

ციტაცია: „ღაწვი მწყაზარი – ა, მულღაზარი,
უგავს ელობა კრონოს ციერსა“ (შესავალი, 3, 10)

ტერმინი: კრონოს (კრონოსი)

ციტაცია: „ელნი ელნობდეს, ვინ სოგრატ ბრძობდეს,
იგია მისთვის შემსგავსებულად;
გინა უმიროს, გულსა უგმიროს,
ვის ძალ-აქვს ცნობა განმარტებულად“ (I, 15, 45-46)

⁴²⁴ ქართული პოეზია. ტ. I. ძველი ქართული პოეზია V-XII სს. შემდგ.: ს. ცაიშვილი. თბილისი, 1979.

ტერმინი: ელნი (ელინი), სოგრატი (სოკრატე)
ტერმინი: უმიროს (ჰომეროსი)

ციტაცია: „ვერ მიგწვდენ ქებად – სხდენ თვითვე ვნებად!
პლატონის ენა, დავითის ქნარი“ (II, 23, 15)

ტერმინი: პლატონის (პლატონი)

ციტაცია: „არა თუ ზევსი, არათ უზევსი,
არ, შენ ხარ მნათი დაუყოვნებად!“ (IV, 26, 6)

ტერმინი: ზევსი

ციტაცია: „თულამე მთენი, თუ ღამე მთენი
აქილოს ჰპოვნე, მამაკლე ბარე“ (V, 35, 25)

ტერმინი: აქილოს (აქილეუსი)

ციტაცია: „ახალო პირო, მძლეო ნოსრ ვითა,
ბრძენმან გასახა, ასურმა, ისო. (VI, 37, 1)

ტერმინი: პირო (ნეოპტოლემოსი)

კომენტარი: ივ. ლოლაშვილის აზრით, „კონტექსტიდან ირკვევა, რომ საინტერპრეტაციო სტროფში შექცეულია ახალგაზრდა ლაშა გიორგი, რომელსაც პოეტი უწოდებს ახალ პიროს. პიროს სახელით ცნობილია ორი პიროვნება: აქილეუსის ძე ნეოპტოლემი და დიდი მხედართმთავარი პირო, მეფე ეპირისა (319-272 წწ.), რომელიც მაკედონელებთან ბრძოლაში იქნა მოკლული. ამ შემთხვევაში უნდა ვიგულისხმოთ აქილეუსის ძე ნეოპტოლემი, რომელმაც მამასთან ერთად თავი ისახელა ტროადის ბრძოლებში. პოეტი დავითისა და გიორგის საქებად მშვენიერ ანალოგიებს მიმართავს: თუ დავით სოსლანი აქილეუსის მსგავსი გმირია, მისი შვილი გიორგი ახალი პიროა, ძე აქილეუსისა“.⁴²⁵

ციტაცია: „ჰე, ფილოსოფოსნი დაწყებად მყოფნი,

⁴²⁵ ძველი ქართველი მეხოტბენი. I. ჩახრუხაძე. „ქება მეფისა თამარისი“. ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ივ. ლოლაშვილმა. თბილისი, 1957, გვ. 101.

გონება-ვრცელნი რიტორთა წვევად,
ელენტა შვილნი, ელადს სწავლილნი,
ენა-მზეობდეს სიტყვათა რჩევად“ (VII, 38, 1-2)

ტერმინი: ელენტა (ელინი)
ტერმინი: ელადს (ელადა)

ციტაცია: „მესმა ათენით: თქვენ გაათენით,
ცუდად გაიჭრნეს ღამეთა თევად...“ (VII, 39, 7)

ტერმინი: ათენით (ათენი)

ციტაცია: „განატრო ელნთა: უმძიმს ტროელთა
არ შენთვის მკვდარ-ქმნა ელენტ სათნევად“ (VII, 41, 16)

ტერმინი: ტროელთა (ტროელი)
ტერმინი: ელნთა, ელენტ (ელინი)

ციტაცია: „იტყვიან მნახნი, ხმა-მაღლად მზახნი:
„ილვისო ველსა ჰგავს ნაჯუფთევად“ (VII, 50, 49)

ტერმინი: ილვისო (ელისეს ველი)

კომენტარი: ივ. ლოლაშვილი: „სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით, „ილვისიოსი, რომელ არს ოლვისიოსი, გინა აპოლვიოსი, ესრეთ გამოითარგმნების ვითარმედ: განსასუენებელი უჯაჭო, ესე იგი არს ჭსნილი, თავისუფალი ტანჯვისგან“ (ნახეთ ილვისიოსი). ამ „უჯაჭო განსასვენებელს“, სადაც ადამიანის სული თითქოს თავისუფალია ყოველნაირი ტანჯვისგან, ქრისტიანული რელიგიით სამოთხე ეწოდება, ბერძნული წარმართული მითოლოგიით კი – ელისეის მინდორი, ანუ ილვისიოსის (ილვისოს) ველი (ელიზიუმი). მართლაც, იოანე პეტრიწთან ილვისიოს ველი სამოთხეს ნიშნავს... მაშასადამე, ილვისოს ველი იგივე სამოთხეა, რომელიც ბერძენთა მითოლოგიამ შექმნა წარმართ გმირთა განსასვენებლად“.⁴²⁶

ციტაცია: „თუ ძნობდეს ენოს, კვლა დაიყენოს

⁴²⁶ ძველი ქართველი მეხოტბენი. I. ჩახრუხაძე. „ქება მეფისა თამარისი“. ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ივ. ლოლაშვილმა. თბილისი, 1957, გვ. 112-113.

პლატონ მუსიკი მწყობრ-შენასხმევად;
უხმნა ომიროს, სამფსონ და კვიროს
აწ შენთვის აღძრნა გამოსაკვლევად“ (VII, 51, 53-54)

ტერმინი: პლატონ (პლატონი)
ტერმინი: ომიროს (ჰომეროსი)

ციტაცია: „წავიდის ხმელსა, იონთა ველსა
მუნ სადა მეფედ ზის კეისარი“ (IX, 58, 9)

ტერმინი: იონთა ველსა (საბერძნეთი)
კომენტარი: ივ. ლოლაშვილის ლექსიკონში „იონი“ განმარტებულია როგორც „იონიელი“ ანუ „ბერძენი“, ხოლო „იონთა ველი“ – როგორც „საბერძნეთი“.⁴²⁷
ტერმინი: კეისარი

ციტაცია: „ბნელთა მთენოსა გკადროთ ენოსა,
ანუ უმიროს ყოზადთა მცნელი.
ანუ გთქვათ ისი: არს ბრძენთა თვისი,
ასკილიპოსებრ გონება-ვრცელი!
არ გგვანდეს დარი, ხოსრო დადარი,
საამ-აქილევ, დებორა ქველი!“ (X, 64, 10-12)

ტერმინი: უმიროს (ჰომეროსი)
ტერმინი: ასკილიპოსებრ (ასკლეპიოსი)
ტერმინი: აქილევ (აქილევსი)

ციტაცია: „არცხვენ მოზეთა, მოსამომზღვრეთა
ღმრთად ზევსის ნაქესთა ვიეთთა მთხზველი“ (X, 65, 13)

ტერმინი: ზევსის (ზევსი)

ციტაცია: „მწადდა-რე ძნობა, ვრცელად განბრძნობა
სამუსიკოთა შენასხამისად,

⁴²⁷ ძველი ქართველი მეხოტბენი. I. ჩახრუხაძე. „ქება მეფისა თამარისი“. ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ივ. ლოლაშვილმა. თბილისი, 1957, გვ. 238.

მით ვერ ვეგები, მით ვერ ვეგები
პლატონისა შენასხამისად“ (XII, 65, 13)

ტერმინი: პლატონისა (პლატონი)

ციტაცია: „შენთვის ხმდა არისტოტელი,
დიონოს წიგნთა შესხმანი
მსგავსად აქილევ – ტროელთა
უმბროსისგან შესხმანი
ვერცა დამეტებს სოფოკლი
არა თუ ჩემნი შესხმანი“ (XIV, 79, 1-4)

ტერმინი: არისტოტელი (არისტოტელე)
ტერმინი: აქილევ (აქილევსი)
ტერმინი: ტროელთა (ტროელი)
ტერმინი: უმბროსისგან (ჰომეროსი)
ტერმინი: სოფოკლი (სოფოკლე)

ციტაცია: „ზევსმან მზედ გიცნა, სამყოფი გიქმნა
სელონის ეტლთა მოგირბევანი“ (XVI, 88, 3)

ტერმინი: ზევსმან (ზევსი)
ტერმინი: სელონის (სელენე)

ციტაცია: „ა რეა! კრონოს ენა გარდმკონოს,
ვარდთა გიდარნე ნაშვენებანი“ (XVI, 88, 5)

ტერმინი: რეა
ტერმინი: კრონოს (კრონოსი)

ციტაცია: „თარშით და დალბით, ეგვიპტ-ალაბით
სძღვნეს ნიჭად თვალნი და მონებანი
მცრობსა აქილევს, მბრძოლთა აქ ილევს,
რა მძლედა ა, ვიდის მოხსენებანი“ (XVI, 92, 17-18)

ტერმინი: აქილევს (აქილევსი)

ციტაცია: „ჯაჭვ-ჭურთა მფრქველი გამოჩნდა ქველი
და აქილევთა დაუწყო ძლებად“ (XVII, 98, 13)

ტერმინი: აქილევთა (აქილევსი)

ციტაცია: „ვერა დამატონ სოგრატ და პლატონ,
ძნობდეს [ორნივე] ეფრემის წყებად.
აპეტოსისგან მოპოვებულ არს
ქვეყნისა ზომა ქალდეველებად.
ვარსკვლავთ აღრიცხვა – ზოროასტროსგან;
ვერცა მათ ხელ-ყვეს შენდა დარებად,
არისტოტელმან მეძიებელმან
თავი თვით მისცა სამიებელად“ (XVII, 100, 21-24)

ტერმინი: სოგრატ (სოკრატე)

ტერმინი: პლატონ (პლატონი)

ტერმინი: არისტოტელმან (არისტოტე)

ბოლოსიტყვა

XII-XIII საუკუნეები, როდესაც ქართული მწერლობის უმნიშვნელოვანეს მოვლენად საერო ლიტერატურის აღმოცენება და მისი სწრაფი აღმავლობა დაფიქსირდა, კლასიკის პერიოდად შეირაცხა. ეს იყო დავით აღმაშენებლისა და თამარის მეფობის ხანა, როდესაც ქვეყნის ძლევამოსილებასთან ერთად გამოჩნდა საქართველოსა თუ მის ფარლებს გარეთ განათლებამიღებული საზოგადოება, რომელიც იდგა რა ეროვნულ ნიადაგზე, შემოქმედებითად ითვისებდა როგორც ევროპულ, ასევე ისლამური აღმოსავლეთის მემკიდრეობას.

XII-XIII საუკუნეები, ევროპული რენესანსის წინა პერიოდი, უმნიშვნელოვანესია კულტურის ისტორიაში. დასავლეთ ევროპის კულტურის უშუალო წყარო გვიანი ხანის რომი იყო. ხალხთა გადასახლებების მძლავრი ტალღისა და რომის დასავლეთ იმპერიის დამხობის შემდეგ აღორძინებული ლათინური ენა განათლებულობის ენად იქცა. შუა საუკუნეების ქრისტიანული იდეოლოგიის ცნობიერებაში გადააზრებულმა

ანტიკურობის სახეებმა და სიმბოლოებმა საკუთარი ადგილი დაიმკვიდრეს იმ პერიოდის ხელოვნების სახეთა, სიმბოლოთა თუ აღნიშვნათა რთულ იერარქიაში. იმხანად დიდი იყო ანტიკურობის სახელოვან პოეტთა, ორატორთა თუ ფილოსოფოსთა ავტორიტეტი. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ის, რომ შუა საუკუნეებმა ადამიანისა და მისი ღირსების სრულიად ახალი გაგება შექმნა. ამ შემთხვევაში იდეოლოგიასთან ერთად მნიშვნელოვანი როლი ითამაშა იმანაც, რომ დასავლეთ ევროპაში ახალი კულტურის ჩამოყალიბებისას ანტიკურობის საკმაოდ ტრანსფორმირებულ ნაწარმებთან ერთად დიდი იყო წვლილი ე.წ. „ბარბაროსთა“ სტიქიისა, იმ ტომთა ხალხურ-ფოლკლორული ტრადიციისა, რომლებმაც დაანგრეს დამაბუნებელი რომის იმპერია. შუა საუკუნეების ევროპის კულტურა, რომელიც ჩამოყალიბების პროცესში იყო, ქმნიდა სულიერებით, დრამატული დინამიკით აღსავსე ხელოვნების სინთეზს თავისებური კონცეფციის გამოყენებით და ყველა შემთხვევაში მიმართავდა ანტიკურობის სამწერლო გამოცდილებასა თუ სახისმეტყველებას. არ უნდა დავივიწყოთ ისიც, რომ ევროპული შუა საუკუნეების იდეოლოგიური სისტემის საფუძველი – ქრისტიანობა – ჩაისახა გვიანი ანტიკურობის წიაღში. ანტიკური კულტურის საფუძვლებთან ბრძოლისა თუ მისი თავისებურად ინტერპრეტაციის პროცესში ევროპული შუა საუკუნეები თავისთავად უკვე დაკავშირებული იყო ანტიკურობასთან. ნეოპლატონიკოსთა მემკვიდრეობა და არისტოტელეს ფორმალური ლოგიკა ღვთისმეტყველურ-ფილოსოფიურ აზრს საფუძვლად ედო არა მხოლოდ დასავლეთ ევროპასა თუ ბიზანტიაში, არამედ არაბეთშიც. იქ არსებულ საგანმანათლებლო კერებში მოღვაწეობდნენ იმდროინდელი ქართული ელიტის წარმომადგენლები და, ამიტომ, ბუნებრივია, ქართული საერო ლიტერატურა ევროპულის ანალოგიურად ვითარდებოდა. იგი უზვად სარგებლობდა იმ იდეებითა და გამომსახველობითი ხერხებით, რაც მოიპოვებოდა ტრადიციულ სასულიერო თუ ევროპულ ლიტერატურაში. ამ ნიადაგზე იქმნებოდა მაღალი ეროვნული თვითშეგნების გამომხატველი თხზულებები, რომელთა ავტორები განადიდებდნენ რა ქვეყნის მონარქებს, იმდროინდელი საქართველოს სამეფოს მისიას ქადაგებდნენ.

სახოტბო პოეზიაში დადასტურებული ანტიკური სახელებისა და ტერმინების განმარტებანი

ფილოსოფოსნი და ფილოსოფიური ტერმინები:

არისტოტელე (არისტოტელი) – ბერძენი სწავლული და ფილოსოფოსი (ძვ.წ. 384-322 წწ).

აფთონი (აფთონ) – ბერძენი ფილოსოფოსი, რომელიც მოღვაწეობდა III-IV საუკუნეებში.

იამბლიქოსი (იამვლიხო) – ბერძენი ფილოსოფოსი ქალკისიდან (დაახლ. 280-330 წწ.) ნეოპლატონიზმის სირიული სკოლის დამაარსებელი.

პარმენიდესი (პარმენიდი) – ბერძენი ფილოსოფოსი (დაახლ. ძვ.წ. 540-470 წწ.), ელელთა სკოლის წარმომადგენელი.

პლატონი (პლატონ) – ბერძენი ფილოსოფოსი (ძვ.წ. 427-347 წწ.).

პროკლე დიადოქოსი (პროკლეს) – ფილოსოფოსი, ნეოპლატონიკოსი (412-485 წწ.).

სოკრატე (სოგრატი) – ბერძენი ფილოსოფოსი (ძვ.წ. 469-389 წწ.) პლატონის დიალოგების მთავარი პერსონა.

ძენონი (ზენონ) – ბერძენი ფილოსოფოსი (დაახლ. ძვ.წ. 469-389 წწ.) პარმენიდესის მოწაფე, ელელთა სკოლის წარმომადგენელი.

პეროდიკოსი (იროკი) – ბერძენი ფილოსოფოსი და ექიმი (ძვ.წ. V-IV სს.), სოფისტი, ჰიპოკრატესის მოძღვარი.

ჰიპოკრატესი (ბოლირატი) – ძველი საბერძნეთის სახელოვანი მკურნალი, ექიმი და ფილოსოფოსი (დაახლ. ძვ.წ. 460-370 წწ.); ისტორიაში ცნობილია როგორც „მედიცინის მამა“.

პერიპატიკული (პერიპატოსა) – არისტოტელეს სკოლა

ატიკული (ატიკულისა) – ძველბერძნული (ფილოსოფიური მოძღვრება)

პატრიკული (პატრისტიკული ღვთისმეტყველება)

გეოგრაფიული სახელები:

ათენი (ათინა) – ქალაქი საბერძნეთში

ელადა – საბერძნეთი

იონთა ველი – საბერძნეთი

პოეტნი და კეისარი:

მენანდროსი (მენანდრი) – ბერძენი კომედიოგრაფოსი (ძვ.წ. 342-292 წწ.)

სოფოკლე (სოფოკლი) – ბერძენი დრამატურგი (ძვ.წ. 496-406 წწ.), წერდა სახოტბო შინაარსის პანეგირიკებსაც.

ჰომეროსი (უმიროს) – ბერძენი ეპიკოსი, „ილიადისა“ და „ოდისეას ავტორი“.

კეისარი – რომის იმპერატორი ძვ.წ. 100/102-44 წწ. სახელმწიფო მოღვაწე, მთავარსარდალი და მწერალი. ავტორი თხზულებისა: „სამოქალაქო ომის ჩანაწერები“; გალიის ომის შესახებ“.

მითოსური გმირები და ტერმინები:

აპოლონი (აპოლონ) – ბრძენი ღვთაება, მზისა და სინათლის განმასახიერებელი ღმერთი, წინასწარმეტყველი, მკურნალი და ხელოვნების მფარველი.

ასკლეპიოსი (ასკლიპო) – მკურნალი ღვთაება, აპოლონის ძე.

აქილეესი (აქილოს, აქილეე) – ტროას ომის მონაწილე, ჰომეროსის „ილიადას“ გმირი.

ზევსი – ბერძნული მითოსის უზენაესი ღვთაება.

კრონოსი (კრონოს) – ზევსის მამა.

ნესტორი (ნესტორ) – ტროას ომის მონაწილე, ბრძენი გმირი.

პალამედესი (პალამედი) – მით. გმირი, რომელსაც ანბანისა და მრავალი სხვა ხელოვნების გამოგონება მიეწერება. ტროას ომის მონაწილე.

პირო (ნეოპტოლემოსი) – აქილეესის ძე, ტროას ომის მონაწილე.

რეა – კრონოსის მეუღლე, ზევსის დედა.

სელენე (სელონი) – მთვარის ღვთაება.

ელისეს ველი (ილვისო) – მით. ელისიონი, ნეტართა ლეგენდარული ქვეყანა.

ოლიმპიელი (ულუმპიანი) – ბერძნულ პანთეონში ასე ეწოდებოდა ოლიმპოსზე დავანებულ ყველა ღმერთს. ტექსტის მიხედვით: უზესთაესი, აღმატებული, ძალმოსილი.

მეორე თავი
ანტიკურობა ძველ ქართულ ლიტერატურაში (XVII-XVIII სს.)

XVII-XVIII საუკუნეების ლირიკა და სამოგზაურო-მემუარისტული პროზა

მაია დანელია

XVII-XVIII საუკუნეების ქართული ლიტერატურა ანტიკურობის რეცეფციის თვალსაზრისით არსებითად ეყრდნობა წინა საუკუნეებში დაგროვილ ცოდნას. როგორც ამ ნაშრომის წინა თავიდან ჩანს, რომ ამ პროცესს უწყვეტი ხასიათი ჰქონდა. აღსანიშნავია, რომ ყველა ეპოქისთვის დამახასიათებელია გარკვეული ტენდენციები, რომლებიც განაპირობებდა ამა თუ იმ ტერმინის თუ მითოლოგიური სიუჟეტის პოპულარობას. ეს ტენდენციები კარგად ჩანს XVII-XVIII საუკუნეების ქართულ ლიტერატურაშიც, სადაც ვხედავთ ტრადიციულად დამკვიდრებული ტერმინების გვერდით ახალი ტერმინების და კონტექსტების შემოტანის მცდელობას, თუმცა უნდა ითქვას, რომ ანტიკურობის შემოქმედებითად ათვისების პროცესი გაცილებით მასშტაბურ სახეს იღებს XIX საუკუნიდან, როდესაც საქართველოს უფრო ინტენსიური პოლიტიკურ-ეკონომიკური თუ კულტურული ურთიერთობები აქვს იმ პერიოდის მსოფლიოს მნიშვნელოვან აქტორებთან.

ამ თავში შევეცდებით დავაკვირდეთ XVII-XVIII საუკუნეების მწერლების შემოქმედებას რამდენიმე ასპექტით: როგორი დამოკიდებულება აქვთ მწერლებს ანტიკურობის რეცეფციასთან, შემოქმედებითად და ნოვატორულად უდგებიან ამ საკითხს, თუ მექანიკურად გადმოაქვთ წინა საუკუნეებში დამკვიდრებული ტერმინები, აქვს ამ პროცესს გაცნობიერებული თუ გაუცნობიერებელი ხასიათი, განსხვავდება თუ არა პრეფერენციები ჟანრების (პოეზია-პროზა) მიხედვით. ამ თვალსაზრისით განვიხილავთ რამდენიმე პოეტის (თეიმურაზ I, არჩილი, ვახტანგ VI, ბესიკი, დავით სარდალი, დავით ბაგრატიონი, დავით რექტორი) და პროზაიკოსის (სულხან-საბა ორბელიანი, ტიმოთე გაბაშვილი) შემოქმედებას.

ვიდრე უშუალოდ ანტიკურობის რეცეფციის პროცესს დავაკვირდებით, შევხვით აღნიშნული პერიოდის პოლიტიკურ, სოციალურ და კულტურულ ასპექტებს, რაც გარკვეულწილად განსაზღვრავდა ამ პერიოდის მწერლების მსოფლალქმასა და შემოქმედებით გზას.

საქართველო ამ პერიოდში დაყოფილია რამდენიმე სამეფოდ (ქართლი, კახეთი, იმერეთი) და სამთავროდ (გურია, სამეგრელო, აფხაზეთი, სვანეთი) და საკმაოდ

რთული ვითარებაა ქვეყნის შიდა პოლიტიკაში. ერთი მხრივ, ამ სამეფოებს და სამთავროებს ერთმანეთთან აქვთ დაპირისპირება და, მეორე მხრივ, ქართველ მეფეებს უწევთ საგარეო მტრების, ოსმალეთისა და ირანის, აგრესიის მოგერიება. აღმოსავლეთ საქართველოს უწევს გაუმკლავდეს ირანის შაჰ-აბას I-ის შემოსევებს და დასავლეთ საქართველოც პრაქტიკულად ირანის პოლიტიკური გავლენის ქვეშაა. დიდწილად არის დამოკიდებული ქვეყნის ცხოვრება ოსმალეთთან და ირანთან ურთიერთობების დარეგულირებაზე და, მეორე მხრივ, ევროპასთან კავშირების დამყარების მცდელობაზე, რაც განსაკუთრებით ინტენსიურ ხასიათს იღებს XVIII საუკუნის დასაწყისიდან. შესაბამისად, ჩნდება სივრცე დასავლური განათლების და სიკეთეების შემოსვლისთვის. უმჯობესდება საგანმანათლებლო მიმართულება, იხსნება სკოლები, დიდი ყურადღება ენიჭება სასტამბო საქმის განვითარებას და წიგნთსაცავების მოწესრიგებას.⁴²⁸ სულ სხვა საფეხურზე ადის წიგნის ბეჭდვის ხელოვნება, რაც წიგნს უფრო ხელმისაწვდომს ხდის ფართო საზოგადოებისთვის, და ამ თვალსაზრისით ძალიან მნიშვნელოვანი იყო მეფე-პოეტების (თეიმურაზ I, არჩილი, ვახტანგ VI) წვლილი. ვითარდება სხვადასხვა ჰუმანიტარული თუ საბუნებისმეტყველო დარგი.

ნიშანდობლივია ის, რომ, მიუხედავად რთული შიდა თუ საგარეო პოლიტიკური სიტუაციისა, ლიტერატურული პროცესები, XV-XVI საუკუნეების სტაგნაციის პერიოდისგან განსხვავებით, უფრო აქტიურდება XVII-XVIII საუკუნეებში. ინტენსიურია მთარგმნელობითი პროცესი და აღმოსავლური სიუჟეტებისა და მოტივების პარალელურად ხდება ევროპულ ლიტერატურულ ტრადიციასთან შეხვედრა, რაც გარკვეულწილად აისახება ლიტერატურაში მრავალფეროვანი გამომსახველობითი ფორმების გაჩენით და თემატიკის გამრავალფეროვნებით. სივრცის გახსნამ და ევროპასთან დაახლოების სურვილმა ასახვა პოვა სამოგზაურო-მემუარისტული ჟანრის განვითარებაში, მოგზაურობის შედეგად დაგროვილი ცოდნის ლიტერატურული ფორმით ასახვაში. შუა საუკუნეებისათვის დამახასიათებელი სარაინდო რომანების გვერდით ჩნდება ახალი ჟანრები, განსაკუთრებული ადგილი ჰქონდა იგავ-არაკული ჟანრის განვითარებას, სატირას, საისტორიო ეპოსს. განსაკუთრებულად პოპულარული ხდება ეპოსის ჟანრის გვერდით ლირიკა, რადგან აქ მწერალს აქვს მეტი თავისუფლება და მოქნილი ფორმა მისი გრძნობების, აზრების გადმოსაცემად.

ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა მეფე-პოეტების შემოქმედებაზე დაკვირვება, რადგან, ერთი მხრივ, ისინი არიან პოლიტიკური ფიგურები, რომლებიც

⁴²⁸ დაწვრილებით ამ ეპოქის მიმოხილვისთვის იხ. კ. კეკელიძე. ქართული ლიტერატურის ისტორია. ტ. II. თბილისი, 1958.

პასუხისმგებლები არიან ქვეყნის საგარეო კურსზე და შიდა პოლიტიკის დარეგულირებაზე და, მეორე მხრივ, ამ საქმესთან ითავსებენ პოეტურ საქმიანობასაც. ეს გარკვეულწილად განპირობებულიც იყო იმ ფაქტორით, რომ ხშირ შემთხვევაში გამოუვალ სიტუაციაში ისინი იძულებული ხდებოდნენ გადახვეწილიყვნენ საკუთარი ქვეყნის რომელიმე კუთხეში ან სულაც სხვა ქვეყნებში, იქნებოდა ეს ოსმალეთი, ირანი თუ რუსეთი. მწერლობით თავშექცევა მათთვის საუკეთესო თავშესაფარს წარმოადგენდა. ეს იყო, ალბათ, ერთადერთი ადგილი, სადაც ისინი თავს თავისუფლად გრძნობდნენ, გამოეთქვათ პირადი სათქმელი თუ ემოციები, წუხილი, რაც გამოწვეული იყო ქვეყანაში შექმნილი უმძიმესი სიტუაციით, სამშობლოდან იძულებითი გადახვეწით, ქვეყნის ბედზე ფიქრით. რთული პოლიტიკურ-სოციალური სიტუაცია თავის გამოძახილს პოულობდა ლირიკაში, გამომდინარე იქიდან, რომ ეს იყო საკმაოდ მოქნილი ფორმა საკუთარი აზრისა თუ ემოციის გადმოსაცემად.

რამდენადაც ჩვენ გვაინტერესებს ავტორების კვლევა ანტიკურობის რეცეფციის თვალსაზრისით, თავდაპირველად შევეცდებით ვაჩვენოთ, თუ როგორ აისახა ეს პროცესი ლირიკოსების შემოქმედებაში; დავიწყოთ მეფე-პოეტებით. რამდენადაც თეიმურაზ I-თან და ვახტანგ VI-სთან ცალკეული ტერმინები გვხვდება, ჯერ ამ პოეტებს შევხებით, ხოლო არჩილის შემოქმედებას, სადაც ამ პროცესს გაცნობიერებული ხასიათი აქვს და არა მხოლოდ ცალკეულ ტერმინს ვხვდებით, არამედ მრავალფეროვან მასალას, უფრო დეტალურად განვიხილავთ.

თეიმურაზ I (1589-1663) – თეიმურაზის მეფობის პერიოდი დაემთხვა საკმაოდ არეულ პოლიტიკურ პერიოდს, და მას უწევდა გადასახლებაში ყოფნა გარკვეული დროის მანძილზე, იქნებოდა ეს საქართველოს რეგიონები თუ სხვა ქვეყნები ოსმალეთი, სპარსეთი, რუსეთი. მას, ერთი მხრივ, უწევდა, საგარეო მტერთან ბრძოლა, ამ დროს შაჰ-აბასი არაერთგზის შემოესია საქართველოს, და, მეორე მხრივ, არეული მდგომარეობა ჰქონდა ქვეყნის შიგნითაც ფეოდალებთან და ქართლის მეფეებთან. ეს სირთულეები აისახა მის ცხოვრებაზეც. მისი ოჯახის წევრები, დედა ქეთევან დედოფალი, შვილები და და შეეწირნენ შექმნილ ვითარებას და თვითონაც უწევდა ყველა ხერხით თავის გადარჩენა. ამ რთულ სიტუაციაში მისთვის საუკეთესო თავშესაფარს წარმოადგენდა ლიტერატურა. კარგად იცოდა სპარსული ენა და მწერლობა. მან სპარსულიდან ქართულად თარგმნა ცნობილი პოემები: „ვარდულებულიანი“, „ლეილმაჯუნღიანი“, „შამიფარვანიანი“, „იოსებზილიხანიანი“. თეიმურაზ I-ის შემოქმედებაში გვხვდება როგორც სასულიერო, ასევე სასულიერო

თემატიკა. მან დაამკვიდრა მაჯამური ლექსის ფორმა, განავითარა გაბაასების ჟანრი, რასაც გამგრძელებლებიც გამოუჩნდნენ მოგვიანებით.⁴²⁹

ანტიკურობის რეცეფციის თვალსაზრისით ჩვენთვის საინტერესოა მისი ლირიკული პოემა „მაჯამა“.⁴³⁰ მაჯამა არის სხვადასხვა გამორჩეული ლექსების კრებული. თეიმურაზი ასე განმარტავს მაჯამას: „ლექსთა ღარიბთა, უცხოთა, რომელ არს გამოკრებული, / მომინდა წერა ამისთვის: არ იქმნას დავიწყებული“. ამ კრებულში თავმოყრილია სასიყვარულო ლექსები და არ არის გასაკვირი, რომ პოეტი ძალას არ იშურებს სატრფოს ხოტბის შესასხმელად. ერთ-ერთი გავრცელებული პოეტური ხერხია ბრძენკაცების მოხმობა სატრფოს მშვენიერების გადმოსაცემად: „ვერ გაქვს ბრძენთა კრებულმან, უტყვ იქმნეს, პირი დაეყო“ (I. მზე ცუდ მაშვრალობს); „კარგს კაცთან ბრძენთა სიტყვასა ვერა სჯობს, იგ სალხინო სვა“ (IV. ტურფა ხარ შვენიერებით); „მისად ქებად ბრძენთა ჰმართებს ენა ქებად და მალემა“ (VII. ეშურების ბაგე ვარდი). ჩვენთვის საინტერესოა ამ კრებულის მესამე ლექსი (III. მზე უნათლე ჰქმენ), სადაც თეიმურაზს მეტი დამაჯერებლობისთვის სჭირდება ერთ-ერთი ბრძენის სახელით მოხსენიება და იგი ახსენებს ტერმინს „დიონისითურთ“:

„ბრძენთა მოვასხამ საქებრად დიონისითურთ კრებულად,
მაგრამ ვით ხელჰყონ, მზე ნახეს თვით შენგან ნათელკლებულად!
ბაკნი მოგიძვნა მთვარემან, გნახა უმეტეს ვსებულად,
გლახ, ჰმუნვით გახდა, პირს იცა, – მუნით აჩნია ლებულად“.

ტერმინი „დიონისოსი“ ადრეული პერიოდების მწერლებთანაც გვხვდება, და აქ უნდა იგულისხმებოდეს დიონისე არეოპაგელი. ივ. ლოლაშვილი აღნიშნავს, რომ აღორძინების ხანის მწერლებმა კარგად იცოდნენ დიონისე არეოპაგელი, რომელსაც ხშირად მოიხსენიებდნენ თავიანთ თხზულებებში.⁴³¹

უნდა აღინიშნოს, რომ თეიმურაზზე, ისევე როგორც რუსთაველის შემდგომი ეპოქის ავტორებზე, დიდი გავლენა ჰქონდა „ვეფხისტყაოსანს“. თეიმურაზ I-ის შემოქმედებაშიც გვხვდება მთელი რიგი პოეტური სახეები, რომლებიც რუსთაველის ინსპირაციით არის შექმნილი, ამდენად, არ არის გამორიცხული, რომ ამ შემთხვევაშიც მისი წყარო რუსთაველი ყოფილიყო, რომელთანაც ეს სახელი „დიონოს“ ფორმით გვხვდება. კერძოდ, ეს ტერმინი გვხვდება იმ ეპიზოდში, სადაც ნესტანის გათავისუფლების შემდეგ გმირები თავიანთ სამშობლოში ბრუნდებიან და რუსთაველი ბოროტების უარსობის და სიკეთის არსის შესახებ ლაპარაკობს:

„ამ საქმესა დაფარულსა ბრძენ დიონოს გააცხადებს:

⁴²⁹ თეიმურაზის შემოქმედების მიმოხილვისთვის იხ. ალ. ბარამიძე. ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან. ტ. II. თბილისი, 1940, გვ. 114-133.

⁴³⁰ თეიმურაზ I. თხზულებათა სრული კრებული. თბილისი, 1934.

⁴³¹ ივ. ლოლაშვილი. არეოპაგეტიკის პრობლემები. თბილისი, 1972, გვ. 70.

ღმერთი კარგსა მოავლინებს, ავ-ბოროტსა არ დაჰბადებს,
ავსა წამ-ერთ შეამოკლებს, კარგსა ხან-გრძლად გააკვლადებს,
თავსა მისსა უკეთესსა უზადო-ჰყოფს, არ აზადებს“ (1491)

ე. ხინთიბიძის აზრით, სახელი „დიონოსი“, თანაც სიტყვა ბრძენის გვერდით, „ვეფხისტყაოსნის“ გადამწერისა და მკითხველისათვის ნაცნობი და ბუნებრივია.⁴³²

ეს ტერმინი გვხვდება ასევე ჩახრუხადის „თამარიანშიც“ („ქება მეფისა თამარისი“), სადაც ჩამოთვლილია როგორც ანტიკური ფილოსოფოსები, მწერლები, ფილოსოფოსები: სოკრატე, პლატონი, არისტოტელე, ჰომეროსი, ასევე ქრისტიანი ფილოსოფოსი დიონისე არეოპაგელი.

„გვიან შენებრთა ძეხმანი,
რკინისა ხამლთა შესხმანი,
შენთვის ხმდა არისტოტელი,
დიონოს წიგნთა შესხმანი
მსგავსად აქილევ – ტროელთა
უმბროსისგან შესხმანი
ვერცა დამეტებს სოფოკლი
არა თუ ჩემნი შესხმანი“. (XIV, 79, 1-4)

ჩახრუხადესთან ჩამოთვლილი ფილოსოფოსები და მწერლები თამარისთვის შესაფერისი ქების შესხმის მიზნით არიან მოხსენიებული და თეიმურაზიც, როგორც ჩანს, ძველ ლიტერატურაში დამკვიდრებულ ტრადიციას მისდევს.

ვახტანგ VI (1675-1737) – კიდევ ერთი მეფე, რომელთანაც გვხვდება ანტიკური ტერმინები, არის ვახტან VI.

იგი იყო ქართლის მეფე. პოლიტიკურ საქმიანობასთან ერთად ითავსებდა სამეცნიერო საქმიანობას. მას ეკუთვნის „ქართლის ცხოვრების“ ახალი რედაქცია. ცნობილია „ვახტანგის კანონები“ და „დასტურლამალი“, 1709 წელს დააარსა თბილისში სტამბა. კარგად იცოდა სპარსული და თარგმნიდა სპარსულ თხზულებებს. რუსეთთან ურთიერთობების გამო გაურთულდა ურთიერთობები ოსმალეთთან და სპარსეთთან და იძულებული გახდა დაეტოვებინა ქართლი.

არჩილის მსგავსად, მასაც დაუწერია მაჯამა,⁴³³ სადაც რამდენიმე ანტიკურობასთან დაკავშირებული ტერმინი გვხვდება პირველ ლექსში, რომელიც

⁴³² ე. ხინთიბიძე თავის სტატიაში „ვის იმოწმებს და რატომ იმოწმებს რუსთველი?“ გვთავაზობს საინტერესო ინტერპრეტაციას „ვეფხისტყაოსანში“ მოხსენიებულ „დიონოსი“ ტერმინთან დაკავშირებით: „ამ საქმესა მემოწმების დიონოსი, ბრძენი ეზროს: / საბრალოა, ოდეს ვარდი დაეთრთვილოს, და-ცა-ეზროს.“ (178). დაწვრილებით იხ. აღნიშნული სტატია <http://kartvelologi.tsu.ge/public/ge/arqive/15/12> ბოლო ნახვა: 20.12.2023.

ემღვნება სატრფოს სილამაზის ხოტბის შესხმას და სიყვარულის ცეცხლით დაგვას. პოეტი ამბობს, რომ ბრძენი **პლატონი** და **პითაგორაც** რომ იყოს, ვერ შეჰყადრებდა სატრფოს შესაფერის ქებას:

„სრულად სიბრძნისა საუნჯის კარი, რაც მქონდეს, დამეღოს,
ან მაგალითი პლატონის, ან პითაგორის დამეღოს,
ვჯდე გულის მძრახად სამუდმოდ, თავი ქვე სადმე დამეღოს,
საკადრად შენსა ქებასა ვერ ვიტყვი, სულიც დამეღოს“. (გვ. 10)

ამ შემთხვევაშიც, როგორც თეიმურაზთან, ანტიკურობასთან დაკავშირებული ტერმინი გამოყენებულია სატრფოს სილამაზის გადმოსაცემად და რაც შეეხება ტერმინებს, მათგან ერთ-ერთი – პლატონი – ყველაზე ხშირად გამოყენებული ტერმინია, პითაგორას კი პირველად ვახტანგ VI ახსენებს.

არჩილი (1647-1713) – შეიძლება დანამდვილებით ითქვას, რომ არჩილი ამ პერიოდის პოეტებს შორის ყველაზე გამორჩეულია ანტიკური სახე-სიმბოლოების მრავალეფეროვნებით და მათი გამოყენების სიხშირით. გვრჩება შთაბეჭდილება, რომ იგი განგებ მიმართავს ანტიკურობას, რომ ხაზი გაუსვას, ერთი მხრივ, მის მნიშვნელოვნებას და, მეორე მხრივ, თავი მოიწონოს თავისი განსწავლულობით.

არჩილი იყო მეფე ვახტანგ V-ის ძე. მეფობდა კახეთში და იმერეთში. იგი იყო პოეტი და მთარგმნელი. მის სახელთან არის დაკავშირებული რუსეთში ქართული სტამბის დაარსება.

არჩილის მეფობის პერიოდსაც დაემთხვა რთული პოლიტიკური მდგომარეობა. მას ირანის მოთხოვნის გამო მოუწია ირანში გამგზავრება და იქ მუსულმანობის მიღება, მიუხედავად ამისა, თავისი მსოფლმხედველობით, ანტისპარსული ორიენტაციის იყო. უფრო მეტიც, არჩილი არ იყო ლოიალურად განწყობილი ლიტერატურაში სპარსული გავლენების მიმართ და ანტისპარსული განწყობილებები მის შემოქმედებაშიც აისახება. უპირატესობას ანიჭებდა ეროვნულ თემატიკას და იცავდა ენობრივ ნორმებს. მის ლირიკაში დიდი ადგილი უჭირავს დიდაქტიკურ-მორალისტურ მიმართულებას. მძლავრად შემოდის რაციონალისტური ელემენტი. გამონაგონ ამბებთან შედარებით უპირატესობას ანიჭებდა მართლის თქმის პრინციპს, რაც გარკვეულწილად რეალიზმის ელემენტების მატარებელია.

არჩილის ნაწარმოებების მიხედვით შეიძლება შთაბეჭდილება შევიქმნათ მისი პოეტიკის შესახებ: რა უნდა იყოს სათქმელი და როგორი ფორმით უნდა გამოიხატებოდეს იგი, რა უფრო მნიშვნელოვანია, ფორმა თუ შინაარსი, სად უნდა იყოს კულმინაცია და როგორი უნდა იყოს დასასრული, როგორი უნდა იყოს

⁴³³ ქართული მწერლობა. ტ. VIII. შემდგ.: ა. ბაქრაძე, რ. თვარაძე, თბილისი, 1990.

ნაწარმოების სტრუქტურა და კომპოზიცია, როგორი ურთიერთმიმართება უნდა იყოს კომპონენტებს შორის და სხვ. არჩილის *ars poetica*-ს მიხედვით, უპირატესობა უნდა მიენიჭოს შინაარსს, თუმცა ფორმაც მისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რამდენადაც ემოციურ მხარეს დიდი ძალა აქვს მკითხველზე.

ანტიკურობის რეცეფციის თვალსაზრისით ჩვენთვის საინტერესო არის მისი ვრცელი ისტორიული პოემა „გაბაასება თეიმურაზისა და რუსთაველისა“ („თეიმურაზიანი“),⁴³⁴ სადაც გასაუბრების ფორმით არის გადმოცემული თამარ მეფის და თეიმურაზ I-ის პერიოდის საქართველოს ისტორია და იგი ისტორიული პოემის პირველ ნიმუშს წარმოადგენს.

არჩილი განზრახ ირჩევს პოეტურ ფორმას გაბაასებას, რომელიც ჯერ კიდევ ანტიკურობაში გვხვდება. ეს ფორმა მას აძლევს საშუალებას შეუპირისპიროს ერთმანეთს განსხვავებული წარმოდგენები და მხარეების მოსაზრებები არგუმენტაციებით გაამყაროს. ამ გასაუბრებაში წარმოდგენილია ორი მხარე: რუსთაველი – როგორც საერო ლიტერატურის შემქმნელი, ანტიკურობასთან ზიარებული და ანტიკური მსოფლადქმის მცოდნე და მეფე თეიმურაზი, ქრისტიანული წარმოდგენების დამცველი. „ორი არის სიტყვის ცოდნა: სამღდელო და საერო, / სამღდელოსა მცოდინარე საეროსა მოერიო“. (48).

გაპაექრების საწყის ეტაპზევე რუსთაველი და თეიმურაზი ერთმანეთს უმტკიცებენ, თუ რომელი არის უფრო მნიშვნელოვანი პოეტი და რომელი არის უფრო მეტად განსწავლული. და აქ ვხვდებით პირველ ტერმინს – **ათენს**, რომელიც, რა თქმა უნდა, ტრადიციულად განსწავლულობის სიმბოლოა.

თეიმურაზი თავისი მნიშვნელობის დამტკიცებას იმით ცდილობს, რომ იგი მეფე არის და ბევრ სირთულესთან უწევს გამკლავება და არა გამონაგონ ამბებს, არამედ არსებით მოვლენებზე საუბრობს, ამიტომ თვლის, რომ აღმატებულია რუსთაველზე. რუსთაველი, თავის მხრივ, ამტკიცებს, რომ პოეტებში ვერავინ შეედრება და ამის დასტურად მოყავს არგუმენტი, რომ იგი ათენში არის გაზრდილი, ქალაქში, რომელიც მიიჩნევა სიბრძნის სამშობლოდ, და აქვე ირონიულად შენიშნავს, რომ თეიმურაზს იქ მხოლოდ სამი წელი აქვს გატარებული.

„მეფევ, დასწყნარდი, ნუ სჯავრობ, ყური მამიგდე, გონია,
არ ხელმწიფობით მაჯობო, სხვათა ნურათი გგონია,
ნიადაგ ჩემის ლექსისა ქება თქვენც გაგიგონია.
მე ათინას ვარ გაზრდილი, შენ სამ-წელ გქონდა გონია“ (100)

„ათინას თქმულა სიბრძნისა მოპოვნა-მოშოებანი,

⁴³⁴ არჩილი. თხზულებათა სრული კრებული. ტ. I. თბილისი, 1936, ტ. II. თბილისი, 1937.

ჩემი ნათქვამი წინწილად, ტკბილ-გასაგონად ებანი,
მაღლა მოგძახისთ მელექსეთ, ეს კმარა თუცა ებანი.
მაგ საქმით თუ მედარები, სხვა გიჯობს ღონისძებანი“ (101)

ათენის, როგორც ანტიკური განათლების კერის სიმბოლოს, ხსენებას ხანგრძლივი ტრადიცია აქვს XII-XIII საუკუნეების ლიტერატურაში. XII საუკუნის უცნობი ავტორის ნაწარმოებში „ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი“, ავტორი გვიყვება დავითის ერთ-ერთ დამსახურებაზე, გელათის მონასტრის მშენებლობაზე. აღნიშნულია, რომ გელათი აღმოსავლეთის მეორე იერუსალიმია, ხოლო საგანმანათლებლო თვალსაზრისით იწოდება სხვა ათენად („სხუად ათინად“): „...უზრუნველი ტრაპეზი განუჩინა, რომელიცა აწ წინამდებარე არს ყოვლისა აღმოსავალისა მეორედ იერუსალემად, სასწავლოდ ყოვლისა კეთილისად, მოძღურად სწავლულეებისად, სხუად ათინად, ფრიად უაღრეს მისსა საღმრთოთა შინა წესსა, დიაკონად ყოვლისა საეკლესიო შუენიერებისად. ხოლო სახელი მისი – გელათი“.⁴³⁵ თ. ყაუხჩიშვილის აზრით, როგორც იერუსალიმს აქვს ქრისტიანობისათვის ყველაზე დიდი მნიშვნელობა, ასევე კლასიკური ხანის ათენიც ყველაზე მნიშვნელოვანია მეცნიერებებისათვის, რაც, როგორც ჩანს, დავით აღმაშენებლის ისტორიკოსისათვის კარგად იყო ცნობილი.⁴³⁶

არჩილისთვისაც, ათენი განსწავლულობის შეუცვლელი სიმბოლოა. საინტერესოა, რომ თეიმურაზი რუსთაველს ამ მომენტში უშუალოდ არ ეპასუხება. მხოლოდ იმას დასძენს, რომ რუსთაველმა ერთი ლექსი გალექსა, მას კი უფრო რთული მისია ჰქონდა დაკისრებული – ქვეყნის მართვა. თუმცა ოდნავ ქვემოთ ისევ უბრუნდება ათენის თემას, არ ავიწყდება რუსთაველის რეპლიკაც იმის შესახებ, რომ რუსთაველი ათენშია გაზრდილი და თეიმურაზს კი იქ მხოლოდ სამი წელი გაუტარებია. აქ უკვე თეიმურაზი საკმაოდ ირონიულად სთხოვს რუსთაველს, შეახსენოს, თუ სად მიიღო განათლება, და საერთოდ რა ენაზე ლაპარაკობენ ათენში, რამე სხვაზე თუ ლათინურად და საერთოდ, რა სიბრძნე აქვთ ბერძნებს:

„ათინას გაზდა იჩემე, სთქვი რამე ათინურია,
რას ენით ლაპარაკობენ, სხვა აქვთ თუ ლათინურია?
ეს შენ მითხარ და მე გეტყვი ბერძენთა-ელინურია,
ან სიბრძნე მათი რა არის, საჩინო, უჩინურია“ (187)

⁴³⁵ „ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი“ (ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილია ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. I. თბილისი, 1955, გვ. 330-331).

⁴³⁶ თ. ყაუხჩიშვილი. ანტიკური სამყარო რუსთაველის ეპოქის ისტორიოგრაფიაში. I. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი. მაცნე, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია. № 4. 1973, გვ. 125.

მისი ირონიული დამოკიდებულება გრძელდება მომდევნო სტროფებშიც. ჩამოთვლის ბერძენ ფილოსოფოსებს, მწერლებს, ღმერთებს და მისნებს, თუმცა, აქ თვალშისაცემია ინტონაცია, საგულისხმოა, რომ სიტყვების განგებ დამახინჯებით ისევ ინარჩუნებს ირონიულ ტონს და ცოტა არ იყოს „აგდებულ“ დამოკიდებულებას ამ ხერხით ამძაფრებს:

„ელენტა სიბრძნის წიგნები ესე და სიცბილიასი
ბირგვილიონი, ღალინოს, უმროს, სიბილიასი,
არისტოტელის, პლატონის, ასკლიპოს მკვდართ მისნობასი
იანესა და იამბრეს, ევსები კვლავ სავსებასი“ (188)

განსაკუთრებით იგძნობა ირონია განგებ დამახინჯებულ ფორმებში, რასაც ალიტერაციებით აღწევს: სიცბილიასი – სიბილიასი, ევსები – სავსებასი, იანე-იამბრე.

საინტერესოა, რა პრინციპით არჩევს ავტორი ჩამოთვლილ ფიგურებს. ყველა ფიგურა, რომელსაც ასახელებს, არის დაკავშირებული მწერლობასთან, ფილოსოფიასთან, მედიცინასთან ან სხვა მეცნიერებებთან.

პირველ რიგში ასახელებს სიბილას წიგნებს. სიბილას წიგნები ეს იყო საბერძნეთში ძვ.წ. IV საუკუნეში შეგროვილი ბერძენ ქურუმთა მისნობები. გადმოცემათა თანახმად, კუმელი სიბილას ჰექსამეტრით გამართული წინასწარმეტყველებები. რომში არსებობდა ასევე წინასწარმეტყველებათა სხვა კრებულები: ტიბერისის სიბილა, ალბუნეას მისნობები. ამ მისნობათა კრებულებს ერთი სათაურით აერთიანებდნენ და მას „სიბილას წიგნებს“ უწოდებდნენ. ლიტერატურულ ტრადიციაში ეს ფიგურა ორივე ფორმით გვხვდება სიბილა და სიცბილი. ჯერ კიდევ იოანე შავთელთან გვხვდება თხზულებაში „გალობანი ვარძიისა ღმრთისმშობლისანი“ სიცბილი ფორმით:

„ოროგინესი შეიჩუენა სიცბილი,
ლმობაჲ ეწიენ დავრდომილთაჲ არიოზს,
აექჳნ ენაჲ ნესტორს სასასა მისა,
დადუმნა უღმრთოი და მოსჳო კაცთაგან...“

ამ ტერმინს „სიბილი“ ფორმით ვხვდებით XII-XIII საუკუნეების უცნობი ავტორის ნაწარმოებში „ისტორიანი და ზმანნი შარავანდედთანი“: „ნუ უკუე, მეფევ, ჟამი არს ომისა, და ჟამი არს სივლტოლისა, ვინათგან ყოველსავე საქმესა ჟამი მიაჩანს. რამეთუ ოდესმე ალექსანდრეცა იძლივა დედაკაცისა მიერ, და ეგრეთვე სამბსონ [დალილასაგან და სოლომონ] სიბილასაგანი“. ამ ავტორის კომენტატორები (კ. კეკელიძე და ს. ყაუხჩიშვილი) თვლიან, რომ ნაწარმოების ეს ადგილი ეყრდნობა

გიორგი ამარტოლის „ხრონოღრაფს“. ⁴³⁷ სავარაუდოა, რომ არჩილიც იცნობდა ამ ნაშრომს. საგულისხმოა, რომ მასთან ორივე ფორმა დასტურდება, თუმცა აქ ჩვენ ვფიქრობთ, რომ არჩილს ამ სახელის ორივე ფორმით მოხსენიებას დამატებითი მნიშვნელობაც აქვს, კერძოდ, ეს ჭირდება ალიტერაციისთვის.

დასახელებულია **ღალინოსი** // გალენოსი ახ.წ. II საუკუნის (129-216) ბერძენი ფიზიკოსი, ფილოსოფოსი, რომელიც მუშაობდა ანატომიის სფეროში. ჰქონდა პლატონის, არისტოტელეს, ჰიპოკრატეს და ჰეროფილოსის გავლენა. ეს ფიზიკოსი პირველად გვხვდება არჩილთან. ⁴³⁸

შემთხვევით არ არის ნახსენები ასკლეპიოსი – მკურნალობის ღმერთი, რომელიც ასევე მედიცინასთან არის დაკავშირებული. არჩილთან იგი გვხვდება „ასკლიპოს“ ფორმით. მისი კულტი გავრცელებული იყო ძვ.წ. V საუკუნიდან. დღესაც ითვლება მედიცინის სიმბოლოდ. ასკლიპოსი პირველად ნახსენებია იოანე შავთელის „აბდულმესიანში“: 400. „მასთან ასკლიპოს ვეღარ მუსიკობს, / თვით ქებად თქვენდა განლიგებულ არს“ (XII, 102, 1-4). თუმცა საინტერესო დეტალია, რომ არჩილი აქცენტს აკეთებს მის შესაძლებლობაზე მკვდრეთით ადამიანების (ტინდარევის, კაპანევის, გლავკუსი, ლიკურგუსი და სხვები) აღდგენის „ასკლიპოს მკვდართ მისწობას“, ანუ მისი ცოდნა უფრო ღრმა არის, ვიდრე უბრალოდ ტერმინების ჩამოთვლა.

დასახელებულია **უმიროს** // ჰომეროსი, არისტოტელე და პლატონი, ევსებიოს კესარიელი.

სიტყვა ბირგვილიონის იდენტიფიცირება ვერ ხერხდება. შესაძლოა, ამ სიტყვაში არჩილი მოიხრებს რომელიმე წინასწარმეტყველს ან მისანს. ასევე ბუნდოვანებით არის მოცული ტერმინების იანესა და იამბრეს ეტიმოლოგია. უნდა აღინიშნოს, რომ ვერც ამ ტერმინების იდენტიფიცირება ხერხდება და საჭიროა ამ მიმართულებით კვლევა.

არჩილი კიდევ უფრო შორს მიდის, ვიდრე უბრალოდ რომელიმე ცალკეული ტერმინების დასახელებაა. რუსთაველისა და თეიმურაზის გასაუბრების ფონზე ერთმანეთს არის შეპირისპირებული საერო და საერო განათლების პრინციპები, ანტიკური და ქრისტიანული წარმოდგენები.

⁴³⁷ ვ. კეკელიძე. ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია. ტ. II. თბილისი, 1981, გვ. 270; ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. II. თბილისი 1959, გვ. 13.

⁴³⁸ გალენოსს ახსენებს მიხეილ ჯავახიშვილიც „ჰალენ“ ფორმით მოთხრობაში „პატარა დედაკაცი“: „ყველანი ჰყავს მოხსენებული: უძველესი ეგვიპტელები, ინდოელები, ბერძნები, რომაელები, ქართველებიც და არაბებიც, ჰიპოკრატე, აული, კორნელი ცელსი, ჰალენ, ავიცენა და უთვალავნი სხვანიც“.

თეიმურაზი ამ პარტიის შესავალ ნაწილში ჩამოთვლის სულიწმიდის შვიდ მაღლს: ღვთის შიში, ღვთისმსახურება, აღსარება, ზრახვა, მეცნიერება, გულისხმიერება, სიბრძნე.

„შვიდს მაღლსაც აგერ მოგიტხოვ, სხვაგან ნუღარ ჰყოფ ძებასა,
მაღლი სიბრძნისა იოტებს კაცთა უგუნურებასა,
მაღლი გულისხმისყოფისა განსდევს უგულისხმებასა,
მაღლი ზრახვისა დაჰფარავს გულის განმკითხველებასა“ (184)

„ძლიერებისა მხნედა ჰყოფს და ძალს მისცემს უძლურებას,
მეცნიერთა მაღლი ვის აქვს, უჩინო ჰყოფს უმეცრებას.
მაღლი ღვთისმსახურებისა განაქარვებს საცთურებას,
შიში ღვთისა ცოდვას დახსნის, მართლის გზისკენ აქნევს რებას“ (185)

შემდეგ კი ჩამოთვლის **თორმეტ სიბრძნეს**, 12 დარგს, რომლებიც ანტიკურობაში ჩამოყალიბდა: ფილოსოფია, მედიცინა, მჭევრმეტყველება, გრამატიკა-ფილოლოგია, გეოგრაფია, ასტრონომია/ასტროლოგია, ლიტერატურა, მუსიკა, საბრძოლო ხელოვნება, ნივთთმეტყველება:

„ესე არის **სიბრძნე ბერძენთ**, პირველ ფილასოფოსობა,
მკურნალობა, რიტორება, მერმე დრამატიკოსობა,
ქვეყნის ზომა, ვარსკვლავთრიცხვა, სიტყვის შეთხზვნად მუსიკობა,
ბრძოლის წესი ხელოვნება, ძნელია ნივთთმეტყველობა“. (189)

მომდევნო სტროფში ასახელებს კიდევ 2 დარგს – ბუნებისმეტყველებას და არითმეტიკას, და ამბობს, რომ თორმეტივე ერთად ქმნის სრულყოფილ სიბრძნეს:

„ეს გარდარჩა ოთხს სტრიქონსა, თორმეტისგან მგონ ორი ეს,
ბუნებათამეტყველებას, სიბრძნე არ დაუშორიეს;
აგრე რიცხვთმეტყველებამან თავი სხვათ ბრძენთა მორიეს.
ვინც ეს თორმეტი შეკრიბოს, სრულ სიბრძნე დაუშორიეს“. (190)

ამ თორმეტ დარგზე ინფორმაციას ვხვდებით ჯერ კიდევ XI საუკუნის მწერალთან და მთარგმნელთან ეფრემ მცირესთან, გრიგოლ ნაზიანზელის ჰომილიის თარგმანზე დართულ ანდერძში:⁴³⁹ „ვითარ-იგი ათორმეტ არიან ხელოვნებანი ბერძენთა სწავლულებისანი და თითოეული აღმწერელი მით სახითა აღმწერელობს, რაიცა ხელოვნებაი ესწაოს ათორმეტთა მათგან: დრამატიკოსობა, გინა

⁴³⁹ ხელნაწერი A 292, 215v (დ. თვალთვაძე. ეფრემ მცირის კოლფონები. თბილისი, 2009, გვ. 230). დ. თვალთვაძე. ეფრემ მცირე – ბიზანტიური მწერლობის კომენტატორი. 1997, სადისერტაციო ნაშრომი.

ფილოსოფოსობა, რიტორობა ანუ მკურნალობა, მუსიკელობა, ანუ ქუეყნის-მზომელობა, ვარსკულავთმრიცხველობა, ანუ ნივთთ-მეტყუელება, ხელოვნებათა საქმე ანუ წესი ბრძოლისა“.

ამით თეიმურაზი ცდილობს, რუსთაველს დაუმტკიცოს, რომ სულიერი განსწავლულობა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე საერო. არჩილი კიდევ უფრო შორს მიდის, იმ მიზნით, რომ აჩვენოს ანტიკური სწავლებების სისუსტე, უწოდებს მას ზღაპრულს და შეთხზულს:

„ათინელთ სიბრძნე ბევრი აქვთ, ზღაპრული, შეტმასნილია,
ბერძენთ აქვს თორმეტი სიბრძნე მუნ ერთად შენათხზნილია,
არ მათებრ საგონებელი, საღვთო აქვთ განბრძნობილია.
ეს უნდა კაცმან მოიმკოს, იმათგან დათერძილია“. (191)

მომდევნო სტროფში აკრიტიკებს ასტროლოგიას და საგანგებოდ არჩევს სიტყვებს, მეტი სიმძაფრისთვის მიმართავს ალიტერაციას:

„რაც რამ კაცს დაემართება, ავი თუ უკეთესი რამ,
ვარსკვლავს და ეტლს აჩემებენ, ვინ თქვა ესე, თუ არ ვირამ?!
სულსა კარგი ვერვინ უყოს, თუ არ ღვთისა შენამზირამ,
რადგან სულსა ვერ იცნობენ, მაშ გაუშვან, ვითა სირამ“. (192)

ამ სულისკვეთებას აგრძელებს შემდეგ სტროფებშიც, სადაც იმის საილუსტრაციოდ, რომ ბერძნებს უცნაური მითები აქვთ, მაგალითად მოჰყავს მინოტავროსის გაჩენის ამბავი. აქედანვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს მითი პირველად არჩილთან არის ნახსენები და აქ ჩვენს ყურადღებას ის კონტექსტიც იპყრობს, რა კონტექსტითაც არჩილმა განგებ შეარჩია ეს მითი და არა სხვა მითი. ახსენებს მინოსსა და მის ასულს პასიფაეს, რომელსაც სიცოფე შეეყარა და კუროსთან კავშირის დასამყარებლად ხელოსან დედალოსს, რომელსაც დედლოხუროსს უწოდებს, სთხოვა ხარის გამოსახულების დამზადება, სადაც შევიდა პასიფაე და კუროსთან კავშირის შედეგად დაიბადება მინოტავროსი. არჩილი არ ერიდება უხამსი სიტყვების გამოყენებას და ცვლის მნიშვნელოვან დეტალებს, მონათხრობს რომ დაუჯერებელი ამბის ელფერი მისცეს.

ტრადიციული მითის თანახმად, პასიფაე არის მინოსის ცოლი, რომელიც უღალატებს მინოსს და ხართან კავშირის შემდეგ შეეძინება მინოტავროსი. აქ პასიფაე მინოსის ასულია. მინოსი განრისხებულია, რადგან პასიფაეს ხართან შეუღლების სურვილი აქვს. მინოსმა ხელოსანს დედლოხუროს // დედალოსს(?) უთხრა ეს ამბავი, მან ისეთი მოწყობილობა მოიფიქრა, სადაც კავშირის დამყარება იქნებოდა შესაძლებელი. ფიცრებისგან შექმნა ფური, რომელსაც ძროხის სახე მისცა, შიგ შევიდა

პასიფაე და კუროც შეჰყვა კავშირის დასამყარებლად, რის შედეგადაც იშვა მინოტავროსი.

„იტყვიან ვისმე სახელით **პასიფს**, ასულსა **მინოსა**,
ეს კაცი იქმნა სიცოფით ზროხის ტრფიალი კუროსა;
გამოუცხადა ბრძენს ვისმე ხელოსანს **დედლოხუროსა**,
მან ასეთი რამ შეჰმზადა, ვით კურომ ფურსა დედლოსა“. (195)

„შემისაგან ფური შექმნა, გარედამე არ მოყავროს,
დახატაო ზროხის სახედ, განა გარ არ შემოსტავროს.
შიგ შევიდა **პასიბიო**, კურო გავა და შემჩაროს.
მათგან იქმნაო, იტყვიან, სახელით **მინაუტავროს**“. (196)

აქ ჩვენს ყურადღებას იქცევს ისევ პარალელური ფორმები პასიფაესი: პასიფი და პასიბიო, რაც ისევ იმ სულისკვეთებას აგრძელებს, რაც მთელ ამ მონაკვეთს გაჰყვება და ამის საილუსტრაციოდ გამოგვადგება ასევე ტერმინი დედლოხურო, რომელიც ასევე მის მიერ არის შექმნილი დედალოსის შემადგენელი პირველი კომპონენტისა და ხუროს გამოყენებით.

თეიმურაზი ახსენებს **ორფევსსაც**, რომელიც გამონაგონი ამბებით ატკბობს გარშემომყოფთ. ეს სახე-სიმბოლო მას იმისთვის სჭირდება, რომ საგანგებოდ მიაწიშნოს, რომ მსგავსად ბერძნებსაც ბევრი გამონაგონი ამბავი აქვთ, სიმართლესთან შეუსაბამო:

„**ორფევი** ჰკრავსო ებანსა, სიტკბოთ ჰყო ქვა შენადრავი,
რით ირწმუნება ეს სიტყვა, ნივთი აქვს ქვასა უძრავი?
ყველა ზღაპრული ცოდნა აქვთ, მართალთან არ შესართავი,
მუდამად ხელთა უჭირავს ტყუილის მათ მოსართავი“ (197).

ორფევსი ჯერ კიდევ იეზეკიელის ერთ-ერთ იამბიკოში⁴⁴⁰ არის ნახსენები, რა თქმა უნდა, იქაც გამორჩეული ხმისა და მუსიკალური ნიჭის სიმბოლოდ:

I. „იმღვენ საცემნი ორფევსის კმათ დამხსნელნი
ნათელმოფელო ალთა გულისათაო,
ნივთ კერძოდ მუსიკთ კმათასა ზესთა
ესე მიიღე აღმონაშენი მშობელმან
შენნი იოხენ მამაო იოანე“.

⁴⁴⁰ ქართული პოეზია. ტ. I. ძველი ქართული პოეზია V-XII სს. შემდგ.: ს. ცაიშვილი. თბილისი, 1979.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თეიმურაზის ეს საკმაოდ მოზრდილი მონაკვეთი არ უნდა გავიგოთ, როგორც ანტიკურობის დაკნინების მცდელობა, პირიქით, ის, რომ არჩილი ამდენ დროს უთმობს ანტიკურობის მნიშვნელოვანი ასპექტების განხილვას, იმაზე მეტყველებს, რომ მან კარგად იცის ანტიკურობა და ამ პოეტურ ხერხს კარგად იყენებს პაექრობის ფორმატისთვის.

ამავე თხზულებაში არის ნახსენები **პტოლემიოსი**. რუსთაველს პტოლემიოსი იმ ადამიანის მაგალითად მოჰყავს, რომელმაც მნიშვნელოვანი საქმე გააკეთა. კერძოდ, ამ კონკრეტულ პასაჟში პტოლემიოსი რჩევას ეკითხება ვეზირებს, რა მნიშვნელოვანი საქმე შეიძლება გააკეთოს, მათ კი ურჩიეს, რომ ძალიან მნიშვნელოვანია ძველი და ახალი აღთქმის წიგნების ბერძნულად თარგმნა და განმარტება. პტოლემიოსის საქმეთა აღწერას 9 სტროფს უთმობს არჩილი (131-140), რაც ისევ და ისევ, ამ თემის მნიშვნელოვნებაზე მიუთითებს. პტოლემიოსი არის სიმბოლო განსწავლული ადამიანის და იგი სწორედ ამ კონტექსტში გვხვდება ძველ ქართულ ლიტერატურაში. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი მეფე დავითს ადარებს „პტოლემოსს“, „და ესენი მდიდრად შეიკრიბნა, რაოდენნი პოვნა გარდამოღებულად ენასა ქართველთასა სხვათა ენათაგან, ძუელნი და ახალნი, ვითარცა სხუამან პტოლემოს, ამას ზედა ოდენ სასოვან ქმნილმან“.⁴⁴¹ რომელიც, ს. ყაუხჩიშვილის აზრით, არის III საუკუნის მოღვაწე, პტოლემიოს II ფილადელფოსი – ალექსანდრიის ბიბლიოთეკარი.⁴⁴² თ. ყაუხჩიშვილის მოსაზრებით, „შესაძლოა, დავითის ისტორიკოსი ქრონოგრაფის მიხედვით იცნობდა პტოლემიოსთა სახელსა და მოღვაწეობას“.⁴⁴³ ცხადია, რომ არჩილისთვის ეს ინფორმაცია ცნობილი იყო და ამ კონტექსტში გამიზნულად იყენებს ამ სახე-სიმბოლოს.⁴⁴⁴

გაბაასებაში რუსთაველი ერთ-ერთ თავის პასუხში ახსენებს თამარ მეფეს და მის საქმეებს და ნიშანდობლივია, რომ თამარის საქმეთა განდიდების კონტექსტში არჩილი იყენებს ტერმინს **ასფოდელოსი და ივლიოსის ველი**.

ორივე ტერმინი ნახსენებია სამოთხის ადგილის სინონიმებად. ივ. ლოლაშვილის მიხედვით, „სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით, „ილვისიოსი, რომელ არს ოლვისიოსი, გინა აპოლვიოსი, ესრეთ გამოითარგმნების ვითარმედ:

⁴⁴¹ „ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისა“ (ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. I. თბილისი, 1955, გვ. 347).

⁴⁴² ს. ყაუხჩიშვილი. ბერძნული ლიტერატურის ისტორია. II. თბილისი 1949, გვ. 96, გვ. 127.

⁴⁴³ თ. ყაუხჩიშვილი. ანტიკური სამყარო რუსთაველის ეპოქის ისტორიოგრაფიაში. I. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი. მაცნე, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია. № 4. 1973, გვ. 121.

⁴⁴⁴ ალექსანდრე ჭავჭავაძე კიდევ უფრო შორს მიდის და ერთ-ერთ ლექსში იბერიას პტოლემოსის დროს აყვავებულს უწოდებს: „ჰე, საქართველო პტოლემეს დროს აღყვავებული!“ (ქართული მწერლობა. ტ. IX. შემდგ.: ა. ბაქრაძე, რ. თვარაძე, თბილისი, 1992).

განსასუენებელი უჯაჭო, ესე იგი არს ჳსნილი, თავისუფალი ტანჯვისგან“ (ნახეთ ილვისიოსი). ამ „უჯაჭო განსასვენებელს“, სადაც ადამიანი სული თითქოს თავისუფალია ყოველნაირი ტანჯვისგან, ქრისტიანული რელიგიით სამოთხე ეწოდება, ბერძნული წარმართული მითოლოგიით კი – ელისეის მინდორი, ანუ ილვისიოსის (ილვისოს) ველი (ელიზიუმი). მართლაც, იოანე პეტრიწთან ილვისიოს ველი სამოთხეს ნიშნავს... მაშასადამე, ილვისოს ველი იგივე სამოთხეა, რომელიც ბერძენთა მითოლოგიამ შექმნა წარმართ გმირთა განსასვენებლად“.⁴⁴⁵

ეს ტერმინი პირველად გვხვდება თხზულებაში „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ რამდენიმე ადგილას, თუმცა ჩვენი ყურადღება მიიპყრო იმ ფაქტმა, რომ არჩილი თითქმის სიტყვასიტყვით მისდევს ერთ კონკრეტულ პასაჟს, და ჩვენც თვალსაჩინოებისთვის ერთად მოვიყვანოთ ორივე ამონარიდს

„ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“:

„[...] იხილვებოდა ღმრთისაგან ღმერთქმნილად [თამარ მეფე – ე.კ.], შორის ღმერთთა გამკითხველად ღმრთისა სახეობად, რომელსა მოესთულო სურნელება და შუება სამოთხისა, მოეფუტკრა ვარდბურტკობა, ყვავილმცენარეობა, ასფოდელ-ნარგისობა ილვისიოს ველის ნამორჩებთა?!“⁴⁴⁶

„გაბასება თეიმურაზისა და რუსთველისა“:

„მოესთლო შუება, სამოთხის სურნელთა სახეობანი,
მას მოეფუტკრა ვარდისა დაცვარულ-მოზუტკობანი,
მცენარეობა ყვავილთა ასფადელ-ნარგისობანი,
ივლიოს ველის შვენება, სიტურფე ნამორვებანი“. (789).

რომელსა მოესთულო სურნელება და შუება სამოთხისა // მოესთლო შუება,
სამოთხის სურნელთა სახეობანი;

მოეფუტკრა ვარდბურტკობა, ყვავილმცენარეობა // მას მოეფუტკრა ვარდისა
დაცვარულ-მოზუტკობანი;

ასფოდელ-ნარგისობა ილვისიოს ველის ნამორჩებთა // მცენარეობა ყვავილთა
ასფადელ-ნარგისობანი, / ივლიოს ველის შვენება, სიტურფე ნამორვებანი.

⁴⁴⁵ ძველი ქართველი მეხოტბენი. I. ჩახრუხაძე. „ქება მეფისა თამარისი“. ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ივ. ლოლაშვილმა. თბილისი, 1957, გვ. 112-113.

⁴⁴⁶ ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. II. თბილისი, 1959, გვ. 64-65.

როგორც ვხედავთ არჩილი სიტყვა-სიტყვით მისდევს უცნობ ავტორს და უცვლელი სახით უცვლელი კონტექსტით იყენებს იმავე სახე-სიმბოლოებს.⁴⁴⁷

დასკვნის სახით, შეგვიძლია კიდევ ერთხელ აღვნიშნოთ, რომ ამ პერიოდის ავტორებში არჩილს გამორჩეული ადგილი უჭირავს. მისი თხზულებების კვლევა გვიჩვენებს, რომ მან კარგად იცოდა ანტიკურობა და, შეიძლება ითქვას, რომ იგი თავისუფლად „თამაშობს“ ამ მასალით. მასთან, ერთი მხრივ, ვხვდებით ტერმინებს, რომლებიც იყო დადასტურებული ძველ ქართულ ლიტერატურაში, როგორც მაგალითად, ათენი (ათენური), ჰომეროსი, სიბილა, არისტოტელე, პლატონი, ასკლეპიოსი, ორფეესი, ასფოდელოსი, ივლიოს ველის // ელისეს ველი, მეორე მხრივ, ასევე ვხვდებით იმ ტერმინებს, რომლებიც პირველად მასთან მოიხსენიება: გალენოსი, პასიფაე // პასიბიო, მინოსი, დედლოხუროსი // დედალოსი, მინოტავროსი. და ვხვდებით ტერმინებს, რომლებიც მან გამოიგონა, და რომელთა იდენტიფიცირებაც საჭიროებს სამომავლო კვლევას: ბირგვილიონი, იანე, იამბრე.

ბესიკს, იგივე ბესარიონ გაბაშვილს (1750-1791) XVIII საუკუნის ლირიკოსთა შორის გამორჩეული ადგილი უჭირავს. ბესიკის მამა გავლენიანი კაცი იყო და ბესიკი პატარაობიდანვე იზრდებოდა მეფის კარზე. მამის წყალობით მიიღო კარგი განათლება, შეისწავლა სპარსული ენა. ერთი შეხედვით, ბესიკი „უდარდელ პოეტად“ მიიჩნევა, რომელიც სასიყვარულო ლექსებს წერდა, თუმცა, თუ მის პოეზიას კარგად დავაკვირდებით, დავინახავთ ადამიანს, რომელსაც საკმაოდ რთული ცხოვრება გამოუვლია. ბესიკი საკმაოდ ტრაგიკული პიროვნება იყო და მის შესახებ ფუნდემენტურ გამოკვლევას გვთავაზობს გ. ლეონიძე, რომელიც თვითონაც პოეტი, განსაკუთრებულად გრძნობს ბესიკის პოეზიას და პიროვნებას.⁴⁴⁸ ბესიკი იყო პოეტი, რომელსაც ქართლიდან იმერეთში გადახვეწა მოუწია. ბესიკის იმერეთში განდევნის რამდენიმე მიზეზი სახელდება. ერთი ვერსიით, ეს განპირობებული იყო სასიყვარულო მოტივით (აქაც რამდენიმე ვერსია არსებობს, მას უნდა ჰქონოდა სასიყვარულო ურთიერთობა ერეკლე II-ის დასთან, ანა ბატონიშვილთან, სხვა ვერსიით ერეკლეს შვილიშვილთან, ანა ბატონიშვილთან, და სახელდება მესამე ვერსიაც, მაია ყულარაღასის ასული, რომელიც ყველაზე მეტად სარწმუნო უნდა იყოს), მეორე ვერსიით, ერეკლეს საწინააღმდეგო დაჯგუფებაში მონაწილეობით, რისთვისაც მას პირადი მოტივი უნდა ჰქონოდა. არსებობს მოსაზრება, რომ ამ საქმეში ანტონ კათალოკოსის ხელი ერია, რომელიც მტრულად იყო განწყობილი ბესიკის მამის მიმართ, რის გამოც მათ იმერეთში გადახვეწა მოუწიათ. იმერეთში ბესიკმა თავი

⁴⁴⁷ ამ ტერმინთან დაკავშირებით დაწვრილებით იხ. პირველი თავი.

⁴⁴⁸ გ. ლეონიძე. ძიებანი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან: XVII-XVIII სს. თბილისი, 1949.

გამოიჩინა სოლომონ მეფის კარზე და მალე მიაღწია პოზიციას, სადაც ევალებოდა დიპლომატიური მოლაპარაკებების წარმოება.

ბესიკის შემოქმედება მრავალფეროვანია, როგორც ჟანრულად, ასევე თემატიკით.⁴⁴⁹ მის შესახებ აღნიშნავდნენ, რომ „რუსთველისებრ ხმატკბილობით არ აკლებდა არცერთ გვარსა“. მის შემოქმედებაში დიდი ადგილი უჭირავს სატრფიალო თემას და მას რუსთაველის ძალიან დიდი გავლენა აქვს. კ. კეკელიძე აღნიშნავს, რომ რუსთაველის შემდგომ ისე მძაფრად და შთაგონებულად არავის გამოუვლენია სიყვარულის გრძნობა ისე, როგორც ბესიკს.⁴⁵⁰ მის შემოქმედებაში გარკვეულწილად იგრძნობა თეიმურაზ I-ის გავლენაც.

მასთან საკმაოდ უხვად გვხვდება ანტიკურობასთან დაკავშირებული ტერმინები და ეს ტერმინები შეგვიძლია თემატურად შემდეგ ჯგუფებად დავყოთ: მითოლოგიური ტერმინები: მანტორ (მენტორი), მინერვა, ერმი, აფროდიტი, დიანა, აპოლო, სირინოზი, ირისე, პლატონ, უმიროს (ჰომეროსი), არისტოტელი, ლექტორ (ჰექტორი), ახილვეი (აქილევსი), კეისართ, გილონგინოსებ (ლონგინოსი), ორესტი, კრონოსი, დიასებრ (ზევსი), ზეფირო, ილიოს (ჰელიოსი); ეთნონიმები: ათინელთ (ათენელი), მირმიადონთ (მირმიდონელები); გეოგრაფიული ტერმინები: ათინა (ათენი).

ბესიკთან ძალიან ხშირად გვხვდება ტერმინები: აფროდიტი, ერმი, დია, აპოლონი, არია, ირისე, კრონოსი, ილიოსი, ზეფიროსი, თუმცა, რამდენადაც მასთან ეს სახელები ციური სხეულების სახელებია და არა მითოლოგიური ფიგურები, ამიტომ აქ ამაზე არ შევჩერდებით, აქ მხოლოდ იმ ტერმინებს შევხებით, სადაც ანტიკურობის რეცეფცია გვაქვს:

ბესიკის ლექსებში ნახსენებია მენტორი როგორც ბრჭყალების, ბასრი სიტყვის მქონე: „გირჩევ, შეგბრალდეს გულნამტკინარე, / მანტორ, გაბრალეზ ფესვით ბრჭყალებსა!“ („მე მივხვდი მაგას შენსა ბრალეზსა“). ნახსენებია მინერვა, როგორც სიბრძნის სიმბოლო: „დავკარგე მინერვა, სიბრძნის დიდება!“ („სევდის ლაშქარი“). ასევე ნახსენებია დიანა: „მას დიანა რით ედრება და რითა?“ („ვაშა მას დღეს“). ხშირია შედარება სატრფოს სირინოზებრ ხმასთან: „ჰმა სირინოზს, თმა-ლულამბარ-წინამოს, / დამქროლო ნიაო, არვედ ეარე!“ („ხმა სირინოზს“), „სირინოზს სასტვენს უმზადე, ვაი, მით დაშავებულსა“ („ან“ ზე სით მოხვალ“). ერთ-ერთ გმირს ადარებს ორესტესთან: „ოთარს ვეყმე გზით პირზანგი მე ორესტი ლომის ჭანგი“ (14). შედარებად არის

⁴⁴⁹ ბ. გაბაშვილი. თხზულებათა სრული კრებული. აღ. ბარამიძის და ვ. თოფურიას რედაქციით. თბილისი, 1921.

⁴⁵⁰ კ. კეკელიძე. ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია. ტ. II. თბილისი, 1981, გვ. 672.

გამოყენებული სიტყვა კეისარი: „კეისართ ტოლი, შავ ჩოხით მძღოლი“ („რუხის ბრძოლა“).

ნაწარმოებში „რუხის ბრძოლა“, რომელსაც ბესიკი სოლომონ I-ს უძღვნის და რომელიც ეხება აფხაზთა და ჩრდილო ტომთა (ჯიქნი, ალანელნი და სხვ.) გაერთიანებულ თავდასხმას სამეგრელოს სამთავროზე 1780 წელს, ერთ-ერთ მონაკვეთში ყურადღება არის გამახვილებული ანტიკურობის ცნობილ ფიგურებზე და ეს ყველაფერი არის ნახსენები სოლომონ მეფისათვის ქების შესხმის კონტექსტში:

„ათინელთ ენა, ქველშესაძენა,
შესხმის მოცალედ გშვენს წამის-წამად!
პლატონ, უმიროს. პროკლითურთ იროს.
არისტოტელი ჰყვეს დასაწამად!
ბრძენნი და მძენნი,
ფრანგნი, ბერძენნი,
ჩრდილო-სამხრელნი ხმა-შენადგამად
მოკრბით სეფისდა,
ქებად მეფისდა,
სოლომონის-და ხილვად სალამად“

ამ კონტექსტში საინტერესოა ერთი ანბანთქება⁴⁵¹ „ან“ ზე სით მოხვალ“, სადაც ისევ და ისევ ბერძნულ განათლებაზე ყურადღება გამახვილებული, კერძოდ, ნახსენებია ათენი.

„ათინად ბრძენთა გაზრდილი, აზიად ვმგზავრობ არესა“.

ბესიკი კარგად იცნობს ტროას ომის ციკლს. ჰომეროსი რომ მისთვის გამორჩეული ავტორია, ეს კარგად ჩანს მის ერთ-ერთ ანბანთქებაში, რომელშიც შერჩეულია 33 ფიგურა/ცნება,⁴⁵² რომლებიც დალაგებულია ანბანური თანმიმდევრობით, და ტაეპებშიც ყველა სიტყვა ერთსა და იმავე ასო-ნიშანზე იწყება.

„ჟორბებთაგან ჟორობასა, ჟომერისგან ჟორობასა!“

⁴⁵¹ როგორც ცნობილია, ამ ფორმას ბევრი პოეტი იყენებდა: თეიმურაზ I, არჩილი, ვახტანგ VI, დავით გურამიშვილი.

⁴⁵² 33 ასო-ნიშნიდან ორი რომ ანტიკურ თემას ეთმობა, კერძოდ, ჰომეროსსა და სირინოზს („სუმბულთაგან სირინოზი სარდიონად სრიალობდეს“ (5, 3), ანტიკურობისადმი ინტერესზე მიუთითებს.

არ არის შემთხვევითი, რომ რუხის ბრძოლაში მონაწილე მეომრის, გიორგი წულუკიძის აღწერისას პარალელს ავლებს ტროას ომის გმირებთან, აქილევსთან და მირმიდონელეთან, ჰექტორთან:

„ანუ იყო მას დღეს მგვანი
სამფსონისა, მკვრელი ყბითა,
ანუ ლექტორ მარტო-მბრძოლი
მირმიადონთ შეფრობითა;
ვით მას ვინმე ახილევმან
ფინდიხი ჰკრა უგვრობითა,
ვსთქვი თუ: „მას ჰგავს“ ეგრევ სვრიდა
და ჰფარვიდა გულს სწრობითა.

ჰექტორი ანბანთქებაშიც გვხვდება:

„ლექტორის ყმოზა დამშვენდა
ლამბარს ყმად დასაქადებად.“

ანბანთქებაში „ანზე სით მოხვალ“ ბესიკი ახსენებს პრიამოსს:

„პრიამს პართენ ვმსახურებდი,
თქვენც გასმიათ მეფე თხრობით“

და ასევე პრიამოსის ძეს, ტროილოსს, რომელიც აქილევსმა მოიტაცა და დაახრჩო.

„ტროილის მოყმედ ხლებული
ტერენტი, გმირად ქებული“

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ბესიკიც ანტიკურობის რეცეფციის თვალსაზრისით საინტერესო მასალას გვაძლევს და საკმაოდ ბევრ ტერმინს იყენებს პოეტური სახე-სიმბოლოების გამრავალფეროვნებისთვის. მისი ლექსების თემატიკიდან გამომდინარე, არ არის გასაკვირი, რომ ანტიკური ფიგურები მასთან უმეტესწილად ორი თემის გარშემო ერთიანდებიან: სატრფიალო და საბრძოლო.

ლირიკოსებიდან გვინდა შევეხოთ კიდევ სამ პოეტს, რომლებთანაც ასევე დასტურდება ცალკეული ტერმინი. ეს არის დავით სარდალი ორბელიანი, დავით ბაგრატიონი (ბატონიშვილი) და დავით რექტორი.

დავით სარდალი (1739-1796) იყო ბესიკის მეგობარი, და ბესიკს ლექსებიც კი მიუძღვნია მისთვის, განსაკუთრებით აქებს მის სიმამაცეს ლექსში „ასპინძისთვის“. დავითს ცოლად ჰყავდა ერეკლე II-ის ასული და გარკვეულწილად

პრივილეგიებითაც სარგებლობდა, თუმცა რაღაც ეტაპზე მათ შორის უთანხმოება წარმოიშვა, რის გამოც მას ქართლის მეფის სახლთუხუცესის პოზიცია დაუკარგავს. კარგად იცოდა სპარსული, დიპლომატიური საქმის გარდა, ეწეოდა მთარგმნელობით საქმეს და წერდა ლექსებს.

განსაკუთრებით გამოირჩევა სატრფიალო ლირიკული ნაწარმოებებით. მის ერთ-ერთ ლექსში „პირზედ გაქვს ხალი“⁴⁵³ ვხვდებით ტერმინს „სირინოზებრ“. როგორც ჩანს ამ პერიოდის პოეტებისთვის ეს ტერმინი ტკბილხმოვანი სატრფოს სინონიმია, რომელსაც შეუძლია მსმენელის მონუსხვა და მოჯადოება.

დავით ბაგრატიონი (ბატონიშვილი) (1767-1819) გიორგი XII-ის შვილი, ერეკლე II-ის შვილიშვილი. ის მხოლოდ ერთი წლის განმავლობაში იყო ტახტის მემკვიდრე, მაგრამ ტახტის სხვა პრედენტენტები არ აღიარებდნენ მის მმართველობას. 1803 წელს დავითი ბაგრატიონთა ოჯახის სხვა წევრებთან ერთად იძულებით პეტერბურგში გადაასახლეს.

დავითის ერთ-ერთ ლექსში „შენი დისკო“⁴⁵⁴ რომელიც სახოტბო ლექსს წარმოადგენს, ნახსენებია ორი ტერმინი არია და აფროდიტი. აქ, ერთი მხრივ, ცის მნათობებზე არის საუბარი, თუმცა კონკრეტულად ეს ორი ციური მნათობი განგებ არის შერჩეული სიყვარულით გამოწვეული დარდის გადმოსაცემად, რამდენადაც ავტორისთვის, სავარაუდოდ, ცნობილია აფროდიტესა და არესის სასიყვარულო ურთიერთობა.

დავით რექტორი (1745-1824) მეცნიერი, პედაგოგი, ფილოსოფოსი, კალიგრაფი. ერეკლე II-ის კარზე იყო მდივან-მწიგნობარი. ეწეოდა სამეცნიერო და პედაგოგიურ მოღვაწეობას. მას ეკუთვნის სხვადასხვა დარგის შემსწავლელი სახელმძღვანელოები. დავით რექტორი ეწეოდა ლექსიკოგრაფიულ საქმესაც. დავით რექტორის პოეტურ მემკვიდრეობაში შეიმჩნევა ფრანგ განმანათლებელთა იდეების კვალი და ანტონ I-ის სქოლასტიკური სკოლის გავლენა.

მის ერთ-ერთ ლექსში „გრგვინვით ციურნო“⁴⁵⁵ ასევე არის საუბარი ცის სხეულებზე ორიონზე და ირისზე, რომლებიც საკმაოდ ხშირად გვხვდება ამ პერიოდის ლირიკაში.

⁴⁵³ ქართული მწერლობა. ტ. VIII. შემდგ.: ა. ბაქრაძე, რ. თვარაძე. თბილისი, 1990.

⁴⁵⁴ ქართული მწერლობა. ტ. VIII. შემდგ.: ა. ბაქრაძე, რ. თვარაძე. თბილისი, 1990.

⁴⁵⁵ ქართული მწერლობა. ტ. VIII. შემდგ.: ა. ბაქრაძე, რ. თვარაძე. თბილისი, 1990.

ლირიკოსების შემდეგ ყურადღებას შევაჩერებთ ამ პერიოდის კიდევ ორ წარმომადგენელზე, კერძოდ ორ პროზაიკოსზე, სულხან-საბა ორბელიანზე და ტიმოთე გაბაშვილზე, რომლებმაც დიდი წვლილი შეიტანეს ევროპასთან დაახლოების მიმართულებით და ბუნებრივია, მათი მოგზაურობები საინტერესო ცნობებს იძლევა იმდროინდელი მსოფლიოს შესახებ, კერძოდ, ქვეყნების შესახებ, სადაც მათ მოუხდათ მოგზაურობა. ორივე შემთხვევაში ჩვენ ვხვდებით ანტიკურობასთან დაკავშირებულ ტერმინებს.

სულხან-საბა ორბელიანი (1658-1725 წწ.) იყო მეცნიერი, დიპლომატი, პოლიტიკური მოღვაწე, მწერალი. იგი იყო ვახტანგ VI-ის მასწავლებელი.

ისტორიული მნიშვნელობის იყო ბევრი მისი წამოწყება.

მას ეკუთვნის იგავ-არაკების კრებული „სიბრძნე-სიცრუისა“, რომლის მიზანიც იყო განათლების პოპულარიზაცია და ხელმისაწვდომობა ჩვეულებრივი ხალხისთვის.

დიდი მუშაობა გასწია სამეცნიერო დარგების განვითარებისთვის. მისი ლექსიკონი „სიტყვის კონა“ დღესაც არ კარგავს აქტუალობას. ლექსიკონზე მუშაობა მოგზაურობის პერიოდში დაიწყო, კერძოდ, კონსტანტინოპოლში ყოფნისას.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა მის პოლიტიკურ აქტივობებს. ადრე მოუწია პოლიტიკაში აქტიურად ჩართვა. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა სულხან-საბას მოგზაურობას ევროპაში, რაც რამდენიმე მიზნით იყო განპირობებული. საბამ მოგზაურობა ვახტანგის გადასახლებამდე დაიწყო და მისი თავდაპირველი მიზანი აღზრდილის ქრთამით გამოხსნა და ევროპასთან სავაჭრო ურთიერთობის დამყარება იყო.

XVI და XVII საუკუნეებში დიდი მნიშვნელობა მიენიჭა აღმოსავლეთისკენ გზის გაჭრისთვის კავკასიისა და საქართველოს გზების გამოყენებას. დასავლეთის ევროპის პოლიტიკური და ეკონომიკური გავლენის შეჭრა კავკასიაში ხდებოდა კათოლიკე მისიონერების მეშვეობით. საქართველოც დაინტერესებული იყო თავის მხრივ ევროპასთან ურთიერთობით, როგორც ალტერნატიული გზით ოსმალეთისა და სპარსეთის წინააღმდეგ. საქართველოში ამ მიზნით იმოგზაურეს არქანჯელო ლამბერტიმ, ქრისტოფორე კასტელმა. საკმაოდ ინტენსიურ ხასიათს იღებს ევროპასთან ურთიერთობა XVII საუკუნიდან. თეიმურაზ I ნიკიფორე ირბახს ელჩად აგზავნის დასავლეთ ევროპაში, რის შედეგადაც ქართული სტამბა დაარსდა რომში.

XVIII საუკუნეში სპარსეთისა და ოსმალეთისგან შევიწროებული საქართველოს მმართველები რომის პაპისგან იმედოვნებდნენ დახმარებას. ქართული საზოგადოების უმეტესი ნაწილი მიისწრაფოდა კათოლიკური ევროპისკენ, რაც

განპირობებული იყო ძლიერი მუსულმანური შევიწროებისა და ქვეყნის მძიმე პოლიტიკური ვითარებით, რაც აფართოებდა დიპლომატიური ურთიერთობის არეალს და ქმნიდა ევროპულ კულტურასთან მეტი დაახლოების პერსპექტივას.

ვახტანგ მეფეც თავის მხრივ ცდილობდა ურთიერთობის დამყარებას ლუდოვიკო XIV-სთან. უკვე 1712-1713 წლებში ინტენსიური მიმოწერა იყო ვახტანგსა და ლუდოვიკოს, საბასა და პაპს, ევროპელ მისიონერებსა და ევროპელ სახელმწიფო მოხელეებს შორის. ირანთან და ოსმალეთთან საქართველოს გართულებული ურთიერთობის ფონზე სულხან-საბა ორბელიანი იყო ის ფიგურა, რომელიც ცდილობდა ალტერნატივების მოძიებას ევროპასთან პოლიტიკური კავშირების დამყარების მიზნით. საბას დიპლომატიური ურთიერთობები ჰქონდა რომის კარდინალთან. ლუდოვიკო XIV-ს სთხოვს ვახტანგ VI-ს გამოსასყიდისთვის თანხის მიცემას, თუმცა მისი მისია არ აღმოჩნდა წარმატებული.⁴⁵⁶

ევროპასთან ურთიერთობის მიმართულებით უმნიშვნელოვანესია ის ფაქტი, რომ სულხან-საბამ მიიღო კათოლიციზმი, თუმცა მაშინ შეუძლებელი აღმოჩნდა, რომ საქართველოში გავრცელებულიყო კათოლიციზმი, რადგან არ არსებობდა ერთიანი ცენტრალიზებული სახელმწიფო. მის გაკათოლიკებას უნდა საფუძვლად ჰქონოდა პოლიტიკური მიზეზები. მას შემდეგ, რაც გაირკვა, რომ ევროპას საქართველოს დახმარება არ შეეძლო, სულხან-საბამ თავისი ძალები ენის და კულტურის გაძლიერებისკენ წარმართა.

როგორც აღინიშნა, ვახტანგ VI-ის დავალებით სულხან-საბამ იმოგზაურა სხვადასხვა ქვეყანაში, მათ შორის საფრანგეთსა და იტალიაში. მოიარა პარიზი, ჟენევა, სიცილია, რომი, შემდეგ ჩავიდა კონსტანტინოპოლში. სამწუხაროდ, დაკარგულია პარიზის ნაწილი, შემორჩენილია იტალიის და თურქეთის აღწერილობა. განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა იტალიაში მოგზაურობამ. მას უნდა ემოგზაურა 1713-16 წლებში. მარშრუტი ასეთი უნდა ყოფილიყო: კონსტანტინოპოლი, მარსელი, პარიზი და უკან დაბრუნება მარსელში, შემდეგ იტალია, რომი, ფლორენცია, სიცილია, მალტა, საბერძნეთი, კუნძულები, კონსტანტინოპოლი და საქართველო.

„მოგზაურობა ევროპაში“ წარმოადგენს უცხო ქვეყნების მხატვრულ-გეოგრაფიული აღწერის საინტერესო ცდას. აქ გვხვდება ვრცელი ცნობები ქვეყნების შესახებ. მრავალფეროვანია დაკვირვებისა და აღწერის ობიექტები – ესაა გეოგრაფიული დახასიათება მხარეების და ქალაქების, მოსახლეობის საქმიანობის და

⁴⁵⁶ სულხან-საბა ორბელიანი. მოგზაურობა ევროპაში. ს. იორდანიშვილის რედაქციით, წინასიტყვაობით, შენიშვნებითა და ლექსიკონით. თბილისი, 1940.

ქვეყნების პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი სტრუქტურების, ბუნების და ღირსშესანიშნავი ისტორიული ძეგლების.

ნაწარმოებში დიდი ადგილი ეთმობა იტალიის აღწერას. გადმოცემულია ამბები რომისა და ფლორენციის ძეგლების, სიძველეების, და ეკლესიების შესახებ. ნიშანდობლივია სულხან-საბას ერთი თვისება, რაც ძალიან მოსწონს, ოცნებობს, რომ მის სამშობლოშიც იყოს მსგავსი ძეგლი, ტაძარი, ქანდაკება.

სულხან-საბა კარგად იცნობს რომაულ პანთეონს, რომელსაც კრონოსსა და მის ამხანაგებს ეძახის. კრონოსს „სიბრძნე-სიცრუისაშიც“ ახსენებს, როგორც სილამაზის ეპითეტს: „მეოთხე ითხოვა, და მეფისა, მოიყვანა. შვენებით კრონოსსა ჰგვანდა და ღაწვნი მისნი გათლილსა იაგუნდს სჯობდა“. მოიხსენიებს ღვინის ღმერთს, მზის ღმერთს. იცნობს მითოლოგიურ სიუჟეტებს: ძუ მგელისა და რომულუსისა და რემუსის შესახებ. დაფნესა და აპოლონის შესახებ.

აღფრთოვანებულია რომით. ამბობს: „დაიჯერებთ, რომი ასეთია, ას წელს სულ იაროს კაცმა, მის საკვირველობას ვერც გაუვიდეს, ვერც დაასრულოს... უსაცილოდ დაიჯერეთ, რასაც ვწერ, ნაკლებია, და მასაც თავს გაუსვლელსა და შეუძლებელსა, დაიჯერეთ, ნახევარს მაშინც ვერ მივსწვდები... და ეს იყოს, რას ვაგრძელებ? რომის შენობა ამ წიგნში არ დავა!“ (გვ. 201).

ახსენებს პლატონს, არისტოტელეს და სხვა ფილოსოფოსებს. სვადასხვა კეისარს.

მასთან დადასტურებული ანტიკურობასთან დაკავშირებული ტერმინები შეიძლება შემდეგ თემატურ ჯგუფებად დავყოთ:

მითოლოგიური და ისტორიული ფიგურები: კრონოსი, მისი ამხანაგები (ოლიმპოს ღმერთები), კეისრები, ორი ყმაწვილი (რომულუსი და რემუსი), ქალი (დაფნე), კერპის ღმერთი (აპოლონი), პლატონი, არისტოტელე, მათი ამხანაგები (ბერძენი ფილოსოფოსები), ღვინის ღმერთი (დიონისე?), ნერონი, მზის ღმერთი (სოლი/ჰელიოსი)

სხვა ტერმინები: მგელი (კაპიტოლიუმის მგლის ქანდაკება).

ტიმოთე გაბაშვილი (1703-1764) არის ავტორი, რომელსაც ეკუთვნის სამოგზაურო-საცნობარო ხასიათის ნაწარმოები. ტიმოთე გაბაშვილიც ასევე მნიშვნელოვანი ფიგურა იყო ევროპასთან ურთიერთობების მიმართულებით. ტიმოთე განსწავლული იყო ღვთისმეტყველებაში, ფილოსოფიასა და რელიგიის ისტორიაში; იცოდა ბერძნული, რუსული, თურქული და სომხური ენები. ტიმოთე ჩართული იყო დიპლომატიურ მოლაპარაკებებში რუსეთთან. 1955 წელს იგი მიემგზავრება იერუსალიმში და ათონის მთის მოსალოცად. ამ მოგზაურობის შესახებ

წერს ნაწარმოებს „მიმოსვლა“.⁴⁵⁷ რამდენიმე წლის შემდეგ ბრუნდება საქართველოში, თუმცა მისთვის ეპარქია არ დაუბრუნებიათ. ბოლოს მაინც უწევს საქართველოს დატოვება.

თხზულებაში უმთავრესად ათონისა და პალესტინის სიძველეებია აღწერილი, განსაკუთრებული ყურადღება კი ეთმობა ქართულ ნაშთებს და ცდილობს, რომ მათ შესახებ ზედმიწევნითი დეტალები შეაგროვოს. თხზულებაში მრავლად ვხვდებით ისტორიულ, ეთნოგრაფიულ და გეოგრაფიულ ცნობებს.

ყველაზე ხშირად გამოყენებული ტერმინია ასფოდელოსი და მას იყენებს, როდესაც ლამაზ ველებს აღწერს „ვითა მაისის ველთა ასფოდელოები“, „კორდნი და ველნი სავსე იყვნეს თითოფერითა ასფოდელოებითა“, „შემოსილ იყვნეს ერნი ყვავილთაებრ გაზაფხულისა ფერადობათა და ასფოდელოებრთაებრ მაისისა ველთათა“.

ქარებიდან ახსენებს ბორეასს ბორია/ბორიო ფორმით, ნოტოსს, ახსენებს აფროდიტეს როგორც ციურ სხეულს.

ნახსენებია ჰომეროსი, როგორ ეპითეტი მჭევრმეტყველების „მამინ მსწრაფლ აღდგა ეფთვიმი, და დავიწყებოდეს ენა ქართული, არამედ ესეოდენ ვრცლად იწყო ქართულთა ზრახვად და რიტორად, ვითა უმბროს უსწრობდა სიმარჯვითა ენითა“ (გვ. 471).

მისი მიხედვით, განსაწავლულობის სიმბოლოდ მიიჩნევა ძველი ბერძნულისა და ლათინურის ცოდნა და პლატონური ქცევა: „მოიწია დიდი ფილოსოფოსი ევგენიოს, კაცი ქვეყანისაგან ვენედიკთასა, განსწავლული სიბრძნითა და ენითა ელლენებრითა და ჰრომაელებრითა, სახითა რაფთამე უცხოთა და ქცევითა პლატონურითა, რომელსა ძველთა მათ ფილოსოფოსთა სიბრძნენი არარად შეერაცხა“ (გვ. 485). განსწავლულობის ერთ-ერთი კრიტერიუმია არისტოტელეს მოძღვრების ცოდნაც: „რამეთუ სხვა ვინმე ბრძენი მოსლვოდა, სახელით კვიპრიანე, განსწავლილი მრავლითა სწავლითა. და თურქთა ენისა იყო სწავლული, რამეთუ ღრამატიკა და არისტოტელურნი წიგნნი თურქთა ენასა ზედა ეთარგმნათ კეთილად“ (გვ. 512). დასახელებულია ჰიპოკრატე, როგორც სიბრძნის სიმბოლო: „და მიერითგან მივედით შვენიერსა მას ჭალაკსა სტანკოვს, ადგილსა და სოფელსა ბრძნისა იპოკრატისასა. რამეთუ არს თავი ხარისა შემზადებული ხელოვანებითა იპოკრატი ბრძნისათა და აღმოქუხს წყალი მრავალი პირით მისით და რწყავს მრავალთა სამოთხეთა“ (გვ. 523). პოეტი პინდაროსიც მოიაზრება როგორც ბრძენი: „და იყო ახლოდ ათინასა თივაიდა, სოფელი პინდაროზ ბრძნისა“ (გვ. 559).

⁴⁵⁷ ტ. გაბაშვილი. მიმოსვლა. წიგნში: ქართული პროზა. წიგნი V. მეჩვიდმეტე-მეთვრამეტე საუკუნეთა მწერლობა. შემდგ.: გ. გვერდწითელი, ნ. ებრალიძე, რ. თვარაძე. თბილისი, 1983.

ახსენებს რომაელ იმპერატორებს, მათ შორის ავგუსტუსს „ავგისტოს“ ფორმით: „ხოლო დედაქალაქი ესე ვიმეცენ, ვითა მთიები ვარსკვლავთა შორის ვაგვანენ, ვითა ვარდი ყვავილთა შორის სამოთხისათა, ვითა იაკინთე ქვათა შორის სამარაგდოვანთა, ვითა ირისე ღრუბელთა შორის და ვითა ავგისტოს კეისარი მეფეთა შორის – ეგრეთ აღრიცხვენ“. ასევე ახსენებს კარაკალას, დიოკლეტიანუსს, მაქსიმიანესს, ტრაიანეს, დომიციანუსს, პტოლემეოსს.

იცის ალექსანდრე დიდის ამბები:

„ჟამსა ალექსანდრე მაკედონელისასა შპანიელნი მრავალნი მისრულან ქართლად. და კვალად ჟამთა ოხრებასა ქართლისასა ქართველნი მეფე და დიდებულნი წარსრულად შპანიად. და მათნი მეფენი და მთავარნი ნათესავნი არიან ქართველთა. და მდინარესაცა მათსა ქართველთი ეწოდება.

ხოლო მე მსმენოდეს ქართლით, ვითარმედ – ალექსანდრე მაკედონელმან აღიღო ქართლიო და მცველნი ფრანგნი განაწესაო ქართლად და აწ აზნაურნი დანაშთომნი მუწითგან არიანო“ (გვ. 507-508).

ახსენებს ალექსანდრე მაკედონელის ცხენს ბუცეფალს „დუჩიპალის“ ფორმით: „და მუწით გამოვლეთ ქალაქი მაკედონია, ტახტი ალექსანდრე მაკედონელისა. და ვიდრე დღესამომდე იხილვების ახური ქვისა რქიანისა მის ცხენისა დუჩიპალასი, ალექსანდრეს ცხენისა“ (გვ. 560).

ტიმოთე გაბაშვილთან დადასტურებული ანტიკურობასთან დაკავშირებული ტერმინები შეგვიძლია შემდეგ თემატურ ჯგუფებად დავყოთ:

მითოლოგიური და იტორიული ფიგურები: უმიროს (ჰომეროსი), აპოლონ კერპი (აპოლონი), დიდისა ალექსანდრესი (ალექსანდრე დიდი), კარაკალოს (კარაკალა?), აფროდიტე, ირისე (ირისი), ავგისტოს კეისარი (ავგუსტუს კეისარი), მაქსიმიანესი, დეოკლიტიანესი, ტრაიანეს (ტრაიანუსი), პითაგორას (პითაგორა), დომენტიანე (დომიციანუსი), იპოკრატისასა, იპოკრატი (ჰიპოკრატე), პტოლემეოს (პტოლემეოსი), ათორმეტნი ღმერთნი (ოლიმპოსის ღმერთები), პინდაროზ (პინდაროსი);

გეოგრაფიული ტერმინები: სტითია, აპოლონია, მაკედონია, სამოსი, ასტოპალეა, პატმოსი, თივაიდა (თებე);

სხვა ტერმინები: ბორიასა (ბორეასი), ასფოდელოებნი (ასფოდელოსი), ელლენებრითა (ელინური/ბერძნული ენა), ჰრომაელებრითა (რომაული/ლათინური ენა), პლატონურითა (პლატონური), პერიპატოელთასა (პერიპატოსი), ნოტოსა (ნოტოსი), არისტოტელურნი, არიოპაგე (არეოპაგე), დუჩიპალასი (ბუცეფალოსი).

დასკვნა

XVII-XVIII საუკუნეების მწერლების შემოქმედების კვლევა ანტიკურობის რეცეფციის კუთხით შემდეგი დასკვნების გამოტანის შესაძლებლობას გვაძლევს. ამ პერიოდის მწერლების უმრავლესობა თავის შემოქმედებაში მეტ-ნაკლები ინტენსივობით ასახავს ანტიკურობის რეცეფციას. თუ პროცესს დავაკვირდებით დინამიკაში, ახალი სივრცეების გახსნისა და ევროპული ლიტერატურული ტრადიციების გაცნობის პარალელურად, იზრდება ანტიკურობის გავლენის არეალი და მეტი ინფორმაცია ხდება ხელმისაწვდომი ავტორებისთვის.

რაც შეეხება წყაროებს, სავარაუდოდ, ერთი მხრივ, ანტიკურობის შესახებ ინფორმაციის ძირითადი წყარო უნდა ყოფილიყო ე.წ. „გადმოქართულებული თხზულებანი“: „ელინთა ზღაპრობანი“, ფსევდოკალისტენეს „ალექსანდრიანი, იოსებ ფლავიუსის „იუდეველთა სიძველეები“, გიორგი ამარტოლის „ხრონოღრაფი“ და, მეორე მხრივ, ორიგინალური ქართული ლიტერატურა. ამ პერიოდის მწერლები კარგად იცნობდნენ წინა საუკუნეების ქართულ ლიტერატურას და, როგორც ჩვენ არაერთგზის ვაჩვენეთ, რიგ შემთხვევაში ერთგულად მიჰყვებიან ტრადიციას. თუ ზოგიერთ ავტორთან ანტიკურობის რეცეფცია არ იყო ინტენსიური და, შეიძლება ითქვას, რომ ზოგიერთი ტერმინი ინერციით ჩნდება მათ თხზულებებში, ზოგიერთი ავტორი, მაგალითად, არჩილი, გვიჩვენებს, ანტიკურობის ცოდნის მაღალ ხარისხს და მისთვის ანტიკურობას არა მხოლოდ ორნამენტული, არამედ კონცეპტუალური დატვირთვა აქვს.

ჟანრების მიხედვით ავტორების შესწავლამ ასევე საინტერესო სურათი გვიჩვენა: თუ ლირიკოსები უფრო შემოქმედებითად უდგებიან ანტიკურობის ასახვას თავიანთ შემოქმედებაში, რაც, გარკვეულწილად, ამ ჟანრის თავისებურებებითაც არის განპირობებული, პროზაიკოს ავტორებთან დადასტურებულ ინფორმაციას უფრო მეტად დესკრიფციული ხასიათი აქვს.

დავით გურამიშვილი

(1705 საგურამო, საქართველო – 1792 მირგოროდი, უკრაინა)

ეკატერინე კობახიძე

დავით გურამიშვილის ცხოვრების დრამატული თავგადასავალი და XVIII საუკუნის საქართველოს ტრაგიკული ისტორია საოცრად ჰგვანან ერთმანეთს. ლექთა

თარემის დროს 1727-1728 წლებში საგურამოდან ლამისყანაში გახიზნული ახალგაზრდა თავადიშვილი ლეკებმა გაიტაცეს და ჩაიყვანეს დაღესტნის სოფელ ოსოქოლოში. ხაროში ჩასმულმა ტყვემ რამდენიმე მცდელობის შემდეგ გაქცევა მოახერხა და თავი შეაფარა თერგის პირას მცხოვრებ რუს ახალმოსახლეებს. 1729 წელს ასტრახანის გავლით დავითი მოსკოვში ჩავიდა, სადაც დევნილობაში მყოფმა ვახტანგ VI-მ მას ჯაბადარბაშობა უბოძა. 1737 წელს მეფის გარდაცვალების შემდეგ, დავით გურამიშვილმა, ისე, როგორც რუსეთში დარჩენილმა სხვა ქართველმა ემიგრანტებმა, რუსეთის ქვეშემრდომობა მიიღო და ჩაეწერა ქართველთა ჰუსართა პოლკში. პორუჩიკმა დავით გურამიშვილმა მონაწილეობა მიიღო ოსმალეთის, შვედეთის და პრუსიის წინააღმდეგ ომებში და თავი ისახელა, განსაკუთრებით – პრუსიასთან ომში (1756-1763) როგორც მამაცმა მეომარმა. 1760 წელს დავით გურამიშვილმა თავი დაანება სამხედრო სამსახურს და ახალგაზრდა მეუღლესთან, ტატიანა ავალიშვილთან ერთად დასახლდა უკრაინაში, სადაც მას მამულები ჰქონდა მირგოროდსა და ზუბოვკაში. სამშობლოში დაბრუნება დავითმა ვეღარ მოახერხა და მირგოროდში გარდაიცვალა, სადაც დაკრძალულია ღვთისმშობლის მიძინების ტაძრის ეზოში.

დავით გურამიშვილს ეკუთვნის ერთადერთი ნაწარმოები „დავითიანი“, რომლის ხელნაწერი მან 1787 წელს ერეკლე II-ის ვაჟს, მირიან ბატონიშვილს საქართველოში გამოატანა. „დავითიანი“ წარმოადგენს გურამიშვილის ავტობიოგრაფიულ კრებულს, სადაც გაერთიანებულია მისი ლირიკული ლექსები და ორი პოემა – „ქართლის ჭირი“ და „ქაცვია მწყემსი“. პირველი პოემა ეძღვნება ქართლის სამეფოს იმჟამინდელ მდგომარეობას და დიდაქტიკურ-ანალიტიკური შინაარსისაა, ხოლო მეორე, რომელსაც თავად ავტორი „მხიარულ ზაფხულს“ უწოდებს, საყოფაცხოვრებო ხასიათის თხზულებას წარმოადგენს.

დავით გურამიშვილის „დავითიანს“ ქართული ლიტერატურის შედევრთა შორის განსაკუთრებული ადგილი აქვს მიკუთვნებული. როგორც ილია ჭავჭავაძე აღნიშნავდა, „დ. გურამიშვილის დიდაქტიკური პოეზია პირს არ შეირცხვენს, თუნდაც ლუკრეცის, ვერგილის და ჰორაციის დიდაქტიკურ პოეზიას დაუყენეთ პირისპირ“.⁴⁵⁸

მიუხედავად განსაცდელით აღსავსე ცხოვრებისა, დავითს, როგორც ეს მისი ნაწერებიდან ჩანს, ფართო განათლება მიუღია. მან კარგად იცის ისტორია, ლიტერატურა, ფილოსოფია და იცნობს მეცნიერულ სიახლეებსაც. ანტიკურობის თვალსაზრისით, „დავითიანში“ სულ რამდენიმე შემთხვევა დასტურდება, თუმცა მასალა საკმაოდ საინტერესოა და ვრცელ კომენტარს საჭიროებს.

⁴⁵⁸ ილ. ჭავჭავაძე. ნაწერების სრული კრებული. ტ. IV. თბილისი, 1927, გვ. 162.

1. ანტიკური ფილოსოფია

როგორც ეს მკვლევართა მიერაა განმარტებული, „სამეფო კარის კულტურულმა გარემოცვამ განაპირობა დავითის ინტერესი ანტიკური ფილოსოფიისადმი“, ⁴⁵⁹ რის დამადასტურებლად მისი თხზულების რამდენიმე პასაჟი მეტყველებს.

ა) ეპიკური

„დავითიანის“ შესავალ ნაწილში, რომლის ერთ-ერთი ქვესათაურია „საქონლის შეკრებისათვის“, გურამიშვილი განუმარტავს მკითხველს, რომ ადამიანმა ქონების დაგროვების და განკარგვის დროს ფილოსოფიური სიბრძნე უნდა გამოიჩინოს და წერს:

„ფილასოფოსი ეპიკურ გვაუწყებს, ამას გვპირდება:

აგებულობით მყოფელი აროდეს გაღარიბდება

თუ კაცი ნდომას მიჰყვების, მის დღეში არ გამდიდრდება,

როცა პატარას იშოვნის, მერმე დიდს მაეკიდება“. ⁴⁶⁰

როგორც ვხედავთ დავითი იმოწმებს ეპიკურეს (მვ. წ. 341-270 წწ.) ნააზრევს.

თხზულების ამ მონაკვეთთან დაკავშირებით ე. მაღრაძე აღნიშნავს: „ჩვენი დაკვირვებით, ეს აზრი ეპიკურეს გამოთქმული აქვს ამ სახით: „ის, ვინც მისდევს ბუნებას და არა ფუჭ შეხედულებებს, ყველგან კმაყოფილია იმითაც, რაც აქვს, რადგან იმის მიმართ, რაც ბუნებისათვის საკმარისია, ყოველი ქონება არის სიმდიდრე, ხოლო განუსაზღვრელი სურვილების მიმართ უდიდესი სიმდიდრეც კი არის არა სიმდიდრე, არამედ სიღარიბე“, ხოლო დავით გურამიშვილის მოტანილი სტროფის ბოლო ტაეპი: „როცა პატარას იშოვნის, მერმე დიდს მაეკიდება“ – უკავშირდება ეპიკურეს ნათქვამს „ვისთვისაც მცირედი საკმარისი არაა, მისთვის არაფერი არაა საკმარისი“, ანდა: „ხშირად შეხედებით ადამიანს, რომელიც ღარიბია ბუნების საბოლოო მიზნის მიხედვით, ხოლო მდიდარი ფუჭი შეხედულებების მიხედვით, რადგან არც ერთი უგუნურისათვის არ არის საკმარისი ის, რაც აქვს, პირიქით, ის მეტად სწყუხს იმაზე, რაც არა აქვს“. ⁴⁶¹

⁴⁵⁹ ლ. ზაქარაძე. დავით გურამიშვილი, „დავითიანი“ ქრისტიანული ფილოსოფიის ჭრილში. ქართული ფილოსოფიისა და თეოლოგიის ენციკლოპედია. ხელმისაწვდომია ონლაინ: <http://encyclopedia.ge/ka/articles/136> ბოლო ნახვა: 21.08.2023.

⁴⁶⁰ დ. გურამიშვილი. დავითიანი. წიგნში: ქართული მწერლობა. ტ. VII. შემდგ.: ა. ზაქარაძე, რ. თვარაძე. თბილისი, 1989, გვ. 359.

⁴⁶¹ ე. მაღრაძე. ორი რომანი; გოდება. თბილისი, 1984, გვ. 289.

ლ. ზაქარაძის განმარტებით, „დავით გურამიშვილი დაინტერესებული იყო ეპიკურეს შეხედულებებითაც და ცდილობდა მისი ეთიკური მოძღვრების ინტერპრეტაციას. მას კარგად ჰქონდა გაცნობიერებული ეპიკურეს მოძღვრების განმანათლებლური ასპექტი (ეპიკურეს შესახებ არსებობდა გარკვეული ცრურწმენა, რომლის მიხედვითაც მისი ფილოსოფიის მიზანს მხოლოდ ხორციელი ტკბობა წარმოადგენდა). გურამიშვილი იმოწმებს ეპიკურეს, როგორც გონების აპოლოგეტს და ამბობს, რომ ადამიანს მხოლოდ გონების მეშვეობით შეუძლია ვნებათა მოთოკვა. შემეცნების ნამდვილ სურათს მხოლოდ გონება იძლევა; გრძნობა, ნდომა და სურვილი კი მოჩვენებითია“.⁴⁶²

საიდან იცნობდა დავით გურამიშვილი ეპიკურეს შეხედულებებს?

ე. მაღრაძის აზრით, გურამიშვილი ანტიკურ ფილოსოფიას იცნობდა არა თეოლოგიური ლიტერატურიდან, არამედ მას უშუალოდ მიუწვდებოდა ხელი როგორც ბერძენ კლასიკოს სწავლულთა შრომებზე, ისე ელინისტური კულტურის მოღვაწეთა ფილოსოფიურ შეხედულებებზე, ანტიკური ხანის მწერალთა და მოაზროვნეთა ნამოღვაწეებზე.⁴⁶³

არსებობს თვალსაზრისი, რომ ეს ინფორმაცია „დავითიანში“ ვახტანგ VI-ის პოეზიის, კერძოდ, მისი „სიბრძნე მაღალობელის“ გავლენით შემოდის, სადაც თავმოყრილია პლატონის, არისტოტელეს, ეპიკურეს, მენონის და სხვა ფილოსოფოსთა შეხედულებები.⁴⁶⁴

ბ) ოთხი ელემენტი

ოთხი ელემენტის შესახებ ემპედოკლეს შეხედულება, რომელიც, როგორც ვნახეთ, დასტურდება ჯერ კიდევ XII-XIV საუკუნის ავტორებთან (იხ. „ვეფხისტყაოსანი“ და „ისტორიანი და აზმანი შარავნდედთანი“), გვხვდება გურამიშვილის თხზულებაშიც.

- „ღვთის გამო ქმნილ არს ყოველი, არს მყოფობს რაც ნივთიერი“.⁴⁶⁵

ამ პასაჟს შინაარსობრივად უკავშირდება შემდეგი მონაკვეთიც:

⁴⁶² ლ. ზაქარაძე. „დავითიანი“ ქრისტიანული ფილოსოფიის ჭრილში“. იხ. ლ. ზაქარაძე. დავით გურამიშვილი. ქართული ფილოსოფიისა და თეოლოგიის ენციკლოპედია. ხელმისაწვდომია ონლაინ: <http://encyclopedia.ge/ka/articles/136> ბოლო ნახვა: 21.08.2023.

⁴⁶³ ე. მაღრაძე. ორი რომანი; გოდება. თბილისი, 1984, გვ. 289-290.

⁴⁶⁴ ე. მაღრაძე. ორი რომანი; გოდება. თბილისი, 1984, გვ. 289-290.

⁴⁶⁵ დ. გურამიშვილი. დავითიანი. წიგნში: ქართული მწერლობა. ტ. VII. შემდგ.: ა. ზაქარაძე, რ. თვარაძე. თბილისი, 1989, გვ. 350.

- „ღმერთმან რომ კაცი დაბადა, **ოთხ ნივთით** აღაშენაო, მიწით, წყლით, ცეცხლით, ქარითა, ჩაბერვით მისცა ქმენაო“.⁴⁶⁶

ივ. გიგინეიშვილი სრულიად სამართლიანად მიუთითებს, რომ „ნივთი“ არის „ოთხ კავშირთაგანი, ოთხ სტრიქონთაგანი, ოთხ საწყისთაგანი (მიწა, წყალი, ჰაერი და ცეცხლი)“.⁴⁶⁷

ემპედოკლეს ამ თვალსაზრისთან დაკავშირებით ვრცელი კომენტარი უკვე დავურთეთ „ვეფხისტყაოსნისა“ და „ისტორიანი და აზმანის“ შესაბამის პასაჟებს, შესაბამისად, აქ აღარ გავმეორდებით; დამატებით შეიძლება ითქვას, რომ შუა საუკუნეების სქოლასტიკაში დამკვიდრებული ეს შეხედულება გარკვეული მხატვრული ინტერპრეტაციით გურამიშვილთანაც დასტურდება.

ეს აზრი, ერთი ვარაუდით, გურამიშვილს „ვეფხისტყაოსანშიც“ შეეძლო მოეძიებინა.⁴⁶⁸ ამავდროულად, ამ პასაჟებიდან იკვეთება ანტიკური ფილოსოფიის და ქრისტიანული თეოლოგიის საინტერესო სინთეზი, სადაც შეიძლება ჩანდეს არეოპაგიტული შეხედულებების კვალი. კერძოდ, „არეოპაგიტული (ქრისტიანული) მისტიკა, რომლის მიზანი არ არის მხოლოდ ღვთაების წვდომა და მასში დაკარგვა-გაერთიანება. მისტიკურ ექსტაზში ღმერთის წვდომა არ გულისხმობს ადამიანის მიერ მეობის და ინდივიდუალობის დაკარგვას. ტრადიციულად, მისტიკის წყაროდ პლატონური ფილოსოფია, კერძოდ კი, ანტიკური ხანის ნეოპლატონიკოსებისა (მაგალითად, პლოტინი) და ქრისტიანი ფილოსოფოსების (მაგალითად, ფსევდოდოქსისე არეოპაგელი) მისტიკური შეხედულებები მიიჩნევა. გურამიშვილის მისტიკის წყაროდ შეიძლება ქართული ფილოსოფიურ-მისტიკური ტრადიციები მივიჩნიოთ, უპირველეს ყოვლისა კი, არეოპაგიტული მისტიციზმი“.⁴⁶⁹

2. ანტიკური მითოლოგია

„ქაცვია მწყემსში“ დავით გურამიშვილი ცხადყოფს ანტიკური მითოლოგიის სიღრმისეულ ცოდნას და ბერძნული მითოლოგიური პერსონაჟების ორიგინალურად ინტერპრეტაციის უნარს.

ა) სირინიზი

⁴⁶⁶ დ. გურამიშვილი. დავითიანი. წიგნში: ქართული მწერლობა. ტ. VII. შემდგ.: ა. ზაქარაძე, რ. თვარაძე. თბილისი, 1989, გვ. 493.

⁴⁶⁷ ივ. გიგინეიშვილი. ქართული მწერლობა. ტ. VII. თბილისი, 1989, გვ. 729.

⁴⁶⁸ ე. მაღრაძე. ორი რომანი; გოდება. თბილისი, 1984, გვ. 290.

⁴⁶⁹ ლ. ზაქარაძე. „დავითიანი“ ქრისტიანული ფილოსოფიის ჭრილში“. იხ. ლ. ზაქარაძე. დავით გურამიშვილი. ქართული ფილოსოფიისა და თეოლოგიის ენციკლოპედია. ხელმისაწვდომია ონლაინ: <http://encyclopedia.ge/ka/articles/136> ბოლო ნახვა: 21.08.2023.

ცოლქმრულ ურთიერთობაზე მსჯელობისას გურამიშვილი ყურადღებას ამახვილებს მეუღლეთა ერთგულებაზე. ცოლის გარეგნულ მშვენიერებაზე მნიშვნელოვნად იგი ქალის მორალურ ღირსებებს მიიჩნევს და ასეთ რჩევას აძლევს მკითხველს:

„ნუ გსურს ლამაზი პირ-სირინიზი,

არას გაამებს, თუ არის ბოზი“.⁴⁷⁰

სირინოზები – გარეგნულად მომხიბვლელი და მეზღვაურთა მომაჯადოებელი სირენები ბერძნული მითოლოგიიდან – არსად ჩანან შუა საუკუნეების ქართულ ლიტერატურაში, რომელშიც, როგორც ვნახეთ, უხვადაა წარმოდგენილი ანტიკური ნარატივები და მითოლოგიური პერსონაჟები; თუმცა, XVIII-XIX საუკუნის ქართულ პოეზიაში ისინი საკმაოდ ხშირად ფიგურირებენ. ვფიქრობ, ამის მიზეზი შეიძლება იყოს ის ფაქტი, რომ „ელინთა ზღაპრობანიში“, რომელიც შუა საუკუნეების ქართველი მწერლებისთვის ანტიკურობის შესახებ მთავარ წყაროს წარმოადგენდა, მათ შესახებ ინფორმაცია არ დასტურდება. სირინოზები ქართულ სინამდვილეში, როგორც ჩანს, პირველად ჩნდებიან სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში, სადაც ვკითხულობთ: „ზღვასა შინა არს ცხოელი ერთი, წელს აღმა მგზავსი ქალისა და ბოლო თევზისა, ესრე ტკბილად ჯმოვენ, კაცნი სიამოვნით გახელდებიან, იგი არს სირინოზი“.⁴⁷¹

შესაბამისად, ბერძნული მითოლოგიის კაცისმჭამელი სირენებისაგან განსხვავებით, რომლებიც ნახევრად ფრინველები არიან, სულხან-საბას ლექსიკონში სირენების მახასიათებლებია: მომხიბვლელი ხმა და მიქსანთროპული გარეგნობა – თევზის კუდი. ლექსიკონში არაფერია თქმული სირინოზთა მიერ მოხიბლულ მამაკაცთა დაღუპვის შესახებ, რამაც ეს მითური ფიგურები ქართულ ლიტერატურაში აქცია ერთგვარად პოზიტიურ პერსონაჟებად, რომლებსაც ზღაპრული გარეგნობა და მომაჯადოებელი ხმა გამოარჩევთ.

ამრიგად, გურამიშვილთან წარმოდგენილი „სირინიზი“ მეტაფორადაა გარდასახული და ქალის გარეგნულ მშვენიერებას განასახიერებს („პირ-სირინიზი“). სირინოზის მომაჯადოებელი ხმა, რომელიც ეს დავითის შემდგომ ქართულ პოეზიაში ხშირად დასტურდება, აქ ნახსენები არაა.

ბ) ქარები

წიგნში „მხიარული ზაფხული“, რომლის სრულ სათაურს პოეტი ასე გადმოგვცემს: „წიგნი ესე მხიარული ზაფხული რუსულად ამის ხმის სიმღერას ეწოდების ვესელა ვესნა. თქმული მისივე დავით გურამიშვილის“, ბუკოლიკური

⁴⁷⁰ დ. გურამიშვილი. დავითიანი. წიგნში: ქართული მწერლობა. ტ. VII. შემდგ.: ა. ბაქრაძე, რ. თვარაძე. თბილისი, 1989, გვ. 555.

⁴⁷¹ სულხან-საბა ორბელიანი. ლექსიკონი ქართული. მოამზადა ილ. აბულაძემ. რედ.: ელ მეტრეველი, ც. ქურციკიძე. თბილისი, 1991.

ჟანრის თხზულებას წარმოადგენს. შენიშნულია, რომ „ჯერჯერობით არავითარი ცნობა არ არსებობს იმის თაობაზე, რომ გურამიშვილს რომელიმე ბერძნული ან ახალი ევროპული ბუკოლიკა სცნობოდე. თუ მართლა ასეა, მაშინ უნდა დავასკვნათ, რომ პოემა ეს ჟანრი დამოუკიდებლად, საკუთარი სულიერი განწყობილების შესაბამისად შეიმუშავა“.⁴⁷²

თხზულების ქვეთავში „ზამთარ-ზაფხულისა და ქარების ბრძოლა“ აღწერილია გაზაფხულის დადგომა, ზამთრისა და ზაფხულის ჯართა ორთაბრძოლა, რომელიც ქარების შერკინებით მიმდინარეობს:

იჯდა ზამთარი ბროლის ტახტზედა;
ხელი ხედ ედვა ფარ-ხმალ-ლახტზედა,
მზად ყვანდა ლაშქარი _
თოვლ-ყინვა, მას ქარი _
მოსწონდა თავი!

5

ჯართ მყვანებელად, ევროს ამირად
ყვანდა კეკიად მოპირდაპირად;
შემდეგად მას ლიფსი,
ზეფიროს ფვინქსი,
ბორია, ნოტოს.

6

ზაფხულს ამირად ჰყვანდა კეკია,
სად ევროს იდგა ნაცარქექია,
შემდეგად არგესტი,
აპილი ერდასტი,
თრასკე ლივონტოს.

7

არგესტიმ უთხრა: დრო არის, ლიფსი,
ადე, გამეცა, რა ქვეშა იფსი!
ეს ლიფსმან იწყინა,
უფროსად გაყინა
ლილო-ლედმანი.

8

⁴⁷² ნ. ნათაძე. „დავითიანის“ შინაარსი, აღნაგობა და ძირითადი მოტივები. პროექტი: ბიბლიოთეკა სკოლას. ხელმისაწვდომია ონლაინ: http://www.nplg.gov.ge/civil/statiebi/saskolo/davitiani_shinaarsi.htm ბოლო ნახვა: 27.03.2021.

ლიფსსა და არგეტს შაექნათ ჩხუბი,
არგეტს საჯდომთა ლიფსს შასცა შუბი, _
დაიჭრა რა ლიფსი,
იხმო მან ფვინქსი,
მიუთხრა მასა:

9

არგეტს შავები, ნაცზე დავიჭერ.
უკაცრაოდ ვარ, შარდს ვეღარ ვიჭერ!
აწ ახლა შენ იცი,
ვით გაქვნდეს შენ ფიცი,
შენ გაისარჯე!

10

არგეტს დაყუჩდესა, ქროლისგან დადგა,
ფვინქსის ბრძოლად ერლასტი ადგა.
გარდაუდგა წინა,
ლაშქრად ახლდა წვიმა,
ფვინქს[ს] ყვა თოვლნი.

11

ფვინქს ერლასტის წამოუქროლა,
თოვლის ხორშაკით დაუწყო სროლა.
ერლასტიმ მას თოფნი,
წვიმა და ქარ-ჭყოპნი,
მას შეაყარა.

12

გატყდა, ამოსწყდა ფვინქსის ჯარი,
ვერ მოიხმარეს თვისი აბჯარი;
ჩაუსველდათ თოფნი,
თავს დაესხათ ჭყოპნი,
დეღგმა-ლოღფონი.

13

ერლასტს ეტყოდა ზეფიროს გმირი:
კმარა, დაჩუმდი ნუ მაღლა ყვირი.
ნულარ ჰქერი თბილადა,
თვარ გაგხდი წბილადა!
დალაშქრა თრთვილით.

14

რა ზეფიროსმა შექმნა მუქარა,
აპილიოტმა ფეხს მოუჩქარა:
დაჰბერა მან თბილი,
განუგდო მას თრთვილი,
მზეც მოეხმარა.

15

ევროსთან იყვნენ ბორია, ნოტოს
და კეკიასთან თრასკე ლივონტოს,
მუნ შუამავლობენ,
მშვიდობას ცდილობენ
ერთმანერთშია.

16

ამ ქარებს გარდა სხვანი ქარები
დაუნდობელნი, არზაქარები,
იყვნ[ენ] შორს წასულნი,
ქვეყნად დაქსაქსულნი,
მუნ ვერსად ვნახე.

17

რა ესმა ევროს[ს] ჯარის გატეხა,
ბორიას, ნოტოსს შემოუჭეხა:
თქვენ აქ რადა ხართო,
რატომ არ წახვალთო?
ჩვენს ჯარს უჭირსო!

18

ამას წყინობდა ევროს ამირი,
ავად სებმულა ზეფიროს გმირი.
აპილიოტო,
ქმნილა მეოტო
ზეფიროზისა.

19

აღდგა ჩრდიეთით ბორია ქარი,
გულით ფიცხელი, ხელ-ფეხით ცქარი,
მძლავრად გაყინა,
სუყველას აწყინა,
ვისაც შემოხვდა.

20

სად ზაფხულისა ვლიდა თარეში,
სულ გაუყინა მალლა ჰაერში;
ასეთი ციოდა,
მკვდარი ძირს ცვიოდა
მაღლითგან დაბლა.

21

თრასკემ ბორიას კარგათ უმტერა,
წამოუგირგლა, სულ განუმტევ[ერა];
ჰაერში ახვეტა,
დაუწყო მან ჟლეტა
ბორიას ლაშქარს.

22

ბორია დადგა, წამოდგა **ნოტოს**,
თრასკეც დაყუჩდა, აღდგა **ლევონტოს**.
ხვდა ლომსა ლომია,
შეიქნა ომია
მეტად ძლიერი!

23

ნოტოს დაჰყვირა **ლევონტოსს** მჭახედ:
ლევონტოს დახვდა გულმაგრა, მკვახედ;
დგენ გაბოტებითა,
სცემდნენ ტოტებითა
ერთმანერთს თავში.

24

ამირ **კეკიამ** იხმარა ხერხი,
ევროსს მოსტეხა ზარბაზნით ფეხი;
ასეთი შაშქეხა,
ევროს ქნა ტანთ გრეხა
შიშისაგანა.

25

იპყრა **კეკიამ** ხელთ **ევროს** ქარი,
სრულად დამარცხდა ზამთრის ლაშქარი!
გაიქცა ჩაფარი,
სად იყო ზამთარი,
ხელთ იპყრა ხრმალ-ფარი.
შეჯდა რაშზედა!

26

ოდეს მოხსენდა, სიტყვა ჩაფრისა,
ჯარის სიმარცხე, მოშლა საფრისა,
წამოდგა ზამთარი,
ხელთ იპყრა ხრმალ-ფარი.
შეჯდა რაშზედა!

27

სადაც ბანაკად დგა გაზაფხული,
ხრმალგალესილი, შუბგამახული,
მიმართა ზამთარმან,
ჯავრით, ვით აფთარმან,
მას შეუტივა!

28

ზაფხულს მიუგო ავი სიტყვანი,
გარდააყრა თავსა სეტყვანი.
ზაფხულმან თოფხანა
სტყორცნა, თავს მოჰფხანა
მეხით ზამთარსა.

29

მზემან მსახურა ზაფხულს კეთილად,
ზამთრის სიცივე შესცვალა თბილად.
გაიქცა ზამთარი,
რაშს სტაცა ფაფარი:
დასცეს კიჟინა!

30

შეჯდა კეკია, იყო ცხენ-ჩქარი,
დააწყებინა შუბსა ზანზარი;
გამოუდგა მდევრად,
უკან მოსაწევრად
მიყვა ზამთარსა.

31

არ ჩამოეხსნა კეკია ქარი,
სანამ არ ჩაძვრა ქვესკნეთს ზამთარი.
აიღო ალაფი,
გარდასხა ღავს ლაფი
და გამოზრუნდა!

ამ საკმაოდ მოცულობით პასაჟში, რომელიც აქ სრულადაა ციტირებული, გურამიშვილი ახსენებს ბერძნული მითოლოგიაში კარგად ცნობილ ქარებს, რომლებიც, ელინთა რწმენით, ანთროპომორფული არსებები არიან. „მხიარულ ზაფხულში“ ქარების შემდეგი სახელებია დადასტურებული (ფრჩხილებში მითითებულია ბერძნული შესატყვისები და საჭიროებისამებრ, სწორი ფორმები ქართულად): კეკია (Καικίαჲ კაიკიასი); ლიფსი (Λίψι); ზეფიროს/ზეფიროზ (Ζέφυρος ზეფიროსი); ფვინქსი (Φοινικίαჲ ფოინიკიასი); ბორია (Βορέας ბორეასი); ნოტოსი (Νότος); არგესტი (Ἀργέστηჲ არგესტესი); აპილი/აპილიოტი (Ἀπυλιώτης აპელიოტესი); ევრო (Εὐρώჲ ევროსი); ერლასტი (? Ἀργέστηჲ, ერგასტესი); თრასკე (Θρασκίαჲ თრასკიასი); ლივონტოს/ლევონტოს (Λιβόντος ლიბონოტოსი).

უნდა ითქვას, რომ სულხან-საბა ორბელიანის „ქართულ ლექსიკონში“ ლემას „ქარი“ ახლავს საკმაოდ ვრცელი კომენტარი – ქარების სახელთა ჩამონათვალი განმარტებები და ქარების მიმართულების ამსახველი სქემა.

მომყავს სულხან-საბასთან დადასტურებული ინფორმაცია „ქართან“ დაკავშირებით:

ქარი

L.ილვენტოB.


Turk.იელZAaBCDE.

Arm. ქამი ZCDE, ჰულმ CDE.

(+ 3, 65 დანიელ ZA) ქარი არს მზისა და ვარსკვლავთა მიერ ქვეყ(ა)ნით აღტაცებული სიმჭურვალისა და სიკმელის(ა) აღორთქლებად და ჰაერთა შინა მოძრავი. უკეთუ ზე აღდგა ღრუბელთასა, იქმნების უცივეს, ხოლო უქვემოესი – უთბოს. ხოლო ქართა გარემომოწერანი ესე არიან (არს B) და სახელებიც(ა) მათნი რაოდენ(ნ)ი არიან, ანუ სადით ქრიან (+ იგინი B). ხოლო ქრიან ქარნი აღმოსავ(ა)ლით დღისა და ღამის გასწორებისადთ **აპოლიოტი**, და დასავ(ა)ლით – **ზეფიროსი**, სამხრით – **ნოტოჲ** და ჩრდილოთ – **აპარკტიაჲ**; აპოლიოტსა და აპარკტიას(ა) საშუალ – **კეკიაჲ**; აპარკტიოსა (აპარკტიასა B) და ზეფიროსს საშუალ – **არგესტი**; ზეფიროს(ს)ა (+ და ZB) ნოტომს საშუალ – **ლიფსი**; ნოტომს(ს)ა და აპოლიოტსა საშუალ – **ევროპი**; აპოლიოტსა და კეკიადს საშუალ – **ნიავი**; კეკიადსა და აპარკტიას საშუალ – **ბორიასი**; აპარკტიოსა და არგესტისა საშუალ – **თრასკესი**; არგესტისა და ზეფიროსის საშუალ – **იაპიქსი**; ზეფიროსისა და ლიფსის საშუალ – **ჰალიკონი**; ლიფსისა და ნოტოიას (ნოტოიას B) საშუალ – **ლიონოტო**; ნოტოიასა და ევროპის საშუალ – **ფინიქსი**; ევროპისა და აპოლიოტისა საშუალ – **ხორშაკი**; აპოლიოტისა და ნიავის(ა) საშუალ –

ნიავეარი; ნიავისა და კეკია(მ)ს საშუალ – საბარული; (ხაბარული AbB); კეკიამსა და ბორეამს(ა) საშუალ(...)¹; ბორეისა (ბორიამს B) და აპარკტია(ი)ს საშუალ – ვორიამ; აპარკტიასა და თრასკეის (თრასკესის B) საშუალ – ტვიფონი; თრასკესისა და არგესტის საშუალ – კირკიდო(მ); არგესტისა (+ და ZAbB) იაპიქსის საშუალ – ულუმპიამ; იაპიქსისა და ზეფიროსის საშუალ – ელრასტი (ერლასტი B); ზეფიროსისა და ჭალიკონის საშუალ – თერხვი; ჭალიკონისა და ლიფაის(ას) (ლიფასის B) საშუალ – ქუსბორიამ; ლაფაისის (ლიფაისა B) და ლიონოტოსის საშუალ – არავი; ლიონოტოს(ი)სა და ნოტოისა საშუალ – ლევბემონოსი (ლევბენომოსი B); ნოტოისა და ფინიქსის საშუალ – ევრონოტოსი; ფინიქსისა და ევროპის საშუალ – [...]²; ევროპისა და ხორშაკის(ა) საშუალ [...]²; ხორშაკისა და აპოლიოტის საშუალ – [...]². ესრეთ არს (არიან B) ყო(ვ)ელი(ვე) ქროლა, განმხილველო ZAB³”.⁴⁷³

„ქარის“ განმარტებას ბოლოს ასეთი სქემა დაერთვის:



⁴⁷³ ლექსიკონი ქართული. ლექსიკონის წინამდებარე გამოცემა უცვლელად იმეორებს სულხან-საბა ორბელიანის თხზულებათა ორტომეულში შეტანილ ტექსტს. წყარო: სულხან-საბა ორბელიანი. ლექსიკონი ქართული. მოამზადა ილ. აბულაძემ. რედ.: ელ. მეტრეველი, ც. ქურციკიძე. თბილისი, 1991. ხელმისაწვდომია ონლაინ: <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=8&t=46953> ბოლო ნახვა: 28.05.2024.

სულხან-საბა ორბელიანი. სიტყვის კონა ქართული, რომელ არს ლექსიკონი. ს. იორდანიშვილის რედაქციითა და ლექსიკონით. თბილისი, 1949, გვ. 701. ხელმისაწვდომია ონლაინ: <https://archive.org/details/sulxan-saba/page/366/mode/2up?view=theater> ბოლო ნახვა: 28.05.2024.

სულხან-საბასთან ჯამურად 27 ქარია წარმოდგენილი (ნაწილის სახელი არ არის მითითებული), რომელთაც შემდეგი მიმართულებები აქვთ:⁴⁷⁴

აპოლიოტი (Απυλιώτης აპელიოტესი) – E; ზეფიროსი (Ζέφυρος) – W; ნოტოი (Νότος-ნოტოსი) – S; აპარკტია (Ἀπαρκτίας აპარკიასი) – N; კეკია (Κακίας კაიკიასი) – NE; არგესტი (Ἀργεστής ერგასტესი) – NW; ლიფსი (Λίψ) – SW; ევროპი (Εὐρώπ-ევროსი) – SE; ნიავი – **ENE**; ბორიასი (Βορέας ბორეასი) – NNE; თრასკესი (Θρασκίας თრასკიასი) – NNW; იაპიქსი (Ἰάπων) – NWW; ჭალიკონი – **SWW**; ლიონოტო (Λιβόνιος ლიბონოტოსი) – SSW; ფინიქსი (Φοινικίας ფოინიკიასი) – SSE; ხორმაკი – SSE; ნიავეარი – EENE; საბარული – ENENE; ვორია – ESEN; ტვიფონი – NNWN; კირკიდო(დ) – NWNW; ულუმპია (Ὀλυμπίας ოლიმპიასი) – NWNW; ელრასტი (ერლასტი) – WNNW; თერხვი – SWWN; ქუსბორია – SWWSW; არავი – SWSWS; – ლევემონოსი (ლევენომოსი) – SWSS; ევრონოტოსი (Εὐρόνιος) – SESS;

რომელი წყაროებით უნდა ესარგებლათ სულხან-საბა ორბელიანს და დავით გურამიშვილს?

საყურადღებოა, რომ გურამიშვილთან დადასტურებული ქარების სახელწოდებები, ძირითადად, მცირედი განსხვავებებით, ემთხვევა სულხან-საბას ლექსიკონში მოცემულ ტერმინებს, რაც, ერთი შეხედვით, მათ საერთო წყაროდან წარმომავლობაზე უნდა მიუთითებდეს. დეტალურად განვიხილოთ ეს საკითხი.

ქართა რაოდენობების, მიმართულებებისა და სახელების შესახებ ანტიკურობასა და შუა საუკუნეებში არაერთგვაროვანი აზრი არსებობდა.⁴⁷⁵ ამ თემაზე მსჯელობა საგრძნობლად სცილდება კონკრეტულ საკვლევ საკითხს, რის გამოც აქ არ წარმოვადგენთ სხვადასხვა ავტორთა მიერ შეთავაზებულ სქემებს და მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, რომ ქართა ის სახელწოდებები და მიმართულებები, რომლებიც გვხვდება დავით გურამიშვილთან, მეტ-ნაკლებად თანხვდება ტიმოსტენეს როდოსელის (ძვ.წ. III ს.) ვერსიას, რომელსაც ახსენებს ახ.წ. III საუკუნის ბერძენი ავტორი აგათემეროსი თხზულებაში „გეოგრაფია“. აგათემეროსი აღნიშნავს, რომ ტიმოსტენესმა 12 ქარი გამოყო, დაამატა რა 4 ახალი ქარი⁴⁷⁶ [აქ იგულისხმება

⁴⁷⁴ მიმართულებებისთვის საყოველთაოდ დამკვიდრებული შემოკლებები გვაქვს გამოყენებული (E – აღმოსავლეთი, W – დასავლეთი; S – სამხრეთი; N – ჩრდილოეთი).

⁴⁷⁵ Jas. G. Wood. Appendix, On the Number, Direction and Nomenclature of the Winds in Classical and Later Times. In: Theophrastus of Eresus. on Winds and on Weather Signs. Translated with introduction and notes, and an Appendix on the Direction, Number and Nomenclature of the Winds in Classical and Later Times by Jas. G. Wood, ed. by J.G. Symons. London, 1894, გვ. 77-97. ხელმისაწვდომია ონლაინ: <http://climatepositions.com/wp-content/uploads/2014/03/theophrastusofer00theo.pdf> ბოლო ნახვა: 05.05.2024.

⁴⁷⁶ Agathemerios, Hypotyposis Heographiae I, II, 1. In: Geographica Antiqua, cum notis I. Vossii, Jac. Palmerii, Sam. Tennulii, ed. J. Gronovio. Lugduni Batavorum (Brittenburg), 1697, გვ. 178-180. ხელმისაწვდომია ონლაინ:


არისტოტელეს მიერ 8 ქარის ხსენება, თუმცა ბევრი მკვლევარი მიიჩნევს, რომ არისტოტელე 10 ქარს ასახელებს⁴⁷⁷ – ე.კ.].

ტიმოსთენესს წინამორბედებისგან (არისტოტელე, თეოფრასტოსი) განასხვავებს შემდეგი მთავარი დეტალები:

1. ქარის – „ლიბონოტოსის“ დამატება (სამხრეთ-სამხრეთ-დასავლეთის ქარი)

2. „ბორეასის“ ჩრდილოეთის ქარის პოზიციიდან ჩრდილო-ჩრდილო-აღმოსავლეთის ქარის პოზიციაზე გადმოსმა.

ტიმოსთენესთან დადასტურებული ქარების სქემატურ სურათს აგათემეროსი ასე წარმოადგენს⁴⁷⁸:



საყურადღებოა, რომ ტიმოსთენესის ეს ვარიანტი გამეორებულია იოანე დამასკელის თხზულებაში „გარდამოცემაჲ უცილობელი მართლმადიდებელთა სარწმუნოებისაჲ“. 22-ე თავში „ჰაერისა და ქარების შესახებ“ ვკითხულობთ:

„ქარები ამგვარად ქრიან: საზაფხულო აღმოსავლეთიდან – კეკიასი ანუ ჩრდილო-აღმოსავლეთის ქარი, იგივე მესესი ანუ შუაქარი; დღელამსწორობითი

https://books.google.ge/books?id=aAcT_D6t_YwC&pg=PA178&redir_esc=y#v=onepage&q&f=false ბოლო ნახვა: 10.05.2024.

⁴⁷⁷ M. d'Avezac. Aperçus historiques sur la rose des vents: lettre à Monsieur Henri Narducci. Rome, 1874, გვ. 18. ხელმისაწვდომია ონლაინ:

https://books.google.ge/books?id=d-CiAAAAMAAJ&pg=PA10&redir_esc=y#v=onepage&q&f=false ბოლო ნახვა: 10.05.2024.

⁴⁷⁸ Agathemerios, Hypotyposis Heographiae I, II, 1. In: Geographica Antiqua, cum notis I. Vossii, Jac. Palmerii, Sam. Tennulii, ed. J. Gronovio. Lugduni Batavorum (Brittenburg), 1697, გვ. 239. ხელმისაწვდომია ონლაინ:

https://books.google.ge/books?id=aAcT_D6t_YwC&pg=PA178&redir_esc=y#v=onepage&q&f=false ბოლო ნახვა: 10.05.2024.

აღმოსავლეთიდან – აპელიოტესი ანუ აღმოსავლეთის ქარი; საზამთრო აღმოსავლეთიდან – ევროსი ანუ სამხრეთ-აღმოსავლეთის ქარი; საზამთრო დასავლეთიდან – ლიფსი ანუ სამხრეთ-დასავლეთის ქარი; დღედამსწორობითი დასავლეთიდან – ზეფირი ანუ დასავლეთის ქარი; საზაფხულო დასავლეთიდან – არგესტესი ანუ ჩრდილო-დასავლეთის ქარი, იგივე ოლიმპიასი ანუ იაპიქსი. შემდეგ – ნოტოსი ანუ სამხრეთის ქარი და აპარქტიასი ანუ ჩრდილოეთის ქარი, რომლებიც ურთიერთსაწინააღმდეგოდ ქრიან. აპარქტიასისა და კევიოსის შუაშია ბორეასი, ევროსისა და ნოტოსის შუაში – ფენიქსი, რასაც ევრონოტოსსაც უწოდებენ, ნოტოსისა და ლიფსის შუაში – ლიბონოტოსი, იგივე ლევკონოტოსი, ხოლო აპარქტიასისა და ორგესტესის შუაში – თრასკიასი ანუ კერკიოსი, როგორც მას ადგილობრივი მცხოვრებლები უწოდებენ“.⁴⁷⁹

ამრიგად, შესაძლებელია ვივარაუდოთ, დავით გურამიშვილი ძირითადად იოანე დამასკელის ტექსტს უნდა ეყრდნობოდეს, თუმცა ის ფაქტი, რომ დავით გურამიშვილსა და იოანე დამასკელს შორის არის საყურადღებო განსხვავება – გურამიშვილთან ერთ-ერთ ქარად მოხსენიებულია „ერდასტესი“, რომელსაც არ იცნობს იოანე დამასკელი, ხოლო ფორმით „ელრასტი“ ამ ქარს სულხან-საბასთან ვხვდებით („იაპიქსისა და ზეფიროსის საშუალ – ელრასტი“), გვაფიქრებინებს, რომ დავით გურამიშვილს, როგორც ჩანს, იოანე დამასკელის თხზულებასთან ერთად უსარგებლია სულხან-საბას ამ ნაშრომითაც.

საინტერესოა, რომ სულხან-საბა ლექსიკონში ქარის განმარტებისას არ ახსენებს იოანე დამასკელის „გარდამოცემას“, რომელიც ეფრემ მცირისა და არსენ იყალთოელის მიერ იყო თარგმნილი ჯერ კიდევ XI-XII საუკუნეებში.⁴⁸⁰ ამის მიზეზი, შეიძლება იყოს ის ფაქტი, რომ ქარების სახელების გადმოცემისას იგი იყენებდა სხვა წყაროს, სადაც ქართა რაოდენობა გაცილებით მეტი იყო.

მნიშვნელოვანია, რომ სულხან-საბა ორბელიანი ამ ლემას შემდეგ ასეთ შენიშვნას ურთავს: „ესე ქართა ნიშანი ლათინთა მიერ გარდმოვიღე, ხოლო ქართა

⁴⁷⁹ წმინდა იოანე დამასკელი. მართლმადიდებელი სარწმუნოების ზედმიწევნით გადმოცემა. თარგმნა ე. ჭელიძემ. თავი 22. თბილისი, 2018. ხელმისაწვდომია ონლაინ: <https://www.orthodoxy.ge/gvtismetkveleba/damaskeli/22.htm> ბოლო ნახვა: 13.05.2024.

⁴⁸⁰ შდრ. წმ. იოანე დამასკელი. მართლმადიდებლური სარწმუნოების ზედმიწევნითი გადმოცემა. ორი ძველი ქართული თარგმანი (წმ. ეფრემ მცირისა და წმ. არსენ იყალთოელისა). გამოსაცემად მოამზადეს რ. მიმინოშვილმა და მ. რაფაევამ. წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო მ. რაფაევამ. ძველი ბერძნულიდან თანამედროვე ქართულზე თარგმნა, შესავალი და შენიშვნები დაურთო ე. ჭელიძემ. თბილისი, 2000.

წესნი და საქმენი მადგან ვერა გარდმოვიღე, რამეთუ ენის მცოდნე არა მყვანდა, თქვენ ეცადეთ“.⁴⁸¹

ვფიქრობ, „ლათინთა“ სიტყვის მნიშვნელობა ამ კონტექსტში იტალიელ კათოლიკეებს გულისხმობს, რადგან სულხან-საბა თავიდანვე მიუთითებს, რომ ქარი ლათინთა ენაზე „ილვენტოს“ ნიშნავს, რაც აშკარად იტალიური სიტყვიდან „il vento“ მომდინარეობს და არა ლათინური „ventus“-იდან, რომელსაც, ბუნებრივია, არტიკლიც არ ახლავს. შესაბამისად, სულხან-საბას უსარგებლია წყაროთი, რომელსაც, როგორც ჩანს, იგი გაეცნო ევროპაში, კერძოდ იტალიაში მოგზაურობის დროს 1713-1716 წლებში. დიდი ალბათობით, სულხან-საბა სარგებლობდა წერილობითი წყაროს ზეპირი გადმოცემით, რამაც რამდენიმე ტერმინის დამახინჯება გამოიწვია (მაგ. „ლიონოტო“ (ბერძნ. ლიბონოტოსი – λιβονότος; ital. Libonotos), თუმცა წყარო არ იყო იტალიურ ენაზე, რაზეც მეტყველებს ქართა სახელწოდებების ბერძნული ყალიბები (ლევბემონოსი, ევრონოტოსი, ბორიასი) და ბიზანტიური ბერძნულისთვის დამახასიათებელი ჟღერადობა (ერდასტი; ვორიად; კეკიად და ა.შ.).⁴⁸²

რაც შეეხება ქარების შესახებ სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის წყაროს, რომელშიც სულ ცოტა 27 ქარის სახელი მაინც უნდა ყოფილიყო ნახსენები და ასევე იმის გათვალისწინებით, რომ სულხან-საბა ქართა სქემასაც გვთავაზობს, სავარაუდოა, რომ მწერალი ეყრდნობოდა 34 ქარის სახელწოდებიან საზღვაო კომპასს, ე.წ. compass Roses, რომლის წარმოება დაიწყო XV საუკუნეში და განსაკუთრებით გაიზარდა XVI-XVII საუკუნეებში, ცხადია, ზღვაოსნობით ცნობილ ქვეყნებში.⁴⁸³ როგორც ჩანს, ამ კომპასზე ძირითადად გამოყენებული იყო ქართა ბერძნული სახელწოდებები და კომპასის ცენტრალურ ადგილას ტრადიციულად პოლარული ვარსკვლავის გამოსახულება ჩანდა ისე, როგორც ეს სულხან-საბას ლექსიკონში არსებულ ჩანახატზეა დადასტურებული:


⁴⁸¹ ლექსიკონი ქართული. ლექსიკონის წინამდებარე გამოცემა უცვლელად იმეორებს სულხან-საბა ორბელიანის თხზულებათა ორტომეულში შეტანილ ტექსტს. წყარო: სულხან-საბა ორბელიანი. ლექსიკონი ქართული. მოამზადა ილ. აბულაძემ. რედ.: ელ. მეტრეველი, ც. ქურციკიძე. თბილისი, 1991. ხელმისაწვდომია ონლაინ: <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=8&t=46953> ბოლო ნახვა: 28.05.2024.

სულხან-საბა ორბელიანი. სიტყვის კონა ქართული, რომელ არს ლექსიკონი. ს. იორდანიშვილის რედაქციითა და ლექსიკონით. თბილისი, 1949, გვ. 701.

ხელმისაწვდომია ონლაინ: <https://archive.org/details/sulxan-saba/page/366/mode/2up?view=theater> ბოლო ნახვა: 28.05.2024.

⁴⁸² დავით გურამიშვილთანაც ანალოგიური ტენდენცია ნარჩუნდება (ლევონტოს, ერდასტი, კეკია და ა.შ.).

⁴⁸³ Cartographical Innovations: An International Handbook of Mapping Terms to 1900. Ed. by H. Wallis and A. H. Robinson. 1987, გვ. 15.



რაც შეეხება „მხიარულ ზაფხულში“ ნახსენები ქარების მიმართულებების შესახებ ინფორმაციას, უნდა აღინიშნოს, რომ დავით გურამიშვილი ამასთან დაკავშირებით არაფერს ამბობს, მხოლოდ ბორიოს შესახებ მიუთითებს: „აღდგა ჩრდიეთით ბორია ქარი“. თუმცა ამ ციტაციიდან მნელია დავასკვნათ, აქ იგულისხმება ჩრდილოეთის ქარი, თუ ჩრდილო-აღმოსავლეთის ქარი.

საყურადღებოა, რომ ქარები, მათი თვისებების მიხედვით, პოეტს ზაფხულის და ზამთრის ლაშქარში ასე აქვს გადანაწილებული:

ზამთრის ჯარს ეკუთვნიან: ევროსი/ ფვინიქსი (ჯარის წინამძღოლი) – სამხრეთ-აღმოსავლეთის ქარი; ლიფსი – სამხრეთ-დასავლეთის ქარი; ზეფიროსი – დასავლეთის ქარი; ბორია – ჩრდილოეთის ქარი, ნოტოსი – სამხრეთის ქარი;

ზაფხულის ჯარში არიან: კაიკიასი (ჯარის „ამირა“) – ჩრდილო-აღმოსავლეთის ქარი; არგესტესი/ერლასტი – ჩრდილო-დასავლეთის ქარი; აპილი – აღმოსავლეთის ქარი; თრასკიასი – ჩრდილო-ჩრდილო დასავლეთის ქარი; ლიბანოტოსი – სამხრეთ-სამხრეთ-დასავლეთის ქარი.

გურამიშვილი ზოგიერთი ქარის ნიშან-თვისებებსაც ახსენებს:

„ფვინიქსი“ – თოვლიანი, ხორშაკიანი (ზამთარი);

„ერლასტი“ – წვიმიანი, ჭყაპიანი, თბილი (ზაფხული);

„ზეფიროსი“- თრთვილის მომტანი (ზამთარი);

„აპილიტი“ – მზიანი, თბილი (ზაფხული);

„ბორია“ – ყინვის მომტანი, ჩქარი (ზამთარი);

„თრასკე“ – ძლიერი (ზაფხული);

„კეკია“ – სიცივის გამდევენი (ზაფხული);

„ლიფსი“ – ყინვის მომტანი, წვიმიანი (ზამთარი).

საინტერესოა, რომ ზამთრის და ზაფხულის ჯარებში გადანაწილება ძირითადად მიჰყვება სწორედ „გარდამოცემის“ ტექსტში არსებულ მითითებებს, სადაც „საზაფხულო“ ქარებად სახელდებულია: კეკიასი; აპელიოტესი; და არგესტესი, ნოტოსი; „საზამთრო“ ქარებია: ევროსი; ლიფსი, ზეფირი; ბორეასი.

რაც შეეხება „ზამთარ-ზაფხულისა და ქარების ბრძოლის“ სიუჟეტს, იგი ნამდვილად ორიგინალურად გამოიყურება.

როგორც ე. მაღრაძე შენიშნავს, „ანტიკური მითოლოგიის ღრმა ცოდნასთან ერთად პოეტი აქ ამჟღავნებს იუმორის დიდ ნიჭსა და სახეებით აზროვნებით უნარს. თანაც ისე იცნობს სამხრეთის ქარის ღმერთს ნოტოსსა და მის ძმებს – ბორეასს, ზეფიროსს, ევროსსა და სხვებს, თითქოს ბერძენი პოეტი იყოს ჰესიოდეს დროისა“.⁴⁸⁴

რამდენად ორგანული იყო ქარების ბერძნული სახელწოდებები დავით გურამიშვილის ამ უაღრესად ეროვნული თხზულებისათვის? სწორადაა შენიშნული, რომ „მთელი ეს ანტიკური სახეები პოეტს მხოლოდ მასალად დასჭირდა, რათა სურათი უფრო ნათლად წარმოედგინა. ამისი უფლება ყველასა აქვს. ზეფიროსი, ბორეასი და სხვანი, ოდითგანვე ცნობილი, ფართოდ განზოგადოებული სახეები გახლავთ და ამა თუ იმ ეროვნულ კოლორიტში მათ დისჰარმონია არ შეაქვთ“.⁴⁸⁵

⁴⁸⁴ ე. მაღრაძე. ორი რომანი; გოდება. თბილისი, 1984, გვ. 249.

⁴⁸⁵ ე. მაღრაძე. ორი რომანი; გოდება. თბილისი, 1984, გვ. 249.

რა მიმართება არსებობს პოემის ამ მონაკვეთსა და მთლიანად ნაწარმოებთან და მის კონცეფციასთან?

ნ. ნათაძე მიუთითებს: „ბრძოლის აღწერა უაღრესად ცოცხალია, დინამიურია და ამავე დროს ანთროპომორფისტულია, ანუ ბუნების ეს მოვლენები ავტორს გასულიერებული, ადამიანური თვისებებით აღჭურვილი ჰყავს. ამით მინიშნებულია, რომ ციური ამინდიც ჩვენსავით სიცოცხლის საუფლოა და არა მხოლოდ უსულო ფიზიკური კანონებისა, და, ამგვარად, ამ სტიქიური მოვლენების განცდაც ავტორის მიერ ბუნების განცდის ნაწილია. მაგრამ ამ ბრძოლის აღწერაში, ისევე როგორც ამ პოემის მრავალ სხვა ეპიზოდთა აღწერაში, პოეტი მკითხველს არ უმაღავს, რომ ბუნების მოვლენათა ეს გასულიერება მხოლოდ ლიტერატურული პირობითობაა, ხერხია, რათა სიცოცხლის გამოღვიძების ამ პროცესს, რასაც მოგვითხრობს, კოსმოსური მასშტაბი მისცეს. ირონიის ეს კილო მკითხველს შეუმჩნეველი არ ურჩება. ეს კილო მიჰყვება თხრობას და თანდათან ძლიერდება, აზრისა და განწყობილების ახალი განზომილებებით მდიდრდება“.⁴⁸⁶

ამრიგად, „დავითიანში“ წარმოდგენილი ანტიკურობასთან დაკავშირებული მასალა აღბეჭდილია გურამიშვილის ორიგინალური ხელწერითა და საინტერესო მხატვრული ინტერპრეტაციით. მიუხედავად იმისა, რომ ბერძნულ რომაულ სამყაროსთან დაკავშირებული ინფორმაცია თხზულებაში საკმაოდ მცირე მოცულობითაა წარმოდგენილი, „დავითიანში“ ანტიკურობა არ არის ნაწარმოების ე.წ. დეკორატიული, ბუტაფორიული დეტალი, არამედ – მნიშვნელოვანი, სუბსტრატული ელემენტი, რომელიც ორგანულად ერწყმის ნაწარმოების ძირითად სულისკვეთებასა და მთავარ სათქმელს.

⁴⁸⁶ ნ. ნათაძე. „დავითიანის“ შინაარსი, აღწერა და ძირითადი მოტივები. პროექტი: ბიბლიოთეკა სკოლას. ხელმისაწვდომია ონლაინ: http://www.nplg.gov.ge/civil/statiebi/saskolo/davitiani_shinaarsi.htm ბოლო ნახვა: 27.03.2021.

მესამე თავი
ანტიკურობა ახალ ქართულ ლიტერატურაში (XIX ს.)

რომანტიზმი

მაია დანელია

თეიმურაზ ბატონიშვილი
(1782-1846)

ანტიკურობის რეცეფციის მხრივ საინტერესოა თეიმურაზ ბატონიშვილის პოემა „ტროადის დარღვევა ანუ მეხადის ვაშლის განმარტება“, რომელიც, როგორც სათაურიდან ჩანს, ტროას ომის რეცეფციას ეხებოდა და იგი განმარტების სახით იყო დაწერილი. პიესის „სამსახეობა რაინდისა“ მიძღვნაში,⁴⁸⁷ რომელიც, თეიმურაზს გადაუწერია, ერთ-ერთ ეპიზოდში ნახსენებია მეხადის ვაშლი. გრიგოლ დადიანს, რომელსაც მიეძღვნა ეს პიესა, ვერ გაუგია მეხადის ვაშლის მნიშვნელობა და სწორედ ამ კონტექსტის განსამარტავად დაუწერია თეიმურაზს „ტროადის დარღვევა“. პიესის განხილვა საინტერესო სურათს გვაძლევს როგორც კონტექსტის გასაგებად, ასევე ანტიკურობის რეცეფციის თვალსაზრისითაც.

„სამსახეობა რაინდისა“

პიესას წამდგარებული აქვს მიძღვნა, რომელიც ბევრ საგულისმო ინფორმაციას გვაძლევს ნაწარმოების ავტორის, ადრესატის, ფორმატის, კონტექსტის და იდეური დატვირთვის შესახებ.⁴⁸⁸

⁴⁸⁷ სამსახეობა რაინდისა. ს. იორდანიშვილის რედაქციით, წინასიტყვაობითა და შენიშვნებით. თბილისი, 1947.

⁴⁸⁸ „მათის უგანათლებულებობის ბატონი, საკუთარი ჩემი მეგობრის, დადიანის ძის გრიგოლისათვის ვიდწვი გარდაწერასა ამა მშვენიერისა, „რაინდის სამსახეობისასა“, რათა ახლდეს მას, უძველესთა ჩვენთა მთხველთაგან საუცხოვოდ შეთხზული, სასახიობო ესე წიგნი საუკუნოდ სახსოვრად ჩემ მიერ წინადად სიყვარულისა მისისა.

ნათობს რაინდი

გულს გვმორვა ბინდი.

იპოვა ესე სამაგალითო, სასახიობე ალიგორებრი

საუკუნისა მრავალ ასისა, ძველთა ჩვენთა სწავლულთაგან გულის / საგრძნებრი.

ვაშა, ვაშა, ვის მამული თვისი უყვარს, იგი არს მაორმნი / მზებრი.

ყვავილ-სურნელნი ცნობათ გვაფრქვივა; ღმერთმან

აკურთხოს ამისი მზებრი.

ესე ძველთა ჩვენთა მთხველთაგან ქმნული სათიატრო სახიობა იპოვა მახლობელსა ამას შინა ჟამსა ძველთა ქართველთა მთხველთა წიგნთა საუნჯესა შინა ქვემოსა ივერიასა.

პიესის ადრესატი არის გრიგოლ დადიანი, რომელიც თეიმურაზის მეგობრის შვილი ყოფილა. ცნობილია, რომ გრიგოლ დადიანი (1814-1901 წწ.), რომელიც მოიხსენიება ფსევდონიმით „კოლხიდელი“ და რომელიც თვითონაც მწერალი იყო, ძალიან აფასებდა ამ ნაწარმოებს. გადმოცემით ვიცით, რომ მას ამ ხელნაწერიდან აუღია ერთი ლექსი „სირამის სიმღერა“ და თავისი ლექსების კრებულში შეუტანია, რაც ზოგიერთ მეცნიერს აძლევს ვარაუდის გამოთქმის შესაძლებლობას, რომ ეს ნაწარმოები „კოლხიდელს“ ეკუთვნის.

მიძღვნაში თეიმურაზი ცდილობს, დაგვარწმუნოს, რომ ეს ნაწარმოები ძველ მთხზველებს ეკუთვნის და მან მხოლოდ გადაწერა იგი და სიყვარულის ნიშნად უძღვნა გრიგოლ დადიანს. ნაწარმოების ლინგვისტური ანალიზი და შექმნის კონტექსტი გვაფიქრებინებს, რომ ავტორი განზრახ ცდილობს კვალის არევას.

ამ აზრს ამყარებს ის ფაქტი, რომ დ. ჩუბინაშვილი თავის ქართულ-რუსულ ლექსიკონში არც თეიმურაზ ბატონიშვილის და არც კოლხიდელის ავტორობით არ ასახელებს ამ პიესას. თეიმურაზის თხზულებებში ჩამოთვლის მხოლოდ განმარტებას ვეფხისტყაოსნისა და ვაშლს. ს. იორდანიშვილი აღნიშნავს, რომ პიესის პერსონაჟები, მათი ცრუკლასიკური სტილის გვარები, მეფის კარის სამოხელეო ტერმინოლოგია (რაინდი, მინზაში), რუსიციზმები, ორთოგრაფია, პროვინციალიზმები გამორიცხავს, რომ იგი ეკუთვნოდეს ძველ ავტორებს. და მიუხედავად იმისა, რომ თეიმურაზ ბატონიშვილი არაერთგზის აღნიშნავს, რომ გადაწერისას იცავს დედნის სტილს, მაინც აფიქრებინებს მკვლევარს, რომ სწორედ ის არის პიესის ავტორი.⁴⁸⁹ ამ პიესას თეიმურაზისეულად მიიჩნევს ტრიფონ რუხაძე.⁴⁹⁰

ს. იორდანიშვილის არგუმენტაციას ამყარებს პიესის იდეური ღირებულება და ანტირუსული განწყობა, რომელიც იკითხება პიესაში. პიესაში ავტორი ცდილობს საქართველოს ოქროს ხანის და მეფეების, დავითის და თამარის, მმართველობის განდიდებით მკითხველში გააღვიძოს სამშობლოს თავისუფლებისადმი სწრაფვა, ამას ცხადყოფს ეს ფრაზაც მიძღვნიდან: „ვაშა, ვაშა, ვის მამული თვისი უყვარს, იგი არს მარომნი / მზებრი“. ანტირუსული განწყობა კი კარგად ჩანს პიესის მთავარ ინტრიგაში – მეხაძე-თაყვაძის დაპირისპირებაში. მეხაძე არის პიესის ერთ-ერთი

გარდამოიწერების წელსა დასაბამითგან სოფლისა 7346-სა ქს აქეთ 1836-სა ... ხოლო ეწოდების წიგნსა ამას სამსახეობა რაინდისა“.

⁴⁸⁹ სამსახეობა რაინდისა. ს. იორდანიშვილის რედაქციით, წინასიტყვაობითა და შენიშვნებით. თბილისი, 1947, გვ. 6.

⁴⁹⁰ „თეიმურაზ ბატონიშვილი თითქმის ყოველ მის ნაწერს „ანტიკად“ აცხადებს, მაგრამ ჩვენ შეგვიძლია არ დავუჯეროთ მას... ეს ლიტერატურული ხერხი ახალი არაა; თეიმურაზზე ბევრად უფრო ძველი ქართველი ავტორები იქცეოდნენ ასე: თავიანთ ნაწერებისათვის მათ რომ უფრო მეტი ძალა მიეცათ, მათ რომელიმე გამოჩენილ მწერალს მიაწერდნენ, ან ძველ დაუნჯებულ ამბად გაასაღებდნენ“ (ტ. რუხაძე. ძველი ქართული თეატრი და დრამატურგია. თბილისი, 2011, გვ. 256).

მთავარი პერსონაჟი, რომელიც მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებს ნაწარმოებში. საინტერესოა მისი სახელის ეტიმოლოგია, რაზეც ნაწარმოებში არაერთხელ მახვილდება ყურადღება. მას ადარებენ მეხს, მეხივით თავს ესხმის თავის სამიზნეს. მისი სამიზნე კი არის პერსონაჟი, რომელსაც ეწოდება თავქვაძე. ამ პერსონაჟს მოსკოვში აქვს განათლება მიღებული, იქ მსახურობს და დროებით არის საქართველოში ჩამოსული. მის ლექსიკაშიც არის ბევრი რუსიციზმი, იგრძნობა ქართულის კონტექსტის არცოდნა, რის გამოც, მეხაძე სიტყვით თავს ესხმის.⁴⁹¹ ნიშანდობლივია ციტატა პიესიდან „ირისე არ იყოს ცაზე“ და „მზეს ყოველდღე ხედავდეს ივერია“, ასევე რაინდის ფრაზა „რამეთუ გიორგია არს გიორგიათათვის“, მისი აზრით, XIX საუკუნის პირველ ათწლეულებში უნდა წარმოშობილიყო, 1832 წლის შეთქმულებამდე, და 1836 წელს დაწერილი ან „გადაწერილი“ ნაწარმოების ავტორის დასახელება შესაძლოა საზიანო ყოფილიყო ავტორისთვის. შესაბამისად, ს. იორდანიშვილის აზრით, სწორედ ეს უნდა იყოს მისი ანონიმურობის მიზეზი.⁴⁹²

ნაწარმოების ფაბულა და სტრუქტურა. პიესა შედგება სამი სახეობისგან ანუ კარისგან. მესამე კარი დაუსრულებელი სახით არის მოღწეული. ნაწარმოების მთავარი მოქმედი პირები არიან: რაინდი (ცხენის მწვრთნელი, იგი არის მეფის სამხედროთა რაინდების უფროსი), სირაძე – ბრმა მოხუცებული, მეჩონგურე, მეხაძე – გამოცდილი სიტყვა-პასუხის მქონე, ხუმარა, რაინდთან ერთად გაზრდილი და მისი მეგობარი, თავქვაძე – 30 წლის მემამულე, მოსკოვის სამსახურში მყოფი.

მოქმედება იწყება ტრაპეზით, რომელშიც მონაწილეობას იღებენ: რაინდი, სირაძე, მეხაძე, თავქვაძე, რაინდს ჰყავს მიწვეული სტუმრები თავის შესაქცევად. თავდაპირველად სვამენ თავქვაძის სადღეგრძელოს, შემდეგ რაინდის და სირაძის. ძირითადი სიუჟეტური ხაზია ის, რომ მეხაძე აკრიტიკებს მოსკოვში მცხოვრებ და იქაურ ყაიდაზე გადასულ თავქვაძეს და ყოველ ჯერზე თავქვაძეს უწევს თავის მართლება. ნელ-ნელა მოთმინებიდან გამოდის მეხაძის მიზანში ამოღებული ხუმრობებისგან. თავქვაძე გადის სცენიდან. შემოდის მინბაში, რომელსაც მოაქვს ამბავი, რომ შეეძინა შვილი. ნადიმი ჩერდება და ყველა ჩვილის სანახავად მიდის.

⁴⁹¹ პიესაში რუსული განწყობის კრიტიკის სხვა მაგალითებიც გვხვდება:

სირაძე ეკითხება თავქვაძეს: იქ ლხინი თუ იციან, იმ სიცივეში როგორ შეექცევიან (გვ. 5)

ყმაწვილები და თავქვაძე რაინდისა და სირაძის სადღეგრძელოზე ურას იძახიან, რასაც მეხაძის რეპლიკა მოჰყვება რომ ურას თქმა უკადრისი საქციელია (გვ. 8)

თავქვაძე იცავს თავის პოზიციას და ამბობს, რომ ყველაფრის დაწუნება შეიძლება, მაგრამ სიბრძნის არა. ის მეხაძეს ეუბნება „ელადას სიბრძნე იქ გარდავიდა. კარი არის სიბრძნისა და მეცნიერებისა“ (გვ. 9). რასაც მეხაძე სერიოზულად არ აღიქვამს და ეუბნება, რომ ელადამ მათ გაუგზავნა გაბრაზებულმა ხარის სადენით ძველი ფარჩა, მათ კი ვირეშმაკებმა ეს სარკედ მიიღეს და მისგან შექმნეს სიბრძნის კარი (გვ. 10)

⁴⁹² სამსახეობა რაინდისა. ს. იორდანიშვილის რედაქციით, წინასიტყვაობითა და შენიშვნებით. თბილისი, 1947, გვ. 6.

მეორე კარში მოქმედება მინბაშის სახლში ხდება. ზოგი სხვადასხვა თამაშით ირთობს თავს. სირამეს კი სთხოვენ გამოცანები თქვას. თავქვაძე ისევ ჩნდება და მეხაძე-თავქვაძის პაექრობის ახალი სერია იწყება. ყურადღების ცენტრში არის მინბაშის ძეობა. მოდის სპასალარი, რომელიც ეუბნება სირამეს, რომ მან ბატონის სურვილი უნდა აღასრულოს. აიღოს ქნარი (მინიშნება დავითის ქნარზე) და იგალობოს.⁴⁹³ სირამე ასრულებს თხოვნას და იწყებს ხოტბის შესხმას. სირამე იწყებს მეფე დავითის ხოტბის შესხმას, რომელიც ძველი დავითის თანამოსახელეა „აწ ამას იტყვის ქნარი დავითის სახლის / დანაშთი გმირის, მოსახელისა ახლის“. ქალბატონი და მინბაში მონდომებულები არიან, რომ მეხაძე და თავქვაძე შერიგდნენ. მინბაში სთხოვს, რომ თავქვაძე ქებით დაატკბოს. მეხაძე თავის ამპლუაში რჩება და ისევ გამოცანას ჰყვება, რომელსაც თავქვაძე ვერ ხვდება და სთხოვს, რომ დაასრულოს მისი ქება. ეს გამოცანა კი განხეთქილების ვაშლს ეძღვნება.

ნაწარმოების შექმნის კონტექსტი. მიძღვნიდან ვიგებთ, რომ ნაწარმოები 1836 წელს არის დაწერილი, 4 წელია გასული 1832 წლის შეთქმულებიდან. ამ კონტექსტიდან გამომდინარე, არ არის გასაკვირი, რომ თეიმურაზს არ შეუძლია სათქმელის პირდაპირ შეუფარავად გაჟღერება და სწორედ ამის გამო მიმართავს იგი ალეგორიულ ფორმას: „იპოვა ესე სამაგალითო, სასახიობე ალიგორებრი“, – ვკითხულობთ მიძღვნაში.

პიესა უნდა ყოფილიყო სამ კარად დაწერილი, თუმცა ჩვენამდე, მხოლოდ ორმა კარმა მოაღწია და მეორემ დაუსრულებელი სახით. მაგრამ ჩვენამდე მოღწეული ნაწილის ანალიზითაც შეგვიძლია გამოვკვეთოთ მთავარი სათქმელი. მთავარი კი აქ არის გმირის დაბადების მოტივი. გმირი, რომელიც ხსნად უნდა მოევლინოს სამშობლოს, რომელსაც გადარჩენა სჭირდება. ერთ-ერთ პერსონაჟს, კერძოდ მინბაშს შვილი შეეძინა. მას ყველა ულოცავს და საგულისხმოა სირამის სიტყვები:

„დადეგ აწ მზეო, ღრუბლისა გარდამყრელო;

ისვენე შუქო, სხივო, მრუმისა მჭრელო,

ისმინე გმირო, ცა და ქვეყანა მღერის.

იხარე ვაჟო, აჰა მადლი ივერის,

პური, მარილი, შენ მიერ ხსნილი ერის!“⁴⁹⁴

აქ არის საუბარი იმაზე, რომ იშვა გმირი, რომელიც იმედს უსახავს ყველას, რომ ქვეყანა გადარჩება განსაცდელს. ქვეყნის განსაცდელი კი ალეგორიულად არის

⁴⁹³ სამსახეობა რაინდისა. ს. იორდანიშვილის რედაქციით, წინასიტყვაობითა და შენიშვნებით. თბილისი, 1947, გვ. 47.

⁴⁹⁴ სამსახეობა რაინდისა. ს. იორდანიშვილის რედაქციით, წინასიტყვაობითა და შენიშვნებით. თბილისი, 1947, გვ. 32.

შედარებული ირისეს/ცისარტყელას და არ არის შემთხვევითი, რომ იგი გაცხადებულია ბრმა მეჩონგურეს, სირამის, პარტიაში:

„ა. ვხედავ მე ცასა და მთასა, მაშ შორის ერთსა ბაწარსა,

რომელი შეჰკრავს ყუვასა, ველსა, მინდორსა და ბარსა.

ბ. იგ დაბწნა დრომან და ჟამმან, მისცა მას გრძნობა / ცხოველი,

ქარი დამწველი და ფრთაცა, შეჰედვით განუზომელი.

გ. აღმოფხვრას იმან, აღმოსპოს ნამუსი, წესი და პირი,

აღმოსწვას ყოვლი სიკეთე, კეთილის ნორჩი და ძირი.

დ. ბუნება კაცთა მან ალატკინოს, გარყნას, გასცალოს / სამოსისაგან,

ნათელი სულის დაშრიტოს, გახრწნას და უცხოჲ ქმნას / სამოთხისგან“.⁴⁹⁵

ამ ადგილის გასარკვევად ასევე მნიშვნელოვანია სირამის სიტყვები დარბაისელისადმი: „მახლობელ მზისა რომ ვიყოვო, ის საშინელი ირისე არ იქნება ჩემს წინეთაო, ნეტად გზა მოვნახოო. ეს გზა ღარია, დარბაისელო, მეხადის ნაღვლის, მაგრამ არ არის კაცი, სილამაზის წყლით მე თვალი განმიბანოს: მეხადე განჰკურნოს, ირისე არ იყოს და მზეს ყოველდღე ხედავდეს ივერია“.⁴⁹⁶

კონფლიქტს კი ნაწარმოებში ქმნის ის, რომ პერსონაჟ თავეკვამეს, რომელიც ამოვარდნილია ქართული კონტექსტიდან, რადგან მსახურობს რუსეთში, არ შეუძლია მინიშვნების ამოკითხვა, ყოველ ჯერზე აკეთებს არასწორ დასკვნებს და ამიტომ ხდება პერსონაჟ მეხადის თავდასხმის ობიექტი. ამ შემთხვევაშიც თავეკვამე არასწორად იგებს მინიშნებას. მას ჰგონია, რომ სირამემ ამ მინიშნებით ურჩია საყელოს გაყიდვა. სწორი პასუხი კი არის ცის ცისარტყელას საყელო, რომელიც დაწნულია მზის სხივისგან. იმან რომ მოუჭიროს, ცასაც დაამტვრევს და გამოიდარებს და გასაქანს მისცემს სირამის და მეხადის ნაღველს.⁴⁹⁷

თავეკვამისათვის ასევე გაუგებარი იყო მეხადის მიერ მოყოლილი ამბავი განხეთქილების ვაშლის შესახებ, რის გამოც იგი საშინლად გაბრაზდა. ვაშლის მოტივს ქვემოთ უფრო დეტალურად განვიხილავთ.

ანტიკურობის რეცეფცია. ახლა კი უშუალოდ ჩვენი კვლევის მთავარ საკითხზე გადავიდეთ, კერძოდ, იმაზე, თუ რამდენად არის დაინტერესებული ავტორი

⁴⁹⁵ სამსახეობა რაინდისა. ს. იორდანიშვილის რედაქციით, წინასიტყვაობითა და შენიშვნებით. თბილისი, 1947, გვ. 22.

⁴⁹⁶ სამსახეობა რაინდისა. ს. იორდანიშვილის რედაქციით, წინასიტყვაობითა და შენიშვნებით. თბილისი, 1947, გვ. 39.

⁴⁹⁷ სამსახეობა რაინდისა. ს. იორდანიშვილის რედაქციით, წინასიტყვაობითა და შენიშვნებით. თბილისი, 1947, გვ. 25.

ანტიკურობის რეცეფციებით და რა მიზანს ემსახურება მათი რეციპირება ნაწარმოებში.

1. ბრმა მეჩონგურე

პიესის ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟი არის სირამე – მეჩონგურე. პირველი, ნიშან-თვისება, რაც მას გამოარჩევს, არის სიბრმავე. ბრმენი აედი გვახსენებს ბრმა ჰომეროსს და ვთვლით, რომ ავტორის მიზანიც ეს არის, რომ ამ რეცეფციით მკითხველში ეს ემოცია აღძრას. ვხვდებით აედის ატრიბუტიკას, ჩანგს. სირამეს რამდენჯერმე სთხოვენ, რომ ჩანგი აიღოს ხელში და იმღეროს.

სირამეს ყველაზე მნიშვნელოვანი პარტიები აქვს პიესაში. მისი პირით ალეგორიული ფორმით აცხადებს ავტორი მნიშვნელოვან სათქმელს. სირამის გამოცანების ამოხსნა მხოლოდ მეხადეს შეუძლია.

ის სახე-სიმბოლოები, რომლებიც პიესაში გვხვდება, კარგად ცნობილი რეცეფციებია ძველი ქართული მწერლობისთვის.

2. მირმიდონელები

ჟამთააღმწერლის „ასწლოვან ისტორიაში“ ვხვდებით მირმიდონელებს, სადაც ნათქვამია, რომ მათი მოძღვარი/წინამძღოლი იყო აქილევსი. თუმცა სხვა დამატებითი ინფორმაცია მათ შესახებ არ გვხვდება.⁴⁹⁸ „ილიადაში“ აღწერილია მათი საომარი თვისებები და ერთგულება აქილევსისადმი (Hom. II. 16, 173-177). რაც შეეხება მათ წარმომავლობას, ბერძნული მითოლოგიური ტრადიციის თანახმად, ისინი წარმოიშვნენ ჭიანჭველებისგან. როდესაც კუნძულ ეგინას მცხოვრელები ჭირმა გაწყვიტა, ეგინას მეფის, ეაკოსის, თხოვნით ზევსმა ჭიანჭველებისგან შექმნა ახალი მაცხოვრებლები. ეს ინფორმაცია აშკარად იცის თეიმურაზმა და რაინდისა და მეხადის პარტიაში მათ გენეზისზეა ხაზი გასმული. რაინდის რეპლიკას: „ღმერთი ჯინჯველას რომ ფრთას მისცემს, იმისის დაკარქვისათვის არისო, იტყვიან“. მეხადე პასუხობს: „თუ ჯინჯველი ვარ, იქნება მირმიდონებრი ერი გამოვიდოდეს ჩემგან“.⁴⁹⁹

3. თვალი კროზის, ანუ არგუსის

⁴⁹⁸ „ერისთავი სამადავლა, კაცი ყოვლითა სამკედროთა ზნითა შემკობილი და მსგავსი მოსომახოსა ებრაელისა, გინა ნეოპტოლემოს პილასი რჩეულისა, სახელოვანისა მირმიდონთ მოძღურისა“ (ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. II. თბილისი, 1959, გვ. 301-302).

⁴⁹⁹ სამსახეობა რაინდისა. ს. იორდანიშვილის რედაქციით, წინასიტყვაობითა და შენიშვნებით. თბილისი, 1947, გვ. 26.

ჟამთააღმწერელი თავის „ასწლოვან ისტორიაში“ კროსისსაც ახსენებს კარისოსი ფრომით და მას ადარებს მეფე რუსუდანს: „ანუ არა ამო იქმნა ხრიზმოზიცა იგი აპოლონის დედოფლისა შენისა კარისოსი განცდილი მე ობოლი მთხრობლი ძლეული კარისოსა შეპყრობილ იქმნა კვროსის მიერ“.

თეიმურაზთან კროსოსისა და არგუსის დამაკავშირებელი თვისება არის ის, რომ ერთი ფლობს სიმდიდრეს/პატიოსან თვლებს, მეორე კი – ყოვლისმხედველ თვალს. სირამისა და მეხადის გასაუბრებაში სირამე აქებს მეხადეს და ამბობს, რას აამებს პირში, გული თვალზე წინ გრძნობს. სირამის ნათქვამს, რომ მას თვალი არ აქვს, მეხადე ასე პასუხობს:

„არა აქვს თვალი მვირფასი ინდოეთის,
არა აქვს თვალი, თქმადაც არის დასაზარი.
რათ უნდა თვალი კროზის, ანუ არგუსის.
სხვა აქვს მას თვალი გონვა – სიბრძნის ფაზარი,
მაშა აქვს ლალი, ის უსასყიდლო თვალი.
და ჩვენ გვიმაღავს ეს ოსტატ დამბრალი“.

ამ ეპიზოდში ავტორს ახსენდება ორი ფიგურა. ერთი კროსოსი, რომელიც მცირე აზიაში იყო აურაცხელი სიმდიდრით განთქმული მეფე და მეორე – არგუსი, რომლის ყოვლისმხედველ თვალს არაფერი გამოეპარებოდა. თუმცა ისინი ახლოსაც ვერ მივლენ სირამის თვალთან, რაც არის სიბრძნის თვალი, უსასყიდლო თვალი.

4. სად არს პალატი ლეკურგისა

მონაკვეთში, სადაც სირამე იღებს ქნარს და მეფე დავითს ასხამს ხოტბას, შეპირისპირებისთვის რამდენიმე სიმბოლოს ახსენებს, სპარტის ლეგენდარულ მეფეს, ლიკურგოსს, რომელმაც კანონები დაუწერა სპარტელებს და კროსოსს, სიმდიდრით განთქმულ მეფეს. ამბობს, რომ ისინი, უფერულად გამოიყურებიან კავკასიის მთის ფონზე, სადაც პრომეთე იყო მიჯაჭვული:

„სად არს პალატი ლეკურგისა / დიდისა
ან ოქროთ კვალი კროზის სიმდიდრისა?
აღგავოს სულმან კავკასიის მთისამან,
ვით მტერი მიწით, მომდინარემან ქარმან“.

...

კავკასიისა გვერდსა კლდესა, მაღალსა,
მიჭედულად და მდებარედ, საბძარველად
ყვავთა, ყორანთა პრომეტეოს საჭმელად
მეზღაპრე ელინთ გამოხატეს ივერი;

სოფლისა ღმერთად, დავითისა საკავრო,
ფარად ნაყოფთა წმიდისა ჯვრისა მჭერი“.⁵⁰⁰

5. ნეტარ არს პრომეტ

სირამე ამბობს მეხადეზე, რომ შეპყრობილს მალე მიეცემა მოულოდნელი შვება და ხილული შეიქნება მეხადის ეშმაკობა. ამ აზრს კი წინ უძღვის პრომეტეს ხსენება

„ნეტარ არს პრომეტ, შენი წყობილება
ღმერთს ვინმემ მიჩენილს მისდა ყორანს,
რომელ მის ხორცსა მშიერი დღელამ ბძარავს,
ნებითა დადის მწყრომად, მხედ მეხოვანის,
მყის დაავიწყდეს, შიმშილი და ბრძანება“.⁵⁰¹

6. აღსასპოვებლად ღრიანკალთა და სკვიტთა

პიესაში საკმაოდ დიდი ადგილი უჭირავს დავითის ქებას, რომ იგი იყო გმირი დაუძლეველი, სპათა მპყრობელი, მეგობარი ბევრთა, მუსრს ავლებდა მორიელებს, რაც აქ მტრის სიმბოლოა და სკვიტებს, ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში მცხოვრებ მომთაბარე ხალხებს.

7. სირინოზი

მინბაშთან სტუმრები გასართობით იქცევენ თავს, თავადი ჭადრაკს ეთამაშება ჭაბუკს, სირამისა და მეხადის საუბარს მიაყურალებს და ამ დროს ჭაბუკი სარგებლობს და კარგ სვლას აკეთებს. მეხადისა და სირამის დიალოგში ნახსენებია ტერმინი სირინოზი, რომელიც გადატანითი მნიშვნელობით აქ აღნიშნავს სხვა ადამიანის ყურადღების მონუსხვას.

მეხადე: „სირინოზს თუ მიუჩენ, რასაკვირველია დაიძინებს და წააგებინებს, ეს რა ქებაა!“

სირამე: „ვერ მიპოვნია მარგალიტი, დავაწყო და არსება გამოვხატო, და თვალი ვერ მიპოვნია ვცხო და დავატკბო. როგორი სირინოზი ვარ?“⁵⁰²

8. თეოგონია

⁵⁰⁰ სამსახეობა რაინდისა. ს. იორდანიშვილის რედაქციით, წინასიტყვაობითა და შენიშვნებით. თბილისი, 1947, გვ. 49.

⁵⁰¹ სამსახეობა რაინდისა. ს. იორდანიშვილის რედაქციით, წინასიტყვაობითა და შენიშვნებით. თბილისი, 1947, გვ. 30.

⁵⁰² სამსახეობა რაინდისა. ს. იორდანიშვილის რედაქციით, წინასიტყვაობითა და შენიშვნებით. თბილისი, 1947, გვ. 43.

მეორე კარის ბოლო ნაწილში სირამე ერთმანეთს უპირისპირებს ანტიკურ და ქრისტიანულ სამყაროებს. და ამ კონტექსტში აღწერს სამყაროს წარმოშობის, უზენაესი ღმერთის წარმოშობის ამბავს, რაც ბერძნული „თეოგონიის“ საფუძვლიან ცოდნაზე მოწმობს. აქ არის მოთხრობილი ქაოსის, ზევსის მბრძანებლობის, ზევსის თავიდან ათენას ანუ სიბრძნის დაბადების შესახებ. პირველი ნაწილი, როგორც აღვნიშნეთ, ქაოსის პერიოდს აღწერს, სადაც სიბზნელა და არ არის გამიჯნული დღე ღამისგან, მამაკაცი ქალისგან.

„ბინდი ღამისა მეფობდა ზედა მთისა.

სუსტი რომ იყო იყო მნათეობა მთვარისა.

არა მოწლენი, ბუნების ცდით აღნაგი.

ფრთოვან გონებით, გონვის ფრთა დაკეცილნი.

იტყოდენ ავთა, ვით ტყისა გარეულნი.

ღამეს დილად, დღეს ღამედ უწოდებდნენ.

მამაკაცს ქალად, ქალს ვაჟად სახელს დებდენ.

ქვიშას მოხრებლით იღებდნენ, ჰგონებდენ / ყვავილს ჰკრებდენ“.

ქაოსიდან კრონოსის დროს იქმნება კოსმოსის და მას შემდეგ, რაც ზევსი ამარცხებს მამას, ამყარებს წესრიგს და სამართლიანობას (Hes. Theog. 153-183). მიუხედავად იმისა, რომ თეიმურაზი არ ასახელებს ზევსს სახელით, მის მიერ ჩამოთვლილი ჰიპოსტასები, მასზე მიგვითითებს: ჭიანჭველა,⁵⁰³ არწივი, ოქროს წვიმა, ღრუბელი და ა.შ.

„მაშინ მოვიდა, იგი დიდი საარაკო

ადგილს პირველს; ტახტი ოქროსა მისთვის

მარად მზად იყო, ვით ზაფხულ წლისათვის,

რომელსა აქვდა სვეტად დღე თორმეტი თვის.

ოდესმე იყო, ვით ჯინჯველი მხოხავი,

ხან არწივი დიდ, კადნიერ, ცად მფრინავი,

ხან ოქროს წვიმა, ხან კეკლუცისა ნავი,

ხან შუალ-ღრუბლოვან, საზარი, მეხოვანი,

ხან მპარავი და ურცხვი და ენოვანი.

დაბრძანდა.

ისუფევა ზე, თქმულსა ამა ტახტზედა“.

წყაროების მიხედვით, მისნობის თანახმად, ზევსს საფრთხე ელოდა შვილისგან, რომელიც პირველი ცოლისგან, მეტისისგან შეეძინებოდა. იმისათვის, რომ საფრთხე

⁵⁰³ ერთ-ერთი წყაროს მიხედვით, ჭიანჭველად ქცეულმა ზევსმა შეაცდინა ევრიმედუსა, რომელსაც მისგან შეეძინა მირმიდონი, რომელიც გახდა მირმიდონელების ეპონიმი (Clem. Alex. Exhort. II).

აეცილებინა თავიდან, ზევსმა ჩაყლაპა თავისი ფეხმძიმე ცოლი, რომელსაც ჰქონდა სხვადასხვა ფორმის შეცვლის უნარი (Schol. Hes. Theog. 886). მაგრამ ნაყოფი საკმაოდ ძლიერი აღმოჩნდა, ზევსს თავი დაუმძიმდა და იქიდან იშვა სიბრძნის ქალღმერთი ათენა. როგორც ქვემოთ მოყვანილი ნაწყვეტიდან ჩანს, თეიმურაზმა კარგად იცოდა ეს ეპიზოდი და საკმაოდ დეტალურად აღწერს ზევსის თავისდამძიმების და იქიდან, ჰეფესტოს დახმარებით, ათენას დაბადების ამბავს. იგი საკუთარი ნებით უბრძანებს, რომ ჰეფესტო მოიყვანონ, ჰეფესტოს ნებას აძლევს, რომ თავში დაჰკრას წალკატი და ამ სიმძიმისგან გათავისუფლდეს. საგულისხმოა, რომ არცერთ პერსონაჟს პირდაპირ სახელით არ ახსენებს თეიმურაზი. ზევსს პირველად როცა ახსენებს, უწოდებს „იგი დიდი საარაკოს“, „ნისლოვანს“, ჰეფესტოს მოიხსენიებს „კოჭლად“, „მერკინედ“ და ასევე ახსენებს მის ატრიბუტს – წალკატს. ათენას კი „სიბრძნედ“.

„თავი დაჰკიდა ჭაღარა იქ მყოფთ თავმან,
ხან ჭაბუკმან და ხან მოხუცმან ავმან,
ღრუბლით მოსულმან, მეხისა ხელში მჭერმან,
შენიშნეს რომელ, თავი თავს თავობდა.
განკვირვებულთა ვერ მიხვდენ თუ რაობდა.
ღრუბლოის, მაგრამ კრძალვით ჰკადრეს: „რა მოხდა?“
ტახტი შეიძრა, ვერ იტევდა სიმძიმეს,
თუ სწყრებით დროა, ჰგავს, ცა მიწას დაეცეს.
ბრძანა: „მოვიდეს, კოჭლი იგი წალკატით“.
საშუალ წვიმის, საშუალ დიდ ქუხილის,
საშუალ ელვისა, საშუალ მეხის ტეხის
გახდა ბრძანება და ნისლოვანმა ამა
გამოხდა სიტყვა და მისივე ბრძანება:
„თავს დამკრან რკინა, ჩემი არიან ნება!“
მოკოჭლდა მაშინ წალკატი მერკინე,
დასცა მის თავსა წალკატი მისი მძიმე,
ასე უწყალოდ, რომ თავი იქმნა მღვიმე,
შეიქმნა წვიმა შუვა დიდის ქუხილისა
და მეხისტეხა საშუალ ჭეხა ელვისა
და საარაკოს თავი გაუმსუბუქდა.
ქარმან მოჰბერა მძიმესა მას ღრუბელსა,
განათლდა ბურჯი ზენაარს სანატრელსა,
მღვიმიდან თავის იხილეს მოცისკარი,
სიბრძნე აღმოხდა, ნახეს ოქროს ფრთოვანი,

სიბრძნე თავქვადისა, ვითომ ჰაეროვანი;
მშვენიერი და ოქრო ცისკროვანი.
თქვენ ის სიბრძნე არ მიგაჩნიათ სიბრძნეთა,
ასე გახლავარ სირადის ხელოვანი“.

მონაკვეთში არის მხსნელის კონცეფცია მხატვრულად გადმოცემული და ანტიკური და ქრისტიანული პერსპექტივა ერთმანეთთან შეპირისპირებული, კერძოდ, რომ ბეთლემს შობილი ღმერთი არის ჭეშმარიტი და არა ოლიმპოს ღმერთები, რომლებიც ტროას ომში იყვნენ ჩართულნი.

„სიბრძნე მისია, საღმრთო იგი მესია,
ემანუილი, ღმერთი ბეთლემს შობილი,
უარაკო და ჭეშმარიტი ცნობილი
და არა ღმერთნი, რომ ილიონს ესია,
ვნახე მე იგი მოხუცებული, ზის და ჩიბუხსა სწევს,
დიდს რასმე ფიქრობს, ვინც იყო.
მაგრამ არ იყო ის იგ უცხო ვარსკვლავი,
ბედნიერება, მამულის მცველი თავი“;

როგორც აღვნიშნეთ, მეორე კარი დაუსრულებელი სახით არის ჩვენამდე მოღწეული და სრულ ინფორმაციას არ ვფლობთ დასკვნებისთვის, თუმცა თუ ძირითად ხაზს გავყვებით აშკარაა, რომ პიესასა და განმარტებას შორის იდეური კავშირიც არსებობს, კერძოდ, პირველ კარში მზადდება საფუძველი გმირის დაბადებისთვის, მეორეში იბადება გმირი, ე.წ. განმარტებაში კი, „ტროადის დარღვევაში“ ჩვენ ვხედავთ გმირის ექსპონირებას საბრძოლო არისტოტელის თემის ინტენსიფიკაციით შეფარულად ქმედებისკენ მოწოდებაც შეიძლება ამოვიკითხოთ, რომ ქვეყნის გადარჩენისთვის, წარსულის დიდების დაბრუნებისთვის საჭიროა მტერთან ბრძოლა, თავის დახსნა იმპერიის მარჯულებისგან და თავისუფლების მოპოვება.

„ტროადის დარღვევა ანუ მეხადის ვაშლის განმარტება“

ახლა უშუალოდ განმარტებად დაწერილ „ტროადის დარღვევაზე“⁵⁰⁴ გადავიდეთ. პოემა მრავალი თვალსაზრისით არის საინტერესო და ქვემოთ განხილული იქნება შემდეგი საკითხები: ავტორობის საკითხი, ნაწარმოების

⁵⁰⁴ პირველად პოემა დაიბეჭდა ჟურნალ „ცისკარში“ 1860 წლის სექტემბერში.

კომპოზიცია, ავტორისეული ინტერპრეტაციები, სავარაუდო წყაროები, შექმნის კონტექსტი.

ავტორობის საკითხი. დავიწყეთ ავტორობის საკითხით. „სამსახეობა რაინდისა“ შემთხვევაში თეიმურაზი, როგორც ვნახეთ, ცდილობს კვალის დაფარვას და ამბობს, რომ ეს ნაწარმოები მან ძველი ავტორების მიერ დაწერილი იპოვა და ხელახლა გადაწერა. ამ შემთხვევაში კი, თეიმურაზი პირდაპირ ამბობს, რომ ეს ნაწარმოები მას ეკუთვნის. აქედანვე ვიგებთ, რომ იგი პოემას უძღვნის თავის დისწულს, გრიგოლ დადიანს:

„ეს პოემა შევთხზე მეფის ძემ თეიმურაზმან პოეტიკურად,

გრიგოლისათვის, ჩემი დისწულის; დადიანის ძის, ვინ არს / ლექსთ მწყურად.

მე მისთვის შრომას არა ვრიდებ თავს; რადგან გულით ვარ / მისდამი მსურად.

ვსასოებ ამ ღვაწლს არ შეურაცხყოფს; ხშირად წარმოსთქვამს რიტორიკურად“.

რითი უნდა აიხსნას ეს გარემოება? რამდენადაც თეიმურაზი თავისი ანტირუსული განწყობების გადმოსაცემად ანტიკურ თემას, კერძოდ, ტროას დალუპვის თემას, ირჩევს და სათქმელს ალეგორიის სახით გადმოსცემს, ჩვეულებრივი მკითხველისთვის, რომელმაც არ იცოდა ანტიკური ლიტერატურა, რთული იქნებოდა ქვეტექსტების ამოკითხვა, ამიტომ ამ შემთხვევაში თეიმურაზი თამამად აწერს პოემას თავის სახელს. მხოლოდ დაკვირვებულ მკითხველს შეეძლო ტექსტის მიღმა აზრის ამოკითხვა, თეიმურაზის იმპერიალისტური შეხედულებების მიმართ დამოკიდებულება. თამამად შეიძლება ითქვას, რომ პოემაში რუსული გავლენის ძალას რეალურად ბერძნები განასახიერებენ, ხოლო ტროელების მიმართ თეიმურაზი განსაკუთრებულ დამოკიდებულებას ამჟღავნებს. პოემაში კიდევ სხვა მრავალი მინიშნებაა, რაზეც ქვემოთ დაწვრილებით გავამახვილებთ ყურადღებას.

განმარტების დაწერის მიზანი. თავდაპირველად უნდა ვუპასუხოთ კითხვას **რას ნიშნავს მეხადის ვაშლი?** ამ კითხვას რომ ვუპასუხოთ, უნდა გავიხსენოთ „სამსახეობა რაინდისა“, კერძოდ, ეპიზოდი, სადაც მინზაშის ძეობას აღნიშნავენ, მინზაში ითხოვს, რომ მეხადე და თავქვაძე შეურიგდნენ ერთმანეთს. მეხადე ცდილობს, რომ მინზაშს თხოვნა შეუსრულოს და თავქვაძეს, თითქოსდა, შერიგების მიზნით უყვება ამბავს. რეალურად კი მეხადე საპირისპიროს აკეთებს, ჰყვება ამბავს, რომლის არსსაც თავქვაძე საერთოდ ვერ ხვდება და ეს ამბავი არა შერიგებას და ურთიერთგაგებას, არამედ განხეთქილების ვაშლის ამბავს ეხება, საიდანაც სათავე დაედო ტროას ომს. თავქვაძის სიბრიყვე უფრო აშკარა ხდება იმის ფონზე, რომ იქვე მყოფი პერსონაჟებისთვის (სირამე, პატრონის თანაგამზრახი, ჭაბუკები) ცხადია, რაზეც არის ლაპარაკი.

მეხადის ვაშლის ამბავი, როგორც ჩანს, გაუგებარი აღმოჩნდა გრიგოლისთვისაც, რომელსაც თეიმურაზმა უძღვნა პიესა, რის გამოც მას მოუწია განმარტების დაწერა მეხადის ვაშლზე, და სათაურიც შესაფერისი დაარქვა: „ტროადის დარღვევა ანუ მეხადის ვაშლის განმარტება“.

მოკლე შინაარსი და კომპოზიცია. მოკლედ გავეცნოთ პოემის შინაარსს: პოემა იწყება განხეთქილების ვაშლის ისტორიით, სამი ქალღმერთი იუნონა, მინერვა, ვენუსი დავობენ, თუ რომელი უფრო ლამაზია ამ სამთაგან და ამ საკითხის განსასჯელად ტროას მეფის ვაჟს, პარისს, აირჩევენ. იუნონა დიდებას ჰპირდება, მინერვა – სიბრძნეს, ვენუსი კი, ყველაზე ლამაზ ცოლს. პარისი უპირატესობას ვენუსს ანიჭებს და მას არგუნებს ვაშლს. დანარჩენი ორი მტრად მოეკიდება პარისს. ელენეს მოეწონება პარისი. პარისი გაიტაცებს ელენეს. პრიამოსი და სასახლე ელენეს პატივით იღებს. ელენეს პარისი შეუყვარდება, ავიწყდება ძველი ცხოვრება. ელენეს მოტაცება არ მოეწონებათ პრიამოსის შვილებს ბრძენ ჰელენოსს და კასანდრას. ბრძენი ჰექტორიც არ იწონებს პარისის საქციელს. აგამემნონი მოუწოდებს ძმას, შური იძიონ. განრისხებული ქალღმერთები, იუნონა და მინერვა, მათ ეხმარებიან. დიდი ლაშქარი შეკრიბეს და ტროაზე თავდასხმისთვის მოემზადნენ. ტროელები თავდასხმას იგერიებენ, ორივე მხარე იბრძვის. აღწერილია ბრძოლის სცენები. ექსპონირებულია გამორჩეული მებრძოლეები. ბრძოლა მრავალ წელს გაგრძელდა ცვალებადი წარმატებებით. ბრძოლაში გარდატეხა მოხდა, როდესაც აქილეესმა მიპარვით მოკლა ჰექტორი. აქილეესს უყვარდება პრიამოსის ასული პოლიქსენე, აღარ უნდა ბრძოლა, რაც ბერძნების განაწყენებას იწვევს. ომის გაგრძელების აზრს ვერ ხედავს და შერიგება მიაჩნა გამოსავლად. ცბიერი და ჭკვიანი ულისე არწმუნებს აქილეესს, ჩაერთოს ბრძოლაში. აქილეესს პოლიქსენეს სიყვარულის გამო არ უნდა ბრძოლაში ჩართვა და დედოფალს მის ხელს სთხოვს. დედოფალი იმ დაპირებით, რომ პოლიქსენეს გააყოლებს, აქილეესს შეიტყუებს აპოლონის ტაძარში, სადაც დამალული პარისი ვერაგულად კლავს აქილეესს. ომში შესვენება გამოცხადდა გარდაცვლილების დასაკრძალად. ბრძოლა განახლდება, პარისი კლავს აიასს. საჭირო გახდა ულისეს სიცბიერის ჩართვა. ის დაუკავშირდა ანტენორს და ენეასს, რომლებმაც თანამოქალაქეებს უღალატეს. პრიამოსი დაარწმუნეს, რომ ბერძნების მიერ შექმნილი ცხენის ქანდაკება შეეტანათ ქალაქში შერიგების ნიშნად. ღამით ბერძენი მებრძოლეები გამოვიდნენ ცხენიდან, გაჟლიტეს მოსახლეობა, ცეცხლს მისცეს ტროა. პირუსი კლავს პოლიქსენეს აქილეესის საფლავზე. ბერძნები კლავენ ჰეკაბესაც. არ ინდობენ არც მოღალატე ანტენორს და ენეასს. შეუფერებელი ხერხით ვერაგობის გამო ბერძნებიც დაისაჯნენ. უმეტესი მათგანი ბრძოლაში დაიღუპა, ზოგი ახლობელმა გაანადგურა, ზოგს ფათერაკებით სავსე გზის გავლა მოუწია სამშობლოში დასაბრუნებლად.

ნაწარმოები კომპოზიციურად სამ ნაწილად შეგვიძლია დავყოთ. პირველი ნაწილი ეხება პარისის სამსჯავროს (1-34), ტროას ომამდე მომხდარ ამბავს. ძირითადი ნაწილი ტროას ამბებს ეხება (35-101) და ბოლოს მოკლედ ვიგებთ, თუ რა ბედია ეწია ტროას ომის გმირებს ომის შემდეგ (102-104). თეიმურაზი ბოლოს ახსენებს ისევ განხეთქილების ვაშლს, პირველს, რომელიც არის დაკავშირებული ტროას ტრაგიკულ აღსასრულთან და მეორეს, მეხადის ვაშლს, რომლის არსის განსამარტავადაც დაწერა ტროას დაღუპვა (39). პოემა ვაშლის ხსენებით იწყება და ასევე ვაშლის ხსენებით მთავრდება:

პირველი სტროფი:

„ეს ცუცნა რაღაც გამომეგზავნა, ისევ უკანვე მომირთმევია.

მიკვირს, გონიერს ოდიშარს კაცსა ვაშლისათვის ვერ შეგიმცნევია.

განმარტება არს მეხადისა ვაშლისა, ვინძლო განაგო მიზეზი კვლავ აშლისა“.

ბოლო სტროფი:

„ეს იყო ვაშლი ხალასის ოქროს; თავქვადის თავი ქვად / დაისახვის.

ორნივე გრვალნი ურთიერთს ჰგვანდეს; რადღა მივიქცეთ / აზრისადმი სხვის.

ორნივე იყვნეს დამწყებნი შფოთთა; მეორე მზამ არს პირველ / მის სახის

სამსახეობას შინა იგავით გამოხატულ არს უცხოდ მეხადის“.

ბოლო სტროფში ნახსენებია თავქვადე, რაც იმაზე მიუთითებს, რომ „ტროადას დარღვევა“ და „სამსახეობა რაინდისა“ ერთმანეთთან დაკავშირებული ნაწარმოებებია, და რომ მკითხველი „სამსახეობა რაინდისას“ წაკითხვის გარეშე ბევრ კონტექსტს ვერ გაიგებდა განმარტებაში.

ტროას ციკლის თეიმურაზისეული ინტერპრეტაცია

1. განხეთქილების ვაშლი

რამდენადაც მეხადის ვაშლს ნაწარმოებში სიმბოლური დატვირთვა აქვს, რადგან იგი ალეგორიულად გამოხატავს მეხადე-თავქვადის (საქართველო-რუსეთის) დაპირისპირებას, თეიმურაზი საკმაოდ დიდ ყურადღებას უთმობს მას და ავლენს ღრმა ცოდნას, თუმცა მასთან გადმოცემული ვერსია არ მიჰყვება რომელიმე ერთ კონკრეტულ წყაროს, არამედ, როგორც ჩანს, მის ხელთ არსებული წყაროების სინთეზს გვთავაზობს.

ვაშლს ჯერ კიდევ პიესაში „სამსახეობა რაინდისა“ ახსენებს, სადაც მას ე.წ. გამოცანის ფორმა აქვს, რომელიც თავქვადემ უნდა გამოიცნოს. ეს ნაწყვეტი სრულად მოგვყავს, რომ შევუპიროსპიროთ პოემაში გადმოცემულ უფრო სრულ ვერსიას.

„მაშა თავქვადე, უნდა ყური მომიგდო,

მაგრამ, ამას გთხოვ, შაირზე არ ამიგდო.

მწადს გაქო: შენ ხარ ვაშლი ოქროისა მის,
 რომელს ზედაცა ეწერა: მე ვარო მზის.
 იქ სამნი ისხდნენ, დღე იყო ქორწილისა.
 მინზაშო, არა ვით აწ ღამის თევისა.
 ვის ეკუთვნისო, შეიქნა სჯა, ცილობა
 მეინახეთა სთქვეს: ძნელ არს წერილობა
 და მომგონის იცნეს მათ ორპირობა.
 მაშინ მოიღეს ვაშლი იგი ოქროსა
 და მისცეს ყრმასა ახალსადარ ცისკარსა,
 რათა მან მისცეს შუქის სხივის მდინარსა.
 ზაფხულის დილა არის უმანკო, ჩჩვილი.
 მან არ იცის ზამთარი, ყინვა, თრთვილი.
 მან არ იცის სიცხე, სიცივის შური.
 ის არს მაღლი ქვეყანაზედ ციური.
 მან მას მიუღო, ვინც იყო უკეთესი,
 მშვენიერებით უმაღლეს, უზუესი.
 ამისთვის მოხდა არევა შფოთიერთა
 დაინთხა სისხლი მეფეთ, ჭაბუკთა, ბერთა.
 ცამან იქუხა და ქვეყანამ იღელვა.
 სისხლით სავსემან იწყო საფუძვლით რყევა.
 ეწყინა დია ზენას უღრმთო ღმერთთ ბრძოლა,
 მოხუცთა ურვა, ქვეყნის საზარო ძრწოლა“.

აქ საკმაოდ მოკლედ არის გადმოცემული ვაშლის შესახებ, ნახსენებია ქორწილი, სადაც იყვნენ სამნი. ვაშლს ეწერა „მე ვარ მზის“. შეიქმნა ცილობა ამ სამში. მეინახეები მიხვდნენ ორპირობას. ვაშლი მისცეს ახალგაზრდა ჭაბუკს, რომელიც აქ შედარებულია ცისკარს, რომელიც შუქს ასხივებს. ჭაბუკმა ვაშლი მისცა სამში უკეთესს, მშვენიერებით უმაღლესს, რის გამოც მოხდა განხეთქილება. დაიღვარა მეფეების, ჭაბუკების და უხუცესების სისხლი. ზეცა – ამ შემთხვევაში ზეცის – უკმაყოფილო იყო ამდენი სისხლისღვრით.

ახლა კი ვნახოთ, რა ფორმით შლის სათქმელს თეიმურაზი პოემაში. პოემაში ამ ეპიზოდს 14 სტროფი ეძღვნება. ქორწილში იმყოფება სამი ქალღმერთი იუნონა, მინერვა და ვენუსი. ტრადიციული ვერსიის თანახმად, თეტისისა და პელევსის ქორწილში განხეთქილების ქალღმერთი ერისი აგდებს ვაშლს, წარწერით უმშვენიერესს. პოემაში კი არც ღმერთები და არც პელევსი და თეტისი არიან დასახელებული.

ქალღმერთები დავის გადასაწყვეტად, თუ ვინ უფრო მშვენიერია, პარიზს გამოარჩევენ. პარიზს, ირმებზე ნადირობისას, ერთ-ერთი მათგანი შეიტყუებს ტყეში და იქ მუოწევს ღამის გათენება, დილით მას ქალღმერთები მიადგებიან და სთხოვენ უმშვენიერესს მიაჩიოს ვაშლი. იუნონა ძალაუფლებას ჰპირდება, მინერვა სიბრძნეს, ვენუსი – მშვენიერ ცოლს. ტრადიციული ვერსიისგან განსხვავებით, პარიზი სთხოვს ქალღმერთებს გაშიშვლებას, რომ კარგად შეძლოს მათი სილამაზის განსჯა. დიდხანს აკვირდება მათ. ვენუსი ყველაზე მშვენიერია, მას აძლევს ვაშლს. პირველად გაშიშვლების მოტივი ლუკიანუსთან გვხვდება მის სატირაში „ღმერთების დიალოგი“. შესაძლოა, ამ ნაწარმოებს ავტორი თარგმანში გაეცნო. დანარჩენი ორი ქალღმერთი მტრად მოეკიდება პარიზს, რაც ომის მსვლელობისას გამოჩნდება.

ტროას ციკლის იმ ამბებზე, რომელიც ტროას ომამდე უნდა მომხდარიყო, მოგვითხრობდა „კიპრიები“, რომლის ავტორობასაც, ზოგიერთი მეცნიერი თვით ჰომეროსს მიაწერენ, ზოგნი კი სტასინოსს, ჰეგესიასს ან ჰეგესინოსს მიიჩნევენ. „კიპრიები“ განხეთქილების ვაშლის ამბის გადმოცემით იწყება და ტრადიციულ ვერსიად მიიჩნევა. ზევსი თემისსთან ერთად ფიქრობს ტროას ომის გაჩაღებაზე. პელევსისა და თეტისის ქორწილში არმიწვევის გამო განრისხებული ერისი ჩამოაგდებს განხეთქილებას სამ ქალღმერთს შორის, თუ რომელი არის ულამაზესი. ზევსის რჩევით, ქალღმერთები პრიამოსის ვაჟს მიაწოდონ ამის გადაწყვეტას. პარისი ულამაზესად ვენუსს აღიარებს, რომელიც ჰპირდება მშვენიერ ელენეს. აქაველები აღწევენ ტროას და იწყება ტროადის ქალაქების დარბევა.

თეიმურაზისეული ვერსია ტრადიციულს გარკვეულწილად მიჰყვება, თუმცა არა კონკრეტულად ერთ ვერსიას, არამედ, როგორც ჩანს, ის სხვადასხვა წყაროს იყენებდა.⁵⁰⁵

ელენეს მოხიბვლის და ტროაში წაყვანის ამბავი, რომელიც აგრძელებს პარისის სამსჯავროს ეპიზოდს, ასევე ორიგინალურად არის დაწერილი. განსხვავებით ტრადიციული ვერსიისგან, პარიზი მარტო მიდის სატირის ჭალაკში. სანამ ელენე ნახავს პარიზს, რომელიც სატირის ჭალაკში ვენუსის ტაძარში იმყოფება, უამრავი ბერძენი, ახალგაზრდა თუ ხანშიშესული, ქალი თუ კაცი, მიდის მის სანახავად და ყველა იმდენად მოწონებულია მისი სილამაზით, რომ ეს ამბავი ელენეს ყურამდეც აღწევს.

განსხვავებულია ელენეს წაყვანის ეპიზოდიც. ელენე სიყვარულით განიმსჭვალება პარიზის მიმართ. მოიგონებს, რომ მსხვერპლი უნდა შეწიროს

⁵⁰⁵ საკმაოდ ვრცლად განიხილავენ ამ განსხვავებებს მ. ფხაკაძე და ქ. გარდაფხაძე სტატიაში: პირველი ქართული პოემა ტროის ომზე. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „ჰუმანიტარული მეცნიერებები ინფორმაციულ საზოგადოებაში – IV“ შრომათა კრებული. ბათუმი, 2025.

ტადარში და მიისწრაფის პარიზის სანახავად. პარიზიც გადაწყვეტს, რომ ელენე გაიტაცოს. თავის თანმხლებთ მოელაპარაკება, ღამით კიბით გადაიპარონ ციხეში, მოიტაცონ ელენე და თვალ-მარგალიტი. მეგობრები ეთანხმებიან, ღამით მიდიან კედელთან, ციხეში შეიჭრებიან, პარიზს ელენე გამოჰყავს. ელენე ტირის, ენანება ასულის დატოვება, თუმცა პარიზი მის გულს იგებს, დიდი პატივით მიღებას ჰპირდება ტროაში და ელენეს გულს იგებს.

ასევე განსხვავებულია ელენეს ტროაში ჩაყვანაზე პრიამოსის შვილების, ჰელენოსისა და კასანდრას რეაქციები. საფრთხეს გრძნობს ბრძენი ჰექტორიც, რომელიც არ უწონებს პარიზს გადაწყვეტილებას.

2. ტროას ომის მსვლელობა

ძირითად ნაწილში გადმოცემულია ტროას ომის ამბები, თეიმურაზი ცდილობს, გვაჩვენოს ბრძოლის დინამიკა, რომ ცვალებადი წარმატებებით ვითარდება მოვლენები, თუმცა, აშკარად იგრძნობა მისი კეთილგანწყობა ტროელების მიმართ. თეიმურაზმა საკმაოდ კარგად იცის ტროას ომის მონაწილე გმირები, და ისინი ფუნქციის მიხედვით სამ კატეგორიად შეგვიძლია დავყოთ, პერსონაჟები, რომლებიც მხოლოდ სტატისტების როლს ასრულებენ, პერსონაჟები, რომლებიც კონკრეტულ დავალებასთან არიან დაკავშირებული და კონკრეტული ფუნქცია აქვთ და პერსონაჟები, რომლებიც საგანგებოდ არიან ექსპონირებული ომის სცენებში.

სტატისტები: ნესტორი, თელემონ/ტელამონიოსი, დიომედე, პროტეზილ/პროტესილაოსი, პატროკლ, ხედე, ეპისტროჰ, მნესტი, ფილიქს, ქსანტიპ, მერონ, ალტინორ, პალამიდ;

პერსონაჟები ეპიზოდური ფუნქციით: აგამემნონი, მენელაოსი, ულისე (გვ. 17, 22), აიასი, დეიფობოსი, ტროილოსი (16);

განსაკუთრებული მნიშვნელობის პერსონაჟები: პარისი, ჰექტორი (16, 18), აქილევსი (17, 18), ჰეკაბე.

აქ მოკლედ შევხებით იმ მნიშვნელოვან მოტივებს, რაზეც ავტორი ამახვილებს ყურადღებას.

ჰექტორი-აქილევსი. განსაკუთრებით გამოყოფს ჰექტორი-აქილევსის ურთიერთობებს. ჰექტორმა მოკლა 13 ბერძენთა მეფე. აქილევსი, რომელიც გრძნობს ჰექტორის უპირატესობას, ხელსაყრელ მომენტს ელოდება, რომ გაუსწორდეს ჰექტორს. აქილევსი მიპარვით კლავს ჰექტორს (20). განსხვავებულია ჰექტორის დაკრძალვის სცენაც (21).

აქილევსი-პოლიქსენე. განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს აქილევსისა და პრიამოსის ასულის, პოლიქსენეს, სიყვარულის ამბავს (21). აქილევსი მშობლებს

სთხოვს პოლიქსენეს ხელს. აღარ უნდა ბრძოლაში ჩართვა, რაც ბერძნებისთვის დიდი დანაკლისია. ერთი ქალისთვის ამდენი ბერძენი გაწყდა და ამიტომ აღარ სურს ომი, არამედ შერიგება უნდა. ბრძოლაში აღარ ერთვება, კარავში ზის მარტო, რაც ძალიან საწყენია ბერძნებისთვის. პოლიქსენეს ამბავი არ დასტურდება ჰომეროსთან. გადმოცემის თანახმად, ტროას მანამდე არაფერი ემუქრებოდა, თუ ტროილოსი პრიამოსისა და ჰეკუბას შვილი 20 წლის ასაკს მიაღწევდა. წყლის მოსატანად მყოფ ტროილოსსა და პოლიქსენეს აქილევსი დაესხმება თავს, ტროილოსს კლავს და პოლიქსენეს მიმართ იჩენს ინტერესს. პოლიქსენე აქილევსს შეიტყუებს ტაძარში, სადაც აქილევსს კლავენ მისი ძმები პარისი და დეიფობოსი. თეიმურაზთან ჰეკუბა ჰპირდება აქილევსს პოლიქსენეს ხელს, იბარებს მას აპოლონის ტაძარში, სადაც დამალული ჰყავს პარისი და კიდევ სხვა ოცი ვაჟკაცი (23). აქილევსს თან ახლდა ასტილოდ, ნესტორის ძე, რომელიც ასევე მოკლეს. ბერძნები ითხოვენ აქილევსის ცხედარს. ტროელები ნებას რთავენ, აქილევსი ქალაქში დაიკრძალოს და მას ტროილოსისა და დეიფობოსის გვერდით დაასვენებენ (24).

პოლიქსენეს სიკვდილი. რაც შეეხება პოლიქსენეს სიკვდილს, ზოგი ავტორის მიხედვით (Phil. Troic.), მან თვითმკვლელობით დაამთავრა, რადგან თავს იდანაშაულებდა აქილევსის სიკვდილის გამო. ევრიპიდეს მიხედვით, აქილევსის აჩრდილი ეცხადება ბერძენ გმირებს და ითხოვს პოლიქსენეს შეწირვას ზურგის ქარის გამო და მას კლავენ მის საფლავზე. პოლიქსენეს არც სურდა, მონობაში ცხოვრება და ამიტომ დედას სთხოვს, რომ არ დაიკნინოს თავი მის წასაყვანად მოსულ ოდესევსთან. ოდისევსს კი სთხოვს, რომ მისი დედა დაამშვიდოს. თეიმურაზის მიხედვით, პოლიქსენეს პირუსი დააკლავს აქილევსის საფლავზე (33). ეს ამბავი ევრიპიდესთან არის გადმოცემული (Hec. 220).

ტროილოსი. ტროილოსს თეიმურაზი ჰექტორის შემდეგ ახსენებს: „ტროილ ვით ლომი მყვირალი ზაღნარს / აღავსებს ველთა და მთათა ხმითა / ძრწოლას შეუდებს მხნეთ გმირთ მეზრძოლთა / ჰსწლავს შუბით მკვეთრი განსტეინავს ქვითა“. თეიმურაზმა იცის, რომ ტროილოსის სიკვდილი, ტროას დაღუპვას მოასწავებს და ოდნავ ქვემოთ გვიყვება იმის შესახებ, თუ როგორ კლავს სიტყვის გამტეხი აქილევსი ტროილოსს (22). ტროილოსს თეიმურაზი კიდევ ერთხელ ახსენებს, სადაც ტროას აღებას აღწერს „სად არს კვეთა ტროილის ხრმალის“ (35).

ჰეკუბას როლი. თეიმურაზთან ჰეკუბა ჰპირდება აქილევსს პოლიქსენეს ხელს, იბარებს მას აპოლონის ტაძარში, სადაც დამალული ჰყავს პარისი და კიდევ სხვა ოცი ვაჟკაცი (შდრ. Hygin. 110). ჰეკუბას კლავენ ბერძნები, ქვებით ქოლავენ და ზემოთ დიდი ტაგრუსს ადგამენ (34) (Ovid. Met.).

პარისის სიკვდილი. განსხვავებულად არის გადმოცემული პარისის სიკვდილი. იგი ილუპება აიასთან ბრძოლის დროს (25). თეიმურაზი მხოლოდ იმას ამბობს, რომ მას ხმალი მოხვდა ყბაში, ამ მოვლენის სიმძაფრეს ელენეს ემოციით გადმოსცემს: „ვარდი ყინვამან ჰყო / მყის დამჭნარი / მოსთქვამს, საბრალოდ იფრხვიდა თმათ, წარხდეს / შუქნი და ბნელ იქმნა გვარი“.

ულისე. კარგად იცის თეიმურაზმა ულისეს თვისება. პირველად ჯერ კიდევ იქ ჩნდება ულისე, სადაც აქილევსის დაყოლიებას ცდილობს, რომ ომში ჩაერთოს, რასაც აღწევს კიდევ, და რასაც საუკეთესო ტროელი გმირების სიკვდილი მოჰყვება („ულისე მეფე ყოვლთ მცბიერი თავი“ 22, „მცბიერ მელობა“ 25). ულისეს ხელი ურევია ტროას ეშმაკობით ალების გეგმაშიც – მოისყიდის ტროელებს ანტენორს და ენეასს, რომლებიც პრიამოსს არწმუნებენ, რომ შერიგება სჯობია მტრობას (30). ანტენორმა და ენეასმა მტერს გაანდვეს ასევე ათენა პალასის ქანდაკების საიდუმლოება, ვიდრე ეს ქანდაკება იყო ტროას ტაძარში, ტროას საფრთხე არ ემუქრებოდა, ანტენორმა და ენეასმა შეძლეს ამ ტაძრის ქურუმის, ტანტოს, ოქროთი მოსყიდვა. დაიყოლიეს პრიამოსი შერიგებაზე. ააგეს რკინის ცხენი, ტროელებმა მიიღეს ეს საჩუქარი, რასაც მოჰყვა ტროას დაცემა. სინონის ამბავი (31).

3. ტროას ალების შემდგომი ამბები

ტროადაში განვითარებულ ამბებს, რომლებიც „ილიადაში“ იყო აღწერილი, მოჰყვებოდა ამბები, რომელიც ამ ომის შემდეგ განვითარდა და ეს ამბები სამ ნაწარმოებში იყო გადმოცემული: „ეთიოპისი“, „მცირე ილიადა“, „ილიონის დამხობა“. აქედან „ეთიოპისი“ უშუალოდ აგრძელებდა „ილიადის“ ამბებს. თეიმურაზს ამ ამბებზე აქცენტირება იმ მოტივით აინტერესებს, რომ ცდილობს გვაჩვენოს, როგორ დაისაჯნენ ბერძნები, რადგან ყველა მოღალატე იმსახურებს დასჯას. თუმცა განსაკუთრებით ანტენორსა და ენეასს გამოყოფს: ანტენორი, იმის მაგივრად რომ ჯილდო მიეცათ, მოკლეს და ჯაგნარში გადააგდეს (36), მის ქონებას დაეპატრონნენ, შვილები მონებად გაიხადეს (37). ენეასი საკუთარმა ხალხმა პანდურით გამოაგდო ქვეყნიდან (37).

დანარჩენ ბერძნებზე კი ამბობს, რომ ვერცერთი ბერძენი მეფე ვერ გადაურჩა საფრთხეს, თუმცა კონკრეტულად სახელს არ ახსენებს:⁵⁰⁶

„უმეტეს მათნი ბრძოლასა შინა მოისრნეს საწყლად / მტერთაგან წყრომას“ (აიასი ტელამონის ძე, პატროკლოსი);

⁵⁰⁶ მხოლოდ ნესტორი, რომელიც არ იღებდა მონაწილეობას ილიონის აოხრებაში, ყველაზე მალე და უვნებელი დაბრუნდა სახლში (Apollod. Epit. 5, 24).

„სხუანი მიეცნეს სამეფოს თვისსა მახლობელთაგან / მწარეს მოშთობას“ (აგამემნონი);

„სხუანი მამულით თვისით განეხვნენ“ (ფილოქტეტესი Apollod. Epit. 6, 15, ტევკროსი Paus. I, 28, 11 დიომედესი);

„სხუანი აქა / იქ მიმოკეთებით / ზღუათა შინა“ (აიასი ოილევის ძე / მისი გემი შეასკდება კლდეს ათენას მიერ თავსდატეხილი ქარიშხლის გამო, გადარჩება, თუმცა მაინც ვერ გაექცევა სიკვდილს და გემიდან გადავარდება და დაიხრჩობა, Apollod. Epit. 6, 6);

„და კუნძულთა ზღვისად მიხვდეს / განსაცდელთ მუნ შეხეთქებით“ (იდომენეისი Schol. Hom. Od. 259);

„ზოგთა მისცემდენ უწყალო სიკუდილს მეფედ / ტყუედ ჰყოფდეს თვისისა მხნებით“ (ფენიქსი Apollod. Epit. 6, 12);

რომელი წყაროებით უნდა ესარგებლა თეიმურაზს?

რა ინფორმაცია არსებობდა თეიმურაზის ხელთ? უნდა აღინიშნოს, რომ თეიმურაზი კარგად იყო გაცნობიერებული ანტიკურ მითოლოგიაში. საკმაოდ კარგად იცნობს მითოლოგიურ სახე-სიმბოლოებს. ომის დასაწყისს ასე აღწერს: „ყოველ საშინელთა შემადრწუნებელთ, მარსისა მახვილს მათს გულს შეხებად, / ვულკანის ისართ ზედა დასხმასა ირისეს მშვილდით ღვიძლთ განწონებად“. როდესაც საუბრობს დეიფობოსზე, ამბობს: „ვით ეტნის ალი გრგვინავს, ძლიერად მუსრავს დიდ ძვრითა“ (16).

თეიმურაზს, როგორც განსწავლულ მეცნიერს, ბევრ წყაროზე მიუწვდებოდა ხელი. ქართულ თარგმანებზე და ასევე რუსულ თარგმანებზე. ცნობილია, რომ მას ანტიკური ავტორებიც უთარგმნია, თუმცა, სავარაუდოდ, ეს თარგმანები რუსული ენიდან უნდა იყოს შესრულებული.

პოემას ვრცელი გამოკვლევა უძღვნა მ. ფხაკაძემ, მის სტატიაში დაწვრილებით არის წარმოდგენილი, თუ რა წყაროები შეიძლებოდა გამოეყენებინა თეიმურაზს ტროას ომის სიუჟეტის დამუშავებისას.

თეიმურაზს ხელთ უნდა ჰქონოდა ტროას ციკლის შესახებ არსებული თარგმანები. ცნობილია, რომ მის ძმას, იოანე ბატონიშვილს უთარგმნია ჰომეროსის „ილიადა“, მეორე ძმას, დავითს კი ეკუთვნოდა დავით ბაგრატიონს ელინური „მითოლოგია“.

ამ თემაზე ხელმისაწვდომი უნდა ყოფილიყო სხვა ნაწარმოებებიც: „შემოკლებული მოთხრობა“ („საქმეთათვის ბრძოლათა ტროადისათა“), „მოკლე ისტორია ტროადის დარღვევის შესახებ“, რომელიც გვიდო დე კოლუმნას (XIII ს.)

პოპულარული რომანის „ტროას დაცემის ისტორიის“ რუსულიდან შესრულებული თარგმანი უნდა იყოს.⁵⁰⁷ ფრანცისკ ფენელონის რომანი „ულისეს ძის თელემაკის თავგადასავალი“ დავით რექტორისეული თარგმანი. ქართულ ენაზე უნდა არსებულიყო „ოდისეა“, რომელიც იესე გარსევანიშვილს მიეწერება.⁵⁰⁸ უშუალოდ ტროას ციკლის ნაწარმოებების გარდა არსებობდა სხვა მწერლების თარგმანებიც ჰესიოდეს, ესქილეს, სოფოკლეს, არისტოფანეს, მენანდრეს, ბერძენი ფილოსოფოსების, იოანე დამასკელის (VIII ს.) „გარდმოცემის“, ეფრემ მცირის „ელინთა ზღაპრობანის“ (XI ს.), გიორგი ათონელის „დიდი სვინაქსარის“ (XI ს.), გიორგი ამარტოლის „ხრონოღრაფის“ (XI-XII ს.), იოანე პეტრიწის „განმარტებაჲ პროკლესთვჲს დიადოხოსისა და პლატონურისა ფილოსოფიისათჲს“, სულხან-საბას „სიტყვის კონა“, იოანე ბატონიშვილის „კალმასობა“, მითოლოგიური სახელები, პერსონაჟები, სიუჟეტები და მათი განმარტებანი მოწმობენ.

პოემაში აშკარად იგრძნობა რუსთაველის გავლენა, ილიონის ადების სცენები, განსაკუთრებით აღსანიშნავია ლინგვისტური დონეზე გავლენა, რაზეც ცხადყოფს რამდენიმე ეპითეტის გახსენებაც: ელენა – მზისა მოკამათე, ელენა – ბადრი მთვარე, ვარდო დამზრალო.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ მხატვრული თვალსაზრისით საკმაოდ ტექნიკურად დაწერილი ნაწარმოებია, რადგან კონკრეტული მიზნით დაიწერა, თუმცა ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან პირველი პოემა ანტიკური ლიტერატურის ერთ-ერთ ყველაზე გამორჩეულ მითების ციკლზე.

ანტიკურობის რეცეფციასთან დაკავშირებული ტერმინები:

საკუთარი სახელები: იუნონა, მინერვა, ვენერა, პარიჟი, ელენა, მენელაოსი/მენელაისა, კუპიდონი, ელენას ასული, პრიამი, კასანდრა, ელენ (ჰელენოსი? პრიამოსის შვილი), ლექტორ, აღამემნონ, მარსი, ვულკანი, ირისე, ტროილი (ტროილოსი), ახილეს, თელემონ, ნესტორ, დიოდიმე, პროტეზილ, პატროკლ, ხედე, ეპისტროფ, მნესტი, ფილიქს, ქსანტიპ, მერონ, ალტინორ, პალამიდ, ულისე, პოლიქსენია, დეიფობოსი, აპოლონი, ასტილოდ, ნესტორ, აიაქს, ანტენორი, ენეი/ენედიომიდ, ტანტო (ქურუმის სახელი), სინონი, პირუსი, ეკუბა (ჰეკაბე);

ეთნონიმები: ბერძნები, ტროადელები/ტროიანელები/ტროადიელები;

გეოგრაფიული ტერმინები: სატირის ჭალაკი, ტროადა, ოლიმპი, საბერძნეთი, ეტნა;

სხვა ტერმინები: ვენრული, ლიმენი, ბომონი, პალადას ქანდაკება.

⁵⁰⁷ ვ. ასათიანი. ანტიკური კულტურა, ბიზანტია და საქართველო. თბილისი, 2021, გვ. 89.

⁵⁰⁸ ტ. რუხაძე. ქართული ეპოსი გარდამავალი ხანის ლიტერატურაში. თბილისი, 1939.

დავით მაჩაბელი, ალექსანდრე და ვახტანგ ორბელიანები

პოეტები, რომლებსაც ჩვენ ამ მონაკვეთში შევხებით, დაკავშირებულები არიან ისეთ მნიშვნელოვან მოვლენასთან, როგორიც არის 1832 წლის შეთქმულება.

XIX საუკუნის 30-იან წლებში საქართველოში ხდება კულტურულ-პოლიტიკური ცხოვრების გამოცოცხლება. იგეგმებოდა მრავალმხრივი ინიციატივების განხორციელება. გაზეთების, ჟურნალების დაარსება, თეატრის, უნივერსიტეტის, ბიბლიოთეკების გახსნა, თუმცა 1832 წლის შეთქმულების გამოაშკარავებამ კულტურის ამ მიმართულებით განვითარება მნიშვნელოვნად შეაფერხა.

დავით მაჩაბელი (1814-1873)⁵⁰⁹

მის პოეზიაში არის პატროტული და სამიჯნურო ლექსები. ანტიკურობის რეცეფციის თვალსაზრისით, მასთან ვხვდებით ტრადიციულ ტერმინებს, როგორიც არის ავრორა („პირველი მაისი“), მინერვა („ჩემს მინერვას“), სმირინოზულად („უმანკობა“).

ანტიკურობის რეცეფციის კონტექსტში გვაინტერესებს **ალექსანდრე ორბელიანის** (1802-1869) და **ვახტანგ ორბელიანის** (1812-1890) შემოქმედება.

ალექსანდრე ორბელიანის ლექსში „თეჯლიში“ ვხვდებით ტერმინს „ასფოდელსა“, რომელიც საკმაოდ გავრცელებული ტერმინია ძველ ქართულ მწერლობაში. ნაწარმოებში „დავით აღმაშენებელი ანუ უკანასკნელი ჟამი საქართველოსი“, რომელიც ეძღვნება დავითის მიერ საქართველოს გათავისუფლებას სელჯუკთა ბატონობისგან, დავითის სარდალი ლიპარიტი შედარებულია პლატონს „ლიპარიდ – ბრძენი პლატონ უნდა იყოს, რომ იმან გამოთქვას იგი თორემ, ვის შეუძლიან სხვასა“.

წყაროებიდან ვიცით, რომ უფრო მეტად ინტერესდებოდა ანტიკურობით ალექსანდრეს ძმა, ვახტანგ ორბელიანი. ლექსში „ობოლი“⁵¹⁰ ვახტანგი თავის თავს ავედრებს „ელინთ მამულს“, რომ „შეიშვილოს და იძმოს იგი ობოლი“. ამავე ლექსში ვახტანგი ძალან ლაკონურად აკეთებს აქცენტს რამდენიმე ასპექტზე: რელიგია, გმირები, განათლება, საომარი სტრატეგია. განათლების სამშობლოდ, იგი ჰომეროსთან ერთად გამოარჩევს ძვ.წ. VI-V საუკუნის ბერძენ მხედართმთავარს

⁵⁰⁹ ქართული მწერლობა. ტ. IX. შემდგ.: ა. ბაქრაძე, რ. თვარაძე. თბილისი, 1992.

⁵¹⁰ ქართული მწერლობა. ტ. IX. შემდგ.: ა. ბაქრაძე, რ. თვარაძე. თბილისი 1992.

თემისტოკლესს,⁵¹¹ რომელიც ჩვენი აზრით, მართლაც ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული სტრატეგოსი იყო.

„ქვეყანავ ღმერთთა, მიწავ გმირთა, ელინთ მამულო,
მტარვალთ ხელითა დანგრეულო და წამებულო,
დიდო აკვანო, დიდო კერავ განათლებისა,
დიდო სამშობლოვ ჰომერის და თემისტოკლისა“. (გვ. 497)

და ამ ცნებების საპირწონედ ახსენებს ძველ კოლხეთს და ოქროს საწმისს, როგორც ძველი საქართველოს დიდების სიმბოლოებს:

„მაგრამ უშიშრად უდგას ზღვასა კოლხიდა ძველი,
მშვენიერთ ასულთ, ძველად განთქმულთ, მიწა მშობელი,
მტკიცე კვარცხლბეკი, საფუძველი იალბუჯისა,
ძველი ქვეყანა ოქროს კრავის და ბიბლიისა...“ (გვ. 497)

სოლომონ რაზმაძე

ამ პერიოდიდან ჩვენთვის საინტერესო ავტორი არის **სოლომონ რაზმაძე** (1797-1860). მან 1831 წელს რუსულიდან თარგმნა ოდილიონ ბაროს მოწოდება „წიგნი ფენელონისა ლუდოვიკ XIV-სთან მიწერილი“, რაც მოგვიანებით შეთქმულებაში მისი მონაწილეობის სამხილად იქნა მიჩნეული.

ჩვენს ყურადღებას იპყრობს ის ფაქტი, რომ სოლომონმა ამ თარგმანს წარუმიღვარა ორგინალური ლექსი, სადაც თავის მოვალეობაზე ლაპარაკობს. მან აირჩია მთარგმნელის საქმე, რომ ამით შეეწიოს მის სამშობლოს, სწორედ ამ ლექსში ვხვდებით ტერმინ სკვითს, რომლითაც ის რუსეთს გულისხმობს:

„ვინა ვალია
თავის დადება
მამულისათვის
ყოვლი კაცისგან.
მის გამო მეცა,
კადნიერქმნილმან,
ვსთარგმნე ეს წიგნი
რუსთა ენისგან,
დაბეჭდვასაცა

⁵¹¹ თემისტოკლესი ქართულ ლიტერატურაში პირველად უცნობი ავტორის „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანში“ ვხვდებით, უფრო ფართო კონტექსტში, კერძოდ, თუ როგორ მოიპოვეს გამარჯვება ზღვასა და ხმელეთზე ბერძნებმა თემისტოკლესის წინამძღოლობით ბერძენ-სპარსელთა ომში და განდევნეს სპარსელები ათენიდან. დაწვრილებით იხ. ნაშრომის პირველი თავი.

არარა მრიდა,
ისწავლონ მისგან
და მით მწე ექმნან
მამულსა თვისსა
და თავი იხსნან
სკვითთ დესპოტისგან“.

1832 წლის შეთქმულთა დამოკიდებულება რუსეთისადმი სოლომონის მიერ ჯერ კიდევ ადრეულ პერიოდში დაწერილ ალეგორიული ხასიათის ლექსშიც ჩანს „დათვი და ცხვარი“. მოხუცი ცხვარი შეწუხებულია სხვა ცხოველებისგან თავდასხმებით და დასახმარებლად მიმართავს დათვს. დათვი ეხმარება ნადირის განდევნაში, თუმცა ამასობაში ცხვარი გარდაიცვლება და მისი ოჯახის ტერიტორიას დათვი შემოიერთებს.

სამწუხაროდ, მისი შემოქმედებიდან ბევრი თხზულება ჩვენამდე არ არის მოღწეული. ამისი მიზეზი უნდა ყოფილიყო შეთქმულების სამხილების განადგურების სურვილი. როდესაც შეთქმულება გამომჟღავნდა, მას უნდა გაენადგურებინა თავისი ნაწერები.

კრიტიკოსთა ნაწილი მას კლასიციზმის მიმდევარად მიიჩნევს, ნაწილი კი, რომანტიკოსად. ანტიკური მითოლოგიისადმი მისი ინტერესი კარგად ჩანს მის ლექსებში. ერთ-ერთ უსათაურო ლექსში რამდენიმე ტერმინს ვხვდებით, კერძოდ, ქალის სხვადასხვა თვისების შესამკობად შესაბამისი ტერმინია გამოყენებული, სილამაზე – დიანა, სინარნარე, კანის სინაზე, ჰაეროვნება – პროზერპინა, ხმა – სირინოზი, სიბრძნე, ღმობიერება – მინერვა.

„უსამართლოა მართლა ბუნება,
რადგან ამ სოფლის ყოვლი ღირსება
შენ შემოგწირა, შენში შეჰკრიბა,
შენში მზეობენ, შენ გამშვენებენ
სილამაზეი თვით დიანასი,
სინარნარეი პროზერპინასი,
კანის სინაზე, ჰაეროვნება,
სირინოზის ხმა გულის მიმღები,
მისი სმენითა მარადის ვსდნები,
მინერვას სიბრძნე, ღმობიერება,
ნიმფთა დასიცა შენ გტრფიალებენ“.

აქ უფრო დეტალურად შევჩერდებით მის ლექსზე „დიანას მეჯლიში“, ⁵¹² რომელიც ანაკრეონტულ სტილში არის „თორმეტს მშვენიერს ქართველზე“ დაწერილი, როგორც მიძღვნილი ვკითხულობთ (ცისკარი, N 12, 1858 წ.):

„ეს ზემოთ დაბეჭდილი ლექსი „დიანას მეჯლიში“ მივიღეთ ჩვენის თანამშრომლისგან შემდგომის წიგნით:

რ. უფალო რედაქტორო ივანე კერესელიძე, მოწყალეო ხელმწიფე!

გთხოვთ ეს ლექსი: დიანას მეჯლიში, დაუბეჭდოთ სოლომან რაზმადეს „ცისკარში“ ყველასაგან დავიწყებულს ჩვენგნით. იქნება ამ ლექსის შემდგომ, ეხლა მაინც მოვიგონოთ ის ყარიბი საწყალი. ჩემს მახლობელს ნათესავს ეპოვა მ. მ. ეს ლექსი თავის ქაღალდებში, რომელმაც დასაბეჭდათ მამცა და მეც თქვენთვის გამამიგზავნია: თორმეტს მშვენიერს ქართველზე დაწერილი რაზმადისაგან.

1832-სა წელსა, უეცარმა საგანმა განადვიდა სული სოლომან რაზმადისა და იმისათვის იგალობა ტკბილად: გაფურჩქენილს გაზაფხულზე, მშვენიერი წალკოტის თალარს ქვეშ, სადაც ამ დროს ვმხიარულებდით ამხანაგები.

თ. ალ. ვახ. ძე ჯ. ორბელიან...“

ვახტანგ ორბელიანის ჩვენებაში (V.880) ვკითხულობთ „საგამომძიებლო კომისიის შეკითხვაზე მაქვს პატივი უპასუხო, რომ შარშან გაზაფხულზე ელიზბარ ერისთავთან სადილად ვიყავით: სოლომონ რაზმადე, მამაცოვი, ჩემი ძმა ალექსანდრე, ელიზბარის ძმა დიმიტრი, პრაპორშჩიკი ჯორჯაძე; მასწავლებლები: დოდაევი, ყიფიანოვი, ავთანდილოვი, და მე, მაგრამ რა შემთხვევის გამო გამართა სადილი არ მახსოვს. სადილზე ვილაპარაკეთ საქართველოს გათავისუფლებაზე, მაგრამ სახელდობრ რა ვთქვით არ მახსოვს. სხვათა შორის თავისუფლების სადღეგრძელო დავლიეთ. სადილის შემდეგ, რომ არავის შევემჩნიეთ, ცალკე წავედით ბაღში, სადაც განვაგრძეთ საუბარი იმავე საგანზე. სხვათა შორის ვილაპარაკეთ გამოთქვა აზრი, რომ გაგვეგზავნა ერთი ვინმე ოქროპირ ბატონიშვილთან, რომ მისთვის დაწვრილებით ყველაფერი ეამბნა ჩვენს განზრახვაზე; როგორც მახსოვს ყიფიანოვი თანხმდებოდა შეესრულებინა ელჩის როლი, რის შემდეგაც დავიშალენით. თ. ვახტანგ ორბელიანოვი“. 1833 წლის 27 იანვარი.⁵¹³

მართლაც, სპარსეთისკენ გზაზე სოლომონი ცოტა ხნით ჩადის თბილისში და ხვდება შეთქმულებს. მის გამოსამშვიდობებლად მოწყობილი ნადიმი გახდება ამ ლექსის დაწერის ინსპირაცია. ელიზბარ ერისთავმა გამართა გამოსათხოვარი სადამო, სადაც იყვნენ მიწვეულები სოლომონ დოდაშვილი, ალექსანდრე და ვახტანგ ორბელიანები, გიორგი ერისთავი, დიმიტრი ყიფიანი.

⁵¹² ქართული მწერლობა. ტ. IX. შემდგ.: ა. ბაქრაძე, რ. თვარაძე. თბილისი, 1992.

⁵¹³ გ. გოზალიშვილი. 1832 წლის შეთქმულება. ტფილისი, 1935.

როგორც მიძღვნაში არის აღნიშნული, ლექსი 1832 წლის ამბავს უკავშირდება „უეცარმა საგანმა განადვილა სული სოლომან რაზმაძისა და იმისათვის იგალობა ტკბილად“. არ არის გასაკვირი, რომ სოლომონს უწევს ლექსის მითოლოგიური საფარველით შენიღბვა, რომ უცხო თვალისთვის არ ყოფილიყო ადვილად ამოსაცნობი მთავარი სათქმელი. ანტიკურ ლიტერატურაში საკმაოდ გავრცელებულია ცალკეული მითოლოგიური პერსონაჟისადმი მიძღვნილი ჰიმნები, ცნობილია, ჰომეროსის ჰიმნებიც. არ არის შემთხვევითი, რომ სოლომონი ამ შემთხვევაში დიანას ირჩევს და არა აფროდიტეს, ან რომელიმე სხვა ღმერთს/ქალღმერთს. რადგან დიანა, როგორც ნადირობის ქალღმერთი, რომელსაც გამოსახავდნენ მშვილდით და ისრებით, ირიბად აღძრავს მეჯლისზე მიწვეული ივერიელი ქალების საბრძოლო განწყობას. კომპოზიციურად ლექსი დაყოფილია რამდენიმე ნაწილად: შესავალი, დიანას გამოჩენა, ივერიელ ქალებთან შეხვედრა, ლხინის სცენა, დიანას მიმართვა ქალებისადმი, ბოლოთქმა.

შესავალ ნაწილში აღწერილია ალიონი ოლიმპოზე და დიანას გამოჩენა ეტლით და თავისი დასით, ეროსით, ამურებით და ნიმფებით. მათ საზეიმო განწყობა აქვთ და ეტლი თავისი თანმხლები დასით ეშვება ასფოდელოსის ველზე. დიანა ეშვება ივერთა მხარეში, სადაც შეკრებილები არიან მშვენებით სავსე ივერიელი ქალები, რომლებიც პალასს არიან შედარებულნი. დიანა ესალმება მათ და ჰპირდება ოლიმპოსის ხილით გამასპინძლებას. შემდეგ ეპიზოდში აღწერილია ნადიმის სცენა. ყველას ამაღლებული განწყობა აქვს. დიანას ბრძანებით ყველას შეასვა სიყვარულით სავსე თასი ამურმა. ამური თორმეტივე ივერიელ ქალს სახელით უხმობს და რამდენადაც ეს სახელები ზმების ფორმით არის დაშიფრული მის სიტყვებში, მიზანშეწონილად ვთვლით ამ ნაწყვეტის სრულად გადმოცემას:

„ამ ლხინის თვალი ხარ, დიანამ ბრძანა

აწ კვალად იამე,

სოფლის სიამე

მერე მოგახსენოს ამურმა ნანა.

შესვი გაამოს!

„ნეტარ მას რაღა სურს ამა სოფელსა

რომელმა იკონა,

ეს ვარდის კონა

შესვი, რასთჳს ჰფარამ ბროლისა ყელსა.
 შესვი გაამოს!
 „ფიალავ, ფიალავ! სავსე ნეკტარით
 ვინ შესო ფიალა.
 მას ეტრფიალა
 გული კოდილი, სურვილის ალით.
 შესვი გაამოს?
 „ვენერას დარია მნათობი ესე,
 ნატიფათ გებულო,
 შვენებით სრულო
 შესვი ეს ფიალა, ალი დამივსე?
 შესვი გაამოს!
 „ხმა იადონისა, ელვა მთვარისა
 გაქვს, შენი სახე
 არს მნელი მახე,
 ვინც მას გებმის ვაი იმის ბრალსა?
 შესვი? გაამოს?
 „ტრედსავით უმანკო ნიავებრ ნაზო,
 ეტყოდა ფრთოსანი
 ტკბილად სმოსანი
 შესვი! გაამოს!
 „დიანა მგოსანნი ნორჩსა გამკობენ
 შენ ციურთა დარსა,
 ჰაეროვანსა,
 იამე ღმერთნიცა შენ გტრფიალებენ
 შესვი! გაამოს!
 „ახელე ნელად შენი მიჯნურნი,
 შესვი ეს ნეკტარი,
 გულთა ისარი
 აწ ვისცა ესროლო მსწრაფლ ჰყო უსულნი?
 შესვი! გაამოს!
 „ან იკონე ია სამოთხის არეს,
 და ან ნაზი ვარდი,
 გულისა დარდი

ვისცა შეხედო მსწრაფლ განუქარდეს?
შესვი! გაამოს!
„შესვი სიტკბოება არ დააქციო.
აქ შენებრ ნარნარი!
არავინარი
რომელ ანიაოს სიცოცხლის სიო.
შესვი! გაამოს!
„ხარ ნათელ მოსილი, გულ ღმობიერი,
შენ ეკატერინავ
ზმა სვერ გიბადავ.
შენს ქებას ვერ მივხვდები თუმც ვარ ციერი
შესვი! გაამოს!
დაგვიწყებია შენთვის ლეული?
აღარ მოიგონებ
აბა ლესული“.

ამურის მიერ ქალების დალოცვა სრულდება საგულისხმო სიტყვებით: „კვლად ჰგმირე მახვილი მარიხისაებრ. / შესვი! გაამოს!“. რა თქმა უნდა, აქ მარიხი/მარსის ხსენება შემთხვევითი არ არის. არესის, ომის ღმერთის ხსენებით ლექსის ბოლოსაც ხდება საომარი განწყობის ინტენსიფიკაცია. ნადიმის დასრულების შემდეგ ივერიელი ქალები მაღლობას ეუბნებიან დიანას და იუნონას შეწევნასაც იმედოვნებენ (გვ. 106-109).

ალექსანდრე ორბელიანის აზრით, ლექსში ზმების მეშვეობით დაშიფრულია ქართველი ქალების შემდეგი სახელები: მანანა, მაიკო, სოფია, დარია, მაია, ნინო, ელენე, ანიკო, მელანია, ეკატერინე, კონია და ბაბაღე რომლებიც, სავარაუდოდ, შესაძლოა იყვნენ შეთქმულების მონაწილე ქალები.

ცნობილია, რომ შეთქმულებაში ქალებიც იყვნენ ჩართული, ისტორიას შემორჩა მათი სახელები ალექსანდრე ორბელიანის ცოლი, ეკატერინე, მელანია მელნიკოვა, მანანა ორბელიანი.

ალექსანდრე ჭავჭავაძე, გრიგოლ ორბელიანი, ნიკოლოზ ბარათაშვილი

როგორც ცნობილია, რომანტიზმი უარყოფს კლასიციზმისთვის დამახასიათებელ მკაცრ ნორმებს და ყურადღების ცენტრში ექცევა ინდივიდუალიზმი, პირადი განცდები, შესაბამისად, პოეზიაში უპირატესობა ენიჭება

გრძნობების გამოხატვას. ამ რომანტიკოსებთან, რომლებიც აქ გამოვყავით, ძალიან ინტენსიურია სატრფიალო თემა, თავის შექცევის მოტივები, სამშობლოს ხვედრზე დარდი, გარდასული დიდების გახსენება, აწმყოზე წუხილი, უკეთესი მომავლის იმედი. რამდენადაც რომანტიზმი თავისი არსით კლასიციკურ ნორმებს არ ითვალისწინებს, რომელიც, თავის მხრივ, დაფუძნებული იყო ანტიკურობაზე, არ არის გასაკვირი, რომ რომანტიკოსებს იმდენად აღარ აინტერესებთ ანტიკურობა და მას ე.წ. ორნამენტული ხასიათი აქვს. ქართველი რომანტიკოსებისთვის ორი უმნიშვნელოვანესი თარიღი იყო 1801 წელი, ქართლ-კახეთის დამოუკიდებლობის დაკარგვა და 1832 წლის შეთქმულების გამომჟღავნება.

ალექსანდრე ჭავჭავაძე (1786-1846)

უნდა ვთქვათ, რომ ანტიკურობის რეცეფციები არ გვხვდება დიდი რაოდენობით ალექსანდრე ჭავჭავაძესთან, მაგრამ ქართველი რომანტიკოსებიდან სწორედ ის არის ე.წ. ანაკრეონტული ლექსის ავტორი. ანაკრეონი, ძვ.წ. VI ს-ის ავტორი, ძალიან დიდი პოპულარობით სარგებლობდა ანტიკურობაშივე და ბევრი მიმდევარი ჰყავდა. ძვ.წ. I საუკუნიდან დაიწყო მისი მიზამდით ლექსების შექმნა და ეს პროცესი ბიზანტიურ ეპოქამდე გრძელდებოდა. Anthologia Palatina-ში დაცულია ასეთი 60-მდე ლექსის შემცველი კრებული. შემდეგი ძლიერი ტალღა XVI საუკუნეში მძლავრად იჩენს თავს საფრანგეთში, შემდეგ მოიცავს შვედეთს, ინგლისს, რუსეთს და საკმაოდ ძლიერდება XVIII საუკუნის გერმანიაში (გოეთე, შილერი, ლესინგი, კლოპშტოკი), საქართველოში კი ამ მიმართულების წარმომადგენელი იყო ალექსანდრე ჭავჭავაძე.⁵¹⁴ რა არის ანაკრეონტული ლექსი? ქეიფი, სიყვარული, მხიარულება, დროსტარება, ჰედონიზმი – ეს არის ძირითადი პათოსი ამ ლექსების.

ი. გრიშაშვილი წერს: „საქართველოში ანაკრეონის გზას აგრძელებს ალექსანდრე ჭავჭავაძე“. ალ. ცაგარელთან ვკითხულობთ: „ალ. ჭავჭავაძე და მისი მიმზამველნი ამ საუკუნეში... გამოხატავდნენ თავიანთი პოეზიის იმგვარ ხასიათსა, ანუ მიმართებასა, რომელსაც ანაკრეონტული ანუ ჰეროტიული ჰქვია ლიტერატურაში და რომელიც უმეტესად სამღერ, სამხიარულო და სატრფიალო საგნებზედ ლექსებს...“.

ასეთი ლექსების ნიმუშად ეს პატარა ამონარიდიც გამოგვადგება:

„მიჯნური თუ ხარ მაშინ ღვინოც უნდა დალიო,

თუ ღვინოს არ სვამ, სიყვარულით არა ხარ მთვრალი“.

ცნობილია, რომ ანაკრეონს ეკუთვნოდა ლექსი, სადაც ეროსს ადარებს ფუტკარს:

⁵¹⁴ რ. გორდეზიანი. ინოვაცია, ფორმალიზმი, ავანგარდი ანტიკურ ლიტერატურაში. თბილისი, 2016, გვ. 113.

„ერთხელ ეროსმა, ვარდს რომ წყვეტდა, ვერ შენიშნა იქ ჩამალული ფუტკარი; ფუტკარმა მას თითზე უკბინა და ეროსმა მორთო ტირილი ის სწრაფად გაფრინდა მშვენიერ კითერესთან და უთხრა: ვაიმე დედა, ვაიმე, ვკვდები: პატარა ფრთოსანმა გველმა, რომელსაც მიწის მუშები ფუტკარს ეძახიან, მიკბინა. დედამ უპასუხა: თუ ფუტკრის ნესტარი ასე მწარეა, როგორღაა ეროს, ის ტკივილები, რომელთაც შენ აყენებ“ (ანაკრეონი, ფრგ. 33).

ალექსანდრე ჭავჭავაძე ამ თემას ეხმიანება „ლექსი ანაკრეონულნით“:

„როსმე კუპიდონ გეჯითგან თაფლსა მღები წყნარადა,
ერთმან ბოროტმან ფუტკარმან დაისრა შეუწყალადა,
პაწაწა ღმერთი კოდილი,

თით ტკინებული, ღმობილი,
ხელს ჰბერავს, ფეხს ჰსცემს მიწასა,
მაგრამ რას არგებს მით წვასა?

ჰფრინავს და მსწაფლად შვენიერს ვენერას მიემართება:
დედა, დედაო! შესჩივის, – გავსთავდი, ცეცხლი მედაბა,
ერთმან მცირემან“,

გველმან მფრინემან,

„ვის მეგუთნენი უხმობენ ფუტკრად,

„გამგმირა თვისით

მავნების ისრით,

ჩემი სიცოცხლის გლახ შესამუსრად“.

ვენერამ მშვენმან

სიამის მფენმან

ღიმილით უგო პასუხი მშვიდად:

„რისთვისა ჰკვირობ

შენც ფუტკრებ მცირობ,

მარა ვისც ჰკოდავ, აჭირვებ დიდად“.

შესაძლოა ეს ლექსი ფრანგულიდან იყოს თარგმნილი.

ალექსანდრე ჭავჭავაძის პოეზიაში⁵¹⁵ ვხვდებით სხვა ტერმინებსაც: ეტნა როგორც ვულკანის სიმბოლო „მიკვირს რათ სძრახვენ მას, ვინცა არს შვენებითა ძლეული?“

„ცუდად წარსდგება მისდამი და ეტყვის ბრძნობას ჩვეული:

„ეტნა დაიშრტე გულისა! ისმინე ჩემი რჩეული!“⁵¹⁶

⁵¹⁵ ქართული მწერლობა. ტ. IX. შემდგ.: ა. ბაქრაძე, რ. თვარაძე. თბილისი, 1992.

⁵¹⁶ ქართული მწერლობა. ტ. IX. შემდგ.: ა. ბაქრაძე, რ. თვარაძე. თბილისი, 1992, გვ. 31.

კავკასიასთან კონტექსტში ასახელებს პრომეთეს:

„ესე არს თვით მთა იგი, სად პრომეტეს დაბმულსა
ღმერთთა მიერ შერისხვით ყორანი ჰხოკდა გულსა“ („კავკასია“)⁵¹⁷

პტოლემეოსს ლექსის სათაურში კი ვხვდებით: „ჰე, საქართველო პტოლემეს დროს აღყვავებული!“

მას ეკუთვნის ისტორიული ნარკვევი: „საქართველოს მოკლე ისტორიული ნარკვევი 1801-დან 1831 წლამდე (წერილი ნიკოლოზ პირველისადმი)“, სადაც ასევე ახსენებს პტოლემეოსს: „იბერია ანუ საქართველო პტოლემეს დროს მოიცავდა ალბანიას, საკუთრივ იბერიასა და კოლხეთს“.⁵¹⁸

ასევე ვხვდებით ტერმინებს ზეფიროსები, მუზები, რაც საკმაოდ გავრცელებული შემთხვევებია.

რომანტიზმის უფროსი თაობის კიდევ ერთი წარმომადგენელია **გრიგოლ ორბელიანი** (1804-1883) მასთან ძირითადად სასიყვარულო თემასთან არს დაკავშირებული ანტიკური ტერმინები, როგორც არის სირენი, კუპიდონი, ვენუსი:

„შენი წელი – კვიპაროზ!

და შენი ხმა – სირინოზ!“ („მერცხალნი – თვალნი შენნი“)⁵¹⁹

„კუპიდონმან თვისის მხრით მკვეთრი ისარი მოგიძღვნა,

რომელშიაც სიმწარესთან სიტკბოება შეურივნა...“ („დღესა ამას სიყვარულმან სოფელსა აღმოგაცენა“)⁵²⁰

„მე მისსა მშობელ ვენერას

დაუმღერ ტკბილსა „მზე შინას!“

მზევ, შინ შემოდიო!“ („სალომეს ბეჟანა მკერვალის მაგიერ“)⁵²¹

„ვითარცა ღმერთა მშვენიერების,

ქველ-მოქმედების, სახიერების,

ვით მტრედი მადლის მშვიდი და წყნარი

⁵¹⁷ ქართული მწერლობა. ტ. IX. შემდგ.: ა. ბაქრაძე, რ. თვარაძე. თბილისი, 1992, გვ. 62.

⁵¹⁸ ქართული მწერლობა. ტ. IX. შემდგ.: ა. ბაქრაძე, რ. თვარაძე. თბილისი, 1992, გვ. 81.

⁵¹⁹ ქართული მწერლობა. ტ. IX. შემდგ.: ა. ბაქრაძე, რ. თვარაძე. თბილისი, 1992, გვ. 331.

⁵²⁰ ქართული მწერლობა. ტ. IX. შემდგ.: ა. ბაქრაძე, რ. თვარაძე. თბილისი, 1992, გვ. 314.

⁵²¹ ქართული მწერლობა. ტ. IX. შემდგ.: ა. ბაქრაძე, რ. თვარაძე. თბილისი, 1992, გვ. 321.

ეგრეთ მშვენებით მოვალს თამარი!“ („სადღეგრძელო ანუ ომის შემდგომი ღამე ლხინი, ერევნის სიახლოვეს“)⁵²²

თხზულებაში „დღიურები“ ვხვდებით მხედართმთავარ ლეონიდასს.

„... ჯერ-არს, რათა ყოველი ქართველი აღინთოს მამულის სიყვარულითა და თვითოეულმან აღირჩიოს გზა ლეონიდისა“.

ანაკრეონტული ლექსის ნიმუშია მისი „მუხამბაზი“, სადაც იგი გადმოგვცემს ღვინოთი და ეშხით თრობას, სადაც იგი ეხმიანება და აგრძელებს ბესიკის, საიათნოვას და, გარკვეულწილად, ალექსანდრე ჭავჭავაძის ტრადიციას:

„ზოგჯერ მღიმარე გიმზერ ოდეს ეშხით აღვსილი,
მრწამს, რომ ღაწვთ ზედა გარდაგვკვრია ნუშის ყვავილი!
მაშინ მას ზედა დაკონების მკლავს მე სურვილი.
მაშინ გინდ მომკლა, გეტყვი, თმენის არღა მაქვს ძალი,
ისმინე, ვდნები, ცნობა არ მაქვს, ვგოჟდები ეშხით,
ნუ მასმევ ღვინოს, უღვინოდ ვარ მთვრალ შენის ეშხით“.

რომანტიკოსებში გამორჩეული ადგილი ეჭირა **ნიკოლოზ ბარათაშვილს** (1817-1845).

ნიკოლოზ ბარათაშვილთან არ გვხვდება ანტიკურობასთან დაკავშირებული ტერმინები. მხოლოდ რამდენიმე წერილში ვხვდებით რამდენიმე ტერმინს, რომელიც მის განსწავლულობაზე მიუთითებს.

ზაქარია ორბელიანისადმი მიწერილ წერილში⁵²³ ვკითხულობთ „მე ძალიან ავად ვიყავი, ცოტა დააკლდა ილვისიოსის მინდვრებში არ გადავსახლდი (რუს.)“. „მიეცი მას თუგინდ ავგუსტუსის ტახტი, ის მთელს რომის იმპერიას კომიკური ხუმრობის საგნად აქცევდა“ (რუს.).

კიდევ ერთი რომანტიკოსი ავტორი, რომელსაც შევეხებით არის **გრიგოლ რჩეულიშვილი** (1820-1877).

ანტიკურობის რეცეფციის თვალსაზრისით საინტერესოა მისი ნაწარმოები „ქვრივის ლიმონები“,⁵²⁴ სადაც ჰყვება ამბავს ერთი მშვენიერი ქალის შესახებ.

„საბერძნეთში, ათინაში, ძველად ყოფილა ერთი მშვენიერი ქალი უბრალოთაგანი, გარნა, როგორც გითხარ, ღამაზი. ერთმა მისმა

⁵²² ქართული მწერლობა. ტ. IX. შემდგ.: ა. ბაქრაძე, რ. თვარაძე. თბილისი, 1992, გვ. 357.

⁵²³ წერილები. IX. ნიკოლოზ ბარათაშვილი. თხზულებანი. აკაკი გაწერელიას და ივანე ლოლაშვილის რედაქციით. თბილისი, 1972, გვ. 125.

⁵²⁴ ქართული პროზა. წიგნი VII, შემდგ.: გ. გვერდწითელი, ნ. ებრალიძე, რ. თვარაძე. თბილისი, 1984.

თაყვანისმცემელთაგანმა, რომელსაც ამაოდ უფანტავს მისთვის ოხვრა და საჩუქრები, დააბეზლა თურმე, გაჯავრებულმა, ეს ქალი ღვთის ურწმუნოებაში. სამსჯავრომ გადასწყვიტა ამ ქალის განძიება ათინითგან და დაიბარეს იგი ამის გამოსაცხადებლად. ქალი მივიდა სამსჯავროში, მაშინდელის ჩვეულებისამებრ, პირჩამოფარებული. ერთმა მწევრმა, რომელსაც გაეგონა ამ ქალის მშვენიერება და არ ენახა კია, ჩამოგლიჯა მას პირთაგან საფარებელი, ხოლო რა ნახეს მუნ მყოფთა... არრას თვალს არ ენახა, არა ვითარსამე მაცხელებელს გონებას არ წარმოუდგენია ის მშვენიერება, რომელიც მათ იხილეს თავიანთ წინაშე! [...] იქვე შეადგინეს მათ მეორე განაჩენი, რომლითაც არათუ აძიებდნენ კვალად ამ ქალს ათინითგან, არამედ დაუდევს მას აუცილებლივ საკანონოდ, რომ იგი ყოველს დღესასწაულსა გამოცხადდეს ხალხში პირახდილი“.⁵²⁵

მართალია, ავტორი სახელს არ ასახელებს, მაგრამ, შესაძლოა, იგულისხმებოდეს ჰეტერა ფრინეს ამბავი, რომელიც ანტიკურ ავტორებთან გვხვდება (სტრაბონი, IX, 410; პლუტარქოსი, ათი ორატორის ცხოვრება, ჰიპერიდესი, 849 c-e)“.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომანტიკოს ავტორებთან ანტიკურობის შემოქმედებითად ათვისების ხარისხი არ არის მძლავრი, უმეტესად ისინი შემოიფარგლება სამიჯნურო თემასთან დაკავშირებული ტერმინებით (კუპიდონი, ავრორა/ეოსი, ვენერა, ზეფირნი, მუზნი, სირინოზი, ღმერთა მშვენიერების, დიონისე). მათი ჰედონისტური ენა და ლექსიკა, არაერთხელ გამხდარა სხვა ლიტერატურული მიმართულების, განსაკუთრებით, რეალიზმის, წარმომადგენლების კრიტიკის ობიექტი. აქ გვახსენდება ილია ჭავჭავაძე, რომელიც არ ერიდებოდა ქართველ რომანტიკოს პოეტთა ჰედონისტური შინაარსის ლექსების პაროდირებას და მძაფრად აკრიტიკებდა მათ შეხედულებებს. ეს დაპირისპირება ცნობილია ე.წ. მამათა და შვილთა თაობების ბრძოლის სახელით.⁵²⁶

რეალიზმი

XIX საუკუნე ევროპაში გლობალური ცვლილებების ეპოქაა. ევროპასა და ამერიკაში იწყება პოლიტიკური და საზოგადოებრივი მოწყობის ფუნდამენტური ცვლილებებისა და გადააზრების ხანა, მონარქიულ-აბსოლუტიტური სისტემა

⁵²⁵ ქართული პროზა. წიგნი VII, შემდგ.: გ. გვერდწითელი, ნ. ებრაღიძე, რ. თვარაძე. თბილისი, 1984, გვ. 63.

⁵²⁶ ამის საილუსტრაციოდ შეგვიძლია გავიხსენოთ აკაკი წერეთლის „ხარაბუზა ღენერალიც“, სადაც ის უმოწყალოდ დასცინის გრიგოლ ორბელიანს: „გაგფრენია შენი მუზა / ბზზუ, ბზზუ, ბუზა-ბუზა!“

ეტაპობრივად, რიგ შემთხვევებში ევოლუციური რეფორმების, რიგ შემთხვევებში კი რევოლუციური მოძრაობების გზით იცვლება უფრო რესპუბლიკურ-დემოკრატიული სისტემებით, თითქმის მთელი ევროპის მასშტაბით ჩნდება პარლამენტარიზმის და ინსტიტუციური მმართველობის კულტურა, იცვლება თავად სახელმწიფოს არსი, რომელიც დინასტიური გაგებიდან უფრო მეტად ეფუძნება სამოქალაქო და კულტურულ ნაციონალიზმს. იცვლება ეკონომიკის ფორმა და აგრარული საზოგადოება გარდაიქმნება ინდუსტრიული ეკონომიკის მქონე საზოგადოებად, რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობს ურბანიზაციას, პარტიული პოლიტიკის კულტურის ჩამოყალიბებას. ეს ცვლილებები საქართველოზე ნაკლებად, ფრაგმენტულად, ხშირ შემთხვევაში ევროპული ტრადიციისა და გამოცდილებისგან, წლებით, ან ათწლეულებით გვიან აისახა.

პირველ რიგში ეს ცვლილებები გამოხატულია 60-იანელების თაობის, განსაკუთრებით კი, ილია ჭავჭავაძის შემოქმედებასა პოლიტიკურ-საზოგადოებრივ მოღაწეობაში. დასავლური ტრადიცია XVIII-XIX საუკუნეების რევოლუციური ცვლილებების დროს, იდეურ, კონცეპტუალურ დონეზე, განსაკუთრებით, პოლიტიკური ცვლილებების, სახელმწიფო მმართველობის სისტემების შექმნის მიმართულებით, მნიშვნელოვნად ეყრდნობოდა ანტიკურ, ბერძნულ-რომაულ გამოცდილებას და ამ კუთხით XVIII-XIX საუკუნე რენესანსის და ჰუმანიზმის შემდეგ კიდევ დიდი შემოზრუნებაა ანტიკურობისა და მისი რეცეფციისაკენ.

ამ კუთხით, ილია ჭავჭავაძის და, ზოგადად, 60-იანელების თაობის შემოქმედება განსხვავდება ევროპული ტრადიციისგან. ერთი მხრივ, ჭავჭავაძის შემოქმედებასა და მოღვაწეობაში ასახულია ის ძირითადი დასავლური ტენდენციები, რომლებიც სახასიათო იყო იმ ეპოქის ევროპული პოლიტიკური, ეკონომიკური და საზოგადოებრივი ცხოვრებისთვის. ილია სიღრმისეულად იცნობს ევროპულ პოლიტიკურ და საზოგადოებრივ რეალობას და, თუმცა ევროპული ტრადიციისგან განსხვავებით მის შემოქმედებაში ანტიკური პოლიტიკური აზრის რეცეფცია მხოლოდ მინიმალურად არის წარმოდგენილი და მას უფრო მეტად ფრაგმენტული ხასიათი აქვს, ვიდრე კონცეპტუალური. ილიასთვის, მისი შემოქმედებიდან, გამომდინარე არ იკვეთება, რომ ანტიკური სამყარო, განსაკუთრებით მისი გამოცდილება პოლიტიკური სისტემების დონეზე, აქტუალური ინსპირაციის წყაროა. ის უფრო მეტად მისივე პერიოდის ევროპულ პროცესებს მისდევს, იღებს მაგალითად და არგებს ქართულ კონტექსტს.

ილია ჭავჭავაძე
(1837-1907)

ეკატერინე კობახიძე, გიორგი უგულავა

ეროვნული ფასეულობების ევროპულ ღირებულებებთან შეთანასწორების სურვილით მოქმედი ილია ჭავჭავაძე ანტიკურობას, როგორც ამ უკანასკნელის საფუძველს, უფრო ხშირად მიმართავდა პუბლიცისტურ წერილებში, ხოლო შედარებით იშვიათად – მხატვრულ ნაწარმოებებში.

ამ უკანასკნელის მიზეზი კრიტიკული რეალიზმის არსში შეიძლება ვეძებოთ. მკვლევართა აზრით, „რეალიზმი მიზანმიმართულად ავლენს და კრიტიკულად წარმოაჩენს კონკრეტული საზოგადოების – კონკრეტულ ისტორიულ პერიოდში და კონკრეტულ ნაციონალურ გარემოში ჩამოყალიბებულის – ბუნებას და კანონზომიერებებს. ეს, რასაკვირველია, მეტ-ნაკლებად ახლადწარმოშობილ ქართულ რეალიზმსაც ეხება“.⁵²⁷

განვიხილოთ ანტიკურობასთან დაკავშირებული პასაჟები და მათი მნიშვნელობა ილია ჭავჭავაძის თხზულებებში.

1858 წელს პეტერბურგში დაწერილ ლექსში „ჩემი თარიარალი (მიბაძვა ალ. ჭავჭავაძისადმი)“ პოეტი ღიად უპირისპირდება რუსულ ცარიზმს და ქართველებს მის წინააღმდეგ საბრძოლველად გაერთიანებისკენ მოუწოდებს:

„თუ ერთობა ჩვენ გვექნება,
მტერი წინ ვით დაგვიდგება;
ჩვენგანი ქართველის დამთრგუნველს
ან მოჰკლავს, ან შეაკვდება.
თუ ჩვენში ძმობა იქმნება,
საქმე არსად წაგვიხდება,
აგერ თვით დიდი ეზოპი
თავის ზღაპრით მემოწმება“.⁵²⁸

აშკარაა, რომ ილია ჭავჭავაძე აქ ესოპოსის ცნობილ იგავს „მოხუცი და მისი ვაჟები/ჯოხების შეკვრა“ იმოწმებს (Aesopus, LIII), რომლის შინაარსი შემდეგია: მოხუცი კაცი მოიხმობს საკუთარ ვაჟებს, რომლებიც მუდმივად უთანხმოებაში ცხოვრობენ და უბრძანებს მათ, რომ გატეხონ ჯოხების სქელი შეკვრა, რასაც ისინი

⁵²⁷ თ. ვასაძე. ქართული რეალიზმის წარმოშობა. კრებულში: ქართული რეალიზმის სათავეებთან. რედ.: ი. რატიანი, თ. შარაბიძე. თბილისი, 2015, გვ. 5. ხელმისაწვდომია ონლაინ: <https://literaturatmcodneoba.tsu.ge/qart.real-XIX.pdf> ბოლო ნახვა: 18.09.2023.

⁵²⁸ ილ. ჭავჭავაძე. თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად პ. ინგოროყვას რედაქტორობით. ტ. I. ლექსები / პოემები. თბილისი, 1951, გვ. 37.

ვერ შეძლებენ. შემდეგ მოხუცი დაშლის შეკვრას და ვაჟებს ჯოხების სათითაოდ დამტვრევას შესთავაზებს, რასაც ისინი ადვილად ახერხებენ. მოხუცი აუხსნის შვილებს, რომ ძალა ერთობაშია და მოწოდებს, შეწყვიტონ უთანხმოება, რადგან თუ ისინი თანხმობით იცხოვრებენ, ვერავინ მოერევა მათ, რაც არ უნდა დიდი იყოს მისი ძალა. საყურადღებოა, რომ ეს იგავი, გარკვეული სახეცვლილებით ჯერ კიდევ სულხან-საბას „სიბრძნე სიცრუისაში“ გვხვდება სათაურით „ძალა ერთობისა“:

„მეფე ვინმე იყო დიდებული. ოცდაათი ვაჟი ჰყვა. რა მოიწია დრო სიკვდილისა მისისა, მოუწოდა ძეთა თვისთა, მოაღებინა ოცდაათი ისარი, შეკრა მაგრა ერთად და მოზიდა, რათა გატეხოს და ვერ გატეხა. მერმე თითო-თითო მოზიდა და ყოველივე დაღეწა. უთხრა შვილთა თვისთა:

- თუცა ერთად ხართ და ერთსა პირსა ზედა სდგებართ, მტერი ეგრე ვერ გაგტეხსთ, ვითა მე წელან შეკრული ისარი ვერ გავტეხე; თუ გაიყრებით, ესრეთ თითო-თითოდ დაგლეწოსთ მტერმან. თავიცა მოსთხაროთ და მოყვარეცა“.⁵²⁹

სულხან-საბას არაკში ესოპოსთან შედარებით გარკვეული დეტალები განსხვავებულადაა წარმოდგენილი, ასევე სულხან-საბა არსად ასახელებს ესოპოსის სახელს.

საიდან უნდა სცოდნოდა ილია ჭავჭავაძეს ესოპოსის და მისი შემოქმედების შესახებ?

საყურადღებოა, რომ საქართველოში ესოპოსის მიმართ ოდითგანვე დიდ ინტერესს ადასტურებს XVIII საუკუნის I ნახევრით დათარიღებული ხელნაწერი, ასევე არსებობს სხვა ხელნაწერებიც, სადაც დაცულია უცნობი ავტორის მიერ ბერძნულიდან თარგმნილი 40 იგავი. შემორჩენილია ასევე ესოპოსის ცხოვრების შესახებ ქართული თარგმანიც, რომელსაც ბერძნული ტექსტის დასადგენად დიდი მნიშვნელობა ენიჭება.⁵³⁰

როგორც აღვნიშნეთ, სულხან-საბასთან არ სახელდება იგავის ავტორი და დიდი ალბათობით, ილია ჭავჭავაძესთან ნახსენები ესოპოსის არაკის წყარო სულხან-საბას იგავი არ უნდა ყოფილიყო. ასევე ნაკლებად დამაჯერებელია, რომ ილია ზემოთ ნახსენები ხელნაწერების საშუალებით ამ არაკს იცნობდა ესოპოსის შემოქმედებიდან. მეტად საფიქრებელია, რომ ილია ჭავჭავაძემ ამ არაკის შინაარსი ან ზეპირი გადმოცემით, ან რუსული თარგმანების მიხედვით იცოდა,⁵³¹ რადგან ქართულ ენაზე

⁵²⁹ სულხან-საბა ორბელიანი. იგავ-არაკები. თბილისი, 1959, გვ. 4.

⁵³⁰ ვ. ბაკაშვილი. ესოპე. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. ტ. 4. თბილისი, 1979, გვ. 217-218.

⁵³¹ Езоповы басни с нравоучением и примечаниями Р. Летранжа, вновь изданные, а на российской языке переведены в С.-Петербурге, канцелярии Академии наук секретарем С. Волчковым. (1747, переиздания); Езоповы басни с баснями латинского стихотворца Филельфа, с новейшего французского перевода, полным описанием жизни Езоповой... снабденного г. Беллегардом, ныне вновь на российской языке

ჯერ კიდევ არ იყო გამოცემული ესოპოსის თხზულებები. ცნობილია, რომ ქართულ ენაზე ესოპოსის 95 იგავის ქართული თარგმანი იტალიური ენიდან ილიას ლექსის დაწერიდან ერთი წლის შემდეგ, 1859 წელს ვენეციაში დაისტამბა.⁵³² ამავდროულად, ის ფაქტი, რომ ილია ესოპოსის იგავ-არაკს ლექსში „ზღაპარს“ უწოდებს, გვაფიქრებინებს, რომ მას ხელთ ჰქონდა ესოპოსის ფრანგული თარგმანი, რადგან სიტყვას *Fables* ფრანგულში აქვს პირველ რიგში „ზღაპრის“, ხოლო შემდეგ „მითის“, „იგავ-არაკის“ და სხვა მნიშვნელობები.⁵³³

ლექსში „ჩემი თარიარალი (მიბადვა ალ. ჭავჭავაძისადმი)“ პოეტი ესოპოსის „ზღაპრის“ ხსენებისას, მართალია, არ აკონკრეტებს იგავის სათაურსა და შინაარსს, მაგრამ თხზულების სულისკვეთებიდან გამომდინარე, მკითხველისთვის ადვილად გასაგები ხდება, რომელ არაკს გულისხმობს ილია და რისი თქმა სურს თანამემამულეებისათვის. ძველი ბერძენი ავტორის დამოწმებით ავტორი დამაჯერებლობას ანიჭებს საკუთარ სათქმელს და ესოპოსის იგავის მორალს ყველასთვის გასაგებ, უნივერსალურ ჭეშმარიტებად, ერთგვარ აქსიომად წარმოადგენს, რომელიც საუკუნეთა განმავლობაში არ კარგავს აქტუალობას.

დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ როგორც ეს ლექსის სათაურიდან ჩანს, „ჩემი თარიარალი“ დაწერილია ალექსანდრე ჭავჭავაძის ლექსის „მუხამბაზი ლათაიურის“ მიბადვით. თუმცა, ილია ჭავჭავაძის ლექსის პატრიოტულ და საბრძოლო პათოსს არაფერი აქვს საერთო ალექსანდრე ჭავჭავაძის ჰედონისტური მუხამბაზის სულისკვეთებასთან და დიდი ალბათობით, მის პაროდias წარმოადგენს.

ვფიქრობთ, ანალოგიურ შემთხვევასთან გვაქვს საქმე 1868 წელს ტიარლევოში დაწერილ ლექსში „ლოთის რჩევა“, რომელიც ქეიფისა და სასიყვარულო თავგადასავლების მოყვარული კაცის დარიგებებს მოიცავს. ეს არის სატირული შინაარსის თხზულება, რომელიც ასახავს დროსტარებას აყოლილი ქართველის ყოველდღიურობას:

„რა უნდა სჯობდეს, მითხარით, ამას
რომ ერთის ხელით ეხვიო მიჯნურს,
მეორით – ყანწით ჰყლაპავდე კახურს?“⁵³⁴

ქეიფის მოყვარულს არც დიდება აინტერესებს და არც ქონება:

„ორს პატივს სცემდეთ ამ ქვეყნიურსა:

переведенные Д. Т. М., 1792; Греческие Классики. Ч. 1. Кн. I. Басни Езоповы. Переведенные с греческого Иваном Мартыновым. СПб., 1823.

⁵³² ვ. ბაკაშვილი. ესოპე. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. ტ. 4. თბილისი, 1979, გვ. 217-218.

⁵³³ ფრანგულ-ქართული ლექსიკონი. ტ. 2. მთ. რედ.: ნ. ქადეიშვილი. თბილისი, 1999, გვ. 179.

⁵³⁴ ილ. ჭავჭავაძე. თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად პ. ინგოროყვას რედაქტორობით. ტ. I. ლექსები / პოემები. თბილისი, 1951. გვ. 23.

მხიარულს ბახუსს და ცელქს ამურსა“.⁵³⁵

ლექსის ამ პასაჟში ნახსენებია რომაული პანთეონის ღვთაებები: ბახუსი (ბერძნ. დიონისე) და ამორი/ამური (ბერძნ. ეროსი), რომლებიც სიმბოლურად ღვინოსა და სასიყვარულო ვნებას განასახიერებენ. ამ ორივე შემთხვევაში ილია ამ ტერმინების რომანიზებულ ვარიანტს იყენებს (რომაული ამური და ბახუსი ბერძნული ეროსის და დიონისეს ნაცვლად). ორივე ამ ტერმინს, რომლებიც ანტიკური ტრადიციის მიხედვით სასიყვარულო ურთიერთობების, გართობის, ღვინის, ცეკვის ა.შ. სიმბოლოდ მიიჩნევა, ილია ამქვეყნიურ სიამედ მიიჩნევს. ამით იგი მიჯნავს ამქვეყნიურ, ხორციელ გასართობებს სულიერი, შინაგანი სიქველეებისგან და ამ კუთხით იგი მიუყვება ანტიკურობის უფრო გვიანდელ, შუა საუკუნეებში ჩამოყალიბებულ სტერეოტიპულ გაგებას, რომლის მიხედვითაც ანტიკურობა ხორციელ სიკეთეებთან ასოცირდება და თავისი არსით უპირისპირდება ქრისტიანობის ეპოქის მსოფლალქმას.

გარდა საყოველთაოდ ცნობილი სიმბოლიკისა, რასაც ეს ღვთაებები გამოხატავენ, საფიქრებელია, რომ პოეტი დამატებით ხაზს უსვამს ლოთის არაქრისტიანულ საქციელს: ვნებას და ლოთობას აყოლილი ადამიანი საკუთარი ცხოვრების წესით პატივს მიაგებს და ერთგვარად ეთაყვანება წარმართულ ღმერთებს. ამასთან, ვფიქრობ პოეტი მიანიშნებს მის მიერ ხშირად პაროდირებულ ქართველ რომანტიკოს პოეტთა თხზულებების ლექსიკაზე, რაზეც მსჯელობა მოცემულია ნაშრომის წინა, რომანტიზმისადმი მიძღვნილ ქვეთავში.

ამავე ლექსში კიდევ ერთი ანტიკურობასთან დაკავშირებული ტერმინი გამოჩნდება:

„ან ღვინის ორთქლით გახურებულსა,
რა დაგოცნის შენ სხივი ავრორის,
ცელქ სიყვარულით გაღვიძებულსა,
შენ საყვარლისა ხვევნათა შორის“.⁵³⁶

ავრორა, განთიადის ქალღმერთი რომაულ პანთეონში (ბერძნ. ეოსი), რომელსაც არაერთხელ ვხვდებით რომანტიკოსთა შემოქმედებაში, ესადაგება ლექსის საერთო პათოსს. ბახუსისა და ამორის ტყვეობაში მყოფი, დროსტარებას აყოლილი მთავარი გმირის ლექსიკისთვის „ავრორა“ უფრო ბუნებრივად გამოიყურება, ვიდრე „განთიადი“ ან „აისი“. ვფიქრობთ, მსგავსად ლექსისა „ჩემი თარიარალი“,

⁵³⁵ ილ. ჭავჭავაძე. თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად პ. ინგოროყვას რედაქტორობით. ტ. I. ლექსები / პოემები. თბილისი, 1951. გვ. 23.

⁵³⁶ ილ. ჭავჭავაძე. თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად პ. ინგოროყვას რედაქტორობით. ტ. I. ლექსები / პოემები. თბილისი, 1951. გვ. 23.

ახალგაზრდა ილია ჭავჭავაძე აქაც ქართველ რომანტიკოს პოეტთა ჰედონისტური შინაარსის ლექსების პაროდირებას ცდილობს და აკრიტიკებს მათ მისწრაფებებსა და იდეალებს. ეს კრიტიკული დამოკიდებულება მოგვიანებით გადაიზრდება სერიოზულ კონფრონტაციაში, რომელიც ისტორიაში შევა „მამათა და შვილთა ბრძოლის“ სახელით.

ანტიკურობასთან დაკავშირებულია კიდევ ერთი მონაკვეთი ილიას პოეტიდან „აჩრდილი“, რომელიც პოეტის საეტაპო თხზულებადია მიჩნეული. 1859-1872 წლებში შექმნილი ეს ნაწარმოები ეძღვნება მის მეგობრებსა და თანამოაზრეებს – ივანე პოლტარაცკისა და ილია წინამძღვრიშვილს.

ნაწარმოებში პოეტი საკუთარ ხილვაში ესაუბრება მყინვარზე მდგომ მოხუცებულ კაცს. მოხუცი, რომელიც აცხადებს, რომ ის არის საქართველოს „თანამდევი უკვდავი სული“ მყინვარიდან ხედავს საქართველოს მძიმე აწმყოს და იხსენებს საქართველოს წარსულს, წინასწარმეტყველებს მამულის ნათელ მომავალს. საქართველოს წარსულის ერთ-ერთ ეპიზოდის აღწერისას მოხუცი ახსენებს ალექსანდრე მაკედონელს. მონაკვეთის მნიშვნელობიდან გამომდინარე, სრულად მოვიყვანთ ალესანდრე მაკედონელთან დაკავშირებულ ნაწყვეტს ტექსტიდან:

XIX

„თვალწინა მიდგა ის კირთების ბედშავნი დღენი,
როს შენ დაგიპყრო მაკედონის გმირის ლაშქარმა
და შეგიწყია დიდ ცხოვრების სამკვიდრო ბჭენი
შენმა მოძალემ და მოლალემ უცხო მთავარმა.
სძულდა ქვეყანა, რომელიცა მას ეპყრა ხელთა,
სძულდა თვით ერიც, მის სიკეთე, ნიჭიერება...
ვერა, ვერ ჰმართონ ვერსად ერი იმა მმართველთა,
ვისც არ აქვთ ერის სიყვარული და შეწყნარება.
ერის მჩაგვრელი, ქვეყნის მთხრელი იგი მმართველი
მთელს საქართველოს თვის ფერხთა ქვეშ მწვარებრ ჰქელვიდა,
ერის იმედის, სასოების, ნიჭის მმუსრველი
თვით ერის ენას – მაგ ერის განძს – იგი სდევნიდა.
სმაგდა ყოველი, რაშიც იყო ერის ღირსება,
რაშიაც ერი თვისთა ნიჭთა იყო მსახველი,
რაშიაც იყო მის დიდება, პატიოსნება,
რისთვისაც დაშვრა მამა-პაპის გული და ხელი.
მას ჰმორჩილებდა ერი შენი მძულვარებითა,

დევნულობის და კირთების ქვეშ ქედსა იხრიდა,
და მონებურის თვალთმიმქცევის კრძალულებითა
ზღვევისა წადილს გულდაკეტით დღედაღამ ჰზრდიდა.

XX

მოვიდა ის დღეც შურისგებისა,
მტარვალს აღუდგა ქართველის ქველობა...
მართალი არის ხმალი ზღვევისა,
რომ ხელს ჰკიდებს მას მამულის ტრფობა.
მახსოვს ფარნავაზ ჰაეროვანი,
გულმტკივნეული შვილი ქვეყნისა...
მან იდგა თავსა სახელოვანი
ის დიდი საქმე შურისგებისა.
ერის და ქვეყნის შეურაცხყოფას
ვეღარ გაუძლო ჭაბუკმა გმირმა,
ვადარ გაუძლო მტარვალთ ურცხვობას
იმა მამულის ამაცმა შვილმა.
გადგა და დასცა თავზარი მტერსა,
დაამხო პირქვე ყმობა, მონება,
და უცხოთ ხელთქვეშ დაჩაგრულს ერსა,
ვით მზე, მოჰფინა თავისუფლება, -
და შენ, ჰე, ქართლო, მტრისგან რღვეული
კვლავ შეგაერთა ერთის ცხოვრებით,
ქართველის სახელი დამცირებული
კვლავ შეჰმოსა მან პატიოსნებით.⁵³⁷

როგორც ვხედავთ, ამ სტრიქონებში ილია ჭავჭავაძეს ქართულ ლიტერატურაში, კერძოდ ჰაგიოგრაფიასა და საისტორიო მწერლობაში ალექსანდრე მაკედონელის მიერ ქართლის დაპყრობის შესახებ ცნობილი სიუჟეტი აქვს გამოყენებული. ამ სიუჟეტთან დაკავშირებით დაწვრილებითი მსჯელობა უკვე წარმოდგენილია ქვეთავში „ანტიკურობა „ქართლის ცხოვრებაში“, რაზეც აქ აღარ შევჩერდებით. დამატებით აღვნიშნავთ, რომ ილია ჭავჭავაძეს ამ ამბის რეალობაში ეჭვი არ შეაქვს და თამამად რთავს მას საქართველოს ისტორიის ნარატივში.

⁵³⁷ ილ. ჭავჭავაძე. თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად პ. ინგოროყვას რედაქტორობით. ტ. I. ლექსები / პოემები. თბილისი, 1951, გვ. 145.

ილიას მიერ შეთავაზებული ალექსანდრეს სახე „ქართლის ცხოვრების“ გარდა, უფრო აღმოსავლური ტრადიციის გავლენას განიცდის, ვიდრე დასავლურის. ალექსანდრე ანტიკურობის ალბათ უდიდესი ისტორიული ფიგურაა, რომლის რეცეფციაც ისტორიული განვითარების ყველა ეტაპზე აქტუალური იყო სხვადასხვა კულტურისთვის. თუმცა, მისი სახე წინააღმდეგობრივი და ამბივალენტურია. თუკი ბერძნულ-რომაული ცივილიზაციისა და მის საფუძველზე შექმნილი დასავლური კულტურისთვის ალექსანდრე უმეტეს შემთხვევაში (თუმცა, არა ყოველთვის) დადებითი სახეა – გმირობის, ადამიანური საზღვრების მიღწევის, შეუძლებლის გადალახვის სიმბოლო, აღმოსავლური ტრადიციისთვის ის სასტიკი და დაუნდობელი დამპყრობელია, ნეგატიური სიმბოლოა.

XIX საუკუნე ევროპაში განმათავისუფლებელი ომების, ეროვნული იდეის, ახალი ეროვნულ საფუძველზე შექმნილი სახელმწიფო იდენტობის და, როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, სახელმწიფოს ახალი, სამოქალაქო ან/და კულტურულ ნაციონალიზმზე დაფუძნებული კონცეფციის შექმნის პერიოდია. ეს არის იმპერიების რღვევის და მათ წინააღმდეგ განმათავისუფლებელი ომების და წინააღმდეგობრივი ომების პერიოდიც. ეს ტენდენცია თითქმის მთელ დასავლურ სამყაროში შეიმჩნევა – სამხრეთ ამერიკიდან დაწყებული, განსაკუთრებით ოსმალეთის იმპერიის და ავსტრიის (შემდგომში ავსტრო-უნგრეთის) იმპერიით დასრულებული და აქტიურად მიმდინარეობდა შავი ზღვის და კავკასიის მეზობელ სივრცეებშიც. ილია ამ მოძრაობებს და მათ პოლიტიკურ მოტივაციას კარგად იცნობს დაა როგორც მის პუბლიცისტიკაში ჩანს, არაერთხელ იყენებს მათ გამოცდილებას შიდა ქართული პრობლემატიკის აქტუალიზაციისა და გადაჭრისთვის.

შესაბამისად, XIX საუკუნეში ევროპული იმპერიების რღვევის და მათ წინააღმდეგ განმათავისუფლებელი მოძრაობების ეპოქაში, ალექსანდრე და, ზოგადად, იმპერიალიზმი ხშირად უფრო უარყოფით სიმბოლოს წარმოადგენს. ილია „აჩრდილში“ იხსენებს ქართლის სამეფოს ალექსანდრეს მიერ დაპყრობის „ქართლის ცხოვრებისეულ“ ლეგენდას, აძლევს მას მკვეთრად უარყოფით შეფასებას, ამ საკითხის აქტუალიზაციით ახდენს მისი თანადროული პრობლემის, საქართველოს რუსული დაპყრობის საკითხის აქტუალიზაციას და არაპირდაპირი გზით შეფასებას. ამ სათქმელის გამოხატვისთვის ალექსანდრე მისთვის ყველაზე კარგი სიმბოლოა. თუმცა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მისი ალექსანდრე ანტიკურობაზე მეტად, შინაარსობრივი, სიმბოლური დატვირთვით ატარებს „ქართლის ცხოვრების“, აღმოსავლური კულტურული ტრადიციის და XIX საუკუნის ევროპული რეალობის გავლენას. ეს გავლენები შესაძლოა ერთბაშად არის ილიას მიერ ალექსანდრის სახის აღქმაში წარმოდგენილი, შესაძლოა ნაწილობრივ ახდენდეს გავლენას.

საინტერესოა, რომ ილია არსად ასახელებს აზონს, რომელიც ცნობილი თქმულების მიხედვით, ალექსანდრემ ქართლის მმართველად დაადგინა, თუმცა აღნიშნავს, რომ მაკედონელის მიერ ქართლში დანიშნულ მთავარს სძულდა ქართველები, მათი ნიჭიერება და ქართული ენაც, რომელსაც ის სდევნიდა. ამ უკანასკნელის საფუძველზე შეიძლება ვიფიქროთ, რომ ილია, აზო/აზონის ამბის ლეონტი მროველისეულ ვერსიას მისდევს, რომლის მიხედვითაც, აზო/აზონი იყო მაკედონელი და არა ქართველი არიან-ქართლიდან. აზონის მიერ ქართული ტრადიციებისა და ენის დევნის შესახებ ინფორმაცია არსად ჩანს ქართულ წყაროებში და, შესაბამისად, უნდა წარმოადგენდეს ილიას მხატვრული ფანტაზიის ნაყოფს, რომელსაც იგი, დიდი ალბათობით, ალეგორიული მიზნებისთვის იყენებს. ალექსანდრე მაკედონელის მმართველის მიერ ჩაგრული საქართველო, რომელიც ახალგაზრდა გმირის, ფარნავაზის საშუალებით შურს იძიებს მტერზე, ჩვენი აზრით, ილიასთვის არის არა საქართველოს წარსულის აღწერა, არამედ მომავლის იმედი და გზა არსებული მდგომარეობის შესაცვლელად. საინტერესოა, რომ ალექსანდრე მაკედონელის მიერ ქართლის დაპყრობის ამბავს აკაკი წერეთელიც ალეგორიული მიზნით იყენებს მოთხრობაში „ვინ არის აზნაური“, რასაც ჩვენ აკაკის შემოქმედების განხილვისას შევეხებით.

ანტიკურობასთან დაკავშირებული კიდევ ერთი სიმბოლო ჩანს ილია ჭავჭავაძის 1883 წელს დაწერილ ლექსში „ბაზალეთის ტბა“, სადაც პოეტი მოგვთხრობს ლეგენდას ტბის ფსკერზე არსებულ წალკოტზე და ამ წალკოტში თამარ მეფის მიერ ჩადგმულ ოქროს აკვანზე, სადაც, ხალხის რწმენით, ის ყრმა წევს, ბედნიერებას და წარსულ დიდებას რომ დაუბრუნებს საქართველოს.

პოეტი აღნიშნავს, რომ ტბის ფსკერზე არასდროს დაუდგამს ადამიანს ფეხი და რომ აკვანს მითური სირინოზები დარაჯობენ:

„მარტო ერთნი – სირინოზნი
იმ აკვანს გარს ეხვევიან,
მარტო იგინი, გრძნეულნი,
დასტრფიან და დამღერიან...“⁵³⁸

საინტერესოა, რომ სირინოზი, ბერძნული სირენების შესაბამისი ქართული ტერმინები და მისი მომაჯადოებელი ხმა ილია ჭავჭავაძეს რამდენიმე თხზულებაშიც აქვს ნახსენები (მაგალითად, მოთხრობებში: „გლახის ნაამბობი“⁵³⁹ და „მაჰანკალი“⁵⁴⁰).

⁵³⁸ ილ. ჭავჭავაძე. თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად პ. ინგოროყვას რედაქტორობით. ტ. I. ლექსები / პოემები. თბილისი, 1951, გვ. 104.

⁵³⁹ „თამრო! [...] გამაგონე შენი სირინოზის ხმა“ (ილ. ჭავჭავაძე. თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად პ. ინგოროყვას რედაქტორობით. ტ. II. ლექსები / პოემები. თბილისი, 1950, გვ. 84).

როგორც ეს გურამიშვილის პოეზიის ანალიზისას ვახსენეთ, სირინოზები – გარეგნულად მომხიბვლელი და მეზღვაურთა მომაჯადოებელი სირენები ბერძნული მითოლოგიიდან – არსად ჩანან შუა საუკუნეების ქართულ ლიტერატურაში, რომელშიც, როგორც ვნახეთ, უხვადაა წარმოდგენილი ანტიკური ნარატივები და მითოლოგიური პერსონაჟები; თუმცა, XVIII-XIX საუკუნის ქართულ პოეზიაში ისინი საკმაოდ ხშირად ფიგურირებენ. ვფიქრობთ, ამის მიზეზი შეიძლება იყოს ის ფაქტი, რომ „ელინთა ზღაპრობანიში“, რომელიც შუა საუკუნეების ქართველი მწერლებისთვის ანტიკურობის შესახებ მთავარ წყაროს წარმოადგენდა, სირინოზების შესახებ ინფორმაცია არ დასტურდება. სირინოზები ქართულ სინამდვილეში, როგორც ჩანს, პირველად ჩნდებიან სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში, სადაც ვკითხულობთ: „ზღვასა შინა არს ცხოელი ერთი, წელს აღმა მგზავსი ქალისა და ბოლო თევზისა, ესრე ტკბილად ჯმოვენ, კაცნი სიამოვნით გახელდებიან, იგი არს სირინოზი“.⁵⁴¹

შესაბამისად, ბერძნული მითოლოგიის სირენებისაგან განსხვავებით, რომლებიც ნახევრად ფრინველები არიან, სულხან-საბას ლექსიკონში სირენების მახასიათებლებია: მომხიბვლელი ხმა და მიქსანთროპული გარეგნობა – თევზის კუდი. ლექსიკონში არაფერია თქმული სირინოზთა მიერ მოხიბლულ ზღვაოსანთა დაღუპვის შესახებ, რამაც ეს მითური ფიგურები ქართულ ლიტერატურაში აქცია ერთგვარად პოზიტიურ პერსონაჟებად, რომლებსაც ზღაპრული გარეგნობა და მომაჯადოებელი ხმა გამოარჩევთ.

შესაბამისად, ილია ჭავჭავაძის გრძნეული სირინოზნი, რომლებიც გარს ევლებიან ოქროს აკვანს და მომხიბვლელად გალობენ, სრულიად დაცლილი არიან უარყოფითი მნიშვნელობისგან და ქართველთათვის საოცნებო გმირის მცველებად და მომგლელებად გვევლინებიან.

განსაკუთრებით საინტერესოა, „კაცია-ადამიანში“ დიალოგი ელისაბედს, ლუარსაბსა და დარეჯანს შორის, როდესაც ისინი XIX საუკუნის იმ პერიოდისთვის უაღრესად აქტუალურ სოციალურ და საზოგადოებრივი მოწყობის საკითხზე – ბატონ-ყმობის გაუქმება – მსჯელობენ და ციტირებენ სახარებას (მარკოზის სახარება, 12.17 – „მიეცით კეისარს კეისრისა და ღმერთს ღვთისა“).⁵⁴² იქვე ელისაბედი

⁵⁴⁰ „და როცა მარტოკანი დავრჩით, მიბრძანა თავის სირინოზის ხმითა“ (ილ. ჭავჭავაძე. თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად პ. ინგოროყვას რედაქტორობით. ტ. II. ლექსები / პოემები. თბილისი, 1950, გვ. 370).

⁵⁴¹ სულხან-საბა ორბელიანი. ლექსიკონი ქართული. მოამზადა ილ. აბულაძემ. რედ.: ელ. მეტრეველი, ც. ქურციკიძე. თბილისი, 1991.

⁵⁴² თხზულება: კაცია-ადამიანი?! იხ. ილ. ჭავჭავაძე. თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად. პ. ინგოროყვას რედაქტორობით. ტ. II. ლექსები / პოემები. თბილისი, 1950 გვ. 157.

აღნიშნავს, რომ „კეისრები ჩვენ (ანუ თავად-აზნაურობა) ვართ. როგორც თავიდანვე აღვნიშნეთ, XVIII-XIX საუკუნე გლობალური საზოგადოებრივი ცვლილებების ხანაა, რომლის ერთ-ერთი შედეგიც წოდებრიობაზე დაფუძნებული საზოგადოებრივი და სახელმწიფო მოწყობის სისტემის უფრო მეტ თანასწორობაზე დაფუძნებული სისტემით შეცვლა იყო. ეს პროცესი თითქმის მთელი ევროპის მასშტაბით მიმდინარეობდა, თუმცა კონსერვატულ და რეაქციულ რუსეთის იმპერიაში აქტუალური ბევრად უფრო გვიან გახდა. ილიას მიერ მოყვანილი ეს დიალოგი უფრო მეტად სახარების რეცეფციას წარმოადგენს, ვიდრე ანტიკურობის (მიუხედავად იმისა, რომ სახარება ქრონოლოგიურად ანტიკურობაშია შექმნილი შინაარსობრივი და მსოფლმხედველობითი დატვირთვიდან გამომდინარე შესაძლოა მისი ანტიკური ლიტერატურული ტრადიციიდან განცალკევებით განხილვა). აღნიშნულ პასაჟში, ისევე, როგორც არაერთხელ „კაცია-ადამიანის“ სხვა ნაწილებში, ილია დეგრადირებული, ფუნქციადაკარგული თავადაზნაურობის სოციალური ფენის აღწერის დროს, არაერთხელ აჩვენებს, თუ რამდენად დაბალია მათი განათლების ხარისხი, რამდენად დაკარგული აქვთ სოციალური და საზოგადოებრივი ფუნქცია და რამდენად პრიმიტიულად და დამახინჯებულად მსჯელობენ სხვადასხვა პოლიტიკურ, საზოგადოებრივ და სოციალურ საკითხზე. ამ შემთხვევაშიც ჩვენ ვხედავთ, რომ სახარების ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი და განხილვადი პასაჟი პერსონაჟების მიერ ინტერპრეტირებულია აბსოლუტურად დამახინჯებით, მხოლოდ მათი ხედვებისა და ინტერესების შესაბამისად.

ამრიგად, ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში ანტიკურობასთან დაკავშირებული მასალა, მართალია, შედარებით მცირე რაოდენობით, მაგრამ ყოველთვის გარკვეული ფუნქციური დატვირთვით გვხვდება – ერთგან მას ირონიულ-პაროდიული კონტექსტი აქვს („ლოთის რჩევა“), ზოგგან – ლეგენდისა და თქმულების ნაწილს წარმოადგენს („აჩრდილი“, „ბაზალეთის ტბა“). ერთ შემთხვევაში პოეტი ესოპოსის იგავს საკუთარი მსჯელობის გასამყარებლად იყენებს („ჩემი თარიარალი (მიბაძვა ალ. ჭავჭავაძისადმი)“).

ანტიკურობასთან დაკავშირებული მასალა ილია ჭავჭავაძეს ყოველთვის დაკავშირებული აქვს ნაწარმოების ძირითად სათქმელთან და ეროვნულ, პატრიოტულ იდეასთან, რომელიც, როგორც საყოველთაოდ ცნობილია, მისი შემოქმედების მაგისტრალურ ხაზს წარმოადგენს.

ანტიკურობა აკაკი წერეთლის თხზულებებში საკმაოდ მრავალმხრივ არის წარმოდგენილი, რასაც ქვემოთ ჟანრობრივი და თემატური პრინციპით წარმოვადგენთ და გავაანალიზებთ.

ლირიკა

1860 წელს ჟურნალ „ცისკარში“ დაიბეჭდა უსათაურო ლექსი („ქართულზედ რომ ხელს იღებენ“), რომელშიც აკაკი დედა ენის უგულვებელმყოფელ, რუსეთუმე ქართველებს აკრიტიკებს და წერს:

„ეს გახლავან ჭრელადენი,
საქართველოს ფუჭნი ძენი,
უსწავლელნი სწავლულები
კოტრი-კრეზნდი, სულელ-ბრძენნი“.⁵⁴³

პოეტი აქ ახსენებს კროისოსს, ლიდიის უკანასკნელ, სიმდიდრით ცნობილ ძვ.წ. VI საუკუნის მმართველს, რომელმაც გამოუშვა მიმოქცევაში პირველი ოქროს მონეტა. ჰეროდოტესთან დაცულია ცნობა სოლონისა და კროისოსის შეხვედრის შესახებ, რომელმაც ბერძენს საკუთარი ურიცხვი სიმდიდრე დაათვალიერებინა (Hdt.1.29.1). „კრეზი“ აკაკისთვის მდიდარი კაცის მეტაფორაა, ხოლო „კოტრი-კრეზი“ ნიშნავს გაკოტრებულ მდიდარს, რაც კროისოსის სიცოცხლის ბოლო წლების შესახებ ცნობებსაც შეესაბამება – კროისოსს მოუკლეს ვაჟი, ცოლმა თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე, კროისოსის სამეფო დაიპყრო კიროსმა და ლიდიის უმდიდრესი მეფე მეფე სპარსელებმა ტყვედ ჩაიგდეს.⁵⁴⁴

ლექსში „ენების გასამართლება“ აკაკი კვლავ გაკოტრებული კრეზის თემას უბრუნდება და წერს:

„ვაი, გავკოტრდი, კრეზივით
მე ერთ დღეს გამდიდრებული!“⁵⁴⁵

⁵⁴³ აკ. წერეთელი. რჩეული ნაწარმოებები 5 ტომად. ტ. 1. ლექსები. შემდგ.: გ. გვერდწითელი, ე. კვიტაიშვილი. თბილისი, 1988, გვ. 61.

⁵⁴⁴ Stories of Croesus, Cyrus and Babylon from Herodotus. By the Rev. A. J. Church. New York, 1893, გვ. 22 და შმდგ.

⁵⁴⁵ აკ. წერეთელი. რჩეული ნაწარმოებები 5 ტომად. ტ. 1. ლექსები. შემდგ.: გ. გვერდწითელი, ე. კვიტაიშვილი. თბილისი, 1988, გვ. 153.

კვლავ მდიდარი კაცის მნიშვნელობით ჩნდება კროისოსი თხზულებაში „გორგასლანი“, სადაც კვითხულობთ:

„სიმდიდრე აქვს მთელი ქვეყნის

თვით კრეზუსედაც მდიდარია“.⁵⁴⁶

ლექსში „ახალი პოეტების მიბაძვა“, რომელსაც სატირულ-იუმორისტული ხასიათისაა, აკაკი კიდეც ერთ საყოველთაოდ დამკვიდრებულ სიმბოლოს იყენებს (პლატონი, როგორც სრულყოფილი ბრძენი). ერთგან პოეტი ჩაფიქრებულ ვირს, რომელიც „ჩეროში გამდგარა“ „სიბრძნითა სრულ“ პლატონს ადარებს:

„ყურგრძელი ვირი თავდაქინდრული

აგერ ჩეროში გამდგარა განზედ,

როგორც პლატონი, სიბრძნითა სრული,

ჰფიქრობს რაღაცა მაღალ საგანზედ.“⁵⁴⁷

სატირულ ლექსში „გამოცანა“ (ვუძღვნი ჩემს მოგვარეს) აკაკი წერეთელი სასტიკად აკრიტიკებს და დასცინის თავის მოგვარე რუსეთუმე ქართველ მაღალჩინოსანს და მიუთითებს, რომ იგი ტროას ცნობილი გმირის სეხნიაა:

„და ტროადელის გმირისა ვის ჰქვიან სახელი?“

ენა გესლით ვის უყვარს და გულში უძევს გველი?

ახალგაზრდა ქართველების ვინ არს შურით მკვლელი?

ამათ ახსნას გამოცნობით მკითხველისგან ველი!“⁵⁴⁸

სამართლიანად შენიშნულია, რომ „ტროელ გმირში იგულისხმება ძველი ბერძნული მითოსური პერსონაჟი, პილოსის მეფე ნესტორი, რომლის მქვერმეტყველებამაც დიდი როლი ითამაშა ტროელებზე ბერძნების გამარჯვებაში, ის პიროვნება კი, ვისაც ამ გმირის სახელი ერქვა, იყო ნესტორ წერეთელი“.⁵⁴⁹ ნესტორ წერეთელი იყო ქუთაისის თვადანაურობის მარშალი და გავლენიანი თავადი, რომელთანაც პოეტს, პეტერბურგიდან გამოყოლილი რადიკალური იდეების გავლენით, დამაბული ურთიერთობა ჰქონდა.⁵⁵⁰

⁵⁴⁶ აკ. წერეთელი. რჩეული ნაწარმოებები 5 ტომად. ტ. 2. პოემები. დრამატული ნაწერები ლექსებად. შემდგ.: გ. გვერდწითელი, ე. კვიტაიშვილი. თბილისი, 1989, გვ. 214.

⁵⁴⁷ აკ. წერეთელი. რჩეული ნაწარმოებები 5 ტომად. ტ. 1. ლექსები. შემდგ.: გ. გვერდწითელი, ე. კვიტაიშვილი. თბილისი, 1988, გვ. 95.

⁵⁴⁸ აკ. წერეთელი, რჩეული ნაწარმოებები 5 ტომად. ტ. 1. ლექსები. შემდგ.: გ. გვერდწითელი, ე. კვიტაიშვილი. თბილისი, 1988, გვ. 90.

⁵⁴⁹ მ. ნინიძე. რეალური კომენტარი თანამედროვე აკადემიურ გამოცემაში (გრიგოლ ორბელიანის ეპისტოლური მემკვიდრეობისა და აკაკი წერეთლის პოეზიის მაგალითზე). ხელმისაწვდომია ონლაინ: http://textologi.blogspot.com/p/blog-page_8360.html ბოლო ნახვა: 16.10.2023.

⁵⁵⁰ ზ. აზზიანიძე. აკაკი. აკაკი წერეთელი 170, საიუბილეო კრებული. თბილისი, 2011, გვ. 14.

აშკარაა, რომ პოეტი აქ ირონიულად ხაზს უსვამს თავად წერეთლის სახელის და თავად ნესტორ პოლოსელის ღირსებების სრულ ანტაგონიზმს მარშლის პიროვნულ თვისებებთან, რომელიც არც სიბრძნით, არც მჭევრმეტყველებით და არც ავტორიტეტით არ გამოირჩევა.

ლექსში „ხარაბუზა ღენერალს“, სადაც აკაკი წერეთელი „მამათა“ ბანაკის კიდევ ერთ თვალსაჩინო წარმომადგენელს, პოეტ გრიგოლ ორბელიანს დასცინის, პოეტი ლექსის რეფრენად იყენებს :

„გაგფრენია შენი მუზა
ბზზუ, ბზზუ, ბუზა-ბუზა! [...]
რად გაჰკიცხე შენი მუზა?
ბზზუ, ბზზუ, ბუზა-ბუზა! [...]

აღარა გყავს შენი მუზა
ბზზუ, ბზზუ, ბუზა-ბუზა! [...]

რად დაჰკარგე შენი მუზა
ბზზუ, ბზზუ, ბუზა-ბუზა! [...]

დაგიკარგეს შენი მუზა
ბზზუ, ბზზუ, ბუზა-ბუზა! [...]

დაიკარგა შენი მუზა
ბზზუ, ბზზუ, ბუზა-ბუზა! [...]

დაიბრუნე შენი მუზა
ბზზუ, ბზზუ, ბუზა-ბუზა! [...]⁵⁵¹

„მუზისა“ და „ბუზას“ გარითმევით, როგორც ჩანს, აკაკი არა მხოლოდ მჟღერი რითმის მიღებას ცდილობს, არამედ იმის ხაზგასმასაც, რომ გრიგოლ ორბელიანის პოეზიის შთამაგონებელი არა პარნასოსიდან მოფრენილი ღვთაებრივი მუზაა, არამედ ნეხვით მკვებავი ხოჭო – ხარაბუზა.

⁵⁵¹ აკ. წერეთელი. რჩეული ნაწარმოებები 5 ტომად. ტ. 1. ლექსები. შემდგ.: გ. გვერდწითელი, ე. კვიტაიშვილი. თბილისი, 1988, გვ.123-126.

ლექსში „ქართული „ან-ბანი“, სადაც აკაკი წერეთელი ყმაწვილებს ქართული ანბანის შესწავლის აუცილებლობას შთააგონებს და ზნეობრივ რჩევებს აძლევს, პოეტი წერს:

„ვით დიოგენი, კეთილ კაცს
ემებდე, გეპყრას ფანარი,
რა ნახო, დაემძობილე“.⁵⁵²

აქ აკაკი, ახალგაზრდებს შეახსენებს ფილოსოფოს დიოგენე სინოპელის შესახებ, რომელიც ცნობილი იყო თავისი უცნაურობებით, რამაც მის შესახებ არაერთი ანექდოტის შექმნას დაუდო სათავე. სიღარიბის სიქველედ შემრაცხავი კინიკოსი ფილოსოფოსი მაწანწალა ცხოვრებას ამჯობინებდა და ღამეს ბაზრის მოედანზე დიდ პითოსში თუ ცარიელ კასრში ათევდა.⁵⁵³

ცნობილია, რომ დიოგენე დღისით ანთებული ფარნით დადიოდა ათენის ქუჩებში და გამვლელთა შეკითხვაზე, ეს რას ნიშნავსო, პასუხობდა – (პატიოსან) ადამიანს ვეძებო (Plut. Alex. XIV. 1-5).

ლექსში „გაზაფხული“ პოეტი ერის სულიერი გამოღვიძების აუცილებლობაზე მიანიშნებს და წერს:

„სანამ ძველი პრომეთეს,
ქართველების ამირანი
მიჯაჭვული მეგულება
ვერ გამსჭვალავს სხვა საგანი.
და როდესაც თავს აიშვებს
ჭირნახული გმირთა-გმირი
ჩემთვის მაშინ ვარდის-ფერად
აყვავდება ქვეყნის პირი“.⁵⁵⁴

საინტერესოა, რომ, როგორც ჩანს, აკაკისთვის პრომეთე და ამირანი ერთმანეთთან სრულად გაიგივებულია, რაც კარგად ჩანს აკაკის ლექსში „ამირანი“, სადაც იგი წერს:

„კავკასიის ქედზე იყო
ამირანი მიჯაჭვული,
ყვავ-ყორანი ეხვეოდა,
დაფლეთილი ჰქონდა გული.“

⁵⁵² აკ. წერეთელი. რჩეული ნაწარმოებები 5 ტომად. ტ. 1. ლექსები. შემდგ.: გ. გვერდწითელი, ე. კვიტაიშვილი. თბილისი, 1988, გვ. 161.

⁵⁵³ W. Desmond. Cynics. Berkeley, Los Angeles, 2008, გვ. 21.

⁵⁵⁴ აკ. წერეთელი. რჩეული ნაწარმოებები 5 ტომად. ტ. 1. ლექსები. შემდგ.: გ. გვერდწითელი, ე. კვიტაიშვილი. თბილისი, 1988, გვ. 263.

ქვეყნად ცეცხლის მოტანისთვის

გულს ცეცხლი არ ჰნელდებოდა,
და რაღაცა მანქანებით
წყლული ისევ მთელდებოდა.

ჰქონდა ჭირში მოთმინება:

არც ჰკვესოდა, არც ოხვრიდა;
უსამართლო ძლიერებას
მონურად ქედს არ უხრიდა!

ბოლოს მაინც გამარჯვება

დარჩა!.. ყველა გააოცა!.. -
და ის ღვაწლი მაგალითად
მიწის შვილთა მან გადმოსცა.

კავკასიის მაღალ ქედზე

მიჯაჭვული ამირანი
არის მთელი საქართველო
და მტრები კი ყვავ-ყორანი.

მოვა დრო და თავს აიშვებს,

იმ ჯაჭვს გასწყვეტს გმირთა-გმირი!..
სიხარულად შეეცვლება
ამდენი ხნის გასაჭირი!..⁵⁵⁵

როგორც ვხედავთ, აკაკის ამირანი ბერძნული პრომეთესთვის დამახასიათებელი ნიშნებითაა წარმოდგენილი, იგი მიჯაჭვულია კავკასიონის ქედზე და ისჯება „ქვეყნად ცეცხლის მოტანისთვის“, რაც ქართული ამირანის თქმულებითვის სრულიად უცხოა. განსხვავებით ამირანის და პრომეთეს ტრადიციული ნარატივისგან, პრომეთეს არა არწივი, არამედ ყვავ-ყორნები კორტნიან. ნაცვლად ღვიძლისა, ლექსში წარმოდგენილ ამირანს ფრინველები გულს უფლეთენ.

აშკარაა, რომ აკაკი თავისუფლად ექცევა ტრადიციული მითების დეტალებს, რაც დაკავშირებულია ლექსის მთავარი სათქმელის და ძირითადი გზავნილების გადმოცემასთან. როგორც ვხედავთ, ლექსში „ამირანი“ აკაკი განმარტავს „ამირანისა“

⁵⁵⁵ აკ. წერეთელი. რჩეული ნაწარმოებები 5 ტომად. ტ. 1. ლექსები. შემდგ.: გ. გვერდწითელი, ე. კვიტაიშვილი. თბილისი, 1988, გვ. 264.

და „ყვავ-ყორნების“ ალეგორიულ მნიშვნელობას – ამირანი „არის მთელი საქართველო და მტრები კი ყვავ-ყორანი“.

ლექსში „საქართველოს დღევანდელი სახე“ აკაკი კიდეც ერთ ალეგორიას მიმართავს. „რომი“, „რომაელობა“ პოეტისთვის იმპერიულ ძალებს განასახიერებს:

„თუმც კაიაფა და ანნა
ებრაელთ მღველ-მთავარია,
მაგრამ კი რომაელობა
მათშიაც ნახევარია.
ხალხიც შეჰყურებს თავადებს
და მათი მიმდევარია
რომი ხელს უწყობს ცალ-ცალკე,
აბრიყვებს და უხარია“.⁵⁵⁶

აშკარაა, რომ ლექსის მეორე სტროფში „რომი“ რუსეთის იმპერიას მიესადაგება, რომლის პოლიტიკა არის Divide et impera (ლათ. „გათიშე და იბატონე“), რაზე მინიშნებასაც ვხვდებით ფრაზაში „რომი ხელს უწყობს ცალ-ცალკე“.

საინტერესო შედარებას ვხვდებით ლექსში „რამ გამოიწვია „ვეფხისტყაოსანი“, სადაც პოეტი რუსთაველს ჰომეროსს ადარებს:

„თავი ჟმიროსს ამსგავსა
და საქართველოს – ელლადა“.⁵⁵⁷

ილია ჭავჭავაძის მკვლელობასთან დაკავშირებით დაწერილ ლექსში „ილიას მოკვლის გამო“ აკაკი მიმართავს ილია მკვლელს:

„მაგრამ შენ ვინ ხარ? ვინ მოგცა გრძნობა?
ვით ჰეროსტრატემ, დასწვი ტაძარი
და გეგონა, რომ ორივე მხარეს
საშვილიშვილო დაეც თავზარი?“⁵⁵⁸

ჰეროსტრატოსს, რომელსაც აკაკი ლექსში ახსენებს, მიეწერება ძვ.წ. IV საუკუნეში ეფესოში არტემისის ტაძრის დაწვა, რაც მან საკუთარი სახელის უკვდავყოფისთვის ჩაიდინა. მიუხედავად იმისა, რომ მისი ხსენება სიკვდილით ისჯებოდა, რამდენიმე ანტიკურმა წყარომ მისი სახელი მაინც შემოინახა (Paus. 7.7-8).

⁵⁵⁶ აკ. წერეთელი. რჩეული ნაწარმოებები 5 ტომად. ტ. 1. ლექსები. შემდგ.: გ. გვერდწითელი, ე. კვიტაიშვილი. თბილისი, 1988, გვ. 523.

⁵⁵⁷ აკ. წერეთელი. რჩეული ნაწარმოებები 5 ტომად. ტ. 1. ლექსები. შემდგ.: გ. გვერდწითელი, ე. კვიტაიშვილი. თბილისი, 1988, გვ. 580.

⁵⁵⁸ აკ. წერეთელი. რჩეული ნაწარმოებები 5 ტომად. ტ. 1. ლექსები. შემდგ.: გ. გვერდწითელი, ე. კვიტაიშვილი. თბილისი, 1988, გვ. 574.

ჰეროსტრატოსის სახელი პოპულარობისთვის ჩადენილი დანაშაულის ეპონიმად გადაიქცა, ხოლო ტაძრის დაწვა ამ შემთხვევაში ილიას მკვლელობას შეესაბამება.

საინტერესოა აკაკის შემოქმედებაში სიტყვა „ზევსურის“ გამოყენების შემთხვევები. როგორც ეს „აკაკის წერეთლის პოეზიის ლექსიკონიდან“ დასტურდება,⁵⁵⁹ აკაკი ამ სიტყვას საკუთარ შემოქმედებაში მრავალჯერ იყენებს. წარმოვადგენთ კონკრეტულ მაგალითებს:

„საამაქვეყნო ზარია,
საიმქვეყანო ზევსური,
გედო! შევნატრი შენს ჭიკჭიკს,
შენგვარ სიკვდილსაც მეც ვსური!“ („გედი“)⁵⁶⁰

„მოერია გრძნობა მძლერალს,
გულში მადლი ჩაესახა!
ტბილ-ზევსური, მწარე ზარი,
ორივ ერთად შემოსძახა“. („მწუხრი“)⁵⁶¹

„დილ-დილით გასაღვიძებლად
შაშვმა მისტვინოს ზევსური“. („ანდერძი“)⁵⁶²

„ამბობს და ჩანგი სულის ჩამდგმელი
ცა და ქვეყანას ესალბუნება!
ზევსური მისი უტყუარია
და მრავალფერი, ვით თვით ბუნება!“ („მგოსანი (ზოგიერთების საპასუხოდ“)⁵⁶³

„ჩამგონებელო, ზე-აღმგზნებელო,
ქნარ-საზევსურო, უკიდ-უძირო!“ („ქრისტე აღსდგა“)⁵⁶⁴

⁵⁵⁹ თ. სანიკიძე. აკაკი წერეთლის პოეზიის ლექსიკონი. წ. II. თბილისი, 1983, გვ. 391.

⁵⁶⁰ აკ. წერეთელი. რჩეული ნაწარმოებები 5 ტომად. ტ. 1. ლექსები. შემდგ.: გ. გვერდწითელი, ე. კვიტაიშვილი. თბილისი, 1988, გვ. 340.

⁵⁶¹ აკ. წერეთელი. რჩეული ნაწარმოებები 5 ტომად. ტ. 1. ლექსები. შემდგ.: გ. გვერდწითელი, ე. კვიტაიშვილი, თბილისი, 1988, გვ. 400.

⁵⁶² აკ. წერეთელი. რჩეული ნაწარმოებები 5 ტომად. ტ. 1. ლექსები. შემდგ.: გ. გვერდწითელი, ე. კვიტაიშვილი. თბილისი, 1988, გვ. 416.

⁵⁶³ აკ. წერეთელი. თხზულებათა სრული კრებული თხუთმეტ ტომად. ტ. II. თბილისი, 1950. გვ. 415.

⁵⁶⁴ აკ. წერეთელი. რჩეული ნაწარმოებები 5 ტომად. ტ. 1. ლექსები. შემდგ.: გ. გვერდწითელი, ე. კვიტაიშვილი. თბილისი, 1988, გვ. 471.

„ზევსური მისი უტყუარია
და მრავალფერი, ვით თვით ბუნება!..“ („მგოსანი“)⁵⁶⁵

„ჩემი ქნარიც აღმამფრენი
ხან ზარს ამბობს და ხან ზევსურს“. („ბოდვა“)⁵⁶⁶

„და მწარე ზარი ამ ქვეყნის
შევრთო იმ ქვეყნის ზევსურსა“. („ნათელა“)⁵⁶⁷

მ. ლაღანიძის დაკვირვებით, აკაკის ლექსიკაში „ზევსური“ ჩნდება ჩუბინაშვილის ლექსიკონის გამოცემის შემდეგ, სადაც შევიდა შავთელის „აბდულმესიანში“ გამოყენებული ეს ლექსემა, რომლის შესახებაც მითითებულია, რომ სიტყვა რუსულად ნიშნავს „უზენაესს, ღვთაებრივს“ – „высший, божественный“. ლექსიკონში ეს ლექსემა ზედსართავად არის წარმოდგენილი და მკვლევრის აზრით, ეს განმარტება აკაკის „ზევსურის“ შინაარსს სრულად არ ესადაგება.

ამ ტერმინის აკაკის ლექსებში სხვადასხვა კონტექსტში გამოყენების შესწავლის საფუძველზე მკვლევარი თვლის, რომ „ზევსური“, – კონცეპტი, რომელიც ფორმით ზედსართავს ჰგავს, შინაარსით უეჭველად არსებითია, თუნდაც მისი მეწყვილიდან გამომდინარე: ზარი/ზევსური. კონტექსტიდან ჩანს, რომ გედის გალობა („ჭიკჭიკი“, რაც ამ ქვეყნისათვის ზარად აღიქმება (რაკი გედი მიწიერ სოფელს ემშვიდობება), იმ ქვეყნისათვის ზევსურია, ესე იგი, სიხარულის სადიდებელია (რაკი გედი მიღმიერ სოფელს მიესალმება)).⁵⁶⁸

შესაბამისად, მკვლევარი ასკვნის: „შავთელისეული ცნების აკაკისეული წაკითხვა ინტერპრეტაციული შეცდომა იყო თუ ინტიუციური წვდომა, – მაინც, აკაკის „ზევსური“ ქართულ პოეზიაში დარჩა პოეზიის სიკვდილთან თანაზიარობის, ამ სოფლისა და იმ სოფლის საზღვარზე ყოფნის, ამ საზღვრიდან სამყაროს ერთიანობის ხილვისა და მის მიმართ აღვლენილი ღმრთაებრივი სადიდებლის გამოხატულებად“.

⁵⁶⁵ აკ. წერეთელი. რჩეული ნაწარმოებები 5 ტომად. ტ. 1. ლექსები. შემდგ.: გ. გვერდწითელი, ე. კვიტაიშვილი. თბილისი, 1988, გვ. 473.

⁵⁶⁶ აკ. წერეთელი. რჩეული ნაწარმოებები 5 ტომად. ტ. 1. ლექსები. შემდგ.: გ. გვერდწითელი, ე. კვიტაიშვილი. თბილისი, 1988, გვ. 518.

⁵⁶⁷ აკ. წერეთელი. რჩეული ნაწარმოებები 5 ტომად. ტ. 2. პოემები, დრამატული ნაწერები ლექსებად. შემდგ.: გ. გვერდწითელი, ე. კვიტაიშვილი. თბილისი, 1989, გვ. 160.

⁵⁶⁸ მ. ლაღანიძე. „ზევსური“ აკაკის პოეზიაში. სემიოტიკა. №2. 2007. <http://semioticsjournal.wordpress.com/2010/08/05/მერაბ-ლაღანიძე-> ბოლო ნახვა: 17.11.2024.

როგორც არ უნდა იყოს აკაკისთან ლექსების „ზევსურის“ სემანტიკური ველი, აშკარაა, რომ სიტყვა ეტიმოლოგიურად მაინც უკავშირდება ზევსს, ბერძნული პანთეონის მთავარ ღვთაებას, რაც ამ ტერმინის ანტიკურობასთან მიმართებებზე მიუთითებს და ღვთაებრივი, საზეიმო მიძღვნის მნიშვნელობის მატარებელია.

აკაკი წერეთლის შემოქმედებაში საგანგებო ადგილი უჭირავს **არგონავტების მითს**, განსაკუთრებით კი – კოლხეთის ეპიზოდს, რომელსაც მან მიუძღვნა ლექსი „ქუთაისი“ და დრამატული ნაწარმოები ლექსად „მედია“. ლექსში „ქუთაისი“, პოეტი ქალაქის უძველესი წარსულის განდიდებისას ახსნებს მდინარე ფასისს, ოქროს საწმისს, იასონს, არგონავტებსა და მედეას:

„ეგ ფაზისი თავმომწონი,
სახელცვლილი დღეს რიონი,
გულამღვრევით რას ბუტბუტებს,
გადასული დროს მომგონი?
აგონდება ოქროს კრავი,
ვით ქონება რამ უძრავი?
და მრისხანე ზვირთებზედაც
არგო, ფრთხილად მომცურავი?
შიგ იაზონ ელინებით,
ვერ შემრთველი სურვილ-ნებით,
მედეას მომპარავი
მედიასვე მანქანებით?“⁵⁶⁹

საყურადღებოა, რომ ლეგენდარულ „აია-კოლხეთად“ აკაკი წერეთელი ქუთაისს მიიჩნევს, რაც აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკის“ მეოთხე წიგნში ნახსენები „Κυταίδιοι ἦμαρ γαίης“-ს (Ap. Rhod. Argon. IV. 511) ზოგიერთი მკვლევრის მიერ ქუთაისად აღქმას უკავშირდება.⁵⁷⁰ აქვე პოეტი განმარტავს, რომ რადგან მედეას შერთვა იასონმა კოლხეთის მეფის ნება-სურვილით ვერ მოახერხა და ვერც ოქროს საწმისი დაათმოვინა, მან იგი მოიტაცა თავად მედეასვე ხრიკებით, რაც სრულად მიჰყვება არგონავტების მითის ტრადიციულ ვერსიას. ტრადიციული მითისგან გადახვევას ვხედავთ დრამატულ ნაწარმოებში „მედია“, რომელიც აკაკიმ 1897 წლის სექტემბერში, „აკაკის თვითური კრებულის“ II ნომერში გამოაქვეყნა.

ნაწარმოებში მოქმედება ხდება კოლხეთში. არგონავტების მითის მთავარ პერსონაჟთა სახელები აკაკის დრამაში საკმაოდ შეცვლილია (ფრჩხილებში

⁵⁶⁹ აკ. წერეთელი. რჩეული ნაწარმოებები 5 ტომად. ტ. 1. ლექსები. შემდგ.: გ. გვერდწითელი, ე. კვიტაიშვილი. თბილისი, 1988, გვ. 385.

⁵⁷⁰ Apollonius of Rhodes. Argonautica. Book IV. Ed. by Richard Hunter. Cambridge, 2015, გვ. 151.

მითითებულია ტრადიციული სახელები): იათა (აიეტი) – კოლხეთის მამასახლისი, გექადა (იდია) – მისი მეუღლე; მათი შვილები: მედია (მედეა) და იასირი (აფსირტოსი); მედიას ძიძა; თირთა (კირკე) – იათას და; იაზონი; დრამაში ჩნდებიან დამატებითი, არგონავტების მითისთვის უცნობი: ძუძუდა (მედიას დობილი); მოქრი (მოჭიდავე); ქლიბი (მთავარი მჭედელი) და სხვადასხვა დამხმარე პერსონაჟები. დეტალურად გადმოვცემთ ნაწარმოების შინაარსს:

I მოქმედება იწყება რიყრაჟზე მედიას ძიძის მონოლოგით, საიდანაც ვიგებთ, რომ ღამით მიწისძვრა და ჭექა-ქუხილი ყოფილა, რაც, ძიძას აზრით, მიჯაჭვული ამირანის მღელვარებას უკავშირდება. ძიძა ევედრება მზის ღვთაებას, მალე ამოვიდეს და გაანათოს უკუნი. გამოდის თირთა, ამშვიდებს ძიძას და მედიას და ძუძუდას გასაღვიძებლად აგზავნის. თირთას მონათხრობიდან ვიგებთ, რომ ღამით გაისმა მუსიკის ჯადოსნური ჰანგები, რამაც ავდარი დააწყნარა. თირთა ეჭვობს, რომ ეს შეიძლება ყოფილიყო ორთეოსის (ორფეუსი) სიმღერა. ამ დროს ძიძის თანხლებით შემოდიან მედია და ძუძუდა, რომლებსაც ისარ-კაპარჭი აქვთ გადაცმული და ხელში თიხის ჭურჭლები უჭირავთ. მედია უყვება თირთას საკუთარ სიზმარს, სადაც მას გამოეცხადა უცნობი ვაჟი, რომელიც მედიას დაჟინებით უმზერდა და თავისკენ უხმობდა. მედიას სიზმარში თავბრუ დაეხვა და აღელვებულმა გაიღვიძა. თირთა უხსნის მედიას, რომ, შესაძლოა, ეს ვაჟი იყოს ერთ-ერთი საქმრო, რომელიც მედიაზე დასაქორწინებლად იჭიდავებს, თუმცა მედიას მისი არ სჯერა და ვაჟს ღვთაებრივ, ზებუნებრივ არსებად მიიჩნევს. ქალიშვილები სამკურნალო მცენარეების მოსაკრეფად მიდიან. ისმის ხალხის ხმა, რომლებიც ბუნიობის დღესასწაულზე მზის სალოცავში სიმღერით მიემართებიან.

II მოქმედება იწყება იაზონის მონოლოგით, რომელიც განცვიფრებულია „ბარბაროსთა მხარის“ ბუნების მშვენიერებით. მის ფეხებთან დაეცემა ორი ისრით განგმირული უზარმაზარი ორბი. ტყიდან გამოდიან მედია და ძუძუდა. მედია და იაზონი ერთმანეთს მზერას ვერ სწყვეტენ, თუმცა ძუძუდა მედიას ხელს მოავლებს და ტყეში შეიყვანს. იასონი გაოგნებულია მედიას მშვენიერებით და მას ქალღმერთ დიანას ამსგავსებს. იგი გაჰყვება ქალიშვილების კვალს და გამოქვაბულს მიაღებდა. მედია უმხელს ძუძუდას, რომ უცნობი ვაჟი მას სიზმრად ეჩვენა. იაზონი გამოქვაბულში შეიპყრობს მჭედელ ქლიბს და მისი საუბრიდან შეიტყობს, რომ ეს არის იბერიის მხარე კოლხეთი, რომელსაც მართავს იათა, ხოლო მისი ქალიშვილი არის მედია. იასონს სმენია მედიას სილამაზის შესახებ და მან ასევე იცის, რომ მან საქმროდ მხოლოდ უძლეველი გმირი შეეფერება. ქლიბი აუხსნის იაზონს, რომ მედიას შესართავად მან ჭიდაობაში უნდა მოიპოვოს გამარჯვება. ასევე იგი მოუთხრობს იაზონს მიჯაჭვულ ამირანზე, რომლის პალოსაც თავად მჭედელი

ამაგრებს. ამირანი ღმერთებმა ურჩობისთვის დასაჯეს და მიაჯაჭვეს კავკასიონზე, ხოლო შავი ყორანი მას გულ-ღვიძლს უფლეთს. მის ჯაჭვს ფინია ლოკავს და როდესაც ამირანი ჯაჭვის აწყვეტას ლამობს, მჭედლები მის პალოს კვლავ ამაგრებენ. ქლიბი ახსენებს მედიას მამიდა თირთასაც, რომელიც გრძნეულებითაა განთქმული. მჭედელი ასწავლის იაზონს, რომ იქვე მძინარე დედაბერს, მედიას ძიძას ძუძუზე უკბინოს, შვილობილად მოეკიდოს და მისგან შეიტყოს მედიას ამბები. იაზონი ასეც მოიქცევა და ძიძას გაუმხელს, რომ მას სურს იჭიდაოს და მედეას შეეუღლოს. ძიძა აუხსნის იაზონს, რომ ყველა წარუმატებელ ფალავანს, თავის მოკვეთა ელის ქალაქ იაში (აია-კოლხეთი). ძიძა ურჩევს იაზონს, დაუმეგობრდეს უფლისწულ იასირს, მხარზე აკოცოს მას და დახმარება სთხოვოს.

III მოქმედებაში ჩანს უზარმაზარი მუხა „ჰყონდიდი“, სადაც მზის ღვთაების – „შარავანდედის“ საკურთხეველია აღმართული. სამსხვერპლოზე ტყვეა დაბმული. გამოდის მთავარი კაბდელი (ქურუმი), რომელიც არიგებს ქადაგ-მკითხავს, შეძვრეს სამსხვერპლოს საიდუმლო კარში მას მორწმუნეთა გაცურებაში დაეხმაროს. იაზონი ამხელს მას და საიდუმლოს გაუმჟღავნელობის და ქრთამის სანაცვლოდ მას დახმარებას სთხოვს. მთავარი კაბდელი მას დაეთანხმება. იაზონი ტყვესაც გაათავისუფლებს და მის ნაცვლად მიეზმება საკურთხეველთან. ამ დროს შემოდიან ძუძუდა და მედეა, რომელიც მეგობარს უცნობი ვაჟზე საკუთარ სასიყვარულო აზრებს უზიარებს. შემორბის იასირი და მედიას ატყობინებს, რომ დაუძმობილდა ერთ სახელგანთქმულ ბერძენ გმირს, რომელიც აქ მედიას შესართავად ჩამოვიდა. იასირი გაეცნო იაზონის ძმობილებს, რომელთა შორის იყო დიდებული მუსიკოსი. იასირს სურს, რომ თან გაჰყვეს მედიას მათ საოცარ ქვეყანაში. მედიას არ უნდა, რომ იაზონმა თავი გაწიროს მისთვის. იასირი ამშვიდებს, რომ მან გაუმხილა იაზონს უძლეველი მოჭიდავის ამბავი – იგი ქალია და მისი დამარცხება ძუძუზე ხელის მოჭიდებით ადვილად შეიძლება. იასირი ტყეს უბრუნდება და მედია სამსხვერპლოსთან ლოცულობს, რომ ღმერთებმა მას დახმარება აღმოუჩინონ. იასონი გამოდის მედიასთან შესახვედრად.

IV მოქმედებაში სასახლის წინ საჭიდაო მოედანზე შეკრებილ მამასახლისთან, მისი ოჯახის წევრებთან და დიდებულებთან შემოდიან იაზონის მოციქულები და მეფეს ამცნობენ თესალიელი გმირის ჩამობრძანების ამბავს. იათა სიხარულით მიიწვევს იაზონს. მოციქულები ატყობინებენ მამასახლისს, რომ იაზონი აქ აფროდიტესავით მშვენიერი მედიაზე დასაქორწინებლად ჩამოვიდა და მზადაა, რომ იასპარეზოს. გამოდის იაზონი, ესალმება მეფეს. ხალხი აღტაცებულია მისი მშვენიერებით და ყველას, მათ შორის – მოჭიდავე მოქრის იგი ენანება სასიკვდილოდ. იაზონი მოქრის იასირისგან ნასწავლი ხერხით ამარცხებს. იათა

იაზონს გამარჯვებას ულოცავს და მედია მომავალ საქმროს თავზე გვირგვინს ადგამს. იაზონი იათას „ოქროს-მატყლოვან“ ვერძს სთხოვს, რაც კოლხეთსა და ელადას შორის მეგობრობის საწინდარი იქნება. იათა უხსნის იაზონს, რომ ეს არის ლეგენდა, სინამდვილეში ოქროს საწმისი არა „საბერძნეთის ვერძი“, არამედ ცხვრის ტყავით ოქროს ქვიშის შეგროვების კოლხური წესით მოგროვილი ოქროსგან გაკეთებული კერპია, რასაც კოლხები თაყვანს სცემენ. იაზონი სთავაზობს იათას, დაამზადონ ამ ქანდაკების ასლი და მეგობრობის ნიშნად მას გაატანონ ელადაში. იათა უხსნის იაზონს, რომ კერპს ორი კურო და გველეშაპი დარაჯობს. იაზონი მზადაა, რომ შეეხება მათ. იათა ნებას რთავს, ხოლო მედია შეშფოთებულია. შემდეგ სცენაში გეჟადა საყვედურობს იათას, რომ იაზონი სასიკვდილოდ გაწირა. იათა უხსნის გეჟადას, რომ მან კარგად იცის ბერძნების ვერაგობა და ამ საქციელით მან ქვეყანას საფრთხე ააცილა. გარდა ამისა, ელადაში ქალები ქმრებს შინ მძიმე შრომით ჰყავთ დამონებული, რასაც მედია ვერ იგუებს. იათას განზრახული აქვს, თვალის ასახვევად ქორწილისთვის დაიწყოს მზადება და იაზონის უეჭველი სიკვდილის შემდეგ მედეა მცხეთის მამასახლისის ვაჟს მიათხოვოს.

V მოქმედებაში მედია ძიძას ართმევს თირთას მიერ გველების საწინააღმდეგოდ შელოცვილ ჯოხს და თირთას სთხოვს, ასწავლოს ჯადო-შელოცვები, რომ, თირთას რჩევით მცხეთის მამასახლისის ვაჟზე დაქორწინებულმა, უცხო ქვეყანაში სახელი მოიხვეჭოს. თირთა აქებს მედიას გონიერებისთვის და დახმარებას ჰპირდება. მამიდის წასვლის შემდეგ მედია ამხელს საკუთარ გეგმებს – მას სურს დაეხმაროს იაზონს და გაიქცეს სამშობლოდან. მედია და იასირი ეტლით იჩქარიან იაზონთან. სასახლეში შეკრებილ იათას, გეჟადას, თირთეს და კოლხეთის დიდებულებს მაცნე ატყობინებს, რომ იაზონმა ყველა განსაცდელი ადვილად დაძლია. მას ახლდა ორფეუსი, რომელიც ჯადოსნური ჩანგის ჟღერით ყველა მოხიბლა. იაზონმა მოზვრებთან თეთრი ძროხა მიიყვანა და მათ, ვნებით გათანგულებმა, ველარაფერი დაუშავეს, გველეშაპს კი ძილის წამლით გამოტენილი გუდა ესროლა და ძილი მოჰგვარა. იაზონი გაემგზავრა სამშობლოში და ოქროს კრავი და აურაცხელი საუნჯეც თან წაიღო. იათა ხვდება, რომ მას უღალატეს და საიდუმლო მტერს გაუმხილეს. თირთა ამბობს, რომ ეს საიდუმლო მედიამაც იცოდა. აქვე ირკვევა, რომ მედია და იასირიც ბერძენს თან გაჰყვნენ. მდევარი ხელცარიელი ბრუნდება, მოგვიანებით კოლხი ქალიშვილების მონათხრობიდან ირკვევა, რომ აღელვებული ზღვის დასაცხრობად ბერძნებმა იასირი მსხვერპლად შეწირეს. იასირს გვამს საკაციტ შემოასვენებენ. სასოწარკვეთილი გეჟადა და იათა ვაჟს გლოვობენ. ჭკუზე შემცდარი იათა თირთეს ევედრება, გააცოცხლოს მისი ვაჟი და ბერძნებზე შური იძიოს – თავს ქარიშხალი დაატეხოს ისე, რომ მხოლოდ მედია გადარჩეს. თავზარდაცემული

თირთე მსახურებს უბრძანებს მიცვალებულს სათანადო პატივი მიაგონ და იგლოვონ.

აკაკი ნაწარმოების ბოლოს, შენიშვნებში წერს, რომ განზრახული აქვს დაწეროს ტრილოგია: „მედია კოლხიდაში“, „მედია ელლადაში“, და „მედია კოლხეთში დაბრუნებული“.⁵⁷¹ საყურადღებოა, რომ აკაკიმ „მედიას“ დაწერამდე დიდი მოსამზადებელი სამუშაო გასწია. ივანე მაჩაბლისადმი მიწერილ წერილში აკაკი აღნიშნავს: „ოთხი წელიწადი მეტი მარტო მასალების შეკრებასა და შეგროვებას მოვუწდი“.⁵⁷² ნაწარმოების შექმნისთვის მზადება კარგად ჩანს აკაკის უბის ჩანაწერებში, სადაც იგი „მედიასთვის“ საჭირო მასალას ინიშნავდა.⁵⁷³ ამასთან, აკაკისეულ „შენიშვნებში“, რომელიც ნაწარმოებს აქვს დართული, მწერალს არაერთი ანტიკური წყარო აქვს დამოწმებული (პინდაროსი, აპოლონიოს როდოსელი, პლინიუსი, აპიანოსი, ელიანოსი, არიანე და სხვა). მიჩნეულია, რომ აკაკი წერეთელს მასალები ამოკრებილი აქვს „ორფიკული არგონავტიკიდან“, აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკიდან“ და ლატიშევის 1883 წელს გამოსული კრებულიდან. ამ უკანასკნელის გამოყენების დამადასტურებლად მ. ფხაკაძეს მიაჩნია საკუთარ სახელთა რუსული ფორმები და ის ფაქტი, რომ აკაკის „მედიას“ შენიშვნებში მოყვანილი ბერძენი მწერლების თარიღები არ ემთხვევა სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრებულ თარიღებს, თუმცა დასტურდება ლატიშევთან.⁵⁷⁴

საინტერესოა, რომ აკაკი ამ შენიშვნებში გვევლინება არა მხოლოდ როგორც მწერალი და კომენტატორი, არამედ მეცნიერ-მკვლევარი. შენიშვნების შესავალ ნაწილში აკაკი გვიზიარებს საკუთარ შეხედულებას ელინური მითების წარმომავლობასთან დაკავშირებით:

„მაგრამ ჩვენ კი დარწმუნებული ვართ, რომ პირიქით, ბერძნებმა გაიტანეს სხვა ქვეყნებიდან სულ სხვა ხალხების ამბები, შეისისხლხორცეს, თავისებურად გადააკეთეს და ფერცვლილი უკანვე დააბრუნეს“.⁵⁷⁵

ამის ნათელ მაგალითად აკაკის მოჰყავს მითები არგონავტების და პრომეთევის შესახებ, რომლებიც, მწერლის აზრით, არა ბერძნებმა, არამედ ძველმა

⁵⁷¹ აკ. წერეთელი. მედია. „აკაკის თვითი კრებული“. წელიწადი პირველი. № II. სექტემბერი 1897. ტფილისი, 1897, გვ. 109.

⁵⁷² აკ. წერეთელი. ჟურნალი „ქართული მწერლობა“. №2-3. 1926, გვ. 127.

⁵⁷³ ე. ზარდიაშვილი, მ. არველაძე. აკაკი წერეთლის შემოქმედებისა და ბიოგრაფიის უცნობი შტრიხები. საერთაშორისო კონფერენცია „არქივთმცოდნეობა, წყაროთმცოდნეობა – ტენდენციები და გამოწვევები“ 2019. თბილისი, საქართველოს არქივი. თბილისი, 2020, გვ. 93, გვ. 94.

⁵⁷⁴ მ. ფხაკაძე. აკაკი წერეთლის „მედია“. IX საერთაშორისო სიმპოზიუმი „ლიტერატურათმცოდნეობის თანამედროვე პრობლემები. ტრადიცია და თანამედროვე მწერლობა“. ნაწილი II, მასალები. თბილისი, 2015, გვ. 242.

⁵⁷⁵ აკ. წერეთელი. მედია. „აკაკის თვითი კრებული“. წელიწადი პირველი. № II. სექტემბერი 1897. ტფილისი, 1897, გვ. 104.

ქართველებმა შექმნეს, ხოლო ბერძნებმა ეს თქმულებები ისესხეს და თავისებურად გადააკეთეს.⁵⁷⁶ ამის დასასაბუთებლად აკაკის რამდენიმე მაგალითი მოჰყავს, რისი განხილვაც ამჯერად სცილდება ჩვენს საკვლევ თემას. საყურადღებოა, რომ აკაკის სწორედ ამ თვალსაზრისს ეფუძნება „მედიაში“ გეოგრაფიულ და საკუთარ სახელთა ბერძნული მითისგან განსხვავებული ვარიანტებით ჩანაცვლება. აკაკი ბერძნულ „გადაჩქორთულებულ“ სახელებს ქართულ შესატყვისებს უძებნის ქართული ფოლკლორიდან და ტოპონიმიკიდან და მათ ბერძნულის ნაცვლად იყენებს ნაწარმოებში. საყურადღებოა, რომ არგონავტიკის მითის კოლხური ეპიზოდისთვის მეტი ლოკალური შტრიხის შესამატებლად აკაკის ტექსტში რამდენიმე უძველესი ქართული წეს-ჩვეულებებიც ჩაურთავს (შვილად მიღება, დამძობილება, მჭედლობის ხუთშაბათის რიტუალი, მზის თაყვანისცემა, უხსენებლის განდევნა, მიცვალებულების დაკრძალვის წესი და ა.შ.).

აკაკის „მედია“, ანტიკურობის შესწავლის თვალსაზრისით, არაერთი მეცნიერის ყურადღება მიიპყრო. ქ. ნადარეიშვილი სტატიაში „აკაკი წერეთლის პოემა „მედია“ არგონავტიკის მითოსის ქართულ ინტერპრეტაციათა კონტექსტში“ აღნიშნავს, რომ აკაკი წერეთლის ნაწარმოები ერთგვარად მიუყვება „ივერიის ისტორიაში“ თეიმურაზ ბატონიშვილის მიერ მედეას რეაბილიტაციის დაწყებულ ხაზს. „ივერიის ისტორიაში“ მედეა არც საკუთარი შვილებისა თუ ძმის მკვლელობაში, არც თესევსის მოკვდინების მცდელობაში არ იღებს მონაწილეობას.⁵⁷⁷

მართლაც, აკაკის ვერსიაში მედეა ძმის მკვლელი არაა, იგი ბერძნების მიერ მსხვერპლად შეწირულ ძმას თმაგაშლილი დასტირის.⁵⁷⁸

მ. ფხაკაძე სრულიად სამართლიანად შენიშნავს, რომ „მედიაში“ „განსხვავებით თქმულებისაგან, შეცვლილია ცნობილი ოპოზიცია ბერძენი/ზარბაროსი ბარბაროსის სასარგებლოდ“.⁵⁷⁹

„მედიაში“, ქ. ნადარეიშვილის აზრით,⁵⁸⁰ საერთოდ არ ჩანს მითის ტრადიციული ნარატივის მნიშვნელოვანი დეტალი – მედეა იასონს არ ეხმარება ოქროს საწმისის

⁵⁷⁶ აკ. წერეთელი. მედია. „აკაკის თვითი კრებული“. წელიწადი პირველი. № II. სექტემბერი 1897. ტფილისი, 1897, გვ. 104.

⁵⁷⁷ ქ. ნადარეიშვილი. აკაკი წერეთლის პოემა „მედია“ არგონავტიკის მითოსის ქართულ ინტერპრეტაციათა კონტექსტში. ლოგოსი, წელიწადეული ელინოლოგიასა და ელინისტიკაში. 7. 2021, გვ. 81.

⁵⁷⁸ აკ. ურუშაძე. აკაკი და მემკვიდრეობა. საბჭოთა ხელოვნება. № 1. 1962, გვ. 43-48.

⁵⁷⁹ მ. ფხაკაძე. აკაკი წერეთლის „მედია“. IX საერთაშორისო სიმპოზიუმი „ლიტერატურათმცოდნეობის თანამედროვე პრობლემები. ტრადიცია და თანამედროვე მწერლობა“. ნაწილი II, მასალები. თბილისი, 2015, გვ. 240-241.

⁵⁸⁰ K. Nadareishvili. Medea on the Georgian Stage. I International Conference: Theatre and Theatre Studies in the 21th Century, Athens 2005, 26-29 September. Proceedings. Athens, 2010, გვ. 332; ქ. ნადარეიშვილი.

მოპოვებაში, ამას იასონი ორფევესის, თეთრი ძროხის და სამილე საშუალების დახმარებით ახერხებს. ამავე აზრისაა მ. ფხაკაძე.⁵⁸¹ ჩემი აზრით, მედიას მიერ იასონის დახმარება მაინც ჩანს ნაწარმოებში. იაზონის მიერ ხარებისა და გველეშაპის დამარცხების ამბავს ნაწარმოებში „მთხრობელისგან“ (მაცნისგან) ვიგებთ და „მედიაში“, მართლაც, არაფერია ნათქვამი იმაზე, ვინ დაარიგა იაზონი, ასე მოქცეულიყო; თუმცა, საინტერესოდ გვეჩვენება იაზონის მიერ ოქროს საწმისის მოტაცების ეპიზოდამდე საკმაოდ მოცულობითი 2 გამოსვლა, სადაც აღწერილია მედეას მიერ მიძისთვის „გველ-უნასების“ საფრთხოვი შელოცვილი ჯოხის გამოთხოვა,⁵⁸² ასევე თირთესთვის მედიას თხოვნა, რომ მისთვის გველის შელოცვა ესწავლებინა.⁵⁸³ აქვე საყურადღებოდ გვეჩვენება იაზონის მიერ ხარების და გველეშაპის დამარცხების ამბის შეტყობის შემდეგ იათას და თირთეს დიალოგი:

„იათა (სასოწარკვეთილებით)
 ... (თირთას) დაო! შენს გარდა იცოდა ვინმემ
 ჩვენი სასახლის ის...საიდუმლო?
 თირთა
 მხოლოდ მედიამ და სხვამ არავინ,
 ვით მცნება მარტო საუფლისწულო!“⁵⁸⁴

შესაბამისად, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ მედია ეხმარება იაზონს და მას უმხელს როგორც ოქროს ვერძის საიდუმლოს, ისე ხარებისა და გველეშაპისა დამარცხების საშუალებას.

ნაწარმოების ანალიზისას განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს მთავარი პერსონაჟის, მედიას სახის მიმართება ანტიკურ ლიტერატურულ ტრადიციასთან. ამ საკითხზე მკვლევართა შორის არ არის ერთიანი პოზიცია. მაგალითად, გ. ქიქოძის აზრით, მედია „გულუბრყვილო ცქრილა გოგონაა, დანდობილი და თავქარიანი, ის უფრო ახლოს სდგას აპოლონ როდოსელის, ვიდრე ევრიპიდეს მედიასთან. ლეგენდის მიხედვით, მოსალოდნელი იყო, რომ პატრიოტული გრძნობის და სქესობრივი სიყვარულის დაპირისპირება აკაკის მედიას სულში ღრმა ტრაგიკულ კონფლიქტს

აკაკი წერეთლის პოემა „მედია“ არგონავტიკის მითოსის ქართულ ინტერპრეტაციათა კონტექსტში. ლოგოსი, წელიწადი ელინოლოგიასა და ელინისტიკაში. 7. 2021, გვ. 83.

⁵⁸¹ მ. ფხაკაძე. აკაკი წერეთლის „მედია“. IX საერთაშორისო სიმპოზიუმი „ლიტერატურათმცოდნეობის თანამედროვე პრობლემები. ტრადიცია და თანამედროვე მწერლობა“. ნაწილი II, მასალები. თბილისი, 2015, გვ. 242.

⁵⁸² აკ. წერეთელი. მედია. „აკაკის თვითი კრებული“. წელიწადი პირველი. № II. სექტემბერი 1897. ტფილისი, 1897, გვ. 83-85.

⁵⁸³ აკ. წერეთელი. მედია. „აკაკის თვითი კრებული“. წელიწადი პირველი. № II. სექტემბერი 1897. ტფილისი, 1897, გვ. 86-87.

⁵⁸⁴ აკ. წერეთელი. მედია. „აკაკის თვითი კრებული“. წელიწადი პირველი. № II. სექტემბერი 1897. ტფილისი, 1897, გვ. 96-96.

გამოიწვევდა. ეს არ ხდება. მის გულს ადვილად ატყვევებს იაზონი, ...სინდისის უქენჯვენლად ეთხოვება მის მიერ უგუნურად განწირულ სამშობლოს“.⁵⁸⁵

აკაკის მთავარი პერსონაჟის შეფასებისას მ. ფხაკაძე მიიჩნევს, რომ მიუხედავად ყველა იმ განსხვავებისა, რომელიც არსებობს ევრიპიდეს „მედეასა“ და აკაკის „მედიას“ შორის, აკაკიმ „ყველა შემდეგდროინდელ მწერალზე უკეთ გაიგო ევრიპიდეს მედეას სახის პარადიგმატულობის არსი... ემოციისა და რაციოს ჭიდილი და ემოციის დაუძლეველი ძალა“.⁵⁸⁶

არსებობს მედიას ინტერპრეტაციის მესამე ვარიანტიც, რომლის მიხედვითაც, აკაკი წერეთლის მედია, როგორც პერსონაჟი არც ევრიპიდესთან და არც აპოლონიოს როდოსელის პერსონაჟებთან საერთოს ვერ პოულობს.⁵⁸⁷

რაც შეეხება იაზონს, არც აქ შეინიშნება აზრთა ერთიანობა. გ. ქიქოძის აზრით, „აკაკი წერეთლის იაზონი სკეპტიკურად და კრიტიკულად მოაზროვნე პიროვნებაა, ის რელიგიასა და მის მსახურებზე ისეთი ენით ლაპარაკობს, აკაკი წერეთლის პიესა „მედია“ თითქოს ევროპელი განმანათლებლების და რუსი ნიდილისტების სკოლა ჰქონდეს გავლილი“.⁵⁸⁸

საკუთარი შესაძლებლობების კრიტიკულად შეფასების თვალსაზრისით, იაზონი, თ. ღონღაძის აზრით, „ძალიან ჰგავს „არგონავტიკაში“ წარმოდგენილ იასონს, რომელიც ასევე დაექვევებულია და კრიტიკულად უყურებს საკუთარ გმირულ ძალებს“.⁵⁸⁹

რა არის აკაკი წერეთლის მიერ საკუთარი თხზულებისთვის არგონავტების მითის შერჩევის მიზეზი?

ერთი შეხედვით, აკაკი წერეთლის შემოქმედებაში არგონავტების მითის დამუშავების მიზეზები XIX საუკუნეში ეროვნული მოძრაობის ახალი ტალღის აგორებასა და ამ ფონზე საქართველოს უძველესი ისტორიის მიმართ განახლებულ ინტერესს უნდა უკავშირდებოდეს.

ქ. ნადარეიშვილის აზრით, „აკ. წერეთლის მიზანი იყო, ერთი მხრივ, ძველი კოლხეთის კონკრეტულ ისტორიულ-ეთნოგრაფიული სურათის აღდგენა, მეორე მხრივ კი მედეას სრული რეაბილიტაცია. თუმცა უნდა ითქვას, რომ აკაკისეულმა

⁵⁸⁵ გ. ქიქოძე. ქართული ლიტერატურის ისტორია (მე-19 საუკუნე). თბილისი, 1947, გვ. 169.

⁵⁸⁶ მ. ფხაკაძე. აკაკი წერეთლის „მედია“. IX საერთაშორისო სიმპოზიუმში „ლიტერატურათმცოდნეობის თანამედროვე პრობლემები. ტრადიცია და თანამედროვე მწერლობა“. ნაწილი II, მასალები. თბილისი, 2015, გვ. 244.

⁵⁸⁷ თ. ღონღაძე. აკაკი წერეთლის პიესა „მედია“ (ავტორის კონცეფცია/ ანტიკური ლიტერატურის რეცეფცია). ქართველური მემკვიდრეობა. XXVI. 2020, გვ. 256.

⁵⁸⁸ გ. ქიქოძე. ქართული ლიტერატურის ისტორია (მე-19 საუკუნე). თბილისი, 1947, გვ. 255-256.

⁵⁸⁹ თ. ღონღაძე. აკაკი წერეთლის პიესა „მედია“ (ავტორის კონცეფცია/ ანტიკური ლიტერატურის რეცეფცია). ქართველური მემკვიდრეობა. XXVI. 2020, გვ. 255.

მედეას ინტერპრეტაციამ ამ სახის გაფერმკრთალება, ტრაგიკული შინაარსისგან მისი დაცლა გამოიწვია. შედეგად, ევრიპიდესეულ ტრაგიკულობას მოკლებული სახე ვერ გახდა ამ გმირი ქალის მაღალმხატვრული, წარმატებული ლიტერატურული პორტრეტი“.⁵⁹⁰ ამავდროულად, ქ. ნადარეიშვილის აზრით, მისი მედეას, როგორც მხატვრული სახის წარუმატებლობის მიუხედავად, არგონავტიკის მითოსის ინტერპრეტირების მისეული ხაზი ერთობ წარმატებული აღმოჩნდა, რასაც ჩვენ მიერ ზემოთ განხილული ლიტერატურული ნაწარმოებები და სხვადასხვა ჟანრის თეატრალური ნამუშევრები ცხადყოფს“.⁵⁹¹

არსებობს მოსაზრება, რომ აკაკიმ ამ თხზულებით რამდენიმე მნიშვნელოვანი გზავნილი მიაწოდა საზოგადოებას, მათ შორის: „კოლხეთის და იბერიის წარსულ დიდება თავისთავად დადებითად იმოქმედებდა ქართველების ეროვნული თვითშეგნების ამაღლებაზე“⁵⁹²; „უცხო კულტურით მოხიბვლის და სამშობლოს ღალატის მაგალითი“⁵⁹³ (იასირი, მედეა); „ასევე, აკაკი ერთმანეთს უპირისპირებს საბერძნეთს, როგორც აგრესორ ქვეყანას და კოლხეთს, რითაც მკითხველს, რაღა თქმა უნდა, რუსეთ-საქართველოს დაპირისპირება-შედარებას მოაგონებს.“⁵⁹⁴

ვფიქრობ, ეს უკანასკნელი ალეგორიული მინიშნება განსაკუთრებით მტკივნეულად აბრუნებს მკითხველს იმ სასტიკ რეალობაში, რომელშიც აკაკის დროინდელი საქართველო იმყოფებოდა – რუსეთის ოკუპაციის ქვეშ.

ამ ალეგორიული „გასაღებით“ ჭკუაზე შემცდარი მამასახლის იათას სიტყვები საბრძოლო მოწოდების შემცველია:

„ჯერ შური... შური!.. შურის-ძიების
დამაცხრობელი სისხლის წყაროა!..
სიკვდილი ბერძნებს!.. მუსრი საბერძნეთს!..
ხომ გესმის, მზეო, ყოვლად ძლიერო?..
უნდა გავმხნევედე... ვიცოცხლო, გავძლო,

⁵⁹⁰ ქ. ნადარეიშვილი. აკაკი წერეთლის პოემა „მედია“ არგონავტიკის მითოსის ქართულ ინტერპრეტაციათა კონტექსტში. ლოგოსი, წელიწდეული ელინოლოგიასა და ელინისტიკაში. 7. 2021, გვ. 84.

⁵⁹¹ ქ. ნადარეიშვილი. აკაკი წერეთლის პოემა „მედია“ არგონავტიკის მითოსის ქართულ ინტერპრეტაციათა კონტექსტში. ლოგოსი, წელიწდეული ელინოლოგიასა და ელინისტიკაში. 7. 2021, გვ. 94.

⁵⁹² თ. ღონდაძე. აკაკი წერეთლის პიესა „მედია“ (ავტორის კონცეფცია/ ანტიკური ლიტერატურის რეცეფცია). ქართველური მემკვიდრეობა. XXVI. 2020, გვ. 256.

⁵⁹³ თ. ღონდაძე. აკაკი წერეთლის პიესა „მედია“ (ავტორის კონცეფცია/ ანტიკური ლიტერატურის რეცეფცია). ქართველური მემკვიდრეობა. XXVI. 2020, გვ. 258.

⁵⁹⁴ თ. ღონდაძე. აკაკი წერეთლის პიესა „მედია“ (ავტორის კონცეფცია/ ანტიკური ლიტერატურის რეცეფცია). ქართველური მემკვიდრეობა. XXVI. 2020, გვ. 257.

რომ გადვუხადო სამაგიერო!...“⁵⁹⁵

პროზა

1884 წელს დაწერილ იგავ-არაკული შინაარსის მოთხრობაში „**ძალდი და ცხვრები**“, აკაკი შემდეგ ამბავს გადმოგვცემს: ცხვრები შეწუხდნენ მათი მეთვალყურე ძაღლის ყეფით და აიძულეს იგი, ფარას გასცლოდა. გახარებული მგელი თავს დაესხა ცხვრებს და მუსრი გაავლო. შემინებულმა ცხვრებმა ღმერთს შესთხოვეს: „ისევ წაღმა მოგვიბრუნე ჩვენი ბედის ჩარხიო“. ღმერთის სახით აკაკის რომაული პანთეონის მთავარი ღვთაება, იუპიტერი ჰყავს წარმოდგენილი, რომელიც ცხვრებს აუხსნის, სწორედ ძაღლის ყეფა აფრთხოდა მათ მტერს. იგავის მორალის განმცხადებელი თავად იუპიტერია, უზენაესი ღვთაება.

„იუპიტერმა მიუგო: „თქვენ უგუნურებო, თქვენაო! ის ძაღლი იმიტომ კი არ ჰყეფდა, რომ თქვენ შეეწუხებინეთ, არა, იმიტომ არ ისვენებდა, რომ თქვენი მტერი მგელი შეეშინებია და ეგ დღე არ დაგდგომოდათო“.⁵⁹⁶ ბოლოს ცხვრები პატარა ლეკვის ბოძებას სთხოვენ იუპიტერს, რომელიც უპასუხებს:

„თქვენ ისეთის ჯიშისა ხართ, რომ კუდი მოკლე გაქვსთ და რქები დიდო და სანამ მაგ რქებს არ მოიცვლით და ტყავს კუდის რიკამდე არ ჩაგახევენ, ვერც ძაღლს იგუებთ და ვერც კატასო! ბულბულის სტვენით ნადირი ვის მოუგერებიაო? წაბრძანდით და ახლა თქვენს მეღიებს დაეკითხეთო!“⁵⁹⁷

სად უნდა ვეძიოთ აკაკის ამ მოთხრობის სიუჟეტის წყარო? იუპიტერის მოქმედ პირად გამოყვანით აკაკი ერთგვარად მიანიშნებს, რომ მოთხრობა რაღაც ანტიკურ ნარატივს ეფუძნება. ჩვენ შევისწავლეთ ესოპოსის, ფედროსის, ბაბრიოსის, ლა ფონტენის, კრილოვის თხზულებები, რომლებშიც თავმოყრილია ანტიკურობის ყველა ცნობილი იგავი, თუმცა ზუსტად ამ სიუჟეტის მქონე იგავს ვერსად მივაკვლიეთ. აკაკისეული იგავის სიუჟეტი ორიგინალურია, თუმცა აკაკის მოთხრობის ნარატივს წააგავს ესოპოსის იგავი „მგლები და ცხვრები“, სადაც მგლები არწმუნებენ ცხვრებს, რომ განიშორონ ძაღლები, რომლებიც მუდმივად ყეფენ და ხელს უშლიან მათ დამეგობრებას. ცხვრები ძაღლებს გააძევებენ და მათ მგლები თავს დაესხმებიან.

⁵⁹⁵ აკ. წერეთელი. მედია. „აკაკის თვითი კრებული“. წელიწადი პირველი. № II. სექტემბერი 1897. ტფილისი, 1897, გვ. 100.

⁵⁹⁶ ქართული პროზა. წიგნი IX. აკაკი წერეთელი. შემდგ.: გ. გვერდწითელი, ნ. ებრალიძე, რ. თვარაძე, თბილისი, 1985, გვ. 355.

⁵⁹⁷ ქართული პროზა. წიგნი IX. აკაკი წერეთელი. შემდგ.: გ. გვერდწითელი, ნ. ებრალიძე, რ. თვარაძე, თბილისი, 1985, გვ. 355.

როგორც ჩანს, აკაკი, რომელიც, როგორც ეს ზემოთაც ვნახეთ, ანტიკურ მასალას შემოქმედებითად იყენებს, ამ შემთხვევაშიც ანალოგიურად იქცევა. იგი იყენებს ესოპოსის ცნობილ იგავს და მას მოხერხებულად ასხვაფერებს მოთხრობის ძირითადი სათქმელისა და იგავის მორალის შესაბამისად. იგავ-არაკის მორალი ნათელია: საზოგადოების (ცხვრების) დაცვა მტრისგან (მგელი) და გამოფხიზლება შესაძლებელია არა ტკბილი გალობით (ბულბულის სტვენა), არამედ მამხილებელი კრიტიკით (ყეფა), რომელიც უგუნურ ცხვრებს არასასიამოვნოდ ეჩვენებათ და ამის გამო ილუპებიან კიდეც. ეს მორალი სრულად ესადაგება აკაკი წერეთლის ცხოვრებისეულ კრედოს – იყოს „გარემოების საყვირი“, მამხილებელი და საზოგადოების სულიერი გამომფხიზლებელი. რატომ მიმართავს აკაკი ესოპოსის ენას?

საყურადღებოა, რომ საქართველოში ესოპოსის მიმართ ოდითგანვე დიდ ინტერესს ადასტურებს XVIII საუკუნის I ნახევრით დათარიღებული ხელნაწერი, ასევე არსებობს სხვა ხელნაწერებიც, სადაც დაცულია უცნობი ავტორის მიერ ბერძნულიდან თარგმნილი 40 იგავი. შემორჩენილია ასევე ესოპოსის ცხოვრების შესახებ ქართული თარგმანიც, რომელსაც ბერძნული ტექსტის დასადგენად დიდი მნიშვნელობა ენიჭება.⁵⁹⁸

ესოპოსის ეს იგავი აკაკის ქართულადაც შეიძლება წაეკითხა, რადგან ცნობილია, რომ ქართულ ენაზე ესოპოსის 95 იგავის ქართული თარგმანი იტალიურიდან 1859 წელს ვენეციაში დაისტამბა.⁵⁹⁹

ანტიკურობის თემას ეძღვნება 1908 წელს დაწერილი აკაკი წერეთლის კიდეც ერთი მოთხრობა „**ვინ არის აზნაური (ლეგენდა)**“. მოთხრობაში გადმოცემულია ჯერ კიდეც ძველ ქართულ ლიტერატურაში ცნობილი თქმულება ალექსანდრე მაკედონელის ქართლში ლაშქრობის შესახებ, რომელიც სხვადასხვა ავტორთან თავში „ძველი ქართული ლიტერატურა“ (ქვეთავებში „ანტიკურობა „ქართლის ცხოვრებაში“ და „ანტიკურობა ჰაგიოგრაფიაში“) დაწვრილებითაა განხილული.

მოთხრობის მოკლე შინაარსი შემდეგია: ალექსანდრე მაკედონელმა, როდესაც გადაწყვიტა დაეპყრო მთელი აზია, საქართველოზეც გამოილაშქრა. ქართლში მაშინ მეფობა არ იყო და ქვეყანას მცხეთის მამასახლისი მართავდა. მამასახლისმა სტუმართმოყვარედ მიიღო ალექსანდრე, რომელმაც გადაწყვიტა რამდენიმე დღით მეგობრულად სწევოდა მას. ალექსანდრე დაესწრო სასამართლოს, რომელსაც მამასახლისი უძღვებოდა და მოიხიბლა მისი გონივრული გადაწყვეტილებით.

⁵⁹⁸ ვ. ბააკაშვილი. ესოპე. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. ტ. 4. თბილისი, 1979, გვ. 217-218.

⁵⁹⁹ ვ. ბააკაშვილი. ესოპე. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. ტ. 4. თბილისი, 1979, გვ. 217-218.

ალექსანდრე დაინტერესდა ადგილობრივი კანონებით და აღტაცებული დარჩა მათი სამართლიანობით.

„მაკედონელს გაუკვირდა, მოეწონა ეს პასუხი და უთხრა მამასახლისს, როგორც მეგობარს: მე დავტოვებ ნაწილს ჩემი კარისას შენს ქვეყანაში მხედართმთავრის აზონის ზედამხედველობით. მათგან შენი ხალხი ისწავლის სამხედრო წესებს და ისინიც შენს ქვეყანაში ისწავლიან ცხოვრების წეს-წყობილებას. მართლაც, მან დატოვა ჯარის ნაწყვეტი და თვითონ კი გაეშურა ინდოეთისაკენ“.⁶⁰⁰

მოთხრობა სრულდება შემდეგნაირად:

„ზოგი იმ მაკედონელთაგანი დაცოლშვილდნენ“ საქართველოში და დარჩნენ, როგორც მკვიდრები, არაფერ გადასახადს არ იხდიდნენ, თავისუფალნი იყვნენ და ხალხიც საზოგადოდ დიდ პატივს სცემდა. იმათი შთამომავალნი დღესაც არიან და იწოდებიან აზონაურებად, ანუ აზნაურებად“.⁶⁰¹

აკაკი წერეთლის მიერ მოთხრობილი ამ ამბისა და ძველი ქართული ლიტერატურის სხვადასხვა ავტორთან წარმოდგენილი ცნობების ერთმანეთთან შედარებას, აკაკისეული ვერსიაში წარმოდგენილი ნარატივის ქვეტექსტის საკითხებს მიეძღვნა ჩემი სტატია „აზონის ლეგენდის აკაკისეული ინტერპრეტაცია“.⁶⁰² ჩემი დაკვირვებით, აკაკის ვერსიაში ალექსანდრე მაკედონელის ამბავი ლეონტი მროველის ვერსიასთან ახლოს დგას (ორივე შემთხვევაში აზო/აზონი წარმოშობით მაკედონელია), თუმცა სრულიად განსხვავებულია მისი ქმედებები. აკაკისთან ალექსანდრე არაა დამპყრობელი, ის მეგობრულად ეწვევა ქართლს. იგი კეთილგანწყობით ეკიდება ქართლის მცხოვრებლებს და მოხიბლულია მათი ცხოვრების წესითა და სამართლით. რას უნდა ეფუძნებოდეს აკაკის მოთხრობაში ალექსანდრეს შესახებ არსებული ლეგენდის ამგვარი ტრანსფორმაცია? ჩემი დასკვნით, ამის მიზეზი არის აკაკის ფარული სათქმელი, მისი ალეგორიული მინიშნება თანამედროვე საქართველოს ყოფაზე.

ალექსანდრე მაკედონელის ლიტერატურულ პერსონაჟად გადაქცევა აკაკი წერეთლის მოთხრობაში და მისი უაღრესად დადებითი მახასიათებლებით აღჭურვა (ტოლერანტობა სხვა ერების მიმართ, მასპინძლის პატივისცემა, სხვა ხალხების ჩვეულებების პატივისცემა, გულუხვი სამხედრო დახმარების გაწევის მზადყოფნა)

⁶⁰⁰ ქართული პროზა. წიგნი IX. აკაკი წერეთელი. შემდგ.: გ. გვერდწითელი, ნ. ებრალიძე, რ. თვარაძე, თბილისი, 1985, გვ. 533.

⁶⁰¹ ქართული პროზა. წიგნი IX. აკაკი წერეთელი. შემდგ.: გ. გვერდწითელი, ნ. ებრალიძე, რ. თვარაძე, თბილისი, 1985, გვ. 533.

⁶⁰² E. Kobakhidze. Akaki's interpretation of a Legend on Azo/Azon. IX International Symposium. Contemporary Issues of Literary Criticism – “Tradition and Contemporary Literature”. Proceedings. Vol. II. Tbilisi, 2015, გვ. 530-538.

აკაკის აბსოლუტურად ორიგინალური ვარიანტია და მკვეთრად ეწინააღმდეგება ქართულ ლიტერატურულ და ხალხურ ტრადიციას.⁶⁰³ ცხადია, აკაკი, როგორც თავისი დროის ერთ-ერთი ყველაზე განათლებული პიროვნება, შესანიშნავად იცნობდა მრავალ ისტორიულ წყაროს და ნაშრომს ალექსანდრე მაკედონელის შესახებ, მაგრამ ის ფაქტი, რომ იგი ირჩევს და ცვლის ალექსანდრესა და აზოზე ქართულ ლიტერატურულ ტრადიციაში ფართოდ დამუშავებულ სიუჟეტს, ჩემი აზრით, შემთხვევითი არ არის და ავტორის კონკრეტული გზავნილის შემცველია.

ჩემი აზრით, აკაკი წერეთელმა ალექსანდრეს ამბავი ასე ამიტომ წარმოადგინა, რათა ხაზი გაესვა ძველ, ლეგენდარული დროის ქართლსა და მისი თანამედროვე საქართველოს მიმართ დამპყრობელთა კონტრასტული დამოკიდებულებისათვის. ქართული სამეფოს დამოუკიდებლობის დაკარგვა ტრაგედია იყო XIX საუკუნის ქართული საზოგადოებისთვის, რომელიც რუსეთის იმპერიასთან „მეგობრულ“ გაერთიანებას სამშობლოს ისტორიის ტრაგიკულ შემობრუნებად მიიჩნევდა. ამ უკანასკნელ შემთხვევაში, ქართული სახელმწიფოს დრამატული ბედის მთავარი გმირი იყო რუსეთის იმპერატორი ალექსანდრე I „აზიელი ალექსანდრე მაკედონელი“ (რუსმა ისტორიკოსებმა ასე უწოდეს მას მისი სპარსული ლაშქრობის, ნაპოლეონზე გამარჯვებისა და რუსეთის იმპერიის საზღვრების გაფართოების გამო).

ქართლ-კახეთის სამეფოს ანექსია რუსეთის იმპერიის მიერ, შენიღბული სამხედრო დახმარებით და ლეგალიზებული 1812 წლის მანიფესტით, რომელსაც ხელს აწერს ალექსანდრე I, მკვეთრად კონტრასტულია აკაკის მოთხრობის პერსონაჟის, ალექსანდრე მაკედონელის მიერ ქართლის სამხედრო მხარდაჭერის შესახებ უანგარო სურვილთან; ლეგენდაში ადგილობრივი ადათ-წესებისადმი ლოიალური დამოკიდებულება ალექსანდრესა და მისი მეომრების მხრიდან უფრო გამოკვეთს აკაკის დროინდელ საქართველოში რუსების მიერ ქართული ეროვნული ტრადიციებისა და კანონების სრულ უგულებელყოფას

შეიძლება ვივარაუდოთ, რომ აკაკის მოთხრობის მთავარი გმირი, ალექსანდრე მაკედონელი წარმოადგენს ძლიერ ქვეყანასა და სუსტს შორის სამხედრო თანამშრომლობის მოდელს, რომელიც ლეგენდად გამოიყურება აკაკის თანამედროვე ქვეყნისთვის.

⁶⁰³ E. Gogishvili, Alexander of Macedon in Georgian Folktales. Folklore. Vol. 127. 2016, გვ. 196-206.

ცნობილი ქართველი მწერლის ეს ფარული გზავნილი წარმოდგენილია ტრადიციისა და ინოვაციის ოსტატური შერწყმით, რომელიც ალეგორიულად წარმოაჩენს მისი ერისთვის მეტად აქტუალურ და მტკივნეულ პრობლემას.⁶⁰⁴

ამრიგად, აკაკი წერეთლის მიერ ანტიკურობის გამოყენება ხასიათდება მრავალფეროვნებითა და ორიგინალურობით. მართალია, პოეტი ზოგჯერ ეყრდნობა ტრადიციულ, უკვე დამკვიდრებულ სიმბოლოებსა და მეტაფორებს, თუმცა უმეტესად თავისუფლად, შემოქმედებითად ეპყრობა მასალას, საგრძნობლად ცვლის ანტიკური მითების სიუჟეტთა დეტალებს და სიმბოლოთა მნიშვნელობას. ეს უკანასკნელი გამოწვეულია პოეტის სურვილით, მიუსადაგოს ანტიკურობასთან დაკავშირებული თემები და პერსონაჟები საკუთარი თხზულებების მთავარ სათქმელსა და გზავნილებს. ზოგიერთ შემთხვევაში აკაკი ანტიკურობას ოსტატურად იყენებს ალეგორიული მინიშნებებისათვის, რომლებიც ისევ და ისევ საქართველოს მთავარი სატკივრის წარმოჩენას და ეროვნული იდეალების ერთგულებას ემსახურება.

ნიკოლოზ რაზიკაშვილი (ბაჩანა)

(1866-1928)

ეკატერინე კობახიძე

ალ. ხახანაშვილის შეფასებით, „ნ. რაზიკაშვილიც ხალხოსნურს მიმართულებას ადგია, ხალხის ზნეჩვეულების, სიმწარე-სიტკბოების, ფიქრის და სასოების მგალობელია“.⁶⁰⁵ ბაჩანას პოეზიაში სამშობლოს დიდებული წარსულის ამსახველი სიუჟეტები დომინირებს, რაც, პოეტის აზრით, ერთგვარ კომპასად უნდა იქცეს ქვეყნის დამოუკიდებლობისთვის მეზრძოლი ხალხისთვის („დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა“, „მუხავ, მიყვარხარ, ტიალო“, „ნატვრა“. „ვინა სთქვა საქართველოზე“, „გზააზნეული“, „სიმღერა პატიმრისა“). ამავდროულად, განათლებული და წიგნიერების სიყვარულით ცნობილი პოეტი კარგად აცნობიერებს, რომ მისი ქვეყანა მხოლოდ საკუთარი ისტორიული გამოცდილებით არ უნდა

⁶⁰⁴ E. Kobakhidze. Akaki's interpretation of a Legend on Azo/Azon. IX International Symposium. Contemporary Issues of Literary Criticism – “Tradition and Contemporary Literature”. Proceedings. Vol. II. 2015, გვ. 536-537.

⁶⁰⁵ ალ. ხახანაშვილი. ქართველი სიტყვიერების ისტორია (მეცხრამეტე საუკუნე). დ. კარიჭაშვილის რედაქტორობით. ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების გამოცემა № 105. ტფილისი, 1913. გვ. 224.

საზრდოობდეს და თხზულებებში ხშირად მიმართავს მაგალითებს მსოფლიო, მათ შორის ანტიკური ხანის ისტორიიდან და მითოლოგიიდან.

მაგალითად, პატრიოტულ თემაზე დაწერილ ლექსში „ელეგია“ ბაჩანა, მიმოიხილავს რა მისი ქვეყნის დაჩაგრულ ყოფას, პარალელს ავლებს ბერძნული მითოლოგიიდან კარგად ცნობილ სიუჟეტთან კავკასიონზე მიჯაჭვულ პრომეთეზე. საინტერესოა, რომ ლექსის ერთ-ერთ მონაკვეთში პოეტი პრომეთეს მითის ორიგინალურ, ბერძნულისგან განსხვავებულ ვერსიას გვთავაზობს:

„დაე, გვთავაზოს ნაღველი
ხშირად საწუთროს კერამა,
და გული გვიწყლას სევდამა,
როგორც პრომეთეს ძერამა, ...
[...] ბოლმას ნუ შევამჩნევინებთ
ნუ ვის იოტის ტოლასა“.⁶⁰⁶

ამრიგად, პრომეთეს მითისგან განსხვავებით, სადაც კავკასიონზე მიჯაჭვულ ტიტანს ოლიმპოს მბრძანებლის მიერ გამოგზავნილი არწივი ღვიძლს უკორტნის, „ელეგიაში“ პრომეთეს ძერა გულს უფლეთს. ბერძნული მითისთვის ეს დეტალები უცნობია. ვფიქრობ, აქ მარტივ შეცდომასთან არ უნდა გვქონდეს საქმე და ამ „შეცდომას“ გარკვეული ახსნა მოეპოვება. კერძოდ, ყაბარდოული ერთი თქმულების მიხედვით, დიდი ხნის წინ ერთმა ცალთვალა ბუმბერაზმა ასვლა გაბედა იალბუზის (ოშხა-მახოს) მწვერვალზე, თჳსას [ადილეურ-ყაბარდოული წარმართული პანთეონის მთავარი ღვთაება – ე.კ.]⁶⁰⁷ სამფლობელოში, სადაც ადრე ადამიანს ფეხი არ დაუდგამს და ამისთვის დაისაჯა. თჳამ იგი ჯაჭვით კლდეზე მიაბა, თან ძერა მიუჩინა, რომელიც ყოველდღე გულს უფლეთს ბუმბერაზს და აძლევს უფლებას, იქვე ჩამომავალი უკვდავების წყალი დალიოს.⁶⁰⁸ მეცნიერთა აზრით, ადილეურ-ყაბარდოული გადმოცემების მიჯაჭვული ბუმბერაზი არის იგივე ქართული ცნობილი თქმულების გმირი ამირანი. მკვლევართა დაკვირვებით, კავკასიის მთიანეთში გავრცელებული ქართული ვერსიის გარკვეული ტრანსფორმაცია მოხდა მათათა ხელშეუხებლობის რწმენაზე დაფუძნებით და ადგილობრივ სინამდვილეს დაუკავშირდა.⁶⁰⁹

⁶⁰⁶ ბაჩანა. მუხავ, მიყვარხარ ტიალო. იხ. ბაჩანა. ლექსები, პოემები. შემდგ.: ი. ქართველიშვილი. თბილისი, 1988, გვ. 56.

⁶⁰⁷ კ. ოკუჯავა. შავიზღვისპირა ადიღების წარმართობა. თბილისი, 2005, გვ. 20.

⁶⁰⁸ Л. Лопатинский. Кабардинские предания, сказания и сказки, записанные на русском. Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа. В. XII. Тифлиси. 1891. გვ. 38.

⁶⁰⁹ მ. ჩიქოვანი. ქართული ეპოსი. წიგნი 2. თბილისი, 1965, გვ. 182.

თანახმად პოეტის ბიოგრაფიული ცნობებისა, ბაჩანა წლების მანძილზე კრებდა მთაში გავრცელებულ ზეპირსიტყვიერების ნიმუშებს.⁶¹⁰ შესაბამისად, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ამირანის მითის ეს ვარიანტი XIX საუკუნის მიწურულს საქართველოს მთიანეთშიც იყო გავრცელებული, რაც პოეტმა „ელეგიაში“ გამოიყენა.

ამგვარად, ბაჩანას მიერ მოხმობილი მითის ვერსია პრომეთეს შესახებ ბერძნული და ქართული მითების საინტერესო სინთეზს გვთავაზობს. რატომ მიმართავს პოეტი პრომეთეს მითის და ლოკალური თქმულების ორიგინალურ კომბინაციას? ვფიქრობ, ამას პოეტის ალეგორიული სათქმელი განაპირობებს. პრომეთეს მითი „მორგებულა“ ადგილობრივ თქმულებაზე იმის წარმოსაჩენად, რომ ის, რაც საქართველოში ხდება, არც სხვა ქვეყნებისთვის იყო უცხო და ქართველებმა ოპტიმიზმი და ჩვეული საბრძოლო შემართება არ უნდა დაივიწყონ („ბოდმას ნუ შევამჩნევინებთ / ნუ ვის იოტის ტოლას“). პოეტის ოპტიმიზმს დამატებით ასაზრდოებს ის ფაქტი, რომ მიჯაჭვული პრომეთეს ჰერაკლეს მიერ გათავისუფლების ამბავი კარგადაა ცნობილი, რაც ლექსში სწორედ ბერძნული მითის ხსენების დამატებით არგუმენტად, ოპტიმისტური ფინალის საფუძვლად შეიძლება მოგვეჩვენოს.

მინდა გამოვთქვა ფრთხილი ვარაუდი, რომ ბაჩანას ამ ლექსში პრომეთეს ხსენება არა მხოლოდ მითის შინაარსით, არამედ კონკრეტული ისტორიული ფაქტებითაც იყო ინსპირირებული. როგორც ცნობილია, 1821-1829 წლების ბერძენთა განმათავისუფლებელ ომს საბერძნეთის დამოუკიდებლობა მოჰყვა, თუმცა კრეტა კვლავ თურქეთს რჩებოდა. აჯანყებების რამდენიმე წარუმატებელი მცდელობის შემდეგ (1866-1869 წლებში და 1878 წელს) 1896-1897 წელს კრეტაზე დაწყებული აჯანყებით კუნძულმა ავტონომია დაიბრუნა, ხოლო 1908 წელს საბერძნეთთან მიერთება გამოაცხადა.⁶¹¹ ცნობილია, რომ ამ პროცესებმა XIX საუკუნის II ნახევარში ქართველ პატრიოტებში დიდი გამოცოცხლება გამოიწვია. ილია ჭავჭავაძემ 1897 წელს ამ თემაზე „ივერიაში“ ორი წერილი გამოაქვეყნა (10 თებერვალს (#22) და 13 მარტს (#48).

ამასთან, პეტერბურგის ქართველმა სტუდენტობამ 1897 წელს მხარდაჭერის დეპეშაც კი გაუგზავნა ათენელ სტუდენტებს.⁶¹² შესაბამისად, შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ კრეტაზე მიმდინარე მოვლენებმა პოეტს საქართველოს

⁶¹⁰ ს. ხუციშვილი. ბაჩანა. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. ტ. 2. თბილისი, 1977, გვ. 252; ზ. ბაბუნაშვილი, თ. ნოზაძე. მამულიშვილთა სავანე. თბილისი, 1994, გვ. 79.

⁶¹¹ R. Holland and D. Markides. The British and the Hellenes: Struggles For Mastery in the Eastern Mediterranean, 1850-1960. New York, 2006, გვ. 92.

⁶¹² მ. აბულაშვილი, ე. ჭყოიძე. მეტყველი მარმარილოები, ეპიზოდები ქართულ-ბერძნული ურთიერთობის ისტორიიდან, XIX-XX საუკუნეები. ესეების კრებული. თბილისი, 2021, გვ. 67-70.

დამოუკიდებლობის იმედი გაუღვიძა, რაც ალეგორიულად პრომეთეს მითის ქართული ინტერპრეტაციით და ოპტიმიზმისკენ მოწოდებით გამოხატა.

საყურადღებოა, რომ ანალოგიური სულისკვეთებით გამოირჩევა ბაჩანას ანტიკურობის თემაზე შექმნილი კიდევ ერთ ლექსი „**მონოლოგი ლეონიდესი თერმოპილეს**“, რომელიც 1887 წელს დაიწერა და 1890 წელს დაიბეჭდა გაზეთ „ივერიის“ 27 ნოემბრის N 252 ნომერში სათაურით „ლეონიდი თერმოპილეს“.⁶¹³

ლექსი ბერძენ-სპარსელთა ომის დროს თერმოპილესთან მეფე ლეონიდასის მეთაურობით 300 სპარტელის ლეგენდარულ გმირობის ამსახველ ეპიზოდს უკავშირდება. პოეტი გადმოსცემს ლეონიდასის სიტყვას, რომლის შესახებ ანტიკურ წყაროებში არაფერია ცნობილი. ეს არის ავტორის ფანტაზიით შექმნილი თხზულება, სადაც ბაჩანა საბერძნეთის ისტორიისა და მითების ღრმა ცოდნას ამჟღავნებს. ლექსის დეტალური ანალიზისთვის მის ტექსტს სრულად წარმოვადგენ:

„მაშ დაბუნდოვდეს დიდი ათინა,
მასთან ძმა მისი სპარტა – ლომთ ბუდე;
ნუღარ გვწყალობდენ დიდი ღმერთები,
ნუღარ გვფარავდეს მათი სიმშვიდე.
იქცეს სამყარო, ჩავარდეს მთვარე,
შუქი მიეღოს მზეს და ვარსკვლავთა;
„მას შემდეგ კარგი ნუღარა ჰნახონ
დეკალიონის შთამომავალთა.
რაკი სიმრავლეს შეუშინდებით,
ანუ სიმჭრელეს ვისმე ხმლისასა;
როცა სიცოცხლივ ერთ მუჭას მივცემთ
მტერ-დუმმანს ჩვენს მიწა-წყლისასა.
ან – კი რად გვინდა მაშინ სიცოცხლე;
„არ გვირჩევნია სულ ერთ დღეს გავწყდეთ,
მინამ ბრძოლიდან გაქცეულები
ლაკედემონში უსირცხვოდ გავჩნდეთ?“
აბჯარი მივცეთ? იგივ არ არის?
ეგ კიდევ უფრო უარესია;
არა მანამდის ორი სიკვდილი.
ესევე ერთი უმჯობესია.
დაგვხოცენ, მაგრამ გმირთ სახელებსა

⁶¹³ ბაჩანა. მუხავ, მიყვარხარ ტიალო. იხ. ბაჩანა. ლექსები, პოემები. შემდგ.: ი. ქართველიშვილი. თბილისი, 1988, გვ. 40-42.

შესამუსრავად ვერ მისწვდებიან;
 იქნება ჟამი ოლიმპოზაზეც
 კვლავაც ბერძნები შეიყრებიან
 კვალად გაისმის რაფსოდის ჩანგი
 ქებით გმირები ახსენდებიან.
 გრძნობით ნამღერი იმათი ლექსი
 გულს აუბორგებს ყველა მსმენლებსა;
 მათ მოგონებით თანაგრძნობისას
 დააბნევენებს მწარეს ცრემლებსა,
 და კეკლუცს თითებს უჭკნობ დაფნებით
 შეამკობინებს იმათ ძეგლებსა!
 „თუ წინათ ერთმა მანდილოსანმა
 ლაშქრად აქცია მთელი ელლადა
 და ათასამდის მარტო გმირები
 გამოიყენა უკან მცველადა,
 ნუ თუ ეხლა-კი აღარვინა ვართ,
 რომ გამოვიდეთ ქვეყნის მხსნელადა
 და არ გადავდვით ამისთვის თავი
 თუნდა კოცონზედ დასაწველადა?!
 ოხ, ქსანტავ, ქსანტავ! შენი შვილები
 მუდამ თვალის წინ მეხატებიან;
 ვაჟკაცს მევესება ცრემლით თვალები,
 როცა ისინი მაგონდებიან:
 აღვსილნი მართლის გულით წყრომისა
 მტრისგან დამცრობას ვერ ჰრიგდებიან;
 ცოლ-შვილს, ქონებას ცეცხლშია ჰბუგვენ,
 თავადაც ცეცხლში იღუპებიან!
 მეც კარგა ვუწყი ხვალის ფობოსი
 არ გაბრწყინდება სინათლისათვის;
 არც ერთი მუჭა თავდადებულთა
 გახდება რამე მტარვალისათვის;
 მაგრამ გაიგონ, რომ ჩვენაც ვიცით
 ზოგჯერ სიკვდილი მამულისათვის!
 შენც წადი მგზავრო, სპარტას აუწყე:
 „არვინ დარჩაო მანდ წამომსვლელი;

ყველა ამს იქმს, ვისაც რომ უყვარს,
ან შენ ან თავის სახსენებელი!“

ლექსში ანტიკურობასთან დაკავშირებით არაერთი საყურადღებო მონაკვეთი დასტურდება. მათი მნიშვნელობიდან გამომდინარე მათ დეტალურად განვიხილავ.

პოეტი ახსენებს დევკალიონის მითს:

„მას შემდეგ კარგი ნულარა ჰნახონ

დევკალიონის შთამომავალთა“.

„დევკალიონის შთამომავალთა“ ხსენებით ირკვევა, რომ პოეტმა არა მხოლოდ ის იცის, რომ ღმერთების მიერ ადამიანებისთვის მოვლენილ წარღვნას გადაურჩა მხოლოდ დევკალიონი და მისი მეუღლე პირა, არამედ ამ მითის დეტალების შესახებაც აქვს ამომწურავი ინფორმაცია. ბერძნული მითის მიხედვით, დევკალიონის მიერ ზურგსუკან ნასროლი ქვებისგან წარმოიშვნენ მამაკაცები, მაშინ როდესაც პირას მიერ ნასროლი ქვებისგან – ქალები. შესაბამისად, სპარტელი მეომრები სწორედ დევკალიონის და არა პირას შთამომავლები შეიძლება იყვნენ, რასაც პოეტი ლექსში მართებულად აღნიშნავს.

პოეტი ახსენებს ოლიმპიურ თამაშებს:

„იქნება ჟამი **ოლიმპოზაზეც**

კვლავაც ბერძნები შეიყრებიან

კვალად გაისმის რაფსოდის ჩანგი

ქებით გმირები ახსენდებიან“.

ვფიქრობ, ოლიმპიური თამაშების („ოლომპოზა“) ხსენება ლეონიდასის მიერ თერმოპილეს ბრძოლის წინ შემთხვევითი არ უნდა იყოს. სავარაუდოდ, პოეტისთვის ცნობილი იყო, რომ თერმოპილეს ბრძოლა ნაწილობრივ დაემთხვა ოლიმპიურ თამაშებს, რაც ჰეროდოტეს „ისტორიაშია“ მოთხრობილი (Hdt.VII.206; VIII.26).

ლექსში ნახსენებია ტროას ომის ამბავი:

„თუ წინათ **ერთმა მანდილოსანმა**

ლაშქრად აქცია მთელი ელლადა

და ათასამდის მარტო გმირები

გამოიყენა უკან მცველად“.

„ერთი მანდილოსანი“, რომელსაც ლეონიდასი ახსენებს, არის ტროელი უფლისწულის მიერ გატაცებული სპარტის მეფის, მენელაოსის, მეუღლე – მშვენიერე ელენე (სხვა ვერსიით, შეყვარებული ელენე თავად გაჰყვა მეფისწულს), რომლის დასაცავადაც ათასობით გმირი მთელი ელადიდან ტროასთან საბრძოლველად გაემართა. ლოგიკურად გამოიყურება ის ფაქტი, რომ ლეონიდასი ბერძენთა ერთიანობის მაგალითად სწორედ ამ ამბავს მოიყვანს. ელენე ხომ თვითონაც

სპარტელი იყო და ტროელთა წინააღმდეგ დაწყებული ომისთვის ელინები სწორედ სპარტელი დედოფლის გატაცებამ აქ, სპარტაში გააერთიანა.

ლექსში მოთხრობილია ქალაქ ქსანთოსის ტრაგიკული ისტორია:

„ოხ, **ქსანტავ**, ქსანტავ! შენი შვილები

მუდამ თვალის წინ მეხატებიან;

ვაჟკაცს მევსება ცრემლით თვალები,

როცა ისინი მაგონდებიან:

აღვსილნი მართლის გულით წყრომისა

მტრისგან დამცრობას ვერ ჰპრიგდებიან;

ცოლ-შვილს, ქონებას ცეცხლშია ჰბუგვენ,

თავადაც ცეცხლში იღუპებიან!“

ჰეროდოტესთან გადმოცემულია შემდეგი ამბავი ლიკიელთა ქალაქ ქსანთოსის შესახებ (I, 176): „როდესაც ჰარპაგი [კიროსის მხედართმთავარი მიდიელთა შემოსევის დროს ძვ.წ. 546-545 წწ. – ე.კ.] ჯარით მიუახლოვდა ქსანთოსის დაბლობს, მას შეეგებნენ ლიკიელები, რომლებმაც მცირე ძალებით საოცარი მამაცობა გამოავლინეს მრავალთა წინააღმდეგ. მაგრამ დამარცხებულნი და უკუგდებულნი იყვნენ ქალაქში, სადაც მათ აკროპოლისში ერთად შეაგროვეს საკუთარი ცოლები და შვილები, ქონება და მსახურები და შემდეგ ცეცხლი წაუკიდეს აკროპოლისს. მაშინ ერთმანეთს შეჰფიცეს საშინელი ფიცით და ბრძოლის ველს დაუბრუნდნენ, სადაც ყველა მათგანი დაიღუპა“.

სწორედ ეს ცნობილი ამბავია ნახსენები ლეონიდასის მიერ, რაზეც პოეტი ცრემლსაც კი ვერ იკავებს:

„ვაჟკაცს მევსება ცრემლით თვალები,

როცა ისინი მაგონდებიან“.

აქვე საინტერესოა აღინიშნოს, რომ ქსანთოსის მკვიდრებმა მრავალი წლის შემდეგ, კერძოდ ძვ.წ. 42 წელს, როდესაც რომაელები მარკუს იუნიუს ბრუტუსის ხელმძღვანელობით ცდილობდნენ ქალაქის აღებას, გაიმეორეს მათი წინაპრების საქციელი:

„როდესაც დარწმუნდნენ, რომ მათი ძალები ილეოდა და დამარცხება გარდაუვალი იყო, მათ მეორედ გაანადგურეს საკუთარი ქალაქი. ქალებმა ჩირაღდნებით დაიწყეს საკუთარი სახლების დაწვა, რის შემდეგ მათ ქმრები ხოცავდნენ. ამ ამბავმა იმდენად შეძრა ბრუტუსი, რომ მას ცრემლები წასკდა. რომაელებმა მხოლოდ 150 ადამიანის ტყვედ ჩაგდება შეძლეს და გადარჩენილები მამაცობისათვის დააჯილდოვეს“.⁶¹⁴

⁶¹⁴ K. Tempest. Brutus: the noble conspirator. New Haven/London, 2017, გვ. 246-247.

ამრიგად, ლექსი „ლეონიდასი თერმოპილეს“, რომელიც საბერძნეთის ისტორიის ერთ-ერთ ყველაზე გმირულ ეპიზოდს ასახავს, ანტიკურობასთან დაკავშირებული არაერთი დეტალით პოეტი ხაზს უსვამს ნაწარმოების საერთო პათოსს, რომელიც დამპყრობლისათვის სიცოცხლის ფასად წინააღმდეგობის გაწევისკენ მოწოდებას წარმოადგენს. ბრძოლისკენ ასეთი აშკარა მოწოდება, რომელიც გაზეთ „ივერიის“ პირველივე გვერდზეა დაბეჭდილი, ვფიქრობ, იმიტომ დარჩა ცარიზმის ცენზურის ყურადღების მიღმა, რომ აღქმული იყო როგორც საბერძნეთში მიმდინარე მოვლენების გამოძახილი, რომელზეც ზემოთ უკვე გვქონდა მსჯელობა. ცნობილია, რომ რუსეთის იმპერიის პოზიცია საბერძნეთის განმათავისუფლებელი ბრძოლის მიმართ XIX საუკუნის II ნახევარში ეფუძნებოდა ოსმალეთის იმპერიის ყველა ეტაპზე დასუსტებას სრუტეების გაკონტროლებისა და ხმელთაშუა ზღვაზე წვდომის მოპოვების მიზნით, რაც 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომში გადაიზარდა. შესაბამისად, სპარტელი ლეონიდასის შესახებ თხზულება შეიძლება აღქმულიყო როგორც საბერძნეთის გმირული წარსულის ამსახველი და ოსმალეთთან დაპირისპირების ალეგორია, რომლის მიღმაც ბაჩანა დაპყრობილი და დამონებული ქვეყნის შვილების გამოფხიზლებას ლამობს.

„ლექსში მსოფლიო მწუხარებაზე“⁶¹⁵ ბაჩანა ასეთ რიტორიკულ შეკითხვას სვამს:

„ერთნი რონ ითმენენ მას, რაც

არ არის მოსათმენია,

და არცა ჰდრტვინვენ, მაინც რას

ჰფიქრობენ მეორენია?

ამ კითხვაზე პოეტი ანტიკურობის მოშველიებით სცემს პასუხს:

რად ავიწყდებათ, რომ ყველა

არ არის დიოგენია“.

აქ ბაჩანა, ჩემი აზრით, გულისხმობს არა მხოლოდ ცხოვრების წესს ძვ.წ. IV საუკუნის კასრში მცხოვრები კინიკოსი ფილოსოფოსისა, რომლისთვისაც უცხო იყო ყოველგვარი მიწიერი სიამოვნებანი, არამედ მის უკომპრომისო ხასიათს. მაგალითად, ცნობილია ეპიზოდი, რომელიც პლუტარქოსის „პარალელური ბიოგრაფიებშია“ აღწერილი. „ალექსანდრეს ცხოვრების“ ერთ-ერთ მონაკვეთში გადმოცემულია ფილოსოფოს დიოგენესა და ალექსანდრე მაკედონელის შეხვედრის ცნობილი ამბავი. სინოპელი ფილოსოფოსი არაფრად ჩააგდებს მეფის ძლევამოსილებას და სთხოვს, რომ იგი გვერდზე გაიწიოს და მზე არ მოუჩრდილოს (Plut.Alex.14. 2-5).

⁶¹⁵ ბაჩანა. მუხავ, მიყვარხარ ტიალო. იხ. ბაჩანა. ლექსები, პოემები. შემდგ.: ი. ქართველიშვილი. თბილისი, 1988, გვ. 165.

ამრიგად, ბაჩანას პოეზიაში ანტიკურობასთან დაკავშირებული მასალა, რომელიც ძირითადად, მითოლოგიური და ისტორიული ხასათისაა, არ წარმოადგენს ნაწარმოებების ე.წ. ორნამენტულ დეტალებს, არამედ ორგანულად უკავშირდება თხზულებათა ძირითად მესიჯებსა და ავტორის მთავარ სათქმელს. საკუთარი პატრიოტული ლექსების სულისკვეთების შესაბამისად, ბაჩანა ანტიკურობიდან არჩევს ისეთ სიუჟეტებს, რომლებიც უკავშირდება პიროვნულ პროტესტს (პრომეთე, დიოგენე) და სამშობლოს ღირსებისა და თავისუფლებისთვის ბრძოლას (მეფე ლეონიდასი, 300 სპარტელი, ტროას ომი, ქსანთოსის ეპიზოდი). ეს ეპიზოდები ბაჩანასთან საქართველოს დამოუკიდებლობისკენ და ტირანიის წინააღმდეგ ბრძოლისაკენ ალევგორიულ მოწოდებებს შეიცავს და საქართველოს ბედ-იღბალს მსოფლიოს მითოლოგიურ და ისტორიულ კონტექსტში განიხილავს. ანტიკურობის რეცეფციის ამ მაგალითებით ბაჩანა უერთდება დიდი რეალისტების – ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის შემოქმედებაში წარმოდგენილ ე.წ. „ალევგორიულ ხაზს“, რაც ზემოთ დაწვრილებით უკვე განვიხილეთ.

მეოთხე თავი
ანტიკურობა უახლეს ქართულ ლიტერატურაში
(XX ს.)

მოდერნიზმი

ნანა ტონია

გრიგოლ რობაქიძე
(1882-1962)

XX საუკუნე ქართულ ლიტერატურაში მნიშვნელოვანი პროცესებით დაიწყო. ეს იყო პერიოდი, როდესაც ქართული შემოქმედებითი აზრი შეპყრობილი იყო ავანგარდისტული იდეებით, რომლის გვირგვინად შეიძლება მივიჩნიოთ 1924 წელს დაბეჭდილი პირველი ქართული ფუტურისტულ-დადაისტური ჟურნალი H2SO4. იგი შეიქმნა კულტურის რადიკალურად შეცვლის მოსურნე ეპატაჟურად განწყობილი ახალგაზრდა პოეტების, მწერლებისა და მხატვრების ძალისხმევით. ამ ჟურნალის გამოცემას განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოში 1921 წლის შემდეგ განვითარებული დრამატული მოვლენების ფონზე. თუმცა ამ მოძრაობას წინ უძღოდა ნაკლებად რადიკალური, მაგრამ არანაკლებ შემოქმედებითი პროცესებით აღსავსე წლები ქართველი მოდერნისტებისა, რომელთა სათავეშიც იდგა გრიგოლ რობაქიძე.⁶¹⁶ იგი დიდხანს სწავლობდა რუსეთისა და გერმანიის უნივერსიტეტებში. სწორედ ევროპაში გაეცნო ნიცშეს ფილოსოფიას, მისი თხზულებებით ეზიარა დიონისეს მითოსს, ქვეცნობიერის პრობლემებს, მარადიული მობრუნებისა და ზეკაცის იდეებს, კულტურის აპოლონურ ძირებსა და მზის კულტს. ეს ფილოსოფია მას უკრიტიკოდ არ მიუღია. „მორცხვად შევბედე ნიცშეს, – წერდა გრიგოლ რობაქიძე წერილში „ჩემი ცხოვრება“,⁶¹⁷ – დიონისურმა ფენომენმა („ტრაგედიის დაბადება“) დამატყვევა და კიდევ უფრო მეტად მარადიული დაბრუნების იდეამ . . . ეს იდეა ისეა ახსნილი, როგორც პითაგორას კომენტატორები აკეთებდნენ, რაც ჩემთვის ყოვლად მიუღებელი იყო, რადგან თუ კი მე ჩემ თავს მარადიულად ვუბრუნდები, როგორ შეიძლება ზეკაცი გავხდე?“ – ამ შეკითხვას გრიგოლ რობაქიძე მოგვიანებით გასცემს

⁶¹⁶ კ. ბრეგაძე. რობაქიძის მსოფლმხედველობა და ესთეტიკური კონცეფცია ნიცშეს რეცეფციის კონტექსტში. წიგნში: ქართული მოდერნიზმის ტიპოლოგია. რედ.: გ. ლომიძე, ი. რატიანი. თბილისი, 2016.

⁶¹⁷ ამონარიდებისთვის: გრ. რობაქიძე. ნაწერები ხუთ ტომად. შემდგ.: ლ. ცომაია. თბილისი, 2012.

პასუხს.⁶¹⁸ თუმცა საქართველოში დაბრუნებულმა (1909 წ.) დაიწყო ევროპული კულტურისა და ნიცშეანური ფილოსოფიის პროპაგანდა. ქართული და ევროპული ლიტერატურების ბრწყინვალე მცოდნე, ჰქონდა რა ღრმად გათავისებული ევროპული მოდერნიზმის ტენდენციები, შეძლო მიღებული ცოდნა ორგანულად დაეკავშირებინა ქართული კულტურისათვის, მიენიჭებინა მისთვის ფილოსოფიური სიღრმე და მითოსოფიური ესთეტიზმი.⁶¹⁹

XX საუკუნის დასაწყისი საქართველოს სახელმწიფოებრივი არსებობისთვის უმძიმესი აღმოჩნდა. უმძიმესი იყო ეს პერიოდი სახელმწიფოებრივად მოაზროვნე განათლებული საზოგადოებისთვის. როგორც ჭეშმარიტი ხელოვანი, გრიგოლ რობაქიძე მონაწილეობდა პოლიტიკურ რეალიებში, თანამშრომლობდა იმდროინდელი პოლიტიკური აზრის მესვეურებთან, ამიტომ დიდად არ განუცდია 1921 წელი. მაგრამ დროთა განმავლობაში მასში თანდათან გაიღვიძა არსებული სიტუაციისადმი შეურიგებლობის გრძნობამ და ამიტომ კვლავ ევროპისკენ ისწრაფა. იგი დამკვიდრდა გერმანიაში, (1931-1946 წწ.), ხოლო შემდეგ შვეიცარიაში (1946-1962 წწ.), სადაც გარდაიცვალა კიდეც.

საქართველოში ცხოვრების დროს დაწერა გრიგოლ რობაქიძემ რომანი „გველის პერანგი“, პიესები: „ლონდა“, „მალშტრემი“, „ლამარა“, ლექსები, პუბლიცისტურ-კრიტიკული წერილები. გერმანიაში დაიწერა: „მეგი“, „ჩაკლული სული“, „ქალღმერთის ძახილი“, „გრაალის მცვლელნი“, „დემონი და მითოსი“, ლექსები, წერილები, ესეები. დიდი პოპულარობა მოიპოვა კრებულმა „კავკასიური ნოველები“, რომელიც მრავალ ენაზე ითარგმნა და გამოიცა.

ეს საგანძური აღსავსეა მითოსური წიაღსვლებით, რეცეფციებით, მითოპოეტური სახეებითა თუ არქეტიპებით. წერილში „სათავენი ჩემი შემოქმედებისა“ მწერალი აღნიშნავდა: „ვისაც „სიმბოლო“ და „მითოსი“ არ ესმის, იგი ჩემს შემოქმედებას ვერ გაიგებს“. პროზასა თუ პოეზიაში, წერილებსა თუ ესეებში ასახული მითოსური დისკურსით მწერალი იღწვის ჩასწვდეს ადამიანური არსებობის საკრალურ საიდუმლოს და ამ არსებობის განმაპირობებელი სიმბოლოები ახსნას. ამ საიდუმლოს გასააზრებლად უღრმავდება იგი გოეთესული „თაურმცენარის“ იდეას, რადგანაც მიაჩნია, რომ ეს იდეა ყოფიერების მითოსურ რეალობად წარმოდგენის ილუზიას ქმნის, რამეთუ ადამიანი თავს მარადიულთან წილნაყარად მიიჩნევს. ესეში „თაურშიში და მითოსი“ მწერალი ნათლად წარმოადგენს თავის დამოკიდებულებას ამ იდეისადმი: „თაურმცენარის იდეამ ერთბაშად გადაწყვიტა

⁶¹⁸ კ. ბრეგაძე. ნიცშეს მარადიული დაბრუნების (Ewige Wieder kunft) (ანტი-) სწავლების კრიტიკა გრიგოლ რობაქიძესთან, წიგნში: კ. ბრეგაძე. ქართული მოდერნიზმი (გრ. რობაქიძე, კ. გამსახურდია, გ. ტაბიძე), თბილისი, 2013, გვ. 299-317.

⁶¹⁹ ს. სიგუა. მოდერნიზმი. თბილისი, 2008, გვ. 5.

უმნიშვნელოვანესი პრობლემები. პირველად მსოფლიო ისტორიაში მთელი ყოფიერება სახეობრივ-ბუნებითი მჭვრეტელობის საფუძველზე მითოსურ რეალობად იქნა შემეცნებული. თაურმცენარე მცენარის მითიური სინამდვილეა – არა ისტორიული ფაქტი, ერთჯერადი მოვლენა, არამედ კოსმიური, რომელიც მუდმივად ვლინდება. პირველმცენარე მითოსის გრძნობად – პოეტური სახეა . . . ასე თვლემს ყოველ საწყისში პირველსაწყისი და მარადიულ ხორცს ისხამს ცალკეულში. და როდესაც ცალკეული მარადიულის გამანაყოფიერებელ მოქმედებას თავის თავში შეიგრძნობს, მაშინ ის მარადიულის თანაზიარია“ (თარგმანი გერმანულიდან ეკუთვნის კონსტანტინე ბრეგამეს. წარმოდგენილია სტატიაში „გრიგოლ რობაქიძის რომანების პოეტიკა“).

ეს მსჯელობა თავისი აზრობრივი დატვირთვით ერთგვარად თანხვდება პლატონის აზრს, რომელიც იკითხება მის ცნობილ თხზულებაში „კანონები“. პლატონი ასე მოძღვრავს ახალგაზრდა კაცს: „ის, ვინც ყველაფერზე ზრუნავს, მანვე ყველაფერი მთელის (ყოვლადი არსის) ხსნისა და სიქველისათვის შექმნა. თანაც ისე, რომ ყოველი ნაწილი მთელისა შემლებისდაგვარად განიცდის ან აღასრულებს იმას, რაც მისთვის არის განკუთვნილი. ამ ნაწილთაგან ყოველს, თუნდაც უმცირესს, განაგებს განმგებელი, რომელიც ყოველივეს ჭკრეტს და მიჰყავს ეს ყოველი საბოლოო მიზნამდე. ერთ-ერთი ამ ნაწილაკთაგანი, უაღრესად მცირე, უზადრუკი ადამიანი ხარ შენ, რომელიც გამუდმებით მისდევ ამ მთელს, რამეთუ ის შენს თვალწინ არის. შენ ვერ ამჩნევ, რომ ყველაფერი, რაც აღმოცენდება, აღმოცენდება მხოლოდ იმიტომ, რომ იყოს მთელში, რათა განხორციელდეს ამ მთელის არსებობისთვის აუცილებელი ნეტარი ყოფიერება და ეს ყოფიერება არსებობს არა შენთვის, არამედ შენ არსებობ ამ ყოფიერებისთვის (Plat. Leg. X 903 e-d. თარგმანი ბაჩანა ბრეგვაძის). თუ „თაურმცენარისა“ და „ყოვლადი არსის“ იგივეობას მივიღებთ, აზრთა მსგავსება ნათელი იქნება. აქ საუბარი ზედმეტია იმაზე, იცნობდა თუ არა გოეთე ან გრიგოლ რობაქიძე პლატონის ამ თხზულებას. დიდ მოაზროვნეთა მსჯელობის ეს თანხვედრა გამოთქმული მოსაზრების ჭეშმარიტებაზე მიგვანიშნებს.

ცალკეულისა და მარადიულის პრობლემა, მუდამ თან სდევდა მწერალს. ამ თემას ეხებოდა იგი არა მხოლოდ წერილებსა და ესეებში, არამედ მხატვრულ ქმნილებებშიც. რომანში „მეგი – ქართველი გოგონა“ მთავარი მთხრობელი (მხატვრის სახით წარმოდგენილი) ბერიკაცისგან მოისმენს ფრაზას: „ყოველივე ცალკეული წარმავალია; აი, მთლიანი სამყარო კი სიცოცლეს განაგრძობს“. ამ ნათქვამს მწერალი ასე განავრცობს: „მხატვარს ფიქრები ერეოდა თავში; მერე ერთი წამით გაუელვა აზრმა: – ვინ იცის, იქნებ ბერიკაცი მართალია, როცა ამბობს, სამყარო მხოლოდ მთლიანობაში აგრძელებს სიცოცხლეს, ჩვენ კი მარტოოდენ მისი თვალისწამი, მისი

ერთი გულისცემა ვართო?“ რომანში უხვად არის გაფანტული ძველ ბერძენ ავტორთა ცნობები და გამონათქვამები, რამეთუ მისი ავტორი, მიუხედავად იმისა, რომ დიდებულად ფლობდა აღმოსავლურ თუ სხვა უძველეს მითოლოგიებს, თავს მაინც „ჰელლადის“ მემკვიდრედ თვლიდა:

„ჰელლადის შვილი ვარ ერთგული მე „ამორ ფატის“,
საგანგებო მსხვერპლად გაზრდილი, ვით სავსე თასი
და თუნდ რაინდი ცხოველი მზე სულ დაიფუტოს.
თასზე თასს ვამსხვრევ, რომ აღვმართო კიდევ ათასი,
თავადებული მე სარკე ვარ ყველა თვალების
და მასკა ჩემი ქერქი არის მხოლოდ თვალების“.
„ავტომედალიონი“

„ამორ ფატი“ (Amor Fati) ნიცშეს ცნობილი გამოთქმაა და იგი „ბედისწერის სიყვარულს“ ნიშნავს. ნიცშეს ფილოსოფიას ზიარებული გრიგოლ რობაქიძე თავად მიაწვდის იმაზე, რომ ის ჰელლადის (ძველი საბერძნეთის) მითოსით არის ნასაზრდოები და მას ოიდიპოსის მსგავსად არ ტოვებს ბედისწერა, მისი მსხვერპლია. შემოქმედის მხატვრულ აზროვნებაში ისახება ის, რაც ირეკლება მის ცნობიერებაში. ანტიკური სამყაროსადმი ხელოვნური მიმბაძველობა მიუღებელია მოდერნისტი პოეტისათვის. ის თავად ქმნის საკუთარ სამყაროს. გრიგოლ რობაქიძის შემოქმედებაში ნათლად ჩანს შემოქმედის მისწრაფება ზეცნობიერისკენ. მისთვის ხელოვნების საფუძველი მითოსურ არქეტიპებთან მიახლოებით შეიცნობა: „მითიური რეალობა არის უთუოდ მეტი და უფრო აზროვანი ვიდრე ისტორიული“ – ამბობს მწერალი წერილში „სათავენი ჩემი შემოქმედებისა“. მითოსური აზროვნება შემოქმედისთვის არის შინაგანი ჭკრეტით საგნის შესწავლა, მითში არსებული იდეის წარმოჩენა. ესეში „თაურშიში და მითოსი“ მწერალი აღნიშნავს: „ჩაუქრობლად ღვივის ჩვენში პირველსაწყისი. იგი იდუმალ არსებობს, ცხოვრობს ყველა საგანსა და მოვლენაში. ასე წარმოიშობა ყოფიერების მითიური აღქმა“.

გრიგოლ რობაქიძისთვის აუცილებელია ადამიანსა თუ ყველა მოვლენაში პირველსაწყისის ძიება. ეს არის გზა თვითშემეცნებისკენ, „უკვე ყოფილის“ გახსენებისკენ. ამას, ავტორის თქმით, „მნემოსინა“ („მნემოსინე“) ჰქვია: „ხელოვნების სათავეში ჩვენ ვხვდებით გულისხმიერ მოვლენას, მოგონებას, ხოვნას – ვკითხულობთ ესეში „ერის სული და შემოქმედება“ – მართალს იტყოდა პლატონი, რომ ყოველი ღრმა ცოდნა ბოლოს და ბოლოს მოგონებაა უკვე ყოფილისაო და შეჰქმნა გენიოსმა ელლინისამ ფრიად გულისხმიერი ცნება მსოფლიო ხსოვნისა, მნემოსინა. რა არის იგი? მნემოსინა ორგანული გრძნობაა. მსოფლიო სხეულის გრძნობა. ბავშვი

მოსწყდა მშობლის სხეულს, გამოეყო და მოშორდა მას, მიეცა ერთგვარ ღამეს მივიწყებისას; მაგრამ უნამდვილეს სიცოცხლის ჟამს იგი თვალს ახელს და გრძნობს თავისსავე არსებაში მშობლის სხეულს, იხსენებს მრავალ საუკუნეს. . . და აი აქ, მის სულიერ უნამდვილეს განცდაში მთელი მსოფლიო ჭეშმარიტად უსაზღვრო მოგონებად იშლება“ („სახალხო გაზეთი“, 1913 წელი, 12 აპრილი).

გრიგოლ რობაქიძისა და, საერთოდ, მის თანამოაზრეთა განსაკუთრებული ინტერესი მიმართული იყო საქართველოს უძველესი წარსულისაკენ. იწერებოდა ახალი გამოკვლევები ქართველთა უძველეს ეთნოსზე. 1908 წელს, გრიგოლ რობაქიძის საქართველოში ჩამოსვლამდე ერთი წლით ადრე, გამოიცა ივ. ჯავახიშვილის საეტაპო წიგნი – „ქართველი ერის ისტორია“. მრავალწლიანი გამოკვლევის საფუძველზე ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავდა, რომ ქართველი ერის პირველსაცხოვრისი კავკასია არ ყოფილა. მისი აზრით, ეს პირველსაცხოვრისი უნდა ყოფილიყო „ქალდეა“, თუმცა იქვე დასძენდა, რომ არსებული ცნობების საფუძველზე შეუძლებელია იმის განსაზღვრა, თუ როდის სახლობდნენ ქართველთა უძველესი ტომები ქალდეას მიწაზე.⁶²⁰ ცხადია, ამ ინფორმაციამ უდიდესი გავლენა მოახდინა გრიგოლ რობაქიძის შემოქმედებაზე. მითოსოფიურად მოაზროვნე შემოქმედს ქართულ წარმართულ პანთეონში შემოჰყავს კერპი „კარდუ“. ეს ტერმინი მისი შემოქმედებაა, რაზედაც თავადვე მიგვანიშნებს: მომდინარეობს ეს ტერმინი ქართველთა ეთნარქის სახელიდან „ქართლოს“, რომელსაც ჩამოცილებული აქვს ბერძნული ენის სახელობითის დაბოლოება. კარგი ჟღერადობისთვის „ქართლ“ გადაკეთდა „ქართუ“-დ და კიდევ უფრო კარგი ჟღერადობისთვის – „კარდუდ“ (აკ. ბაქრაძე). „ჰო, კარდუ არის ჩვენი მისტიკური თაურმდგენი და დგას ის მზის ნიშანში. იგი არის პიროვნება (პერსონა) და ამასთანავე არ არის პიროვნება“ - ვკითხულობთ რომანში „გრაალის მცველნი“.

ქართველთა ეროვნული ფესვების ძიებას მიუძღვნა გრიგოლ რობაქიძემ პიესა-მისტერია „**ლონდა**“, რომელიც 1917 წელს დაწერა. ამ პიესაში, ისევე როგორც სხვა ქმნილებებში, ავტორის „მნემოსინა“ მზის კულტისკენ არის მიმართული. იგი გვახსენებს, რომ ეს კულტი ქართულმა ენამ შემოინახა ისეთი გამოთქმებით, როგორიც არის „ჩემმა მზემ“, „შენ ჩემი მზე ხარ“, „მზე დედაა ჩემი“ და სხვ. (ამ თემას უფრო ვრცლად ეხება გრიგოლ რობაქიძის წერილი „მზის ხანა ქართველთა“).

გრიგოლ რობაქიძის დრამატურგიაზე დიდი გავლენა მოახდინა ელინურმა დრამამ. ამას კარგად აცნობიერებდა შემოქმედი და თავადაც აღნიშნავდა წერილში „ჩემი ცხოვრება“: „თანამედროვე ბურჟუაზიული დრამა არ მაძლევდა პოეტური გამოხატვის საშუალებას. **ძველ ტრაგედიას** მივუბრუნდი და შევეცადე მისი

⁶²⁰ ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია. ტ. I. ტფილისი, 1908, გვ. 2-13.

სტრუქტურის პრინციპებს დავბრუნებოდი, არქაულის თავის არიდებით. უბრალო პროზად რომ დამეწერა, ჩვეულებრივი იქნებოდა, ლექსად, ზედმეტად ხელოვნური. ამიტომ თავისუფალი რითმა ავირჩიე, ისეთი, როგორსაც აღმოსავლეთის მაგიურ ტექსტებში წააწყდებოდა კაცი. ასე შეიქმნა ჩემი „ლონდა“, ასეთივე მეთოდით ავაგე მისტერია „კარდუ“ და დრამა „ლამარა“.

ყველაზე ნათლად ბერძნული დრამატურგიის გავლენა შეინიშნება ტრაგედიაში „ლონდა“. ქვეყანა, სადაც მოქმედება ვითარდება არის კოლხეთი. მას თავს დაატყდა გვალვა. მიწა დაშრა და ნაყოფს აღარ იძლევა, ყველაფერი იწვის და ხმება, დაიშრიტა მდინარეები, ხეხილი გახმა, ფრინველები და ცხოველები იხოცებიან, იტანჯებიან სასიკვდილოდ განწირული ადამიანები (სურათი, რომელიც გვაგონებს ბერძენთა სათაყვანო დემეტრეს მითს, როდესაც მას მოსტაცეს პერსეფონე. მზემ გაუმხილა ქალღმერთს სიმართლე. დემეტრემ დაიბრუნა პერსეფონე და დედამიწაზე კვლავ სიცოცხლემ დაისადგურა). პიესაში, ისევე როგორც ძველბერძნულ ტრაგედიაში, ავტორის სათქმელს ქადაგებს ქორო, რომელიც მზისადმი აღავლენს ვედრებას:

„მზეო, მზეო -
ცხოველმყოფელო,
ძლიერო, სისხლიანო, მაგარო,
უცნაურო, საშინელო,
შენელდი, დაცხრი
და მიეც შვებად
სისველე, სინესტე მიწას!“

ლონდა პიესის მთავარი გმირია. მის შესახებ არავინ არაფერი იცის, გარდა იმისა, რომ ეს ულამაზესი ყმაწვილი ქალი თითქოს ზღვას გამოერიყოს **სირენასავით** (სწორედ ამიტომ ერთ-ერთ წერილში „ამორძალი-აფროდიტა“ უწოდა მას ვ. გაფრინდაშვილმა, რამეთუ მისთვის კარგად იყო ცნობილი ბერძნული მითოსი, რომლის თანხმადაც აფროდიტე ზღვის ქაფიდან იშვა). რაც შეეხებათ სირენებს, ისინი ბერძნული მითოსის პოეტური სახეები არიან, მომღერალი ქალჩიტები. თავდაპირველად ისინი გასაოცარი სილამაზის ზღვის ქალწულები ყოფილან, დემეტრეს ამაღლის წევრები. მათ დაუმაღლავთ დემეტრესათვის ჰადესის მიერ პერსეფონეს მოტაცების ამბავი, რომელსაც შესწრებიან. განრისხებულ ქალღმერთს ისინი ამის შემდეგ გარდაუსახავს ქალჩიტებად. სირენები (მათ ქართულ მითოლოგიაში სირინოზებად მოიხსენიებენ) მოსახლეობდნენ შუაგულ ზღვაში და ჯადოსნური გალობით ხიბლავდნენ მოგზაურებს, რომლებიც სწორედ მაშინ ილუპებოდნენ, როდესაც მათკენ ისწრაფოდნენ. სირინოზების ბედისწერა კი ასეთი

იყო: უნდა ეცოცხლათ მანამ, ვიდრე სიმღერით ჯობნიდნენ ყველას. არსებობს მათი დაღუპვის რამდენიმე ვერსია. ამ ვერსიებს აერთიანებს ის, რომ დამარცხებული სირენები ზღვაში ცვივდებიან და იღუპებიან.

ლონდას ბედისწერაც რაღაცით ჰგავს სირენათა ბედისწერას: ის უნდა დაიღუპოს. გრიგოლ რობაქიძეს პოემაში შემოაქვს მსხვერპლის თემა და ამით თავის ქმნილებას ბერძნულ ტრაგედიას აახლოებს: ხალხი ქურუმს სთხოვს განაცხადოს ღვთაების ნება. ქურუმმა იცის, მაგრამ არ ასახელებს მსხვერპლის სახელს, მხოლოდ მიაჩნებებს მის იდუმალ წარმოშობაზე. ყველა ხვდება, რომ გვალვის შემოქმედი მზე მსხვერპლად ითხოვს მშვენიერ ლონდას, რომელსაც ჰყავს მეტრფე ბატონიშვილი თამაზ. ლონდა მზად არის თავი გაწიროს ქვეყნის კეთილდღეობისათვის. მასზე თავდავიწყებით შეყვარებული ბატონიშვილის ყველა მცდელობა, იხსნას ლონდა არის ამაო.

პიესას მთავარ მოტივად გასდევს სიკვდილისა და სიცოცხლის მარადიული თემა: სიცოცხლე გრძელდება სიკვდილში. „სიკვდილში გადასულს სიყვარულს ღმერთებიც ვერ შეცვლიან“ - ამბობს ლონდა და ეს სიტყვები პიესის მთავარ სათქმელად ისმის. პიესის ბოლოს შეყვარებულები უფსკრულში ცვივდებიან და ამ გარდაცვალებით ისინი მარადიულ სიყვარულს ეზიარებიან. „სიყვარული რომ არ ყოფილიყო, სოფელი უდაბნო და ნაცარი იქნებოდა“ - ვკითხულობთ პიესაში და ეს სიტყვები ქადაგებასავით ისმის. რჩება ისეთი შთაბეჭდილება, რომ ავტორს სწორედ ამის თქმა სურდა თავისი მკითხველისათვის.

„მისტერია – დრამა „ლონდა“ თავისი სისადავითა და ორკესტრალური ჟღერადობით ისეთივე ზემოქმედებას ახდენს მკითხველზე, როგორც ბერძნული ტრაგედია“ – წერს რუდოლფ კარმანი წერილში, რომელიც გრიგოლ რობაქიძეს ეძღვნება (Karman R. Das Porträt: Grigol Robakidse, Osteuropa N9) და არ შეიძლება არ დავეთანხმოთ მას. ჩემი აზრით, პიესაში მრავალი რამ გვაგონებს ევრიპიდეს ერთ-ერთ ტრაგედიას, რომლის სახელწოდებაც არის „იფიგენია ავლისში“. ამ ტრაგედიაში იფიგენიაც მსხვერპლია. მის მსხვერპლად შეწირვას ითხოვს ქალღმერთი არტემისი, იფიგენიასაც უყვარს ბერძენთა სასიქადულო გმირი აქილეესი, თუმცა მზად არის თავი შესწიროს სამშობლოს კეთილდღეობას. არც აქილეესს სურს მისი მსხვერპლად შეწირვა და თავგამოდებით ცდილობს ამ მშვენიერი და უმწიკვლო ქალწულის ხსნას, მაგრამ ამაოდ. იფიგენია საკუთარი ნებით მიემართება სამსხვერპლო ბომონისაკენ.

არის კიდევ ერთი ყურადსაღები მომენტი, რომელიც განსაკუთრებულ აღნიშვნას იმსახურებს: გრიგოლ რობაქიძე მისტერიაშიცა და წერილებშიც ლამობს გაგვახსენოს, რომ საქართველოში არსებობდა მზის კულტი და რომ მისი კვალი დღემდეა შემონახული ქართულ ენაში. ამ აზრის გასამყარებლად უნდა გავიხსენოთ

ისიც, რომ პიესა-მისტერიაში მოქმედება ხდება **კოლხეთში**, რომელიც მითოსის თანახმად, სამართავად გადაეცა მეფე აიეტს და რომ აიეტი იყო მზე – ღმერთის, ჰელიოსის შვილი.

ამგარად, მისტერიას მრავალი რამ აკავშირებს ძველბერძნულ მითოსსა თუ ტრაგედიასთან. უმნიშვნელოვანესი კი არის ის, რომ ამ დროს ავტორის ხედვა მიმართულია ორი უძველესი სამყაროს შემოქმედებითი პოტენციალის არქეტიპული ძირების წარმოჩენისკენ.

გრიგოლ რობაქიძის რწმენით, მითოლოგიური რეალობა არის უფრო ჭეშმარიტი, ვიდრე ისტორიული („კავკასიური ნოველები“, წინასიტყვაობა). ამ მოსაზრების ნათელსაყოფად მითოსოფოსი მწერალი ცდილობს მონახოს პასუხი შეკითხვაზე, რომელიც ასე აწვალებდა: „ჰამადანში, მიდიელთა ეკბატანაში, მთვარიან ღამეს, – წერდა იგი, – ერთ ქვის ლოდზე მეძინა. უეცრად აზრი დამეუფლა, ყველაფერი, რაც ხდება, გვეჩვენება, თითქოს უკვე მოხდა. ისევ მარადიული დაბრუნების იდეა, რომელიც სულ ყოველთვის მაწამებდა, ახლა სხვაგვარად იყო ნააზრევი: არა ერთეულის მარადიული დაბრუნება თავისკენ, არამედ ერთეულში მარადიულის დაბრუნება თავის თავისკენ. შემდგომში ამ შეცნობამ ხორცშესხმა ჰპოვა ჩემ რომან „გველის პერანგში“. ამ რომანში ვცდილობდი აღმოსავლეთის მსოფლშეგრძნება და სამყაროს ჭვრეტა პლასტიურად განმეხორციელებინა“ („ჩემი ცხოვრება“).

რომანი **„გველის პერანგი“**, 1926 წელს გამოვიდა. მისი მთავარი გმირის, არჩიზალდ მეკეშის ცხოვრების აზრი საკუთარი თავის შეცნობაა. ის ტრაგიკული პიროვნებაა, მას წარსული დავიწყებული აქვს და ღამობს მის აღდგენას. ის იხსენებს ქვეცნობიერში შემორჩენილ მოვლენებს, მოგზაურობს და მრავალი თავგადასავლის შემდეგ, რომანის დასასრულს, არჩილ მაყაშვილად გარდასახული სამშობლოში ბრუნდება. რომანს მრავალი გმირი ჰყავს, მათ შორის მატასი, რომლისადმი ტრფობა აღიქმება როგორც პირველსაწყისთან მიახლოება. სახელი „მატასი“ ლათინური ლექსემის, „Mater“-ის ასოციაციას იწვევს და იგი პირველსაწყისის სიმბოლოს მნიშვნელობას იძენს. მკითხველისათვის ნათელია მთავარი გმირის სულის წადილი, რომელიც განცხადებულია **დიონისოს** მითში. გრიგოლ რობაქიძე ვრცლად საუბრობს ამ ღვთაების ფენომენზე, წარმოადგენს მას სამი სახით. ვიზიარებ რა ქალბატონ მ. ჯალიაშვილის ერთობ ყურადსაღებ მსჯელობას, სრულად გთავაზობთ ამონარიდს მისი წერილიდან: „1. დიონისო პირველი ძეგვის ძეა (ზაგრეი), რომელიც სხვადასხვა სახედ გარდაისახება, და რომელსაც ბოლოს ტიტანები გლეჯენ და ყლაპავენ. ათენა შეძლებს მისი გულის გადარჩენას. განრისხებული ძეგვის ტიტანებს წვავს, მათი ნაცრიდან წარმოიშვება ადამიანთა მოდგმა, დიონისოს გულს ძეგვის გადაყლაპავს.

როდესაც იგი იხილავს **სენელას (სელენეს)**, მოეწონება და მათი შეერთებით დაიბადება მეორე დიონისო. 2. ადამიანი, რომელშიც არის ორი საწყისი – ტიტანური და დიონისური, იგი ცდილობს შეუერთდეს მეორე დიონისოს სადდაისში (დიადს ყოვლადობაში). ტიტანური საწყისი მას აკავებს. ადამიანი ლამობს დაძლიოს საკუთარ თავში ტიტანური. ამას იგი მიაღწევს ორფიკული სიცოცხლით. 3. ადამიანის სული უკვდავია, თუმცა არ არის თავისუფალი: ის მოქცეულია დაბადებისა და სიკვდილის უსაზღვრო რკალში. ორფიკული სიცოცხლე ათავისუფლებს სულს ამთავითვე: საჭიროა მრავალი და თანდათან სხვადქცევა სააქაოს. როდესაც მთელ რიგს ცდათა გაივლის, სულს შეუძლია შემდგომ ეზიაროს დიონისოს, იქცეს ერთსხეულ მასთან⁶²¹.

არჩილ მაყაშვილი დიონისური სახეა. ის დიონისეს მსგავსად იტანჯება, დიონისეს მსგავსად იგლიჯება და, ბოლოს, დიონისეს მსგავსად აღსდგება, როგორც სრულყოფილი არსება. რომანში ქართველი ერიც დიონისური მოვლენაა. ეს აზრი ჯერ კიდევ 1917 წელს გამოთქვა მწერალმა ვრცელ ნარკვევებში „დიონისოს კულტი და საქართველო“ (გაზეთი „საქართველო“ #241-148). ავტორი მიმოიხილავს დიონისეს კულტის ამსახველ მოვლენებს თრაკიაში, საბერძნეთსა და საქართველოში (ფშავ-ხევსურეთი, კახეთი, რაჭა, ქართლი, აფხაზეთი) და ასკვნის, რომ „მთელი ისტორია ქართველებისა დიონისური მისტერიაა თავისთავად. სიკვდილი და სიცოცხლე, გაქრობა და აღდგენა – მგონი უფრო მკვეთრად სხვა ხალხს არ განუცდია და არც არის ქართველ ერში შავი მელანქოლია, ეროვნული პესიმიზმით გამოწვეული. ქართველმა ერმა ყველაზე უფრო მძაფრად მოჰკვეთა ძველ ჰელლინთა დიონისური „სიყვარული ბედისადმი“ სამს სიტყვაში: „რაც მოხდეს, მოხდეს“ და რაც არ უნდა მოხდეს, იგი მაინც დიონისურ გუნებაზეა და მღერის მუდამ – მრავალჟამიერ“.

გრიგოლ რობაქიძე მითს **სალუსტიუსის** გამონათქვამით განმარტავდა: „ეს არასოდეს ყოფილა, მაგრამ ყოველთვის არის“. ის, რაც წარმოდგენილია „გველის პერანგში“, არასოდეს ყოფილა, მაგრამ იოლი წარმოსადგენია ის, რომ მატასი ქართული მიწის განსახიერებაა, რომ იგი მუდამ დაიბრუნებს თავის მკვიდრს; რომ არჩილადის მიერ გველის პერანგის მოცილება, მისი მეორედ შობაა, რადგან შორს, სადღაც გველიც გაიხდის თავის პერანგს და განახლებული გასრიალდება. . .

„გველის პერანგი“ ამქვეყნიურ ვნებათა შესახებ მოგვითხრობს. არჩილს გველის პერანგის მოშორებით ახალი ძალა ეძლევა. ის დიონისესავით ორგზის იბადება. აქ უნდა გავიხსენოთ, რომ დიონისეს მთავარი ეპითეტი არის „დიგენის“ („ორგზისშობილი“).

⁶²¹ მ. ჯალიაშვილი. მითოსური სახეის მხატვრული ინტერპრეტაციის პრინციპები; მითოსის მხატვრული ფუნქცია რომანში. წიგნში: მ. ჯალიაშვილი. ქართული მოდერნისტული რომანი, თბილისი, 2006.

დიონისეს კულტი, გრიგოლ რობაქიძის თქმით, წარმოაჩენს ქართული კულტურული ხილვის და ცნობიერების ისტორიულ შინაარსს. ხოლო ეს კულტი „მსოფლიო მნიშვნელობისაა“, სწორედ ამიტომ არის მითოსური, უმეტესწილად „**ჰელადური**“ მითოსით გაჯერებული გრიგოლ რობაქიძის თითქმის მთელი შემოქმედება.

გრიგოლ რობაქიძის ერთ-ერთი საუკეთესო ქმნილების, შედევრად აღიარებული პიესის, „**ლამარას**“ მთავარი გმირი არის ნათელმხილველი მინდია, რომელიც დიდად წააგავს ვაჟა-ფშაველას ცნობილ გმირს. მას ბუნება უმხელს თავის საიდუმლოებებს. მინდიას ესმის მცენარეთა, ჩიტებისა და ცხოველთა ენა, ის გრძნობს წყლისა და მნათობთა სულთქმას და მძაფრად განიცდის ადამიანთა არსებაში დაგროვილ ბოროტებას. ეს მითოსოფიური პიესა წარმატებით დაიდგა ქართულ სცენაზე და 1930 წელს რუსთაველის თეატრმა სანდრო ახმეტელის რეჟისორობით წარადგინა ის მოსკოვში თეატრალურ ფესტივალზე. სპექტაკლმა დიდი მოწონება დაიმსახურა. „ლამარა“ უჩვენებიათ რვაჯერ და ბოლოს ცარიელ დარბაზში უხილავს რა ეს დადგმა სტალინს, უთქვამს: „ლამარა“ მაგარი სილის გარტყმაა მეორე ინტერენაციონალის მესვეურებისათვის, რომლებიც ხელისუფლების მიერ საქართველოს გათელვაზე ალაპარაკდნენ“. ეს სპექტაკლი, როგორც ოლიმპიადაზე გამარჯვებული, გაიგზავნა ევროპაში. თეატრალურ დასს გაჰყვა ამ დრამა-მისტერიის ავტორიც, რომელიც დარჩა ბერლინში და უკან აღარ დაბრუნებულა.

1931 წელს გამოდის რომანი „ჩაკლული სული“ (რომელიც ქართულად მოგვიანებით თარგმნა ალ. კარტოზიამ, გამოიცა თბილისში 1991 წელს), სადაც გრიგოლ რობაქიძემ გასაოცარი ხელოვნებით შექმნა თავისი თანამემამულე ჯულაშვილის (სტალინის) მითოსური სახე. აქ ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟი ნატა პირველ ქალს – ევას გვახსენებს, მით უმეტეს, რომ იგი შედარებულია **იზიდასთან** (ისისთან), რომელიც ქალური საწყისის მითოლოგიური სიმბოლოა. არის ასეთი პარალელიც: ლათინურად **Natus** ნიშნავს შობილს, აღმოცენებულს, შესაბამისად **Terra Nata** შეიძლება ითარგმნოს როგორც „მიწის შობილი“. ინტერესს მოკლებული არ უნდა იყოს ისიც, რომ ამ რომანში მწერალი ბევრს საუბრობს აღმოსავლეთისა თუ დასავლეთის ეპიკური ტრადიდიციების ურთიერთმიმართების თაობაზე.

გერმანიაში ყოფნისას დაწერა გრიგოლ რობაქიძემ რომანი „**მეგი – ქართველი გოგონა**“, რომელიც პირველად ტიუბინგენში დაიბეჭდა 1929 წელს. რომანის ადრეული სახელწოდება იყო „**მედეას ნაწნავები**“. 1934 წელს მისი იტალიური თარგმანი მილანში გამოქვეყნდა, რასაც მოჰყვა ფრანგული თარგმანი და საყოველთაო აღიარება. ქართულად ამ არცთუ ისე დიდი რომანის სრული ტექსტი 2012 წელს

დაიბეჭდა (გერმანული ენიდან თარგმნა იგი ცნობილმა მთარგმნელმა ნ. გოგოლაშვილმა).

რომანის მოქმედება ვითარდება კოლხეთში, კერძოდ სამეგრელოში. როგორც თავად ავტორი წერს, მეგის საცხოვრისი „ეს სამეგრელოა - ძველი კოლხეთი. უხსოვარ დროში სწორედ ფაზისის ნაპირებთან დაინახეს აქ ჩამოსულმა უცხოელებმა უჩვეულო ფრინველი, „ხოხობი“ და მისი სამშობლოს მიხედვით „ჰასანუს“ ანუ „ფაზანი“ შეარქვეს. მერე კი იგი არგონავტებმა ელადაში წაიყვანეს, როგორც ამას მარციალის ერთი ლექსი გვამცნობს:

“Argiva primum sum transportata cavina

Ante mihi notum nisi Phasis erat” (Mart. III, §13, 72).⁶²²

ამონარიდები ძველ ავტორთა თხზულებებიდან რომანში მრავლად გვხვდება. ჰიპოკრატეს, სტრაბონის, ფილოსტრატოსის, დემოკრიტოსის, პინდაროსის და სხვათა ტექსტებიდან მოხმობილი, უპირატესად კოლხეთის ლანდშაფტთან და იქ მოსახლე ადამიანების ზნე-ჩვეულებებთან დაკავშირებული ცნობები მკითხველს ეხმარებიან ბერძენთა მიერ გადააზრებულ და საყოველთაოდ ცნობილ კოლხურ ხასიათთა გაგებაში. რომანის თავდაპირველი სახელწოდება „მედეას ნაწნავები“ უშუალოდ მიანიშნებდა რომანის მთავარი გმირისა და ევრიპიდესეული მედეას მსგავსებაზე, თუმცა მათ შორის განსხვავება უფრო დიდია. მსგავსების აქცენტი შვილთა კვლაზეა გადატანილი. ევრიპიდეს მედეა კლავს ყველაზე ძვირფასს, რაც მას, ბარბაროსსა და უთვისტომოს, უცხო მიწაზედ გააჩნია – შვილებს, რათა მოღალატე ქმარი დატანჯოს, რათა სამუდამოდ დაასამაროს მისი მოდგმა. თავად კი ამ დროს ჰელიოსის ღვთაებრივი ეტლით მიფრინავს და თან მიაქვს შვილთა გვამები. მეგიც კლავს შვილს, თუმცა ეს მკვლელობა სულ სხვაგვარია. მას არ უყვარს საბრალო ბავშვი, რომელიც ტვირთად აწევს, გუდავს ნაწნავებით და შემდეგ სასტიკად ნანობს ჩადენილს. იჭრის ნაწნავებს და ამ ნაწნავებით თავის ჩამოხრჩობას ლამობს. ამაოდ. შურისძიებით შეპყრობილი გვამს შვილის მამას უტოვებს და შემადრწუნებელი თავგადასავლების შემდეგ საბოლოოდ იკარგება: „და აი, დრო და დრო ვხვდებით ადამიანს, მიუსაფარს და სახელდაკარგულს; იგი უგზო-უკვლოდ დაეხეტება და არავისგან არაფერს ითხოვს. . .“ ეს არის მოთხრობა იმ გოგონაზე, რომლის თავსაც ამკობდა მეწამული ფერის ცეცხლოვანი ნაწნავები, რომლებიც „მოწმენი იყვნენ იმ წამისა, ადამიანს საკუთარი თავისგან რომ ათავისუფლებს, მაგრამ სიცოცხლეს არ ართმევს. . .“ მედეას მითი კი არის მოთხრობა იმ გოგონაზე, რომელიც ღვთაებრივი წარმოშობისა იყო,

⁶²² „თავდაპირველად არგოსული ხომალდით შემომიყვანეს, მანამდე ჩემთვის მხოლოდ ფასისი იყო ცნობილი“

რომელმაც ყველა და ყველაფერი გაწირა სიყვარულისთვის, ღალატი ვერ გადაიტანა, არნახული შურისძიებით შეძრა ელინთა ცივილიზებული სამყარო და ვნების ტვირთისგან გათავისუფლებულმა კვლავ დაიბრუნა ღვთაებრივი სახე, ანუ როგორც იტყოდა გრიგოლ რობაქიძე „ეიდოლონი“.

რომანის სხვა პერსონაჟთა მსგავსება-განსხვავებანი თვალსაჩინოა. მათი პორტრეტები კოლხური შტრიხებით არის დახატული. შთამბეჭდავია მეგის დედის, ციცინოს სახე, რომელსაც ავტორი ელინური მითოლოგიებით უხვად შემკობილს წარმოადგენს: „ციცინო სხვა ქალებს არ ჰგავდა, მასში **კოლხი ამორძალის** სისხლი სჩქეფდა და ამიტომ ვერავის სატრფო ვერ იქნებოდა; ის კაცს იმორჩილებდა, მასზე ბატონობდა და ბოლოს ზურგს შეაქცევდა ხოლმე. არავის უღებდა საკუთარი გულის კარს და ამიტომაც არავის საკუთრება არ იყო. თითქოს თავისი ვნებების გაფლანგვისა ეშინიაო, **ამორძალის** მზერას იშვიათად თუ მიაპყრობდა ვინმეს. **ბაკქანტი ქალი** კი იყო, მაგრამ მაინც მიუწვდომელი რჩებოდა. მისგან ის უდრეკი ძალა მოსჩქეფდა, კაცებს რომ განაიარალებდა და ადამბლავებდა. და სწორედ ამაში იყო ამ ქალის საიდუმლო“.

ბაკქური სულით ეს რომანი ავტორმა უხვად შეამკო. აქ, ისევე როგორც სხვა ქმნილებებში, გრიგოლ რობაქიძეს არ ავიწყდება ქართული სულიც და მის სათაყვანო წმინდანს ბერძენთა საყვარელ ღმერთს უთანასწორებს: „23 აპრილი საქართველოში წმინდა გიორგის, ანუ, როგორც აქ მას მოიხსენიებენ, თეთრი გიორგის დღეა. ეს წმინდანი ქრისტიანობაზე მოქცეული ქართველი **დიონისოა**. . .“ თეთრი გიორგი ქართულ წარმართულ პანთეონში მამრული საწყისის განმასახიერებელ მთვარის კულტად იყო მიჩნეული და მას, როგორც მეზრდოლ ღვთაებას, განსაკუთრებულ პატივს მიაგებდნენ. მისი გამოსახულებებით მოხატულია ძველი ეკლესიები.

თეთრი გიორგისა და დიონისეს შეთანსწორება დასტურია იმისა, თუ როგორ ლამობს დიდი მწერალი ქართველთა შორის აღმატებულად სათაყვანო წმინდანისა და ბერძენთა შორის უაღრესად პოპულარული ღვთაების იგივეობის მტკიცებას.

მითოსური სულით არის გაჯერებული რომანი „**ქალღმერთის ძახილი**“, სადაც გასაოცარი ოსტატობით არის შერწყმული ქრისტიანული სული წარმართობასთან და სადაც ტყის ღვთაება **დალის** სახე ორგანულად უკავშირდება ბერძენთა **არტემისის** და რომაელთა **დიანას** მითოსურ სახეებს.

მითოლოგიური წიაღსვლებით არის დატვირთული რომანი „**გრავალის მცველნი**“, რომელიც გრიგოლ რობაქიძემ 1937 წელს დიდერიხის გამომცემლობაში გერმნულ ენაზე გამოაქვეყნა. ეს რომანი პიესის სახით თარგმნა ნ. გელაშვილმა და იგი მარჯანიშვილის თეატრის სცენაზე დაიდგა 1989 წელს. ხოლი 2012 წელს გამომცემლობა „**არტანუჯმა**“ გამოსცა თ. კოტრიკაძის მიერ თარგმნილი სრული

ტესტი. ქმნილების მთავარი სათქმელი თანამედროვეობისთვისაც უმნიშვნელოვანესია: ქართველი ერის გადასარჩენად უმთავრესია სულიერი სიწმინდის დაცვა, რაც მხოლოდ რწმენით მიიღწევა. რომანი სამშობლოს ბედის მარადიული განცდით არის შთაგონებული. მთავარი გმირის, ლევან ორბელის (გამოთქმულია მოსაზრება, რომ ეს პერსონაჟი თავად ავტორია) ხილვებში, სადაც განსახიერებულია ქართველი ერის მითოსი და მისტერიები, გამოთქმულია საქართველოს მომავლის რწმენა.

განსაკუთრებულ ინტერესს იმსახურებს გრიგოლ რობაქიძის ესსეების კრებული „დემონი და მითოსი“, რომელიც იენაში დაიბეჭდა 1935 წელს (მისი ქართული თარგმანი ეკუთვნის მ. კვატაიას)⁶²³. კრებულში რამდენიმე პორტრეტი და განსჯითი ხასიათის ესსეა წარმოდგენილი. ავტორი დიდი მხატვრული ოსტატობით გვთავაზობს აღმოსავლეთისა და დასავლეთის სიცოცხლის არსის სამყაროს მიღმიურ ახსნას („თაურშიში და მითოსი“, „სიცოცხლის განცდა დასავლეთსა და აღმოსავლეთში“).

გრიგოლ რობაქიძის შემოქმედებას დიდად აფასებდნენ მისივე თანამედროვენი. საინტერესოა ამონარიდი გერმანული ლიტერატურული ჟურნალის „მერკურის“ გამომცემლის ჰანს პაშკეს ვრცელი გამოკვლევიდან რომელიც 1936 წელს დაიბეჭდა და რომელიც წარმოდგენილია წიგნში: რ. კარმანი, „გრიგოლ რობაქიძე და მითოსის აღორძინება“ (Posted by: Burus / 05.02.2010). „არსებობენ უამრავი სპონტანური საწყისები სამყაროსი – რომელნიც მიწიდან ვულკანური ძალით იფრქვევიან რაღაც ერთ წამში, როგორც ამას მოითხოვს გაჩენის აქტი, რათა სხეულებრივი ფორმა მიიღონ. იმპულსები, რომლებიც ასულდგმულებენ რობაქიძის გმირებს, ამ შედარებას იმსახურებენ. ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს ეს გმირები ჩასწვდნენ სამყაროს საიდუმლოს მათი გაჩენისთანვე. ისინი დასავლელთა გაგებით პიროვნებები კი არ არიან, არამედ რაღაც მსგავსი ბუნების ელემენტებისა“.

* * *

ანტიკური თემატიკა ახალი კუთხითა და ორიგინალური ხედვით არის წარმოდგენილი გრიგოლ რობაქიძის ლექსებშიც. პოეტი წერდა: „ლექსი კიდეც უფრო დიდი ენერგიაა. ლექსს თავისი საკუთარი სიცოცხლე აქვს და მისთვის უნდა იყოს იგი სრული ინდივიდუალობა, უნაკლო სხეული“.

ამ თვალსაზრისით საოცრად ემოციურია „ჰიმნი ორფეოსისადმი“, რომელიც გრიგოლ რობაქიძის ლირიკის უბრწყინვალეს ქმნილებად არის აღიარებული. პოეტი,

⁶²³ გრ. რობაქიძე. დემონი და მითოსი. გერმანულიდან თარგმა მ. კვატაიამ. თბილისი, 2012.

როგორც გრძნეული, იხმობს ორფეოსის სულს და შესთხოვს დაუბრუნდეს ჩვენს სამყაროს, მოკვდავთა ქვეყანას და სიბნელიდან სინათლეზე გამოგვიყვანოს. პოეტი ეკედრება ძველ ელინთა ლეგენდარულ მგოსანს „ძველთაძველი საკრალური ხმით, აფიცებს მას არქაული წმინდა ბგერებით, თავისი ქართული დედაენით“, რომელიც ცოცხალი ნაშთია წინა აზიისა და შუამდინარეთის გადაშენებული შუმერული და ხეთური ენებისა:

„ჰო, შენ – შემოქმედი შენისა შენში
შენ, სხივო მზისა. . . ო, დაბრუნდი, **ორფეოს**,
კვლავ მოდი ჩვენთან
ევოე, ევოე, ევოე,
იარალ, არალუუ,
იდილარ იდალაა. . .“

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ოდაში ამოკითხული შეძახილი „ევოე, ევოე, ევოე“ ბერძნულ მითოსსა და ტრაგედიაში (ევრიპიდე „ბაკქი ქალები“) დიონისეს რიტუალების თანმხლებია. ეს ბაკქიური შეძახილია, უფრო მეტიც, თვით დიონისეს უხმობს ასე თავად ქოროც კი: „ჩვენი მქუხარე ევოიების დიდო ნათელო“ („ბაკქი ქალები“ სტრ. 608). არ უნდა იყოს ინტერესს მოკლებული ისიც, რომ ამავე ტრაგედიაში, ერთდერთმა რომ მოაღწია ჩვენამდე დიონისეს თემაზე შექმნილი დრამატურგიიდან, ქორო ახსენებს დიონისეს გრძნეულ ორფეოსს (სტრ. 556-576). ჩემი აზრით, გრიგოლ რობაქიძის ამ დიდებულ ჰიმნს ევრიპიდესეული ტრაგედიის კვალიც ამშვენებს.

გრიგოლ რობაქიძე მიაწინებებს, რომ საქართველო არ არის გეოგრაფიულად გასაგები მცნება, თავისი კულტურის სტილით, იგი, როგორც ხალხური ფენომენი, განეკუთვნება დასავლეთს. . . „ქართული“ უძველესი ენაა და ეს სახელი მოდის უძველესი წარსულიდან, ქართველი ხალხი, ვითარცა ცოცხალი არსი, მითიურ პიროვნებად გვევლინება, რომლის სახელია ქართუ ანუ **კარდუ**, აქედან ქართული, ანუ კარდუელი – ქართველი“ (რ. კარმანი).

ეს ვრცელი ჰიმნი დაწერილია გერმანულ ენაზე 1952 წლის დეკემბერში, ბერძენი მწერლის, ნიკოს კაზანძაკისისადმი გაგზავნილ ბარათში. ამ ლექსის შექმნის ისტორიას გრიგოლ რობაქიძე ასე იხსენებს: „ომის დროს სამყარო სარდაფად იყო ქცეული. ომის შემდეგ კი იგი ბანაკი გახდა. შეკითხვაზე, თუ რა აწუხებს დღევანდელ კაცობრიობას, მე ვუპასუხებდი: შინაგანი ჩაკეტილობა. მე მიწოდოდა ორფეოსისთვის

მიმემართა, ვისთვისაც განცხადდა შენ შენში, რათა ჩემი ღრმა გრძნობა გამომეხატა. ასე წარმოიშვა 1949 წელს ჩემი ჰიმნები ორფეოსისადმი“.⁶²⁴

პოეზიის მოყვარულებმა კარგად იციან, რომ ლექსი იბადება ღვთაებრივი გამოჩნატებით, სწორედ მაშინ, როდესაც პოეტი თითქმის გადადის სხვა სამყაროში, ეზიარება რაღაცას იდუმალსა და ახალს. ამ ზიარებას თან უნდა ახლდეს პოეტური სიტყვის გამოთქმის ხელოვნება, რომელსაც შეუძლია მკითხველშიც გამოიწვიოს ის ემოცია, რითაც სავსეა თავად შემოქმედი. აკ. ბაქრაძე „კარდუში“, გრიგოლ რობაქიძის ცხოვრებისა და ღვაწლისადმი მიძღვნილ წიგნში წერდა: „კრიტერიუმი, რომლითაც უნდა განვიხილოთ გრიგოლ რობაქიძის პოეზია, თვითონ დაგვიტოვა. 1953 წლის 3 მარტს იგი გიორგი გამყრელიძეს ბარათით უზიარებდა აზრს: ჩემთვის პირადად ყველაზე დიდი ლირიკოსი არის **საპფო**, ყოველი სიტყვა მისი გვხვდება გულში: გვხვდება ისე, რომ გიტოკავს, გიტოკავს ისე, რომ ამოვარდნას აპირებს. აპირებს ამოვარდნას, რომ სხვა გულს გადაეხსნას. აი, ლირიკოსი. სხვა საზომიც მაქვს პოეტისათვის: რამდენად ახალია მის მიერ ხილული სამყარო, რამდენად უნივერსალურია ეს სიახლე და რამდენადაა იგი ჩამოსხმული პოეტურად“.⁶²⁵ საგულისხმოა, რომ პოეტთა მრავალსაუკუნოვან და დიდებულ პლეადაში გრიგოლ რობაქიძე „ყველაზე დიდ ლირიკოსად“ აღიარებს ძვ.წ. VI საუკუნეში მოღვაწე მიტილენელ პოეტესა საპფოს, თუმცა იქვე დასძენს: „ვთქვი საპფოზე „ყველაზე დიდი ლირიკოსი“ – ეს არ ნიშნავს „ყველაზე დიდი პოეტი“. მისი შემოქმედების დახასიათებისას ნათელია, რომ მას მხედველობაში აქვს საყოველთაოდ ცნობილი ფრაგმენტი „ღმერთების ხვედრის მეჩვენება თანაზიარი“, რომელიც შემოგვინახა ფსევდოლონგინოსმა ტრაქტატში „ამაღლებულისათვის“ ამ სიტყვებით: „არა ხართ გაოცებულნი, თუ როგორ მიმართავს იგი [საპფო – ნ.ტ.] თითქოსდა შორით მყოფ სულსა თუ სხეულს, სმენას თუ ენას, თვალებსა თუ ფერს, ყოველივეს, რაც თითქოსდა განილტვა მისგან. ურთიერთსაწინააღმდეგო გრძნობათ რომ აერთებს, ის ერთდროულად თან იწვის, თან იყინება, ან გონი ერთმევა, თან ცნობას ეგება, თან სიკვდილის შიშით ძრწის, თან სიკვდილს ნატრობს, რათა თავისი განცდა ერთი რომელიმე გრძნობით კი არა, გრძნობათა ჰიდილით წარმოსახოს . . .“⁶²⁶. ცხადია, გრიგოლ რობაქიძეს კარგად ჰქონდა შესწავლილი ძველი ბერძნული ლირიკა და ის განმარტებანი, რომელნიც ლირიკოსთა გამოცემებს თან ახლდა, რამეთუ გავლენა ამ განმარტებებისა მის თუნდაც ზემოთ წარმოდგენილ ამონარიდში აშკარად იგრძნობა.

⁶²⁴ თ. მესხი. დიდი ხანძრის მემული ანარეკლი. თბილისი, 1966, გვ. 105-125.

⁶²⁵ აკ. ბაქრაძე. კარდუ ანუ გრიგოლ რობაქიძის ცხოვრება და ღვაწლი. თბილისი, 1999.

⁶²⁶ ფსევდო-ლონგინე. ამაღლებულისათვის. ძველი ბერძნულიდან თარგმნა, წინასიტყვაობა და კომენტარები დაურთო ბ. ბრეგვაძემ. თბილისი, 1975.

მიუხედავად ამ გავლენებისა ლექსებში, რომლებშიც ანტიკური სამყაროს მითოსური თუ ისტორიული ფიგურები იკითხებიან, საინტერესო და ორიგინალური პოეტური სახეები ჩნდებიან. ასეთია **პანი**, ტყის ღვთაება, პასტორალური ხასიათის ლექსში „მწყემსთა ღმერთი“. პოეტი რამდენიმე სტრიქონში მრისხანე და ხმაურიანი პანის თავსებურ სახეს ხატავს: ლექსში მოვლენათა სვლა იწყება „ფერნაცვალი ტყავიდან ნახევრად თავდახრილი“ გველით. რომელიც „თავს ზეწამოსწევს და გაშეშდება ხელმეორე გაჩენის წამთან“. აქ არ შეიძლება არ გავიხსენოთ რომანი „გველის პერანგი“, რომელზეც უკვე ვისაუბრეთ. ამ ლექსში, ისევე როგორც რომანში, ხელმეორე დაბადების იდეაა გამოკვეთილი, მაგრამ ეს ბოლო სტრიქონებში განცხადდება. მანამდე კი ცხენების რემას დააფრთხობს **პანის** ხარხარი:

„ამ დროს კორომებში გაისმის ხორხოცი,
ქუხილის მსგავსი,
ვაცისფებიან **პანისა** და სალი კლდის კედელი
ბუმერანგივით უკუტყორცნის ხარხარის ექოს
და მრისხანებით ატანილი ღმერთი ჩაიარს
... ჩაიგრუხუნებს ზღვის ტალღებზე გადაჭიმული
ქარიშხალი მწყემსების ღმერთის“.

„მწყემსთა ღმერთი“

ეს ლექსი დაწერილია გერმანულ ენაზე (იხ. გრიგოლ რობაქიძის არქივი N28775-80), ქართულად თარგმნეს ნ. კაკაბაძემ და ზ. ებანოიძემ. თარგმანი ისე იკითხება, თითქოს იგი ქართულად ყოფილიყო დაწერილი, რაც მთარგმნელთა მაღალ პროფესიონალიზმზე მეტყველებს.

პანის სახე, როგორც ჩანს, განსაკუთრებით მოსწონდა მითოფილ პოეტს. მისი სახელი სვადასხვა ლექსში იკითხება განსხვავებული ნიუანსებით:

„ზანტი ზმორებით იზნიქება მთვლემარე **პანი**“.
„ოთხფეხა ღმერთმა სადღაც რბენით გადიხითხითა“.

„პანი“

„მაგრამ **პანის** ჟამს ცნობ ყველაფერს ასე ფარსაკად“.

„ვასაკა“

„ღვთის სიახლოვით მეწამულნი: ვიწვით, ვითვრებით,
რახსებ-შებმული ტყდება **პანის** სპილენძის კევრი
და სიყვარულით ბნედას გვაყრის მზის ავი ტევრი“.

„დიდი შუადღე“

წერილში „ქართველ მწერლებს“ გრიგოლ რობაქიძე ქართულ სიტყვას *პანს* ადარებს, რომელიც იბადება „მძიმედ მთვლემარე“: „ . . . ხოლო გვაქვს კიდეც ისეთი რამ, რომლის სადარი ძვირად თუ სადმე მოიპოვება: ეს არის ქართული სიტყვა, პლასტიკური დაბადებით რომ იკვეთება, თავადური თავმდეები ამისა რუსთაველია. მზიანი საქართველო საიდუმლო უღელტეხილია აღმოსავლეთისა და დასავლეთის: ჩვენ ვიწვით აღმოსავლეთის ფიქრმორეული შუადლით, როცა მზის ღელეთა მარმაშში **პანი** იბადება მძიმედ მთვლემარე . . . “ („საქართველო“).

პანის მითოსურ სახეს იხსენებდა გრიგოლ რობაქიძე, როდესაც წერდა თავის სათქმელს მისთვის სათაყვანო ვაჟა-ფშაველას გარდაცვალებაზე. ძველბერძენ ავტორთა ჩინებულად მცოდნეს არ გამორჩენია პლუტარქოსის წერილი „რატომ სდუმან ორაკულები“ (თავი 17, „მორალიები“), სადაც მოთხრობილია პანის გარდაცვალების ამბავი. შემდეგ ეს ამბავი მრავალ ვერსიად გავრცელდა ელინოფილურ სამყაროში. ერთ-ერთის თანახმად, როდესაც ძველი ელადა ილუპებოდა, მეზღვაურს, რომელიც იტალიისკენ მიემართებოდა, ღამის სიბნელეში უცნაური ძახილი ესმა: „გარდაიცვალა დიადი პანი!“ ეს გამოთქმა დიდებულად მოარგო გრიგოლ რობაქიძემ თავის სათქმელს: „**ელინი** მხატვრის შემოქმედებითი ხედვა ფესვებამდე ფერს უცვლიდა სამყაროს. **გარდაიცვალა დიადი პანი!** – მოესმა ძველ დროში მოგზაურს და ეს ყვირილი დღემდე ბევრს ჩაესმის. მაგრამ ასეა ეს? არა: შეცდა ის, ვინც გაახშიანა ეს ბოროტი ხმა. **პანი** არ გარდაიცვალა, მას მხოლოდ სძინავს. და როგორც არ უნდა გაცდეს კაცობრიობის ფანტაზია, ამ უკანასკნელის ბევრ რჩეულში მაინც იგრძნობა **პანის** შუადლის სიმშვიდე, ზარდაცემამდე მომაკვდინებელი, თუმცა მჭვრეტელობით ცნობიერებაში **აპოლონის** მზიური ნიჭის – „შინაგანი ხედვის“ – მქონე ეს რჩეულები არიან შემოქმედნი. მათი შემოქმედებითი შეხებით სამყარო იცვლება და ჩვენც სხვაგვარად აღვიქვამთ ამ ცვალებადობას. სამყარო ჯერ ისევ საკსეა აზრით, ჯერ ისევ მშვენიერია ცხოვრება. დე, იყოს კურთხეული მიწა! – გვეუბნება შემოქმედის ყველა ქმნილება. ასეთ რჩეულებს შორის იყო აწ გარდაცვლილი პოეტი ვაჟა-ფშაველა. ჭეშმარიტად, მის შემოქმედებით პიროვნებაში იგრძნობოდა **მთვლემარე პანის** სუნთქვა.

გარდაიცვალა დიდი პოეტი, ფშაველის მდუმარე მთების მომღერალი. თუმც ვინც დააგემოვნა მისი ქმნილებების ნაყოფი, მან არ დაუჯერა ბოროტ ყვირილს, რომ მოხუცი **პანი** გარდაიცვალა“.

ეპიტაფიის ნაცვლად დაწერილ ამ ვრცელ წერილში (რომელიც შემოკლებით წარმოვადგინე) დიდი ქართველი პოეტის დაუვიწყარი სახეა დახატული. თითქოს რაღაცით პანსაც ჩამოჰგავს, არის სხვათაგან განსხვავებული, ბუნების შვილი, განმარტოების მოყვარე და მისნობის ნიჭით გამორჩეული, ესმის ყვავილთა, ხეთა,

მხეცთა და კაცთა ენა . . . მოხუცი პანი არ გარდაცვლილა – ამბობს მწერალი და მისი ეს სიტყვები დრომ დაამტკიცა: ის ცოცხალია თავისი შემოქმედებით! არც ქართული პოეზია ჩამონგრეულა, მას ახალი ფასეულობების ძიებათა ჟამი ედგა. იყო სიმრავლე პოეტების და ლექსთა ცვენა. ერთმანეთს ცვლიდნენ ახალი ლიტერატურული მიმდინარეობები: მოდერნიზმი, სიმბოლიზმი, დადაიზმი... მათი წარმომადგენლები ახალ ლიტერატურას ქმნიდნენ. უმნიშვნელოვანესი იყო „ცისფერყანწელთა“ წვლილი ქართული პოეზიის განვითარებაში. მართალია, ისინი აღიარებდნენ გრიგოლ რობაქიძეს თავიანთ წინამძღოლად, თუმც თავადაც დიდი გავლენა იქონიეს მასზე. პოეტები ერთმანეთსაც უძღვნიდნენ ლექსებს. აღსანიშნავია, რომ გრიგოლ რობაქიძის მიძღვნილი ხასიათის ლექსებშიც კი ძველბერძნული მითოსის პერსონაჟები ქმნიან მთავარ ფონს პოეტური პორტრეტისათვის. ვ. გაფრინდაშვილისადმი მიძღვნილ ლექსში პოეტის ფილოსოფიურობაზეა აქცენტი გადატანილი. ამის ნათელსაყოფად გრიგოლ რობაქიძე ახსენებს ცნობილ ბერძენ ფილოსოფოსს, ქურუმს, პოეტს – ემპედოკლეს:

შენ გესმის მუდამ ჯადოსანი ხმა შორეული,
სურნელოვანი შენში თითქოს ვიღაცა მოკლეს,
შიში აგიტანს, გადასძახებ ძველ ემპედოკლეს,
რომ სიტყვით შეკრა ეს ქვეყანა გადარეული.
„ვალერიან გაფრინდაშვილს“

პ. იაშვილის ბრწყინვალე პორტრეტი იკითხება ლექსში „ჯადოქარობით ეზიარე ირანელ დავრიშ“, სადაც „მზის მოთაყვანე“ პოეტი არის „ხან უცნაური, ქედმაღალი, ურჩი, თავნება“, რომელსაც, პოეზიაში „ბანდიტივით“ შემოჭრილს, უხდება კიდევ ჯამბაზური გაქანება; მან „უდარდო ხელით მოაბნია თვალ-მარგალიტი“ და მოწითურ რაშს მიაქანებს თეთრი რაინდი. ამ ზუსტად მორგებულ მეტაფორათა შორის არის კიდევ ერთი, რომელიც პაოლოს პორტრეტის გვირგვინია:

„გშვენის ყივილი და ნავარდი დაჭრილ კენტავრის“

კენტავრები, ბერძნული მითოსის გასაოცარი არსებები, მხატვრულ აზროვნებაში ველურ და დაუოკებელ ძალას განასახიერებენ. ისინი ულევ ენერგიას ფლობენ. ჩანს, ეს სიმბოლიკა განსაკუთრებით ხიბლავდა გრიგოლ რობაქიძეს. მის წარმოსახვაში ეს ველური არსებები ცივილიზაციას უპირისპირდებოდნენ („კარდუს“ ერთ ფრაგმენტს „კენტავრი“ ეწოდება; დრამაში „მალშტრემ“ ერთ-ერთ ქვეთავსაც ასეთივე სათაური აქვს). გრიგოლ რობაქიძემ თითქოს იწინასწარმეტყველა პაოლოს აღსასრული: მზის მოთაყვანე პოეტმა დაჭრილი კენტავრივით დატოვა სცენა.

გასაოცარი სიღრმითა და სინატიფით არის გამოკვეთილი ტიციან ტაბიძის სახე მისდამი მიძღვნილ ლექსში. გრიგოლ რობაქიძე ტიციანში გრძნობს ქურუმს, რომელსაც შეუძლია წარმოთქვას უძველესი ლოცვები, სონეტებით აამეტყველოს ძველი ქალდეა, წარმოთქვას სიტყვა საოცარი და საიდუმლო, რადგანაც იგი დიონისიურს აზიარა „გვართა მოირამ“:

„შენში იწვიან ძველ ქურუმთა ლოცვის თესლები,
ტკბილი სონეტი ესიტყვება გვართა **მოირას**,
ხსოვნას გილბოზენ **იზიდასი** შენ სარეცლები
ქალდეას სიზმარს რომ აგრძელებ ასე ზმორიანს.

...

ყივილით ისვრი საიდუმლო სიტყვას საოცარს,
არ შეგეშინდეს ძველი ცნობის: ბავშო ტიციან,
რომ **დიონისო** შენი ჩუმი ძმადნაფიცია“.

„ტიციან ტაბიძეს“

„მოირა“ ბედისწერის ქალღმერთია. მიძღვნის ავტორი დარწმუნებული იყო, რომ ლექსთა თხზვა ტიციანის ბედისწერა იყო ოდითგან, ქალდეას დასაბამიდან. ქალდეას თემა გრიგოლ რობაქიძისა და „ცისფერყანწელთა“ შემოქმედებაში აქცენტირებული იყო. ეს იყო წარსულის „მნემოსინე“, მისი აღორძინება. მართალია, არც წინამორბედი მწერლებისათვის ყოფილა უცხო წარსულისაკენ მიბრუნებისა და სიახლეთა ძიების ტენდენციები, მაგრამ მოდერნისტებმა ამ ტენდენციებს მითოსური სული შთაბერეს და უფრო იდუმალი გახადეს. ამის გამოძახილი იყო „ქალდეა“, როგორც დასაბამი ქართული ნაციონალური ცივილიზაციისა, ანუ „თაურწყარო“, რომელთანაც მიახლების სურვილი მარადიული სიზმარი იყო „ცისფერყანწელთა“ („ჩემში სტირიან წინაპართა ბრძენი მოგვები . . . ჩემი საფლავი ძველ ქალდეას იქნება მზეზე“ – წერდა ტიციან ტაბიძე) და მათი „თაურკარდინალისა“.

არც გრიგოლ რობაქიძე დარჩენილა მიძღვნითი ხასიათის ლექსების გარეშე. მის შესამკობად სიტყვებს არ იშურებდნენ ცისფერყანწელები და არამხოლოდ. პაოლო მას კარდინალად უხმოზდა:

„მე ტან-ანთებულ ფარშევანგებით
მოგართვი შვადლის **კარდინალობა**.

...

ატეხილია მიწა ზვიადი,
კენტავრის სირბილს „ლილლეს“ აყოლებ,
ატარებ როგორც **ალკივიადი**

ცხელ, გახურებულ დერიდახოლებს.
სჭრი ლექსებს მაგარ, რკინის ღვედებით

და გვაბარბაცებ სიტყვის შანთებით,
საქართველო კი გეიმედება
ირრუბაქიდის გადანათებით“.

ჩანს, კენტავრის სახე პაოლოსაც მოსწონდა. აქ ყველაფერი ცხადია: გრიგოლ რობაქიძის შემოქმედება ევროპულ და ქართულ ძირძველ ტრადიციათა შეთანასწორებაა, ის დერიდახოლების (მუზარადების) მატარებელი ალკივიადივით (ალკიბიადესი – სოკრატეს თანამედროვე სტრატეგოსი და საზოგადო მოღვაწე, განთქმული თავისი ნიჭითა და მშვენიერებით) ელეგანტურია, ხოლო მისი ლექსები – გამაოგნებელი. კარგად ხვდებოდა პაოლო, რომ გრიგოლ რობაქიძის ჩამოსვლა საქართველოში ქართული მწერლობის აღმავლობის საწინდარი იყო.

გრიგოლ რობაქიძე ქართულ პოეზიაში ევროპულ ტენდენციათა მესვეური იყო. მისი ღვაწლია ის, რომ ქართული ლექსი უფრო უნივერსალური, უფრო ემოციური, უფრო მელოდიური გახდა. მან განსაკუთრებული ყურადღება გადაიტანა პოეტური ქმნილების რიტმზე, აგებულებაზე, დაამკვიდრა სონეტი და რაც უმნიშვნელოვანესია: ქართულ ლექსს შესძინა მითოსოფიურობა, რასაც მიაღწია იმით, რომ მითოსური პერსონაჟები გაამდიდრა ახლებური შინაარსით. თითქმის მთელი მისი შემოქმედება აღსავსეა მითოლოგიური წიაღსვლებით და მათში განსაკუთრებული ადგილი ანტიკურ სამყაროს უკავია. თუ თვალს გადავავლებთ მის შემოქმედებას ამ კუთხით (იხ. classcaltradition.tsu.ge), დავრწმუნდებით, რომ ასეთი სიმრავლე მითიური, ისტორიული, ეთნოგრაფიული თუ სხვა სფეროთა რემინისცირებისა არცერთ სხვა შემოქმედთან (თვით გალაკტიონთანაც კი) არ დაიძებნება. ეს არ არის მხოლოდ მოხსენიება სახელებისა, რომელთაც საკუთარი სიმბოლიკა გააჩნიათ. გრიგოლ რობაქიძესთან ეს სიმბოლიკა ხშირად ახალი ფუნქციით იტვირთება, რაც კიდევ უფრო საინტერესოს ხდის თავად შემოქმედის მითოპოეტურ აზროვნებას.

გრიგოლ რობაქიძის მითოსური წარმოსახვებით შთაგონებული პოეზია ერთდროულად იყო ინტელექტუალურიცა და ექსპერიმენტულიც. ის მიიღო მისმა თანამედროვე შემოქმედებებმა აზრმა. სწორედ იმ პერიოდში, როდესაც იწერებოდა გრიგოლ რობაქიძის დრამები, იწერებოდა ლექსები „ახლებური გამონათებით“, სადაც ქართულმა ტრადიციამ დიდებულად შეითავსა ევროპული ესთეტიკაში:

„ამაყი ნება: თავადობის და შურის კერძი.

ლაღი თარეში: სილამაზის ეშხით შვებულები.
ხელმწიფებისთვის ოქროვანი კოლხეთის ვერძი
და სისხლის გმირის: შმაგი რიტმით ზარხომებული.

ტაძარი ოშკის: თეთრი ლოცვით ათოვლებული,
საშო ზმანების: ხან მყოფელი და ხან კი ბერწი,
სევდათა ვაზის ცრემლიანი მოჭრილი ლერწი
და ცხელი ჯვარი: ნინოს თმებით განათებული.

მე მიყვარს შენი გამოხედვა ძველი, მესხური,
მზის სინათლეში შოთას სიტყვით რომ მოესხურა,
მაგრამ ხედავდე: სააკაძე ლანდივით მოდის:

უცხო შორეთის სიყვარულით პირგამეხილი,
და უცდის გმირი: გამთელდება ნეტავ თუ ოდეს,
შენს უნდო მკერდში მისი ხმალი გადატეხილი.
„საქართველოს“

სამშობლოს სიყვარულის განცდით დაწერილ ამ ბრწყინვალე სონეტში პოეტური ვირტუოზულობით არის დახატული საქართველოს ისტორია მოყოლებული კოლხეთიდან (ოქროს ვერძი) თანამედროვეობამდე მთავარი მოვლენების აქცენტირებით. საოცარ ემოციას იწვევს სტრიქონი „სევდათა ვაზის ცრემლიანი მოჭრილი ლერწი“, რაც, ალბათ, სწორედ ზეციდან წამოსულ ზეშთაგონებით არის დაწერილი. ასეთი ზეშთაგონება გრიგოლ რობაქიძეს ხშირად სწვევია, რამეთუ მის ლექსებში იხსნება პოეტური სულის საკრალური დარანები. „მეხსიერების საოცარი ნიჭი, ანუ გარდასულის ფლობის უნარი, საკუთარი „გენეტიკური“ ისტორიის სულის საკუთრებად ქცევა – აი, ყოველივე ის, რასაც გრიგოლ რობაქიძე თავისი შემოქმედების უმყარეს საძირკვლად იაზრებდა. . .

თუმცა, რა უნივერსალურიც არ უნდა ყოფილიყო მისი ინტერესების სფერო, მთავარი მისთვის მაინც, ქართული სულიერი კულტურის გადარჩენა და შემდგომი აღორძინება იყო.

მწუხარე ქარტეხილებით დამძიმებული ცხოვრება გრიგოლ რობაქიძისა წარმოადგენდა დაულალავ ღწვას დაკარგული სამშობლოს სულიერი და ზნეობრივი პოტენციის მხატვრულ სახეებში რესტავრაციისა და მხოლოდ ამგვარი განფენისა. . .

მისი საკრალური ხატის რომანტიზაციისა და სამყაროს უმაღლეს ადამიანურ ღირებულებათა სივრცეში მისი დამკვიდრებისა“.⁶²⁷

გალაკტიონ ტაბიძე (1891-1959)

ნანა ტონია

გალაკტიონ ტაბიძემ ლექსების პირველი კრებული („ლექსები“) თბილისში 1914 წელს გამოაქვეყნა და იმთავითვე დიდი მოწონება დაიმსახურა. ხოლო 1919 წელს გამოცემული „არტისტიული ყვავილებით“ მან „პოეტთა მეფის“ სახელი დაიმკვიდრა.

გალაკტიონის შემოსვლა პოეზიის სამყაროში დაემთხვა პერიოდს, როდესაც ლირიკაში ბატონობდა აკაკი წერეთლის ავტორიტეტი. გალაკტიონის თაობამ შეძლო ახალი თემებისა და სახეების შემოტანით ქართული მხატვრული აზრის გამდიდრება. ამ თაობის წარმომადგენლები განათლებას იღებდნენ პეტერბურგსა და ევროპის დიდი ქალაქების უნივერსიტეტებში. სამშობლოში დაბრუნებულები კი იღვწოდნენ ქართული ლიტერატურისა და შემოქმედებითი აზრის განახლებისთვის.

გალაკტიონის პოეზიაზე დიდი იყო რუს და ფრანგ სიმბოლისტთა გავლენა, თუმცა მან დიდებულად შეძლო ამ გავლენების ქართულ პოეტურ ტრადიციასთან შეთანასწორება. ფრანგი პარნასელები, სიმბოლისტები და იმპრესიონისტები აღიარებდნენ ანტიკურობას როგორც ნიმუშსა და ეტალონს. შესაბამისად, გალაკტიონისთვისაც ანტიკური მითოლოგია და პოეზია იქცა შთაგონების წყაროდ. სწორედ ამიტომ მის შემოქმედებაში ესოდენ ჭარბობს ანტიკური მითოლოგიური და ისტორიული ფიგურების პოეტური რემინისცენციები.⁶²⁸

გალაკტიონის ეპოქაში მოდერნისტებისა და სიმბოლისტებისათვის ხელოვნება იყო ბედისწერა. მათი სიცოცხლის არსს წარმოადგენდა შემოქმედება და ამ შემოქმედების საფუძველს – ანტიკური სამყარო. ეს იყო შემოქმედებითი ძიებებით სავსე პერიოდი, როდესაც ქართულ პოეზიაში ერთდროულად თანაარსებობდნენ ისეთი მიმართულებები, როგორიც არის პარნასული ნეოკლასიციზმი,

⁶²⁷ გ. ბენაშვილი. გრიგოლ რობაქიძე – ეროვნული ფესვების მამიებელი ფაუსტი. კრიტერიუმი. № 2, 2005, გვ. 22-25.

⁶²⁸ წინდაწინ უნდა აღვნიშნო, რომ 1995 წელს დაიბეჭდა ქეთევან გარდაფხაძის ფუნდამენტური გამოკვლევა სახელწოდებით „ანტიკური ტერმინები და ცნებები გალაკტიონის პოეტურ ენაში“, სადაც წარმოდგენილია ამონარიდები ყველა იმ ტექსტიდან, რომელიც უკავშირდება ანტიკურობას. ამონარიდებს თან ახლავს შესაბამისი განმარტებანი. წარმოდგენილ წერილში ვითვალისწინებ მხოლოდ ნაწილს იმ რეცეფციებისა, რაც მოითხოვა ჩემმა კვლევამ.

იმპრესიონიზმი და სიმბოლიზმი. სიმბოლისტები (გალაკტიონ ტაბიძე, ტიციან ტაბიძე, ვალერიან გაფრინდაშვილი, გიორგი ლეონიძე) ცდილობდნენ ახლებურად აემეტყველებინათ ქართული ენა, რაც შეიძლება მეტად ჩასწვდომოდნენ მის ინტუიტიურ, **დიონისურ** ქვეცნობიერს. გალაკტიონი თავის შედეგად აღიარებულ ლექსში „მარმარილო“⁶²⁹ წერდა:

„აჰყვე ვარდისფერ საფეხურებს და აჰყვე ისე,
რომ შენს წინ სხივზე ლანდად იდგეს ყმა **დიონისე**,
გრძნობდე, რომ ისევ უკვდავია თქვენი მსგავსება:
ერთნაირ სულში ერთნაირი მზის მოთავსება,
ერთგვარი სახე, ერთი ცეცხლი და სითამამე. . .
ოჰ, რამდენია, რამდენია ასეთი რამე!

. . .

აჰყვე ოცნებით მარმარილოს თლილ საფეხურებს,
სადაც ყოველმხრით **პრაქსიტელის** თვალით გიყურებს,
ცა სიყვარულის და სიცოცხლის ძვირფასი თასი.
და ყოფნა ასე, მოლანდება ასი ათასი,
რომ შენს გვირგვინზე წაშლილია შავი ნაპრალი. . .
ოჰ, რამდენია, რამდენია ამგვარად მთვრალი!“

„მარმარილო“

გალაკტიონი ამბობს იმას, რასაც განიცდის. ის გრძნობს, რომ ემსგავსება ყრმა დიონისეს, რომ უკვდავია ეს მსგავსება, რადგან მათ სულში ერთნაირი მზე იწვის ცეცხლად. მომდევნო სტრიქონებში ის მარმარილოს და პრაქსიტელეს (პრაქსიტელს) ახსენებს და ბუნებრივია, რჩება შთაბეჭდილება, რომ მას ნანახი აქვს პრაქსიტელესის ცნობილი ქანდაკება „ჰერმესი ყრმა დიონისეთი“, ან წაუკითხავს მის შესახებ; შესაძლოა, სულაც არ უნახავს ქანდაკება, რადგანაც ლექსში მინიშნებაც კი არ არის ჰერმესის თაობაზე. არადა ეს ღვთაება მთელი სხეულით არის გამოქანდაკებული, თანაც დიდებული ოსტატობით. მრავალი ვარაუდი შეიძლება გამოითქვას იმის თაობაზე, თუ რამ შთააგონა გალაკტიონს ამ ლექსის დაწერა. ერთი რამ არის მთავარი; მას სულაც არ აინტერესებდა ამ შემთხვევაში ჰერმესი, მას ხიბლავდა დიონისური სტიქია, რომელსაც ამკვიდრებდნენ მოდერნიზმის იდეოლოგები. გრიგოლ რობაქიძე, რომელიც თავის ესსეებსა და ორატორულ

⁶²⁹ ამონარიდებს წარმოვადგენ წიგნიდან: გ. ტაბიძე. თხზულებანი თორმეტ ტომად. თბილისი, 1966-1974.

გამოსვლებში მუდამ საუბრობდა დასავლური ლიტერატურის კორიფეებზე, ქართული ლიტერატურის განახლების პრობლემებზე, იმავდროულად იყო ფრიდრიხ ნიცშეს ფილოსოფიის მქადაგებელი. ქართულმა მწერლობამ დიდი აღფრთოვანებით მიიღო ნიცშეანური იდეები, განსაკუთრებით კი მისი სიცოცხლის ფილოსოფია და ელინური ესთეტიზმის თეორია. 1918 წელს გალაკტიონი მოსკოვში მიემგზავრება, სადაც თარგმნის ნიცშეს თხზულებებს.⁶³⁰ საინტერესოა, რომ თავის სტატიებსა და დღიურებში ის ხშირად მოიხსენიებს ნიცშეს. მაგრამ დავუბრუნდეთ პოეზიას. როგორც ჩანს, გალაკტიონს განსაკუთრებით ხიბლავდა საკუთარი თავის დიონისური სახეობა. ეს კარგად ჩანს ლექსში „ცისფერი“, რომელშიც პოეტი თავის პორტრეტს ხატავს. მან იცის, რომ შეუძლია „მძიმე ოცნების ცაზე ატანა“ და რომ „მელანქოლიის ამ აკლდამაში ბედმა დიდება გამოატანა“. მკითხველისთვის რომ ცხადი გახადოს, თუ ვისი „სული იწვება ხილვის ტაროსზე“, გალაკტიონი აშკარად აიგივებს თავს დიონისესთან და მის სახელთან საკუთარ სახელსაც წერს. ეს არ არის მხოლოდ გასართმად მოგონილი სტრიქონები, პოეტს სჯეროდა, რომ მასში იყო რაღაც დიონისური, სტიქიური, შეშლილობასთან წილნაყარი. დიონისესაც ხომ მოსწყინდა დედამიწაზე ხეტიალი და ცად აღზევდა: პოეტი ასე წარმოადგენს თავის სულიერ მდგომარეობას:

„ვიცი: სამყარო მას მოსწყინდება,
დარჩება ხსოვნა ყოფნას, დიონისს,
და იშვიათად თუ მობრწყინდება
სხვა საუკუნე გალაკტიონის“.

„ცისფერი“

შემდეგ სტრიქონებში გალაკტიონ-დიონისეს ანგელოსები ჯვარზე გაკრულ ქრისტესთან გააიგივებენ და ამ შემთხვევაშიც ნიცშეანური ცოდნის კვალი სრულიად ნათელი შეიქნება გაცნობიერებული მკითხველისათვის. ნიცშეს იდეები მასაზრდოებელი იყო ახალგაზრდა ქართველი შემოქმედებისათვის. 1917 წელს დაიბეჭდა გრიგოლ რობაქიძის „დიონისოს კულტი და საქართველო“ (გაზეთი „საქართველო“), ხოლო მოგვიანებით კონსტანტინე გამსახურდიამ გამოაქვეყნა „ტრადედიის წარმოშობა მისტიკის სულიდან“ („ილიონი“, 1922, N3). სწორედ კონსტანტინე გამსახურდია უწოდებს ნიცშეს „ჯვარცმულ დიონისოს“ და ამ ხატს გალაკტიონი საკუთარ პორტრეტს მიუსადაგებს.

⁶³⁰ მ. ცეცხლაძე. ფრიდრიხ ნიცშეს ტრაგიკული ხელოვნების კონცეფცია – გალაკტიონისეული რეცეფციის კრიტიკა. სპეკალი. 13. 2019.

დიონისეს სახელს გალაკტიონი სხვა ლექსებშიც მოიხსენიებს და ყველგან საკუთარ თავში დიონისეს ეძიებს. პოეტი მუდამ გრძნობდა უაღრესობას და სიდიადეს. ამიტომ წერდა:

„სხვები ჩხავიან, როგორც ყვავები,
ვერ გრძნობენ, რაა კარგი, ფაქიზი.
არის განსხვავება:
ორი ღიმილი ორთა ბაგეზე.
(ვარიანტი: გალაკტიონ ტაბიძე და გრიგოლ რობაქიძე)
პირველში ფანტასტი მეტია,
მეორეში ნაკლები.
პირველი პოეტია,
მეორე – სპექტაკლები.
ეზმანება რა დიონისე,
(ვარიანტი: გრიგოლს ეზმანება ისევ დიონისე)
სხვაა მოჩვენება გალაკტიონისა,
მას ვით არ სმენია
დიდება მარადი
და ქართლის გენია“.

„სხვები ჩხავიან, როგორც ყვავები“

როგორც ცნობილია,⁶³¹ ლექსი ეძღვნება გრიგოლ რობაქიძეს, რომელსაც გალაკტიონზე, ისევე როგორც სხვა პოეტებსა და მწერლებზე, დიდი გავლენა უნდა მოეხდინა, თუმცა ტრადიციონალისტები მას ხშირად აკრიტიკებდნენ, ზოგჯერ ეს კრიტიკა სამართლიანიც იყო.⁶³² მართალია, 1921 წლამდე გრიგოლ რობაქიძე ქართული მოდერნიზმის მთავარი იდეოლოგი იყო, მაგრამ დემოკრატიული საქართველოს დამხობის შემდეგ მთელ „ცისფერ ორდენთან“ ერთად იგი რუსულ ხელისუფლებასთან თანამშრომლობის მომხრე შეიქნა. გალაკტიონი არ ირიცხებოდა „ცისფერყანწელთა“ პლეადაში; ის ვერ ეგუებოდა ისეთ აღიარებულ პოეტებს, როგორებიც იყვნენ პაოლო, ტიციანი, კოლაუ, ვალერიან გაფრინდაშვილი, განუდგა იოსებ გრიშაშვილსაც, რომელთანაც მეგობრობდა და ლექსებსაც უძღვნიდა. და მაინც, ძნელი სათქმელია, ვის გულისხმობდა იგი, როდესაც წერდა: „სხვები ჩხავიან,

⁶³¹ ქ. გარდაფხაძე. ანტიკური ტერმინები და ცნებები გალაკტიონის პოეტურ ენაში. თბილისი, 1995, გვ. 54.

⁶³² ს. სიგუა. მოდერნიზმი. თბილისი, 2008, გვ. 138-141.

როგორც ყვავები, ვერ გრძნობენ, რაა კარგი, ფაქიზი. . .“. თუმცა იქვე მიანიშნებდა რომ არსებობს „ორი ღიმილი ორთა ბაგეზე“ და ამ შემთხვევაში კი ნამდვილად საკუთარი თავი და გრიგოლ რობაქიძე უნდა ეგულისხმა. მომდევნო სტრიქონები ამ აზრს აკონკრეტებენ: თავად პოეტია, რამეთუ მასში „ფანტასტი“ მეტია, ხოლო მეორე დრამატურგია, სპექტაკლების შემოქმედი. აქ აუცილებლად უნდა გავიხსენოთ, რომ გრიგოლ რობაქიძე დროთა განმავლობაში დრამატურგად ჩამოყალიბდა. კ. მარჯანიშვილმა დადგა „ლონდა“, რომელსაც დიდი წარმატება მოჰყვა. კ. გამსახურდიამ (რომელიც მოდერნიზმის კონცეფციის შემოქმედი იყო და რომელსაც მოსწონდა ეს დრამა), გრიგოლ რობაქიძესთან პაექრობის სურვილით 1925 წელს გამოსცა „დიონისოს ღიმილი“. ამ რომანის საპირწონედ დაიწერა გრიგოლ რობაქიძის „გველის პერანგი“. მოკლედ, მოდერნისტების ბრწყინვალე პლეადაში იყო შემოქმედებითი პაექრობა, რომელსაც ერთიანად ფარავდა ნაციონალური იდეის უაღრესობა. ეს ვრცელი წიაღსვლა მოვიშველიე გალაკტიონის ამ მცირე მოცულობის ლექსის დასარულის ასახსნელად. პოეტი მიიჩნევს, რომ მართალია, სცენიდან შესაძლოა ისმოდეს სამშობლოს სიყვარულის მაუწყებელი ხმა გრიგოლ რობაქიძისა, მაგრამ მისი მოჩვენება, მისი ქვეცნობიერი (დიონისური) სულ სხვაა, რამეთუ მასშია „ქართლის გენია, დიდება მარადი“.

გალაკტიონის შემოქმედებაში გარდა იმ ფრაგმენტებისა, სადაც დიონისეა ნახსენები („ფარდების შრიალი“; „ბუნება მოქანდაკეა“, ერთ-ერთი ვერსია; „ელვარე და ლომფერი“, ერთ-ერთი ვერსია), გვხვდება დიონისეს მითთან დაკავშირებული სხვა ცნებებიც, ისეთი, როგორიც არის „მენადები“ („გოტიეს“), „ბახუსი“ („პუშკინი პარიზში“), „დიონისობა“ („ჩვენი ჟურნალი“) და სხვა, რაც იმაზე მიგვანიშნებს, თუ რაოდენ კარგად იცოდა გალაკტიონმა დიონისეს, როგორც ღვთაების არსი. მის პოეტურ სულს იზიდავდა დიონისური თავისუფლება, ნებას მიშვებული არსებობა, „შვება უჩვეულო“. ყურადღებას იპყრობს ამ განცდის შეგრძნება ლექსში „ფარდების შრიალი“: გალაკტიონი ჩუმად შლის რვეულებს, შუალამეა: მას არ ასვენებს „ველური ფიქრი ბასრი ბრჭყალებით, ის შემლილია, გარეთ მაისია, დაჰქრის დიონისეს შვება უჩვეულო“. . . ამ პერიფრაზში ბევრი რამ აკავშირებს პოეტს დიონისესთან, რაც განსაკუთრებით თვალში საცემია: ის შემლილია, როგორც ველური ღვთაება, რომელსაც თან სდევს „შვება უჩვეულო“. ეს რიტუალური განცდაა, შესაძლოა, პოეტს არც კი უფიქრია აღეწერა ის რიტუალი, რაც დიონისიების დროს ტარდებოდა, მაგრამ მისი შემლილი სული მაისის სიბნელეში ველური ფიქრით გრძნობს დიონისეს. „დიდი დიონისიები“ ანუ ქალაქის დიონისიები, ყველაზე ცნობილი და მასშტაბური, სწორედ გაზაფხულის

დადგომისას ტარდებოდა ძველ საბერძნეთში. ეს, ალბათ, იცოდა გალაკტიონმა და ამიტომ წერდა:

„ნელ ნაბიჯს შავი მიაპარებს -
იდუმალეზა,
სადაც ბავშვური ძალით სძინავს
ჩემს ანგელოს დას
(ჩემს მოგონებებს, პოეზიას!)
სურს მოიტაცოს **გაზაფხული!**
შეხედეთ, თურმე, სად მალავდა
ველური ფიქრი
თავის ბასრ ბრწყალებს,
მე შეიძლება შეშლილი ვარ. . .
. . . გარეთ მაისია,
და ჰერის **დიონისეს**
შვება უჩვეულო.“

„ვარდების შრიალი“

გასაოცარია, როგორი სინატიფით, როგორი სიფრთხილით, როგორი განცდით ხატავს თავის დიონისურ შეშლილობას გალაკტიონი, „ნიჭთა მლოცვარი“, რომელიც ხედავს ორფოსს, ნიმფას, დიონისესა და ძველი ბერძნული მითოსის მთელ გალერეას („**ბუნება მოქანდაკეა**“). მართალია გალაკტიონთან ხშირია ანტიკური სამყაროს მითოსურ თუ ისტორიულ პირთა პოეტურ სახეებად წარმოდგენის შემთხვევები, მაგრამ ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ იგი არასოდეს დაჰპირისპირებია ქრისტიანულ მსოფლალქმას. საქართველო წმინდა მარიამის წილხვედრი ქვეყანაა და ყველაზე სულისშემძვრელი საგალობელი სწორედ გალაკტიონმა აღუვლინა ღვთაების დედას („**სილაჟვარდე ანუ ვარდი სილაში**“ 1917 წ.). არც თავად მაცხოვარი დავიწყებია გენიალურ შემოქმედს, საოცარია პოეტის განწირული ხმა, როდესაც უსაშველოა მისი სულიერი მდგომარეობა:

„სიმკაცრით შემხედავს საშვენი
თვალები შეკრული კამარის:
ჯვარს ეცვი, თუ გინდა! საშველი
არ არის, არ არის, არ არის!“

„შემოდგომა „უმანკო ჩანასახების“ მამათა სავანეში“

და მაინც, თუ დაკვირვებით თვალს გადავავლებთ გალაკტიონის შემოქმედებას, აშკარად შევნიშნავთ, როგორ მოსწონს მას ყველაფერი, რაც ანტიკურ სამყაროს აგონებს: „ელადა, ელადა! აქ სული ატარებს თავის მსუბუქ სამოსელს“ („შიშველი“) იტყვის იგი და ყველაფერი ნათელი ხდება. მის სამყაროში შემოდიან ძველი დროის დიდებული მგოსნები თავიანთი პოეტური სახეებით, პიროვნებები, რომლებიც ქმნიდნენ ამ სამყაროს და, რა თქმა უნდა, მითოსური პერსონაჟები, ტაძრები, ქანდაკებები და ყოველივე ის, რასაც შეედლო პოეტის სულის გასხივოსნება. პროფესორ ქ. გარდაფხაძის დასახელებულ კვლევას თან ერთვის „ანტიკურ ტერმინთა სიხშირის ლექსიკონი (V თავი) და ლექსიკო-სტატისტიკური შენიშვნები“ (VI თავი). მკვლევრის გამოთვლით გალაკტიონის პოეზიაში ანტიკურობასთან დაკავშირებული 142 ტერმინის 300-მდე გამოყენების შემთხვევაა დადასტურებული. სიხშირის თვალსაზრისით ყველაზე მრავლად „კოლხიდა“ და მასთან დაკავშირებული ტერმინები („ფაზისი“, „ოქროს საწმისი“, „არგონავტები“, „მედეა“) გვხვდება და ეს სავსებით გასაგებია ყველა იმ მკითხველისათვის, ვინც იცის არგონავტების ლაშქრობისა და მის გმირებთან დაკავშირებული ამბები.

შევცედები ჩემს წერილში სამი თემა გამოვყო:

- I. გალაკტიონის ნარატული პოეზია ანტიკურ თემებზე;
- II. გალაკტიონი და ანტიკური სამყაროს სიმბოლიკა;
- III. გალაკტიონი და რითმა ანტიკური სახეების მოშველიებით.

I. გალაკტიონის ნარატული პოეზია

1. „საუბარი ლირიკის შესახებ“

ეს პოემა დაიწერა 1940 წელს და მას წინ უძღოდა პროზაული ვერსია სახელწოდებით „ლირიკა“, რომლის გაცნობაც შესაძლებელია გალაკტიონ ტაბიძის თხზულებათა თორმეტტომეულის XII ტომში. როდესაც გალაკტიონი ამ პოემას ქმნიდა, დრო იყო ისეთი, რომ ლირიკას აღარავინ კითხულობდა. ჯერ კიდევ 1929 წელს იოსებ გრიშაშვილი ლექსში „საუბარი ასოთამწყობთან ჩემი წიგნის დაბეჭდვის დროს“ წერდა: ლექსი მოძველდა. . . და ამას გარდა/ არ ფასობს წმინდა ლირიკა“. მოგვიანებით, 1932 წელს, ალ. აბაშელი დაწერს:

„დროს არ უნდა იდილია, -
ლირიკული თრთოლა,
როცა ირგვლივ გაშლილია
გიგანტური ბრძოლა“.

ლირიკის შესახებ ამ მოსაზრებებს იმ დროის მრავალი პოეტი იზიარებდა, რასაც, ალბათ, ვერასდროს დაეთანხმებოდა გალაკტიონი, ჭეშმარიტი მეფე პოეზიისა. როგორც ჩანს, სწორედ ამ განწყობათა პასუხად დაიწერა მისი ტრაქტატი პოეზიის შესახებ. მასში მრავალი მოსაზრებაა გამოთქმული, გალაკტიონი მიმოიხილავს როგორც დასავლურ, ასევე ქართულ ლირიკას. მისი ზუსტი შენიშვნით, როგორც კი ადამიანს გაუჩნდა „გრძნობა და აზრი“ იმავე წამიდან გაჩნდა ლირიკა, რომელიც ხალხმა შეიყვარა, რამეთუ ლირიკა ფლობდა მაგიურ ძალას და განმასახიერებელი ამ მაგიურობისა იყო ორფეოსი (ორთეოსი – გალაკტიონისეული გამოთქმით):

„ორთეოსს ხალხი მიაწერდა მაგიურ ძალას,
ის სიმღერებით სძრავდა კლდეებს, ტყესა და ჭაღას,
აჯადოებდა თვით უგულოთ, ღმერთებს ძლიერებს,
ლირიკა მისი მხეცებსაც კი ათვინიერებს“.

(X II)

ამ სტრიქონებში ლეგენდარული მგოსნის, ორთეოსის (ორფეოსის) პოეტური სახე იგივეობრივია ოვიდიუსის „მეტამორფოზებში“ წარმოდგენილი სახისა. ოვიდიუსის ხსენებას ჩვენ გალაკტიონის სხვა ლექსებშიც ვხვდებით, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ იგი რომაული ლიტერატურის ამ ბრწყინვალე წარმომადგენელს არა თუ იცნობდა (შდრ.: „ვით არ მიყვარდეს სამშობლო ჩემი“, „ვარდები“), არამედ თარგმნიდა კიდევ (შდრ.: „ის წაიყვანა ოცნებამ მისმა“; პოემა „მწყემსი“). გალაკტიონი ორფეოსის იმეორებს ერთსა და იმავე ფრაზას, როდესაც იგონებს ახალგაზრდობის წლებს; პირველად პოემა „მწყემსის“ ერთ-ერთ ვერსიაში; შემდეგ კი ლექსში „ის წაიყვანა ოცნებამ მისმა“:

„ის სიყმაწვილე აღარ მოვიდეს,
დროთა სიავეს მიაქვს ფაფარი, -
ერთად ვთარგმნიდით მაშინ ოვიდეს,
შენ წიგნი გქონდა და წინსაფარი“
„ის წაიყვანა ოცნებამ მისმა“

საინტერესოა, ვისთან ერთად თარგმნიდა ოვიდიუსს (სავარაუდოა „მეტამორფოზებს“) გალაკტიონი. პოემა „მწყემსის“ ერთ-ერთ ვერსიას აქვს წარწერა: იოსებ გრიშაშვილს. ცნობილია, რომ გალაკტიონი და გრიშაშვილი მართლაც მეგობრობდნენ და შესაძლოა, თარგმნიდნენ კიდევ ოვიდიუსს (ოვიდეს).

აღსანიშნავია ისიც, რომ ოვიდიუსის „მეტამორფოზების“ პროზაული ვარიანტი, თავისუფალი თარგმანი, შესრულებული ჰქონია ალ. მიქაბერიძეს (1866-1943 წწ.), იმ დროის ცნობილ მოღვაწეს, რომელსაც განუხორციელებია კიდევ მისი გამოცემა 1923 წელს.

როგორც აღვნიშნე, ტრაქტატში თითქმის მთელი ლირიკული პოეზიაა წარმოდგენილი. ჩემი წერილის სპეციფიკიდან გამომდინარე მე შევეხები პოემის იმ ნაწილს, სადაც გალაკტიონი ანტიკური ლირიკის წარმომადგენლებზე საუბრობს. შთამბეჭდავია სტრიქონები, სადაც ძველბერძნული ლირიკის მამამთავრად დასახელებულია პოეტი არქილოქოსი (არხილოს) მთელი იმ ინფორმაციით, რასაც ბევრი არაფერი შემატებია დღემდე:

„თვით ლირიული პოეზიის მამამთავარი
იყო არხილოს,
მას იამბებით ემხრობოდა ჩანგის აწყობა,
ვერ აიტანა რა ღირსების შეურაცხყოფა. . .
ვიგონებთ როგორც გარდასული დროით და ჟამით,
დაფარულ ძალას ატარებდა ლირიკის შხამი!“
(XLIV)

ამ სტრიქონებით გალაკტიონი მიაწვდის არქილოქოსის ბიოგრაფიის იმ მონაკვეთზე, როდესაც მან ისურვა რა დაქორწინება, უარი მიიღო ქალიშვილის მამისგან, რასაც მოჰყვა დამცინავი და განმაქიქებელი ლექსები, იამბები – „ლირიკის შხამი“. უფრო მოკლედ და უფრო პოეტურად ამ ცხოვრებისეული ამბის აღწერა წარმოუდგენელია, მაგრამ გალაკტიონს ეს შეეძლო. არქილოქოსი ამ პოემის მცირე მონაკვეთში სამი შტრიხით არის დახასიათებული: მისი სახელით იწყება ლირიკის („პიროვნების გამოღვიძების“) ისტორია; ის წერდა იამბებს და მისი იამბები იყო „შხამიანი“.

ძველი საბერძნეთის ისტორიის და ლიტერატურული პროცესების ცოდნით არის დაწერილი მომდევნო სტრიქონები, სადაც წარმოდგენილია სპარტელთა და მესენიელთა ბრძოლის ის ეპიზოდი, როდესაც სპარტელებმა „ტირტეოსის (ტირტეს) მგზნებარე სიმღერებით“ გაიმარჯვეს:

„ტირტეს მგზნებარე სიმღერების სძლიეს წყალობით,
პოეტი ჰკრეფდა თავის ჩანგის დაუმცხრალობით

ხალხის საომარ ენერგიას და ნებისყოფას“.

(XLVI)

ისტორიული წიაღსვლით გვიხატავს გალაკტიონი სახელოვანი ათენელი პოეტის, ფილოსოფოსისა და კანონმდებლის სოლონის სახეს. შთაბეჭდილება რჩება, თითქოს ქართველ პოეტს დიდი ბერძენი მოღვაწის ბიოგრაფია სრულად ჰქონდა გაცნობიერებული და მისმა პოეტურმა გენიამ სულ რამდენიმე სტრიქონში მოახერხა მისი ცხოვრების აღწერა:

„... და ჩვენამდეც კი მოაღწია
ელეგიებმა, რომელშიაც **სოლონი** ხვევდა
ფილოსოფიურ, სოციალურ შეხედვით სევდას,
თავის კანონებს, ძეგლისდებას, წერილს, ბრძანებას -
ლექსს უკავშირებს პოეზიის ახმოვანებას“.

(XLIX)

უნდა აღინიშნოს, რომ გალაკტიონის პოემა „საუბარი ლირიკის შესახებ“ დაწერილია პატრიოტული სულისკვეთებით. საკმაოდ ვრცელი პროლოგის დასკვნა ასეთია:

„და ჩვენ პოეტებს ხალხთან ერთად ვით არ გვახსოვდეს,
რომ ჩვენს სამშობლოს ვემსახუროთ, ვით არასოდეს!“

(XXXVII)

კიდევ მრავალი სტრიქონი ეძღვნება სამშობლოს სიყვარულის განცდას და ბერძნული ლირიკის წარმომადგენელთა პოეტური სახეებიც ამ განცდით არის შერჩეული. ეს განსაკუთრებით საგრძნობია სიმონიდეს კეოსელის პორტრეტის აღწერისას:

„სამშობლოსადმი სიყვარულსა და მის დიდებას
მღეროდა მძაფრი პოეზია **სიმონიდისა**
და მერე როგორ!“

(L)

ცნობილია, რომ სიმონიდესი წერდა ეპიტაფიებსაც. ერთ-ერთმა ეპიტაფიამ ჩვენამდეც მოაღწია, რომლის პოეტური თარგმანიც უპირველესად გაგვაცნო გალაკტიონმა. მართალია, ძველი ბერძნული მან არ იცოდა, მაგრამ მისი

მეგობრების (ალბათ, უნივერსიტეტის კლასიკური ფილოლოგიის კათედრის პროფესორ-მასწავლებელთა) დახმარებით მან ამ ეპიტაფიის ბრწყინვალე თარგმანი შემოგვთავაზა. ეპიტაფია ეძღვნება თერმოპილესთან დაღუპულ გმირებს:

„ლაკედემონელთ ამცნე მგზავრო,

და გადაეცით:

ყველა ერთგულნი სამშობლოს

ჩვენ აქ დავეცით!“

(LII)

გალაკტიონი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ძველი ელადის ლირიკა იყო „ეროვნული და სადა“.

და ბოლოს, ის ახსენებს დიდებულ პინდაროსს (პინდარს), რომელსაც ყველაზე მეტ სტრიქონს უძღვნის, უწოდებს „საოცარს“, „უბრწყინვალესს“:

„რა ძლიერია უბრალობით ქნარი იმდარი,

რა საოცარი ხმით მღეროდა მაშინ პინდარი“.

(LIII)

„გენიის კართან მოწოდების მგრგვინავ ზარებთან

პოეტის ჩანგი არასოდეს არ მდუმარებდა. . .“

(LV)

პინდაროსის შემოქმედებამ ვრცლად მოაღწია ჩვენამდე. მისი პოეზია ერთიანად ეძღვნება გამარჯვებულებს, სულერთია, სპორტულ ასპარეზობებზე თუ ზოგადად, ბრძოლებში გამარჯვებულებს. მიძღვნილი ხასიათის ამ ოდებში ღრმა აზრებია ჩაქსოვილი, მათში ისმის სიცოცხლის ჰიმნიცა და არსებობის აზრის ფილოსოფიაც, ხოტბაც იმ გმირებისა, რომლებმაც თავი გაწირეს სამშობლოსათვის. მითოლოგიური გმირებიდან კი პინდაროსი აქილევსს უწოდებს დიდებულ მებრძოლს, რომელმაც „ხანგრძლივ, მაგრამ უსახელო სიცოცხლეს, ხანმოკლე მაგრამ სახელოვანი სიცოცხლე არჩია“. ეს იცოდა გალაკტიონმაც. რამდენიმე სტრიქონით დაბლა ის აქილევსსაც ახსენებს, რომელიც ნეტართა კუნძულზე განისვენებს, სადაც მოხვდებიან ტირანთა მკვლელი არისტოგიტონი და ჰარმოდისი (ჰარმოდე). და სწორედ იმიტომ, რომ პინდაროსის ოდები ეძღვნებოდა გამარჯვებულებს, სამშობლოსათვის თავდადებულებს და იყო დიდებული და ბრწყინვალე:

„უპირველესი პირველთ შორის არის პინდარი

ელაინურ ჩანგის სიმახვილე და საწინდარი!“

ასე შეამკობს გალაკტიონი პინდაროსს, რომელსაც ქართულ ენაზე ვერ წაიკითხავდა, რამეთუ 1940 წლისთვის (როდესაც ეს პოემა დაიწერა) არ არსებობდა ამ დიდებული პოეტის ქართულენოვანი თარგმანი. რუსულენოვანი თარგმანი გასაგებად ურთულესი იყო, მაგრამ, როგორც ჩანს, ქართველმა გენიოსმა კარგად გაუგო ბერძენ გენიოსს, გენიოსს, რომელსაც ვოლტერი ორიგინალში კითხულობდა, მაგრამ ასე ახასიათებდა:

„აღსდექი მკვდრეთით, ღვთაებრივო პინდაროს, შენ, რომელიც განადიდებდი გარდასულ ხანად კორინთოსა თუ მეგარის ღირსეულ კაცთა მებრძოლ ტაიჭებს. შენ, რომელიც ფლობდი შეუდარებელ ნიჭს უსასრულოდ გელაპარაკა ისე, რომ არაფერი გეთქვა, შენ, რომელსაც შეგემლო შეგეთხზა ლექსები გაუგებარი, თუმცა ღირსი ადფროვანების“ (ვოლტერი, ოდა XVII).

დღეს პინდაროსის „ოდებისა“ და ფრაგმენტების გამოცემებს დიდძალი კომენტარი ახლავს. მათ გარეშე შეუძლებელია ამ დიდებული პოეტის შემოქმედების შეფასება. მაგრამ გალაკტიონმა ეს შეძლო და სათანადო ადგილი მიაკუთვნა მას ძველბერძენ ლირიკოსთა შორის.

პოემაში „საუბარი ლირიკის შესახებ“ კიდევ მრავალ სახელს შევხვდებით. მათ ყველას ერთი თემა აერთიანებს: პოეტი და მისი პოეზია უნდა ემსახურებოდეს სამშობლოს, უნდა იყოს მისი დიდების მეხოტბე. ასეთებად წარმოადგინა გალაკტიონმა ძველი საბერძნეთის პოეტთა ხუთეული. ამ პოემაში ვერ მოხვდნენ სხვა ასევე მნიშვნელოვანი წარმომადგენლები ძველი ბერძნული ლირიკისა, განსაკუთრებით საპფო, ალკეოსი და ანაკრეონი და, სავარაუდოა, სწორედ იმიტომ, რომ მათ პოეზიას აკლდა სამშობლოს განცდა. შესაძლოა, ვიკამათოთ ალკეოსის თაობაზე, რომელიც იყო არისტოკრატიული პარტიის წარმომადგენელი და რომელიც იბრძოდა დემოკრატიების წინააღმდეგ, მაგრამ დამარცხდა ამ ბრძოლაში და შეეგუა დემოკრატიების მიერ დამყარებულ წესრიგს. ასე რომ, აქაც მართალი აღმოჩნდა გალაკტიონი თავისი ტრაქტატისათვის მნიშვნელოვანი პოეტების შეფასებისას.

2. „როცა აკტეონი, ძეი არისტეას“

ანტიკურობის თემაზე დაწერილ ნარატიულ ქმნილებათა შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ლექსი „როცა აკტეონი, ძეი არისტეას“. ლექსი მნიშვნელოვანია რამდენიმე თვალსაზრისით: ა) მასში თითქმის სრულყოფილად არის გადმოცემული არტემისტან დაკავშირებული მითის ბერძნული ვერსია, რაც იმაზე მიუთითებს, რომ გალაკტიონს საკმაოდ

სრულყოფილი ცოდნა ჰქონდა არა მხოლოდ ლიტერატურისა და ისტორიის შესახებ, არამედ მას გააზრებული ჰქონდა ბერძნული მითოსი მთელი თავისი სიმბოლიკით; ბ) ინტერესს მოკლებული არ უნდა იყოს ისიც, რომ მითოსურ სიუჟეტს ქართველი პოეტი თავისებური ინტერპრეტაციით გადმოგვცემს და საკუთარი ბიოგრაფიული მომენტების წარმოჩენას ლამობს; გ) და ბოლოს, ლექსი საინტერესოა ეროვნული ცნობიერების თვალსაზრისით. ის, მართალია, 1916 წელს დაიწერა (თავის შედეგებს გალაკტიონი სულ მალე შექმნის), მაგრამ ამ ლექსში უკვე იკვეთება დიდებული პოეტის სახე, რომლის ნააზრევი მოვლენებს უსწრებს:

„როცა აკტეონი, ძეი არისტეას,
ლაღად მიდიოდა ტყეში სანადიროდ,
უცებ დაინახა თეთრი არტემიდა,
თავის ნიმიფათ შორის იგი ბანაობდა
ძველი პართენონის მსუბუქ ნაკადებში.
შედგა აკტეონი, თვალნი დაებინდნენ,
იგი მოჰადოვდა უცხო სანახავით,
მაგრამ ის დასაჯა იმავ ღვთაებამა:
იქცა აკტეონი ირმად მშვენიერად.
ძაღლებს აკტეონი მსხვერპლად შეეწირა,
იგი დაეფლითათ ძაღლებს იმისსავეს.
ვიცან, გალაკტიონ, შენში აკტეონი –
შენ გსჯის ყოველივე, როგორც სიყვარული,
შენგნით დაწვრთნილები ყეფენ მოუსვენრად -
ისევ შენთვისსავე – ავი ძაღლებია“.

ა) მითი აქტეონის (აკტეონის) შესახებ არ არის მხოლოდ საბერძნეთში გავრცელებული. მას სხვა ძველ მითოლოგიებშიც ვხვდებით სხვადასხვა ვარიაციებით. თავად საბერძნეთში ამ მითის რადენიმე ვარიანტი არსებობს. ევრიპიდეს „ბაკქ ქალებში“ აქტეონი თავისი ჰიბრისის გამო იღუპება, რამეთუ თავი არტემისზე უკეთეს მონადირედ ჰყავდა წარმოდგენილი (ევრიპიდე „ბაკქი ქალები“ სტრ. 337-340). აქტეონის მითი გვხვდება ჰიგინუსთან („მითები“ 181), პავსანიასთან (IX, 2, 3), ოვიდიუსთან („მეტამორფოზები“, 131-252). სავარაუდოა, რომ გალაკტიონს ოვიდიუსის „მეტამორფოზების“ ვერსია ჰქონდა ხელთ და ეს ვერსია დაუდო საფუძვლად თავის ლექსს. მითი ასეთია: არტემისი ბერძნული პანთეონის ერთ-ერთი მთავარი ღვთაება იყო, მარადქალწული. იგი ნებას არ რთავდა მამაკაცებს

ეხილათ მისი სიშიშვლე. აქტეონი მონადირე იყო. მითი ნადირობის ტაბუს უკავშირდება: მონადირე თავშეკავებული უნდა ყოფილიყო, წმინდა და უბიწო. ამით იგი არტემისის კეთილმოწყალებას იმსახურებდა, მაგრამ ტაბუს დარღვევისთვის მკაცრად ისჯებოდა. აქტეონმა დაარღვია ტაბუ, რომლის მიხედვითაც არ უნდა ეხილა არტემისის ღვთაებრივი სიშიშვლე. არტემისმა იგი ირმად გარდასახა და საკუთარ მწევრებს დააგლეჯინა. თუკი დაისმის კითხვა: რატომ ირმად? ამაზე მკვლევართ აქვთ პასუხი: აქტეონი იყო ირმის ელინურხანამდელი კულტის მეფე-ქურუმი, რომელსაც გლეჯდნენ ნაწილებად ორმოცდაათოვნიანი მმართველობის შემდეგ. ამ რიტუალის მრავალი ვარიანტი არსებობს.⁶³³

ლექსში რამდენიმე საგულისხმო მინიშნებაა: გალაკტიონი წერს, რომ აქტეონმა დაინახა „თეთრი არტემიდა“. ცნობილია, რომ შემოქმედებით აზროვნებაში შესაძლებელია გენიალური თანხვედრები. ვეჭვობ, გალაკტიონს წაკითხული ჰქონოდა რობერტ გრეივსის „თეთრი ღვთაება“ (The White Goddess: a Historical Grammar of Poetic Myth). ეს მითოლოგიური ტრაქტატი 1948 წელს გამოვიდა. გრეივსის აზრით, ყველა მითოლოგიის (კელტური, გერმანული, ბერძნული, სემიტური) საფუძველში დავანებულია დაბადების, სიცოცხლის და სიკვდილის ღვთაება და ამ სამ ფორმას მიესადაგება თეთრი მთვარის სამი ფაზა. სხვა წიგნში („Царь Иисус“) რობერტ გრეივსი იტყვის: „ჭეშმარიტი პოეზია ეს შელოცვაა თეთრი ღვთაებისა თუ მუზის, რომელიც არის ყოველივე არსებულის დედა, შელოცვაა ძალისა ოდითგან სულის შემძვრელისა და სასურველის. . . რომლის ხილვასა თუ აღერსს მოაქვს სიკვდილი“.⁶³⁴ ასე რომ, თეთრი ღვთაება, ანუ მთვარე (სელენე), რომელსაც მოაქვს სიკვდილი შესაძლოა გალაკტიონსაც ქვეცნობიერად ედო თავის შემოქმედებით პალიტრაზე.

არტემისის (არტემიდას) კულტი, რომელიც უძველესი წარსულიდან მოდის, პოეტმა მრავალი ფუნქციით წარმოადგინა: ის მცენარეული სამყაროს ღვთაებაა; მის საკულტო ცხოველად ითვლებოდა ირემი; არტემისი იყო მთვარის ღვთაებაც, მას ხშირად სელენესთან აიგივებდნენ, რომლის ფერადაც მიჩნეული იყო „თეთრი“. თუ დავკონკრეტდებით, უნდა განვმარტოთ ფრაზა „... ბანაობდა ძველი პართენონის მსუბუქ ნაკადებში“: „პართენონი“, მართალია, იმ ტაძრის სახელწოდებაა, რომელიც აკროპოლისზე მდებარეობს და ქალწულ ათენას ეძღვნება („პართენოს“ ძველბერძნულად „ქალწულს“ ნიშნავს), თუმცა ამ შემთხვევაში პოეტი აქ არტემისის ქალწულებრივ ბუნებაზე მიაწინებდა მკითხველს.

⁶³³ იხ. P. Грейвс. Мифы древней Греции. М., 1992, გვ. 58.

⁶³⁴ P. Грейвс. Царь Иисус. М., 2001.

ბ) ლექსის ყოველი სტრიქონი რიტუალურ ქვეტექსტს შეიცავს. მათ ფონზე გალაკტიონი საკუთარ თავს გვახსენებს – მან აქტეონში საკუთარი თავი შეიცნო: „მეფე-ქურუმი, რომელსაც ნაწილებად გლეჯდნენ მმართველობის შემდეგ“ – ეს არის აშკარა მეტაფორა იმის გასაცნობიერებლად, რომ გალაკტიონმა სხვა სიმაღლე იხილა, რაღაც მიუწვდომელი (სიყვარული? პოეტური შთაგონება? . . .), რომელიც არ შეარჩინეს მისივე გზით მავალმა პოეტებმა და მოისურვეს მისი დაგლეჯა [მაგრამ ამაოდ, გალაკტიონი სულ მალე იგავმიუწვდომელ შედეგებს შექმნის – ნ.ტ.].

გ) ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში ეს ლექსი შედეგად არის აღიარებული. მის შესახებ გამოთქმულია მრავალი მოსაზრება, მათზე საუბარი ცდება ჩემი წერილის თემატიკას, მაგრამ ამ აზრთა სხვაობაში ერთი განსაკუთრებით იპყრობს ჩემს ყურადღებას: „...ვიცან გალაკტიონ შენში აკტეონი“ არის ინდივიდუალური ინტელექტის კოლექტიურ ინტელექტად გარდაქმნის პრეცედენტი. კოლონიალურ მდგომარეობაში ჩაყენებული ხალხები ან მანქურთები ხდებიან, ან აკტეონის მსგავსად იგლიჯებიან საკუთარი ძაღლების მიერ. ამ ძაღლებს სხვადასხვა სიტუაციაში სხვადასხვა სახელი ჰქვიათ: მანქურთები, ისტორიის არაცნობიერი აქტიორები, მედროვე კომფორმისტები, მოღალატენი, სეპარატისტები, ანუ ყველა ისინი, რომელთაც ტარიელ ჭანტურიამ „ქართველთა ქართველისა დამთრგუნველი“ უწოდა.

კოლონიალური მენტალობა ეროვნული ცნობიერების დანაგვიანებიდან იწყება. ქართული ისტორიოსოფიის პირველი პასუხი ეროვნული ცნობიერების დანაგვიანებაზე იყო „ქართველობის“ როგორც კულტურული არტეფაქტის გამიჯვნა დამპყრობელთა ეკონომიური დომხალისაგან. ეროვნული იდენტობის შეცვლის მუქარაზე (არაბობა, მონღოლობა, ოსმალობა, რუსობა) მათ საპირწონედ ჩამოყალიბდა „ქართველობის“ კატეგორია.

ეს ფაქტი ჩვენ მხოლოდ იმის გააზრებაში კი არ გვეხმარება, თუ რატომ მოიხმო გალაკტიონმა აკტეონისა და არტემიდას მითი, არამედ იმის გასააზრებლადაც, რომ ისტორიის ირონიის ძალით, ძაღლებმა, რომლებმაც დაგლიჯეს აკტეონი, ეს აღასრულეს ჭეშმარიტების სახელით.⁶³⁵ ეს ვრცელი ამონარიდი ბატონ გ. გაჩეჩილაძის წერილიდან წარმოვადგინე იმიტომ, რომ იგი პირწმინდად ესადაგება ჩვენს თანამედროვეობას, მიუხედავად იმისა, რომ ლექსი დაწერილია 1914 წელს და გამოქვეყნებულია ორი წლის შემდეგ.

3. „გეტერა“

⁶³⁵ გ. გაჩეჩილაძე. გალაკტიონის „როცა აკტეონი, ძეი არისტეას“. წიგნში: გალაკტიონ ტაბიძე 125, საიუბილეო კრებული. თბილისი, 2016, გვ. 134-157.

გალაკტიონმა რომ მთელი სისრულით იცოდა ანტიკურობა, ეს სავსებით ნათელია მისი პოეტური სამყაროს გააზრებით. შესაძლებელია ლექსში სულაც ვერ ვიპოვოთ რომელიმე მითოსური თუ ისტორიული გმირის სახელი, მაგრამ გვექნება ისეთი მინიშნება, რომ კავშირი ანტიკურობასთან ძნელი გამოსაცნობი არ არის. ასეთია მაგალითად ფრაზა ლექსიდან „ისევ ეფემერა“: „ოჰ, სიყვარული ზღვების ქაფია!“ ამ ფრაზას ორმაგი დატვირთვა გააჩნია: სიყვარული, როგორც ზღვის ქაფი, მსწრაფწარმავალია, ის ქრება და ზღვის წიაღს უბრუნდება. მაგრამ არსებობს ლეგენდა აფროდიტეს (სიყვარულის ღვთაების) ზღვის ქაფიდან აღმოცენების თაობაზე და, ბუნებრივია, ეს იცოდა გალაკტიონმა და ფიქრობდა, რომ ეს მის მკითხველსაც უნდა სცოდნოდა. ამ ფრაზის შემცველი სტროფი ასე იკითხება:

„ოჰ, სიყვარული ზღვების ქაფია!

მიეცით წარსულს ელვა ან ხმალი,

რომ ამოკვეთოს ეპიტაფია;

მის ცხოვრებაში შეიჭრა ქალი.“

„ისევ ეფემერა“

თუ ამ ფრაგმენტში მხოლოდ მინიშნებაა მითოსურ სიუჟეტზე, ლექსში „გეტერა“ მრავალი კუთხით არის წარმოდგენილი ძველი სამყარო. უპირველეს ყოვლისა, მსურს კიდევ ერთხელ აღვნიშნო, რომ გალაკტიონს ეს სამყარო რუსულენოვანი ლიტერატურით ჰქონდა გაცნობიერებული და ამიტომ სათაური ლექსისა არის გეტერა (Гетера) და არა „ჰეტერა“, როგორც ეს წარმოითქმოდა ორიგინალის ენაზე. თუმცა ეს უმნიშვნელოა. უფრო საინტერესოა ის, რომ ყველაფერთან ერთად გალაკტიონს თითქმის სრულყოფილი წარმოდგენა ჰქონდა ძველი საბერძნეთის ე.წ. „ჰეტერათა ინსტიტუტზე“, იცოდა ჰეტერათა მოღვაწეობის რეალური და შეთხზული ისტორიები. ლექსის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ღამის ღვინა, სადაც ჰეტერა, სახელად „ქსანტე“ ართობს მამაკაცთ: ცეკვით, სიმღერით, ყველა დათვრა და „ის კი არ თვრება“. ამასობაში „განთიადის თეთრი ღრუბელი// აცურდა ისე, ვით იალქანი“. ვიღაც სტუმარმა „ფანჯარას ფარდა გადააცალა“ და განთიადის ელვარე სხივმა გაანათა გაშიშვლებული ჰეტერას ტანი:

„ოქროსფერ თმებით შემოზღუპულ შუბლს

ღვთაებრიობის აჩნდა ნიშანი.

მზის სხივზე თითქოს ოქროსი იყო

გაშიშვლებული გეტერას ტანი.

იმგვარად თეთრი, ვით მარმარილო,
თრთოდა, ტოკავდა ძლიერი მკერდი,
როცა იქავე მდგომმა მხატვარმა
ურცხვ ქალს შესძახა: „ქსანტე, შეჩერდი!“

ჰეტერას მშვენიერებით მოხიბლულმა მოქანდაკემ „წუთის უმაღლეს უკვდავ ქანდაკად გადააქცია უბრალო თიხა“. შემდეგ ეს ქანდაკება, ვით აფროდიტეს სახე, დაიდგა ტაძარში და არავის უკითხავს დღემდე:

„წმინდა ტაძარში აფროდიტეა,
თუ სათაყვანო გეტერას ტანი“.

ამბავი, რომელიც ესოდენ პოეტურად გადაიტანა ლექსის ყალიბში გალაკტიონმა და თავისებური ინტერპრეტაციით აამეტყველა, წარმოდგენილია პლინიუს უფროსის წიგნში „ბუნებისმეტყველება“. ამ გადმოცემის თანახმად, პრაქსიტელესი იყო პირველი, ვინც გაზედა და ქალღმერთი აფროდიტე სრულად შიშველი გამოაქანდაკა. ეს ქანდაკება მას შეუკვეთეს კუნძულ კოსის ბინადრებმა. მან შეასრულა ორი ვარიანტი: შიშველი ქალღმერთი და შემოსილი ქალღმერთი, ორივე ნამუშევრისთვის ერთი და იმავე საფასურის მოთხოვნით. კოსელებმა ვერ გაზედეს შიშველი აფროდიტეს შეძენა და ტრადიციული ვარიანტი აირჩიეს. მისი ასლები და აღწერები არ შემოგვრჩა. ამიტომ იგი დავიწყებას მიეცა. შიშველი აფროდიტე კი ქალაქ კნიდოსის მკვიდრებმა შეიძინეს და ამით თავიანთ ქალაქს სახელიც გაუთქვეს. ყველას აინტერესებდა ხელოვნების ამ თამამი ნიმუშის ხილვა (პლინიუს უფროსი, „ბუნებისმეტყველება“, XXXV). მოქანდაკეები მის ასლებს აკეთებდნენ, პოეტები ეპიგრამებს წერდნენ. ერთ-ერთი ცნობილი ეპიგრამა ასე იკითხება: „როდესაც კნიდოსზე აფროდიტე იხილა ქალღმერთმა აფროდიტემ, მორცხვად აღმოხდა: ვაი, სირცხვილო, ნეტა სად მნახა შიშველი პრაქსიტელესმა?“

პრაქსიტელესის სახელს გალაკტიონის რამდენიმე ლექსში ვხვდებით. განსაკუთრებულია ლექსი „მარმარილო“, რომლის შესახებაც უკვე გვქონდა საუბარი, თუმცა სტრიქონები, სადაც პრაქსიტელესია მოხსენიებული იმდენად შთამბეჭდავია, რომ უნდა გავიხსენოთ, რამეთუ ძველი მოქანდაკის პორტრეტი რამდენიმე სიტყვით არის წარმოდგენილი. გალაკტიონის პოეტურმა გენიამ მკითხველის თვალწინ გააცოცხლა დიდი ოსტატის დაუვიწყარი სახე:

„აჰყვე ოცნებით მარმარილოს თლილს საფეხურებს,
სადაც ყოველმხრით პრაქსიტელის თვალი გიყურებს“

პრაქტიკის სახელს ვკითხულობთ აგრეთვე ლექსში „ეფემერი“, სადაც პოეტი წარმოგვიდგენს გარდაცვლილ ქალს, რომელიც ისეთი ლამაზია, რომ „ის კუბოში წევს როგორც შედევრი“. მისი სილამაზის მხატვარი არსად დაიძებნება, მხოლოდ პრაქსიტელეს შეუძლია მისი გამოქანდაკება:

„კარგია მისი „ძეგლად“ აგება,
ბროლნი თლილები, სახე ყვითელი,
ხოლო სადაა დღეს პრაქსიტელი
და შეუცნობთა დაქანდაკება“.

ეს სტრიქონები მოწმობენ, რომ გალაკტიონის აღფრთოვანებას იწვევდნენ პრაქსიტელეს სახელით მოღწეული ქანდაკებები და ის ლეგნდები, რომლებიც ამ მოქანდაკის ხელოვნებაზე გვიამბობენ. გადმოცემათა თანახმად, პრაქსიტელესმა მოდელად თავისი სატრფო, ჰეტერა ფრინა გამოიყენა. იგი დიდი პატივით სარგებლობდა ხალხში, რადგანაც მისი მშვენების დამადასტურებელი ქანდაკება არტემისის ტაძარში ინახებოდა ეფესოში. ხოლო ეს ქანდაკება ძველ სამყაროში აღიარებული იყო არა მხოლოდ პრაქსიტელეს საუკეთესო ქმნილებად, არამედ ყველა დროის შედევრად.

ეს იცოდა გალაკტიონმა. რაც შეეხება მის მიერ „ქსანტეს“ სახელით მოხსენიებულ ფრინას, ეს უნდა იყოს „ქსანთიპეს“ გავლენით შექმნილი სახელი, რამეთუ ქსანთიპე ერქვა სოკრატეს მეუღლეს და, შესაბამისად, იგი პოპულარული ფიგურა იყო ანტიკურ სამყაროში.

II. გალაკტიონი და ანტიკური სამყაროს სიმბოლიკა

რა თქმა უნდა, განხილულ ლექსებს საკმაოდ მრავალფეროვანი სიმბოლური დატვირთვა გააჩნიათ. თუმცა ჩვენ ისინი მაინც განვიხილეთ როგორც პოეტის საუბარი მკითხველთან. საყოველთაოდ მიღებული აზრის თანახმად, პოეტური ენა უშუალოდ არის დაკავშირებული მითოსურ ძირებთან. აზრთა სახეობრივი წარმოდგენისკენ სწრაფვა პოეტური ხელოვნების უმთავრესი დანიშნულებაა. სახის შთამბეჭდაობას განსაზღვრავს ამ სახის რეალობის რწმენა. გალაკტიონი ლექსში „პოეტი და ოქტომბერი“ (ვარიანტი) პირდაპირ ამბობს:

„იყო ლეგენდა, რომელიც დღესაც
ბევრ „პოეტს“ ურყევ სიმართლედ სჯერა,
რომ იაზონი და ის მედეა,
ოქროს ტრირემად მიმოდის ჯერაც.
და კოლხიდაში ოქროს ვერძისა
სუნთქვა ახელებს არგონავტებს.

არგონავტების თქმულების სიმბოლური სახეები გალაკტიონის მრავალ ლექსში დაიძებნება. ძნელი სათქმელია, მას თავად სჯეროდა თუ არა კოლხიდაში ოქროს საბადოების არსებობისა, მაგრამ თავად პოეტური სახე: „და კოლხიდაში ოქროს ვერძისა სუნთქვა ახელებს არგონავტებს“ უკვე დიდებული სიმბოლური სახეა საქართველოს ძლევამოსილებისა და სიმდიდრისა. ლექსის მკითხველზე ეს სიმბოლიკა მოქმედებს და დაუვიწყარ შთაბეჭდილებას ახდენს.

როგორც აღვნიშნე, გალაკტიონი უხვად იყენებს არგონავტების მითის სახე-სიმბოლოებს (კოლხიდა, მედეა, არგონავტები, ფაზისი იაზონი, ეა, პონტო) რომლებსაც ამ წერილში აღარ შევხები, რამეთუ ეს თემა ვრცელია და იგი მთელი სისრულით არის განხილული პროფესორ ქ. გარდაფხაძის დასახელებულ ნაშრომში.

იმ მრავალრიცხოვან სიმბოლოთა შორის, რომელიც ანტიკურობიდან ყველაზე მეტად ხიბლავს გალაკტიონს, უნდა გამოიყოს „ეფემერა“. ეს ბერძნული წარმომავლობის სიტყვაა და ნიშნავს „მსწრაფწარმავალს“, „ხანმოკლეს“. თუ პინდაროსის ლირიკასაც მოვიშველიებთ, იქ ამ მნიშვნელობებს ემატება „მოკვდავის“ ნიუანსიც:

„ჟამიერები, არსებობს ვინმე? თუ არ არსებობს?
აჩრდილთ ზმანება – ადამიანი.
ოდეს ღმერთისგან ნათლიერი სხივი გადმოვა,
მხოლოდ მაშინ ეძლევა მოკვდავს
დღე ნათელი და ჟამი ტკბილი. . .“

პით. VIII, 95-97

სიტყვა „ἐφήμεροι“ პინდაროსის ამ ტექსტში ვთარგმნე სიტყვით „ჟამიერი“ (დიდი ფიქრის შემდეგ). რა თქმა უნდა, შემეძლო დამეტოვებინა ბერძნული ვარიანტიც („ეფემერები, ვინ ვართ? ვინ არ ვართ?“), შესაძლოა, ასე უფრო ლამაზიც

ყოფილიყო, თუმცა არც ქართული სიტყვა („ჟამიერები“) ამდაბლებს ტექსტის პოეტურობას.

ძნელი სათქმელია, რომელი ტექსტიდან ჰქონდა გაცნობიერებული გალაკტიონს ეს სიტყვა, თუმცა რომ მოსწონდა, ეს ნათელია, რადგან ის რამდენიმე ლექსს დაწერს ამ სათაურით და ყველა უბრწყინვალეს ნიმუშად შეირაცხება ქართულ პოეზიაში. ეს ლექსებია: „ეფემერა“, „მშობლიური ეფემერა“, „საახალწლო ეფემერა“, „ზღვის ეფემერა“, „ისევ ეფემერა“, „ეფემერი“. გვხვდება ამ სიტყვიდან წარმოებული სიტყვაც „ეფემერიდი“;

„როგორც წუხილი არაგვის კიდის
იყო ზვირთები ფაზისის ჩქარის,
გაჩნდა წერილი **ეფემერიდის**
და რუსთაველიც იმ დღის არ არის?!
სანახაობაც შეიცვლის რიდეს,
ძველი თაობა თანდათან მიდის.
როგორც წუხილი არაგვის კიდის,
როგორც ძახილი **ეფემერიდის**“.
„როგორც წუხილი ეფემერიდის“

„შენ აღტაცებით ისევ ენთები
ძველი ტაძრები ისევ შენდება,
ეფემერიდებს გამოენთები
და სადმე მაინც გაგითენდება“.
„შენ აღტაცებით ისევ ენთები“

ამ ლექსებში ყველაფერი ნათელია: ძველი თაობა ეფემერულია, ის თანდათან მიდის, თუმცა „ძველი ტაძრები ისევ შენდება“ და ეფემერიდს სადმე მაინც გაუთენდება. ცხადია, რომ გალაკტიონს ეს სიტყვა ბერძნული პოეზიიდან ჰქონდა შეთვისებული და მისი მნიშვნელობა პინდაროსისეულ ვარიანტს („ჟამიერი“) მიესადაგება.

ლექსი-შედევი „ეფემერა“ იწყება სტრიქონებით:

„ცხენთა შეჯიბრებაზე ჩემი ლურჯა ცხენები
ჰქროდნენ **ეფემერული** და ფერადი ქარებით“

„ლურჯა ცხენების“ პოეტური სახე გალაკტიონის პოეზიაში ხშირად გვხვდება და მას თავისი სიმბოლური დატვირთვა გააჩნია. ეს სიმბოლიკა პოეტის სამყაროსეულ ხედვას და განცდას უკავშირდება. ლურჯა ცხენები მარადიული ქროლვის სიმბოლოა არსებობასა და არარსებობას შორის: ეს ნათლად იკითხება ლექსში „ლურჯა ცხენები“:

„როგორც ზღვის ხეტიალი, როგორც ბედის ტრიალი,
ჩქარი გრგვინვა – გრიალით ქრიან ლურჯა ცხენები“.

ლურჯა ცხენებს შეუძლიათ გადალახონ ადამიანური ბედის სამანები და მიაღწიონ „სამუდამო მხარეს“. მაგრამ ეს მხარე აშფოთებს პოეტს:

„ვერავინ განუგეშებს საოცრების უბეში,
სძინავთ ზნელ ხვეულებში გამოუცნობ ქიმირებს“.

სულ არ იზიდავს შინაგანად აფორიაქებულ პოეტს გამოუცნობ ქიმირებთან ერთად არსებობა. იდუმალი მხარე, რომლის სამანთა გადალახვაც ლურჯა ცხენებს შეუძლიათ, სავსეა „შეშლილი სახეების ჩონჩხიანი ტყეებით, უსულდგმულო დღეებით“ (როგორ ჰგავს ეს მხარე „ჰადესს!“). გალაკტიონის მშფოთვარე სული უკან იბრუნებს თავის ლურჯა ცხენებს: „სიზმარიან ჩვენებით ჩემი ლურჯა ცხენები, ჩემთან მოესვენებათ, ყველანი აქ არიან“. პოეტისათვის ცხადია, რას წარმოადგენს ის შორეული მხარე, ამიტომ ის სხვებს აღემატება თავისი ცნობიერებით, მან კარგად იცის, რომ მისი „ცხოვრების გზა სიზმარია და შორეული ცის სილაჟვარდე“ („ვარდი სილაში“), თუმც ისიც იცის, „რომ მარად იმარჯვებენ იდუმალი მშვენებით ლექსთა შეჯიბრებაზე – მხოლოდ ინტეგრალები, ცხენთა შეჯიბრებაზე – ისევ ლურჯა ცხენები“. „ინტეგრალი“ ლათინურიდან მომავალი სიტყვა და იგი მრავალი მნიშვნელობით იხმარება თანამედროვე ენებში. ვფიქრობ, გალაკტიონი ამ სიტყვას თავის პირვანდელ მნიშვნელობას უბრუნებს და ეს მნიშვნელობა „განახლებას“, „აღორძინებას“, „ქეშმარიტების შეცნობას“ უკავშირდება. ამიტომ ამ სტრიქონებში ასეთი აზრი უნდა იყოს საცნაური: „ლექსთა შეჯიბრებაზე იდუმალი მშვენებით იმარჯვებენ ის ლექსები, რომლებიც ქეშმარიტებას გვაზიარებენ“. პოეტი, როგორც ქეშმარიტების შემოქმედი ეძიებს ზღვარს არსებულსა და არარსებულს შორის:

„სულს სწყურია საზღვარი ისევ ეფემერული,
სულს სწყურია საზღვარი, როგორც უსაზღვროებას“.

მაინც როგორია პოეტის გზა, ვიდრე მიაღწევს „უკანასკნელ ძეგნათა სევდიან საზღვარს?“ ვიდრე შეიცნობს ჭეშმარიტებას? ის დაეყრდნობა პოლიუსს, უსასრულო სივრცეს, წარსულსა და მომავალში „გადაეშვება“, რათა აღმართოს ძეგლები „მღვრიე მშვენიებათათვის“, რათა ეზიაროს ფანტასტიური მკვლევლობებისა და მკათათვის ოცნებას, მზეთა ორგიასა და მთვარის მაგიას. დიახ, ეს საიდუმლო იცის გალაკტიონმა და ამიტომ არ ერიდება თქვას:

„ვწუხვარ, ერთადერთი ვარ და ზეცაზე სწერია
ჩემი გზა და ახალი ლალის კართაგენები,
ბედი, ქროლვის გარეშე – ჩემთვის არაფერია,
ჩემთვის ყველაფერია ისევ ლურჯა ცხენები“.

რას ნიშნავს „ლალის კართაგენები?“ ლალი გალაკტიონის ძვირფასი ქვაა („კვლავ მონად ვყავარ თეატრის ვარდებს. . . ელვარე ლალებს და ყელსაკიდებს“ – ლექსი: **საახალწლო ეფემერა**); კართაგენი – ძლევამოსილების სიმბოლოა, რომელიც დაინგრა. ეს ცნობილია პოეტისათვის, მაგრამ ის ხედავს, რომ მისი გზა ზეცაზე წერია და ეს გზა ძიების გზაა მიმავალი უსასრულობაში. იგი ააგებს „ახალ, ლალის კართაგენებს“, შეიცნობს სამყაროსეულ ჭეშმარიტებას, რომლისკენაც მას მიაქროლებენ ლურჯა ცხენები.

1922 წლიდან თბილისში გალაკტიონ ტაბიძის რედაქტორობით გამოდიოდა ჟურნალი სახელწოდებით „გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალი“. აქ იბეჭდებოდა ლექსები, მოთხრობები, ნოველები, წერილები და ა.შ. სწორედ ამ ჟურნალში დაიბეჭდა ეფემერების ციკლი: „ეფემერა“, „ისევ ეფემერა“, „ზღვის ეფემერა“, „საახალწლო ეფემერა“, „მშობლიური ეფემერა“ და „ეფემერა“. თითქმის ყოველ მათგანში არის მინიშნება ძველი საბერძნეთის მითოლოგიურ პასაჟებზე. ასე მაგალითად, ლექსში „ზღვის ეფემერა“ პოეტის გემი, რომელსაც ჰქვია „იმედი“, მოყვა აზოხოქრებულ ტალღებში და იძირება, აწყვეტილია იალქნები.⁶³⁶ გალაკტიონი პირდაპირ ამბობს: „ჩვენი სამშობლო „იმედია“, ჩვენ მასთან ერთად ვიღუპებით“. მეტაფორა ასეთია: სამშობლო – გემი იღუპება და ითხოვს შველას: „აცნობეთ ქაოსს, აცნობეთ ყველას. . .“ – ასე იწყებს ლექსს პოეტი და იგონებს ისტორიულ წარსულს:

„ცხოვრება ჩვენი იყო მარად

⁶³⁶ შესადარებლად იხ. ალკეოსის ის ლექსები, სადაც „ხომალდი – სახელმწიფო“ იძირება მღელვარე ზღვაში. თარგმანები და კომენტარები იხ. ჰელიკონი, ძველი ბერძნული ლირიკა. გამოსაცემად მოამზადა, შესავალი და განმარტებანი დაურთო ნ. ტონიამ. თბილისი, 2021, გვ. 234-239.

გრიგალთან ბრძოლა
მაღსტრომთა ძირით
ვკრეფდით მარგალიტებს.
რამდენი გვახსოვს:
ხმაჩახლეჩილი ქუხილი მეხის,
ხარხარი ქარის
სიმძიმე წვიმის.
აგუგუნება დემონთა გუნდის,
ნგრევა ღრუბლების,
დალეწილი ცა!”

დიდებულად იცის გალაკტიონმა ქართული ბუნება. იცის, რომ ქართველთ
სიმშვიდეში არსებობა არ შეუძლიათ და ის აგრძელებს:

„მაგრამ როდესაც ცა იყო მშვიდი,
იყო მზიანი,
ჩვენ გვაწუხებდა მელანქოლია
და ელეგია ნელი ზვირთების,
ჩვენი თვალები სივრცეებში
ემებდნენ გრიგალს -
ფრთებს – განიმედებს
და ის მოვიდა: ძლიერი, მძაფრი -
და დააჯახა ზღვა ჩვენს იმედებს“.

ლექსი გამოქვეყნდა 1923 წელს. მასში იმდროინდელი საქართველოს
სულისშემძვრელი ისტორიაა მეტაფორულად წარმოდგენილი. საბჭოთა რუსეთის
წითელმა არმიამ საქართველო 1921 წელს კი დაიპყრო, მაგრამ არანაკლებ
დრამატული იყო 1923 წელი, როდესაც ყველა დარწმუნდა იმაში, რომ საქართველო
დიდი ხნით ჩაიძირა, მან დაკარგა დამოუკიდებლობა. აი, ამ სასოწარკვეთილი
განცდით არის დაწერილი ეს მეტაფორებით დატვირთული ლექსი. გარდა იმისა,
რომ გალაკტიონი ალკეოსის მსგავსად (შესაძლოა ეს გენიოსთა თანხვედრაც იყოს)
სახელმწიფოს გემს უწოდებს, ის იხსენებს ბერძნული მითოსის გმირს – განიმედესს.
შესაძლოა, აქ ვინმემ იკითხოს: რა შუაშია აქ განიმედე (განიმედესი)? ეს ბერძნული
მითოსის გმირი გასაოცარი სილამაზის ყმაწვილი იყო. ერთხელ ის იხილა
ყოვლისშემძლე ზევსმა, არწივად გარდაისახა და მოიტაცა, თან წაიყვანა

ოლიმპოსზე. მას შემდეგ ეს მშვენიერი ყმაწვილი სუფრასთან მსხდომ ღმერთებს ემსახურება, მათი მერიქიფა. თანამედროვე მეტყველებაში გადატანილი მნიშვნელობით ზოგჯერ ოფიციალტს „განიმედესად“ უხმობენ. მეტაფორა ნათელია: ჩვენ, რომელთაც გვხიბლავდა უცხო ქალაქები ზღვის ნაპირებზე და უდაბური კუნძულების მონახულება, ღვინით ღვინი და სიხარული გემის ბაქანზე (ჩვენს სამშობლოში) და რომლებსაც გადაგვიტანია მრავალი შეხლა და ომები მეკობრეებთან (მტრებთან), ახლა ფრთოსანი არწივის მიერ ვართ დაპყრობილნი: „ის მოვიდა და დააჯახა ზღვა ჩვენს იმედებს“ (ორთავიანი არწივი რუსეთის გერბზეა გამოსახული). ლექსი საოწარკვეთილი პოეტის აღსარებაა. ის ითხოვს შველას. მისი სამშობლო – გემი „იმედი“ – ილუპება. „სალიუტი, სალიუტი, სალიუტი!“ – ამ შეუფერებელი, არაპოეტური, არაქართული სიტყვებით იწყება და მთავრდება ლექსი. სიტყვა „салиот“ ასო „ю“-ს გამო მხოლოდ რუსულად გამოითქმის კარგად, რაც მშვენივრად მოეხსენებოდა იმ პოეტს, რომლის შემოქმედების უმთავრესი ხიბლი ლექსთა ევფონია იყო. ლექსი დაიწერა 1923 წელს, იმ დროს, როდესაც საქართველოს უმძიმესი მდგომარეობით შეძრული იყო ყველა საღად მოაზროვნე ადამიანი, თუმცა ხმის ამოდებას ვერვინ ბედავდა. გალაკტიონმა კი შეძლო ასე მეტაფორულად გამოეხატა თავისი სათქმელი.

არსებობს ამ ლექსის სხვაგვარი გაგებაც. წიგნში „გალაკტიონოლოგია“ (IX, 2022 წ.) ცნობილი მოღვაწე, ისტორიკოსი და თეოლოგი ვ. რცხილაძე იხსენებს ხელოვნების ისტორიკოსის ჰ. ზედლმაიერის ეპოქალურ წიგნს „ცენტრის დაკარგვა“, სადაც ავტორი განიხილავს გერმანელი მხატვრის კასპარ დავიდ ფრიდრიხის (1774-1840 წწ.) ერთ შედევრს – „დამსხვრეული იმედი“, რომელზეც ასახულია ზღვაში დამსხვრეული გემი და ამ გემის სახელწოდება არის „იმედი“. ჰ. ზედლმაიერი ასე აღწერს ამ სურათს: „ყინულის მასებით დამსხვრეული გემი, უსაზომო სიმარტოვეში, წარმოგვიდგენს ადამიანის მიტოვების ისეთსავე დიდ სიმბოლოს, როგორცაა ადამიანის დამთრგუნველი გოიას სისხლიანი ჩვენებები. ალეგორიის აზრი ფრიდრიხმა სავსებით ნათელჰყო: დაკარგულ გემს „იმედი“ ჰქვია... ადამიანის მიტოვება შედეგია კატასტროფისა, ხოლო ფრიდრიხთან იგი განეკუთვნება ადამიანის არსს, როგორც ადამიანის ყოფიერების მუდმივ მდგომარეობას. და ეს არის სიმარტოვე“.

ქართველი მკვლევარი იქვე დასძენს: „იცნობდა თუ არა გალაკტიონი ფრიდრიხის ამ შედევრს – ამას პრინციპული მნიშვნელობა არ აქვს, თუმცა მსგავსება აშკარაა: გალაკტიონთანაც და გერმანელ მხატვართანაც ზღვის სტიქია სპობს გემ „იმედს“, აქაც და იქაც შემოქმედის სამშობლო მხოლოდ „იმედია“, რომელიც ნადგურდება“.

ვ. რცხილადის აზრით, გალაკტიონი ლიტერატორთა იმ ბანაკის წარმომადგენელია, რომელსაც გერმანელი ლიტერატურის მკვლევარი ვ. გრენცმანი „კრიზისის ლიტერატურას“ უწოდებს. ამ ბანაკის მწერლების (თომას მანი, ფრანც კაფკა, გოტფრიდ ბენი, ჰერმან ჰესე . . .) საერთო დამახასიათებელი ნიშანია ის, რომ ისინი ადამიანს განიხილავენ, როგორც სამყაროში ჩავარდნილ, დაუცველ არსებას.⁶³⁷

რა თქმა უნდა, ვეთანხმები ბატონ ვ. რცხილადის იმ მოსაზრებას, რომ გალაკტიონის ლექსებში „ღმერთისგან ადამიანის მიტოვების უსაზომო ტრაგიზმი და ვეებერთელა სევდაა გადმოღვრილი“, თუმცა შემიძლია დავამატო, რომ ლექსში „ზღვის ეფემერა“, რომელიც 1923 წელს დაიბეჭდა ჟურნალში, გემი „იმედი“ განასახიერებს სამშობლოს, რომელმაც დაკარგა დამოუკიდებლობა, რომელსაც ამსხვრევს ბოლშევიზმის ტერორი და ადამიანებიც მასთან ერთად იღუპებიან.

III. გალაკტიონი და რითმა ანტიკური სახეების მოშველიებით

ვისაც პოეზია უყვარს, მისთვის ცხადია, რომ გალაკტიონმა არა მხოლოდ ახალი პოეტური სახეებით გაამდიდრა ქართული სიტყვაკაზმული მწერლობა, არამედ შესძინა მას გასაოცარი მუსიკალობა რიტმისა და რითმის ჰარმონიის შეგრძნებით. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ გალაკტიონის ლექსებზე, მუსიკალური აკომპანიმენტის გარეშე, სახელოვანმა მაესტრომ გ. ალექსიძემ შექმნა საბალეტო სპექტაკლი „დოვინ, დოვენ, დოვლი“, რომელიც დღემდე უდიდესი წარმატებით იდგმება საბალეტო სცენაზე. სპექტაკლი მთავრდება და გეუფლება ისეთი გრძნობა, თითქოს ეზიარე საოცარ მუსიკას, არაამქვეყნიურს. თუმცა ეს არც არის გასაკვირი, რამეთუ „ლურჯა ცხენების“ სიმბოლიკის შემომტანი პოეტისათვის თხრობითი სტილი, რომელიც ლოგიკაზეა აგებული, შეიცვალა პირობითი წარმოსახვებით და აქ უკვე მნიშვნელობა დაკარგა იმან, თუ როგორ ებმიან ფრაზები ფრაზებს. მთავარი არის ის უხილავი კავშირები, რომლებიც წარმოსახვით ასოციაციებს იწვევენ რითმის, რიტმისა და მუსიკალობის მეშვეობით:

„რტოებში ავობს ბებერი ქარი,
ყვავილთა ჯარი ფიფქით ბანაობს,
ტყდება, ნანაობს ეთერი ჩქარი,
ნანაობს ქარი და მიქანაობს“.

⁶³⁷ გალაკტიონოლოგია IX. შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, გალაკტიონის კვლევის ცენტრი. რედ.: თ. დოდიაშვილი. თბილისი, 2022, გვ. 153-156.

„ატმის ყვავილები“

ვკითხულობთ ლექსს და სულ არ გვაინტერესებს როგორ „ტყდება და ნანაობს ეთერი ჩქარი“, ან როგორ გავიგოთ, რას ნიშნავს „ეთერი ჩქარი“? გალაკტიონი წერდა: „ყოველ საგანს გააჩნია თავისი მუსიკა. პოეტი სწორედ ამ მუსიკას ეძებს და თუ აღმოაჩინა, მაშინ ლექსი ყოველთვის მშვენიერი გამოვა. ვისაც ეს თვისება არ გააჩნია, იგი არ არის შემოქმედი“.

გალაკტიონის მუსიკალობასა და რითმულ მიგნებებზე უსასრულოდ შეიძლება წერა. ჩემი წერილის სპიციფიკიდან გამომდინარე მხოლოდ იმ ნიმუშებს განვიხილავ, რომლებიც ანტიკურ სახეებს უკავშირდებიან.

ელადა და ძველი რომი გალაკტიონის ლექსებში იდეალურ სამყაროებად გვევლინებიან. ლექსში „ძლიერ მომავალს უმღეროდა მომავლის ქნარი“ პოეტი წერს:

„ამ წიგნში მომავალი საუკუნის ვიპოვე ბინა,
უცხო წალკოტში, სადაც კალთა გადაეფინა
მზის ელვარებას და უსაზღვრო
ძებნის სურვილებს
ძველი ელადით, ძველი რომით
გადაბურვილებს“.

ზოგჯერ გალაკტიონი თამაშობს რითმებით, თუმცა ეს თამაშიც აღფრთოვანების ღირსია: როგორც ირკვევა, პოეტს განსაკუთრებით მოწონებია ნიობესა და ნიობიდების მითი და ამ სახეებს სხვადასხვა მუსიკალურ ჟღერადობას ანიჭებს. ასე მაგალითად:

სად იყო სმენა და გაგონება,
გაქვავებული ატირდება თვითონ ნიობა,
არა ცრემლები, არა შიში და დაღონება,
არამედ შურისმძიებელი კაცობრიობა“.

„სად იყო სმენა და გაგონება“ (ვარიანტი)

ამ ლექსში ნიობა (რომელიც მითში ქედმაღლობის გამო ისჯება, ღმერთები მის შვიდ ქალიშვილსა და შვიდ ვაჟს უმოწყალოდ ამოხოცავენ) სიმბოლოა მწუხარებისა, ის ქვად ქცეულიც კი ატირდება მსოფლიო ომის მოახლოების სისასტიკის შეგრძნებით.

სულ სხვა ემოციით არის დაწერილი უსათაურო ლექსი, რომელიც ეძღვნება ახალგაზრდა მშვენიერ ქალბატონს:

„მოვა თუ არ ის წუთი,
ო, სასტიკო ნიობა,
მაგ მშვენიერ ძუძუთი
დასტკბეს კაცობრიობა“.

ამ სტროფის წაკითხვისას არ შეიძლება არ წარმოგვიდგეს ანტიკური ხანის ქანდაკებათა ერთ-ერთი შედევრი „მომაკვდავი ნიობიდა“, რომელიც ძვ.წ. 430 წლით არის დათარიღებული. როგორც ჩანს, ეს ქანდაკება, რომელიც მომაკვდავი ქალწულის მწუხარე სახითა და ულამაზესი მკერდით არის გამორჩეული, გალაკტიონსაც ხიბლავდა.

არის კიდევ ერთი ლექსი („გუბე“), სადაც გალაკტიონი უბრუნდება რითმას (ნიობა – კაცობრიობა):

„ამმორდა გუბე, მაგრამ მკაცრი საათი რეკავს,
გამოიღვიძეთ! შურისგება არყევს ნიობას,
გადაირღვევა ნაპირები და გადალეკავს
ძველს, ეხლა მაინც დაღუპვის ღირს კაცობრიობას“.

კიდევ მრავალი ამონარიდი შეიძლება გავიხსენოთ გალაკტიონის ლექსებიდან, სადაც პოეტი თითქოს ხუმრობს, მაგრამ მაინც სიმართლეს ამბობს. ცნობილ ისტორიულ პირთა შორის უფრო ხშირად ნერონის სახელი გვხვდება. განათლებულმა მკითხველმა კარგად იცის რომის იმპერატორის ცხოვრების აღწერილობა და, ბუნებრივია, მისი სახელის ხსენებისას მხოლოდ ნეგატიური ემოცია ეუფლება, თუ ამას ემატება ძველი რომის უღმრთელი დიქტატორისა და მთავარსარდლის, სამულველი „სულას“ სახელიც, ეს ემოცია ორმაგდება:

„ისტორიის ფურცლებიდან
გამო ნერონ, გამო სულა!
ჩაქუჩით და ნამგლით ხელში
ველად გმირი გამოსულა“.

„გამოსულა“

ჩაქუჩი და ნამგალი იმ ეპოქის სიმბოლოდ ითვლებოდა, რომელიც ასე სძულდა გალაკტიონს და დიდი რომის ავადსახსენებელ ისტორიულ პირთა სახელებიც ამ სიმულვილის დემონსტრირება უნდა ყოფილიყო.

ამრიგად, გალაკტიონის პოეზიაში უხვად ვპოულობთ ანტიკური სამყაროს სახე-სიმბოლოებს, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ ამ დიდებულმა პოეტმა გენიოსისთვის ნიშანდობლივი ინტუიციითა და, აქედან გამომდინარე, სრულყოფილებით იცოდა ძველი საბერძნეთისა თუ რომის ისტორიაც, ლიტერატურაც და ხელოვნებაც. უყვარდა ეს სამყარო და ამიტომაც საკუთარ თავში ეძიებდა დიონისურს და პოვა კიდეც. მან ხომ თავისი „ლურჯა ცხენებით“ გადალახა „ბედის სამძღვარი“ (ნ. ბარათაშვილი „მერანი“) და შეძლო მიღმურ სამყაროსთან ზიარება. მან ხომ შეიძნო ჭეშმარიტება და ის, რაც „ზეცაზე ეწერა“. დიახ, თავისი პოეზიით მან ააგო „ახალი ლალის კართაგნები“.

„ცისფერყანწელები“ და ანტიკურობა

ნანა ტონია

პაოლო იაშვილი
(1894-1937)

XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე ქართული პოეტური აზრი ევროპული, უფრო ზუსტად, ფრანგული ლიტერატურული პროცესების გავლენის ქვეშ აღმოჩნდა. ეპოქალური მნიშვნელობის იყო 1852 წელს ლეკონტ დე ლილის მიერ გამოქვეყნებული კრებული „ანტიკური ლექსები“. ეს კრებული განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებდა სახეთა პლასტიკურობით, ენის კოლორიტულობითა და დახვეწილობით, რიტმისა და რითმის სიმწყობით. მის წინასიტყვაობაში კი წარმოდგენილი იყო ავტორის პოეტური კრედი. ლეკონტ დე ლილს მრავალი თანამოაზრე გაუჩნდა. მათი ძალისხმევით 1866 წელს გამოვიდა კრებული „თანამედროვე პარნასი“, რის შემდეგაც ამ ჯგუფში გაერთიანებულ პოეტებს „პარნასელები“ უწოდეს. ძველ სამყაროში, კერძოდ კი ანტიკურობაში, პარნასისტები პოულობდნენ საკუთარი ესთეტიკური გრძნობების გამოვლენის საშუალებებს. მათი დევიზი იყო „ხელოვნება ხელოვნებისათვის“, შესაბამისად, ისინი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ ფორმის დახვეწილობას, ენის მეტაფორულობას, ფრაზათა მოხდენილობას, ასოციაციათა სიმძაფრესა და წარმოსახვის სინატიფეს. 70-იანი

წლებიდან „პარნასმა“ დაშლა დაიწყო. ამის უმთავრეს მიზეზად მის ესთეტიზმით შემოფარგვლას ასახელებენ. მიუხედავად ხანმოკლეობისა, პარნასელებმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ფრანგული, და შეიძლება ითქვას მთელი ევროპული პოეზიის განვითარებაში. მათ გაამდიდრეს პოეტური ენა, განსაკუთრებული ხიბლი შესძინეს ძველი სამყაროს მიმქრალ სახეებს, გააცოცხლეს ისინი და ახლობელი გახადეს თანამედროვეებისათვის. მართალია, პარნასიზმი წმინდა ფრანგული მოვლენა იყო, მაგრამ მან მეტ-ნაკლებად იჩინა თავი დასავლეთისა თუ აღმოსავლეთის ლიტერატურულ პროცესებში.

პარნასული ლიტერატურა მსოფლიოს თითქმის ყველაზე ენაზე ითარგმნა. მათ შორის ქართულადაც. 1918 წელს ჟურნალ „ARS“-ში (№1) ასეთი ინფორმაცია დაიბეჭდა: „ქუთაისის დუქნებში, რომლებიც უეცრად პარიზის ლიტერატურულ კაფეებად გადაიქცნენ... გაისმა ძვირფასი სახელები: ედგარ პო და შარლ ბოდლერი, პოლ ვერლენი და სტეფან მალარმე, ჟოზე მარია დე ჰერედია და ვერჰარნი...“. ამ სახელებმა ქართველ პოეტთა ახალ თაობაზე დიდი ზეგავლენა იქონიეს.

იმხანად ქუთაისში მოდერნისტ მწერალთა „თაურმესიტყვე“ იყო გრიგოლ რობაქიძე. იგი 1909 წელს დაბრუნდა ევროპიდან და შეეცადა ევროპული ფილოსოფიისა და ლიტერატურული პროცესების თანაზიარი გაეხადა განათლებული საზოგადოება, რასაც მიაღწია კიდეც. ახალგაზრდა მწერლებმა გრიგოლ რობაქიძე თავიანთ მოძღვრად და მეთაურად აღიარეს. პარიზიდან ახლად დაბრუნებული პაოლო იაშვილი შეუერთდა ამ ახალგაზრდულ დასს და 1915 წელს ტიციან ტაბიძესთან, ვალერიან გაფრინდაშვილთან, კოლაუ ნადირაძესთან, სანდრო ცირეკიძესთან და სხვა პოეტებთან ერთად დააარსა „ცისფერი ყანწების“ ორდენი. მანვე დაწერა ორდენის „მანიფესტი“, რომელიც თანამზრახველთა რომანტიულ გატაცებებს გამოხატავდა: „ვისაც სურს, მან უმღეროს გაზაფხულის ყვავილებს, მთვარეს და სადამოს მყუდროებას, დამშვიდებულსა და ტკბილ სიყვარულს, ტყის იდუმალებასა და ფრინველთა გალობას. ჩვენ გვინდა, რომ საქართველო გადაიქცეს უსაზღვრო მეოცნებე ქალაქად, სადაც ცოცხალი ქუჩების ხმაურობა შეცვლის ყვავილოვანი ველების ზურმუხტობას“.

პაოლო 1916 წლიდან რედაქტორობდა ჟურნალ „ცისფერ ყანწებს“. მანიფესტიც მის პირველ ნომერში დაიბეჭდა. მან შემოიყვანა ქართულ პოეზიაში მალარმე, ვერლენი, ვერჰარნი, მიუძღვნა მათ და ქართველ პოეტებსაც სონეტები, მთელი თავისი ძალისხმევით ცდილობდა ქუთაისში წმინდა ხელოვნების აღორძინებას. მისივე თანამოაზრისა და თანამესიტყვის სანდრო ცირეკიძის სიტყვით, „დირიჟორი ყველგან – პაოლო იაშვილი არის გაბედული არქიტექტორი ორდენის, ატლანტივით ორივე ხელით უჭირავს ცისფერყანწელების სიმძიმე“.

ამ დასმა 17 წელი ისე გაძლო, რომ არ გათიშულა. რა თქმა უნდა, ყოველ „ცისფერყანწელს“ საკუთარი თვალთახედვა ჰქონდა, მაგრამ ეს აღიქმებოდა სიახლეთა მიების პროცესად. მიების საფუძველი კი იყო ახალი ხელოვნების შექმნა, რასაც დიდი ხანია ქადაგებდა გრიგოლ რობაქიძე. დრო გადიოდა და ისტორიულად ახალი ეპოქა თავის იდეოლოგიას ამკვიდრებდა.

მიუხედავად იმისა, რომ პაოლო იაშვილი ევროპული პოეზიის მქადაგებელი იყო, ანტიკურობის გავლენა მის შემოქმედებაში არც ისე მძლავრია, როგორც ეს ჩანს გრიგოლ რობაქიძის, გალაკტიონის თუ ვალერიან გაფრინდაშვილის თხზულებებში. ლექსში „ავტოპორტრეტი“ ის წერდა:

„მე მახალისებს მხოლოდ ჩემი **salto-mortale**,
შეხარი მზესა, ვეტრფი მთვარის ყვითელ ხავერდსა
და რუსთაველთან გადავდივარ მე ალავერდსა“.

salto-mortale – ლათინურენოვანი გამოთქმაა და იგი „სასიკვდილო ნახტომს“ ნიშნავს. ამ „ავტოპორტრეტში“ პაოლო ნათლად მიანიშნებს: მისი პოეზიის მთავარი სათქმელი „მზის სადიდებელია“ რუსთველისეული ლექსით. ეს არის მისი „salto-mortale“, რომელსაც სიცოცხლის ბოლომდე უერთგულებს. პაოლო იაშვილი პოეზიისთვის დაბადებული რაინდი იყო, მან ზუსტად გამოხატა თავისი სათქმელი ლექსში „პოეზია“:

„გაგიჟება სჯობს, თუ გაგითავდა სიტყვის მადანი
და თვალთა დათხრა, თუ მზეს ქებით ველარ დახვდები“.

„მზის“ თემას მრავალგზის დაუბრუნდება პოეტი, რომელიც გრიგოლ რობაქიძესთან ერთად ეზიარება ისტორიული საქართველოს ძირძველ სანახებს ევროპული პოეზიით შთაგონებული.

პაოლო იაშვილის მრავალი ლექსი ეძღვნება ფრანგ პარნასელებს. ვერლენისადმი მიძღვნილ ლექსში ის თავად წერდა:

„ვერლენი, ბოდლერი და მალარმე! ამ სამებაში
მე ყველა მიყვარს. . . მაგრამ ვერლენს თრთოლვით ვისმენდი“.
„ვერლენს“

ვერლენსვე მიუძღვნა ლექსი სახელწოდებით „დარიზი ვერლენი“. გ. ქიქოძის მოგონებებში ვკითხულობთ: „პაოლო იაშვილს პირველად პარიზში შევხვდი. . . ლათინურ უბანში ცხოვრობდა. . . უყვარდა პოლ ვერლენის ძეგლის გვერდით ჯდომა ლუქსემბურგის ბაღში და შადრევნის აუზში მობანავე ბედურების ცქერა. რაღაცას ნათესაურს პოულობდა ამ ბავშვით გულუბრყვილო, მაგრამ ბიწიერ პოეტსა და უწყინარ ფრინველს შორის“ (გერონტი ქიქოძე, პაოლო იაშვილი, 2012 წ.). ეს განცდა აისახა პაოლო იაშვილის ლექსში „ვეროპა“, რომელიც პარნასელთათვის ნიშანდობლივი ურბანისტული თემატიკის ქართულ ანალოგად არის აღიარებული:

„გახდა პარიზი უსიცოცხლო და უსიმღერო,
ლუქსემბურგში: იდგა ვერლენი
ცრემლიანი და თოვლის ქურქში“.

მართალია, პაოლო ვერლენისადმი მიძღვნილი ლექსის სამებაში („ვერლენი, ბოდლერი და მალარმე“) რემბოს არ ახსენებდა, მაგრამ სწორედ რემბოს თარგმნიდა განსაკუთრებული აღმაფრენით. მისდამი მიძღვნილ ლექსში არის ასეთი სტრიქონები:

„დასტოვე სიტყვა, როგორც მეფე ნატრიუმფალი“
.....
არტურ მართალო, გვინდა შენთან დაბინადრება“.

ვეროპელ და რუს პოეტთა სახელები, პოეტური სახეები, სტილი, სალექსო ფორმები ქართული შემოქმედებითი აზრის შთაგონებად იქცა. „ეს იყო ზიარება დიდ კულტურასთან, რომელსაც არ იცნობდა საქართველო, მაგრამ გაცნობაც არ კმაროდა, საჭირო იყო ათვისება და ტრადიციებთან შეზრდა, რათა ლიტერატურას წინსვლა შეძლებოდა“.⁶³⁸

მართალია პაოლო იაშვილმა შედარებით მწირი შემოქმედებითი მემკვიდრეობა დატოვა, მაგრამ ისეთივე საინტერესო და მშვენიერი, როგორიც თავად იყო. მან სწორედ რომ დიდებულად აითვისა პარნასელთა ყველა სიახლე და ის ქართულ ლექსში გადმოიტანა, რადგანაც „ღმერთმა სიგიჟე გარდმოუვლინა“ (ლექსი: „პოემა ჩემი რამოდენიმეთ გადარევისა“). ის ცდილობდა ხელოვნებაში სილამაზის წარმოჩენას, ამიტომ ჩნდებოდნენ მის პოეზიაში ფარშევანგები, ბუღბუღებები, ნიბლიები, მტრედები, შევარდნები, იადონები...

⁶³⁸ ს. სიგუა. მოდერნიზმი. თბილისი, 2008, გვ. 91.

„მაგიდას – პარნასს ყვითელი მტვერი,
მზის ოქროს წვერი ხვრელიდან ესობა,
და პოეტს ზარმაცს – წასვლია ფერი

.....

და ელის კარნახს კალამის წვერი,
კალამის წვერი – ბულბულის ნისკარტი“.

„მაგიდა – ჩემი პარნასი“

ის რომ პარნასული პოეზიით იყო პოეტი შთაგონებული, ეს ლექსიც ცხადყოფს. მაგიდა, რომელზეც იწერებოდა მისი ლირიკა მეტაფორულად „პარნასის“, ფრანგ პოეტებთან ზიარების სიმბოლოა. ეს ლექსი პოეტის შემოქმედებითი პროცესის რაღაც ეტაპს ეხება, ჩანს, მის „მაგიდა – პარნასს“ დასდებია „ოქროს მტვერი“ და „ზარმაცი“ პოეტის „კალმის წვერი – ბულბულის ნისკარტი“ ელის ღვთაებრივ შთაგონებას. ლექსში იკითხება შედარებაც და მეტაფორაც, რაც ნათელს ხდის პაოლო იაშვილის მიდრეკილებას ახალ სახეთა ძიებისაკენ. მისი მეტაფორები მრავალმნიშვნელოვანია, მაგრამ არა რეზუსული, როგორც ამას იმ ეპოქის ზოგიერთი პოეტის შემოქმედებაში ვხვდებით. ეს პოეტური ხატები პაოლოსეულია და არა „ნატრიუმფალი“, როგორც ეს თავად წარმოთქვა რემბოსადმი მიძღვნილ ლექსში („არტურ რემბო“). პაოლოს არც მალარმე დავიწყებია. მისი პორტრეტი პოეტური სრულყოფილებით არის ასახული ლექსში „მალარმე“:

„ის იყო თეთრი, თავახრილი და ოქროპირი,
უცხო სიტყვები, ვით გედები მან ადიოდა,
მისთვის ოცნება იყო მკაცრი იროდიადა
და იყო მარტო სილამაზის ძვირფასი გმირი.

.....

ღვთაებრივ ხმებში ზამბახები თეთრად ცვიოდა,
როს კენტავრების სადიდებლად მომართა სტვირი“.

მალარმეს ბიოგრაფიიდან ცნობილია, რომ მას თავის მეტრად თვლიდნენ პოეტები, რომლებიც მის ბუხართან იკრიბებოდნენ და ისმენდნენ საუბრებს მითოლოგიასა თუ ლიტერატურაზე. ამიტომ გაჩნდა პაოლოს ლექსში ისეთი მეტაფორები, როგორიც არის: „თოვლზე დაფანტულ ძვირფას ქვების ზემაქებარი“, ან „სიმახინჯეში მან შენიშნა მხოლოდ კეთილი // ის იყო ბრძენი, ერთადერთი გაუგებარი, // როგორც „სონეტი“ თეთრ სხივებში გამოკვეთილი.“

პარნასელებმა ახალი ესთეტიკა დაამკვიდრეს. მათი შემოქმედება უხვად დაეწაფა ანტიკურ პოეტიკას. ამიტომაც შემოდის პაოლოს მეტრისადმი მიძღვნილ სონეტში „კენტავრის“ თემა (ვარიანტი). ანტიკური მითოსის ამ გამოგონილ არსებაზე მრავალი ლექსი დაიწერა, თავად ბერძნებმა კენტავრები სხვადასხვა თვისებით შემოსეს მათზე შეთხზულ მითებსა, ფერწერულ ტილოებსა თუ ქანდაკებებში. ისინი ბოზოქარი მეზრძოლებიც არიან და ბრძენი აღმზრდელებიც ცნობილი გმირებისა. თანამედროვე ცნობიერებაში ისინი ველურ და ბოზოქარ ძალას წარმოადგენენ. როგორც ჩანს, მალარმეს სახეს ასე წარმოიდგენდა ქართველი პოეტი.

„კენტავრს“ კიდევ შევხვდებით პაოლო იაშვილის ერთ-ერთ საპროგრამო ლექსში „გრიგოლ რობაქიძეს“. მას თითქოს მოჰბეზრდა სონეტების წერა, მალარმე და ხოზე მარია და ახლა სხვა ფორმით, „გამტყდარი ლექსით“ მიმართავს თავის „კარდინალს“, მეტრს – გრიგოლ რობაქიძეს: „მომართვა ჩემი, კარდინალო ჩვენი ორდენის, იქნება მძიმე“: ეს სიმძიმე გამოწვეულია გრიგოლ რობაქიძისადმი თანაგრძნობით მისი შვილის „ალკას“ გარდაცვალების გამო. მაგრამ ეს ბოლოს . . . ლექსი ვრცელია და პოეტი ჩამოთვლის იმ ავტორებს, რომელთა შესახებაც მუდამ საუბრობდა მისი ადრესატი ორატორულ გამოსვლებსა თუ ესეებში („ნიცშე, დანტე, ბოდლერის ღმუილი. . .“), თავად გრიგოლ რობაქიძეს „კენტავრად“ მოიხსენიებს. აქ აუცილებლად უნდა გავიხსენოთ გრიგოლ რობაქიძის ლექსი, რომელიც ეძღვნება პაოლო იაშვილს და რომელშიც უბრალოდ, ნათლად არის დახატული პაოლოს პოეტური პორტრეტი. ამ ლექსში გრიგოლ რობაქიძე პაოლოს ასე მიმართავს:

„ხარ უცნაური, ქედმაღალი, ურჩი თავნება,
გშვენის ყივილი და ნავარდი დაჭრილ კენტავრის“

„პაოლოს“

„კენტავრობა“ გრიგოლ რობაქიძის და საერთოდ, პოეზიის ენაზე ველად გაჭრილის აბოზოქრებას, თავისუფლების დაუოკებელ სურვილს, „ველურობას“, არაამქვეყნიურ გაქანებას ნიშნავს. ასეთი იყო კიდევ პაოლო. მაგრამ გრიგოლ რობაქიძე? ალბათ ისიც ველურად იქცა სამგლოვიარო, მძიმე დღეებში, როდესაც ეძებდა „ალკას, ტირილით გასვენებულს“. პაოლო არ ახსენებს დიონისეს და გრიგოლ რობაქიძის დიონისურ სტიქიას, მაგრამ მრავალგზის მიაწინებდა თავის ხილვაზე:

„მე ვხედავ მენადებს: ისინი თბილისს
შემოესივნენ, ყოველი ქუჩა სავსეა მათით,

სიცხეა დიდი: ელიან შენს გამოსვლას.
სიხარულით: სტირიან ქუჩაში მენადები.
დაგინახეს და გიჟდებიან „მენადები“
იჩოქებენ, ცახცახებენ, იზმორებიან.
შენ მოესწარი:
დღესასწაული შენ მოგიწყო
ჩვენმა ორდენმა“.

„გრიგოლ რობაქიძეს“

„მენადები“ დიონისეს თანამგზავრები არიან, შეშლილი ქალები, რადგანაც მათში ასევე შეშლილი დიონისეა ჩაბუდებული. იგულისხმება, რომ ეს მენადები სიგიჟის ექსტაზში ელიან თავიანთ დიონისეს. ლექსის ამ სტრიქონებში დიონისური რიტუალის სუნთქვა იგრძნობა: ღმერთის დაგლეჯის და კვლავ აღდგომის.

აღდგომა უკვე ზეიმია, დღესასწაული.

შემდეგ შემოდის **ქალდეას** თემა, რომელიც გრიგოლ რობაქიძემ და ცისფერყანწელებმა ესოდენ მრავალმნიშვნელოვნად გააცოცხლეს ქართულ პოეტურ აზრში. „ქალდეა“, „კარდუ“, წინარეისტორიული აღმოსავლეთი – ეს არის ქართული ნაციონალური სულის დასაბამი, გრიგოლ რობაქიძის გამოთქმით, „თაურწყარო“, რომლის ხსენებაც სიმბოლურად წარსულისკენ მიბრუნებას ნიშნავს.

მაგრამ გრძელდება ბალაგანი, სადაც ვიხილავთ ოფელიას, ზეიმის დარაჯს – სარაცინს (სარკინოხს) და ოქროს **ტრირემით** შემოყვანილ სანტა მარიას, ოქროთი და ვერცხლით დატვირთულ, ერთადერთ გახარებულს, მათხოვარს, მოსამსახურე **ფავნსა** (ფავნუსი, ტყეთა და ველთა რომაული ღვთაება. ბერძნული პანის მსგავსად ფავნუსიც აბრაზებს და შიშს გვრის ტყეში შემხვედრ გამვლელებს) და ციდან მოსულ მტრედს, რომელსაც გზა გაუხსნეს ფარშევანგებმა: „ეს არის ალკა“, პოეტის შვილი, პაოლო ხარობს და გრიგოლიც „რომ უდიდეს დღესასწაულზე“ არ დაივიწყა ისინი ალკას სულმა.

ლექსი დატვირთულია ისტორიული წიაღსვლებითა და პოეტური მეტაფორებით. პირველივე სტრიქონებიდან იგრძნობა, რომ პოეტი მიმართავს პოეტს და მოუწოდებს, სონეტი, რომელიც მათ დაამკვიდრეს, „გაასვენონ თეთრი კუბოთი“. უკვე იგრძნობა, რომ საუბარი იქნება მძიმე, დაწერილი „გამტყდარი ლექსით“.

პაოლო იაშვილმა კიდევ ერთი ლექსი მიუძღვნა გრიგოლ რობაქიძეს, უფრო მსუბუქი და პორტრეტული, სადაც მეტაფორულად გამოხატა თავისი სათქმელი:

„მე ტან-ანთებულ ფარშევანგებით
მოგართვი შვადლის კარდინალობა“.

„გრიგოლ რობაქიძეს“

„შვადლე“ მზის პაპანაქების ჟამია. გრიგოლ რობაქიძის მოძღვრებით, ოდინდელ საქართველოში „მზის ხანა“ იდგა. მისი თანამედროვე საქართველო კი იყო „დაჭრილი მზე, მაგრამ მაინც მზე“. ამაზე მიაწიშნებდა პაოლო თავის „მიძღვნაში“ და თავადაც იზიარებდა გრიგოლ რობაქიძის ამ მოსაზრებას:

„როცა ჩვენ გავჩნდით შვადლის საქებად,
ჩამოეყდნენ მზიდან სვეტები“.

წერდა პაოლო და კარგად იცოდა, რომ მისი ლექსის ადრესატი იმიტომაც იყო „კარდინალი“, რომ „კენტავრის სირბილს – ლილლეს აყოლებდა“. არ არის ძნელი მისახვედრი, რომ ეს პარადიგმა „ცისფერყანწელთა“ მთავარ მოწოდებაზე მიაწიშნებდა: „ველური გზებით დაბრუნება ძირძველ მიწასთან“:

„ატეხილია მიწა ზვიადი,
კენტავრის სირბილს – ლილლეს აყოლებ,
ატარებ როგორც ალკივიადი
ცხელ, გახურებულ დერიდახოლებს“.

„ალკივიადი“, იგივე ალკიბიადესი, ძველი საბერძნეთის სტრატეგოსი იყო, განთქმული თავისი მშვენიერებით. ის ბრძოლებში იყო ჩაბმული და მუხარადებსაც ატარებდა. ალბათ, ამიტომ გაჩნდა ლექსში „დერიდახოლები“. ცნობილია, რომ გრიგოლ რობაქიძე ატარებდა პარიკს და უფრო ხშირად ქუდს, რომელიც მას ევროპულ ხიბლსა და ელევანტურობას სძენდა. ევროპული ხიბლი არც პაოლოს აკლდა, მაგრამ დავუბრუნდეთ მთავარ სათქმელს: „შვადლის“ საქებად გაჩენილი პოეტები „მიწასთან დაბრუნების“ ცეცხლში იწვოდნენ და ამ „რეაქციის“ დამწყებნი, ვალერიან გაფრინდაშვილის აზრით, იყვნენ პაოლო იაშვილი („წერილი დედას“) და გრიგოლ რობაქიძე („ვასაკა“ და „აქლემი“). ამ აზრს იზიარებდა გრიგოლ რობაქიძე და განმარტავდა: „პაოლო იაშვილი ბოლომდე ქართული რასის ტემპერამენტი – მასში იცეცხლება გზნება გამოწვევის და ნება ძლევის. ტყვილად არ ვუწოდე მე მას (სონეტში „პაოლო იაშვილს“) „დაჭრილი კენტავრი“. მზე მას ისე აწვალებს, როგორც არცერთ პოეტს. . . აქ მინდა ერთი პარალელი ვახსენო: პაოლო იაშვილის მზე და ჩემი მზე: მზე მეც მაწვალებს („პან“, „დიდი შუადლე“, „ვასაკა“, „ლონდა“,

„მისტერია მზის“: საგულისხმოა, რომ უკანასკნელმა ჩემი მეგობრების მხრიდან შეუმჩნევლად ჩაიარა). აქ არის სხვადასხვა აპერცეპცია. ალბათ ამის შესახებ იტყვის ვინმე. თუ ამ შემთხვევაში ვინმეს სურს ჩემი აზრი გაიგოს, მე ვიტყვი მოჭრით: პაოლო იაშვილის მზე „სანახაობა“ უფრო, ჩემი მზე კი უფრო „ცხოველი“, პაოლო იაშვილი ინტუიტივითაა ნამდვილი“ (გრიგოლ რობაქიძე „დაბრუნება მიწასთან“). თითქოს ამ სიტყვების დასტურია პაოლო იაშვილის ერთ-ერთი ბრწყინვალე ლექსი „პირამიდები“, სადაც ვკითხულობთ:

„მზის ქორწილის დროს მე დავიწვები მზისფერ სილაზე,
იქ, სადაც სდუმან პირამიდები. . .“

ეს ლექსი ქალის (დარიანის) ფსევდონიმით გამოაქვეყნა პაოლომ, მაგრამ მისი ყოველი სტრიქონი, ყოველი პოეტური სახე ამხელს და ხატავს ჭეშმარიტი ავტორის პორტრეტს: „მზიურებს მაშინ არაფერი მოგვაგონდება. . .“ ვკითხულობთ ლექსში და ეს „მზიური“, „არაბულ ცხენზე ამხედრებული“, სფინქსთან მისული „იქ, სადაც სდუმან პირამიდები“ მხოლოდ და მხოლოდ პაოლოა, რომლისთვისაც, როგორც იტყოდა გრიგოლ რობაქიძე, მზე „სანახაობა“ იყო და

„რომ ქვეყნის ამღერება
იქნება მზის ნადიმი, შუადღის მშვენიერება“
„ხარი“

მაგრამ დრო-ჟამი შეიცვალა. ბოლშევიზმის გამარჯვების შემდგომ „მზის ნადიმების“ ცეცხლი მიწავლდა. 1915 წელს ევროპის „ქაოსს“ განრინებული პოეტი ცნობილ 1937-ში ისევ ქაოსში გაეხვევა და ეს ქაოსი უფრო შემზარავი და სასიკვდილო აღმოჩნდება. პაოლო დაწერს:

„რად დაღალულა ყვავილები ვენერას მკერდით,
მზის სიხარული ჩემს ფანჯარას რად ერიდება?

.

უხმოდ დასრულდა დღე უმზეო და მგლოვიარე.
მენატრებოდა – და გულს აღარ ეიმედება.
ჩემი ტუჩები ცივი არის, როგორც ის მთვარე
ჩემს ფანჯარაში სიკვდილივით რომ იხედება“.

„ზამთარში“

არც სიყვარული (ვენერას//ვენუსის მკერდზე დაღლილი ყვავილები), აღარც მზე და აღარც იმედი. მზეს მთვარე შეცვლის და დაიწყება დასასრული მისი სიცოცხლის.

ტიციან ტაბიძე (1895-1937)

ნანა ტონია

ტიციან ტაბიძის შემოქმედება სრულყოფილად იქნა შესწავლილი და დაფასებული მისი გარდაცვალებიდან დიდი ხნის შემდეგ. აი, რას წერდა ცნობილი ქართველი მწერალი თ. ჭილაძე: „მთელი მისი არსება ისე იყო შეპყრობილი ჭეშმარიტი პოეზიის გზებით, ისეთი მოუთმენლობით, ისეთი ჭაბუკური მღელვარებით მიიწევდა ზევით – სანუკვარი მიზნისკენ, რომ ვერც კი გრძნობდა, ზოგჯერ კიბის საფეხურები რომ უტყდებოდა, ზოგჯერ კი სტრიქონს ისე უხეშად ეპყრობოდა, იფიქრებდი, კი არ წერს, ხნავსო. მაგრამ ერთი რამ კი უეჭველი იყო: მის გულში წმინდა სისხლის პეგასი იყო შებმული“.

საგულისხმოა, რომ ტიციანის შემოქმედებას თ. ჭილაძე „წმინდა სისხლის პეგასს“ ადარებს. ბერძნული მითოსის ეს დაუოკებელი არსება სრულად გამოხატავს პოეტის მშფოთვარე სულის მდგომარეობას, რომლის ნიმუშად შეიძლება წარმოვადგინოთ ერთი ამონარიდი ლექსიდან „ანანურთან“:

„გაჩხერილი ვარ ქვებზე კალმახი
და ახელი მაქვს ლაყუჩები,
შემართულია ფეხზე ჩახმახი
და უსიკვდილოდ ვერ გადვურჩები“

„ანანურთან“

ტიციან ტაბიძე სრულიად ახალგაზრდა, 42 წლის ასაკში გარდაიცვალა. ამიტომ სხვა პოეტებთან შედარებით მისი შემოქმედება განსაკუთრებული სიუხვით არ გამოირჩევა, მაგრამ მდიდარია იმ დროისათვის მნიშვნელოვანი ახალი იდეებითა და განწყობილებებით. ტიციანი, როგორც პოეტი და ესეისტი, სიმბოლიზმის მქადაგებელი იყო. მას მოსწონდა ფრანგული სიმბოლიზმი და მის ლექსებსა და ესეებში ხშირად ისმოდა ბოდლერის, ვერნელის, რემბოს, მალარმეს და სხვა

დიდებულ პოეტთა სახელები. შემდგომ ის დადაიზმმა გაიტაცა და მას კარგა ხანი აწვალებდა დილემა – სიმბოლიზმი თუ დადაიზმი. „ტიციანმა თავიდანვე ყველაზე ნათლად და მკვეთრად განსაზღვრა ამ ჯგუფის („ცისფერყანწელთა“) სიმბოლისტური ორიენტაცია, მაგრამ ამჯერად დადას იდეოლოგია ვერ მიაღებინა და მალე თავადაც ჩაიქნია ხელი – დამარცხებულ, დამცირებულ და დაქცეულ საქართველოს მთლად ბოლოს მოუღებდა ირონია, ცინიზმი და ნიჰილიზმი“.⁶³⁹

ტიციან ტაბიძემ საუკეთესო ლექსები შემოქმედების ადრეულ პერიოდში, კერძოდ კი, სიმბოლისტობის პერიოდში დაწერა. ეს იყო დრო, როდესაც „ცისფერყანწელებს“ ჯერ კიდევ ჰქონდათ რწმენა ქართული კულტურის აღზევებისა. თუმცა ეს რწმენა მალე მინავლდა და ავად სახსენებელი 1937 წლის შემდეგ ისტორიას ჩაჰბარდა. პოეზია საბჭოთა ხელისუფლების აპოლოგეტად გარდაისახა. მაგრამ გრიგოლ რობაქიძის, გალაკტიონისა და „ცისფერყანწელთა“ მოღვაწეობას უკვალოდ არ ჩაუვლია. მათ შემოიტანეს ევროპული სუნთქვა ქართულ პოეზიაში, მოახდინეს ქართული ლექსის რეფორმა, მისი პარნასული ესთეტიზმით აღზევება, რითაც დიდად განსაზღვრეს ქართული პოეზიის განვითარების გზა. ამ მხრივ უმნიშვნელოვანესი იყო ტიციან ტაბიძის როლი. ლიტერატურათმცოდნეების აღიარებით: „ტიციან ტაბიძის პოეზია XX საუკუნის პოეზიაა, მან სხვა ქართველ პოეტებთან – გალაკტიონ ტაბიძესთან, გიორგი ლეონიძესთან, პაოლო იაშვილთან ერთად შექმნა XX საუკუნის ქართული პოეზიის ენა და აზროვნება. იგი XX საუკუნის შემოქმედია თავისი პოეტური სამყაროთი, ფორმით და შინაარსით, პოეტური საუბრის მანერით და სიტყვიერი ქსოვილით. თუ თანამედროვე პოეტურმა კულტურამ გარკვეულ სიმაღლეს მიაღწია, ამაში დამსახურება ტიციან ტაბიძესაც მიუძღვის ზემოაღნიშნულ პოეტებთან ერთად. მისი პოეზიის არსებობა აუცილებელი იყო ქართული პოეზიის ღირსების შენარჩუნებისა და განმტკიცებისთვის, ქართული პოეზიის მრავალფეროვნებისთვის და ერის სულიერი საგანძურის გამდიდრებისთვის“.⁶⁴⁰

ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში დღემდე მიმდინარეობს ტიციან ტაბიძის პოეტური მემკვიდრეობის შესწავლა. გამოკვლევათა დიდი ნაწილი ეძღვნება მისი შემოქმედების თემატური და გამომსახველობითი საშუალებების ანალიზს, მოდერნიზაციის პრობლემებს, მიმართებებს ევროპულ და ქართულ კლასიკურ მწერლობასთან და ა.შ. (ე. ხინთიბეძე, ლ. ავალიანი, ს. სიგუა, თ. დოიაშვილი და სხვ.). ჩემი ნაშრომის მიზანია გამოვიკვლიო ის, თუ რა გავლენა იქონიეს ამ უაღრესად

⁶³⁹ ს. სიგუა. მოდერნიზმი. თბილისი, 2008, გვ. 63.

⁶⁴⁰ გ. გეგეჭკორი. ტიციან ტაბიძე. კრიტიკა. № 4. 1991, გვ. 67.

საინტერესო პოეტის შემოქმედებაზე ანტიკურობის მითოსურმა და პოეტურმა სახეებმა, როგორ აისახა მის შემოქმედებაში ძველი სამყარო.

* * *

ქალდეა

„ცისფერყანწელთა“ შემოქმედებას ლაიტმოტივად გასდევს „ქალდეას“ თემა. სიძველისა და გარდასული დროების განცდა განსაკუთრებული სიმძაფრით იჩენს თავს ტიციანის შემოქმედებაში. ამ პოეტური ხატის ორიგინალობა და სიმწვავე შინაგანი ჭვრეტის ძალმოსილებით წარმოადგინა შ. აფხაიძემ 1922 წელს გაზეთ „ბახტრიონში“ გამოქვეყნებულ ესკიზში „დიალოგი – ტიციან ტაბიძე“. დიალოგის მონაწილენი არიან პოეტი და ლიტერატორი.

პოეტის აზრით, ტიციან ტაბიძეს მსოფლიო გატარებული აქვს მხატვრულ მზერაში, „ცხოვრების არტისტული ათვისება მისთვის პოეზიას მახვილი და მოქნილი განათება მოვლენის თვისებაა ჭეშმარიტი ხელოვანის. მიაქციეთ ყურადღება ტაბიძის საუბარს: უეჭველად იყნოსავთ, რომ ხდება იდუმალი ქიმიური რეაქცია, პაპიროსის ბოლი რგოლებათ ესევა დარბაზს და მდინარეობს ხმებად დაღვრილი ქიმერები . . . თითქოს სოფლიო ერთი უსახო და საზარი გიპერბოლაა. უკანასკნელი უკვე არის შეცნობის პლასტიურად დაშლა და არტისტის გამოუცნობი მანერა. პოეტი არტისტია მარადი, რომლის სცენას არ აქვს საზღვარი.

სქელი ტურები და გასულ საუკუნოებში გახედული თვალები ცისფერი, ხაზებით გავლა, რომელშიაც შეჭრილია დაწყევლილი სურნელება სივრცის რიტმული მოხაზვის დაშლისა, უცილო ხაზია გარდასულ რასის, რომელმაც თავგანწირვით იკივლა ტიციან ტაბიძის სახეში: თითქოს ეს სახე გადმოდის გადარუჯულ ქალდეას ფრესკებიდან და იშლება ატავისტური ძლიერებით შორეულ მოდგმის ბიოლოგია“.

პოეტის აზრით, ეს მოზრუნება წარსულისაკენ არის ერთგვარი შეცნობა ამ სამყაროსი და პოეზიის.

ტიციან ტაბიძე ლექსში „მაგი წინაპარი“ ნათლად ხსნის რად ენატრება ასე ქალდეა:

„ლოცულობს მამა მწუხრის ლოცვას,
მუნჯად ვუცქერი,
ფსალმუნი სულში შეფრინდება
და იმარხება

შავ ანაფორას მეწამული
გადაჰკრავს ფერი
და ვხვდები ახლა, თუ ქალდეა
რად მენატრება.

ყვითელ სანთელზე მეღანდება
მე მზე მბრწყინვალე,
მზის სადიდებლად აღმართული
დიდი ტამარი.
ზვიად ქვის სვეტებს
თითქოს ადნობს
ჰანგი მხურვალე
და მღერის მაგი, ვინც რომ ჩემი
დაიწყო გვარი“

„მაგი წინაპარი“

ისევ დიალოგს მივუბრუნდეთ და გამოგონილი პოეტის სიტყვა დიდ პოეტზე მოვიშველიოთ: „ეს სტრიქონები პლანეტარული ცეცხლით არის დამწვარი და იძლევა ქალდეას მისტერიის სარჩულს. „ქალდეას ქალაქები“, საიდანაც ისმის გრიგალი საქართველოს დაკარგული თესლის კივილის, მარადი ძიება უდაბნოების კალთებში მომწყვდეული ნათესავ მოდგმის“.

დიალოგი დაწერილია 1922 წელს, როდესაც იმედი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის ჯერ კიდევ ენთო პოეტთა სულში:

ვიცი რომ მოვა სიყვარული
ვისაც მოველი,
ვიცი რომ მოვა სილამაზე
დაუთოველი,
მეც წავუკითხავ და ვუმღერებ
ჩემ ქალდეაზე,
ჩამავალი მზის გაგვაბრწყინებს
ჩვენ სილამაზე“.

„წიგნიდან ქალდეას ქალაქები“.

მაგრამ იმედმა არ გაამართლა. საქართველოსთვის მძიმე ჟამი იდგა და პოეტს ძველი ლექსების სხვა ჰანგებზე გადამღერება უნდა ეცადა:

„ემაფოტივით იდგა ქალდეა,
ეს ცა აქამდის თავზე დამტირის“

„ნუ გაიკვირვებ“

დაწერს პოეტი და ამ ლექსს ბედის ირონიით ასე დაასრულებს:

„დაფასთან ვდგევარ და ვშლი ძველ ლექსებს,
ცარცით კი არა, სისხლით რომ ვწერდი.
საბჭოთა მიწა! გიკოცნი ფესვებს,
ახალ ცხოვრების ვარ ალავერდი“.

მართალია, საქართველო გასაბჭოეთდა, მაგრამ ფესვები მას წარსულში აქვს შორს გამდგარი და, ალბათ, უნდა ვიგულისხმოთ, რომ ტიცციანი სწორედ იმ ფესვებს ეამბორება.

ღრმა სინანულით არის გამსჭვალული ლექსი „ორი აპრილი“, სადაც პოეტი – პიერო „წითელ ქუდში გაგარიბალდდა“ და იქანცება მისი სული ტანჯული ფიქრით:

„ბათომი მისცეს და ორპირზე მოდის თათარი,
ატმის ყვავილით სისხლიანი სტირის აპრილი,
ყვითელ სატურნის უბედობით ავად გამხდარი,
პოეტის სულიც საქართველოს კუზად დახრილა.

საბედისწერო წუთს ელოდი, წუთო მოხვედი,
პიერო წუთით წითელ ქუდში გაგარიბალდდა.
თავზე დამნათის ჩემ ქალდეას ყველა ვარსკვლავი. . .

. . .

საკუთარ თავის და ქალდეას ახალ შერცხვენის
ტანჯული ფიქრით სამუდამოდ მოვიქანცები,
ახ, მეგობრებო, ჩემი სული ჭკარტლია სხვენის,
ცრემლით სავსეა ჩემი წილი ჩვენი ყანწების“.

„ორი აპრილი“

საბედისწერო იყო საქართველოსთვის თავისუფლების დაკარგვა. **სატურნი (სატურნუსი)** რომაულ მითოლოგიაში აღიქმებოდა დროის ღვთაებად, რომელიც ყველაფერს სპობდა, იმასაც კი, რასაც თვით ქმნიდა. ის იყო ბერძნული კრონოსის (შვილებს რომ ნთქამდა) რომაული ვარიანტი. მისი მეფობის ხანას იტალიაში „ოქროს საუკუნეს“ უწოდებდნენ. პოეტის წარმოსახვაში „ოქროს სატურნი“ ავბედითობის სიმბოლოდ ქცეულა, რადგან პიერომ (თავად პოეტმა) „წითელი ქუდი“ (წითელი ბოლშევიზმი) თავს იძულებით უნდა დაირქვას. და აი, ამ დროს თითქოს პოეტი გაგარიზალდდა (იტალიის ნაციონალური გმირი ჯუზეპე გარიზალდი, რომლის ბრძოლას ხალხთა და თავისი ქვეყნის გათავისუფლებისათვის დიდად აფასებდა ილია ჭავჭავაძე), თუმც წამიერად და ამაოდ, რადგან არ ძალუძს ბრძოლა და ამის გამო მისი სული მხოლოდ „ჭვარტლია სხვენის“. მას ტანჯავს ფიქრი ქალდეაზე, რომელიც მის პოეტურ თვალსაწიერში ძირძველ ფესვებთან დაბრუნების სიმბოლოდ აღიქმებოდა. „ყოველი ღამე მატირებდა ქალდეას ზეცა“ („ცხენი ანგელოსით“) – იტყვის პოეტი და მოიგონებს თავის „ორპირს“, მის ჭაობებს, სადაც იხილა „ცხენი ანგელოსით“, ზღვა ქარავნების, ქალდეას ოქრო, **ოქროს ვერძი, მაკედონელი** და სხვა მრავალი სახე სამყაროს ისტორიული ხატებისა.

* * *

„ოქროს ვერძი“

ბერძნული მითოოსის პოეტური სახე, სიმბოლო ძველი კოლხეთის სახელმწიფოებრივი ძლიერებისა, რომელმაც განსაკუთრებული ადგილი დაიკავა „ცისფერყანწელთა“ პოეზიაში, მთელი თავისი მრავალფეროვნებით აისახა ტიციან ტაბიძის შემოქმედებაში. მისი უძველესი სამშობლო (ქალდეას შემდეგ) ძველი კოლხიდა (ამ ფორმით არის მოხსენიებული კოლხეთი ბერძნულ წყაროებში), ევქსინის პონტი, არგო, არგონავტები, მედეა, იასონი – ამ სახელებსა და ტერმინებს ხშირად ვხვდებით ტიციანის ლექსებსა და ესეებში. უფრო მეტი, ის ცდილობს აუხსნას მკითხველს რას ნიშნავს მისთვის „კოლხეთის ცა“:

„- იცი, რას მოუთხრობენ მდინარე **პონტის** ზვირთებს ჩამავალი მზის სხივები?
- იცი, ცას რაზე ესაუბრებიან შავებში გახვეული **კოლხიდის** მთები?
- აქ სევდით სუნთქავს ყველაფერი. დაუგდე ყური მწუხრის ღუმელში **ფაზისის** სევდიან დუღუნს. . .

დაუგდე ყური ქარიშხლის მწუხარე მოთქმას და ვნებიან ძახილს . . . და იქ ამოიკითხავ ნაღვლით ნაქსოვ, მწუხარებით მოქარგულ პოემას, არ შეგაცდინოს

ნათელ ღამეში კოლხიდის ცაზე ვარსკვლავთა ციმციმმა, განა ხანდახან ჩვენს მგლოვიარე ტუჩებზედაც არ გაჰკრთება ხოლმე ჩუმი ღიმილი? . .

დადუმებულ ქართველის ჩანგს გლოვობს კოლხიდის ცა. . . მომწყდარ სიმებისაგან გამოცემულ უკანასკნელ მელოდიას აუქვითინებია კოლხიდის მთები და მიტომ დგანან ასე მწუხარებაში გაქვავებულნი.

- ნუ გაიოცებ, შენი სიცილი შეურაცხყოფს ბუნებაში გამეფებულ სამარადისო სევდას.

კოლხიდის ცის ქვეშ დამარხულ ბედნიერებას დასტირის წყალზე გადამდგარი მდუმარე ტირიფი.

- კოლხიდის ცის ქვეშ გამქრალ თავისუფლებას დასტირის თმაგაწეწილი კოლხიდის ასული.

- შენ მეკითხები, რისთვის მიყვარს მე კოლხიდის ცა?

- მისთვის, რომ მის ქვეშ უნდა დაიმარხოვ ფერფლი ჩემი ცოდვილი სულისა . . .“

„კოლხიდის ცის ქვეშ“

ეს ჩანახატი 1912 წლით არის დათარიღებული. მაშინ პოეტი მხოლოდ 17 წლის თუ იქნებოდა. გალაკტიონის პირველი პოეტური კრებული ჯერ არ იყო გამოცემული, და არც „ცისფერყანწელთა“ ორდენი არსებობდა, არც პარნასელთა პოეზია იყო ქართულ ენაზე თარგმნილი . . . ალბათ, ამიტომ წერდა ტიციანი: დადუმებულ კოლხეთის ჩანგს გლოვობსო კოლხეთის ცა . . .

იცოდა პოეტმა, რომ ოდესღაც დიდებული ყოფილა მეფე აიეტის სამფლობელო, ძველი კოლხიდა, რომ „ოქროს ვერძმა“ თან გაიყოლა მისი ძლევამოსილება, რომ კოლხიდის ცის ქვეშ გამქრალ თავისუფლებას დასტირის შეურაცხყოფილი კოლხიდის ასული – მედეა“. ალბათ, ამიტომ წერდა იგი, რომ კოლხიდის ცის ქვეშ დამარხული იყო ოდინდელი ბედნიერება, რომელსაც დასტიროდა „წყალზე გადამდგარი მდუმარე ტირიფი“. მაგრამ სულ მალე გალაკტიონიც გამოჩნდება თავისი „არტისტული ყვავილებით“ და გრიგოლ რობაქიძეც, რომელიც ევროპული პოეზიის სულისა და ნიცშეს ფილოსოფიურ აზრს აზიარებს ახალგაზრდა პოეტთა ბრწყინვალე დასს.

უფრო ადრე, 1910 წელს ტიციან ტაბიძე წერს ლექსს სახელწოდებით „მედეას სიმღერა“, სადაც კოლხეთის მეფის ასული სიკვდილს ნატრობს. იგულისხმება, რომ მას უკვე ჩადენილი აქვს რამდენიმე დანაშაული და ახლა უკვე იასონისგან უარყოფილს აღმოხდება:

„ჩემი ლტოლვანი ვერ დაიტია,

მევიწროვება ცრუ ეს სოფელი;

სიკვდილს გეძახი, ნუ იგვიანებ,
ჩემი თხოვნაა. . . უკანასკნელი“

„მედიას სიმღერა“

ერთი წლის შემდეგ, 1911 წელს ახალგაზრდა ტიციანი კვლავ დაუბრუნდება მედიას სახეს და იოსებ გრიშაშვილს უძღვნის სონეტს „მედია“. ეს სონეტიც მედიას პირით არის დაწერილი, ამ სონეტშიც ნანობს მედია თავის საქციელს; თავდაპირველად ის იგონებს ძველ დროს და მრავალმნიშვნელოვან კითხვას სვამს: „ვინ დამიბრუნებს იმ ნეტარ დღეებს?!“ შემდეგ ვკითხულობთ:

„უცხო მხარეში სული ღონდება:

ჩემი მამული მომაგონდება . . .

ვაგლახ, ჩამოჰკნა ალერსის ბაღი -

მკვდარს არ მიმიღებს მშობლის წიაღი . . .

სტიროდეთ მეფის, აეტის ასულს,

ერთხელ უცოდველ კოლხეთის ქალწულს,

უცხოთა შორის, უცხო მხარეში -

ის ცოცხლად შთავა ცივ სამარეში,

და იქაც ძვლები შიშით იძრწოლებს,

მამულის წყევლას რა გაიგონებს“.

„მედია“

მედიას სახესა და კოლხეთის თემას ტიციანი მოგვიანებით კვლავ დაუბრუნდება. ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა პოემა „რიონი – პორტი“, რომელიც დაწერილია 1929 წელს. საქართველოს დამოუკიდებლობა დაკარგული აქვს, არაბოლშევიკურად მოაზროვნე პოეტებს დევნიან, ისინი შეფარვით ამბობენ სათქმელს, ზოგჯერ კი სჯერათ იმისი, რასაც წერენ. პოემა „რიონი – პორტი“ იწყება ძველი კოლხეთის აღწერით:

„ჰიპოკრატე – ძველი ბერძენი,

ასე წერდა ამ ქვეყანაზე,

(სჯობდა რომ სულაც არ დაეწერა):

- „ქვეყანა, რომელსაც ჩაუდის ფაზისის მდინარე

არის ჭაობიანი, ცხელი და ნოტიო.

შემოსილია გარშემო ტყით,

ყოველდღე მოდის დიდი წვიმები.

ამ ჭაობებში მცხოვრები ხალხი

წყალში აშენებს წნელისგან ფაცხებს.

გარეთ გამოდის მხოლოდ მაშინ,
თუ ბაზარში მოუხდა წასვლა . . .

და ასე შემდეგ . . . გრძელდება ამ ჭაობიანი ქვეყნის აღწერა, სადაც ხალხი სვამს წვიმის წყალს თბილსა და მდორეს და სიცხისაგან აყროლებულს, სადაც არასდროს მწიფდება ხილი, სადაც ნიადაგ არის ნისლი და ჰაერს წამლავს, სადაც ხალხია თუმცა ტანით მაღალი, მაგრამ ისეთი მსუქანი, რომ აღარ უჩანს ძარღვის სახსარი, ყვითელი, მწვანე გადაჰკრავს ფერი, თითქოს სიყვითლით არის ავადო“.

როგორც ჩანს, ტიციან ტაბიძე კარგად იცნობდა არა მხოლოდ ძველ კოლხეთთან დაკავშირებულ მითოსურ ამბებს, არამედ ძველ ავტორთა გადმოცემებსაც. კერძოდ, ცნობილია, რომ ჰიპოკრატე, სახელოვანი ბერძენი ექიმი, რომელიც ძვ.წ. V-VI საუკუნეებში მოღვაწეობდა, თავის თხზულებაში „ჰაერთა, წყალთა და ადგილთა შესახებ“ გვაწვდის ცნობებს მდინარე ფაზისის (რიონის) აუზის ბუნებრივ-გეოგრაფიული მონაცემების თაობაზე. მეცნიერები ვარაუდობენ, რომ მას თავად უნდა მოენახულებინა კოლხეთი. შესაბამისად, მისი მონათხრობი ყურადსაღებია, რამეთუ უშუალო ნანახისა და განცდილის შთაბეჭდილებას ემყარება. ჰიპოკრატეს ცნობები საქართველოს შესახებ გამოქვეყნებული აქვს პროფესორ თ. ყაუხჩიშვილს. აი რას წერს ჰიპოკრატე: „... ვინც ფასისში ცხოვრობს, მათ შესახებ (შემდეგი მაქვს სათქმელი): ეს ქვეყანა ჭაობიანია, თბილი, წყლიანი და ტყიანი. წლის ყოველ დროს იქ ხშირი და ძლიერი წვიმები მოდის. ადამიანებს საცხოვრებელი ჭაობში აქვთ და (მათი) ხისა და ლერწმის სახლები წყალზეა გამართული . . . არხები ბევრია: თვითონ ფასისი კი ყველა მდინარეთა შორის ყველა მდინარეზე დინჯია და ძალიან მდორედ მიედინება“.⁶⁴¹

აღსანიშნავია, რომ ჰიპოკრატე არის პირველი ბერძენი ავტორი, რომელმაც დაწვრილებით და ზუსტად აღწერა კოლხიდის არა მხოლოდ ბუნება და კლიმატური თავისებურებანი, არამედ ფასისელების (ასე მოიხსენიებდა იგი კოლხიდის მკვიდრთ) გარეგნობა და ცხოვრების წესი. მისი დახასიათებით „ფასისელები ტანმაღლები, მსუქნები და ჩაყვითლებულები არიან. ლაპარაკობენ ბოხი ხმით და გამოირჩევიან სიზარმაცით. ისინი ცხოვრობენ ხიმინჯებზე შეყენებულ ხისა და ლერწმის სახლებში

⁶⁴¹ თ. ყაუხჩიშვილი. ჰიპოკრატეს ცნობები საქართველოს შესახებ (პარალელური ბერძნული ტექსტით). თბილისი, 1965, გვ. 45, ნაკ. 15.

და ქალაქსა და ემპორიონში (ნავსადგურში) ნავებით მიცურავენ. ჰიპოკრატე იმასაც ამატებს, რომ იქ არხები ბევრია და ფასისელები იქაც ნავებით დაცურავენო“.⁶⁴²

როგორც ვხედავთ, ტიციან ტაბიძე დიდი სიზუსტით გადმოგვცემს ლექსად ჰიპოკრატეს მიერ აღწერილ სურათს. მხოლოდ უმნიშვნელო გადახვევებს აკეთებს. ასეთი კოლხიდა მას სჭირდება, რათა თავისი სათქმელი თქვას. ბოლშევიზმის ტერორმა მთელი საზოგადოება დააშინა. შეშინდნენ პოეტებიც, ამას კი პოეტური სიტყვის დამდაბლება მოჰყვა.

ტიციან ტაბიძემ ზუსტად მიაგნო სათქმელს: ჰიპოკრატე მოიშველია და რევოლუციამდელი კოლხიდა აღწერა: დაჭაობებული, ნესტიანი, გაყვითლებული და სნეული ადამიანებით.

კოლხიდის ეს შემადრწუნებელი სურათი ოქტომბრის რევოლუციის მერე შეიცვალა „ახალ ცხოვრების და ოქტომბრის“ მაცოცხლებელი ქარი დატრიალდა, „ძველი სიზმარი უკვალოდ გაქრა“. აქ პოეტი იხსენებს არგონავტების მითს და წერს:

„დღეს სხვა გემების გამოჩნდა აფრა,
და **იაზონის** არა ჰგავს „**არგოს**“
ახალ ეპოქის უდიდეს ეპოსს
აღარ სჭირდება უკვე **მედეა**“.

ამ ირონიით გამოთქმულ სიტყვებს ასეთივე ირონიით ნათქვამი ფრაზები მოსდევს:

„პოეტს სხვა ცეცხლი გულს მოედება,
თუ თავის თავის მოიმედეა“.

...

დღეს სხვა აზრი აქვს საგნებს და ნივთებს
და ზღაპრად იქცა **ოქროს ტრიუმფი**.
სულ იყო წინათ ის **ოქროს სილა**,
ანდა სად ება ის **ოქროს ვერძი**,
ალბათ ქვეყანა სულ გამოცვლილა
და შეუცვლია მიწასაც ღერძი“.

პოეტი აღნიშნავს, რომ მისი ბავშვობის ოცნება ახდა, ოქტომბერმა მაცოცხლებელი ქარი დაატრიალა, ქვეყანა სხვაგვარი, მშვენიერი გახდა და „შეიცვალა მიწამაც ღერძი“. ვფიქრობ, აქ ჭარბია ჰიპერბოლები, მაგრამ ემოციებით განმსჭვალულ

⁶⁴² შდრ. თ. ყაუხჩიშვილი. საქართველოს ისტორიის ძველი ბერძნული წყაროები. თბილისი, 2019, გვ. 60-63.

პოეტს, რომელიც იტყვის „დღეს ძველი ქვეყნის პანაშვიდია“ და რომელიც გრძნობს აღსასრულის მოახლოებას, ეს გამოთქმები ეპატიება. მით უმეტეს, რომ მასთან ასეთ სტრიქონებსაც ვკითხულობთ:

„მე თქვენზე ადრე ვეკითხები ჩემ საკუთარ თავს -
რად მოიღუნა ასე სული ან რამ არია?
ნაწამებ წამებს ბედისწერა ერთმანეთს ართავს,
ორია რკალი: **სატურნი** და მალარია“.
„სატურნი და მალარია“

სატურნი (სატურნუსი), როგორც უმოწყალო ქრონოსი, იგივე კრონოსი, რომელიც დროის განსახიერებაა და ბერძნულ მითოსში თავის ნაშიერთ ყლაპავს, პოეტმა მოიხსენია ლექსში „ორი აპრილი“ (იხ. გვ. 6), სადაც მწუხარებით აღმოხდება, რომ „ბათომი მისცეს და ორპირზე მოდის თათარი“.

„ორპირი“ – პოეტის მოგონებათა უცვლელი სამყაროა. 1936 წელს ტიციანი თავის „ავტობიოგრაფიაში“ წერდა: „ადრეული ბავშვობიდანვე უცნაური პეიზაჟით ვიყავი გარემოცული. ტროპიკული გვიმრები, ლიანები, ჭადრებისა და ალვის ხეების ხშირი რიგები და ალაგ-ალაგ ჭაობიანი. სახნავების ფართო არე ჩემს გონებაში აცოცხლებდნენ მაინ რიდისა და ალექსანდრე დიუმას რომანების გმირებს. სხვათა შორის, ალექსანდრე დიუმამ გასული საუკუნის 60-იან წლებში იმოგზაურა კიდეც ჩვენს მხარეში და ორპირისა და ფოთის ჭაობების შესანიშნავი აღწერა დატოვა. განსაკუთრებით დამამახსოვრდა მზის ჩასვლა რიონისპირა ველებზე, როდესაც მზე ცეცხლმოდებულ მეწამულ პალიასტომის ტბაში ჩაეშვებოდა ხოლმე და ცას სანახევროდ კოლოები ჰფარავდნენ“.

სწორედ ბავშვობის მოგონებებით არის დაწერილი ტიციანის ლექსი „სამშობლო“, რომელიც 1935 წლით თარიღდება. პოეტი იხსენებს მისი სამშობლოს ისტორიის ძირძველ სურათებს, პოეტურ ხატებს: „ღამეა – თეთრი ირმის ნაწველი, დღე – შინდისფერი, ვარაყიანი“. . . ყველაფერი კი იწყება „ოქროს ვერძით“:

„გაცრუვდა ყველა მემატთანე
ყველა ვახუშტი და ჰიპოკრატე,
აბა საიდან მოიფიქრებდნენ,
რომ ასეთ ამბავს ყურსა მოჰკრავდნენ!
ამოიწურა რიონის ფშანი,
ამ ჭაობის ფსკერს რა ამოთხრიდა?
თუმც **ოქროს ვერძის** იყო ნიშანი,

ეგულებოდათ ძველი კოლხიდა,
ასე მგონია, ახლოს რომ იყოს,
მოითხრებოდა თვით ატლანტიდა“.

„სამშობლო“

ამ და სხვა ლექსებში მოხსენიებული კოლხეთის თემის გათვალისწინებით შეიძლება ითქვას, რომ ტიციანი ცდილობს სიმბოლურად ასახოს რევოლუციამდელი და შემდგომდროინდელი საქართველო. ეს იყო ხარკი იმ დროების, რომელმაც ქართულ საზოგადოებას თავს დაატეხა პატივის აყრა და უღმერთობა; მაგრამ პოეტი ამავე ლექსში ამოიხრებს:

„ორმოცი წლის ვარ, კიდევ ორმოცის
უფრო მტანჯველის, რომ ვიყო მთვლელი,
ვერ შემაჩერებს გათხრილი ორმოც,
ვარ ყრმა უცადი და პირტიტველი,
ჩემშიც გადმოდის, ჩემშიც იღვრება,
ჩემი სამშობლოს ფენიქსის ბედი.
არ უნდა კვესით გულს ამღერება,
ცეცხლმიუდებლად იწვის აბედი! . .“

„სამშობლო“

„ფენიქსი“ – მითოსური ფრინველია, რომელსაც ძალუმს დაფერფვლაც და აღორძინებაც. ამ ლექსის მიხედვით, ის საქართველოსი და მასთან ერთად თავად პოეტის სიმბოლური ხატია. ტიციანი მედეასაც მოიხსენიებს, ვითარცა „დიდ ქალს“, ნინოს, თამარის და ქეთევანის გვერდით.

ერთი წლის შემდეგ, 1936 წელს ტიციან ტაბიძე კოლხიდას თემას დაუბრუნდება, ნაცნობ სურათებს გაიხსენებს . . . ჭაობს, ქარსა და მალარიას, თუმც მასთან ერთად „ალადასტურით სავსე კალათას და დაჭერილი სამოთხის ჩიტს“.

„იდგა ჭაობი დაუშრობელი,
ქარი რიონზე ტირიფებს ხრიდა“.

ასე იწყება ლექსი „გელის კოლხიდა ახალ ორფეოსს“. პოეტს ესიზმრება მითოსური დრო და სამყარო, აიეტის სამეფო:

„არსაით ჩანდა ჯერ იასონი,
მე კი მედეა გულით მიყვარდა .
რა უყოთ, რომ ვართ ჩვენ უაზრონი,

მიტომ გვახურავს საბანი ვარდად,
მესიზმრებოდა ტროადას ომი,
ყრმა აქილევსმაც მუხლი გამართა“.

პოეტის წარმოსახვაში კადრებივით აირევიან დავითი (გურამიშვილი) თავისი მცნებით, თამარიანი, დავით ნარინი, დავით ულუ, აკაკის ლექსი: „აბუდულ-შაჰილი, ბაში-აჩუკი, აბესალომ და ეთერი . . . მაგრამ მთელი ეს სამწუხარო ისტორიები წარსულს ჩაჰბარდა. ახლა ეწყება ამ სტრიქონების ავტორს „მეორე ახალგაზრდობა“, რადგან მან იცის, ვის „დაუმაძღლოს“:

„ვინც ცხოვრება შექმნა უბადლო
და კაცთ უბრძანა კაცად გახდომა“.

პოეტი ბედნიერია რადგან „პალიასტომი წალკოტად მორთეს“. ის საკუთარ თავს ასე მიმართავს:

„ახლა შენია სიმღერის ჯერი -
გელის კოლხიდა ახალ ორფეოსს“.

„გელის კოლხიდა ახალ ორფეოსს“

მალე დადგება 1937 წელი და განახლებული კოლხიდის ხოტბა აღარ უშველის სამშობლოს სიყვარულით შეპყრობილ პოეტს, რომელსაც ეკუთვნის ეს სტრიქონები:

„დავბადებულვარ, რომ ვიყო მონა
და საქართველოს მედგას უღელი,
მაშ გამარჯვება, ტკბილო სიცოცხლე,
დავრჩებით ერთად ჩვენ განუყრელი! . .

„მაშ გამარჯვება“

* * *

ექსინის პონტი

კოლხეთის თემას ეხმიანება „ექსინის პონტის“ წარმოსახვები. ტიციანი თითქმის არსად მოიხსენიებს „შავ ზღვას“, მის ნაცვლად ამ ზღვას მითოსიდან ამოკითხულ სახელს უწოდებს, რაც ქართულად ითარგმნება როგორც „სტუმართმოყვარე ზღვა“ და რომელიც ასე წარმოუდგენია პოეტს:

„ცა შვინდისფერი, მთაც შვინდისფერი,
შენამულია ევექსინის პონტი“
„ლექსის დაბადება“

ანტიკურობასთან მიმართებით განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს 1926 წელს გაგრამი დაწერილი ლექსი, რომლის სათაურიც არის „ევექსინის პონტი“. რადგანაც ლექსი დატვირთულია ანტიკური მითოსური სახეებით, მას წარმოვადგენ სრულად:

„მშვენიერია ევექსინის პონტი,
ვინ მოიგონა ეს ძვირფასი ხმა?
მედეას ამბით შენ მომაგონდი
და ჟრუანტელმა გული დასიცხა.

როგორც საკირე დრაკონის ყბებით
ირწევა ოქროს ვერძების ტყავი,
შენზე ოცნების გრიგალს ავყევი
და სიხარული მკლავს აურწყავი.

რაც უნდა გითხრა – იქნება სიტყვა,
გამოუთქმელი მძირავს მეწყერი,
ძველი მითოსის ტალღები მირტყამს
და ახალ არგოს ორფეოს ვმღერი.

მაგარი, როგორც სარგის ჯაყელი
და ნაზი, როგორც ევექსინის პონტი,
ტრიალებს ჩემში რაღაც სათქმელი
და გაღადრული მიშრება ყრონტი.

პალმების ტყეში მტრედით გაგრა
მიფრინავს თეთრად იალბუზისკენ,
მთვარეც ღრუბლების ტალღებში გაქრა
თითქოს დევებმა ხელი უბიძგეს.

ისმის ზვირთების ზათქი, განგაში,
როგორც სიმღერა არგონავტელთა

აგვისტოს ღამის ცის კამარაში
ზღვა და ხმელეთი ისევ გამთელდა“.

„ევქსინის პონტი“

ლექსი ნარატიულია: გაგრაში, ზღვის (ევქსინის პონტის) სანაპიროზე მდგომი პოეტი გადმოგვცემს თავის განცდებსა და ემოციებს. ვისაც უხილავს ღამის სიმყუდროვეში გაგრის წარმტაცი ზღვის სანაპირო, მასაც გარდასულ ემოციებს მოგვრის ტიცინისეული პოეტური ხატი: ქალაქი, რომელიც პალმების ტყეში მტრედით მიფრინავს თეთრი იალბუზისკენ.

პოეტს ევქსინის პონტოს ტალღების წყნარი ხმაური არგონავტების მითოსს აგონებს: დრაკონს, (რომლის დათესილი კბილებიდანაც აღმოცენდნენ მეომრები), ოქროს ვერძის ტყავს (კოლხიდის ძლიერების სიმბოლოს) და რაც მთავარია, მედეას, რომელსაც მისი ადრეული განცდები უკავშირდება. აქ უნდა გავიხსენოთ ლექსი „გელის კოლხიდა ახალ ორფეოსს“, სადაც პოეტი აღიარებს: „არსაით ჩანდა ჯერ იასონი, მე კი მედეა გულით მიყვარდა“. კოლხიდის თემას მართლაც მრავალგზის მიუბრუნდება პოეტი თავისი ხანმოკლე სიცოცხლის მანძილზე. აქ მთავარია კიდევ ერთი რამ: ტიცინი იმ ლექსში, სადაც იგი განახლებულ კოლხიდასა და მის მშობლიურ ორპირს უმღერის, თავის თავს ბერძნული მითოსის ორფეოსად წარმოადგენს. ამ შემთხვევაშიც ტიცინი, იხსენებს რა ძველი მითოსის მთავარ პასაჟებს, ის, ორფეოსი, ახალ არგოზე იწყებს სიმღერას, რომელსაც უმღვნის მის საყვარელ ქალს („მედეას ამბით შენ მომაგონდი და ჟრუანტელმა გული დასიცხა“).

* * *

მედეა

ამ საყოველთაოდ ცნობილი კოლხი ასულის სახე, ჩანს განსაკუთრებით ხიბლავდა ტიცინს. თუ „თუ იასონის გამოჩენამდე მას მედეა გულით უყვარდა“, საბერძნეთში გადახვეწილი „გულით ეცოდებოდა“. იოსებ გრიშაშვილისადმი მიძღვნილ სონეტში რომელიც ადრეულ ასაკში, 1911 წელს დაწერა, ის მეფე აიეტის ასულს „უცოდველს“ უწოდებს, თუმცა იცის, რომ უცხო მხარეში „მამულის წყევლა არ მოასვენებს“:

„სტიროდეთ მეფის აეტის ასულს,
ერთხელ უცოდველ კოლხეთის ქალწულს,
უცხოთა შორის, უცხო მხარეში -

ის ცოცხლად შთავა ცივ სამარეში,
და იქაც ძვლები შიშით იძრწოლებს,
მამულის წყევლას რა გაიგონებს. . .“
„მედეა“

ლექსში „სამშობლო“ ტიცციანი მედეას „დიდ ქალთა“ შორის მოიხსენიებს:

„ნუღარ ვახსენებთ დიდ ქალთა სახელს
მედეას, ნინოს, თამარს, ქეთევანს.
დიდ მგოსნებს ვხედავ იმათ ამსახველს. . .“
„სამშობლო“

პოემაში „რიონი – პორტი“, რომლის შესახებაც უკვე ვისაუბრე, სადაც ძველი და ახალი კოლხიდის სურათებია დახსატული, პოეტი თითქოს სიხარულით, მაგრამ დანაწევრებით წერდა:

დღეს სხვა გემების გამოჩნდა აფრა,
და იაზონის არა ჰგავს არგოს.
ახალ ეპოქის უდიდეს ეპოსს
აღარ სჭირდება უკვე მედეა“
„სამშობლო“

ვფიქრობ, ამ ლექსით, რომელიც 1928 წელს არის დაწერილი, ტიცციან ტაბიძემ სცადა ახალი მთავრობის გულის მოგება, მაგრამ სტრიქონთა მიღმა ისეთი სევდა იკითხება, რომლის დამალვაც შეუძლებელი აღმოჩნდა:

„გულში სხვა გული გემად დაცურავს,
დღეს ძველი ქვეყნის პანაშვიდია.“

ვითხოვლობთ ლექსში და თანავუგრძნობთ პოეტს. . . ინტერესს მოკლებული არ უნდა იყოს ფრაგმენტი ლექსიდან „ქართლის ცხოვრება“, სადაც პოეტი ისევ „ევქსინის პონტოს“ ნაპირთან დგას განმარტოებით, უმზერს გემებს და „იხრჩობა მოგონებებით“:

„გემი „ილიჩი“ დადგა სოჭაში,
რითი არ არის ახალი არგო,
მოგონებების ვიხრჩობი ჭაში,
მინდა ამ გრძნობას ლექსი მოვარგო.

როგორც ბავშვისთვის დედის ალერსი,
ისე ტკბილია ექსინის პონტი.
ნაღველმა გული რომ გადალესა,
ჩემო სამშობლოვ, შენ მომაგონდი“.

„ქართლის ცხოვრება“

ამ სტრიქონთა მიღმა გაცნობიერებული მკითხველისათვის ასეთი სურათი იშლება: გემი „არგო“ თავისი არგონავტებით ოდეს მოადგა აიეტის დიდებულ ქალაქს და გაიტაცა მისი სამეფოს ძლიერების სიმბოლო – „ოქროს საწმისი“, თან გაიყოლა „უცოდველი“ ასული მეფის, მაშინ დაინგრა კოლხიდა და გაცამტვერდა ლეგენდები მის ძლევაშემოსილებაზე. ლექსში ვკითხულობთ: „გემი „ილიჩი“ რითი არ არის ახალი არგო?!“ პარალელები ნათელია და განმარტებას აღარ საჭიროებენ.

* * *

ოვიდი ნაზონ

ამ ლექსში კიდევ ერთი სახე გაკრთება – ოვიდიუსი, რომელსაც ანტიკურობის პოეტთაგან ხშირად და განსაკუთრებული სიყვარულით იხსენებს ხოლმე ტიცინი, ალბათ, მისი ტრაგიკული ბედის გამო, ოქტავიანუსის მიერ გაძევებულმა უცხო მიწად რომ დალია სული:

„ტიროდა ამ ზღვით ოვიდი ნაზონ,
უფრო კი რომსა და საკუთარ თავს,
რაც უნდა ენა გადამირაზონ,
მე ვიტყვი ჩვენი გზების დაბურღვას“.

„ქართლის ცხოვრება“

ოვიდიუსის ასეთივე სახეა დახატული ლექსში „სკვითური ელეგია“, სადაც ავტორი ალექსანდრე მაკედონელსაც ახსენებს, ამორძალებსაც, მაგრამ ოვიდიუსის ხსენებას სხვა დატვირთვა აქვს, ეს არის მინიშნება სიმართლის მქადაგებელი პოეტის დასჯაზე:

„მაშინ ოვიდი სტიროდა აქ რომს
და იქ დარჩენილ შვილების ალერსს.
ფოლადის ნაჭედს დროც ველარ აქრობს,

რომიც ვერ უძლებს ადუღებულ ლექსს“.

„სკვითური ელეგია“

ტიციან ტაბიძეს რომ სამშობლოდან მოკვეთილი ოვიდიუსი განსაკუთრებულად ესათნებოდა, კარგად ჩანს ალი არსენიშვილისადმი მიძღვნილ ლექსში „ილაიალი“. ლექსის ლაიტმოტივი გარდასულ დღეთა მოგონებაა. პოეტი იხსენებს ალი არსენიშვილთან გატარებულ დიდებულ დროს, ის ენატრება და ამ მონატრებით კიდევ უფრო მეტ სიახლოვეს გრძნობს. ამის დასტურად ტიციანი იფიცებს ოვიდიუსს:

„და გეფიცები მეც ოვიდის
დამწუხრებულ ლანდს,
რომ ძველებურზე კიდევ უფრო
შენთან ვარ ახლო,
ვოცნებობ შენთან რუსთაველზე
ტირილით გავლას,
დავიწყებული სტრიქონები
რომ განვიახლო“.

„ილაიალი“

ალი არსენიშვილს

* * *

მეორე მწერალი ანტიკური ხანისა, რომლის სახელსაც ვხვდებით ტიციანის პოეზიაში, არის პლუტარქოსი. ლექსში „ორპირის ოქროპირი“ (I) პოეტი გვიმხელს, რომ „ივანე ჯავახიშვილი წერს **პლუტარქივით**“. და, რა თქმა უნდა, ეთანხმება ამას მკითხველი.

ისტორიულ პერსონაჟთაგან სხვებსაც მოიხსენიებს ტიციანი თავის ლექსებში: ანტონიუსს, ნერონს („ვიყავი ერთხელ მე ანტონიო“), ალექსანდრე მაკედონელს („სკვითური ელეგია“), ჰანიბალს („ტანიტ ტაბიძე“), ვესპასიანუსს (*„ახალი მცხეთა“).

უფრო მრავლად ვხვდებით მის შემოქმედებაში მითოსურ პერსონაჟებს: დიონისეს („პატარა პოემები პროზად“), ადონისს („ადონაის“), ციკლოპებს („ქვათა ღაღადი“), ატლანტიდებს („ტანიტ ტაბიძე“), გიგანტებს („უაბჯარონი“) და სხვებს.

ეს მოკლე მიმოხილვა ტიციანისა და ანტიკურობის თაობაზე მსურს დავასრულო ლექსით „უაბჯარონი“, სადაც პოეტს ერვენება, რომ ეს სამყარო „ბალია დიდი,

დაწყებული და შხამიანი და რომ ამ ბაღში ვიღაცამ შეიყვანა შეცდომით ის – უღონო და სუსტი ბავშვი, რომელიც შიშით უმზერს გიგანტის ჩრდილსა და გიჟი რბენით მქროლავ კენტავრებს. მაგრამ ამ ბაღში:

„მძიმე მხედარნი, შუბლშეკრული
და უაბჯარო
მოჰქრიან: რემბო, ერედია,
ემილ ვერჰარნი“.

„უაბჯარონი“

ტიციან ტაბიძე წერდა და ცხოვრობდა იმ დროს, როდესაც ქართული შემოქმედებითი აზრი უხვად ითვისებდა ევროპულ განათლებას, რომელსაც ასაზრდოებდა ანტიკური ცივილიზაცია. სწორედ ამიტომ XIX-XX საუკუნეთა მიჯნის ეპოქა, როდესაც მოღვაწეობდნენ გრიგოლ რობაქიძე, გალაკტიონ ტაბიძე, ვალერიან გაფრინდაშვილი, ტიციან ტაბიძე და სხვა „ცისფერყანწელები“ ქართულ ლიტერატურაში ანტიკურობის რენესანსის ეპოქად შეიძლება შეირაცხოს.

ვალერიან გაფრინდაშვილი
(1888-1941)

ნანა ტონია

გერმანიიდან 1908 წელს სამშობლოში დროებით დაბრუნებული გრიგოლ რობაქიძის გარშემო იკრიბებოდნენ ნიჭიერებით გამორჩეული პოეტები, განათლებული საზოგადოება. მათ შორის იყო ვალერიან გაფრინდაშვილიც, რომელიც აქტიურად მონაწილეობდა ლიტერატურულ ცხოვრებაში. მისი პოეტური ესსეები ისეთივე მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ქართული მოდერნიზმის შესაცნობად, როგორც მისივე ლექსები. ვალერიან გაფრინდაშვილს დამთავრებული ჰქონდა ქუთაისის კლასიკური გიმნაზია, შემდეგ კი მოსკოვის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. 1918 წლიდან ცხოვრობდა თბილისში. ლექსების წერა სტუდენტობის პერიოდიდან დაიწყო. თავდაპირველად, გრიგოლ რობაქიძის მსგავსად, წერდა რუსულ ენაზე, თარგმნიდა რუს პოეტებს. პირველი ქართული ლექსი 1915 წელს გამოაქვეყნა გაზეთ „მეგობარში“.

მართალია, ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში დღეს ბევრი იწერება იმ ტენდენციათა შესახებ, რამაც თავი იჩინა გასული საუკუნის დასაწყისში⁶⁴³ მაგრამ მე შევეცდები მთავარ სათქმელად განვიხილო ვალერიან გაფრინდაშვილის ესეე „ახალი 1922 წლის ქართულ პოეზიაში“ მისი შემოქმედების სხვა ქმნილებათა მოხმობით და აქცენტები გადავიტანო ანტიკურობის განცდაზე. ვალერიან გაფრინდაშვილმა, როგორც ნიჭიერმა ესეისტმა და პოეტმა, ყველაზე მძაფრად იგრძნო და განიცადა „ახალი ეპოქის“ დასაწყისიცა და დასასრულიც, ახალი ეპოქისა, რომელმაც მხოლოდ რვა წელი მიითვალა. შესაბამისად, მის ქმნილებებში ნათლად აისახა ამ ხანმოკლე, მაგრამ უაღრესად საინტერესო დროების ქართული ლიტერატურული აზრის ის ტენდენციები, რომლებიც ევროპული მოდერნიზმისკენ ლტოლვით იყო აღბეჭდილი.

* * *

„1914 წლიდან ქართული პოეზია დაშორდა რეალობას და „ცისფერყანწელებმა“ მთელი რვა წლით გამოაცხადეს ფანტასმაგორიის და მითის კულტი. ეს აუცილებლად საჭირო იყო, რომ პოეზიას გადაეღაზა სინამდვილის და ეთნოგრაფიის ვიწრო ნაპირები.

ვერავინ იტყვის, რომ ქართული სიმვოლიზმის რაინდებმა ვერ დაასახელეს ქართული პოეზიის უდაბნო მოჩვენებით და ეკზოტიკური სიტყვებით. მაგრამ 1921 წლიდან დაიწყო რეაქცია. ამ რეაქციის პირველი მოციქულები იყვნენ პაოლო იაშვილი („წერილი დედას“) და გრიგოლ რობაქიძე („ვასაკა“, „აქლემი“). მაგრამ ის, რაც წინათ შემთხვევითი იყო 1922 წელში ღებულობს სისტემის ხასიათს, თუმცა ეს სისტემა არ არის საგულისხმო ყველა პოეტისათვის“.

ეს ამონარიდი ვალერიან გაფრინდაშვილის ესეიდან „ახალი 1922 წლის ქართულ პოეზიაში“ 1923 წლის 1 იანვრით თარიღდება.⁶⁴⁴

წარმოდგენილი ამონარიდი მრავალ ინფორმაციას შეიცავს: 1. უპირველეს ყოვლისა, დასახელებულია თარიღები ქართულ პოეზიაში „ახალი ეპოქის“ რვაწლიანი არსებობისა: „ახალი ეპოქის“ დასაბამად მიჩნეულია 1914 წელი, როდესაც ქართულ პოეზიაში ჩნდება სამანი რეალისტურსა და მოდერნისტულ მიმართულებებს შორის, დასასრულად – 1922 წელი; 2. აღნიშნულია, რომ უმთავრესი ამ რვაწლიან პერიოდში იყო ფანტასმაგორიისა და მითის კულტი; 3. „ახალი ეპოქის“

⁶⁴³ იხ. ლ. ავალიანი. ქართული მოდერნიზმის სათავეებთან. წიგნში: ქართული მოდერნიზმის ტიპოლოგია. რედ.: გ. ლომიძე, ი. რატიანი. თბილისი, 2016, გვ. 43.

⁶⁴⁴ ვ. გაფრინდაშვილი. ლექსები, პოემა, თარგმანები, ესეები, წერილები მწერლის არქივიდან. შემდგ. რედ.: მ. ჭყონია. თბილისი, 1990. ყველა ამონარიდი წარმოდგენილი იქნება ამ გამოცემიდან.

დასასრულს იწყება რეაქცია, რომელიც იღებს სისტემის ხასიათს, თუმცა ეს სისტემა არ ეხება ყველა პოეტს.

ვალერიან გაფრინდაშვილი „ახალი ეპოქის“ უმთავრეს ლიტერატურულ მოვლენად ასახელებს რა ფანტასმაგორიისა და მითის კულტს, ყურადღებას ამახვილებს ანტიკურ სახე-სიმბოლოთა ახლებურ გააზრებაზე, რაც მნიშვნელოვანწილად გამოვლინდა ქართველ მოდერნისტთა შემოქმედებაში.

საქართველოში მოდერნიზმის იდეოლოგია უპირისპირდებოდა „თერგდალეულთა“ სოციალური პათოსის შემცველ პუბლიცისტიკას. მოდერნიზმის იდეოლოგიას, რომელიც ამსხვრევდა არსებულ მსოფლადქმას, ესთეტიკასა და სტილს, ახალი თაობის მწერლები და პოეტები ამკვიდრებდნენ. მართალია, ისინი განიცდიდნენ ევროპული და რუსული პოეზიის გავლენას, მაგრამ არ ავიწყდებოდათ ის ძირძველი ტრადიციები, რაც ქართულმა პოეტურმა აზრმა მათ უანდერძა. ქართული ლიტერატურის მესვეურთათვის არ არის უცხო ის ფაქტი, რომ განახლების სტიმულს ქართული მწერლობა ყოველ დროსა და ეპოქაში განსაკუთრებული ძალისხმევით ეგებებოდა. მან მიიღო და გაითავისა ბიზანტიური სამწერლობო ხელოვნება და შექმნა ბრწყინვალე ნიმუშები ჰაგიოგრაფიული თუ ჰიმნოგრაფიული ლიტერატურისა; მიიღო აღმოსავლური აზროვნებისთვის ნიშანდობლივი სტილიც, რითაც შეავსო ეროვნული ტრადიციების მქონე საკუთარი საგანძური, რომლის შედეგიც იყო გენიალური „ვეფხისტყაოსანი“. თუმცა იყო კიდევ დავით გურამიშვილი, რომლის არსებობასაც 1919 წელს ახსენებდა საზოგადოებას ვალერიან გაფრინდაშვილი პოეტისადმი მიძღვნილ ვრცელ ესეში, რომელიც ამ სიტყვებით მთავრდებოდა: „ის ქვითინებს უდაბნოში, როგორც მეფე ღირსი. დროა კორდელია ნუგეშით მივიდეს მასთან და დაუბრუნოს დაკარგული სამეფო“.⁶⁴⁵

მაგრამ დავუბრუნდეთ 1914 წელს და თვალი გადავავლოთ იმ რვაწლიან გზას, რომელიც „ცისფერყანწელებმა“ გამოაცხადეს ფანტასმაგორიისა და მითის კულტის ზეობად. უპირველეს ყოვლისა აქ უნდა ვახსენოთ „ელეგანტური“ გრიგოლ რობაქიძე. იგი დიდხანს ცხოვრობდა რუსეთსა და გერმანიაში და 1908 წელს დროებით დაბრუნებულმა საქართველოში ქართული საზოგადოება ევროპული მოდერნიზმის იდეოლოგიას აზიარა. „თავის ორატორულ გამოსვლებსა და ესეებში ის მსჯელობდა ლიტერატურისა და კულტურის პრობლემებზე, ქადაგებდა, რომ ქართულ კულტურას განახლება ესაჭიროებოდა, ხოლო ამ განახლებაში ტრადიციულობასთან ერთად მოიაზრებოდა ევროპული აზროვნება,

⁶⁴⁵ ვ. გაფრინდაშვილი. ლექსები, პოემა, თარგმანები, ესეები, წერილები მწერლის არქივიდან. შემდგ. რედ.: მ. ჭყონია. თბილისი, 1990, გვ. 504.

მისტიკური ჭკრეტა, ფილოსოფიური სიღრმე და მითოლოგიზმი. გრიგოლ რობაქიძე ფრიდრიხ ნიცშეს ფილოსოფიის მიმდევარი იყო და ქართულ აზროვნებაში ამკვიდრებდა ევროპულ ირაციონალიზმსა და ელინურ ესთეტიზმს, აგრეთვე მხატვრულ აზროვნებაში

აღორძინებულ მიმართულებებს, რაც სიმბოლიზმის, დეკადენტიზმის, მოგვიანებით – ესპრესიონიზმის სახელით შემოდიოდა^{.646}

არ შეიძლება არ ვახსენოთ ტიციან ტაბიძე, რომელიც მოსკოვის უნივერსიტეტში სწავლობდა და თარგმნიდა რუს მოდერნიზმსა და ავანგარდისტებს. ის ეთანხმებოდა გრიგოლ რობაქიძეს და აღიარებდა, რომ სიმბოლო, მითი, მითის ქმნალობა იყო აზროვნების საფუძველი. მან აზიარა გალაკტიონი სიმბოლიზმის ხელოვნებას, მანვე განაპირობა „ცისფერყანწელთა“ მიდრეკილება სიმბოლიზმის ესთეტიზმისკენ.

„ქართული ლიტერატურის ახალი კურსი განსაზღვრა ორმა პიროვნებამ – დაწერს ლიტერატურათმცოდნე ს. სიგუა – გალაკტიონ ტაბიძემ და ტიციან ტაბიძემ. მათ დააკონკრეტეს გრიგოლ რობაქიძის განახლების პათოსი და ესთეტიზმი“^{.647}

„ცისფერყანწელთა“ ორდენში გაერთიანდნენ აზროვნების ახალი სტილის ის მესვეურები, რომელთა სახელებზეც დგას თანამედროვე ქართული პოეზია. ს. სიგუას დასახელებული წიგნიდან კიდეც ერთ ამონარიდს მოვიშველიებ: „შეიძლება ითქვას „ცისფერი ყანწები“ სიმბოლისტურ მიმდინარეობად აქციეს გალაკტიონ ტაბიძემ, ტიციან ტაბიძემ და ვალერიან გაფრინდაშვილმა. მათ თავიანთ რკალში გადაიყვანეს პაოლოც, გრიგოლიც და იოსებ გრიშაშვილიც. ტიციანი და ვალერი თეორიიდან ამოდიოდნენ და ისე თხზავდნენ პირველ სიმბოლისტურ ლექსებს, ხოლო გალაკტიონს უკვე დაწერილი ჰქონდა სიმბოლისტური ლირიკის წარუვალი ნიმუშები. მათგან განსაკუთრებით პოპულარული იყო „მე და ღამე“, „მერი“, „ლურჯა ცხენები“. ამ ლექსებს

რომ აღიარებდნენ „ცისფერყანწელები“^{.648}

იგი არ იყო მასების პოეტი. მისი შეცნობა სათანადო განათლებასა და ვერსიფიკაციის ცოდნას გულისხმობდა. მისი ესსეებიც შესაბამისი განათლების მქონე მკითხველისთვის იყო განსაზღვრული, რამეთუ მათში უხვად იყო ანალოგიები, პარალელები, შედარებები თუ მეტაფორები. პოეტის განსაკუთრებული

⁶⁴⁶ კ. ბრეგაძე. რობაქიძის მსოფლმხედველობა და ესთეტიკური კონცეფცია ნიცშეს რეცეფციის კონტექსტში. წიგნში: ქართული მოდერნიზმის ტიპოლოგია. რედ.: გ. ლომიძე, ი. რატიანი. თბილისი, 2016, გვ. 209.

⁶⁴⁷ ს. სიგუა. მოდერნიზმი. თბილისი, 2008, გვ. 78.

⁶⁴⁸ ს. სიგუა. მოდერნიზმი. თბილისი, 2008, გვ. 84.

დამოკიდებულება შეიგრძნობა ანტიკური სამყაროს არა მხოლოდ მითოლოგიური, არამედ ისტორიული ფიგურებისადმი. საკმარისია გავიხსენოთ ესსეები ასეთი სახელწოდებებით: „Terror Antiquus“, „შენიშვნები ლირიკაზე“, „ლირიკის ელიზიუმი“, „სახელების მაგია“ და სხვა. „პარნასელებს შეჰყავთ ისტორია ლირიკის სასუფეველში და დღეს ლირიკა ქანაობს სახელების საქანელაზედ“ – წერდა ვალერიან გაფრინდაშვილი ერთ-ერთ ესსეში („სახელების მაგია“). იგი თავისი ხანმოკლე სიცოცხლის მანძილზე (გარდაიცვალა 52 წლის ასაკში) გამუდმებით ეუფლებოდა ცოდნას, სახელებში ეძიებდა მაგიას; საშინელებასა და სიმახინჯეში (terror) – მშვენიერებას; ანტიკურობაში – დიონისურ და აპოლონურ სტიქიებს; ქართულ რეალობაში – სულიერ წინაპრებს. მან იცოდა, ლირიკა მონოლოგი იყო, რომ ლირიკოსს არ ჰყავდა აუდიტორია, რომ პოეტი მარტოსული იყო პოეზიაში: „ლირიკა არის მთელი პოეზიის უკანასკნელი დასრულება და ოხვრა. ლირიკა სესხულობს სახეებს ეპოსიდან და დრამიდან, მაგრამ ეს სახეები კარგავენ თავის პირველყოფილ ხასიათს და ლირიკულ სახეებად იქცევიან“ – წერდა ვალერიან გაფრინდაშვილი 1919 წელს გამოქვეყნებულ ესსეში „შენიშვნები ლირიკაზე“. უცხო სახელი, აღარ ჰქონდა მნიშვნელობა იმას, მითოსის არსენალიდან იქნებოდა იგი თუ ისტორიის ფოლიანტებიდან, იწვევდა საოცარ აღმაფრენას, შთაგონებას. ეს იყო ზიარება ანტიკურობიდან ამომავალ დიდ, ევროპულ კულტურასთან, რომლისთვისაც მზად იყო ქართული საზოგადოება, რამეთუ მას ჰყავდა გრიგოლ რობაქიძე, კონსტანტინე გამსახურდია, პაოლო იაშვილი, ტიციან ტაბიძე, ჰყავდა ვალერიან გაფრინდაშვილი, რომელიც რუსულიდან თარგმნიდა პოეზიას, რომელიც განადიდებდა ვერლენს, მალარმეს, რემბოს თუ და ბრიუსოვს და რომელიც დიდებულად გრძნობდა ანტიკურობის ხიბლს; ჰყავდა გენიალური გალაკტიონი, რომელიც იყო ამოუცნობი მოვლენა და ჰყავდა კიდეც სხვა მრავალი პოეტი, რომელთა არსებობამ გრიგოლ რობაქიძის თქმით: „ქუთაისის ქუჩაბანდები, დუქნები და ლუდიხანები პარიზის ლათინურ კვარტალს დაამსგავსა“.

1918 წლის 26 მაისს გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობა. ქალაქს ტოვებდნენ შემოხიზნული უცხოტომები. დედაქალაქისაკენ ისწრაფოდა განათლებული საზოგადოება, მათ შორის პოეტები, მხატვრები და კიდეც სხვები. ბოლშევიზმით შეშინებული რუსი მწერლებიც თბილისისკენ ეშურებოდნენ, გამოსცემდნენ ჟურნალ-გაზეთებს, აარსებდნენ ავანგარდისტულ სკოლებს. ახლა უკვე ასე დაწერს გრიგოლ რობაქიძე: „ტფილისი გახდა პოეტების ქალაქი. კაფე „ინტერნაციონალში“ იგი კიდეც გამოაცხადეს პოეტების ქალაქად. კიდეც მეტი: გაიძახოდნენ – პოეზია მარტო ტფილისშიაო...“ („ფალესტრა“).

ქართველი პოეტები გატაცებით თარგმნიდნენ ევროპულ პოეზიას; ეს მათი ესთეტიკის ნაწილი იყო. ევროპელ და ამერიკელ ავტორთა უმეტესობას ქართველი პოეტები რუსული თარგმანებით ეზიარნენ. ამას ხელი არ შეუშლია მათთვის სიღრმისეულად განეცადათ რემბოს, მალარმეს, ვერლენის, ჰერედიას თუ სხვა მოდურ პოეტთა პოეზიის დიდებულება:

„იყავ საოცრად მოხიბლული ასეთი ღამით
და უაილდის ყვავილივით დაეცი გზაზე“.

- დაწერს გალაკტიონი, ხოლო ვალერიან გაფრინდაშვილი ჯერ კიდევ 1916 წელს ასეთ სტრიქონებს მიუძღვნის ვერლენს:

„იჯდა კაფეში, როგორც მგზავრი შორს მიმავალი
და მისი სახე საშინელი ხალხს არ მოსწონდა.

ის ჰგავდა აპაშს მოხუცებულს, ის იყო მთვრალი
და ყელსახვევი გაჟღენთილი აბსენტით ჰქონდა.

სამკურნალოებს ის იგონებს და ნაობახებს,
სადაც ის სტუმრათ ხშირად იყო, მიუსაფარი.

ის ესალმება ახალ რითმებს – ქალწულ ზამბახებს
და მისი ლექსი მრავალფერობს, როგორც ზღაპარი.

მის წინ **დემონმა** გაიქროლა გაზის კრთომაში,

- თვით არტურ რემბო მოელანდა მის დაღლილ თვალებს,

და მიიმალა ის მხედარი ბრწყინვალე რაშით

- ჩუმი ჰაერი მოჩვენებით აღარ იალებს.

პანს – ბუნების ღმერთს – წამებული ვერლენი ჰგავდა,

ბოგემის მეფე – უწმინდური და ბრაზიანი,

წვერაბურძენული, თავტიტველი, ლაღი გვიანი,

ვარსკვლავთა ფარჩით სინამდვილის გზას რომ მოსავდა.

სონეტის კოშკი რომ აეგო, სთვლემდა მგოსანი,

მაგრამ მას უთხრა უსახლკარო ქალმა: წავიდეო,

დასტოვეს კაფე, მოელვარე, როგორც კოცონი

და იმათ ღამე ეფარება მოყვარულ რიდით“.

„ვერლენი კაფეში“

ასეთი იყო ლეგენდად ქცეული ვერლენი ვალერიან გაფრინდაშვილის წარმოსახვაში: შორს მიმავალი მგზავრი, აბსენტით მთვრალი, რომლის გადაღლილ თვალებს არტურ რემო ელანდებოდა, როგორც დემონი, ანუ ღვთაებრივი ძალა (დაიმონი), რომელიც მიიმალა ჰაერის მდუმარებაში.

ქართველი პოეტი ვერლენს მითოსურ პანს, „ბუნების ღმერთს“ ამსგავსებს, პანს, რომელიც ღვინისა და მარადიული ექსტაზის ღვთაების, დიონისეს თანმხლები იყო: უცნაური არსება, ტყის ბინადარი, თმით დაფარული („წვერგაბურძენული“), შიშის ზარის მომგვრელი („უწმინდური და ბრაზიანი“). ვერლენის ასეთსავე პორტრეტს ხატავდა ამ ლექსის ავტორი 1919 წელს გამოქვეყნებულ წერილში, რომელიც ლირიკას ეძღვნებოდა: „ვინ იყო ცხოვრებაში ვერლენზე უფრო მახინჯი და წვირიანი, მაგრამ ის დღეს დიდებული კერპია, რომელსაც თაყვანს ვცემთ პოეზიის ტაძარში . . . იქ სადაც უწინ ბატონობდა სულთანით ამაყი ვიქტორ ჰიუგო, ახლა არის თანამედროვე პოეზიის პანი – ვერლენი, რომელიც ცხოვრობს ყავახანაში, გოსპიტალში და საპყრობილეში. ვერლენის ცხოვრება საკვირველია და ბაირონის ცხოვრება ჩვენ წარმოგვიდგება, როგორც ყალბი ბუტაფორია“ („შენიშვნები ლირიკაზე“).

ამ იდუმალი, მითოსური სახისგან განსხვავებულია სტეფან მალარმეს ხატი:

„ცა – ხირომანტის უეცარი, ყალბი აფიშა.
სტეფან მალარმე ნაბდიანი ცხენს მიაჭენებს,
ახლავს ვასსალი ვალერიან გაფრინდაშვილი,
რომელიც სწრაფად ქიმერიულ ქუჩებს აშენებს.
მალარმე ცისფერ ჩაბალახით მეტად კარგია,
მის მოვლინებას საქართველო დიდხანს ელოდა“.

ელეონორა მეუნარგია
(„მალარმე ნაბდით“)

თუ დიონისური ვერლენი იდუმალი და დაიმონური იყო, მალარმე ნაბდით უფრო ახლობელი ჩანს. „მალარმეს თრთოლვა ხანდახან ქვითინში გადადის, თუმცა მას სურს იყოს „თოვლივით თეთრი და ყინულისვით ცივი“ – დაწერს მოგვიანებით ვალერიან გაფრინდაშვილი წერილში „შენიშვნები ლირიკაზე“. მის პოეზიასთან ზიარებას ქართული პოეტური აზრი „დიდხანს ელოდა“ და როგორც თავად გვამცნობს „ვასალი ვალერიან გაფრინდაშვილი“, სწორედ მალარმესთან ერთად აშენებს „ქიმერიულ ქუჩებს“. ეს მითოსური არსება (ქიმერა) მრავალგვარ ასოციაციას იწვევს, მთავარი მაინც მისი აღუსრულებელი ოცნების სიმბოლოდ წარმსახვია.

ეს ლექსი უთარილოა და აქვს მოულოდნელი დასასრული. უნდა აღინიშნოს, რომ მსგავსი მოულოდნელობანი, როგორც ჩანს, ან რითმისთვის, ან კეთილხმოვანებისთვის, ან ასოციაციისთვის სიმბოლისტ პოეტს თავადაც მოსწონდა.

ამ თვალსაზრისით საინტერესოა ილია ჭავჭავაძისადმი მიძღვნილი ლექსის ერთი ფრაგმენტი:

„დროა, ლომივით რომ დაიგრგვინო,
შენი ხმა ჩვენთვის მუდამ ტკბილია,
ჩვენო მშვენებავ, ჩვენო გვირგვინო,
ილიადაზე მეტო ილია!“

„ილია ჭავჭავაძე“

აქ ყურადღებას იპყრობს გამოთქმა „ილიადაზე მეტო ილია“. იგრძნობა ერთგვარი შეუსაბამობაც კი, მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ ჰომეროსის ამ დიდებული პოემის მნიშვნელობას ზოგადად მწერლობის განვითარების ისტორიაში, ნათელი გახდება პოეტის ჩანაფიქრიცა და შედარების ორიგინალობაც. მით უმეტეს, რომ მომდევნო სტრიქონი კვლავ ანტიკური სახისმეტყველებით აგრძელებს ამ აზრს:

„განიერ მხრებზე ატლანტის მსგავსად
შენ გეპყრა მთელი ჩვენი ქვეყანა...“

მთელი ეს პასაჟი მინიშნებაა დიდი ილიას სიტყვის ძალაზე, ილიასი, რომელმაც ბერძნული მითოსის ატლასის (ატლანტის) მსგავსად იტვირთა ქვეყნის საზღვრუნავთა მთელი სიმძიმე. ლექსი დაწერილია იმ დროს, როდესაც სიმბოლისტ პოეტთა დიდებული პლეადა „მიწას დაუბრუნდა, როდესაც მოდერნისტული ესთეტიზმი ჩაიძირა სამშობლოს სევდაში“.

მაგრამ მანამდე დიდი გზა იყო გასავლელი.

როგორც აღვნიშნე, ბოლშევიკურ რუსეთს თავდაღწეული სიმბოლისტები, აკმეისტები და ფუტურისტები თბილისში გამოსცემდნენ ჟურნალ-გაზეთებს სხვადასხვა სახელწოდებით, მათ შორის ისეთით, რომლებიც ანტიკურობას უკავშირდებოდა. მაგალითად: „Орион“, „Феникс“ და სხვ. თბილისში მოღვაწეობდნენ: ალექსეი კრუჩიონიხი, ვასილი კამენსკი, ყარა დარვიში, ილია და კირილე ზდანევიჩები, კოლაუ ჩერნიავესკი, სერგეი გოროდეცკი და სხვები. მათ დააწესეს „ფუტურისტების სინდიკატი“, „ზაუმნიკური კომპანია 41“ („ჭკუამიღმური კომპანია“). სულ მალე შემოქმედებით ასპარეზზე გამოჩნდებიან ქართველი ფუტურისტები,⁶⁴⁹ რომლებიც გამოსცემენ ჟურნალს სახელწოდებით H_2SO_4 . თავდაპირველად „ცისფერყანწელები“ თითქოს შეეცდებიან მათთან

⁶⁴⁹ ბენო გორდეზიანი, ნიოგოლ ჩაჩავა, ირაკლი გამრეკელი, პავლო ნოზაძე, ჟანგო ღოღობერიძე, აკაკი ბელიაშვილი, ბიძინა აბულაძე, სიმონ ჩიქოვანი, ნიკოლოზ შენგელაია, შალვა ალხაზიშვილი (იხ. ჟურნალი H_2SO_4 , I. კლიშე: სოგომონოვ-სუტჩიანისა, 1924).

შეერთებას: „კონსტანტინე გამსახურდია ბეჭდავდა ლექსების ციკლებს „დიდ ქალაქში“ და „XX საუკუნე“; გრიგოლ რობაქიძე აქებდა ვასაკასა და აქლემს, ფანტასმაგორია „მალშტრემში“ გამოჰყავდა დადაისტები; ნიკოლო მიწიშვილს პოეზიაში შემოჰყავდა თავისი ძალი ჩიბისი; რაჟდენ გვეტაძე ვირების მესია გახდა; დემნა შენგელაია სიმბოლისტურ „სანავარდოს“ თხზავდა და თან ფუტურისტული ტაქტილიზმის თეორიას აყალიბებდა; ვალერიან გაფრინდაშვილი ტილებზე წერდა სონეტს; ტიცციან ტაბიძე ბაყაყის ნილბით მეტყველებდა, თავის თავს „მსუქან გომბეშოს“ ეძახდა; თარგმნიდა სუპპოსა და ელუარის ლექსებს, დადას მანიფესტებს, წერდა დადაისტურ მადრიგალებს და „დადას“ მანიფესტს“.⁶⁵⁰

უნდა აღინიშნოს, რომ სონეტი, რომელშიც ვალერიან გაფრინდაშვილი ახსენებს „ტილს“, ერთობ საინტერესოა პოეტური ხატისა და თავად ვერსიფიკაციის თვალსაზრისით, ყველაფერთან ერთად მასში მითოსური ამორძალიც გამოჩნდება:

„დღეს კლავიშები დაუფარავს მთრთოლვარე ტილებს,
როცა თითები, როგორც ნაზი **ამორძალები**
იწყებენ ჯირითს რუხ მინდორზე, მათი რკალები
უკანასკნელად აკვნესებენ ცოცხალ წერტილებს.
ღრუბლიან ნოტებს დადუმებულთ და დაფერდილებს
ამღვრევენ ისევ ფერწასული შენი თვალები,
- სცვივა ტილები ნოტებიდან და მოკრძალებით
მათი წკარუნი ესალმება თითების ჩრდილებს.
მაღალ კუბოში გააღვიძებ შუმანს და ვერდის,
კრთის, როგორც უცხო ყელსახვევი ღამე ხავერდის
და კვიპაროზთა თალხი გუნდი წყვდიადობს ბაღში.
როს გათენდება მე შემოვალ შენთან ოთახში,
მე დაგიკოცნი ცოდვილ თითებს – ტილების მკვლევებს,
და მზე მეფური შენს ბაგეებს აამეტყველებს!“
„სონეტი“

ეს სონეტი და სხვა მსგავსი ლექსები, რომელთა სიმრავლით არ გამოირჩევა ვალერიან გაფრინდაშვილის შემოქმედება, ერთგვარი ხარკი იყო იმ ეპოქისა, რომელიც ავანგარდიზმის ნიშნით შემოდიოდა ქართულ სინამდვილეში. „ჩვენი დროის პოეტებს – წერდა ვალერიან გაფრინდაშვილი ესსეში „Terror Antiquus“ – გაბედულად შემოჰყავთ ლირიკაში საშინელი და მახინჯი სახეები. ფრანსის

⁶⁵⁰ ს. სიგუა. მოდერნიზმი. თბილისი, 2008, გვ. 149.

ჟამესი ნატრობს ვირებთან ერთად სამოთხეში შესვლას. ვერლენმა თავის „კალეიდოსკოპში“ მოწამლა ჰაერი შარდის სუნით. ბოდლერი ცხენის ლემს ადიდებს და სტოვებს უყურადღებოდ ბანოვანებს...“ - ესეში კიდევ ბევრი პოეტის სახელია მოხმობილი მსგავსი კონტექსტით. ყურადღებას იპყრობს ესეს ავტორის ანტიკური პარალელები: „მახინჯი საშინელია, საშინელი კულტია თანამედროვე ხელოვნების. საშინელებას ბერძნულ ქანდაკებაში და ტრაგედიაში დიდი ადგილი უჭირავს – მაგალითად ლაოკოონი, მეფე ოიდიპოსი, პრომეთე. ანტიკური ტრაგედიის თავადებმა ესხილმა, სოფოკლემ და ევრიპიდმა იცოდნენ იდუმალება საშინელის და მას დიდ ადგილს უთმობდნენ თავის შემოქმედებაში. ჰომეროსის სფინქსები და ციკლოპები მახინჯი სახეების გამოფენაა... არსებობს დიდი კავშირი თანამედროვე ლირიკასა და ანტიკურ ტრაგედიას შორის. ეს ტრაგედია და ლირიკა აღიარებენ საშინელების კულტს. ჩვენი დროის ლირიკა ანტიკური ტრაგედიის მაგიერობას ასრულებს. გრძნობას, რომელსაც განიცდის ტრაგედიის მაყურებელი, არისტოტელემ დაარქვა კათარსისი. ლირიკა არის განსაწმენდელი... ჩვენი ცხოვრება მახინჯი ანარეკლია მეორე იდეალური სამყაროსი, რომელსაც პლატონი ჩვენს პირველყოფილ სამშობლოს უწოდებს...“ ამონარიდის გაგრძელება შეიძლება. ავტორი მრავალ სახელს ახსენებს, მათ შორის „ლუვრის ვენერას“, ნერონს, რომელზეც წერს, რომ იგი „მახინჯი იყო; ახლა ის უფრო მომხიბლავია, ვიდრე მარკ ავრელი და პეტრონიუსი“.

აღსანიშნავია, რომ ამ ორფურცლიანი წერილის ერთ აბზაცში ანტიკური სამყაროს სიღრმისეული ცოდნა მოჩანს, თუკი ავტორს დავეთანხმებით ნერონის შეფასებაში. თუმცა, როგორც ჩანს, მას ნერონის სახე განსაკუთრებით იზიდავდა, რამეთუ იმ ისტორიულ პირთა შორის, რომლებიც თავის ლექსებში შემოჰყავს, ნერონს ყველაზე ხშირად მოიხსენიებს. ეს ისტორიული ფიგურები არიან: ნერონი, ჰანიბალი, სპარტაკი, კლეოპატრა, კალიგულა, საპფო, ჰომეროსი, გრაკხები. აქვე უნდა აღვნიშნო, რომ ანტიკური ხანის ლირიკოსთაგან მხოლოდ საპფოს სახელს ვხვდებით ლექსებში. ვალერიან გაფრინდაშვილი პირველად საპფოს ახსენებს ესეში „სახელების მაგია“, სადაც ვკითხულობთ: „დღეს პოეზია დატვირთულია სახელებით... პირველად სახელს აქვს რეალური შინაარსი, მაგრამ ის თანდათან იწმინდება რეალობიდან და საკუთარ ღირებულებად იქცევა. მთელი საბერძნეთის მითოლოგია დღეს სახელების მაგია არის, დაშორებული თავის პირვანდელ ნიადაგს...“

ბეატრიჩეს სახელი გადასწონის მთელ დანტეს პოეზიას და მისი ალეგორიული პოემა გამართლებას ნახულობს ბეატრიჩეს სახელში. საფოს პოეზია ჩვენ თითქმის არ ვიცით, მაგრამ მისი სახელი თავისთავად პოეტურია. ჩვენ

ვიცით ნერონის ლექსები, მაგრამ მისი სახელი, ამოვლებული ცეცხლმოკიდებულ რომის დაისში, შედის ლირიკაში, როგორც მოქანცული ქიმერა“.

ესე 1921 წელს დაიწერა და მას შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა. დღეს მრავალმხრივ არის შესწავლილი ელინური მითოლოგია მთელი თავისი არქეტიპებით, რამაც მის ფიგურათა სახელები თითქმის დაუბრუნა „პირვანდელ ნიადაგს“. რაც შეეხება საპფოს, მართალია, მისი შემოქმედების მცირე ნაწილმა მოაღწია ჩვენამდე, თუმცა ეს საკმარისი აღმოჩნდა ამ პოეზიის შთამბეჭდაობის შესამეცნებლად. როგორც ჩანს იმ დროს, როდესაც ვალერიან გაფრინდაშვილის ესე იწერებოდა, საპფოს ლექსების შესახებ ჯერ კიდევ ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდა ქართველ პოეტთა დასს.⁶⁵¹ თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ უკვე ორი წლის შემდეგ დაწერილ ესეში ვალერიან გაფრინდაშვილი საპფოს ლირიკული პოეზიის კორიფეთა შორის ახსენებს: „ლირიკული ელიზიუმის მეფეა ბოდლერი, რომელიც იქცა მითოლოგიურ სახეთ. ასეთი მითიური სახეები მოიპოვება ლირიკაში: ტეოდორ გოფმანი, პოლ ვერლენი, არტურ რემბო, მარსელინა დებორდ-ვალმორ, საფო, ტომაზ ჩეტერტონი, კრისტოფორ მარლო და სხვები“ („ლირიკის ელიზიუმი“).

ლექსს, რომელშიც საპფოს მოიხსენიებს სიმბოლისტი პოეტი წარმოვადგენ სრულად, რადგანაც მასში ფიგურირებენ ანტიკურობის სხვა სახე-სიმბოლოებიც. სიმბოლურია თავად ლექსის სახელწოდებაც – „კაკადუ მისანი“:

„მოხეტიალე პაგანინი დადის არღანით.

არღანის თავზე თუთიყუში ზის მედიდური:

ის ყველას აძლევს ბედის ბარათს და არმაღანი

ხანდახან არი სასიამო, ხან კი ბითური.

თავის **სიგილლას** პაგანინი გავს გრძელი ცხვირით.

ისინი ერთად ბერდებიან, ვით **ქიმერები**.

იმათ სწვავს სიცხე და ასველებს ავდარი ხშირი:

ფრინველის ტანზე გადახუნდნენ უცხო ფერები.

ახლა კაკადუ – მარჩიელი ხშირად ლაღდება,

პოეტს და მეძავს მიაწოდებს ბილეთს ხალისით.

⁶⁵¹ აკ. ბაქრაძე „კარდუში“ გრიგოლ რობაქიძის ცხოვრებისა და ღვაწლისადმი მიძღვნილ წიგნში წერს: „კრიტიკიუმი, რომლითაც უნდა განვიხილოთ გრიგოლ რობაქიძის პოეზია, თვითონ დაგვიტოვა. 1953 წლის 3 მარტს იგი გიორგი გამყრელიძეს ბარათით უზიარებდა აზრს: „ჩემთვის პირადად ყველაზე დიდი ლირიკოსი არის ჰელენთა საპფო. ყოველი სიტყვა მისი გვხვდება გულში: გვხვდება ისე, რომ გვიტოკავს; გვიტოკავს ისე, რომ ამოვარდნას აპირებს. აპირებს ამოვარდნას, რომ სხვა გულს გადაეხსნას. აი, ლირიკოსი. სხვა საზომიც მაქვს პოეტისათვის: რამდენად ახალია მის მიერ ხილული სამყარო, რამდენად უნივერსალურია ეს სიახლე და რამდენადაა იგი ჩამოსხმული პოეტურად“. აკ. ბაქრაძე. კარდუ ანუ გრიგოლ რობაქიძის ცხოვრება და ღვაწლი. თბილისი, 1999.

პოეტი ამაყ ლერწამივით აკანკალდება,
იკივლებს ქალი უბედური – ხმით უალესით.
ჰამლეტი, საფო, ოფელია და ჰანიბალი
თუთიყუმის წინ წადგებიან ლანდურ ხაზებით:
აჩრდილებს უნდათ კიდეც ერთხელ სცადონ იღბალი,
მაგრამ დახვეწენ ბედის ფურცლებს მეტ გაბრაზებით.
მოხუცებულა თუთიყუში და ეყვინთება:
მოდის ნილოსი სამუმებით და ნიანგებით;
მის ოცნებაში თვალჩასმული სფინქსი ინთება,
თაყვანს რომ სცემენ ტანშიშველი მრუში ზანგები“.

წარმოდგენელია ამ ლექსის ზუსტ განმარტებაზე ფიქრიც კი. ის, რისი თქმაც სურდა ავტორს, იცოდა მხოლოდ ავტორმა. პოეტური ქმნილება ერთიანად ახდენს შთაბეჭდილებას თავისი მუსიკალობით, ლირიზმით, სიმსუბუქით, პოეტური ასოციაციებით, რომელიც ყველა განსწავლულ მკითხველს საკუთარი უნდა გაუჩნდეს. მკითხველის ასეთ მონუსხვას გულისხმობდა, ალბათ, ვალერიან გაფრინდაშვილი როდესაც წერდა: „პოეტისათვის საჭიროა პოზა, როგორც ფორმა იმის შემოქმედებისა. პოზა ნიჭის უტყუარი მაჩვენებელია. ვინც ნახა თავისი ორიგინალური პოზა (ხელოვნური თუ ბუნებრივი – ეს სულერთია), ის არის ღირსი პოეტის სახელის. ვისაც არა აქვს პოზა, იმას არა აქვს პოეტური დამოკიდებულება სინამდვილესთან“ („შენიშვნები ლირიკაზე“). ამ ლექსში პოზის გათვალისწინებით ყურადღებას იპყრობს ცნობილ სახელთა გაღერვა: მოხეტიალე პაგანინი, რომელიც თავის სივილლას (ანუ კაკადუს) ჰგავს გრძელი ცხვირით, სივილლა ხომ რომაელთა მარადიული მისანია, „ისინი ერთად ბერდებიან, ვით ქიმერები“; ამ კაკადუს წინ წარდგებიან ჰამლეტი, საფო, ოფელია და ჰანიბალი – ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებული ფიგურები – ლიტერატურული თუ ისტორიული. აჩრდილები ერთმანეთში გადახლართულან „ლანდურ ხაზებით“, და აი, ლექსის დასაწყისში არღანის თავზე მედიდურად მჯდომი სივილლა-თუთიყუში ლექსის ბოლო სტროფში მოხუცებულა და „ეყვინთება“, ხოლო ნილოსი ისევ ისე მიედინება სამუმებით და ნიანგებით და არასოდეს ავიწყდება უძველეს დროთა სიმბოლო – სფინქსი.

რვა მაგიური სახელი იკითხება ამ მშვენიერ ლექსში, რომელიც მრავალგვარ განცდას იწვევს მკითხველში: თუნდაც სამყაროს ბინადართა მარადიული თანაარსებობისა მიღმურ სივრცეში... გარდასულ ეპოქათა ლეგენდად ქცეულ ფიგურათა სახელებით დატვირთულია ვალერიან გაფრინდაშვილის ქმნილებათა უმეტესობა. ეს, ალბათ, თავადაც კარგად მოეხსენებოდა და ამიტომაც ერთ-ერთ

ლექსში მან საკუთარ თავს „სახელების მარადიორიც“ კი უწოდა („ტომაზ ჩატერტონ“).

ისტორიული პიროვნებების გვერდით ვალერიან გაფრინდაშვილი უხვად მოიხსენიებს მითოლოგიურ გმირებს, ცნებებს, ფიგურებს. ამ თვალსაზრისით ის ნამდვილად არის „სახელების მარადიორი“: დემონი, პანი, ვენერა, ამორძალები, ქიმერები, სირინოზები, მედუზა, ამური, ჰანიმედი, ანდროგინი, მუზა, ევრიდიკა, ორფეოსი, ელიზიუმი, პალადინი, დიანა, იზიდა, გერმანოდიტი, კარიატიდა, ილიონი, ლაოკოონი, მარსის მინდორი, ტურუმი, ტრიერი, მენელაი, რომი, მედეა, არგონავტი, იაზონი, ჰერკულესი, ილიადა, ატლანტი, ჰეგზამეტრი, კენტავრი, ზეფირები, რომი, ბიზანტია, ქაოსი, პრომეთე, ზევესი, იკარი, სფინქსის გამოცანა, გლადიატორი, ნაუზიკაა, პიგმალიონი, ოიდიპო, გალატეა, პარისი, ელენე.

ძნელად მეგულება სხვა პოეტი, რომელიც ანტიკურ სახე-სიმბოლოთა წარმოსახვის ესოდენი სიმრავლით იყოს გამორჩეული. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის, რომ ყოველი სახელი თავისებურ დატვირთვას ატარებს იქნება ის ესესა თუ პოეტური ქმნილებისათვის სიღრმისეული აზრის ცხადყოფად ან სამშვენივრად მოხმობილი.

სიახლეთა ძიებისა და ფანტასმაგორიის რვა წელმა მალე გაირბინა. ამ პერიოდს ვალერიან გაფრინდაშვილი „პოეზიის ელიზიუმს“ უწოდებს. მაგრამ დადგა დრო „მიწასთან დაბრუნებისა“. აღსანიშნავია, რომ ეს ფილოსოფიური ჩაფიქრებაც ანტიკურ სახე-სიმბოლოთა მოხმობით საცნაურდება ესეში: „პოეტები ბრუნდებიან ხელოვნების ელისეის მინდვრებიდან, ბრუნდებიან პოეზიის ელიზიუმიდან და როგორც ელიაზარი, ათბობენ თავის გაყინულ სხეულს სინამდვილის მზეზე. სიმაღლეების სუსხიანი ქარის შემდეგ მომხიბლავია ბარის თბილი ნიავი. ეს არ ნიშნავს ჩვენი წარსული მიღწევების უარყოფას. ეს არის დაბრუნება მიწასთან. ახალი აპოლონური სახე ქართულ პოეზიაში საკმაოდ სჩანს. გრიგოლ რობაქიძე თავისი უკანასკნელი ლექსებით ამტკიცებს ამას...“ („ახალი 1922 წლის ქართულ პოეზიაში“). რის თქმა სურს ესეს ავტორს, რას გულისხმობს „ელისეის მინდვრებსა“ და „პოეზიის ელისეუმში“? მკითხველისათვის კარგად არის ცნობილი ეს ტერმინები (თანამედროვე გამოთქმით: „ელისიონი“, „ელისიონის ველი“). ბერძნული მითოსის თანახმად, ეს იყო ნეტართა ლეგენდარული ქვეყანა, სადაც მიწიერი ცხოვრების აღსრულების შემდეგ განისვენებდნენ ღმერთების რჩეული გმირები. მათი თავშეყრის ადგილი იყო „ელისიონის ველი“, სადაც უხორცონი და უბერებელნი მშიდად სეირნობდნენ მუდმივ ნათელში. და აი, ვალერიან გაფრინდაშვილი აღნიშნავს, რომ ქართველი პოეტები გამოდიან ამ ილუზიიდან „სინამდვილის მზეზე“, უბრუნდებიან მიწას და ეს არის „ახალი აპოლონური სახე“. აპოლონი სინათლისა და სიბრძნის

განმასახიერებელი ღვთაებაა და ამ კონტექსტში მისი მოხსენიება მიანიშნებს ქართული პოეზიის აპოლონური საწყისებისკენ მიბრუნებაზე. როდესაც ეს ესე იწერებოდა, სინამდვილე ასეთი იყო: 1921 წლიდან ქართულ მოდერნიზმში თავი იჩინა ახალმა ნაკადმა, რომელიც ექსპრესიონიზმით სახელით არის ცნობილი. მისი იდეოლოგიები იყვნენ კონსტანტინე გამსახურდია და გრიგოლ რობაქიძე. ეს იყო მოძღვრება ღირებულებათა გადაფასებაზე; მისი ფუძემდებლები უპირატესობას ანიჭებდნენ არა აღწერის, არამედ გამოხატვის ხელოვნებას, რაც ერთიანად ესადაგებოდა ვალერიან გაფრინდაშვილის შემოქმედებით სტილს. მისთვის ეს იყო „დაბრუნება მიწასთან“. ამ გამონათქვამის ავტორი გრიგოლ რობაქიძე იყო, თუმცა ის თავისებური ენთუზიაზმით მიიღო ვალერიან გაფრინდაშვილმა, რომელიც წერდა: „ცისფერყანწელთა“ აზრით, დიონისური ღამე დასრულდა და მან გზა მისცა „მზის ვაკხანალიას“ (იქვე). მზე, როგორც აღვნიშნე, აპოლონთან საცნაურდება, შესაბამისად, ქართული მწერლობის მთავარ მიმართულებად იქცა დაბრუნება ეროვნულ საწყისებთან: „წინათ ბანალური პატრიოტიზმით განისაზღვრებოდა ეს თემა – აგრძელებს მსჯელობას ვალერიან გაფრინდაშვილი დასახელებულ ესეში – იყო სიტყვები და არ იყო ვიზიონალური ხილვა წარსულის. ტიციან ტაბიძემ აღმოაჩინა ქალდეა, როგორც ახალი ქვეყანა. ეს უდრის დამარხულ ქალაქების პომპეიას და გერკულანუმის აღდგენას“.

ვალერიან გაფრინდაშვილი ვრცლად და პროფესიონალურად მსჯელობს იმ სიახლეთა შესახებ, რაც 1922 წლის ქართულ პოეზიაში შეიმჩნეოდა. სტატიისთვის კი საგულდაგულოდ შევარჩიე ის ამონარიდები, სადაც პოეტი ანტიკურობას მიმართავს, როგორც იდეალს. ამ შემთხვევაში ანტიკური სამყაროს ქალაქების, პომპეიას და ჰერკულანუმის მოხსენიება ნიშავს მინავლებულ იდეალთა აღორძინებას. ეს აუცილებელი იყო, რამეთუ „ახალი ეპოქა“ თავისი ფანტასმაგორიულობით დასასრულისკენ მიექანებოდა.

1921 წელი განვლილი იყო და თანდათანობით იკეტებოდა ევროპულ ლიტერატურასთან ზიარების ფართოდ გახსნილი კარები. სწორედ ამ ავადსახსენებელ წელს გაიხსენებს მოგვიანებით კოლაუ ნადირაძე, როდესაც იტყვის სულისშემძვრელ ფრაზას:

„თოვდა და თბილისს ებურა თალხი,
დუმდა სიონი და დუმდა ხალხი...“

ხოლო თვით ცხრაას ოცდაერთში ვალერიან გაფრინდაშვილი დაწერს:

„ღმერთო, მაპატიე უმიზნო ცხოვრება!“

ღმერთო, მაპატიე პოეტობის სურვილი“.

„ლოცვა“

ასეთი იყო ის რვა წელი, რომელიც „ცისფერყანწელებმა“ გამოაცხადეს ფანტასმაგორიისა და მითის კულტად, წლები ევროპულ კულტურასთან ზიარებისა, წლები ძიებისა და აღმაფრენის, და ბოლოს, წლები მიწასთან დაბრუნებისა.

ახლოვდებოდა ცხრაას ოცდახუთი, თანდათანობით დიქტატის უფლებით ძლიერდებოდა პროლეტარული მწერლობა, იკრძალებოდა შემოქმედებითი თავისუფლება და ევროპული კულტურის მისადგომებთან ეშვებოდა მძიმე კრეტსაბმელი. მაგრამ ეს აკრძალვა არ შეხებია ანტიკურობის ცხოველმყოფელობის განცდას, რომელიც სულ უფრო მძლავრად მკვიდრდებოდა ქართულ ლექსსა და კულტურაში.

სანდრო შანშიაშვილი (1888-1978)

ეკატერინე კობახიძე

როგორც ცნობილია, ქართველი მოდერნისტი პოეტები საკუთარ შემოქმედებაში ხშირად მიმართავდნენ ანტიკურობასთან დაკავშირებულ სიმბოლოებს. მკვლევართა მიერ შენიშნულია, რომ „სანდრო შანშიაშვილის სიმბოლოები განსხვავდება სიმბოლისტიზმისთვის დამახასიათებელი პოეტური სახეებისაგან“.⁶⁵² ამ სიმბოლოთა შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ამირან-პრომეთეს მითს, არგონავტების თქმულებას და მის რეცეფციებს. ეს საკითხი სისტემურადაც შესწავლილია ქ. გარდაფხაძის მიერ.⁶⁵³ „1910-იანი წლების დასაწყისში ს. შანშიაშვილი თავის პოემებისთვის თემას უმთავრესად ბერძნული მითოლოგიიდან იღებს. პოემები: „ამირანი“, „დემეტიკა“, „იასონ და რენო“, „ოქროს ვერძი“, „მედია“, „მშვენიერი ელენე“,

⁶⁵² შ. ჯიშკარიანი. ალექსანდრე (სანდრო) შანშიაშვილი „სიმბოლიზმის აკვნის დამრწევი“. კულტურათაშორისი კომუნიკაციები. № 35. 2022, გვ. 29.

⁶⁵³ K. Gardapkhadze. The Argonautica in the Works of Georgian Symbolists. Phasis, Greek and Roman Studies. 10 (II). 2007, გვ. 185-189.

ბერძნული მითების თავისებურ დამუშავებას წარმოადგენს“. ⁶⁵⁴ ამ თხზულებებმა ანტიკურობის არაერთი მკვლევრის ყურადღება მიიპყრო. ⁶⁵⁵

„ამირანი“

1903-1910 წლებში დაწერილ ამ ნაწარმოებს ეპიგრაფად წამძღვარებული აქვს ამონარიდები ესქილეს და აკაკი წერეთლის თხზულებებიდან. ესქილეს „მიჯაჭვული პრომეთედან“ პოეტს გამოყენებული აქვს შემდეგი სტრიქონები:

„დე, ზევსმა მეხი თავს დამატეხოს,
შავმა გრიგალმა მიწით აღმგავოს, -
ქედს არ მოვიხრი!
....არა ვარ მონა!“

ხოლო აკაკის „ამირანიდან“ სანდრო შანშიაშვილს დამოწმებული აქვს შემდეგი ფრაზა:

„უსამართლო ძლიერებას
მონურად ქედს არ უხრიდა!...“

ესქილეს „მიჯაჭვული პრომეთედან“ ციტატის პირველი ორი სტრიქონი შეესაბამება ტრაგედიის ძველბერძნული ვერსიის 1044-1045 სტრიქონებს და, ჩემი ვარაუდით, ტექსტის თავისუფალ თარგმანს წარმოადგენს, რომელიც, დიდი ალბათობით, სანდრო შანშიაშვილის მიერაა შესრულებულია რომელიმე ევროპული ენიდან, რადგან ეპიგრაფში მოცემული ვარიანტი ესქილეს „მიჯაჭვული პრომეთეს“ ამ დროისთვის ქართულ ენაზე არსებულ არცერთ თარგმანს არ მისდევს. ⁶⁵⁶

⁶⁵⁴ ა. მირიანაშვილი. სანდრო შანშიაშვილი. წიგნში: ს. შანშიაშვილი. თხზულებები. ტ. 1. თბილისი, 1986, გვ. 14.

⁶⁵⁵ K. Gardapkhadze. The Argonautica in the Works of Georgian Symbolists. Phasis, Greek and Roman Studies. 10 (II). 2007, გვ. 185-189; მ. ქამუშაძე. ტიპოლოგიური პარალელები ს. შანშიაშვილის „მედიასა“ და ევრიპიდეს „მედეას“ შორის. საქართველოს ნეოგრეცისტთა ასოციაციის მეორე კონფერენციის მასალები. თბილისი, 2009 (ხელნაწერის უფლებით); M. Kamushadze. Medea in Georgian Poetry. HELLENIC DIMENSION. Materials of the Riga 3rd International Conference on Hellenic Studies. Eds Brigita Aleksejeva, O. Lāms, I. Rūmniece. University of Latvia. 2012, გვ. 266-270. ხელმისაწვდომია ონლაინ: https://www.apgads.lu.lv/fileadmin/user_upload/lu_portal/apgads/PDF/Hellenic-Dimension.pdf ბოლო ნახვა: 29.10.2023; И. Модебадзе, Т. Цицишвили. “Медя в Коринфе” в грузинском литературном дискурсе XX века. V საერთაშორისო სიმპოზიუმი „ლიტერატურათმცოდნეობის თანამედროვე პრობლემები“. მასალები. ნაწილი II. თბილისი, 2011, გვ. 103-112.

⁶⁵⁶ მიჯაჭვული პრომეთე – დრამა ესხილისა. (მთარგმნელი არ წერია), თვითური ჟურნალი მოამბე, მაისი 1897 წელი, #5, ნაწ 1. ტფილისი, გვ. 58-85; მიჯაჭვული პრომეთე – დრამა ესხილისა. (მთარგმნელი არ წერია), თვითური ჟურნალი მოამბე, ივნისი 1897 წელი, #6, ნაწ 2. ტფილისი, გვ. 82-108; მიჯაჭვული პრომეთე ესქილისა, ედიპე მეფე სოფოკლესი, მედია ევრიპიდესი. თარგმანი პ. მირიანაშვილისა. თბილისი, 1910, გვ. 5-50.

როგორც პოემიდან ცხადი ხდება, პოეტისთვის ბერძნულ პრომეთესა და ქართულ ამირანს შორის განსხვავება არ არსებობს, რაც ქართველი ავტორებისათვის ჩვეული მოვლენაა. დამატებით პოეტს ამირანის თანმხლებად ფრთიანი შავი მერანი ჰყავს წარმოდგენილი, რომელიც ბერძნული მითოლოგიის ცნობილ რამ პეგასოსთან გარკვეულ ალუზიებს იწვევს. სანდრო შანშიაშვილის ამირანი ღმერთთან მოპაექრე გმირია, რომელსაც მაღლიერი ხალხი ქებას უძღვნის:

„ჩვენმა მხსნელმა, უძლეველმა აღგვადგინე

და დიადი განთიადი მოგვივლინე!“⁶⁵⁷

უშიშარი გმირი ღმერთს, რომელიც ადამიანთა მიერ გმირის ქებას შეშფოთებით უსმენს, არ ეპუება და თამამად ამხელს:

„დასაბამიდან შემოგცქეროდით,

და ვერ კი გრძნობდი ჩვენს შეღონებას,

არ შეისმინე ხალხის ღაღადი,

ყურს არ უგდებდი მწარე გოდებას“.⁶⁵⁸

განრისხებული ღმერთი დალის შეუპოვარი ვაჟის დასჯას განიზრახავს. ამაში მას დახმარებას აღმოუჩენს შავფრთიანი ეშმა, ბელზებელი დემონი, რომელიც გრძნეული დედაბრის მეშვეობით გმირის დასუსტებას შეეცდება. დედაბერი ურჩევს დემონს, ამირანის ძლიერების სიმბოლოს, ყავარჯენს მატლები შეუსიოს და საყრდენგამოცლილი გმირი ადვილად ჩაიგდოს ხელში. ამგვარი ხერხით ღმერთი კლდეზე მიაჯაჭვავს დასუსტებულ ამირანს, რომელსაც აღარ შეუძლია დახმარება აღმოუჩინოს განსაცდელში ჩავარდნილ ადამიანებს:

„ვაგლახ, ამირანს აღარ ძალუძს მოძმეს უშველოს,

მტერსა მარჯვენა უძლეველი კვალად უჩვენოს.

რკინით მიჯაჭვეს მაღალ კლდეზე, იგი შორს სრის,

გულ-მკერდს უკორტნის ხალხის ერთგულს შავი ყორანი“.⁶⁵⁹

პოემა მთავრდება ბედნიერი მომავლის იმედით გამსჭვალული სტრიქონებით, რომელიც მოგვაგონებს აკაკის „ამირანის“ ოპტიმისტურ დასასრულს:

„მაგრამ ეს ყველა წარმავალია,

კვლავ გაბრწყინდება სოფელი ზნელი!...

ადამიანი აღსდგება კვალად

გარშემოსილი შარავანდედით.

იგი იქნება თავისუფალი,

⁶⁵⁷ ს. შანშიაშვილი. თხზულებები. ტ. 1. თბილისი, 1986, გვ. 299.

⁶⁵⁸ ს. შანშიაშვილი. თხზულებები. ტ. 1. თბილისი, 1986, გვ. 300.

⁶⁵⁹ ს. შანშიაშვილი. თხზულებები. ტ. 1. თბილისი, 1986, გვ. 305.

მეფე ყოველთა და შემძლებელი

ვერას ავნებენ ძველი კერპები:

თუნდ ღმერთი იყოს, თუნდ ბელზებელი!“⁶⁶⁰

სანდრო შანშიაშვილის შემოქმედების მკვლევართა აზრით, თხზულება „ამირან-პრომეთეს მითის თავისებურ დამუშავებას წარმოადგენს. რაც მთავარია, პოეტმა ამირან-პრომეთეს ბრძოლას ალეგორიული ხასიათი მისცა და 1905 წლის რევოლუციის დამარცხების შედეგად გამეფებული რეაქციის წინააღმდეგ მიმართა“.⁶⁶¹ ვფიქრობ, შანშიაშვილის „ამირანის“ მთავარი პერსონაჟი ნამდვილად ალეგორიული ხასიათისაა, თუმცა შეიძლება გამოხატავდეს არა მხოლოდ რუსეთის რევოლუციის დამარცხებით გამოწვეულ ემოციებს, არამედ საქართველოს დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის ტრაგიკულ ისტორიას. ამაში გვარწმუნებს პოემის ქართული რეალიები და ზოგადი სულისკვეთება.

არგონავტების მითი

როგორც აღვნიშნეთ, სანდრო შანშიაშვილს ეკუთვნის არგონავტების მითთან დაკავშირებული რამდენიმე თხზულება, რომელიც მწერალმა ძირითადად შვეიცარიაში – ციურიხსა და ბერნში ყოფნისას, 1910-1912 წლებში შექმნა. გამონაკლისია პოემა „ოქროს ვერძი“, რომელიც მოგვიანებით – 1926 წელს თბილისში დაიწერა.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სანდრო შანშიაშვილის პოემები „მედია“ და „მედია და მშვენიერი ელენე“. თავის მხრივ, ეს უკანასკნელი შედგება სამი, მკვლევართა აზრით, ერთმანეთისგან დამოუკიდებელი ნაწილისგან:⁶⁶² დემეტრია; იასონი და რენო; მშვენიერი ელენე. განვიხილოთ თითოეული მათგანი.

„მედია“

მწერალი პოემის ქვესათაურშივე გარკვევით მიუთითებს, არგონავტების მითის რომელ ეპიზოდს ეძღვნება ნაწარმოები: „მედია კორინთში. იასონის შეუღლება კრეუზასთან და მედიას შურისძიება“.⁶⁶³

ნაწარმოების შინაარსი შემდეგია: მედია მიატოვა იასონმა, რათა შეირთოს კორინთოს მეფის ასული, კრეუზა. ძიძა ცდილობს, ანუგეშოს მედია. მედია მისტირის

⁶⁶⁰ ს. შანშიაშვილი. თხზულებები. ტ. 1. თბილისი, 1986, გვ. 306.

⁶⁶¹ ა. მირიანაშვილი. სანდრო შანშიაშვილი. წიგნში: ს. შანშიაშვილი. თხზულებები. ტ. 1. თბილისი, 1986, გვ. 14.

⁶⁶² K. Gardapkhadze. The Argonautica in the Works of Georgian Symbolists. Phasis, Greek and Roman Studies. 10 (II). 2007, გვ. 187.

⁶⁶³ ს. შანშიაშვილი. თხზულებები. ტ.1. თბილისი, 1986, გვ. 307.

წარსულს და ნანობს, რომ მიენდო იასონს. მედეა ძიძის აზრით, ბერძნებმა წაართვეს მას სიქალწულე და სილამაზე, ხოლო კოლხეთს:

„ოქროს ვერძი-სალოცავი,

ერის განძი და დიდება -

რაიც ჩვენს ხალხს მადლსა ფენდა“.⁶⁶⁴

ძიძის თქმით, მედიას წასვლის შემდეგ ხალხში მღელვარებამ იფეთქა, მათ ჩააქვავეს მოგვი. ძიძა მედიას სანახავად კორინთოსკენ მიმავალ გემს გაჰყვა. ძიძა საყვედურობს მედიას, რომ მან მიატოვა სამშობლო, გაიტაცა მისი განძი და საფრთხე შეუქმნა საკუთარ ოჯახსა და ქვეყანას. იგი სთავაზობს მედიას, რომ შეწყვიტოს გლოვა-ტირილი და შეეცადოს, კვლავ მოინადიროს იასონის გული. ამ დროს მედიასთან ახლოს გამოჩნდებიან მოხუცი მეფე კრეონტი და იასონი. კრეონტი ახსენებს იასონს, რომ მათ მიიღეს გადაწყვეტილება, გააძევონ მედია. მისი საუბრიდან ირკვევა, რომ კორინთოში სტუმრად იმყოფებიან სპარტის მეფე ტინდარეოსის შვილები: კასტორი, პოლიდეკესი და ელენე. მედია ყურს უგდებდა მათ საუბარს და კრეონტის წასვლისთანავე იასონს წინ გადაუდგება. მედია შეახსენებს იასონს ყველაფერს, რაც მისთვის გააკეთა: დაეხმარა ოქროს ვერძის მოპოვებაში, უღალატა სამშობლოს, ოჯახს და მას ორი ვაჟი: აკიმენი და თესალი გაუჩინა. იასონი ზიზღით იცილებს მედეას. ქალი კი კვლავ სიყვარულში ეფიცება იასონს და მეუღლეს უკან დაბრუნებას სთხოვს, მაგრად ამოდ. ამ დროს კოლხეთიდან მაცნე ჩამოდის, რომელიც ატყობინებს ბერძნებს, რომ კოლხეთში დიდი არეულობაა, მედიას მამა, მეფე ოტია შეთქმულებმა მოკლეს. სასოწარკვეთილი მედია და ძიძა გლოვობენ კოლხეთის მეფის სიკვდილს. კისკისით სცენაზე შემოდის პატარა და ცელქი გოგონა, მშვენიერი ელენე, რომელიც აკვირდება, როგორ ეტრფიან ერთმანეთს იასონი და კრეუზა, რომელიც კვლავ სთხოვს საქმროს თავიდან მოიშოროს ამაყი, ულმობელი და ველური მედია. უეცრად იასონს თვალწინ წარმოუდგა ძველი ცოდვა, სპარტელი რენო, რომელიც, იასონისგან მიტოვებული, კლდიდან გადაიჩეხა. მედია კვლავ სთხოვს იასონს, გაიხსენოს მისთვის მიცემული ფიცი და დაუბრუნდეს ოჯახს, თუმცა იასონი უარზეა. იგი მედიას უხსნის, რომ იასონზე დაქორწინებამ ბარბაროს მედიას ბევრი სიკეთე მოუტანა და ახლაც, კრეუზას ცოლად შერთვით:

„შე შვილთ სამკვიდრებელს

მივცემ დიდსა და მაღალსა“.⁶⁶⁵

მედიას სძულს საბერძნეთი, ეს „ცრუ მხარე“, „სად ყოველი პირმოთნეობს“ და წყევლის იასონს. ქალს სურს, რომ ოქროს საწმისი არა საბერძნეთის, არამედ მთელი

⁶⁶⁴ ს. შანშიაშვილი. თხზულებები. ტ. 1. თბილისი, 1986, გვ. 310.

⁶⁶⁵ ს. შანშიაშვილი. თხზულებები. ტ. 1. თბილისი, 1986, გვ. 326.

მსოფლიოს საკუთრება იყოს და ოქროს მატყლს ქარს გაატანს. მედია იასონს ახსენებს რენოს, რომელიც იასონის გამო დაიღუპა. გამწარებული იასონი მედიას მოკვლას გადაწყვეტს. ამ დროს პატარა ელენეს შეკვივლება გაისმის. იასონი დაშნას ქარქაშში ჩააგებს და ქანდაკებაზე აცოცებულ პატარა გოგონას ძირს ჩამოსვამს. მედია ამშვიდებს ბავშვს, რომელიც შესჩივის მას ჩხუბისთავ ძმებზე და კრეუზაზე, რომელმაც მას აწყენინა. ამ დროს გამოჩნდება კრეონი და მედიას ეტყვის, რომ მისი შვილები კორინთოში რჩებიან, ხოლო მედია დღესვე უნდა წავიდეს ქალაქიდან.

შემოდინ იასონი და კრეუზა-პატარძალი სტუმრების თანხლებით. ყველა ცხადად თუ ფარულად დასცინის მედიას, რომელიც კრეონს ევედრება, ერთი შვილი მაინც თან გააყოლოს. შვილებმა ზურგი აქციეს დედას და კრეუზას შემოეხვივნენ. მედიამ თხოვნით მიმართა კრეონს, კრეუზას გადასცეს მისი საჩუქარი, სამკაული, რომელსაც მედია პატარძალს მის შვილებზე ზრუნვისთვის უძღვნის. მედია რაღაც ფხვნილს აყრის სამკაულს, კრეუზას საწამლავისგან ცეცხლი ეკიდება, მასთან ერთად იღუპება კრეონიც. მედია საკუთარ შვილებსაც ხოცავს, რადგან ფიქრობს, რომ:

„მებაღემა რა ხეც დარგო,
ისეთს ნაყოფს ჩაიბარებს,
მისთა შვილთა ყოფა-ქცევა
სხვას სიცოცხლეს გაუმწარებს!..
მას წიწილებს დავუხოცავ,
სიტკბო დაჰგმო, მწარე ნახოს“.⁶⁶⁶

უეცრად მედიასთან რაში გაჩნდება, რომელსაც მედია შეახტება და უკან დადევნებულ იასონს გაექცევა. იასონი დაკარგავს გონებას და როდესაც გამოერკვევა, მას წყალზე მოტივტივე ქალის აჩრდილი წარმოუდგება, რომელშიც იასონი რენოს ამოიცნობს. იასონი რენოს დაშნას გულში ჩაიცემს და მოკვდება. ავტორი დასძენს:

„უპიროს და მოღალატეს
არ ეღირსა დაფ-ნაღარა!“

მედია და მშვენიერი ელენე დემეტიკა

იმავე 1911 წელს შექმნილ ნაწარმოებში ავტორი სათაურშივე მიუთითებს, რომ თხზულება არის „ლეგენდა ოქროსმატყლოვან ვერძის გაჩენაზე“.⁶⁶⁷ სქოლიოში სანდრო შანშიაშვილი აღნიშნავს, რომ ამ პოემის შინაარსი ლექსად ხუთ რომანტიკულ

⁶⁶⁶ ს. შანშიაშვილი. თხზულებები. ტ. 1. თბილისი, 1986, გვ. 335-336.

⁶⁶⁷ ს. შანშიაშვილი. თხზულებები. ტ. 1. თბილისი, 1986, გვ. 338.

პოემაშია გადმოცემული და მისი სიუჟეტი მხოლოდ ნაწილობრივ არის ცნობილი ბერძნულ მითოლოგიაში. ბერძნული მითოლოგიისთვის სრულიად უცნობია მითის შემდეგი მონაკვეთები: დემეტიკას და ფსიქეს გამიჯნურება, ლეგენდა ოქროსმატყლოვან ვერძის გაჩენის შესახებ, იასონ და რენოს სიყვარულის ამბავი, ელენეს შეხვედრა მედეასთან.⁶⁶⁸

პოემის შინაარსი შემდეგია: უძველეს დროში საბერძნეთში მართავდა კეთილი მეფე აფამანტე [ათამასი – ე.კ.], რომელიც გარდაიცვალა და მეფობა მის ძმას, კრიტეს დარჩა. სიკვდილის წინ აფამანტემ მას ობლადდარჩენილი ვაჟი, ფრიქსე აღსაზრდელად ჩააბარა. ფრიქსესთან ერთად იზრდებოდა სილამაზით განთქმული ელე [ჰელე – ე.კ.]. ქალ-ვაჟს ერთმანეთი შეუყვარდათ და დროს ერთად, ბუნების წიაღში ატარებდნენ. ფრიქსეს სიმღერითა და მშვენიერებით მოიხიბლა მეფის ცოლი დემეტიკა და ცდილობდა, ვაჟი ხელში ჩაეგდო. ერთხელ მეფის სასახლეში ნადიმი გაიმართა, სადაც დემეტიკა ვნებიანი ცეკვით ფრიქსეს მიუახლოვდა და საკუთარ გრძნობაზე მიანიშნა. პასუხად ფრიქსმა სიმღერით სასტიკი უარი მიუგო. დემეტიკა ცუდად გახდა და მხლებლებმა იგი მოსასვენებლად წაიყვანეს. დემეტიკამ ახლა მსახური მიუგზავნა ფრიქსეს და თავისთან იხმო. ფრიქსე ეახლა დემეტიკას, რომელიც სიყვარულში გამოუტყდა ვაჟს, ვნებიანად შემოეხვია და ათასგვარ სიამეს დაჰპირდა. ფრიქსემ ელეს სიყვარულს არ უღალატა ცივი უარი მიაგება დედოფალს. ის კი მაინც არ შვრებოდა და მუხლმოდრეკით ევედრებოდა, რომ მისი სატრფო გამხდარიყო. ამ დროს ოთახში დემეტიკას ქმარი შემოვიდა. დემეტიკამ აუხსნა მეუღლეს, რომ ფრიქსე ძალით შემოეჭრა ქალს და მიუხედავად ქალის ვედრებისა, მასზე ძალადობა განიზრახა. განრისხებული მეფე ქურუმების სამსჯავროს გადასცა ფრიქსეს. დემეტიკამ ერთხანს თითქოს ინანა საქციელი და ვაჟის დახსნა გადაწყვიტა, მაგრამ ბოლოს, მისი უარისგან გაბრაზებულმა, გადაიფიქრა. ხანგრძლივი თათბირის შემდეგ ქურუმებმა და მეფემ გადაწყვიტეს, რომ ფრიქსე და ელე ღმერთებისთვის მსხვერპლად შეეწირათ. უდანაშაულო ქალ-ვაჟის მსხვერპლად შეწირვის მხილველმა ამირანმა ეს ამბავი შეატყობინა ელეს დედას, ღრუბლების ქალღმერთ ნეფელას. ნეფელა ღმერთებს ეურჩებოდა და ამირანს ექომაგებოდა, რისთვისაც დედამიწაზე ვერ ჩნდებოდა და მხოლოდ მთის კალთებს ეფარებოდა. ამირანმა ამოიქშინა და მისი სუნთქვისგან გაჩნდა ოქროსმატყლოვანი ვერძი, რომელიც ნეფელესთან ერთად მიფრინდა იოლქში [იოლკოსში – ე.კ.] და ქალ-ვაჟი გაიტაცა. ქალი გზად ზღვაში ჩავარდა და დაიხრჩო, ხოლო ფრიქსე მიფრინდა ულამაზეს კუნძულზე, სადაც მწარედ დასტროდა გარდაცვლილ სატრფოს. ნეფელას შეეცოდა ვაჟი, აუხსნა მას, რომ იგი იყო უმშვენიერეს მხარეში, კოლხეთში. ქალღმერთმა გაუმხილა ფრიქსეს,

⁶⁶⁸ ს. შანშიაშვილი. თხზულებები. ტ. 1. თბილისი, 1986, გვ. 338.

რომ ამირანის რჩევით, მას უნდა დაეკლა ოქროსმატყლოვანი ვერძი და მისი ტყავი ჩამოეკიდა ხეზე. ეს ტყავი გახდებოდა ერის განძი, მისი კეთილდღეობის საწინდარი და მის ხელში ჩაგდება ვერავის შეეძლებოდა, ერთი ასულის გარდა:

„ტყავი იყო ერის განძი,
მისგან იქნეს დიდი შვება.
სხვამ ვერავინ ხელთ ვერ იგდოს,
ერთს ასულს კი ექნეს ნება,
როგორც სურდეს – მოიხმაროს,
რაც ინატროს – აუსრულდეს;
ვიდრე იგი თვისად აჩნდეს,
თვით მტერსაც კი არა სძულდეს!“⁶⁶⁹

მართლაც, კოლხეთში „მადლის წყარომ იწყო დენა“⁶⁷⁰ და ოქროს ტყავს პატრონობდა და საიდუმლოდ ინახავდა მედია.

„იასონ და რენო“

კვლავ ციურიხში 1911 წელს დაწერილი პოემის ქვესათაურში მწერალი მიუთითებს, რომ პოემაში აღწერილია „იასონის გამგზავრება კოლხეთს, ოქროს ვერძის მოსატაცებლად“.⁶⁷¹ ამ ნაწარმოების შინაარსი შემდეგია: თესალონიკის მეფე პელეი (პელევსი ე.კ.) შეიტყობს რა ოქროს ვერძის ამბავს, შურით აივსება, უხმობს საკუთარ ძმისშვილს, იასონს და მას მოუწოდებს, რომ მამამისის ანდერძს მისდიოს, გახდეს უფრო სახელოვანი გმირი – ოქროს საწმისი დააბრუნოს კოლხეთში. სანაცვლოდ პელევსი იასონს სამეფო ტახტს დაჰპირდა, თუმცა კი გულში მისი დაღუპვა ჰქონდა. იასონმა შეკრიბა სხვა ბერძენი გმირები, ააგო ხომალდი „არგო“ და კოლხეთისკენ გაცურა. მეოთხე ღამეს იასონს სიზმარში გამოეცხადა ულამაზესი ქალი, რომელმაც სიმღერით გმირს პაემანი დაუთქვა კოლხეთში. ზღვაზე უეცრად ქარიშხალი ამოვარდა და არგონავტები მიადგნენ ტროას ნაპირს, პრიამოსის სამეფოს. მეფე გულუხვად შეეგება ბერძნებს, ნადიმი გაუმართა მათ. აქიელებმა [აქაველებმა-ბერძნებმა – ე.კ.] ყველა მოხიბლეს საკუთარი სიმღერით. გაიმართა ჯირითი, ბურთით ასპარეზობა, ჭიდაობა. ბერძნებმა ყველგან თავი გამოიჩინეს. არგონავტებიდან განსაკუთრებით გამოირჩეოდა ჰერკულესი. ბაღში განმარტოებულ იასონს მიუახლოვდა ტროელი ასული რენო, რომელსაც იასონი გულში ჩავარდნოდა.

⁶⁶⁹ ს. შანშიაშვილი. თხზულებები. ტ. 2. თბილისი, 1986, გვ. 355.

⁶⁷⁰ ს. შანშიაშვილი. თხზულებები. ტ. 2. თბილისი, 1986, გვ. 355.

⁶⁷¹ ს. შანშიაშვილი. თხზულებები. ტ. 2. თბილისი, 1986, გვ. 356.

იასონმა ლამაზ ქალწულთან სარეცელი გაიზიარა. ამ დროს ტროელები, რომლებსაც ბერძნებმა ყველა ასპარეზობაში სძლიეს, არგონავტებს აუშარდნენ და ისინიც იძულებული გახდნენ ტროას ნაპირს გასცლოდნენ. იასონმა შეჰფიცა რენოს, რომ იგი მის სახელს არასდროს დაივიწყებდა და თუ ცოცხალი დარჩებოდა, უკან დაბრუნდებოდა. შეყვარებულებმა ერთგულების ფიცი დადეს. რენომ იასონს სახსოვრად გადასცა ძვირფასი თვლებით მოჭედილი დაშნა, ხოლო იასონმა - ძვირფასი ბეჭედი. იასონის წასვლის შემდეგ რენო ხშირად დილით მარტო ადიოდა მაღალ კლდეზე და გაცქეროდა ზღვას სატროფოს მოლოდინში.

„მშვენიერი ელენე“

1909-1912 წელს ბერნში დაწერილ ამ თხზულებაში სანდრო შანშიაშვილი მოგვითხრობს პარისისა და მშვენიერი ელენეს სიყვარულის ისტორიას, თუმცა რამდენიმე ადგილას უბრუნდება არგონავტების მითს, კერძოდ მედეას რეაბილიტაციის თემას, რასაც ავტორი მედეასა და ელენეს შედარებითი დახასიათებისას წარმოადგენს.

ნაწარმოების შინაარსი შემდეგია: ერთხელ მშვენიერ მწყემსს, პარისს მინდვრად გამოეცხადა ჰერმესი, რომელმაც მას დაავალა განესაჯა ქალღმერთ ერისის - „შფოთის ღმერთის“ მიერ ნასროლი ოქროს ვაშლი სამიდან რომელ ქალღმერთს უნდა რგებოდა. პარისს გამოეცხადება: ჰერა, ათინა [ათენა - ე.კ.] და აფროდიტე. ჰერა პარისს დაჰპირდა საგმირო სახელს [მითის ტრადიციული ვერსიის მიხედვით - მთელ აზიაზე მბრძანებლობას - ე.კ.], ათენა - სიბრძნეს [მითის მიხედვით - გამარჯვებას ყველა ბრძოლაში - ე.კ.], აფროდიტე კი - ღმერთქალივით ლამაზ სატროფოს (მითის მიხედვით - ყველაზე ლამაზ ქალს). პარისმა აფროდიტე არჩია. ამის შემდეგ პარისმა მონაწილეობა მიიღო მეფე პრიამოსის მიერ მოწყობილ მეჯლისში [მითის მიხედვით - საბრძოლო ასპარეზობაში - ე.კ.] და ოსტატობით ყველა, მათ შორის - ჰექტორი დაამარცხა. პრიამოსმა პარისი დაფნის გვირგვინით დააჯილდოვა. ერთხელ პრიამოსმა პარისს სთხოვა, სალამისში ელაშქრა მისი დის, ჰეზიონეს მტრის ხელიდან დასახსნელად. გზად ტროელებმა სპარტაში შეიარეს. იქ პარისმა იხილა აფროდიტესავით ლამაზი ბერძენი ქალი, რომელსაც მეფის, მენელაოსის სასახლის გზა ჰკითხა. ქალმა აუხსნა, რომ მისი მეუღლე, მეფე მენელაოსი სპარტაში არ იმყოფებოდა. პარისმა დედოფალს სთხოვა ნებართვა, რომ ჯარი მის სამფლობელოზე გაეტარებინა. ელენემ ნება დართო და სადამოს სასახლეში მიიწვია. პარისს და ელენეს გულში ჩაუვარდათ ერთმანეთი. ელენემ მოსვენება დაკარგა და აფროდიტეს დახმარება სთხოვა პარისის გულის მოსანადირებლად. პარისი სადამო ხანს ეახლა

ელენეს და შეყვარებულებმა ერთმანეთს ერთგულება შეჰფიცეს. უცებ ელენე გონს მოეგო და პარისს სთხოვა, სასწრაფოდ გაშორებოდა მას. პარისმა წასვლა რომ დააპირა, ელენემ სატრფოსთან განშორებას ვერ გაუძლო და მასთან ერთად ხომალდზე ავიდა. პარისს დაავიწყდა მამისთვის მიცემული პირობა და სალამისის ნაცვლად ხომალდი ტროასკენ წაიყვანა. რა მოხდა ამის შემდეგ, ჰომეროსმა აღწერა, თუმცა, ავტორის თქმით, იგი არაფერს ამბობს მედეაზე, რომელიც დაგმო „დასავლეთმა“, ხოლო ელენე განადიდდა:

„მგოსანთ გუნდი შეაქებდა

ტურფა რძალსა, ბერძნის ქალსა.

გაიხსენე: მედიას კი

ამცირებდნენ, სთხრიდნენ თვალსა!“⁶⁷²

როდესაც ელენეს მოუკლეს პარისი, მან შეაჩვენა ბერძნები და შეიყვარა „კოლხელ ხალხის ნათესავნი“ [ტროელები – ე.კ.].⁶⁷³ პოემა სრულდება ელენეს მიერ პარისის გულმხურვალე დატირებით.

სანდრო შანშიაშვილის პოემათა ამ ციკლს, მის ცალკეულ ნაწილებს რამდენიმე გამოკვლევა მიეძღვნა.⁶⁷⁴ შენიშნულია, რომ, თუმცა სანდრო შანშიაშვილის „მედიას“ სიუჟეტი მთლიანს მისდევს ევრიპიდეს „მედეას“ მოვლენათა განვითარებას, შანშიაშვილის დამოკიდებულება მოვლენებისადმი აბსოლუტურად

⁶⁷² ს. შანშიაშვილი. თხზულებები. ტ. 2. თბილისი, 1986, გვ. 388.

⁶⁷³ ს. შანშიაშვილი. თხზულებები. ტ. 2. თბილისი, 1986, გვ. 383; ქ. ნადარეიშვილი. არგონავტიკის მითოსის და მედეას სახის ინტერპრეტაცია სანდრო შანშიაშვილის პოემა „მედიასი“ ქართულ კულტურაში არგონავტიკის მითოსის რეციპირების შუქზე. X საერთაშორისო სიმპოზიუმი: მოდერნიზმი ლიტერატურაში, გარემო, თემები, სახელები; ლიტერატურათმცოდნეობის თანამედროვე პრობლემები. მასალები. ნაწილი II. თბილისი, 2017, გვ. 164.

⁶⁷⁴ K. Gardapkhadze. The Argonautica in the works of Georgian Symbolists. Phasis, Greek and Roman Studies. 10 (II). 2007, გვ. 185-189; მ. ქამუშაძე. ტიპოლოგიური პარალელები სანდრო შანშიაშვილის „მედიას“ და ევრიპიდეს „მედეას“ შორის. საქართველოს ნეოგრეცისტთა ასოციაციის მეორე კონფერენციის მასალები. თბილისი, 2009 (ხელნაწერის უფლებით); M. Kamushadze. Medea in Georgian Poetry. HELLENIC DIMENSION. Materials of the Riga 3rd International Conference on Hellenic Studies. Eds B. Aleksejeva, O. Lāms, I. Rūmniece. University of Latvia, 2012, გვ. 266-270. ხელმისაწვდომია ონლაინ: https://www.apgads.lu.lv/fileadmin/user_upload/lu_portal/apgads/PDF/Hellenic-Dimension.pdf ბოლო ნახვა: 29.10.2023; И. Модебадзе, Т. Цицишвили. „Медея в Коринфе“ в грузинском литературном дискурсе XX века. V საერთაშორისო სიმპოზიუმი „ლიტერატურათმცოდნეობის თანამედროვე პრობლემები“. მასალები. ნაწილი II. თბილისი, 2011; ქ. ნადარეიშვილი. არგონავტიკის მითოსის და მედეას სახის ინტერპრეტაცია სანდრო შანშიაშვილის პოემა „მედიასი“ ქართულ კულტურაში არგონავტიკის მითოსის რეციპირების შუქზე. X საერთაშორისო სიმპოზიუმი: მოდერნიზმი ლიტერატურაში, გარემო, თემები, სახელები; ლიტერატურათმცოდნეობის თანამედროვე პრობლემები. მასალები. ნაწილი II. თბილისი, 2017, გვ. 151-165.

განსხვავებულია.⁶⁷⁵ აქ იგულისხმება ავტორის მიერ მედეას რეაბილიტაციის და გარემოებათა მსხვერპლად წარმოდგენის მცდელობა. საინტერესოა მკვლევართა დაკვირვება პოემათა ციკლში აღმოსავლეთისა და დასავლეთის ოპოზიციის წარმოდგენაზე პერსონაჟების მეშვეობით, სადაც მედეა და რენო აღმოსავლეთს განასახიერებენ, ხოლო მშვენიერი ელენე – დასავლეთს. ავტორი „ცდილობს წარმოაჩინოს აღმოსავლეთისა და დასავლეთის დაპირისპირება და აღმოსავლეთის მორალური უპირატესობა“.⁶⁷⁶ „მედიაში“ კოლხეთიდან მოსული მაცნისა და იასონისა და კრეუზას დიალოგის ეპიზოდები, მ. ქამუშაძის აზრით, მედეას ტანჯვის გამმაფრებისთვის და მედეას მიმართ თანაგრძნობის გამოწვევის მიზნითაა ჩართული.⁶⁷⁷

საინტერესო მომენტი „მედიაში“ შვილების მიერ დედის უარყოფის მომენტი. ქ. ნადარეიშვილი სამართლიანად შენიშნავს, რომ ეს აქცენტი უცნობია არგონავტების მითის სიუჟეტზე ქართულ ლიტერატურაში შექმნილი თხზულებებისათვის, თუმცა არ არ არის უცხო დასავლეთში დამკვიდრებული იმ ვერსიისგან, რომელსაც XIX საუკუნის ავსტრიელი მწერალი ფ. გრილპარცერი გვთავაზობს მისი ცნობილი ტრილოგიის – „ოქროს საწმისის“ მესამე ნაწილში „მედეა“, რასაც მკვლევარი ორივე შემთხვევაში მედეას რეაბილიტაციის სურვილით ხსნის.⁶⁷⁸ საინტერესო არის ასევე მედეას მიერ ოქროს საწმისის ქარს გატანების ეპიზოდი, რომელსაც განმარტავენ, როგორც მედიას ანტიცენტრისტულ პოზიციას – მას სურს, რომ ეს საუნჯე არა ცივილიზებულ საბერძნეთს, არამედ მთელ „ბარბაროსულ“ სამყაროს ეკუთვნოდეს.⁶⁷⁹

⁶⁷⁵ K. Gardapkhadze. The Argonautica in the works of Georgian Symbolists. Phasis, Greek and Roman Studies. 10 (II) 2007, გვ. 187.

⁶⁷⁶ K. Gardapkhadze. The Argonautica in the works of Georgian Symbolists. Phasis, Greek and Roman Studies. 10 (II). 2007, გვ. 187; ქ. ნადარეიშვილი. არგონავტების მითოსის და მედეას სახის ინტერპრეტაცია სანდრო შანშიაშვილის პოემა „მედიაში“ ქართულ კულტურაში არგონავტიკის მითოსის რეციპირების შუქზე. X საერთაშორისო სიმპოზიუმი: მოდერნიზმი ლიტერატურაში, გარემო, თემები, სახელები; ლიტერატურათმცოდნეობის თანამედროვე პრობლემები. მასალები. ნაწილი II. თბილისი, 2017, გვ. 164.

⁶⁷⁷ M. Kamushadze. Medea in Georgian Poetry. HELLENIC DIMENSION. Materials of the Riga 3rd International Conference on Hellenic Studies. Eds B. Aleksejeva, O. Lāms, I. Rūmniece. University of Latvia, 2012, გვ. 268. ხელმისაწვდომია ონლაინ:

https://www.apgads.lu.lv/fileadmin/user_upload/lu_portal/apgads/PDF/Hellenic-Dimension.pdf ბოლო ნახვა: 29.10.2023;

⁶⁷⁸ ქ. ნადარეიშვილი. არგონავტების მითოსის და მედეას სახის ინტერპრეტაცია სანდრო შანშიაშვილის პოემა „მედიაში“ ქართულ კულტურაში არგონავტიკის მითოსის რეციპირების შუქზე. X საერთაშორისო სიმპოზიუმი: მოდერნიზმი ლიტერატურაში, გარემო, თემები, სახელები; ლიტერატურათმცოდნეობის თანამედროვე პრობლემები. მასალები. ნაწილი II. თბილისი, 2017, გვ. 159.

⁶⁷⁹ И. Модебадзе, Т. Цицишвили. „Медея в Коринфе“ в грузинском литературном дискурсе XX века. V საერთაშორისო სიმპოზიუმი „ლიტერატურათმცოდნეობის თანამედროვე პრობლემები“. მასალები. ნაწილი II. თბილისი, 2011, გვ. 109.

ამრიგად, სანდრო შანშიაშვილის „მედია“, წარმოადგენს ევრიპიდეს „მედეასა“ და გრილპარცერის „მედეას“ ერთგვარ სინთეზს, რომელიც მედეას რეაბილიტაციისთვისაა მომარჯვებული. ასევე საყურადღებოა განსაკუთრებული აქცენტი მედეას „ბარბაროსობაზე“, კოლხეთის ველურობაზე, რაც, ჩემი დაკვირვებით უფრო გრილპარცერის „მედეას“ ტექსტისთვისაა ნიშანდობლივი. განსხვავებით გრილპარცერისგან, ევრიპიდეს „მედეაში“ ეს სიტყვა სულ 4 ჯერაა ნახსენები და ისიც კოლხეთის მისამართით. აქედან ორჯერ მას თავად მედეა ახსენებს (Eur. Medea, 256; 591). და ორჯერ – იასონი (Eur. Medea, 536; 1330). რაც შეეხება გრილპარცერის „მედეას“, აქ ეს სიტყვა „ბარბაროსი“, მნიშვნელობით „ბარბაროსი ადამიანი“, სულ 5-ჯერ ჩანს, თუმცა მედეას, მისი უნარების, მედეას მამის და თავად კოლხეთის მისამართით არაერთხელ გამოყენებულია სიტყვა „ბნელი“ (dunkel) და მისგან ნაწარმოები ეპითეტები. ზოგადად, გრილპარცერის „მედეაში“ ყველა ელინი პერსონაჟის განწყობა მედეას, როგორც ბნელეთის პერსონიფიკაციის მიმართ შედარებით უფრო ნეგატიური და აგრესიულია. ევრიპიდესთან ე.წ. „უტყვი“ პერსონაჟი კრეუზა გრილპარცერთან ერთ-ერთ მთავარ პერსონაჟად გარდაისახება, რომლის მედეას მიმართ მოჩვენებით კეთილგანწყობაში იმალება იასონის სიყვარულის მოპოვების და მედეას გაძევების სურვილი.⁶⁸⁰ კრეუზა არა მხოლოდ იასონის, არამედ მედეას შვილების გადაბირებასაც ახერხებს.⁶⁸¹ სწორედ ეს ტენდენცია კარგად ჩანს შანშიაშვილის „მედიაში“, სადაც კრეუზა იასონს მოუწოდებს, რომ დროულად თავიდან მოიშოროს ეს „ბარბაროსი“ ქალი, ხოლო შვილები მედეასთან დარჩენაზე უარს ამბობენ და კრეუზას გარს ეხვევიან. სამართლიანად შენიშნულია, რომ „შანშიაშვილთან უფრო მკაფიოდ არის წარმოდგენილი მედეას დადებითი და მისი მოწინააღმდეგეების უარყოფითი მხარეები“, ⁶⁸² რაც, ბუნებრივია ისევ და ისევ მედეას რეაბილიტაციას ისახავს მიზნად.

„ოქროს ვერძი“

1926 წელს პოემით „ოქროს ვერძი“ სანდრო შანშიაშვილი კვლავ უბრუნდება არგონავტების მითს, ამჯერად – თქმულების სხვა, კოლხეთის ეპიზოდით, რის

⁶⁸⁰ მ. ქამუშაძე. ტიპოლოგიური პარალელები ს. შანშიაშვილის „მედეასა“ და ევრიპიდეს „მედეას“ შორის. საქართველოს ნეოგერმანიკის ასოციაციის მეორე კონფერენციის მასალები. თბილისი. 2009 (ხელნაწერის უფლებით).

⁶⁸¹ Fr. Grillparzer. Medea. Trauerspiel in fünf Aufzügen. ხელმისაწვდომია ონლაინ: <https://www.gutenberg.org/cache/epub/7945/pg7945.html>. ბოლო ნახვა: 30.10.2023.

⁶⁸² მ. ქამუშაძე. ტიპოლოგიური პარალელები ს. შანშიაშვილის „მედეასა“ და ევრიპიდეს „მედეას“ შორის. საქართველოს ნეოგერმანიკის ასოციაციის მეორე კონფერენციის მასალები. თბილისი. 2009 (ხელნაწერის უფლებით).

დასაზუსტებლადაც მწერალი ნაწარმოების ქვესათაურში გარკვევით მიუთითებს: „არგონავტების მოსვლა კოლხეთში და იასონისგან ოქროსმატყლოვან ვერძის გატაცება“.⁶⁸³

ავტორი პირველივე სტრიქონებიდან გვაცნობს ნაწარმოების შექმნის ძირითად მიზანს:

„მსურს კიდევ ერთხელ დავმღერო,
ქალი შევაქო მედია,
სისხლის ფერებით შევამკო
ამაყის განაბედია,
ხოლო იასონს ვანანო,
ვაგლოვო წანახედია“.⁶⁸⁴

ამრიგად, ირკვევა, რომ პოეტი აგრძელებს მის მიერ არგონავტების მითის შესახებ შექმნილ თხზულებებსა და, ზოგადად, ქართულ მწერლობაში მედეას ე.წ. რეაბილიტაციის ტრადიციულ ტენდენციას. პოეტის აზრით, ოქროს საწმისი, რომელიც „განგების დიდი წყალობა“ იყო კოლხეთისთვის, არგონავტებმა ძალადობრივად გაიტაცეს იასონის ვერაგობით.

პოემაში მოთხრობილია რიონის პირას „გადაშლილ სამოთხეში“ – ძველ კოლხეთში, მეფე აეტესის სამფლობელოში დატრიალებული ტრაგედია. აეტისის ასული მედეა, რომლის განსაკუთრებულ სილამაზეს შეჰხაროდნენ კოლხები, ერთხელაც უცნაურ სიზმარს ნახავს, სადაც მას უცნობი, სხვა ქვეყნიდან მოსული გმირი გამოეცხადება. ვაჟის სხივმოსილი სახე ქალწულს ტრფობას მოჰგვრის. მედეა დობილებს მოუთხრობს, რომ მას ცუდი წინათგრძნობა აწვალეს. მედეამ დარდის გასაქარვებლად დობილებთან ერთად უდაბურ ტყეში სალოცავად ტაძარს მიაშურებს, სადაც დაცული იყო ოქროს ვერძი. მედეა აქ გალობს ღვთის სადიდებელ სიმღერას, სადაც ახსენებს „ნეფელას“, რომელმაც მას უსახსოვრა ოქროსმატყლოვანი ვერძი, რომლის ძალითაც იგი მრავალ სასწაულს სჩადის. ერთ დღეს აეტესს წალკოტში ეახლება მსახური და სილამაზითა და ახოვანებით გამორჩეული უცხო ვაჟისა და მისი მხლებლების სტუმრობის შესახებ შეატყობინებს. მეფე სტუმართმოყვარედ, ქართული წეს-ჩვეულების სრული დაცვით გულლიად ხვდება უცხოელ ზღვაოსნებს, მედიაც ქალებთან ერთად ეგებება მათ. მედია და იასონი ერთმანეთის დანახვისას კრთებიან, რადგან, როგორც ირკვევა, მათ ერთმანეთი სიზმრად უნახავთ. მწერალი ჩამოთვლის იასონის მხლებელ ბერძენ გმირებს:

„კასტორ, პოლუქს, კალაისი,

⁶⁸³ ს. შანშიაშვილი. თხზულებები. ტ. 2. თბილისი, 1986, გვ. 74.

⁶⁸⁴ ს. შანშიაშვილი. თხზულებები. ტ. 2. თბილისი, 1986, გვ. 74.

და ორფია მომღერალი,
შემდეგ ზეტე, ბოლოს ფიდო
ხუმარა და არა მწყრალი“.⁶⁸⁵

ნადიმობისას იასონმა მეფეს კოლხეთში ჩამოსვლის მიზეზი შეატყობინა:

„ხმა გავარდა საბერძნეთში,
ამეტყველდნენ ნორჩნი ყრმანი:
ვითომ იყოს ამ მხარეში
ვერძი ოქროსმატყლოვანი.
მის სამებრად წამოვსულვარ...“⁶⁸⁶

მედეა შემფოთებულია, რადგან იასონს სასიკვდილო საფრთხე ემუქრება. აეტესი ნებას რთავს იასონს, ოქროს საწმისის სამებნელად წავიდეს, თუმცა აფრთხილებს, რომ ამას ბევრი გმირი ამაოდ ეცადა. იასონი განმარტოვდება მედიასთან და მას დახმარებას სთხოვს. ამასთან, იასონი მედეას სიყვარულში გამოუტყდება. მედეა აუხსნის იასონს, რომ ოქროს საწმისი კოლხეთის საუნჯეა, ქვეყნის კეთილდღეობისა და მშვიდობის საწინდარი და ურჩევს იასონს, ხელი აიღოს განზრახვაზე. მიღვამკრთალი მედეა რიონის ტალღებში ეძებს შვებას. აქ მას კვლავ იასონი ეცხადება ზმანებად. უკანდაბრუნებული მედეა ჩანგზე უკრავს და მღერის, მისი ხმა ესმის იასონს და საკუთარ თავს გამოუტყდება, რომ მედეა თავდავიწყებით შეუყვარდა, ხოლო წინანდელი სატრფო, რენო დაივიწყა. იასონის ზმანება მედეას ყველგან თან სდევს. იასონი კვლავ მიდის მედეასთან და მას სიყვარულს ეფიცება და უმხელს, რომ იგი სიზმრად ნახა და იმ დროიდან მუდმივად მასზე ფიქრობს. მედეაც გაუმხელს საკუთარ გრძნობებს და ოქროს საწმისის მოპოვების გზას. იასონი და არგონავტები ადვილად მიაგნებენ ტაძარს და ოქროს საწმისს ხელში ჩაიგდებენ, თან მედეასაც წაიყვანენ. ნავი ნელ-ნელა შორდება „ივერიის მთებს“ და მედეა ნადვლიანად გასცქერის სამშობლოს ნაპირებს:

„ჰე, მშვიდობით სულის სწორნო,
მივალ, მივსდევ ბედის ვარსკვლავს!
ველარ გნახოთ მომღიმარნი,
გამითხრიან იქვე საფლავს!“⁶⁸⁷

ნაწარმოები სრულდება დრამატული ეპიზოდებით: ოქროს საწმისისა და ასულის დაკარგვით გამწარებული თმაგათეთრებული აეტესი მწარედ მოსთქვამს,

⁶⁸⁵ ს. შანშიაშვილი. თხზულებები. ტ. 2. თბილისი, 1986, გვ. 84.

⁶⁸⁶ ს. შანშიაშვილი. თხზულებები. ტ. 2. თბილისი, 1986, გვ. 87.

⁶⁸⁷ ს. შანშიაშვილი. თხზულებები. ტ. 2. თბილისი, 1986, გვ. 106.

ხოლო მედეას საყვარელი ლომი სასოწარკვეთილი ღმუის და მას გლოვის ნიშნად თავს მედეას არწივი დასტრიალებს.

როგორც ვხედავთ, სანდრო შანშიაშვილის „ოქროს ვერძი“ მიჰყვება ბერძნულ მითის ძირითად ნარატივს – იასონი მედეას დახმარებით ხელში ჩაიგდებს ოქროს საწმისს და შეყვარებული წყვილი კოლხეთიდან გარბის. ამავდროულად, თხრობა გამდიდრებულია ქართული რეალობის, ტრადიციებისა და ჩვეულებების ამსახველი ელემენტებით. ავტორის კონცეფციით, მედეა ნაწარმოებში წარმოდგენილია სიყვარულის ერთგვარ მსხვერპლად, რომელსაც ძლიერი გრძნობა არჩევანის უფლებას აღარ უტოვებს – იგი ღალატობს სამშობლოს, საკუთარ ოჯახს, საკუთარ თავს და გარკვეული შინაგანი ბრძოლის შემდეგ იასონს ოქროს საწმისის მოპოვებაში ეხმარება. მედეას ეს ქმედება ავტორს მედეას ბედისწერად მიაჩნია („მისდევ ბედის ვარსკვლავს!“), რომლისკენაც კოლხ ასულს ნაწარმოების დასაწყისიდანვე მიუძღვება სიზმარი, ზმანებები თუ ხილვები. რაც შეეხება იასონს, ავტორი მასაც მედეაზე გამიჯნურებულად წარმოადგენს, თუმცა ეს გრძნობა მას საკუთარი მიზნისკენ სვლას არ ავიწყებს. ოქროს საწმისი, ავტორის თქმით, არის ქვეყნის ბედნიერების და კეთილდღეობის საწინდარი, რომლის მცველი თავად მედეაა, როგორც სასწაულმოქმედი და ღმერთების რჩეული.

ამ თხზულებით სანდრო შანშიაშვილი ერთგვარად ასრულებს მედეას რეაბილიტაციის პროცესს არგონავტების თქმულების ყველა ეპიზოდში.

საინტერესოდ გვეჩვენება ის ფაქტიც, რომ სანდრო შანშიაშვილი საკუთარ შემოქმედებაში არგონავტების ციკლს ერთგვარად რეტროსპექტულად განიხილავს – თავდაპირველად იგი წარმოადგენს კორითოს ეპიზოდს „მედიამი“, შემდეგ ასახავს არგონავტების კოლხეთისკენ მოგზაურობის ერთ-ერთ ეპიზოდს „იასონსა და რენოში“, ხოლო თითქმის 15 წლის შემდეგ უბრუნდება მითის პირველ ეპიზოდს „ოქროს ვერძში“. მკვლევართა მიერ სამართლიანად შენიშნულია, რომ „ოქროს ვერძში“ მოთხრობილი ამბავი თანხვედრება აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკის“ ძირითად ნარატივს, თუმცა მისგან განსხვავდება იასონის მიერ ოქროს საწმისის უბრძოლველად მოპოვების ეპიზოდით.⁶⁸⁸

ასევე საყურადღებოა, რომ არგონავტების მითის შესახებ დაწერილი თხზულებიდან „ოქროს ვერძი“ ერთადერთია, რომელიც შეიქმნა საბჭოთა პერიოდში. ამ ფონზე გარკვეულწილად გაკვირვებას იწვევს ის ფაქტი, რომ ნაწარმოებში

⁶⁸⁸ M. Kamushadze. Medea in Georgian Poetry. HELLENIC DIMENSION. Materials of the Riga 3rd International Conference on Hellenic Studies. Eds B. Aleksejeva, O. Lāms, I. Rūmniece. University of Latvia, 2012, გვ. 268. ხელმისაწვდომია ონლაინ: https://www.apgads.lu.lv/fileadmin/user_upload/lu_portal/apgads/PDF/Hellenic-Dimension.pdf ბოლო ნახვა: 29.10.2023.

ხაზგასმულია, რომ კოლხეთის ძველი დიდება ამჟამად სამუდამოდ დაკნინებულია, ირგვლივ სიკვდილი გამეფებულა („სიკვდილი ცივი, უნდობი/ ჯალათად დაიარება“), ქვეყანაში შიში და ძალადობაა დამკვიდრებული („იქ შიში დამკვიდრება, / სად ძლევის დროა ფრიალებს“), ხოლო ქვეყანა გაპარტახებულია:

„მოისპო მისი დიდება
და ბაირადი – ალამი.
მშვენიერ წალკოტს ვერ ვხედავ,
ვენახში ღებება წალამი,
ვარდისა ნაცვლად მოგვიძღვნეს
ტიალ ნარ-ეკლის თალამი“.⁶⁸⁹

ეს სტრიქონები თხრობის ძირითადი სიუჟეტიდან ამოვარდნილად გამოიყურება და ჩემი დაკვირვებით, წინა და მომდევნო სტრიქონებს, შინაარსობრივად არ უკავშირდება. ჩემი აზრით, აშკარაა, რომ ავტორი ანტიკური მითის საფარქვეშ რეალისტური შტრიხებით ასახავს საბჭოთა ხელისუფლების საქართველოში დამკვიდრების სისხლიან პერიპეტიებს, 1924 წლის შეთქმულების დამარცხებისა და წითელი ტერორის ტრაგიკულ ამბებს:

„ცრემლო, ჰე, ცრემლო მდუღარევ,
უხვად მოგირწყავს მთა-ბარი;
მტვრადაც ქცეულა კაცთათვის
მყუდრო სავანე, საფარი;
წითელ სისხლს გაუჟღენთია
შარა, თუ მცირე საბარი...
დანთქმულა ძველი საუნჯე,
სამოთხის მსგავსი, სადარი“.⁶⁹⁰

1922 წელს სანდრო შანშიაშვილი ქმნის დრამატულ პოემას 5 მოქმედებად, რომლის სათაურია: „სპარტაკი“. ავტორი სათაურშივე მიუთითებს, რომ პოემა არის „რომის ცხოვრებიდან“ და მისი „სიუჟეტი აღებულია“.⁶⁹¹ პოემა ასახავს სპარტაკის აჯანყების ისტორიას, რომელშიც 30-ზე მეტი მოქმედი პირი მონაწილეობს. ვინაიდან თხზულება არ არის ორიგინალური ნაწარმოები და ავტორისვე თქმით, გადმოქართულებულ ვერსიას წარმოადგენს, მისი განხილვა სცილდება ჩვენი ნაშრომის კვლევის საგანს.

⁶⁸⁹ ს. შანშიაშვილი. თხზულებები. ტ. 1. თბილისი, 1986, გვ. 74.

⁶⁹⁰ ს. შანშიაშვილი. თხზულებები. ტ. 1. თბილისი, 1986, გვ. 75.

⁶⁹¹ ს. შანშიაშვილი. თხზულებები. ტ. 3. თბილისი, 1987, გვ. 143.

ამრიგად, სანდრო შანშიაშვილის შემოქმედებაში ანტიკურობის რეცეფცია მნიშვნელოვან როლს თამაშობს. პოეტი კარგად იცნობს როგორც ანტიკურ ნარატივებს, ისე მითების ტრადიციული სიუჟეტების თანამედროვე ინტერპრეტაციებს. ავტორი საკუთარი კონცეფციისა და ძირითადი სათქმელის გადმოსაცემად თამამად ახერხებს ანტიკური და თანამედროვე წყაროების კომბინირებას, რასაც ურთავს საკუთარ, ორიგინალურ სიუჟეტურ ელემენტებს და პერსონაჟებს. პოეტს ძირითადად აინტერესებს ანტიკურობის ის ნარატივები, რომლებიც დაკავშირებულია საქართველოსთან, რაც საშუალებას აძლევს მას განავრცოს მითის ტრადიციული სიუჟეტები ადგილობრივი, ეროვნული რეალიებით. ხშირ შემთხვევაში ანტიკური მითები პოეტს ალევორიული სათქმელის გადმოსაცემად აქვს გამოყენებული, როგორც ეს გარკვევით იკვეთება „ამირანსა“ და ოქროს ვერძში“.

კონსტანტინე გამსახურდია (1891-1975)

გიორგი უგულავა

ანტიკურობა მნიშვნელოვანი შთაგონების წყაროა კონსტანტინე გამსახურდიისთვისაც. მის ნაწარმოებებში არაერთ ანტიკურ სახეს და მოტივს ვხედავთ. განსაკუთრებით სიღრმისეულად იცნობს კ. გამსახურდია ანტიკურ მითოლოგიას და არაერთხელ ახდენს მის რეცეფციას საკუთარ ნაწარმოებებში.

ამ კუთხით ყველაზე საყურადღებო ალბათ მისი რომანი „დიონისოს ღიმილია“. სანამ უშუალოდ ნაწარმოების დეტალურ განხილვასა და მასში მოხსენიებული ანტიკური ტერმინების ანალიზზე გადავალთ, უნდა აღინიშნოს, რომ ავტორისთვის ანტიკური მითოლოგიური ფიგურა და ოლიმპიური რელიგიის ღმერთი დიონისე ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შთაგონების წყაროა. ნაწარმოების სათაურშივე იკვეთება, რომ კ. გამსახურდიას აინტერესებს დიონისე და დიონისური საწყისის, როგორც ანტიკური, ისე უფრო გვიანდელი გაგება.

დიონისე ანტიკურ კულტურაში ერთ-ერთი ყველაზე კომპლექსური და მრავალწახნაგოვანი სიმბოლოა. ის არის არა მხოლოდ ღვინის, ვაზის, გართობის და ირაციონალიზმის, ექსტაზური თავშეუკავებლობის სიმბოლო, არამედ ის თავის თავში განასახიერებს ახლიდან დაბადებას, ტრანსფორმაციას, კათარზისს, შინაგან დუდილს. ის არის ცივილიზაციის, კულტურის გავრცელების სიმბოლოც. კ. გამსახურდია სიღრმისეულად იცნობს და იაზრებს დიონისეს, როგორც სიმბოლოს.

ასევე ის იცნობს ნიცშესეული დიონისურის და აპოლონურის, როგორც ორი სხვადასხვა საწყისის, ირაციონალურის და რაციონალურის გაგებას. კ. გამსახურდიასთვის ანტიკურობის რეცეფცია არ წარმოადგენს მხოლოდ კონკრეტული სახელების, ტერმინების ან სიმბოლოების გამოყენებას. ის სიღრმისეულად, შიგნიდან იცნობს ანტიკურ სიმბოლოებს და მათ უფრო მეტად კონცეპტუალურად იყენებს თავისი ძირითადი სათქმელის გამოსახატად.

ნაწარმოების მთავარი პერსონაჟი კონსტანტინე სავარსამიძე სწორედ ამ დიონისურს განასახიერებს – ეს არის პერსონაჟი, რომელიც თავის თავს ეძებს, რომელსაც მუდმივი „შინაგანი დუღილი“ აქვს და ცდილობს, რომ ახლიდან დაიბადოს. ამავე დროს, ის მუდამ ადარებს ერთმანეთს და თავად მის სახეში, მის გონებასა და ფსიქიკაში მიმდინარეობს ჭიდილი ორ სხვადასხვა სამყაროს, ორ საწყისს შორის, რომელიც შესაძლოა, სწორედ დიონისურსა და აპოლონურამდე, ირაციონალურისა და რაციონალურის ჭიდილამდე დავიდეს, რაც რიგ შემთხვევებში აღმოსავლურისა და დასავლურის კონფლიქტამდე დადის. კონსტანტინე სავარსამიძე ამ კუთხით სრულიად დიონისური პერსონაჟია.

თავად სახელი დიონისე ნაწარმოებში 59-ჯერ გვხვდება. ნაწარმოების მესამე თავში, რომელსაც „დიონისოს მეორედ მოსვლა ჰქვია“ კონსტანტინე სავარსამიძე პარიზში ერთ-ერთი წვეულების სტუმარია, რომელზეც ინტერნაციონალურ საზოგადოებას მოუყრია თავი. სავარსამიძე ერთ-ერთ სტუმართან, ჩერქეზელი წარმოშობის ხალილ ბეისთან ერთად მრავალ სხვადასხვა მსოფლმხედველობით საკითხზე საუბრობს. ეს გაორების, შინაგანი დისკომფორტის და გაუცხოების განცდა, რომელიც სავარსამიძეს, და ნაწილობრივ, სხვა კავკასიური წარმოშობის პერსონაჟებს, ხალილ ბეის და ჯენეტს, აქვთ, თავიდანვე წინა პლანზე მოდის. საუბრის მთავარი თემაა ევროპული ცივილიზაციის კრიზისი და დაქვეითება. წვეულებაც, და მთლიანად მოქმედებაც, პირველი მსოფლიო ომის შემდგომი წლების პარიზში ხდება. ომის გავლენა საზოგადოებაზე კვლავ ჩანს. მოსაუბრე მხარეები სკეპტიკურად არიან განწყობილები ევროპის მომავლის მიმართ, ფიქრობენ, რომ მან თავი ამოწურა და ევროპული კულტურა, რომელსაც წვეულების მომენტში ბევრი სხვადასხვა ეროვნების სტუმარი განასახიერებს, მათთვის უცხო და მიუღებელია. ამ საუბრის დროს იხსენებენ ძველს საბერძნეთს და რომს, როგორც უკვე დასრულებულ ცივილიზაციებს და მიიჩნევენ, რომ ევროპაც ამ გზით მიდის. მათთვის შინაგან, ემოციურად, მსოფლმხედველობითად აღმოსავლეთი უფრო ახლოს არის. ჩნდება სამშობლოს, კავკასიის, მონატრების მოტივიც.

ხალილ ბეი, რომელიც მხატვარია, აჩვენებს სავარსამიძეს თავის ნახატს, რომელსაც „დიონისოს მეორედ მოსვლა ჰქვია“. დიონისე მათ საუბარში იქამდეც

ფიგურირებს. ისინი იხსენებენ, რომ ეს ის ღმერთია, რომელმაც თავისი სვლა სწორედ აღმოსავლეთიდან დაიწყო. ანტიკურ მითოლოგიაში ცნობილი და გავრცელებული მითი მოგვითხრობს იმის შესახებ, თუ როგორ ავრცელებს დიონისე ღვინის კულტს ინდოეთიდან, ანუ ანტიკური გაგებით უკიდურესი აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ. ამ მსვლელობის დროს დიონისე, რომელიც ახალი ღმერთია, თავის კულტს ავრცელებს, საკუთარ ძალაუფლებას იმყარებს. თანამოსაუბრეები სწორედ ამ მითს განიხილავენ, როდესაც აღმოსავლეთიდან მოსული დიონისეს შესახებ მსჯელობენ.

თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ კ. გამსახურდია თავისი პერსონაჟების პირით დიონისეს ამ მითის თავისებურ ინტერპრეტაციას გვთავაზობს. ანტიკურობაში დიონისეს შესახებ მითის ეს ფრაგმენტი ხშირად ინტერპრეტირებული იყო როგორც ელინურ-რომაული, დასავლური კულტურის აღმოსავლეთში გავრცელება, აღმოსავლეთში კულტურის შეტანა, რომელსაც დიონისე და ღვინის კულტი განასახიერებდა. მაგალითად, დიონისე ხშირად ჩნდება რომის იმპერატორების ტიტულატურაში, ანდაც რომაულ სახოტბო პოეზიაში, და იმპერატორების, განსაკუთრებით ავგუსტუსის მასთან შედარება, მისი მისამართით ამ სიმბოლოს გამოყენება, სწორედ აღმოსავლეთის დამორჩილების, იქ ცივილიზაციის შეტანის სიმბოლოა.

კ. გამსახურდია სხვა გზით მიდის და დიონისესთან დაკავშირებულ ამ მითს სხვა შინაარსით და სხვა დატვირთვით იყენებს.

მესამე თავში განსაკუთრებით საინტერესოა, როდესაც ხალილ ბეი სავარსამიძეს თავის ნახატს აჩვენებს, რომელსაც „დიონისოს მეორედ მოსვლა“ ჰქვია. ნახატზე გამოხატულია სამხრეთულ-აღმოსავლური (გამოიყენება ტერმინი სუბტროპიკული) ტიპის ბუნება. ბუნების წიაღში გამოხატულია სხვადასხვა ცხოველი – მათ შორის, ვეფხვები, რომლებიც ანტიკურ მწერლობასა და სახვით ხელოვნებაში დიონისესთან კონტექსტში თითქმის ყოველთვის მოიხსენიება და გამოიხატება ხოლმე, სატირები, დელფინები, ნიანგები. სწორედ ამ სცენაზეა გამოხატული ჭაბუკი დიონისე, რომელიც ახლიდან დაბადებას, სიახლეს, ბუნებასთან სიახლოვეს, უშუალობას, პირველყოფილებას და ბუნებრიობას განასახიერებს. თუ გავიხსენებთ იმ დიალოგს, რომელიც პერსონაჟებს შორის, ნახატის ხილვამდე წარიმართა და რომელშიც დასავლური, ევროპული კულტურის მიუღებლობის ერთ-ერთ უმთავრეს მიზეზად მოსაუბრეები მის ზედმეტ რაციონალურობას, ტექნოლოგიურობას, უფრო მეცნიერულ ხასიათს ასახელებენ, ნათელი ხდება, რომ დიონისე მათთვის სხვა ტიპის სიმბოლოა. ბუნებრიობას, პირველყოფილებას განასახიერებს. ამ სცენაშიც კ.

გამსახურდია დიონისეს, როგორც ანტიკურ, მითოლოგიურ სიმბოლოს, მოხერხებულად იყენებს თავისი სათქმელის გამოსახატად.

ამავე სცენაში აღსანიშნავია ის, რომ სავარსამიძე ნახატზე ჯენეტის სახესაც ხედავს. თითქოს დიონისეც, და, ზოგადად, ამ ნახატის ესთეტიკა ჯენეტით იყოს ინსპირირებული. ჯენეტი ქართული წარმოშობის არის და წვეულებაზე მყოფ მრავალრიცხოვან სტუმრებს შორის, ის ერთადერთია, რომელიც მოსაუბრეებს იზიდავს და აღაფრთოვანებს.⁶⁹²

იმავე წვეულებაზე სტუმრები, კერძოდ, მადმუაზელ ლორენცი ე.წ. მარჩიელობას მიმართავს და ცდილობს თითქოს იწინასწარმეტყველოს. ამ მარჩიელობის/მკითხაობის დროს იგი არაერთ ანტიკურობასთან დაკავშირებულ ტერმინს იხსენიებს. მათ შორის, გეოგრაფიულ ტერმინებს (ასურეთი/ასურასტანი, ლესბოსი, კოლხისი), მითოლოგიურ ტერმინებს (მაგ. ეროსი, რომელიც მისი თქმით ცალკე მდგომი, ინდივიდუალისტური ღმერთია და წყვილებს ემტერება) და ასევე იხსენიებს დიონიოსოს/დიონისეს, რომელიც მისი თქმით ქრისტეს მტერია, მისგან განსხვავებულ საწყისს განასახიერებს. ამ მარჩიელობის/წინასწარმეტყველების დროს ის დიონისეს სმარაგდთან, ანუ ზურმუხტთან აკავშირებს და შემდეგ, ირაციონალურ მდგომარეობაში, ნარკოტიკული თრობის ქვეშ აღწერს სცენას, რომელიც ძალიან ჰგავს ანტიკურ მითებში აღწერილ დიონისურ ორგიას, რომელსაც თავდავიწყების, გახელების, განახლების, ძველის ნგრევის და ახლის დაბადების, ეფექტი აქვს.⁶⁹³

ეს დიალოგი ხალილ ბეისა და სავარსამიძეს შორის ნაწარმოებში გრძელდება. რეალურად, ეს არის რომანის ძირითადი მოტივი. ერთი მხრივ, ვხედავთ მუდმივ დაპირისპირებას, განხილვას, დისკუსიას აღმოსავლეთსა და დასავლეთს, ირაციონალურსა და რაციონალურს, მატერიალურს შორის. დიონისე ამ დავაში უფრო აღმოსავლეთთან დგას ახლოს. მეორე მხრივ, ეს დიონისური დუდილი, ტრანსფორმაციის, ძველის სიკვდილის და ახლის დაბადების პროცესი ხდება თავად პერსონაჟის, კონსტანტინე სავარსამიძის შიგნითაც, მის სულსა და ცნობიერებაში.

ამ აღმოსავლეთ-დასავლეთის, როგორც განსხვავებული ცივილიზაციების დაპირისპირებაში, კავკასიას განსაკუთრებული და სრულიად განსხვავებული ადგილი უჭირავს. სავარსამიძე მათ მორიგ დიალოგში ხალილ ბეის გადაჭრით უხსნის, რომ საქართველო არც აზიაა და არც ევროპა, სრულიად განსხვავებული კულტურული და ცივილიზაციური სივრცეა. საქართველო ერთსაც ებრძოდა და მეორესაც (თუმცა აზიელებთან ბრძოლაზე უფრო მეტი აქცენტი კეთდება) და ქართველებს „ორლესული სატევარი“ ჰკიდიათ. ასე ხსნის სავარსამიძე საქართველოს

⁶⁹² „დიონისოს ღიმბილი“, კ. გამსახურდია. რჩეული თხზულებანი, ტ. V, თბილისი, 1961, გვ. 636-651.

⁶⁹³ „დიონისოს ღიმბილი“. ტ. V. 1961, გვ. 653-654.

განსაკუთრებულ ცივილიზაციურ ადგილს და ფუნქციას. შემდეგ წინადადებაში კი აღნიშნავს, რომ საქართველო ამ ორი დიდი სამყაროდან, რომელიმეს ნაწილი კი არა, მისი მესაჭე იქნება. სავარსამიმეს, რომელიც პარიზშია, ხელოვნების, კულტურისა და, ზოგადად, ცივილიზაციურ ცენტრში, სახლში დაბრუნება და სატევართ სიარული ენატრება. ამბობს, რომ დაბრუნდება და „ილოთებს“. ამ დიალოგში შემოდის სისხლის, მახვილის, თრობის, თავდავიწყების ესთეტიკა და პათოსი. სავარსამიმეს სწორედ ეს ენატრება, ბუნებრივი, კარგი გაგებით, პირველყოფილი ყოფა. სავარსამიმის მონატრებას, მის მიერ დანახულ თუ აღქმულ სამშობლოსად, დიონისესეული ესთეტიკა აქვს – თრობის, დუდილის, ემოციის, ბუნებასთან, ავთენტურობასთან, პირველყოფილობასთან სიახლოვის.

შემდეგ კი სადღეგრძელოდ ნათქვამ ლექსში იგი ახსენებს დიონისეს და აღნიშნავს, რომ დიონისეს წითელი სისხლი ადამიანებს სხვა რეალობაში, სხვა ყოფაში გადაიყვანს. ეს არის დემონის და ქაოსის რეალობა. შემდეგ კი ამბობს, ფრაზას – „იყავ ქართველი, გინდა სკვითელი“. სკვითები ანტიკურობისთვის ცნობილი მომთაბარე ხალხების კრებითი სახელი იყო, რომლებიც კავკასიონიდან ჩრდილოეთით თანამედროვე რუსეთის, უკრაინისა და შუა აზიის ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ. ანტიკური სამყარო მათ სრულიად განსხვავებულ და უცხო ცივილიზაციად აღიქვამდა. ისინი ასოცირდებოდნენ ველურობასთან, პირველყოფილობასთან, ეგზოტიკურობასთან. სკვითების სამყარო თავისი არსით სრულიად განსხვავებული იყო, როგორც ბერძნულ-რომაული, ისე აღმოსავლური ცივილიზაციებისგან. კ. გამსახურდია ქართველებს და სკვითებს ერთ კონტექსტში იხსენიებს. მისთვის ეს არის ამ დიონისური საწყისის ხალხები, რომლებიც ამ ბუნებრიობას, პირველყოფილობასთან, ქაოსთან, ირაციონალურობასთან ასოცირდებიან.

კ. გამსახურდიას მხატვრული ჩანაფიქრი გასაგებია. ამისთვის იგი ნაწილობრივ ანტიკურ, ისტორიულ რეალობას ცვლის თავისი მხატვრული ჩანაფიქრისთვის. კოლხისიც და იბერიაც, ანტიკური ხანის საქართველოს ტერიტორიაზე არსებული პოლიტიკური ერთეულები, რეალურად, სწორედ ელინურ-რომაული და ირანულ-აღმოსავლური სამყაროების გადაკვეთის სივრცეში არსებობდნენ და მჭიდრო პოლიტიკურ-კულტურული და ეკონომიკური ურთიერთობები ორივე ამ სივრცესთან ჰქონდათ. ისტორიულად საქართველო სწორედ მათ კონტექსტში უნდა იქნეს განხილული. სკვითები, პირიქით, როგორც კავკასიონის მთებს, ანუ ბუნებრივ საზღვარს, მიღმა მცხოვრები ხალხი სრულიად განსხვავებულ, როგორც ბერძნულ-რომაული, ასევე ირანულ-აღმოსავლური ცივილიზაციისთვის, სრულიად უცხო კულტურას წარმოადგენდნენ. ამის მიუხედავად კ. გამსახურდია თავისი მხატვრული ჩანაფიქრისთვის ცვლის კონტექსტს და ქართველებს და სკვითებს იმ დიონისურ

ხალხებად წარმოსახავს, რომლებიც არც აღმოსავლეთს განეკუთვნებიან და არც დასავლეთს.⁶⁹⁴

კ. გამსახურდიას მსოფლმხედველობითი გზავნილების სრულფასოვნად გასაგებად უაღრესად მნიშვნელოვანია რომანის მეცხრე თავი და მისი დასასრული, როდესაც კონსტანტინე სავარსამიძეს და ჯენეტის ურთიერთობაა აღწერილი. ამ სცენაშიც კ. გამსახურდია ერთმანეთს უპირისპირებს ორ სიმბოლოს – დიონისეს და ქრისტეს.

სავარსამიძე და ჯენეტი დროს პარიზში ერთად ატარებენ, ხშირად დადიან მუზეუმებში, მსჯელობენ, ფიქრობენ და საუბრობენ. სავარსამიძე ჯენეტს დიონისეს (ნაწარმოებში კ. გამსახურდია მუდამ დიონისოს ფორმით იხსენიებს) კოლექციას აჩვენებს. მისთვის სწორედ დიონისეა შთაგონების წყარო. ნაწარმოების დასაწყისის შემდეგ, მისთვის დიონისე ეტაპობრივად, სულ უფრო და უფრო მნიშვნელოვანი ხდება, მასში პოულობს საკუთარ თავს და საკუთარ თავში აღმოაჩენს დიონისურს. დიონისე სავარსამიძისთვის, რომელიც საკუთარი თავის და იდენტობის პოვნას ცდილობს, მისი იდენტობის ძირითადი განმსაზღვრელი ხდება. კ. გამსახურდია აღწერს დიონისეს რამდენიმე მისთვის ტიპურ ანტიკურ მითოლოგიურ სცენაში: ერთ მომენტში ახლად დაბადებული დიონისე ჰერმესს უჭირავს ხელში, სხვა ეპიზოდში უკვე სატირს უჭირავს იგი; სხვა სცენაში დიონისე წარმოდგენილია მისთვის ტიპური ვეფხვის ტყავით,⁶⁹⁵ ხოლო კიდევ ერთ განსხვავებულ სცენაზე კი ყრმა დიონისეს ღვინის თასი უჭირავს ხელში. იქვეა აღწერილი სცენა დიონისეს ტრიუმფის, მისი აზიიდან დიდებით დაბრუნების. დიონისეს გარშემო სხვა ანტიკური მითოლოგიური ფიგურებია აღწერილი – ეროსი და არიადნე.

ჯენეტი სავარსამიძისგან განსხვავებით სხვა საწყისს განასახიერებს – მას ქრისტეს გამოსახულება მოსწონს და მიიჩნევს, რომ რაფაელისეული მადონა ჩვილი ქრისტეს გამოსახულებით ულამაზესია, ხოლო ქრისტეს ჯვარცმის სცენა კი ყველაზე ლამაზი სიმბოლოა. სავარსამიძე მიიჩნევს, რომ ჯენეტს მგლოვიარე დედის, მგლოვიარე ქალის სახე უფრო იტაცებს, ვიდრე დიონისესეული სცენები, ეროსი და არიადნე.⁶⁹⁶

სავარსამიძისთვის, პირიქით, სწორედ დიონისესეული საწყისია მისაღები – ბუნებრივი, პირველყოფილი, ემოციური, ირაციონალური, რომელიც არ აღიარებს დადგენილ წესებს, საზოგადოებრივ ნორმებს. მისთვის ჯენეტის, დაქორწინებული

⁶⁹⁴ „დიონისოს ღიმბილი“. ტ. V. 1961, გვ. 689-690.

⁶⁹⁵ საინტერესოა, რამდენად რელევანტურია დიონისეს ტარიელთან დაკავშირება.

⁶⁹⁶ „დიონისოს ღიმბილი“. ტ. V. 1961, გვ. 714-717.

ქალის ქმარი ჯალათია და იგი ქორწინებას და ოჯახსაც კი მტკივნეულად, ძალით თავს მოხვეულ ნორმად აღიქვამს.

დიონისე მას თავისი თავის ახლიდან აღმოჩენაში ეხმარება. იგი აღიარებს, რომ გერმანელი (იხსენიებს ტერმინი პრუსიელით, თუმცა პრუსია ამ პერიოდში უკვე ანაქრონიზმია, 1871 წლის შემდეგ აღარ არსებობს) პროფესორების აღზრდამ ტყუილად ჩაიარა, მასში ნასწავლი ცოდნა, მიღებული ინსტიტუციური განათლება, სისტემური აზროვნება და სოციალური ნორმები, ყველაფერი ის, რასაც რომანში კ. გამსახურდია ევროპულ წესრიგთან და ცივილიზაციასთან აიგივებს, დავიწყებულია და წარსულს ჰბარდება. სავარსამიდეში მიმდინარე ტრანსფორმაცია მასში ქართულ საწყისს, ბუნებრივს, უფრო სისხლხორცეულს გამოკვეთს. კ. გამსახურდია ერთმანეთს უპირისპირებს აღზრდას და ბუნებას, ხასიათს, გენეტიკას, ადამიანურ, ანუ ნასწავლ, შეძენილ და ბუნებრივ, გენეტიკურ საწყისს. ავტორი აღნიშნავს, რომ „აღზრდა ვერ აღმოფხვრის პირველ ბუნებას“. სავარსამიდეში ნასწავლს, მიღებულს, ინტელექტით, რაციონით შემეცნებულს, პირველყოფილი, ირაციონალური, ბუნებრივი ანაცვლებს. ამ ყველაფრის სიმბოლოა დიონისე. სავარსამიდე თავის თავს „ეროსის და დიონისეს ქართველ აზნაურს უწოდებს“.

ამის შემდეგ მისი ცხოვრების წესი იცვლება – ის ბევრს სვამს, მისივე აღიარებით „ლოთობს“, რაც ანტიკური ტრადიციით დიონისეს აღიარების მთავარი პირობაა, რადგან წინა პლანზე ადამიანის ბუნებრივი, ირაციონალური საწყისი გადმოაქვს. ნაკლებს მუშაობს, აგვიანებს, აღარ აღიარებს სოციალურ ნორმებს და წესრიგს, დროს ატარებს მასზე უფრო დაბალი სოციალური წრის ადამიანებთან – მძღოლებთან, მეეტლებთან. დიონისეს, როგორც საწყისის, ცხოვრების წესის, აღიარების ერთ-ერთი მთავარი ეტაპი მისთვის ის არის, რომ გადაწყვეტს დაწეროს ჰიმნი ღვინისადმი, ღვინის სადიდებელი, მისი აპოლოგია. დიონისე მისი მთავარი ღმერთია, რომელმაც მას საკუთარი თავი ხელახლა აღმოაჩენინა, იმედი და ცხოვრების სიყვარული მისცა.

სავარსამიდე ამ მომენტში თავის თავს ლაზად, ლაზისტანიდან წამოსულ აზნაურს უწოდებს. ლაზთა სამეფო ახ.წ. II-III საუკუნეში, დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე, ისტორიული კოლხისის მიწაზე ჩამოყალიბდა და ამ პერიოდიდან მოყოლებული გვიანანტიკურობის ჩათვლით აკონტროლებდა დასავლეთ საქართველოს უდიდეს ნაწილს. სავარსამიდეც მისი წარმომავლობის გამოსახატად სწორედ ამ ანტიკურობაში წარმოშობილ ტერმინს იყენებს.

მეცხრე თავს, რომელსაც რომანისთვის ფუნდამენტური მნიშვნელობა აქვს სავარსამიდე დიონისესადმი მიმართვით ასრულებს და მას „სულზე უტკბეს“ უწოდებს. ეს არის მონაკვეთი, როდესაც სავარსამიდე საბოლოოდ იბრუნებს თავის იდენტობას. წინა ფრაზაში იგი აღნიშნავს, რომ ის წინაპრებით „ორლესული

მახვილით“ ივლის, უფრო სწორად, ჰპირდება, რომ ამ მახვილს აჩვენებს. „ორლესული“ მიემართება მესამე თავში მისი და ხალილ ბეის დიალოგის სცენას, როდესაც იგი საქართველოს ისტორიულ და კულტურულ მისიას ხატავს როგორც ორ დიდ ცივილიზაციას, აღმოსავლეთსა და დასავლეთს, შორის, ამ ორივესთვის უცხო და გაუგებარ, განსხვავებულ კულტურად და ცივილიზაციად და აღნიშნავს, რომ ქართველები დასავლეთსაც ებრძოდნენ და აღმოსავლეთსაც და „ორლესულ მახვილს ატარებდნენ“. მეცხრე თავში, ამ ფრაზით და ამ სიმბოლოს (ორლესული მახვილის) გახსენებით სავარსამიძე საბოლოოდ ამბობს უარს თავის ევროპულ იდენტობაზე, იმ პერიოდზე, რომელიც მან საქართველოს მიღმა გაატარა და თავის თავს ქართველად, ანუ დასავლეთთან და აღმოსავლეთთან დაპირისპირებულად, მათგან განსხვავებულად აღიქვამს.

შემთხვევითი არ არის, რომ ერთ-ერთ პასაჟში, რომელშიც ჯენეტი და სავარსამიძე იტალიაში არიან და იქ ქუჩის მკითხავს ხვდებიან, მკითხავი იხსენებს ანტიკური მითოლოგიის ცნობილ ამბავს, რომელსაც ოვიდიუსი აღწერს თავის „მეტამორფოზებში“ (11). მისი მიხედვით, ფრიგიის მეფე მიდასმა მიიღო და უმასპინძლა სიმთვრალეში დაკარგულ, სატირ სილენოსს, დიონისეს მასწავლებელს. სანაცვლოდ დიონისე მიდასს ნებისმიერი თხოვნის აღსრულებას დაჰპირდა, მიდასმა კი დიონისეს სთხოვა მიეცა ნიჭი, უნარი, რომ რასაც კი შეეხებოდა ყველაფერი ოქროდ ქცეულიყო. მიდასი მის ამ დაუფიქრებელ თხოვნას შეეწირა კიდეც. მკითხავი იხსენებს მიდასის ეპიზოდს და ამბობს, რომ როგორც მიდასს მიანიჭა დიონისემ ყველაფრის ოქროდ ქცევის უნარი, ასევე მას მისცა უნარი, რომ ყველა და ყველაფერი დაამწუხროს, რასაც კი გაეკარება. მკითხავის სიტყვაში საინტერესო ის არის, რომ ის ღმერთი, რომელმაც სავარსამიძეს ნიჭი თუ უნარი მისცა, რომელიც მის ბედს განკარგავს მისი მიხედვით სწორედ დიონისეა.⁶⁹⁷ რა თქმა უნდა, წინა კონტექსტის გათვალისწინებით ეს შემთხვევითი არ არის.

ზემოთ ხსენებული გაორება, საკუთარი თავის ძიების და პოვნის სურვილი, შინაგანი დუდილი, რომელიც დიონისესეულ საწყისს განასახიერებს და რომანის ძირითადი მოტივია, კარგად ჩნდება ნაწარმოების მეოცე თავშიც. ამ შემთხვევაშიც ჩვენ ვხედავთ ზემოთ ხსენებულ ორი განსხვავებული საწყისის დაპირისპირებას – ერთი მხრივ, არის უფრო რაციონალური, სისტემატიზებული, მოწესრიგებული ქრისტიანობა და, მეორე მხრივ, უფრო ბუნებრივი, ქაოტური, ძიების, შინაგანი დუდილის წინარექრისტიანული, ე.წ. წარმართული სამყარო, რომელსაც სავარსამიძისთვის დიონისე განასახიერებს. დიონისე ეხმარება მას, რომ საკუთარი თავი, თავისი იდენტობა იპოვოს. შემთხვევითი არ არის, რომ მოქმედება რომში

⁶⁹⁷ „დიონისოს ღიმილი“. ტ. V. 1961, გვ. 763.

ხდება, იმ ქალაქში, რომელიც როგორც ქრისტიანობამდელ, ასევე ქრისტიანულ სამყაროს აერთიანებს და ამ ორივე სამყაროსთვის ცენტრია. როდესაც ბერი სავარსამიძეს ბერების და წმინდანების ნეშთებს აჩვენებს, ის მაშინვე ტოვებს სარდაფს და გრძნობს, რომ „ქრისტიანული რომი“ მისთვის კატეგორიულად მიუღებელია. სავარსამიძე რომის ე.წ. წარმართულ ნაწილში უფრო ჰარმონიულად და უკეთ გრძნობს თავს, აქ პოულობს საკუთარ იდენტობას.

მისი შინაგანი ღელვა, მიების პროცესი გამოხატულია მის ცხოვრების წესშიც. აღნიშნავს, რომ ორი რადიკალურად განსხვავებული ცხოვრების პერიოდი და წესი აქვს. ხან უფრო ხორციელ სიამეებზეა ორიენტირებული და შემეცნება, სულიერი სამყარო საერთოდ არ აინტერესებს. ამას მოჰყვება სრულიად კონტრასტული, მეორე პერიოდი, როდესაც იგი უკვე ხორციელ ვნებებზე აღარ ფიქრობს და მხოლოდ შინაგან, სულიერ სამყაროსა და შემეცნებაზე ზრუნავს. სავარსამიძისთვის ეს შინაგანი ჩაღრმავების, საკუთარი თავის შემეცნების პერიოდია. ამ პერიოდში ის ინახულებს „წარმართული რომის ძეგლებს“, დადის კაპიტოლიუმის მუზეუმში. მისი ამ შინაგანი შემეცნების, საკუთარ თავთან დიალოგის აუცილებელი ელემენტი არის დიონისე. დიონისე მასში ამ შინაგანი პროცესების კატალიზატორია. სავარსამიძე ვილა ალბანოში დიონისეს შესახებ შექმნილ სხვადასხვა მითოლოგიურ სცენას აკვირდება და შეიმეცნებს. ის ჩამოთვლის დიონისეს თეთრად მოსილ ქალებთან ერთად მისტერიების დროს, დელფინზე მჯდომ დიონისეს, ვირზე ამხედრებულ დიონისეს სატირთან ერთად, ველური ცხენების გახედვის სცენას, დიონისეს დედასთან, სემელესთან ერთად. სავარსამიძე ამ მიების პროცესში აღნიშნავს, რომ მთელი კვირის განმავლობაში რომის სხვადასხვა მუზეუმში (ვატიკანი, კაპიტოლიუმი, ვილა ბორგეზე, ვილა ალბანო) დიონისეს ყველა შესაძლო გამოსახულება ნახა და შეისწავლა. მან დიონისე ყველა ფორმით (მოწყენილი, აღტაცებული, შეზარხოშებული, ტრიუმფით, მეომარი, მდუმარე) ნახა, თუმცა არსად უნახავს მომღიმარი დიონისე. იმავე სცენაში კი ცალკე გამოყოფს დიონისეს ლომის სახეს და მის სასტიკ, შეუბრალებელ ბუნებას.⁶⁹⁸

დიონისეს მოღუშული, უხასიათო, მოწყენილი ხასიათი ხაზგასმულია სხვა, ზემოთ უკვე განხილულ სცენაშიც, როდესაც სავარსამიძე დიონისეს ხალილ ბეის ნახატზე აღიქვამს. ორივე ამ სცენაში დიონისე მკვეთრად გამოხატულად უბედური და სკეპტიკურია. თითქოს არც საკუთარი ბედი მოსწონს და არც ის, რაც მას, თუ კაცობრიობას ელის. მსგავს მდგომარეობაშია სავარსამიძეც, რომელსაც მკითხავი ასევე უბედურებას, მის გარშემო მყოფი ადამიანებისთვის მწუხარების მოტანას უწინასწარმეტყველებს.

⁶⁹⁸ „დიონისოს ღიმილი“. ტ. V. 1961, გვ. 761-766.

ეს განწყობა ნაწარმოებშიც იგრძნობა და ამ შემთხვევაშიც დიონისე თითქოს სავარსამიძის ალტერ ეგოა. სავარსამიძე და ჯენეტი ერთად ყოფნის მიუხედავად მუდამ შინაგანი სიმშვიდის და მოსვენების გარეშე არიან, განსაკუთრებით აღელვებული ჯენეტია. თავად რომშიც იგრძნობა ცუდის, რაღაც ტრაგიკულის მოლოდინი და კ. გამსახურდია კარგად აღწერს ფაშიზმის და მუსოლინის მმართველობის დამყარების პროცესს.

ზოგადად, უნდა აღინიშნოს, რომ როგორც ამ მონაკვეთში, ასევე მთელ ნაწარმოებში კარგად ჩანს, თუ რამდენად სიღრმისეულად იცნობს კ. გამსახურდია ანტიკურ კულტურას. დიონისეს სხვადასხვა სცენის, თუ მითოლოგიური ეპიზოდის ჩამოთვლისა და განხილვის დროს იგი ამომწურავად, პრაქტიკულად, ანტიკური მითოლოგიის დიონისესთან დაკავშირებულ ბევრ სხვადასხვა ეპიზოდსა და მომენტს ჩამოთვლის.

ეს ჩნდება სხვა ეპიზოდშიც. უარყოფითი მოლოდინები და შფოთი ჯენეტსა და სავარსამიძეს აიძულებს, რომ რომის დატოვებაზე თუნდაც დროებით იფიქრონ. მიდიან ალბანოში, კამპანიაში, პატარა სოფელში რომის მახლობლად. სავარსამიძე იხსენიებს, რომ ამ სოფელში მდებარე ტბას ოვიდიუსი იხსენიებს თავის ლექსებში. სოფელს მდიდარი ანტიკური ტრადიცია აქვს, რადგან მასში ჯერ კიდევ შემორჩენილია რომის იმპერატორების („ცეზარების დროინდელი“) პერიოდის გალავანი. ამ პასაჟში, რომელშიც კ. გამსახურდია აღწერს სავარსამიძისა და ჯენეტის სურვილს, რომ განმარტოვდნენ, რაც შეიძლება მეტი დრო გაატარონ ერთად და გაექცნენ რომის რეალობას და ამის მიზეზად ასახელებს როგორც რომის შთაბეჭდილებებით აღსავსე და დამღლელ რეალობას, ასევე მზარდ ფაშისტურ მოძრაობას რომში და საგრძნობ მილიტარიზმს. ამ განმარტოების სურვილს კ. გამსახურდია კიდევ ერთი დიდი რომაელი პოეტის, ჰორაციუსის ლექსით, მისი ამონარიდით ადასტურებს.

საინტერესო ის არის, რომ აშკარად ჩანს, კ. გამსახურდია ძალიან კარგად იცნობს რომაულ პოეზიას. ჰორაციუსი სამოქალაქო ომების თაობის ავტორია, რომელიც უკვე, შემდეგ პრინციპატის ეპოქაში, ავგუსტუსის ახლო მეგობარია და მის პოეზიაში ხშირად ჩნდება რომის ოფიციალური პოზიცია და სახოტბო მოტივები. თუმცა, აქციუმის ბრძოლამდე და პრინციპატამდე, ანუ ძვ.წ. 40-30-იან წლებში, სამოქალაქო დაპირისპირების პერიოდში ჰორაციუსი, განსაკუთრებით თავის „ეპოდებში“ მკვეთრად გამოხატულად პაციფისტი ავტორია, რომელიც დაღლილია გამუდმებული პოლიტიკური ბრძოლებით და დაპირისპირებებით, ძალადობით, სიმდიდრითა და ძალაუფლებისკენ სწრაფვით, ანუ რომისთვის სახასიათო პრობლემებით, და თავის პოეზიაში არაერთხელ შემოაქვს რომიდან გაქცევის,

სოფლად განმარტოების, ბუნებასთან სიახლოვის მოტივი. ეს მოტივები ჰორაციუსის გარდა ჩნდება ამ პერიოდის სხვა პოეტების შემოქმედებაშიც. მაგალითად, პროპერციუსთან და ვერგილიუსთან. რომი, როგორც ქაოსის და ძალადობის სივრცე, ამ პოეტებისთვის უცხო, გაუცხოებულ, სულიერი დისკომფორტის ადგილია. ამ პერიოდის რომაულ პოეზიაში ჩნდება გაქცევის, ესკაპისტური, სოფლად და ბუნებასთან სიახლოვეში ცხოვრების მოტივები, ხშირად საყვარელ ადამიანთან ერთად. სავარსამიძე ასევე იქცევა, ტოვებს რომს და უნდა სოფელში, ბუნებასთან ახლოს, ქალაქის სწრაფი და დინამიკური ტემპიდან, ძალადობის და ომის საფრთხეებიდან შორს განმარტოვდეს. ამ ემოციას და განცდას კი კ. გამსახურდია აღწერს ჰორაციუსის ამონარიდით და სტრიქონებით. მას ზუსტად აქვს დაჭერილი და ანტიკური სიმბოლოთი, ანტიკური ავტორის მეშვეობით ზუსტად გადმოსცემს მისი პერსონაჟის ემოციას და შინაგან მდგომარეობას.⁶⁹⁹

ალბანოში ანტიკური მოტივები, განწყობა, რომ ეს ადგილი სხვა დროს და სხვა ეპოქას განეკუთვნება და ანტიკური სამყარო და კულტურა მასში არ დასრულებულა, ყველა ნაბიჯზე იგრძნობა. კ. გამსახურდია შეგნებულად ცდილობს ანტიკური სიმბოლიკის წინა პლანზე წამოწევას და თითქმის ალბანოში მოგზაურობა დროში მოგზაურობასაც ემსგავსება. რომიდან ალბანოში რკინიგზით მათ იმპერატორ ადრიანეს/ჰადრიანუსის წყალსაცავს უნდა ჩაუარონ.⁷⁰⁰ როდესაც ჯენეტი და სავარსამიძე სოფელში სასტუმროს ან საცხოვრებელ სახლს ვერ პოულობენ, გადაწყვეტენ იქ მდებარე, ძველი სასახლის ამერიკელ მფლობელს სთხოვონ იქ დარჩენის უფლება. სავარსამიძე მას თავს წარუდგენს როგორც ოვიდიუსის მთარგმნელს, აღმოსავლელ პოეტს. ზოგადად, ალბანოს მთავარი ღირსება ის არის, რომ ის ოვიდიუსს, სახელგანთქმულ რომაელ პოეტს უკავშირდება.⁷⁰¹

თავად სასახლეც რომაულ სტილშია აგებული და მრავალი ანტიკური ხანის, რომაული სიმბოლიკა აქვს. სასახლის აღწერის დროს სამჯერ არის აღნიშნული, რომ ეს რომაელი პატრიციუსის, ანუ არისტოკრატიულ-წარჩინებული სოციალური ფენის წარმომადგენლის სახლია. ავტორი პირდაპირ აღნიშნავს, რომ ეს იყო ანტიკური სასახლე თავისი ატრიუმით. სასახლეში სავარსამიძე ხედავს ლარებს, რომაულ ოჯახის მფარველი ღვთაების ნაშთებს

სასახლეში ჯერ კიდევ შემორჩენილია მისი მფლობელის, იტალიელი ბარონის, ამერიკელი ქალბატონის მეუღლის, წინაპრის წარწერა ლათინურ ენაზე, რომელიც მას მისმა ორმა ლიბერტინმა, ანუ გათავისუფლებულმა, გააზატებულმა მსახურმა აჩუქა

⁶⁹⁹ „დიონისოს ღიმბილი“. ტ. V. 1961, გვ. 767.

⁷⁰⁰ „დიონისოს ღიმბილი“. ტ. V. 1961, გვ. 767.

⁷⁰¹ „დიონისოს ღიმბილი“. ტ. V. 1961, გვ. 770.

(“Genio M. nostri Laribus duo Diadumeni liberti – გენიუსს მ-ს, ჩვენსას, ორი გააზატებული ყმისგან“.

ანტიკურ სასახლეს არამხოლოდ ანტიკური ელფერი, ესთეტიკა და სიმბოლოები აქვს, ის თავისებურ დიონისურ სივრცეს წარმოადგენს. სასახლის აღწერის დროს კ. გამსახურდია გამოკვეთს მის სიმწვანეს, ბუნებრიობას და ბუნებასთან სიახლოვეს, მცენარეებს, ცხოველებს. სასახლეში მოზაიკაც თითქოს დიონისესთვის სახასიათო, ანტიკურ ბუკოლიკურ-პასტორალურ სივრცეს გამოხატავს თავისი მითოლოგიური ფიგურებით (ამურები, ფსიქე, სატირები), ღვინოთი, ბუნების სცენებით, ქანდაკებებით ა.შ. რეალურად ეს არის დროში მოგზაურობაც – კ. გამსახურდია სრულად აღადგენს ანტიკურ, რომაულ, პატრიციულ სივრცეს თანაც არგებს მას დიონისურ ესთეტიკას.⁷⁰²

სასახლის დიონისური ესთეტიკის ერთ-ერთი შემადგენელი კომპონენტია მისი მისტიციზმი, მისტიკური ხასიათი. ბარონესას, სასახლის მფლობელს სჯერა მავნე სულების.

უნდა აღინიშნოს, რომ კ. გამსახურდიასთვის ანტიკურობა და ანტიკურობასთან დაკავშირებული ტერმინები და სიმბოლოები ყოველთვის არ ასოცირდება წინარექრისტიანულ, ბუნებრივ, პირველყოფილ სამყაროსთან. პირიქითაც, შეიძლება იყოს. მაგალითად, ნაწარმოების დასაწყისშივე, როდესაც აღწერს წვეულებას ბევრი, განსხვავებული ეროვნების სტუმრით, და რეალურად, ამ სცენით იწყება სავარსამიდის მის გარშემო არსებულ საზოგადოებასთან გაუცხოება, გამოყოფს ორ ქალბატონს, სტუმრებს, მათი გარეგნობის გამო, რომლებშიც ხორციელი, ფიზიკური ელემენტია წინა პლანზე. მათ მოიხსენიებს როგორც იმპერატორი ადრიანეს/ჰადრიანუსის პერიოდის რომაელი ქალების ტიპს. იმპერატორი ჰადრიანუსი/ადრიანე ერთ-ერთი იმპერატორია რომის ე.წ. „ბედნიერი იმპერატორების“ ეპოქაში, ახ.წ. II საუკუნეში, როდესაც იმპერიამ მშვიდობის, სტაბილურობის და კეთილდღეობის მაქსიმუმს მიაღწია.

ამ შემთხვევაში კ. გამსახურდიასთვის ანტიკური რომი უკვე ასოცირდება ცხოვრებით ტკბობასთან, მატერიალიზმთან, ცივილიზაციურ წესრიგთან. ეს თავისი არსით ანტიდიონისური სივრცეა, რომელიც სავარსამიდეს აღიზიანებს და მისთვის აბსოლუტურად უცხოა. ვხედავთ, რომ კ. გამსახურდიასთვის ანტიკურობა, აპრიორი, არ იგივდება დიონისურ საწყისთან. ის უბრალოდ კარგად იცნობს ანტიკურობას და ძალიან კარგად შეუძლია ანტიკური სიმბოლოები და ტერმინები თავისი ჩანაფიქრის გამოსახატად გამოიყენოს.

⁷⁰² „დიონისოს ღიმილი“. ტ. V. 1961, გვ. 770-776.

საინტერესოა, რომ კ. გამსახურდია დიონისეს სახელს არ გამოიყენებს მხოლოდ როგორც მსოფლმხედველობით სიმბოლოს, საწყისს, ხანდახან მას ტერმინოლოგიური დატვირთვაც აქვს. მაგალითად, ღვინის სმას კ. გამსახურდია ხშირად აღნიშნავს, როგორც „დიონისეს შესვლას სხეულში“.

აღსანიშნავია, რომ კ. გამსახურდია ბერძნული ვარიანტის, დიონისეს, სახელის გარდა, იყენებს მის რომანიზებულ ფორმასაც – ბაკხუსს. კერძოდ, სამჯერ იგი გამოიყენებს გამოთქმას „ბაკხანატური“ გამომეტყველება ან ხასიათი.⁷⁰³

ასევე იქცევა იგი ეროსის და ამურის შემთხვევაში – იგი იყენებს, როგორც ბერძნულ, ასევე ლათინურ ვერსიას. ეროსს იგი 18-ჯერ გამოიყენებს თავის რომანში, ამურს – 6-ჯერ.

მთავარი გმირის გაუცხოება მისი საკუთარი საზოგადოებისადმი კარგად ჩანს 36-ე თავშიც, როდესაც იგი ბერლინში თავის ძველ მეგობარს, ჰერბერტ შტუდერსს ხვდება. ბერლინი და, ზოგადად, გერმანია მისთვის მენტალურად უკვე უცხო სივრცეა. ის აქ გაუცხოებულია, მიუხედავად იმისა, რომ კარგად იცნობს ბერლინს, კარგი სამსახური და ბევრი კონტაქტები აქვს. ამ თავს გარკვეულწილად თითქოს წინასწარმეტყველური დატვირთვაც აქვს – მუდამ იგრძნობა მილიტარიზმის, საზოგადოების რადიკალიზმის და მზარდი სამხედრო და პოლიტიკური დამაბულობის განწყობა. საზოგადოებაში მილიტარიზმის და რადიკალიზმის ხარისხი ძალიან მაღალია. კ. გამსახურდია ამ რომანს 1925 წელს აქვეყნებს და, როგორც ჩანს, ის ძალიან დეტალურად მიჰყვება ევროპის პოლიტიკურ ცხოვრებას, კარგი პოლიტიკური ალღო აქვს და ამ თავში თითქოს წინასწარმეტყველებს შემდეგი ორი ათწლეულის პოლიტიკურ მოვლენებს. ჰერბერტი, რომელიც სავარსამიძის ძველი მეგობარია და, როგორც მას ახსოვს, ხელოვანი და ფაქიზი სულის ადამიანია, პირველი მსოფლიო ომის საშინელებებმა და მარცხმა თითქოს გააბოროტა და გააუხეშა. ის მხოლოდ ომზე, პოლიტიკაზე და დიდ გერმანულ იდეაზე, მათ შორის, ანგარიშსწორებაზე საუბრობს. კ. გამსახურდია ძალიან კარგად აღწერს იმ სოციალურ გარემოს და საზოგადოებრივ განწყობებს, რომლებიც შემდეგ წლებში ნაციზმის ხელისუფლებაში მოსვლას და ჰიტლერის მმართველობას შეუწყობენ ხელს. ჰერბერტი მარცხს ღიად აბრალებს ებრაელებს და მოჰყავს კონსპირაციული თეორია, რომ გერმანიამ ომი მათ გამო წააგო.

ამ თავში აღწერილია მუშების დიდი დემონსტრაციაც. ზოგადად, ყველა გარეგანი ფაქტორი უწყობს ხელს სავარსამიძის შინაგან შფოთს და გაუცხოებას იმ საზოგადოებისადმი, რომელშიც ცხოვრობს. თავის სათქმელს კ. გამსახურდია ამ თავშიც ძალიან ხშირად გამოთქვამს ანტიკური სიმბოლოების და მათი რეცეფციის

⁷⁰³ „დიონისოს ღიმილი“. ტ. V. 1961, გვ. 786, გვ. 802.

გზით. რევოლუციურად განწყობილი მუშების დემონსტრაციას კარლ ლიბკნეხტი თავისი ეპოქის ყველაზე ცნობილი გერმანელი სოციალისტი ხელმძღვანელობს. დემონსტრაცია ბისმარკის ქანდაკებასთან მიდის და იქ ბისმარკს, უფრო სწორად, მის ქანდაკებას ლიბკნეხტი თითქოს ეკამათება.⁷⁰⁴

ამ სცენის აღწერის დროს კ. გამსახურდია ლიბკნეხტს კატილინას ადარებს. მას უწოდებს თავისი ეპოქის უდიდეს კატილინას. ეს საკმაოდ ზუსტი და კარგი შედარებაა იმის გათვალისწინებით, რომ ლიბკნეხტის, გერმანიის კომუნისტური პარტიის ერთ-ერთი დამფუძნებლის მსგავსად, კატილინაც რომში უფრო მეტად მემარცხენე განწყობებს განასახიერებდა და უპირისპირდებოდა მმართველ ელიტებს. გასაგებია, რომ კატილინა შეუძლებელია ჩამოყალიბებულ „სოციალისტად“ ან „კომუნისტად“ აღვიქვათ, თუმცა მისი გამოსვლის და პოლიტიკური მოღვაწეობის პათოსი საკმაოდ კარგად არის გადმოცემული და შემთხვევითი არ არის, რომ ლიბკნეხტი სწორედ მას არის შედარებული.

კატილინას საბჭოთა კავშირში, და საბჭოთა ისტორიოგრაფია, ყოველთვის აღიქვამდა და წარმოადგენდა, როგორც უსამართლობასთან ბრძოლის, ელიტებთან დაპირისპირების სიმბოლოდ. ლიბკნეხტის მასთან შედარება დადებით კონტექსტში უნდა იქნეს აღქმული.

ამ შედარებაში ფარულად სხვა გზავნილიც არის ჩადებული. კატილინამ თავისი სიცოცხლე და პოლიტიკური მოღვაწეობა ტრაგიკულად, ძალადობრივი და გაუსამართლებელი სიკვდილით დაასრულა. მასთან შედარებით კ. გამსახურდია ირიბულად ლიბკნეხტის სიკვდილსაც წინასწარმეტყველებს. ლიბკნეხტი 1919 წელს ასევე ძალადობრივად და გაუსამართლებლად მოკლეს.

ამავე სცენაში კ. გამსახურდია თავის სიმპათიას მუშების დემონსტრაციის მიმართ კიდევ ერთი ანტიკური ისტორიული ფიგურის, უფრო სწორად, წყაროს მეშვეობით ახდენს. ჰერბერტთან საუბრის დროს, ისინი აღნიშნავენ, რომ ბერლინის ცენტრში, „უნტერ დენ ლინდენზე“ ასეთი ხალხი, ანუ ეს სოციალური ფენა, არასოდეს უნახავთ. მეორე მხრივ, პირიქით ხდება – დემონსტრაციის მოახლოებასთან ერთად უფრო შეძლებული, კარგად შემოსული, არისტოკრატიული გარეგნობის ხალხი ტოვებს ბერლინის ცენტრს. თანამოსაუბრეები დემონსტრანტებს ძველ გერმანელებს ადარებს და იხსენიებს რომაელი ისტორიოგრაფოსის, კორნელიუს ტაციტუსის ნაშრომს, „გერმანია“, რომელშიც ანტიკური ხანის ძველი გერმანელები არიან აღწერილნი. როგორც მრავალ სხვა პასაჟში, ამ შემთხვევაშიც შეიძლება აღინიშნოს და ხაზი გაუსვას, რომ კ. გამსახურდია საკმაოდ დეტალურად და სიღრმისეულად იცნობს ანტიკურ მწერლობას და ანტიკურ ისტორიას.

⁷⁰⁴ „დიონისოს ღიმილი“. ტ. V. 1961, გვ. 839.

ამ თავის დასასრულს კი მოხსენიებულია უკვე იულიუს კეისრის სახელი, მისი დამახინჯებული ფორმით „ცეზარი“. დოქტორი მაუ აღნიშნავს, რომ გერმანიის იმჟამინდელი მმართველი, ებერტი, უკიდურესად სუსტია და გამოხატავს საყოველთაო სკეპტიციზმს პოლიტიკის და პოლიტიკოსების მიღმა. იქვე აღნიშნავს, რომ ყველაზე დიდი ისტორიული ფიგურებიც კი, როგორც, მაგალითად, კეისარი და ნაპოლეონი, მხოლოდ ჯამბაზები იყვნენ და მათი დიადი, ჰეროიკული სახე მხოლოდ მოსყიდულმა მწერლებმა და ისტორიკოსებმა შექმნეს.

არსებული მდგომარეობით უკმაყოფილება, გაქცევის სურვილი, გაწბილება საზოგადოებრივი მდგომარეობით ჩანს, 39-ე თავშიც. სავარსამიმე ბერლინში თავს კვლავ ცუდად გრძნობს. ომის, მილიტარიზმის, პოლიტიკური დამაბულობის განწყობა, რომელიც პირველი მსოფლიო ომის შემდეგომ გერმანიაშია მასზე მხოლოდ ცუდად აისახება. აქ ჩნდება ქალაქის და ქალაქის მიღმა მდებარე სივრცის, უფრო სწორად, ბუნების ერთმანეთთან დაპირისპირების მოტივი. სავარსამიმე ნეგატიურად აღიქვამს ქალაქისთვის დამახასიათებელ ქაოსს, ბევრ ადამიანს, მოძრაობას. განსაკუთრებით მიუღებელია მისთვის ავტომობილები, იმდროინდელი სამყაროს ერთ-ერთი მთავარი ტექნოლოგიური მიღწევა. მისთვის ეს სივრცე, ქალაქი, პოლიტიკური ცენტრი, თავშეყრის ადგილი მთელი მისი ტექნოლოგიური მიღწევებით „ბენზინით აყროლებულია“.

ამ დროს ის მოულოდნელად, „უნტერ დენ ლინდენზე“ ხედავს პეპელას, რომელიც ბუნებრიობის, ბუნების სიმბოლოა, რომელიც მას ბავშვობის მოგონებებს ახსენებს. პეპელას გამოჩენას იგი ლექსით პასუხობს, რომელშიც ბერლინს „მეოთხე რომს“ უწოდებს და აღნიშნავს, რომ პეპელას თავად კატულუსიც უმღეროდა.⁷⁰⁵

კატულუსის ხსენება შემთხვევითი არ არის. ისევე, როგორც ზემოთ უკვე აღნიშნული ჰორაციუსის შემთხვევაში, კ. გამსახურდია ამ ეპიზოდშიც ანტიკური პოეზიის ღრმა და შინაარსობრივ ცოდნას ავლენს. კატულუსი ძვ.წ. 50-იანი წლების პოეტია, რომელიც რომში იტალიის ჩრდილოეთიდან ჩამოვიდა და სამოქალაქო დაპირისპირების, პოლიტიკური დამაბულობის, ძალადობის და ომების ეპოქაში, თავის პოეზიაში არაერთხელ აღნიშნავს რომიდან გაქცევის სურვილის შესახებ. მისთვის რომი, ისევე როგორც, სავარსამიმდისთვის ბერლინი, ძალადობრივი და კორუმპირებული სივრცეა, რომელშიც თავს ცუდად გრძნობს. ამ პერიოდის, ანუ ავგუსტუსამდელი სამოქალაქო ომების ეპოქის, რომაულ პოეზიაში ქალაქი უმეტესად ნეგატიური სიმბოლოა მთელი მისი პოლიტიკური დამაბულობით, ძალადობით, სიმდიდრისა და ძალაუფლებისკენ სწრაფვით. ქალაქიდან ბუნებაში გაქცევის მოტივი, პასტორალურ-ბუკოლიკური მოტივები სახასიათოა, ამ ეპოქის რომაული

⁷⁰⁵ „დიონისოს ღიმბილი“. ტ. V. 1961, გვ. 866.

მწერლობისთვის. ეს განწყობები ნაწილობრივ ყველაზე ადრე სწორედ კატულუსთან არის ასახული. სავარსამიძე, რომლისთვის პეპელა სწორედ ამ ბუნებრიობის, განსხვავებული სამყაროს, ძალაუფლების, სიმდიდრის და სხვა ვნებებისგან გათავისუფლების სიმბოლოა, სწორედ ამიტომ იხსენიებს კატულუსს. თავის მხრივ, კი სავარსამიძე დიონისურ საწყისს, ბუნებრიობას, ბუნებასთან სიახლოვეს განასახიერებს.

მთელი ნაწარმოები სავარსამიძისთვის სახლში დაბრუნების ისტორიაა. უკვე დაბრუნების შემდეგ, საქართველოში ის გრძნობს, რომ სახლშია, თავის თავს ახლიდან აღმოაჩენს. ამ დაბრუნების დროს სავარსამიძისთვის განსაკუთრებით მტკივნეულია მოგზაურობა სამხრეთ საქართველოში, რომელიც თავისი გეოგრაფიული მდებარეობის გამო შემოსევების და დაპყრობების მსხვერპლი ყველაზე ხშირად და იოლად გამხდარა. საქართველოს იგი ამ ეპიზოდში, 50-ე თავში, ადარებს სხვა ძველ, დიდ კულტურებს – მათ შორის, ძველ საბერძნეთს, რომს, კართაგენს, ახსენებს პომპეის და აღნიშნავს, რომ ყოფილა აკროპოლისზე და ფორუმ რომანუმზე, თუმცა აღნიშნავს, რომ საქართველოს სამხრეთში, ისტორიულ მესხეთში ყველაზე მძიმე სურათი ნახა, ყველაზე დადარდნიანებული სწორედ იქ იყო. ამის მიზეზია, რომ დიდი ანტიკური კულტურების, რომისა და საბერძნეთისგან განსხვავებით, რომელთაც ნგრევის, დასრულების შემდეგ ახალი სიცოცხლე მაინც მიიღეს, მესხეთში ის ხედავს, რომ ადგილობრივი ქართული იდენტობა თითქმის გამქრალია, აღარ არსებობს.⁷⁰⁶

ზემოთ მოყვანილი მაგალითების გარდა კ. გამსახურდია თავის რომანში სხვა შემთხვევებშიც არაერთხელ იხსენიებს ანტიკურ სიმბოლოებსა და ტერმინებს. განსაკუთრებით ხშირად იგი ახსენებს ანტიკურ მითოლოგიურ სახეებს. ამ ტიპის რეცეფციას უფრო მეტად ეპიზოდური და ფრაგმენტული ხასიათი აქვს და ამიტომაც მათ მხოლოდ მოკლედ, დეტალური ანალიზის გარეშე, განვიხილავთ.

მაგალითად, ნაწარმოების დასაწყისშივე, როდესაც იგი პარიზში მცხოვრებ, სხვადასხვა ეროვნების და ტიპის ქალებზე საუბრობს და ხაზს უსვამს მათდამი მის ინტერესს, საკუთარ თავს ანტიკური მითოლოგიის ტანტალოსს ადარებს, რომელიც ბერძნული მითოლოგიის თანახმად ღმერთებმა დასასჯელად წყალში ჩააგდეს, ყელამდე წყალში იდგა და წყურვილს ვერ იკლავდა.⁷⁰⁷ ტანტალოსის მსგავსად მასაც გარშემო მისი ინტერესის საგანი (მისთვის ქალები) განუსაზღვრელი რაოდენობით ახვევია, თუმცა „წყურვილს ვერ იკლავს“. ეს აზრი ავტორმა ანტიკური მითოლოგიის ტანტალოსის გახსენებით და ამ სიმბოლოს მეშვეობით გადმოსცა.

⁷⁰⁶ „დიონისოს ღიმილი“. ტ. V. 1961, თავი 50.

⁷⁰⁷ „დიონისოს ღიმილი“. ტ. V. 1961, გვ. 634.

ხალილ ბეისთან საუბრის დროს, როდესაც ისინი კავკასიაზე, საქართველოს როლზე და ხელოვნებაზე საუბრობენ, ხალილ ბეი გამოთქვამს მოსაზრებას, რომ მხატვრობაში „შიშველი კაცის გამოხატვა უმჯოსებია, ვიდრე შიშველი ქალის“ და იხსენებს გიტარის დამკვრელი აპოლონის სცენას მისსავე მადონებთან.⁷⁰⁸

მეცხრამეტე თავში, რომელშიც ჯენეტი და სავარსამიძე ვენეციადან სანტა კლარას კუნძულზე გადაადგილდებიან „ხარონის [იგულისხმება ანტიკური მითოლოგიური ქარონი – გ.უ.] ნავში“ ჰქვია. გონდოლით სავარსამიძე და ჯენეტი კუნძულზე გადადიან. სწორედ ამიტომ ამ სცენას სავარსამიძე ანტიკური ქარონის მიერ მდინარე სტიქსზე, სულთა სამეფოში სულების გადაყვანის სცენას ადარებს და, როგორც ზემოთ აღვნიშნე, ამ თავსაც შესაბამის სახელს უწოდებს.⁷⁰⁹

მათი ვენეციაში წასვლის მიზეზი სლანსკის მიერ ჯენეტის და სავარსამიძის დევნაა. ჯენეტი ფიქრობს, რომ მათ დასდევენ, მათ შორის, სასტუმროში უცხო ადამიანის შემოსვლა აფრთხობს. სავარსამიძეს თავდაპირველად ჰგონია, რომ ეს შემთხვევითობა იყო და ჯენეტს ვიღაც, წინასწარი ჩანაფიქრის გარეშე, როგორც ლამაზ ქალს ისე აწუხებს და იქვე შენიშნავს, რომ „ხომ იცი, ეროსი უსირცხვილოა“.⁷¹⁰

კუნძულ სანტა კლარასკენ მიმავალი სავარსამიძე აღნიშნავს, რომ ტკბება „ზეფირის“ ალერსით. ზღვაზე სეირნობის დროს მას ანტიკური ძეგლისი ესაღბუნება [ანუ ზეფირი – გ.უ.].⁷¹¹ ზეფირი ანუ ძეგლისი ანტიკური მითოლოგიური წარმოდგენების თანახმად სამხრეთის ქარია, მისი სტანდარტული ანტიკური აღწერილობის მიხედვით – მსუბუქი და სასიამოვნო.

ოცდამეცამეტე თავს, რომელშიც ავტორი სავარსამიძის იტალიაში დროებითი პატიმრობის შესახებ წერს, „ციკლოპის თვალი“ ჰქვია და ამ თავში აღწერილია ფაშისტური მმართველობის მიერ სავარსამიძის დაკითხვისა და დატუსაღების ამბავი. საპატიმროში, საპატიმროს კარებზე შუშის პატარა ჭურჭრუტანას სავარსამიძე რამდენჯერმე იხსენიებს როგორც ციკლოპის თვალს, ანტიკური მითოლოგიური არსების, ცალთვალა ციკლოპის შესაბამისად.⁷¹²

ნაწარმოების ძირითადი მოტივის, გზავნილის სრულყოფილად გასაგებად უაღრესად მნიშვნელოვანია მისი 35-ე თავი, რომელშიც იოჰანესისა და სავარსამიძის დიალოგში, სავარსამიძე აანალიზებს მისი ევროპაში ყოფის უნაყოფოებისა და უშედეგობას. სავარსამიძეს იოჰანესს პირდაპირ ეუბნება, რომ მის ევროპაში, აპოლონურ რაციონალურ კულტურაში ცხოვრებას, არ შეიძლება შედეგი ჰქონდეს.

⁷⁰⁸ „დიონისოს ღიმილი“. ტ. V. 1961, გვ. 650.

⁷⁰⁹ „დიონისოს ღიმილი“. ტ. V. 1961, გვ. 758.

⁷¹⁰ „დიონისოს ღიმილი“. ტ. V. 1961, გვ. 757.

⁷¹¹ „დიონისოს ღიმილი“. ტ. V. 1961, გვ. 759.

⁷¹² „დიონისოს ღიმილი“. ტ. V. 1961, თავი 33.

იგი ამბობს, რომ გრძნობს დანაშაულს საკუთარი წინაპრების წინაშე და აღნიშნავს, რომ „მიწა და სისხლი სიკვდილზე უფრო ძლიერი ყოფილა“. იოჰანესი კი მას მითოლოგიურ პიგმალიონს ადარებს, რომელმაც სპილოს ძეგლისგან აფროდიტე გამოაქანდაკა და თვითონვე შეუყვარდა იგი, თუმცა კი, როცა კი აფროდიტემ მისი თხოვნით ეს ქანდაკება გააცოცხლა და ცოლად შეირთო, მოქანდაკეობის ნიჭი დაკარგა. იოჰანესს მიაჩნია, რომ პიგმალიონის მსგავსად სავარსამიძემაც თავისი ცხოვრებისეული ენერგია დროებით სიყვარულს, ქალებს დაუკავშირა (ხაზგასმულია, რომ ევროპელ ქალებს) და საკუთარი ცხოვრების მთავარი მისია, მისი ისტორიული განგრძობითობის გაგრძელება, ე.წ. წინაპრების წინაშე ვალი, რომელსაც ნაწარმოებში წინაპრების ვენახის გაშენება ეწოდება, არ გამოუვიდა. სავარსამიძეს კი ერთგულება ევროპაში კომფორტის მიტოვება და საქართველოში, შედარებით ნაკლები კომფორტის პირობებში ცხოვრება შეუძლებლად მიაჩნია. ეს ჩანაფიქრი, ეს გზავნილი, რომელსაც ნაწარმოების შინაარსიდან გამომდინარე უაღრესად მნიშვნელოვანი დატვირთვა აქვს, ანტიკური მითოლოგიური სიმბოლოს, პიგმალიონის მეშვეობით არის გადმოცემული.⁷¹³

სხვა ეპიზოდში, როდესაც იოანე ნათლისმცემელს აღწერს, ადარებს იგი დიონისეს გამოსახულებას და აღნიშნავს, რომ მას კაპიტოლის ვენერის [ანუ კაპიტოლიუმის ვენუსის – გ.უ.] ღიმილი ჰქონდა.⁷¹⁴ სხვა შემთხვევაში იგი დიონისეს გამოხედვას ასევე ადარებს კაპიტოლიუმის ვენერას. როგორც ჩანს, ამ სკულპტურას კ. გამსახურდიაზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოუხდენია, რადგან მისი მეშვეობით არის აღწერილი სხვადასხვა ემოცია თუ რეაქცია.

სხვა ეპიზოდში მოხუცი დოქტორ ფონ შაი სავარსამიძესთან შეხვედრის დროს, როდესაც მისი მოგზაურობის და თავგადასავლების შესახებ შეიტყობს, მას ოდისევს ადარებს, ანტიკურ ეპიკურ გმირს, ჰომეროსის „ოდისეას“ მთავარ პერსონაჟს, რომლითაც იწყება სათავგადასავლო მოტივების გაჩენა ევროპულ ლიტერატურულ ტრადიციაში.⁷¹⁵

ფარვიზის დაღუპვის დროს, როდესაც მას უამინდობის დროს მისი საკუთარი ცხენი გაიტაცებს და ტრაგიკულად დაიღუპება, კ. გამსახურდია იხსენებს ჰიპოლიტოსის დაღუპვის ანტიკურ მითოლოგიურ სცენას, რომელიც პოსეიდონმა დასაჯა. კ. გამსახურდია ამ შემთხვევაში საკმაოდ ზუსტ ანალოგს პოულობს ანტიკურ კულტურაში. ჰიპოლიტოსის მსგავსად ფარვიზიც ახალგაზრდა კაცია, მოზარდია.

⁷¹³ „დიონისოს ღიმილი“. ტ. V. 1961, გვ. 832.

⁷¹⁴ „დიონისოს ღიმილი“. ტ. V. 1961, გვ. 860.

⁷¹⁵ „დიონისოს ღიმილი“. ტ. V. 1961, გვ. 862.

ორივე შემთხვევაში ბუნებრივი პირობები და ცხენზე მომხდარი კატასტროფა ხდება მათი დაღუპვის მიზეზი.⁷¹⁶

შემთხვევითი არ უნდა იყოს სავარსამიდის ინდოეთში მოგზაურობა და მუდამ აპელირება ამ ქვეყანასთან. სავარსამიძე თავს დიონისოსთან, დიონისურ საწყისთან აიგივებს. ანტიკურ მითოლოგიაში დიონისესთან დაკავშირებული ერთ-ერთი ყველაზე ხშირად გამოყენებული მოტივი მის ინდოეთში მოგზაურობას უკავშირდება. დიონისე ინდოეთიდან იწყებს თავის მოგზაურობას და ამკვიდრებს თავის კულტს. ინდოეთში, ინდოეთის ესთეტიკასთან (მაგ. ვეფხვები და სხვა გარეული ცხოველები) ბმაში დიონისე ანტიკურ მხატვრულ კულტურაში არაერთხელ არის წარმოჩინებული. შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ კ. გამსახურდია თავის გმირს სწორედ ინდოეთთან რომ აკავშირებს. ეს მნიშვნელოვანი ადგილია, როდესაც ის ცდილობს საკუთარი თავი იპოვოს.

კიდევ ერთი ანტიკური ტერმინი, რომელსაც კ. გამსახურდია გამოიყენებს არის პანი. საქართველოს ბუნებას, რომელშიც დაბრუნებული სავარსამიძე თავს ძალიან კომფორტულად და ბედნიერად გრძნობს, კ. გამსახურდია ტერმინი „პანიურით“ აღწერს. ამ პასაჟში გარკვეულწილად ბუკოლიკური სცენაა აღწერილი, ხოლო თავისებურად ცოტა ველურ, პირველყოფილ სივრცეს ბუნების წიაღში ავტორი ანტიკური მითოსის პანის მოშველიებით ხსნის.

ავტორი სამგზის იხსენიებს დიონისესთან დაკავშირებულ მითოლოგიურ პერსონაჟს – სატირებს. ეს მისთვის აუცილებელი ატრიბუტია, როდესაც დიონისესთვის დამახასიათებელ და ტიპურ სცენებს აღწერს. ერთ შემთხვევაში კი მორდუ არის სატირს შედარებული. სატირებთან ერთად ამ ტიპის სცენების აღწერის დროს ავტორი იხსენიებს ანტიკურ მითოლოგიურ ფიგურებს – ამურებს.⁷¹⁷

კ. გამსახურდია იხსენიებს ალკიბიადესსაც, ძვ.წ. V საუკუნის მიწურულის ათენელ პოლიტიკურ და საზოგადო მოღვაწეს. საინტერესოა, რომ თავისი ზმანების დროს იგი აღწერს ჯენეტს და ფარვიზს, მათ გარეგნულ სილამაზეს და მშვენიერებას და ამ კონტექსტში თითქოს ახსენდება ალკიბიადესიც, რომელსაც პლუტარქოსი განსაკუთრებული ფიზიკური სილამაზით, ქარიზმატულობით და პიროვნული მომხიბვლელობით გამოარჩევდა (Plut. Vit. Alc. 1-3; 23).⁷¹⁸ ეს პასაჟი კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ კ. გამსახურდია ანტიკურ წყაროებს და, ზოგადად, ანტიკურ სამყაროს სიღრმისეულად, დეტალურად იცნობს.

⁷¹⁶ „დიონისოს ღიმბილი“. ტ. V. 1961, გვ. 933-934.

⁷¹⁷ „დიონისოს ღიმბილი“. ტ. V. 1961, გვ. 946.

⁷¹⁸ „დიონისოს ღიმბილი“. ტ. V. 1961, გვ. 917.

ანტიკური მითოსიდან ყველაზე ხშირად ავტორი ეროსს იხსენიებს. ეროსს კ. გამსახურდიასთვის განსაკუთრებული დატვირთვა აქვს. ის რომანში 19-ჯერ მოიხსენიება. ეროსი, სიყვარულის ღმერთი, კ. გამსახურდიასთვის მრავალგვარი და მრავალფეროვანი სიმბოლოა. იგი გამოიყენებს ტერმინს „ეროსის გვამში ჩასვლა“, რაც შეყვარების, სიყვარულთან ზიარების სინონიმი უნდა იყოს. პოეტებს და, ზოგადად, პოეზიას, იგი ასევე დიონისურ საწყისთან აიგივებს, რომლის ერთ-ერთი მთავარი ატრიბუტი ეროსთან ზიარება, მის „გვამში ჩასვლა“. ამ ეპიზოდში მას სიყვარულის უფრო მეტად ფილოსოფიური, მეტაფიზიკური გაგება აქვს და „ეროსის გვამში ჩასვლით“, რაც პოეტად ქცევის აუცილებელი პირობაა, ადამიანი სხვა მეტაფიზიკურ მდგომარეობაში გადადის. ამ პასაჟში კ. გამსახურდია არ ახსენებს დიონისეს, თუმცა ეროსთან და ღვინოსთან ზიარება ადამიანს აქცევს პოეტად და აღწერს თავდავიწყების, ირაციონალურობის, სხვა მდგომარეობაში გადასვლის სცენას, რისი მედიუმიც, ანუ მიღწევის საშუალება, ზემოთ ხსენებული ეროსი და ღვინოა. ეს მდგომარეობა, ანუ, როდესაც პოეტი ადამიანურ და ღვთაებრივ სამყაროს შორის მერყეობს, „ზედმეტია“, ამოვარდნილია ადამიანური განზომილებიდან, ხოლო ღვთაებრივი განზომილებისთვის კი ზედმეტად ადამიანურია. ეს არის ერთდროულად სისუღელის და სიბრძნის მდგომარეობა. ამ სცენაში ანტიკურის გარდა აღმოსავლური, არაბულ-სპარსული მოტივებიც იკვეთება.⁷¹⁹

„ეროსის გვამში ჩასვლას“ კ. გამსახურდია სხვა ეპიზოდშიც ახსენებს. ფარვიზის და მისი ცხენის გაშმაგებულ ჭენებას, რომელიც ფარვიზის სიკვდილით სრულდება, იგი სწორედ ამ ეპითეტიტ აღწერს. აქედანაც ჩანს, რომ მისთვის ეროსთან ზიარება, მისი „გვამში ჩასვლა“ გაშმაგების, სანახევროდ სიგიჟის, თავდავიწყების კატეგორიაა.

კ. გამსახურდია იღებს ანტიკურ ტერმინს, ეროსს, სიყვარულს, თუმცა მის გადააზრებას ახდენს და მისი „ეროსი“ თავისი გაგებით უფრო ღრმა და ფილოსოფიურია და სცდება მისი აღქმის მხოლოდ ანტიკურ სტანდარტს. იგი ეროსს, სილატაკისა და სიჭარბის, პენიასა და პოროსის შვილს უწოდებს, რომელიც ცალკეა, მარტოსულია და თავისი არსით ხშირად არღვევს წყვილების იდილიას, ჰარმონიას, ბალანსს. ეროსი მისთვის უფრო ირაციონალური, უკონტროლო, საპირისპირო, ურთიერთგამომრიცხავი ელემენტების შერწყმის შედეგია. ეროსის მისეულ გაგებას მხოლოდ ბედნიერება არ მოაქვს თან. ის „ორგიაშია წარმოშობილი“.⁷²⁰

კ. გამსახურდიას ეროსი უფრო თავისუფალი სიყვარულის ღმერთია – „არც ცოლი ჰყავს და საყვარელი“, „მუდამ სხვისი ცოლების სარკმლებში იმზირება“,

⁷¹⁹ „დიონისოს ღიმილი“. ხელმისაწვდომია ონლაინ: <https://eon.ge/wp-content/uploads/2021/04/dionisos-gimili.pdf> გვ. 364. ბოლო ნახვა: 10.12.2023.

⁷²⁰ „დიონისოს ღიმილი“. ტ. V. 1961, გვ. 925.

ხელგაშლილია, თავზეხელაღებული, გამბედავი, რადგან ამ ცხოვრებაში დასაკარგი არაფერი აქვს, იგი შუაშია სილამაზეს და სიმახინჯეს, სიბრძნეს და შეშლილობას შორის. კვლავ ურთიერთგამომრიცხავი ელემენტების, საწყისების შერწყმას ვხედავთ.⁷²¹

კ. გამსახურდიასთვის ეროსი დემონია, არც ღმერთია და არც მოკვდავი, ადამიანი, მათ შორის მდებარეობს. ის მას „მუხანათს და დაუნდობელს“ უწოდებს.⁷²² სხვაგან კი ამბობს, რომ უსირცხილოა.⁷²³

სხვა პასაჟში კ. გამსახურდია ეროსს კვლავ წყვილების, ერთობის მოწინააღმდეგეც აღიქვამს. ის ამბობს, რომ სმარაგდი ანუ ზურმუხტი, სანამ ქალს ხელზე უკეთია, ის ვერასოდეს უღალატებს, თუმცა სმარაგდიანი ადამიანი უნდა უფრთხილდეს მონადირეს. შემდეგ კი ეროსს მონადირედ ასახელებს.⁷²⁴

ეროსი თავისი არსით დიონისური საწყისია. დიონისეს აღწერის დროს ავტორი ეროსს მუდამ იხსენიებს, ხოლო შემდეგ კი, მისი პერსონაჟის, კონსტანტინე სავარსამიდის ტრანსფორმაციის პროცესში, როდესაც იგი რაციონალურ, აპოლონურ, უფრო ევროპულ საწყისს შორდება და მასში უფრო ირაციონალური, ველური, ბუნებრივი, ქართული იღვიძებს, სავარსამიძე ეროსის და დიონისეს მიმდევარია. ეს ორი ღმერთი, ორი საწყისი, პარალელურად, თითქმის იდენტურად მოიხსენიება.⁷²⁵

სხვა შემთხვევაში კი ღვინოს და თრობას იგი ეროსის უფროს ძმას უწოდებს.⁷²⁶

ანტიკურობის თემატიკა არაერთხელ გვხვდება კონსტანტინე გამსახურდიას კიდევ ერთ რომანში, „მთვარის მოტაცება“.

„მთვარის მოტაცებაში“ მოქმედება ძირითადად დასავლეთ საქართველოში (სამეგრელო, აფხაზეთი, სვანეთი) მიმდინარეობს. ეს ისტორიული კოლხისის და ანტიკურ სამყაროში ასევე უკვე ცნობილი სვანეთის (ანტიკურობა იცნობს სვანებს) ტერიტორიაა. ის, რომ დასავლეთ საქართველო ანტიკური კოლხისის კულტურულ ტრადიციას აგრძელებს რომანში არაერთხელ არის აღნიშნული და მის ერთ-ერთ

⁷²¹ „დიონისოს ღიმილი“. ხელმისაწვდომია ონლაინ: <https://eon.ge/wp-content/uploads/2021/04/dionisos-gimili.pdf> გვ. 363. ბოლო ნახვა: 10.12.2023.

⁷²² „დიონისოს ღიმილი“. ხელმისაწვდომია ონლაინ: <https://eon.ge/wp-content/uploads/2021/04/dionisos-gimili.pdf> გვ. 363. ბოლო ნახვა: 10.12.2023.

⁷²³ „დიონისოს ღიმილი“. ხელმისაწვდომია ონლაინ: <https://eon.ge/wp-content/uploads/2021/04/dionisos-gimili.pdf> გვ. 363. ბოლო ნახვა: 10.12.2023.

⁷²⁴ „დიონისოს ღიმილი“. ხელმისაწვდომია ონლაინ: <https://eon.ge/wp-content/uploads/2021/04/dionisos-gimili.pdf> გვ. 35. ბოლო ნახვა: 10.12.2023.

⁷²⁵ „დიონისოს ღიმილი“. ხელმისაწვდომია ონლაინ: <https://eon.ge/wp-content/uploads/2021/04/dionisos-gimili.pdf> გვ.110. ბოლო ნახვა: 10.12.2023.

⁷²⁶ „დიონისოს ღიმილი“. ხელმისაწვდომია ონლაინ: <https://eon.ge/wp-content/uploads/2021/04/dionisos-gimili.pdf> გვ. 111. ბოლო ნახვა: 10.12.2023.

ძირითად მოტივს წარმოადგენს. კ. გამსახურდია მუდამ ხაზს უსვამს დასავლეთ საქართველოს ანტიკურ, კოლხურ, ისტორიულ და კულტურულ მემკვიდრეობას.

თარაშ ემხვარი, ნაწარმოების მთავარი პერსონაჟი, ისევე, როგორც „დიონისოს ღიმილის“ კონსტანტინე სავარსამიძე თავს ვერ პოულობს ევროპაში, ევროპულ კულტურაში. ხოლო, შემდეგ უკვე საქართველოში უკან დაბრუნების შემდეგ იწყება მისი ახალი ძიება, საკუთარი თავის, იდენტობის პოვნის სურვილი, რომელიც საკუთარ ფესვებთან, ისტორიულ იდენტობასთან, ტრადიციებთან დაკავშირების, მათი ხელახალი აღმოჩენის გზით უნდა უნდა მოხდეს. ტრადიციასთან, კულტურულ და ისტორიულ მეხსიერებასთან კავშირი თარაშისთვის ყველაზე მნიშვნელოვანია. ანტიკური მემკვიდრეობა და ანტიკური ეპოქის საქართველო ამ უძველესი კულტურულ-ისტორიული იდენტობის საფუძველია. აქედან იწყება კოლხური, იბერიული და უძველესი ქართული სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური და კულტურული იდენტობის ჩამოყალიბება.

სწორედ ამ კონტექსტში იგი სიამაყით აღნიშნავს, რომ „ჩვენი ხალხი“ იმ ჩვეულებებს და ტრადიციებს დღემდე აგრძელებს, რომლებიც ძველ ბერძენ და რომაელ ისტორიკოსებს და მოგზაურებს აქვთ საკუთარ ნაშრომებში აღწერილი.⁷²⁷ ამ მხრივ, კ. გამსახურდიას პერსონაჟი ზუსტად აღნიშნავს, რომ ყველაზე ძველი წყაროები საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ყველაზე ძველი პოლიტიკური ერთეულებისა და ეთნონიმების შესახებ, სწორედ ბერძენ-რომაელ ავტორებს მიეკუთვნება.

სხვა ეპიზოდში, უკვე აფხაზეთში, როდესაც თარაში ესწრება ე.წ. თერდობის ლოცვას, რიტუალს, როდესაც ლუკაია ცხენის როლს ირგებს, „ცხენდება“, იგი იხსენებს ანტიკურ წყაროებს და ანტიკური ავტორების ცნობებს, თუ ვინმეს აღწერილი აქვს მსგავსი ტრადიცია თუ რიტუალი. ასეთ რიტუალს ან ჩვეულებას ანტიკური წყაროები არ იცნობენ, ეს მთლიანად კონსტანტინე გამსახურდიას მხატვრული ფანტაზიის ნაყოფია. საინტერესოა, რომ თარაში ჩამოთვლის ჰომეროსს, ლუკანუსს, პლატონს და რომაელ ისტორიკოსებს და იხსენებს მათ თუ ჰქონდათ რამე ამგვარი ცნობა კოლხისის ან იბერიის შესახებ.⁷²⁸

ამ მონაკვეთში კ. გამსახურდია არცთუ ისე ზუსტია ისტორიული თვალსაზრისით. ჰომეროსი ტერმინს კოლხეთს, მით უმეტეს, ტერმინს იბერიას საერთოდ არ იცნობს და არ იხსენიებს თავის პოემებში. იბერია არც პლატონის ტექსტები შეიძლება შეგხვდეს. ესეც ანაქრონიზმია. როგორც ჩანს, ამ შემთხვევაში კ.

⁷²⁷ „მთვარის მოტაცება“, კ. გამსახურდია. რჩეული თხზულებანი, რვატომეული. ტ. I. თბილისი, 1958, გვ. 60.

⁷²⁸ „მთვარის მოტაცება“. ტ. I. 1958, გვ. 67.

გამსახურდია ცდილობს ანტიკური ეპოქის საქართველო უბრალოდ ყველაზე დიდ ანტიკურ სახელებს დაუკავშიროს, რადგან არც პლატონი და არც ჰომეროსი ანტიკური საქართველოს შესახებ ყველაზე მნიშვნელოვან წყაროებს არ წარმოადგენენ. თარაშს არ შეიძლება მათ ტექსტებში რაიმე მსგავსი ენახა. ამ შემთხვევაში ავტორი ცდილობს უბრალოდ ანტიკურობისთვის პარადიგმატული, ყველაზე დიდი სახელების მოშველიებას და მათ წარმოდგენას ანტიკური საქართველოს (იბერია, კოლხისი) შესახებ წყაროებად. ეს ავტორის შეგნებული ჩანაფიქრი უნდა იყოს, რადგან, როგორც მისი სხვა რომანებიდან ჩანს, კ. გამსახურდია ანტიკური წყაროებს სიღრმისეულად, დეტალურად იცნობს და, სავარაუდოა, რომ მან ზუსტად იცოდა, რომ ჰომეროსი და პლატონი იბერიის და კოლხისის შესახებ მნიშვნელოვან წყაროებს არ შეიძლება წარმოადგენდნენ.

საინტერესოა, ამ ჩამონათვალში ლუკანუსის მოხსენიება, რომელიც ახ.წ. I საუკუნის რომაელი ეპიკოსი პოეტია და თავის პოემაში ძვ.წ. I საუკუნის რომაულ სამოქალაქო ომს აღწერს. ლუკანუსი იცნობს და იხსენიებს, როგორც კოლხეთს და იბერიას, ასევე საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებს სხვა ხალხებს. ის ამ ტერმინებს ძირითადად პომპეუსის ლაშქრობის აღწერის კონტექსტში იხსენიებს. ლუკანუსიც არ არის ამ ეპოქის საქართველოს ყველაზე ინფორმაციული წყარო. ამ ჩამონათვალში მისი მოხვედრა, როგორც ჩანს, კ. გამსახურდიას ამ ავტორის შემოქმედებისადმი სიმპატიით უნდა აიხსნას. აქვე იხსენიებს ის რომაელ ისტორიკოსებს, რომელთაც არ აკონკრეტებს, თუმცა ამ შემთხვევაში ის უკვე საკმაოდ ზუსტია, რადგან ახ.წ. I საუკუნიდან მოყოლებული რომაელი ისტორიკოსები კავკასიის პოლიტიკური მნიშვნელობიდან გამომდინარე იმ პერიოდში საკმაოდ ხშირად იხსენიებენ როგორც კოლხეთს, ასევე განსაკუთრებით იბერიას და საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ სხვა ხალხებს და ძალიან მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენენ.

მსგავსი შინაარსის არის კიდევ ერთი პასაჟი, რომელშიც ავტორი ჯამსუღ ემხვარის, ასაკოვანი, რესპექტაბელური აფხაზი, რუსეთის მეფის არმიის ყოფილი გენერალი ლონდონში სერ ჯონსონ ხიკსს ხვდება. ამ ეპიზოდშიც, ისევე, როგორც კ. გამსახურდიას რომანების ბევრ სხვა ეპიზოდში, ხაზგასმულია, რომ ევროპას, ამ შემთხვევაში ლონდონს მშობლიური სოფელი ურჩევნია. ხიკსმა საქართველოს შესახებ თითქმის არაფერი იცის იქამდე, სანამ ჯამსუღ ემხვარი მას საქართველოს ბერძნულ-რომაელი ავტორების ტექსტების და ანტიკური კოლხისის, ფასისის და არგონავტების მიხედვით არ გაახსენებს. ხიკსს კლასიკური განათლება აქვს მიღებული და მის თანამედროვე საქართველოს ზუსტად ანტიკური ტექსტების და მათი ცნობების მიხედვით აიდენტიფიცირებს. კ. გამსახურდია ჩამოთვლის

ჰომეროსს, ქსენოფონს და სტრაბონს. ქსენოფონი და სტრაბონი ანტიკური კოლხისის, და დასავლეთ საქართველოს შესახებ უმნიშვნელოვანესი წყაროებია. ორივე მათგანი იხსენიებს კოლხებს, ფასისს, არგონავტების ლაშქრობას და მათთან ერთად ისტორიული კოლხისის ტერიტორიაზე მცხოვრებ სხვა ხალხებსაც. ამ მხრივ კ. გამსახურდია ნამდვილად ძალიან ზუსტია და იხსენიებს იმ ავტორებს, რომლებიც მართლად დეტალურად ამუშავებენ მის მიერ მოხსენიებულ ტერმინებს (კოლხისი, ფასისი, არგონავტები). საინტერესოა, რომ მათთან ერთად კვლავ მოხსენიებულია ჰომეროსი, რომელიც კოლხეთს, ფასისს და არგონავტებს პირდაპირი ფორმით საერთოდ არ მოიხსენიებს. როგორც ჩანს, ამ შემთხვევაშიც ავტორი ამოდის ჰომეროსის მნიშვნელობიდან, მისი მასშტაბიდან და შეგნებულად (თუმცა უსაფუძვლოდ) წარმოადგენს მას როგორც ანტიკური პერიოდის საქართველოს შესახებ ერთ-ერთ წყაროს.

ამ შემთხვევაშიც საქართველო, კერძოდ კი დასავლეთ საქართველო, ანტიკური ეპოქის საქართველოს გაგრძელებას, მის პირდაპირ ისტორიულ-კულტურულ მემკვიდრეს წარმოადგენს.⁷²⁹

სვანეთის შესახებ რომანის სხვა ეპიზოდში აღნიშნულია, რომ ის ძველ ბერძნებს ქვეყნიერების კიდედ, მის დასალიერად მიაჩნდათ.⁷³⁰ კვლავ ვხედავთ, რომ მისი თანამედროვე საქართველო და მისი მხარეები (ამ შემთხვევაში სვანეთი) ანტიკურობასთან, ანტიკურობაში ჩამოყალიბებულ ისტორიულ-კულტურულ იდენტობასთან არის დაკავშირებული. ბერძნულ სამყაროში, განსაკუთრებით ალექსანდრეს ლაშქრობამდე, კავკასიონი მართლაც მიაჩნდათ რაციონალური სამყაროს, ცივილიზებული ადამიანური განზომილების დასალიერად. ანტიკურობაში სვანების შესახებ სტრაბონი, პლინიუსი და უფრო გვიანდელი ავტორი, პრისკუს პანონიელი გადმოგვცემენ. კ. გამსახურდია, როგორც ჩანს, იცნობს ამ წყაროებს. დიდი ალბათობით სტრაბონს, რადგან, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მას ტექსტში უკვე იხსენიებს.

ზოგადად, ნაწარმოებში მისი თანადროული დასავლეთ საქართველო არაერთხელ მოიხსენიება, როგორც კოლხისის და ფასისის (მოიხსენიებს ფორმა ფაზისით) მიწად.⁷³¹

ერთ-ერთ თავს, „მამის თვალი“ კ. გამსახურდია კლავდიუს ელიანოსის, ახ.წ. II-III საუკუნის ბერძნულენოვანი რომაელი ავტორის წანამძღვართ იწყებს, რომლის მიხედვითაც კოლხები მიცვალებულებს გუდაში დებენ, ამოკერავენ და შემდეგ

⁷²⁹ „მთვარის მოტაცება“. ტ. I. 1958, გვ. 78.

⁷³⁰ „მთვარის მოტაცება“. ტ. I. 1958, გვ. 555.

⁷³¹ „მთვარის მოტაცება“. ტ. I. 1958, გვ. 718.

ხეებზე კიდებენ. ამ შემთხვევაში იგი იმოწმებს ელიანოსის „სხვადასხვა ისტორიის“ (Ποικίλη ἱστορία) ერთ-ერთ მონაკვეთს (4,1). როგორც ზემოთ აღვნიშნე, კ. გამსახურდია მისი პერიოდის საქართველოს არა მხოლოდ ანტიკურ ტრადიციას უკავშირებს, არამედ, როგორც ჩანს, საკმაოდ სიღრმისეულად იცნობს ანტიკურ წყაროებს.

კ. გამსახურდიას ანტიკური ეპოქის საქართველოს რეცეფციის დროს ორი ძირითადი მოდელი აქვს აღებული – მითოპოეტური, როდესაც იგი მის თანადროულ საქართველოს მითოპოეტურ კოლხეთთან და განსაკუთრებით არგონავტების მითთან აკავშირებს, და ისტორიული, როდესაც იგი ისტორიულ კოლხეთსა და იბერიაზე, განსაკუთრებით კი პომპეუსის ლაშქრობას იხსენიებს.

არგონავტების ლაშქრობა კოლხეთში კ. გამსახურდიას პერსონაჟებისთვის ისტორიული რეალობაა. იასონის (იყენებს იაზონის ფორმას) და არგონავტების ლაშქრობა ნაწარმოებში არაერთხელ არის მოხსენიებული. კოლხისი და დასავლეთ საქართველო მისთვის სწორედ ანტიკური, მითოსურ-ისტორიული ტრადიციის გამგრძელებელია, რომლის ჩამოყალიბებაშიც არგონავტების ლაშქრობა უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს. თარაში ლუკაიასთან სტუმრად ყოფნის დროს, მისი კომკის ისტორიაზე ფიქრობს. უძველესი კომკი შესაძლოა იასონის და სხვა არგონავტების და, ზოგადად, ბერძნების სტუმრობის ადგილი ყოფილიყო. როგორც ზემოთ აღვნიშნე, კ. გამსახურდიასთვის არგონავტების ლაშქრობა ისტორიული რეალობის ნაწილია. ის ამ კომკის ისტორიაზე ფიქრის დროს საკმაოდ ზუსტად ჩამოთვლის ყველა იმ პოლიტიკურ ძალას, რომელიც დასავლეთ საქართველოში, აფხაზეთში შესაძლოა ყოფილიყო და ამ კომკის პოტენციურ სტუმრებს მიეკუთვნება. კერძოდ, ბერძნებს ანუ ბერძნული კოლონიზაციის შედეგად შავი ზღვის სანაპიროს ბერძნული პოლისებით დასახლების პერიოდის, ლაზებს, რომლებიც უკვე ახალი წელთაღრიცხვიდან დასავლეთ საქართველოში ყველაზე მნიშვნელოვან ქართულ პოლიტიკურ ერთეულს წარმოადგენდნენ, შემდეგ კი უკვე შუა საუკუნეების ეპოქის ბიზანტიელებს, ვენეციელებს, ქართველებს და თურქებს. ეს საკმაოდ ზუსტი ისტორიული პანორამის ჩამონათვალი სწორედ არგონავტებით და იასონით იწყება.⁷³²

როდესაც თარაში თავის სტუმრებს რიონის შესართავს აჩვენებს, ანუ იმ ადგილს, სადაც ანტიკური ქალაქი ფასისი უნდა არსებულიყო, ამბობს, რომ დიდი ალბათობით სწორედ ამ ადგილას მოადგა არგონავტების გემი კოლხეთს. შემდეგ კი აღნიშნავს, რომ შესაძლოა სწორედ კოლხისის დაბლობზე არსებულ ჭაობი მოახვნევიანა მეფე აიეტმა იასონს. ამ დროს ის იხსენებს (და მდინარე რიონის ზღვაში ჩასვლის ადგილთან აიდენტიფიცირებს) არგონავტების მითის სცენას, როდესაც აიეტი იასონს

⁷³² „მთვარის მოტაცება“. ტ. I. 1958, გვ. 213.

ცეცხლისმფრქვეველი ხარებით მიწის მოხვნას ავალებს და შემდეგ იქ „ვეშაპის კბილებს“ დათესავს, საიდანაც მეომრები ამოიზრდებიან.⁷³³

იქვე თარაში აღნიშნავს, რომ ძველი კოლხების კულტურა აღმატებული იყო ბერძნულზე. ამ ტიპის ჩანართები და შენიშვნები სახასიათოა კ. გამსახურდიასთვის მის ყველა რომანში. იგი არაერთხელ უსვამს ხაზს ადგილობრივი (კოლხური, ქართული ა.შ.) კულტურის უპირატესობას სხვა კულტურებთან მიმართებაში. ამავე ტიპის შენიშვნაა, როდესაც მისტერ ემერი კოლხისის და სვანეთის განუმეორებლობასა და სილამაზეზე საუბრობს და შენიშნავს, რომ კოლხისის ბარს (სავარაუდოდ, კოლხისის დაბლობი იგულისხმება) ვერ შეედრება ვერ ოლიმპოს მთა, ვერც ჰესპერიდების ბაღნარი და ვერც გენუის რივიერა, ხოლო სვანეთი უფრო ლამაზია ვიდრე პირენეები ანდაც აპენინები. კოლხისის სილამაზესთან შედარების დროს ავტორს მის თანამედროვე გენუასთან ერთად მოჰყავს ორი ანტიკური ტერმინი – ღმერთების სამყოფელი, ოლიმპოს მთა, და მითოსური ჰესპერიდების ბაღი, რომელსაც ანტიკური ტრადიცია უკიდურეს დასავლეთში განათავსებდა და რომელიც ზევსის და ჰერას ქორწინების ადგილს წარმოადგენდა. ორივე შემთხვევაში კოლხისი მითოსურ, ღმერთების სამყოფელ ადგილებს არის შედარებული.⁷³⁴

იმავე სცენაში, ცოტა მოგვიანებით, თარაში მის თანამედროვე საქართველოს ისევ ანტიკურ კოლხეთს უკავშირებს და ხაზს უსვამს კოლხისის განვითარებულობასა და გამორჩეულობას. კერძოდ, აღნიშნავს, რომ სტრაბონის მიხედვით, მდინარე რიონზე 140 ხიდი იყო აგებული. რიონს ამ შემთხვევაში ის ანტიკურ ფასისთან აიგივებს. ხიდის მშენებლობა ძველ სამყაროში ერთ-ერთ ყველაზე რთულ არქიტექტურულ გამოწვევად მიიჩნეოდა და კულტურული განვითარებულობის ნიშანი იყო. საინტერესოა, რომ როგორც სხვა ეპიზოდებში, ამ შემთხვევაშიც ჩანს, რომ კ. გამსახურდია სიღრმისეულად იცნობს ანტიკურ წყაროებს, მათ შორის სტრაბონს. სტრაბონის გავლენით (და არამხოლოდ მისი) უნდა აიხსნას, რომ იგი მეფე აიეტის სამეფოს ყველაზე მნიშვნელოვან და აყვავებულ ქალაქებს შორის ჩამოთვლის ფასისს, დიოსკურიას და ჰერაკლეს. არგონავტების მითის მიხედვით აიეტის მთავარ ქალაქს აია ეწოდება. თუმცა კ. გამსახურდია ამ ეპიზოდში აერთიანებს კოლხეთზე მითოსურ და ისტორიულ ინფორმაციას. მითოსურ, აიეტის კოლხეთს, იგი უკავშირებს უკვე ისტორიული კოლხისის ყველაზე მნიშვნელოვან ქალაქებს ფასისს და დიოსკურიას. აღსანიშნავია, რომ დიოსკურიის შესახებ, რომელიც ამ ქალაქის მნიშვნელობაზე გვამცნობს, ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი წყარო სწორედ სტრაბონია.

⁷³³ „მთვარის მოტაცება“. ტ. I. 1958, გვ. 371.

⁷³⁴ „მთვარის მოტაცება“. ტ. I. 1958, გვ. 495-496.

საინტერესოა, ამ კონტექსტში ჰერაკლეს მოხსენიება. ჰერაკლეა ისტორიული კოლხისის და, ზოგადად, აღმოსავლეთ შავი ზღვისპირეთის პოლისი არასოდეს ყოფილა. ანტიკური სამყარო მხოლოდ შავი ზღვის რეგიონსა და მცირე აზიაში ერთდროულად რამდენიმე ამ სახელწოდების ქალაქს იცნობს. მათ შორის, ყველაზე ცნობილი იყო ე.წ. ჰერაკლეა პონტიკა, რომელიც მდებარეობდა შავი ზღვის სანაპიროზე, თანამედროვე თურქეთის ტერიტორიაზე, ისტორიული კოლხისიდან შეუდარებლად ბევრად უფრო დასავლეთით. ასევე ცნობილი იყო ჰერაკლეა მცირე აზიაში, ისტორიულ კარიაში, ჰერაკლეა კაპადოკიაში, ჰერაკლეა ლიდიაში და ჰერაკლეა იონიასა და კარიის საზღვარზე. დიდი ალბათობით კ. გამსახურდია გულისხმობს ამ ჩამონათვალში ჰერაკლეა პონტიკას, რადგან ის ზღვისპირა, შავი ზღვის სანაპიროს პოლისებს ჩამოთვლის და, ზოგადად, აიეტის სამეფო ზღვისპირა, საზღვაო სამეფოა. ჰერაკლეს მოხსენიება ისტორიულ რეალობას სცდება, ჰერაკლეა ახლოსაც კი არასოდეს ყოფილა კოლხისის და მის მომიჯნავე არეალში. ეს უნდა იყოს ავტორის მხატვრული ჩანაფიქრი, რომ წარმოადგინოს აიეტის სამეფო, მისი კოლხისი, დიდ შავი ზღვის მფლობელ პოლიტიკურ ძალად, რომელიც თითქმის სრულად აკონტროლებს შავი ზღვის სამხრეთ და აღმოსავლეთ სანაპიროს – ჰერაკლეადან დიოსკურიამდე (თან. სოხუმი).⁷³⁵

არგონავტების მითი კოლხისის, მისი თანამედროვე საქართველოს უმთავრესი კულტურული „სავიზიტო ბარათია“ უცხოელი სტუმრებისთვის. ინგლისელი სამხედროს მსგავსად, ამ შემთხვევაშიც ევროპელები, თარაშის სტუმრები საქართველოს, კერძოდ, მის დასავლეთ ნაწილს არგონავტების მითთან და ანტიკური ეპოქის კოლხისის მიხედვით იცნობენ. თარაში სტუმრებს მისი სამშობლოს შესახებ მოთხრობის დროს პირველ რიგში სწორედ არგონავტების შესახებ მითს უყვება (ამ შემთხვევაში კ. გამსახურდია უკვე ხაზს უსვამს, რომ ეს მითია) და იქვე აღნიშნავს, რომ აიას კუნძული და მითიური კირკე, მითოსური და ჰომეროსის „ოდისეას“ პერსონაჟი, სწორედ კოლხეთში (ალბათ, უფრო სწორი იქნება, თუ ვიტყვით, კოლხისის ზღვაში) მდებარეობდა. იქვე თარაში არგონავტების მითის ნაკლებად ცნობილ ამბავს ჰყვება, თუ როგორ სურდა აიეტს არგონავტების ხომალდის დაწვა და ამ მიზნით მათ ნადიმი მოუწყო, თუმცა შემდეგ ის აფროდიტემ შეაცდინა და აიეტმაც ვეღარ მოახერხა ჩანაფიქრის აღსრულება.⁷³⁶

კაროლინას კოლხისის შესახებ სხვა ეპიზოდშიც უყვებიან და მაშინაც კოლხისის მთავარი დამახასიათებელი, მისი ისტორიულ-კულტურული მნიშვნელობის განმსაზღვრელი მისი ანტიკური წარსულია. სწორედ ამ კონტექსტში აღნიშნულია,

⁷³⁵ „მთვარის მოტაცება“. ტ. I. 1958, გვ. 373.

⁷³⁶ „მთვარის მოტაცება“. ტ. I. 1958, გვ. 375.

რომ კოლხისი ძველი ბერძენი ავტორებისგან მრავალგზის შექებული ქვეყანაა და იხსენებს უპირველეს ყოვლისა სწორედ არგონავტების მითს, კერძოდ მის საწყის ეტაპს, როდესაც ფრიქსოსი თავის დასთან ერთად ელადიდან (საბერძნეთიდან) გაიქცა, ოქროს ვერძით გადმოცურა დარდანელი და ევქსინის პონტოს (შავი ზღვის) გავლით კოლხეთში ჩამოვიდა. შარდინი კაროლინასთან იმას კი აკონკრეტებს, რომ ფრიქსოსის ათამასის (მოიხსენიებს აფამანტას ფორმით) ვაჟი იყო.⁷³⁷

მდინარე ფასისი კ. გამსახურდიასთვის „ძველი ბერძნების მითებითა და ლექსებით“ გაბრწყინებულია. ფასისის სიდიადეს, მის ისტორიულ და კულტურულ მნიშვნელობას სწორედ ანტიკური კონტექსტი განსაზღვრავს.⁷³⁸

არგონავტების მითს კ. გამსახურდია უფრო ნეიტრალურ კონტექსტშიც ახსენებს. კერძოდ, რომში მაძამ ვიტელის ბინაში, რომელსაც ავტორი მუზეუმს ადარებს, მრავალ სხვადასხვა ხელოვნების ნიმუშს შორის, ბერძნული ვაზებიც არის ჩამოთვლილი, რომლებიც საკმაოდ ზუსტად გადმოსცემენ არგონავტების კოლხეთში ლაშქრობის და ოქროს საწმისის გატაცების სცენას.⁷³⁹

ანტიკური წარსული, ამ ისტორიულ-კულტურულ წარსულთან ბმა და მისი განგრძობითობა რომანში არგონავტების კონტექსტის მიღმაც, სხვადასხვა ისტორიულ-მითოსური სიმბოლოს მოშველიებითა და შედარების გზით არაერთხელ არის ხაზგასმული. მაგალითად, თარაში გორის ციხეს ათენის აკროპოლისს ადარებს. ამ შედარებას, ბუნებრივია, არანაირი ისტორიულ-კულტურული საფუძველი არ აქვს, გარდა მწერლის მხატვრული ჩანაფიქრისა, რომ მისი პერიოდის საქართველო ანტიკურ ტრადიციას, ანტიკურ წარსულს დაუკავშიროს.⁷⁴⁰ იქვე იმავე სცენაში, როდესაც თარაში თავის უცხოელ სტუმრებს მცხეთას აჩვენებს, კვლავ ანტიკური წარსულიდან იღებს შთაგონებას და ანტიკური მემკვიდრეობა მისთვის საქართველოს მთავარი ისტორიულ-კულტურული სავიზიტო ბარათია. მცხეთაში იგი იხსენებს „ქართლის ცხოვრებაში“ მეცხრამეტე მეფის, რევის მეფობის ხანაში მოხსენიებულ ამბავს, რომ რევმა ცოლი საბერძნეთიდან მოიყვანა და მისმა ცოლმა, სეფელიამ, აფროდიტეს კერპი ააგებინა მცხეთის თავზე.⁷⁴¹

მიუხედავად იმისა, რომ „ქართლის ცხოვრებაში“ მოხსენიებული ანტიკური ეპოქის ქართლის მეფეების თუნდაც მიახლოებითი დათარიღება ძალიან რთული ამოცანაა და, ზოგადად, „ქართლის ცხოვრების“ ამ პერიოდის, როგორც ზუსტი და დამაჯერებელი წყაროს, მიმართ კვლევაში საკმაოდ კრიტიკული დამოკიდებულება

⁷³⁷ „მთვარის მოტაცება“. ტ. I. 1958, გვ. 363-364.

⁷³⁸ „მთვარის მოტაცება“. ტ. I. 1958, გვ. 702.

⁷³⁹ „მთვარის მოტაცება“. ტ. I. 1958, გვ. 304.

⁷⁴⁰ „მთვარის მოტაცება“. ტ. I. 1958, გვ. 383.

⁷⁴¹ „მთვარის მოტაცება“. ტ. I. 1958, გვ. 385.

არსებობს, მეფე რევის მმართველობა ყველა შემთხვევაში ქართლის ოფიციალურ გაქრისტიანებამდე თარიღდება და მნიშვნელოვანი წყაროა ქართლში ძველი ბერძნული რელიგიური წარმოდგენების შემოსვლა-გავრცელების შესახებ. თარაშიც მცხეთას სწორედ ამ ამბის კონტექსტში ახსენებს. აღსანიშნავია ისიც, რომ ისტორიულად თარაშის მიერ მოთხრობილი ამბავი მცხეთასთან დაკავშირებით ნამდვილად არ არის ყველაზე ცნობილი და სახასიათო ამბავი. თუმცა თარაში სწორედ სეფელიას და აფროდიტეს კულტის დამკვიდრებით, ანუ საქართველოს ანტიკურ კულტურასთან მჭიდრო ისტორიული კონტაქტების ჩვენებით ცდილობს აუხსნას უცხოელ სტუმრებს ადგილობრივი კულტურა და ისტორია. ეს ავტორის მხატვრული ჩანაფიქრი და გადაწყვეტილება უნდა იყოს.

ამავე მიზეზით, ანუ ავტორისეული გადაწყვეტილებით, უნდა აიხსნას ის, რომ, როდესაც ცდილობს ავტორი აღნიშნოს, რომ ცხენის დაღალს უძველესი დროიდან იცნობდნენ საქართველოში, ეს უძველესი დრო, აღნიშნულია როგორც სტრაბონის დრო (ანუ ახ.წ. I საუკუნე).⁷⁴²

კაროლინას იგი პირდაპირ ეუბნება, რომ არსად ძველ ბერძნებს ისეთი გავლენა არ ჰქონიათ და ისეთი დიდი მემკვიდრეობა არ დარჩენიათ, როგორც საქართველოში. იქვე წმინდა გიორგისთვის, ქართულ დღესასწაულზე ცხვრის და სხვა ცხოველის დაკვლას, ის ბერძნების მიერ აპოლონისთვის ცხოველის მსხვერპლად შეწირვას ადარებს, შემდეგ კი იმავე სცენაში, იხსენებს ჰომეროსის პოემებს, რომელშიც ცხოველის ღმერთისთვის მსხვერპლად შეწირვა არაერთხელ მოიხსენიება.⁷⁴³

ანტიკური კულტურულ-მითოსური ტრადიცია განსაკუთრებით კარგად ჩანს სვანეთში, რომელშიც რომანის მოქმედების მნიშვნელოვანი ნაწილი ვითარდება. თარაში სვანურ დალის ბერძნულ არტემისს ან რომაულ დიანას უკავშირებს.⁷⁴⁴

მოხსენიებულია ასევე პრომეთე, რომელიც ანტიკური ტრადიციის მიხედვით კავკასიონზე იყო მიჯაჭვული,⁷⁴⁵ ხოლო თარაშს სვანური პრომეთეს შესახებ სურს ამბის გაგება და სვანეთში მოგზაურობის დროს სვანური პრომეთეს შესახებ უნდა თქმულების ჩაწერა.⁷⁴⁶

სვანეთის შესახებ, რომელიც, როგორც აღვნიშნეთ, რომანის მოქმედებისთვის ერთ-ერთი ძირითადი სამოქმედო სივრცეა, აღნიშნულია, რომ იქ ბევრი განსხვავებული კულტურა იკვეთება, მათ შორის, ირანული მაზდეანიზმი (ანუ

⁷⁴² „მთვარის მოტაცება“. ტ. I. 1958, გვ. 495.

⁷⁴³ „მთვარის მოტაცება“. ტ. I. 1958, გვ. 57.

⁷⁴⁴ „მთვარის მოტაცება“. ტ. I. 1958, გვ. 518.

⁷⁴⁵ „მთვარის მოტაცება“. ტ. I. 1958, გვ. 295.

⁷⁴⁶ „მთვარის მოტაცება“. ტ. I. 1958, გვ. 530.

ზოროასტრიზმი) და ძველი ბერძნული მისტერიები.⁷⁴⁷ ანტიკური საქართველო, კოლხისი და განსაკუთრებით იბერია, მთელი მისი ისტორიის მანძილზე იყო ბერძნულ-რომაული და ირანული კულტურების შეხვედრის ადგილი და ამ ორი დიდი სამყაროს მიჯნაზე მდებარეობდა. სვანეთის, უფრო სწორად, სვანების შესახებ ანტიკური წყაროები ჩვენს წელთაღრიცხვაში რამდენჯერმე გვამცნობენ. ბერძნულ-რომაული სამყარო იცნობდა სვანებს, თუმცა გეოგრაფიული ფაქტორის გამო არ შეიძლება ითქვას, რომ სვანეთში ბერძნული ან რომაული კულტურის გავრცელების კვალი აშკარად ჩანს. სვანები უფრო მოშორებულები იყვნენ იმ არეალებს (მაგ. ზღვისპირეთი), რომელშიც ადგილობრივი და ბერძნულ-რომაული ელემენტი სისტემატიურად თანაარსებობდა.

რაც შეეხება ირანულ გავლენას, დასავლეთ საქართველოში პოლიტიკური ან სამხედრო ფორმით სხვადასხვა ირანული იმპერია რამდენჯერმე დასტურდება. ჰეროდოტოსი კოლხებს იმ ხალხებს შორის ჩამოთვლის, რომელიც უშუალოდ არ შედის აქემენიდური სპარსეთის შემადგენლობაში, თუმცა ხარკს იხდის და მოგვიანებით უკვე აქემენიდთა ჯარში ჩამოთვლის მათ ბერძნულ-სპარსული ომების დროს. პართიის გავლენა დასავლეთ საქართველოზე, მით უმეტეს, სვანეთზე არანაირი ფორმით არ დასტურდება. ხოლო სასანიდურ პერიოდში შაბურ I-ის დროს სასანიდებს შავ ზღვამდეც შესაძლოა მიეღწიათ (თუმცა სვანეთი ნაკლებად მოსალოდნელია), მოგვიანებით უკვე სასანიდებისა და ბიზანტიის ომების დროს, გვიანანტიკურობაში დასავლეთ საქართველო ამ ომების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი ხდება. შესაძლოა, კ. გამსახურდია სწორედ ამ ისტორიული პერიოდის გავლენით საუბრობდეს სვანეთში როგორც ბერძნული, ისე ირანული კულტურის და რელიგიის გავრცელების შესახებ.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოტივი, რომელიც საქართველოს ანტიკურ წარსულს მიემართება არის პომპეუსის ლაშქრობა ანტიკური საქართველოს, იბერიის და კოლხისის ტერიტორიაზე მითრიდატული ომების, კერძოდ მესამე მითრიდატული ომის კონტექსტში. პომპეუსი არმენიიდან გადავიდა ალბანიაში, შემდეგი კი ალბანიიდან იბერიის და კოლხისის გავლით მთელი საქართველო გადაკვეთა და შავი ზღვის სანაპიროზე, ფასისტან, რომაულ ფლოტს შეხვდა. პომპეუსის ლაშქრობით იწყება იბერიის და კოლხისის, და მთლიანად კავკასიის რომაული გავლენის და ინტერესების სივრცეში მოხვედრა.

ერთ შემთხვევაში ავტორი აღნიშნავს, რომ ენგურის თაფლმა მოწამლა პომპეუსის ჯარისკაცები, როდესაც მათ კოლხისის გაძარცვა სურდათ. კ. გამსახურდია უნდა იხსენებდეს ანტიკურ წყაროებში დაცულ ცნობას იმის შესახებ,

⁷⁴⁷ „მთვარის მოტაცება“. ტ. I. 1958, გვ. 496.

რომ კავკასიაში, კერძოდ, დასავლეთ საქართველოში ლაშქრობის დროს, პომპეუსის ჯარები ადგილობრივმა ხალხმა, ჰეპტაკომეტებმა გარეული თაფლით მოწამლეს და შემდეგ დახოცეს.⁷⁴⁸

კ. გამსახურდია ამ შემთხვევაში ისტორიული თვალსაზრისით არცთუ ისე ზუსტია. ის იცნობს ანტიკურ წყაროებს პომპეუსის კავკასიური ლაშქრობის შესახებ, თუმცა ამატებს ამ ამბავს მარცვის ელემენტს, რასაც წყაროები არ ადასტურებენ და განათავსებს ჰეპტაკომეტებს მდინარე ენგურის სიახლოვეს, როცა ამ ხალხს უფრო სამხრეთით უნდა უცხოვრა. ჰეპტაკომეტების განსახლების ზუსტი ლოკაცია ცნობილი არ არის, თუმცა მათ ყველა შემთხვევაში ფასისიდან სამხრეთით, ან სამხრეთ-დასავლეთით უნდა ეცხოვრათ.

სხვა ეპიზოდში ის ასევე აღწერს პომპეუსის კავკასიურ ლაშქრობას და რომაელთა ბრძოლას ალბანიასთან (ახსენებს მეფე ორიზს, ანუ ანტიკური წყაროების ოროდესს) და იბერიასთან (ახსენებს მეფე ატროკს, ანუ ქართული წყაროების არტაგს და ბერძნულ-რომაული წყაროების არტოკესს). ამ შემთხვევაშიც ის მცირე უზუსტობებს უშვებს. მაგალითად, პომპეუსის ბრძოლა ალბანიასთან ორი სხვადასხვა ბრძოლაა, ხოლო იბერიელებთან რომაელებს დამატებით, სხვა ბრძოლა აქვთ. ავტორი კი მათთან ბრძოლებს აერთიანებს და ერთიან, დიდ ბრძოლად წარმოადგენს (იბერიელები და ალბანელები ერთ ტყეში გამაგრდნენ).⁷⁴⁹ იქვე მოიხსენიებს ანტიკური წყაროების ცნობას იმის შესახებ, რომ პომპეუსთან ბრძოლაში მეგრძოლი ქალები, ამადონებიც მონაწილეობდნენ. თუმცა კ. გამსახურდია არ ახსენებს ამადონებს და მეგრძოლ ქალებს იბერიელებად მოიხსენიებს, იქვე კი ამატებს, რომ ბრძოლაში დაცემულ ქალებს და კაცებს თანაბარი რაოდენობის ჭრილობები ჰქონდათ მიღებული. ეს დეტალიც მისი მხატვრული ფანტაზიის ნაყოფია და ბერძნულ-რომაულ წყაროებში არ დასტურდება. შემდეგ კი ამავე ეპიზოდში აღწერს პომპეუსის ტრიუმფს, რომელსაც არაერთი ანტიკური წყარო მოიხსენიებს, და მასში იბერიელი მძევლების და ტყვეების მონაწილეობას.

ერთ მომენტში კი თარაში ქართული ციხესიმაგრეებს უყურებს და ფიქრობს მათ წარსულზე, მათ შორის იმ ომებზე, რომლებიც მათ თავს გადახდენიათ და სხვადასხვა დამპყრობელს შორის ჩამოთვლით პომპეუსსაც, რომელმაც „იერიშით აიღო ისინი“. საინტერესოა, რომ ზუსტად იმავე ჩამონათვალში ის იმასაც აღნიშნავს, რომ „მაკედონელი“ ანუ ალექსანდრე საქართველოს ტერიტორიაზე ნამყოფია.⁷⁵⁰ როგორც ჩანს, კ. გამსახურდია ამ შემთხვევაში იხსენიებს არა ბერძნულ-რომაული წყაროების

⁷⁴⁸ „მთვარის მოტაცება“. ტ. I. 1958, გვ. 290.

⁷⁴⁹ „მთვარის მოტაცება“. ტ. I. 1958, გვ. 301.

⁷⁵⁰ „მთვარის მოტაცება“. ტ. I. 1958, გვ. 296.

ცნობას, რომლებიც ალექსანდრეს კავკასიაში ლაშქრობას არ ადასტურებენ, არამედ „ქართლის ცხოვრების“ ცნობას იმის შესახებ, რომ ალექსანდრე თავისი ლაშქრობის დროს კავკასიაში, მათ შორის, საქართველოს ტერიტორიაზე იმყოფებოდა. ეს ცნობა მრავალგზის განხილულია და გასაგებია, რომ ამ შემთხვევაში „ქართლის ცხოვრების“ ცნობა რეალობას არ შეესაბამება და სურს, რომ ლეგიტიმაციის მაღალი ხარისხი მიიღოს ელინისტური სამყაროსთვის ტიპური გზით, თავისი წარსულის ალექსანდრესთან დაკავშირებით.

ანტიკურობის რეცეფციის კუთხით მნიშვნელოვანი ეპიზოდია თარაშ ემზარის რომში ყოფნის ამბავი. თარაში რომში ელლენთან ერთად მოგზაურობს. ავტორი დეტალურად აღწერს მათ ყოფას რომში და არაერთ ანტიკურ დეტალს იხსენიებს. სანტა მარია დელ პოპოლოზე ახსენებს, რომ აქ დასვენებული იყო ნერონის ნეშტი; მარსის მოედანი ის ადგილია, საიდანაც რომში ბარბაროსები იჭრებოდნენ ხოლმე – სავარაუდოდ, გულისხმობს ახ.წ. IV-V საუკუნეებში რომზე გახშირებულ თავდასხმებს გერმანული და სხვა მომთაბარე ხალხების მიერ; იქვე მარსის მოედანთან მდებარეობს ვილა, რომელშიც ნერონი მოკლეს; იქვე მსჯელობს ავტორი „უნიჭო ნერონის“ პოპულარობის შესახებ; იქვე უძველეს ვია ლატას ახსენებს, რომელზეც კეისარი, პომპეუსი, კატილინა, ვერგილიუსი და ჰორაციუსს უვლიათ; იქვე თარაში ახსენებს კოლოსეუმს, პალატინუმისა და ესკვილინუმის ბორცვებს, რომულუსს და რემუსს და მითს ტყუპების ძუ მგელის მიერ გადარჩენის შესახებ; მარკუს ავრელიუსის ქანდაკებას, რომელიც მისივე აღწერით ისეთ ცხენზე ზის, რომელსაც არცერთი აფხაზი ვაჟკაცი არ იკადრებდა (კვლავ ქართული რეალობის უპირატესობის ხაზგასმა); სეპტიმუს სევერუსის, კონკორდიას და სატურნუსის ტაძრებს, კასტორის და პოლუქსის ტაძარს, ვესპასიანეს ტაძარს და ფორუმ რომანუმს; და აღნიშნავს, რომ რომაელი სენატორები სამყაროს ბედით ისე თამაშობდნენ, როგორც კამათლით. ვესტას ტაძარში კი ხაზგასმულია, რომ დიდი გარყვნილება იყო იქ და შემდეგ მოხსენიებულია, რომ იულიუს კეისარი ორგიებს მართავდა იქ გალიის ომიდან ჩამოყვანილ გერმანელ ბიჭებთან ერთად და იქვე არის მოხსენიებული, რომ სავარაუდოდ რომის იმპერატორებს არაერთი აფხაზი და ლაზი დასაჭურისებული ბავშვი გაუხრწნიათ.⁷⁵¹

ამ პასაჟს აშკარად, მკვეთრად გამოხატულად პროპაგანდისტული და იდეოლოგიური საფუძველი აქვს. ანტიკურ წყაროებში ცალკეული იმპერატორების გარყვნილების შესახებ სხვადასხვა ცნობა არსებობს. ყველაზე ცნობილი მათ შორის სვეტონიუსი და „მისი 12 კეისრის ცხოვრება“, რომელსაც უფრო მეტად პირადული ხასიათის, „ყვითელი“ ხასიათი აქვს. იულიუს კეისრის შესახებ მსგავსი ცნობა არ

⁷⁵¹ „მთვარის მოტაცება“. ტ. I. 1958, გვ. 298-301.

დასტურდება. მით უმეტეს, არცერთი წყარო არ მოიხსენიებს რომის საიმპერატორო კარზე ლაზების, ან რომელიმე ქართული სამეფოს ან ხალხის წარმომადგენლების მონაწილეობას.

საერთოდ ანაქრონიზმია ანტიკურ ეპოქაში ტერმინი აფხაზეთის მოხსენიება, რომელიც ბევრად უფრო გვიანდელი ტერმინია. ანტიკურობა ტერმინს აფხაზეთს არ იცნობს. როგორც ჩანს, ამ პასაჟს ასეთი ფორმით კ. გამსახურდია აღწერს, რადგან სურს ხაზი გაუსვას დასავლური ცივილიზაციის და კულტურის კრიზისულ ხასიათსა და გარყვნილებას. ეს შესაძლოა საბჭოთა პროპაგანდის ზეწოლით იქნეს ახსნილი, ანდაც ავტორის პირადი მსოფლმხედველობით, რომელიც თავის სხვა ნაწარმოებშიც ხშირად უპირისპირებს ქართულ და ევროპულ, დასავლურ კულტურას და მკვეთრად, პირდაპირ ხაზს უსვამს ქართული კულტურის უპირატესობას.

ძალიან საინტერესოა ერთი დეტალი, თუ როგორ ადარებს ავტორი მთაწმინდას ძველბერძნულ ოლიმპოს მთას, ანუ ღმერთების სამყოფელს, პანთეონს და პარნასოსის მთას, ძველი ბერძნული მითოსის მიხედვით, ნიმფების სამყოფელს.⁷⁵² ამ შედარებას ქართულ ლიტერატურაში, მეოცე საუკუნის მწერლობაში კ. გამსახურდიას შემდეგაც არაერთხელ ვხვდებით. ცალკე საკვლევი საკითხი შეიძლება იყოს, თუ როგორ იწყება ქართულ მწერლობაში ამ შედარების შემოტანას.

რომანიდან იკვეთება, რომ კ. გამსახურდია საკმაოდ კარგად იცნობს ანტიკურ ფილოსოფიას, განსაკუთრებით კი პლატონს. სხვადასხვა ეპიზოდში მისი პერსონაჟები პლატონს და მის მოძღვრებას არაერთხელ ახსენებენ. პლატონის „ფედროსს“ უკითხავენ თამარს და კაროლინას.⁷⁵³ „ფედროსს“ კითხულობს თარაშ ეხმვარიც.⁷⁵⁴ აღსანიშნავია, რომ სიყვარული პლატონის ამ დიალოგის ერთ-ერთი მთავარი თემაა. იმავე მონაკვეთში კაროლინა და თარაში ერთად კითხულობენ ამ დიალოგის სიყვარულის, მისი გაგების და აღქმის შესახებ ამონარიდს. ამ ფრაგმენტში აღნიშნულია, რომ სიყვარული სიშმაგეა, ის ირაციონალური, იმპულსური მოვლენაა და არსებობს ორგვარი სიყვარული, ადამიანური და ღვთაებრივი წარმოშობის, შემდეგ კი სოკრატეს პირით განხილულია სიყვარულის ღვთაებრივი სიშმაგის ოთხი სხვადასხვა სახე, რომელიც ოთხ სხვადასხვა ღვთაებას მიემართება – აპოლონური ჭკრეტა, დიონისეს წმინდა მოგვის აღმაფრენა, მუზების პოეტური აღმაფრენა და აფროდიტეს და ეროსის შეყვარებულთა აღმაფრენა.⁷⁵⁵

ამ მონაკვეთში, როდესაც კაროლინა და თარაში სიყვარულის შესახებ მსჯელობენ და მათი მსჯელობა დიდწილად არის განპირობებული სიყვარულის

⁷⁵² „მთვარის მოტაცება“. ტ. I. 1958, გვ. 386.

⁷⁵³ „მთვარის მოტაცება“. ტ. I. 1958, გვ. 551.

⁷⁵⁴ „მთვარის მოტაცება“. ტ. I. 1958, გვ. 319.

⁷⁵⁵ „მთვარის მოტაცება“. ტ. I. 1958, გვ. 319-321.

პლატონური გაგებით, თარაში აღნიშნავს, რომ სიყვარული მისთვის სიშმაგეა, ოღონდ სიშმაგეს ის მკვეთრად დადებითად განიხილავს და ეს ყველაზე დიდი ღირსება და სიქველეა, თუკი ამ სიშმაგეს ღვთაებრივი ძღვენის ფორმა აქვს. „მთვარის მოტაცების“ ეს პასაჟი უკავშირდება კ. გამსახურდიას სხვა რომანებსაც, რომლებშიც ავტორი ასევე ხშირად მსჯელობს სიყვარულის, მისი დიონისური გაგების და, ზოგადად, დიონისური საწყისის შესახებ. იგი თავის ნაწარმოებები სიყვარულს მუდამ წარმოადგენს როგორც სიშმაგეს, თავდავიწყებას, ირაციონალურ, იმპულსურ, აუხსნელ და რაციონალურად შეუცნობელ ფენომენს. ამავე პასაჟში, თარაში ერთმანეთს უპირისპირებს რაციონალურს და ირაციონალურს, აპოლონურს და დიონისურს, სიშმაგეს და სიფხიზლეს და ისევე, როგორც თავის სხვა ნაწარმოებებში კ. გამსახურდია აქაც აშკარად დიონისურის, ირაციონალურის უპირატესობას უსვამს ხაზს. საინტერესოა, რომ ამ შემთხვევაშიც ის თავის მოსაზრებას ანტიკური მითოსის, ანტიკური სიმბოლოების მეშვეობით გადმოსცემს. კერძოდ, აღნიშნავს, რომ ღვთაებრივი სიშმაგის წყალობით დელფოს წინასწარმეტყველებს და დოდონას მოგვ ქალწულებს ძველ საბერძნეთში არაერთი სიკეთე გაუკეთებიათ, ხოლო სიფხიზლის, ანუ რაციონალური მდგომარეობის პერიოდში კი – ბევრი არაფერი.

პლატონს კ. გამსახურდია მხოლოდ სიყვარულის კონტექსტში არ ახსენებს და არ იცნობს, ის იცნობს პლატონის სულის უკვდავების იდეასაც. კერძოდ, ახსენებს, რომ „პლატონის სულთა მიგრაცია“ შესაძლოა მართალიც იყოს, როდესაც ნადირობის დროს ემინია მის მიერ მოკლული ჯამლეტ ტარბა სხვა სახით არ გამოეცხადოს.⁷⁵⁶

კ. გამსახურდია, როგორც ჩანს, პლატონს საკმაოდ კარგად იცნობს და მის ფილოსოფიურ მოძღვრებას მის შემოქმედებაზე საკმაოდ მნიშვნელოვანი გავლენა აქვს.

ზემოთ ჩამოთვლილი მაგალითებთან ერთად კ. გამსახურდია ანტიკურ ტერმინებს – მითოსურ, ისტორიულ, გეოგრაფიულ სახელებს – არაერთხელ მოიხსენიებს. ამ მოხსენიებებს უფრო მეტად ეპიზოდური, ფრაგმენტული ხასიათი აქვს და არ გამოიყენება ნარატივის აგებისათვის, თუმცა ცხადყოფს, რომ ანტიკურ კულტურას „მთვარის მოტაცებაზე“ მნიშვნელოვანი გავლენა აქვს.

კ. გამსახურდია თავის რომანში არაერთ მითოსურ სცენას მოიხსენიებს: მაგალითად, ბორეასის მიერ ორეითიას მოტაცების სცენას;⁷⁵⁷ დოდონაში ზევსის ორაკულის შექმნას;⁷⁵⁸ პერკულესის, ანუ პერაკლეს და პოსეიდონის ვაჟის, ანთეოსის

⁷⁵⁶ „მთვარის მოტაცება“. ტ. I. 1958, გვ. 365.

⁷⁵⁷ „მთვარის მოტაცება“. ტ. I. 1958, გვ. 319.

⁷⁵⁸ „მთვარის მოტაცება“. ტ. I. 1958, გვ. 85.

შერკინებას;⁷⁵⁹ მითს ლაოკოონის შესახებ, რომელსაც იგი ძალიან საინტერესოდ და ორიგინალურად გაიაზრებს და აღიქვამს, რომ ლაოკოონს, ისევე, როგორც, ზოგადად, კაცთა მოდგმას, საკუთარივე ცოდვები ახრჩობს. გველები, რომლებიც ლაოკოონს და მის შვილებს ახრჩობენ, კ. გამსახურდია გაიაზრებს და აღიქვამს ვნებებად, ცოდვებად, რომლებიც ადამიანებს სულიერად, მენტალურად ახრჩობს.⁷⁶⁰

ლაოკოონის სახეს და შემოხვეული გველების ჩვევად, ვნებად, ცოდვად გადააზრებას კ. გამსახურდიასთან სხვა ეპიზოდშიც ვხედავთ. მწერალი აღნიშნავს, რომ „მამა-პაპათა ზნეთაგან“ ადამიანები ისე ვართ შეპყრობილები, როგორც ლაოკოონი და მისი შვილები მათზე შემოხვეული გველებისგან.⁷⁶¹

კ. გამსახურდია „მთვარის მოტაცებაში“ ორ შემთხვევაში ახსენებს ანტიკურ ტიხეს, ბედისწერის ღვთაებას. ორივე შემთხვევაში ეს უფრო ფრაგმენტული მოხსენიებაა და ტიხე მისთვის ბედისწერის აღმნიშვნელი ტერმინია („პარიზში რომ შემთხვევით გადაეყრები ნაცნობს, აქ უთუოდ ტიხეს ხელი ურევია“).⁷⁶²

ბევრი მითოსური ტერმინი გამოყენებულია შედარებისთვის: მაგალითად, აღნიშნულია რომ „ტანტალივით (ტანტალოსივით) დამრწოდა თარაშ ემხვარი“;⁷⁶³ ცხენები, გუნტერი და არაბია ისე უხდებოდნენ და ავსებდნენ ერთმანეთს, როგორც აპოლონოს ეტლს დიოსკურები;⁷⁶⁴ ხეცსურების დარბაისლობა შედარებულია რომაელ სენატორებთან;⁷⁶⁵ ღრუბლები ოქროს საწმისის ფერია;⁷⁶⁶ ბუნების ველურად აღმოცენება აღწერილია ტერმინი „პანურიტ“, რითაც მის უწყესრიგობა, სიველურეა გამოხატული;⁷⁶⁷ ხოლო დიდი მუხა, რომელზეც მტრები ბუდობენ, ორჯერ არის შედარებული ანტიკურობისთვის ცნობილ დოდონას მუხას;⁷⁶⁸ დოდონაში, ეპიროსში, ძველი საბერძნეთის ჩრდილო-დასავლეთით, მდებარეობდა უძველესი ელინური ორაკული, რომელიც ჰეროდოტოსის მიხედვით (Hist. 2, 54-57), ჯერ კიდევ ძვ.წ. II ათასწლეულიდან თარიღდებოდა, ხოლო ჰომეროსი დოდონაში ზევსის ორაკულის შესახებ საუბრობს (Iliad, XVII, 233-235; Od. XIV, 327-328). არისტოტელეს მიხედვით, ელინები სწორედ დოდონაში დაიბადნენ. ბერძნული წარმოდგენებით დოდონაში ზევსის ორაკული ჯერ კიდევ მითოსურმა დევკალიონმა და პირამ აღმართეს (Plut.

⁷⁵⁹ „მთვარის მოტაცება“. ტ. I. 1958, გვ. 295.

⁷⁶⁰ „მთვარის მოტაცება“. ტ. I. 1958, გვ. 308.

⁷⁶¹ „მთვარის მოტაცება“. ტ. I. 1958, გვ. 705.

⁷⁶² „მთვარის მოტაცება“. ტ. I. 1958, გვ. 285, გვ. 429.

⁷⁶³ „მთვარის მოტაცება“. ტ. I. 1958, გვ. 88.

⁷⁶⁴ „მთვარის მოტაცება“. ტ. I. 1958, გვ. 156.

⁷⁶⁵ „მთვარის მოტაცება“. ტ. I. 1958, გვ. 391.

⁷⁶⁶ „მთვარის მოტაცება“. ტ. I. 1958, გვ. 725.

⁷⁶⁷ „მთვარის მოტაცება“. ტ. I. 1958, გვ. 519.

⁷⁶⁸ „მთვარის მოტაცება“. ტ. I. 1958, გვ. 329, გვ. 552.

Vit. Pyrhos). ხოლო სტრაბონის მიხედვით, დოდონაში ორაკული პელასგებმა აღმართეს (7,7). კ. გამსახურდია სტრაბონს საკმაოდ კარგად იცნობს და ხშირად იმოწმებს. შესაძლებელია, დოდონათი მისი დაინტერესება იმანაც განაპირობა, რომ სტრაბონის გავლით მან იცის ამ ორაკულის პელასგებთან მიმართების შესახებ, რომელიც უძველესი, ნაკლებად შესწავლილი, არაბერძნული კულტურაა და რომელსაც მეცნიერთა ნაწილი წინარეწართულ სამყაროსთან აკავშირებს ხოლმე (ძირითადად ლინგვისტურად).

„მთვარის მოტაცებაში“ ჩანს, რომ კ. გამსახურდია კარგად იცნობს ანტიკურ მხატვრულ ლიტერატურას და კულტურას. ის ანტიკური მწერლობიდან სხვადასხვა პერსონაჟს და სცენებს არაერთხელ იხსენიებს. თარაშ ემხვარი პერსონაჟ კონსტანტინე გამსახურდიასთან საუბრის დროს ახსენებს, რომ მთა ურჩევნია ზღვას, რადგან უფრო ველური, პირველყოფილი და ბუნებრივი მოცემულობაა. იქვე კი ახსენებს, რომ „ოდისევსის დროინდელი ზღვა“ სხვანაირი იყო. აქ ის გულისხმობს ჰომეროსის „ოდისეას“, რომლის მთავარი სიუჟეტი მისი მთავარი პერსონაჟის ოდისევსის ზღვაზე მოგზაურობას, ხეტიალს და თავგადასავლებს უკავშირდება. სწორედ აქედან გამომდინარე თარაშისთვის ოდისევსის ზღვა გამომდინარე „ოდისეას“ სიუჟეტიდან მის თავგადასავლიან, საინტერესო, ბუნებრივად ველურ ხასიათთან ასოცირდება.⁷⁶⁹

როგორც ჩანს, კ. გამსახურდია საკმაოდ კარგად იცნობს „ოდისეას“ და მისი სიუჟეტის გამო მას ტიპურ, საზღვაო პოემად აღიქვამს. ანუ მისთვის ეს პოემა ზღვასთან, ზღვის ესთეტიკასთან ასოცირდება. თარაშის საზღვაო მოგზაურობის აუცილებელი ატრიბუტია „ოდისეას“ (ტექსტში მოხსენიებულია მისი მთავარი პერსონაჟის ოდისევსის სახელის მიხედვით და არა „ოდისეას“ ფორმით) კითხვა.⁷⁷⁰ აქვე, დაკონკრეტებულია, რომ ის მეათე სიმღერას კითხულობდა და ახსენებს მეფე ეოლოსს.

ერთ-ერთ თავს, „კოლხურ ღამეს“ ის იწყებს ლუკიანოსის „წერილები პონტოდან (Epistolae Ex Ponto) წანამძღვარი – „შენში ისე ხრჩოლავს კოლხური შხამი, როგორც ის ქურა, რომელშიც მას ამზადებენ“. სვანეთში თარაში პინდაროსის ლექსს იგონებს, როდესაც ადგილობრივ ტრადიციებს ეცნობა.⁷⁷¹ როგორც ჩანს, ლუკიანოსს და პინდაროსს კ. გამსახურდია კარგად იცნობს, რადგან მათ პირდაპირ ციტირებს.

იგი ახსენებს ჰიპოკრატესსაც, თუმცა უფრო ზოგად კონტექსტში, როგორც მედიცინის მამას, რომელსაც ევროპელი მეცნიერები დღემდე უსმენენ და მის ნაწერებს ეცნობიან.⁷⁷²

⁷⁶⁹ „მთვარის მოტაცება“. ტ. I. 1958, გვ. 329, გვ. 508.

⁷⁷⁰ „მთვარის მოტაცება“. ტ. I. 1958, გვ. 329, გვ. 368.

⁷⁷¹ „მთვარის მოტაცება“. ტ. I. 1958, გვ. 329, გვ. 443.

⁷⁷² „მთვარის მოტაცება“. ტ. I. 1958, გვ. 329, გვ. 428.

კ. გამსახურდია ახსენებს ანტიკური ეპოქის ხელოვანებსაც ფიდიასს და პრაქსიტელესს და ფრინას, პრაქსიტელესის საყვარელ ქალს.⁷⁷³ ჩამოთვლის ასევე გეოგრაფიულ ტერმინებსაც, მათ შორის ჰელიპოლისს, რაც ეგვიპტის ელინურ ქალაქს ჰელიოპოლისს უნდა ნიშნავდეს. რომში სეირნობის დროს აღნიშნულია, რომ რომში ობელისკი ჰელიპოლის მზის ტაძარიდან იყო ჩამოტანილი.⁷⁷⁴

ასევე იგი ახსენებს შავი ზღვის ანტიკურ შესატყვისს, ევქსინის პონტოსს და მას მუხანათ ზღვას უწოდებს.⁷⁷⁵ იტალიაში მოგზაურობის დროს მოხსენიებულია ანტიკური ტოპონიმები – ფორუმ რომანუმი, რომის ცენტრი და ასევე ანტიკური იტალიის ქალაქები პომპეი და მესინა.⁷⁷⁶ სხვა ეპიზოდში იგი ასევე ახსენებს ფორუმ რომანუმს და იქვე მდებარე კაპიტოლიუმის მუზეუმს, რომელიც რომისთვის ისტორიულ კაპიტოლიუმის ბორცვზე მდებარეობდა.⁷⁷⁷

ასევე მოხსენიებულია კორინთოსი და კორინთოსის არხი, რომელიც ისთმოსის ყელზე ერთ-ერთ მნიშვნელოვან სატრანსპორტო არტერიას წარმოადგენდა და ეგეოსის ზღვას.⁷⁷⁸ ელენ რონსერისადმი მიწერილ წერილში თარაში აღწერს იმ პოტენციურ მარშრუტს, რომლითაც იტალიიდან შესაძლოა ადამიანს კოლხეთამდე, დასავლეთ საქართველომდე მიეღწია. სწორედ ამ კონტექსტში იხსენებს კორინთოსის არხს და ეგეოსის ზღვარს, როგორც ამ შესაძლო მარშრუტის ნაწილს წარმოადგენდა.

მნიშვნელოვანი ეპიზოდია, როდესაც თარაში ჩამოთვლის იმ ქალაქებს, რომლებშიც დიდი, მსოფლიო მნიშვნელობის მქონე კულტურები დაწყებულია. ამ ჩამონათვალში იგი იხსენიებს ანტიკურ ათენს და რომს შუა საუკუნეების ვენეციასა და ფლორენციას, ახალი დროის პარიზსა აღმოსავლურ ქალაქებთან ერთად.⁷⁷⁹

კ. გამსახურდია ხშირად იხსენიებს მითოსურ სახელებსაც. გოგონა, რომელმაც ცხენ არაბიას გადაურბინა წინ და თან შეეშინდა, თან ცხენმა მისი აღტაცება გამოიწვია, შედარებულია ბერძნული მითოსური პანის მიერ ფერიის შეშინებასთან, რომელიც „ძველ ბერძნულ ფრესკებზე არის გამოსახული“.⁷⁸⁰

მცირეწლოვანი თათიას მიერ მისი მამიდის თამართან შეხება თუ მოფერება და ამ შეხებით გამოწვეული განცდა შედარებულია ეროსის სხეულში შემოსვლის განცდასთან.⁷⁸¹ კ. გამსახურდიას ვნებიანი, ტემპერემანტიანი ხასიათის გამოსახატად

⁷⁷³ „მთვარის მოტაცება“. ტ. I. 1958, გვ. 219-220, გვ. 288.

⁷⁷⁴ „მთვარის მოტაცება“. ტ. I. 1958, გვ. 219-297.

⁷⁷⁵ „მთვარის მოტაცება“. ტ. I. 1958, გვ. 219-369.

⁷⁷⁶ „მთვარის მოტაცება“. ტ. I. 1958, გვ. გვ. 554.

⁷⁷⁷ „მთვარის მოტაცება“. ტ. I. 1958, გვ. გვ. 562.

⁷⁷⁸ „მთვარის მოტაცება“. ტ. I. 1958, გვ. გვ. 559.

⁷⁷⁹ „მთვარის მოტაცება“. ტ. I. 1958, გვ. გვ. 691.

⁷⁸⁰ „მთვარის მოტაცება“. ტ. I. 1958, გვ. გვ. 126.

⁷⁸¹ „მთვარის მოტაცება“. ტ. I. 1958, გვ. 282.

ხშირად იყენებს ტერმინს – ბაკხიურს, დიონისეს რომაული ვერსიის ბაკხუსის მიხედვით.⁷⁸² იმავე ეპიზოდში მსჯელობა მიმდინარეობს ნიცმეს შესახებ, რომელიც ჯვარზე გაკრულ დიონისოსთან არის შედარებული. დიონისოსთან ნიცმეს შედარების წინაპირობა ის არის, რომ „მისი გახელებული სიძულვილი უმაღლეს სიყვარულს ემიჯნებოდა“. ანუ ნიცმე დიონისეს მსგავსად ექსტრემალური გრძნობების რადიკალური, ემოციური კონტექსტის ფიგურაა.

„მთვარის მოტაცებაში“ კ. გამსახურდია არაერთ მითოსურ პერსონაჟსაც იხსენიებს. მაგალითად, კაპიტოლიუმის მუზეუმში თარაში ვენუსის (მოიხსენიებს ვენერა ფორმით) და პერსეფონეს ქანდაკებები ნახა.⁷⁸³ იმ ეპიზოდში, როდესაც ავტორი შავ ზღვას ანტიკური სახელით ევქსინის პონტოთი იხსენიებს და აღნიშნავს, რომ ანტიკური დროიდან მოყოლებული ეს ზღვა მუხთალი ზღვის სახელით იყო ცნობილი მისი ღელვების და ცუდი ამინდების გამო. კ. გამსახურდია ცუდ ამინდს და ზღვის ღელვას პოსეიდონის სახელს უკავშირებს და აღნიშნავს, რომ ღელვა პოსეიდონის ქვესკნელის დამცრას ნიშნავს.⁷⁸⁴

კოლხისის დაბლობზე ლამაზი ყვავილი კოლხურ ფერია, ნიმფე კოლხიკედ არის მოხსენიებული.⁷⁸⁵ აფხაზეთში, კაც ზვამბაიას გარდაცვალების დროს, მოტირალთა მოთქმას ავტორი ბერძნულ ქოროს (მოიხსენიებს ხოროს ფორმით) ადარებს.⁷⁸⁶

უაღრესად საინტერესო ეპიზოდია, როდესაც ავტორი მსჯელობს მისი თანამედროვე ევროპული კულტურის და ასევე ანტიკური ცივილიზაციის შესახებ. მისი შეფასებით, ევროპული კულტურა უფრო მეტად „ქალურია“. აქვე იხსენიებს, რომ ევროპულ ხელოვნებას ქალებისთვის, მაგალითად, მადონასთვის ხოტბა არაერთხელ შეუსხამს. ქალი ევროპული კულტურისთვის მთავარი მუზაა. შემდეგ კი ადარებს მის თანამედროვე ევროპულ კულტურას ანტიკურობას და აღნიშნავს, რომ ანტიკური კულტურა უფრო მასკულიზური, უფრო მეტად ვაჟური იყო. ანტიკური კულტურის ვაჟურობის სიმბოლოდ ის ღმერთ აპოლონს ასახელებს, რომელიც სინათლისა და სილამაზის ღმერთია.⁷⁸⁷

როგორც თავის სხვა ნაწარმოებებში „მთვარის მოტაცებაშიც“ კ. გამსახურდიასთვის ეროსს, განსაკუთრებით კი მის პლატონურ გაგებას, საკვანძო ადგილი უჭირავს. თავისი სხვა რომანების მსგავსად ავტორი ეროსს როგორც სიშმაგეს ისე აღწერს. ამას ადარებს შმაგ და სასტიკ მონადირეს და მიიჩნევს, რომ

⁷⁸² „მთვარის მოტაცება“. ტ. I. 1958, გვ. 287.

⁷⁸³ „მთვარის მოტაცება“. ტ. I. 1958, გვ. 311.

⁷⁸⁴ „მთვარის მოტაცება“. ტ. I. 1958, გვ. 369.

⁷⁸⁵ „მთვარის მოტაცება“. ტ. I. 1958, გვ. 427.

⁷⁸⁶ „მთვარის მოტაცება“. ტ. I. 1958, გვ. 661.

⁷⁸⁷ „მთვარის მოტაცება“. ტ. I. 1958, გვ. 624.

ეროში სინაზის ადგილი არ არის და იგი არც აუცილებლად ბედნიერების მომტანია. პირიქით, უწოდებს მას სიკვდილზე უფრო ტლანქს და მამაცს, გაუმაძღარს, რომელსაც მუდამ სიყვარული უნდა. ადარებს მას ხარჯიხვს, რომელსაც მუდამ ბრძოლა, შერკინება, გამარჯვება, მოუხელთებლის მოხელთება, იტაცებს და ის უფრო სიბნელეში, ოცნებისგან სიმთვრალეში გრძნობს თავს კარგად, ვიდრე სინათლეში. სინათლე აქ რაციონალობას, ლოგიკურობას, აპოლონურ საწყისს უნდა განსაზღვრავდეს, რომელიც თავისი არსით სიმშაგეს, სიგიჟეს, დიონისურ ირაციონალობას უპირისპირდება.⁷⁸⁸

კ. გამსახურდია ხანდახან ეროსს ფილოსოფიური დატვირთვის გარეშე, უბრალოდ სიყვარულის სინონიმადაც გამოიყენებს. მაგალითად, აღნიშნავს, რომ წყვილებით სავსე ბნელ ხეივნებში ეროსი დასეირნობს. ამას მოჰყვება ფრაზა, რომელიც ან საბჭოთა ცენზურის გავლენით უნდა აიხსნას, ანდაც კ. გამსახურდიას გულწრფელი კრიტიკული დამოკიდებულება აქვს მისი დროის ევროპის მიმართ. კერძოდ, იგი აღნიშნავს, რომ შედეგად მილიონები იბადებიან, რომლებიც „ევროპის ქარხნების აურაცხელ მონების ლაშქარს“ მიემატებიან. XIX საუკუნეში ინდუსტრიულმა რევოლუციამ ახალი სოციალური ფენა, მუშები ჩამოაყალიბა, რომელთაც სწრაფი ურბანიზაციის და შეზღუდული უფლებების კონტექსტში საკმაოდ მძიმე ცხოვრება ჰქონდათ მრავალსაათიანი სამუშაო დღით, რთული სამუშაო პირობებით, ცოტა უფლებებით და მწირი ანაზღაურებით. სოციალისტური თემატიკა ამ პერიოდის ევროპულ მწერლობაში ძალიან პოპულარულია. თუკი კ. გამსახურდია საბჭოთა ცენზურის გავლენით არ წერს, ის ამ ტენდენციას უნდა მიჰყვებოდეს და ევროპელ მუშებს „ქარხნის მონებად“ მოიხსენიებს.

ანტიკურობის რეცეფცია ხშირად გვხვდება კონსტანტინე გამსახურდიას კიდევ ერთ რომანში, „დავით აღმაშენებელში“ ამ შემთხვევაშიც რამდენიმე ძირითადი მიმართულება უნდა გამოიყოს. ყველაზე საინტერესო ის არის, რომ თავის სხვა ნაწარმოებებისგან განსხვავებით „დავით აღმაშენებელში“ კ. გამსახურდია განსაკუთრებით ხშირად იმოწმებს და იხსენიებს პლატონს და არისტოტელეს. ამ რომანში უკვე ე.წ. „ოქროს ხანის“ საქართველოა აღწერილი, რომლისთვისაც სახასიათო კულტურული და ინტელექტუალური აღზევებაც არის და ამ კონტექსტში აუცილებელია პირდაპირი კავშირი ანტიკურ მემკვიდრეობასთან, განსაკუთრებით ანტიკურ ფილოსოფიასთან. პლატონი და არისტოტელე რომანში განათლების, სიბრძნის აუცილებელ წინაპირობას ქმნიან. პერსონაჟები, მათ შორის თავად დავითიც კითხულობენ მათ ტექსტებს, განიხილავენ, ციტირებენ და მათ ცალკეულ იდეებზე მსჯელობენ.

⁷⁸⁸ „მთვარის მოტაცება“. ტ. I. 1958, გვ. 674-675.

კ. გამსახურდიასთვის, ისევე, როგორც ამ პერიოდის შესახებ შექმნილი სხვა ავტორების ნაწარმოებებისთვის საქართველოს, როგორც ევროპული და ქრისტიანული სამყაროს ერთ-ერთი ლიდერის (დავითი ქმნის ამ კონცეფციას, მისი მმართველობის პერიოდში შეესხა ხორცი ამ იდეას), პირდაპირი ბმა ანტიკურ მემკვიდრეობასთან მნიშვნელოვანი იდეაა. დავითის სახელმწიფოში ერთიანდება როგორც ქრისტიანული, ასევე ანტიკური ტრადიცია, რომელსაც ყველაზე მეტად სწორედ პლატონი და არისტოტელე განასახიერებენ. ამ მხრივ კიდევ ერთი, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი სახეა მარიამ დედოფალი, ბაგრატიონი და ბიზანტიის დედოფალი, იმპერატორების მიხეილ VII-სა და ნიკოფორე III-ის მეუღლე, რომელიც დავით აღმაშენებელს მამიდად ეკუთვნის. ბიზანტიასთან, როგორც ქრისტიანული სამყაროს ლიდერთან და ანტიკური ტრადიციის გამგრძელებელთან, კავშირები დავითის და მისი პერიოდის საქართველოს ამბიციას წონა მატებს.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ეს განათლების დონეზე. რომანში მისი პროტაგონისტები, ძირითადი პერსონაჟები სწორედ ანტიკური ფილოსოფიური განათლების საფუძველზე დგანან. აღსანიშნავია ისიც, რომ, როგორც ნაწარმოებიდან ჩანს, კ. გამსახურდია მხოლოდ კი არ იხსენიებს პლატონს და არისტოტელეს და მისთვის ეს ანტიკური ფილოსოფოსები მხოლოდ სიმბოლოებს კი არ წარმოადგენენ, არამედ საკმაოდ სიღრმისეულად იცნობს მათ ნაშრომებს და მათ იდეებს განიხილავს კიდევ ნაწარმოებში.

რომანში განსაკუთრებით ხშირად პლატონის „ნადიმი“ მოიხსენიება. მარიამი აღნიშნავს, რომ ანნა კომნენამ (იგულისხმება ბიზანტიის იმპერატორი ალექსი კომნენოსის შვილი და თავადაც ისტორიკოსი) შეაყვარა მას პლატონის „ნადიმი“, რომელშიც სულის გარდაცვალების და მისი ხელმეორედ დაბადების, ახლიდან მოსვლის იდეაა, გახმოვანებული.⁷⁸⁹

სხვა სცენაში მარიამ დედოფალი უკვე დედისიმედს უკითხავს პლატონის „ნადიმს“, რომელიც ანა კომნენას ნაჩუქარია. ხაზგასმულია, რომ მარიამი ბერძნულად კითხულობს. ბერძნულის ცოდნა, მით უმეტეს, ბიზანტიის დედოფალისთვის განათლების აუცილებელი პირობაა. „ნადიმიდან“ მარიამი კითხულობს მონაკვეთს, რომელიც სიყვარულს, მიჯნურობას ეხება და რომელშიც მითოსური ალკესტისის მაგალითზე განხილულია, რომ მიჯნურები მზად უნდა იყვნენ ერთმანეთისთვის სიცოცხლეც გაიღონ.⁷⁹⁰ ამ შემთხვევაში კ. გამსახურდია ახდენს პლატონის

⁷⁸⁹ „დავით აღმაშენებელი“, კ. გამსახურდია. რჩეული თხზულებანი, რვატომეული. ტ. IV. თბილისი, 1962, გვ. 224.

⁷⁹⁰ „დავით აღმაშენებელი“. ტ. IV. 1962, გვ. 301.

„ნადიმიდან“ ათენელი ფედროსის, სოკრატეს თანამოაზრის და მეგობარის სიტყვების რეცეფციას (Symp. 179 c- 180 b). პლატონის ფედროსის პირით ახმოვანებს იმ იდეას, რომელიც კ. გამსახურდიასთვის ერთ-ერთი ძირითადი მოტივია, მთელი მისი შემოქმედების მანძილზე. კერძოდ, ის, რომ სიყვარული, ეროსი ყველაზე დიდი და ძლიერი ღმერთია და შესაბამისად, სიყვარულისთვის თავის შეწირვა ღმერთების მოსაწონი საქციელია.

პლატონის „ნადიმს“ და ამ იდეას მარიამი რომანის სხვა ეპიზოდშიც უბრუნდება. მარიამი ამჯერად გვანცას უკითხავს მონაკვეთს „ნადიმიდან“, რომელშიც წყვილების, მიჯნურების ერთად ომში წასვლასა და ბრძოლაზეა საუბარი. პლატონის იდეა, რომ მოეწყოს სახელმწიფო, რომელშიც შეყვარებულები, მიჯნურები, ერთად იომებენ მარიამს მოსწონს და მხარს უჭერს. იქვე პლატონის იდეა გამყარებულია უკვე ისტორიული კონტექსტით, რომ თებესა და სპარტას ომში პელოპიდასმა (მოხსენიებულია პელოპიასის ფორმით) სწორედ ასეთი, მიჯნურების, ლაშქართ დამარცხა სპარტელები.⁷⁹¹ პელოპიდასი ძვ.წ. IV საუკუნის I ნახევარის თებელი სტრატეგოსი იყო, რომელმაც ეპამინონდასთან ერთად თებეს რამდენიმე მნიშვნელოვანი გამარჯვება მოუტანა, მათ შორის, ლევკტრას ბრძოლაში, სპარტას წინააღმდეგ (ძვ.წ. 371 წ.).

კ. გამსახურდია ამ ეპიზოდში სწორედ ლევკტრას ბრძოლას სპარტასა და თებეს შორის (ძვ.წ. 371 წ.) და მასში ე.წ. თებეს წმინდა რაზმის (Ιερός Λόχος) მონაწილეობას უნდა გულისხმობდეს. ანტიკური წყაროები თებელთა ე.წ. „წმინდა რაზმის“ შესახებ არაერთხელ გადმოგვცემენ. მათ შორის ყველაზე ცნობილი პლუტარქოსია (პელოპიდასის ბიოგრაფია) და ქსენოფონი. თებელთა „წმინდა რაზმში“ 150 წყვილი შედიოდა. ყველაზე გავრცელებული მოსაზრებით ეს იყო მამაკაცთა წყვილები, ანუ პლატონი „ნადიმში“ ამ ისტორიულ ამბავს ჰომოსექსუალური სიყვარულის (უფრო სწორად, ზოგადად, სიყვარულის) კონტექსტში იხსენიებს, თუმცა კ. გამსახურდიასთან, მარიამ დედოფალი ორ სხვადასხვა პერსონაჟს, ახალგაზრდა ქალებს, დედისიმედს და გვანცას, უკვე სხვა კონტექსტში, სიყვარულისთვის თავის გაწირვის იდეის პერსპექტივით, უკითხავს. და იქვე, მაგალითად, ალკესტისი მოჰყავს, მითოსური პერსონაჟი, ქალი, რომელმაც ევრიპიდეს ამავე სახელწოდების ტრაგედიის („ალკესტისი“) მიხედვით თავი შესწირა თავის მეუღლეს. უცნობია, ნაწარმოებიდან არ ჩანს, კ. გამსახურდიამ იცოდა, რომ თებეს „წმინდა რაზმი“ ჰომოსექსუალი წყვილებისგან შედგებოდა, შეგნებულად შეცვალა კონტექსტი და ეს ისტორიული ამბავი სიყვარულის ძალის, სიყვარულისთვის თავგანწირვის მაგალითად აქცია, თუ ის უბრალოდ მიჰყვება პლატონის „ნადიმს“, ახდენს მის

⁷⁹¹ „დავით აღმაშენებელი“. ტ. IV. 1962, გვ. 348-349.

რეცეფციას ისე, რომ დეტალურად არ იცნობდა თეზეს „წმინდა რაზმს“. ამ საკითხზე დადასტურებულად მსჯელობა რთულია, თუმცა გამომდინარე იქიდან, რომ კ. გამსახურდია ძალიან კარგად იცნობს ანტიკურ მწერლობას და კულტურას, მათ შორის იცნობს პლუტარქოსსაც, სავარაუდოა, რომ ეს უფრო პირველი ვარიანტი უნდა იყოს და ის შეგნებულად ცვლის კონტექსტს, ისტორიულ ამბავს საკუთარი ჩანაფიქრისთვის იყენებს.⁷⁹²

ნაწარმოებში იკვეთება თავისებური დაპირისპირება ქრისტიანულ და ქრისტიანობამდელ, ბერძნულ-რომაულ სამყაროსთან. მარიამ დედოფალს საყვედურობენ, რომ სწორედ მან ჩამოიტანა პლატონის და არისტოტელეს წიგნები.⁷⁹³

ხოლო სხვა ეპიზოდში პირდაპირ არის აღნიშნული, რომ ეკლესია პლატონს „წარმართად“ აღიქვამს და მის მოძღვრებას სახიფათოდ მიჩნევს. მიქაელ ფსელოსი, შუა საუკუნეების ბიზანტიელი ბერი და ფილოსოფოსი, რომელიც ნაწარმოებში პერსონაჟად არის გამოყვანილი, პლატონის მოწონებისა და მხარდაჭერის გამო, გაკრიტიკებულია. მეტიც, პლატონის მხარდამჭერები და თანამოაზრეები მწვალებლებადაც არიან მოხსენიებული, რომლებიც ეკლესიიდან უნდა განიკვეთონ.⁷⁹⁴

პლატონს სხვადასხვა პერსონაჟი ტექსტის სხვა ნაწილებშიც კითხულობს.⁷⁹⁵ საინტერესოა, რომ ერთ ეპიზოდში მარიამ დედოფალი კითხილობს პლატონის „სიმფიზიონს“. გასაგებია, რომ კ. გამსახურდია პლატონის რომელიღაც დიალოგის ბერძნულ სახელს ამახინჯებს. ყველაზე იოლად „სიმფიზიონის“ დაკავშირება პლატონის „სიმპოსიუმთან“ ანუ „ნადიმთან“ შეიძლება, რომელიც რომანში აქამდეც მოხსენიებულია. უცნაური ის არის, თუ რატომ გამოიყენებს კ. გამსახურდია ორ პარალელურ ფორმას – ქართულ „ნადიმს“ და მის ბერძნულ სინონიმს „სიმპოსიუმს“ დამახინჯებული „სიმფიზიონი“ ფორმით.

„ნადიმის“ გარდა მოხსენიებულია პლატონის სხვა დიალოგიც – „კრიტონი“. კერძოდ, აღნიშნულია, რომ კლემენტ ალექსანდრიელი ახ.წ. II საუკუნის ქრისტიანი მოღვაწე პლატონს, კერძოდ, მის „კრიტონს“ ციტირებდა.⁷⁹⁶ რომანში აღნიშნულია პლატონის ფილოსოფიური მოძღვრების საკვანძო და, ალბათ, ყველაზე მნიშვნელოვანი დებულება, რომ „სხეული დილეგია სულისა“.⁷⁹⁷ როგორც ჩანს, ამ

⁷⁹² აღნიშნულთან დაკავშირებით იხ. P. W. Ludwig. *Eros and Polis: Desire and Community in Greek Political Theory*. Cambridge, 2002; L. Compton. 'An Army of Lovers' – The Sacred Band of Thebes. *History Today*. 44 (11). 1994, გვ. 23-29.

⁷⁹³ „დავით აღმაშენებელი“. ტ. IV. 1962, გვ. 348-349.

⁷⁹⁴ „დავით აღმაშენებელი“. ტ. IV. 1962, გვ. 474.

⁷⁹⁵ „დავით აღმაშენებელი“. ტ. IV. 1962, გვ. 599, გვ. 485.

⁷⁹⁶ „დავით აღმაშენებელი“. ტ. IV. 1962, გვ. 599, გვ. 475.

⁷⁹⁷ „დავით აღმაშენებელი“. ტ. IV. 1962, გვ. 599, გვ. 717.

შემთხვევაში ეს მონაკვეთი მიემართება პლატონის დიალოგებიდან „ტიმეოს“ (44დ), რომელშიც აღნიშნულია, რომ სული განთავსებულია ადამიანის სხეულში. შესაძლოა, კ. გამსახურდიას რომანში ამ მონაკვეთზე გავლენა რომელიმე სხვა დიალოგსაც ჰქონდეს (მაგალითად, „ფედონს“), რადგან პლატონი სულის უკვდავების შესახებ თავის არაერთ დიალოგში მსჯელობს. თუმცა, „ტიმეოსში“ ხაზგასმით ამბობს, რომ⁷⁹⁸ სული სხეულში მდებარეობს.

საინტერესოა, რომ, თუკი ნაწარმოების პირველ ნაწილში წინა პლანზე პლატონი და მისი კითხვაა, მეორე ნაწილში, სხვადასხვა პერსონაჟი უკვე არისტოტელეს კითხულობს და სწორედ ის მიიჩნევა სიბრძნის, განათლების აუცილებელ პირობად. მაგალითად, მეფე ჩუმ-ჩუმად, ღამდამოებით სწორედ არისტოტელეს კითხულობს.

დავითი არისტოტელეს რომანის სხვა ეპიზოდშიც კითხულობს, უკვე კლდეკარში, კერძოდ არისტოტელეს მიერ სიყვარულის განმარტებას.⁷⁹⁹ უფლისწული და ნიანია ასევე არისტოტელეს კითხულობენ,⁸⁰⁰ ხოლო მახარია კითხულობს არისტოტელეს „ორგანონს“.⁸⁰¹

საინტერესოა, თუ როგორ შეიძლება აიხსნას, რომ ნაწარმოების პირველ ნაწილში პლატონია ის ფილოსოფოსი, რომელიც სიბრძნის და განათლების განმსაზღვრელია, ხოლო მეორე ნაწილში კი პლატონს არისტოტელე ანაცვლებს. პარალელურად, ერთსა და იმავე კონტექსტში, ან მონაკვეთში, ეს ფილოსოფოსები მხოლოდ ერთხელ მოიხსენიებიან. არც ის გვხვდება, რომ პლატონი და არისტოტელე ერთმანეთის მიყოლებით, სხვადასხვა ეპიზოდში მოიხსენიებოდეს. პირველ ნაწილში, პრაქტიკულად, მხოლოდ პლატონი იხსენიება, ხოლო მეორეში – არისტოტელე. შესაძლოა, ეს აიხსნას იმით, რომ თავად ავტორი თავისი ცხოვრების და შემოქმედების სხვადასხვა ეტაპზე ჯერ პლატონით იყო დაინტერესებული და შთაგონებული იმ პერიოდში, როდესაც იგი რომანის პირველ ნაწილზე მუშაობდა, ხოლო შემდეგ კი, რომანის მეორე ნაწილი იმ პერიოდშია შექმნილი, როცა კ. გამსახურდია უფრო მეტად არისტოტელეთი ინტერესდება.

შესაძლოა, ეს უბრალოდ მხატვრული ჩანაფიქრი იყოს და ანტიკურობის ორი, ალბათ, ყველაზე დიდი მოაზროვნე ავტორმა უბრალოდ გაანაწილა რომანის სხვადასხვა ნაწილში.

პლატონის და არისტოტელეს გარდა ნაწარმოებში სამჯერ მოიხსენიება ასევე ეპიკუროსი (მოიხსენიება ეპიკურეს ფორმით) ბერძენი ფილოსოფოსი, რომელიც

⁷⁹⁸ „დავით აღმაშენებელი“, კ. გამსახურდია. თხზულებათა სრული კრებული. ტ. III. თბილისი, 1960, გვ. 246.

⁷⁹⁹ „დავით აღმაშენებელი“. ტ. III. 1960, გვ. 389.

⁸⁰⁰ „დავით აღმაშენებელი“. ტ. III. 1960, 1960, გვ. 92.

⁸⁰¹ „დავით აღმაშენებელი“. ტ. III. 1960, 1960, გვ. 340.

ეპიკურეიზმის ფუძემდებლად მიიჩნევა. ისიც კია აღნიშნული, რომ პლატონზე მეტად რიგ შემთხვევებში პატივს ეპიკუროსს მიაგებენ, მისი მოძღვრება უფრო ახლობელია.⁸⁰²

სხვა შემთხვევაში კი იგი აღნიშნავს, რომ ეპიკუროსი ყველაზე დიდი ბრძენია, რადგან მან მოგვცა ეუდაიმონიის, ბედნიერების, კარგად ყოფნის კონცეფცია.⁸⁰³ ეპიკურეიზმი სულის აღუშფოთველობას, შინაგან სიმშვიდეს ქადაგებს გარეგანი ვნებებისადმი, მათ შორის შიშისგან, ინდიფერენტიზმის, დისტანცირების გზით. როგორც ჩანს, კ. გამსახურდია იცნობს ამ მოძღვრებას და მის ძირითად იდეებს (შესაძლოა, იცნობს ლუკრეციუსის შრომას „საგანთა ბუნების შესახებ“), რომელიც ეპიკურეიზმის შესახებ შექმნილი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ანტიკური ტექსტია) და იზიარებს მას. საინტერესოა, რომ ეუდაიმონიის გაგება, მისი ეთიკური და ფილოსოფიური კონცეფციით, არ არის მხოლოდ ეპიკურეიზმის მონაპოვარი. ეუდაიმონიის შესახებ მსჯელობენ სოკრატე, პლატონი და არისტოტელე. თუმცა კ. გამსახურდია ეუდაიმონიას ეპიკურეიზმთან აკავშირებს.

როგორც აღვნიშნეთ, რომანში ძველი ბერძენი ფილოსოფოსების ნაწარმოებების კითხვის არაერთი სცენაა აღწერილი. საინტერესოა, რომ ხშირ შემთხვევაში აღნიშნულია, რომ მათ ნაწარმოებებს ჩუმად, მალულად, დაფარულად კითხულობენ. ეს უნდა აიხსნას თავისებური, კულტურულ-ცივილიზაციური დაპირისპირებით შუა საუკუნეებისთვის ტიპური ქრისტიანული კულტურასა და ქრისტიანობამდელ ძველ ბერძნულ-რომაულ კულტურას შორის. „დავით აღმაშენებელში“ იმ ეპოქის საქართველო ორივე ამ ცივილიზაციას აერთიანებს თავის თავში, მიუხედავად მათი განსხვავებული ხასიათისა. ანტიკური კულტურისა და ფილოსოფიის შეცნობა კი თავისი არსით თითქოს ნაწილობრივ უპირისპირდება იმ პერიოდში არსებულ განწყობებს, თუმცა, მეორე მხრივ, ანტიკური კულტურა და განათლება აუცილებელი პირობაა სიბრძნისა და გონიერებისთვის. ნაწარმოების ყველა პროტაგონისტი იცნობს და ეცნობა ანტიკურ ფილოსოფიურ და ინტელექტუალურ მემკვიდრეობას, უპირველეს ყოვლისა კი ზემოთ ხსენებულ პლატონს და არისტოტელეს.

პლატონის და არისტოტელეს გარდა, რომანში ხშირად არის მოხსენიებული ჰომეროსი და მისი პოემები. მარიამ დედოფალი „ილიადას“ კარგად იცნობს და ზეპირად ციტირებს. კერძოდ, პირველ სიმღერას, როდესაც ქურუმი ქრისეისი (ნაწარმოებში მოხსენიებულია ხრიზე-ს სახელით) საყვედურობს აპოლონს.⁸⁰⁴

⁸⁰² „დავით აღმაშენებელი“. ტ. III. 1960, გვ. 472.

⁸⁰³ „დავით აღმაშენებელი“. ტ. III. 1960, გვ. 533.

⁸⁰⁴ „დავით აღმაშენებელი“. ტ. III. 1960, გვ. 204.

კ. გამსახურდია ჰომეროსს, ამჯერად, „ოდისეას“ სხვა შემთხვევაშიც საკმაოდ დეტალურად და სიღრმისეულად ციტირებს. კერძოდ, იხსენებს ფეაკების სამეფოში, აფროდიტეს ხელით დარგულ ბროწეულის ხეს.⁸⁰⁵ როგორც ჩანს, კ. გამსახურდია ჰომეროსის შემოქმედებას ძალიან დეტალურად იცნობს. მარიამ დედოფალი ჰომეროსს ჯადოსან ღმერთს უწოდებს.⁸⁰⁶

რომანში ავტორი იმეორებს იმ თეზისს, რომელსაც თავის სხვა ნაწარმოებებშიც ახმოვანებს. კერძოდ, ხაზს უსვამს პოეტის, შემოქმედის მნიშვნელობას და აღნიშნავს, რომ არც აქილევესი და არც ოდიზესი (იხსენიებს, როგორც ოდიზეს, ითაკის მეფე) არ შემორჩებოდა ისტორიას მათი მეხოტბე ჰომეროსი რომ არ ყოფილიყო.⁸⁰⁷ სხვა ეპიზოდში იგი კვლავ უბრუნდება ამ იდეას და აღნიშნავს, რომ სადავოა, ვინ უფრო მნიშვნელოვანია ჰომეროსი თუ აქილევესი, ალექსანდრე თუ არისტოტელე.⁸⁰⁸ კ. გამსახურდიას მიხედვით, ხელოვანი, პოეტი, ის ადამიანი, რომელიც შემდეგ თაობებს თავის ხელოვნებაში კონკრეტულ ამბავს თუ ისტორიულ ფიგურას, მისი მიღწევებით და ისტორიული საქმეებით შემოუნახავს, უფრო, სულ მცირე, არანაკლებ უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე თავად ამ ისტორიული პროცესების გმირი. სწორედ ამიტომ მიიჩნევს, რომ ალექსანდრეს ისტორიულ სიდიადეს ის წყაროები და ავტორები ქმნიან, რომელთაც მის შესახებ ამბავი შემოგვინახეს და მას ხოტბა შეასხეს. საინტერესოა, რომ ამ კონტექსტში იგი იხსენიებს არისტოტელესს (არისტოტელეს), რომელიც ალექსანდრეს ისტორიკოსია, თუმცა მის ნაშრომს ჩვენამდე არ მოუღწევია. არისტოტელესი მხოლოდ ფრაგმენტების სახით არის შემორჩენილი სხვა ისტორიოგრაფიკოსების ნაწარმოებებში. თუმცა, როგორც ბევრ სხვა მონაკვეთში, ამ შემთხვევაშიც იკვეთება, რომ კ. გამსახურდია ანტიკურ მწერლობას, კულტურას და ისტორიას სიღრმისეულად, შიგნიდან იცნობს და არა ზედაპირულად. ალექსანდრეს კონტექსტში ის ახსენებს არა პლუტარქოსს, ან რომელიმე სხვა ცნობილ ავტორს ალექსანდრეს შესახებ, არამედ არისტოტელესს.

ამავე კონტექსტში იხსენიებს იგი ჰომეროსს და აქილევესს. აქილევესს და ალექსანდრეს იგი ერთად იხსენიებს, რაც იმას უნდა ნიშნავდეს, რომ იგი ტროას ომს, და მის შესახებ შექმნილ „ილიადას“ ისტორიულ რეალობად უნდა აღიქვამდეს. ჰომეროსი კ. გამსახურდიასთვის მნიშვნელოვანი ინსპირაციის წყაროა. კონსტანტინე პორფიროგენეტი, ბიზანტიის მომავალი იმპერატორი (913-959 წწ.) მენელაოსთან არის შედარებული.⁸⁰⁹

⁸⁰⁵ „დავით აღმაშენებელი“. ტ. III. 1960, გვ. 532.

⁸⁰⁶ „დავით აღმაშენებელი“. ტ. III. 1960, გვ. 142.

⁸⁰⁷ „დავით აღმაშენებელი“. ტ. III. 1960, გვ. 726.

⁸⁰⁸ „დავით აღმაშენებელი“. ტ. III. 1960, გვ. 469.

⁸⁰⁹ „დავით აღმაშენებელი“, ტ. IV, გვ. 114.

კ. გამსახურდია იმასაც აღნიშნავს, რომ სხვა, ყველაზე დიდი ისტორიული პირების მიღწევათაგან ვერაფერმა გაუძლო დროს. კერძოდ, ახსენებს კონსტანტინე დიდს და ალექსანდრეს, რომელთა ისტორიული მემკვიდრეობიდან არაფერი შემორჩა.⁸¹⁰ ამ ისტორიული პირების გვერდზე იხსენიებს ტროას და რომს, ქალაქებს, რომელთაც ასევე ვერ გაუძლეს დროს და დაეცნენ. როგორც ზემოთ უკვე ვახსენეთ, ამ ეპიზოდშიც ჩანს, რომ ტროა და ტროას ომი კ. გამსახურდიასთვის ისტორიული განზომილებაა და ისტორიული წარსულია. იგი რომს და ტროას, ანუ ისტორიულ ქალაქს და ლიტერატურულ ქალაქს, რომლის შესახებაც დაზუსტებულ წყაროდ მხოლოდ ჰომეროსის მხატვრული ეპოსი გვაქვს (არქეოლოგიური ქალაქი დაზუსტებით ჰომეროსის ტროასთან არ იდენტიფიცირდება. ეს კვლავ კვლევის და დისკუსიის საგანია), ერთ სიბრტყეზე აყენებს. ეს განსაკუთრებულ ხაზგასმას იმსახურებს იმის გათვალისწინებით, რომ XX საუკუნის დასაწყისში განსაკუთრებით დიდი იყო სკეპტიციზმი ჰომეროსის ეპოსის ისტორიული წარსულისადმი მიკუთვნების კუთხით. განსაკუთრებით გერმანული სამეცნიერო სკოლა, რომელსაც კ. გამსახურდია ძალიან კარგად იცნობა, კითხვის ნიშნის ქვეშ აყენება ჰომეროსის პოემების ისტორიულ კონტექსტს. კ. გამსახურდია ამ გზით არ მიდის და მისთვის ტროას ომი ისტორიული რეალობაა, ხოლო „ილიადა“ ამ რეალობის ანარეკლი.

საინტერესოა ისიც, რომ კ. გამსახურდია ამ ეპიზოდში ერთად იხსენიებს ალექსანდრეს და კონსტანტინეს, როგორც ამქვეყნიური დიდების, ისტორიული მიღწევის ორ სიმბოლოს, რომელთა მონაპოვარმაც დროს ვერ გაუძლო. ალექსანდრე ამ ტიპის სიმბოლოდ ხშირად გამოიყენება ხოლმე. ის, როგორც ანტიკურობის უდიდესი დამპყრობელი, ხშირად მოიხსენიებოდა, როგორც ანტიკურ მწერლობაში, ისე მის გვიანდელ რეცეფციაში და ევროპულ მწერლობაში, იმის მაგალითად, რომ თუნდაც უდიდესი მიღწევები, უდიდესი დაპყრობები და იმპერიები ძალიან მალე ინგრევა. ალექსანდრე ამის საუკეთესო მაგალითია, რადგან მისი იმპერია მის სიკვდილისთანავე დაიშალა. უცნაურია, ამ კონტექსტში კონსტანტინეს მოხსენიება, რადგან რომის ამ იმპერატორს ამ კონტექსტში არ მოიხსენიებენ ხოლმე. კონსტანტინე დიდი დამპყრობელი არასოდეს ყოფილა. მის მთავარ ისტორიულ მონაპოვარს ქრისტიანობისთვის ჯერ ლეგალური სტატუსის მინიჭება რომის იმპერიაში, შემდეგ კი რომის იმპერიის ოფიციალურ რელიგიად გამოცხადება მიიჩნევა. კონსტანტინეს ისტორიული მონაპოვარი ზუსტადაც რომ დროს შემორჩა, დროს გაუძლო. ამ კუთხით ალექსანდრეს გვერდზე კონსტანტინეს მაგალითის მოხსენიება უცნაური და არასტანდარტულია.

⁸¹⁰ „დავით აღმაშენებელი“, ტ. IV, გვ. 532.

კ. გამსახურდია თავის რომანებში ორ ძირითად მოტივს ავითარებს: ერთი რომ საქართველო, თუნდაც შუა საუკუნეების, ე.წ. ოქროს ეპოქის საქართველო ანტიკურ ტრადიციას აგრძელებს და ანტიკურ მემკვიდრეობაზე დგას, რაც ევროპული, დასავლური, ქრისტიანული კულტურის ლიდერობას ნიშნავს. ხოლო, მეორე მხრივ, გარკვეულწილად თითქოს მომენტებში უპირისპირებს შუა საუკუნეებისთვის ტრადიციულ ქრისტიანულ კულტურას და ანტიკურობას. რიგ შემთხვევებში შუა საუკუნეების საქართველოს პერსონაჟები ქრისტიანულ კულტურასთან შედარებით თითქოს უპირატესობას ანტიკურ კულტურას ანიჭებენ (მაგალითად, ფსალმუნის ნაცვლად თუკიდიდესის კითხვა).

თავის რომანში კ. გამსახურდია ძალიან ხშირად იყენებს ბერძნულ და რომაულ მითოსურ სახელებს და სიმბოლოებს. ჩანს, რომ ის ანტიკურ მითოსს ძალიან კარგად იცნობს. იგი იხსენიებს პანდორას მითს;⁸¹¹ არგონავტების მითს და მათ კოლხისში მოსვლას და ოქროს საწმისის მოტაცებას;⁸¹² სხვა ეპიზოდში აღნიშნავს, რომ სწორედ პრომეთეს მითმა და მითის მიხედვით პრომეთეს კავკასოსზე მიჯაჭვამ ანტიკური კოლხისი მთელი მსოფლიოს ყურადღების საგნად აქცია;⁸¹³ მისთვის მისი თანამედროვე კოლხისი, დასავლეთ საქართველო ანტიკური კოლხისის კულტურულ ტრადიციას აგრძელებს, მისი მემკვიდრეა;⁸¹⁴ ამ კონტექსტში ახსენებს მითოსურ მედეას და შემდეგ აღნიშნავს, რომ მედეას მსგავსად კოლხი ქალები ახლაც შურისმაძიებელნი არიან.⁸¹⁵

მარიამ დედოფალი ნაწარმოების ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟი ორჯერ, რომანის ორ სხვადასხვა მონაკვეთში, პრაქტიკულად, ერთნაირად არის აღწერილი. ორივე შემთხვევაში მისი სილამაზისა და სრულყოფილების აღწერის დროს ხაზგასმულია, რომ ასეთი სრულყოფილი ქმნილება თვით აპელესსა და ფიდიასსაც კი არ შეუქმნიათ.⁸¹⁶ აპელესი და ფიდიასი ძველი საბერძნეთის ყველაზე დიდ ხელოვანებს განეკუთვნებოდნენ. აპელესი ძველი საბერძნეთის ერთ-ერთი ყველაზე დიდი მხატვარი იყო, ხოლო, ფიდიასი – სკულპტორი, მოქანდაკე. კ. გამსახურდია ამ შემთხვევაშიც ანტიკური სიმბოლოების, მაგალითების გზით გადმოსცემს თავის სათქმელს და მისთვის ანტიკურობა გარკვეულწილად თითქოს საზომია, სრულყოფილების და განვითარების ეპოქაა.

⁸¹¹ „დავით აღმაშენებელი“, ტ. III, გვ. 325.

⁸¹² „დავით აღმაშენებელი“, ტ. III, გვ. 367.

⁸¹³ „დავით აღმაშენებელი“, ტ. IV, გვ. 465.

⁸¹⁴ „დავით აღმაშენებელი“, ტ. IV, გვ. 465, გვ. 715-716.

⁸¹⁵ „დავით აღმაშენებელი“, ტ. IV, გვ. 527.

⁸¹⁶ „დავით აღმაშენებელი“, ტ. IV, გვ. 109, გვ. 536.

ამავე კონტექსტში ნაწარმოების სხვა პერსონაჟი, დედისიმედი, ახალგაზრდა ქალი, ორჯერ არის შედარებული ანტიკურ მითოსურ თუ ისტორიულ პერსონაჟებს. ერთ შემთხვევაში ავტორი მას ფრინეს, ასევე ძალიან დიდი ბერძენი ხელოვნის, მხატვარი პრაქსიტელესის საყვარელ ქალს ადარებს,⁸¹⁷ მეორე შემთხვევაში კი – აფროდიტეს.⁸¹⁸

ახსენებს ჰიმეროსს, ერთ-ერთ ეროტასს, სიყვარულის ღვთაებას, რომელსაც ასევე ადარებს მარიამ დედოფალს.⁸¹⁹ ჰიმეროსს ავტორი სხვა კონტექსტშიც ახსენებს – მისთვის, მაგალითად, ტიპურია მითოსური სიმბოლოების მეშვეობით აზრის გადმოცემის ასეთი კონსტრუქცია: „როცა ჰიმეროსი გულს დაუკოდავს ჭაბუკს, იგი ბახუსის ზვრებს შეეჩვევა ხოლმე“⁸²⁰ – ანუ როცა ვნებიანი სიყვარულის ღვთაება ჰიმეროსი დაეპატრონება ადამიანის გულს, ანუ ის შეყვარებულია, მაშინ ის იწყებს სმას და ხშირად არაფხიზელია, რაც უკვე ბახუსის, დიონისეს რომაული სახელწოდებით არის გადმოცემული. ჭურჭელზე დიანა, ანუ ბერძნული არტემისია გამოსახული,⁸²¹ ხოლო ქეიფი/დრეობა ბანაკში აღწერილია ტერმინით „ლუკულუსისეული“, სიმდიდრით განთქმული რომაელი მხედართმთავრის ლუკულუსის და მისი განთქმული ნადიმების მიხედვით, რომელთა შესახებაც პლუტარქოსი თავის პარალელურ ბიოგრაფიებში გადმოგვცემს.⁸²²

საინტერესოა, რომ ნაწარმოების მეორე ნაწილში კ. გამსახურდია ასევე იხსენიებს ბერძნულ ვაზებსა და ჭურჭელზე გამოსახულ ქალღმერთ არტემისს (იხსენიებს არტემიდა ფორმით), თუმცა თუკი პირველ ნაწილში გამოიყენებს უფრო რომანიზებულ დიანა ფორმას, მეორე ნაწილში – კი ბერძნულ არტემისს.⁸²³ უცნობია, თუ რატომ იყენებს ერთსა და იმავე კონტექსტში ერთი ქალღმერთის სახელის ორ, სხვადასხვა ვერსიას.

რომანის მეორე ნაწილში ერთ-ერთი ძირითადი მოტივია კუპიდონისა და მარსის დაპირისპირება. ამ ორი სიმბოლოთი გამოხატულია ცვალებადობა ომსა და მშვიდობას, დაპირისპირებასა და შერიგებას შორის. ომი გამოხატულია მარსით, ბერძნული ომის ღმერთი არესის რომანიზებული სახელწოდებით. ომს კ. გამსახურდია აღწერს, როგორც „პირსისხლიანი მარსის მიერ მახვილის ხელში აღებას“.⁸²⁴ პერსონაჟები მუდამ უფრთხიან ომს და უპირატესობას ანიჭებენ

⁸¹⁷ „დავით აღმაშენებელი“, ტ. V, გვ. 138.

⁸¹⁸ „დავით აღმაშენებელი“, ტ. V, გვ. 223.

⁸¹⁹ „დავით აღმაშენებელი“, ტ. III, გვ. 654.

⁸²⁰ „დავით აღმაშენებელი“, ტ. III, გვ. 649.

⁸²¹ „დავით აღმაშენებელი“, ტ. III, გვ. 395; ტ. V, გვ. 411, გვ. 24.

⁸²² „დავით აღმაშენებელი“, ტ. III, გვ. 596.

⁸²³ „დავით აღმაშენებელი“, ტ. IV, გვ. 127-128.

⁸²⁴ „დავით აღმაშენებელი“, ტ. IV, გვ. 215.

კუპიდონს, ბერძნული ეროსის რომანიზებულ სახელწოდებას. აღნიშნავენ, რომ კუპიდონის ამბორი უფრო ტკბილია, „ვთუ მარსმა გადასძლიოს კუპიდონს“. სხვა მონაკვეთში უკვე აღნიშნულია, რომ მარსი და კუპიდონი, ომი და მშვიდობა, დაპირისპირება და მეგობრობა და სიყვარული ორი სხვადასხვა, დაპირისპირებული, ურთიერთგამომრიცხავი საწყისია.⁸²⁵

ომის და დაპირისპირების დაწყება მარსის გამარჯვებად არის მოხსენიებული, ხოლო შერიგება და მშვიდობა – კუპიდონის ტრიუმფად.⁸²⁶

გარდა ამისა, კ. გამსახურდია ხშირად ანტიკურ მითოსურ ტერმინებს შედარებებისთვის, სიმბოლოებად გამოიყენებს. მაგალითად, მეხტი ციკლოპს/კიკლოპს არის შედარებული,⁸²⁷ გაბრაზებული კატაი კი ცერბერს/კერბეროსს;⁸²⁸ ეპისკოპოსების და თავადების მდგომარეობა სკილასა და ქარიბდას შორის ყოფნას;⁸²⁹ დალევა, სიმთვრალე ბახუსის სამსახურს;⁸³⁰ ხოლო შეყვარება, ვნება „ეროსის მიერ ამჩატებად“ არის გადმოცემული⁸³¹ ან „ეროსის გვამში ჩასახლებად“.⁸³² ამ ტერმინს კ. გამსახურდია თავის სხვა ნაწარმოებებშიც არაერთხელ გამოიყენებს.

შავი ზღვა მისი ანტიკური სახელით ევქსინის პონტო არის მოხსენიებული, ხოლო ზღვის დელვა ბერძნული მითოსური ტრადიციის მიხედვით პოსეიდონს უკავშირდება, მისი რისხვის გამოვლინებაა.⁸³³ რთველის დაწყება დაკავშირებულია ბახუსთან/დიონისესთან და ასევე დაკავშირებულია ძველბერძნულ ტრადიციას, რომ სწორედ რთველის პერიოდში დაეწყოთ ბახუსის, ანუ დიონისეს, დღესასწაული.⁸³⁴

კ. გამსახურდია იხსენებს ანტიკურ მითოსურ-გეოგრაფიულ ტერმინს „ჰერკულესის ბჭეებს“. ამ ტერმინით გიბრალტარის სრუტეს, ევროპული სამყაროს უკიდურეს დასავლეთს აღნიშნავდნენ. კ. გამსახურდია მთელ სამყაროს ჩინეთის კედლებიდან ჰერკულესის ბჭეებამდე არეალად მოიხსენიებს. ამ მხრივ, ის ანტიკურობის რეცეფციას ახდენს – ბერძნულ-რომაული სამყარო მისთვის ცნობილ სამყაროს მოიხსენიებდა როგორც ინდოეთიდან ჰერკულესის ბჭეებამდე სივრცედ. ინდოეთი ალექსანდრეს ლაშქრობის შემდეგ იყო ბერძნულ-რომაული სამყაროსთვის

⁸²⁵ „დავით აღმაშენებელი“, ტ. IV, გვ. 215, გვ. 225, გვ. 229, გვ. 234.

⁸²⁶ „დავით აღმაშენებელი“, ტ. IV, გვ. 301.

⁸²⁷ „დავით აღმაშენებელი“, ტ. IV, გვ. 268.

⁸²⁸ „დავით აღმაშენებელი“, ტ. V, გვ. 148, გვ. 698.

⁸²⁹ „დავით აღმაშენებელი“, ტ. IV, გვ. 373.

⁸³⁰ „დავით აღმაშენებელი“, ტ. IV, გვ. 411, გვ. 530.

⁸³¹ „დავით აღმაშენებელი“, ტ. IV, გვ. 529.

⁸³² „დავით აღმაშენებელი“, ტ. V, გვ. 110.

⁸³³ „დავით აღმაშენებელი“, ტ. V, გვ. 662, გვ. 663.

⁸³⁴ „დავით აღმაშენებელი“, ტ. V, გვ. 131-132.

ცნობილი ყველაზე შორეული, აღმოსავლეთი წერტილი, ხოლო ჰერკულესის ბჭეები უკიდურესი, დასავლეთი ნაწილია. კ. გამსახურდია სამყაროს უკვე ჩინეთიდან გიბრალტარამდე/ჰერკულესის ბჭეებამდე მოიაზრებს.⁸³⁵

„დავით აღმაშენებლის“ მსგავსად „დავით აღმაშენებელშიც“ კ. გამსახურდია იხსენიებს ტიხეს, ძველბერძნულ ბედისწერის, განგების ღვთაებას. ტიხე მისთვის შემთხვევითობის სინონიმია და სწორედ ამ კონტექსტში გამოიყენებს.⁸³⁶

ანტიკურობის რეცეფციას კ. გამსახურდია ახდენს თავის სხვა რომანშიც, „დიდოსტატის მარჯვენა“, თუმცა შედარებით ნაკლები მოცულობით და ნაკლებად მასშტაბურად. თავისი სხვა რომანების მსგავსად, ამ ნაწარმოებშიც ვხედავთ დაპირისპირებას ქრისტიანობას, შუა საუკუნეების (გიორგი I-ის მმართველობის პერიოდი 1014-1028 წწ.) საქართველოსთვის დომინანტურ რელიგიასა და ანტიკურობას შორის. კათალიკოსი ათენისა და რომის, ძველი საბერძნეთის და ძველი რომის, დაკნინებას და დაცემას მათი ცოდვებით ხსნის.⁸³⁷

შუა საუკუნეების ქრისტიანობა ანტიკურ, წინარექრისტიანულ კულტურას, ხშირად კრიტიკულად უდგებოდა, აღიქვამდა რა მას მხოლოდ რელიგიური პერსპექტივიდან. ამ მხრივ კ. გამსახურდია ორიგინალური არ არის – ის ზუსტად გადმოსცემს შუა საუკუნეების სასულიერო პირისთვის ტიპურ მსოფლადქმას. ეს მოდელი, ანტიკური კულტურისა და შუა საუკუნეების ქრისტიანობის ფარული თუ ღია დაპირისპირების და შეუთავსებლობის კ. გამსახურდიას თავის მთელი შემოქმედების მანძილზე არაერთხელ უბრუნდება.

ირიბულად ეს შეუთავსებლობა ჩანს სხვა მონაკვეთშიც, როდესაც მეფეების გვერდზე, მღვდელმთავრების და ანგელოსების ფიგურებსაც, ავტორისული შეფასებით „ჰელლენური“ სიშიშვლე და ფიზიკური მშვენიერება, მიმზიდველობა აქვთ. „ჰელლენურით“ კ. გამსახურდია მთლიანად ანტიკურ, ბერძნულ-რომაულ კულტურას აღნიშნავს და ხაზს უსვამს კულტურულ და ესთეტიურ დონეზე ანტიკურობისა და ქრისტიანობის შეუთავსებლობას.⁸³⁸

„დავით აღმაშენებლის“ მსგავსად ამ რომანშიც ახსენებს იგი პლატონს და მის მოძღვრებას სულთა გარდავლენის შესახებ. ახალგაზრდა გიორგის ფარსმან სპარსი სწორედ პლატონს და მის მოძღვრებას ასწავლის.⁸³⁹ ამ შემთხვევაშიც პლატონი და,

⁸³⁵ „დავით აღმაშენებელი“, ტ. IV, გვ. 464.

⁸³⁶ „დავით აღმაშენებელი“, ტ. IV, გვ. 703.

⁸³⁷ „დიდოსტატის კონსტანტინეს მარჯვენა“, კ. გამსახურდია. რვატომეული. ტ. II. თბილისი, 1959, გვ. 561.

⁸³⁸ „დიდოსტატის კონსტანტინეს მარჯვენა“. ტ. II. 1959, გვ. 541

⁸³⁹ „დიდოსტატის კონსტანტინეს მარჯვენა“. ტ. II. 1959, გვ. 471

ზოგადად, ანტიკური ფილოსოფია, კ. გამსახურდიასთვის განათლების, სიბრძნის აუცილებელი წინაპირობაა.

ამ რომანშიც კ. გამსახურდია ყველაზე ხშირად (შვიდ სხვადასხვა ეპიზოდში) ანტიკურ ეროსს მოიხსენიებს. ეროსი, სიყვარული, მისი აღწერით არის სულსწრაფი და მოუთმენელი, ასევე სულსწრაფი დედისგან და ჯიუტი მამისგან შობილი.⁸⁴⁰ ის არის მოუთმენელი და სპონტანური და ეროსით შეპყრობილ ადამიანსაც ეს თვისებები ახასიათებს. ის არის მაცდუნებელი ღმერთი, იოლად იცვლის სახეს და ფორმას, თავგზას ურევს და აცდუნებს ადამიანებს.⁸⁴¹ ამავე დროს ეროსს ახასიათებს სიზარმაცე, მოშვებულობა და სწორედ ამიტომ ეროსი თავისი არსით თითქოს უპირისპირდება ხელოვნებას, შემოქმედებას, რადგან ხელოვანმა მთელი მისი ცხოვრება, ყველაფერი მას, რაც გააჩნია, მთელი მისი შინაგანი სამყარო თავის შემოქმედებას უნდა დაუმორჩილოს და შესწიროს, ხოლო ეროსით შეპყრობილი ხელოვანი კი თითქოს თავის ძირითად მისიას, დანიშნულებას ღალატობს და ამ ღვთაების გავლენის ქვეშ გადადის.⁸⁴² მას, ვისაც „ეროსი ჩაუვიდა გვამში“ [გამოთქმა, რომელსაც კ. გამსახურდია თავის ყველა რომანში იყენებს – გ.უ.] ვეღარ ახერხებს თავის საქმეზე კონცენტრირებას, თითქოს ხელი აღარ ემორჩილება. კ. გამსახურდიასთვის ეროსი უფრო მეტად ვნებაა ხოლმე. ის ახასიათებს მას ტერმინი „უგულოთი“ და იქვე აღნიშნავს, რომ ეროსის ბუნებრივი მოკავშირე სიმთვრალეა. ის სიმთვრალეში დაიბადა.

ეროსის გარდა ამ რომანში მისი სხვა ნაწარმოებების მსგავსად ასევე მნიშვნელოვან როლს ასრულებს ბახუსი/დიონისე და, ზოგადად, დიონისური საწყისი. ბახუსს ის რამდენჯერმე იხსენიებს და საინტერესოა, რომ თუკი თავისი შემოქმედების პირველ ეტაპზე ის ამ ღმერთის უფრო ელინიზებულ ვარიანტს დიონისეს გამოიყენებს, გვიანდელ ნაწარმოებებში უფრო რომანიზებულ ბახუსს ანიჭებს უპირატესობას.

დიონისური სამყაროს, ანტიკური ბახუს-დიონისეს საწყისისთვის დამახასიათებელია პანიური აღტკინება, შიშველი ფიგურები და ღვინო;⁸⁴³ იქვე შემოაქვს ბერძნული დიონისური სამყაროსთვის პასტორალურ-ბუკოლიკური და ველური ბუნების ესთეტიკა. ბახუსს ბავშვობაში ავაზები აწოვებდნენ ძუძუს. ავაზა, და, ზოგადად, ველური ცხოველები ანტიკური მითოსის მიხედვით დიონისური სამყაროს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ატრიბუტია. ასევე მსჯელობს იგი მუზების შესახებ. მისი თქმით, მუზები თავს უკეთ გრძნობენ ქალაქიდან, ადამიანებისგან

⁸⁴⁰ „დიდოსტატის კონსტანტინეს მარჯვენა“. ტ. II. 1959, გვ. 711, გვ. 747, გვ. 779.

⁸⁴¹ „დიდოსტატის კონსტანტინეს მარჯვენა“. ტ. II. 1959, გვ. 745, გვ. 936.

⁸⁴² „დიდოსტატის კონსტანტინეს მარჯვენა“. ტ. II. 1959, გვ. 722.

⁸⁴³ „დიდოსტატის კონსტანტინეს მარჯვენა“. ტ. II. 1959, გვ. 522.

მოშორებით, პასტორალურ-ბუკოლიკურ სივრცეში, ბუნების წიაღში. ხელოვნება, მუზა სწორედ ამ სივრცეში იზადება.⁸⁴⁴

ბახუს კ. გამსახურდია სხვა კონტექსტშიც ახსენებს, სიტყვის მასალად, დათრობას, ნადიმს, ღვინის დაღევას, ის ბახუსის წყალობად მოიხსენიებს, ხოლო სიყვარულს აფროდიტეს წყალობას უწოდებს. ამ აზრსაც ის ანტიკური სიმბოლოების მეშვეობით გადმოსცემს.⁸⁴⁵

ანტიკური სიმბოლოებით აზრის გამოხატვა კ. გამსახურდიას ყველა რომანს, მთელი მისი ხანგრძლივი შემოქმედების მანძილზე ახასიათებს. გამონაკლისი არც „დიდოსტატის კონსტანტინეს მარჯვენა“. მაგალითად, ქალური გარეგნობის კაცებს ის აღწერს, როგორც „ჰერმესსა და აფროდიტეს შორის მარად მერყევთ“. ანუ ისინი გარეგნობით ამ ორ ანტიკურ ღვთაებას გვანან თითქოს.⁸⁴⁶

ამ მხრივ უაღრესად საინტერესო და ორიგინალური შედარებაა, როდესაც იგი აღწერს საბჭოურ ინდუსტრიულ რეალობას (ზაჰესის ელნათურები) და განათებულ ზედაზნის მთას, რომელსაც ანტიკურობაში იბერიელები დემონების საუფლოდ მიიჩნევდნენ. ახლა, მისი სიტყვებით პოლიფემოსის ნათელი დასდგომია.⁸⁴⁷ პოლიფემოსი ჰომეროსის „ოდისეას“ მიხედვით ცალთვალა კიკლოპია, რომელიც ოდისევსმა დააბრმავა. პოლიფემოსის ნათელი თითქოს ირონიულადაც კი უნდა გავიგოთ. პოლიფემოსი ვერაფერს „ხედავს“, ოდისევსი მას ატყუებს, შემდეგ აბრმავებს – ის ბრმაა, როგორც მენტალურად და გონებრივად, ისე ფიზიკურად. თუმცა კ. გამსახურდია, როგორც ჩანს, პოლიფემოსს, რომელიმე სხვა მითოსურ პერსონაჟში ურევს. ის მას მოიხსენიებს ეპითეტი – „ათასთვალათი“. არადა, ანტიკური მითოსის მიხედვით, პოლიფემოსი ათასთვალა კი არა, ცალთვალაა. შესაძლოა, კ. გამსახურდია შეგნებულად განსხვავებულად გადაიაზრებს პოლიფემოსს და წარმოადგენს მას „ათასთვალად“ და მისი ნათელის დადგომა ზედაზნის მთის თანამედროვე ელექტრობის მიერ განათებას აღნიშნავს, ან შესაძლოა, რომელიმე მითოსურ არსებას გულისხმობდეს (მაგალითად, ასთვალა არგუსი).

აღსანიშნავია ისიც, რომ თანამედროვე კვლევა სტრუქტურულად ჰომეროსისეულ პოლიფემოსის შესახებ ამბავს, წინარეჰომეროსისეული ეპოქით ათარიღებს და მითოსურ, ფოლკლორულ თუ ლეგენდარულ დონეზე არაერთ მსგავს ამბავს იცნობს. მათ შორის, ქართულ ფოლკლორშიც.⁸⁴⁸

⁸⁴⁵ „დიდოსტატის კონსტანტინეს მარჯვენა“. ტ. II. 1959, გვ. 689

⁸⁴⁶ „დიდოსტატის კონსტანტინეს მარჯვენა“. ტ. II. 1959, გვ. 661

⁸⁴⁷ „დიდოსტატის კონსტანტინეს მარჯვენა“. ტ. II. 1959, გვ. 461

⁸⁴⁸ იხ. D. Hunt. Legends of the Caucasus. 2012, გვ. 218-222.

აღსანიშნავია ისიც, რომ იქვე, იმავე ეპიზოდში ავტორი მცხეთასთან მტკვარზე გადებულ ხიდს მოიხსენიებს, როგორც პომპეუსის ხიდს, ძვ.წ. 65 წელს გნეუს პომპეუსის მიერ კავკასიაში ლაშქრობის მიხედვით. ეს ლაშქრობა არაერთ ანტიკურ წყაროს აქვს აღწერილი (პლუტარქოსი, კასიუს დიო) და ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ანტიკური ისტორიული ამბავია, რომელიც ანტიკური კავკასიის შესახებ ვიცით.⁸⁴⁹

კოლაუ ნადირაძე (1895-1990)

მაია დანელია

სიმბოლისტიკების მსგავსად, კოლაუსთან ანტიკურობის რეცეფციები, ძირითადად, არგონავტების ციკლთან დაკავშირებული სახე-სიმბოლოებია. უმრავლეს შემთხვევაში ეს თემა პოეტისთვის საკმაოდ მოსახერხებელი იყო სატექმელის შეფარვით გადმოსაცემად. ეს თემა შესაძლებლობას იძლეოდა მაშინდელი საქართველოს/კოლხეთის დიდებული წარსულის გადმოსაცემად, რითაც ასე მოსწონდათ თავი და რაც თანამედროვეობაშიც იძლეოდა იმის რწმენის იმპულსს, რომ თანამედროვე საქართველო იმ შორეული წარსულის მემკვიდრეა და რომ მომავალიც უკეთესი იქნებოდა.

აქ ორ ლექსს განვიხილავთ – „ორფეოსის სიმღერას“ და „აფხაზეთს“. „ორფეოსის სიმღერა“ 1937 წელს არის დაწერილი. ალბათ, ყველაზე რთული წელი საქართველოში მიმდინარე რეპრესიების გამო, კოლაუ ნადირაძის ცხოვრებაშიც ურთულესი პერიოდია, რადგან ამ წელს მისი მეგობრების დიდი ნაწილი რეპრესიის მსხვერპლი გახდა. განსაკუთრებულად მძიმე დალი დაასვა მას პაოლო იაშვილის სიკვდილმა, რომელიც სისტემამ თვითმკვლელობამდე მიიყვანა. იგი, შეიძლება ითქვას, მისი ყველაზე ახლო მეგობარი იყო. მოგონებაში „წავაგოთ ღამე“, სადაც კოლაუ 1923 წელს თბილისში ჩამოსვლას და იეთიმ გურჯის ნახვას იხსენებს, მოგონებას ამ სიტყვებით ამთავრებს: „როგორც ტიციანი, ისე ეგიშე ჩარენცი 1937 წლის უდანაშაულო მსხვერპლნი გახდნენ. პაოლოც ხომ ამავე საშინელი წლის მსხვერპლი გახდა!“ გადმოცემით ისიც ვიცით, რომ მიუხედავად იმისა, რომ კოლაუ არ ყოფილა პაოლო იაშვილის დასაფლავებაზე მიწვეული ადამიანების სიაში, ის არ შეუშინდა რეპრესიების მანქანას და მაინც მივიდა თავის მეგობართან გამოსამშვიდობებლად, რაც საკმაოდ სარისკო ნაბიჯი იყო.

⁸⁴⁹ „დიდოსტატის კონსტანტინეს მარჯვენა“. ტ. II. 1959, გვ. 462.

„ორფეოსის სიმღერა“ ორი ნაწილისგან შედგება, პირველ ნაწილში ანტიკური კოლხეთი და იქ დატრიალებული ამბებია აღწერილი და მეორე ნაწილში კი, თანამედროვე დროში გადმოდის მოქმედება.

პირველ ნაწილში ვიგებთ, თუ როგორ მიაღება კოლხეთს არგონავტების გემი, რომელიც ოქროს საწმისის წასაღებად ჩასულიყო. აღნიშნულია ამ მხარის სიმდიდრე და მიმზიდველობა ბერძნებისთვის, ნახსენებია მედეას და იასონის სიყვარულის ამბავი, შვილების მოკვლის ეპიზოდიც. თუ როგორ აღწევენ მიზანს გმირები და მიაქვთ ოქროს საწმისი ქვეყნიდან.

„ნეტავ როგორი დღე იყო მაშინ,
ან როგორ კრთოდენ მთვარის ნაკვთები,
როცა პირველად გამოჩნდა ზღვაში
ბრწყინვალე გემი არგონავტების?!

გედივით თეთრი და მოელვარე
მოჰქონდა, როგორც ღრუბელი ცისა,
და მოსულ გმირთა აბჯარს მღელვარეს
ცეცხლს უკიდებენ სხივები მზისა.

უკვე შორიდან მათ აბრმავებდათ
კოლხეთის სივრცე, კოლხეთის არე,
სადაც ოქროს ვერძს აბანავებდა
და ოქროს შობდა ზღაპრული მხარე.

მაგრამ ოქროზე უფრო წარმტაცი
იყო ჯადოსნურ ჰანგების ბგერა,
და იმათ ხმაზე ერთი ვაჟკაცი
გახდა გრძნობის და სიმღერის წერა!

სირინოზების გალობით დამტკბარს
ანმაზე მიკრულ ორფეოსს ვხედავ!
მედეას ბაღთან, გუშაგად დამდგარს,
რა გატირებდა, მგოსანო, ნეტავ?!

გამოგიტაცეს ზღაპრული ოქრო,

სინჯეს სიმაგრე მკლავის და შვილდთა.
და უკან დარჩა მედეას ოხვრა
გამოტირება დახოცილ შვილთა!

მაგრამ, როდესაც მშობელ ნაპირებს
მიადგა გემი ძვირფასი ბარგით, –
ზეიმად ამტყდარ ბუკს და საყვირებს
ჰფარავდა ხმები უკვდავი ჰანგის!“

მეორე ნაწილში პოეტს გადავყავართ თანამედროვე რეალობაში, ახალი დროებაა აღწერილი, თითქოს ახლის დასაწყისია, ახლის იმედი ჩნდება, ახალი ცხოვრების სითბო იგრძნობა, მაგრამ ამ ნაწილის პათოსი აშკარად ხელოვნურია და ამის საპირწონედ უფრო მძაფრი ხდება გარდასულ დროთა ნოსტალგია. ეს კიდევ უფრო მეტად მკვეთრად საგრძნობი ხდება ორფეოსის სახეში. ამ ფიგურით არის გაერთიანებული ლექსის ორივე ნაწილი. პირველ ნაწილში, ორფეოსი მედეას ბაღთან გუშაგად დგას, და ისმის უკვდავი ჰანგები, მეორე ნაწილში კი, მიუხედავად იმისა, რომ აქაც პოეტი იმეორებს იმავე პოეტურ ფრაზას „ისმის უკვდავი სიმღერის ხმები“, ეს ხმები ორფეოსს გულს უგმირავენ.

„საუკუნეთა დასცხრა ხმაური,
წყალმა დაფარა კოლხეთის მხარე,
მაგრამ კვლავ ისმის ხმა უცნაური
და სხვანაირად ელვარებს მთვარე.

სხვა სასწაულის მოწამე ხდება
კოლხეთის მხარე ჭაობით სავსე!
აქ თითქოს მიწა ხელახლა ჩნდება
და მზეც პირველად ამოდის ცაზე!

თითქოს ლეგენდა ცოცხლდება ისევ
და დედამიწა სიმღერას ამბობს,
პირველ სხივებით უბეებს ივსებს
და პირველ თავის ნაყოფსაც ატკბობს!

ზღაპრული ოქრო ამოაქვს თითქოს

რომ ის უბრძოლოდ დაუთმოს იმათ,
ვინც გრძნობს ახალი ცხოვრების სითბოს,
ახალ ცხოვრებას გაბმია სიმაღ!

და კოლმეურნეს ვაჟკაცურ მხრებით,
მიწის პატრონი რომ არის სრული,
მოესმის უკვდავ სიმღერის ხმები,
რომ გაუგმირა ორფეოსს გული!“

მეორე ნაწილში, აშკარად თვალშისაცემია ხელოვნური ფრაზა, რომელიც ცენზურისთვის „თვალის ასახვევი ფრაზა“ უნდა იყოს – „და კოლმეურნეს ვაჟკაცურ მხრებით, / მიწის პატრონი რომ არის სრული / მოესმის უკვდავ სიმღერის ხმები“. ასეთი ფრაზები გარკვეულწილად იყო ხარკის გაღება იმდროინდელი პრაპაგანდისთვის, თუმცა, მეორე მხრივ, ეს იყო საფარველიც, რომელიც იძლეოდა შესაძლებლობას შეფარვით სათქმელის თქმის.

მიქელ პატარიძისადმი 1933 წელს მიწერილ წერილში წერს კოლაუ: „ძვირფასო მიქელ! იმ ბედნიერ დღეებს, როცა იწერება შესანიშნავი ლექსები და იბადება კეთილშობილი იდეები, ალბათ, თავიანთი წინასწარგანზომილობა აქვთ. მე მჯერა, რომ ისინი განირჩევიან სხვა დღეებისაგან. მათი ტრანსცენდენტალური ლოგიკურობა ისეთივეა, როგორც შემოქმედების და ჭკრეტის აქტი. და, რასაკვირველია, სამართლიანი იქნებოდა, რომ დღეებს თავიანთი მემატიაზე ჰყავდეს, თუ, საერთოდ, ადამიანის ცივ გონებას კიდევ არ დაუკარგავს ეს უზენაესი თვისება... ჩვენი „შემოდგომის დიალოგები“ ასეთ საოცნებო ადამიანის ყურადღების საგანს უნდა შეადგენდეს. ერთი წლის წინად ჩვენ მივმართეთ ერთმანეთს ორი პატარა, მოულოდნელი ლექსით. ერთი წლის წინად საერთო მარტოობის და სევდების დღეებში, რომელთაც მხოლოდ ჩვენი მეგობრობის და ხელოვნების სიყვარული ანელებდა თავისი სითბოთი, ჩვენ დაგვებადა, ძვირფასო მეგობარო, ეს იდეა, უკეთ რომ ვთქვათ, სურვილი, რომ ამ მკაცრი საუკუნის გრიგალში გვეთქვა ჩვენი ხმით რამოდენიმე სიმღერა ერთმანეთის გასაგონად და კეთილშობილი რწმენით, რომ შევსძლებდით გამოგვეთქვა ის, რაც ასე გვაღელვებს ჩვენ, რაც მართლა აწვალებს ჩვენს მოუსვენარ, ცოტათი დაღლილ ფიქრს“.

აქვე უნდა გავიხსენოთ ისიც, რომ კოლაუს ეკუთვნის, ალბათ, ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ლექსი „25 თებერვალი“, რომელიც ისევ და ისევ მის რწმენაზე მიუთითებს. საბჭოთა პერიოდში ასეთი ლექსის შექმნა იმის იმედს

იძლეოდა, რომ საქართველო ამ განსაცდელსაც გაუმკლავდებოდა, რაც 1921 წლის 25 თებერვალს დამოუკიდებლობის დაკარგვით იყო გამოწვეული.

მეორე ლექსი, რომელშიც ვხვდებით არგონავტების მითის რეცეფციას, არის „აფხაზეთი“, რომელიც კოლაუმ აფხაზეთში ყოფნის დროს დაწერა, 1927 წელს.

„დავშორდი ქართლის გადამწვარ ველებს
და იმერეთის მხარეს უცნაურს.
ოქროს წვიმები მიწას ასველებს
მეც ვუსმენ ოქროს წვიმების ხმაურს.

დავტოვე ფოთის უსაზღვრო სევდა
და მარტოობა დიდი გემების,
როცა ღამეებს მწუხარედ ხევდა
რისხვით მქუხარე საყვირის ხმები.

როგორც სიცოცხლე, როგორც ალერსი
ისეთი ტკბილი იყო ჰაერი;
მათრობდა გრძნობა უმხურვალესი
ჩემთვის უცნობი და სხვანაირი.

ვით შევარდენი, ჯერ დაუგეში,
ისევ ითხოვდა გაფრენას გული,
მხოლოდ ზღვა იყო ჩემი ნუგეში
და მისი სივრცე გადაკარგული.

რამდენმა ფიქრმა, რამდენმა განცდამ
დაიმორჩილა ოცნება მაშინ,
როს თვალი ნაცნობ ნაპირებს ასცდა
და მზე ჩასვენდა ანთებულ ზღვაში.

როგორც ირემი მკერდში დაჭრილი,
გადმოვარდნილი მთებიდან ბარად, –
და ზღვის სივრცეში ვიყავ გაჩრილი
და მარტოობა მიმქონდა ფარად.

მენატრებოდა, მსურდა მენახა
მხარე უცნობი, მხარე ზღაპრული;
მე ეს სურვილი შემომენახა
ჩემს ბავშვობიდან გულში ჩაკრული.

და როცა შორით ცისფერ ტალღებში
ნაპირი მწვანედ ამოიმართა –
მე თითქოს ვიღაც შემიდგა მხრებში
და გული გახდა ზღვასავით ფართე!

ზვირთების სუნთქვა მარილიანი
სახეში მცემდა და გულს სწვდებოდა,
და აფხაზეთი ოქროთმიანი,
როგორც სიზმარი, ჩემს წინ დგებოდა.

და მშორდებოდა, ვგრძნობდი, თანდათან
ყოველი ფიქრი, ყოველი სევდა ...
თითქოს ვიდექი მედეას ბაღთან,
თითქოს ლაჟვარდი მირონს მასმევდა!

შორს, სადღაც სჩქედა „არგოს“ საყვირი
და, გათანგული სისხლით და მზითა,
შინ ბრუნდებოდა ელინთა გმირი –
კოლხეთის ოქრო გაჰქონდა ტვირთად!

ბრწყინავდნენ მთები, გამდნარი მზეში,
ნიავი სურნელს ფანტავდა მძაფრად,
შუქი სისხლისფრად სწვავდა სივრცეში
არგონავტების გაფრენილ აფრას.

აქ მოხდა, ალბათ, ნურადინ-ფრიდონ
და ტარიელის შეყრა პირველი!
ალბათ, აქედან ქაჯეთს გაფრინდა
წერილით ზანგი გასაკვირველი,

რომ წამოიღო შორიდან ამბად
პირბადის კიდე, – ტრფობის ნუგეში –
მსუბუქი, როგორც ღრუბლების ბამბა,
ამონაწები ცრემლის გუბეში.

ვინ არ ყოფილა სიცოცხლის მდომი,
მიწას ცახცახით არ დამხოვია!
ან რომელ ვაჟკაცს, რომ იყოს ლომი,
გული ცრემლებით არ დალბობია!

და მეც ხომ მხოლოდ ვარ სიყვარული
და ამღერება ქართული მიწის!
ზეციდან ოქრო გადმოღვარულა
და ჩემი ტანიც ოქროში იწვის!

მეც ხომ იგივე გრძნობა მაწვალებს,
მე მინდა ვიყო ველად გაჭრილი!
მეც სიყვარული მიბრძვავს თვალებს
და სასიკვდილოდ დღეს ვარ დაჭრილი, –

მაგრამ მაღლობით სავსე ვარ, რადგან
მიწაზე გავჩნდი, როგორც სულდგმული,
რომ დღე ნათელი გვირგვინად მადგა
და ზეცა მქონდა გულში ჩადგმული!“

ლექსში რამდენიმე ხაზი არის შერწყმული, მთავარი აზრი არის სამშობლოს
სიყვარული, და ამ სიყვარულით გამოწვეული აღფრთოვანების გადმოცემა. „და მეც
ხომ მარტო ვარ სიყვარული, / და ამღერება ქართული მიწის!“. ამ სიყვარულის
სიმბოლო კი არის აფხაზეთი „მხარე უცნობი, მხარე ზღაპრული“. პოეტისთვის
აფხაზეთი კოლხიდასთან გათანაბრებული ცნებაა, ამიტომ არის იგი მოხსენიებული
ეპითეტით „ოქროთმიანი“. ოქროს საწმისის სიმბოლო – ოქრო, ძალიან ბევრ ადგილას
არის ნახსენები სხვადასხვა ფორმით:

„ოქროს წვიმები მიწას ასველებს,
მეც უსმენ ოქროს წვიმების ხმაურს.“

...

„მაღლიდან ოქრო გადმოღვარულა
და ჩემი ტანიც ოქროში იწვის.“

ახსენებს ასევე მისთვის ყველაზე ძვირფას „ვეფხისტყაოსნის“ გმირებს, ამ მხარეში უნდა მომხდარიყო ფრიდონის და ტარიელის შეხვედრა და აქედან უნდა წასულიყო მაცნე ქაჯეთში, რომ მოეტანა სატრფოს ამბავი.

საკუთარ თავს კი პოეტი ორფეოსთან აიგივებს – სახე-სიმბოლოსთან, რომელიც „ორფეოსის სიმღერაშიც“ გვხვდება. ეს ორი ლექსი ძალიან ჰგავს ერთმანეთს სახე-სიმბოლოებით.

„ორფეოსის სიმღერა“	„აფხაზეთი“
„მედეას ბალთან, გუშაგად დამდგარს, რა გატირებდა, მგოსანო, ნეტავ?!“	„თითქოს ვიდექი მედეას ბალთან, თითქოს ლაჟვარდი მირონს მასმევდა!“

აქაც არის იმედი უკეთესი მომავლის და რწმენა, რომ ყველაფერი დაკარგული არ არის და რომ საქართველო დაიბრუნებს დაკარგულ დიდებას და თავისუფლებას.

პოეტი ხშირად მიმართავს იმ სახე-სიმბოლოებს, რომელთა ანალოგიც ქართულ რეალობაშიც მოიპოვება. ერთ-ერთი ასეთი სახეა ცოტნე დადიანის და მუკიუს სკევოლას შეპირისპირება. ეს სახე საკმაოდ პოპულარული იყო სხვა მწერლებთანაც, გრიგოლ აბაშიძე, ჭაბუა ამირეჯიბი.

მუკიუსი იყო რომაელი ჯარისკაცი, რომელმაც ძვ.წ. 508 წელს პორსენას ალყისგან იხსნა რომი. გადმოცემის თანახმად, მუკიუსი შეიპარა მტრის ბანაკში პორსენას მოსაკლავად. თუმცა, პორსენას მაგივრად, სხვა კაცი მოკლა. როდესაც ის მოგვიანებით შეიპყრეს, მან უთხრა პორსენას, რომ ბევრ რომაელს სურდა მისი მოკვლის პატივი რეგებოდა და რომ ზოგიერთი უკვე ბანაკში იყო. პორსენა დაემუქრა, რომ მუკიუსს ცეცხლს მისცემდა, თუ მუკიუსი არ გაამჟღავნებდა, ვინ იყვნენ ისინი. მუკიუსმა მარჯვენა ხელი გაშლილ ცეცხლში შეყო პორსენას თვალწინ. ხელი დაეწვა ისე, რომ ტკივილი არ დამჩნევია. ის ამბობდა, რომ მისი სხეული უსარგებლო იყო, მაგრამ მისი პატივი არა. პორსენა იმდენად იყო მოხიბლული სიმტკიცის ამ მაგალითით, რომ მან მუკიუსს თავისუფლება მისცა, დაიწყო სამშვიდობო მოლაპარაკებები და საბოლოოდ მოხსნა რომის ალყა. მუკიუსს მიენიჭა მეტსახელი Scaevola („მარცხენა ხელიანი“).

„ცოტნე დადიანი და მუცი სცეოლა“ (მუკიუს სკევოლა)
„ერთი მათგანი – გმირი ქართველი, რომელ ვაჟკაცს
ხელებს უწვდიდა...“⁸⁵⁰

⁸⁵⁰ კ. ნადირაძე. ერთტომეული. თბილისი, 1971, გვ. 70.

„...და მისკენ გაწვდილ, ნახშირად ქცეულს,
მუცი სცეოლას დამწვარ მარჯვენას“⁸⁵¹

ასეთი პარალელები იდეისათვის თავგანწირვის, ეროვნული თვითშეგნების ამაღლებას, სამშობლოსათვის თავდადების, ერის გამოღვიძლებას ისახავდა მიზნად. ანტიკურობიდან ამ მაგალითების მოხმობა კი, საუკეთესო საშუალება იყო ცენზურისათვის თვალის ასახვევად.

ასეთი შეპირისპირებას წარმოადგენს სამასი სპარტანელისა და სამასი არაგველის ამბების ერთმანეთთან დაკავშირება ლექსში „სამასი სპარტანელი და სამასი არაგველი“:

„თერმოპილესთან ბრძოლის გრიალით
კვლავ დაინგრევა კლდოვანი კარი
თერმოპილესთან სამას სპარტანელს
საქართველოსკენ მოაფრენს ქარი“.⁸⁵²

ლექსში „ჩემი ვედრება“ კოლაუ ახსენებს ტანტალოს: „და მე ვეცემი კვლავ უღონოდ, როგორც ტანტალი...“.⁸⁵³ მისთვის ცნობილია სიზიფოსის შრომაც: 1974 წლის მოგონებაში „პოეზიის დღე“ იგი ახსენებს სიზიფოსსაც: ისტორიკოს-მკვლევარს, მომავალში, სიზიფოს შრომა დასჭირდება იმისათვის, რომ ისტორიულ სიცრუისა, სიყალბისა და დამახინჯების მორევში უტყუარი, ფაქტიური მასალა ამოკრიფოს და გამოავლინოს.

პოეზიის მეფედ იგი ვაჟას და აკაკის მიიჩნევდა.⁸⁵⁴ ერთ-ერთ მოგონებაში „ლიტერატურული ქუთაისის მოგონება“ (1979) იგი აკაკის ოლიმპოსიდან ჩამოსულ ზევსს ადარებს.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ტრადიციული ტერმინების გვერდით (მუზეები, სირინოზები, არგონავტების ციკლთან დაკავშირებული ტერმინები) კოლაუსთან ვხვდებით ისტორიულ პირებს და ამბებს (მუკიუს სკევოლას, თერმოპილეს ამბებს), რაც ისტორიული პარალელების გავლების, ამ ორი სამყაროს ერთმანეთთან დაკავშირების საშუალებას აძლევდა კოლაუს და რაც, უდავოდ, მის ანტიკურობის ღრმა ცოდნაზე მიუთითებს.

⁸⁵¹ კ. ნადირაძე. ერთტომეული. თბილისი, 1971, გვ. 71.

⁸⁵² კ. ნადირაძე. ერთტომეული. თბილისი, 1971, გვ. 74.

⁸⁵³ კ. ნადირაძე. ერთტომეული. თბილისი, 1971, გვ. 288.

⁸⁵⁴ „ვიგონებ ქუჩაში ერთად მოსეირნე აკაკის და ვაჟა-ფშაველას, მათ ერთად გამოსვლას ქუთაისის თეატრში, მათ მიერ ლექსების წაკითხვას, მათ ხმას!“ (კ. ნადირაძე. ლიტერატურული ქუთაისის მოგონება. 1979).

ანტიკურობასთან დაკავშირებული ტერმინები: მედეა, ორფეოსი, არგონავტები, გემი (არგო), ოქრო, კოლხეთის ოქრო (ოქროს საწმისი), სირინოზები, ვაჟკაცი (იასონი), ელინები, სატურნალიები, გეტერა (ჰეტერა), თერმოპილე, სამასი სპარტანელი, ტანტალი (ტანტალოსი), ზევესი, სიზიფი (სიზიფოსი).

ტერენტი გრანელი (1897/1898-1934)

ეკატერინე კობახიძე

ტერენტი გრანელის მისტიციზმითა და სხვადასხვა ბიბლიური სიმბოლოებით გაჯერებულ ლექსებში⁸⁵⁵ ჩანს ანტიკურობის მცირე, მაგრამ საინტერესო კვალი.

ტერენტი გრანელის ლექსებში გამოყენებული ანტიკური მითოლოგიური ფიგურების განმარტებისათვის, საყურადღებოა „ცისფერყანწელების“ ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენლის, ვალერიან გაფრინდაშვილის მიერ დაწერილი ერთგვარი საპროგრამო დოკუმენტი „დეკლარაცია (ახალი მითოლოგია)“, ⁸⁵⁶ სადაც დაწვრილებითაა განმარტებული ქართველი სიმბოლისტების დამოკიდებულება ანტიკური მითოლოგიის მიმართ:

„პანი მოკვდა. გაიმარჯვა ქრისტიანობამ. მაგრამ პოეზია მთელი საუკუნეების განმავლობაში სარგებლობდა მითოლოგიური სახეებით, თუმცა არ სჯეროდა ეს მითოლოგია.

ავრორა, არტემიდა, ათინა, გება, ზევსი, აპოლონი, გელიოსი, ნეპტუნი, ორფეოსი, ევრედიკა, აქილესი, ჰერაკლი, ნიობეა, მშვენიერი ელენე, პარისი დიდხანს ამშვენებდნენ პოეზიას და დიდ სამსახურს უწევდნენ მას.

მითი თანდათან გადაგვარდა.[...]

⁸⁵⁵ პ. კვარაცხელია. მისტიციზმი ტერენტი გრანელის შემოქმედებაში. სადისერტაციო ნაშრომი. თბილისი, 2017, გვ. 42-138. ხელმისაწვდომია ონლაინ:

<https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/220268/1/Disertacia.pdf> ბოლო ნახვა: 12.08.2023.

⁸⁵⁶ ვ. გაფრინდაშვილი. დეკლარაცია (ახალი მითოლოგია). მეოცნებე ნიამორები. № 7. 1922. ხელმისაწვდომია ონლაინ:

<https://niamorebi.ge/gafrindashvili/%E1%83%93%E1%83%94%E1%83%99%C2%AD%E1%83%9A%E1%83%90%C2%AD%E1%83%A0%E1%83%90%C2%AD%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%90-%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%97%E1%83%9D/> ბოლო ნახვა: 12.08.2023.

შეიძლება ითქვას, რომ ელლინურმა მითოლოგიამ მეტი სახეები და სახელები მისცა პოეზიას, ვიდრე ქრისტიანობამ. ამ შემთხვევაში პოლითეიზმი უფრო ნაყოფიერი გამოდგა პოეზიისთვის, ვიდრე მონოთეიზმი. ქანდაკების და პოეზიის განვითარებაში ელლინურმა მითოლოგიამ გადამწყვეტი როლი ითამაშა, როგორც მხატვრობის განვითარებაში ქრისტიანობამ [...]

დღეს პოეზიაში საბერძნეთის ღმერთების ადგილს იჭერენ პოეტები. ჩატერტონი, რემბო, ბესიკი, მაჩაბელი, გოფმანი, ვილიე დე-ლილ ადან არანაკლებ აღფრთოვანებენ პოეტის ოცნებას, ვიდრე ზევსი და აპოლონი, აფროდიტე და ათინა. წინანდელი პოეტები – გარდაქმნილნი დროის და სივრცის ჯადოქარობით უნდა გახდენ არა მართო დრამატიულ და ეპიურ, არამედ ლირიკულ სახეებათ.

თუ წინათ პოეზიაში იყო აპოლონი, ახლა არის გიოტე, თუ წინათ იყო მედუზა და გორგონა, ახლა არიან ედგარი და მალდარორი, არის სიფილისი და ბოგემა.

თუ წინათ პოეზიაში იყო ოლიმპი, ახლა არის წიწამური, ბირნამის ტყე, თუ წინათ იყო სცილლა და ხარიბდა, ახლა არის მაკადამი, თუ წინათ იყვნენ აქილესი და ჰერაკლი, ახლა არიან ოფელია და ჰამლეტი. ის, რასაც მე ვამბობ სრულიად არ არის მოულოდნელი. აქ არის პირდაპირი ანალოგია ყოფილ ფაქტებთან. წინათ პოეტი – შთაგონებული იყო ელლინურ და რომაულ ღმერთებით და გმირებით, ახლა ის შთაგონებულია წარსულ პოეტების ფანტასტიურ სახელებით. წინათ პოეტი შთაგონებული იყო ორფეოსით და ევრედიკით, ახლა კი შთაგონებულია ბეატრიჩეთი და ალიგიერთი. „ღვთაებრივ კომედიაში“ ვირგილიუსი ბეატრიჩესთან ერთად მომქმედი პირია.

ღმერთების ადგილს იჭერენ პოეტები და ძველ ანტიურ გმირების ადგილს იკავებენ ახალი გმირები (ოფელია და ჰამლეტი).

ამნაირად იქმნება ახალი მითოლოგია, რომლის გმირები არიან არა ღმერთები, არამედ პოეტები და მათგან შექმნილი მანეკენები“.⁸⁵⁷

როგორც ვხედავთ, სიმბოლისტების კონცეფციით, ანტიკური მითოლოგიური და ლიტერატურული სიუჟეტები და ფიგურები სიმბოლისტურ პოეზიაში უნდა ჩანაცვლდეს ახალი სიმბოლოებით.

1919 წელს ჟურნალ „კრონოსში“, რომელიც ახალგაზრდა სიმბოლისტების გამოცემას წარმოადგენდა, დაიბეჭდა ტერენტი გრანელის („წალენჯიხელის“

⁸⁵⁷ 3. გაფრინდაშვილი. დეკლარაცია (ახალი მითოლოგია). მეოცნებე ნიამორები. № 7. 1922.

ხელმისაწვდომია ონლაინ:

<https://niamorebi.ge/gafrindashvili/%E1%83%93%E1%83%94%E1%83%99%C2%AD%E1%83%9A%E1%83%90%C2%AD%E1%83%A0%E1%83%90%C2%AD%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%90-%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%97%E1%83%9D/> ბოლო ნახვა: 12.08.2023.

ფსევდონიმით) ლექსი „ფანტასტიური ღამე“, სადაც პოეტი საუბრობს მარტოობაში გატარებულ უძილო ღამეებზე, ცხოვრების ამაოებაზე და პოეტის ღამისეულ ფანტაზიებზე. ალეგორიული გზავნილებით გაჯერებულ ლექსში ვკითხულობთ:

„მწვანე მირაჟი, ღამის რკალი, სახე ღამაში,
უტეხი ტევრი და სპეტაკი ნიამორები,
სწორი მეტეხი, დამსხვრეული ოქროს არმაზი.
მწვანე მირაჟი, ღამის რკალი, სახე ღამაში.
პანის მორევში იღვენთება ცრემლით ალმასი.
ყვითელ სივრცეში ცეცხლით იწვის ღია ზმორები.
მწვანე მირაჟი, ღამის რკალი, სახე ღამაში,
უტეხი ტევრი და სპეტაკი ნიამორები“.⁸⁵⁸

ტერენტი გრანელის ლექსის ამ ნაწყვეტში, პირველ რიგში, ყურადღებას იქცევს „სპეტაკი ნიამორები“, რომელიც „მეოცნებე ნიამორების“ – 1919 წელს ქართველ მოდერნისტ მწერალთა, კერძოდ „ცისფეყანწელების“ მიერ გამოცემული ჟურნალის სათაურის და ამ ჟურნალის ყდაზე გამოსახული ლადო გუდიაშვილის გრაფიკული ნამუშევრის ალუზიას იწვევს. ანტიკურობასთან დაკავშირებულია ლექსში ნახსენებია პანი, ბერძნული მითოლოგიის ტყეებისა და ჭალების თხისფეხება ღვთაება, სალამურის გამომგონებელი და ნიმფების მოტრფიალე დიონისეს მხლებელი.

საყურადღებოა, არსებობს მოსაზრება, რომ პანი სიმბოლისტების საყვარელ სიმბოლოს წარმოადგენდა იმ მიზეზით, რომ სიმბოლისტების გამორჩეულ პოეტს, პოლ ვერლენს მისი გარეგნობიდან გამომდინარე, თაყვანიმცემლებით გარშემორტყმულ პანს ადარებდნენ.⁸⁵⁹

ტერენტი გრანელის მიერ ლექსში ნახსენები „პანი“ შეიძლება აღვიქვათ, როგორც, ზოგადად, ანტიკურობის სიმბოლო, რადგან, როგორც ეს ზემოთაც ვნახეთ, ვალერიან გაფრინდაშვილის წერილში „დეკლარაცია (ახალი მითოლოგია)“ პირველი ფრაზა „პანი მოკვდა“ სწორედ ანტიკური მითოლოგიის „გარდაცვალებას“ აღნიშნავს. ამ აზრს, ჩემი დაკვირვებით, ამყარებს ნაწყვეტის წინა სტრიქონში ნახსენები ფრაზა „დამსხვრეული ოქროს არმაზი“, რაც, ზოგადად, წარმართობის კერპების მსხვრევას აღნიშნავს. ვფიქრობ, ტერენტი გრანელის ამ ლექსის ფრაზაში: „პანის მორევში იღვენთება ცრემლით ალმასი“ ასახულია სიმბოლისტთა „ახალ მითოლოგიაში“ ანტიკურობის ცრემლნარევი კვდომის სურათი; ხოლო ანტიკურობის მორევში

⁸⁵⁸ ტ. გრანელი. რჩეული. თბილისი, 1979.

⁸⁵⁹ A. Symons, P. Verlaine. The North American Review. Vol. 201, № 714, May 1915, გვ. 743.

სამუდამოდ ჩაძირული ძველი სიმბოლოების ნაცვლად, უტეხ ტევრში მოდერნისტული „სპეტაკი ნიამორები“ მირაჟულად გაიელვებენ.

„უტეხი ტევრის“ მნიშვნელობის გასაგებად, ვფიქრობ, საყურადღებო უნდა იყოს გრიგოლ რობაქიძის წერილი „არჩილ ჯორჯაძეს“: „მგოსანი საერთოდ ინდივიდუალური არაა მარტო, იგი უფრო ზესთაინდივიდუალურია. მშობელი ერი მგოსანის სულში სცოცხლობს როგორც მთლიანი ინდივიდუალური არსი და შეუცნობელის სფეროში უკარნახებს იგი მას საუკუნოებში განცდილს. მის პირადს შეცნობის გაღმა იშლება შავი უღრანი ტყე წარსულ განცდათა და მისს უტეხს ტევრში გაისმის მათრობელი ჩხრიალი დიადი დედის მნემოსინის ცხრა ასულის, ცხრა მუზანკლულისა. მგოსანი უსმენს მათს საიდუმლო ხმაურს და მუხათა წინამძღოლის აპოლოლოს თვალდია სიზმარში შერთული სთხზავს იგი ტკბილს ლეგენდას, სთხზავს მითის სინამდვილეს, რომლის თხრობას ქართული ზღაპარი ღრმა სიბრძნით იწყებს: „იყო და არა იყო რა...“⁸⁶⁰

ტერენტი გრანელთან და გრიგოლ რობაქიძესთან ნახსენები „უტეხი ტევრი“ აშკარა მიმართებას გვიჩვენებს დანტე ალიგიერის „უსიერ ტევრთან“, რომელშიც შემოქმედი აღმოჩნდება „ცხოვრების ნახევარგზაზე“.⁸⁶¹ ეს ბუნებრივად გვეჩვენება, რადგან ვალერიან გაფრინდაშვილის ჩვენ მიერ ზემოთ მოყვანილ წერილში აღნიშნული, რომ: „წინათ პოეტი შთაგონებული იყო ორფეოსით და ევრედიკით, ახლა კი შთაგონებულია ბეატრიჩით და ალიგიერით“.⁸⁶² დანტეს „ბაბრის, ლომის და მგლის“ ნაცვლად ამ უტეხ ტევრში ტერენტი გრანელის ლექსის „ახალი მითოლოგიის“ სიმბოლოები – „სპეტაკი ნიამორები“ ჩანან, რომლებიც პანის ნაცვლად მკვიდრდებიან ქართველ სიმბოლისტთა სტრიქონებში.

⁸⁶⁰ გრ. რობაქიძე. „არჩილ ჯორჯაძეს“. ხელმისაწვდომია ონლაინ:

<https://burusi.wordpress.com/2009/05/30/%E1%83%92%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%92%E1%83%9D%E1%83%9A->

[%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%98%E1%83%AB%E1%83%94-%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%A9%E1%83%98%E1%83%9A-%E1%83%AF%E1%83%9D/](https://burusi.wordpress.com/2009/05/30/%E1%83%92%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%92%E1%83%9D%E1%83%9A-%E1%83%AF%E1%83%9D/)

ბოლო

ნახვა: 12.08.2023.

⁸⁶¹ დანტე ალიგიერი. ჯოჯოხეთი. ქება პირველი. თარგმნა გ. ჭიჭინაძემ კ. გამსახურდიას მიერ შესრულებული პწკარედით. იხ. კ. გამსახურდია. თხზულებანი ათ ტომად. თარგმანი. ტ. 9. თბილისი, 2007.

⁸⁶² გრ. რობაქიძე. „არჩილ ჯორჯაძეს“. ხელმისაწვდომია ონლაინ:

<https://burusi.wordpress.com/2009/05/30/%E1%83%92%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%92%E1%83%9D%E1%83%9A->

[%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%98%E1%83%AB%E1%83%94-%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%A9%E1%83%98%E1%83%9A-%E1%83%AF%E1%83%9D/](https://burusi.wordpress.com/2009/05/30/%E1%83%92%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%92%E1%83%9D%E1%83%9A-%E1%83%AF%E1%83%9D/)

ბოლო

ნახვა: 12.08.2023.

ლექსში „ქალის აგონია (თ.რ.)“ ტერენტი გრანელი სიყვარულის მომლოდინე ქალიშვილს გვიხატავს, რომელიც ოცნებასა და სანუკვარი სატრფოს ლოდინში ატარებს დღეებს. ლექსი იწყება და სრულდება ერთი და იმავე სტროფით:

„დაღონებული და მარად სუსტი,
სარკესთან ფიქრობ, როგორც დიანა.
ახლაც შორეულ მეგობარს უცდი,
რომელმაც ასე დაიგვიანა...“⁸⁶³

პოეტი მეოცნებე ქალიშვილს ადარებს დიანას, (ბერძნ. არტემისი) ნადირობისა და მთვარის ქალწულ ღვთაებას რომაულ პანთეონში. ტერენტი გრანელის ლექსის მთავარი გმირის დიანასთან შედარება უნდა ემყარებოდეს ღმერთქალის გარეგნულ მშვენიერებას და იმ დამკვიდრებულ აზრს, რომ დიანა ქალწული ღვთაებაა.⁸⁶⁴ ლექსში წარმოდგენილი ქალიშვილი სარკეში თავისი ანარეკლით ისევე ტკბება, როგორც წყალში მომზირალი დიანა, რომელიც ნიმფების გარემოცვაში ბანაობს ტყეთა სიღრმეში.

საინტერესოა, რომ ნემის ტბას, რომლის ნაპირზეც მდებარეობდა დიანას უძველესი ტაძარი, „დიანას სარკეს“ ეძახდნენ და ამ ტაძარში დიანას თაყვანს სცემდნენ, როგორც Diana Nemorensis – ან ტყის დიანას.⁸⁶⁵

ანტიკურ მითოლოგიასთან დაკავშირებული კიდევ ერთი სავარაუდო მაგალითი ჩანს ტერენტი გრანელის ლექსში „სონეტი“:

„ჩემი სონეტი ოქროს ტყეში ზეიმს აპირებს,
მარსის წიაღში შემოიყვარდა მე გაქანება,
ლოთი ჰამლეტი გადამიშლის მარცხენა პირებს,
მაგრამ წარსული მკრთალ ფერებით არ მენანება“.⁸⁶⁶

მარსი, რომაული პანთეონის ომის ღვთაება, ლექსის ამ კონტექსტში, ჩემი აზრით, პარიზში მდებარე მარსის მინდორს უფრო უნდა გამოხატავდეს, ვიდრე ანტიკურ ღვთაებას (მარსის მინდორი ვალერიან გაფრინდაშვილის ლექსებშიც

⁸⁶³ ტ. გრანელი. რჩეული. თბილისი, 1979, გვ. 59-60.

⁸⁶⁴ R. Schenk. Dark Light: The Appearance of Death in Everyday Life. Albany, 2001, გვ. 155.

⁸⁶⁵ Sir J. J. Frazer. The Golden Bough: A Study of Magic and Religion. New York, 2009, გვ. 1.

⁸⁶⁶ ტ. გრანელი. რჩეული. თბილისი, 1979, გვ. 105.

არაერთხელ ფიგურირებს⁸⁶⁷). ამაში გვარწმუნებს ლექსის დასასრულს ჟორჟ როდენბახის, პარიზში მცხოვრები სიმბოლისტი მწერლის, ხსენება. სტროფის პირველ სტრიქონში ნახსენები „ოქროს ტყე“, სავარაუდოდ, ტიციან ტაბიძის ლექს „ბირნამიის ტყესთან“ გარკვეულ ალუზიებს იწვევს, რაკი მესამე სტრიქონში ტერენტი გრანელი იწყებს საუბარს ჰამლეტზე, რომელიც ტიციან ტაბიძის იმავე ლექსში გვხვდება – „ვალერიანმა ჰამლეტს გაარტყა“.

ანტიკურობასთან დაკავშირებით საინტერესოა ტერენტი გრანელის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ლექსი „Memento Mori“ (ამ ლექსის მიხედვითაც სახელი დაერქვა პოეტის ერთ-ერთ პოეტურ კრებულს), რომელიც 1924 წელს დაიბეჭდა.

საგულისხმოა, რომ თავდაპირველად კრებულის სახელწოდება იყო „გაფრენილი დღეები“, მაგრამ უკვე სტამბაში გადაცემულ წიგნს პოეტმა მოულოდნელად სათაური შეუცვალა.⁸⁶⁸ არსებობს მოსაზრება, რომ ეს ცვლილება განპირობებული იყო საქართველოში 1924 წლის ეროვნულ-განმათავისუფლებელი აჯანყების მარცხით – პოეტი ამით თითქოს შეახსენებდა სისხლიან საბჭოთა მტარვალებს სიკვდილის გარდუვალობას.⁸⁶⁹

თხზულების მნიშვნელობიდან გამომდინარე და კონტექსტის სწორად გასაგებად ლექსს სრულად მოვიყვანთ:

„ახლა უფრო ხშირია შეცდომების დაშვება,
ახლა მოდის ივნისი, ირგვლივ მწვანე მოლია.
ჩემი წმინდა სახელი პოეზიას დარჩება,
ჩემი გული და სისხლი – ეს “Memento mori”-ა.

დღეს სამია ივნისის, მინდა იყოს ცამეტი,
ჩემს გარშემო ციხეა – მწუხარების სავანე.
რომ მდომოდა სიცოცხლე, სიკვდილს არ ვიწამებდი,
მიწა არ იქნებოდა ჩემთვის შავი სამარე.

სადღაც მთასთან იწვიმა, სადღაც მთაზე ბურია,
ამნაირი ღიმილი უწინ მე არ ვიცოდი.
ახლა მე ცას ვუცქერი, ცაზე ანთებულია

⁸⁶⁷ ნ. ტონია. „ქიმერების მარულა“ (ფანტასმაგორია, მითის კულტი და ანტიკურობა ვალერიან გაფრინდაშვილის შემოქმედებაში). ლოგოსი, წელიწდეული ელინოლოგიასა და ლათინისტიკაში. 8. 2022, გვ. 70.

⁸⁶⁸ ლ. ალიმონაკი. კვირის წირვები. თბილისი, 2013.

⁸⁶⁹ ლ. სორდია. ტერენტი გრანელის ბედისწერა. თბილისი, 2011, გვ. 41.

ვარსკვლავები – სიმბოლო თეთრი მარადისობის.

ახლა რა ვქნა არ ვიცი, მე როდესაც ასე ვარ,
როცა სულს ეპარება აჩრდილები სიბერის.
მე ძლიერი ტალანტი, ზეციური არსება,
ჩემი ნაზი სამშობლო – ლაჟვარდები ცისფერი.

რა ვქნა, შავი ღამეა, მძიმე და უსაშველო,
მახსოვს ჩემი სოფელი, მისი ყრუ ადგილები.
ახლა რაღაც სხვა მინდა, რაღაც სხვა, უსახელო,
რომ დაღუპვა მომელის, ვიცი დანამდვილებით.

ნელა გადის დღეები და ძნელია გარჩევა,
მე, ძვირფასო, ვერ მოვალ, გზა შენამდე შორია.
ჩემი გვარი: გრანელი – პოეზიას დარჩება,
ჩემი გული და სისხლი – ეს „MEMENTO MORI“-ა.⁸⁷⁰

ახლო მომავალში მოსალოდნელი სიკვდილის წინათგრძნობით გაჟღენთილი სტროფებიდან, რომელთაგან პირველი და უკანასკნელი ლათინური ფრაზით „memento mori“ სრულდება, ცხადი ხდება, რომ პოეტისთვის სიკვდილისკენ სწრაფვა ცხოვრების კრედოა.

ტერენტი გრანელის ბიოგრაფიიდან ცნობილია, რომ უკიდურეს მატერიალურ გაჭირვებაში მყოფი პოეტი, რომელსაც ხშირად თავშესაფარიც არ ჰქონდა, ხშირად სტუმრობდა სასაფლაოებს, იქ ღამეს ათევდა და სიკვდილის სიახლოვის მძაფრი შეგრძნებებით საზრდოობდა.⁸⁷¹ ზაქარია ჭიჭინაძე ტერენტი გრანელს სასაფლაოების „ყეენს“ უწოდებდა.⁸⁷²

სიცოცხლეში გამოცემული მისი კრებულების სათაურები სრულიად შეესაბამება ლექსში „memento mori“ გადმოცემულ პოეტურ კრედოს: „პანაშვიდები“ (1920); „სამგლოვიარო ხაზები“ (1921); „სული და საფლავები“ (1922).

⁸⁷⁰ ტ. გრანელი. რჩეული. თბილისი, 1979, გვ. 373.

⁸⁷¹ დ. კობიძე. მოგონებები ტერენტი გრანელზე. წიგნში: დათოვლილი სანთელი, მოგონებათა წიგნი გრანელზე. შემდგ.-რედ.: ლ. ალიმონაძე, თბილისი, 2013, გვ. 115, გვ. 136.

⁸⁷² გ. ქვლბაქიანი. ის მხოლოდ პოეზიით ცოცხლობდა. კრებულში: ჩემი ცხოვრება მხოლოდ ლექსია. თბილისი, 1984, გვ. 22-23.

სიკვდილის მუდმივი „გახსენება“ ზოგიერთი მოსაზრებით, მის ღრმა ქრისტიანულ რწმენითაა ახსნილი,⁸⁷³ თუმცა, ჩემი აზრით, არ უნდა გამოირიცხოს ანტიკურობასთან უშუალო მომართებებიც.

„Memento mori“, ლათინურად სიტყვასიტყვით ნიშნავს „გახსოვდეს სიკვდილი/გარდაცვალება“. ეს ფრაზა, რომელიც ხშირად ჩნდება შუა საუკუნეების საფლავებზე, უკავშირდება ანტიკურ ხანის ფილოსოფოსთა და ქრისტიან თეოლოგთა თხზულებებში წარმოდგენილ აზრებს. ზოგიერთი მკვლევრის მოსაზრებით, ეს გამოთქმა შუა საუკუნეებში, სამონასტრო წიაღში იღებს დასაბამს.⁸⁷⁴

ამავდროულად, გასათვალისწინებელია, რომ ამ გამონათქვამის ფესვები ანტიკურ საბერძნეთში უნდა ვეძებოთ. დიოგენე ლაერტელი თხზულებაში „გამოჩენილი ფილოსოფოსების ცხოვრებათა და გამონათქვამთა შესახებ“ მიუთითებდა, რომ სიკვდილზე მუდმივი ფიქრის აუცილებლობა შთააგონებდა „მოცინარ ფილოსოფოს“ დემოკრიტეს საფლავების მონახულებას და იქ განმარტებით ყოფნას (Diog. Laert. IX, VII, 38). პლატონი „ფედონში“ გამოთქვამს აზრს, რომ ფილოსოფია უნდა მუდმივად მიმართული იყოს სხვა არაფერზე, თუ არა სიკვდილზე და იმის შეგნებაზე, რომ ყველაფერი კვდომაა (Plato, Phaedo, 64a4). ანალოგიური აზრები გამოთქმული აქვთ სტოიკოს ფილოსოფოსებს: სენეკას, ეპიქტეტეს და მარკუს ავრელიუსს, რომელიც აცხადებდა, რომ ყველაფერი მოკვდავი და ეფემერულია (M. Aur. Med. IV.48.2.).

არსებობს ასევე ტერტულიანუსის განმარტება რომში ტრიუმფალურ მსვლელობებთან დაკავშირებული ერთი რიტუალის შესახებ, რომლის მიხედვითაც ტრიუმფით რომში დაბრუნებულ გენერალს გვირგვინის დადგმის მომენტში მის ზურგს უკან მდგომი ჩასჩულებდა: *Respice post te. Hominem te memento* (სიტყვასიტყვით: შენს შემდეგ (შენი სიცოცხლის შემდეგ) გაიხედე. გახსოვდეს, რომ ადამიანი ხარ“.⁸⁷⁵

შესაბამისად, ლექსში წარმოდგენილი პოეტური კრედიო, რომელიც ტერენტი გრანელის შემოქმედების ერთგვარ გასაღებს წარმოადგენს, არ უნდა იყოს სრულიად დაცლილი ანტიკური აღქმებისაგან, რასაც, შესაძლოა, ორგანულად ერწყმოდეს ქრისტიანულ-თეოლოგიური პერცეფციებიც.

ამრიგად, განსხვავებით ქართველი სიმბოლისტების სხვა წარმომადგენლებისგან, ტერენტი გრანელის მისტიკურ-სიმბოლისტურ პოეზიაში

⁸⁷³ პ. კვარაცხელია. მისტიციზმი ტერენტი გრანელის შემოქმედებაში. სადისერტაციო ნაშრომი. თბილისი, 2017, გვ. 139-161. ხელმისაწვდომია ონლაინ: <https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/220268/1/Disertacia.pdf> ბოლო ნახვა: 12.08.2023.

⁸⁷⁴ R. Tosi. Dizionario delle Sentenze Latine e Greche. BUR Dizionari. Milano, 2007, გვ. 244.

⁸⁷⁵ M. Beard. The Roman Triumph. 2009, გვ. 85-92.

საკმაოდ მცირეა ანტიკურობასთან უშუალოდ დაკავშირებული მასალა, თუმცა ეს პასაჟები გამორჩეულია მხატვრული სიღრმითა და საინტერესო, ორიგინალური ინტერპრეტაციით.

გოგლა ლეონიძე (1899-1966)

მაია დანელია

გოგლა ლეონიძის პოეტიკის აღქმისთვის ბევრ ინფორმაციას გვამღევს მისი წერილი „მშვილდოსანი“, ⁸⁷⁶ სადაც მიმოიხილავს ფრანგულ პოეზიას, ადარებს მას ქართულ პოეზიას,

„საქართველოს პოეზიას ეს დღე არ გაუგია, თუმცა ქართულ აპოლონსაც გაუჩნდა ქარები“, - წერს გოგლა. დიდ ყურადღებას უთმობს გრიგოლ რობაქიძის, ტიციან ტაბიძის, პაოლო იაშვილის, კოლაუ ნადირაძის, ვალერიან გაფრინდაშვილის პოეზიის განხილვას. ვალერიან გაფრინდაშვილს ის მოიხსენიებს როგორც პარნასელს. მ. კოსტავა მის ბასრ ენას ადარებდა კირკეს. ⁸⁷⁷

რაც შეეხება ანტიკურობისადმი დამოკიდებულებას, აშკარაა, რომ იგი მას არ მიმართავს ხშირად. და ის ტერმინებიც რაც გვხვდება, გატარებულია პატრიოტიზმის პრიზმაში. ამ მხრივ განვიხილავთ მის ლექსს „ზღვა და მედეა“ და პოემას „სამგორი“.

„ბევრი გაზიდა საქართველოდან
ყორანთმიანი, წარბქამანდები...
ვისაც სამშობლო დიდხანს ელოდა,
გულიდან სისხლის ცრემლის დადენით.
აჰა, ზღვამ პირი ჩემსკენ იბრუნა,
მოეხეთქება ნაბურთალები...
მედეას ოქრო თუ დამიბრუნა,
ურჩი-თავნების
ლურჯი თვალები...

⁸⁷⁶ გაზეთი „საქართველო“, 3 აპრილი, 1920, №72.

⁸⁷⁷ „არც ლეონიძეს განწყობა ესე
გულს არ ეფონა, სიმართლედ ითქვას,
არ დაენათლა იმის გალესილ,
კირკეს საკაზმით შენაზავ სიტყვას“ (მ. კოსტავა. ლექსები. თბილისი, 1990, გვ. 152).

ზვირთის ქეჩოზე ვხედავ იაზონს.
 შუბს ვტყორცნი, – განა დავემალები?
 წყნარად იწვება დღე სანიაზო,
 მედეას ფარჩის აბრწყინვალეობით.
 ყომრალი ჯანღი შავ ზღვას ედება,
 აინჩქრა ტალღა შავი მკლავებით,
 თმაგაწეწილი მოჰქრის მედეა
 თვისი კოლხური საწამლავებით.
 შეხედა ქალმა, როგორც ხანჯალმა,
 სევდით აღსავსე მოგრძო თვალებით,
 ქემაფის მზერით შეაჯანჯღარა
 და ჩაუარა ამპარტავნებით.
 რა სიყვარული დაარიალა,
 ამაყი, როგორც კლდე დარიალის...
 მისდევს მედეა, მიჰქრის იაზონ,
 უნდა გააქროს სულით-ხორციან...
 ზვირთი, უმაღლეს მედეას წყრომის
 თვითონ ზღვასაც არ შეუტყორცნია!
 რა იაზონი ვედარ იხილა,
 ზღვას დააწყვიტა თვისი ბავშვები,
 იოხა გული...
 ზღვამაც ილხინა
 უდიდეს ტანჯვის აშაბაშებით.
 ...
 ეტლი შემიბი, ზღვავ, გამაქანე,
 სადაც დულს ცეცხლით ვნება ძლიერი,
 სად სიყვარულის შემოქმედია
 მედეა ხანჯლურ შურისძიებით“. ⁸⁷⁸

ლექსი მრავალი ასპექტით არის საინტერესო. მთავარი მოტივი, არის შურისძიება.

ლექსში არ ჩანს, რით არის მედეას რისხვა გამოწვეული, მაგრამ ეს ყველაფერი მკითხველმა ისედაც იცის. პოეტი ისეთ ეპითეტებით იხსენიებს მედეას, რომ საკმაოდ

⁸⁷⁸ გ. ლეონიძე. ლექსები, პოემები. ერთტომეული. რედ.: გრ. აბაშიძე. წიგნი შეადგინეს თ. და ნ. ლეონიძეებმა. თბილისი, 1980, გვ. 353.

მკაფიოდ წარმოგვიდგება გამეხებული ქალის სახე: თმაგაწეწილი მედეა მორბის თავისი კოლხური საწამლავებით. „ქეძაფის მზერით შეაჯანჯღარა“ – ეს ფრაზაც ხატოვნად შხამებზე მიუთითებს. და უშუალოდ ხანჯლის ხსენება, რაც რამდენიმეჯერ მეორდება ლექსში „შეხედა ქალმა, როგორც ხანჯალმა“, „მედეა ხანჯლურ შურისძიებით“. ხაზგასმულია მედეას ამპარტავნება, რომელიც დარიალის კლდეს არის შედარებული. იგი ეძებს იასონს მოსაკლავად. იასონი ლექსში წარმოდგენილია როგორც გამტაცებელი, რომელმაც წაიყვანა მედეა, რასაც საკმაოდ ბევრისმთქმელი ფრაზით გადმოსცემს ავტორი „ბევრი გაზიდა საქართველოდან“. იასონი, როგორც გამტაცებელი, სხვა ლექსშიც გვხვდება: „ძმა დამიბრუნე, ძმა მომიყვანე, / ნაცვლად მტაცებელ იასონისა!“ („ზღვავ, იხმაურე...“).⁸⁷⁹

იასონს ვერ იპოვის, რადგან ის გაპარვას ახერხებს, მედეას რისხვა შვილებს დაატყდება თავს. ძირითადად ქართულ ლიტერატურაში შვილების მოკვლის აქტი ტაბუდადებული თემაა, და ჩანს სურვილი, მედეასთან არ დააკავშირონ იგი. გიორგი ლეონიძე, კი პირდაპირ ამბობს, როდესაც იასონი ველარ იხილა, მედეამ ზღვას დააწყვიტა ბავშვები.

ლექსში ძალიან მნიშვნელოვანი დატვირთვა აქვს ზღვის სიმბოლიკას. დავიწყოთ იმით, რომ ლექსს ჰქვია „ზღვა და მედეა“ და მართლაც ამ შემთხვევაში ზღვა არის მედეას სიმბოლო. საინტერესოა მედეას სახეც, იგი ვიზუალურადაც მოგვაგონებს შავ ზღვას: ყორანთმიანი, წარბქამანდიანი, ლურჯთვალეა. აცვია ფარჩის სამოსი, სევდით აღსავსე ნუშის თვალებით. ზღვა განასახიერებს მედეას რისხვას, ბორგვას და შურისძიების დაუოკებელ სურვილს. ლექსის ბგერწერა ზღვის და ვნებების ტალღებში ხვევს მკითხველს. ბავშვების მოკვლის შემდეგ ზღვა/მედეა წყნარდება, როცა მიიღებს საზღაურს: „ზღვამაც ილხინა / უდიდეს ტანჯვის აშაბაშებით“. მედეას სამშობლოს ღალატი და გამტაცებელი იაზონი თემატიზებულია გოგლას პოემაშიც „ფორთოხალა“:

„ძველო კოლხიდავ, სამშობლოვ
ახალ მზითა ხარ ნათევი;
რომს ასუქებდი, ელადას
მედეას ნალალატევი.
დამპყრობელ იაზონებმა
გაგფცქვნეს და დაგაბორკილეს“.⁸⁸⁰

⁸⁷⁹ გ. ლეონიძე. ლექსები, პოემები. ერთტომეული. რედ.: გრ. აბაშიძე. წიგნი შეადგინეს თ. და ნ. ლეონიძეებმა. თბილისი, 1980, გვ. 399.

⁸⁸⁰ გ. ლეონიძე. ლექსები, პოემები. ერთტომეული. რედ.: გრ. აბაშიძე. წიგნი შეადგინეს თ. და ნ. ლეონიძეებმა. თბილისი, 1980, გვ. 440.

მედეას მითის გარდა, გოგლა ლეონიძე საინტერესოდ ამუშავებს პრომეთეს სახეს. ლექსში „მთები“ თემატიზებულია კავკასიონი, სადაც პრომეთე/ამირანი იყო მიჯაჭვული და ეს მხარე წარმოდგენილია თავისუფლების მოყვარული, თავგანწირული, უბადლო მეომრების სამშობლოდ. საგულისხმოა, რომ ლექსი 1936 წელს არის დაწერილი, როდესაც დაწყებულია რეპრესიები და ავტორი ცდილობს საქართველოს მებრძოლი სულის გაცოცხლებას. ამბობს, რომ მრავალი განსაცდელი დატრიალებულა ამ მხარეში, მაგრამ მრავალი განსაცდელის მიუხედავად არსად გამქრალა თავისუფლების სიყვარული.

„აქ რა უნდოდათ, რამ მოიყვანა
შაჰი, სულთანი, იმპერატორი?
დაგვწვეს, დაგვდაგეს და ვერ წაიღეს
თავისუფლების ამაყი სული“.⁸⁸¹

ეს თემა მოგვიანებით (1962 წელს) დაწერილ ლექსშიც არის თემატიზებული „ვარ სიყვარულის პრომეთეოსი“, სადაც პოეტი ისევ თავის სამშობლოს უმღერის და მას აიგივებს პრომეთესთან.

„ვარ სიყვარულის პრომეთეოსი
ჩემის მეუფის – საქართველოსი!
მას ვერასოდეს ვერ გამომტაცებს
ვერც სატანა და ვერც ანგელოსი!“⁸⁸²

ანტიკურობის რეცეფციის თვალსაზრისით საინტერესოა გოგლა ლეონიძის ისტორიული პოემა „სამგორი“, რომელიც ეძღვნება მეფე ვახტანგ გორგასალს. იგი 15 წლის იყო, როცა გამეფდა და იმეფა 45 წელი, გარდაიცვალა 60 წლის. მისი ცხოვრება აღწერა VIII საუკუნის ქართველმა ისტორიოგრაფმა ჯუანშერმა, რომლის ვრცელი თხზულება სახელწოდებით „ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა“ შესულია ისტორიოგრაფიულ კრებულში „ქართლის ცხოვრება“. როგორც ჩანს, გიორგი ლეონიძემ თავისი ქმნილების სიუჟეტად სწორედ ეს თხზულება გამოიყენა. ისტორიულ ფაქტებთან ერთად პოემაში, ბუნებრივია, დიდი ადგილი უჭირავს პოეტის მხატვრულ წარმოსახვას, ისტორიულ მოვლენათა ახლებურ გააზრებას.

⁸⁸¹ გ. ლეონიძე. ლექსები, პოემები. ერთტომეული. რედ.: გრ. აბაშიძე. წიგნი შეადგინეს თ. და ნ. ლეონიძეებმა. თბილისი, 1980, გვ. 161.

⁸⁸² გ. ლეონიძე. ლექსები, პოემები. ერთტომეული. რედ.: გრ. აბაშიძე. წიგნი შეადგინეს თ. და ნ. ლეონიძეებმა. თბილისი, 1980, გვ. 372.

თუმცა ლაიტმოტივი უცვლელია: მეფე ვახტანგ გორგასალი საქართველოში ქრისტიანობის განმტკიცებასა და ქვეყნის ირანელთა აგრესიისგან დაცვას ცდილობდა, მისი მმართველობის ჟამს ქართულმა ეკლესიამ ავტოკეფალია მოიპოვა, თბილისი ქართლის დედაქალაქად გამოცხადდა და განისაზღვრა საქართველოს საგარეო ორიენტაცია – გზა ბიზანტიისაკენ. ჯუანშერი თავის თხზულებაში ასე გადმოგვცემს მეფის ანდერძს: „აწ გამცნებ თქუნ, რათა მტკიცედ სარწმუნოებასა ზედა სდგეთ და ეძიებდეთ ქრისტესთჳს სიკუდილსა სახელსა მისსა ზედა, რათა წარუვალი დიდება მოიგოთ... და სიყუარულსა ბერძენთასა ნუ დაუტეობთ“.⁸⁸³

ისტორიული კონტექსტი: პოემა მრავალი თვალსაზრისით არის მნიშვნელოვანი. იგი არის ქრონიკა V საუკუნეში განვითარებული მოვლენების შესახებ. პოემიდან შეგვიძლია დავინახოთ ვახტანგის საშინაო და საგარეო პოლიტიკა. მწერალი კარგად იცნობს „ქართლის ცხოვრებას“ და ციტატებსაც კი უმძღვარებს ცალკეულ თავებს. კარგად ჩანს შიდა არეულობები.

კარგად იკვეთება, რომ იბერია ამ დროს არის ინტერესის სფერო ირანსა და რომს შორის. ვახტანგის კარზე არიან პროსპარსული და პრორომაული ძალები. იბერიას, ერთი მხრივ, უწევს ირანთან ურთიერთობის დარეგულირება, რადგან სპარსული საფრთხე ყოველთვის დგას დღის წესრიში და, მეორე მხრივ, ძალიან აქტიურად ჩანს რომაული ალტერნატივა. პროსპარსულ ძალებს პოემაში წარმოადგენს შარაველ გარდაბნელი, რომელიც სათავეში უდგება ვახტანგის წინააღმდეგ შეთქმულების ორგანიზებას. პრორომაულ ძალის წარმომადგენელი არის გურამ ბივრიტიანი, რომელიც არის კეისრის სამსახურში რომში. კარგად ჩანს სურათი ვახტანგის ასულსა და გურამის გასაუბრებაში, რომელიც რომში იმყოფებოდა მისიით, გაემყარებინა კავშირი რომაელებთან, რაც მათ დაიცავდა სპარსული საფრთხისგან.⁸⁸⁴ კითხვაზე, თუ რა ამბავი მოაქვს რომიდან, გურამი პასუხობს, რომ ქართლი გადარჩა, სპარსთა ისრის წვერი გადაიმტვრა, რომ შეიკრა კავშირი, რომ რომი აღარ დაანებებს ქართლს სპარსეთს და კლარჯეთი ქართლის სამეფოს დაუბრუნდება. ეგრისი, სპერი და დიუსკურიაც ქართლს უკავშირდება.

გურამი ვახტანგს ძღვენს მთავრად, რომელიც კეისარმა გამოუგზავნა მას და, ასევე, ეპისტოლეს, სადაც წერია მთავარი:

„რომ იყოს ქართლი და იყოს რომი,

⁸⁸³ ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. I. თბილისი, 1955, გვ. 203.

⁸⁸⁴ „დიდხანს ვიბრძოლე კეისრის კარზე, / რომ დამეთრგუნა ჩვენი ამკლები“ (გ. ლეონიძე. ლექსები, პოემები. ერთტომეული. რედ.: გრ. აბაშიძე. წიგნი შეადგინეს თ. და ნ. ლეონიძეებმა. თბილისი, 1980, გვ. 473).

ვით ძმა ერთსახლი ამიერიდან, –
წინაშე მტრის, სპარსთა წინაშე,
ერთპირ, ერთსიმხნით, ჯვრის მიერთითა!”

ამ საუბარში კარგად ჩანს, გადასასვლელების კონტროლის აუცილებლობა:

„რომ შევკრათ კავკასიონი,
ჰონნი, ძურძუკნი, სარაგურები,
არ გადმოვუშვათ დასავლეთისკენ,
გავხადოთ ცეცხლით დადაგულები!“⁸⁸⁵

ამ კავშირით თბილისი ხდება სავაჭრო ურთიერთობებშიც თანამონაწილე:

„შენდება სატახტო შავს ტყეში, სად ნადირს
ათასი წლობით დამე ეთია...
ხვალ კარს გაუღებს დიდ ქარავანებს
დასავლეთიდან, ინდოეთიდან.
რომი, ათენი და ბაბილონი
ხვალიდან თბილისის ძმები არიან“.⁸⁸⁶

რომი, რომთან ურთიერთობა შედარების დონეზეც კი ასოცირდება პროგრესულ სამყაროსთან კომუნიკაციასთან. ნაწარმოებში რომი და კეისრის კარი 10 ჯერ არის ნახსენები და ყოველთვის პოზიტიურ კონტექსტში.⁸⁸⁷

⁸⁸⁵ გ. ლეონიძე. ლექსები, პოემები. ერთტომეული. რედ.: გრ. აბაშიძე. წიგნი შეადგინეს თ. და ნ. ლეონიძეებმა. თბილისი, 1980, გვ. 475.

⁸⁸⁶ გ. ლეონიძე. ლექსები, პოემები. ერთტომეული. რედ.: გრ. აბაშიძე. წიგნი შეადგინეს თ. და ნ. ლეონიძეებმა. თბილისი, 1980, გვ. 486. ამ ერთობას გამოხატავს ეს სტრიქონებიც: „მცხეთა, ფაზისი, ცხუმი, არმაზი – დალოცვენ თბილისს უფროსი ძმები...“ (გვ. 492).

⁸⁸⁷ „და თითქოს რომში შეჰყვარებოდეს / კეისრის ქალი ზინობიერი“ (გ. ლეონიძე. ლექსები, პოემები. ერთტომეული. რედ.: გრ. აბაშიძე. წიგნი შეადგინეს თ. და ნ. ლეონიძეებმა. თბილისი, 1980, გვ. 467).

„და თუ ახლა რომში ჰხარობ, არც მე ვღვარო ცრემლის წყარო“ (გვ. 469).

რომი არის ტერმინი, რომელიც ყველაზე ხშირად გვხვდება სხვადასხვა კონტექსტში გოგლა ლეონიძის სხვა ლექსებშიც:

„დგებიან, როგორც კეისარი ვესპასიანე“ („***ვამაყოფ...“, გვ. 20).

„ცამეტ ქვასავით აინთები მწვანე კაბარე,

დაჭრილ სკვითივით როიალი მოგესალმება“ (უცნობ ქალს – კაბარეში, გვ. 21).

„ვარ ბარბაროსი, ვარ ხაზარი, ვარ სარაცინი,

რომის კედლებთან ურავანი და დინამიტი“ (ბარბაროსული ელეგია, გვ. 24).

ეს ლექსი ეძღვნება ვალერიან გაფრინდაშვილს

ნაწარმოებში კონფლიქტს ქმნის სპარსული ორიენტაციის შარაველი, რომელიც ამზადებს შეთქმულებას. მისი არგუმენტია, არა პირადი მოტივი, რომ მას მეფემ მამულები ჩამოართვა, არამედ ის, რომ მეფეს რომაელები შემოჰყავს და ქართლის მიწაზე დააბინავებს. მეფემ იცის, რომ შეთქმულება მზადდება მის წინააღმდეგ.

საინტერესო ასპექტი ჩანს ეპიზოდში, სადაც გადმოცემულია თბილისის სატახტო ქალაქად გამოცხადება. ამ დღის აღსანიშნავად მეფეს თან ახლავს რომის ტოგამოსილი დესპანი. მიუხედავად იმისა, რომ ქალაქს კლდიანი კარიბჭე აქვს და ციხესიმაგრეც, რომელიც დესპანი იბერიელებს ურჩევს მეტი სიმტკიცისათვის ქალაქში რომაელთა გარნიზონები ჩააყენონ.

ავტორს სურს აქ გვიჩვენოს, რომ რომსაც თავისი ინტერესები აქვს ამ ქვეყანაში, მოუწოდებს იბერიელებს, რომ გაერთიანდნენ სპარსეთის წინააღმდეგ, ჩაკეტონ კავკასიის გადმოსასვლელები, რომ მომთაბარე ტომები არ შეიჭრან დასავლეთში. ჰპირდება ქართლის ძველი საზღვრების დაბრუნებას და საჭიროების შემთხვევაში ლაშქრით შეწევნას. მეფე ხელს აწერს ასეთ პირობას.

მეფის დამოკიდებულება კარგად ჩანს მომდევნო მონოლოგში, სადაც ის საკუთარ თავს ეუბნება, რომ არ ეთელვნია რომსა და სპარსეთს მისი სამშობლო და არცერთ მტერს არ ეკრძაღვის. მშობას და შეწევნას ითხოვს მისგან დიდი კონსტანტინეს ქალაქი, მაგრამ ის არ ახსოვთ, რამდენჯერ გადაარჩინეს კავკასიონზე მცველებლად მდგარმა იბერიელებმა. თუმცა მეფეს გააზრებული აქვს, რომ სხვა გზა არ აქვს და ამ არჩევანში ერთმორწმუნეობა გადამწყვეტი ფაქტორია, „თუმც სპარსეთივით მგლის ტყავი მოსავს, / ორივეს ჩვენი ჩანთქმის სურს ჩქარი!“

შაჰანშა ბიძას უგზავნის ვახტანგს, რომ სპარსეთს დაემორჩილონ და რომაელებს უღალატონ. სპარსელები გაცილებით მეტნი არიან და რომის იმედი ამაოდ აქვს. ვახტანგი პირდაპირ ეუბნება, რომ მიცემულ სიტყვას ვერ გატეხს და მზად არის, ჯერ

„რომელი უნდა გელეწა რასა
და მერამდენე გემტვრია რომი
როცა დაეშვი დაუდგრომელი
და მზე გტეხავდა ბარბაროსული“ (ვეფხი, გვ. 33).
„სიზმრად ხედავენ რომის პალატებს“ (ყივჩალური ღამე, გვ. 73).
„რომს გაუზიდავს თვალ-მარგალიტი,
აზიის ფარჩა და ყალამქარი“ („გორი – ქართლის მეთაური“, გვ. 151).
„აქ რომის აფრამ დაიგვიანა“ („სიტყვა ძველ თბილისს“, გვ. 291).
„ჩვენი საზომი არც პრიზია,
არც რომის კერპი შეუპოვარი,“ („მოწოდება“, გვ. 423).
„ჩამორჩენილი მითრიდატეს ლეგიონერი,
ქვეყნის დაპყრობით მოსული.
მტკვარზე ვინც მღერის რომის ელეგიას
სისხლი შევახეთქე ბარბაროსული.“ (ბარბაროსული ელეგია, გვ. 26).

მათი იერიში მოიგერიონ და მერე დაესხან თავს რომს. ასულის ხელზეც უარს ეუბნება, წარმართს არ სურს ასული მიათხოვოს, პირიმზეც უდასტურებს, რომ არც სპარსეთი სურს და არც საბერძნეთი, რომ მისი სამშობლო მისთვის ყველაზე ძვირფასია.

ვახტანგი ომისთვის ემზადება. მოკავშირეებად მას სომხეთი, კავკასიონი და რომაელები ეგულება. ელჩს გაუგზავნის კეისარს, რომ ლაშქარით დაეხმაროს. რომ ისინი მხოლოდ ქართლისთვის არ იბრძვიან. თუ ისინი დამარცხდებიან, სპარსეთი მათაც თავს დაესხმის.

ვახტანგმა დახმარება ვერ მიიღო რომისგან. ქუჩებში უშვერი სიტყვებით აგინებდნენ რომს. ბიზანტიონის ლაშქარი არსად ჩანდა და მეფეს აღარ ჰქონდა იმედი, რომ გამოჩნდებოდნენ. სომხეთი სძლია სპარსეთმა ღალატით. კავკასიელებიც არ ჩანდნენ, ისინიც, ალბათ, ოქროთი გადაიბირა კავადმა. მარტოდმარტო დახვდება სპარსულ ჯარს უჯარმა.

პოემაში კარგად ჩანს ტრაგიკული მდგომარეობა, რომლის წინაშეც, ალბათ, ისტორიის ყველა ეტაპზე იდგა საქართველო.⁸⁸⁸ ის ყოველთვის ელოდა ხსნას, დახმარებას დასავლეთიდან, თუმცა კრიტიკულ სიტუაციებში არასოდეს იყო საკმარისი მხარდაჭერა. პოემაშიც კარგად ჩანს ეს განწირული მდგომარეობა, როდესაც საქართველოს მარტო უწევს დამპყრობელთან გამკლავება და ვახტანგ მეფეც ქართველის ღალატის მსხვერპლი ხდება.

კიდევ ერთი ლექსი „თუ ძმობა არის სარდალი“ გვინდა გავიხსენოთ, სადაც შეპირისპირებულია ქართული და ანტიკური ცნებები ერთმანეთთან, კერძოდ, თერმოპილე/კრწანისი და გაერთიანებულია ამირანის სახეში, გამარჯვების და უკეთესო მომავლის რწმენის ნიშნად:

„დასცქერის თბილისს
მზე თერმოპილის,

⁸⁸⁸ კარგად არის ეს მდგომარეობა აღწერილი მის კიდევ ერთ ლექსში „გორის ციხე“:

„აქ ისკანდერმა გასჭრა კლდეკარი,
შესძრა ქვეყანა, ვით ხის ფოთოლო,
აქ მონგოლებმა ლეწეს ბეგთარი,
ცამდე ასტყორცნეს ძვლების გოდოლი“
„აქ მითრიდატმა რომის ჯარები
თავის სიკვდილზე დაიპატიჟა;
აქ მობლაოდა თხრილზედ არაბი
შიშველი ხმალით ხალიფატისა“ (გვ. 152).

მაგრამ კრწანისი – უფრო მწველია,
თუმცა დღევ, ღამევ დაგვიბალღამეს,
კვლავ ამირანი ჩვენი მცველია!
დავკიდებულვარ თბილისის ფანჯრებს,
ჩვენს ცას ვდარაჯობ, ვიდრე იალებს;
გადაიწურა ყველა ვარსკვლავი,
ჩვენი ვარსკვლავი უფრო ბდღვრიალებს“⁸⁸⁹

ერთი მხრივ, ნახსენებია თერმოპილე, რომელიც არის სიმამაცის, თავგანწირვისა და გამძლეობის სიმბოლო: ძვ.წ. 480 წელს სპარტის მეფე ლეონიდასის მეთაურობით მცირერიცხოვანმა ბერძნებმა გაბედული წინააღმდეგობა გაუწიეს ქსერქსეს გაცილებით დიდ ჯარს და, მეორე მხრივ, კრწანისი, ბრძოლა, რომელიც სიმბოლოა ეროვნული წინააღმდეგობის, თავგანწირვისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის.

გიორგი ყიფიანი (1908-1986)

გიორგი უგულავა

ტერმინები: პარნასი/პარნასოსი, ჰომეროსი, რომაელები, ქიმერა, კართაგენი, მინოტავრი, ლაბირინთი, კალიგულა, ალექსანდრე, სირინოზები, ზევსი, არგონავტები, ოქროს საწმისი, სპარტაკი/სპარტაკელები

გიორგი ყიფიანის შემოქმედება რაოდენობრივად არცთუ მრავალრიცხოვანია და მის შემოქმედებაში ანტიკურობას და ანტიკურ ტერმინოლოგიას მხოლოდ ფრაგმენტული ხასიათი აქვს.

მის რამდენიმე ლექსში ანტიკური ტერმინები გამოიყენება როგორც სიდიადის, ხარისხის, მნიშვნელობის გამომხატველი ეპითეტები, ძირითადად, შედარებების ფორმით. მაგალითად, თავის ლექსში „უკანასკნელ წუთამდე“ იგი ერთმანეთს ადარებს, ერთიან კონტექსტში იხსენიებს პარნასს და მთაწმინდას. პარნასი ანუ პარნასოსის მთა ანტიკური მითოლოგიური ტრადიციის მიხედვით წარმოადგენდა ხელოვნების და მუსიკის ადგილს, მუზების სამყოფელს, ადგილს, სადაც ბერძნული

⁸⁸⁹ გ. ლეონიძე. ლექსები, პოემები. ერთტომეული. რედ.: გრ. აბაშიძე. წიგნი შეადგინეს თ. და ნ. ლეონიძეებმა. თბილისი, 1980, გვ. 351.

მითოლოგიის მიხედვით ლეგენდარულმა და მითოლოგიურმა პოეტმა, ხელოვანმა და მუსიკოსმა ორფევსმა აპოლონისგან ისწავლა დაკვრა. პარნასოსი/პარნასი გვიანდელ ეპოქასაც შემორჩა როგორც ხელოვნებისა და ხელოვანთა სივრცე, ადგილი, სადაც ყველაზე დიდი ხელოვანები, მათი მფარველები (აპოლონი, მუზები) ცხოვრობენ და მოღვაწეობენ. ზოგადად, ეს მთა მიიჩნეოდა ხელოვნების მფარველი ღმერთის, აპოლონის სივრცედ. გიორგი ყიფიანი ამ შედარებით არ არის ორიგინალური – მსგავს შედარებას მიმართავს ლადო ასათიანიც. მთაწმინდა, ადგილი, რომელშიც საქართველოს ყველაზე მნიშვნელოვანი ხელოვნები, მწერლები და საზოგადო მოღვაწეები განისვენებენ, შედარებულია ანტიკურ პარნასოსთან. კერძოდ, აღნიშნულია, რომ „პარნასი და მთაწმინდა გვემახიან ერთი ხმით“.⁸⁹⁰

პარნასოსს/პარნასს პოეტი მის სხვა ლექსშიც მოიხსენიებს, რომელიც გრიგოლ რობაქიძეს, ქართული ემიგრაციული მწერლობის ერთ-ერთ უდიდეს წარმომადგენელს ეძღვნება. ამ ლექსში („გრიგოლ რობაქიძე“) პოეტი რობაქიძეს უწოდებს საქართველოს და პარნასის ელჩს. ერთი მხრივ, მისთვის საბჭოთა ხელისუფლების მიერ დაპყრობილი საქართველო კვლავ ცოცხალი პოლიტიკური ერთეულია, რომელსაც ყველაზე უკეთ სწორედ გრიგოლ რობაქიძე, თავად გიორგი ყიფიანით, განდევნილი, ემიგრირებული და საბჭოთა ხელისუფლებასთან დაპირისპირებული პოეტი წარმოადგენს. მეორე მხრივ, რობაქიძის პოეტური და ლიტერატურული მნიშვნელობა გადმოცემულია ეპითეტით – „პარნასის ელჩი“. პოეტი რობაქიძეს პარნასთან, ორფევსის, აპოლონის და მუზების, ანუ ანტიკური ხელოვნების უდიდესი წარმომადგენლების და ხელოვნების მფარველი ღმერთებისა და ღვთაებების სივრცესთან აკავშირებს და ამ სივრცის ერთ-ერთ წარმომადგენლად (ელჩად) მიიჩნევს.⁸⁹¹ პარნასი ასევე მოხსენიებულია მის 1975 წლის ლექსში, „სხვა საქართველო სად არი“. სადაც პოეზია შედარებულია მზეს და მას პოეტი უწოდებს „პარნასზე უფრო მაღალს“. ანტიკური პარნასი ამ შემთხვევაში პოეტური ხელოვნების და, ზოგადად, ხელოვნების სიმბოლოა, რომელიც შედარებისთვის გამოიყენება.⁸⁹²

ანალოგიური ტიპის შედარება მოყვანილია 1965 წლის კიდევ ერთ ლექსში, „დაგიმადლებთ“, რომელშიც გიორგი ყიფიანი კაცობრიობის უდიდეს პოეტებს ჩამოთვლის და დანტესა და ომან ხაიამთან ერთად მოიხსენიებს ჰომეროსს.⁸⁹³ ამ მხრივ, მისი პოზიცია განსხვავებული და გამორჩეული არ გახლავთ. ჰომეროსს კაცობრიობის უდიდეს პოეტებს შორის ყველა ეპოქაში აღიქვამდნენ და

⁸⁹⁰ „უკანასკნელ წუთამდე“, გ. ყიფიანი. ლექსები. პარიზი, 1965, გვ. 28.

⁸⁹¹ „გრიგოლ რობაქიძე“, გ. ყიფიანი. ლექსები. პარიზი, 1965, გვ. 98.

⁸⁹² „სხვა საქართველო სად არი“, ი. და გ. ყიფიანი. საზიარო პოეზია. პარიზი, 1975, გვ. 87.

⁸⁹³ „დაგიმადლებთ“, გ. ყიფიანი. ლექსები. პარიზი, 1965, გვ. 29.

მოიხსენიებდნენ და გიორგი ყიფიანი ამ შემთხვევაში უფრო სტანდარტულ ფორმულირებას მიმართავს, ვიდრე ანტიკურობის სიღრმისეულ რეცეფციას ახდენს.

ამ ტიპის შედარებას გამოიყენებს იგი ლექსში „ქალაქის ღამე“, რომელშიც მეტრო შედარებულია ანტიკური მითოლოგიის მინოტავროსს და ლაბირინთს, მის საცხოვრებელს, რომელიც კრეტის მითოლოგიურმა მეფე მინოსმა ააგო – „მიწა გაშლილი, ვით ლაბირინთი, ბუღრაობს მეტრო მინოტავრული“. მეტროს სისტემას პოეტი ადარებს ანტიკურ, მითოლოგიურ ლაბირინთს, ხოლო მეტრო, რომელიც ამ მიწისქვეშა სისტემაში მოძრაობს, გიორგი ყიფიანის მიერ შედარებულია მინოტავროსთან.⁸⁹⁴ როგორც მინოტავროსი, ხარისა და ადამიანის ნაჯვარი, მრისხანებს ლაბირინთში, გიორგი ყიფიანისთვის მის მსგავსად „ბუღრაობს“ მეტრო მისთვის შექმნილ, მიწისქვეშა, ლაბირინთოვან სისტემაში.

ამ ტიპის რეცეფციას წარმოადგენს ლექსში, „დღეს დაეფინა“ გამოყენებული ფრაზა, რომ თუკი მას დანას მისცემენ, ის „რომაელივით დაიჭრის მაჯებს“.⁸⁹⁵ ანტიკურობაში, განსაკუთრებით, რომაულ სამყაროში სუიციდი მიღებული პრაქტიკა გახლდათ. განსაკუთრებით ხშირი იყო ე.წ. ღირსების სუიციდი, როდესაც პოლიტიკური ბრძოლებში მარცხის, სამხედრო წარუმატებლობების შემდეგ, უცხოელის სასჯელის მოლოდინის წინ, განსაკუთრებით მაღალი სოციალური ფენის რომაელები არჩევდნენ, რომ სიცოცხლე სუიციდით დაესრულებინათ. ჩვეულებრივ, სუიციდის ყველაზე ხშირ ფორმას წარმოადგენდა მახვილით თვითმკვლელობა (მაგ., მახვილი მუცელში) ანდაც ვენების გადაჭრა (უფრო უმტკივნეულო მეთოდი). რომაელები მიიჩნევდნენ, რომ ჯობდა ღირსებით სიკვდილი, ვიდრე ღირსებააყრილი სიცოცხლის გაგრძელება. სუიციდი ამ კულტურაში თავისებურად პრივილეგიას წარმოადგენდა და ვაჟკაცობის გამოვლინებად მიიჩნეოდა. მაგალითად, პოლიტიკური ბრძოლების შემდეგ დამარცხებულ ოპონენტებს პოლიტიკური ლიდერები (მაგ., იმპერატორი) სთავაზობდა თვითმკვლელობით სიცოცხლის დასრულებას, რაც მისადმი პატივისცემის და მოწყალების გამოხატულებად მიიჩნეოდა. სტოიკური მსოფლალქმის მიხედვით სიკვდილი საერთოდაც გათავისუფლებად აღიქმებოდა. სამხედროებისა და პოლიტიკოსების გარდა, ხშირად ამ ფორმით სიცოცხლეს ასრულებდნენ ხელოვნები, მწერლები, ფილოსოფოსები ა.შ. მაგალითად, ასე მოიხსენიებდა სიცოცხლე სენეკამ, რომელმაც ფილოსოფოსმა და დრამატურგმა და ლუკანუსმა, რომელმაც პოეტმა, რომელთაც ახ.წ. 65 წელს, ნერონის მმართველობის ხანაში, იმპერატორის წინააღმდეგ შეთქმულებაში დადეს ბრალი (პისოს

⁸⁹⁴ „ქალაქის ღამე“, გ. ყიფიანი. ლექსები. პარიზი, 1965, გვ. 138.

⁸⁹⁵ „დღეს დაეფინა“, გ. ყიფიანი. ლექსები. პარიზი, 1965, გვ. 50.

შეთქმულება). ორივე მათგანმა მაჯები გადაისერა, ვენები გადაიჭრა და სიცოცხლე ამ ფორმით მოისწრაფა.⁸⁹⁶

გიორგი ყიფიანი იცნობს ამ რომაულ ტრადიციას და გამოთქვამს მზადყოფნას, რომ სწორედაც რომელიც დაასრულოს სიცოცხლე სუიციდით. თვითმკვლელობისთვის ის ზუსტად იმ ფორმას ასახელებს (მაჯების დაჭრა), რომელიც რომაულ სამყაროში იყო მიღებული. ზუსტად არ ჩანს, თუ რა სიღრმით იცნობს გიორგი ყიფიანი ანტიკურობას, თუმცა შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ მისთვის სუიციდის რომაულ კულტურასთან დაკავშირება, ასოცირდება საზოგადოებრივ და პოლიტიკურ თემატიკის, ღირსების დაკარგვის კონტექსტში თვითმკვლელობასთან. რადგან რომაულ სამყაროში ნაკლებად იყო მიღებული და ნეგატიურად აღიქმებოდა სუიციდი პირადი გრძნობების, მაგალითად, სიყვარულის გამო. მაგალითად, მარკუს ანტონიუსის სუიციდი, რომელიც რომში გაგებულ იქნა როგორც კლეოპატრასთან სიყვარულის გამო თვითმკვლელობა, უაღრესად ნეგატიურად იქნა აღქმული. და ეს მიუხედავად იმისა, რომ სუიციდის მომენტში ანტონიუსი ამავე დროს დამარცხებულ მთავარსარდალსაც წარმოადგენდა, რომლის პოლიტიკური პერსპექტივა უაღრესად ბუნდოვანი იყო და იოლად შეიძლება მისი დასჯით, პოლიტიკური ანგარიშსწორებით ან ღირსების აყრით დასრულებულიყო. გიორგი ყიფიანის პოეზიაში ზუსტად არ ჩანს, თუმცა შესაძლებელია, რომ ის სუიციდის რომაულ პრაქტიკას ორი სხვადასხვა მოტივით იხსენიებდეს: ა) უფრო ზედაპირული გაგებით, იმ შემთხვევაში, თუკი ის მხოლოდ ზოგადად იცნობდა რომში სუიციდის გავრცელებულ ტრადიციას; ბ) უფრო სიღრმისეული გაგებით, ანუ იმ სუიციდად, რომელიც ღირსების შენარჩუნების, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ საკითხებზე ზრუნვითა და ამ სივრცეში წარუმატებლობით არის განპირობებული. ეს იმ შემთხვევაში, თუკი იგი სიღრმისეულად იცნობდა სუიციდის რომაული კულტურის თავისებურებებს.

საკმაოდ რთული და წინააღმდეგობრივი შეიძლება იყოს გიორგი ყიფიანის ლექსის „ადამიანის“ ინტერპრეტაცია, რომელშიც იგი აღნიშნავს: „ჩემს სხეულშია ატომები, ატომის მშვეები ... სიკვდილის ხმალი, კალიგულა, მაკედონელი“.⁸⁹⁷ რომის იმპერატორი კალიგულა (ახ.წ. 37-41 წწ.) და ალექსანდრე მაკედონელი ანტიკურობის ყველაზე ცნობილ პოლიტიკურ და სამხედრო პირებს მიეკუთვნებიან. ალექსანდრე კაცობრიობის ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე დიდი დამპყრობელი და უდიდესი ისტორიული საგმირო საქმის შემოქმედია, რომელიც ინსპირაცია ხელოვნებისა და

⁸⁹⁶ Tacitus, *Annals* XV.70.1; P. Asso. *A Commentary on Lucan 'De Bello Civili IV'*. Berlin, 2010, გვ. 38; E. Asmis, Sh. Bartsch, M. C. Nussbaum. *Seneca and his World*. In: *Lucius Anneus Seneca*. Anger, Mercy, Revenge. Translated by R. A. Kaster and M. C. Nussbaum. Chicago, 2012.

⁸⁹⁷ „ადამიანი“, გ. ყიფიანი. *ლექსები*. პარიზი, 1965, გვ. 191.

მწერლობისთვის იყო კაცობრიობის განვითარების ყველა ეტაპზე, ხოლო კალიგულა ისტორიას შემორჩა მისი მანიაკალური ძალადობის, გარყვნილებისა და ძალაუფლებით დეგრადაციის გამო. მიუხედავად იმისა, რომ კალიგულას ისტორიული მნიშვნელობა ობიექტური კატეგორიებით განსაკუთრებული ნამდვილად არ ყოფილა, ის უფრო მეტად შემორჩა როგორც სიმბოლო, თუ რამდენად დამანგრეველი შეიძლება იყოს ძალაუფლებით ადამიანის დეგრადაცია. შესაბამისად, გასაკვირი არ არის, რომ პოეტი ორივე ამ ანტიკურ ისტორიულ ფიგურა-სიმბოლოს იცნობს. უფრო რთულია ინტერპრეტაცია, თუ ზუსტად რისი თქმა სურდა ავტორს ამ ანტიკური სიმბოლოების გამოყენებით. თუკი კალიგულას რეცეფცია ყოველთვის ერთმნიშვნელოვნად უარყოფითი იყო ანტიკურობიდან თანამედროვეობამდე, კაცობრიობის ისტორიული განვითარების ყველა ეტაპზე ალექსანდრესადმი დამოკიდებულება ამბივალენტური შეიძლება იყოს. ეს, ერთი მხრივ, უმეტესად, აღიქმება როგორც სიდიადის, ადამიანურ საზღვრებთან, ადამიანის შესაძლებლობების ზედა ზღვართან მიღწევის სიმბოლო, ხოლო, მეორე მხრივ, რიგ შემთხვევებში (მაგ., აღმოსავლურ ტრადიციაში), ის შემორჩენილია როგორც დაპყრობის, ძალადობის, ექსპანსიონიზმის სახე-სიმბოლო. შესაბამისად, თუკი ადამიანურ ბუნებაში კალიგულას, როგორც სიმბოლო-საწყისის, არსებობით, ავტორი ადამიანური ბუნების მოწყვლადობას, მისი დეგრადაციის, დაცემის, ძალადობისა და გარყვნილებისაკენ მიდრეკილებას უსვამს ხანს, ალექსანდრეს შემთხვევაში ეს შეიძლება აღქმული იყოს როგორც ადამიანურ ბუნებაში გაუმადლობის, ძალადობის, ექსპანსიონიზმის არსებობით, ასევე მისგან რადიკალურად განსხვავებული ადამიანური სიდიადის, მისი მასშტაბურობისა და მონუმენტურობის განცდით. ერთმნიშვნელოვანი ინტერპრეტაციისათვის საკმარისი მასალა არ გვაქვს. თუმცა, უფრო მეტად გადავიხრებოდი იმ ვერსიისკენ, რომ პოეტი თავის ლექსში, მსჯელობს რა ადამიანურ ბუნებაზე ორი ანტიკური ისტორიული ფიგურა-სიმბოლოს რეცეფციით, ცდილობს აჩვენოს ადამიანის კონტროვერსიული, ამბივალენტური ხასიათი და მისი ორი უკიდურესი პოლუსი – კალიგულა, როგორც დაცემისა და დეგრადაციის, და ალექსანდრე, როგორც სიდიადის, ადამიანის შესაძლებლობების განუსაზღვრელობის სიმბოლო. პოეტი ამ ორი ანტიკური სახელით ცდილობს ადამიანური ბუნების მრავალგვარობა, წინააღმდეგობრიობა და მისი შინაგანი სამყაროს და შიდა რესურსების ორი განსხვავებული საზღვარი აჩვენოს.

საკმაოდ სიღმისეული რეცეფციის სიმბოლო არის პოეტის მიერ მის ლექსში „სხვა საქართველო სად არი“ ანტიკური სპარტაკის მოხსენიება. პოეტი სპარტაკს

ადარებს არაგველებს. კერძოდ, აღნიშნავს: „არაგვის არაგველები, სპარტაკელების დაგვარი“.⁸⁹⁸

არაგველები, კერძოდ, 300 არაგველი, ქართული ისტორიული ლეგენდის ნაწილია, რომლის თანახმადაც არაგველების რაზმი გმირულად იბრძოდა და უთანასწორო ბრძოლაში დაეცა 1795 წელს კრწანისთან. პოეტი ანტიკური ისტორიული დეტალების საკმაოდ ზუსტ ცოდნას ამჟღავნებს, რადგან არაგველების სპარტაკელებთან შედარება არა მხოლოდ მათი ვაჟკაცობისა და გამბედაობის წინწამოწევას და ხაზგასმას უნდა ისახავდეს მიზნად, არამედ აქ უნდა იკვეთებოდეს სოციალური კონტექსტიც. არაგველების რაზმი, სახალხო ჯარია, ხალხის წიაღიდან აღმოცენებული, სახალხო თავდადებას განასახიერებს. ავტორი კარგ შედარებას პოულობს, როდესაც მათ ადარებს სპარტაკის ჯარს, მონების, გლადიატორების და დაბალი სოციალური ფენის მოქალაქეებისგან შემდგარ ჯარს. სპარტაკის ჯარი, მისი სახალხოობა, მისი შეკრების ნებაყოფილობითი პრინციპი და მისი სოციალური ბაზა მეტ-ნაკლებად ანალოგიურია არაგველების ჯარის აგებულების (იმ განსხვავების დაშვებით, რომ მონარქიულ საქართველოში არ არსებობდა მონობის პრაქტიკა).

მსგავსია მათი ბრძოლის მოტივაცია. არაგველები თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისთვის უთანასწორო ბრძოლის სიმბოლოა, რომელიც ამბობს, რომ თავისუფლებისთვის უთანასწორო ბრძოლაში დაცემა ღირსეული და სანატრელი დასასრულია. XX საუკუნეში, სოციალური თემატიკის წინ წამოწევასთან ერთად და პოლიტიკურ კონტექსტში სოციალური, განსაკუთრებით თანასწორობასთან დაკავშირებული პრობლემატიკის გააქტიურებასთან ერთად, ანტიკური ხანის სპარტაკი და მისი ბრძოლა უაღრესად მნიშვნელოვან და პოპულარულ სიმბოლოდ იქცა. მიუხედავად იმისა, რომ სპარტაკის აჯანყების რეალური მოტივაცია და მიმდინარეობა ბევრად უფრო რთული, არაერთმნიშვნელოვანი და კომპლექსური საკითხია, ფართო აღქმაში, სპარტაკი დაიღვწა როგორც თავისუფლებისათვის ბრძოლის სიმბოლო, ადამიანი, რომელიც თავისუფლებისა და თანასწორობისათვის უთანასწორო ბრძოლაში დაეცა. ის გახდა სოციალური თანასწორობისთვის ბრძოლის სიმბოლოც. შედეგად, გიორგი ყიფიანი იღებს არაგველებს, თავისუფლებისთვის უთანასწორო ბრძოლაში დაცემულ სიმბოლოდ ქცეულ გმირებს და ადარებს მათ ანტიკური ხანის სპარტაკს და მის თანამებრძოლებს, რომელთაც XX საუკუნის ევროპული ტრადიცია ასევე თავისუფლებისათვის უთანასწორო ბრძოლაში დაცემულ გმირებად აღიქვამს. ამ კუთხით მისი შედარება უაღრესად ზუსტია და საკმაოდ მნიშვნელოვან პოლიტიკურ და საზოგადოებრივ გზავნილს წარმოადგენს.

⁸⁹⁸ „სხვა საქართველო სად არი“, ი. და გ. ყიფიანი. საზიარო პოეზია. პარიზი, 1975, გვ. 88.

ზოგადად, XIX-XX საუკუნეების ქართულ მწერლობაში არაგველების საკითხი არაერთხელ არის მოხსენიებული. მათ შესახებ წერდნენ გრიგოლ ორბელიანი, ილია ჭავჭავაძე, იაკობ გოგებაშვილი, ვაჟა-ფშაველა, გალაკტიონ ტაბიძე და ლადო ასათიანი.

ზოგადად, ლადო ასათიანი, სავარაუდოდ, მნიშვნელოვანი ინსპირაციის წყარო უნდა იყოს გიორგი ყიფიანისთვის. არაგველების საკითხის გარდა, ასათიანის პოეზიასთან მიმართებას შესაძლოა ამჟღავნებდეს გიორგი ყიფიანის შემოქმედების სხვა ასპექტებიც. მაგალითად, ზემოთ ხსენებული ლექსის სათაურად გიორგი ყიფიანი იღებს ლადო ასათიანისეული ფრაზას – „სხვა საქართველო სად არი“. ორივე ამ პოეტის შემოქმედებაში მსგავს კონტექსტში ჩნდება პარნასი როგორც სიმბოლო.

ასევე მსგავს კონტექსტში იხსენიებენ ისინი არგონავტების ლაშქრობას. ლადო ასათიანის პოემა „კოლხიდას“ მსგავსად გიორგი ყიფიანი 1975 წლის ლექსში, „ენა ქართული“, იხსენიებს არგონავტების ლაშქრობას მითოლოგიური კოლხისის ტერიტორიაზე და ოქროს საწმისის მოტაცებას როგორც ძარცვას, ძალადობას. არგონავტების მოსვლა პოეტისთვის საომარი ქმედებაა და მომხვეჭელობის ველური ვნების გამოძახილია.⁸⁹⁹ თუმცა, ამ ორ პოეტს შორის ურთიერთკავშირზე მსჯელობისას ეს დაშვებულ უნდა იქნეს მხოლოდ როგორც ჰიპოთეტური ვერსია, რადგან არგონავტების ლაშქრობა, როგორც ძალადობა და სამხედრო, ექსპანსიონისტური ინტერვენცია, და ოქროს საწმისის მოტაცება, როგორც ძალადობრივი აქტი, ძარცვა, ქართულ მწერლობაში ამ მითის საკმაოდ ფართოდ წარმოდგენილი რეცეფცია და რეპრეზენტაციაა და შესაძლოა, უშუალოდ და კონკრეტულად ლ. ასათიანის პოეზიის გამოძახილი კი არა, უფრო ფართო, ზოგადი ტენდენციის გავლენით აიხსნას. ყველა შემთხვევაში ნათელია, რომ პოეტი იცნობს ამ ძალიან ცნობილ ანტიკურ მითს, აღიქვამს მას საქართველოს ისტორიულ-ლეგენდარული წარსულის ნაწილად და ახდენს მის რეცეფციას.

ზოგადად, გიორგი ყიფიანის შემოქმედებაში ანტიკურობის რეცეფციას უფრო ეპიზოდური ხასიათი აქვს. მასში ორი ძირითადი ქვეჯგუფი შეიძლება გამოიყოს: ანტიკური სიმბოლოები, რომელთაც უფრო ზედაპირული, ზოგადი ხასიათი აქვთ და მათ რეცეფციას არ აქვს სიღრმისეული შინაარსობრივი დატვირთვა, და ის ანტიკური სიმბოლოები, რომელთა მეშვეობითაც ავტორი ამჟღავნებს, ან შესაძლოა ამჟღავნებდეს ანტიკურობის საკმაოდ სიღრმისეულ ცოდნას და მათ უფრო კონკრეტული, სიღრმისეული სოციალურ-პოლიტიკური სიმბოლოების და გზავნილების ფორმით იყენებდეს.

⁸⁹⁹ „ენა ქართული“, ი. და გ. ყიფიანი. საზიარო პოეზია. პარიზი, 1975.

გიორგი კორნაპელი
(1932 -1997 წწ.)

ნანა ტონია

გიორგი კორნაპელის შემოქმედება გვაოცებს მითოსურ სახეთა და სიუჟეტთა მრავალფეროვნებით. თანამედროვეობა მასთან წარმოდგენილია მარადიული პრობლემების ფონზე. პოეტის „ლირიკული მე“ დატვირთულია ანტიკური თუ ბიბლიური მითოლოგიებით, უჩვეულო პოეტური მეტაფორებით, რომელთა აღქმაც და განცდაც მხოლოდ განათლებული მკითხველის პრეროგატივაა.

კორნაპელი არის პოეტ გიორგი კაპანაძის ფსევდონიმი, რომლის წარმომავლობასაც თავადვე გვამცნობს: ერთ მშვენიერ დღეს იგი ასულა თავის სოფელში (სვირი) არსებულ კორნაპეს სერზე, სადაც ელვაში თურმე ჯვარი გამოესახა. ამ ხილვის შემდეგ მას ჯვარი აღუმართავს კორნაპეს თხემზე და ფსევდონიმად კორნაპელი შეურჩევია.

იგი მეტად საინტერესო და რთულად გასაგები პოეტია. მისი შემოქმედებიდან განსაკუთრებით მინდა გამოვყო ანტიკურ თემაზე შექმნილი პოემა „ნარცისი“, რომელიც თანამედროვე ქართულ პოეზიაში უთუოდ მნიშვნელოვანი მოვლენაა თავისი ფორმით, შინაარსით, განწყობილებით, პოეტური ხატებითა თუ ე.წ. ინტერტექსტუალობით. ეს არის პოემა-მისტერია, რომლის მთავარი ღერძი, მითი საკუთარი სილამაზით შეპყრობილი ყმაწვილის, ნარცისის, შესახებ ანტიკურობიდან მოყოლებული მრავალმხრივ არის დამუშავებული ლიტერატურასა და ხელოვნებაში. ორიგინალური, ფილოსოფიური დატვირთვა შესძინა გიორგი კორნაპელმა ამ მითს. ის, ბუნებრივია, მიჰყვება ტრადიციულ ვერსიას და საკუთარ ხილვებში აღძრული პოეტური ხატებით ავსებს:

„შემოდის ნიმფა, გიჟის თვალებს
აშტერებს ნარცისს,
წყალზე დაფენილს მშვენიერ ლანდად . . .
ნარცის ვერ ხედავს ექოს,
ბრმა არის იგი . . .
წყალს ებლანდება ნიმფა ათლილი ყელით“.⁹⁰⁰

⁹⁰⁰ გიორგი კორნაპელის შემოქმედების ნიმუშებს წარმოვადგენ წიგნიდან: გ. კორნაპელი. ფენიქსი. ლექსები და პოემები. ქუთაისი, 1995.

პოემაში, ნარცისის ე.წ. „აუტოპოტოსთან“ ერთად, მართალია, დომინირებს ნიმფა ექოს უპასუხო სიყვარული, მაგრამ პოეტის განცდა ამ დროს მიმართულია ყოფნა-არყოფნის მისტერიისკენ. ეპიკოსთა მსგავსად იგი მუზას ასე მიმართავს:

„უმდერე, **მუზავ**, ყოფნა-არყოფნის კანკალს . . .

„უმდერე, **მუზავ**, მიჯნურობას და სიკვდილს,

უმდერე, **მუზავ**, ზღვა რომ ბიბინებს ბნელად . . .“

პოემის თითქმის ყოველ სტრიქონში ისმის ტრაგიკული სიყვარულის ელევია. მისტერიაში მრავალი მითოსური სახე ცოცხლდება. იდუმალ „მთვარეს ყვავილებით ჰეკატე გახსნის“, „ჰადესის ტახტთან შეირხევა კვერთხი მინოსის...“ უჩვეულო მითოსური სცენები, მეტაფორათა სიუხვე, ლირიკა და კოსმიური წიაღსვლები კიდევ უფრო მეტ ტრაგიზმს სძენენ მითის ისედაც მწუხარე სათქმელს:

„იტანჯე, **ნარცის**, სოფლად ჩამომდგარ ბინდზე,

შთახდი, ჩაჰკიდე **ჰადესისაკენ** თავი,

გემახოს **ექომ**, თუმცა ამაოდ გხმოვდა,

მზეს ჩაიხუტებს ტანჯვით გაშლილი მკლავით

და ქარიშხალით თვრება **მენადის** ბოდვა“.

ეს პოემა-მისტერია პოეტის სულის ამოძახილივით იკითხება, პოეტისა, რომელსაც, ალბათ, თავადაც ეზმანებოდა „თუ როგორ კრთოდა სარკეებიდან თანატოსის ველი“.

* * *

გიორგი კორნაპელის ლირიკულ ქმნილებათა შორის განსაკუთრებულ ინტერესს ჩვენი საზოგადოებისათვის იწვევს პოემა „მედეა“. ქართულ ლიტერატურაში არგონავტების მითის მედეას ეპიზოდს მრავალი ქმნილება ეძღვნება. ყოველი მათგანის კითხვისას ისმის მრავალი შეკითხვა, რომელთა შორის უმთავრესია ის, თუ როგორია ავტორის ანტიკური ტრადიციისადმი მიმართება, რატომ ეხება იგი ამ თემას, რის აქცენტირებას ახდენს და რა სიახლეს გვთავაზობს. შევეცდები, ამ შეკითხვებზე გავამახვილო ყურადღება.

თანამედროვე ლიტერატურათმცოდნეობაში ფართოდ გამოიყენება ტერმინი ინტერტექსტუალობა,⁹⁰¹ რომელიც ლიტერატურული ტექსტის ანალიზის ერთ-ერთი ძირითადი ფენომენია. თუკი მივიღებთ თეზას, რომ ისტორია და საზოგადოება არის, ის რაც შეიძლება წავიკითხოთ, ანუ ტექსტი, მაშინ მივალთ იმ დასკვნამდე, რომ რომ ადამიანური კულტურა უნდა აღვიქვათ, როგორც ერთიანი ინტერტექსტი, რომელიც თავისთავად გაიგება, როგორც ქვეტექსტი ნებისმიერი ახლად გამოვლენილი ტექსისთვის.⁹⁰² ინტერტექსტუალობას თავისი გამოვლენის კონკრეტული ფორმები გააჩნია (სესხება, თემისა და სიუჟეტის გადამუშავება, პირდაპირი და ფარული ციტაცია, თარგმანი, პლაგიატი, ალუზია, ეპიგრაფთა გამოყენება და სხვ.), უმთავრესი პრობლემა კი მისი ფუნქციონალური დანიშნულებაა, ანუ რა მიზნით და რა ეფექტის მისაღწევად მიმართავენ მწერლები ლიტერატურულ მემკვიდრეობას. ჩვენთვის საინტერესო პოემის შემთხვევაში თითქოს სათაური უნდა პასუხობდეს ამ კითხვას, თითქოს წინა პლანზე უნდა იყოს მედეას სახე. პოემა იწყება კიდევ მედეას გამოჩენით:

„პრომეთეს სისხლზე
ამოსული ყვავილებიდან
ჩნდება მედეა
და იტანჯება,
ფაზისის პირას დამცხრალ აფრებთან“.

მაგრამ როგორც პოემის სტრიქონთა მიღმა წაიკითხება, პოეტის მიზანი სულ სხვაა, კერძოდ: „პრომეთეს სისხლზე ამოსული ყვავილის კვნესა და განძარცვული სამშობლოს ბედი“. დავუკვირდეთ, როგორ შემოდის პოეტურ ტექსტში პრომეთეს მითს ახალი ვარიანტი – „პრომეთეს სისხლზე ამოსული ყვავილების“ – მსხვერპლნი კოლხები არიან, პოეტი – იმ დიდებული კოლხეთის შვილი:

„იყო დიდება,
იყო აიეტ,
იყო მზის მეფე,
მზე რომ დალია.
და მე ვიყავი

⁹⁰¹ Современное зарубежное литературоведение (страны Западной Европы и США): концепции, школы, термины. Энциклопедический справочник. Москва, 1996.

⁹⁰² Intertextualität. Formen, Funktionen, Anglist. Fallstudien. Hrsg. von U. Broich, M. Pfister. Tübingen, 1985.

და ვარ მხოლოდ მოგონებისთვის;
ცეცხლის ფრთა მომეც,
მთაო დრაკონის,
სული ტიტანის და არა მონის. . .“

პოეტი თავს ლეგენდარული დიდებით მოსილი კოლხეთის წარმომადგენლად მიიჩნევს, რაც მრავალი სხვა ლექსიდანაც ჩანს. პოემაში „მედეა“ ერთმანეთშია გადახლართული ტრადიციული სიუჟეტი და პოეტის განწყობილება. ტრადიციული სიუჟეტის ყოველ დეტალზე ახალი პოეტური სახე ჩნდება, რაც მკითხველს თავის ტყვეობაში აყოვნებს. ტრადიციულია, რომ „პრომეთეს სისხლზე ამოსული ყვავილებიდან“ კეთდება ის ჯადო-წამალი, რომელიც უვნებელს გახდის იასონს, რომელიც შეაძლებინებს ამ ბერძენ გმირს აიეტის დავალების აღსრულებას. მაგრამ ამას პოეტი არ მოგვითხრობს, იგი დარწმუნებულია, რომ მკითხველმა იცის ეს სიუჟეტი. მხოლოდ ერთი ფრაზით მიგვანიშნებს გიორგი კორნაპელი, რომ მისი ბედი, როგორც კოლხისა, პრომეთეს ტანჯვას უკავშირდება: „მე აქ შემეხო პრომეთეს ტანჯვა“ – იტყვის პოეტი და შემდეგ სტრიქონში ჰეკატეს სახელს ახსენებს, იმ ჰეკატესი, რომელიც პრომეთეს სისხლზე ამოსული ყვავილებიდან ჯადოს ამზადებს.

პოემა ემსახურება ახალი მოვლენის (კოლხეთის თემის) ჩართვას უკვე გარდასულ მოვლენათა სისტემაში. გარდასული მოვლენა კი მითოსია. ბუნებრივია, პოეტი ცდილობს ისარგებლოს მითოლოგიური პასაჟებით, ოღონდ ჩართოს ეს მოვლენა საერთო წესრიგში ისე, რომ არ დაარღვიოს ჰარმონიულობა. არგონავტების მითიდან ცნობილია, რომ მედეა ჯადოქრობას მიმართავს. ეს პასაჟი პოეტს ახალი პოეტური სახის შექმნის შესაძლებლობას ანიჭებს:

„მარგალიტების მშიშარა ეტლით
გამოიქროლეს ტყე უნასებმა
და ჩირაღდნებით აივსო ღამე,
კვნესდა მედეა ღამის ავსებას
და ურჩხულების ორკაპ კუდზე
გოგირდის ალი
ია-იებად ლიცლიცებდა
ულრან ღამეში“.

რამდენადაც არგონავტების თქმულება დიდი ხნის ჩამოყალიბებულია თავისი სიმბოლიკითა და სახეებით, პოეტი მითს მიმართავს არა მხოლოდ ინფორმაციული

ინტერესით, არამედ ცდილობს მის სიმბოლიკასთან დაამყაროს გარკვეული მიმართება, მოახდინოს მისი თავისებური ინტერპრეტაცია. ლირიკულ პოემაში ეს მიმართება ასოციაციურია. და რაც უფრო ღრმაა ეს ასოციაცია, მით უფრო ეძლევა მითს სხვადასხვა დატვირთვა, დაწყებული წმინდა ორნამენტალურიდან დამთავრებული რთული სისტემით, რომელშიც სრულიად სხვადასხვა კომპონენტები (ფორმალური თუ იდეური) ერთიანდებიან. პოეტი არ ცდილობს ნარატიული წესით მოგვაწოდოს მითის ესა თუ ის სიუჟეტი, მისი მიზანია პოეტური ხატების შექმნით მიგვანიშნოს ამ სიუჟეტზე:

„არესის ველზე
ხარის ბლავილი
და დაჩოქილი ცეცხლის ხარები,
მოაქვს მედეას ჯადო ყვავილით
და იხედება ცა მწუხარებით“.

რა მოხდა შემდეგ, საყოველთაოდ ცნობილია მითოსიდან, მაგრამ ცნობილია მათთვის, ვინც მითი იცის. პოეტს გათავისებული აქვს ეს მითი და ამიტომ ახალი პერსონაჟები პოემაში ბუნებრივად, პოეტურ ხატებად შემოდიან:

„მზე ჩაქრა
კოლხთა დახრილ შუბებზე,
ფაზისს ჩრდილები გადაეფანტნენ,
ვიღაცა შედის მსუბუქად ტყეში
და აატირებს
ღამეს ჰეკატე“.

მზე აიეტთან ასოცირდება, ჰეკატე, ჯადოქარი – მედეას თანამზრახველია. ამ სიტყვებს მოსდევს პოემაში ჩართული, ერთგვარი ჰიმნი – ვედრება ჰელიოსისადმი აღვლენილი. გიორგი კორნაპელი ბერძნული პოეტური ტრადიციის ცოდნით მიმართავს მზის ღვთაებას:

„ისევ მობრუნდი ჩემთან, ჰელიოს,
შენ ხომ მარადის ჩემთვის მღეროდი,
მომეცი ძალი. . . და ა.შ.

და აი, რას ევედრება ავტორი ჰელიოსს, რომლის წილხვედრი ქვეყანა იყო კოლხეთი:

„ამოანათე ისევ, ჰელიოს,
და ეტლი შენი გადმოაქროლე,
და გააგონე სამშობლოს კვნესა
შუბის ტარებზე მთვლემარე ქორებს. . .“

საერთოდ კოლხეთის თემა არა მარტო ამ პოემის ლაიტმოტივია, არამედ გიორგი კორნაპელის მთელი შემოქმედებისაც. იგი მრავალ ლექსსა და პოემაში ჟღერს. ამ შემთხვევაში მედეას თემა ერთადერთ მიზანს ემსახურება – ეს არის ღალატით გამოწვეული კოლხეთის დიდების დაკარგვის სევდა, ანუ „მზის სევდა“.

საინტერესოა, როგორ წარმოადგენს პოეტი თავად მედეას, კოლხეთის თქმულების გმირს. ტრადიციულია მისი სახე, იგი ჰეკატეს ქურუმია („ესმის ჰეკატეს ლოცვა ქურუმის“), ეს არის და ეს, მაგრამ პოეტისეულია მისი გრძნობისა და საქციელის წარმომჩენი შეფასებანი: იგი მედეას უწოდებს ტანჯულს („და იტანჯება ფაზისის პირას დამცხრალ აფრებთან“), განწირულს („განწირულ ქალწულს, აქვითინებულს ჯადო წამალთან“), მოჯადოებულს („ქალწულის სარტყელს ჯადო გაჟონავს“), მსხვერპლს („მსხვერპლი კი მიჰყავს ველად იაზონს“), დაღლილს ძმების ღალატით, მაგრამ იმასაც აღნიშნავს, რომ მისი „გული არგოს აფრებზე ჰკიდია“. მედეა არ არის დამნაშავე თავის ღალატში, იგი მსხვერპლია იმ სარტყელის, რომელშიც ჯადოს გაუჟონავს (გავიხსენოთ აფროდიტეს ოქროს სარტყელი). არსად არ არის ნახსენები მედეას ცნობილი შემზარავი საქციელი, მხოლოდ მინიშნებაა მასზე და ისიც ჰეკატეს ჯადოქრობის შედეგს გვაუწყებს:

„სადღაც აწყვია მკვდარი შვილები,
და გვირილები ეხება გვამებს,
რა სევდა იყო ის გვირილები
რომ შეანათა ჰეკატემ ღამეს?!“

და ბოლოს, ტრადიციული “Deus ex machina”, მაგრამ ისიც პოეტის წარმოსახვაში ჰეკატეს უკავშირდება. და არაფერია აქ დაუჯერებელი, უჩვეულო, თუმცა კი არის სხვა გაგება, სხვა ინტერპრეტაცია, რომელიც ისევ და ისევ კოლხური „მზის სევდის“ სიმბოლიკამდე ადის:

„ჩირაღდნებს ასწევს ისევ ჰეკატე
და მედეას ეტლს ღამეს შეურევს.
და ჩირაღდნები ანათებენ
ისევ მზის სევდას“.

აღსანიშნავია კიდევ ერთი მომენტი, რაც პოეტისა და ტრადიციის ურთიერთმიმართებაზე მიგვითითებს. ამ შემთხვევაში მინდა ხაზი გავუსვა ტრადიციულ პოეტურ ხატთა გათავისებისა და ახალი პოეტური ხატის შექმნის შესაძლებლობას, რაც იმპერსონალური პოეზიის დონემდე ადის. იმპერსონალური პოეზიის თეორიის დამუშავებას ლიტერატურის თეორეტიკოსები მიაწერენ ელიოტს, რომელმაც ეს ცნება იხმარა თავის სტატიებში „ტრადიცია და ინდივიდუალური ტალანტი“ (1918 წ.) და „კრიტიკის ფუნქცია“ (1923 წ.). ელიოტის აზრით, პოეტმა, რომელიც მიმართავს ტრადიციას, საკუთარი გრძნობები კი არ უნდა წარმოსახოს, არამედ ამ გრძნობათა მნიშვნელობა ისე, რომ დაიცვას ემოციური და ინტელექტუალური წონასწორობა. ელიოტის მიერ შემოთავაზებული ამ ნეოკლასიკური თეორიის არსი პოეტის მიერ ენის დამორჩილებაში მდგომარეობს: პოეტი კი არ ეძებს სიტყვებს წარმოსახვის ძალით, არამედ პოეტის პირით საუბრობს ეპოქა. „პოეტის ცნობიერება – ეს თავისუფალი ჭურჭელია, რომელიც კრებს და ინახავს საკუთარ თავში აღურაცხელ გრძნობებს, ფრაზებს, სახეებს და ისინი დაბუდებულნი არიან მანამ, სანამ თავს არ მოიყრის ყველა ნაწილი ახალი მთელის წარმოსაქმნელად“.⁹⁰³ პოეზიის მორალიზმი გამოიხატება იმ „სტრუქტურულ-მოტივირებული ემოციის“ შექმნით, რომელიც იბადება „ინტუიციის“, „შინაგანი სიტყვის“, „ინტუიციური ენის“ და „მაკორექტირებული ენის“ შერწყმის შედეგად. მაკორექტირებელი ენა კი თავითავად ორ ფორმაშია წარმოდგენილი: განსაზღვრული ეპოქის სამეტყველო ნორმაში თავისი რიტმიკითა და ფონიკით და ლიტერატურულ-ენობრივ ტრადიციაში. უფრო ნათელი რომ იყოს ნათქვამი, მივმართოთ ნიმუშს. როგორც აღვნიშნე, გიორგი კორნაპელის პოემის ლაიტმოტივი ე.წ. „კოლხური მზის სევდაა“, რაც მრავალპლანიანი სიმბოლიკაა და მასში ანტიკურობიდან მომდინარე ტრადიციაზე უკვე ვისაუბრეთ. ის, რომ კოლხეთი ჰელიოსთან არის დაკავშირებული, ესეც ანტიკურობიდან მიღებული ინფორმაციაა. მაგრამ ის, რომ „მთები დგანან და უსიტყვოდ ელიან“ და რომ „უსაზღვროა მათი მოლოდინი“ – ეს თანამედროვე ქართულ აზროვნებაში დამკვიდრებული ტრადიციაა (ვაჟა-ფშაველა).

⁹⁰³ Т. С. Элиот. Традиция и индивидуальный талант (Зарубежная эстетика и теория литературы XIX-XX вв). М., 1987, гл. 174.

ახლა ვნახოთ, როგორ ახერხებს პოეტი ამ ორი ტრადიციული ინფორმაციის შერწყმას და ახალი ემოციური და აზრობრივი დატვირთვის მქონე მძაფრი პოეტური სახის შექმნას, სახისა, რომელიც ჩვენი თანამედროვეის სულიერ განცდებს ესოდენი ექსპრესიულობით წარმოაჩენს:

„დაფლითეთ, აჰა
ჰელიოსის რაშებო, ღამე,
თავის დუმილით დატანჯული
მთები დამარით“.

ჩვენ ამ შემთხვევაში მოწმენი ვართ იმისა, თუ როგორ იქმნება ახალი პოეტური სახე ორი ტრადიციის – ანტიკურისა და ქართულის ფონზე ჭეშმარიტად პოეტური „ინტუიციის“, „შინაგანი სიტყვის“, „ინტუიციური ენისა“ და „მაკორექტირებელი ენის“ შერწყმით. პოეტური სახის შექმნისკენ თავდაუზოგავი სწრაფვა მისტიკური განცდის ტოლფასია. პოეტური სახის შინაარსი – ეს ღრმა ცოდნაა, „პოეზიის მუსიკაა“, ე.წ. არასუბიექტური სუბიექტურობაა, რომელიც კონკრეტულს საზოგადოს ხდის. ყოველ ჭეშმარიტ პოეტურ ქმნილებაში გადაადგილებულია ტრადიციის ჯაჭვის რგოლები მისთვის იდეალური დროულობის თვალსაზრისით.

ამგვარად, თუ მივუბრუნდებით პრობლემას ტრადიციულობის თაობაზე, უნდა მივიჩნიოთ, რომ გიორგი კორნაპელის პოემა „მედეა“ ექვემდებარება ამ პრობლემის დიალექტიკურ კონცეფციას: ავტორს მთელი თავისი სრულყოფილებით აქვს გააზრებული და აღქმული ტრადიციული სიუჟეტი; იგი მის ცნობიერებაში თავისებურად არის გადაფასებული; პოეტს აღმოჩენილი აქვს ახალი ელემენტები და მასზე ყურადღების გამახვილებით ახალ ფორმებს გვთავაზობს. ეს ფორმები დაიდებნება როგორც შინაარსობრივ, ასევე პოეტიკურ და ჟანრულ სისტემებში. შინაარსობრივ და პოეტიკურ სიახლეებზე უკვე ვისაუბრეთ, რაც შეეხება ჟანრს: – ანტიკური ტრადიციიდან არგონავტების თემაზე შექმნილი ნაწარმოებები რამდენიმე ჟანრში აისახა, ესენია: ქორიკული ლირიკა (პინდაროსი, IV პითიური ოდა), დრამა (ევრიპიდე „მედეა“; სენეკა, „მედეა“), ეპოსი (აპოლონიოს როდოსელი „არგონავტიკა“).

გიორგი კორნაპელის „მედეა“ ლირიკული პოემაა, სადაც ავტორი თავს უფლებას აძლევს თხრობის ეპიკურ სტილს განერიდოს და საკუთარი განწყობილებების სიღრმიდან დაგვანახოს ტრადიციული მოვლენები, შემოგვთავაზოს ტრადიციულ სახეთა ახალი ფორმები.

თუ მივიჩნევთ, რომ არგონავტების მითი პოეტისათვის არის ინტერტექსტი, მედეას თემა მისთვის ქვეტექსტია, რომელსაც თავის ფუნქციონალური დატვირთვა

აქვს – ეს არის სამშობლოს ბედი, ანუ „მზის სევდა“, რომელიც იმპერსონალური პოეზიის დონეზეა წარმოდგენილი. პოეტი სამშობლოსადმი მიმართულ საკუთარ განცდებზე კი არ გვესაუბრება, არამედ ამ განცდათა მნიშვნელობაზე; ანტიკური და მისთვის ძირეული პოეტური ხატების შერწყმით იგი ქმნის ახალი ემოციური დატვირთვის მქონე პოეტურ ხატებს, რომლებიც, ალბათ, ახალ ტრადიციად წარდგებიან მომავალი თაობების ცნობიერებაში.

* * *

გიორგი კორნაპელის მეტაფორებით, პოეტური ხატებით, კოსმიური ხილვებით, მითოსური სიმბოლოებით დატვირთული ლირიკა არ არის იოლი წასაკითხი. მათი ახსნა ლოგიკას არ ექვემდებარება, ისინი შინაგანი განცდით შეიმეცნებიან, რადგან უფრო მისტიურნი არიან, ვიდრე რაციონალურნი.

გიორგი კორნაპელის ლირიკაში თავისი სიღრმითა და მრავალფეროვნებით ანტიკური თემატიკა გამოირჩევა. ის სიმბოლოები, რომლებიც ძველი ბერძნული მითოსიდან აქვს ამოკრებილი პოეტს, მის შემოქმედებას უჩვეულო ხიბლს სძენენ. ამ მითიურ რეალიებში თავისი მრავალფეროვნებითა და იდუმალებით კოლხეთის სიმბოლიკას მნიშვნელოვანი ადგილი უავია. მდინარე ყვირილას ხეობაში აღზრდილი პოეტისათვის კოლხეთის გარდასული დიდების განცდა მითოსურ სამყაროში არსებობის ტოლფასია:

„აქ ჩემი სული დააქვთ ამ ტყეებს
და **ორფეოსის** ქნარს დაეძებენ,
აქ ჩემი სული დააქვთ ამ ტყეებს
და ოცნებობენ **ოქროს ვერძებზე**.
აქ ლეგენდები დაფესვიანდა,
აქ ხეებს თითქოს მადლი ჩამოსდის . . .“

„კოლხეთი“

კოლხეთის თემას გიორგი კორნაპელის მრავალი ქმნილება ეძღვნება. მათ შორის თავისი ისტორიული წიაღსვლებითა და ლირიზმით, პოეტურ სახეთა სიუხვით გამოირჩევა ლექსი „კოლხეთის ქნარი“, ამიტომ მას სრულად წარმოვადგენ:

„ცა ალურჯებდა ფშანების ძირებს,
ვიღაცა წუხდა დაკარგულ ქნარზე,

მხოლოდ თხმელების გაფრენა ქარში
ამსუბუქებდა კოლხეთის სულს წყალში წასილულს.

მე იმ გარდასულ დროებში მაშინ
ვიგრძენი, რატომ აჟღერებდა მზეს ორფეოსი,
ამ ყრუ ჭაობებს ვერ იტანდა ნათელი ბავშვი
და შეეფარა სამოთხის ფრთებს, მწვანით შემოსილს.

მერე რამდენი გაზაფხული მოკვდა უმზეოდ,
ანდა რამდენი ფრთა გადაჰყვა მოვარდნილ ქარებს,
კოლხეთი როგორ ეძახოდა დაღუპულ აფრებს,
დაღუპულ აფრებს, პონტოს ნათელს, დამარხულ ქნარებს.

და მე ვისმენდი ამორძალთა ფარების ჟრიალს,
კოლხეთის ღამე რომ ანთებდა გრძნეულ მთვარეთი,
ამ ყრუ ველეებში ჩემი სული არ დაილია,
მას მუდამ ზრდიდა პონტოს ზვირთი და სიზმარეთი.

და მე მაჩვენა აქ ფაზისმა ლომის თათებით
იმ სასახლეთა დაფარული უცხო ნახატი,
თლილი სვეტებით, მზის თაღებით და გუმბათებით
და მასზე ზღვები მოფრენილი ცისფერ ფარფატიტ.

აშფოთდნენ ისევ დაკარგული გაზაფხულები
ამორძალივით ამ ვნებიან და ძველ მიწაზე,
ახლა კოლხეთი მზეს შეეხო ნაპოვნი ქნარით,
ამოიმღერა დაფარული დიდი სიმწვანე.

და შრიალეებენ ასაფრენად აწვდილი ფრთები,
სდუმს ეს ფაზისი, გაფანტული მყუდრო ფშანებად,
წამოფრინდება პონტო, როგორც ლურჯი ფრინველი
და კოლხეთის სულს სამუდამოდ ის ეზმანება“.

ამ ლექსის თითოეული კარედის გაშიფვრა რთულიც არის და მარტივიც, თუმცა
მისი ერთიანად აღქმა ლეგენდარული კოლხეთის პოეტის წარმოსახვაში არსებული

სურთის განცდას იწვევს. ორფეოსის გრძნეულებას ზიარებული პოეტი („ვიგრძენი, როგორ აჟღერებდა მზეს ორფეოსი“) თავად იხსენებს, ხოლო მკითხველს აღუძრავს ფიქრებს „წყალში წასილული კოლხეთის“ დიდების თაობაზე. მართალია, ლექსში ჰელიოსის ძე აიეტი არ არის ნახსენები, მაგრამ მისი არსებობა სტრიქონთა მიღმა შეიგრძნობა. ის „მზის“ შვილია და „ოქროს ვერძის“ დაკარგვის შემდეგ მის სამეფოში მრავალი „გაზაფხული მოკვდა უმზეოდ“. მაგრამ სიცოცხლეს კვლავ აგრძელებს კოლხეთის სული, სადაც ფაზისი „ლომის თათებით“ ხატავს დიდებულ სასახლეთა უცხო სურათებს, მზის თაღებით და გუმბათებით, რომელთა თავზეც გადიფრენს პონტო, როგორც ლურჯი ფრინველი (სიმბოლო ზეგარდმო მოვლენილი ბედნიერებისა და ჭეშმარიტების). პოეტი გვარწმუნებს, რომ:

„ის ოქროს ვერძი ღმერთებისთვის არ შეუწირავთ,
ის ოქროს ვერძი ბერძნებს როდი გაუტაცნიათ,
ის ათასწლობით აქ, რიონში მწარედ ბლაოდა
და დავიხსენით ის ტალღების სასაფლაოდან.
გენიის მაღლით დღეს რიონი გახდა ფეხმძიმე
და ეს სინათლე დაიბადა ოქროს ვერძით“.

„ის ოქროს ვერძი“

გიორგი კორნაპელი მითის ახალ ვერსიას ქმნის: ოქროს ვერძი დარჩა კოლხეთში, რადგან ის დაიხსნეს „ტალღების სასაფლაოდან“. ოქროს ვერძი ძველი კოლხეთის ძალმოსილებისა და აღმავლობის სიმბოლო იყო და კოლხეთშივე დარჩენილი მის დიდებას განაპირობებს. ამავე ვერსიას იმეორებს პოეტი სხვა ლექსშიც:

„ოქროს საწმისი

კვლავ იშლება გაშლილ მუხებზე,
შეოდგომაზე ფიქრობს კოლხიდა“.

„ოქროს საწმისი“

ამონარიდის ბოლო სტრიქონი მინიშნებაა კოლხიდის აღმავლობაზე („შემოდგომა“ – დრო სიუხვისა და ბარაქის). აღსანიშნავია, რომ „კოლხიდა“ (და არა „კოლხეთი“) ძველ ბერძნულ წყაროებში დადასტურებული ტერმინია.

გიორგი კორნაპელის ანტიკურობის სახეებით მდიდარ შემოქმედებაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია პრომეთეს მითს. ახლებურად და პოეტური დრამატიზმით არის წარმოსახული ტიტანის ტანჯვის სურათი, რომელიც პოეტის სულის ტკივილადაც ქცეულა:

„ვის ესმის, რამინ,
პრომეთეს მკერდის
სისხლიანი განთიადები,
დამძიმებული ძერის ქარდებით?
და თუ **ტიტანის** სისხლის ღვარი
არ გაშრა, რამინ,
კლდეზე კი არა,
მიჯაჭვული იყო იმედზე,
იყო ლოდინი
გაზაფხულის მსუბუქი ჟამის,
ჩემი სულიდან ამოქროლდნენ
ეს მთები, რამინ!“

„იყო ლოდინი“

პოეტმა იცის, თუ რისთვის ისჯება ტიტანი, იცის ისიც, რომ ის წინასწარმეტყველი ღმერთია და მას არ ტოვებს გათავისუფლების იმედი. ამიტომ წერს იგი, რომ პრომეთე „კლდეზე კი არა, მიჯაჭვული იყო იმედზე.“ მითის მიხედვით, ათასწლეულების შემდეგ საიდუმლოს გამჟღავნების სანაცვლოდ ზევსი ტიტანს შეურიგდება. იმედზე მიჯაჭვული ღმერთის ხატი კორნაპელისეული აღქმაა, ახლებური სახეა, მითოსის სიღრმისეული შეგრძნებაა.

გიორგი კორნაპელის პოეზიაში მრავალი მითოსური სახის ამოკითხვაა შესაძლებელი. ზოგჯერ ისინი უნდა ამოვიცნოთ, ზოგჯერ კი მათ პოეტი თავად მიმართავს. ამ უკანასკნელის საილუსტრაციოდ ორფეოსი უნდა ვახსენო, ანტიკური სამყაროს დიდი მგოსანი, რომლის სახემაც მრავალი შემოქმედი შთააგონა. მის სახელს გიორგი კორნაპელი არაერთხელ ახსენებს („კოლხეთი“, „მედეა“, „ორფეოს“), ხოლო ლექსით „ორფეოს“ უშუალოდ მიმართავს მას:

„**ორფეოს**, გესმის ეს გაზაფხული,
ჩემი ტკივილი გესმის, **ორფეოს**?
ბაკქებმა მოგკლეს
ჰადესის მძლევი?
ცერბერი გიყევს,
ჟამთა დენა რომ შეაყენე.
გეფარფატება ის მიჯნური

მიმქრალი მთვარით
და ვარსკვლავები დაჰხვევიან
ობოლ კითარას . . .
მარადისობა ვინ გვანიშნა ვარსკვლავებიდან?
ორფეოს, გესმის ჩემი ტკივილი?
ეს გაზაფხული გესმის **ორფეოს**?
ორფეოს, ნუთუ იყო წარსული?“

„ორფეოს“

სტრიქონთა მიღმა იკითხება პოეტის ტკივილი, ეს მარადიული ტკივილი, პოეტური შთაგონებით ამოთქმული: „მიმქრალი მთვარე, მოფარფატე მიჯნური, ობოლ კითარას დახვეული ვარსკვლავები და იდუმალი ხმა მგოსანთათვის მარადისობის მაუწყებელი“. ვინც მითი იცის, მისთვის იოლი ამოსაცნობია მგოსნის მიჯნური „მოფარფატე“, ზაკების მიერ დაობლებული კითარაცა და პოეზიაში ორფეოსივით მარადიული არსებობის მძაფრი სურვილით გამოწვეული ტკივილი . . .

ერთ-ერთ ინტერვიუში გიორგი კორნაპელი ამბობს, რომ მისი შემოქმედების მთავარი სათქმელი გამოთქვა ლექსში „ფენიქსი“. ამავე სახელწოდებით გამოიცა მისი ბოლო პოეტური კრებულიც. ფენიქსი მითოსური ფრინველია, რომელიც იწვის და ფერფლიდან ისევ აღდგება. კორნაპელის სიტყვები რომ მოვიშველიო „ეს არის თვითშეწირვა და ხელახალი აღდგომა, როდესაც ხორცი იწვის, ხოლო სული კვლავ ინთება“:

„ფენიქს, გავფრინდეთ,
სად ციმციმებს ის წმინდა ცეცხლი?
დამძიმდა ეს გზა,
თითქო სადმე
მკვდარს მივათრევდე,
ფენიქს, გავფრინდეთ,
სად ციმციმებს ის წმინდა ცეცხლი?
ჩემი ფერფლიდან
რომ კვლავ გავთენდე
და უსასრულო ხეტებაში გავყვე
მზის ქროლვას“.

„ფენიქს“

ყოველ პოეტს თავისი მკითხველი ჰყავს. ზოგის შემოქმედება სახალხოა და ის მრავალთა მოწონებას იმსახურებს; ზოგი პოეტის პოეზია რთულია, ძნელად გასაგები და იგი ისეთ მკითხველს ანცვიფრებს და ხიბლავს, რომელსაც ესმის სიმბოლოთა და მეტაფორათა ენა. როგორც აღნიშნავდა ფსევდოლონგინოსი ტრაქტატში „ამაღლებულისათვის“, ასეთი პოეზია ამაღლებულია, რამეთუ იგი მკითხველს აღელვებს და აღაფრთოვანებს, „ვინაიდან განსაცვიფრებელი ყოველთვის უფრო მძაფრ ზემოქმედებას ახდენს, ვიდრე სარწმუნო . . . ამაღლებული, თუკი მას დროულად და მართებულად იყენებს ავტორი, მეხის დაცემასავით არის . . . და მეყვსეულად გვიმჟღავნებს რიტორის (შემოქმედის) მთელ ძალმოსილებას“.⁹⁰⁴ ვფიქრობ, გიორგი კორნაპელის პოეზია მნიშვნელოვანი მოვლენაა ქართულ სიტყვაკაზმულ მწერლობაში, რამეთუ იგი გვხიბლავს თავისი სიმბოლურობით, მითოსოფიურობითა და განმაცვიფრებელი მეტაფორულობით.

კრიტიკული რეალიზმი

სერგო კლდიაშვილი
(1893-1986)

ეკატერინე კობახიძე

სერგო კლდიაშვილის რამდენიმე მოთხრობაში დასტურდება ანტიკურობასთან დაკავშირებული ცალკეული ტერმინები, აქედან მოთხრობაში „ძველისძველი ამბავი“ გადმოცემულია ამბავი ალექსანდრე მაკედონელის ცნობილი პორტრეტის, მოქანდაკე ლისიპოსის ამბავი.

მოთხრობაში „მინანქრის გოგონა ლომბარდში“ სერგო კლდიაშვილი თანამედროვე ლომბარდის მუშაკებს ირონიულად ადარებს კეისრებს და წერს:

„ლომბარდის ეს მუშაკი, ისე როგორც ძველად კეისარი, შეუცდომელ არსებად არის აღიარებული“.⁹⁰⁵

⁹⁰⁴ ფსევდო-ლონგინე. ამაღლებულისათვის. ძველი ბერძნულიდან თარგმნა, წინასიტყვაობა და კომენტარები დაურთო ბ. ბრეგვაძემ. თბილისი, 1975.

⁹⁰⁵ ს. კლდიაშვილი. თხზულებანი ორ ტომად (მოთხრობები და რომანები). ტ. II. რედ.: ნ. ჟღენტი. თბილისი, 1966, გვ. 403.

ცხადია, აქ სერგო კლდიაშვილი გულისხმობს არა იულიუს კეისარს, არამედ ზოგადად რომაელ კეისრებს – იმპერატორებს, რომლებსაც, როგორც იმპერიულ კულტებს, სიცოცხლეშივე მიიჩნევდნენ ღმერთების თანაბრად და თაყვანს სცემდნენ, როგორც ერთ-ერთ ღვთაებას.⁹⁰⁶

„ორფეოსში“ – აკაკი წერეთელისადმი მიძღვნილ მოგონებებში – ვკითხულობთ:

„თბილისსა და ქუთაისში ხშირად დაუნახავთ ეტლით და ხან ქვეითად მიმავალი აკაკი [წერეთელი], [...] ახოვანი მოხუცი-ორფეოსის სიარულს რაღაც საზეიმო იერი ჰქონდა“.⁹⁰⁷

ორფეოსი, ბერძნული მითოლოგიიდან ცნობილი მუსიკოსი, პოეტი და წინასწარმეტყველი, რომლის სიმღერა აჯადოებდა ღმერთებს, ადამიანებს და ცხოველებსაც კი, მიჩნეული იყო მუზა კალიოპეს ვაჟად (Apoll.1.3.2. Ap.Rhod. Argon.1.23). ორფეოსს ახსენებდნენ ჰომეროსი და ჰესიოდე და არაერთ გამორჩეულ პოეტს ანტიკურობაშივე ადარებდნენ.⁹⁰⁸ აკაკის გაიგივება ორფეოსთან ახალი არაა, მას სიცოცხლეშივე უწოდებდნენ ლეგენდარული მუსიკოსის სახელს, თუმცა სერგო კლდიაშვილი ცდილობს, რომ მოგონებებში წარმოადგინოს აკაკის ორფეოსთან მსგავსების ერთგვარი დასაბუთება და დეტალურად აღწერს, რა გავლენას ახდენდა ქართველი ორფეოსი მსმენელზე:

„მოხუც აკაკის ჩუმი, ღირიზმით სავსე ხმა ჰქონდა [...] აკაკის კითხვა არა მხოლოდ სიამოვნებას ჰგვრიდა მსმენელს, სულიერ თრთოლვას განაცდევინებდა.

ლექსის ზემოქმედების გაძლიერებისათვის და იქნებ კიდევ იმიტომ, რომ მისი ბუნება მოითხოვს ამას, ძველად ლექსს მუსიკალური აკომპანიმენტი ახლდა. აკაკის კითხვაში ამ აკომპანიმენტის მაგივრობას სწევდა მისი ხმა და კიდევ უფრო – მისი გარეგნობა: თქვენ ხომ ღმერთის შესადარ ადამიანს ხედავდით და უსმენდით ამ წუთში!“⁹⁰⁹

ამ პასაჟში ყურადღებას იწვევს სერგო კლდიაშვილის საინტერესო პარალელები ანტიკურ პოეზიასთან, რომლის დეკლამაციას, არქაულ და კლასიკურ პერიოდში, როგორც მწერალი სამართლიანად შენიშნავს, ახლდა მუსიკალური აკომპანიმენტი.⁹¹⁰ როგორც ამას სერგო კლდიაშვილის ზემოთ მოყვანილი პასაჟიდან ვხედავთ, დეკლამაციისას აკაკის ხმა ლექსების მუსიკალური აკომპანიმენტის როლს

⁹⁰⁶ I. Gradel. *Emperor Warship and Roman Religion*. London, 2004; R. Robinson. *Imperial Cults, Religion and Politics in the Early Han and Roman Empires*. New York, 2023.

⁹⁰⁷ ს. კლდიაშვილი. თხზულებანი ორ ტომად (მოთხრობები და რომანები). ტ. II. რედ.: ნ. ჟღენტო. თბილისი, 1966, გვ. 549.

⁹⁰⁸ M. O. Lee. *Virgil as Orpheus: A Study of the Georgians*. Albany, 1996, გვ. 3.

⁹⁰⁹ ს. კლდიაშვილი. თხზულებათა კრებული. ტ. III. თბილისი, 1975, გვ. 405-406.

⁹¹⁰ J. L. Landels. *Music in Ancient Greece and Rome*. London and New York, 2019, გვ. 110.

ასრულებდა, რაც ადამიანებს, ორფეოსის მსმენელების მსგავსად, „სულიერ თრთოლვას განაცდევინებდა“.

მთლიანად ანტიკურობასთან დაკავშირებულ სიუჟეტზეა შექმნილია მოთხრობა „ძველისძველი ამბავი“. ამ მოთხრობაში გადმოცემულია ცნობილი ბერძენი მოქანდაკის, ლისიპოსის ცხოვრების ერთ-ერთი ეპიზოდი, რომელიც მაკედონიის მეფის კარზე მის ყოფნას უკავშირდება. მწერალი მოგვითხრობს ამბავს ლისიპოსის ნიჭის მოშურნე მოქანდაკე დიოკრიტეს უნაყოფო მცდელობაზე, მოეპოვებინა ალექსანდრე მაკედონელის თანხმობა მისთვის მონუმენტური ქანდაკების დადგმაზე.

თავდაპირველად მწერალი ლისიპოსზე და მის თანამედროვე მოქანდაკეებზე მსჯელობს:

„თუმცა მოქანდაკე ლიზიპე ოსტატობით თავის თანამედროვეებზე მაღლა იდგა, კოლეგებს ის მაინც აგდებული ჰყავდათ, ვინაიდან მეტად მოკრძალებული იყო და უმეტეს დროს შრომაში ატარებდა“.⁹¹¹

მისგან განსხვავებით, მოქანდაკე დიოკრიტე უფრო იმაზე ზრუნავდა, როგორ მიეპყრო მეფის ყურადღება, რათა საკუთარი ცხოვრება კეთილმოეწყო. მისი აზრით, შრომისმოყვარე ლისიპოსის ნიჭს შემოქმედისთვის არავითარი სარგებელი არ მოჰქონდა, რადგან „უფრო მნიშვნელოვანია გქონდეს უნარი ყველაფერი შენს სასარგებლოდ გამოიყენო ცხოვრებაში და მიაღწიო იმას, რომ შენსავით არავინ ჩანდეს, თუნდაც სხვა უფრო ღირსეული იყოს“.⁹¹²

დიოკრიტემ, მართლაც, მიაღწია საწადელს და ლისიპოსი მუდამ უყურადღებოდ, ჩრდილში რჩებოდა.

ერთხელ დიოკრიტემ საკუთარი მოსწავლისგან შემთხვევით შეიტყო, რომ ლისიპოსს გამოუქანდაკებია ალექსანდრე მაკედონელის სახე, რასაც ახალგაზრდა კაცზე უდიდესი შთაბეჭდილება მოუხდენია:

„ეს ქანდაკება ყველაზე უკეთესია, რაც აქამდე შეუქმნია. არ დავიფიცავ, თრთოლვამ ამიტანა, როცა შევხედე. ვერც წარმომედგინა, თუ ქვას სიცოცხლის ასეთი უნარი ჰქონდა...“.⁹¹³

ქალაქში ალაპარაკდნენ ლისიპოსის ამ ნამუშევარზე, თუმცა შემფოთებულმა დიოკრიტემ გაარკვია, რომ ლისიპოსი, რომელიც ჯერ კიდევ აგრძელებს ქანდაკებაზე მუშაობას მისი სრულყოფის მიზნით, ჯერ არ აპირებს მის წარდგენას მეფისათვის.

ამ ამბით გახარებული დიოკრიტე გადაწყვეტს დაასწროს ლისიპოსს და დაარწმუნოს ალექსანდრე, რომ მხარი დაუჭიროს მეფის მონუმენტური ქანდაკების

⁹¹¹ ს. კლდიაშვილი. თხზულებათა კრებული. ტ. III. თბილისი, 1975, გვ. 132.

⁹¹² ს. კლდიაშვილი. თხზულებათა კრებული. ტ. III. თბილისი, 1975, გვ. 132

⁹¹³ ს. კლდიაშვილი. თხზულებათა კრებული. ტ. III. თბილისი, 1975, გვ. 132.

შექმნის მის იდეას. დიოკრიტე დარწმუნებულია საკუთარ წარმატებაში, რადგან: „ბოლოს და ბოლოს მაკედონელიც ადამიანია და მეფური სამოსელის ქვეშ ისეთივე ვნებებით სავსე გული უცემს, როგორც ყველა ჩვენგანს!“⁹¹⁴

დიოკრიტემ სასწრაფოდ შეადგინა მაკედონელის მონუმენტური ქანდაკების პროექტი, რომლის მიხედვითაც მას მაკედონელის სახე უნდა გამოეჩინა დაკეზიანებული თრაკიაში მდებარე ათონის მთის მწვერვალისგან, მთის კალთები მეფის მანტიად ექცია, ქანდაკების ერთ ხელში გაშენდებოდა ახალი ქალაქი, ხოლო მეორე ხელში ექნებოდა ღარნაკი, საიდანაც მდინარე გადმოედინებოდა.

ამ გეგმის მოსმენის შემდეგ ალექსანდრე დიდხანს უმზერდა მოქანდაკეს და მშვიდად უპასუხა:

„კარგი აზრია... მაგრამ კასპიის ზღვამ, იმასუმა და უდაბნოებმა, რომელნიც მე გადავლახე, უკვე მომანიჭეს უკვდავება. ამაზე ნულარ ზრუნავ შენ. თავი დაანებე ათონის მთასაც, დარჩეს ისეთივე, როგორც აქამდე იყო!“⁹¹⁵

კლასიკური ხანის გამოჩენილი ბერძენი ხელოვანი ლისიპოსი, პლუტარქოსის ცნობით, სიცოცხლის განმავლობაში იყო ალექსანდრეს პირადი მოქანდაკე. იგი იყო ერთადერთი, ვისაც მაკედონელი ანდობდა საკუთარი გამოსახულების ქვაში გამოქანდაკებას (Plut. Vit. Alex. IV.1.). ლისიპოსს მიაწერენ შთაგონებული, ღვთიური ალექსანდრეს გამოსახულებას, მღელვარე თმით და გახსნილი ბაგით. ალექსანდრეს მზერა მაღლაა მიმართული, რომელსაც მკვლევრები „ლისიპოსის მზერას“ უწოდებენ. ამ გამოსახულების ერთი შესანიშნავი, ადრეული იმპერიული რომაული ასლი, რომელიც ნაპოვნია ტივოლიში, ინახება ლუვრში.

ლისიპოსმა, როგორც ალექსანდრეს არაერთი გამოსახულების ავტორმა, მკვლევართა აზრით, შეძლო აესახა არა მხოლოდ მისი გარეგნობა, არამედ სიქველე.⁹¹⁶

პლუტარქოსი, რომელიც „პარალელურ ბიოგრაფიებში“ არაერთ ხელოვანს ახსენებს, დიოკრიტეს არ იცნობს,⁹¹⁷ თუმცა „ალექსანდრეს ცხოვრების“ აღწერისას და „მორალიებში“ იგი ახსენებს მოქანდაკე სტასიკრატესს (Plut. Vit. Alex. VII.76; Plut. Mor. 335c ff), რომელსაც ჰქონდა ასეთი იდეა. სახელი დიოკრიტე, დიდი ალბათობით, არის ვიტრუვიუსთან ნახსენები არქიტექტორი დეინოკრატესისი, რომელსაც ჰქონდა პროექტი, ათონის მთაზე შეექმნა ალექსანდრეს მონუმენტური გამოსახულება (Vitruvius, De Architectura, II, 3).

⁹¹⁴ ს. კლდიაშვილი. თხზულებათა კრებული. ტ. III. თბილისი, 1975, გვ. 133.

⁹¹⁵ ს. კლდიაშვილი. თხზულებათა კრებული. ტ. III. თბილისი, 1975, გვ. 133.

⁹¹⁶ M. Bieber. The Portraits of Alexander. Proceedings of the American Philosophical Society. Vol. 93. No. 5 (Nov. 30, 1949), გვ. 373-374.

⁹¹⁷ M. Linder. Plutarch's Use and Mention of Famous Artists in the "Parallel Lives". Ancient Society. Vol. 45 2015, გვ. 53-81.

საინტერესოა, რომ ფრანგმა მხატვარმა პიერ-ჰენრი დე ვალენსიენმა (Pier-Henri de Valenciennes, 1750-1819 წწ.) შექმნა გრაფიკული ნახატი „მონუმენტი ალექსანდრე დიდს“, სადაც გამოსახულია მხატვრის ფანტაზიით შექმნილი ეს მონუმენტი პლუტარქოსთან გადმოცემული ამბის მიხედვით. ნახატი ლოს ანჯელესში, Get-ის მუზეუმში ინახება.⁹¹⁸

რაც შეეხება დეინოკრატესის/სტასიკრატესის მიმართ ალექსანდრეს პასუხს, ეს ინფორმაცია დასტურდება ლუკიანოსთან (დაახლ. 120-180 წწ.) დიალოგში „პორტრეტის სწავლების დაცვა“. დიალოგში მაკედონელი ეუბნება ანონიმ არქიტექტორს:

„თავი დაანებე ათონს, – თქვა მან – და დიდებული მთა არ დააყენო ადამიანის სხეულთან მსგავსებით“ ამან მხოლოდ ნათელყო ალექსანდრეს დიდებულება და თავად იქცა მომდევნო თაობებისთვის ყოველგვარ ათონზე უფრო მაღალი ქანდაკებად; ამ უდიდესი პატივის უგულებელყოფის შესაძლებლობა იყო თავად გულუხვობა“ (Lucian, Pro Imaginibus, 9).

ამრიგად, სერგო კლდიაშვილის მოთხრობაში „მველისძველი ამბავი“ ავტორი თავს უყრის ანტიკურობის სხვადასხვა ავტორთან დადასტურებულ რამდენიმე ამბავს (ამბავი ლისიპოსის მიერ ალექსანდრე მაკედონელის ქანდაკების შექმნაზე; ამბავი ალექსანდრე მაკედონელის მონუმენტის შესახებ) და ოსტატურად აერთიანებს ერთ ნარატივში გამოგონილი ინტრიგის ირგვლივ, რომელიც დიოკრიტესის ლისიპოსთან ურთიერთობას ასახავს.

გრიგოლ აბაშიძე (1914-1994)

გიორგი უგულავა

ტერმინები: სიზიფოსი/სისიფოსი, ქაოსი, ჰანიმედი/განიმედესი, ქაოსი, ოლიმპოს მთა, ჰიპოკრატე, სოკრატე, პარისის სამსჯავრო, ოქროს ვაშლი

გრიგოლ აბაშიძე ის მწერალია, რომლის შემოქმედებაც თითქმის მთელ XX საუკუნეს მიჰყვება. ანტიკურობა ავტორის შემოქმედებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს. გრიგოლ აბაშიძის შემოქმედება ანტიკურობის რეცეფციის კუთხით ორ

⁹¹⁸ ხელმისაწვდომია ონლაინ: <https://www.getty.edu/art/collection/object/10A1CH>
11.12.2024.

ბოლო ნახვა:

ნაწილად შეგვიძლია დავყოთ – მის პოეზიად და მის ისტორიულ რომან „ლაშარელად“.

გრიგოლ აბაშიძე, როგორც მისი შემოქმედებიდან ჩანს, ანტიკურ სამყაროს საკმაოდ სიღრმისეულად და დეტალურად იცნობს და მისი ცოდნა არ შემოიფარგლება მხოლოდ ანტიკურობასთან დაკავშირებული ზოგადი ტერმინებით. იგი თავის შემოქმედებაში გამოიყენებს როგორც ანტიკურ მითოსურ, ასევე ისტორიულ ტერმინებს და ხშირად მიმართავს მათ თავისი სათქმელის გამოსახატად.

მის პოეზიაში არაერთხელ გვხვდება ანტიკური მითოსური ტერმინები, რომლებიც ცხადყოფს, რომ ავტორი ბერძნულ მითოსურ ტრადიციას საკმაოდ კარგად იცნობს და ხშირად მოჰყავს შედარებები, ანალოგიები ანდაც მეტაფორები ანტიკური სიმბოლოების გამოყენებით. მაგალითად, ნაწარმოებში „შემოდგომა“, იგი თავისი სათქმელის გამოსახატად იხსენიებს მითს სისიფოსის შესახებ, რომელიც ამაო შრომის, მარადიული ტანჯვის სიმბოლოა, რადგან ღმერთებმა ის დასაჯეს და მუდამ უწევს ლოდის ზემოთ ათრევა, რის შემდეგაც ლოდი უკან გორდება და სისიფოსი თავის ტანჯვას და წვალებას აგრძელებს.⁹¹⁹

თავის სხვა ლექსში („ხილვა არმაზზე“) ის უკვე ანტიკური მითოსის ჰანიმედს/განიმედს და ოლიმპოს მთას იხსენიებს. განიმედესი ზევსის სიყვარულის ობიექტია და, როგორც ჩანს, პოეტი იცნობს ამ მითს და თავისი სათქმელის გამოსახატად ამ მითით და ანტიკური ტერმინებით „თამაშობს“. კერძოდ, თავისი ემოციის გამოსახატად, აღნიშნავს, რომ ისიც განიმედესევით ცაში, საქართველოს ღმერთების ოლიმპზე იყო.⁹²⁰

გრიგოლ აბაშიძისთვის ეს ტიპური პოეტური ხერხია. ის იმდენად კარგად იცნობს ანტიკურ ტერმინებს, რომ ძალიან მოქნილად შეუძლია გამოიყენოს თავის პოეტურ კონტექსტში. მაგალითად, ლექსში „შვიდასი წელი“ ის საუბრობს ქართული ისტორიული ამბის კოხტასთავის შეთქმულების შესახებ, რომელსაც ქართული ტრადიცია ცოტნე დადიანის სახელთან აკავშირებს. ლექსის პირველივე სტრიქონში, როდესაც პოეტს სურს აღნიშნოს, რომ ამ შეთქმულებას ის სიამოვნებით შეუერთდებოდა, თუმცა სხვა დროში, სხვა ეპოქაში წერს, ჯერ არც დაბადებულა და მას 700 წლით არის დაშორებული, ის ასეთ პოეტურ შედარებას იყენებს: „მე ჯერ ქაოსი მერტყა წყვიადად, თქვენ რომ გეხვიათ მზეზე ფუტკარი“.⁹²¹

⁹¹⁹ „შემოდგომა“, გრ. აბაშიძე. თხზულებანი სამ ტომად. ტ. I. თბილისი, 1983, გვ. 12.

⁹²⁰ „ხილვა არმაზზე“, გრ. აბაშიძე. თხზულებანი სამ ტომად. ტ. I. თბილისი, 1983, გვ. 55.

⁹²¹ „შვიდასი წელი“, გრ. აბაშიძე. თხზულებანი სამ ტომად. ტ. I. თბილისი, 1983, გვ. 24.

ქაოსს, რომელიც ანტიკური მითოლოგიიდან წამოსული ტერმინია, პოეტი თავის სხვა ლექსებშიც იყენებს.⁹²²

გრიგოლ აბაშიძე მსგავს პოეტურ ხერხს მიმართავს თავის ლექსში, „გაქრა ოთხმოცი წელიწადი“. ლექსი თითქოს ავტობიოგრაფიულია და პოეტის შეხედულებებს წარმოაჩენს ამ ცხოვრების შესახებ. ის აღწერს, რომ ცხოვრება ძალიან სწრაფად გადის, თუმცა მის ცხოვრებაში იმდენი ტკივილი ყოფილა, რომ შანსიც რომ ჰქონოდა, ახლიდან მიბრუნების და თავისი ცხოვრებისეული გზის, კიდევ ერთხელ, ახლიდან გავლის, სავარაუდოდ, ის ამას არ მოისურვებდა. უკვე ასაკში შესვლის, სიკვდილის მოლოდინის სცენას კი იგი აღწერს ანტიკური მითოსური სიმბოლოს, ქარონის გამოყენებით. ქარონს მითის მიხედვით გარდაცვლილთა სულები გადაჰყავდა ჰადესის სამფლობელოში. პოეტი ცხოვრებისეული გზის ახლიდან გავლას, ქარონის ნავიდან გადმოხტომას ადარებს. კერძოდ, აღნიშნავს:

„რომ მკითხონ: გრძელ გზას დაიწყებდი ისევ თავიდან, ღმერთმა მაშოროს, გადმოვუხტე ქარონს ნავიდან!“⁹²³

მითოსურ სიუჟეტს იხსენიებს ავტორი თავის პიესაში, „მოგზაურობა სამ დროში“. ნაწარმოებში იგი პირდაპირ აღნიშნავს, რომ მისი ინსპირაციის წყარო ძველი ბერძნული მითი იყო და მისი მიხედვით მან სამი დრო (წარსული, აწმყო, მომავალი) სამი ახალგაზრდა ქალბატონის სახით გამოხატა. მწყემსი, რომელიც მითის მიხედვით ტროას მეფის შვილი პარისი უნდა იყოს, ავტორის განმარტებითვე თავად ის გახლავთ და მან ამ ქალბატონებს, რომლებიც ანტიკური მითის მიხედვით ქალღმერთები – აფროდიტე, ათენა და ჰერა არიან, ხოლო ავტორი, როგორც ზემოთ უკვე გითხარი, მათ დროებად აღიქვამს, ოქროს ვაშლი უნდა მიანიჭოს. ანუ, თუკი ბერძნული მითის მიხედვით პარისი ქალღმერთთა შორის ულამაზესს ქალს ირჩევს, გრიგოლ აბაშიძის დრამაში უკვე თავად ავტორმა ასულის სახით დრო უნდა აირჩიოს. მისი არჩევანი გადაწყვეტს, თუ ის რომელ დროზე – წარსულზე, მომავალზე თუ აწმყოზე იქნება ორიენტირებული.

ამ შემთხვევაშიც ვხედავთ, რომ გრიგოლ აბაშიძე, ერთი მხრივ, საკმაოდ კარგად იცნობს ანტიკურ მითოლოგიას, ხოლო, მეორე მხრივ, მის რეცეფციას ახდენს არა ზედაპირული, უბრალო მოხსენიებითი ფორმით, არამედ საკმაოდ ზუსტ ადგილს უძებნის თავის შემოქმედებაში. ამ პიესაში ჩვენ ვხედავთ ძალიან ცნობილი ანტიკური მითის გადაზრების, შინაარსობრივი და სიმბოლური ცვლილების და ახალი დატვირთვით შემოთავაზებას.⁹²⁴

⁹²² „სასაკლაოში“, გრ. აბაშიძე. თხზულებანი სამ ტომად. ტ. I. თბილისი, 1983, გვ. 63-64; „მთები და კლდეები“, გრ. აბაშიძე. თხზულებანი სამ ტომად. ტ. I. თბილისი, 1983, გვ. 26.

⁹²³ „გაქრა სამოცი წელიწადი“, გრ. აბაშიძე. თხზულებანი სამ ტომად. ტ. I, თბილისი, 1983, გვ. 151.

⁹²⁴ „მოგზაურობა სამ დროში“, გრ. რობაქიძე. პიესები. თბილისი, 1961, გვ. 441.

გრიგოლ აბაშიძე თავის ორ ლექსში, რომლებიც ძველ ეგვიპტურ თემატიკას ეხმიანებიან, ასევე მოიხსენიებს ანტიკურ ტერმინებს. თავის ლექსში „სფინქსი“ იგი სფინქსის მარადიულობის და მნიშვნელობის გამოსახატად იხსენიებს იმ უდიდეს ისტორიული პირებს, რომელთაც მასთან ისტორიული გადაკვეთა ჰქონიათ. პოეტი სულ სამ სახელს ჩამოთვლის და ნაპოლეონის გვერდზე ორი ანტიკური ისტორიული პირია – გაიუს იულიუს კეისარი და ალექსანდრე. ორივე მათგანი ანტიკურობის უდიდეს დამპყრობლად და მთავარსარდლად მიიჩნევა. პოეტი იცნობს ანტიკურ ისტორიას და იცის, რომ ორივე მათგანი (ისევე, როგორც ნაპოლეონი) ეგვიპტეში სამხედრო და პოლიტიკური მიზნებით იმყოფებოდა. სწორედ ამიტომ მათი ამ ჩამონათვალში მოხსენიება შემთხვევითი არ არის. ერთ შემთხვევაში, იგი გულისხმობს ალექსანდრეს ეგვიპტურ ლაშქრობას (ძვ.წ. 332/331 წწ.), როდესაც იგი ლაშქრობს ეგვიპტეში, რომელიც იმ პერიოდში აქემენიდური სპარსეთის მიერ არის დაპყრობილი და მისი ერთ-ერთი სატრაპიაა. ალექსანდრეს ეგვიპტური ლაშქრობა აღწერილი აქვთ როგორც ანტიკურ წყაროებს, ასევე მისი გვიანდელი რეცეფცია არაერთხელ ხდება მხატვრულ კულტურაში. ალექსანდრე ადგილობრივი, ეგვიპტური კულტურის მიმართ ინტერესს ავლენს და პატივისცემას იჩენს, რითაც მისი დამოკიდებულება კონტრასტულია აქემენიდების ეგვიპტურ პოლიტიკასთან. სფინქსის მასთან კონტექსტში მოხსენიება შემთხვევითი არ არის, თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ მაგალითად, ნაპოლეონის ლაშქრობისგან განსხვავებით, ანტიკური წყაროები ალექსანდრეს და სფინქსის ერთობლივ კონტექსტში არ მოიხსენიებს, მაგალითად, უფრო გვიანდელი რომის იმპერატორებისგან განსხვავებით, რომლებიც გიზის სფინქსის მონუმენტს არაერთხელ სტუმრობდნენ.

დაახლოებით მსგავსია ამ კონტექსტში იულიუს კეისრის მოხსენიება. კეისარმა ეგვიპტეში მხოლოდ ცოტა ხნით ილაშქრა, როდესაც სამოქალაქო ომის კონტექსტში, ძვ.წ. 48-47 წლებში ალექსანდრიასთან, ჩრდილოეთ ეგვიპტეში დამაარცხა ეგვიპტელები. ის სამხრეთით გიზის სფინქსის ქანდაკებასთან არასოდეს ყოფილა და ჩრდილოეთ ეგვიპტეს, რომელიც იმ დროს ელინისტური ეგვიპტის ცენტრს წარმოადგენდა, არ გასცილებია. ამის მიუხედავად, პოეტი ნაპოლეონთან ერთად ცდილობს, რომ სფინქსის ქანდაკებას ორი ის დიდი ანტიკური დამპყრობელი დაუკავშიროს, რომელთაც ეგვიპტეში მართლაც გამართეს სამხედრო კამპანია. ამ მხრივ, პოეტი, ერთი მხრივ, იცნობს ანტიკურ ისტორიას, ხოლო, მეორე მხრივ, ის ნაკლებად შედის მათი ლაშქრობების დეტალურ აღწერაში და ის ანტიკური ისტორიის და ისტორიული ფიგურების რეცეფციას ახდენს არა დეტალურ,

სიღრმისეულ, კვლევით დონეზე, არამედ უფრო ზოგადად, ისინი როგორც სიმბოლოები ისე აინტერესებს.⁹²⁵

თავის სხვა ლექსში, „ტუტანხამონის აკლდამაში“ პოეტი უკვე იმ, ანუ ტუტანხამონის ეპოქის კოლხისს მიმართავს. ამ კუთხით, იგი იმეორებს ლეგენდარული, წინარეანტიკური ეპოქის კოლხისის არსებობის ამბავს. ტუტანხამონი ძვ.წ. XIV საუკუნით თარიღდება. ანტიკური ისტორიოგრაფიული წყაროები იცნობენ ლეგენდებს მითოსური, არგონავტების და სხვა მითების ეპოქის კოლხისის შესახებ, რომელიც წინარეანტიკური ხანით, სულ მცირე ძვ.წ. II ათასწლეულით შეიძლება თარიღდებოდეს. ამ მითების კონტექსტში ისტორიული რეალობის ასახვაზე მსჯელობა მონაცემთა სიმცირის გამო საკმაოდ რთული საკითხია. თუმცა, პოეტისთვის კოლხისი უძველესი ისტორიული ტერმინია, რომელიც ტუტანხამონის მმართველობის პარალელურადაც თანაარსებობს. პოეტი ანტიკური მითების მითოპოეტურ კოლხეთს უნდა გულისხმობდეს.⁹²⁶

ანტიკურობის რეცეფციის თვალსაზრისით გრიგოლ აბაშიძის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო ლექსი „კონსტანცა“. კონსტანცა თანამედროვე რუმინული ქალაქის სახელწოდებაა, რომელიც ანტიკურ ტომისს შეესაბამება. ეს ქალაქი ანტიკურობისთვის მნიშვნელოვანია, იმდენად რამდენადაც ახ.წ. I საუკუნის დასაწყისში ცნობილი რომაელი პოეტის ოვიდიუსის გადასახლების ადგილად იქცა. ოვიდიუსმა სწორედ აქ დაწერა თავისი „ტრისტია“ და „წერილები პონტოდან“ და აქვე გარდაიცვალა. პოეტი თავის ლექსში ანტიკური ისტორიის სწორედ ამ ეპიზოდს ეხმიანება და იქვე მსჯელობს, ზოგადად, ხელოვნებისა და ძალაუფლების ურთიერთმიმართების საკითხზე.

გრიგოლ აბაშიძისთვის პოეტი ის ადამიანია, რომელიც „თავად მაღალ ღმერთებს ქმნის“ და „კეისრებიც სახელს მათ უნდა უმადლოდნენ“. იგი, როგორც ჩანს, გულისხმობს ავგუსტუსის ეპოქის რომაულ პოეზიას, როდესაც მწერლობა იქცა ე.წ. რომაული „ოქროს საუკუნის“ ერთ-ერთ მთავარ შემოქმედად. ავგუსტუსის ხანის გაიდებლებს დიდად შეუწყო ხელი მისმა მიზანმიმართულმა პოლიტიკამ, რომელიც მწერლობის საკუთარი და სახელმწიფოს მიზნებისთვის გამოყენებას და მათი მეშვეობით ფართო საზოგადოებაში ბედნიერი ხანის დადგომის იდეის მულტიპლიცირებას შეუწყო ხელი. სწორედ ამიტომ, პოეტის შენიშვნა, რომ „კეისრები თავის სახელს პოეტებს უნდა უმადლოდნენ“, არ უნდა იყოს ზოგადი (ან შეიძლება მხოლოდ ნაწილობრივ იყოს ზოგადი) და უფრო მეტად, კონკრეტულად რომაულ რეალობას უნდა ასახავდეს.

⁹²⁵ „სფინქსი“, გრ. აბაშიძე. თხზულებანი სამ ტომად. ტ. I. თბილისი, 1983, გვ. 105.

⁹²⁶ „ტუტანხამონის აკლდამაში“, გრ. აბაშიძე. თხზულებანი სამ ტომად. ტ. I. თბილისი, 1983, გვ. 109.

ასევე კონკრეტულად ანტიკურ რეალობას უნდა მიემართებოდეს გრიგოლ აბაშიძის ფრაზა, რომ „მაღალ ღმერთებს მგოსნები ქმნიან“. ანტიკური ღმერთების, და, ზოგადად, ანტიკური რელიგიური წარმოდგენების შესახებ ყველაზე მნიშვნელოვანი წყარო სწორედ მხატვრული ლიტერატურა, პოეზიაა. მაგალითად, ჰომეროსის და ჰესიოდეს პოემები (განსაკუთრებით კი ჰესიოდეს „თეოგონია“). შესაბამისად, მისი ეს ფრაზაც ანტიკური კულტურის და მათი რელიგიური წარმოდგენების ამ სპეციფიკას უნდა მიემართებოდეს.

ამავე ლექსში, პოეტი დეტალურად განიხილავს ოვიდიუსის გადასახლებას ტომისში (თანამედროვე კონსტანცა). ოვიდიუსმა რომის უკიდურეს პროვინციაში, გადასახლებაში, თავისი ცხოვრების უკანასკნელი წლები გაატარა და უაღრესად განიცდიდა რომთან დაშორებას. გრიგოლ აბაშიძე ანტიკური ისტორიის ამ ეპიზოდს, როგორც ჩანს, საკმაოდ კარგად იცნობს. თავის ლექსში იგი აღწერს პოეტის, ანუ ოვიდიუსის, სიკვდილის სცენას. აღსანიშნავია, რომ იგი ტომისს „სარმატთა ქვეყანას“ უწოდებს. სარმატების, მომთაბარე ხალხის, განსახლების არეალი საკმაოდ ფართო გეოგრაფიულ სივრცეს გულისხმობს და კავკასიიდან და აღმოსავლეთ შავი ზღვისპირეთიდან ჩრდილოეთით, თანამედროვე რუსეთის და უკრაინის ტერიტორიას მოიცავს. შავი ზღვის დასავლეთ სანაპიროსთან სარმატებს შეხება არ ჰქონიათ. თუმცა, პოეტი ამ სტრიქონში უნდა გულისხმობდეს, არა საკუთრივ სარმატებს, არამედ მასაგეტებს, კიდევ ერთ მომთაბარე ხალხს, რომლებიც სარმატებამდე, ძვ.წ. VIII-VII საუკუნეებიდან მოყოლებული დაახლოებით ძვ.წ. III საუკუნემდე შუა აზიის დაბლობებსა და ნაწილობრივ თანამედროვე რუსეთის ტერიტორიაზე, კასპიის ზღვიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით ცხოვრობდნენ. მასაგეტები მოგვიანებით შეერივნენ სარმატებს და სხვა მომთაბარე ხალხებს ამავე გეოგრაფიულ არეალში. პოეტი ტომისს (თან. კონსტანცა) სარმატების მიწას უნდა უწოდებდეს, რადგან ანტიკური წყაროების, კერძოდ, ჰეროდოტოსის და სხვა გვიანდელი წყაროების ნახევრად ლეგენდარული ცნობების თანახმად, ეს ქალაქი მასაგეტების დედოფალმა ტომირისმა დააარსა. ტომირისი, ჰეროდოტოსის მიხედვით, ის მმართველია, რომელთან ბრძოლაშიც ძვ.წ. VI საუკუნეში აქემენიდური სპარსეთის დამაარსებელი კიროს დიდი დაიღუპა. შესაბამისად, თუკი ის ნამდვილად არსებობდა, მისი ლოკალიზება შუა აზიის დაბლობებში უნდა მოხდეს და თითქმის წარმოუდგენელია, რომ მას აქტუალური შეხება ჰქონოდა შავი ზღვის დასავლეთ სანაპიროსთან. თუმცა, გრიგოლ აბაშიძე მიჰყვება ანტიკურ ცნობებს, კერძოდ, ახ.წ. VI საუკუნის ავტორს, იორდანესს, რომელიც თავის მხრივ, კასიოდორუსს ეყრდნობა,

რომ ტომისი დედოფალ ტომირისის მიერ არის დაარსებული და სწორედ ამიტომ ატარებს ამ სახელს.⁹²⁷

ამ ეპიზოდში ჩანს, რომ პოეტი ანტიკურ ისტორიას და ანტიკურ წყაროებს საკმაოდ სიღრმისეულად იცნობს და იხსენიებს ნაკლებად ცნობილ ამბავს ოვიდიუსის სიკვდილის წინა სამყოფელი ქალაქის ლეგენდარული წარმოშობის შესახებ.

როგორც აღვნიშნე, გრიგოლ აბაშიძე ოვიდიუსის ცხოვრების ბოლო ეტაპს საკმაოდ კარგად იცნობს და ლექსში იგი აღწერს, თუ როგორ კვდება იგი ტომისში გადასახლების დროს, ენატრება რომი, თუმცა იქვე იმასაც აღნიშნავს, რომ მაშინ, როცა პოეტს „მუხების ლაღი ფრთა მიაფრენს“, თავად ყველა ძალმოსილი იმპერატორსაც კი დრო, ყველაზე ულმობელი და მკაცრი მსაჯული შავი ბინდით დაფარავს. გრიგოლ აბაშიძე სახელით ოვიდიუსს არ მოიხსენიებს, ხოლო ავგუსტუსის შემთხვევაში კი მისი სახელი ასევე არ არის მოხსენიებული, თუმცა ის იწოდება პრინცეპსად. ამ კუთხითაც, გრიგოლ აბაშიძე ანტიკური ისტორიის და პოლიტიკის საკმაოდ დეტალურ ცოდნას გვთავაზობს. უფრო გვიანდელი ტრადიციის თანახმად ის არ მოიხსენიებს ავგუსტუსს იმპერატორად, ან კეისრად. არამედ საკმაოდ ზუსტად მოიხსენიებს მას მისი პოლიტიკური სტატუსის მიხედვით და უწოდებს პრინცეპსს, ანუ პირველი მოქალაქეს. ავგუსტუსმა ძვ.წ. 31-27 წლებში, ძალაუფლებაში მოსვლის შემდეგ, ფორმალურად შეინარჩუნა რესპუბლიკური წყობა და ინსტიტუტები და თავისი ერთმმართველობას რესპუბლიკური გაფორმება შესძინა, რათა არ დაეკარგა რომში პრორესპუბლიკური განწყობების მქონე მოსახლეობის მხარდაჭერა. სწორედ ამიტომ მიიღო მან პრინცეპსის ტიტული, რომელიც ფორმალურად მაინც ახლოს იყო რესპუბლიკურ ტიტულატურასთან და რომში იოლად არ იწვევდა მონარქიის ასოციაციას. გვიანდელ ტრადიციაში, განსაკუთრებით მხატვრულ კულტურაში, ავგუსტუსი უკვე კეისრად ან იმპერატორად იწოდება ხოლმე. თუმცა, გრიგოლ აბაშიძე მას და მის ტიტულატურად ტერმინოლოგიურად საკმაოდ ზუსტად აფასებს.

ის ფაქტი, რომ გრიგოლ აბაშიძე არც ოვიდიუსს და არც ავგუსტუსს სახელით არ მოიხსენიებს და, ძირითადად, უფრო ზოგადი „პოეტი“ და „მბრძანებელი“ დეფინიციას გამოიყენებს, უნდა მიუთითებდეს მის სურვილზე, რომ ოვიდიუსის და ავგუსტუსის კონფლიქტი აღქმულ იქნეს არა პირად, ერთი კონკრეტული ამბის ქრილში, არამედ მოხდეს მისი განზოგადება და ფართოდ, ხელოვნებისა და ძალაუფლებას შორის კონფლიქტად წარმოჩინება. გრიგოლ აბაშიძე აღნიშნავს, რომ ეს კონფლიქტი, მიუხედავად იმისა, რომ მმართველს ძალაუფლება აქვს და შეუძლია

⁹²⁷ Jordanes. "The origin and the deeds of the Goths, Chapter X". Archived from the original on 16 July 2011. Retrieved 3 August 2015.

პოეტი გადაასახლოს, სამშობლოში დაბრუნების უფლება არ მისცეს და სიცოცხლის ბოლო გაუმწაროს, მაინც პოეტის, ანუ ხელოვნების გამარჯვებით სრულდება, რადგან გრძელვადიან პერსპექტივაში ხელოვნება, პოეზია, შემოქმედება დროს უძლებს, მმართველი კი ავიწყდებათ.⁹²⁸

აღსანიშნავია, რომ გრიგოლ აბაშიძის ეს ლექსი და მასში გახმოვანებული იდეა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საბჭოთა რეალობისთვის, როდესაც საბჭოთა ტოტალიტარული მმართველობის მიერ ხელოვნების, მათ შორის, ქართული მწერლობის, რეპრესიებს და მათზე ძალადობას სისტემური ხასიათი ჰქონდა. არსებული ცენზურის პირობებში გრიგოლ აბაშიძე იღებს ანტიკურ მოტივს რომის ისტორიიდან და მისი რეცეფციით საკმაოდ ერთმნიშვნელოვნად გამოხატავს თავის მოსაზრებას, როგორც ხელოვნებაზე საბჭოთა ძალადობის პრაქტიკის მიმართ, ასევე ძალადობრივი ხელისუფლების და მმართველობის წარმავლობის შესახებ.

გრიგოლ აბაშიძე ანტიკურ ტერმინებს თავის სხვა ლექსებშიც გამოიყენებს. ანტიკური სამყარო მისთვის ამაღლებულობასთან, დახვეწილობასთან და აღმატებულებასთან ასოცირდება. ამ მხრივ, აღსანიშნავია, ლექსი „ელადა“, რომელშიც იგი ელადას, ანტიკურ საბერძნეთს, „ღმერთების სატახტოს“ და მუზეუმის სამყოფელს უწოდებს.⁹²⁹

ანტიკურ ტერმინებს მას სიღრმისეული, სიმბოლური გამოყენების გარდა, რიგ მომენტებში ეპიზოდური ხასიათიც აქვთ. მაგალითად, ლექსში „ანდერძნამაგი“ იგი თავის წიგნს, რომელსაც დიდი გზა, დიდი მოგზაურობა ელის, დადლილ მარათონელს ადარებს,⁹³⁰ ხოლო სხვა ლექსში, „სვენწკის ჩვენება“ იგი აღწერს სულხან-საბა ორბელიანის ელჩობას დასავლეთ ევროპაში და აღნიშნავს, რომ იგი ლათინურ ენას ფლობდა და მას იყენებდა.⁹³¹

ანტიკურობის რეცეფციის თავლსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა გრიგოლ აბაშიძის ისტორიული რომანი „ლაშარელა“, რომელშიც იგი შუა საუკუნეების, კერძოდ, XIII საუკუნის 10-20-იანი წლების საქართველოს და მის მეფეს გიორგი IV-ს, იმავე ლაშა-გიორგის მმართველობის პერიოდს ეხმიანება. რომანში მწერალი ანტიკურობის რეცეფციას არაერთხელ ახდენს.

ნაწარმოების მთავარი გმირი ლაშა-გიორგი საქართველოს ისტორიის, ე.წ. ოქროს ხანის, ანუ დავითიდან თამარამდე ეპოქის (1089-1220 წწ.) უკანასკნელი მეფეა. სწორედ მისი მმართველობის პერიოდში იწყება მონღოლთა ლაშქრობები

⁹²⁸ „კონსტანცა“, გრ. აბაშიძე. თხზულებანი სამ ტომად. ტ. I. თბილისი, 1983, გვ. 93-95.

⁹²⁹ „ელადა“, გრ. აბაშიძე. თხზულებანი სამ ტომად. ტ. I. თბილისი, 1983, გვ. 110-111.

⁹³⁰ „ანდერძნამაგი“, გრ. აბაშიძე. თხზულებანი სამ ტომად. ტ. I. თბილისი, 1983, გვ. 185.

⁹³¹ „სვენწკის ჩვენება“, გრ. აბაშიძე. თხზულებანი სამ ტომად. ტ. I. თბილისი, 1983, გვ. 22.

საქართველოში, რასაც მოგვიანებით, უკვე მისი სიკვდილის შემდეგ, ჯალალედინის შემოსევები და მონღოლთა მმართველობის დასაწყისი მოჰყვება.

ამ ნაწარმოებში გრიგოლ აბაშიძე არერთხელ ამჟღავნებს ისტორიული დეტალების, და, ზოგადად, მსოფლიო ისტორიის საკმაოდ დეტალურ და სიღრმისეულ ცოდნას. კერძოდ, მთელი ნაწარმოების მანძილზე იგი არაერთხელ იხსენიებს და უბრუნდება იმ მოტივს, რომ ლაშა-გიორგის, და, ზოგადად, ოქროს ხანის საქართველო არის ახალი რომი, ანუ ქრისტიანული სამყაროს ახალი ლიდერი. რეალურად ეს იდეა არის მისი რომანის ერთ-ერთი მთავარი მოტივი, რომელიც მთელ ნაწარმოებს იდეოლოგიურად კრავს.

ამ შემთხვევაში ავტორი ტერმინოლოგიურად არაერთხელ იხსენიებს რომს, თუმცა, მისთვის ეს უფრო რომის უფრო გვიანდელი, შუასაუკუნეობრივი გაგებაა, ვიდრე ანტიკური. გრიგოლ აბაშიძისთვის შუა საუკუნეების სტანდარტის მიხედვით რომი არის ქრისტიანული სამყაროს ლიდერი. რომის დაცემის შემდეგ, შუა საუკუნეებში რომის, რომის აღდგენის, მისი გაგრძელების იდეა მრავალი საუკუნის მანძილზე პოპულარული იყო და დიდი ევროპული პოლიტიკის ძირითად იდეას წარმოადგენდა. ახ.წ. V-VI საუკუნეებში ბიზანტია, რომელიც თავის თავს აღმოსავლეთ რომის იმპერიას უწოდებდა (ბიზანტია, როგორც ვიცით, ბევრად უფრო გვიანდელი, თითქმის თანამედროვე ტერმინია) აქტიურად ცდილობდა რომის იმპერიის მეტ-ნაკლებად ტრადიციულ საზღვრებში, სულ მცირე იტალიის ჩათვლით აღდგენას. კონსტანტინოპოლს ჰქონდა პრეტენზია, რომ სწორედ ის იყო მეორე რომი, რომის მემკვიდრე და მისი აღმოსავლური, ქრისტიანული ანალოგი. ბიზანტიის იმპერატორებს თავი რომაული ტრადიციის გამგრძელებლად მიაჩნდათ.

ამავე პერიოდში, ადრეული შუა საუკუნეებიდან დაწყებული, რომის იმპერიის აღდგენის, ახალი რომის წარმოშობის იდეა, ჩნდება დასავლეთ ევროპაშიც. ამ იდეას განასახიერებდნენ ფრანკების სახელმწიფო და კარლოს დიდი და მოგვიანებით კი, საღვთო რომის იმპერია, რომელიც გერმანულ და იტალიურ მიწებს აერთიანებდა. ყველა ამ შემთხვევაში რომის იდეას პოლიტიკურზე და გეოგრაფიულზე მეტად, რელიგიური საფუძველი ჰქონდა. რომის მემკვიდრეობა, ახალი რომი, ნიშნავს ქრისტიანული სამყაროს ლიდერობას. სწორედ ამიტომ, თუკი აღმოსავლურ, ბიზანტიურ ტრადიციაში იმპერატორი არა მხოლოდ პოლიტიკურ ლიდერს, არამედ რელიგიურ ლიდერსაც წარმოადგენდა და ქრისტიანული, სულ მცირე, აღმოსავლური ქრისტიანული სამყაროს ლიდერად მიიჩნევდა თავს, დასავლურ ევროპულ ტრადიციაში რომის მემკვიდრეობაზე პრეტენზიას აუცილებლად სჭირდებოდა პაპის მიერ იმპერატორად, ანუ რომაული იმპერიული ტრადიციის გამგრძელებლად

კურთხევა. პაპის კურთხევა, მისი ხელდასხმა რომის გაგრძელების იდეაში რელიგიურ მოტივს გამოკვეთდა.

„ლაშარელაში“ გრიგოლ აბაშიძე რომის აღდგენის, მისი მემკვიდრეობის შუასაუკუნეობრივ იდეას, ოქროს ეპოქის საქართველოს არგებს. იგი საქართველოს ქრისტიანული სამყაროს ლიდერად წარმოადგენს.

ამ კუთხით, გრიგოლ აბაშიძე შუა საუკუნეების ისტორიულ მოდელს აგრძელებს და მისთვის ლაშა-გიორგის და, ზოგადად, ოქროს ეპოქის საქართველო ქრისტიანული სამყაროს ლიდერია, როგორც მეორე რომი, მის ლიდერობას განამტკიცებს ჯვაროსნული სამყაროს, ჯვაროსნული გაერთიანების ლიდერობა საქართველოს მიერ. ამ მხრივაც, ავტორი, ერთი მხრივ, ისტორიულ რეალობას კარგად იცნობს, მეორე მხრივ კი, მას ნაწარმოების იდეოლოგიურ-მხატვრული ჩანაფიქრიდან გამომდინარე შეგნებულად ამახინჯებს. საქართველოს ოქროს ხანა, დიდწილად ემთხვევა ჯვაროსნული ლაშქრობების ეპოქას. თურქ-სელჩუკთა იმპერიაში მალიქ შაჰის სიკვდილს (1092 წ.) და იმპერიის შიგნით შიდა არეულობის დასაწყისს ემთხვევა როგორც ჯვაროსნული ლაშქრობების დაწყება 1095-1096 წლიდან, ასევე დავით აღმაშენებლის მიერ თურქ-სელჩუკებისთვის ხარკის შეწყვეტა. ჯვაროსნული ომები, რომლებიც ძალიან ფართო, მრავალგვარ და კომპლექსურ ისტორიულ პროცესს გულისხმობს, ყველაზე ხშირად, მისი სტანდარტული (თუმცა არა ერთადერთი) გაგების მიხედვით გულისხმობს ევროპული, ქრისტიანული სამყაროს ერთიან, კოალიციურ ლაშქრობას ე.წ. წმინდა მიწის, სირია-პალესტინის გასათავისუფლებლად. შუა საუკუნეების ევროპული სამყარო, რომელშიც რელიგიას ფუნდამენტური საზოგადოებრივი და პოლიტიკური ფუნქცია აქვს და თავს რომის იმპერიის, რომაული სივრცის მემკვიდრედ მიიჩნევს, ტრაგიკულად აღიქვამს, რომ ის რეგიონი, რომელიც ანტიკურობაში ასევე რომაულ-ქრისტიანული სამყაროს ნაწილს წარმოადგენდა და ქრისტიანობის დაბადების და განვითარების არეალია უმნიშვნელოვანესი ქრისტიანული ცენტრებით (იერუსალიმი, ანტიოქია, ალექსანდრია და ა.შ.) არაბული დაპყრობების შედეგად მუსლიმური სივრცის ნაწილად იქცა. შუა საუკუნეებში, როდესაც რელიგია პოლიტიკური იდენტობის ძირითად ნაწილს წარმოადგენდა, ეს უმნიშვნელოვანესი მოტივი იყო ხანგრძლივი ომების წარმოებისათვის.

იმ ეპოქის საქართველო, რომელსაც ჯვაროსნების მსგავსად ძირითად პოლიტიკურ კონკურენტად თურქ-სელჩუკების მიერ შექმნილი თურქული სივრცე ჰყავდა, კულტურულად, დიპლომატიურად, პოლიტიკურად თავს გრძნობს ამ დიდი პროცესის ნაწილად. დასტურდება არაერთი სამხედრო, დიპლომატიური თუ პოლიტიკური კონტაქტი ქართველ მეფეებსა და ჯვაროსნებს შორის. ამის

მიუხედავად, საქართველო ჯვაროსნული ლაშქრობების უშუალო მონაწილე, მით უმეტეს, ლიდერი გეოგრაფიული და პოლიტიკური ფაქტორების გამო, არასოდეს ყოფილა. ამ მხრივ, საქართველოს როგორც ჯვაროსნული სამყაროს ლიდერად წარმოჩინება, უფრო ავტორის მხატვრული ჩანაფიქრია, ვიდრე ისტორიული რეალობა, თუმცა ამ კუთხით გრიგოლ აბაშიძე კარგად გადმოგვცემს იმ სულისკვეთებას და კულტურულ იდენტობას, რომელიც ამ ეპოქის საქართველოსთვის უნდა ყოფილიყო სახასიათო.

ნაწარმოების მიხედვით საქართველო მეორე რომი და ქრისტიანული სამყაროს ლიდერი ხდება ბიზანტიის იმპერიის, რომელიც ხშირად საბერძნეთად არის მოხსენიებული, დაცემის შემდეგ. ამ მხრივად, ანტიკური ტერმინოლოგიის მიუხედავად, გრიგოლ აბაშიძე ისტორიულ-კულტურულ დონეზე უფრო მეტად შუა საუკუნეების სამყაროს რეცეფციას ახდენს. ტერმინები ძველ ბერძნულ და რომაულ სამყაროს შეესაბამება, თუმცა მისი შინაარსობრივი ბმა შუა საუკუნეებთან ხდება.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი, ანტიკური სიმბოლო, რომელსაც მკვეთრად გამოკვეთილი იდეოლოგიური დატვირთვა აქვს, არის ლაშა-გიორგის ალექსანდრესთან არაერთი შედარება. ალექსანდრე ერთ-ერთი ყველაზე ხშირად რეციპირებული ანტიკური სახეა. ის არის დაპყრობის, სამყაროს მიჯნასთან მისვლის, ადამიანური შესაძლებლობების ზღვართან მიღწევის სიმბოლო. ამავე დროს, ალექსანდრე აღმოსავლეთის დიდი დამპყრობელია. ბერძნულ-სპარსული ცივილიზაციების დაპირისპირების კონტექსტში, ალექსანდრე ის ადამიანია, რომელმაც მთელი აღმოსავლეთი დაიპყრო და აღმოსავლეთით, იმდროინდელი ბერძნული მსოფლმხედველობით, არსებულ სამყაროს მიჯნას მიაღწია.

ჯვაროსნული ომების კონტექსტს, ანუ ქრისტიანული დასავლეთის მუსლიმური აღმოსავლეთის წინააღმდეგ დაპირისპირებას გრიგოლ აბაშიძე ანტიკურ, ალექსანდრესეულ დასავლურ-აღმოსავლურ დაპირისპირების კონცეფციას არგებს. სწორედ ამიტომ ადარებს იგი ლაშა-გიორგის, როგორც ჯვაროსნულ, ქრისტიანული სამყაროს ლიდერს, ალექსანდრეს. ავტორი ამ კუთხით ძალიან საინტერესო ნარევს გვთავაზობს ანტიკური ტერმინი-სიმბოლოების, შუა საუკუნეების ევროპული და ქართული კულტურულ-პოლიტიკური კონტექსტისა და მხატვრული ჩანაფიქრი-ჰიპერბოლიზაციის. მის ნაწარმოებში ლაშა-გიორგის და ოქროს საუკუნის აპოლოგიაა. საქართველოა დასავლურ-ქრისტიანული სამყაროს ლიდერი, რომელმაც დასუსტებული ბიზანტია ჩაანაცვლა, ხოლო ლაშა-გიორგი, მისი მეფე, კი ალექსანდრესავით აღმოსავლეთის დამარცხება-დაპყრობის, დასავლურ-ქრისტიანული სამყაროს უპირატესობის სიმბოლოა.

ალექსანდრეს ლაშა-გიორგისთან შედარება გრიგოლ აბაშიძისთვის სხვა კუთხითაც არის საინტერესო. მისთვის ალექსანდრე პატარა ქვეყნის იმპერიად, დიდ, გავლენიან სახელმწიფოდ ქცევის სიმბოლოა. ალექსანდრე ლაშა-გიორგის მსგავსად პატარა ქვეყნიდან მოდის და მისი მისია, გეოგრაფიულად, რესურსებით მცირე ქვეყნის განდიდებაა. ნაწარმოებში პირდაპირ არის აღნიშნული, რომ ალექსანდრეს სახელმწიფო ძალიან პატარა იყო.⁹³²

იმავე ეპიზოდში აღნიშნულია, რომ ალექსანდრეს მსგავსად ლაშა-გიორგის სამეფო ანუ საქართველო, ასევე მცირერიცხოვანია, მიუხედავად იმისა, რომ ბოლო პერიოდში სომხეთს, მთის ტომებს, ტრაპიზონის იმპერიას და სხვა მომიჯნავე მიწებს (შირვანი, ხლათი, ადარბადაგანი ა.შ.) აკონტროლებს. ალექსანდრეს წარმატებული დაპყრობების და უდიდესი იმპერიის შექმნის მიზეზად მისი სიბრძნე, მახვილის ძალა და თანამემამულეთა ერთიანობაა დასახელებული. ამ ეპიზოდში გრიგოლ აბაშიძე ცდილობს, რომ ალექსანდრეს მაგალითი იდეოლოგიური მიზნებით გამოიყენოს და იგი იმ თვისებებთან გააერთიანოს, რომლებიც საქართველოს წარმატებისთვის საჭიროდ მიაჩნია. შემდეგ სტრიქონში ლაშა-გიორგის იგი ალექსანდრეს პირდაპირ ადარებს და აღნიშნავს, რომ ალექსანდრეს მსგავსად ისიც დიდი და ზღაპრული საქმეების შემძლე იქნება, თუკი ქართველებს „ერთ ნებად და ერთ ფიქრად“ გააერთიანებს.

ფეოდალური ეპოქის, შუა საუკუნეების საქართველოსთვის ერთიანობა ყველაზე მთავარ გამოწვევას წარმოადგენდა. ქართული ისტორიოგრაფია და მასზე დაფუძნებული ქართული ისტორიული აზრი დიდწილად დგას ერთიანობის, ცენტრალიზებული სახელმწიფოს გარშემო გაერთიანების იდეაზე, რადგან ეს ამ პერიოდის საქართველოსთვის ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენდა. ანტიკური მაკედონია და, ზოგადად, ალექსანდრეს შესახებ ანტიკური აღქმა და ისტორიული რეალობა უფრო სხვა სურათს გვიხატავს. ერთიანობის იდეა არ არის ალექსანდრეს მთავარი მოტივი. ყოველ შემთხვევაში ის წინა პლანზე ნაკლებად არის წამოწეული. ამ შემთხვევაში გრიგოლ აბაშიძე, როდესაც ალექსანდრეს ლაშა-გიორგის ადარებს, შეგნებულად იღებს ამ ანტიკურ ისტორიულ ფიგურას და მას აკავშირებს ქართულ რეალობასთან, თუნდაც ანტიკურ, ისტორიულ რეალობასთან აცდენის ხარჯზე.⁹³³ „ლაშარელაში“ ფეოდალებთან პოლიტიკური ბრძოლა და მათი ძალაუფლების შეზღუდვა-შემცირება ერთ-ერთი ძირითადი მოტივია, რითაც ის სრულ შესაბამისობაშია ამ ეპოქის საქართველოს ისტორიულ რეალობასთან.

⁹³² „ლაშარელა“, გრ. აბაშიძე. თხზულებანი სამ ტომად. ტ. II. თბილისი, 1984, გვ. 24.

⁹³³ „ლაშარელა“, გრ. აბაშიძე. თხზულებანი სამ ტომად. ტ. II. თბილისი, 1984, გვ. 24.

ამავე ეპიზოდში პირდაპირ არის აღნიშნული, რომ „დასავლეთის ჯვაროსნებმა იგი მეორე ალექსანდრედ აღიარეს და საქართველო ახალ რომად იწოდა“.⁹³⁴

როგორც ზემოთ აღვნიშნე, ალექსანდრესთან ლაშა-გიორგის შედარების, მის ახალ ალექსანდრედ მოხსენიების მოტივი, რაც ანტიკური ისტორიული კონტექსტის, მისი სიმბოლიკის და მისი გვიანდელი რეცეფციის მიხედვით გულისხმობს დიდი დასავლური კოალიციის ლიდერის როლს და ფუნქციას კოლექტიური აღმოსავლეთის წინააღმდეგ, რაც ამ შემთხვევაში მორგებულია უკვე შუა საუკუნეების რეალობას დასავლურ-ევროპული, ქრისტიანულ-ჯვაროსნული სამყაროს მუსლიმურ აღმოსავლეთთან დაპირისპირების კონტექსტს, „ლაშარელაში“ არაერთხელ, უფრო კონკრეტულად კი, 9-ჯერ გვხვდება.

პირველ შემთხვევაში ალექსანდრე პირდაპირ არის მოხსენიებული იმ ისტორიულ ფიგურად, რომლის მაგალითზეც ლაშა-გიორგის ზრდიან. ეს მონაკვეთი საინტერესოა, რადგან ავტორი ცდილობს შუა საუკუნეების სტანდარტით იდეალური აღზრდის კონცეფცია შექმნას და იგი ლაშა-გიორგის დაუკავშიროს. აღზრდის ამ სისტემაში ანტიკურობას წამყვანი როლი უჭირავს. ბუდასა და ქრისტეს ცხოვრებასთან ერთად, ახალგაზრდა მეფეს პლატონისა და არისტოტელეს სიბრძნეებს ასწავლიან და ზემოთ ხსენებულ ალექსანდრეს, ანუ ელინურ-ელისინურ სამყაროს უდიდეს გმირს და იულიუს კეისარს, რომაული სამყაროს უდიდეს ისტორიულ ფიგურას აცნობენ. ცხოვრებასთან ერთად ხაზგასმულია მათი ფათერაკები და „ძლევამოსილი ლაშქრობები“. ლაშა-გიორგის ნაწარმოებში წარმოდგენილი მისი და საქართველოს ისტორიული მისიიდან გამომდინარე სჭირდება, რომ დიდი ლაშქრობების, გმირობის და გაბედულების მაგალითებით აღიზარდოს. ანტიკური სამყარო, როგორც სიბრძნის, ისე სამხედრო ვაჟკაცობისა და გმირობის ყველაზე დიდ მაგალითებს იძლევა.⁹³⁵ გრიგოლ აბაშიძე სწორედ ანტიკურ მემკვიდრეობას აგებს შუა საუკუნეების საქართველოსთვის იდეალური განათლების კონცეფციას.

ის, რომ დასავლეთის ჯვაროსნებმა ლაშა-გიორგი ახალ ალექსანდრედ აღიარეს, ხოლო საქართველო ახალი რომია და მან, როგორც ქრისტიანული სამყაროს ლიდერმა, დიდი საგმირო საქმეები უნდა აღასრულოს, პირდაპირ აღნიშნულია ნაწარმოების სხვა ეპიზოდშიც. „მეორე ალექსანდრედ“ ან „ახალ ალექსანდრედ“, რომლის მთავარი მისია, როგორც პირდაპირ აღნიშნულია ნაწარმოებში, ის არის, რომ

⁹³⁴ „ლაშარელა“, გრ. აბაშიძე. თხზულებანი სამ ტომად. ტ. II. თბილისი, 1984, გვ. 24.

⁹³⁵ „ლაშარელა“, გრ. აბაშიძე. თხზულებანი სამ ტომად. ტ. II. თბილისი, 1984, გვ. 17.

ქრისტიანული სამყარო მუსლიმებისგან გაათავისუფლოს, ლაშა-გიორგი ნაწარმოებში კიდევ ოთხჯერ არის მოხსენიებული.⁹³⁶

სხვა ეპიზოდში ხაზი აქვს გასმული, რომ მეოთხე ჯვაროსნული ლაშქრობის შემდეგ ანუ მას შემდეგ, რაც ჯვაროსნებმა დაკარგული იერუსალიმის ხელახლა დაბრუნება ვერ შეძლეს, საქართველო და მისი მეფე სრულიად ევროპული და ქრისტიანული სამყაროს მთავარი იმედია. შუა საუკუნეების ჯვაროსნული სამყაროს ტიპურ მოტივაციას, წმინდა მიწის, ანუ სირია-პალესტინის გათავისუფლებას, გრიგოლ აბაშიძე უკავშირებს ვიწრო ქართულ მოტივაციასაც. თამარის ანდერძით, ის იერუსალიმში უნდა დაკრძალონ და ლაშა-გიორგის, მის შვილს, მისი ანდერძის აღსრულების ოცნება და შინაგანი ვალდებულება აქვს. მით უმეტეს, რომ მთელ ნაწარმოებში არაერთხელ არის აღნიშნული, საქართველოს ისტორიული გამოცდილება მუსლიმურ სამყაროსთან ბრძოლაში, მისი გამარჯვებები და ქართული პოლიტიკურ-კულტურული გავლენა ქრისტიანულ სამყაროში. ნაწარმოების მიხედვით, ეს მისია საქართველოს ჯერ კიდევ თამარმა განუსაზღვრა ბიზანტიის იმპერიის დასუსტების შემდეგ.⁹³⁷

როგორც ზემოთ აღვნიშნე, ნაწარმოებში ანტიკური და შუასაუკუნეობრივი მოდელები, ტერმინები და რეალობა არაერთხელ არის მკვეთრად გადაჯაჭვული. მაგალითად, ლაშა-გიორგის ამ მისიის და მისი ოცნებების მთავარ პრობლემად დასახულია დიდებულებთან, ფეოდალებთან შიდა პრობლემების გადაჭრა და ქვეყნის რეალური ერთიანობა, რაც აბსოლუტურად შუა საუკუნეების ფეოდალური მონარქიისთვის სახასიათო პრობლემას წარმოადგენს.

ერთ შემთხვევაში გრიგოლ აბაშიძე ლაშა-გიორგის და ალექსანდრეს შედარების, მათი გაიგივების დროს, იმასაც აღნიშნავს, რომ საქართველოს მეფე ალექსანდრეს „მხედრობასა და სიბრძნეში“ აღემატება,⁹³⁸ ხოლო სხვა ეპიზოდში კი აღნიშნულია, რომ იგი ალექსანდრეს ჰგავს „ვაჟკაცობით და სათნოებით“, თუმცა მისგან განსხვავებით ქრისტიანია.⁹³⁹

ის, რომ იმ ეპოქის საქართველო, რომის იდეის გამგრძელებელია, ახალი, მესამე რომია, რომის და კონსტანტინოპოლის შემდეგ, აღნიშნულია როგორც პირდაპირ, ისე ირიბად. ამ კუთხით, ნაწარმოებს მკვეთრად გამოხატულად იდეოლოგიური ხასიათი აქვს. ქართულ-ევროპული კონტაქტები, როგორც დასავლურ-ქრისტიანული სამყაროს ერთობა, რომელიც, თავის მხრივ, ანტიკურ საფუძველზე დგას, „ლაშარელას“ ერთ-ერთი ძირითადი გზავნილია. ამ კუთხით, განსაკუთრებით

⁹³⁶ „ლაშარელა“, გრ. აბაშიძე. თხზულებანი სამ ტომად. ტ. II. თბილისი, 1984, გვ. 55, გვ. 87, გვ. 89, გვ. 90.

⁹³⁷ „ლაშარელა“, გრ. აბაშიძე. თხზულებანი სამ ტომად. ტ. II. თბილისი, 1984, გვ. 55, გვ. 87.

⁹³⁸ „ლაშარელა“, გრ. აბაშიძე. თხზულებანი სამ ტომად. ტ. II. თბილისი, 1984, გვ. 87.

⁹³⁹ „ლაშარელა“, გრ. აბაშიძე. თხზულებანი სამ ტომად. ტ. II. თბილისი, 1984, გვ. 351-352.

მრავლისმეტყველია ეპიზოდი, რომელშიც გელათის აკადემიაში ვენეციელი ელჩის სტუმრობის სცენაა ასახული. ვენეცია შუა საუკუნეების იტალიური და სრულიად ევროპული სამყაროს ერთ-ერთი ლიდერია, როგორც სავაჭრო ცენტრი, ფართო გავლენებით ხმელთაშუა ზღვის და შავი ზღვის აუზში, დადასტურებული ხშირი კონტაქტებით ქართულ სამყაროსთან და ჯვაროსნული ომების ერთ-ერთი მთავარი მხარდამჭერი.

ამ მონაკვეთში⁹⁴⁰ ჩანს გარკვეული სკეპტიციზმი და უნდობლობა დასავლურ-ქრისტიანული სამყაროს მიმართ („მას შემდეგ უნდობლად ეკიდებოდა მარგველი ლათინთა კეთილ სურვილებსა და განზრახვებს“). დასავლურ-ქრისტიანული სამყარო, როგორც ლათინურენოვანი, დასავლურ-რომაული ტრადიციის გამგრძელებელი კოლექტიური სახელით „ლათინებით“ არის მოხსენიებული. რადგანაც ნაწარმოებში მოქმედება მეოთხე ჯვაროსნული ლაშქრობის შემდეგ წლებში ხდება, როდესაც ჯვაროსნებმა თავად აიღეს და გამარცხეს კონსტანტინოპოლი და ამ დროს უკვე საუკუნეების განმავლობაში არსებობს დაპირისპირება დასავლეთის და აღმოსავლეთის ქრისტიანობას, რომის და კონსტანტინოპოლის, პაპის და ბიზანტიის იმპერატორს, შორის, ეს უნდობლობა ბუნებრივი და იოლად ასახსნელია. გრიგოლ აბაშიძე ამ კუთხითაც კარგად იცნობს იმ ეპოქის ისტორიულ რეალობას და კულტურულ თავისებურებებს. საქართველო „ლაშარელაში“ წარმოდგენილია უფრო აღმოსავლეთის ქრისტიანული სამყაროს ლიდერად. მაგალითად, აღნიშნულია, რომ თამარი ბიზანტიის იმპერატორ ანდრონიკეს დახმარებას ჰპირდებოდა, თუმცა მან უარი თქვა და შედეგად ლათინთა მიერ დაცემული და გამარცხული კონსტანტინოპოლი მიიღო. ამ ეპიზოდში უკვე გამოკვეთილია საქართველო, როგორც სულ მცირე აღმოსავლეთის ქრისტიანობის ლიდერი. ის არის მზად დაეხმაროს დასუსტებულ ბიზანტიას.

გელათის აკადემიაში, რომელიც განათლების უდიდეს ცენტრად არის წარმოდგენილი, ვენეციის ელჩის სტუმრობის დროს აღწერილია განათლების, მეცადინეობის, სწავლის მიღების სცენები და აღნიშნულია ის დისციპლინები, რომლებსაც შეასწავლიან. გრიგოლ აბაშიძე ჩამოთვლის არითმეტიკას, რიტორიკას, გრამატიკას, ფილოსოფიას და ასტრონომიას. ეს დისციპლინები ანტიკური და გვიანანტიკური განათლების ქვაკუთხედს წარმოადგენდნენ. ამ შემთხვევაშიც ანტიკურობის ირიბ რეცეფციას უნდა ჰქონდეს ადგილი. აღსანიშნავია, რომ სხვა, ზემოთ უკვე განხილულ ეპიზოდშიც, გრიგოლ აბაშიძისთვის იდეალურ, სრულყოფილ განათლებას ანტიკური საფუძველი ქმნის. ისევე, როგორც ლაშა-

⁹⁴⁰ „ლაშარელა“, გრ. აბაშიძე. თხზულებანი სამ ტომად. ტ. II. თბილისი, 1984, გვ. 87- 90.

გიორგი შეისწავლის პლატონსა და არისტოტელეს, ასევე გელათის აკადემიაში ანტიკური განათლების მოდელისთვის სახასიათო დისციპლინები ისწავლება.

ისევე, როგორც მთლიანად საქართველოს, ასევე გელათის აკადემიასაც აქვს პრეტენზია იმაზე, რომ ანტიკურ ტრადიციას აგრძელებს და ანტიკური ცოდნის, განათლების და შემეცნების სკოლის მემკვიდრეა. ვენეციელი სტუმრის ელჩობის დროს გელათის აკადემია პირდაპირ არის მოხსენიებული როგორც ახალი იერუსალიმი და მეორე ათენი. ეს მეტყველებს იმაზე, რომ ისევე, როგორც მთელ საქართველოს, გელათსაც აქვს პრეტენზია გააერთიანოს და განაგრძოს, ერთი მხრივ, ანტიკური დიდწილად წინარექრისტიანული სამყარო, მისი ცოდნა და სიბრძნე, ხოლო, მეორე მხრივ, ქრისტიანული ტრადიცია. ეს ორი სამყარო ორი სიმბოლოთი, ათენით და იერუსალიმით არის გადმოცემული, რომელთა გამგრძელებელი და მემკვიდრე სწორედ გელათის აკადემიაა.

საინტერესოა, რომ ისევე, როგორც მთელ ნაწარმოებში (სხვა ეპიზოდებს ქვემოთ განვიხილავთ) ავტორი არ ერიდება, რომ იმ ეპოქის საქართველო დაუკავშიროს წინარექრისტიანულ ანტიკურ ტრადიციასაც. ათენი, უპირველეს ყოვლისა, წინარექრისტიანული ანტიკურობის სიმბოლოა, იმ პერიოდის განათლების, კულტურის და პოლიტიკურ-ეკონომიკური ცენტრია, რომელიც თავისი არსით, როგორც სიმბოლო, ხშირად ქრისტიანობასთან დაპირისპირებულად აღიქმება. გრიგოლ აბაშიძე კი ანტიკურ, წინარექრისტიანულ და ქრისტიანულ სამყაროებს, სიმბოლოებს და ღირებულებებს შუა საუკუნეების საქართველოში აერთიანებს.

არა მხოლოდ სახელწოდებით, არამედ შინაარსითაც გელათის აკადემიაში სწავლება უკავშირდება ანტიკურ ტრადიციას. ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ აკადემიაში წიგნები ბერძნულად და ლათინურად არის თარგმნილი და იქ მოღვაწეობდნენ ფილოსოფოსები არსენ იყალთოელი და იოანე პეტრიწი. პეტრიწი, თავის მხრივ, პლატონის მოძღვრების მიმდევრის, იოანე იტალოსის და მიქაელ ფსელოსის მოწაფედ არის მოხსენიებული.

აღნიშნულ ეპიზოდში რამდენჯერმე ხაზი აქვს გასმული, რომ ქართველები უნაკლოდ, პრობლემის გარეშე საუბრობენ ლათინურად. ვენეციელ ელჩს, რომლისთვისაც ლათინური მშობლიურ ენასავით არის, საქართველოში, გელათის აკადემიაში არ აქვს ლათინურად კომუნიკაციის პრობლემა. ერთ შემთხვევაში აღწერილია სცენა, თუ როგორ უთარგმნის მოძღვართ-მოძღვარი სტუმრებს ლათინურად.⁹⁴¹ სხვა შემთხვევაში უკვე მარგველი უთარგმნის ელჩს წარწერას ლათინურად.⁹⁴² ხოლო კიდევ ერთ სცენაში, როდესაც სთხოვენ, რომ ელჩისთვის

⁹⁴¹ „ლაშარელა“, გრ. აბაშიძე. თხზულებანი სამ ტომად. ტ. II. თბილისი, 1984, გვ. 83.

⁹⁴² „ლაშარელა“, გრ. აბაშიძე. თხზულებანი სამ ტომად. ტ. II. თბილისი, 1984, გვ. 86.

ბერძნულად ან ლათინურად ისაუბრონ, გელათის ფილოსოფიის გაკვეთილზე ორატორი თავის სიტყვას უპრობლემოდ აგრძელებს ლათინურად.⁹⁴³

ყველა ამ შემთხვევაში ლათინურ ენაზე ხაზის გასმას მკვეთრად გამოკვეთილად იდეოლოგიური ფუნქცია აქვს. ლათინური, ერთი მხრივ, ანტიკურ მემკვიდრეობასთან კავშირის, მისი კულტურული მემკვიდრეობის გაგრძელების სიმბოლოა, ხოლო, მეორე მხრივ კი, შუა საუკუნეების ევროპული საზოგადოებისთვის პოლიტიკის, რელიგიის, დიპლომატიის და საერთაშორისო ურთიერთობების ენაა. ეს არის იმდროინდელი *Lingua Franca*, საერთაშორისო ევროპული ენა. წმინდა რომის იმპერიის იდეა, ანუ რომაული სამყაროს ახალი ვარიანტის, ქრისტიანული, რომაული, ერთიანი ევროპული იდეის სიმბოლო. იმ ეპოქის საქართველოსთვის, რომელსაც, ერთი მხრივ, პრეტენზია აქვს, რომ რომის გამგრძელებელია, ახალი რომია და ანტიკურ მემკვიდრეობაზე დგას, ხოლო, მეორე მხრივ, როგორც ახალი რომი, ქრისტიანული სამყაროს ლიდერად მოიაზრებს თავს, ლათინურად, ანუ ევროპულ ენაზე მეტყველება, მისი მასობრივად მოხმარება და საკუთარი თავის ლათინურენოვანი სამყაროს ნაწილად მოაზრება, ამ ამბიციას მხოლოდ განამტკიცებს.

იმავე ეპიზოდში ეს ამბიცია კიდევ ერთხელ დასტურდება, როდესაც ერთ შემთხვევაში აღნიშნულია, რომ, როდესაც აღმოსავლეთის ლათინების იმპერია საბერძნეთში ანუ ბიზანტიის იმპერიის ტერიტორიაზე დაფუძნდა, ამით საქართველო უშუალოდ გახდა ევროპის მოსაზღვრე და მეზობელი. ანუ საქართველოსა და ევროპას შორის მხოლოდ პოლიტიკურ-კულტურული კავშირები კი არ არის, საქართველო გეოგრაფიულადაც ევროპული სივრცის ნაწილია. აღმოსავლეთის ლათინთა იმპერიაში ავტორი გულისხმობს მეოთხე ჯვაროსნული ლაშქრობის შედეგად შექმნილ კონსტანტინოპოლის ლათინთა იმპერიას, რომელიც რეალურად სულაც არ იყო საქართველოს მეზობელი ქვეყანა. ეს ჯვაროსნული სახელმწიფო მოიცავდა ტერიტორიებს მცირე აზიის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილს და სამხრეთ ბალკანეთს, მათ შორის საბერძნეთს. თუმცა, ამ შემთხვევაშიც გრიგოლ აბაშიძისთვის იდეოლოგიური ჩანაფიქრი, რომლის მიხედვითაც საქართველო ევროპული სივრცის ნაწილი უნდა იყოს, მათ შორის, გეოგრაფიული მახასიათებლებითაც, უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე კონკრეტული ისტორიულ-გეოგრაფიული დეტალები.

აღწერილ ფრაგმენტში იდეოლოგიურად ყველაზე საინტერესო ის ეპიზოდია, როდესაც ვენეციელი ელჩი გელათის აკადემიის ფილოსოფიის გაკვეთილს/ლექციას ესტუმრება. გაკვეთილის/ლექციის თემა არის ძველი და ახალი რომი, ანუ რომის

⁹⁴³ „ლაშარელა“, გრ. აბაშიძე. თხზულებანი სამ ტომად. ტ. II. თბილისი, 1984, გვ. 87-90.

იმპერია და ბიზანტია, აღმოსავლეთ რომის იმპერია. ორატორი აღნიშნავს, რომ ძველ რომზე, ანუ რომის იმპერიაზე საუბარი უკვე დაასრულა და სტუმრებს აღარ მოაწყენს მათივე ქვეყნის ისტორიის ახსნით. შემდეგ კი იგი ლათინურად უხსნის, რომ ბიზანტია რომის იმპერიის გამგრძელებელი იყო. კონსტანტინოპოლი მართავდა ყველა სხვა ხალხს, რადგან სწორედ იქიდან მოდიოდა ბრძანებები და იქ იწერებოდა კანონები. პოლიტიკურის გარდა, კონსტანტინოპოლი კულტურული ცენტრის ფუნქციასაც ასრულებდა („სწავლა-განათლებაცა და სიბრძნეც აქედან ვრცელდებოდა მთელს ქვეყანაზე“), ამავე დროს ეს იყო რელიგიური ცენტრი, რომელსაც ორატორი ახალ იერუსალიმს უწოდებს და აღნიშნავს, რომ ქრისტიანობა აქედან ვრცელდებოდა. ცალკე უნდა აღინიშნოს, რომ ორატორის სიტყვაში ტიპური, ჯვაროსნულ-შუასაუკუნეობრივი პათოსი და მსოფლმხედველობა ჩანს, რომლის მიხედვითაც ქრისტიანი მმართველების და ქრისტიანული სახელმწიფოების ვალია, რომ ქრისტიანობა არაქრისტიანებს შორისაც გაავრცელონ. კონსტანტინოპოლის რელიგიურ როლზე საუბრის დროს ორატორი აღნიშნავს, რომ ქრისტიანობა აქედან ვრცელდებოდა არა მხოლოდ ქრისტიანებს, არამედ „წარმართთა და ურჯულოთა“ შორისაც. ამის შემდეგ ორატორი აღნიშნავს, რომ საშინაო და საგარეო პრობლემებმა ბიზანტიის დასუსტება განაპირობა. ის არ აკონკრეტებს, თუმცა ამ კუთხით ჩანს, რომ ისტორიული რეალობის თვალსაზრისით ის საკმაოდ ზუსტია, როდესაც ბიზანტიის კრიზისს საშინაო და საგარეო პრობლემებს უკავშირებს. მისი მთავარი გზავნილი კი ის არის, რომ ბიზანტიის, როგორც ახალი რომის, ქრისტიანულ-ევროპული სამყაროს ლიდერის როლი საქართველომ უნდა იკისროს. ის არის როგორც რელიგიური, ასევე სიბრძნის, კულტურისა და განათლების ცენტრი („ახალი ძალა მისცეს ქრისტეს სარწმუნოებისთვის მეზრდოლთ და ახალი სწავლისა და სიბრძნის გავრცელება იწყო“).

ამის შემდეგ ორატორი, რომელიც შემდეგ სცენაში ფილოსოფოსი პეტრე გელათელის სახელით ეცნობა სტუმრებს, საქართველოს პოლიტიკურ-კულტურული ისტორიის მოკლე მიმოხილვით, უხსნის იმას, რომ სწორედ ეს ქვეყანა არის და უნდა იყოს ქრისტიანული სამყაროს ლიდერი. იგი აქცენტს აკეთებს, რომ საქართველო ძალიან ადრევე გაქრისტიანდა და მუდამ უწევდა არაქრისტიანულ ძალებთან ომში ქრისტიანობის დაცვა. ამ სიტყვაში აქცენტი კეთდება იმაზეც, რომ ქართული კულტურულ-რელიგიური ცენტრები ყველა უძველეს ქრისტიანულ მიწაზეა, მათ შორის, პალესტინასა და საბერძნეთში, თუმცა ბოლო მისია, ქრისტეს საფლავის გათავისუფლება ჯერ კიდევ განუხორციელებელია. ეს უნდა აღასრულოს ლაშა-გიორგიმ, რომელსაც იგი ახალ ალექსანდრეს უწოდებს.

ამ ეპიზოდში ყველაზე უკეთ არის გამოკვეთილი ავტორის ძირითადი მსოფლმხედველობითი და ისტორიულ-პოლიტიკური ჩანაფიქრი.

გელათის აკადემიაში სტუმრობამდე ვენეციელთა ელჩობა ჯერ მეფეს ეწვევა გეგუთში. ამ ეპიზოდშიც აღწერილია სცენა, რომელიც საქართველოს პირდაპირ აკავშირებს რომთან და რომაულ ტრადიციასთან და წინა პლანზე გადმოაქვს ქართველების რომთან ურთიერთობის საუკუნოვანი ტრადიცია. ლაშა-გიორგი ვენეციელებს უყვება იბერიის მეფე ფარსმან I-ის იმპერატორ ადრიანესთან/ჰადრიანუსთან სტუმრობის შესახებ და ხაზს უსვამს, რომ ქართველებს და რომაელებს დიდი ხნის ურთიერთობა და მეგობრობა აკავშირებს. ამ სცენას იგი ორი თანაბარუფლებიანი და თანაბარი ძალის მქონე ერთეულის ურთიერთობად წარმოადგენს. კერძოდ, ჰყვება, რომ ფარსმანი და იმპერატორი ადრიანე/ჰადრიანუსი მეგობრები იყვნენ და იმპერატორი ფარსმანს ხშირად უგზავნიდა ხოლმე მვირფას საჩუქრებს. ერთხელ ფარსმანი იმპერატორს რომშიც ესტუმრა, კაპიტოლიუმში მსხვერპლი შესწირა და სამხედრო ვარჯიშის შემდეგ ფარსმანის ქანდაკება იმპერატორმა მარსის ველზე დაადგევინა.⁹⁴⁴

გრიგოლ აბაშიძე ამ ეპიზოდში ახ.წ. II საუკუნის იბერიის მეფე ფარსმან II-ის შესახებ საუბრობს და ჩანს, რომ იგი საკმაოდ კარგად იცნობს ანტიკურ ისტორიას. ამ ეპიზოდში ავტორი ერთ ნარატივში რამდენიმე სხვადასხვა წყაროს აერთიანებს, რომლებიც ქრონოლოგიურად ერთმანეთისგან დაშორებულია. აღსანიშნავია, რომ ამ ეპიზოდში გრიგოლ აბაშიძე არ იხსენიებს ტერმინს იბერია ან ქართლს. მისთვის, და ეს მოსაზრება გახმოვანებულია თავად მეფე ლაშა-გიორგის პირით, ფარსმანი „ჩვენი წინაპარია“. როგორც ზემოთ აღვნიშნე, გრიგოლ აბაშიძე ანტიკურ ისტორიას, და ფარსმანისა და რომის იმპერატორების ურთიერთობის ამსახველ წყაროებს საკმაოდ დეტალურად იცნობს და შეუძლებელია, არ სცოდნოდა, რომ ფარსმანი საქართველოს კი არა, იბერიის მეფე იყო. გაერთიანებული საქართველო როგორც პოლიტიკური ერთეული მხოლოდ X საუკუნეში შეიქმნა. მწერალს შეგნებული ჩანაფიქრი უნდა ჰქონდეს, რომლის მიხედვითაც იგი საქართველოს ანტიკური იბერიის პირდაპირ მემკვიდრედ მიიჩნევს და ლაშა-გიორგისთვის ფარსმანი და იბერია მისი უშუალო წინაპრები არიან.

ფარსმან II-ს და, ზოგადად, იბერიის სამეფოს I-II საუკუნეებში რომთან მართლაც მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა. იბერია რომის ვასალური სახელმწიფო იყო და რეგიონში რომის იმპერიის უპირველეს მოკავშირეს წარმოადგენდა. ანტიკური წყაროების ფარსმანს არაერთხელ იხსენიებენ. მისი რომის მეგობრად მოხსენიება, ისტორიულ რეალობას შეესაბამება, მიუხედავად იმისა, რომ იბერიისა და რომის თანაბარძალოვან და თანასწორ პოლიტიკურ მოკავშირეებად გამოყვანა, ისტორიულად არასწორია და ამ შემთხვევაში ავტორის ჩანაფიქრს უნდა

⁹⁴⁴ „ლაშარელა“, გრ. აბაშიძე. თხზულებანი სამ ტომად. ტ. II. თბილისი, 1984, გვ. 79-80.

ეხმიანებოდეს, რომ წარმოადგინოს საქართველო როგორც რომთან ისტორიული კონტაქტების მქონე ქვეყანა და მისი ლეგიტიმური მემკვიდრე. ის ფაქტი, რომ იმპერატორმა ადრიანემ/ჰადრიანუსმა ფარსმანს საჩუქრები გაუგზავნა დასტურდება *Historia Augusta*-ში.⁹⁴⁵

თუმცა, ანტიკური წყაროები ამ ფაქტს მხოლოდ ერთხელ იხსენიებენ და არ დასტურდება ის, რომ იმპერატორი ფარსმანს საჩუქრებს „ხშირად უგზავნიდა ხოლმე“. ამავე ეპიზოდში გრიგოლ აბაშიძე შეგნებულად არ იხსენიებს იმ ამბავს, რომ ახ.წ. 129-130 წლებში იმპერატორმა ადრიანემ/ჰადრიანუსმა ფარსმანი მიიწვია, თუმცა ფარსმანმა მიპატიჟებაზე უარი განაცხადა. ისევ და ისევ ავტორისთვის ამოსავალი მისი ნაწარმოების მსოფლმხედველობით-იდეოლოგიური მოტივია და შედეგად, მიუხედავად იმისა, რომ დიდი ალბათობით მას ეს წყაროც უნდა სცოდნოდა, იგი შეგნებულად არ იხსენიებს მას.

ფარსმანის რომში ვიზიტს ორი ანტიკური წყარო იხსენიებს: დიონ კასიუსი და იულიუს კაპიტოლინუსი.⁹⁴⁶ ეს უკანასკნელი პირდაპირ იხსენიებს, რომ ფარსმანი იმპერატორ ანტონინუს პიუსს ესტუმრა. კასიუს დიოსთან მხოლოდ ფარსმანის ვიზიტია აღწერილი, ხოლო მისი მასპინძელი იმპერატორი სახელით არ არის მოხსენიებული.

გრიგოლ აბაშიძე შეცდომას უშვებს, როდესაც ლაშა-გიორგის პირით ფარსმანის ვიზიტს იმპერატორ ადრიანეს/ჰადრიანუსს უკავშირებს. ეს იმით უნდა აიხსნას, რომ ფარსმანის ვიზიტის შესახებ მხოლოდ გვიანდელ, უახლეს კვლევებში გახდა შესაძლებელი, რომ მისი მასპინძელი იმპერატორი დაზუსტებით განსაზღვრულიყო. თანამედროვე კვლევა უკვე დაზუსტებით განსაზღვრავს, რომ ფარსმანი ანტონინუს პიუსს ესტუმრა. წინა თაობის კვლევაში კი დასაშვებად მიიჩნევდნენ, ფარსმანის, როგორც ადრიანესთან/ჰადრიანუსთან ასევე ანტონინუს პიუსთან სტუმრობის ვერსიას.

გრიგოლ აბაშიძე, როგორც ჩანს, დიონ კასიოსის ცნობით ხელმძღვანელობს, რომელიც უფრო დეტალურია. რადგან იგი იხსენიებს კაპიტოლიუმში მსხვერპლის შეწირვას, რასაც იულიუს კაპიტოლინუსი საერთოდ არ ახსენებს. ასევე მხოლოდ დიონ კასიოსთან არის მოხსენიებული ფარსმანის ქანდაკების დადგმის ფაქტი. შედეგად, რადგან გრიგოლ აბაშიძე დიონ კასიოსის ტექსტით ხელმძღვანელობდა, რომელშიც იმპერატორი სახელით არ არის მოხსენიებული, თავისი პერიოდის კვლევების შესაბამისად, მიიჩნია, რომ მისი მასპინძელი იმპერატორი ადრიანე/ჰადრიანუსი იყო.

⁹⁴⁵ Aelius Spartianus, *Historia Augusta*, Hadrianus, 17.

⁹⁴⁶ Cass. Dio, LXIX, 15,3; Iulius Capitolinus, *Historia Augusta*, Antoninus Pius, 9.

იქვე, შემდეგ ეპიზოდში აღნიშნულია, რომ ლაშა-გიორგი ადრიანეს/ჰადრიანუსის მეგობარ ფარსმანსაც აღემატებოდა გარეგნობით და მოხდენილობით.

აღსანიშნავია, რომ მთელ ნაწარმოებში ავტორი საქართველოს არა მხოლოდ რომის გამგრძელებლად წარმოადგენს, არამედ ხშირად მათ შორის შიდა, ფარული, კულტურული დაპირისპირებისა თუ შედარების მოტივსაც გამოკვეთს. მაგალითად, ვენეციელებს ქართველები ბოლომდე მაინც არ ენდობიან და შიდა კონკურენციის, ერთმანეთის ძალების გაზომვის განწყობა არაერთხელ ჩანს „ლაშარელაში“.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს ახალ რომად ქცევა ნაწარმოებში არ არის წარმოდგენილი როგორც მხოლოდ სახელმწიფო ან მეფის იდეა. ამ იდეას საყოველთაო მხარდაჭერა აქვს. მაგალითად, გამოცდილი სარდალი ახალციხელი ლაშა-გიორგის მეფისათვის შეუფერებელ ქცევას და მის შეცდომებს განსაკუთრებით განიცდის, რადგან ეს ხელს უშლის მისი დიდი ხნის ოცნებას, იქცეს საქართველო ახალ რომად.⁹⁴⁷ ნაწარმოებში რომის იდეა და საქართველოს მიერ რომის მემკვიდრეობა იმ იდეად არის წარმოდგენილი, რომლითაც სახელმწიფოს ცხოვრების ყველა სექტორი არის გამსჭვალული.

ნაწარმოებს აპოლოგეტური ხასიათი მხოლოდ საქართველოს, როგორც სახელმწიფოს და როგორც იდეის, მიმართ აქვს. თავად ნაწარმოების მთავარი გმირი ლაშა-გიორგი არაერთხელ არის გაკრიტიკებული და, ზოგადად, აქცენტი კეთდება იმაზე, თუ როგორ უშლის ხელს საქართველოს განვითარებას შიდა ბრძოლები და შიდა დაპირისპირებები. ეს ძირითადი მოტივი გრიგოლ აბაშიძეს გადმოცემული აქვს ნაწარმოების რეფრენშიც, წანამძღვარშიც, რომელშიც იგი ეკლესიასტეს ციტირებას ახდენს – „ვაი, შენ ქალაქო, რომელსა შინა მეფე შენი ჭაბუკ“.

ეს შიდა ბრძოლები და დაპირისპირებები, რომელთაც ქვეყნის მთელი განვითარება ეწირება, ყველაზე მკვეთრად მხარგრძელებისა და კათალიკოსის მეფესთან დახვედრის სცენაში ჩანს. კათალიკოსი და ახალგაზრდა მეფე, ლაშა-გიორგი, სხვადასხვა პოლიტიკურ ბანაკს წარმოადგენდნენ. როდესაც მეფე ივანე ათაბაგის სასახლის სტუმრობს, კათალიკოსი ლაშა-გიორგის კიდევ ერთ ანტიკურ სიმბოლოს, რომის მეფე იულიანე განდგომილს ადარებს, რომელსაც სახელი „ივლიანეთი“ იხსენიებს. ივლიანე მისი თქმით, მეკერპე, ანუ კერპთაყვანისმცემელია. ამ სახელით კათალიკოსი ლაშა-გიორგის ორჯერ მოიხსენიებს, შემდეგ კი, იმავე სცენაში ივანე ათაბაგი იხსენებს, რომ იულიანე განდგომილი, რომის იმპერატორი ახ.წ. IV საუკუნეში „ისარმან ზეცისამან მოკლა იგი“. იულიანე რომის იმპერატორი

⁹⁴⁷ „ლაშარელა“, გრ. აბაშიძე. თხზულებანი სამ ტომად. ტ. II. თბილისი, 1984, გვ. 258.

მხოლოდ რამდენიმე წელი (355-360 წლებში იყო რომის დასავლეთ ნაწილის მმართველი, როგორც კეისარი, ხოლო 361-363 წლებში მთლიანად რომის იმპერატორი) იყო, თუმცა ისტორიაში შევიდა როგორც ნეგატიური სიმბოლო გვიანდელი ქრისტიანული ტრადიციიდან გამომდინარე. იულიანე იყო ბოლო იმპერატორი, რომელმაც, კონსტანტინეს და კონსტანციუსის და რომში ქრისტიანობის ოფიციალურ რელიგიად გამოცხადების შემდეგ, თავისი მმართველობის ხანაში ქრისტიანების დევნის ახალი ტალღა დაიწყო. შუა საუკუნეების ქრისტიანული სამყაროსთვის, რომელსაც გრიგოლ აბაშიძე აღწერს თავის რომანში, იულიანე დაცემული, ღმერთთან მეზრძოლი მმართველის სახეა, რომელიც ღმერთს და მისგან განდგომილ წესრიგს დაუპირისპირდა. თავად ის ნეოპლატონური ელინიზმს აღიარებდა.

როგორც აღვნიშნეთ, იულიანეს, რომელიც ამაყი, ამპარტავანი, ქრისტიანობის და ღვთის წესრიგის წინააღმდეგ მეზრძოლი იმპერატორის სიმბოლოა, სახელით ლაშა-გიორგის მოხსენიება, ერთი მხრივ, ნათელყოფს კათალიკოსის გზავნილს, რომ ლაშა-გიორგიც იულიანეს მსგავსად ღმერთს, ქრისტიანობას და ღვთაებრივ წესრიგს ებრძვის, რომელსაც თავად განასახიერებს, ხოლო, მეორე მხრივ, მის სიტყვებში ფარული გზავნილიც იმალება – იულიანეს მმართველობა ნაადრევად, სულ რამდენიმე წელში, მისი სიკვდილით დასრულდა. ამ გზავნილს ამყარებს ივანე ათაბაგის უკვე პირდაპირ გამოთქმული შენიშვნა. ისარს ის შემთხვევით არ იხსენიებს. იულიანე განდგომილი სასანიდურ ირანის წინააღმდეგ ლაშქრობის დროს, სამარას ბრძოლაში სწორედ ისრით განგმირეს. ისარი იულიანეს მოულოდნელად მოხვდა და შემდეგი ეპოქის ქრისტიანულ ტრადიციაში ეს აღქმულ იქნა როგორც მისი ღვთაებრივი სასჯელი. ლიბანიოსის მიხედვით, იულიანე საერთოდ თავისივე ჯარისკაცის, ქრისტიანი მეზრძოლის მიერ ნასროლ ისარს ემსხვერპლა (Libanius, Orations, 18.274). გვიანდელი, V საუკუნის ანტიკური წყაროს მიხედვით კი მისი ბოლო სიტყვები იყო – „შენ დამამარცხე გალილეველო (νενίκηκάς με, Γαλιλαῖε, or Vicisti, Galilae) (Theodoret, Historia ecclesiastica, 3.25).

რეალურად, ათაბაგის და კათალიკოსის საუბარი ლაშა-გიორგის დელეგატიმიზაციას ემსახურება, როგორც ღმერთთან, ქრისტიანობასთან მეზრძოლი მეფის, რომელიც უნდა დაისაჯოს და რომელიც უნდა მოკვდეს.⁹⁴⁸

კათალიკოსის და, ზოგადად, ეკლესიის დამოკიდებულება ლაშა-გიორგისადმი იოლად ასახსნელია, რადგან დაპირისპირების ერთ-ერთი მთავარი მოტივი ის არის, რომ მეფე ქრისტიანობის ძალით ქადაგების და გავრცელების წინააღმდეგია, და ქრისტიანობამდელ ტრადიციებს, განსაკუთრებით მთიან ნაწილში, იცავს.

⁹⁴⁸ „ლაშარელა“, გრ. აბაშიძე. თხზულებანი სამ ტომად. ტ. II. თბილისი, 1984, გვ. 37.

რეალურად იგი რელიგიის თავისუფლების მომხრეა. ეკლესია და კათალიკოსი კი თავიანთ გავლენებს და პოზიციებს ყველა ხერხით იცავენ.

ეს დაპირისპირება ქრისტიანობასა და ე.წ. წარმართობას, წინარექრისტიანულ რელიგიებს, ზოგადად, ქრისტიანულ და წინარექრისტიანულ სამყაროს შორის, ნაწარმოების ერთ-ერთი ძირითადი მოტივია. ამ მხრივ, გრიგოლ აბაშიძის პათოსი ამბივალენტურია. ერთი მხრივ, იგი საქართველოს წარმოადგენს როგორც ანტიკური რომის, ისე გვიანდელი ქრისტიანული, ევროპული სამყაროს, ბიზანტიის გამგრძელებლად და ამ შემთხვევაში მისთვის ეს ორი სამყარო ერთმანეთს კი არ უპირისპირდება, არამედ ერთმანეთს ავსებს. მეორე მხრივ კი, ქრისტიანობისა და წინარექრისტიანული აღქმებისა და კულტურების დაპირისპირებასაც ვხედავთ. მაგალითად, პირდაპირ არის აღნიშნული, რომ ლაშა-გიორგის ქრისტიანული დოგმების სწავლას ჰომეროსის კითხვა ერჩია.⁹⁴⁹ ეს ორი სამყარო, ეს ორი განსხვავებული კულტურული წრე გრიგოლ აბაშიძემ ამ ორი სიმბოლოთი გამოხატა. ჰომეროსი მისთვის წინარექრისტიანული ანტიკური სამყაროს სიმბოლოა.

იმავე ეპიზოდში ეს დაპირისპირება კიდევ უფრო ნათელი ხდება, როდესაც კათალიკოსი და მეფე სრულიად განსხვავებულად აღიქვამენ ზემოთ ხსენებულ, რომის იმპერატორს, იულიანე განდგომილს. კათალიკოსი თავის სიტყვაში იულიანე განდგომილს, რომელსაც იგი ივლიანე მეკერპეს უწოდებს, აკრიტიკებს. მისთვის ყველანაირი არაქრისტიანული, ქრისტიანობისგან განსხვავებული მიუღებელია. არაქრისტიანული განათლება, ფასეულობები, რომლებიც ანტიკური სამყაროსა და კულტურის მონაპოვარია და რომლებიც მისთვის იულიანეს სიმბოლოთი არის გამოხატული, ასევე მიუღებელია. ლაშა-გიორგის კი, პირიქით, მოსწონს და ესმის იულიანესი. იგი იხსენებს, თუ როგორ აიყვანეს ლეგიონერებმა ტახტზე იულიანე, რომელიც იმ დროს კონსტანცას, ანუ იმპერატორ კონსტანციუსს ებრძოდა. მისთვის იულიანე, რომელიც ლიბანიოსის და კტესიასის, წინარექრისტიანული, უფრო სწორად, ქრისტიანობის უარყოფელი ანტიკური მოაზროვნეების მოწაფეა, თანაგრძნობას იწვევს. მას ნაწილობრივ მაინც ესმის, თუ რატომ ცდილობდა იულიანე ქრისტიანობის წინააღმდეგ ბრძოლას. ქადაგების დროს, თუკი კათალიკოსი დაუნდობლად აკრიტიკებს იულიანეს, იმავე მომენტში საკუთარ ფიქრებში, მეფე მისდამი ადამიანური ემპათიით და თანაგრძნობით არის გამსჭვალული. ის ქრისტიანობას არ ებრძვის, თუმცა წინარექრისტიანული ანტიკური სამყარო და ნეოპლატონიზმი, რომელთაც ავტორი „ვაჟკაცობისა და სილამაზის“ სამყაროდ და სარწმუნოებად მოიხსენიებს, მასში ინტერესს, პატივისცემას და მოწონებას იმსახურებს. კათალიკოსის და მეფის დაპირისპირებაში ჩანს ქრისტიანული და

⁹⁴⁹ „ლაშარელა“, გრ. აბაშიძე. თხზულებანი სამ ტომად. ტ. II. თბილისი, 1984, გვ. 66.

წინარექრისტიანული ანტიკური სამყაროს კულტურულ-ფასეულობითი და მსოფლმხედველობითი დაპირისპირების მოტივი, რომელიც ძირითადად იმპერატორ იულიანე განდგომილის სიმბოლოთი არის გადმოცემული.⁹⁵⁰

მთელი ნაწარმოების მანძილზე გრიგოლ აბაშიძე ანტიკური ისტორიის საკმაოდ ღრმა ცოდნას ავლენს და თავისი სათქმელის გადმოსაცემად ისტორიულ რომანში არაერთ ანტიკურ სიმბოლოს გამოიყენებს.

ისტორიულ თემატიკას და იმავე ეპოქას ეხმიანება გრიგოლ აბაშიძის კიდევ ერთი რომანი – „დიდი ღამე“. თუკი „ლაშარელაში“ ავტორი მოქმედებას ლაშა-გიორგის მმართველობის პერიოდში განათავსებს, „დიდი ღამე“ იმავე ისტორიულ პერიოდში, შუა საუკუნეების საქართველოში, ლაშა-გიორგის შემდეგი მმართველის, მისი დის, რუსუდანის მმართველობის ხანაში მიმდინარეობს.

ეს რომანი არსებითად იმეორებს „ლაშარელას“ სულისკვეთებას, მსგავს მსოფლმხედველობით და ისტორიულ მოტივებს ეფუძნება და ასევე ხშირად მიმართავს ანტიკურობის რეცეფციას. მეტიც, ამ ორ რომანში მთელი რიგი მსგავსი, ან იდენტური ანტიკური სიმბოლოებია გამოყენებული და ორივე მათგანს მსგავსი გზავნილები აქვს.

„დიდ ღამეშიც“ გრიგოლ აბაშიძე ახმოვანებს იდეას, რომ საქართველო არის ახალი რომი და მან, როგორც დასავლური, ქრისტიანული სამყაროს ლიდერმა უნდა დაიკავოს კრიზისში მყოფი ბიზანტიის იმპერიის ადგილი.⁹⁵¹ სხვა ეპიზოდში კი აღნიშნულია, რომ საქართველოს ახალ რომად გადაქცევის მომხრეებმა მუხასძეს სთხოვეს, რომ რუსუდანის სასახლე ბიბლიური სოლომონის ტაძრისთვის მიემსგავსებინა. ამ შემთხვევაშიც გახმოვანებულია ის მოტივი, რომ საქართველო, როგორც ახალი რომი, ქრისტიანული სამყაროს ლიდერია და ამავე დროს ის არის ახალი იერუსალიმიც, სიმბოლო, ეპითეტი, რომელიც „ლაშარელაშიც“ არაერთხელ გამოიყენება.⁹⁵²

„ლაშარელას“ მსგავსად ავტორი ამ ნაწარმოებშიც იხსენიებს ანტიკურობის ორ უდიდეს დამპყრობელსა და სამხედრო ლიდერს – ალექსანდრსა და იულიუს კეისარს.⁹⁵³ სწავლული, მეცნიერი, მწერალი პავლია კუტისა და გელათის აკადემიის წინამძღოლის დიალოგი ნაწარმოებისთვის ერთიანი იდეური ხაზისთვის მნიშვნელოვანი მონაკვეთი. ეს ორი პერსონაჟი საქართველოს მისიისა და ფუნქციის შესახებ საუბრობს. წინამძღოლი ამ ეპიზოდში პირდაპირ აღნიშნავს, რომ გელათის აკადემიაც, ყველა ქართველი ფილოსოფოსი, სწავლული თუ ორატორი ერთხმად

⁹⁵⁰ „ლაშარელა“, გრ. აბაშიძე. თხზულებანი სამ ტომად. ტ. II. თბილისი, 1984, გვ. 66.

⁹⁵¹ „დიდი ღამე“, გრ. აბაშიძე. თხზულებანი სამ ტომად. ტ. II. თბილისი, 1984, გვ. 470.

⁹⁵² „დიდი ღამე“, გრ. აბაშიძე. თხზულებანი სამ ტომად. ტ. II. თბილისი, 1984, გვ. 485.

⁹⁵³ „დიდი ღამე“, გრ. აბაშიძე. თხზულებანი სამ ტომად. ტ. II. თბილისი, 1984, გვ. 471.

თანხმდება და ქადაგებს, რომ საქართველო არის ახალი რომი, რომელმაც რომის მსგავსად უნდა გააერთიანოს აღმოსავლეთი და დასავლეთი. წინამძღოლი ახმოვანებს ჯვაროსნულ მოტივს, რომ საქართველოს მისიაა არაქრისტიანების წინააღმდეგ ბრძოლა, რომელთაც მათ ურჯულოებს გულისხმობს. ძირითადი აქცენტი მუსლიმურ სახელმწიფოებზე კეთდება. აქ იხსენიებს წინამძღოლი იმ ფაქტსაც, რომ ქართველებს მონათესავე და მოკავშირე ერი, ფაქტობრივად, არ ჰყავთ.

საინტერესოა, რომ ამ ეპიზოდში წინამძღოლი ახსენებს ანტიკურ იბერებს, როგორც იბერიას კავკასიაში და, მიიჩნევს, რომ საქართველო სწორედ ანტიკური იბერიის მემკვიდრე და გამგრძელებელია, ასევე დასავლეთის იბერიას, პირენეის ნახევარკუნძულზე მცხოვრებ ხალხებს და იქვე იმეორებს ჯერ კიდევ ანტიკურობაში ცნობილ ლეგენდას, რომ ორი იბერიის, აღმოსავლეთის და დასავლეთის მცხოვრები ხალხი ნათესავები არიან. თუმცა იქვე აღნიშნავს, რომ ამ ლეგენდის დადასტურება არაფრით შეუძლია, არანაირი საბუთი არ აქვს.

წინამძღოლის და პავლია კუტის მოსაზრებები ერთ ფაქტორში სცდება ერთმანეთს. პავლია კუტი მიიჩნევს, რომ საქართველო ბუნებრივ საზღვრებამდე უნდა მივიდეს და ამ საზღვრებს შიგნით განვითარდეს. არაპირდაპირ, ამ შემთხვევაშიც ჩანს ანტიკური, უფრო სწორად, რომაული მოდელი. რომის იმპერია და რომაული იმპერიალიზმი სწორედ ბუნებრივ საზღვრებს აღიარებდა და მიიჩნევდა, რომ იმპერია ბუნებრივ საზღვრებამდე (ატლანტიკის ოკეანე, მდინარე რაინი და ევფრატი, კავკასიონი, საჰარას უდაბნო და ა.შ.) უნდა გაფართოებულიყო. პავლია კუტი ამავე, რომაულ მოდელს უჭერს მხარს, რაც იმის გათვალისწინებით, რომ საქართველო ახალ რომად არის მოხსენიებული, გასაკვირი არ არის.

აქვე ჩნდება ის კონცეფცია, რომელიც ოქროს ხანის საქართველოსთვის სახასიათო იყო. თუკი ჩრდილოეთით საქართველო მიდის კავკასიონამდე, ხოლო დასავლეთით შავ ზღვამდე, აღმოსავლეთით ბუნებრივი საზღვარი კასპიის ზღვა უნდა იყოს. ეს კონცეფცია, რომელიც „ნიკოფსიითგან დარუბანდამდე“ ანუ ზღვიდან ზღვამდე საზღვრებს მოიცავს, ქართულ რეალობაში აქტუალური, როგორც დიადი იდეა, საქართველოს ისტორიის თითქმის ყველა ეტაპზე იყო. ეს მოტივი პირდაპირი ფორმითაც ჩნდება და აღნიშნულია, რომ საქართველო შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე უნდა მივიდეს. ასევე რამდენჯერმე აქვს ხაზი გასმული, რომ საქართველომ ქრისტიანობით მთელი კავკასია უნდა გააერთიანოს, მათ შორის იხსენიებს ალანებს (ლეკები, ჯიქები, ალანები და სომხები), ხალხს, რომელსაც ჯერ კიდევ ანტიკურობა იცნობდა და ერთიანი კავკასიური მცირე იმპერია შექმნას.

გელათის წინამძღოლი პავლია კუტის ამ კონცეფციას არ ეთანხმება და მიიჩნევს, რომ საქართველო ბუნებრივი საზღვრებით არ უნდა შემოიფარგლოს. სწორედ ამ

კონტექსტში ახსენებს კეისარს და ალექსანდრეს და აღნიშნავს, რომ ისინი თავიანთი ქვეყნების შემოზღუდვაზე კი არ ფიქრობდნენ, არამედ ახალ ქვეყნებს და ხალხებს იპყრობდნენ. წინამძღვარს საქართველო ამ ტიპის ძალად წარმოუდგენია – კეისარს და ალექსანდრეს ადარებს.

შემდეგ საუბრის ორივე მონაწილე განიხილავს რომის იმპერიას და რომაულ იმპერიალიზმს. მათთვის სწორედ რომია საქართველოსთვის მაგალითი. ავტორი ხატავს იმ ამბიციას და თვითრწმენას, რომელიც, მისი ჩანაფიქრით, ოქროს ხანის, თამარის შემდგომი ეპოქის საქართველოს უნდა ჰქონოდა. ამ საუბარში ისიც ჩანს, რომ მოსაუბრეები აღიარებენ, საქართველო ჯერ ისე ძლიერი არ არის, როგორც რომი, ბევრი შიდა პრობლემა აქვს და რომისთვის სახასიათო იმპერიული ამბიციების გამოჩენა ჯერ ადრეა.

სხვა ეპიზოდში, როდესაც უკვე ავაგ მხარგრძელი საუბრობს იმაზე, თუ რამდენად დიდია იმდროინდელი საქართველოს ამბიცია (ჯალალედინის დამარცხება, შემდეგ ბაღდადის აღება და იქ ხალიფას ნაცვლად ქრისტიანი ეკლესიის მეთაურის დასმა), კვლავ ალექსანდრეს და მის ინდოეთში ლაშქრობას იხსენებს. ამ შემთხვევაშიც ალექსანდრე, როგორც უდიდესი დამპყრობელი, კაცობრიობის მიჯნამდე მისვლის და დასავლეთის მიერ აღმოსავლეთის დამარცხების სიმბოლო, ქართველებისთვის მათი ამბიციის უპირველესი საზომია. ავაგი ალექსანდრეს თითქოს ადარებს კიდევ მის მამას და ბიძას, თამარის დროინდელი საქართველოს მთავარსარდლებს – ზაქარია და ივანე მხარგრძელებს და აღნიშნავს, რომ მათ ხორასანამდე (ჩრდილოეთ ირანი) ილაშქრეს, რითაც თითქოს ალექსანდრეს ბევრად არ ჩამოუვარდებიან.⁹⁵⁴ ეს პრეტენზია და ამბიცია ნაწარმოების მთავარი მოტივია, იქამდე სანამ ქართველები ჯალალედინთან არ მარცხდებიან და შიდა უთანხმოებების სამეფოს კრიზისში არ მოაქცევენ.

ისევე, როგორც „ლაშარელაში“ ამ რომანშიც ქართველი პერსონაჟები საუბრობენ ბერძნულად და ლათინურად.⁹⁵⁵ ქვეყნისთვის, რომელსაც რომის გაგრძელებაზე, ქრისტიანული სამყაროს ლიდერობაზე აქვს პრეტენზია და თან ანტიკური მემკვიდრეობის გამგრძელებელია, ბერძნულსა და ლათინურ ენაზე საუბარს სიმბოლური დატვირთვა აქვს. ეს ამ ამბიციას ადასტურებს და აჩვენებს, რომ საქართველო დასავლურ-ქრისტიანული, ევროპული სამყაროს ნაწილია და ანტიკურ საფუძველზე დგას.

შუა საუკუნეების საქართველოს ეძღვნება გრიგოლ აბაშიძის კიდევ ერთი ისტორიული რომანი – „ცოტნე ანუ ქართველთა დაცემა და ამაღლება“. ეს რომანი

⁹⁵⁴ „დიდი ღამე“, გრ. აბაშიძე. თხზულებანი სამ ტომად. ტ. II. თბილისი, 1984, გვ. 508.

⁹⁵⁵ „დიდი ღამე“, გრ. აბაშიძე. თხზულებანი სამ ტომად. ტ. II. თბილისი, 1984, გვ. 780.

ქრონოლოგიურად უფრო გვიანდელია, ვიდრე „ლაშარელა“ და „დიდი ღამე“ – მათზე რამდენიმე ათწლეულით გვიანდელ ისტორიულ პერიოდს აღწერს. კერძოდ, მონღოლების მმართველობის ხანას საქართველოში, XIII საუკუნის შუა პერიოდს და „ქართლის ცხოვრებაში“ აღწერილ ცოტნე დადიანის და ქართველების ანტიმონღოლური შეთქმულების ამბავს. ამ ნაწარმოებშიც ანტიკურობის რეცეფცია არაერთხელ გვხვდება და კიდევ ერთხელ ვრწმუნდებით, რომ გრიგოლ აბაშიძე ძალიან კარგად იცნობს ანტიკურ ისტორიას და კულტურას და მთელი რიგის სიმბოლოების, ამბებისა და მხატვრულ-ისტორიული სახეების რეცეფციას ახდენს თავისი სათქმელის გადმოსახატად.

ცოტნე დადიანისთვის მისი შთაგონების ძირითადი წყარო ანტიკური ლეგენდარული გმირი მუციუს სცევოლაა (იგივე მუკიუს სკევოლა). მუციუსის ამბავს ტიტუს ლივიუსი მის „რომის ისტორია ქალაქთა დაარსებიდან-ში“ გადმოგვცემს (Ab Urbe condita, 2, 12-13). მიუხედავად იმისა, რომ დიდი ალბათობით ლივიუსის მიერ მოთხრობილი ამბავი ისტორიულ რეალობას არ შეესაბამება, მუციუს სცევოლას ამავი რომაული მითოსის, მისი ლეგენდარული ისტორიის ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ ამბავს წარმოადგენს. ლივიუსის მიხედვით, ძვ.წ. 508 წელს მუციუსი თავს, უფრო სწორად საკუთარ ხელს სწირავს რომსა და ეტრუსკენს, კერძოდ, ქალაქ კლუზიუმთან ომის დროს. მუციუსი სამშობლოსათვის თავგანწირვის, სიმამაცის და შეუდრეკელობის სიმბოლოდ მიიჩნევა. გრ. აბაშიძე სწორედ მუციუს სცევოლას, ანტიკური, რესპუბლიკური რომის ლეგენდარულ გმირს წარმოადგენს შუა საუკუნეების ქართველი დიდებულის, ცოტნე დადიანის შთაგონების წყაროდ.

ნაწარმოების პირველ ნაწილშივე ივლიანე მოძღვრის და თავად ცოტნეს, ნაწარმოების მთავარი პერსონაჟის დიალოგში, მოძღვარი სწორედ მუციუსის მაგალითს იხსენებს, როგორც ამტანობის და ვაჟკაცობის სიმბოლოს.

მუციუსამდე მოძღვარი და ცოტნე ნაწარმოების ერთ-ერთ პერსონაჟს, ოტია მეჯინიბეს ხვდებიან, რომელსაც ხელი აქვს დაზიანებული თაფლს ისვამს და ფუტკრებს აკბენინებს, რათა ამ მეთოდით ხელს უმკურნალოს. ამ ეტაპზე ახალგაზრდა ცოტნესთვის ოტიას თავგანწირვა და ამტანობა თითქმის გაუგებარი ამბავიც კია. თუმცა, უკვე შემდეგ სცენაში, ივლიანე მოძღვარი მას მუციუს სცევოლას ამბავს უყვება, როდესაც მუციუსმა, მტრების ბანაკში დატყვევებულმა, თავისივე ნებით ჩაყო მარჯვენა ხელი ცეცხლში და დაიწვა, ამით კი მან რომაული სიმტკიცის, სამშობლოსადმი თავგანწირვის და ვაჟკაცობის ნებაყოფლობითი მაგალითი უჩვენა მტერს. მისი ვაჟკაცობით თავად მტერი, ეტრუსკების მეფე პორსენაც მოიხიბლა. მუციუსის მაგალითი ცოტნეზე დიდ გავლენას ახდენს, განსაკუთრებით ის ფაქტი,

რომ მუციუსი ასეთ თავგანწირვაზე სამშობლოს გამო წავიდა. მუციუსი ცოტნეს შთაგონება ხდება.⁹⁵⁶

უკვე სხვა სცენაში, ნაწარმოების ბოლოს, როდესაც უკვე თავად ცოტნე მიდის თავგანწირვაზე და სამშობლოსა და თანამემამულეებისთვის, თავს წირავს ტანჯვისათვის, ყველაზე რთულ მომენტში მას ისევ მუციუს სცევოლა ახსენდება. ეს აძლევს ძალას და ფიქრობს, რომ თუკი მუციუსმა ცეცხლს გაუძლო, ისიც გაუძლებს მზეს, ბუხს და ფუტკარს.⁹⁵⁷

ივლიანე მოძღვარი ცოტნეს აღმზრდელი და მასწავლებელია. აღსანიშნავია, რომ გრიგოლ აბაშიძე ამ რომანშიც, ისევე როგორც „ლაშარელასა“ და „დიდ ღამეში“ გარკვეულწილად გამოყოფს და ერთმანეთს უპირისპირებს წინარექრისტიანულ, ბერძნულ-რომაულ კულტურას, განათლებას და ფასეულობებს და უფრო გვიანდელ, გვიან ანტიკურობისა და შუა საუკუნეების ქრისტიანულ სამყაროსა და კულტურას. მაგალითად, აღნიშნულია, რომ ივლიანე ყმაწვილ ცოტნეს განათლებას აძლევს არა საღვთო რჯულის მიხედვით, არამედ ბერძნულ-ლათინურ „ზღაპრებს“, რაც მითოსურ ამბებსა და ლეგენდებს უნდა გულისხმობდეს, მეფეებისა და ომების ამბებს უყვება და მათი მიხედვით აღზრდის. ამ მხრივ, ისევე, როგორც სხვა რომანებში ამ ეპოქის საქართველო ავტორს მყარად წარმოუდგენია ანტიკური კულტურისა და განათლების გამგრძელებლად, მის მემკვიდრედ. ივლიანე მოძღვრისთვის განათლების, აღზრდის ძირითადი საშუალება სწორედ წინარექრისტიანული, ბერძნულ-ლათინური მითოსურ-ისტორიული ამბებია.

ივლიანე მოძღვრის გარდა, ის რომ საქართველო ანტიკურ ტრადიციას აგრძელებს და ამ საფუძველზე დგას რომანში ასევე არაერთხელ არის ხაზგასმული. ამ მხრივ, რომანი სრულად აგრძელებს ზემოთ მოყვანილი „ლაშარელასა“ და „დიდი ღამის“ პათოსს.

იქვე, შემდეგ სცენაში, როდესაც მოძღვარი და გუგუტა განათლების შესახებ საუბრობენ და ახალგაზრდა ცოტნეს განათლებას განიხილავენ, აღნიშნავენ, რომ მან ბერძნული უკვე იცის და ახლა სპარსულისა და არაბულის შესწავლის დროა. ბერძნული ამ შემთხვევაშიც ჩანს როგორც ძირითადი და აუცილებელი დისციპლინა იმ ეპოქისთვის ელიტური განათლებისთვის.

სხვა ეპიზოდში, როდესაც ცოტნე და სხვა ქართველები უკვე ვენეციაში არიან, ამ ეპოქის უძლიერესი იტალიური სახელმწიფოსგან გემების შესაძენად და, ზოგადად,

⁹⁵⁶ „ცოტნე ანუ ქართველთა დაცემა და ამაღლება“, გრ. აბაშიძე. თხზულებანი სამ ტომად. ტ. III. თბილისი, 1985, გვ. 103-104.

⁹⁵⁷ „ცოტნე ანუ ქართველთა დაცემა და ამაღლება“, გრ. აბაშიძე. თხზულებანი სამ ტომად. ტ. III. თბილისი, 1985, გვ. 406.

ზღვაოსნობასა და გემთმშენებლობაში გამოცდილების მისაღებას, ლათინური ისევ ჩანს, რომ ორივე მხარისთვის საკომუნიკაციო ენაა.⁹⁵⁸

სხვა სცენაში ცოტნე და მისი მეგობრები მსოფლმხედველობით საკითხებზე, როცა საუბრობენ, იხსენიებენ, ლათინური გამოთქმის, იქამდე კი ალკეოსის სიტყვების, ქართულ პერიფრაზს – „ჭეშმარიტება ღვინოშია“. ამ შემთხვევაში ჩვენ ვხედავთ ანტიკურობის არა პირდაპირ, არამედ ირიბ რეცეფციას. ისინი ალკეოსს არ ასახელებენ, თუმცა ადღეგრძელებენ ამ გამოთქმის ავტორს.⁹⁵⁹

ერთ-ერთი დიდი იდეა, რომელიც მთელ რომანს წითელ ხაზად მიჰყვება და გარკვეულწილად მასში რამდენიმე ძირითად ნარატივს აერთიანებს, არის ფასისის ნავსადგურის აშენების საკითხი. რომანში მოქმედება რამდენიმე ათწლეულის მანძილზე არის გავრცობილი. იწყება ლაშა-გიორგის მმართველობის ხანიდან, როდესაც ცოტნე ჯერ კიდევ ახალგაზრდა კაცია, შემდეგ გრძელდება რუსუდანის და ამის მერე უკვე მონღოლთა მიერ საქართველოს დაპყრობის ხანაში. მონღოლების შემოსვლამდე, ისევე როგორც თავის სხვა რომანებში, გრიგოლ აბაშიძე ახმოვანებს ამ ეპოქის საქართველოს დიდ იდეას – საქართველო არის და უნდა იყოს ქრისტიანული სამყაროს ლიდერი, მესამე რომი, როგორც თავის წინა რომანებში უწოდებს მას. ამისთვის საქართველოს აუცილებლად სჭირდება ნავსადგური. მესამე რომის იდეა გამოხატავს ანტიკურობასთან კავშირს, მის მემკვიდრეობითობას, ანტიკური ისტორიის გაგრძელების სურვილს. შემთხვევითი არ არის, რომ ეს სურვილი გამოხატულია ფასისში დიდი ნავსადგურის აგების, და შედეგად საქართველოში ზღვაოსნობის განვითარების, სურვილში. ეს იდეა განსაკუთრებით ძვირფასია ცოტნე დადიანისთვის, რომელიც ოდიშის მთავარია და პირადად მის სამფლობელოში უნდა აშენდეს ფასისის ნავსადგური. ეს ნავსადგური, ერთი მხრივ, გამოხატავს იმ ეპოქის საქართველოს ამბიციას, ხოლო, მეორე მხრივ, გამოხატავს ანტიკურ სამყაროსთან მის კავშირს, ზემოთ ხსენებულ, ანტიკურ მემკვიდრეობითობაზე დგომას. შემთხვევითი არ არის, რომ ნავსადგური იქ შენდება, სადაც ანტიკური კოლხისის პოლისი ფაზისი/ფასისი უნდა ყოფილიყო განთავსებული და ცოტნე დადიანის პერიოდის საქართველოშიც ამ ნავსადგურს, ახალ სანაოსნო ცენტრს სწორედ ანტიკური სახელწოდება აქვს, რომელიც ნაწარმოებში 22-ჯერ არის მოხსენიებული.

XIII საუკუნის საქართველოს ანტიკურობასთან კავშირი, ანტიკურ კულტურულ და ისტორიულ საფუძველთან ბმა, როგორც ზემოთ უკვე ვახსენეთ, არაერთხელ ჩანს განათლების საკითხშიც. ცოტნე და სხვა, ახალგაზრდა დიდებულები მათთვის

⁹⁵⁸ „ცოტნე ანუ ქართველთა დაცემა და ამაღლება“, გრ. აბაშიძე. თხზულებანი სამ ტომად. ტ. III. თბილისი, 1985, გვ. 217.

⁹⁵⁹ „ცოტნე ანუ ქართველთა დაცემა და ამაღლება“, გრ. აბაშიძე. თხზულებანი სამ ტომად. ტ. III. თბილისი, 1985, გვ. 162.

სპეციალურ მოწყობილ გაკვეთილებზე უსმენენ ათონის იბერთა მონასტრიდან მოწვეულ მოძღვარ ევგრაფის. საქართველოს, როგორც ქრისტიანული ცენტრის პრეტენზია, იმაშიც არის გამოხატული, რომ ის უკავშირდება სხვა დიდ საქრისტიანო ცენტრებს, მათ შორის, ათონის მთას. ევგრაფი ცოტნეს და სხვა დიდებულებს IV-V საუკუნეების წმინდა მამის ნეტარი ავგუსტინეს ცხოვრებას და ფილოსოფიას აცნობს. აღსანიშნავია, რომ ნეტარი ავგუსტინე უფრო მეტად დასავლეთის ეკლესიის ნაწილად მიიჩნევა, ვიდრე აღმოსავლეთის. გრიგოლ აბაშიძის რომანში მოქმედება XIII საუკუნის საქართველოში ხდება, იმ პერიოდში, რომელშიც დიდი საეკლესიო სქიზმა, ანუ განხეთქილება დასავლეთისა და აღმოსავლეთის ეკლესიებს, ანუ რომსა და კონსტანტინოპოლს შორის, უკვე მომხდარია. საქართველოში კი, რომელიც აღმოსავლური ეკლესიის ნაწილია შეასწავლიან მათ შორის იმ წმინდა მამის მოძღვრებას და ცხოვრებას, რომელიც აღმოსავლურთან ერთად, ასევე დასავლური ეკლესიის ნაწილია და მეტიც, უფრო მეტად დასავლური ეკლესიის კულტურული ტრადიციის ნაწილია. კვლავ უნდა გავიმეოროთ იმ ამბიციის შესახებ, რომელიც ნაწარმოების მთავარი იდეაა და რომლის მიხედვითაც საქართველო ქრისტიანული სამყაროს ლიდერი უნდა იყოს და ის მჭიდროდ უკავშირდება ევროპულ, მათ შორის დასავლურ-ქრისტიანულ სამყაროს.⁹⁶⁰

იმავე სცენაში ევგრაფი ავგუსტინესთან ერთად, რომელიც უკვე ანტიკურობის გვიანდელი ეტაპის, გვიანანტიკურობის, უფრო სწორად, ქრისტიანობის შემოსვლის შემდეგი პერიოდის მოღვაწეა, იხსენიებს უკვე წინარესოკრატესეული ეპოქის ერთ-ერთ გამორჩეულ ფილოსოფოსს ანაქსიმენესს. ანაქსიმენესი უკვე იონიური ფილოსოფიური სკოლის წარმომადგენელია და თალესთან და ანაქსიმანდრესთან ერთად მილეტოსის ფილოსოფიურ სკოლას წარმოადგენს. მას მიაჩნდა, რომ ყველაფრის სათავე, საწყისი არის ჰაერი. სწორედ ამ კონტექსტში იხსენიებს ევგრაფი მას.

კვლავ ვხედავთ იმ მოტივს, რომელიც გრიგოლ აბაშიძის რომანში ძირითად ნარატივს ქმნის – საქართველო ქრისტიანული სამყაროს ლიდერია და ამავე დროს ანტიკურ საფუძველზე დგას. ავტორისთვის, როგორც ამ, ასევე მის სხვა რომანებში, ანტიკურობა და ქრისტიანობა, ანუ ქრისტიანობამდელი და ქრისტიანობის შემოსვლის შემდგომი სამყაროები ერთანეთს კი არ უპირისპირდება მთელი თავისი განსხვავებულობით, არამედ ერთმანეთს აგრძელებს და ავსებს. გრიგოლ აბაშიძის საქართველო მის რომანებში ორივე ამ სამყაროს უკავშირდება, ორივე ამ სამყაროს მემკვიდრე და გამგრძელებელია. ეს ჩანს კიდევ ათონიდან ჩამოსული ევგრაფის

⁹⁶⁰ „ცოტნე ანუ ქართველთა დაცემა და ამაღლება“, გრ. აბაშიძე. თხზულებანი სამ ტომად. ტ. III. თბილისი, 1985, გვ. 153.

სიტყვაში – იგი ქართველ დიდებულებს, ახალგაზრდებს, ერთნაირად ასწავლის, როგორც ქრისტიანობის დიდ ფილოსოფოსს და მამას, ასევე წინარექრისტიანობის პერიოდის ფილოსოფოსს. საქართველო მისთვის ამ ორივე ცივილიზაციას, ამ ორივე საწყისს აერთიანებს.

სამაგიეროდ ნაწარმოებში მუდამ ჩანს ფარული კონკურენცია და დაპირისპირება იმ ეპოქის ქრისტიანულ დასავლეთსა და ქრისტიანულ აღმოსავლეთს შორის. გრიგოლ აბაშიძის სამივე რომანი დაწერილია იმ პერიოდში, როდესაც ჯვაროსნებს კონსტანტინოპოლი ახალი აღებული ჰქონდათ მეოთხე ჯვაროსნული ლაშქრობის დროს. თავად ამ ჯვაროსნულ ომებს, და ამ ეპოქას, ზოგადად, ახასიათებს არაერთგვაროვანი და წინააღმდეგობრივი დამოკიდებულება დასავლეთევროპელ ჯვაროსნებსა და ბიზანტიის იმპერიას შორის. მათი ურთიერთობა მოკავშირული ხშირად არც იყო. ზოგადად, ეკლესიების გაყოფის, ანუ დიდი სქიზმის შემდეგ, ეს კულტურულ-პოლიტიკური დაპირისპირება დასავლურ და აღმოსავლურ ქრისტიანობას შორის მუდამ არსებობდა. გრიგოლ აბაშიძე ამ დაპირისპირებას თავის რომანში კარგად არეკლავს. საქართველო, რომელმაც ბიზანტია ჩაანაცვლა და აღმოსავლეთის ლიდერია, ვენეციელებისთვის მოკავშირესთან ერთად კონკურენტიც არის, როგორც პოლიტიკურად, ისე კულტურულად.

ეს დამოკიდებულება ჩანს იმ სცენაშიც, როდესაც ნაწარმოების დასაწყისშივე ახალგაზრდა ცოტნე დადიანი თავის მეგობრებთან ერთად მსჯელობს და დასავლეთსა და აღმოსავლეთს ერთმანეთს ადარებს. მსჯელობის მთავარი მიზეზია, ჯვაროსნების მიერ ზემოთ ხსენებული კონსტანტინოპოლის აღება და გამარცვა. მოსაუბრეები ასკვნიან, რომ ჯვაროსნებს, ანუ დასავლეთის ევროპელებს, მათი ქცევიდან გამომდინარე, კულტურა და განათლება არ ეტყობოდათ. ამ ეპიზოდში იმასაც იხსენებენ, რომ ვენეციის დოჟმა გამარცვული კონსტანტინოპოლიდან ლისიპეს (იგივე ლისიპოსის), სახელგანთქმული ანტიკური მოქანდაკის, სკულპტურა გემით ვენეციაში წაიღო და ქალაქის ცენტრში, სან მარკოს მოედანზე დაადგმევინა.⁹⁶¹

ლისიპე/ლისიპოსი ძვ.წ. IV საუკუნის ძალიან ცნობილი, ანტიკურობაში ერთ-ერთი საუკეთესო სკულპტორი იყო. ამ შემთხვევაშიც გრიგოლ აბაშიძისთვის მნიშვნელოვანია რომანის, ანუ შუა საუკუნეების, სამყარო, ანტიკურობას დაუკავშიროს.

ეს კულტურულ-პოლიტიკური დაპირისპირება ყველაზე უკეთ ჩანს ცოტნეს ვენეციაში სტუმრობის დროს, მისი და გუგუტას დიალოგისას. გუგუტა მას უყვება,

⁹⁶¹ „ცოტნე ანუ ქართველთა დაცემა და ამაღლება“, გრ. აბაშიძე. თხზულებანი სამ ტომად. ტ. III. თბილისი, 1985, გვ. 160.

თუ რა გამოხმაურება ჰქონდა ცოტნესა და ვენეციელების შეხვედრას. მისი თქმით, ვენეციელები გაუნათლებელ მთიელს ელოდნენ და ცოტნეს სახით დახვეწილი, განათლებული და გონიერი ადამიანი ნახეს, რომელთან შედარებითაც მათი პატრიციებიც კი ბარბაროსებად გამოჩნდებოდნენ.⁹⁶²

ამ ეპიზოდში გუგუტა გამოიყენებს ტერმინს პატრიციები, რომელიც რელევანტური შუა საუკუნეებში ნაკლებად არის, თუმცა მიემართება ანტიკურობას და რომაულ პატრიციებს/პატრიკიუსებს, ანუ არისტოკრატიული, მაღალი წარმომავლობის სოციალურ ფენას. გარკვეულწილად ანტიკურობის ირიბ რეცეფციას წარმოადგენს შენიშვნაც, რომ არაიტალიელი, არავენეციელი, ბარბაროსია. ანტიკური, ბერძნულ-რომაული მსოფლალქმა დიდწილად იდგა იმ რწმენაზე, რომ ელინურ-რომაული სამყაროს მიღმა მცხოვრები ხალხი „ბარბაროსები“ იყვნენ და მათ ასე იხსენიებდნენ.

ცოტნეს პასუხში ზემოთ ხსენებული კულტურული დაპირისპირების და კონკურენციის მოტივი ჩნდება. ცოტნე აღნიშნავს, რომ ვენეციელები „გუშინ გამდიდრებული ვაჭრები, ან ზღვის მეკობრეები არიან (აქ უკვე ჩნდება ტრადიციული ქართული მსოფლალქმა, მით უმეტეს, ტიპური შუა საუკუნეებისთვის, რომ ვაჭრობა ყველაზე პატივსაცემი საქმე არ არის). შემდეგ კი ის დოგარესას, ვენეციის დოჟს მრახავს, რომ მან ისტორია არ იცის, რადგან არ შეიძლება „კოლხი მთავარი“ ბარბაროსი იყოს. ცოტნე, რომელიც ოდიშის მთავარია, თავს ისტორიული, ანტიკური კოლხისის მემკვიდრედ მიიჩნევს და ამით ძალიან ამაყოფს. კოლხისი მისთვის ცივილიზებული, კულტურული და დიდი ისტორიული მნიშვნელობის მქონე პოლიტიკურ-კულტურული ერთეულია. ამ შემთხვევაშიც მას აქვს განცდა, რომ ის, და შუა საუკუნეების საქართველო, ანტიკური ტრადიციის, მათ შორის ანტიკური კოლხისის მემკვიდრე და გამგრძელებელია.

როგორც ანტიკურობის რეცეფციის, ასევე მთლიანად ავტორის მხატვრული ჩანაფიქრის და ნაწარმოების გასაგებად, ფუნდამენტური მნიშვნელობის არის მისი ბოლოთქმა, რომელშიც ავტორი თავისი მოტივაციის და მსოფლმხედველობის შესახებ მსჯელობს.

ბოლოთქმის დასაწყისშივე ის აღნიშნავს, რომ ბევრი დიდი კულტურა და ცივილიზაცია, რომელთა შორისაც ის ასევე იხსენიებს ძველ საბერძნეთს უკვე დაეცა, საქართველო კი კვლავ აგრძელებს არსებობას.⁹⁶³

⁹⁶² „ცოტნე ანუ ქართველთა დაცემა და ამაღლება“, გრ. აბაშიძე. თხზულებანი სამ ტომად. ტ. III. თბილისი, 1985, გვ. 232.

⁹⁶³ „ცოტნე ანუ ქართველთა დაცემა და ამაღლება“, გრ. აბაშიძე. თხზულებანი სამ ტომად. ტ. III. თბილისი, 1985, გვ. 413.

გრიგოლ აბაშიძე აღნიშნავს, რომ ზოგადად, ისტორია, „ქართლის ცხოვრება“ და ჟამთააღმწერელი მისთვის შთაგონების ძირითადი წყაროა. ჟამთააღმწერელს იგი ადარებს ბერძენ და რომაელ ავტორებს და მიიჩნევს, რომ ის არაფრით ჩამოუვარდება იმ ბერძენ და რომაელ ისტორიოგრაფებს, რომლებიც ევროპელი მეცნიერების აღტაცებას იწვევენ.⁹⁶⁴ ის მოტივი, რომელიც გრიგოლ აბაშიძის სამივე რომანში გვხვდება და რომლის მიხედვითაც ქართული და ევროპული კულტურა და ცივილიზაცია ერთმანეთს თან უკავშირდება, თან თითქოს შინაგან კონკურენციაშია, ავტორის ამ პასაჟშიც იკვეთება.

ისევე, როგორც მისი პერსონაჟების შემთხვევაში, გრიგოლ აბაშიძე ჟამთააღმწერლებზე მსჯელობის დროს ხაზს უსვამს, რომ ის განათლებული ადამიანი უნდა ყოფილიყო და კარგად ფლობდა ბერძნულ, რომაულ და სპარსულ ისტორიულ ლიტერატურას. ანტიკური ისტორიის და ისტორიული მწერლობის ცოდნა გრიგოლ აბაშიძისთვის ერთ-ერთი ძირითადი ღირსებაა და გამორჩეულ ცოდნა-განათლება-კომპეტენციაზე მეტყველებს. შესაბამისად, არ არის გასაკვირი, რომ თავისი ნაწარმოებების მთავარი გმირებიც მის რომანებში სწორედ ანტიკურ განათლებას ეუფლებიან.⁹⁶⁵

ამ ეპიზოდში გრიგოლ აბაშიძე განსაკუთრებით ხაზს უსვამს, რომ ავტორი, ჟამთააღმწერელი განსაკუთრებით ხშირად იმოწმებს ანტიკურ ავტორებს („აჭრელებულია ანტიკური ავტორების დამოწმებით“) და შემდეგ ორ აღმოსავლელ ავტორთან ერთად (იბნ ალ ასირი; რაშიდ ადინი), ჩამოთვლის ბერძნული და რომაული ისტორიული მწერლობის ყველაზე უფრო თვალსაჩინო წარმომადგენლებს: თუკიდიდე/თუკიდიდესი, პლუტარქე/პლუტარქოსი, ტიტუს ლივიუსი, ტაციტუსი, სალიუსტი/სალუსტიუსი და სვეტონიუსი.

ამ მონაკვეთში გრიგოლ აბაშიძე მსჯელობს იმის შესახებ, რომ ჟამთააღმწერლის სანდოობის ხარისხი ხშირად უსაფუძვლოდ დგება კითხვის ნიშნის ქვეშ, რადგან ის სხვადასხვა სასწაულებსა თუ საოცრებებს აღწერს. სწორედ ამ კონტექსტში აღნიშნავს იგი, რომ ზემოთ ჩამოთვლილი ავტორებიც ხშირად აღწერენ სხვადასხვა სასწაულსა თუ საოცრებას და ეს მათი სანდოობის ხარისხს ჩრდილს არ აყენებს.

შემდეგ იგი იხსენებს ტაციტუსის მიერ მოთხრობილ ორ ამბავს: თუ როგორ მიეყინა ჯარისკაცს თითები შეშაზე და როგორ განკურნა იმპერატორმა ვესპასიანემ/ვესპასიანუსმა ბრმა საკუთარი ნერწყვით. ორივე ეს ამბავი რაციონალურ ახსნას არ ექვემდებარება, თუმცა ეს ტაციტუსის, როგორც ისტორიოგრაფის,

⁹⁶⁴ „ცოტნე ანუ ქართველთა დაცემა და ამაღლება“, გრ. აბაშიძე. თხზულებანი სამ ტომად. ტ. III. თბილისი, 1985, გვ. 420.

⁹⁶⁵ „ცოტნე ანუ ქართველთა დაცემა და ამაღლება“, გრ. აბაშიძე. თხზულებანი სამ ტომად. ტ. III. თბილისი, 1985, გვ. 430-431.

მნიშვნელობას არ ამცირებს. ამ მონაკვეთში პირდაპირ ჩანს ის, რაც გრიგოლ აბაშიძის რომანებში ირიბულად არაერთხელ იკვეთება. ავტორი, გრიგოლ აბაშიძე, ძალიან კარგად, სიღრმისეულად იცნობს ანტიკურობას, განსაკუთრებით ანტიკურ ისტორიულ მწერლობას, ეს მისი შთაგონების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყაროა და შედეგად, არაერთხელ ახდენს ანტიკურობის რეცეფციას.

ნაწარმოების დასკვნით ნაწილში, როდესაც გრიგოლ აბაშიძე ზოგადად მსჯელობს ისტორიოგრაფიის მნიშვნელობისა და გავლენის შესახებ და ამ შემთხვევაშიც ჟამთააღმწერლის ღირსებებს, კვალიფიკაციას და მის მორალსა და ღირსებებს უსვამს ხაზს, იგი ახდენს ანტიკურობის რეცეფციას არაპირდაპირი გზით. კერძოდ, იმოწმებს დავით აღმაშენებლის ისტორიკოსს, რომელიც თავის მხრივ ალექსანდრეს ეყრდნობა. მისი მიხედვით, ალექსანდრე შენიშნავს, რომ აქილევსი არ იყო დიადი, მისი კულტურული მასშტაბი და მნიშვნელობა ჰომეროსმა განსაზღვრა. ამგვარად გრიგოლ აბაშიძე მიიჩნევს, რომ ისტორიკოსები დიდწილად განსაზღვრავენ და ქმნიან ნარატივს, აყალიბებენ წარმოდგენას ამა თუ იმ მოვლენისა და ისტორიული ფიგურის შესახებ.⁹⁶⁶

ანტიკურობის რეცეფციას გრიგოლ აბაშიძე ახდენს თავის კიდევ ერთ რომანში – „ყორნალი“. უკვე განხილული სამი რომანისგან განსხვავებით „ყორნალში“ ანტიკურ ტერმინებს უფრო მეტად არა კონცეპტუალური, არამედ ფრაგმენტული ხასიათი აქვთ. მაგალითად, ერთ-ერთი პერსონაჟი უშანგი ანდროს, რომელიც შექსპირის ტრაგედიებს ითხოვს, აწვდის მის ტრაგედიას – „იულიუს კეისარი“.⁹⁶⁷

შემდეგ ეპიზოდში კი აღწერილია მარტის იდეებზე, ანუ 15 მარტს, კეისრის მკვლელობის ამბავი.⁹⁶⁸

ნაწარმოების სხვა ეპიზოდში, როდესაც გრიგოლ აბაშიძე გამორჩეულ განათლებას აღწერს, იგი ჩამოთვლის ანტიკური ეპოქის ფილოსოფოსებსა და ისტორიოგრაფებს – სოკრატეს, არისტოტელეს, ტაციტუსს და ციცერონს. სწორედ ეს ავტორები, და, ზოგადად, ანტიკური განათლება მიიჩნევა გრიგოლ აბაშიძისთვის ხარისხიანი განათლების, სიბრძნის აუცილებელ წინაპირობად. ამ მხრივ, გრიგოლ აბაშიძის „ყორნალი“ შეესაბამება მის სხვა რომანებს. გრიგოლ აბაშიძე, როგორც ანტიკურობის კარგი მცოდნე, თავის ყველა ნაწარმოებში ხაზს უსვამს ანტიკური განათლების მნიშვნელობას.⁹⁶⁹

⁹⁶⁶ „ცოტნე ანუ ქართველთა დაცემა და ამაღლება“, გრ. აბაშიძე. თხზულებანი სამ ტომად. ტ. III. თბილისი, 1985, გვ. 436.

⁹⁶⁷ „ყორნალი“, გრ. აბაშიძე. თხზულებანი სამ ტომად. ტ. III. თბილისი, 1985, გვ. 507.

⁹⁶⁸ „ყორნალი“, გრ. აბაშიძე. თხზულებანი სამ ტომად. ტ. III. თბილისი, 1985, გვ. 509.

⁹⁶⁹ „ყორნალი“, გრ. აბაშიძე. თხზულებანი სამ ტომად. ტ. III. თბილისი, 1985, გვ. 541.

სხვა პასაჟში კი, როდესაც ავტორი მსჯელობს სიყვარულის შესახებ და იხსენებს იმ ქალებს, რომელთა გამოც ომები დაწყებულა, ახსენებს მშვენიერ ელენეს, რომელიც მითის თანახმად ტროას ომის დაწყების მთავარი მიზეზი გახდა.⁹⁷⁰

„ყორნალში“ გრიგოლ აბაშიძე ანტიკურ სიმბოლოებს, სახელებს და ისტორიულ-კულტურულ ფიგურებს მხოლოდ ფრაგმენტულად იხსენიებს, თუმცა ამ რომანშიც ჩანს, რომ ავტორი ანტიკურ სამყაროს სიღრმისეულად იცნობს და ეს მისი ერთ-ერთი ძირითადი ინსპირაციაა.

ლადო ასათიანი (1917-1943)

გიორგი უგულავა

ტერმინები: კოლხელები, ბახუსი, იბერიელები, ხალიბური, არგონავტები, ქიმერა, პრომეთე, ოლიმპიელი, ილიადა, ატლანტისი, პარნასი, მუზა, დისკოს მტყორცნელი, ანტიკური ბერძნები, კოლხისი, რომაელები, ჰიპოკრატესი, პონტოს ზღვა, ფასისი, დითირამბი, ამორძალები, ოქროს ვერძი, ფასისი, ამორძალები, ოიდიპოსი, დიონისე.

ანტიკურობასთან დაკავშირებული ტერმინები საკმაოდ ხშირად გვხვდება ლადო ასათიანის შემოქმედებაში. ასათიანი ანტიკურობასთან დაკავშირებულ 30-მდე სხვადასხვა ტერმინს რამდენიმე ათეულ შემთხვევაში იხსენიებს. იკვეთება, რომ პოეტი საკმაოდ კარგად იცნობს ანტიკურ სამყაროს, მათ შორის ანტიკურ ლიტერატურას და მითოლოგიას, ყოველ შემთხვევაში ყველაზე მნიშვნელოვან ტერმინებს და სიმბოლოებს (მედეა, არგონავტები, ილიადა, დიონისე ა.შ.) და ხშირად იყენებს მათ თავისი სათქმელის გამოსახატად.

ლადო ასათიანის მიერ გამოყენებული ტერმინები, რამდენიმე ქვეჯგუფად შეიძლება დაიყოს. იგი იყენებს ისტორიული დატვირთვის მქონე ტერმინებს და, როგორც ჩანს, თუნდაც ზედაპირულ დონეზე იცნობს ანტიკური საქართველოს ისტორიას, კერძოდ, ამ პერიოდის ორ ყველაზე მნიშვნელოვან პოლიტიკურ ერთეულს – კოლხისს/კოლხეთს და იბერიას. ლადო ასათიანი მის თანამედროვე საქართველოს, რომელიც იმ პერიოდში უკვე საბჭოთა რუსეთის მიერ ოკუპირებულია და მძიმე რეპრესიების და დევნის რამდენიმე ტალღა გაიარა, განიხილავს და

⁹⁷⁰ „ყორნალი“, გრ. აბაშიძე. თხზულებანი სამ ტომად. ტ. III. თბილისი, 1985, გვ. 747.

აღიქვამს ანტიკური ეპოქის ქართული სახელმწიფოების გამგრძელებლად, მათ მემკვიდრედ.

ლადო ასათიანისთვის, რომელიც საბჭოთა პერიოდის პოეტია და ხშირად უწევს თავის პოეზიაში საბჭოთა პროპაგანდისტული გზავნილები გაახმოვანოს, ანტიკური ტერმინები და სიმბოლოები ამ გზავნილების მხატვრული გაფორმებისა და მისი უფრო მკვეთრად წარმოჩინებისთვის გამოიყენება. განსაკუთრებით ხშირად გამოიყენება ეს პოემაში „კოლხიდა“, რომელიც პროპაგანდისტული ხასიათის ნაწარმოებია, თუმცა მასში არაერთი ანტიკურობასთან დაკავშირებული ტერმინი არის მოხსენიებული.

ზოგადად, კოლხისი/კოლხეთი და იბერია მისთვის ძირითადად საქართველოს შორეული, დიდებული, სახელოვანი წარსულის სიმბოლოებია. თუმცა, მათ მიმართ დამოკიდებულება ამბივალენტურია და სხვადასხვა კონტექსტში იყენებს გამომდინარე იქიდან, თუ რა არის მისი ჩანაფიქრი. ამ მხრივ, ანტიკური ტერმინები ლადო ასათიანისთვის „საშენი მასალაა“, რომელიც მას ჩანაფიქრს, მისი პოეზიის გზავნილებს ერგებიან. ქვემოთ ვნახავთ, რომ კოლხისი და იბერია, შესაძლოა, უბედური, წარუმატებელი, უსამართლო წარსულის სიმბოლოც იყოს და წარმატებულ, ძლიერ, ქვეყანასა და წარსულთანაც შეიძლება ასოცირდებოდეს.

პოეტი ეთნონიმ კოლხელებს სხვადასხვა დატვირთვით გამოიყენებს. მის ლექსში „ჩემი ოქროს ქვეყანა“ „კოლხელები“ დასავლეთ საქართველოს მაცხოვრებლების კრებითი სახელია.⁹⁷¹ ის ჩამოთვლის საქართველოს სხვადასხვა კუთხის მკვიდრთ და გამოყოფს აღმოსავლეთ საქართველოში ქართლს და კახეთს, ცალკე გამოყოფს მთიელებს, როგორც მთიანი რეგიონის ქართველების კრებით სახელს, ხოლო კოლხელებს კი გამოიყენებს დასავლეთ საქართველოს კრებით სახელად.

კოლხისი ლადო ასათიანისთვის ისტორიული საქართველოა, რომელიც ერთი მხრივ, ასოცირდება მნიშვნელოვან მითოლოგიურ თუ ისტორიულ დეტალებთან (მაგალითად, არგონავტების ლაშქრობასთან, მედეასთან, ოიდიპოს მეფესთან), ხოლო მეორე მხრივ, კოლხიდა, ანუ კოლხისი ის ისტორიული საქართველოა, რომელსაც პოეტის თქმით ბევრი უბედურება და განსაცდელი უნახავს. ამ მხრივ, მისთვის კოლხიდა/კოლხისი არ არის სპეციფიკურად და უშუალოდ ანტიკურობასთან დაკავშირებული ტერმინი და არ ასახავს აუცილებლად ანტიკურ საქართველოს ან ანტიკურ კოლხეთს, ეს უფრო განმაზოგადებელი წარსულის აღმნიშვნელი ტერმინია,

⁹⁷¹ „ჩემი ქვეყნის ოქროყანა“, ლ. ასათიანი. რჩეული ლექსები და პოემები. ს. ჩიქოვანის წინასიტყვაობით. თბილისი, 1956, გვ. 12.

რომელიც ისტორიულ საქართველოს, სულ მცირე მისი დასავლეთ ნაწილის აღმნიშვნელი მაინც არის.

როდესაც პოეტი წარსულის საქართველო საუბრობს, მას წინა პლანზე მუდმივად გადმოაქვს ამ წარსულის პრობლემატურობა და სირთულე. ამ მხრივ, ტერმინი კოლხისი/კოლხეთი მისთვის ნაწილობრივ ამბივალენტურია: როდესაც ეს ტერმინი გამოხატულად ანტიკურობის კონტექსტში გამოიყენება ებმის მითოლოგიურ კონტექსტს და უფრო ხშირად ისტორიული სიდიადე და მნიშვნელობა არის ხაზგასმული, ხოლო, როდესაც ეს ტერმინი ზოგადად წარსულის აღმნიშვნელია, მაშინ მას უფრო მეტად მინორული, ნეგატიური მნიშვნელობა აქვს და თითქმის ყოველთვის გამოიყენება საქართველოს ისტორიული წარსულის პრობლემატურობის აღსანიშნავად (მაგალითად, პოემა „კოლხიდა“, რომელშიც პოეტი კოლხიდის/კოლხისის ბედზე პოემის დაწერას აპირებს და ბედზე აქცენტი კეთდება, უფრო იმ განწყობით, რომ კოლხიდას ბევრი განსაცდელი და სირთულე უნახავს, ან იმავე ნაწარმოების სხვა პასაჟი, რომელშიც აღნიშნულია, რომ „კოლხიდის მონებს მათი მჩაგვრელებისგან უამრავი შხამი უგემიათ“). ხოლო, როდესაც ტერმინი კოლხისი ანტიკური მითოლოგიის კონტექსტშია მოხსენიებული და უშუალოდ მიემართება ანტიკურ პერიოდს, იქ ხაზი აქვს გასმული მის სახელოვან წარსულს: მაგალითად, აღნიშნულია, რომ ეს ქვეყანა „არგონავტთაგან ძველად განთქმულია“ ან „ფაზისი ბერძნული მითებით გაბრწყინებულია“ ან ეს არის ქვეყანა, რომელშიც მედეას ასულები (სავარაუდოდ, იგულისხმება, ზოგადად, კოლხი ქალები) მეფობენ.⁹⁷²

ეს ტენდენცია ხშირად დასტურდება, თუმცა არა ყოველთვის. მაგალითად, ავტორი ისტორიულ კოლხისთან მიმართებაში იხსენიებს ანტიკურ ტერმინებს ოიდიპოსი და ჰიპოკრატესი, თუმცა ამ პერიოდის წარსულს მისთვის უფრო ნეგატიური დატვირთვა აქვს (პოემა „კოლხიდა“).⁹⁷³

აღსანიშნავია, რომ ლადო ასათიანი, როგორც ჩანს, საკმაოდ კარგად იცნობს ანტიკურ წყაროებს. მაგალითად, ამავე პოემაში („კოლხიდა“), იგი მოიხსენიებს ჰიპოკრატესის სახელს, რომელიც საკმაოდ დეტალურად და ხშირ შემთხვევაში კრიტიკულად აღწერს ანტიკური კოლხისის გეოგრაფიულ და კლიმატურ პირობებს და მისი მოსახლეობის ცხოვრებას წესს. ჰიპოკრატესის ეს ცნობა („ჰაერთა, წყალთა და ადგილთა შესახებ“, 15) არცთუ ისე ფართოდ გავრცელებულია და ნაკლებად წარმოადგენს ანტიკურობის ზოგად, გლობალურ დონეზე აღქმის ნაწილს. მისი ცოდნა და ნაწარმოებში მოხსენიება, პოეტის მიერ ანტიკური წყაროების საკმაოდ

⁹⁷² „კოლხიდა“, ლ. ასათიანი. რჩეული ლექსები და პოემები. ს. ჩიქოვანის წინასიტყვაობით. თბილისი, 1956, გვ. 192, გვ. 194.

⁹⁷³ „კოლხიდა“, ლ. ასათიანი. რჩეული ლექსები და პოემები. ს. ჩიქოვანის წინასიტყვაობით. თბილისი, 1956, გვ. 197-198.

დეტალურ ცოდნაზე უნდა მიუთითებდეს. ამ შემთხვევაში ავტორი ჰიპოკრატესის ზუსტ ციტირებას არ ახდენს და ჰიპოკრატესი აღნიშნულ პასაჟში უფრო მეტად კოლხისის კლიმატის და ბუნებრივი პირობების თავისებურებაზე მსჯელობს, ვიდრე უშუალოდ ადგილობრივი მოსავლის აკვარგინობას განიხილავს, თუმცა პოეტი აღნიშნულ ეპიზოდს თავისი ჩანაფიქრისთვის საკმაოდ კარგად იყენებს და ერთმანეთს უპირისპირებს ისტორიული კოლხისის და მის თანამედროვე, საბჭოთა ხელისუფლების მიერ კოლხისის დაბლობზე ჭაობების დაშრობის შემდგომდროინდელ რეალობას და ამ უკანასკნელის აშკარა უპირატესობას უსვამს ხაზს: თუკი ძველ კოლხისში ხილი და მოსავალი არ ვარგოდა, ახალ კოლხისში ჰიპოკრატესის მიერ აღწერილი რეალობა უკვე სიმართლეს აღარ შეესაბამება და მოსავლის სიუხვით და ხარისხით გამორჩეულია.⁹⁷⁴

პოემაში „კოლხიდა“, როდესაც ეს კოლხიდა საქართველოს ისტორიული წარსულის განმაზოგადებელი სახელწოდებაა და უშუალოდ ანტიკურობას, ანტიკურ ისტორიულ ეპოქას ნაკლებად უკავშირდება, პოეტს მრავალი პროპაგანდისტული გზავნილი აქვს, რომელთაც მთავარი მიზანია აჩვენოს ისტორიული წარსულის ნეგატიური, უსამართლო და უბედური ყოფა საქართველოს ახლანდელ, ბედნიერ, დალხინებულ ყოფასთან შედარებით. ამ კონტექსტში, როგორც უკვე აღვნიშნეთ, იგი საკმაოდ დეტალურად აღწერს ჰიპოკრატესის ცნობას კოლხისის კლიმატის და იქაური მოსავლის შესახებ და აღნიშნავს, რომ „ბრძენი ჰიპოკრატესი“ არასწორი იყო. პირიქით ხაზს უსვამს მოსავლის სიუხვეს და ხარისხს იმდროინდელ საქართველოში.

მთელი ამ პოემის არსი და გზავნილები პროპაგანდისტულია და შეესაბამება საბჭოთა პროპაგანდის ძირითად პათოსს. ამავე განწყობის შექმნას ემსახურება და მსგავსი ტიპის პროპაგანდისტული შედარებაა, როდესაც ამავე პოემაში აღწერილია ორი სცენა თანამედროვე კოლხიდელების მიერ „დიდი სასახლის“ შენება (თანამედროვეობის აღმნიშვნელად პოეტი იყენებს ტერმინს „ახლოს“), და ისტორიული კოლხისის (აღნიშნულია ტერმინით „შორს“) უბედური ყოფა, რომლის სიმბოლოც უსარკმლო, ძველი საყდარია, რომელსაც პოეტი თვალეზდათხრილ ოიდიპოს მეფეს ამსგავსებს. ამ შემთხვევაშიც ვხედავთ, რომ პოეტი საკმაოდ კარგად იცნობს ანტიკურ სამყაროს, მის კულტურულ მემკვიდრეობას და წარმატებით იყენებს ანტიკურ სიმბოლოებს საკუთარი გზავნილებისთვის. ამ შემთხვევაშიც, მიუხედავად იმისა, რომ ტერმინი ოიდიპოსი ერთმნიშვნელოვნად ანტიკურობას მიემართება, დიდი ალბათობით, უნდა აღვიქვათ, რომ ეს არა კონკრეტულად

⁹⁷⁴ „კოლხიდა“, ლ. ასათიანი. რჩეული ლექსები და პოემები. ს. ჩიქოვანის წინასიტყვაობით. თბილისი, 1956, გვ. 197-198.

ანტიკური ისტორიული ეპოქის, არამედ, ზოგადად, საქართველოს ისტორიული წარსულის აღმნიშვნელი უნდა იყოს.⁹⁷⁵

მსგავსი, პროპაგანდისტული გზავნილი აქვს ლადო ასათიანს თავის კიდევ ერთ ლექსში „ინათი და ყორათი“. ამ შემთხვევაშიც წარსულთან, რომელიც ანტიკურ, არგონავტების დროინდელ წარსულთან ასოცირდება, მისი პერიოდის, საბჭოთა აწმყოა დაპირისპირებული. ამ შემთხვევაში ასათიანისთვის არგონავტების ლაშქრობა უფრო მეტად ისტორიული რეალობის ამსახველი მოვლენაა, ვიდრე მითოსური სიმბოლო. ამ ლექსში იგი აღნიშნავს – „არგონავტების ნაცვლად მოვიდნენ მუშები თავისი მძლავრი მარჯვენით“.⁹⁷⁶ პოეტი ქმნის კონტრასტს და ამ შემთხვევაში მისთვის არგონავტები ნეგატიური სიმბოლოა. ის ამ თემას არ შლის, თუმცა უნდა გულისხმობდეს, არგონავტების მიერ კოლხისიდან ოქროს საწმისის წაღებას, მარცვას. საქართველოს ისტორიული წარსული ამ ტიპის მოვლენებთან ასოცირდება, ხოლო მისგან განსხვავებით ახლანდელ, საბჭოთა რეალობაში, აღმშენებლობის სიმბოლო „მუშები მძლავრი მარჯვენით“ მოვლენ. პოეტის პროპაგანდისტული გზავნილი აშკარაა და ამ გზავნილისთვის იგი წარმატებით იყენებს ანტიკურ სიმბოლოს – არგონავტებს. ზოგადად, მისი ეს შედარება საკმაოდ მჭიდრო შესაბამისობაშია საქართველოს ისტორიის რეპრეზენტაციის საბჭოთა/რუსულ სტანდარტთან, რომელიც საბჭოეთამდელ არსებულ საქართველოს ისტორიულ რეალობას ყოველთვის ერთმნიშვნელოვნად უარყოფით კონტექსტში, თვითგადარჩენისთვის ბრძოლად, დაპყრობების, შემოსევების, მარცვის და ტერიტორიების დაკარგვის უწყვეტ ხაზად წარმოადგენს, რომელიც შემდეგ მხოლოდ საბჭოთა, მშვიდობიანი აღმშენებლობით სრულდება. საინტერესო ის არის, რომ ამ კონცეფციის განსავითარებლად პოეტი იყენებს არა თურქების, სპარსელების, ან რომელიმე სხვა „ტრადიციული მტრის“, არამედ არგონავტების სახეს და მათი კოლხისში ლაშქრობის ამბავს. შესაძლოა, ამ სიმბოლოს პროპაგანდისტული მიზნით შერჩევა შემთხვევითი არ იყოს და უკავშირდებოდეს უკვე ამ პერიოდში საბჭოეთში არსებულ ანტიდასავლურ და ანტიევროპულ პროპაგანდას. შესაბამისად, არგონავტებიც, როგორც „უძველესი ევროპელები“, რომლებმაც საქართველოში დამპყრობლურ-მძარცველობითი, თავისებური გაგებით კოლონიზაციური მიზნებით ილაშქრეს, ნეგატიურ კონტექსტში არიან წარმოდგენილნი.

სხვა ეპიზოდში, კერძოდ, ლექსში „პირველი მჭედლები“ ისევ ერწყმის ორი სხვადასხვა რეალობა – ანტიკური იბერიის და მისი თანამედროვე საბჭოთა

⁹⁷⁵ „კოლხიდა“, ლ. ასათიანი. რჩეული ლექსები და პოემები. ს. ჩიქოვანის წინასიტყვაობით. თბილისი, 1956, გვ. 198.

⁹⁷⁶ „ინათი და ყორათი“, ლ. ასათიანი. რჩეული ლექსები და პოემები. ს. ჩიქოვანის წინასიტყვაობით. თბილისი. 1956, გვ. 105.

რევოლუციის. ასათიანი ერთმანეთში ურევს ორ, სხვადასხვა ანტიკურ ტერმინს, იბერიას და ხალიბებს და მათთან დაკავშირებულ ტრადიციულ ცნობებს. მისთვის ხალიბები იბერიის მაცხოვრებლები არიან. პირველივე სცენაში აღწერილია იბერიელთა სოფელი და ხალიბები, რომლებიც ფოლადს ადნობენ.⁹⁷⁷ ანტიკური ტრადიცია ხალიბებს რკინის დამუშავებასთან ხშირად აიგივებდა და ეს ხალხი ამ უნარით იყო გამორჩეული, რასაც ანტიკური წყაროები არაერთხელ აღნიშნავენ. პოეტი იცნობს ამ ცნობას, თუმცა ხალიბები არც ქრონოლოგიურად, არც გეოგრაფიულად არ შეიძლება ყოფილიყვნენ იბერიის ნაწილი. ხალიბებს უმეტესად არქაიკის და კლასიკური პერიოდის წყაროები მოიხსენიებენ, ხოლო იბერიის შექმნა და მათი ანტიკურ წყაროებში მოხსენიება ბევრად გვიანდელი, უკვე ელინისტური ეპოქის ამბავია. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ხალიბების გეოგრაფიული განსახლების არეალი ზუსტი ცნობების დეფიციტის მიუხედავად, საქართველოს ტერიტორიიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით, თანამედროვე თურქეთის ტერიტორიაზე მდებარეობს. ქსენოფონის მიხედვით, მათი ლოკალიზება შესაძლებელია მდინარე ევფრატის სათავესთან (V, 5, 1), ხოლო სკილაქსის (Scyl. 88) და ბევრად უფრო გვიანდელი პლინიუსის მიხედვით (VI, 11), შავი ზღვის სანაპირო ზოლზე, არა მხოლოდ ტრაპეზუსიდან (თანამედროვე ტრაპიზონი), არამედ კოტიორადან (თანამედროვე ორდუ) ბევრად უფრო დასავლეთით, ისე, რომ თუნდაც ამ ხალხის ქართველურ სამყაროსთან დაკავშირების შემთხვევაშიც, მათ არანაირი შეხება არ ჰქონდათ ანტიკურ იბერიასთან.

ლადო ასათიანი ამ ისტორიულ და გეოგრაფიულ თავისებურებებს არ ითვალისწინებს, თუმცა იცნობს ხალიბებს როგორც რკინის დამუშავებაში დახელოვნებულ ხალხს და აკავშირებს მათ ანტიკურ იბერიასთან, რომელიც მის ამ ლექსში უკვე ძლიერ, მეომარ („მამაცი იბერიელები“, „ქართულ იარაღს აწრთობენ“ ა.შ.) და მდიდარ (თუ „მაღალ-მაღალ ცხენებს“ სიმდიდრედ მოვთარგმნით, რაც სრულიად დასაშვებია ანტიკური სტანდარტით ცხენის, როგორც სიმდიდრის და ფუფუნების სიმბოლოს, ელიტური საბრძოლო და სატრანსპორტო საშუალებად აღქმის შემთხვევაში) ხალხად არის წარმოდგენილი.⁹⁷⁸ ამ შემთხვევაშიც იბერია და საქართველო, პრაქტიკულად, პარალელური ცნებებია. იბერია პოეტისთვის ისტორიული საქართველოს ნაწილია, ისტორიულ, წარსულის საქართველოს აღნიშნავს. მთლიანად ლექსში აჯანყების დაპირისპირების, არდამორჩილების პათოსია წინა პლანზე წამოწეული. იქვე ჩნდება უკვე მისი საბჭოთა

⁹⁷⁷ „პირველი მჭედლები“, ლ. ასათიანი. რჩეული ლექსები და პოემები. ს. ჩიქოვანის წინასიტყვაობით, თბილისი, 1956, გვ. 72.

⁹⁷⁸ „პირველი მჭედლები“, ლ. ასათიანი. რჩეული ლექსები და პოემები. ს. ჩიქოვანის წინასიტყვაობით. თბილისი, 1956, გვ. 72.

თანამედროვეობის აღმნიშვნელი სიმბოლოები („ერი აჯანყებული“ და „წითელი აბრეშუმები“). ანტიკური იბერიის კონტექსტში თანამედროვე ცნებების შემოტანით ავტორი ქმნის განცდას, რომ ეს აჯანყების, გამბედაობის, არდამორჩილების კულტურა და ტრადიცია ყველა, მათ შორის ისტორიულ ეტაპზე სახასიათო იყო საქართველოსთვის და მისი თანამედროვე, პოსტრევოლუციური საქართველოც იმ ანტიკური იბერიის ტრადიციას აგრძელებს.

ამავე განწყობას ქმნის რკინის, უფრო სწორად, ფოლადის გამოქედვის და დამუშავების სცენები. იბერია, რომელიც როგორც ზემოთ აღვნიშნე, ხალიბებთან იგივდება, წარმოდგენილია, როგორც რკინის/ფოლადის დამუშავების უძველესი კულტურა, რაც ირიბულად უკავშირდება უკვე პოეტის თანამედროვე საბჭოთა ინდუსტრიალიზაციას. ფოლადის დამუშავება საბჭოთა ინდუსტრიალიზაციის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვან სიმბოლოს წარმოადგენდა. ასათიანი ცდილობს, რომ შექმნას ორი ერთმანეთთან დაკავშირებული სიბრტყე – ისტორიული, ანტიკური წარსული, რომელიც ორგანულად უკავშირდება მის, საბჭოთა თანამედროვეობას და ერთ-ერთი ასეთი დამაკავშირებელი რკინის/ფოლადის დამუშავებაა. იბერიელები/ქართველები ის ხალხია, რომელთაც ეს საქმე ისტორიულად ეხერხებოდათ და ახლა მას უკვე საბჭოთა რეალობის ფარგლებშიც აგრძელებენ.

ანტიკური ეპოქის ხალიბები, როგორც რკინის დამუშავების დიდოსტატები, მოხსენიებული არიან ლადო ასათიანის კიდევ ერთ ლექსში – „ქართველი ოქროსმადიებლების სიმღერა“. აღნიშნულ ნაწარმოებში ძირითადი მოტივი კვლავ საქართველოს, ამ კონკრეტულ შემთხვევაში უფრო მეტად სამხრეთ საქართველოს, კერძოდ, სამცხის, ისტორიული საათაბაგოს დიადი წარსულია. პოეტი ამ მხარეს ოქროს ძიების ტრადიციასთან აკავშირებს და ამოდის იმ ისტორიული ნარატივიდან, რომ საქართველო ისტორიულად ოქროს მხარეა. აქვე შემოდის სხვა ისტორიული ნარატივები, მაგალითად, ოქროს თურქი დამპყრობლებისგან დამალვის მოტივი („ჩვენ ვმაღავთ ოქროს, ვატარებთ ძაძებს და ამნაირად ვიტყუებთ თურქებს“) და ღირსეული ბატონებისგან ამ მხარის მართვის ამბავი („ჩვენც ბატონებიც გვყავს ღირსეული, სამცხის მრისხანე ათაბაგები“).⁹⁷⁹ ეს უკანასკნელი საკმაოდ კონტროვერსიული ფრაზაა გამომდინარე იქიდან, რომ ოფიციალური საბჭოთა ნარატივით ფეოდალური ეპოქის საქართველო, კერძოდ, თავადების მიერ ცალკეული კუთხეების მართვის პრაქტიკა, მხოლოდ ნეგატიურ კონტექსტში შეიძლება ყოფილიყო წარმოჩინებული, ლადო ასათიანის ეს ფრაზა კი ოფიციალურ ნარატივს არ შეესაბამება. თუმცა საბჭოთა პროპაგანდისტულ ხაზს სრულად აგრძელებს

⁹⁷⁹ „ქართველი ოქროსმადიებლების სიმღერა“, ლ. ასათიანი. რჩეული ლექსები და პოემები. ს. ჩიქოვანის წინასიტყვაობით. თბილისი, 1956, გვ. 82.

თურქეთის, ანუ ოსმალეთის იმპერიის, უპირველეს და ისტორიულ მტრად წარმოჩინების მოტივი, რომელიც საბჭოთა საქართველოს ისტორიოგრაფიის, ისტორიის რეპრეზენტაციის და ისტორიული კვლევის ერთ-ერთი ძირითადი მოტივი გახლდათ.

ტექსტში ორგზის არის მოხსენიებული ანტიკური ხალიბები, რომლებიც ქართველური სამყაროს ნაწილი შეიძლება ყოფილიყვნენ. ერთ შემთხვევაში პირდაპირ, როდესაც ნათქვამია, რომ „ჩვენ ამავე დროს ვართ მეომარნი, ომში ხალიბურ ხმაღს ვახელებდით“. ამ შემთხვევაშიც ხალიბები ასოცირდება ანტიკურ წყაროებში არაერთგზის მოხსენიებულ მეტალის დამუშავების ტრადიციასთან და „ხალიბური ხმაღი“ მის ხარისხზე უნდა მეტყველებდეს და კომპლიმენტად იქნეს გაგებული. მეორე შემთხვევაში კი, ხალიბები პირდაპირ არ მოიხსენიება, თუმცა პოეტი მოიხსენიებს „ჩვენ ნაშიერებს მჭედელ ტომების“. ამ ფრაზაში სავარაუდოდ ასევე ხალიბები მათ უკვე მოხსენიებული მეტალის დამუშავების ტრადიცია უნდა იგულისხმებოდეს.

ლადო ასათიანი თავის შემოქმედებაში ამ ტიპის ანტიკურ ტრადიციულ ინფორმაციას სხვა შემთხვევებშიც არაერთხელ იხსენიებს. ამჯერადაც ანტიკური ტრადიცია პოეტისთვის ხარისხთან, მნიშვნელობასთან, გამორჩეულობასთან ასოცირდება. მაგალითად, პოემაში „კოლხიდა“ იგი ორჯერ იხსენიებს მდინარე ფასისში ოქროს მოპოვების ნარატივს. მდინარე ფასისს და, ზოგადად, კოლხისს, ანტიკური ტრადიცია და ანტიკური წყაროები არაერთხელ აკავშირებენ ოქროსთან. ანტიკურ წყაროებში სისტემატიურად გვხვდება დეფინიცია – „ოქრომრავალი კოლხეთი/კოლხისი“. ლადო ასათიანიც იცნობს ანტიკურ ტრადიციას და აღნიშნულ პოემაში ჯერ აღნიშნავს, რომ „ფაზისი მორბის და ოქროს ზიდავს“ და „ფაზისის ოქრო უქმად არ ბრწყინავს“.⁹⁸⁰

აღნიშნულ პოემაში ანტიკური მდინარე ფაზისი/ფასისი ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან სიმბოლოს წარმოადგენს. პოეტი მას პირდაპირ უწოდებს „ბერძნულ მითების გაბრწყინებულს“, ადგილს, რომელსაც ოდებით და დითირამებით უნდა უმღეროს და ხოტბა შეასხას და ადგილი, რომელსაც მგოსანთა მოდგმა მიაქვს. ყველა ამ შემთხვევაში ფასისი ის მდინარეა, რომელიც ანტიკური ეპოქის საქართველოს დიად და სახელოვან წარსულთან ასოცირდება და ეს იმის მიუხედავად, რომ პოემის ძირითადი გზავნილი საბჭოთა აწმყოს უპირატესობის დემონსტრირებაა ისტორიულ, მათ შორის, ანტიკურ, წარსულთან შედარებით.

⁹⁸⁰ „კოლხიდა“, ლ. ასათიანი. რჩეული ლექსები და პოემები. ს. ჩიქოვანის წინასიტყვაობით. თბილისი, 1956, გვ. 194-195.

ანტიკური სიმბოლოებით უაღრესად დატვირთულია ლადო ასათიანის კიდევ ერთი ლექსი – „ილიასადმი“. ეს ლექსი 1936 წლით თარიღდება და უაღრესად მნიშვნელოვანია გამომდინარე იქიდან, რომ ის ილია ჭავჭავაძეს ეძღვნება და იგი დიდ ქართველ საზოგადოებრივ მოღვაწედ არის წარმოჩინებული. ზოგადად, 30-იან წლებში, ძირითადად 1932 წლიდან, საბჭოთა კავშირში დაიწყო ისტორიის რეაბილიტაციის, ანუ მისი მასობრივად გადააზრების და საბჭოთა ნარატივზე მორგების პროცესი. ილია ჭავჭავაძე, რომელიც იქამდე საბჭოთა პროპაგანდის მიერ მრავალი წლის მანძილზე საბჭოთა საქართველოში, პრაქტიკულად, აკრძალულ მწერლად მიიჩნეოდა, როგორც რეაქციონერი და ნაციონალისტი, 1937 წელს რეაბილიტირდა და საბჭოთა პროპაგანდა იწყებს მის დადებით სახედ გადააზრებას და წარმოდგენად. 1937 წელს გაზეთმა „პრავდამ“ ილია ჭავჭავაძეს „საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწე, თვითმპყრობელობისა და ბატონყმობის წინააღმდეგ მგზნებარე მებრძოლი“ უწოდა. ამავე წელს მასშტაბურად აღინიშნა ილია ჭავჭავაძის იუბილე. ლადო ასათიანის ლექსი ქრონოლოგიურად წინ უსწრებს ილიას საზოგადოებრივ რეაბილიტაციას. ეს ორი სხვადასხვა ვერსიით შეიძლება აიხსნას: 1. ილიას რეაბილიტაცია არა ერთჯერადი და უცაბედი, არამედ ეტაპობრივი და დროში გაწელილი პროცესი იყო და ლადო ასათიანმაც იცის და ხვდება, თუ როგორ იცვლება საბჭოთა პროპაგანდის დამოკიდებულება ილიასადმი და მისი ეს ლექსიც ამ განწყობას მიჰყვება და სრულ შესაბამისობაშია პროპაგანდისტულ ნარატივთან. 2. ლადო ასათიანის ლექსი წინ უსწრებს ილიას სახის რეაბილიტაციას და ის გარკვეულწილად უსწრებს დროს და მოვლენების დინამიკას.

ილია ჭავჭავაძეზე საუბრის დროს ლადო ასათიანი არაერთხელ იყენებს ანტიკურ სიმბოლოებს. ამ შემთხვევაშიც, ისევე როგორც ასათიანის პოეზიის მნიშვნელოვან ნაწილში, ანტიკურობა და მასთან დაკავშირებული სიმბოლოები პოეტისთვის სიდიადის, მნიშვნელობის, მასშტაბურობის გამომხატველი, ერთმნიშვნელოვნად დადებითი სიმბოლო-ტერმინებია. იმისთვის რომ მან ილიას მნიშვნელობა აჩვენოს ლექსის დასაწყისშივე ის გამოიყენებს ორ ანტიკურ ტერმინს – მისთვის ილია არის „მუზების ღმერთი“ და შედარებულია ანტიკურ ოლიმპიელ ღმერთებს – „შუბლმალაღი ოლიმპიელი“ და „ოლიმპიელი“.⁹⁸¹ უკვე, შემდეგ, მე-5-6 სტრიქონებში პოეტი ილიას მნიშვნელობის და ღვაწლის აღსაწერად კიდევ ერთ ანტიკურ სიმბოლოს გამოიყენებს. ერთი მხრივ, იგი შედარებულია მითოლოგიურ პრომეთეს – ილია პრომეთეს მსგავსად ახალი რეალობის შემოქმედია. პრომეთე

⁹⁸¹ „ილიასადმი“, ლ. ასათიანი. რჩეული ლექსები და პოემები. ს. ჩიქოვანის წინასიტყვაობით. თბილისი, 1956, გვ. 108.

ანტიკურობისთვის ის მითოლოგიურ-ლიტერატურული გმირია, რომელმაც ღმერთებს ადამიანებისთვის ცეცხლი, როგორც ტექნოლოგიის, ცივილიზაციის, ცოდნის სიმბოლო მოსტაცა და ადამიანის ტექნოლოგიურ განვითარებას, ადამიანურ ცივილიზაციას დაუდო დასაბამი. პრომეთეს აღქმა ანტიკურობაში განსხვავებულია – არსებობს, მისი ერთმნიშვნელოვნად უარყოფითი აღქმა (როგორც, მაგალითად, ჰესიოდეს „სამუშაონი და დღენი“), ასევე დადებითი აღქმა (მაგალითად, ესქილეს „მიჯაჭვული პრომეთე“). თუმცა, ყველა შემთხვევაში ანტიკურობისთვის პრომეთე განმანათლებელი გმირია, „კულტურთრეგერია“, ცივილიზაციის შემომტანია. ასათიანი ილიასაც ამ ტიპის გმირად და მოღვაწედ განიხილავს – ისიც განმანათლებელია, ადამიანი, რომელმაც „სინათლე მოსტაცა დღეს“.⁹⁸² აქ, რა თქმა უნდა, იგულისხმება, რომ ადამიანებისთვის მოსტაცა სინათლე და უნდა იგულისხმებოდეს ის ფართომასშტაბიანი განმანათლებელი, საქართველოში ცოდნის და განათლების გაღრმავებისაკენ მიმართული მოღვაწეობა, რომელსაც ილია უძღვებოდა მთელი მისი ცხოვრების მანძილზე. ამ კუთხით, პოეტი, ერთი მხრივ, ერთიან კონტექსტში წარმოადგენს ამ ორ პერსონაჟს – ანტიკურობის პრომეთეს და მის, წინა თაობის საზოგადოებრივ მოღვაწე ილია ჭავჭავაძეს.

მეორე მხრივ კი, ლადო ასათიანი, როგორც სახასიათოა მისი პოეზიისთვის, ადარებს და გარკვეულწილად უპირისპირებს ამ ორ პერსონაჟს ერთმანეთს. ასათიანი სხვა ლექსებშიც ხშირად აპირისპირებს საქართველოს ანტიკურ ან, ზოგადად, ისტორიულ წარსულს და მის თანამედროვეობას და აქცენტს აკეთებს თანამედროვე ყოფის უპირატესობებზე. ეს ერთიანი დინამიკა ჩვენ არაერთხელ ვნახეთ მის სხვადასხვა ლექსსა თუ პოემაში. ამ შემთხვევაშიც, პოეტისთვის ილია და პრომეთე, ერთი ტიპის, განმანათლებელი, ცივილიზაციის გამავრცელებელი გმირები არიან, თუმცა, მეორე მხრივ, ისინი უპირისპირდებიან ერთმანეთს. ილია თავისი „სინათლით“ უპირისპირდება და ცვლის პრომეთეს ცეცხლს („მოსტაცა დიდი სინათლე დღეს და პრომეთეს ცეცხლი მისცა უკუნეთს“). ამ შემთხვევაშიც ავტორისთვის უკვე ჩვეული, პოეტური ხერხი უნდა იყოს წარმოდგენილი – ის უპირისპირებს მის თანამედროვეობას (თუ დავუშვებთ, რომ საბჭოთა პროპაგანდა ილიას რეაქციის და უსამართლობის წინააღმდეგ მეზრძოლ, თითქმის სოციალიზმისთვის მეზრძოლ გმირად წარმოადგენდა) წარსულს, რომელსაც პრომეთე განასახიერებს. წარსული ცივილიზაციის, ძველი კულტურის თუ ტექნოლოგიის სიმბოლო, პრომეთესეული ცეცხლი, თანამედროვე, უფრო სწორი და სამართლიანი ცივილიზაციური წესრიგით, ილიასეული სინათლით ჩანაცვლდა.

⁹⁸² „ილიასადმი“, ლ. ასათიანი. რჩეული ლექსები და პოემები. ს. ჩიქოვანის წინასიტყვაობით. თბილისი, 1956, გვ. 108.

პოეტი პირდაპირ არ ამბობს, თუმცა იგულისხმება, რომ ილიას სინათლე უკეთესი, უფრო უკეთესი წესრიგის სიმბოლოა.

ამ შემთხვევაშიც პოეტისთვის ანტიკურობა ქმნის იმ სიმბოლოებს, რომელთა მეშვეობითაც მას შეუძლია მისი ძირითადი სათქმელი თქვას და ანტიკური სიმბოლოები წარსულის და თანამედროვეობის შედარება-დაპირისპირებისთვის გამოიყენოს.

ლექსში „ილია ჭავჭავაძე“ პოეტი კვლავ გამოიყენებს ანტიკურ ტერმინ-სიმბოლოებს იმისთვის, რათა ილია ჭავჭავაძის მნიშვნელობა, მისი ისტორიული სიდიდე და მასშტაბურობა გადმოსცეს. ილიას იგი ამ სიტყვებით მიმართავს: „ჩვენი მშვენიერაჲ, ჩვენი გვირგვინო, ილიადაზე მეტო ილია“. ჰომეროსის „ილიადა“ ანტიკურობაშიც და მის შემდგომ ლიტერატურულ ტრადიციაშიც უპირობოდ მიჩნეული იყო, როგორც საუკეთესო, ყველაზე დიადი და მნიშვნელოვანი ლიტერატურული ძეგლი. ლადო ასათიანი იცნობს „ილიადის“ ამ აღქმას და შეფასებას და იყენებს მას იმისთვის, რომ ილია ჭავჭავაძის მნიშვნელობა „ილიადასთან“ შეფარდებით, მასთან შედარებით გადმოსცეს. „ილიადაზე“ მეტი“ აღნიშნავს ილია ჭავჭავაძის სრულიად განსაკუთრებულ და ყველაზე დიდ როლს საქართველოს უახლეს ისტორიაში.⁹⁸³

ამავე ლექსში, სულ რამდენიმე სტრიქონის შემდეგ ილიას ისტორიული როლი და ფუნქცია საქართველოში კიდევ ერთი ანტიკური მითოლოგიური სიმბოლოთი არის გადმოცემული. იგი ტიტან ატლასთან/ატლანტთან არის დაკავშირებული. ანტიკური მითოლოგიური ტრადიციის თანახმად სამყარო ტიტან ატლანტს უჭირავს. თავის მხრივ, ტიტანები ბერძნული მითოლოგიური ტრადიციის მიხედვით წინარეოლიმპიური თაობის ღმერთები არიან, რომლებმაც ტიტანომაქიის, ანუ ძველი და ახალი, პრეოლიმპიური და ოლიმპიური თაობის ღმერთების ბრძოლა დათმეს. ილია ამ შემთხვევაშიც (ისევე, როგორც მის სხვა ლექსებში) შედარებულია ანტიკურ ღმერთებს. გარდა ამისა, ატლასი ის ტიტანია, რომელიც გამარჯვებულმა ზევსმა სხვა ტიტანებისგან განსხვავებულად დასაჯა. ატლასს კლასიკური ტრადიციით ხელთ უპყრია, უფრო სწორად, მხრებზე აქვს შემოდებული სფერო, რომელიც ანტიკური ვარსკვლავის, პლანეტის, მზის ან მთვარის სიმბოლო შეიძლება იყოს. უფრო გვიანდელი ტრადიციით ატლასს მხარზე მთელი დედამიწა აქვს შემოდებული, ხოლო კიდევ ერთი ვერსიით კი ზეცა უჭირავს. ანტიკური ტრადიცია ატლასს მომთმენ, მტანჯველ, უფრო სწორად ტანჯვის მომთმენ გმირად წარმოსახავს. ილია ჭავჭავაძეც პოეტის მიხედვით შედარებულია ატლანტს (იგივე ატლასს, სახელის

⁹⁸³ „ილია ჭავჭავაძე“, ლ. ასათიანი. რჩეული ლექსები და პოემები. ს. ჩიქოვანის წინასიტყვაობით. თბილისი, 1956, გვ. 112.

უფრო თანამედროვე ვერსიის მიხედვით) – „განიერ მხრებზე ატლანტის მსგავსად, შენ გეპყრა მთელი ჩვენი ქვეყანა“.⁹⁸⁴

ამ შედარებით ხაზი აქვს გასმული როგორც ილიას ძალას, ისე მის ფუნდამენტურ მნიშვნელობას საქართველოსთვის. ანუ, როგორც ატლასს უჭირავს მთელი დედამიწაზე, ასე ილიას ეჭირა, მასზე იდგა მთელი საქართველო.

აღნიშნული სტრიქონები არ გვადლევს უფრო მეტი ინტერპრეტაციის საშუალებას, თუმცა შესაძლოა პოეტის მიერ ამ შედარებაში უფრო სიღრმისეული გზავნილიც იგულისხმებოდეს. კერძოდ, ატლასი არა მხოლოდ ძლიერი და ფუნდამენტური მნიშვნელობის მქონე მითოლოგიური გმირია, არამედ ის არის მეცნიერებების კარგი მცოდნე – კერძოდ, გათვითცნობიერებულია ფილოსოფიაში, ასტრონომიასა და მათემატიკაში. ეს დამოწმებულია დიოდოროსთან.⁹⁸⁵ ეს ტრადიცია ანტიკურობის შემდეგაც აგრძელებდა არსებობას. XVI საუკუნის რუკათა კრებულს ნიდერლანდელმა გეოგრაფოსმა, გერარდუს მერკატორმა ატლასის, როგორც ცოდნის, მეცნიერების სიმბოლოს, პატივსაცემად სწორედ მისი სახელი უწოდა. ატლასი არა მხოლოდ ძალმოსილი, არამედ ინტელექტუალური გმირიც არის. ლადო ასათიანის პოეზიაში არ იკვეთება დაზუსტებით ილია ჭავჭავაძის ატლასთან/ატლანტთან შედარების დროს, თუკი იგულისხმება ეს გზავნილიც. არ ჩანს, თუკი პოეტი ასე სიღრმისეულად იცნობს ანტიკურ მითოლოგიურ ტრადიციას. შესაბამისად, შესაძლოა მხოლოდ ორივე ვარიანტი იქნეს მოხმობილი – ლადო ასათიანისთვის ატლასი შეიძლება იყოს მხოლოდ ის გმირიც, რომელზეც მთელი ქვეყანა დგას, ანუ ამ მითოლოგიური პერსონაჟის უფრო ფართოდ გავრცელებული აღქმა, ან სხვა ვერსიით, შესაძლოა, ატლასის ტრადიციულ გაგებასთან ერთად, იგულისხმებოდეს მისი უფრო სიღრმისეული, ინტელექტუალურ მითოლოგიურ პერსონაჟად წარმოსახვაც. ყველა შემთხვევაში ლადო ასათიანისთვის ანტიკური სიმბოლო კვლავ მნიშვნელოვანი საშუალებაა იმისათვის, რათა ის თანამედროვეობას მოარგოს და საკუთარი სათქმელი გამოხატოს.

ანტიკურ ტერმინს ქართველი პოეტის განსაზღვრულად გამოიყენებს ლადო ასათიანი ლექსში – „ნიკოლოზ ბარათაშვილს“. ეს ლექსი, რომელიც ნიკოლოზ ბარათაშვილს ეძღვნება, აპოლოგეტური ხასიათისაა და მისი სიდიადის და მნიშვნელობის მთავარ გამომხატველად ლადო ასათიანი ბარათაშვილის მთაწმინდის პანთეონში განსვენებას მიიჩნევს. მთაწმინდას იგი უწოდებს „ქართული პოეზიის

⁹⁸⁴ „ილია ჭავჭავაძე“, ლ. ასათიანი. რჩეული ლექსები და პოემები. ს. ჩიქოვანის წინასიტყვაობით. თბილისი, 1956, გვ. 112.

⁹⁸⁵ Bibliotheca historica, Book III 60.2; Bibliotheca historica, Book IV 27.4-5.

წმინდა პარნასს“.⁹⁸⁶ პარნასი, ანუ პარნასოსის მთა, რომელიც ცენტრალურ საბერძნეთში მდებარეობს, ანტიკური მითოლოგიური ტრადიციის მიხედვით ხელოვნების ღმერთ აპოლონთან იყო ასოცირებული. პარნასოსზე ცხოვრობდა ორფეოსი, სახელგანთქმული ბერძენი, მითოლოგიური ხელოვანი და იქ ცხოვრობდნენ მუზები. შედეგად, პარნასოსი იყო პოეზიის, მუსიკის და ხელოვნება-შემეცნების ადგილი. შესაბამისად, შემთხვევითი არ არის, რომ პოეტი ნიკოლოზ ბარათაშვილისადმი მიძღვნილ სახოტბო ლექსში, მთაწმინდას, მის განსასვენებელ ადგილს „ქართული პოეზიის პარნასოსს“ უწოდებს, ხოლო შემდეგ სტრიქონში კი აღნიშნავს, რომ ეს არის „სამყოფელი ქართულ მუზების“. მრავლობითი რიცხვით ლადო ასათიანი უნდა აღნიშნავდეს, რომ მთაწმინდაზე ბარათაშვილთან ერთად ქართული პოეზიის და, ზოგადად, მწერლობის ბევრი სხვა მნიშვნელოვანი წარმომადგენელიც განისვენებს. ამ შემთხვევაშიც ჩანს, რომ პოეტი საკმაოდ კარგად იცნობს ანტიკურ მითოლოგიურ ტრადიციას და საკმაოდ წარმატებით იყენებს ანტიკურ ტერმინებს თავისი სათქმელის უფრო ზუსტად და ხატოვნად გადმოსაცემად.

ლადო ასათიანისთვის ერთ-ერთი ყველაზე ხშირად გამოყენებული ანტიკური ტერმინი-სიმბოლო დიონისეა, რომელსაც იგი რამდენჯერმე, სხვადასხვა ლექსში, სხვადასხვა სახელით (დიონისო, ბახუსი) გამოიყენებს. ყველა შემთხვევაში მისთვის დიონისე თრობის, ვაზის და ღვინის ღმერთია და პოეტი მის ყველა ლექსში დიონისეს ამ კონტექსტით გამოიყენებს: 1. „ღვინისა და თრობის ღმერთი, დიონიოსო, მოდის“ („კოლხიდა“), 2. „ვენახში დადის ბახუსი, მოაქვს მტევნები ვაზისა“ („ისმინეთ ქება ვენახის“). 3. „და სუფრის ბოლოს ხითხითებდა მთვრალი ბახუსი“ („გულბაათ ჭავჭავაძე“). 4. „და დიონისო ლოყებწითელი, ულვაშიანი და ჯიშიანი – მათ წინ მოუძღვის, თან მოაქვს ხელით ასი წლის ვაზი, ფოთოლთ შრიალით“ („კოლხიდა“).⁹⁸⁷

ყველა ამ შემთხვევაში დიონისე სმის, დროსტარების, ლხინის, ვაზის მოყვანის კულტურის აუცილებელი თანმდევა. „გულბაათ ჭავჭავაძეში“ ის იმ სუფრის მონაწილეა, რომელსაც გულბაათი უძღვება და პოეტი ამ სუფრას დეტალურად აღწერს. „ისმინეთ ქება ვენახისაში“ დიონისე უკვე ვენახშია წარმოდგენილი, ხოლო პოემაში „კოლხიდა“ დიონისე ორჯერ იხსენიება ვენახის კონტექსტში და როგორც ღვინის და თრობის ღმერთი. ამ მხრივ, პოეტის მიერ დიონისეს აღქმა და ამ ანტიკური

⁹⁸⁶ „ნიკოლოზ ბარათაშვილისადმი“, ლ. ასათიანი. რჩეული ლექსები და პოემები. ს. ჩიქოვანის წინასიტყვაობით. თბილისი, 1956, გვ. 114.

⁹⁸⁷ „კოლხიდა“, ლ. ასათიანი. რჩეული ლექსები და პოემები. ს. ჩიქოვანის წინასიტყვაობით. თბილისი, 1956, გვ. 195-196; „ისმინეთ ქება ვენახის“, ლ. ასათიანი. რჩეული ლექსები და პოემები. ს. ჩიქოვანის წინასიტყვაობით. თბილისი, 1956, გვ. 25; „გულბაათ ჭავჭავაძე“, ლ. ასათიანი. რჩეული ლექსები და პოემები. ს. ჩიქოვანის წინასიტყვაობით. თბილისი, 1956, გვ. 85.

ტერმინის გამოყენება დიდწილად სტანდარტულ ხასიათს ატარებს და სიღრმისეული და სიმბოლური გზავნილებისათვის არ გამოიყენება.

ანტიკურ ტერმინებს ლადო ასათიანი იყენებს ავტობიოგრაფიულ ლექსში, „როგორ არ მინდა“, რომელიც 1941 წლით, მის გარდაცვალებამდე ორი წლით ადრე არის შექმნილი. მასში პოეტი, რომელსაც ტუბერკულოზი, ე.წ. ჭლექი აწუხებდა, თავისი ჯანმრთელობის მდგომარეობის და დაავადების შესახებ წერს. ის წუხს თავის ჯანმრთელობაზე, იხსენებს, რომ ეს დაავადება ვაჟა-ფშაველასაც აწუხებდა (ოფიციალური სამედიცინო დიაგნოზით – ფილტვების პლევრიტი). ამ ლექსში პოეტი იხსენიებს, რომ ამ დაავადებას ჯერ კიდევ ჰიპოკრატესი იცნობს და ეს დაავადება ანტიკურ ბერძნებს და რომაელებსაც აწუხებდათ. ეს ეპიზოდი საყურადღებოა ორი კუთხით – ერთი მხრივ, ასათიანი კიდევ ერთხელ (იხსენიებს სხვა ლექსებშიც) ადასტურებს, რომ კარგად იცნობს ჰიპოკრატესს და მის ნაწარმოებს („ჰაერთა, წყალთა და ადგილთა შესახებ“), რომელიც ანტიკურობის ყველაზე ცნობილ ნაწარმოებებს შორის ნამდვილად არ შედის. მეორე მხრივ, ის ანტიკურობას კიდევ ერთხელ იყენებს თანამედროვეობასთან დაპირისპირებისა და შედარების კონტექსტში. კერძოდ, აღნიშნავს, რომ ძველმა საბერძნეთმა და რომმა ჭლექი ვერ დაძლია, თუმცა „ახალი დროის ქალ-ვაჟებს ვერ მოერევა“.⁹⁸⁸ ამ ლექსშიც ვხედავთ, რომ პოეტი, ერთი მხრივ, კარგად იცნობს, ანტიკურობას, ხოლო, მეორე მხრივ, მას ამბივალენტურად იყენებს – თანამედროვეობასთან კონტრასტის საჩვენებლად, როგორც ზემოთ ხსენებული ლექსის („როგორ არ მინდა“) შემთხვევაში, ასევე მნიშვნელობის, ხარისხის, მასშტაბურობის, სიდიადის საჩვენებელ და გამომხატველ სიმბოლო-ტერმინებად.

ანტიკურობის საკმაოდ სიღრმისეული ცოდნა ჩანს მის კიდევ ერთ ლექსში („ოცდაორჯერ“), როდესაც პოეტი ახსენებს მირონის ქანდაკებას დისკოს მტყორცნელი ჭაბუკი, რომელიც თანამედროვეობისთვის მისი რომაული ასლების მეშვეობით გახდა ცნობილი.⁹⁸⁹ ლადო ასათიანი თანამედროვე ტექნოლოგიებამდე ეპოქაში იცნობს ამ სკულპტურას 30-იანი წლების საბჭოთა რეალობაში და გამოიყენებს მას შედარებისათვის.

ანტიკური ტერმინების რეცეფციის კუთხით უაღრესად მნიშვნელოვანია ზემოთ უკვე არაერთგზის მოხსენიებული პოემა „კოლხიდა“. ზემოთ ხსენებული ტერმინების გარდა ლადო ასათიანი მასში მოიხსენიებს ანტიკური მითოლოგიის ამორძალებს, რომელთაც ანტიკური ტრადიცია ხშირად სწორად კავკასიას ან მის მომიჯნავე რეგიონებს აკუთვნებს ხოლმე. ამორძალები მითოლოგიური ეთნონიმია, თუმცა

⁹⁸⁸ „როგორ არ მინდა“, ლ. ასათიანი. რჩეული ლექსები და პოემები. ს. ჩიქოვანის წინასიტყვაობით. თბილისი, 1956, გვ. 146.

⁹⁸⁹ „ოცდაორჯერ“, ლ. ასათიანი. რჩეული ლექსები და პოემები. ს. ჩიქოვანის წინასიტყვაობით. თბილისი, 1956, გვ. 129.

ანტიკური წყაროები ხშირად მათ ისტორიულ კონტექსტში განიხილავს. მაგალითად, მესამე მითრიდატული ომის დროს პომპეუსის კავკასიაში ლაშქრობის კონტექსტში ანტიკური ისტორიოგრაფიული წყაროები არაერთხელ მოიხსენიებენ ამადონებს იმ ხალხებს შორის, რომელთაც რომაელებს ბრძოლა გაუმართეს. ლადო ასათიანი ასევე იცნობს ამ ანტიკურ ტერმინს და მას ასევე კავკასიის კონტექსტში მოიაზრებს.⁹⁹⁰ თუმცა, თუ ანტიკური წყაროების გეოგრაფიულ მახასიათებლებს შევისწავლით, ამადონების გეოგრაფიული ლოკაცია განთავსებული უნდა იყოს დაახლოებით ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიაში, ან მისი მომიჯნავე რეგიონში, დაახლოებით კასპიის ზღვის სიახლოვეს, ან კავკასიონის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილთან. ლადო ასათიანი ამადონებს უფრო დასავლეთით, ისტორიული კოლხიდას (კოლხისის) ნაწილად მოიაზრებს. იგი ამადონებს და ლაზ მონებს ერთიან კონტექსტში, კოლხიდის ფარგლებში იხსენიებს – „და მაგონდება ლაზი მონები, და მაგონდება ამორძალები“.

ამავე პოემაში, კიდევ ერთი ანტიკური სიმბოლო-ტერმინი გვხვდება ოქროს ვერძის სახით, როდესაც პოეტი ასეთ პოეტურ ფორმულას გვთავაზობს, რომ ის წარსულში ოქროს ვერძის საშუალებით მიქრის. ანტიკურ, უფრო სწორად, წარსულის კოლხიდაში მოგზაურობის დროს პოეტი ოქროს ვერძს იყენებს – „მე ოქროს ვერძით წარსულში მივექრი“.⁹⁹¹

ოსებ ნონეშვილი (1918-1980)

მაია დანელია

ოსებ ნონეშვილი ბევრს მოგზაურობდა, ნამყოფი იყო საბერძნეთშიც. ამ ქვეყანასთან განსაკუთრებულ სიახლოვეს გრძნობდა. ოსებ ნონეშვილი მეგობრობდა ბერძენ პოეტთან იანის რიცოსთან და განსაკუთრებული სიყვარული ჰქონდა ბერძნული კულტურული მემკვიდრეობის მიმართ. ამიტომ არ არის გასაკვირი, რომ ასე ხშირად გვხვდება მასთან ელადას ხსენება: შორეულ გზაზე: „ვერც კი გავიგეთ, თვითმფრინავმა ისე გალია [...] /თურქეთი და ძველი ელადა“. ათენში, ბაირონის ძეგლთან, აკროპოლთან. ბუნებრივია მოულოდნელი არ იყო პარნასის სახე-სიმბოლო, როგორც პოეტისთვის გამორჩეული სახელის დამკვიდრების ადგილი:

⁹⁹⁰ „კოლხიდა“, ლ. ასათიანი. რჩეული ლექსები და პოემები. ს. ჩიქოვანის წინასიტყვაობით. თბილისი, 1956, გვ. 193.

⁹⁹¹ „კოლხიდა“, ლ. ასათიანი. რჩეული ლექსები და პოემები. ს. ჩიქოვანის წინასიტყვაობით. თბილისი, 1956, გვ. 194.

„ელადის ყვავილებო, პარნასთან რომ გნახეთ, [...]

ალბათ მიაცილებდით პარნასისკენ მრავალს.

პარნასს ბევრი იმედობს, და ვინ არის ღირსი,

ელადის ყვავილებო, იცით, კარგად იცით“.

„ელადის ყვავილებო“⁹⁹²

ანტიკურობას მასთან არ აქვს განსწავლულობის საილუსტრაციო დატვირთვა და, ასევე, ეს გავლენა, შესაძლოა იმითაც უნდა აიხსნას, რომ იგი ძალიან კარგად იცნობდა რუსულ და უცხოურ ლიტერატურას. ალბათ, ეს იყო მნიშვნელოვანი ინსპირაციის წყარო ანტიკურობასთან დაკავშირებული ტერმინების გამოყენებისას.

აქ უფრო დაწვრილებით შევხებით რამდენიმე ლექსს, რაც შთაბეჭდილებას შეგვიქმნის ანტიკური თემებით დაინტერესების ინტენსივობაზე.

მედეა

ამ პერიოდის ყველა პოეტი თვლიდა თავს ვალდებულად, რომ ერთი ლექსი მაინც მიემძვნა მედეასთვის, ზოგადად, არგონავტების მითი არის, ალბათ, ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ანტიკურ მითოსურ ციკლებს შორის.

ამის საილუსტრაციოდ შეგვიძლია რამდენიმე ლექსი ჩამოვთვალოთ: „ელადის ყვავილები“, „მედეა“, „* * *“ (გადაწყდა: უნდა სამაგიერო გადავუხადო ბერძნებს)“, „აქილევსი“, „* * *“ (... და გამოვტაცე არგონავტებს)“.

„მედეაში“ პოეტს აინტერესებს მედეა როგორც უცხო მხარეში უცხოობისთვის, სიმართლისთვის განწირული ქალი, რომელიც ბედნიერი იქნებოდა საკუთარ სამშობლოში, მის თავს ეს ამბები რომ არ დატრიალებულიყო, რომ არ შეჰყვარებოდა უცხოელი კაცი, რომ არ წაჰყოლოდა მას უცხო მხარეში. რა უბედურება არ დატრიალდა მის თავს, სატრფოს გრძნობა განელდა, უღალატა და სხვაში გაცვალა და ღმერთებმა ჩაადენინეს ქვეყნად უმძიმესი ცოდვა. აქ პოეტი გულისხმობს შვილების მკვლელობას, რასაც ვერბალურად არ ახსენებს და იმ ვერსიასაც უშვებს, რომ ეს უბრალოდ ცილისწამება იყო, როგორც ეს არაერთ ქართულ ნაწარმოებში გვხვდება.

„აქ, ქალაქ არგოში,

კორინთოს მახლობლად,

ძველი ბურჯები რომ ჩანან,

⁹⁹² ი. ნონეშვილი. თხზულებანი ორ ტომად. ტ. II. რედ.: ე. მაღრაძე. თბილისი, 1982.

უეცრად მომესმა გოდება კოლხური:
ვაი, ნანაია, ნანა...

წვიმს... ალბათ ეს შენ ხარ
ცრემლებად დაძრული
და გინდა არც გაიდარო...
კოლხეთის ყველაზე ლამაზო ასულო,
ჩემო დატანჯულო დაო.

თავი შეგაყვარა ბერძენმა სასიძომ,
შენც პირველ სიყვარულს ენდე.
ელინს წარგიტაცეს
და ოქროს ვერძივით
გაგყარეს მშობლიურ ქედებს.

მაგრამ სხვის მიწაზე ვის გაუხარია,
შენ რად დაგინდობდნენ, ქალო,
თუ ასე ლამაზი,
ბრძენი და კარგი ხარ,
ბერძენი რად არა ხარო?!

ჯერ გაგადედოფლეს...
სიმდიდრეც კოლხური
უხვად დაახვიეს ელინს.
შემდეგ კი მეუღლემ
გაგცვალა, გიმუხთლა,
გაცივდა ამბორი ცხელი.

უარგყვეს შურით და ლალატით დევნილი,
მფარველი ღმერთიც ვერ გცნობდა
და ვინ უწყს...
დაგწამეს თუ ჩაგადენინეს
ქვეყნად უმძიმესი ცოდვა.

შეგარქვეს გრძნეული,

ბოროტი, ავსული,
რა აღარ გიწოდეს ნეტავ...
ამ ქვეყნად ყველაზე ბედკრულო ასულო,
ყველაზე ტანჯულო დედავ.

შენი დედულეთი აქედან შორია,
ვაი რომ ვერასდროს ნახავ...
იქ ბევრი მედეა,
თამარი,
შორენა
შენს ბედზე დარდობენ ახლაც.

მედეა...
მედეა...
ღმერთმანი, მერწმუნე,
ცრემლსა და ბოდმაში ვახვევთ
ქართველი ასულის ჩვენამდე მოღწეულ
სულ პირველ,
შორეულ სახელს.

სხვაგან
სხვის მიწაზე ვის გაუხარია,
შენ რად დაგინდობდნენ, ქალო.
თუ ასე ლამაზი,
ბრძენი და
კარგი ხარ,
ბერძენი რად არა ხარო?!

წვიმს...
ალბათ ეს შენ ხარ
ცრემლებად დამრული
და გინდა არც გაიდარო...
კოლხეთის ყველაზე ტანჯულო ასულო,
ჩემო შორეულო დაო.

მედეას ლოგიკურ გაგრძელებად შეგვიძლია მივიჩნიოთ ლექსი „*** (გადაწყდა: უნდა სამაგიერო გადავუხადო ბერძნებს)“, რომელიც რევანშისტული პათოსით არის დაწერილი და გარკვეულწილად გვახსენებს ჰეროდოტოსის პასაჟს, სადაც გადმოცემულია, თუ როგორ დაედო სათავე ომებს ქალების გამო.

„გადაწყდა:

უნდა სამაგიერო

გადავუხადო ბერძნებს.

ქერაც ბევრია

და შავგვრემანიც...

ლამაზზე ლამაზს ვემებ.

... გადაწყდა

უნდა სამაგიერო

გადავუხადო ბერძნებს

ყურეში მიცდის

„არგოს“ მაგიერ ჩემს გემს „ფაზისი“ ჰქვია.

ვიდრე ამინდი

გზა-კვალს აგვირევს,

ვიდრე არ არის გვიან,

აქ პირეასთან

უნდა ვუყელო

და ხერხით ათასგვარით

მედეას ნაცვლად

გზას გავუყენო ერთი ბერძენი ქალი.

მაგრამ ინათა

და ხმაც მოისმა

ჭექა-ქუხილის მსგავსი...

თურმე ხითხითებს ღმერთი ომისა,

არესია თუ მარსი:

- შვიდობის მომხრევ

და ომის მტერო,

რა პასუხს გამცემ ახლა...

„მოტაცება“

და „სამაგიერო“

ჩემი სიტყვები გახლავს“.

აქვე უნდა შევეხოთ კიდევ ერთ ლექსს „*** (და გამოვტაცე არგონავტებს)“, რომელსაც ის თავის საყვარელ ცოლს უძღვნის, რომელსაც ასევე მედეა ჰქვია. ლექსში მედეას სახის რეციპირებით პოეტი ამბების შეპირისპირებით გადმოგვცემს ნაზ გრძნობებს ცოლისადმი. ლექსში ორი შინაარსობრივი ხაზი ვითარდება, ერთი მითოლოგიურ მედეასთან დაკავშირებული და მეორე, ნამდვილ პერსონაჟთან, ცოლთან დაკავშირებული.

„და გამოვტაცე არგონავტებს
ქალი მედეა,
ჩემი ხომალდით შერკინების
ჟამი ვიდროვე,
ავი ტალღები აიმართნენ
ჩემ წინ ქედებად,
ზარს ზუზუნებდნენ, მაგრამ
მე ვერ გამომიგლოვეს.
იმ ტალღებივით წლებიც უკან ჩამოვიტოვე,
შემდეგ თეთრონის ბილიკს გაჰყვნენ
საუკუნენი.
მტრებმა მედეას მოტაცება
კვლავ მოინდომეს,
ბევრჯერ ჭრილობა დამაჰდევეს
განუკურნელი.
ბევრჯერ უნდოდათ შეელეწათ
მკერდის ფიცარი,
მაგრამ მზის შუქი დაუბნელეს
ჩემმა ისრებმა.
მე საქართველოს სილამაზეს,
დოვლათს ვიცავდი,
ქართველი ქალის პირველ სახელს,
პირველ ღირებას.
... მე ამ თქმულებამ აწ გარდასულ
სასტიკ დრო-ჟამის
საუკუნეთა უფსკრულებში გადამახედა,
როცა კოლხეთის ბაღში გნახე

თეთრი შროშანი,
როცა გავიგე / შენც მედეა
გერქვა სახელად.
და მე მეგონა, განსხვავებით
ძველი ზღაპრიდან,
მტრებმა მედეას, ოქროს ვერძიც
ველარ წაგვართვეს,
„არგოს“ აფრები ჩვენი რისხვის
ქარმა დაფლითა,
ტალღებმა სადღაც მიამსხვრეს მაღალ
ქარაფებს.
ახალ კოლხეთში ყველა ბუჩქი
ოქროს გვაცრიდა
და მთიდან ზღვამდე ბალებს თვალი
ველარ სწვდებოდა.
მიირხეოდი, ეგ სინორჩე
შურდა აპრილსაც,
შენი სისავსე შემოდგომას ენატრებოდა.
ფეხთით გიფენდა ნიავექარი
ფერად ხალიჩებს,
ზღვა გეწვა გვერდით ზვირთთა
ფაფარგადავერცხლილი.
კალათით ხელში მიდიოდი,
კრეფდი ნარინჯებს
და მზე კვალდაკვალ მოგყვებოდა
ოქროს ვერძით.
... ჩემო მედეა, რა ვქნა, შენი მოიმედეა
ჩემი ოცნება, ჩემი ფიქრი,
ყმაწვილკაცობა.
მგონია, ღამე შენთა თვალთა
შუქით თენდება,
სიცოცხლემ დიდი სიხარული
შენით მაცნობა“.

არგონავტების თქმულების ციკლზე კიდევ ერთი ლექსი იპყრობს ჩვენს ყურადღებას „თურმე ღმერთებიც სცდებიან ძლიერ“:

„როცა პრომეთემ მოგტაცა ცეცხლი, ურჩმა პრომეთემ, მაღალო ზევსო, [...]
ფერად ყვავილად მოედო მთა-ბარს ყოველი წვეთი პრომეთეს სისხლის, [...]
უფრო ღვივდება პრომეთეს ცეცხლი“. (გვ. 291-292)

აქილევსი

ლექსში „აქილევსი“, პოეტი ცდილობს ამ პერსონაჟის ხვედრი დაუკავშიროს ქართველი ხალხის ბედს. და, რა თქმა უნდა, სპეციალურად არჩევს ამ მითოლოგიურ სახეს. აქ მისთვის არის ამოსავალი, რომ აქილევსს და ქართველებს აერთიანებს მსგავსი წარმომავლობა „ჩვენს წინაპრებად სთვლიან პელაზგებს, / იქნებ საბუთიც ბევრზე ბევრია“, ოდნავ ქვემოთ ვხვდებით „სული ღაზური თუ პელაზგური / განა ქართული სული არ არის?!“ ანტიკური ავტორების თანახმად, პელასგებად მოიხსენებიან ხალხი, რომლებიც ბერძნების წინაპრებად ითვლებიან. რამდენადაც სახელი აქილევსის ეტიმოლოგია ვერ იხსნება ბერძნული ფორმატივებით, არსებობს ჰიპოთეზა, რომ ეს სახელი პელასგური წარმომავლობისაა. შვედი ლინგვისტი ჯალმარ ფრისკი მიანიშნებს აქილევსის სახელის წინაბერძნულ წარმომავლობაზე.

პოეტისთვის ნიშან-თვისება, რითაც აქილევსი არის გამორჩეული, არის ვაჟკაცობა, უძლეველობა, უკვდავება. თუმცა პარალელს აქაც ავლებს აქილევსსა და ქართველ ხალხს შორის, რომ ორივეს ჰქონდა სუსტი წერტილი. აქილევსს, მიუხედავად იმისა, რომ დედამ, ქალღმერთმა თეტისმა განბანა სტიქსში, მოწყვლადი დარჩა ქუსლი, რითაც ეჭირა დედას. და სწორედ ქუსლში დაჭრის მას პარისი. მსგავსად აქვს ქართველებსაც სუსტი წერტილი, მიუხედავად იმისა, რომ მამაცები არიან და მეომარი სულით გამორჩეული, ღალატით და ორპირობით ხდებოდა შესაძლებელი ქართველების განადგურება.

„მას ჰომეროსის ლექსი აქებდა,
იყო გმირი, ტომით პელაზგი...
ცეცხლში განბანა დედამ – ქალღმერთმა,
მიტომ ვერ სძლევდა
მტერი ვერასგზით
რადგან ყრმა დედას ქუსლით ეჭირა,
მოკვდავი მხოლოდ ქუსლი ჰქონია.

თურმე მახვილიც მის მკერდს
 ვერ სჭრიდა,
 ვერ ერეოდა
 ცეცხლი გოლიათს.
 როცა ფარსა და მახვილს იღებდა,
 ედრიკებოდა ფერხთით მთა-ბარი...
 გზას მიუკვლევდა ძლევის სიმღერა
 გმირს, უკვდავების ალში განბანილს.
 ჩვენს წინაპრებად სთვლიან პელაზგებს,
 იქნებ საბუთიც ბევრზე ბევრია,
 მე კი საბუთათ ის მწამს ყველაზე -
 აქილევსს მტერი ვერ მოერია.
 ვერ ჩააჩოქეს ძალა მთებური,
 ვერ შეისრულეს თურმე მიზანი,
 ვიდრე ღალატით ჩასაფრებულმა
 არ დაუმიზნა ქუსლზე ისარი...
 ... და ვფიქრობ, მტერზე ზევად დამრული,
 მიმნდობი, ქველი, წრფელი, ალალი -
 სული ლაზური თუ პელაზგური
 განა ქართული სული არ არის?
 ათასი ჯურის მტრები გვესივნენ
 ბედმა მშვიდი დღე როდი გვადირსა,
 ცეცხში დაიწრთო, აქილევსივით,
 სულიც, სხეულიც ჩვენი ხალხისა.
 და დაფდაფებდნენ მკერდის ფიცრები
 და გული ჩვენი ვერ გადათელეს...
 მხოლოდ ღალატით და ჩასაფრებით,
 მხოლოდ მიპარვით ჰკლავდნენ ქართველებს.
 აქილევსივით ზევად დამრული,
 მიმნდობი, ქველი, წრფელი, ალალი -
 სული ლაზური თუ პელაზგური
 განა ქართული სული არ არი?!“

პომპეუსის ხიდი

საინტერესო ლექსია „პომპეუსის ხიდი“, სადაც პოეტი პომპეუსის ლაშქრობის თემას ეხება. ანტიკურ წყაროებში დასტურდება ფაქტი პომპეუსის კავკასიაში ლაშქრობის შესახებ, რასაც ჰქონდა რამდენიმე მიზეზი: პირველი უნდა ყოფილიყო გაქცეული მითრიდატესის დევნა და მეორე – კავკასიის ამ რეგიონის რომაულ ძალაუფლებისადმი დაქვემდებარება. არმენიის დამორჩილების შემდეგ პომპეუსმა მკ.წ. 65 წელს კავკასიაში გაილაშქრა. ქართლის მეფეს, არტოკესს, მოუწია რომაელებთან ომი, რადგან იგი მითრიდატესის მოკავშირე იყო.

არტოკესმა დაიხია მტკვართან მდებარე კარგად გამაგრებული ციხესიმაგრისკენ. თუმცა, როდესაც პომპეუსის ჯარები მტკვრის ყველაზე უფრო ვიწრო ადგილას მდებარე არმაზის ციხესიმაგრეს მიუახლოვდნენ, არტოკესმა დატოვა არმაზის ციხე, გადაკვეთა მტკვარი, დაწვა ხიდი და კიდევ უფრო უკან დაიხია, ციხესიმაგრე კი, რომაელებს დანებდა. პომპეუსმა მტკვრის გადაკვეთა გადაწყვიტა და ხიდის მშენებლობას შეუდგა, არტოკესმა ჯერ დანებების გადაწყვეტილება მიიღო; დაჰპირდა პომპეუსს, რომ ხიდს აღადგენდა და რომაელებს საკვებით უზრუნველყოფდა, თუმცა შემდეგ ისევ მდინარე არაგვისკენ (ანტიკურ წყაროებში არაგვს პელოროსი ჰქვია) უკან დახევის გადაწყვეტილება მიიღო. პომპეუსი მას უკან გაჰყვა და არაგვთან ბრძოლაში დაამარცხა იგი.

პლუტარქოსი განსაკუთრებით ხაზს უსვამს იბერიელთა სიმამაცეს და აღნიშნავს, რომ ისინი იქამდე არც მიდიელთა სამეფოს, არც აქემენიდური სპარსეთის და არც ალექსანდრეს იმპერიის შემადგენლობაში არ ყოფილან (პლუტარქოსი, პარალელური ბიოგრაფიები).

ლექსში განსაკუთრებული დატვირთვა აქვს ხიდის სახე-სიმბოლოს. პოეტი ამბობს, როგორ ილაშქრა პომპეუსმა საქართველოში და ბრძანა ხიდის აგება, თუმცა აქაც, როგორც სხვა ლექსებში, ახალი დროის უპირატესობას უსვამს ხაზს, რომ საქართველოში ის ხიდი აღარ არსებობს და დავიწყებას მისცემია და სიმბოლურად ახალ დროებაზე ახალი ხიდით მიაწვდის.

„შეაბარბაცეს დედამიწა მკაცრი ბრძოლებით.
შუბების შუქი ანათებდა ქართლის ტრამალებს,
ბევრმა ვაჟკაცმა დაიმკვიდრა გმირის სამარე,
მიწვა მარადის, ქართულ მიწას ნაამბორები.
და როცა გული მოიჯერა სარდალმა ომით,
როცა მცხეთაში ვარდისფერი კარვები დასცეს,
ბრძანება გასცა: „ხიდი გასდეთ მდინარე

მტკვარზე,
დაე, გაიგონ ძლიერება უძლეველ რომის!
დაე, გაიგონ: ყველა გზები რომში მიდიან,
თვით ნათელი მზეც ცაზე რომის ნებით ჰკიდია...
... გავიდა ჟამი, ჩაიქოლა ეს გზები ყველა...
მტკვარს, საქართველოს მიწა-წყალზე სინათლედ
გაშლილს,
ახალი ხიდი დასდგომია, ვით ცისარტყელა, -
და მიაქვს ძველი, დავიწყების უძირო ზღვაში“.

ანტიკურობასთან დაკავშირებული ტერმინები: ფენიქსი, ჰომიროსი, ელადა, აპოლონია, კორინთოსი, არგოსი, კოლხისი, პარნასი, ელინი, მედეა, პრომეთე, აქილეესი, პელაზგი, დედა (თეტისი), აქილეესის ქუსლი, ზევსი, არგო, ფასისი, პირეა, არესი, მარსი, აკროპოლისი, ჰერკულესი, ოლიმპი, ოქროს ვერძი.

შოთა ნიშნიანიძე (1929-1999)

მაია დანელია

შოთა ნიშნიანიძე არის პოეტი, რომელიც განსაკუთრებით არის დაინტერესებული ანტიკური თემატიკით და, რაც მთავარია, ძალიან ბევრი იცის ანტიკურობის შესახებ. მისი ლექსების კითხვისას ორი ტენდენცია გვხვდება თვალში: პირველი მისი პოეზია არის საოცრად ასოციაციური, რაც მკითხველს მისი ლექსების თავისებურად წაკითხვის და აღქმის საშუალებას აძლევს და ამ თვალსაზრისით ანტიკურობის რეცეფციები მასთან გასანაკუთრებულ დატვირთვას იძენს და მეორე – ალბათ, ამ პერიოდის პოეტებში ყველაზე მეტად გამოირჩევა ანტიკური სახე-სიმბოლოების გამოყენების სიხშირით.

როდესაც ამ მიმართულებით ვიკვლევთ ავტორის შემოქმედებას, რამდენიმე თემატური ჯგუფი იკვეთება. 1. პირველ ჯგუფში გავაერთიანებთ იმ ლექსებს, რომლებიც ან უშუალოდ ანტიკურ სახე-სიმბოლოზეა შექმნილი, ან ამ სახის საინტერესო რეცეფციას გვთავაზობს. 2. ლექსები, სადაც გვხვდება ანტიკური

ტერმინები, რომელთაგანაც თვითიდენტიფიკაციას ახდენს ავტორი. 3. ლექსები, სადაც ტერმინებს ორნამენტული ფუნქცია აქვთ.

1. ანტიკურ სახე-სიმბოლოებზე და სიუჟეტებზე შექმნილი ლექსები.

დავიწყებთ იმ თემატური ჯგუფით, სადაც გავაერთიანებთ იმ ლექსებს, რომლებიც საინტერესოა ანტიკურობის შესწავლის კუთხით და იმსახურებს, რომ მათზე ყურადღება საგანგებოდ შევაჩეროთ. აქაც რამდენიმე შინაარსობრივი ჯგუფი იკვეთება და მათ ცალკე ქვეჯგუფებად გამოვყოფთ:

ა) პოეზიის დანიშნულება

შოთა ნიშნიანიძეს ბევრი ლექსი აქვს შექმნილი პოეზიის არსზე და პოეტის დანიშნულებაზე.

ყველაზე მოკლედ, ალბათ, ამ ერთ სტროფშია ჩამოყალიბებული მისი ხედვა:

„რახან ხალხს უნდა ლექსიც, მუსიკაც –
და მსახური ხარ რახან,
საწერ მაგიდას კი არ უზიხარ –
ბარიკადაზე დგახარ“.

მეორე ლექსი, რომელიც სტრუქტურულადაც არის საინტერესო და თემატურად, რადგან ამ თემას ეხმიანება და ამავდროულად ანტიკურ ფიგურებს იშველიებს სათქმელის დამაჯერებლობისთვის, არის „შეშლილი პოეტის მონოლოგი სამი ფაზულით“.⁹⁹³ ეს ლექსი არის გარკვეულწილად ლექსი-აღსარება. ავტორის აზრით, პოეტობა არის იგივე სიგიჟე და ყველა პოეტი არის შეშლილი ღმერთი. ლექსის შესავალ ნაწილში პოეტი სწორედ ამ შეშლილობაზე ლაპარაკობს, ანუ სამყაროს განსხვავებულად აღქმაზე. სწორედ ამ შესავალში არის ასოციაციური ბმები ანტიკურობის სახე-სიმბოლოებთან. სადაც ლაპარაკობს იმაზე, რომ მას როგორც პოეტს ჰპარავენ რითმებს, მეტაფორებს, განწყობილებებს, ახსენდება პრომეთე, რომელმაც მისცა დასაბამი ქურდობებს: „ისე ქურდობა ღვთისგან მოდის... სწორედ პრომეთემ / კაცობრიობას მაგალითი მისცა ქურდობის“.⁹⁹⁴ სადაც იმაზე ლაპარაკობს,

⁹⁹³ შ. ნიშნიანიძე. ლირიკა. ნაწყვეტები პოემიდან. რედ.: ლ. მესხი. თბილისი, 1989, გვ. 103-108.

⁹⁹⁴ პოეტი პრომეთეს თემას სხვა ლექსებშიც უბრუნდება:

„ჭეშმარიტი სიბრძნე ღმერთებმა თავისთვის დაიტოვეს.

სიბრძნე უნდა მოვპაროთ ღმერთებს,

როგორც ერთ დროს ცეცხლი!

ცეცხლი სიბრძნეა“ („***ზიზილიოთევიდან გამოვიდა“, შ. ნიშნიანიძე. ლირიკა. ნაწყვეტები პოემიდან. რედ.: ლ. მესხი. თბილისი, 1989, გვ. 377)

რომ მთელი ანტიკურობა მისთვის ნაცნობი სივრცეა, ასოციაციურად ხის ცხენი ახსენდება, რომლითაც მთელ ანტიკურობას შემოივლის:

„ხანდახან მოვა ხის ცხენი და ფრუტუნით მომძოვს
და ტროას ბრძოლის სურათები ფრთქვენიტ დამცვივა.
მერე ხის ცხენში შევიპარები
და აჩუ, ცხენო,
მთელ ანტიკას მოვიჯირითებ“.

ხის ცხენის ხსენებაზე კი ცბიერი ოდისევსი ახსენდება: „პოეტს სჭირდება ოდისევსის ცბიერი ჭკუა / ფათერაკები, ბევრის ნახვა, მოგზაურობა“.

შესავალ ნაწილში მოსამზადებელი ეტაპის შემდეგ პოეტი გადადის მთავარ სათქმელზე, რომელსაც სამი ფაბულის სახით გვამღევს, რასაც ბოლოს შეგონებას მოაყოლებს. გვიყვება სამ გამორჩეულ ამბავს, რომელთაგან ერთი ეხება ლუციუს ცინცინატს, მეორე ჯორდანო ბრუნოს და მესამე შარლოტა კორდეს.

ლუციუს ცინცინატს, რომელიც იყო სიმამაციტ განთქმული, რომაელებმა დახმარება სთხოვეს განსაცდელის დროს და მას სანაცვლოდ რომის გამგებლობა შესთავაზეს. გამარჯვების შემდეგ ცინცინატმა ძალაუფლებას ამჯობინა, რომ ისევ მიწათმოქმედებას დაჰბრუნებოდა.

„კაცმა გუთანი ამჯობინა სამეფო სკიპტრას,
ის ცინცინატი შერეკილი იქნებოდაო,
მე კი გარწმუნებთ ცინცინატი პოეტი გახლდათ“.

სამივე ფაბულას ახლავს შეგონება: უნდა ებრძოლო კარიერიზმს და სიხარბემ არ უნდა გძლიოს, არაფრისთვის არ უნდა გაიყიდოს პოეტი და სიმართლეს უნდა ემსახურებოდეს, შეურაცხყოფა არ უნდა მიაყენო სხვა ადამიანს, ადამიანის უფლებების დაცვა – უმაღლესი ღირებულებაა.

ბ) ტროას ციკლზე შექმნილი ლექსები

და ხალხს არგუნა სხვა მომავალი;
სწორედ შენა ხარ, რომ ვთქვათ სხვაგვარად,
მებრძოლი ღმერთის შთამომავალი“ („კომუნისტები“, შ. ნიშნიანიძე. ლირიკა. ნაწყვეტები პოემიდან.
რედ.: ლ. მესხი. თბილისი, 1989, გვ. 475)

განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ტროას ციკლთან დაკავშირებულ ამბებს და ტერმინებს.

იმ მითოლოგიური ფიგურებიდან, რომლებიც ამ ციკლთან არიან დაკავშირებული, ყველაზე ხშირად ახსენებს აქილევსს. აქილევსი, გარდა იმისა, რომ ტროას ომის მონაწილეა, მისთვის საინტერესო სახე-სიმბოლოა, რომელიც განზოგადებული ჰყავს ორ მიმართულებით, ადამიანის დამოკიდებულება დროსთან / აქ შემოდის ცნობილი ამბავი აქილევსის ფეხმარდობის შესახებ, კერძოდ, აქილევსისა და კუს მოტივი, აქილევსის მოწყვლადობის შესახებ – აქილევსის ქუსლის ამბავი და აქილევსი, როგორც ცნობილი ფარის პატრონი – ფარი, როგორც მშვიდობის და დაცულობის სიმბოლო. ძალიან ხშირად გვხვდება ხის ცხენის ამბავი, როგორც ცბიერების სახე-სიმბოლო და ოდისევსი, როგორც ცბიერების პერსონიფიკაცია, ყველგან სადაც ის არის პერსონიფიცირებული, განასახიერებს ადამიანური სისხარტის, გამომგონებლობის, ხრიკების მოგონების სიმბოლოს. საკმაოდ აქტიურად ფიგურირებს ოდისევსთან კავშირშიც და ისედაც დამოუკიდებელ ცნებად არის ქცეული კიკლოპი. ერთი მხრივ, როგორც საფრთხე, რომელთანაც ოდისევსს გამკლავება უწევს და, მეორე მხრივ, როგორც პერსონიფიცირებული საფრთხე, რომელსაც პოეტი ხან რითმის სახით წარმოიდგენს, ხან ხოტბის შემსხმელების სიმბოლოდ, რომელსაც ისევე გაუბრუნებს, როგორც საშიშ კიკლოპს.

ახლა კი უფრო ახლოდან დავაკვირდეთ, თუ როგორ ეპყრობა ავტორი ამ ფიგურებს და სიუჟეტებს.

ვიდრე აქილევსის ფიგურაზე გადავიდოდეთ, დავიწყებთ, იმ ლექსით, სადაც აქილევსიც არის წარმოდგენილი და მასთან ერთად სხვა ფიგურებიც, რომლებსაც იმთავითვე კარგად აქვთ განსაზღვრული თავიანთი როლები. „ელასა – მელასა ანუ ქართული ნადიმი“⁹⁹⁵ არის სახუმარო სტილში დაწერილი ლექსი-სიზმარი, სადაც ავტორი ქართველების ქეიფის სიყვარულზე წერს. მთავარი სათქმელი ის არის, რომ ნადიმი კარგად წარმოაჩენს ადამიანების რეალურ სახეს. ამ შემთხვევაში ავტორი მიზნად ისახავს ქართველების არსის წარმოჩენას. „ქართველები ვართ – ყველას ვპატიჟებთ“, „მტრისა და მოყვრის მასპინძლები ვართ“, „სულით მგოსნები, ბედოვლათები / ყველაფერს ვიწყებთ, როდესაც დავთვრებით“, „კეთილნი ვხდებით და ქვეყანას გიმტკიცებთ“, „გულუხვად ისმის ქება-დიდება – / ქართულ სუფრაზე ყველა დიდია“.

საინტერესო ის არის, რომ პოეტი სუფრის წევრებად ირჩევს ფიგურებს ქართული მითოლოგიიდან და ლიტერატურიდან და ტროას ციკლის თქმულებებიდან. აქ გვხვდებიან, ერთი მხრივ, აფშინა, მინდია, დევი, ნაცარქექია,

⁹⁹⁵ შ. ნიშნიანძე. ლირიკა. ნაწყვეტები პოემიდან. რედ.: ლ. მესხი. თბილისი, 1989, გვ. 270-276.

ამირანი, ჭინკა, მეორე მხრივ, აქილევსი, ჰექტორი, ბახუსი, ოდისევსი, კიკლოპი. ლექსში კარგად არის ექსპონირებული ქართველების თვისებები, რაც კარგად ჩანს ხოლმე ნადიმზე. რაც შეეხება ტროას ციკლის გმირებს, ისინიც მათთვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებებით არიან წარმოდგენილნი. ავტორმა იცის, რომ აქილევსი და ჰექტორი ერთმანეთის მტრები არიან, თუმცა ქართულ სუფრაზე მათ უნდა იმეგობრონ. ოდისევსს მერიქიფის ფუნქცია აქვს. მას ფერი კიკლოპის დანახვაზე ეცვლება და ყველა მონდომებულია, რომ კიკლოპი დაათროს. პოეტი ოდისევსს მოუწოდებს, რომ თავის სიცბიერეს მიმართოს, ჭინჭილით დააღვეინოს კიკლოპს ღვინო, რომ უფრო მალე დათვრეს. სუფრაზე ცენტრალური ადგილი ბახუსს უჭირავს, იგი არის თამადა. სუფრასთან ყველა თვრება ბახუსის გარდა.

შთაბეჭდილების შესაქმნელად აქ მხოლოდ ამონარიდებს მოვიყვანთ:

„მაშინვე „ხომალდთა კატალოგს“ მივმართე.

და, აჰა, ტროადან თუ ილიონიდან

ნუ იტყვით, ნავების რა წარღვნა მოვიდა [...]

სალამი, აქილევს!

სალამი, ჰექტორ! [...]

თვითონ ბახუსი დაჯდა თამადად

და მერიქიფედ ოდისევსია. [...]

აგერ კიკლოპიც შემოეყუდა

და მერიქიფეს ფერი ეცვალა. [...]

შენ შეგვეწიე, ღმერთო ბახუსო,

ეგებ დაგვითრო ეგ ტარტაროზი [...]

ძალმომრეობის ავი ტიტანი [...]

პოლიფემე

ეჰეი, ოდისევს – ელადის გმირო [...]

კიკლოპის დათრობას ამაოდ ცდილობ!

აილე ჭინჭილა – ბახუსის მეტაფორა, [...]

ქუსლი მოეფხანა აქილევსს, [...]

ყლუპ-ყლუპით მიირთვეს [ღვინო] [...]

ნიმფების ქოშიდან, ჰექტორის ბეჭდიდან. [...]

მარტოდენ ბახუსი კვდებოდა სიცილით [...]

გათენდა, გათენდა, ადგა ბახუსი. [...]

ოდისევსი მყავდა მერიქიფეთ,

მე და ოდისევსმა მერე ვიქეიფეთ...”

აქილევსი

ანტიკური მითოლოგიური ფიგურებიდან ყველაზე ხშირად შოთა ნიშნიანიძე ახსენებს აქილევსს. ეს პერსონაჟი მას განსაკუთრებით უყვარს.⁹⁹⁶ ეს, ალბათ, იმ ტრადიციითაც უნდა აიხსნებოდეს, რომ ბევრი პოეტი მიიჩნევდა აქილევსს ქართველების ისტორიულ წინაპრად. სწორედ ეს პერსონაჟი ფიგურირებს მისი პოემის „აქილევსის ქუსლი და ფარი“ სახელშიც.⁹⁹⁷

პოემა ყურადღებას იმთავითვე იქცევს სათაურის გამო და მკითხველს უჩნდება მოლოდინი, რომ ანტიკურობის უშუალო რეცეფციასთან აქვს საქმე, თუმცა თუ არ ჩავთვლით წინათქმას, და ანტიკურობასთან დაკავშირებულ რამდენიმე ტერმინს,⁹⁹⁸ წინა პლანზე ხელშესახები არაფერი გვაქვს.

თვალი გადავავლოთ მოკლე შინაარსს, რომ შთაბეჭდილება შევიქმნათ სიუჟეტზე. პოემა სამი კარისგან შედგება. მოქმედი პერსონაჟები არიან მხატვარი ჯოკია ლაშხი, მისი მეგობარი ბუბა, ჩეკისტი აბელ როგავა. სამივე პერსონაჟი ექსპონირებულია პირველივე კარში. ჯოკია არის რაიონიდან ჩამოსული ბიჭი, რომელსაც უნდა, რომ მხატვარი გახდეს და სამხატვრო აკადემიაში ჩააბაროს და ამისთვის ძალებს არ იშურებს. მისი მეგობარი ბუბა, რომელზეც ძალიან ზრუნავდნენ მამიდები, უფრო მარტივ გზას ირჩევს ცხოვრებისთვის. ბუბა მაინც აიცრუებს გულს სწავლაზე და უბნის ბიჭებს უახლოვდება. ეწევა ბოჰემურ ცხოვრებას, დროს ატარებს მეგობრებში თავისშექცევით. ჯოკია შემთხვევით გაიცნობს და უახლოვდება აბელ

⁹⁹⁶ „მჯერა: აქილევსის ფარზე ასვენია ლორდ ბაირონის გული...“ („პოეზიის კალენდარი“, შ. ნიშნიანიძე. ლირიკა. ნაწყვეტები პოემიდან. რედ.: ლ. მესხი. თბილისი, 1989, გვ. 309)

„ვიღაცა ანტიკურ მეგლივით შიშველი მეახლა მუყაოს ფარით და შიმშერთი. [...]

ტროადან მოესმით ხის ცხენის ჭიხვინი, მოჩანს აქილევსი არესის მჯიღივით [...]

აჰა – კეისარიც!

რუბიკონს რომ მიადგა [...]“ („საავადმყოფოს კედლის აქეთ და იქით“, შ. ნიშნიანიძე. ლირიკა. ნაწყვეტები პოემიდან. რედ.: ლ. მესხი. თბილისი, 1989, გვ. 284-5)

⁹⁹⁷ შ. ნიშნიანიძე. აქილევსის ქუსლი და ფარი. რედ.: მ. ჯაფარიძე. თბილისი, 1971.

⁹⁹⁸ პოემაში აღწერილია ბასკების თამაშზე ბილეთისთვის ღამისთევა, რაც შედარებულია ტროას აღყას: „ავტომობილის ფარები წამით / გაქცეულ ჩრდილებს კედლებს ახლიდა, / თითქოს ავ სულებს ერთ-ერთი ღამე / ამოეხიათ ტროას აღყიდან“ (გვ. 21). რკინის მესერი მაღალ-მაღალი მართლაც ჰგავდა ზემოშემართულ შუბებს, გნიასი და აყალმაყალი იმ სულს, რომელიც საბრძოლო ბანაკში ტრიალებს. საინტერესო შედარებას ვხვდებით აქ: „აჰა ანთია კოლხური მიწა / ცისარტყელების ბრიალა ქაფად“. „გადასკდა, როგორც მზის ცხელი ცური – / და კოლხურ ნაპირს შემოესია / თვითონ ანტიურ სამყაროს სული – / წარმართულობა და პოეზია“ (გვ. 55). მისი ბავშვობის მოგონებებიც ანტიკურობის სურათ-ხატებით არის მოცული: ოთახს ადარებს დევის ხელებით აგებულ ციხე-კოშკს, აქაველების ცბიერ ცხენს, ციკლოპივით ერთადერთი თვალით ლურჯი ცის მომპარავი კარავი. ზღაპრების სკივრი, ლეგენდარული საწმისის ტყავი.

როგავას, რომელიც მიუხედავად იმისა, რომ ბილეთები ელვის სისწრაფით გაიყიდა ბასკების თამაშზე, ეხმარება ჯოკიას მატჩზე მოხვდეს. აქედან იწყება მათი მეგობრობა, რასაც საკმაოდ სკეპტიკურად უყურებს ჯოკიას მეგობარი ბუბა. აბელ როგავა ხელოვნების მოყვარული აღმოჩნდა და ჯოკიას შემოქმედებითაც დაინტერესდა. კვირაობით ქალაქგარეთ გადიოდნენ და ტილოზე გადაჰქონდათ სხვადასხვა ხედები. ჯოკია სამხატვრო აკადემიის სტუდენტი ხდება და ზღვაზე მიდის დასასვენებლად. ზღვაზე ისევ იკვეთება ჯოკიას და ბუბას გზები. აბელ როგავა აქაც ფიგურირებს. მსოფლიო ომის დაწყების მოლოდინშია. აბელს ქვეყნის დატოვება უწევს, ესპანეთში მიდის. რაღაც ეტაპზე ჯოკია ციხეში ხვდება. აბელ როგავა ესპანეთიდან ბრუნდება. ჯოკიას საქმეებისთვის მთელი თვე იყო მოსკოვში. საქმე ხელახლა განიხილეს და ჯოკია ლაშხი გაათავისუფლეს. ჯოკია ტკბება თავისუფლებით და ქალაქიდან უბრუნდება მშობლიურ მხარეს, სადაც თავს ბედნიერად გრძნობს.

პოემაში, რომელიც ასახავს პოეტის თანამედროვე პერიოდს, ბევრი ფილოსოფიურ-ფსიქოლოგიური ხასიათის ჩანარები გვხვდება. მათ შორის არის ადამიანის დანიშნულება სამყაროში, ადამიანის და სამყაროს ურთიერთობა. ომი და მშვიდობა. დროის და სივრცის ურთიერთქმედება. მთავარ მესიჯებს პოეტი სათაურში და წინათქმაში გვაცნობს.

სათაური სიმბოლოებით არის დატვირთული. ომი ზოგადად არის ადამიანის სუსტი წერტილი, რაც სიმბოლურად შეიძლება გამოიხატოს როგორც აქილევსის ქუსლი, ხოლო მშვიდობა, შემოქმედებითი მუშაობა, ჰუმანიზმი არის ადამიანური ძლიერების სიმბოლო, თავდაცვის ფარი. ეპიგრაფად პოემას სწორედ ეს აქვს წამმდგარებული. პირველში იგი გვიყვება თეტისის მიერ აქილევსის უკვდავების ემბაზში განზავაზე და რომ ქუსლით, რომლითაც ეჭირა, აქილევსი არის მოწყვლადი. ხოლო მეორეში გვიყვება ჰეფესტოს შესახებ, რომელმაც ორი ფარი გამოჰქედა, ერთი რომელზეც ქორწილი და დროსტარებაა გამოსახული, მეორეზე კი – ომი, ადამიანთა ცხოვრების მთელი აკვარგი და ბრძოლა ღირსებისთვის.

წინათქმაში პოეტი გამოთქვამს თავის მიზანს. მას სურს, რომ დროებას აუბას ფეხი. მეტაფორულად ფეხმარდ აქილევსს, რომელიც არის გულფიცხი და სწრაფი, ადარებს დროს, და კუს, რომელზეც პოემა შესვა მწერალმა და მას ადარებს მიზანს, რომელიც ნელა მაგრამ წვეთ-წვეთ მაინც აღწევს საწადელს.

„მინდა ავუბა მხარი დროებას,
სიმღერით გავსცდე დროს და განედებს
მეც კუზე შევსვი ჩემი პოემა

და აქილევსთან შებმა გავზედე.
„გამოდის გმირი ძველ ეპოსიდან
და ბრმა ჰომეროსს შესთხოვს შეწევნას;
აჰა, ვეება მშვილდი მოზიდა,
სტყორცნა ისარი და დაედევნა.
აქილევსს ჯობნის ჟინი ალაგზნებს,
გულფიცხია და ქარზე სწრაფია,

ისარს დაიჭერს და კუს ბაკანზე
წააწერს ჩემთვის ეპიტაფიას...
ასე, კუს ზურგზე შევსვი პოემა,
როგორც ძველ დროში რწმენა და მითი,
არის მიზანი,
გზაც იპოება,
კუც მიზნისაკენ მიდის და მიდის...“⁹⁹⁹

პოეტი შემთხვევით არ ირჩევს აქილევსისა და კუს ცნობილ პარადოქსს. ამ პარადოქსს სხვა ლექსებშიც არაერთხელ უბრუნდება,¹⁰⁰⁰ ამიტომ მივიჩნევთ საჭიროდ უფრო დაწვრილებით განვიხილოთ. ეს ცნობილი პარადოქსი ეკუთვნის სოკრატემდელ ფილოსოფოსს, პარმენიდესის მოწაფეს ძენონს (ძვ.წ. 490-430 წწ.). იგი არის მონიშმის მიმდევარი, ანუ რომ მხოლოდ ობიექტურად/რეალურად არსებული რამ არსებობს, დრო, სივრცე და მოძრაობა კი, რეალურად არ არსებობს. ძენონის ნაწარმოები შემორჩენილი არ არის, ნაწყვეტები არის დაცული სხვადასხვა მწერალთან. არისტოტელემ თავის „ფიზიკაში“ შემოგვინახა პარადოქსის ოთხი მნიშვნელოვანი მაგალითი, რომელთა შორის ერთ-ერთს პირობითად ეწოდება აქილევსი და კუ. პარადოქსის შინაარსი კი იმაშია, რომ მიუხედავად იმისა, რომ აქილევსი ყველაზე ფეხმარდია, მაინც ვერ დაიწევა კუს, რომელიც ყველაზე ნელა

⁹⁹⁹ შ. ნიშნიანიძე. ლირიკა. ნაწყვეტები პოემიდან. რედ.: ლ. მესხი. თბილისი, 1989, გვ. 5.

¹⁰⁰⁰ „ზოგი მიფრინავს,

უკან რჩება ჟამი და სივრცე,

ზოგი მიჩოჩავს, სიმწრის ოფლი გასდის კბილებში,

მაგრამ ქომაგი იშველიებს ანტიკურ სიბრძნეს:

ვერ დაეწევა, ბატონებო, კუს აქილევსი“ („ბედი“, შ. ნიშნიანიძე. ლირიკა. ნაწყვეტები პოემიდან. რედ.: ლ. მესხი. თბილისი, 1989, გვ. 629)

„დედამიწაზე დრო აქილევსივით გარბის,

ვარსკვლავეთში კი კუსავით მიჩოჩავს“ („***ბიბლიოთეკიდან გამოვიდა“, შ. ნიშნიანიძე. ლირიკა. ნაწყვეტები პოემიდან. რედ.: ლ. მესხი. თბილისი, 1989, გვ. 375-379).

დადის, რადგან, როგორც კი მივა იმ ადგილას, სადაც კუ იმყოფება, კუ უკვე გადაადგილებული იქნება იმ ადგილიდან და ასე განუწყვეტლად. მიუხედავად იმისა, რომ ნაბიჯების გადადგმით ნახევრდება მანძილი, ძენონი ამტკიცებს, რომ მათი რაოდენობა უსასრულოა და აქილევსს უსასრულო დრო დასჭირდება ნაბიჯების გადასადგმელად. ამიტომ, ძენონი ასკვნის, რომ აქილევსი ვერასოდეს გაუსწრებს კუს, მიუხედავად ამოცანის აშკარა სიმარტივისა.

წინათქმას რომ დავუბრუნდეთ, პოეტი აღნიშნავს, რომ მან ამ პოემით საწადელს მიაღწია და სათქმელი თქვა და მომავალს მიანდობს სიმართლის განსჯას:

„ასე წვეთ-წვეთად
და მისხალ-მისხალ
ვთქვი, სასურველიც და მოსარიდიც,
ასე იზრდება და ნაყოფს ისხამს,
რაც არის ნაღდი და ჭეშმარიტი.
ო, მომავალო,
იყავი მაცნე
და ბედისწერის მსჯავრი გამოთქვი“.

მეტაფორულად ამას კუს სიმბოლოს მოშველიებით აღწევს.

„კუს რქოვან ბაკანს საფერფლედ აქცევ
თუ გამარჯვების თასად გამოთლი?
ოღონდ გაფრთხილდი, ფეხმარდო ჟამო,
თუნდ რკინის გეცვას წულა-მესტები,
მოძრაობალა შევკრიბე ჯამი
და კუს გასწრებას ნულა ეცდები“.

და წინათქმის დასასრულს კვლავ პირველ სტრიქონებს ეხმიანება, რომ ნახოს, მიაღწია თუ არა მიზანს მისმა ნათქვამმა, ანუ უნაყოფო საფერფლეა ოდენ, თუ თასი – გამარჯვების სიმბოლო.

„მინდა ავუბა მხარი დროებას
და მინდა – მსგავსმა შეიცნოს მგავსი.
დევს მაგიდაზე ჩემი პოემა,
როგორც საფერფლე...“

ან როგორც თასი...”

წინათქმის ბოლო ნაწილში კიდევ ერთ თეზას ვხვდებით ძველი ბერძნული ფილოსოფიიდან: „მსგავსი შეიცნობს მსგავსს“. ეს კონცეფცია ეკუთვნის ბერძენ ფილოსოფოსს პითაგორას (ძვ.წ. 570-495 წწ.). პითაგორელების თანახმად, რიცხვებს, პროპორციებს და ბუნებას ერთმანეთთან ჰარმონიული მიმართება აქვთ. „მსგავსი შეიცნობს მსგავსს“ ეთიკური კატეგორიაა. პითაგორელების მიხედვით, ჰარმონია მიიღწევა პრინციპების ურთიერთშეთანხმებით. ჰარმონია, სიმეტრია და პროპორცია არის ფუნდამენტური პრინციპები, რომლებიც მართავს სამყაროს და მის ყველა შემადგენელ ნაწილს.

რამდენადაც ამ თემას არაერთი ლექსი ეხმიანება, ჩვენ კი მივიჩნევთ, რომ ამ მხრივ ყველაზე მნიშვნელოვანია ლექსი „***ბიბლიოთეკიდან გამოვიდა“, უფრო დაწვრილებით შევჩერდებით მასზე, რომ კიდევ უფრო კარგად წარმოვიდგინოთ შოთა ნიშნიანის ინტერესი ფილოსოფიისადმი და მისი განსწავლულობა. ამ ლექსშიც ახსენებს კონცეპტს „მსგავსი შეიცნობს მსგავსს“, სადაც ლპარაკობს დაგროვებული ცოდნის შესახებ, რომელიც იკარგება, მაგრამ ვინც ეძებს, პოულობს. ლპარაკობს იმაზე, რომ ყოველი მცენარე საიდუმლო ცოდნის ფორმულაა. რომ სურვილი აქვს, რომ ყოველგვარი თეორია და მისტიკა ისე ესმოდეს, როგორც ხალხური ლექსი, მაგრამ ჭეშმარიტი სიბრძნე თავისთვის დაიტოვებს ღმერთებმა, ამიტომ უნდა მოვპაროთ ღმერთებს სიბრძნე, როგორც ერთ დროს ცეცხლი. ცეცხლი სიბრძნეა! სიცოცხლის და სიკვდილის სიბრძნე. ლპარაკობს შიშზე, და რომ ადამიანი ჭკვიანია, რადგან თავს არიდებს საშიშ კითხვებს. და ისევ ეხება დროის სვლას, რომ დრო ძალიან სწრაფად მიქრის. სვამს კითხვას: დრო გვაკლდება თუ გვემატება. სწორედ ამ კონტექსტში ახსენებს აქილევსისა და კუს პარადოქსს:

„საათები კი აკნაწუნებენ და აკნაწუნებენ
ჟამს და სიცოცხლეს...
დედამიწაზე დრო აქილევსივით გარბის,
ვარსკვლავეთში კი კუსავით მიჩოჩავს!
დრო უწყვეტია, უწყვეტი...
წიკწიკებენ საათები“.¹⁰⁰¹

¹⁰⁰¹ შ. ნიშნიანიძე. ლირიკა. ნაწყვეტები პოეტიდან. რედ.: ლ. მესხი. თბილისი, 1989, გვ. 378.

ისევ პოემას რომ დავუბრუნდეთ, დროის თემას პოემაშიც რადენიმეჯერ უბრუნდება შოთა ნიშნიანიძე, ეს არის მთელი პოემის შემკვერელი ხაზი, რომლის მსახვრალ ხელსაც გამუდმებით გრძნობს მკითხველი.

კიკლოპები

ცალკე გვინდა გამოვყოთ კიკლოპის სახე-სიმბოლო, რომელსაც ავტორი ხშირად მიმართავს.¹⁰⁰² ამ მხრივ საინტერესოა ლექსი „მკითხველთან შეხვედრის მცირე ოდისეა“ (გვ. 291), სადაც ვხვდებით ჰომეროსის „ოდისეას“ კიკლოპ პოლიფემოსის ეპიზოდის ალუზიას. ლექსში მკითხველი მიდის პოეტთან, რომელიც სხვა პოეტებთან ერთად იმყოფება და მკითხველი მას მის ლექსს უკითხავს, ამ დროს ხდება სცენის ოდისეურ სცენად გარდასახვა. სარდაფი გადაიქცევა ანტიკურ მღვიმედ. შური ცოცხლდება და ხდება მისი პერსონიფიკაცია კიკლოპად. კიკლოპი მშვიერია და პოეტის ორ მეგობარს გადასანსლავს. შემდეგ კი მღვიმის შესასვლელთან ჩერდება, და არავის შანსი არ აქვს, რომ გავიდეს. აქვე არის ქების კიკლოპიც, რომელიც საზარლად ფშვინავს. პოეტი კი ფიქრობს, როგორ მოერიოს შურის კიკლოპს, თუ როგორ დაუვსოს ის ერთი თვალი და როგორ შექმნას ერკემალივით მსუყე სტრიქონი, რომ ქვეშ ამოეკრას და კიკლოპივით საზარელ ქებას გაეპაროს.

გ) სხვადასხვა ფიგურები და სახე-სიმბოლოები

სოკრატე

ლექსში „ვისი სული გასურს? ანუ სპირიტუალი სეანსები“ (გვ. 91-102) პოეტი იხმობს ცნობილი მოაზროვნეების სულებს და ასევე აბსტრაქტულ ცნებებს, როგორიც არის, ირონია, სათნოება.

ლექსის შესავალ ნაწილში, პოეტი გვთავაზობს რეცეპტს, თუ როგორ უნდა დამზადდეს უმწარესი სასმელი, რომელიც სეანსის შესასრულებლად არის საჭირო. ირონიულად აღნიშნავს, რომ თუ ამ სასმელს სოკრატეს და ვოლტერის ქირქილს მოაყრის ადამიანი, ნათელმხილველი შეიქნება: „თუ ზედ მოაყრით სოკრატეს და ვოლტერის ქირქილს – / ნათელმხილველი შეიქმნებით... არ უნდა ფიქრი“. ეს

¹⁰⁰² კიკლოპის სახე-სიმბოლოს ხშირად უბრუნდება პოეტი: „ზეკაცს ნატრობდა ნიცშე, / ქმნიდა ღვთაებრივ კიკლოპს“ („ზეკაცებისა და მაიმუნების შესახებ“, შ. ნიშნიანიძე. ლირიკა. ნაწყვეტები პოემიდან. რედ.: ლ. მესხი. თბილისი, 1989, გვ. 122); „და იმ ერთადერთ საშინელ კითხვას / გავურბი, როგორც ცალთვალა კიკლოპს“ („მისტიკური წუთი“, შ. ნიშნიანიძე. ლირიკა. ნაწყვეტები პოემიდან. რედ.: ლ. მესხი. თბილისი, 1989, გვ. 563); „შენთვის – ურჩხულ-კიკლოპი, დიდი ცოდვის მქმნელი ვარ“ („ჩემგან მოკლული მწერის დატირება“, შ. ნიშნიანიძე. ლირიკა. ნაწყვეტები პოემიდან. რედ.: ლ. მესხი. თბილისი, 1989, გვ. 326).

ირონიულად, რეალურად კი ლექსით ის აზრია გადმოცემული, რომ ყოველი ცოდნა და სიბრძნე დიდი ძალისხმევით და სიმწრით მიიღწევა.

ლექსი დაყოფილია სეანსების მიხედვით. პირველი სეანსი ეთმობა სოკრატეს და ვოლტერს. მეორე სეანსი ალბერტ შვაიცერს, ფილოსოფოსს, ალბერტ აინშტაინის მეგობარს. მესამე – კონსტანტინე არსაკიმეს, მეოთხე სხვა ისტორიულ პირებს და სხვადასხვა ხელობის მქონე ადამიანებს: მევენახეებს, მწყემსებს, მეფუტკრეებს.

ჩვენთვის საინტერესო არის პირველი სეანსი: აქ ეს ორი მოაზროვნე, სოკრატე და ვოლტერი, არის ექსპონირებული. პოეტი ამბობს, რომ არც ჰერკულესის ძალა უნდა, არც სოლომონის სიბრძნე, არც მსოფლიოს მრძანებელთა ძალაუფლება, არამედ მხოლოდ სოკრატეს და ვოლტერის მწარე და ქილიკი ენა. ხოლო ეს კი მას იმისთვის სჭირდება, რომ მწარე ენით უმკურნალოს ადამიანების სიბრიყვეს.

უფრო დიდი ნაწილი სოკრატეს ეთმობა. აქცენტირებულია მისი მახვილი ენა, სიბრძნით გამორჩეულობა, მჭევრმეტყველების გასაოცარი უნარი, რის გამოც ვერავინ დაუსხლტება მის „ხაფანგა“ დიალოგებს. ყურადღება ეთმობა მისი სიკვდილის თემას, რომ მან საკუთარი ნებით შესვა შხამიც, რაც მის სიძლიერეზე მიუთითებს, რომ მან საკუთარი სოცოცხლე და სიკვდილიც კი აიგდო მასხრად.

მეორე სეანსში პოეტი იძახებს ალბერტ შვაიცერის სულს, რომელიც იყო ფილოსოფოსი, ექიმი, მუსიკოსი, რომელიც 40 წლის ასაკში დასახლდა აფრიკაში, სადაც დააარსა კეთროვანთა სოფელი. ამ სოფელში აკრძალული იყო სროლა, სისხლის ღვრა და ძალადობა. ამ სეანსის მთავარი სათქმელიც ეს არის, რომ ადამიანმა პატივი უნდა სცეს ყველა ცოცხალ არსებას, და რომ ყველა სულდგმულს აქვს არსებობის უფლება. მოკლედ რომ ვთქვათ, ეს ნაწილი ემპათიაზეა.

მესამე სეანსი მარადიულ ხელოვნებასთან ზიარებაზე და ადამიანების უმადურობაზეა. კონსტანტინე არსაკიმის სოფლისადმი სამდურავს ეთმობა.

რომი

ეს არის სახე-სიმბოლო, რომელსაც ასევე ხშირად იყენებს ავტორი. ყველაზე კარგად მისი დამოკიდებულება ჩანს ამ ქალაქის მიმართ მიძღვნილ ლექსში, სადაც იგი ამბობს „რომს ვერ გაექცევი, ვერ გადაურჩები / სიკვდილსაც გაექცე რომც!“. მისი მნიშვნელობა საკმაოდ ტევადად არის გადმოცემული ოთხ სტრიქონში:

„რომი – მატთანე გარდასულ დღეთა,
რომი – ძიების და წვდომის,
რომი – ხელოვნების ადგილის დედა,

რომი – შემოქმედი რომი“.¹⁰⁰³

ამ ლექსში რომის დამახასიათებელი ყველა თვისება ჩანს, მისი ძლევამოსილება, იმპერიული სული, რომელიც სომბოლურად ლომს არის შედარებული, დამპყრობელი და თავისი პოლიტიკის გამტარებელი, ქვაში და მარმარილოში გამოთლილი ლეგენდა, ხელოვნების, ბოჰემის, თრობის და ორგიების ადგილი. მომდევნო სტრიქონებშიც ძალიან ლაკონურად აგრძელებს რომის არსის გადმოცემას:

იომა... / ივაჭრა... / იმრუშა... / ილოთა... / დატვირთა ქარავნები აქლემთა, სპილოთა... / გზებიც კი, გზებიც კი, წაასხა ტყვეებად / ყველა: / პატარა თუ დიდი. / იკვებნის რომის მჭევრმეტყველება: / ყველა გზა / რომში / მიდის!..

ყურადღება გვინდა შევაჩეროთ ერთ საინტერესო მომენტზე, სადაც პოეტი საკმაოდ მტკივნეულად ეხმიანება ისტორიულ კონტექსტს, სადაც რომისა და იბერია/კოლხისის ურთიერთობებზე ამახვილებს ყურადღებას. სულ რაღაც ორ სტრიქონში ძალიან ლაკონურად გვამღევს ქართული პერსპექტივიდან დანახულ რეალობას: გვამღევს მხატვრული სახეებით რომის დამოკიდებულებას: „კვიცივით აჩეხეს ლამაზი კოლხიდა, / ხარივით გამოლადრეს პონტო... [...]“. აქ გვამღევს მინიშნებას პომპეუსის ლაშქრობაზე და მითრიდატე პონტოელის ამბებზე.

ამ ლექსს თავისი პათოსით ეხმიანება კიდევ ერთი ლექსი „რატომ არ ვკითხულობ საჯაროდ ლექსებს“, რომელსაც პოეტი ტარიელ ჭანტურიას უძღვნის. ამ შემთხვევაში მთავარი სათქმელი პოეტების დანიშნულებაა, რომ პოეტები თავისუფლები არიან და დიდებაზეც თავისუფლად ლაპარაკობენ. მაგრამ სიტყვა დიდების ხსენება პოეტთან ასოციაციურად გადაჯაჭვულია რომთან:

„მაგრამ დიდება ეს რომია, მრისხანე რომი“.

რომის გზაზე წევს კართაგენი... პონტო... მიდია... [...] / და პოეტებიც ძველი რომის ჰგვანან მეომრებს. [...]“. პოეტებს ადარებს რომაელ მეომრებს, ნაწილი დიდების და ტაშის მონაა და ყველაფერზე მიდიან სახელის მოსახვეჭად. მისთვის კი ის პოეტები არიან ღირსეულნი, რომლებიც დამოუკიდებლობას ინარჩუნებენ: „მას გაუმარჯოს, / ვინც მონობას აუჯანყდება, / ვინც სპარტაკივით დაეცემა რომში მისვლამდე“.¹⁰⁰⁴

¹⁰⁰³ შ. ნიშნიანიძე. ლირიკა. ნაწყვეტები პოემიდან. რედ.: ლ. მესხი. თბილისი, 1989, გვ. 469-471.

¹⁰⁰⁴ შ. ნიშნიანიძე. ლირიკა. ნაწყვეტები პოემიდან. რედ.: ლ. მესხი. თბილისი, 1989, გვ. 556-557.

საინტერესოა ლექსი მგლური კანონის ბალადა,¹⁰⁰⁵ რადგანაც აქ მგელი არის სათქმელის გადმოსაცემად მთავარი ფიგურა, ეს ფიგურა კი აერთიანებს ბევრ თვისებას, მათ შორის, არის რომის სიმბოლო. მგლური კანონი, როგორც ომებისა და თარეშის სიმბოლო, ბაბილონიდან და რომიდან იღებს სათავეს. პოეტი აღწერს ცირკის სცენებს, სადაც ძლიერ ცხოველებს დაუკარგავთ სახე, მალაყებს გადადის ნადირთა მეფე ლომი, მამალი და მელა ვეფხვის ფიტულზე დანავარდობენ, ერთადერთი ცხოველი, რომელიც ამ სანახაობაში არ ერევა და თავის სახეს ინარჩუნებს, არის მგელი. მგლის ხსენებაზე პოეტს მასთან დაკავშირებული ორი ქართული სიმბოლო ახსენდება, ალგეთი და ვახტანგ გორგასალი: „შენც დაგებენს მგლური კანონი, ვერც შენ იდგები ცალკე / რომში ხარ დაბადებული და გაზრდილი ხარ ალგეთს. / მტერს მგლურად მიუხტებოდა, აწყევლინებდა სვე-ბედს / მეფე ვახტანგი – მეელკაცი, ქართლოსიანთა მეფე“.

მგელთან საკუთარი თავის იდენტიფიკაციას ახდენს პოეტი, რომელიც საკუთარ სტრიქონებში გამომწვევდელ მგელს ადარებს თავს და ტყისკენ უჭირავს თვალი: „გაყმუის რომის ლეგენდა: / – ტყეს დაუბრუნეთ მგლები / ატოტებული ალგეთი: / – ტყეს დაუბრუნეთ მგლები“.

ნერონი

არ არის გასაკვირი, რომ შოთა ნიშნიანიძეს განდიდების სენით შეპყრობილ ადამიანებზე სალაპარაკოდ, ანტიკურობიდან ნერონის სახე გაახსენდა. დიდებისკენ სწრაფვა არის ცდუნება და პატარა ადამიანები ამ ცდუნებას ვერ უძლებენ, დიდებას და ტაშს მხოლოდ გენიოსები და კლოუნები იტანენ კარგად. ყალბ არტისტს, ხელოვანს ადარებს პოეტი ნერონს: „ყალბ ხელოვანში, არ გაგიკვირდეთ / თვლემდეს ნერონი უსასტიკესი“. ამაში კი, ასეთ პატარა ადამიანებს ბრბო ეხმარება, რომელიც თავისი ხელით ქმნის პატარა ადამიანებიდან ტირანებს „სალამი ათას პაწია ნერონს [...] / ბრბოა [...] გამომპერწველი ყველა ნერონის“. და აქ ისევ ნერონის მაგალითს უბრუნდება:

„ნერონს ღმერთობა ბრბომ დააბრალა,
უძღვნა უკვდავი მგოსნის სიგელი.
და რომელია უფრო საბრალო
თვითონ ტირანი თუ ბრბო მლიქვნელი?“

¹⁰⁰⁵ შ. ნიშნიანიძე. ლირიკა. ნაწყვეტები პოემიდან. რედ.: ლ. მესხი. თბილისი, 1989, გვ. 149-152.

მარკუს იუნიუს ბრუტუსი

ლექსი „გადამახილი მარკუს იუნიუს ბრუტუსთან“¹⁰⁰⁶ წარმოადგენს რომაელი პოლიტიკური მოღვაწის მარკუს იუნიუს ბრუტუსის პანეგირიკს. ბრუტუსი ცნობილია როგორც კეისრის მკვლელობის მონაწილე. შეთქმულებმა ძვ.წ. 44 წელს მოკლეს კეისარი. იგი ისტორიაში დარჩა როგორც კეისრის მკვლელი, მიუხედავად იმისა, რომ იყო კეისრის ახლო მეგობარი, ზოგიერთი ცდილობდნენ მისი მოტივაციის გამართლებას იმით, რომ იგი ცდილობდა რესპუბლიკური ღირებულებების დაცვას და კეისრის მზარდი იმპერიალური მისწრაფებების შეზღუდვას. კეისრის მკვლელობას სამოქალაქო ომები მოჰყვა, რის შედეგადაც ბრუტუსი და მისი მოკავშირეები დამარცხდნენ, მან ტყვედ ჩავარდნას თვითმკვლელობა ამჯობინა. უილიამ შექსპირის „იულიუს კეისარი“ ცდილობს ამ ფიგურის კომპლექსურობის ჩვენებას. პიესაში ნაჩვენებია მისი შინაგანი ბრძოლები, მორალური დილემა, როგორ უნდა მოიქცეს რომის მოქალაქე. ამიტომ შიშობს, რომ კეისრის მზარდი ძალაუფლება შეიძლება საფრთხე აღმოჩნდეს რესპუბლიკისთვის. თუმცა შექსპირთან მას დამყოლი ხასიათი აქვს, რაც შეთქმულებს მისი მანიპულირების შესაძლებლობას აძლევს.

შოთა ნიშნიანიძეც გარკვეულწილად შექსპირისეულ ხედვას აგრძელებს. ისიც ცდილობს ამ ფიგურის ტრაგიზმის ჩვენებას. ცალკე აღნიშვნის ღირსია ლექსის დასაწყისი და დასასრული სტრიქონები. ლექსი ასე იწყება „- სალამი, რომის მოქალაქე, / სალამი ბრუტუს“, შესაბამისად, აქ თავიდანვე არის აქცენტი, რომ ბრუტუსი რომის მოქალაქეა. ლექსის ბოლოს კი შედარებულია მგელს, რომის სიმბოლოს „სალამი, მგელო ბეწვაშლილო, სალამი ბრუტუს!“

კეისარზე არაფერს ამბობს პოეტი, აქ მას ბრუტუსის პიროვნება აინტერესებს, როგორც შებღალული თავისუფლების, შელახული სინდისის დამცველის. ბრუტუსი მოხსენიებულია ეპითეტით „მამაცი“ და „ამაყი“. მამაცი ბრუტუსი ვერ შეელია სხვის აღზევებას, გაღმერთებას. პოეტი უყურადღებოდ არ ტოვებს თვითმკვლელობის ფაქტსაც „თავისმოკვლის წინ კითხულობდი დილეგში „ფედონს“ / და ცოდვა (იქნებ მამისმკვლელის!?) სასთუმლად გედო“. რა თქმა უნდა, შემთხვევით არ ახსენებს აქ „ფედონს“, რადგან პლატონის ეს დიალოგი ფუნდამენტური ნაშრომია, რომელიც ისეთი საკითხების გააზრებას ეხება, როგორიც არის სიკვდილი, სულის ბუნება, სიცოცხლე სიკვდილის შემდეგ. არც ის არის შემთხვევითი, რომ დიალოგში მოქმედება სოკრატეს სიცოცხლის ბოლო პერიოდში ხდება, სოკრატე იმის დამტკიცებას ცდილობს, რომ სული უკვდავია და რომ ფიზიკური ცხოვრების შემდეგ სული განაგრძობს არსებობას სხვა სუბსტანციით.

¹⁰⁰⁶ შ. ნიშნიანიძე. ლირიკა. ნაწყვეტები პოემიდან. რედ.: ლ. მესხი. თბილისი, 1989, გვ. 49.

სოკრატეს ფიგურაც ძალიან საინტერესოა შოთა ნიშნიანიძისთვის, გავიხსენოთ ლექსი „ვისი სული გასურს? ანუ სპირიტუალი სეანსები“.

პროგრუსტე

ლექსი „საწოლი“ ეძღვნება პოეტისთვის იმ დროისთვის აქტუალურ თემას, ადამიანების შესახებ, რომლებიც მზად არიან ნებისმიერ ფასად მოერგონ მათთვის საინტერესო ღირებულებებს. და რომ ადამიანი ყველაფერზე მიდის, რომ მისთვის სასურველს ნებისმიერ ფასად მიაღწიოს. აქ შემოდის პროგრუსტეს მეტაფორული სახე, რომელიც ასევე იძულებით საწოლს არგებდა ნებისმიერ სტუმარს, გრძელ კიდურებს კვეთდა, ტანდაბლებს კი ჭიმავდა, სანამ საწოლის ზომას არ მოარგებდა. ამ ლექსით კი ავტორს იმის თქმა უნდა, რომ ყალბ სიდიდეებს არ უნდა გაეკიდო და ისე იცხოვრო, რომ არ მოგიწიოს კომპრომისებზე წასვლა:

„როცა ყველას გვყავს თავის პროგრუსტე
სტრიქონი! ქალი! ძალაუფლება! [...]
ასე ვერვებით ყალბ სიდიდეებს
ძველი ბერძენი ავაზაკით“.¹⁰⁰⁷

დიოგენე, კლეოპატრა, კეისარი

ლექსი ძაღლების „გამოფენა-დათვალიერება: „დიოგენი“, „კლეოპატრა“, „ცეზარი“ და სხვანი“¹⁰⁰⁸ ძაღლების გამოფენაზეა, რომელთა შორისაც შეჯიბრი უნდა გაიმართოს და პოეტი მათ სახელებზე ამახვილებს ყურადღებას. ყველა სახელთან დაკავშირებით აქცენტირებას ახდენს მისი მატარებლის ნიშან-თვისებებზე. აქ იმყოფება დიოგენე, რომელიც ძალიან ბრაზიანია, თუმცა სიბრძნეს შვენივლი გააძევა და, რაც არ უნდა იყოს დიოგენე, სიბრძნის სიმბოლოა. პოეტი აქვე იწონებს თავს ალექსანდრე მაკედონელისა და დიოგენეს გასაუბრების სცენით.

ერთ-ერთ ძაღლს „კლეოპატრა“ ჰქვია, რომელიც ეჭვიანობს „ცეზარზე“. კლეოპატრა მისთვის ცბიერების და სიძვის, ხოლო „ცეზარი“ – ძალაუფლების სიმბოლოა.

2. ანტიკურ სახე-სიმბოლოებთან თვითიდენტიფიკაცია

¹⁰⁰⁷ შ. ნიშნიანიძე. ლირიკა. ნაწყვეტები პოემიდან. რედ.: ლ. მესხი. თბილისი, 1989, გვ. 293-295.

¹⁰⁰⁸ შ. ნიშნიანიძე. ლირიკა. ნაწყვეტები პოემიდან. რედ.: ლ. მესხი. თბილისი, 1989, გვ. 213-215.

1) პოეტი, რომელიც აწმყოში ვერ ხედავს ვერაფერს სახარბიელოს, მისტიკის გარდასულ დროთა სიდიადეს. აქ გვხვდება ისეთი ტერმინები, როგორიც არის **კოლხიდა, პონტო, დიოსკურია**.

ამ ტერმინებიდან ყველაზე ხშირად გამოყენებული ტერმინი არის კოლხიდა.

აქცენტირებულია კოლხიდა, როგორც ადგილი, რომელიც ანტიკურ პერიოდშივე იყო სხვა იმპერიების სასურველი სამიზნე და ამის გამო უწევდა ომში ყოფნა. კარგად ჩანს ეს განწყობა ლექსში „*** გახვეულია კოლხეთი ცხენის ჭიხვინში და ფაფარში“:

„გახვეულია კოლხეთი ცხენის ჭიხვინში და ფაფარში,
ჩემი წინაპარი ნადირობს... ომშია... პონტოზე აფრას შლის... [...]
ლეგენდებში და ფაფარში გახვეულია კოლხეთი“.¹⁰⁰⁹

აქ გვახსენდება ამონარიდი კიდევ ერთი ლექსიდან რომი „კვიცივით აჩეხეს ლამაზი კოლხიდა, / ხარივით გამოლადრეს პონტო“...¹⁰¹⁰

ლექსების ნაწილში კოლხეთი ასოცირებულია ბავშვობის გახსენებასთან, სადაც ყველაფერი იდილიურად არის.

„სიზმრებს მისხეპდით ბავშვობაში ბასრი ეშვებით
და კუდზე გებათ ჩემი ქართლი, ჩემი კოლხეთი,
ბავშვობა უკვე გასულია,
რად არ შემეშვით
და ზღაპრებიდან ცხოვრებაში რად გადმოხვედით?“
(*გმადლობთ, დევებო)¹⁰¹¹

ზოგადად, ბავშვობის დროინდელ მოგონებებში ხშირად ფიგურირებს ბაბუა. არ არის გასაკვირი, რომ გარდაცვლილი ბაბუას სულს პოეტი კოლხეთის მუხადქცეულ სულს ადარებს: „ნუთუ ტყე არის შენი საძვალე / მუხადქცეულო სულო კოლხეთის“ (ბაბუა).¹⁰¹²

ლექსს, რომელსაც პროფესორ ჟორდანიას უძღვნის, გვიყვება მის გმირობაზე. 1962 წელს რიო დე ჟანეიროს მახლობლად ცეცხლმოდებული თვითმფრინავი

¹⁰⁰⁹ შ. ნიშნაიანიძე. ლირიკა. ნაწყვეტები პოემიდან. რედ.: ლ. მესხი. თბილისი, 1989, გვ. 509.

¹⁰¹⁰ შ. ნიშნაიანიძე. ლირიკა. ნაწყვეტები პოემიდან. რედ.: ლ. მესხი. თბილისი, 1989, გვ. 470.

¹⁰¹¹ შ. ნიშნაიანიძე. ლირიკა. ნაწყვეტები პოემიდან. რედ.: ლ. მესხი. თბილისი, 1989, გვ. 583.

¹⁰¹² შ. ნიშნაიანიძე. ლირიკა. ნაწყვეტები პოემიდან. რედ.: ლ. მესხი. თბილისი, 1989, გვ. 678.

ოკეანეში ჩავარდა. პროფესორმა ჟორდანიამ თავისი მაშველი რგოლი ერთ უბილეთო გოგოს დაუთმო, თვითონ კი დაიღუპა, რადგან ცურვა არ იცოდა. ლექსის ბოლოს პოეტი სწორედ იმ გოგოს მიმართავს და შეახსენებს მას მისი გადამრჩენელის წარმომავლობას:

„თქვენ დიდი ქვეყნის შვილი ხართ, მაგრამ იცოდეთ ბარემ
არის პატარა კოლხეთიც – დიდთა რაინდთა მხარე“.

ბალადა პროფესორ ჟორდანიას გმირობაზე¹⁰¹³

ლექსს „კოლხური მელოდიები“ უძღვნის კომპოზიტორს ოთარ თაქთაქიშვილს, რომელიც გამოირჩეოდა პროდუქტიულობით და იყო ძალიან დიდი ექსპერიმენტატორი, ნოვატორული მიდგომით გაამდიდრა ახალი დიალექტებით მუსიკალური ნაწარმოებები. ამ ლექსში პოეტი ცდილობს სამეგრელოს მხარის მრავალფეროვნების ჩვენებით, სადაც ყოველ ჯერზე ხაზგასმულია ჰანგების მრავალფეროვნებაც, შეეხმიანოს ამ კომპოზიტორის შემოქმედებას. შოთა ნიშნიანიძის ეს ლექსი მელოდიურობითაც გამოირჩევა, ისიც გარკვეულწილად ექსპერიმენტს ატარებს ახალი ალიტერაციების შემოტანით და ლექსის ამღერებას ცდილობს. სიმბოლო კი არის მეგრული მაფშალია, მაგალობელი ჩიტი „საქართველოს მხარზე უზის მაფშალია კოლხური“. მთელ ლექსში გაბნეულია ტერმინები კოლხური, პონტო, ამორძალები, რაც ანტიკური პერიოდის საქართველოსთან კავშირის მცდელობაა.

„ეს როიალი კიდობანია ზღაპრული;
ისმის კოლხური დიდი წვიმების შხაპუნი.
ეს გიგანტური მუსიკალური ნიჟარა
სირინოზებმა ოსტატს მიაართვეს იჯარად.“
„ვიჩაუქე, ვიჯომარდე, ვიომე და ვიალქაჯე,
პონტოს მხარე გავახვიე ლაზურ-ჰანურ იალქანში“.
„იმ მთვარისფერ ბედაურით შორი გზები მოიმშვილდა
და კოლხური თეთრი მთვარე მოვიტაცე ოდიშიდან“.
„შენ ეგ ამორძალი თუ გიყვარს, მახარე,
მე და ჩემი ლექსი ვიქნებით მაყარი“.
„კოლხო, გადღეგრძელებ
და შეგიქებ ბევრჯერ
მაგ ძირსდაუდებელ ესებუას ბეჭებს“.

¹⁰¹³ შ. ნიშნიანიძე. ლირიკა. ნაწყვეტები პოემიდან. რედ.: ლ. მესხი. თბილისი, 1989, გვ. 47.

დიოსკურია

კიდევ ერთი ტერმინი, რომელიც ანტიკური საქართველოს დიდების სიმბოლოდ მოიაზრება, არის დიოსკურია. პოეტმა იცის ისტორია, მისი ჩაძირვის შესახებ. დიოსკურიასადმი მიძღვნილ ლექსში ამ ქალაქს უწოდებს „წყალქვეშა ზღაპარს“, „ზღვისქვეშ დამარხულს“. აქ არის დარდი იმ წარსულზე, თუ როგორი დიდებული იყო ერთ დროს დიოსკურია, თავისი ციხე-ტაძრებით, ხბოს ტყავის გრაგნილებით და პერგამენტებით, სიბრძნით, რომელიც თან ჩაიყოლა ქალაქმა.

ლექსში ჩანს იმედი, რომ საქართველოს მომავალი, რომელსაც ასეთი მყარი საფუძველი აქვს, სასიკეთო იქნება:

„ეს დამარხული ჩვენი ტანი, ჩვენი სულია, -
ამოდის ზღაპრულ ხომალდით დიოსკურია!“

დიოსკურია¹⁰¹⁵

ლექსში „*** სიზმრადა მაქვს ნახული განძი საქართველოსი“¹⁰¹⁶ პოეტი ჩამოთვლის მისთვის ძვირფასს სიმბოლოებს, როგორიც არის ყინწვისის ანგელოზი, მცხეთის სერაფიტა, ლაზის სიმღერები და დიოსკურია:

„ჰოი, რა მაცდურია, ზღვაო, შენი სახე.
ჩემი დიოსკურია კარგად შემინახე“.

და ამ შემთხვევაშიც პოზიტიური მოლოდინით ასრულებს ლექსს:

„მაგრამ განა გავთავდით, განა წახდა ყისმათი, -
საქართველო სადამდის? მარად, უკუნისამდის!“

2) თვითიდენტიფიკაციას ახდენს ანტიკურ ფიგურებთან და სახე-სიმბოლოებთან. ანტიკური სახეები გამოყენებულია, როგორც წინაპრების სიმბოლოები, და ავტორი ამ ხერხით თავს მათ უშუალო მემკვიდრედ თვლის.

¹⁰¹⁴ შ. ნიშნიანიძე. ლირიკა. ნაწყვეტები პოემიდან. რედ.: ლ. მესხი. თბილისი, 1989, გვ. 128.

¹⁰¹⁵ შ. ნიშნიანიძე. ლირიკა. ნაწყვეტები პოემიდან. რედ.: ლ. მესხი. თბილისი, 1989, გვ. 677-678.

¹⁰¹⁶ შ. ნიშნიანიძე. ლირიკა. ნაწყვეტები პოემიდან. რედ.: ლ. მესხი. თბილისი, 1989, გვ. 656.

აქილევსი

ჩვენ აქილევსზე ზემოთაც გვქონდა მსჯელობა, სადაც ვნახეთ, რომ პოეტი ავლენს ტროას ციკლის საფუძვლიან ცოდნას, ლექსი „ილიადას“ მთარგმნელიც¹⁰¹⁷ სწორედ ამას მოწმობს, მაგრამ გადავწყვიტეთ ამ ქვეთავში შეგვეტანა, რადგან აქ აქილევსი არა მხოლოდ ბერძნული მითოლოგიის ფიგურაა, რომელიც აინტერესებს ავტორს, არამედ მასთან აიგივებს ქართულ სულს და განსკუთრებულ სიახლოვეს უსვამს ხაზს.

ამ კავშირების აგებას იწყებს პატარა სტრუქტურებით, როგორც არის ჰექსამეტრი და შემდეგ გადადის უფრო დიდ სტრუქტურებზე. პოეტი ერთმანეთს ადარებს საქართველოს მთიან კუთხეში – ფშავ-ხევსურეთში გავრცელებულ ხალხური პოეზიის ერთ-ერთ ნიმუშს – მთიბლურ ლექსს და „ილიადისეულ“ ჰექსამეტრს: „რეკს ჰეგზამეტრი ანტიკურ ცისქვეშ. / ფშავ-ხევსურეთში ისმის მთიბლური. თითქოსდა რაღაც საერთოს ისმენს / ამ ორნაირი ხმით მოხიბლული“. „და დროის სიგრძე ბერძნულ ჰეგზამეტრს / ფშაველი მთიბლის მტკაველით ზომავს“. დაქტილური ჰეგზამეტრით გამართული სტრიქონებით აცოცხლებს ტროას ომის კედლების სცენებს: „ის ბილიკია / და წამიერად / მკითხველი ტროის კედლებთან მიჰყავს“. როგორც ეს ხმოვანება ჰგავს ერთმანეთს, ასეთივე სიახლოვეა აქაველებსა და ქართველებს შორის. ამ სიახლოვეს კი პოეტი აქილევსის სახე-სიმბოლოთი აკავშირებს. მასზე ამბობს, რომ აქილევსში არის რაღაც ქართული და ახლობელი:

„ჩანს აქილევსი – სული ზვიადი,
ვეება ტანით ფარს დაყრდნობილი.
ამაზრზენია მის ხასიათში
რაღაც ქართული და ახლობელი...
ცხენები ფრთხება ტროას გადაღმა
და ნაგაზები სიჩუმეს თქვლეფენ, –
ეს აქილევსის ლანდი გადარბის
და ცეცხლი სცვივით ვეება ტერფებს“.

სადაც აქილევსს ახსენებს, იქ შემოდს დროის/ჟამის თემა და აქ ისევ ვხვდებით აქილევსის სიმარდის, რომლის ტერფებიც ცეცხლებს ყრის და ჟამის სიზანტეს: „ჟამი კი მიდის მიიზლაზნება / მძიმედ დაჭედულ ჰეგზამეტრით“.

¹⁰¹⁷ შ. ნიშნიანძე. ლირიკა. ნაწყვეტები პოემიდან. რედ.: ლ. მესხი. თბილისი, 1989, გვ. 347-349.

აქვე ჩანს კიდევ ერთი სიმბოლო აქილევსის ფარი, რომლის ჟღერიალიც მთიბლურის ექოს ეხმიანება:

„და აქილევსის ფარს აჟღერიალებს
ფშავ-ხევსურული მთიბლურის ექო.
ეს ხმები კურნავს წარსულ იარებს, აპოხიერებს ვენახს და ბეჭობს“.

ლექსს ამთავრებს ქართველებისა და აქაველების შეკავშირებით. ქართველების გმირული სული, თავისი წარსულით აქაველების საბრძოლო ყიჟინას ეხმიანება:

„და ქართველების გმირული სული.
გამოწრთობილი ჭირში თუ ლხინში,
შეუერთდება თავის წარსულით
აქაველების საბრძოლო ყიჟინს“.

ბახუსი/დიონისე

ეს სახე, რამდენადაც ღვინის კულტურას უკავშირდება და საქართველო კი ამ თვალსაზრისით გამორჩეული ქვეყანაა, არაერთი მწერლის შთაგონებას ასაზრდოებდა. არაერთი ლექსი დაწერილა, სადაც დიონისე ღვინოსთან, სმასთან, ბოჭემურ ცხოვრებასთან არის კავშირში. შოთა ნიშნიანიძის ლექსში „ვაზის სიმფონია“ დიონისე გვხვდება როგორც საქართველოს კეთილდღეობის სიმბოლო. პოეტი ჩამოთვლის საქართველოს კუთხეებს მათთვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებებით, ქართლ-კახეთი ლეგენდაა, სამეგრელო – ოცნება, გურია – სიმღერა, რაჭა – სიზმარი, ხოლო ყველას რაც აერთიანებს არის ვენახი, ამიტომ არ არის მოულოდნელი, რომ ლექსსაც ვაზის სიმფონია ჰქვია. ლექსში ნახსენებია მნიშვნელოვანი ხალხური გმირები, რომლებმაც თავი გამოიჩინეს სამშობლოსთვის. ვაზს და სიმღერას ერთმანეთის მონათესავე ცნებებად მიიჩნევს იგი „ქართული სიმღერაც ვაზის ტყუპია!“ ვაზის სიმბოლოს განსახიერებისთვის კი ავტორი ანტიკურობის ფიგურას იხსენიებს:

„- გვიყვარს, გვიყვარს ბახუსი,
ბევრს არაფერს ვერჩით,
ისევ სიყვარულისთვის დავამწყვდიეთ ქვევრში.
ჭირში დგვიკარგავს, ლხინში გვიპოვნია

სრულიად საქართველოს ვაზის სიმფონია“.¹⁰¹⁸

თავისი ესთეტიკით საკმაოდ უჩვეულო ლექსია „მკვიდრნო მარადისობის...“.¹⁰¹⁹ ლექსი ორნაწილიანია, ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა პირველი ნაწილი, სადაც მთავარი ფიგურაა დიონისე, რომელიც ამ შემთხვევაში პერსონიფიცირებულია და არის ქუთაისის მკვიდრი. პოეტს თხრობა ანტიკურ დროში გადაჰყავს, „მაშინ, როცა ჩვენს ქუთაისს ქუთაია ჰქვია“:

„დიონისე – ლხინის ღმერთი (ვინც გვეხატა მარანზე),
კოლხიდაში იზრდებოდა – ღმერთების აგარაკზე,
ბავშვობაში იქ დარბოდა ცხენისწყალთან, რიონთან,
მაშინ როცა ჩვენს ქუთაისს ქუთაია ჰქვია“.

ჰყვება, რომ დიონისემ იქ ისწავლა ისრის სროლა, ნადირობა, ჯირითი, წყალზე ბადის გადება და ქვირითის ამოღება, ტყეებში დარბოდა, ჭურისთავზე მღეროდა. ყოველდღიურ სურათს გვიხატავს, როცა გამდელი შემოჰყავს, რომელიც ბახუსს ეძახის.

პოეტი ემზადება დიონისეს ტრანსფორმაციის საჩვენებლად და ამას ორ ეტაპად აკეთებს: როგორ ჩნდება და როგორ ნაწევრდება და გარდაისახება დიონისე:

„მზეს ბიმბლავდა მტევანივით,
მთვარეს წოვდა ცურივით
და თიხაში გადალახტა ყველა თავის სურვილი“.

პოეტს აქ შემოაქვს სპარაგმოსის და დიონისე-მაგრესის თემა, რაც დიონისეს მითის ღრმა ცოდნაზე მიუთითებს. სპარაგმოსი სიკვდილის და კვლავ გაცოცხლების სიმბოლოა, რაც ეხმიანება ბუნების ციკლურობის ხასიათს, სიკვდილს და რეგენერაციას. იგი დაკავშირებულია დიონისეს ამიბვალენტურ ბუნებასთან, სიცოცხლის მომცემია და დესტრუქციული. სპარაგმოსი რიტუალური დანაწევრებაა, რომელიც უკავშირდება დიონისეს კულტს. სიმბოლურად ხდებოდა სამსხვერპლო ცხოველის დანაწევრება. რაც შეეხება მაგრესს, ერთ-ერთი ვერსიის თანახმად, ზევსის და პერსეფონეს შთამომავალია, რომელიც ტიტანებმა დაგლიჯეს და მისი ნარჩენებიდან იშვა დიონისე. მისი სახელიც ასოცირდება ტანჯვასთან, სიკვდილთან

¹⁰¹⁸ შ. ნიშნიანიძე. ლირიკა. ნაწყვეტები პოემიდან. რედ.: ლ. მესხი. თბილისი, 1989, გვ. 480.

¹⁰¹⁹ შ. ნიშნიანიძე. ლირიკა. ნაწყვეტები პოემიდან. რედ.: ლ. მესხი. თბილისი, 1989, გვ. 13.

და ხელახლა დაბადებასთან. ამ შემთხვევაში, დიონისეს ჰიპოსტასი ღვინო ნაწილდება კოკებში, თუმცა ასოციაციურად წარმოგვიდგება დანაწევრებული სხეული:

„დანაწილდა ღმერთის ტანი დოქებად და ქვევრებად,
ქოთნებად და კეციებად – კერის ბედნიერებად“.

მეორე ნაწილში, დიონისეს სახე განზოგადებულია და დროსტარების და ქეიფის, კარგი განწყობის მიზეზია ბახუსი. და არც ბოლო ფრაზა არ არის შემთხვევითი, რომ ცოცხლებსაც წუთისოფლის სტუმრებად მოიხსენიებს და მარადისობის მკვიდრად. მიღმიერი სამყაროს მკვიდრების ხსენებით დიონისეს სახე-ხატს სრულად კრავს. ნიშანდობლივია, რომ ლექსსაც „მკვიდრნო მარადისობის...“ ეწოდება, სათაურშივე დებს საკვანძო სიტყვას:

„ეს სიმღერაც,
ეს ხორხოციც, დაე, მარად ისმოდეს,
წუთისოფლის სტუმრებო და მკვიდრნო მარადისობის...“

ამორძალები

ძალიან ხშირად გვხვდება ტერმინი „ამორძალები“ როგორც ასევე თვითიდენტობის გამომხატველი ცნება. ხშირად ახსენებს მათ ქართულ ცნებებთან ნათესაობის კონტექსტში.

ერთგან იბერია არის შედარებული ამორძალის მოკვეთილ ძუძუს „და ყურს უგდებს ქართულ ხმათა ზუზუნს / შორეული იბერია – / ამორძალის მოკვეთილი ძუძუ“ (იოანე ბერი).¹⁰²⁰

ლექსში „აფხაზური კანტატა“¹⁰²¹ აფხაზეთი შედარებულია ამორძალს, რომელიც მკერდმოჭრილია უსაქართველოდ:

„ო, აფხაზეთო, ბევრი კარგი მოყმის გამდელი,
ამორძალი ხარ, მკერდმოჭრილი უსაქართველოდ“.

¹⁰²⁰ შ. ნიშნიანძე. ლირიკა. ნაწყვეტები პოემიდან. რედ.: ლ. მესხი. თბილისი, 1989, გვ. 675.

¹⁰²¹ შ. ნიშნიანძე. ლირიკა. ნაწყვეტები პოემიდან. რედ.: ლ. მესხი. თბილისი, 1989, გვ. 199.

ერთ-ერთ ლექსში მედეა კახიძეს ადარებს ამორძალს „შე ალაზნის ამორძალო“ (მედეა კახიძეს).¹⁰²²

„კოლხი ქალი მყავდა ძიძად – ამორძალი ენამწარე,
ნიშა ხარის სიყვარულიც ამ მხარეში შემასწავლეს“.

ქართული ზღაპარი¹⁰²³

„დედობილი მომიკვდა – კოლხ-იბერთა გამდელი.
დიდედაიც დაკვარგე – ამორძალი ქართლელი“.

დიკა და მახობელა¹⁰²⁴

„რძე ვასვი ამორძალთა“.

სასამართლოში გასაგზავნი ბაღადა¹⁰²⁵

ცალკე გამოყოფდით, ლექსს „ამორძალები“,¹⁰²⁶ რომელსაც ამორძალებს უძღვნის. პოეტი მოკლედ გვიყვება მათ შესახებ, რომ ესენი არიან ის ქალები, რომლებმაც უარყვეს მამაკაცები. თავს ნანადირევით ირჩენენ, თერმოდონიდან ფაზისს აწვდენენ შუბს, ვახშმად სხდებიან კოცონებთან და ხარს ატყავებენ და მსხვერპლს სწირავენ საშიშ ღვთაებებს. არიან მეომრები, სკვითიასა და თრაკიაში მეომარ ტომებს ცუდ დღეში აგდებენ.

და ხდება ლექსში მოულოდნელი გარდატეხა: ეს დაუნდობელი ქალები, სიყვარულს ეძლევიან. ლექსი იწყება თეზით: მამრი უარყვეს, რომელიც ორჯერ მეორდება, ხოლო მთავრდება საკმაოდ ეროტიკული სცენით:

„თრთის ამორძალის ძუძუსავით ტრამალის მთვარე
და ერთი ღამის სარეცელი განცხრომით მთვრალი.
თითქოს აგვისტოს ხვატიანი მზე შეუსრუტავთ, -
ველური ვნება იღვენთება ხალი ძუძუდან.
ჰგავს სარეცლები ცხელი ქარით მოთენთილ კუნძულთ
და ამორძალებს კვლავ ეზრდებათ მოჭრილი ძუძუ...“

ამ სახე-სიმბოლოთი ავტორი ამორძალების ქალურობაზე მიაწვდის, და მეომრული სული უკანა პლანზე გადადის.

¹⁰²² შ. ნიშნიანიძე. ლირიკა. ნაწყვეტები პოეტიდან. რედ.: ლ. მესხი. თბილისი, 1989, გვ. 526.

¹⁰²³ შ. ნიშნიანიძე. ლირიკა. ნაწყვეტები პოეტიდან. რედ.: ლ. მესხი. თბილისი, 1989, გვ. 11.

¹⁰²⁴ შ. ნიშნიანიძე. ლირიკა. ნაწყვეტები პოეტიდან. რედ.: ლ. მესხი. თბილისი, 1989, გვ. 15.

¹⁰²⁵ შ. ნიშნიანიძე. ლირიკა. ნაწყვეტები პოეტიდან. რედ.: ლ. მესხი. თბილისი, 1989, გვ. 280.

¹⁰²⁶ შ. ნიშნიანიძე. ლირიკა. ნაწყვეტები პოეტიდან. რედ.: ლ. მესხი. თბილისი, 1989, გვ. 643.

ხალიბები

კიდევ ერთი ტერმინი, რომელიც ქართველების წინაპრებთან იდენტიფიკაციას წარმოადგენს, არის ხალიბები. შოთა ნიშნიანიძე არაერთხელ აღნიშნავს ქართული ჯარის ძლიერებას და საკმაოდ ხმამაღალ განცხადებას აკეთებს ლექსში „ქართული ლაშქრის სადიდებელი“, სადაც ამბობს, რომ ქართულ ჯარს ვერ შეედრებოდა ძველ ელინთა თუ რომაელთა ჯარი: „მათთან ვერ მოვა ძველთა ელინთა / თუ რომაელთა ფხიანი ჯარი“.¹⁰²⁷

ხალიბებს სპეციალურ ლექსსაც უძღვნის „ხალიბური სიმღერა“.

ხალიბები ამ ლექსში ჰეფესტოს მაცნეები არიან, რომლებმაც პირველებმა გამოჰედეს რკინა, საბრძოლო და თავდასაცავი იარაღები. პირველი აქცენტი, რომელზეც გვინდა ყურადღება გავამახვილოთ არის ხალიბებისა და ქართველების ნათესაური კავშირი:

„ასე ხალიბთა ტომიც
რკინის ულეველ მადნად,
როგორც ღრიალი ლომის,
ქართულ გვარებში გადნა“.¹⁰²⁸

ამ ხაზს მომდევნო ნაწილშიც აგრძელებს ავტორი, სადაც სპარტელებს და არაგველებს ადარებს:

„იქნება დიდი გამოცდა,
უთანასწორო რკენა,
სამასი რკინის სპარტელი,
სამასი რკინის ქართველი
ერთხელაც კიდევ გამოცდის
რკინის გულსა და რკინას!“

¹⁰²⁷ შ. ნიშნიანიძე. ლირიკა. ნაწყვეტები პოემიდან. რედ.: ლ. მესხი. თბილისი, 1989, გვ. 109.

¹⁰²⁸ შ. ნიშნიანიძე. ლირიკა. ნაწყვეტები პოემიდან. რედ.: ლ. მესხი. თბილისი, 1989, გვ. 181. შდრ. ასევე ამონარიდი ლექსიდან „კეისარს კეისრისა“
„ცეცხლი მოჩუხჩუხებს, როგორც გეიზერი,
რკინაც ხალიბური შელღვა-შეისრისა,
შენ ხარ, მეფოლადევ, დღეის კეისარი,
კეისარს კეისრისა!“ (შ. ნიშნიანიძე. ლირიკა. ნაწყვეტები პოემიდან. რედ.: ლ. მესხი. თბილისი, 1989, გვ. 478).

ლექსის ბოლოს ისევ სამხედრო ძლიერების მნიშვნელობაზე ლაპარაკობს. ქვეყნის დასაცავად, რასაც აქ წარმოადგენს სიმბოლოები რწმენა, კანონი, ენა, საჭიროა სათანადო სამხედრო ძლიერება: „რკინის მუშტია საჭირო / რკინის ლოგიკის გარდა“.

3. მოხსენიებულია უბრალოდ როგორც ტერმინი

აქ გავაერთიანეთ ის ტერმინები, რომელიც ან შედარების ან მეტაფორის დატვირთვით არის მოხსენიებული, როგორც, მაგალითად, დამოკლეს ხმალი, რომელსაც არის შედარებული შლაგბაუმი „ჰეი, შლაგბაუმი, – დამოკლეს მახვილო, / მხნედ იდექ საეჭვო გზასთან“. გვხვდება მუზები, ამურები, ნიმფები, კენტავრები, გლადიატორები, ოლიმპო, ზევსი, ამორძალი, ჰერაკლე, აქილევესი, რომი, ჰომეროსი, ეროსი, ოიდიპოსი, ტროა, ათენა, ნეპტუნი, პანი.

ანტიკურობასთან დაკავშირებული ტერმინები: გლადიატორი, ამორძალი, ჰერაკლე/ჰერკულესი, არესი, მუზა, ნერონი, რომი, ელადა, კართაგენი, პლატონის სახელმწიფო, პრომეთე, ზევსი, ოლიმპი, რომი, თებე, ოიდიპოსი, ოლიმპო, ჰომეროსი, ილიადა, ბერძნული ჰექსამეტრი, ეპოსი, ილიონი/ტროა, აქილევესი/აქილევესის ქუსლი, ჰექტორი, ოდისევესი, კიკლოპი, აქაველები, ათენელები, „ხომალდთა კატალოგი“, ხის ცხენი, აქილევესი, არესი, ბახუსი, კეისარი, რუბიკონი, ტიტანი, პროკრუსტე, დიოგენე, ალექსანდრე დიდი, ტარტაროზი, ტიტანი, ნიმფები, მუზა, კენტავრი, სოკრატე, დელფოსი, ნეპტუნი, დიონისე/ბახუსი, კოლხიდა, ფაზისი, თერმოდონი, პონტო, ამორძალი, დიოსკურია, სირინოზები, ცინცინატი (ლუციუს კვინცციუს ცინცინატუსი) Lucius Quinctius Cincinnatus, მარკუს იუნიუს ბრუტუსთან, ბრუტუს (მარკუს იუნიუს ბრუტუსი), იულიუს კეისარს (იულიუს კეისარი), სპარტაკი, „ფედონს“ (პლატონის „ფედონი“).

მერაბ კოსტავა (1939-1989)

ეკატერინე კობახიძე

მერაბ კოსტავას ლექსების ძირითადი მოტივები ეროვნული და ბიბლიური თემებითაა შთაგონებული.¹⁰²⁹ ლიტერატურათმცოდნეთა აზრით, „მერაბის ლექსთა

¹⁰²⁹ ლ. სორდია. მერაბ კოსტავას პოეზია (ეროვნული, რელიგიურ-ფილოსოფიური და სახისმეტყველებითი ასპექტები). თბილისი, 2017, გვ. 6.

უმეტესობა პირდაპირ ფსალმუნებად, საგალობლებად იკითხება. ლოცვის სიმშვიდე, ამ სიმშვიდით მოგვრილი ძალა და ენერგია გადმოდის მკითხველში და ყოველივე ამის თანაზიარი ხდება. XX საუკუნის პოეტთა შორის ასეთი ვნებიანი დამაჯერებლობით, გამოცდილებითა და ძლევამოსილებით არავის გადმოუცია ლოცვის არსი, ის თუ რაში მდგომარეობს ლოცვის ძალა“. ¹⁰³⁰

ამავდროულად, საყურადღებოა, რომ მერაბ კოსტავას ლექსებში ანტიკურობასთან დაკავშირებული თემების და სიმბოლოების გამოყენების შემთხვევები საკმაოდ ხშირია.

ლექსში „სულო, დაიცა...“ პოეტი მარად მბორგავ, ბოროტებასთან შეურიგებელ საკუთარ „მეს“- დაუდგრომელ სულს მიმართავს:

„საით მიიღტვი, სულო, დაიცა,
სულო მბორგავო, შესდექ!
ცხრა კართაგენი თუნდაც დაეცეს,
უნდა ელოდო შემდეგს“. ¹⁰³¹

რომის მეტოქის, კართაგენის დაცემის ხსენება ლექსის ამ ნაწყვეტში სიმბოლურად მიაანიშნებს დაუძინებელ მტრის განადგურებაზე, თუმცა, როგორც ირკვევა, განსხვავებით რომისაგან, მეზრდოლ ადამიანს საკუთარი ცხოვრების გზაზე არაერთი „კართაგენის“ დანგრევა უწევს. საფიქრებელია, ამ კონტექსტში „ცხრა“ ქართული (და არამხოლოდ) ფოლკლორული ტრადიციის შესაბამისად, სიმრავლის აღმნიშვნელია.

ლექსში საკმაოდ საინტერესოა ინტერპრეტირებული პრომეთეს ცნობილი მითიც:

„აუწყვეტია კლდეით პრომეთეს,
დამცხრალა მთებში ზვავი,
ადევნებიხარ ცაში კომეტებს,
ზევსთან შეკრული ზავით“. ¹⁰³²

¹⁰³⁰ მ. ჯოხაძე. მერაბ კოსტავას საგალობლები. ქართული კულტურა. 5. 2020. ხელმისაწვდომია ონლაინ: <https://www.geculture.com/2020/05/25/%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%91-%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%95%E1%83%90%E1%83%A1-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%92%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%9A%E1%83%94/> ბოლო ნახვა: 12.03.2023.

¹⁰³¹ მ. კოსტავა. ლექსები. თბილისი. 1990, გვ. 40.

¹⁰³² მ. კოსტავა. ლექსები. თბილისი. 1990, გვ. 40.

პრომეთე, ესქილეს ფრაგმენტულად მოღწეული ტრაგედიის „გათავისუფლებული პრომეთეს“ მიხედვით, კი არა „აიწყვეტს“, როგორც ეს ლექსშია, არამედ, ზევსის ნებით, ჰერაკლეს მიერ გათავისუფლებს, რაც ზევსსა და პრომეთეს შორის გარკვეული ზავის ჩამოგდების მანიშნებელია,¹⁰³³ ეს უკანასკნელი ლექსშიცაა ნახსენები („ზევსთან შეკრული ზავით“). მითის კოსტავასეული ტრანსფორმაცია მიმართებას გვიჩვენებს აკაკი წერეთლის ამირანის მითზე დაწერილ ერთ-ერთი ლექსის, „ამირანის“ ბოლო სტროფთან, სადაც აკაკი წერს:

„მოვა დრო და თავს აიშვებს,
იმ ჯაჭვს გასწყვეტს გმირთა-გმირი!..
სიხარულად შეეცვლება
ამდენი ხნის გასაჭირი!..“

ამრიგად, მერაბ კოსტავას ლექსში პრომეთეს მითის ფინალური მონაკვეთის ცვლილება ნაკარნახებია პოეტის სურვილით, მიანიშნოს ქართული მითის იმ ლიტერატურულ გადამუშავებაზე, რომელიც ალეგორიულად აღნიშნავს რუსეთის თვითმპყრობელობისგან სამშობლოს გათავისუფლებას.

ლექსში „ტანჯვათა ტიტანი“, რომელსაც მერაბ კოსტავა ფიოდორ დოსტოევსკის უძღვნის, პოეტი რუს მწერალს ადარებს ტიტანებს - ურანოსისა და გეას შვილებს, რომლებიც გამოირჩეოდნენ უზარმაზარი ძალითა და სტიქიურ ძალებთან კავშირით. ეს შედარება ხაზს უსვამს მწერლის დიდ ნიჭს, ინტელექტუალურ სიღრმეს და უძირო ტანჯვას, რომელსაც იგი განიცდის, როგორც მთლიანად რუსეთი, გაშიშვლებული, როგორც „მეძავი ბაბილონისა“. პოეტი ერთგვარ რიტორიკულ კითხვას სვამს:

„ნუთუ ფორტუნას ჰყავს ატანილი
და საკუთარ თავს ვეღარ იპოვის...“¹⁰³⁴

ფორტუნა, წარმატების რომაული ქალღმერთი, რომელსაც ხშირად ბრმად მიიჩნევდნენ, ამ კონტექსტში უარყოფითი მნიშვნელობით, სასტიკი ბედისწერის

¹⁰³³ V. Ehrenberg. Man, State and Deity. Essays in Ancient History. 2011, გვ. 39-40.

¹⁰³⁴ მ. კოსტავა. ლექსები. თბილისი, 1990, გვ. 16.

განსახიერებადაა წარმოდგენილი და შეესაბამება Atrox Fortuna-ს (სასტიკ ფორტუნას).¹⁰³⁵

უსათაურო ლექსში „სული ნაკუწებად ნაკები (განაჩენის მოლოდინში)“, რომელიც პოეტმა დაწერა პატიმრობისას, გისოსებს მიღმა („სახეზე აკრული გისოსი“), განაჩენის მოლოდინში. მერაბ კოსტავა საკუთარ თავს თითქოს გვერდიდან უყურებს და მეორე პირში წერს საკუთარ სულიერ მდგომარეობაზე:

„ბორგავ უთვისტომოდ შთენილი
ელი ჩასაფრებულ იქედნეს,
უზეო ცით გადამეხილი,
გამწლეულ სხეულის ყრუ კედლებს
აწყდები ცოფიან ვეფხივით“.¹⁰³⁶

პოეტი ახსენებს ექიდნეს – ნახევრად გველს, ნახევრად ქალს ბერძნულ მითოლოგიაში, რომელიც გამოქვაბულში ცხოვრობდა და მოულოდნელად თავს ესხმოდა საკუთარ მსხვერპლს. ლექსში იგი განაჩენის მეტაფორად გვევლინება, რომელიც, პოეტის აზრით, ისეთივე სასტიკი იქნება, როგორც ეს მიქსანთროპული არსება.

რელიგიური სულისკვეთებით გამსჭვალულ ლექსში „შეხვედრა“ მოულოდნელად გაიელვებს ანტიკურობასთან დაკავშირებული რამდენიმე პასაჟი:

„საკუთარ ისარზე
უნდა წამოეგოს,
თქვენს ფერხთით
დაემხოს ამური“.¹⁰³⁷

ამური, იგივე კუპიდონი, რომელიც ლექსში საკუთარ ისარს უნდა წამოეგოს, სიყვარულის მშვილდოსანი ღვთაებაა, ბერძნული ეროსი. პოეტი აშკარად მიაჩნებდა მითზე, რომელიც ეროსისა და ფსიქეს ამბავს მოგვითხრობს, სადაც სიყვარულის ღმერთი თავად დაიჭრა საკუთარი ისრით და მშვენიერი ქალწული შეუყვარდა. „ამურის დამხობა“ ერთგვარად წარმართობის დამხობაა „სერაბიმთა“ – ქეშმარიტი

¹⁰³⁵ M. Kretschmer. Atrox Fortuna. The Classical Journal 22.4 (January 1927), გვ. 267-275. რომელსაც მიაწერდნენ ავგუსტუსის შვილიშვილების, გაიუსისა და ლუკიუსის, იმპერიის მომავალ მემკვიდრეების ნაადრევ გარდაცვალებას.

¹⁰³⁶ მ. კოსტავა. ლექსები. თბილისი, 1990, გვ. 29-30.

¹⁰³⁷ მ. კოსტავა. ლექსები. თბილისი, 1990, გვ. 56.

სარწმუნოების წინაშე. ამასთან, ანტიკური სიყვარულის ღვთაება ემხოზა ჭეშმარიტი ბიბლიური ღმერთის წინაშე, რომელიც თავად სიყვარულია.

ამავე ლექსში ვხვდებით ანტიკურობასთან დაკავშირებულ კიდევ ერთ პასაჟს:

მთვრალმა საბერძნეთმა

სახლი ისრაელის

ჰპოვა, სად ვარდები ჰლუიან, ოსანა, **სოკრატე**

უკმევს ისაიას

ოსანა და ალილუია“.¹⁰³⁸

ამ პასაჟში პოეტი მხატვრული სახეებით „მთვრალი“, ე.ი. წარმართობის ტყვეობაში მყოფი საბერძნეთის ბიბლიურ ჭეშმარიტებასთან ზიარებაზე საუბრობს („სახლი ისრაელის ჰპოვა“). ლექსში ანტიკური ფილოსოფიური აზრის სიმბოლოდ სოკრატეა წარმოდგენილი, ხოლო ბიბლიური სიბრძნისა – წინასწარმეტყველი ესაია, „ძველი აღთქმის“ ერთ-ერთი წიგნის ავტორი, განთქმული სიბრძნითა და აზროვნების სიღრმით. ფრაზით „სოკრატე უკმევს ისაიას“ მერაბ კოსტავა მიანიშნებს ბიბლიური სიბრძნის უპირატესობაზე ბერძნული ფილოსოფიური აზრის წინაშე.

ანტიკური ლიტერატურული და მითოლოგიური სიმბოლოებითაა გაჯერებული ლექსი „**ორი პაემანი**“, რომელიც დანტეს „ღვთაებრივი კომედიის“ მოტივებითაა ნასაზრდოები.

ლექსის დასაწყისში დანტე „სალხინებელთან“ (Purgatorio) ემშვიდობება მის მეგზურს, დიდ რომაელ პოეტ ვერგილიუსს, რომელიც „უბრად შორდება“ მას და უბრუნდება ჯოჯოხეთს:

„აჰა, მოელის გმირი გენიოსს,

შუბლს მოერკალა ლავრა დიდების,

ვინც მიაცილებს თავის ენეოსს

აღთქმულ მიწამდე ჰესპერიდების.

სადაც ფატუმის ეტლით სატურნუს

დაბორიალობს როგორც ფანტომი

გააჩაღებენ სისხლიან ტურნირს,

ტიბროსის ველი და ლავრენტუმი“.¹⁰³⁹

¹⁰³⁸ მ. კოსტავა. ლექსები. თბილისი, 1990, გვ. 56-57.

¹⁰³⁹ მ. კოსტავა. ლექსები. თბილისი, 1990, გვ. 47.

პოეტის ამ ნაწევრებში ვხედავთ ვერგილიუსის „ენეიდას“ მთავარ პერსონაჟს, ენეასს („ენეოსი“), აღთქმული მიწისკენ, ახალი სამშობლოსკენ რომ მიემართება, რომელსაც მითოსი უკავშირებს დასავლეთით მდებარე ჰესპერიდების ბაღს, სადაც უკვდავების, მომნიჭებელი ოქროს ვაშლები იზრდება.¹⁰⁴⁰ ვერგილიუსი, პოეტის თქმით, ახალ გენიოს შემოქმედს ელის, რომელიც „თავის ენეასს“ მიაცილებს უკვდავებისკენ.

ლექსში ჯოჯოხეთში ბედისწერის („ფატუმის“) ეტლით „დაბორიალობს“ სატურნუსი, ანტიკურ მითებში ნახსენები ოქროს საუკუნის აწ უკვე ფანტომად ქცეული მმართველი და იმართება სისხლიანი ორთაბრძოლები.

ტიბროსის ველისა და ლავრენტუმის „სისხლიანი ტურნირი“ არის მინიშნება რომულუსისა და ტიტუს ტატიუსის ერთობლივი მმართველობისას ტიბროსის ნაპირზე გაშენებული რომის დაპირისპირებაზე ლათინთა ქალაქ ლავრენტუმთან, რომლის დროსაც ტატიუსი სასტიკად მოკლეს (Liv. 1.14.1).

ლექსში დანტე კი განაგრძობს გზას სამოთხისკენ, სადაც მას მეორე პაემანი ელის:

„ხოლო მის ნამძობს სხვა პაემანი
დასწვავს, აღუვსებს სიწმინდის სარწყულს,
მიეახლება ოდეს პეანით
სულმნათთა დასში ღვთაებრივ ქალწულს“.¹⁰⁴¹

ბეატრიჩეს, რომელსაც მერაბ კოსტავა „ღვთაებრივ ქალწულს“ უწოდებს, დანტე მიუძღვნის პეანს, რომელიც ანტიკურ ლირიკაში ხოტბისა და მადლიერების ნიშნად იმღერებოდა.

ამრიგად, ლექსში „ორი პაემანი“ ვხედავთ არა მხოლოდ „ღვთაებრივ კომედიას“, არამედ ვერგილიუსის „ენეიდაში“ ნახსენებ, ანტიკურობასთან დაკავშირებულ სიმბოლოებს, რომლებსაც პოეტი ორიგინალურად უკავშირებს ერთმანეთს და სიუჟეტურად ორი პაემნის – (ვერგილიუსის და დანტეს, დანტესა და ბეატრიჩეს) ირგვლივ აერთიანებს. პოეტი გამოკვეთს დანტეს თხზულების კავშირს ანტიკურობასთან, რომელიც „ღვთაებრივი კომედიისა“ და მისი ავტორის შთაგონების წყაროს წარმოადგენს.

¹⁰⁴⁰ F. Chwalkowski. Symbols in Arts, Religion and Culture, The Soul of Nature. New Castle Upon Tyne, 2016, გვ. 173.

¹⁰⁴¹ მ. კოსტავა. ლექსები. თბილისი, 1990, გვ. 47.

უსათაურო ლექსში „ვედარ ვიოკებ შეშლის სუნთქვის დაწყევლილ ალებს“, რომლიდან ამონარიდი, „დავაშრობთ ლეტოს, დავიწყების წყეულ მდინარეს“, კოსტავას პოეზიის მკვლევართა თქმით, მის „მთელ ცხოვრებასა და შემოქმედებას საოცრად მოუხდებოდა ეპიგრაფად“, ¹⁰⁴² პოეტი ლექსის ლირიკულ გმირს საიქიოში ჩასვლამდე ემშვიდობება:

„ქარონის ნავით გადავირბენ პირველ ქაოსებს
ეთერის ჭავლებს ავაკვნესებ ცეცხლის ხოფებით,
საიქიოშიც მე ვიგლოვებ სააქაოზე,
რადგან ძვირფასო, აქ მიწაზე შენ იმყოფები,
დაე, კვლავ დასთქვან პაემანი **ერინიებსა**,
ჩემი ცოდვები მათთვის დარჩეს აწ გასამხელი,
წავალ, წამყვება საშინელი მონანიება
და გულში შანთით ამომწვარი შენი სახელი.
ვერ დაგვაშორებს **აქერონის** შლეგი ტალღები,
სული იფხიზლებს, თუნდ რომ გვამი ეგდოს მდინარე,
სულეთის მგზავრნი, ანგელოსებს ჩვილი ბაღლები
დავაშრობთ **ლეთოს**, დავიწყების წყეულ მდინარეს“. ¹⁰⁴³

ლექსში ნახსენებია ანტიკური ჰადესის მდინარეები (აქერონი და ლეთო), მენავე ქარონი და ერინიები. პოეტის თქმით, საიქიოში იგი ერინიებს, შურისძიების ქალღმერთებს შეხვდება, რომლებიც მისი ცოდვების შესახებ შეიტყობენ. აქერონს მიღმა მყოფი პოეტის აზრით, მდინარე მაინც ვერ დააშორებს მას ლექსის ადრესატთან, რადგან ლეთო – სააქაო ცხოვრებასთან დამაკავშირებელი მოგონებების დასავიწყებელ მდინარეს ისინი ერთად დააშრობენ.

საყურადღებოა, რომ მდინარე აქერონს, რომელიც საიქიოსა და სააქაოს გამყოფია ბერძნულ მითოლოგიაში, პოეტი არა მენავე ქარონის დახმარებით, არამედ მარტო, ქარონისვე ნავით გადაცურავს. ასევე ორიგინალურია ლეთოს, როგორც დავიწყების მდინარის, დაშრობა, რაც იმას ნიშნავს, რომ პოეტის „სული იფხიზლებს“. ლეთო, ზოგიერთი მოსაზრებით, „ეს მდინარეა, ნიაღვრებად რომ მიუშვებს ხსოვნას. აქ უკვე

¹⁰⁴² მ. ჯოხაძე. მერაბ კოსტავას საგალობლები. ქართული კულტურა. 5. 2020. ხელმისაწვდომია ონლაინ: <https://www.geculture.com/2020/05/25/%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%91%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%95%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%92%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%9A%E1%83%94/> ბოლო ნახვა: 12.03.2023.

¹⁰⁴³ მ. კოსტავა. ლექსები. თბილისი, 1990, გვ. 49.

ადარ ისმის შეკითხვები, ადარც ინტერესია, არც ეჭვები. აშკარაა, რომ ეს სტრიქონები ზვიადისა¹⁰⁴⁴ და მერაბის მთელი ცხოვრებისა და შემოქმედების კუთვნილებაა, მათი რწმენის გამარჯვებაა“.¹⁰⁴⁵

შესაბამისად, პოეტის ჰადესში ჩასვლა შეიძლება აღვიქვათ როგორც პოეტის პატიმრობის წლები, რომელიც, მართალია, ამორებს მას მას სიმბოლურ სააქაოსთან, მაგრამ ლეტოს დაშრობით ეს განშორება პირობითობად იქცევა.

მ. ჯოხაძე მიუთითებს: „უცნაური განცდა გიპყრობს ამ ლექსის კითხვისას, საოცარი ინტერესი – ვის ეკუთვნის ეს სიტყვები, სულის დამთუთქავი გამომშვიდობება, ვინაა ადრესატი, ვინ არის იგი, ვისაც ასე გულისმომწველად ვერ ელევინ: შვილი? ცოლი? სატრფო? დედა? ცა? მიწა? ან იქნებ ყველა ერთად, სამშობლოს რომ ნიშნავს“.¹⁰⁴⁶

უსათაურო ლექსში „*** (შვენის ირლანდიას მზიური რაინდი)“, რომელიც რელიგიური საგალობლის სულისკვეთებითაა გაჟღენთილი, პოეტი სხვადასხვა ქვეყნის და დროის გმირების შემწე ღვთაებებს ახსენებს, მათ შორის- ანტიკურობიდან:

„ქალღმერთმა ათენამ შეჰფერა ეოსით

სიბრძნით მოსირმული გზა ოდისეოსის“.¹⁰⁴⁷

პოეტი აქ ახსენებს ჰომეროსის „ოდისეას“ მთავარ გმირს, ითაკის მეფე ოდისევსს, რომელსაც ტროას ომის შემდეგ შინ დაბრუნებისას ფათერაკებით აღსავსე გზაზე შემწედ სიბრძნის და ბრძოლის ქალღმერთი, ათენა ევლინებოდა. ასევე ნახსენებია გარიჟრაჟის ქალღმერთი ეოსი. „სიბრძნით მოსირმული გზა“ აშკარაა მინიშნებაა ჰომეროსთან ოდისევსის ეპითეტზე „ჰუკუამრავალი“ – πικραμένη, რაც ხაზს უსვამს გმირის განსაკუთრებულ სიბრძნეს და გონიერებას. ლექსში ნახსენები „ეოსით შეჰფერა“, შეიძლება აღვიქვათ არა მხოლოდ როგორც განთიადის მშვენიერება,

¹⁰⁴⁴ იგულისხმება ზვიად გამსახურდია.

¹⁰⁴⁵ მ. ჯოხაძე. მერაბ კოსტავას საგალობლები. ქართული კულტურა. 5. 2020. ხელმისაწვდომია ონლაინ: <https://www.geculture.com/2020/05/25/%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%91-%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%95%E1%83%90%E1%83%A1-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%92%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%9A%E1%83%94/> ბოლო ნახვა: 12.03.2023.

¹⁰⁴⁶ მ. ჯოხაძე. მერაბ კოსტავას საგალობლები. ქართული კულტურა. 5. 2020. ხელმისაწვდომია ონლაინ: <https://www.geculture.com/2020/05/25/%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%91-%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%95%E1%83%90%E1%83%A1-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%92%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%9A%E1%83%94/> ბოლო ნახვა: 12.03.2023.

¹⁰⁴⁷ მ. კოსტავა. ლექსები. თბილისი, 1990, გვ. 72.

ოდისეოსის გზას ათენას წყალობით რომ აცისკროვნებს, არამედ ფერებზე მინიშნებაც – კერძოდ, ქალღმერთ ეოსს რამდენიმე ეპითეტით იცნობენ და თითქმის ყველა მათგანში ჩართულია ფერის აღმნიშნელი სიტყვა („ვარდისფერთილება“ – ῥοδιόδαντος; „ვარდისფერმკლავება“ – ῥοδιόπαχος, „ოქროსმკლავება“ – χρυσοπάχος; „მეწამულპეპლოსიანი“ – κροκόπειλος), რაც, შესაძლოა, ეოსთან დაკავშირებული ფერების ალუზიას იწვევდეს.

ლექსში „სფინქსი“, ჩემი აზრით, ერთმანეთთან გადაჯაჭვულია სფინქსის ეგვიპტური, ანტიკური და ქრისტიანული ალუზიები. ეგვიპტური ლომისტანა სოლარული ქალღმერთ სეხმეთის ალუზიას იწვევს ლექსის დასაწყისში მზის და ცის ხშირი ხსენება, სფინქსის ქრისტიანულ აღქმას უკავშირდება ლექსში მოგვის ხსენება, რომელსაც „გადაეხსნება ზეცის თავანი/იდუმალ სიტყვის მაღალმშვენიებით“, რაც მოგვების მიერ ცაზე მაცხოვრის შობის ნიშნისა და იდუმალ წინასწარმეტყველების ამოცნობას უკავშირდება, ხოლო ანტიკურობაზე აშკარა მინიშნებას ვხვდებით დასკვნით სტრიქონებში:

„და ოდეს ვნებას ოკეანეთა,
გარდაჰქმნი პირმშოდ შენი ნებისა,
სულში ჩადგება სულ სხვა პლანეტა,
სხვა სიბრძნე **სფინქსის** ქარაგმებისა“.¹⁰⁴⁸

აქ, ცხადია, იგულისხმება სფინქსის ცნობილი გამოცანა, რომელიც მას მუზებმა ასწავლეს და რომელიც მხოლოდ ბედისწერასთან მეზრძოლმა ოიდიპოსმა გამოიგნო.

მერაბ კოსტავას სფინქსი არის მარადიულობის სიმბოლო, რომელიც ერთმანეთში ითავსებს სხვადასხვა კულტურისა და რელიგიის ნიშნებს, თუმცა ანტიკურობაში სფინქსისთვის დამახასიათებელი ერთ-ერთი მთავარი მახასიათებელი (სფინქსის გამოცანა) პოეტისთვის ამ მითური ქმნილების არსის გაგებისთვის საკვანძო მნიშვნელობისაა.

თავიდან ბოლომდე ანტიკურ მოტივებზეა აგებული ლექსი „**შლიმანი!**“, რომელიც ეძღვნება ტროას და მიკენის პირველადმოძრენ მოყვარულ არქეოლოგსა და ანტიკურობაზე შეყვარებულ ჰაინრიხ შლიმანს. ლექსი წარმოადგენს პოეტის მიმართვას „ბერძენთა ტრფობით დამწვარ“ მკვლევართან, რომელმაც „სუნთქვა შეაღია“ საკუთარი მიზნის აღსრულებას და აქაველთა სიქველე განადიდა. პოეტის აზრით, გერმანელმა არქეოლოგმა სიმართლის ძირი მითოსში იგრძნო, რომელიც

¹⁰⁴⁸ მ. კოსტავა. ლექსები. თბილისი, 1990, გვ. 76.

ჭეშმარიტების არსად მიიჩნია. სწორედ მისი ძალისხმევით „მკვდრეთით კვლავ აღდგა ტროა“, რომელიც იქცა აგამემნონის წინამძღოლობით აქაველთა დიდებად:

„სხვა დროისა და სხვა ერის შვილმან
რად შეალიე სუნთქვა ელლადას?
ბერძენთა ტრფობით დამწვარო შლიმან,
რა მოგონებამ აგამელვარა? [...]
წყვდიადას გადაჰკარ ჭავლი სინათლის
და **აქაველთა** განთქვი დიდება [...]
გწაღდა და მკვდრეთით კვლავ აღდგა **ტროა**
ტროა, დიდება აგამემნონის [...]
სით მიგიძღვოდა შუქი ეოსის,
ანთებულს მსხვერპლით იფიგენიის
და შურისგებით **ორესტეოსის**?“¹⁰⁴⁹

პოეტი აქ კვლავ ახსენებს გარიჟრაჟის ქალღმერთ ეოსს, რომლის სინათლე გზას უნათებდა შლიმანს გამარჯვებისკენ. პოეტი ერთ წინადადებაში მოქნილად გადმოგვცემს ამბებს, რომლებიც ბერძენების ტროაში ჩასვლამდე ხდებოდა და მოვლენებს, რომლებსაც მოსდევდა ტროას ომს. კერძოდ, ღმერთების ნებით აგამემნონის მიერ საკუთარი ასულის იფიგენიას მსხვერპლშეწირვას ავლისში და კლიტემნესტრასა და ეგისტოსის მიერ მოკლული აგამემნონის ვაჟის, ორესტესის სისხლიან შურისძიებას.

პოეტი ჰომეროსის „ილიადას“ და ტროას ომთან დაკავშირებული ნაწარმოებების და მითების დეტალურ ცოდნას ამჟღავნებს და მისთვის საყურადღებო მომენტების აღდგენით სურს წარმოაჩინოს ტროას ომის რეტროსპექტული სურათი:

„გახსოვს, არწივის ფრთეთა შეხება
ნიშანი იგი დიდი **ზევსისა**,
ძლიერი მკლავი და მოხერხება
დიომიდეს და ოდისეოსისა
უმშვენიერეს ჰელენეს ღიმი [...]
აჰა, **ხის ცხენი**, ვეშაჰს რომ ჰგავდა.
აქილევსისთვის შურის მგებელი

¹⁰⁴⁹ მ. კოსტავა. ლექსები. თბილისი, 1990, გვ. 52.

ვით შეიშნობდნენ მისან კასანდრას,
თუკი არ ჰყავდათ მთარგმანებელი
დაეცა ტროა და აფროდიტემ
გზა დაულოცა მამაც ენეოსს
შენ კი, სამეფოს სუფრის გამრიგე
ველარ დალოცავ იდომენეოსს [...].¹⁰⁵⁰

ლექსის ამ მონაკვეთში მერაბ კოსტავა ახსენებს: ზევსის მიერ „ილიადას“ მერვე სიმღერაში აქაველებისთვის მხარდაჭერის ნიშნად გამოგზავნილ ნიშანს, რომლის ამოკითხვა შეძლო მხოლოდ დიომედესმა, რომელიც ოდისევსთან ერთად ეკვეთა მტერს, ასევე „ილიადას“ მეხუთე წიგნში დიომედესისა და ოდისევსის მზვერავობას და ტროელთა ბანაკში მოხერხებით შეპარვას, მშვენიერ ელენეს, ტროას უზარმაზარ ხის ცხენს, რომელიც, ავტორის თქმით, იყო შურისმაძიებელი აქილევსის მკვლელობისთვის, მისან კასანდრას, რომლის წინასწარმეტყველება არ ისმინეს ტროელებმა და ტროას დაცემას. აქვე პოეტი ახსენებს ენეასის მითს – ტროას დაცემის შემდეგ აფროდიტეს მიერ საკუთარი ვაჟის შემწეობას და გმირ იდომენევს, აგამემნონის მრჩეველს.

ლექსის მომდევნო მონაკვეთებში ერთმანეთთან გადახლართულია შლიმანის გარდაცვალება და მითური აგამემნონის მკვლელობა. პოეტის თქმით, შლიმანმა ამ უდიდესი აღმოჩენებით მითი კვლავ გააცოცხლა („დავიწყების ბჭენი მილეწე“), თუმცა ცნობისწადილით შეპყრობილმა არქეოლოგმა ამ საქმეს სიცოცხლე შეაღია („ცნობისწადილი სამსალად გექცა“) და გარდაიცვალა („ჟამთა უფსკრულეთს გადაიხვეწე“). მიკენის, ე.წ. „ატრევსის სამარხისა“ და „აგამემნონის ნიღბის აღმომჩენი“ შლიმანის გარდაცვალება პოეტს ასოციაციურად დაკავშირებული აქვს აგამემნონის ტრაგიკულ აღსასრულთან. პოეტი რიტორიკული შეკითხვით ასრულებს ლექსს:

„საკუთარ ჭერქვეშ იგივ ჯალათი,
რად არ გიღებავს გულ-მკერდს ალისფრად,
ძნელი ყოფილა თურმე ღალატი
და ცბიერება როსკივ ქალისა.
ჰა, მიაკვლიე მიკენის კარებს,
ხსოვნათა სამანს დაეც წერაქვი,
შემოგასხურა ბედმა სიმწარე,

¹⁰⁵⁰ მ. კოსტავა. ლექსები. თბილისი, 1990, გვ. 53.

წამოგაწია წყევლა ვერაგი.
ღამე გაშავდა, როგორც ნახშირი,
ყულფად შეიკრა კვანძი მითოსის,
მოდის სიკვდილი ბილწი კავშირით
კლიტემნესტრასი და ეგისტოსის“.¹⁰⁵¹

ლექსის ეს ვირტუოზული ფინალი მხატვრული დახვეწილობით გადმოსცემს აგამემნონის აღსასრულს, რომელიც ჯერ კიდევ ჰომეროსის „ოდისეაში“ რამდენჯერმე იხსენიება და რომელსაც ესქილე „აგამემნონში“ დეტალურად გადმოგვცემს. აქ ჩანს ალისფრად გულ-მკერდშეღებილი სასტიკად მოკლული აგამემნონი, მისი მკვლელები: „ბილწი კავშირით“ ერთმანეთთან შეკრული ეგისტოსი და კლიტემნესტრა, რომელსაც პოეტი ცბიერ და მოღალატე „როსკიპ ქალს“ უწოდებს. „ღამის გაშავება“, „ყულფად შეკრული კვანძი მითოსის“ ოსტატურად გამოხატავს აგამემნონის სიკვდილის მოახლოებას, რაც ატრევსების საგვარეულო წყევლითაა განპირობებული.

ლექსის „ბიბლიური რემინისცენციები“ ერთ-ერთ მონაკვეთში პოეტი ახსენებს ატლანტიდას:

„სხვისთვის არარავ, ჩემთვის ნაღდო, მსურს მოგიძიო,
შენ ჩადირულო ატლანტიდავ, ნატვრავ, ზღაპარო“.¹⁰⁵²

მერაბ კოსტავა აქ პლატონის „ტიმეოსსა“ და „კრიტიასში“ ნახსენებ ქვეყანას, ატლანტისს/ატლანტიდას გულისხმობს. „კრიტიასში“ პლატონის მიხედვით, კრიტიასს პაპამისმა მოუთხრო სოლონისგან გაგონილი ამბავი, რომელიც სოლონმა ეგვიპტელი ქურუმებისაგან მოისმინა. ატლანტისი 9000 წლის წინ სოლონის დაბადებამდე მდებარეობდა ატლანტის ოკეანეში ჰერაკლეს სვეტების მიღმა და ხმელთაშუაზღვისპირეთში უძლიერეს საზღვაო იმპერიას წარმოადგენდა. მან მრავალი მიწა დაიპყრო და ქედმაღლობის გამო ღმერთებმა იგი ოკეანეში ჩადირეს (Pl. Criti, 17A-27B) პლატონის შემდეგ არაერთმა მკვლევარმა გამოთქვა საკუთარი თვალსაზრისი ატლანტისის არსებობა-არარსებობის შესახებ.¹⁰⁵³

პოეტი, მართალია, ატლანტისს ჩადირულ ოცნებას და ზღაპარს უწოდებს, მაგრამ მისი არსებობის სჯერა და მის პოვნაზე ოცნებობს.

¹⁰⁵¹ მ. კოსტავა. ლექსები. თბილისი, 1990, გვ. 53.

¹⁰⁵² მ. კოსტავა. ლექსები. თბილისი, 1990, გვ. 97.

¹⁰⁵³ ამასთან დაკავშირებით იხ. J. F. Arundell. The Secret of Plato's Atlantis [in the Critias]. Whitefish, 2012.

ამავე ლექსში პოეტი ანტიკურ მითოსთან დაკავშირებულ სხვა პერსონაჟსაც ახსენებს:

„და როგორც სხივი, ღრუბლებიდან შემოპარული,
დეკალიონის, ნოეს, მანუს, უთნაპიშტიმის,
თავს გადმონათის სახელები ლეგენდარული [...].

პოეტი წარღვნას გადარჩენილ პერსონაჟების ჩამონათვალს დეკალიონით, ბერძნულ მითოლოგიაში წარღვნას გადარჩენილი გმირით, იწყებს, რაც სიმბოლურად ერთ ნარატივში მათ გაერთიანებას გამოხატავს.

ლექსში „**ღირს მამა – დავითს**“, რომელიც ეძღვნება ერთ-ერთ ასურელ მამას, დავით გარეჯელს, რომელმაც მთაწმინდის კალთებზე სენაკი გამოჭრა, პოეტი მამა დავითს პრომეთეს ადარებს, ხოლო მთაწმინდის პანთეონს – პარნასოსს და წერს:

„ვითა **პრომეთემ** გამოსტაცე ზეცას ზნეობა
და ჩვენს მიწაზე გადმონერგე ძლევის მაგიად“.¹⁰⁵⁴

„**პარნასის** თხემზე აზიდული ტინის კედელად,
მამ გულზე ნაოჭდაჭდეული მთა საკვირველი
რატომ აქციეს პოეტების საგოდებლად?“¹⁰⁵⁵

ლექსში „**პაემანი**“ კვითხულობთ:

„შენ ხარ ოკეანე, აბობოქრებული,
ამასთანავე შენ ხარ ჯებირი,
შლეგი ტალღების შემკეტელი
რვალის კლიტულში.
შენში ღრეობდა **დიონისო**
და აწ **აპოლონ** უკრავს შენში
ღვთაებრივ ჰანგებს.
ობლის სამარხზე აკვნესებულ
საროზე შენ ხარ მგლოვიარე,
ხსოვნას გიშხამებს საფლავების შემოღამება

¹⁰⁵⁴ მ. კოსტავა. ლექსები. თბილისი, 1990, გვ. 105.

¹⁰⁵⁵ მ. კოსტავა. ლექსები. თბილისი, 1990, გვ. 107.

და აკლდამასთან თალხით მოსილი,
ვითა აქილევს, ელოდები მეგობრის აჩრდილს“. ¹⁰⁵⁶

ლექსში, სადაც ანტიკურობასთან დაკავშირებული არაერთი ტერმინი ფიგურირებს, პოეტი ადამიანის და შესაძლოა, თავად პოეტის, ორბუნებოვნებაზე მსჯელობს. ნიცშეს „ტრაგედიის დაბადებაში“ მოხსენიებულ ტერმინებს თუ მოვიშველიებთ, ადამიანში დიონისური და აპოლონური საწყისები თანაარსებობს. დიონისური საწყისი, რომელსაც ლექსში გამოხატავს „შენ ხარ ოკეანე აბობოქრებული“, ადამიანში ექსტაზური ემოციების მოძალებას ნიშნავს („შენში ღრეობდა დიონისო“), ხოლო აპოლონური – ზომიერებას და ჰარმონიას ესწრაფვის („აწ აპოლონი უკრავს შენში ღვთაებრივ ჰანგებს“). სწორედ ამ ორ ურთიერთსაწინააღმდეგო ბუნების გაერთიანებაა მოცემული ლექსის პირველი ორი სტრიქონი („შენ ხარ ოკეანე, აბობოქრებული, ამასთანავე შენ ხარ ჯებირი“). ლექსის ბოლოს ლექსის ლირიკული გმირის მეგობრის საფლავზე მწუხარება შედარებულია აქილევსის მიერ პატროკლოსის გლოვასთან. აქილევსი, რომელიც მეგობრის აჩრდილს ელის, არის ალუზია „ილიადას“ ოცდამესამე სიმღერაში ნახსენები ეპიზოდისა, სადაც ჰექტორის მიერ მოკლული პატროკლოსის სული ეცხადება აქილევსს და სთხოვს, რომ იგი მალე დაკრძალოს, რათა ჰადესში დაუბრკოლებლად ჩაემვას. აქვე პატროკლოსი ევედრება მეგობარს, რომ მისი და აქილევსის ძვლები ერთად დაიმარხოთ, რომ მუდამ განუმორებლები იყვნენ (Hom. II. 65-85).

ამ სტრიქონების კომენტირებისას ზ. გამსახურდია წერს: „იმავე პერიოდში მიძღვნა ლექსი „ჰაემანი“, სადაც საოცრად იწინასწარმეტყველა ის, რომ იგი ჩემზე ადრე დასტოვებდა ამ წუთისოფელს და მე, მის აკლდამასთან, თალხით მოსილი, დაველოდებოდი მეგობრის აჩრდილს. აკი ამიხდა ყოველივე““. ¹⁰⁵⁷

შვილის თვითმკვლელობას ეძღვნება მერაბ კოსტავას პატიმრობისას დაწერილი ლექსი „ირაკლის“.

ამ ვრცელ და ემოციურ მიძღვნაში პოეტი ანტიკურობის ცნობილ ლიტერატურულ პერსონაჟებს ახსენებს:

„ჩვენ უნდა შევხვდეთ ჩემს სიკვდილამდე
ვით ლაერტის ძე და აქილევსი““. ¹⁰⁵⁸

¹⁰⁵⁶ მ. კოსტავა. ლექსები. თბილისი, 1990, გვ. 121.

¹⁰⁵⁷ „ზვიად გამსახურდია, ძე ქარიშხლისა“, მ. კოსტავა. ლექსები. თბილისი, 1990, გვ. 5.

¹⁰⁵⁸ მ. კოსტავა. ლექსები. თბილისი, 1990, გვ. 128.

„და როცა ზღუდეს გავუმკლავდებით,
როგორც ანქიზე და ენეოსი,
მიწას მოვწყვიტოთ მძლავრი მკლავებით,
ცაში დავახრჩოთ ჩვენ ანთეოსი“.¹⁰⁵⁹

ლექსის ამ პასაჟებში ჩანს პოეტის სურვილი, გარდაცვალებამდე ინახულოს შვილი საიქიოში, როგორც ოდისევსი „ილიადას“ მეთორმეტე სიმღერაში ჰადესში ყოფნისას შეხვდა აქილევსს (Hom. Od. XII, 466-480), გადალახოს საიქიოსა და სააქაოს გამყოფი ზღუდე, როგორც ეს მამის შესახვედრად ჰადესში ჩასულმა ენეასმა გააკეთა (Verg. Aen. VI). ანთეოსი, რომლის ცაში აწევას და დახრჩობასაც გეგმავს პოეტი შვილთან ერთად, არის ანტიკური მითოლოგიიდან ცნობილი ლიბიელი გოლიათი, რომლის მამა იყო ზღვათა მბრძანებელი ღმერთი პოსეიდონი, ხოლო დედა – გეა, მიწის ქალღმერთი. გოლიათი გამვლელებს ჭიდაობაში საასპარეზოდ იწვევდა და ყოველთვის იმარჯვებდა, რადგან მიწაზე ფეხის დაბიჯებისას კვლავ დედამისისგან იკრებდა ძალებს. ანთეოსი გმირმა ჰერაკლემ დაამარცხა სწორედ იმ ხერხით, რომელსაც ლექსში ვხედავთ – ჰაერში მოახრჩო მოწინააღმდეგე. ანთეოსი, როგორც ჩანს, მერაბ კოსტავას ლექსში წარმოადგენს მეტაფორას მიწისა და სიკვდილისა, რომელიც ერთმანეთს აშორებს მამა-შვილს.

ლექსში „შიმშილობა“, რომელიც პოეტმა ციხეში შიმშილობის მერვე თვეს დაწერა, პოეტი იხსენებს გმირული შიმშილობის მაგალითებს და გადმოგვცემს ერთ ამბავს ანტიკურობიდან:

„სულეთისაკენ ვინ იჩქაროდა, სპარტის დიდებად დელფოსს მისული
და მიდიოდა ამ სამყაროდან მისნების დასით გარემოცული.
ძალას არ ჰქონდა მისას სასრული, გასძლო, რამდენიც სულს გაემლება,
შიშლით სხეულს გაჰყარა სული, რამეთუ ჰქონდა ამის შეძლება.
ერის მსახური, ხალხის მხილება, ბერძენთა დიდი კანონმდებელი,
პირნათლად დადგა სამარის კართან, ძლევის მახვილი შეაბა სპარტას.
იგი სიკეთით გახლავთ საცნობი, თემიდას სვეტი, მეკვლე დამდეგის,
პიროვნულ ეგოს სულმთლად დამთმობი და უდრტვინველად მსხვერპლად
დამდეგი.

სიმდაბლით თვისით გასაოცარი და ვაჟკაცობის დიდი მოძღვარი.

¹⁰⁵⁹ მ. კოსტავა. ლექსები. თბილისი, 1990, გვ. 129.

რომ ვერ იხილონ სპარტა ძლეული, შორს ფუფუნება, განცხრომა, ფული,
მხოლოდ ჯანსაღი სწამდა სხეული დასავანებლად ჯანსაღი სულის“.¹⁰⁶⁰

მერაბ კოსტავა აქ გადმოგვცემს პლუტარქოსის „პარალელური ბიოგრაფიებიდან“, კერძოდ „ლიკურგოსიდან“ ერთ ამბავს, რომელიც სპარტის ლეგენდარული მეფის აღსასრულს ასახავს. პლუტარქოსის თქმით, როდესაც ლიკურგოსმა სპარტის კანონები შეადგინა, იგი აპოლონის სამისნოში, დელფოსში გაემგზავრა იმის დასადგენად, რამდენად კეთილისმყოფელი იყო მის მიერ შექმნილი კანონები. როდესაც პითიასგან დადებითი პასუხი მიიღო, ჩაწერა ეს წინასწარმეტყველება და სპარტაში გააგზავნა. შესწირა რა მეორედ მსხვერპლი აპოლონს, დაემშვიდობა მეგობრებს და საკუთარ ვაჟს და სიცოცხლის იქ დასრულება გადაწყვიტა, რათა ამ ქმედებით სპარტელები მისი კანონების აღსრულებისკენ მოეწოდებინა და სამშობლოსთვის თავგანწირვის მაგალითი ეჩვენებინა (Plut. Vit. Lyc. 29.3.5). პოეტისთვის ლიკურგოსი არის „პიროვნულ ეგოს სულმთლად დამთმობი“, რომლისთვისაც მთავარი იყო სამართლის მსახურება („თემიდას სვეტი“), რის გამოც მისი მაგალითი პატიმარი პოეტისთვის შთამაგონებელი მაგალითია. აქვე პოეტი ახსენებს ანტიკურობაში დამკვიდრებულ პრინციპს „ჯანსაღ სხეულში ჯანსაღი სულია“ („მხოლოდ ჯანსაღი სწამდა სხეული დასავანებლად ჯანსაღი სულის“).

პოეტი ფიქრობს, რომ ზომიერება და ხორციელი სიამოვნების დათმობა ვაჟკაცობის ტოლფასია, ხოლო ვინც გადაჭარბებულ ძღომას და ფუფუნებას ეძლევა, ყოველგვარ იდეალს მოკლებულია:

„უხვად მიაგებს ცერერა სართავს და აკარგვინებს ანგარიშს უცებ,
ვინც ლუკულუსის ნადიმებს მართავს, დაუცხრომელად ახარებს მუცელს,
ვისაც თან დააქვს მსოფლიო ხვავი, გადაჟანგებულს მიაგავს ძრავას,
და ესე ცხოვრობს, რაც ახსოვს თავი, უიდეალოდ, დუნედ, უძრავად“.¹⁰⁶¹

ლექსში ნახსენებია მოსავლის რომაული ქალღმერთი ცერერა (ბერძნ. დემეტრე), რომელსაც პოეტი ჭირნახულის სიმბოლოდ იყენებს და რომაელი გენერალი ლუკულუსი (ძვ.წ. 118-56 წწ.), რომელიც წრეგადასული სიუხვით გამორჩეული ნადიმებით იყო ცნობილი (Plut. Vit. Luc. 38-41).

¹⁰⁶⁰ მ. კოსტავა. ლექსები. თბილისი, 1990, გვ. 132-133.

¹⁰⁶¹ მ. კოსტავა. ლექსები. თბილისი, 1990, გვ. 132-133.

ამრიგად, პატიმარი პოეტისათვის, რომელმაც ჯამში 13 თვე იშიმშილა, ლიკურგოსის შიმშილი წარმოადგენს მორალურ ორიენტირს და თავად ლიკურგოსი კი ერთგვარ მოძღვარს ამ ურთულეს გზაზე.

ლექსში „გალაქტიონი“ პოეტი ახსენებს „პოეტთა მეფის“ სასმლით გატაცებას და ღვინოს, რომელსაც „დიონისოს მზიურ ელექსირს“ უწოდებს, გენის ტონუსად, პოეტური აღმაფრენის მიმნიჭებელ ძალად აღიქვამს:

„და ან რად უნდა იმას ჰაშიში
და ხელოვნური ბანგვა გონისა,
ვისშიაც მძლავრობს ყრმა დიონისო
და ღვინო უწევს ტონუსს გენისას“.¹⁰⁶²

„ვგრძნობთ დიონისოს მზიურ ელექსირს,
ვით პოეზიის აღორძინებას,
შენ ხარ სთველობა ქართული ლექსის,
მისი მაჭრობა და დაღვინება“.¹⁰⁶³

პოეტის აზრით, ქართული ლექსის დამღვინებელი გალაკტიონი ზოგადსაკაცობრიო იდეალებით საზრდოობდა, მის პოეზიაში ისმოდა „კოსმიური ორკესტრის ჟღერა“¹⁰⁶⁴ და „პრომეთეს სულის აბობოქრება“.¹⁰⁶⁵ ზევსის მიერ მიჯაჭვული პრომეთე, რომელსაც ხშირად უბრუნდება მერაბ კოსტავა საკუთარ ლექსებში, სიმბოლურად გამოხატავს ბედისწერასთან მეზრძოლ სულს და ტირანიასთან შეურიგებლობას.

სხვა პოეტთა შემოქმედების მოკლედ განხილვისას მერაბ კოსტავა სიკვდილის შიშზე საუბრობს და მწერალ გიორგი ლეონიძის შესახებ სწერს:

„არც ლეონიძეს განწყობა ესე
გულს არ ეფონა, სიმართლედ ითქვას,
არ დაენათლა იმის გალესილ,
კირკეს საკაზმით შენაზავ სიტყვას“.¹⁰⁶⁶

¹⁰⁶² მ. კოსტავა. ლექსები. თბილისი, 1990, გვ. 146.

¹⁰⁶³ მ. კოსტავა. ლექსები. თბილისი, 1990, გვ. 146.

¹⁰⁶⁴ მ. კოსტავა. ლექსები. თბილისი, 1990, გვ. 146.

¹⁰⁶⁵ მ. კოსტავა. ლექსები. თბილისი, 1990, გვ. 146.

¹⁰⁶⁶ მ. კოსტავა. ლექსები. თბილისი, 1990, გვ. 152.

აქ პოეტი ახსენებს ჰელიოსის ასულ კირკეს, კუნძულ აიაიაზე მკვიდრ ჯადოსანს, რომელმაც ოდისევსის მხლებლები ღორებად აქცია. „კირკეს საკაზმი“ აქ იმ ჯადო-წამლებს გულისხმობს, რომლითაც ღმერთქალი ჯადოქრობისთვის იყენებდა. პოეტის თქმით, გიორგი ლეონიდის სიტყვა მომაჯადოებლად მოქმედებდა მკითხველზე. ამავე კონტექსტში პოეტი ახსენებს „პარნასის სანახს“, ¹⁰⁶⁷ როგორც ქართველი პოეტების ასპარეზს და „ქაოსის სუნთქვას ღამის წყვდიადში“, ¹⁰⁶⁸ როგორც ქართველ შემოქმედთა პოეტურ ასპარეზს.

იმავე ლექსში პოეტი „პოეტთა მეფე“ გალაკტიონს ასე ახასიათებს:

„სხვისთვის უხილავს სჭვრეტდი ეთერში,
ამაობას არ დაემონე,
ვით სოკრატეში, ვით გოეტეში,
შენშიც მძლავრობდა ის დაიმონი“. ¹⁰⁶⁹

აქ პოეტი გულისხმობს გალაკტიონის განსაკუთრებულ ნიჭიერებას, მის სოკრატისეულ სიბრძნეს და გოეთესეულ სიდიადეს. „დაიმონს“ ამ კონტექსტში არა ქრისტიანული, არამედ ანტიკური გაგება აქვს და ერთგვარ ღვთაებას, სულს გამოხატავს, რა მნიშვნელობითაც მას ეროსის არსის განსამარტად დიოტიმა იყენებს პლატონის „ნადიმში“ (Pl. Symp. 219b3-219e9).

უსათაურო ლექსში („მამაცი მხედრის გაგცვეთია ქუსლებზე დეზი“) პოეტი ზიზღით საუბრობს მხოლოდ საკუთარი ფუფუნებაზე მზრუნველ ქართველზე, რომელსაც არც სხვისი გაჭირვება აღელვებს, არც სამშობლო და არც მაღალი იდეალები, მისი ერთადერთი საქმე სიმდიდრის დაგროვებაა:

„მამაცი მხედრის გაგცვეთია ქუსლებზე დეზი,
შემოგკრობია ფუფუნება ოქროს ღილებით,
გამდიდრებულხარ, როგორც ერთდროს მომჭირნე კრეზი
და ცოხნი დღეებს შემაზრზენი კმაყოფილებით“. ¹⁰⁷⁰

პოეტი აქ ახსენებს კროისოსს, ლიდიის უკანასკნელ, ძვ.წ. VI საუკუნის მმართველს, რომელიც ცნობილი იყო თავისი სიმდიდრით. მან გამოუშვა მიმოქცევაში პირველი ოქროს მონეტა და ცნობილი იყო მომჭირნეობით.

¹⁰⁶⁷ მ. კოსტავა. ლექსები. თბილისი, 1990, გვ. 152.

¹⁰⁶⁸ მ. კოსტავა. ლექსები. თბილისი, 1990, გვ. 152.

¹⁰⁶⁹ მ. კოსტავა. ლექსები. თბილისი, 1990, გვ. 154.

¹⁰⁷⁰ მ. კოსტავა. ლექსები. თბილისი, 1990, გვ. 163.

ჰეროდოტესთან დაცულია ცნობა სოლონისა და კროისოსის შეხვედრის შესახებ, რომელმაც ბერძენს ურიცხვი სიმდიდრე დაათვალიერებინა. (Hdt.1.29.1). ეს მხატვრული შედარება გარკვეულ მიმართებას გვიჩვენებს ილია ჭავჭავაძის ლექსებში ნახსენებ პოეტურ სახესთან.

ამრიგად, ანტიკურობა მერაბ კოსტავას პოეზიაში საკმაოდ ხშირად და სხვადასხვა ფუნქციით აქვს გამოყენებული. ზოგიერთ ლექსში გადმოცემულია რომელიმე ამბავი ანტიკურობიდან, რაც პოეტს საკუთარი ქმედების მოტივაციის განმარტებას უადვილებს. ხშირ შემთხვევაში ანტიკურობასთან დაკავშირებული ინფორმაცია პოეტს მხატვრულად აქვს დამუშავებული და იყენებს მას სხვადასხვა სიმბოლური მნიშვნელობებით. საყურადღებოა, რომ ამ სიმბოლოების უკვე დამკვიდრებული ვარიანტების გვერდით ჩნდება პოეტის ორიგინალური მეტაფორები, რაც ანტიკურობის შემოქმედებითად გამოყენების მაგალითს, რეცეფციას წარმოადგენს. მნიშვნელოვანია, რომ პოეტი საკუთარ ლექსებს უმეტესად პატიმრობის წლებში ქმნიდა, როდესაც მას არ ჰქონდა საშუალება ესარგებლა ანტიკური ავტორების ტექსტებით და გადაემოწმებინა საჭირო ინფორმაცია, შესაბამისად, გაკვირვებას იწვევს ანტიკურობასთან დაკავშირებული მასალის სიღრმისეული ცოდნა, რაზეც მეტყველებს უმცირეს დეტალებზე მინიშნება ჰომეროსის, ჰეროდოტოსის, პლუტარქოსის, ლუკიანოსის, ვერგილიუსის, ვიტრუვიუსის და სხვათა თხზულებებიდან.

ანტიკურობა მერაბ კოსტავას პოეზიაში არ არის ტექსტის ესთეტიზმის გაზრდის საშუალება, ერთგვარი ორნამენტი, არამედ ღრმა სიმბოლური დატვირთვის მქონე „დამოწმება“, რომელიც მეტწილად დაკავშირებულია ლექსის ძირითად სათქმელთან. საყურადღებოა, რომ ანტიკურობასთან დაკავშირებული ინფორმაცია, როგორც წესი, დაცლილია დესკრიპციული შინაარსისგან, მასში ჭარბობს რეცეფციული ელემენტი, რომელიც ახალ, ორიგინალურ მნიშვნელობას ანიჭებს ტრადიციულ მითოსურ ფიგურებსა და ნარატივებს.

არჩილ სულაკაური
(1927-1997)

გიორგი უგულავა

არჩილ სულაკაური XX საუკუნის მწერალია. მისი შემოქმედება საუკუნის მეორე ნახევარზე მოდის. მის ნაწარმოებებში, როგორც პროზაში, ასევე პოეზიაში გვხვდება

ანტიკურობის რეცეფცია, ძირითადი ანტიკური მითოსური და ისტორიული სიუჟეტების და პერსონების მოხსენიების ფორმით.

არჩილ სულაკაურს არაერთი ნაწარმოები აქვს, ანტიკურობის რეცეფციას კი ის სულ 10 ლექსში ახდენს. ერთი მხრივ, ის ანტიკურ მითოსს იცნობს კარგად და სურვილის შემთხვევაში შეუძლია გამოიყენოს მეტაფორების, შედარებების, სიმბოლოების ფორმით თავისი მხატვრული ჩანაფიქრის გადმოსაცემად, თუმცა, მეორე მხრივ, ამას მხოლოდ უფრო ეპიზოდური ხასიათი აქვს და ანტიკური კულტურა ავტორისთვის ძირითად სიუჟეტურ საფუძველს არ ქმნის.

არჩილ სულაკაურის შემოქმედებაში, განსაკუთრებით მის პოეზიაში, ანტიკურობის რეცეფცია ორ ქვეკატეგორიად შეიძლება დაიყოს. ერთი მხრივ, ეს არის რამდენიმე ლექსი, რომლებიც მთლიანად ანტიკურ თემატიკას ეძღვნება და პოეტი ანტიკურობას იყენებს თავისი მხატვრული სათქმელის სიმბოლური თუ ალეგორიული ფორმით გადმოსაცემად, მეორე კი გახლავთ ის ანტიკური ტერმინები და სახელები, რომლებსაც პოეტი უფრო მეტად ეპიზოდური ფორმით, ძირითადად შედარებისთვის, იხსენიებს და ამ შემთხვევაში ანტიკურობა არ ქმნის ძირითად ნარატივს.

რომანში „თეთრი ცხენი“ ის იხსენიებს მითოსურ არიადნეს და კრეტაზე ლეგენდარული მეფე მინოსის ლაბირინთს. თუმცა, ამ მოხსენიებას მხოლოდ ეპიზოდური ხასიათი აქვს. ანანოს, ერთ-ერთი პერსონაჟის, მოგონებები და ემოციები შედარებულია ლაბირინთს მისი მასშტაბური და უსისტემო ხასიათის გამო. თუმცა იქვე აღნიშნულია, რომ ანანომ მას არიადნეს ძაფი არ მისცა, რის გამოც ამ მოგონებებიდან უკან გამოსვლა გაუჭირდა.¹⁰⁷¹ ამ შემთხვევაში ავტორს ანტიკური მითოსის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი სიუჟეტის, არიადნეს დახმარებით მეფე მინოსის ლაბირინთში თესვისის გმირობის, მოხსენიება ფრაგმენტული ფორმით მხოლოდ მხატვრული ხერხისთვის, შედარებისთვის დასჭირდა. სხვა მხრივ კი, აზრობრივ და სიუჟეტურ დონეზე დიდი გავლენა არ აქვს.

ამავე რომანში მოხსენიებულია ძველი ბერძნული მითოსის ამბროსია, ანუ ოლიმპოს ღმერთების სასმელი, რომელსაც ავტორი არაერთხელ შეზავებულ ადგილობრივი ბალახების ნაყენს ადარებს.¹⁰⁷² ამ შემთხვევაშიც ანტიკური მითოსური ტერმინის მოხსენიებას უფრო მხატვრული ხერხის ფორმა აქვს, ვიდრე ღრმა შინაარსობრივი ან სიუჟეტური დატვირთვა.

ამავე ნაწარმოებში მოხსენიებულია ტერმინი კოლხიც, რითაც ქართულ სივრცეში დასავლეთ საქართველოს, განსაკუთრებით კი, სამეგრელოს

¹⁰⁷¹ „თეთრი ცხენი“, ა. სულაკაური. ქართული რომანი – XX. რედ.: ლ. მესხი, თბილისი, 1994, გვ. 91.

¹⁰⁷² „თეთრი ცხენი“, ა. სულაკაური. ქართული რომანი – XX. რედ.: ლ. მესხი, თბილისი, 1994, გვ. 209.

მაცხოვრებლების ბმას აღნიშნავენ ანტიკურ კოლხისტან. პერსონაჟი ტრაბახობს, რომ მას კოლხი ცოლი ჰყავს. ქართულ მწერლობაში, და, ზოგადად, ქართულ კულტურაში, ეს მიღებული და ხშირად მოხსენიებული ტერმინია, როდესაც დასავლეთ საქართველო მისი ისტორიული, ანტიკური ფორმით, კოლხი/კოლხისი მოიხსენიება.¹⁰⁷³

უფრო ხშირად არჩილ სულაკაური ანტიკურ ტერმინებს თავის პოეზიაში იხსენიებს. რომანში გახმოვანებულ მითოსურ მოტივს კრეტას მეფე მინოსის, მისი ლაბირინთის, მინოტავროსის და არიადნეს დახმარებით თესევსის გმირობის შესახებ, ავტორი უბრუნდება თავის ლექსში „მინოტავრი“. ეს ნაწარმოები ასახავს მითის საყოველთაოდ ცნობილ ვერსიას. ჩანს, რომ პოეტი მითს საკმაოდ სიღრმისეულად იცნობს და დეტალურად გადმოსცემს.

აღნიშნულ ლექსთან დაკავშირებით საინტერესოა ქ. გარდაფხადის მოსაზრება და მისეული ინტერპრეტაცია, რომელიც ტრადიციულ, მითოსურ მოტივში ავტორისეულ ორიგინალურ რეცეფციას ხედავს. კერძოდ, ქ. გარდაფხადის აზრით, „მინოტავროსსა და თეზევსს ა. სულაკაურის ლექსში („მინოტავრი“) ერთგვარად როლები აქვთ გაცვლილი.“ „მინოტავროსი კაცობრიობის სტაბილურობის, სიმშვიდის გარანტიაა, რომელიც მარტო ზიდავს საკუთარ თავში (თუმცა, არა ნებაყოფლობით) მოქცეულ მძიმე ტვირთს. თეზევსი კაცობრიობის დაუფიქრებელი ნაბიჯების, ისეთი ქმედებების სიმბოლოა, რომელიც მძიმედ უბრუნდება შემდეგ სამყაროს“. „ა. სულაკაურის „მინოტავრი“ შეიძლება მითის სრულიად ორიგინალურ გააზრებად ჩაითვალოს თანამედროვე მწერლობაში“.¹⁰⁷⁴

ანტიკურ თემატიკას ეძღვნება არჩილ სულაკაურის კიდევ ერთი ლექსი – „Romulus“. ამ ლექსში პოეტი ანტიკური მითოსის და რომის ლეგენდარული ისტორიის, ე.წ. ქალაქის დაარსების და მეფეთა პერიოდის ყველაზე ცნობილ მოტივს, ტყუპების, რომულუსის და რემუსის მიერ რომის დაარსების ამბავს ეხმიანება. სასიკვდილოდ განწირული ძმები, რომლებიც მდინარე ტიბერისში ჩაყარეს, ძუ მგელმა გაზარდა და შემდეგ მათ ქალაქი რომი დააარსეს. პოეტი რომულუსს და რემუსს უფრო ძველი ტრადიციით ცნობილი ფორმით – რომული და რემი იხსენიებს. იქვე იხსენებს მათ მგლის მიერ აღზრდის ამბავს, რომელსაც ის თითქმის უფრო დადებით კონტექსტში წარმოადგენს და აღნიშნავს, რომ რომის დაარსება რომ შეძლო, მგლის ძუძუ უნდა გქონდეს ნაწოვი.

¹⁰⁷³ „თეთრი ცხენი“, ა. სულაკაური. ქართული რომანი – XX. რედ.: ლ. მესხი, თბილისი, 1994, გვ. 147.

¹⁰⁷⁴ იხ. ქ. გარდაფხადე. არჩილ სულაკაურის „მინოტავრი“ და ხორხე ლუის ბორხესის „ასტერიოსის სახლი“. ლოგოსი, წელიწდეული ელინოლოგიასა და ლათინისტიკაში. 2. 2004, 88-95.

პოეტისთვის ამ ამბავს თითქოს უფრო მეტად სიმბოლური, ალეგორიული მნიშვნელობა აქვს, ვიდრე მას ანტიკური მითოსურ-ისტორიული ამბის გახსენება სურს. ის არ ჰყვება რომულუსის შესახებ მითს, როგორც მხოლოდ წარსულის ამბავს. არამედ, მის თხრობას თითქოს უფრო ზოგადი, ალეგორიული ხასიათი აქვს. ის აღნიშნავს, რომ „რომ დაამკვიდრო ამქვეყნად რომი, მგლის ძუძუ უნდა გქონდეს ნაწოვი“. რომის დაარსება მისთვის თითქოს არა მხოლოდ კონკრეტული ისტორიულ-მითოსური ამბავი, არამედ, ზოგადად, საკაცობრიო, გლობალური მასშტაბით რაღაც მნიშვნელოვანის, ღირებულის შექმნას გულისხმობს, რაც სიმტკიცეს, სიმყარეს, გამბედაობას, განსაკუთრებულობას გულისხმობს. ამას პოეტი მგლის მიერ აღზრდასთან აიგივებს.

ანტიკური რომის თემატიკას ეძღვნება არჩილ სულაკაურის ლექსი – „თუ რუბიკონთან“. მასში პოეტი ანტიკური ისტორიის ერთ-ერთ ყველაზე უფრო ცნობილ ეპიზოდს ეხმიანება – გაიუს იულიუს კეისრის მიერ მდინარე რუბიკონის გადალახვას, რაც რომზე თავდასხმის, სამოქალაქო ომების ახალი ტალღის დაწყების და კეისრის ფაქტობრივი ერთმმართველობის დაწყების სიმბოლო ხდება. მდინარე რუბიკონი რომიდან ჩრდილოეთით, იტალიაში საზღვარი იყო რომის პროვინცია ციზალპიურ გალიასა და თავად რომს შორის. რომაელ სარდალს, რომელიც ჩრდილოეთიდან ბრუნდებოდა რომში, მდინარე რუბიკონის იარაღით და თავისი სამხედრო ძალებით გადაკვეთის უფლება არ ჰქონდა. ეს რომზე თავდასხმას და აჯანყების დაწყებას უტოლდებოდა. კეისარმა ძვ.წ. 49 წელს გალიიდან დაბრუნების შემდეგ სწორედ რუბიკონის გადალახვით დაიწყო რესპუბლიკურ რომზე შეტევა. გამოთქმა „რუბიკონის გადალახვა“ შემდგომში დამკვიდრდა იდიომად, რაც მნიშვნელოვანი, კრიტიკული ნაბიჯის გადადგმას გულისხმობს, რომლის შემდეგაც უკან დახევის შესაძლებლობა აღარ არსებობს. არჩილ სულაკაურსაც ეს ანტიკური ისტორიული მოტივი ისევ უფრო სიმბოლოდ, ალეგორიად აინტერესებს, ვიდრე მისი წმინდა ისტორიული კონტექსტი. მისთვის ეს უფრო განზოგადებაა, ვიდრე კონკრეტული ამბავი. ის კეისარს ფიქრებით დამძიმებულს, პასუხისმგებლობით და სიმძიმით აღსავსეს წარმოადგენს. კეისრის სახე უფრო განზოგადებულად უნდა აღვიქვათ – პოეტისთვის ეს ანტიკური მოტივი პასუხისმგებლობის, რთული, კრიტიკული ნაბიჯის სიმბოლოდ იქცა და სწორედ ამ კონტექსტით წარმოადგენს.

ანტიკურ თემატიკას ეძღვნება მისი „მედეას სევდა“. ამ შემთხვევაშიც პოეტი თავისი ლექსის სიუჟეტისთვის ძალიან ცნობილ მითოსურ მოტივს იღებს – არგონავტების ლაშქრობას კოლხისში და მედეას და იასონის შეხვედრას. ლექსში ჩანს, რომ ავტორი მითს არგონავტების შესახებ საკმაოდ დეტალურად იცნობს და სიღრმისეულად წარმოადგენს. ის აღწერს არგოს, არგონავტების ხომალდის,

ლეგენდარულ კოლხისში, აიეტის სამეფოში ჩამოსვლას და მედეას შეხვედრას იასონთან.

სრულად ანტიკურ თემატიკას ეხმიანება არჩილ სულაკაურის „ევრიკა“. ამჯერადაც პოეტი თავისი ლექსისთვის ირჩევს ანტიკურობის საკმაოდ ცნობილ ისტორიულ, ნახევრად ლეგენდარულ ამბავს, ძვ.წ. III საუკუნეში ბერძენი მეცნიერის და სწავლულის არქიმედესის მიერ სირაკუზაში, სამხრეთ იტალიის ქალაქში გაკეთებული აღმოჩენის შესახებ, რის შემდეგაც მას საყოველთაოდ ცნობილი „ევრიკა“ (εὕρηκα) აღმოხდა, რას ქართულ ენაზე ნიშნავს – ვიპოვე, აღმოვაჩინე.

ამ აღმოჩენის მიხედვით, არქიმედესმა შეძლო სირაკუზას ტირანი ჰიერონისთვის ზუსტად გაეზომა მისი ოქროს გვირგვინის წონა და მასში ოქროს შემცველობა.

ეს ამბავი ანტიკურობის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ამბავია, თუმცა მისი ისტორიულობა საკმაოდ სადავო საკითხია, რადგან მხოლოდ ბევრად უფრო გვიანდელ წყაროებში არის მოხსენიებული, რომელთა სანდოობა საკამათოა. პოეტისთვის ისევ და ისევ ანტიკურობა საინტერესოა არა მისი მხოლოდ ისტორიული მოტივით, არამედ როგორც ნარატიული ისტორია, დიდაქტიკური მოტივი, სიუჟეტი. ლექსში ისიც ჩანს, რომ ამ ისტორიულ ფრაგმენტს პოეტი საკმაოდ კარგად იცნობს. ის იხსენიებს ქალაქ სირაკუზას და მის ნავსადგურს, ხოლო, არქიმედესს უდიდეს სირაკუზელს უწოდებს.

ანტიკური მითოსის ცნობილ მოტივს, ტროას აღებას, პოეტი იხსენიებს თავის ლექსში – „სტამბოლში“. ამ შემთხვევაშიც ჩანს, რომ პოეტი ანტიკურ მითოსს საკმაოდ კარგად იცნობს. მან მხოლოდ ტროას აღების ამბავი კი არ იცის, არამედ იხსენიებს, ისეთ პერსონაჟებს, როგორიც არის მაგალითად, ჰეკუბა (მეფე პრიამოსის მეუღლის, ტროას დედოფალი ჰეკაბეს რომანიზებული სახელი). ის ასევე იხსენიებს ტროას მისი შიდა ქალაქის, ალტერნატიული სახელწოდებით, ილიონის ფორმით. ამ ლექსში ტროას დაცემის ამბავი პოეტს იმდენად სჭირდება, რამდენადაც დროის, ეპოქის ცვალებადობის სიმბოლოა. ერთ დღესაც დიადი და უძლეველი ტროა დაეცა, მისი კედლები აღარ არსებობს, დედოფალ ჰეკუბას მოთქმა უწევს და თავად ტროა ვერც აცნობიერებს, თუ რატომ და როგორ მოხდა, რომ ის უკვე ისტორიის, მითის, მუზეუმის ნაწილად იქცა, უკვე წარსულია. ამ გაოგნებას იზიარებს ქალღმერთ არტემისიც, რომელსაც პოეტი ასევე წარსულად, ანაქრონიზმად წარმოადგენს და რომელიც ახლა ასევე მუზეუმის კუთვნილებაა.

იმ ლექსების გარდა, რომლებიც სრულად ანტიკურ თემატიკას ეძღვნება, არჩილ სულაკაურს აქვს რამდენიმე ლექსში, რომლებშიც იგი ანტიკურ ტერმინებს ეპიზოდურად მოიხსენიებს. კერძოდ, თავის ლექსში „ჰამლეტ“ ის თავის ცხოვრებას

თეატრს, პიესას ადარებს და აღნიშნავს, რომ მისი ცხოვრებაა ან დრამაა ან კომედია. იქვე ჩამოთვლის სხვადასხვა დრამატულ გმირს, სადაც ჩანს, რომ მისი ინსპირაციის ძირითადი წყარო შექსპირი და ანტიკური დრამაა. შექსპირისეული ჰამლეტის და რიჩარდის გვერდზე ის იხსენიებს ანტიკური მითოსის და დრამის ცნობილ გმირებს – მედეას და ელექტრას. საინტერესოა, რომ ის გამოყოფს იმ გმირებს, რომელთაც შიდა ოჯახური კონფლიქტი აქვთ და მისი მსხვერპლი არიან. მედეას უმთავრესი ტრაგედია მაშინ იწყება, როდესაც ის ჯერ იასონის გამო კარგავს თავის ოჯახს, შემდეგ კი მასზე თავად იასონი ამბობს უარს. ხოლო ელექტრა ის პერსონაჟია, რომლის შესახებაც სამივე დიდი ტრაგიკოსი (ესქილე, სოფოკლე, ევრიპიდე) წერენ და მას წარმოადგენენ, როგორც ტრავმირებულ ადამიანს, რომელმაც მამა და ძმა დაკარგა, მკვლეელი დედა ჰყავს, რომელიც მასზე ძალადობს, ავიწროებს და ოჯახშიც მას მასხრად იგდებენ. ელექტრა ანტიკურ დრამაში სტრესით გატეხილ და დაზაფრულ პერსონაჟად არის წარმოდგენილი.

შესაძლოა, შემთხვევითი არ იყოს, რომ პოეტი ანტიკური დრამის გმირების ჩამოთვლის დროს ერთი ტიპის და ერთი ბედისწერის პერსონაჟებს გამოყოფს.

საერთო ჯამში, არჩილ სულაკაურის შემოქმედებაში ანტიკურობის რეცეფციის შესახებ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მის ნაწარმოებებში რამდენიმე ძირითადი ტენდენცია იკვეთება. ერთი მხრივ, ანტიკურობა არ წარმოადგენს მისთვის ძირითად სიუჟეტურ და თემატურ წყაროს. ავტორი ძირითადად იმოწმებს და იხსენიებს ანტიკურობის ყველაზე ცნობილ ისტორიულ და მითოსურ მოტივებს (არგონავტიკის და ტროას მითოსური ციკლების მთავარი ამბები, რუბიკონის გადაღახვა, არქიმედეს „ევრიკა“). მისი ძირითადი წყაროები ანტიკურობის უფრო პოპულარული, ფართოდ ცნობილი ავტორებია. მაგალითად, სავარაუდოდ, კარგად იცნობს, პლუტარქოსს. მეორე მხრივ, იმ ეპიზოდებს, რომელთაც ის იხსენიებს, საკმაოდ სიღრმისეულად იცნობს. ანტიკურობას ავტორი იყენებს უფრო განზოგადებული, ალეგორიული ფორმით თავისი სათქმელის გადმოსაცემად, ვიდრე მას თავად ანტიკური სამყარო აინტერესებს.

მეხუთე თავი
ანტიკურობა თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში
(XX-XXI სს-ის მიჯნა და XXI ს.)

**ჭაბუა ამირეჯიბი
(1921-2013)**

გიორგი უგულავა

ჭაბუა ამირეჯიბი XX საუკუნის ქართული პროზის ერთ-ერთი ყველაზე შთამბეჭდავი წარმომადგენელია. ამის მიუხედავად, უნდა აღინიშნოს, რომ ანტიკურობა მის შემოქმედებაში მხოლოდ ეპიზოდურ, მეორეხარისხოვან როლს ასრულებს. ჭაბუა ამირეჯიბის სამყაროსთვის ანტიკური სამყარო ძირითად სიუჟეტურ და თემატურ საფუძველს არ ქმნის.

მაგალითად, თავის მაგნუს ოპუსში, „დათა თუთაშხია“, რომელიც რამდენიმე ასეულ გვერდს მოიცავს და ეპიკური რომანია, ანტიკური ტერმინები სულ 17 სხვადასხვა ეპიზოდში გვხვდება. უმეტესად ამ მოხსენიებებსაც ფრაგმენტული ხასიათი აქვთ და მხოლოდ ანტიკურობიდან ყველაზე უფრო ცნობილ ისტორიულ თუ მითოსურ ფიგურებს ეხმიანება. მაგალითად, დაკითხვის დროს პორუჩიკი ანდიევსკი აღნიშნავს, რომ მას დათა თუთაშხიას დასთან, ელესთან, მხოლოდ პლატონური ურთიერთობა ჰქონდა. ანდაც მაგალითად, მუშნი ზარანდია მისი მიღწევების გამო ჟანდარმერიაში ალექსანდრეს არის შედარებული და მაკედონელს უწოდებენ.¹⁰⁷⁵

ამავე სტილში გრაფი სეგედის მასპინძლობას ლუკულუსის მსგავსი ნადიმით აპირებენ. ავტორი ლუკულუსთან მიმართებაში მოიხსენიებს სიტყვა ღრეობას, რაც ამ ნადიმის გადამეტებულ, მდიდრულ, ნაწილობრივ თავაშვებულ (თუმცა, მხოლოდ ნაწილობრივ, რადგან ღრეობის თავაშვებულობის მიუხედავად, გრაფი სეგედის სტუმრობას და მის გამასპინძლებას ყოველთვის ხაზგასმით არისტოკრატიული, ინტელექტუალური და დახვეწილი ხასიათი აქვს. შესაბამისად, ავტორი მხოლოდ საჭმელ-სასმელის სიუხვესა და მრავალფეროვნებას უნდა აღნიშნავდეს ამ ტერმინით) ხასიათზე მეტყველებს.¹⁰⁷⁶ ავტორი გულისხმობს, ძვ.წ. I საუკუნის რომაელ პოლიტიკურ და სამხედრო ლიდერს, ლუკულუსს, რომელმაც დიდი სიმდიდრე

¹⁰⁷⁵ ჭ. ამირეჯიბი. დათა თუთაშხია. თბილისი, 1979, გვ. 20, გვ. 44.

¹⁰⁷⁶ ჭ. ამირეჯიბი. დათა თუთაშხია. თბილისი, 1979, გვ. 330.

იშოვა და პოლიტიკური კარიერის დასრულების შემდეგ სახელი გაითქვა თავისი განსაკუთრებულად მდიდრული ნადიმებით და დროს ტარებით.

სხვა ეპიზოდში, რომანის ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ სცენაში მნიშვნელოვანი ალეგორიული გზავნილებით, როდესაც ვირთაგვებზე, მათ კანიბალიზმსა და თვითგადარჩენისთვის ბრძოლაზე დაკვირვებას აწარმოებენ, ერთ-ერთი ყველაზე დიდ და ძლიერ ვირთაგვას კიროსს უწოდებენ. საინტერესო ის არის, რომ კიროსმა შემდეგ სხვა ვირთაგვებიდან ყველაზე დიდი წილი შეჭამა, რამაც აწყინა და სხვა ვირთაგვებისთვის იოლ სამიზნედ აქცია.

რთული სათქმელია, თუ რამდენად შეიძლება დავინახოთ ამ კონტექსტში ანტიკური ისტორიულ-კულტურული გავლენა, თუმცა მაინც უნდა აღინიშნოს, რომ ანტიკურობა, კერძოდ, ბერძნული ტრადიცია აქემენიდურ სპარსეთს წარმოადგენს თითქმის ყოველთვის გადაჭარბებული და ზღვარგადასული ძალაუფლების და სიმდიდრის სიყვარულით, რის გამოც ისინი დაისაჯნენ კიდევაც ბერძნულ-სპარსულ ომებში. თუმცა ამ კუთხით ყოველთვის წარმოდგენილია ხოლმე არა კიროსი, არამედ აქემენიდების შემდგომი მმართველები, დარიოსი და განსაკუთრებით კი ქსერქსესი. შესაძლოა, შეგნებულად თუ ინტუიციურად, ჭაბუა ამირეჯიბიც ამ ვირთაგვისთვის, რომელიც თავისი ძალის და ღონის მიუხედავად სიხარბეს და გაუმადრობას ემსხვერპლა, არჩევს აქემენიდების მეფის სახელ კიროსს.¹⁰⁷⁷

სხვა ეპიზოდში, როდესაც მუშნი ზარანდია ბოროტმოქმედი ქალის, ევტერპია ტრიანდოფილიდის დაკავებას ცდილობს, მწერალი იხსენიებს ანტიკური მითოსის ჰერმესს და პანდორას. კერძოდ, აღნიშნავს, რომ ჰერმესმა პანდორას ვერაგობის და სიცრუის მხოლოდ მცირე ნაწილი მისცა, დანარჩენი, ანუ უდიდესი ნაწილი კი, ევტერპიასთვის შემოინახა. ანტიკურ მითოსურ ფიგურებს ის იყენებს თავისი პერსონაჟის ხასიათის თვისებების აღსაწერად. ანტიკური მითოსის თანახმად, ჰერმესი სწორედ ეშმაკობით, ტყუილებით, გონებამახვილობით და მიხვედრილობით გამოირჩევა. ეს თვისებები მან პანდორასაც მისცა, რომელიც შემდეგ კაცობრიობის დაცემის ერთ-ერთ მიზეზად იქცა. ჭაბუა ამირეჯიბიც ევტერპიაც ანტიკური მითოსის ერთ-ერთ ყველაზე ცბიერ და ვერაგ ქალს, პანდორას ადარებს და აღნიშნავს, რომ ამ თვისებებით ევტერპია მას აღემატებოდა.¹⁰⁷⁸

ანალოგიურად დათა თუთაშხიას ბეჩუნი პერტიას ურთიერთობის აღწერისას, ავტორი ქალის შესახებ აღნიშნავს, რომ ის აიეტის მოდგმის იყო. ეს ძალიან საინტერესო შედარებაა, რადგან ორ სხვადასხვა სიბრტყეს გულისხმობს. ერთი მხრივ, ისევე, როგორც მრავალ სხვა ავტორთან ქართულ ლიტერატურაში დასავლეთ

¹⁰⁷⁷ ჭ. ამირეჯიბი. დათა თუთაშხია. თბილისი, 1979, გვ. 168.

¹⁰⁷⁸ ჭ. ამირეჯიბი. დათა თუთაშხია. თბილისი, 1979, გვ. 240.

საქართველო, განსაკუთრებით კი, სამეგრელო, ხშირად არის წარმოდგენილი ანტიკური კოლხისის ფორმით, მის მემკვიდრედ, კოლხისის ისტორიული და კულტურული ტრადიციის გამგრძელებლად. ის, რომ მწერალი ბეჩუნი პერტიას „აიეტის მოდგმას“ მიაკუთვნებს, მის კულტურულ კუთვნილებასაც აღნიშნავს. ის ძველი კოლხისის მიწაზე ცხოვრობს და აიეტის მოდგმას აგრძელებს. მეორე მხრივ, ამ შედარებას სხვა, და უფრო ღრმა, კონტექსტიც აქვს. კერძოდ, ბეჩუნი პერტიას და დათა თუთაშხიას სასიყვარულო ისტორია, რომელსაც იმავე პასაჟში აღწერს ავტორი, ჰგავს მედეას და იასონის სიყვარულის ისტორიას. შემდეგ წინადადებაში აღნიშნულია, რომ ბეჩუნიმ იასონის და მედეას სიყვარულის ისტორია მოჰყვა. აქ არ იგულისხმება მითოსური ისტორიის მოთხრობა. ბეჩუნის და დათას ისტორია ტიპოლოგიურად, სტილურად ჰგავს იასონის და მედეას რომანს. ორივე შემთხვევაში ეს აკრძალული სიყვარულია, რომელიც დადგენილ კულტურულ ნორმებს, საზოგადოებრივ წესრიგს ეწინააღმდეგება.

ორივე ამ სასიყვარულო ისტორიაში წინა პლანზე მოდის დამალვის, დაფარვის, აკრძალული სიყვარულის მოტივი. სწორედ ამიტომ აღწერს ბეჩუნის ავტორი, როგორც აიეტის მოდგმას. როდესაც ის თავისი და დათას სასიყვარულო ისტორიას ჰყვება, ეს მედეას ჰგავს.¹⁰⁷⁹

ანტიკურობის რეცეფციის კუთხით რომანში ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო ეპიზოდი გახლავთ გრაფ სეგედთან დათა თუთაშხიას ხასიათის და მსოფლმხედველობის განხილვა. ერთ-ერთი პერსონაჟი ელიზბარ კარიჭაშვილი დათაზე საუბარს ზოგადი ფილოსოფიური და მსოფლმხედველობითი შესავლით იწყებს. ის ამბობს, რომ კაცობრიობის ძალიან მცირე და გამორჩეულ ნაწილს შემოქმედებითი, მამიებელი და მეზრდოლი ბუნება აქვს. მათ შორის ყველაზე გამორჩეული ის ხალხია, რომელიც საკუთარ თავს ებრძვის, მათი ცხოვრებისეული ბრძოლის მთავარი გამოწვევა სწორედ საკუთარი თავის დათრგუნვაა. ის დათა თუთაშხიას სწორედ ამ ტიპის ადამიანად აღიქვამს.

ამის შემდეგ გრაფი სეგედი მას ეკითხება, თუ რა არის მისი ფილოსოფიურ-მსოფლმხედველობითი აღქმების პირველწყარო. ანუ რაზე დაყრდნობით მსჯელობს ელიზბარი. ელიზბარს ზუსტი წყაროს დასახელება არ შეუძლია. ის ამბობს, რომ ეს ყველაფერი მისი მეგობრისგან მოისმინა. შემდეგ გამოთქვამს ვარაუდს, რომ ეს გურამიშვილს და რუსთაველს უნდა ეთქვათ, თუმცა იქვე შენიშნავს, რომ ეს იდეები და ეს კონცეფცია ასე გამართული და ჩამოყალიბებული ფორმით არც ამ ავტორებთან

¹⁰⁷⁹ ჭ. ამირეჯიბი. დათა თუთაშხია. თბილისი, 1979, გვ. 517.

გვხვდება. შემდეგ კი ვარაუდის სახით გახმოვანებულია, რომ ეს იდეა ნეოპლატონიკოსების და ფსევდოდოქონისე არეოპაგელისგან უნდა მოდიოდეს.¹⁰⁸⁰

საინტერესოა, რომ ავტორი აქ შეგნებულად არ უნდა ახსენებდეს ქრისტიანულ ტრადიციას, რომელიც ამ იდეას, საკუთარ თავთან ბრძოლას, მის დათრგუნვას, დიდწილად ეფუძნება. რომანი საბჭოთა ცენზურის პერიოდშია შექმნილი და მისი მკვეთრად ანტისაბჭოთა ხასიათის მიუხედავად, ძალიან მაღალი ხარისხით ალეგორიულია. ავტორი არცერთ შემთხვევაში თავის სათქმელს პირდაპირი ფორმით არ გადმოსცემს. ამ შემთხვევაშიც ის პირდაპირ არ იხსენიებს ქრისტიანობას, თუმცა იხსენიებს გვიანანტიკური პერიოდის ფილოსოფოსებს და ფილოსოფიურ სკოლას, რომელიც თავის მხრივ დიდწილად დგას სწორედ ქრისტიანულ საფუძველზე და თავადაც ქმნის საფუძველს ქრისტიანული მოძღვრებისთვის.

თუმცა, მეორე მხრივ, ამ მოსაზრების საპირისპიროს ისიც შეიძლება ითქვას, რომ ავტორი ზუსტად ციტირებს სახარებას, კერძოდ, ლუკას სახარებას და იმ ეპიზოდს, როდესაც ქრისტე ამბობს, რომ კეისარმა, ანუ რომის იმპერატორმა, თავისი უნდა მიიღოს, ხოლო ღმერთმა – მისივე კუთვნილი.¹⁰⁸¹

ზოგადად, ავტორი საკმაოდ კარგად, სიღრმისეულად უნდა იცნობდეს ანტიკური ფილოსოფიის სხვადასხვა მიმართულებებს. თუნდაც, ზოგადი აღწერილობის და ძირითადი დებულებების დონეზე. მაგალითად, სხვა ეპიზოდში ის საკმაოდ ზუსტად და ენამოსწრებულად აღწერს სოფიზმის და სოფისტური ფილოსოფიური მიმართულების არსს.¹⁰⁸²

რომანში ავტორი არაპირდაპირ იყენებს ბერძნულ და ლათინურ ტერმინებს და ენას. კერძოდ, ცენზურის მიერ აკრძალული ლიტერატურის ნუსხა გადმოცემულია ლათინურ ტერმინით – index librorum prohibitorum, რაც აკრძალული წიგნების ინდექსს/ნუსხას აღნიშნავს,¹⁰⁸³ ხოლო სხვა ეპიზოდში კი ბერძნული წარმოშობის ქართულ სახელებს (ექვთიმე, მელენტი, პოლიევქტი, დომენტი, აბესალომ, ტიხონ, და კალინკე) საკმაოდ დეტალურად განიხილავს და მათ ბერძნულ მნიშვნელობას გადმოსცემს.¹⁰⁸⁴

რომანში ანტიკურობის რეცეფციის თვალსაზრისით ყველაზე საინტერესო დეტალი, ალბათ, ის გახლავთ, როდესაც მუშნი ზარანდიას ავტორობით დათა თუთაშხიას შეპყრობის გეგმას ამუშავებენ, ამ გეგმას კოდურ სახელწოდებად „კილიკია“ ეწოდა. ინსპირაცია ისევ და ისევ ანტიკურობა გახლდათ. კერძოდ,

¹⁰⁸⁰ ჟ. ამირეჯიბი. დათა თუთაშხია. თბილისი, 1979, გვ. 356.

¹⁰⁸¹ ჟ. ამირეჯიბი. დათა თუთაშხია. თბილისი, 1979, გვ. 573.

¹⁰⁸² ჟ. ამირეჯიბი. დათა თუთაშხია. თბილისი, 1979, გვ. 118.

¹⁰⁸³ ჟ. ამირეჯიბი. დათა თუთაშხია. თბილისი, 1979, გვ. 618.

¹⁰⁸⁴ ჟ. ამირეჯიბი. დათა თუთაშხია. თბილისი, 1979, გვ. 99.

იულიუს კეისრის შეპყრობა კილიკიელი მეკობრეების მიერ და შემდგომ კეისრის შურისძიება. იულიუს კეისრის შესახებ ამ ამბავს გადმოგვცემენ პლუტარქოსი, სვეტონიუსი და ველიუს პატერკულუსი. რადგანაც ამ შემთხვევაშიც ოპერაციის ძირითადი მიზანი ყაჩაღების შეპყრობაა, სწორედ ეს სახელწოდება მიიღო. შემდგომში სახელი კილიკია ეწოდა იმ განყოფილებას, რომელიც მის აღსრულებაზე მუშაობდა.

ეს ეპიზოდი საინტერესოა იმდენად, რამდენადაც სატირული ხასიათი აქვს. სახელწოდება კილიკია მუშნი ზარანდიას მიერ შემუშავებულ გეგმას პოლკოვნიკმა სახნოვმა უწოდა. სახნოვი ნაწარმოებში საკმაოდ შეზღუდული ინტელექტუალური რესურსის მქონე პირად არის წარმოდგენილი. მის მიერ ამ სახელწოდების მოფიქრებას, წინ უძღვის მუშნი ზარანდიას მიერ გეგმის და მისი მეთოდოლოგიის დეტალური განხილვა. ეს გეგმა ბევრ სხვადასხვა ასპექტს მოიცავს – მათ შორის, შესაპყრობი ხალხის კომპრომეტირებას, მათ დევნას, შემორიგებას ა.შ. სახნოვი მისთვის ტიპური ზედაპირულობით აღნიშნავს, რომ კილიკია კარგი სახელწოდებაა, რადგან კეისარი სწორედ ამ მეთოდებით ებრძოდა კილიკიელ მეკობრეებს. ეს აშკარა ისტორიული ფიქცია და უხეში შეცდომაა. წყაროებში კეისრის მიერ მეკობრეებზე შურისძიება საკმაოდ მოკლედ, გაკვრით არის მოთხრობილი, ბევრი დეტალიზაციის გარეშე და მას არაფერი აქვს საერთო მუშნი ზარანდიას მიერ შემუშავებულ გეგმასთან. ჩანს, რომ ჭაბუა ამირეჯიბი ანტიკური ისტორიის ამ ეპიზოდს კარგად იცნობს და შემდეგ შეგნებულად, დამახინჯებული, ფიქტიური ფორმით, პოლკოვნიკი სახნოვის პირით ახმოვანებს, რომ იულიუს კეისარიც სწორედ ასე მოქმედებდა. ამით კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს ამ უკანასკნელის ინტელექტუალურ შეზღუდულობას და მის კარიკატურულობას.

შემდეგ ეპიზოდში მეფისნაცვალი აღნიშნავს, რომ, როგორც ჩანს, იულიუს კეისარი თავის მეთოდებში არცთუ დახვეწილი ყოფილა. ამ ფრაზაში უფრო მეტად სარკაზმი ჩანს, ვიდრე კეისრის მოქმედების რეალური შეფასება. სახნოვის სიბრიყვე ნათელია ამ განხილვის მონაწილე თითოეული პირისათვის.¹⁰⁸⁵

ანტიკურ ტერმინებს ჭაბუა ამირეჯიბი ბევრად უფრო იშვიათად იხსენიებს თავის სხვა რომანში – „გორა მზორგალი“. რომანში მხოლოდ სამი ანტიკური ტერმინი გვხვდება. ერთ შემთხვევაში სიკვდილის აღმნიშვნელად გამოიყენება ფორმა – „ჩვენი ოდისეის დასრულება“.¹⁰⁸⁶

სხვა ეპიზოდში აღნიშნულია, რომ კორიდა პირველყოფილი სახით თავდაპირველად უძველეს დროში, კოლხისში, ჩამოყალიბდა და შემდეგ იქიდან

¹⁰⁸⁵ ჭ. ამირეჯიბი. დათა თუთაშხია. თბილისი, 1979, გვ. 223

¹⁰⁸⁶ ჭ. ამირეჯიბი. გორა მზორგალი. თბილისი, 1995, გვ. 144

გავრცელდა ბალკანეთში.¹⁰⁸⁷ ამ ინფორმაციას ისტორიული საფუძველი არ გააჩნია, თუმცა ეხმიანება კოლხისის და ბერძნულ სამყაროს შორის ანტიკურობაში არსებული კონტაქტების ფაქტს.

კიდევ ერთ ეპიზოდში კი, ჰეგელზე დაყრდნობით, აღნიშნულია, რომ როდესაც ადამიანის მისია ამოიწურება, შემდეგ ის კვდება ალექსანდრესავით.¹⁰⁸⁸ ალექსანდრეს სიკვდილის შესახებ არაერთი სხვადასხვა ლიტერატურული თუ ისტორიული წყარო მოგვითხრობს. სიკვდილის მიზეზი სხვადასხვანაირად არის ხოლმე წარმოდგენილი – ბუნებრივი სიკვდილიდან დაწყებული მოწამვლით დასრულებული უამრავი განსხვავებული ვერსიაა გახმოვანებული. ჭაბუა ამირეჯიბი საინტერესო გზით მიდის და ალექსანდრეს უცაბედ, მოულოდნელ და ნაადრევ სიკვდილის მისი ისტორიული, საკაცობრიო მისიის ამოწურვით, დასრულებით ხსნის.

ჭაბუა ამირეჯიბი საკმაოდ ხშირად იმოწმებს და ეხმიანება ანტიკურ თემატიკას თავის რომანში – „გიორგი ბრწყინვალე“. ამ ისტორიულ რომანში ანტიკურობა უფრო მეტად მისი გვიანდელი ფორმით, კერძოდ, ბიზანტიის და შუა საუკუნეების იტალიური ქალაქების კონტექსტშია წარმოდგენილი, რომლებიც, თავის მხრივ, სწორედ ანტიკურ, ბერძნულ-რომაულ ტრადიციას აგრძელებენ. საინტერესოა, რომ შუა საუკუნეების საქართველოს შესახებ XX საუკუნეში არაერთი ისტორიული რომანია შექმნილი სხვადასხვა ავტორის მიერ. ჩანს, რომ ეს ჟანრი და თემატიკა პოპულარულია და ამ პერიოდში საქართველოს ისტორიის ე.წ. „ოქროს ხანით“, უფრო სწორად, ერთიანი ქართული სამეფოთი დაინტერესება საკმაოდ დიდია. შექმნილია ისტორიული რომანები გიორგი I-ის, დავითის, თამარის, გიორგი-ლავას (გიორგი IV) და სხვა მეფეების მმართველობის პერიოდის შესახებ. ჭაბუა ამირეჯიბის „გიორგი ბრწყინვალე“ ამ ხაზს აგრძელებს. თემატურადაც ეს რომანი ძალიან არ განსხვავდება სხვა ამ ტიპის რომანებისგან. კერძოდ, შუა საუკუნეების საქართველო წარმოდგენილია როგორც ქრისტიანული სამყაროს ლიდერი, რომელიც კულტურულად და პოლიტიკურად კონკურენტია, პირველობას ეცილება როგორც ბიზანტიას, ბერძნული და აღმოსავლურ რომაული ტრადიციის გამგრძელებელს, ასევე იტალიურ ქალაქებს, რომლებიც უკვე რომაულ-ლათინურ კულტურულ ტრადიციას აგრძელებენ და შუა საუკუნეებში მნიშვნელოვან ძალას წარმოადგენდნენ ხმელთაშუა ზღვის და შავი ზღვის აუზებში.

ნაწარმოებში ავტორი არაერთხელ იხსენიებს რომაელებს, თუმცა ეს უმეტესად ეხმიანება არა ანტიკურ რომს, არამედ ბიზანტიის იმპერიას, რომელიც ანტიკური

¹⁰⁸⁷ ჭ. ამირეჯიბი. გორა მზორგალი. თბილისი, 1995, გვ. 649

¹⁰⁸⁸ ჭ. ამირეჯიბი. გორა მზორგალი. თბილისი, 1995, გვ. 514.

რომის მემკვიდრეა.¹⁰⁸⁹ ეს კულტურული დაპირისპირებაც არაერთხელ ჩანს. მაგალითად, აღნიშნულია, რომ რომაელებს (ანუ ბიზანტიელებს) გესლი მოჰყვებოდათ, რაც საქართველოში არ მუშაობს და არ მოეწონებათ.¹⁰⁹⁰ სხვა ეპიზოდში ხმამაღლა არის გაცხადებული, რომ მართლმადიდებელი ქრისტიანია და ამით ის განსხვავდება ფარისეველი რომაელებისგან (ისევ და ისევ ბიზანტიელები ან/და შუა საუკუნის იტალიური ქალაქების მკვიდრნი იგულისხმება). ხოლო კიდევ ერთ პასაჟში თითქოს ქართველების მორალური უპირატესობა ჩანს იმ შენიშვნით, რომ ის, რაც ქართველებისთვის მეფის და მისი ხვედრის სიმძიმეა, ანუ თავისი სახელმწიფოს გამო ცოდვების ტვირთვა, ლათინებისთვის ამას მხოლოდ პოლიტიკა, პოლიტიკის კეთება ჰქვია.¹⁰⁹¹ ამ შენიშვნით, სხვა ეპიზოდებთან ერთად, ისე არის დახატული, რომ ამ პერიოდის საქართველო უფრო მორალურია, უფრო მეტად ეფუძნება სწორ და ეთიკურ ფასეულობებს, ვიდრე მისი კონკურენტები ქრისტიანულ სამყაროში – ბიზანტია და იტალიური ქალაქ-სახელმწიფოები.

ეს კულტურული დაპირისპირება უნდა აიხსნას XX საუკუნის ქართულ მწერლობაში არსებული ტენდენციით, რომ შუა საუკუნეების ერთიანი ქართული სამეფო ქრისტიანული სამყაროს ლიდერად იქნეს აღქმული და წარმოდგენილი. ავტორი, მაგალითად, აღნიშნავს, რომ ქართულმა სახელმწიფომ ბერძენთა იმპერიის ძალა და სიდიადე მიიღო. სავარაუდოდ, მწერალი ამჯერადაც ბიზანტიის იმპერიას გულისხმობს.¹⁰⁹² საინტერესოა, რომ ავტორი ბიზანტიელებს წარმოადგენს როგორც ბერძნული სამყაროს, ისე რომის მემკვიდრეებად. ისტორიული თვალსაზრისით ეს სწორია.

ამ პერიოდის საქართველო კულტურულ ცენტრად არის წარმოჩინებული. ანანია არისტოტელეს „მეტაფიზიკას“ კითხულობს,¹⁰⁹³ ლათინურ ენას თავისუფლად გამოიყენებენ.¹⁰⁹⁴ მაგალითად, ომის გამოცხადების სამართლებრივი უფლება და მიზეზი ლათინური სამართლებრივი და პოლიტიკური ტერმინით *ius bellum*-ით არის გამოხატული.

ავტორის მიხედვით, შუა საუკუნეების, კერძოდ, გიორგი ბრწყინვალეს საქართველო აგრძელებს და იცნობს ანტიკურ მემკვიდრეობას როგორც ენის, ასევე კულტურის დონეზე.

¹⁰⁸⁹ ჟ. ამირეჯიბი. გიორგი ბრწყინვალე. თბილისი, 2008, გვ. 53, გვ. 68, გვ. 82, გვ. 107.

¹⁰⁹⁰ ჟ. ამირეჯიბი. გიორგი ბრწყინვალე. თბილისი, 2008, გვ. 82.

¹⁰⁹¹ ჟ. ამირეჯიბი. გიორგი ბრწყინვალე. თბილისი, 2008, გვ. 207.

¹⁰⁹² ჟ. ამირეჯიბი. გიორგი ბრწყინვალე. თბილისი, 2008, გვ. 207.

¹⁰⁹³ ჟ. ამირეჯიბი. გიორგი ბრწყინვალე. თბილისი, 2008, გვ. 59.

¹⁰⁹⁴ ჟ. ამირეჯიბი. გიორგი ბრწყინვალე. თბილისი, 2008, გვ. 89, გვ. 133, გვ. 182, გვ. 206, გვ. 208.

მის კიდევ ერთ რომანში – „წვართანში“, ჭაბუა ამირეჯიბი ანტიკურობის რეცეფციას მხოლოდ ერთხელ ახდენს, თუმცა სიღრმისეულად და დეტალურად. კერძოდ, ლევანისთვის ნაწარმოების ერთ-ერთი ძირითადი პერსონაჟისთვის, ინსპირაციის წყარო, მისი ისტორიული მაგალითი, რომაული ისტორიის ადრეული პერიოდის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი გმირი მუკიუს სკევოლაა (მოხსენიებულია მუკიუს სკევოლას ფორმით). მის შესახებ, ტიტუს ლივიუსი გვამცნობს (*Ab urbe condita*, II, 9-14). ლევანისთვის მუკიუსის ისტორია, რომელმაც მშობლიური ქალაქისთვის თავი გაწირა და არა მხოლოდ რომი იხსნა, არამედ თავისი ვაჟკაცობით და შეუპოვრობით მაგალითი შექმნა, შთაგონების მნიშვნელოვანი წყაროა.¹⁰⁹⁵

საერთო ჯამში შეიძლება ითქვას, რომ ჭაბუა ამირეჯიბი მიუხედავად იმისა, რომ თავისი უზარმაზარ შემოქმედებაში ანტიკურობის რეცეფციას არცთუ ხშირად ახდენს, საკმაოდ კარგად იცნობს ანტიკურობას და როდესაც ანტიკურ ტერმინებს ან მოტივებს გამოიყენებს, ზუსტად ხვდება კონტექსტს, სრულფასოვნად იცნობს ანტიკურ სიმბოლოებს და მაღალი მხატვრული კლასით შეუძლია მათი მისთვის საჭირო კონტექსტში გამოყენება.

მურმან ლებანიძე (1922-2002)

გიორგი უგულავა

ტერმინები: კოლხეთი/კოლხური, მუზები, ხალიბები, პოსეიდონი, ფაზისი/ფასისი, ალექსანდრე მაკედონელი, დიოგენი, პარნასი, განხეთქილების ვაშლი, კენტავრები, ზევსი, ატლანტი, პონტოსი, ბიზანტია, რომი, ჰომეროსი, სპარტა/სპარტანული, საფო, არგო, რიფები (სიმპლეგადები), პლატონი, პიტიუნტი, ვენერა მილოსელი

მურმან ლებანიძე XX-XXI საუკუნეების პოეტია. მის შემოქმედებაში ანტიკური ტერმინები არაერთხელ გვხვდება. ტერმინების ზოგადი ანალიზის შემდეგ შეიძლება ითქვას, რომ მურმან ლებანიძე ანტიკურობას საკმაოდ კარგად იცნობს და ანტიკური ტერმინების რეციპირებას ხშირად ახდენს. მის მიერ გამოყენებული ტერმინების უდიდესი ნაწილი უფრო ზოგადი ხასიათისაა და ანტიკურობასთან ფართოდ დაკავშირებულ სახელებსა და სიმბოლოებს წარმოადგენს (მაგ., ალექსანდრე,

¹⁰⁹⁵ „წვართანი“, ჭ. ამირეჯიბი. საწყისი. თბილისი, 2008, გვ. 80-83.

ბიზანტია, რომი ა.შ.). გარდა ამისა, მის მიერ ანტიკურობის რეციპირების პროცესში ხშირად გვხვდება ანტიკური ეპოქის საქართველოსთან დაკავშირებული ტერმინები.

თავის ლექსში „შემოდგომა“ პოეტი არა მხოლოდ იხსენიებს, არამედ ახდენს ანტიკური კოლხეთის საკმაოდ კონკრეტულ ლოკალიზებას და განათავსებს მას ძირითადად კოლხეთის დაბლობის ტერიტორიაზე. მისი მიხედვით, მდინარე რიონი გაივლის ჯერ რაჭას, შემდეგ იმერეთს, ხოლო იქამდე სანამ მიაღწევს პონტოს ზღვას (შავ ზღვას), გაივლის კოლხეთს. ანტიკური ტრადიცია და მისი თანამედროვე რეცეფცია კოლხეთს უფრო ხშირად კონკრეტული საზღვრების და დეტალური ლოკალიზების გარეშე წარმოადგენს, დასავლეთ საქართველოს კრებით სახელად. მაგალითად, ფსევდოსკილაქსთან კოლხეთად მოხსენიებულია დიოსკურიადან (თან. სოხუმის მიმდებარე ტერიტორია) მდინარე აფსაროსამდე ტერიტორია (Ps. Scyl. 81). მურნამ ლებანიძე კი კოლხეთს გეოგრაფიულად, საკმაოდ ზუსტად განსაზღვრავს და მისი მიხედვით, ეს არის ტერიტორია იმერეთსა და შავ ზღვას შორის, დიდწილად თანამედროვე სამეგრელო.¹⁰⁹⁶

პოეტის მიერ ერთ-ერთი ყველაზე ხშირად გამოყენებული ანტიკური ტერმინი გახლავთ ფაზისი/ფასისი, ანტიკური ხანის საქართველოს, უფრო სწორად, კოლხეთის მთავარი მდინარე, რომელსაც ყველაზე უფრო ხშირად და ყველაზე მეტად გაზიარებული მოსაზრების თანახმად, თანამედროვე რიონთან აკავშირებენ. მურმან ლებანიძე თავის შემოქმედებაში ფაზისს 8-ჯერ მოიხსენიებს. პოეტისთვის ანტიკური კოლხეთი და მასთან დაკავშირებული ყველაზე ცნობილი და მნიშვნელოვანი გეოგრაფიული ტერმინი (მდინარე ფაზისი/ფასისი) საქართველოს ისტორიულ წარსულს წარმოადგენს. ამ საკითხს ის თავის შემოქმედებაში არაერთხელ უბრუნდება და მისთვის მისი თანამედროვე საქართველო ანტიკური კოლხეთის მემკვიდრე და გამგრძელებელია.

პოეტი საკმაოდ ზუსტად იცნობს ფაზისის გეოგრაფიულ ლოკაციას და მდინარებას და, როგორც ჩანს, ემხრობა მის თანამედროვე რიონთან იდენტიფიცირებას, რადგან არაერთხელ აღნიშნავს, რომ ის სათავეს მთებიდან იღებს (როგორც მდინარე რიონი) – „და შორს ფაზისის სათავეებთან, იქ ალპურ ნისლში“,¹⁰⁹⁷ ის ცხენისწყალთან ერთად საქართველოს (როგორც ჩანს, დასავლეთ საქართველოს) მთავარი მდინარეა („უნდა განახო მხარე ვაზებში, ცხენისწყალი და

¹⁰⁹⁶ „შემოდგომა“, მ. ლებანიძე. თხზულებანი ორ ტომად. ტ. I. გამომცემლობის წინასიტყვაობით. თბილისი, 1989, გვ. 406.

¹⁰⁹⁷ „ბრილის ყვავილები“, მ. ლებანიძე. ლექსები, ბალადები, პოემები. ერთტომეული. ავტორის წინასიტყვაობით. რედ.: ბ. ჟღენტი. თბილისი, 1972, გვ. 204.

ფაზისი“);¹⁰⁹⁸ მდინარე ფაზისის ნაპირზე მდებარეობს „ძველი ქალაქი, ჩვენი ქალაქი“ (უნდა გულისხმობდეს ქუთაისს ანდაც ფასისს, ანტიკური ეპოქის ბერძნულ კოლონიას თანამედროვე ფოთის მიმდებარე ტერიტორიაზე);¹⁰⁹⁹ ეს მდინარე, რომელსაც უწინ ფაზისის ერქვა პიტიუნტთან (თან. ბიჭვინთის ტერიტორია, ანტიკური, ბერძნული კოლონია) და პონტოს ზღვასთან (შავი ზღვის ანტიკური სახელწოდება) ამ რეგიონის ერთ-ერთ მთავარ გეოგრაფიულ მახასიათებელს წარმოადგენს.¹¹⁰⁰ საინტერესოა, რომ ფაზისთან მიმართებაში პოეტი ორჯერ გამოიყენებს ეპითეტს ლურჯი.¹¹⁰¹ ერთი მხრივ, მდინარის ეპითეტი ლურჯით მოხსენიება გასაკვირი არ არის, თუმცა, მეორე მხრივ, „ლურჯი ფაზისი“ ამ განსაზღვრებას ანტიკურობა არ იცნობს და ეს მურმან ლებანიძის მიგნება უნდა იყოს. ეპითეტ ლურჯს პოეტი გამოიყენებს ასევე პონტოს ზღვასთან მიმართებაშიც – „იქ მდინარეა, რომელსაც ერქვა უწინ ფაზისი, იქ პიტიუნტი, და პონტოს ზღვის ლურჯი კიდეა“.¹¹⁰²

ანტიკური ეპოქის საქართველოსთან დაკავშირებულ ტერმინებს მურმან ლებანიძე თავის სხვა ლექსებშიც არაერთხელ მოიხსენიებს: „ჯგუზურიაში“ იხსენიებს კოლხურ ვარდებს;¹¹⁰³ „აფხაზეთზე თვალი ამ კაცს უჭირავსში“ იხსენიებს არგონავტების კოლხეთში ლაშქრობასთან დაკავშირებულ არგონავტების ხომალდ „არგოს“, რომელსაც ანტიკური ავტორებიც და გვიანდელი რეცეფციაც ერთხმად უკავშირებენ ანტიკურ კოლხეთს;¹¹⁰⁴ ასევე პონტოს ზღვას ანტიკურ სახელწოდებას.¹¹⁰⁵

ანტიკურ საქართველოსთან მიმართებაში აღქმული უნდა იყოს ტერმინი ხალიბი/ხალიბები, რომლებიც XX საუკუნის ქართულ პოეზიაში არაერთხელ გვხვდება. ხალიბების რეცეფციას ამ პერიოდის ქართული მწერლობა ხშირად

¹⁰⁹⁸ „გინახავს ღრუბლის ტივები...“, მ. ლებანიძე. ლექსები, ბალადები, პოემები. ერთტომეული, ავტორის წინასიტყვაობით. რედ.: ბ. ჟღენტი. თბილისი, 1972, გვ. 198.

¹⁰⁹⁹ „რევაზ ნოდარიშვილს“, მ. ლებანიძე. თხზულებანი ორ ტომად. ტ. I. გამომცემლობის წინასიტყვაობით. თბილისი, 1989, გვ. 252.

¹¹⁰⁰ „პრესა“, მ. ლებანიძე. თხზულებანი ორ ტომად. ტ. I. გამომცემლობის წინასიტყვაობით. თბილისი, 1989, გვ. 433.

¹¹⁰¹ „რევაზ ნოდარიშვილს“, მ. ლებანიძე. თხზულებანი ორ ტომად. ტ. I. გამომცემლობის წინასიტყვაობით. თბილისი, 1989, გვ. 252; „ბრილის ყვავილები“, მ. ლებანიძე. ლექსები, ბალადები, პოემები. ერთტომეული. ავტორის წინასიტყვაობით. რედ.: ბ. ჟღენტი. თბილისი, 1972, გვ. 204.

¹¹⁰² „პრესა“, მ. ლებანიძე. თხზულებანი ორ ტომად. ტ. I. გამომცემლობის წინასიტყვაობით. თბილისი, 1989, გვ. 433.

¹¹⁰³ „ჯგუზურია“, მ. ლებანიძე. ლექსები, ბალადები, პოემები. ერთტომეული. ავტორის წინასიტყვაობით. რედ.: ბ. ჟღენტი. თბილისი, 1972, გვ. 74.

¹¹⁰⁴ „აფხაზეთზე ამ კაცს თვალი უჭირავს...“, მ. ლებანიძე. თხზულებანი ორ ტომად. ტ. I. გამომცემლობის წინასიტყვაობით. თბილისი, 1989, გვ. 398.

¹¹⁰⁵ „შემოდგომა“, მ. ლებანიძე. თხზულებანი ორ ტომად. ტ. I. გამომცემლობის წინასიტყვაობით. თბილისი, 1989, გვ. 406.

მიმართავს, მათ შორის, მურმან ლებანიძე, რადგან ხალიბებს ანტიკური წყაროები თითქმის ერთხმად იხსენიებენ, როგორც მეტალურგიასა და მეტალის დამუშავებაში დახელოვნებულ ხალხს. ისინი აღქმული იყვნენ როგორც ის ხალხი, რომელმაც მეტალურგია და მეტალის დამუშავება მოიგონა. საინტერესოა, რომ ხალიბებს ქართული ლიტერატურული ტრადიცია ერთხმად აღიქვამს ქართველურ ხალხად, რომელიც მიჩნეულ უნდა იყოს როგორც საქართველოს ისტორიული წარსულის ნაწილი. ეს იმის მიუხედავად, რომ ხალიბების ლოკალიზება თანამედროვე კვლევის მიხედვით საქართველოს ტერიტორიიდან ბევრად უფრო სამხრეთ-დასავლეთით, თანამედროვე თურქეთის ტერიტორიაზე, თანამედროვე ტრაპიზონიდან (ანტიკური ტრაპეზუსი) მნიშვნელოვნად დასავლეთით უნდა ხდებოდეს. ტრაპიზონი ანტიკური წყაროების მიხედვით ქართველური ხალხების განსახლების უკიდურესი სამხრეთ-დასავლეთი პუნქტია.

შესაბამისად, კვლევითი მიდგომების მიხედვით შეუძლებელია ხალიბების ერთმნიშვნელოვნად ქართველური სამყაროსთვის მიკუთვნება. ამის მიუხედავად, XX საუკუნის მწერლობა ხალიბებს, როგორც მეტალურგიის და მჭედლობის შემოქმედ ხალხს, სწორედ ქართული სამყაროს ნაწილად აღიქვამს.

მურმან ლებანიძეც ამ მხრივ ხალიბების რეცეფციას ტრადიციული ფორმით ახდენს – მისთვის ხალიბი არის ის, ვინც „პირველ ქურას და სამჭედლოს აღუღუნებდა“.¹¹⁰⁶

ყველა ამ ანტიკურ ტერმინს ის აერთიანებს, რომ მათი მეშვეობით პოეტი საქართველოს პირდაპირ აკავშირებს ანტიკურ კოლხეთთან და, ზოგადად, ანტიკურობასთან. საქართველო ამ ანტიკური მემკვიდრეობის პირდაპირი გამგრძელებელია. მეორე მხრივ, მათ მოხსენიებას ნაკლებად აქვს სიღრმისეული, მსჯელობითი ან სიმბოლური ხასიათი და უფრო მეტად შედარებისთვის, ანდაც ისტორიულ წარსულთან ბმის გამოსახატად გამოიყენება.

საქართველოს ისტორიულ წარსულთან მიმართებით პოეტი ლექსში „ანისის აღება“ ორ ანტიკურ ტერმინს გამოიყენებს. ეს ლექსი საინტერესოა იმდენად, რამდენადაც პოეტი ამ შემთხვევაში ეხმიანება არა საქართველოს ანტიკური ეპოქის წარსულს, არამედ უკვე შუა საუკუნეების საქართველოს და ამ ისტორიულ პერიოდის კონტექსტში გამოიყენებს ანტიკურ ტერმინებს. ანისი შუა საუკუნეების სომხეთის უმნიშვნელოვანეს ქალაქს წარმოადგენდა. 961-1045 წლებში ანისი იყო ბაგრატიდების არმენიის დედაქალაქი. შუა საუკუნეების წყაროები მას მოიხსენიებდნენ, როგორც „1001 ეკლესიის ქალაქს“ და თანამედროვე არქეოლოგიური კვლევებიც ადასტურებს

¹¹⁰⁶ „გერმანე გობეჯიშვილს“, მ. ლებანიძე. ლექსები, ბალადები, პოემები. ერთტომეული. ავტორის წინასიტყვაობით. რედ.: ბ. ჟღენტი. თბილისი, 1972, გვ. 104.

მის ფარგლებში სულ მცირე 50 ეკლესიის არსებობას. შუა საუკუნეების სტანდარტით ეს ძალიან დიდი რიცხვია და ადასტურებს ამ ქალაქის ეკონომიკურ და პოლიტიკურ მნიშვნელობას. ანისი მნიშვნელოვანი სავაჭრო გზების გასაყარზე მდებარეობდა და აკონტროლებდა როგორც აღმოსავლეთ-დასავლეთის, ისე ჩრდილოეთ-სამხრეთის მნიშვნელოვან სავაჭრო გზებს. X საუკუნის შუა პერიოდიდან ის უკვე თურქ-სელჩუკების მიერ აღმოჩნდა დაკავებული, ისევე როგორც თითქმის მთელი კავკასია და მათ შორის აღმოსავლეთ საქართველო. მას შემდეგ, რაც დავით აღმაშენებელმა თურქ-სელჩუკთა ოკუპაციისგან გაათავისუფლა აღმოსავლეთ საქართველო, ერთიანმა ქართულმა სამეფომ ეტაპობრივად დაიწყო გაფართოება თითქმის მთელი კავკასიის მასშტაბით, რომლის დროსაც მის მთავარ კონკურენტებს თურქ-სელჩუკთა მომხრე, მათ მიერ კონტროლირებადი ან თურქ-სელჩუკი ადგილობრივი, მუსლიმური პოლიტიკური ერთეულები წარმოადგენდა. მალიქ შაჰის სიკვდილის (1092 წ.) შემდეგ თურქ-სელჩუკთა ერთიანი იმპერია დაშლის, შიდა პოლიტიკური დაპირისპირების და არასტაბილურობის გზით წავიდა. ამ ფრაგმენტაციის შედეგად დარჩენილი თურქული პოლიტიკური ერთეულები კი ქართული სამეფოს მთავარ წინააღმდეგობას წარმოადგენდნენ კავკასიაში გაფართოების და მთელი კავკასიის კონტროლის პროცესში. XI საუკუნეში, დავით აღმაშენებლის მემკვიდრეების დემეტრე I-ის და გიორგი III-ის მმართველობის პერიოდში ანისისთვის ბრძოლები თურქ-სელჩუკური მუსლიმური ერთეულების წინააღმდეგ ამ პერიოდის საქართველოსთვის ერთ-ერთ ძირითად საგარეო პოლიტიკურ გამოწვევას წარმოადგენდა.

მურმან ლებანიძე ამ ისტორიულ მოვლენას უძღვნის თავის ლექსს და, რაც ყველაზე საინტერესოა, ამ კონტექსტში გამოიყენებს ანტიკურობასთან დაკავშირებულ ტერმინებს. კერძოდ, მისთვის ანისი, „ზევსივით ქალაქია“, ხოლო მხედრებს, ცხენოსან ჯარს იგი ადარებს, ანტიკური მითოლოგიის კენტავრებს.¹¹⁰⁷ აღსანიშნავია, რომ პოეტი მკაცრ ისტორიულ რეალობას არ მიჰყვება და ანისის აღებას დავით აღმაშენებლის სახელს უკავშირებს, როდესაც ისტორიულად ანისისთვის ბრძოლები, მისი აღება და კონტროლი, დავითის მემკვიდრეების სახელს უკავშირდება.

ზოგადად ანტიკურობის შესახებ ამ ტიპის ანტიკურ ტერმინებს პოეტი თავის სხვა ლექსებშიც გამოიყენებს. მაგალითად, კაცობრიობის დიდ პოეტებს შორის ბერნსთან და ვაჟა-ფშაველასთან ერთად ასახელებს ჰომეროსს, რომელსაც როგორც ანტიკური, ისე გვიანდელი ევროპული ტრადიცია, ერთხმად მიიჩნევა პოეზიის ერთ-

¹¹⁰⁷ „ანისის აღება“, მ. ლებანიძე. ლექსები, ბალადები, პოემები. ერთტომეული. ავტორის წინასიტყვაობა. რედ.: ბ. ჟღენტი. თბილისი, 1972, გვ. 515, გვ. 517.

ერთ უმაღლეს მწვერვალად.¹¹⁰⁸ ამ მხრივ, მურმან ლებანიძის რეცეფციას სტანდარტული ფორმა და შინაარსი აქვს.

მსგავსი ტიპის რეცეფციას ვხვდებით მის კიდევ ერთ ლექსში, როდესაც პოეტი ჩამოთვლის სხვადასხვა პერიოდის დიდ პოეტებს მარინა (ცვეტაევა), ბლოკი, ტატო (ნ. ბარათაშვილი) და მათთან ერთად მოიხსენიებს საპფოს, რომელიც ანტიკურობის გამორჩეული პოეტი და ყველაზე დიდი პოეტი ქალია.¹¹⁰⁹

ჰომეროსს მურმან ლებანიძე თავის სხვა ლექსშიც მოიხსენიებს. იგი აღნიშნავს, რომ მას უყვარს ქალები, შემდეგ კი ამბობს, რომ „ბრმა ჰომეროსი გვასწავლის: ოთხკუთხივ რაზმით ჯარები“.¹¹¹⁰ რეალურად, პოეტის მიერ დამოწმებული ჰომეროსის ფრაზა პირდაპირ არ მიემართება არც „ილიადას“ და არც „ოდისეას“, რომელიმე კონკრეტულ პასაჟს, სტრიქონს ან სცენას. ჰომეროსი ამ ტიპის, ამ შინაარსის კომენტარს არსად აკეთებს. ვფიქრობ, სწორია უნდა იყოს ამ სტრიქონების ზ. ხინთიბიძისეული ინტერპრეტაცია, რომელიც მიიჩნევს, რომ მურმან ლებანიძეს ამ ფრაზით სურს გადმოსცეს ჰომეროსის პოემების ზოგადი სული და ხასიათი, რომლებშიც (განსაკუთრებით „ილიადაში“) ქალების გამო ბევრი საგმირო საქმე ხდება. თავად „ილიადას“ ძირითადი მოტივიც მშვენიერი ელენეს დაბრუნების მიზეზით გაერთიანებული ბერძნული ლაშქრის მიერ ტროას აღების მცდელობაა.¹¹¹¹

როგორც ჩანს, მურმან ლებანიძე ამ ფრაზით, ერთი მხრივ, ეხმიანება, ჰომეროსის პოემების ზოგად სულისკვეთებას, ხოლო, მეორე მხრივ, შესაძლებელია ჰომეროსის, როგორც ზოგადად ეპიკური, საგმირო ფასეულობების სიმბოლოდ აღქმა, რომლებიც ხშირად ქალების გამო ბრძოლებს, ბატალურ სცენებს, საგმირო საქმეებს და სხვა ამ ტიპის მოვლენებს აღწერს.

ამ ტიპის რეცეფციების რიცხვს განეკუთვნება პოეტის მიერ სხვადასხვა ლექსში მუზების ხსენება,¹¹¹² ასევე პოსეიდონის, რომელსაც ანტიკური ტრადიციის

¹¹⁰⁸ „ჩიბუხში ჩასადები ღრუბელი არ ჩანდა [ანუ: ძლიერი გვაღვა იყო]“, მ. ლებანიძე. თხზულებანი ორ ტომად. ტ. I. გამომცემლობის წინასიტყვაობით. თბილისი, 1989, გვ. 284.

¹¹⁰⁹ „ვშლი, ვფურცლავ ედგარს, კიპლინგს, ბაირონს...“, მ. ლებანიძე. თხზულებანი ორ ტომად. ტ. I. გამომცემლობის წინასიტყვაობით. თბილისი, 1989, გვ. 384-385.

¹¹¹⁰ „რომ გითხრა: „მსურხარ დასავით!“, მ. ლებანიძე. თხზულებანი ორ ტომად. ტ. I. გამომცემლობის წინასიტყვაობით. თბილისი, 1989, გვ. 442.

¹¹¹¹ ხელმისაწვდომია ონლაინ:

https://classicaltradition.tsu.ge/geo/%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%AC%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%94%E1%83%91%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98?info_id=2165 ბოლო ნახვა: 13.07.2024.

¹¹¹² „გერმანე გობეჯიშვილს“, მ. ლებანიძე. ლექსები, ბალადები, პოემები. ერთტომეული. ავტორის წინასიტყვაობით. რედ.: ბ. ჟღენტი. თბილისი, 1972, გვ. 104-105; „ბერნუში“, მ. ლებანიძე. ლექსები, ბალადები, პოემები. ერთტომეული. ავტორის წინასიტყვაობით. რედ.: ბ. ჟღენტი. თბილისი, 1972, გვ. 154.

მიხედვით, ზღვის ღელვას უკავშირებს და წარმოდგენილია როგორც ზღვის ღმერთი – „პოსეიდონი, როცა წყალს ურევს, ჩვენ შემოიღო ზღვაში გავდივართ მარტო“.¹¹¹³ საინტერესოა, რომ პოეტი ერთ შემთხვევაში, ლექსში „ბერნუმი“ აღნიშნავს, რომ უკეთესია საყვარელ ადამიანს უღალატო, ვიდრე შვიდ მუზას, რაც იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ მისთვის პოეტური ხელოვნების, საკუთარი ნიჭის და პოეტური კრედოს ღალატი, მისი არგამოყენება, ანდაც გაფლანგვა, იმდენად მიუღებელია, რომ მას საყვარელი ადამიანის ღალატზე დიდ დანაშაულად მიიჩნევს. ამ გზავნილის სათქმელად კი ის ანტიკურ მუზებს, როგორც პოეზიის და ხელოვნების მფარველ ღვთაებებს და სიმბოლოს, იყენებს.

მურმან ლებანიძე თავის ლექსში „როგორც მწვრთნელი შიშით და ძრწოლით“ იხსენიებს ანტიკურ პარნასს/პარნასოსს. მისი თქმით პარნასი სევდით გულში იკრავს გალაკტიონს.¹¹¹⁴

ამ ფრაზის ინტერპრეტაცია ორგვარად შეიძლება. ამ შემთხვევაში ის ან XX საუკუნის სხვა არაერთი პოეტის მსგავსად (ლ. ასათიანი, გ. ყიფიანი) მიმართავს სტანდარტულ ფორმულირებას და მთაწმინდას, გალაკტიონის განსასვენებელს, უწოდებს პარნასს. ანტიკური პარნასოსის მთა, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნე, ანტიკური მითოლოგიის თანახმად ასოცირდებოდა აპოლონთან, აღქმული იყო მუზების სამყოფელთან და, ზოგადად, წარმოადგენდა ხელოვნების, პოეზიისა და მუსიკის სივრცეს. ქართულ პოეზიაში მთაწმინდა არაერთხელ არის მოხსენიებული პარნასად, ან შედარებულია და ერთ კონტექსტში აღქმული ანტიკურ პარნასთან.

ამ სტრიქონების პირდაპირი ინტერპრეტაციაც შესაძლებელია. ანუ ანტიკური პარნასი, როგორც პოეზიის და ხელოვნების ადგილი-სიმბოლო, რომელიც გულში იკრავს გალაკტიონს, პოეზიის უდიდეს წარმომადგენელს.

პოეტი მოიხსენიებს განხეთქილების ვაშლს და ჩანს, რომ იცნობს მითს ტროას ომის დაწყების შესახებ, როდესაც ერისი, განხეთქილების ქალღმერთი, ვაშლს აგდებს ღმერთების ნადიმზე. მურმან ლებანიძე მითის თავისებურ რეცეფციას ახდებს და აღწერს სცენას, როდესაც კ. გამსახურდია მგოსნებს, სხვა მწერლებს, მწერლების ბაღში ესვრის განხეთქილების ვაშლს, რაც მათი გამოწვევის, ტოლფასი ჟესტია.¹¹¹⁵

ამ ტიპის ტერმინს წარმოადგენს, როდესაც იგი თავის ლექსში „ბუხრის ნაცვლად – ღუმელი“ იხსენიებს ტერმინს სპარტას და სპარტანელებს. იგი ახსენებს, რომ უნდა

¹¹¹³ „ჩვენ ვართ კოლუმბები!“ მ. ლებანიძე. ლექსები, ბალადები, პოემები. ერთტომეული. ავტორის წინასიტყვაობით. რედ.: ბ. ჟღენტი. თბილისი, 1972, გვ. 173.

¹¹¹⁴ „როგორც მწვრთნელი შიშითა და ძრწოლით...“, მ. ლებანიძე. ლექსები, ბალადები, პოემები. ერთტომეული. ავტორის წინასიტყვაობით. რედ.: ბ. ჟღენტი. თბილისი, 1972, გვ. 318.

¹¹¹⁵ „ლექსის მწერალი ხშირდება...“, მ. ლებანიძე. ლექსები, ბალადები, პოემები. ერთტომეული. ავტორის წინასიტყვაობით. რედ.: ბ. ჟღენტი. თბილისი, 1972, გვ. 320.

იცხოვრონ სპარტანულად, რათა არ „დაღპნენ და არ წახდნენ“.¹¹¹⁶ სპარტა და სპარტანელები ანტიკურობაშიც და გვიანდელ რეცეფციაშიც მუდამ აღიქმებოდნენ, როგორც სიმკაცრის, უბრალოების, მინიმალისტურობის, სიმდიდრით შეურყვნელობისა და დისციპლინირებული, კოლექტიურ ფასეულობებზე დაფუძნებული საზოგადოების სიმბოლო, რომლისთვისაც პირადი ინტერესების, მათ შორის, სიმდიდრისკენ სწრაფვაზე უარის თქმა, სამშობლოსათვის აუცილებელია. შედეგად, მურმან ლებანიძე სწორედ ამ ანტიკურ სიმბოლოს იყენებს იმისთვის, რათა თავის მკითხველს იმ ფასეულობებზე მიუთითოს, რომელთა მიხედვითაც უნდა იცხოვრონ. ქვემოთ ჩვენ ვიხილავთ, რომ ამ ტიპის სიმბოლოებს პოეტი არაერთხელ იყენებს და ანტიკური სიმბოლოების რეცეფციის მეშვეობით მის მსოფლმხედველობაზე მსჯელობა საკმაოდ კომპლექსურად არის შესაძლებელი.

მათი მიხედვით მურმან ლებანიძის მსოფლმხედველების შესახებ ერთიანი ტენდენცია იკვეთება. პოეტი თავის შემოქმედებაში ორჯერ მოიხსენიებს ძვ.წ. IV საუკუნის ბერძენ ფილოსოფოსს, დიოგენე სინოპელს.

ანტიკური წყაროების მიხედვით, დიოგენე საკმაოდ წინააღმდეგობრივი ფიგურაა. მთელი მისი ცხოვრების მანძილზე ის ასოციალური ფიგურა გახლდათ, უპირისპირდებოდა ყველა ტიპის სოციალურ, საზოგადოებრივ და პოლიტიკურ წესრიგს და სისტემას. წყაროები მას უკავშირებენ იმ ტიპის ასოციალურ ქცევას, მაგალითად, როგორიცაა ბუნებრივი მოთხოვნილებების საზოგადოებრივ სივრცეში დაკმაყოფილება,¹¹¹⁷ ანდაც დაკრძალვის ტრადიციულ ნორმებზე უარის თქმა.¹¹¹⁸ ამის მიუხედავად, დიოგენე, როგორც კინიკოსი, ამ ფილოსოფიური მოძღვრების ფუძემდებელი, ანტიკურობაში იქცა უბრალოების, უპოვრების თავმდაბლობის, ადამიანურ ამბიციებსა და ვნებებზე უარის თქმის სიმბოლოდ. შემდგომდროინდელ კულტურულ და ლიტერატურულ ტრადიციას დიოგენე სწორედ ამ ტიპის სიმბოლოდ შემორჩა, ადამიანად, რომელიც დადიოდა სანათით და ამბობდა, რომ „ადამიანს“, ან სხვა ვერსიით, პატიოსან ადამიანს ეძებდა (და ვერ პოულობდა) და, რომელმაც ალექსანდრეს მის შეთავაზებაზე, რომ ეთხოვა ნებისმიერი, რამ რაც სურდა, უპასუხა, რომ მისი ერთადერთი თხოვნა იყო, ალექსანდრე გაწეულიყო და მზე არ დაეჩრდილა მისთვის.¹¹¹⁹

¹¹¹⁶ *** (ბუხრის ნაცვლად – ღუმელი...), მ. ლებანიძე. თხზულებანი ორ ტომად. ტ. I. გამომცემლობის წინასიტყვაობით. თბილისი, 1989, გვ. 341.

¹¹¹⁷ Laërtius 1925, §46

Dio Chrysostom, Or. 8.36; Julian, Orations, 6.202c.

Laërtius 1925, §34–35; Epictetus, Discourses, iii.2.11.

¹¹¹⁸ Cicero, Tuscultanae Quaestiones, 1.43; Laërtius 1925, §78; Greek Anthology, 1.285.; Pausanias, 2.2.4.

¹¹¹⁹ Laërtius 1925, §41

Diogenis Laertius 6 (6.41 ბინთიბიძის ციტაცია)

დიოგენე ძალაუფლების წარმავლობის და შეზღუდულობის, ამქვეყნიური ვნებების, ამბიციების და მისწრაფებების ამაოების, უბრალოების, ბუნებრივ პირობებთან სიახლოვის, უპოვრების სიმბოლოდ არის აღქმული მურმან ლებანიძის პოეზიაშიც. პოეტი დიოგენეს შესახებ იმ ლეგენდას იხსენიებს, რომელიც აღწერს მას იმ ადამიანად, რომელიც „კაცს ეძებს“ თავისი ფარნით ხალხში და ამბობს, რომ ჩაუქრობდა იმ ფარანს და ეტყოდა „აგერა – კაცი“.¹¹²⁰ დიოგენეს სახელს მურმან ლებანიძე ამ ლექსში ერთეულ შემთხვევად, მხოლოდ ხოტბის შესხმის მიზნით არ იხსენიებს. ეს მისი მსოფლალქმის და ფასეულობების სიმბოლოდ უნდა იქნეს მიჩნეული. თავის სხვა ლექსში პოეტი კიდევ ერთხელ ახსენებს დიოგენეს და ამჯერად მისი გზავნილი უფრო პირდაპირია. მისი თქმით, „თავმდაბლობის საფუძველი სიბრძნეა“ და იქვე იხსენიებს დიოგენეს, როგორც ბრძენს, რომელსაც ძველმანები ეცვა და თავისი აბსოლუტური უპოვრებით და უქონლობით იყო გამორჩეული¹¹²¹ (მაგ., ანტიკური წყაროების თანახმად უარი თქვა ერთადერთ ხის ჭურჭელზე, როდესაც დაინახა, რომ ბიჭი ხელით სვამდა წყალს და მიხვდა, რომ მას ეს ერთადერთი ჭურჭელიც არ სჭირდებოდა.¹¹²² პოეტისთვის დიოგენესეული უბრალოება, უქონლობა და თავმდაბლობა ძირითადი ფასეულობებია. ეს ერთეული შემთხვევითი არ გახლავთ და, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამ ფასეულობებზე აქცენტის გაკეთებას პოეტის შემოქმედებაში იმდენად სისტემატიური ხასიათი აქვს, რომ შეგვიძლია სრულფასოვნად დავასკვნათ, რომ ამ ანტიკური სიმბოლოების მეშვეობით სრული სურათი გვაქვს პოეტის მსოფლმხედველობის შესახებ.

ზემოთ უკვე ვიმსჯელეთ სპარტას და სპარტანელების შესახებ, რაც ასევე უბრალოებას, მომჭირნეობას და სიმდიდრე-ფუფუნებაზე უარის თქმას გულისხმობს.

ამავე ტიპის მოსაზრებებს ვხედავთ პოეტის კიდევ ერთ ლექსში, როდესაც პოეტი იხსენიებს ალექსანდრე მაკედონელს, ანტიკურობის და, ზოგადად, კაცობრიობის ისტორიის უდიდეს დამპყრობელს და ახსენებს, რომ ალექსანდრემ ყველაფერი დაიპყრო, თუმცა იქვე ახსენებს, რომ „დრონი მეფობენ, და არა მეფენი“, რაც იმაზე უნდა მეტყველებდეს, რომ პოეტი პირდაპირ არ ამბობს, თუმცა ირიბად ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ ალექსანდრე სრულიად ახალგაზრდა გარდაიცვალა და მისი სიკვდილის შემდეგ, მისმა იმპერიამ დროს ვერ გაუძლო, მაშინვე დაიშალა

Laërtius 1925, §38; Cicero, *Tusculanae Quaestiones*, 5.32.; Plutarch, Alexander, 14, On Exile, 15; Dio Chrysostom, Or. 4.14

¹¹²⁰ „პროფესორ ადამ ჩახტაურს...“, მ. ლებანიძე. ლექსები, ბალადები, პოემები. ერთტომეული. ავტორის წინასიტყვაობით. რედ.: ბ. ჟღენტი. თბილისი, 1972, გვ. 264.

¹¹²¹ „კატიწვერა! ბუბა! შოდა-კედელა!“ მ. ლებანიძე. თხზულებანი ორ ტომად. ტ. I. გამომცემლობის წინასიტყვაობით. თბილისი, 1989, გვ. 82.

¹¹²² Laërtius 1925, §37; Seneca, *Epistles*, 90.14.; Jerome, *Adversus Jovinianum*, 2.14.

(„ჭაბუკსა მაკედონელსა ჰინდუსტანს აუღებელი რა დარჩა?! დრონი მეფობენ! დრონი! და არა მეფენი!“¹¹²³). შემთხვევითი არ არის, რომ მურმან ლებანიძე ალექსანდრეს დაპყრობების კონტექსტში იხსენიებს ჰინდუსტანს (ინდოეთს). რეალურად ალექსანდრემ ანტიკური ინდოეთის მხოლოდ მცირე ნაწილი დაიკავა და მალევე გაბრუნდა უკან, თუმცა ანტიკურობისთვის ინდოეთი მნიშვნელოვან სიმბოლოდ იქცა. ანტიკური სამყაროსთვის ინდოეთი მიჯნაა, საზღვარია, კაცობრიობისთვის ცნობილი ყველაზე უფრო შორეული წერტილი, უკიდურესად შორეული ადგილი, რომელსაც ადამიანმა (იგულისხმება ბერძნულ-მაკედონური კულტურის წარმომადგენელი) მიაღწია. ინდოეთი ამბივალენტურ სიმბოლოდ იქცა, გამომდინარე იქიდან, რომ კონტროვერსიული და ამბივალენტური იყო თავად ალექსანდრეს აღქმა და მისი რეცეფციაც. ერთი მხრივ, ინდოეთი (და ალექსანდრე) არის სიმბოლო ადამიანის შესაძლებლობის ზედა ზღვარის მიღწევის, ადამიანის სიდიადისა და მნიშვნელობის, გმირობის და საზღვრების გადალახვის. მეორე მხრივ, ჯერ კიდევ ანტიკურობაშივე არსებობდა აღქმა, რომ ალექსანდრეს დაპყრობები, და განსაკუთრებულად ინდოეთი, არის ადამიანის გაუმადლობის, იმპერიალიზმის, ბუნებრივი საზღვრების არადიარების, ჰიბრისის, ამპარტავნების სიმბოლო, რასაც დროება მალევე აჩვენებს, რომ ამაო და უშედეგო აღმოჩნდა, გამომდინარე იქიდან, რომ ძალიან მალე, ახალგაზრდა კვდება ალექსანდრე, ისე რომ, თავადაც ვერ მოასწრო მისივე შექმნილი იმპერიის მართვა და ეს იმპერიაც მისი სიკვდილისთანავე იშლება. ასე აღიქვამდა ალექსანდრეს, მაგალითად, კატულუსი, სტოიციზმი, ეპიკურეიზმი ა.შ.

მურმან ლებანიძე ალექსანდრეს აღიქვამს როგორც უფრო ნეგატიურ, წარმავალ, ამაოების სიმბოლოს, რომელსაც დრომ აჩვენა, რომ მთელი მისი ცხოვრება, ენერგია და ის საქმეები, რომლებიც თავად მას და, ზოგადად, ადამიანებს, უდიდესი საგმირო საქმე ეგონათ, სრულიად უაზრო და უშედეგო აღმოჩნდა. ამ კუთხითაც, პოეტი უფრო მეტად დიოგენესეული, თუ სპარტანული სიმბოლოებით გამოხატულ ფასეულობებს – უბრალოებს, ბუნებრიობას, მინიმალიზმს – ანიჭებს უპირატესობას.

მისი ეს პათოსი სხვა ლექსშიც გრძელდება. მის ლექსში „იმპერიები“ აქცენტი ამქვეყნიური ძალაუფლების წარმავლობაზე კეთდება. პოეტი აღნიშნავს, რომ დიდი იმპერიები, რომის და ბიზანტიის მსგავსად, ინგრევა და ძალაუფლებისა და ამქვეყნიური ძლიერებისაგან არაფერი რჩება.¹¹²⁴

ეს პათოსი მურმან ლებანიძეს შენარჩუნებული აქვს „ანისის აღებაში“, ლექსში, რომელიც ზემოთ უკვე განვიხილეთ. ამ ლექსში, მიუხედავად იმისა, რომ იგი ერთი

¹¹²³ „ყოვლისა მოსაკრეფელის...“, მ. ლებანიძე. ლექსები, ბალადები, პოემები. ერთტომეული. ავტორის წინასიტყვაობით. რედ.: ზ. ჟღენტი. თბილისი, 1972, გვ. 262.

¹¹²⁴ „იმპერიები“, მ. ლებანიძე. თხზულებანი ორ ტომად. ტ. I. გამომცემლობის წინასიტყვაობით. თბილისი, 1989, გვ. 270.

შეხედვით აპოლოგეტურია და აქცენტი დავით აღმაშენებლის ძლევამოსილ მმართველობასა და წარმატებებზე კეთდება (მათ შორის, ანისის აღებაზე), დავითი წარმოდგენილია არა როგორც გამარჯვებებით ბედნიერი და გალალეხული ადამიანი, რომელმაც „ზღვიდან ზღვამდე ვებერთელა იმპერია შექმნა“ და რომლის დიდებაც სწვდება „რომს, აფრიკას და ევროპას“, არამედ ის კარგად ხვდება ამ ყველაფრის და, ზოგადად, ცხოვრების ამაოებას და სევდიანია. ამ სევდას პოეტი უკვდავ და მარადიულ განცდად აფასებს (ანუ თავისი არსით უპირისპირდება იმპერიებს, ძალაუფლებას, დაპყრობებს – ანუ წარმავალ, დროებით კატეგორიებს), უწოდებს მას „პოეტების ტალანტს და მეფეთათვის კი უდიდეს ნიჭს“ და ამბობს, რომ ეს არის ის, რაც ადამიანს რჩება უკანასკნელ გზაზე და ეს სევდა, სინანული, არის ყველაზე მნიშვნელოვანი და ღვთაებრივი, რაც ადამიანს შეიძლება ჰქონდეს. ამ კუთხითაც პოეტისთვის დავითის „გალობანი სინანულისა“ უფრო დიდი და მნიშვნელოვანი მონაპოვარია, ვიდრე მისი იმპერია ზღვიდან ზღვამდე (ანუ ნიკოფსიითგან დარუბანდამდე კონცეფცია, საქართველო შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე).¹¹²⁵

მსგავს განწყობას პოეტი აფიქსირებს კიდევ ერთ ლექსში „უროთიც მისდგეს ვენერა მილოსელს შავი ჯალათი“. ლექსში პოეტი აღნიშნავს, რომ „სიცოცხლე წარმავალია, ხელოვნებაა – მარადი“¹¹²⁶ ამ ეპიზოდში პოეტი იხსენიებს ანტიკურობის ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ სკულპტურას, ვენერა/ვენუს მილოსელის ქანდაკებას, რომელიც ლუვრში ინახება და ტრანსპორტირების დროს გაურკვეველ ვითარებაში დაკარგა ხელები. პოეტი სწორედ ამ ისტორიულ ფაქტს უნდა გულისხმობდეს ფრაზაში – „უროთი მიდგნენ“. აღსანიშნავია, რომ თავად ვენერა/ვენუს მილოსელის გარდა ანტიკურობის რეცეფციას წარმოადგენს ფრაზა „სიცოცხლე წარმავალია, ხელოვნებაა მარადი“, რომელიც ლათინური გამოთქმის (*ars longa, vita brevis* – ხელოვნება მარადიულია, სიცოცხლე ხანმოკლე) მცირედად მოდიფიცირებულ ვერსიას წარმოადგენს.

როგორც ჩანს, ანტიკური ეპოქის გამოთქმებს პოეტი საკმაოდ კარგად იცნობს, რადგან მის სხვა ლექსშიც იგი იმოწმებს ბერძნენი ფილოსოფოსის ჰერაკლიტეს გამოთქმას (*πάντα ῥεῖ* – ყველაფერი მიედინება“).¹¹²⁷

ლექსში „როგორც პლატონს უთქვამს როსმე – იუმორესკა“ პოეტი საუბრობს სიკვდილის შიშის და, ზოგადად, სიცოცხლის და სიკვდილის აღქმის შესახებ. ამ

¹¹²⁵ „ანისის აღება“, მ. ლებანიძე. ლექსები, ბალადები, პოემები. ერთტომეული. ავტორის წინასიტყვაობით. რედ.: ბ. ჟღენტა. თბილისი, 1972, გვ. 515-517.

¹¹²⁶ „უროთიც მისდგეს ვენერა მილოსელს შავი ჯალათი...“, მ. ლებანიძე. თხზულებანი ორ ტომად. ტ. I. გამომცემლობის წინასიტყვაობით. თბილისი, 1989, გვ. 445.

¹¹²⁷ „სუნი მეცა ჩვენი ძველი პაწაწინა მდინარის...“, მ. ლებანიძე. თხზულებანი ორ ტომად. ტ. I. გამომცემლობის წინასიტყვაობით. თბილისი, 1989, გვ. 460.

ლექსში პოეტი სამჯერ იხსენიებს პლატონს და თავის მსჯელობას, მოსაზრებებს და ცხოვრებისეულ ფილოსოფიას პლატონს და მის მოძღვრებას უკავშირებს. იგი აღნიშნავს, რომ ყველა ადამიანისთვის სახასიათოა სიკვდილის შიში და ამ შიშით ცხოვრება, თუმცა „მხნეობა“, რომელიც სიცოცხლის მთავარი მამოძრავებელი ძალაა, ამ შიშის დაძლევაა და ადამიანის ვალია თავის სულში ეს მხნეობა განივითაროს.¹¹²⁸

ამ ლექსში, სავარაუდოდ, პოეტი ახდენს არა პლატონის რომელიმე კონკრეტული პასაჟის, არამედ მთელი მისი ფილოსოფიური და მსოფლმხედველობითი პოზიციის რეცეფციას, რომელიც ეფუძნება იმ მიდგომას, რომ ადამიანს სიკვდილის შიში არ უნდა ჰქონდეს (იხ. ზ. ხინთიბიძის კომენტარი).¹¹²⁹

¹¹²⁸ „როგორც პლატონს უთქვამს როსმე – იუმორესკა“, მ. ლებანიძე. თხზულებანი ორ ტომად. ტ. I. გამომცემლობის წინასიტყვაობით. თბილისი, 1989, გვ. 430.

¹¹²⁹ მურმან ლებანიძის არაერთი ლექსი გამსჭვალულია ადამიანის და კერძოდ, თავად პოეტის სიკვდილთან „შესახვედრად“ მზადების ფილოსოფიური მოტივით. (აღნიშნულის საილუსტრაციოდ საკმარისია 1984 წელს დაწერილი მისი ერთ-ერთი ლექსის – „არ მეშინია ვეფხის და ლომის“ გახსენებაც: „...არ მეშინია სიკვდილის, რომელს / კაცი ყოველი ელის...“). განსახილველი ლექსიც ამავე თემაზეა შექმნილი: მიუხედავად იმისა, რომ მასში ავტორი არ აკონკრეტებს, თუ რა სახის შიშზე საუბრობს, ნათელია, რომ ერთადერთი სახის შიში, რომლითაც „ცხოვრობს კაცის ჯიში“, შიში, რომელიც ადამიანთა „ყოფნას მსჭვალავს“, არის სწორედ ის შიში, რომელსაც განიცდის თითოეული ადამიანი თავისი ცხოვრების ბოლოს მოსალოდნელი გარდაუვალი სიკვდილის გამო. ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ ამ შედარებით მცირე ზომის, კერძოდ, შვიდსტროფიან იუმორესკაში, ავტორი სამჯერ ახსენებს პლატონს, რაც იმაზე მიუთითებს, რომ მურმან ლებანიძის ამ ლექსში უთუოდ არეკლილია პლატონის მეტ-ნაკლებად ცნობილი რომელიღაც გამონათქვამი. და მართლაც, ის თვალსაზრისი, რომ ღირსეულ ადამიანს არ უნდა აშინებდეს სიკვდილი, პლატონის არაერთ ნაშრომში ფიქსირდება და ბერძენი ფილოსოფოსის ეთიკური კონცეფციის ერთ-ერთი საყრდენი დებულებაა. მაგალითისათვის, თავისი „სახელმწიფოს“ მესამე წიგნის დასაწყისში (386a-b) პლატონი სოკრატეს პირით შემდეგ თვალსაზრისს აყალიბებს: „...განა ყოველივე ისიც არ უნდა გავაცნოთ მათ, რაც [...] სიკვდილის შიშისაგან დაიხსნის? [...] შეიძლება მამაცი იყოს ის, ვის გულშიც ამნაირი შიში ბუდობს?“ (თარგმანი ზ. ბრეგვაძისა. 2003, გვ. 85). და მაინც, საფიქრებელია, რომ მურმან ლებანიძისეული სიტყვების – „სიმხნე შიშის ჯობნაა, / მეც აგრეთვე, ვითარც პლატონს, / შიშთან [ერთად] სიმხნეც მქონია“ – ძირითადი ლიტერატურული წყარო, არის პლატონის სხვა არანაკლებ ცნობილი დიალოგი „ფედონი“, რომელშიც, როგორც ცნობილია, სოკრატე თვითმკვლელობის წინ თავის მოწაფეებს სულის უკვდავების დასამტკიცებლად რამდენიმე არგუმენტს წარმოუდგენს. მანამდე, მსჯელობის დასაწყისში (თავი XIII) კი ამბობს, რომ ფილოსოფოსების გარდა ყველა სხვა, მათ შორის, ერთი შეხედვით, მამაცი ადამიანის მხნეობა სიკვდილის წინაშე მხოლოდ მოჩვენებითია, რადგანაც ის შიშზეა დამყარებული: „შიშობენ, უფრო დიდი ბოროტება არ დაგვატყდესო თავს. [...] ამრიგად, ფილოსოფოსთა გამოკლებით, [სიკვდილის წინაშე, – ზ.ხ.] ყველა სხვა კაცის სიმამაცე შიშისგან იღებს დასაბამს, [...]“ (68d, თარგმანი ზ. ბრეგვაძისა. 1966, გვ. 24). პლატონის თანახმად, სოკრატეს აზრით, „[...] ის, რასაც სიმამაცეს უწოდებენ, [...] ფილოსოფოსთა [...] შეჭვერის უპირატესად [...]“ (68c, იქვე, გვ. 23), რადგანაც „ქემმარიტი ფილოსოფოსნი სიკვდილისთვის ზრუნავენ მხოლოდ და კაცთა შორის ყველაზე ნაკლებად სწორედ ისინი უფროთხიან მას“ (XII, 67e, იქვე, გვ. 22), რადგან ქემმარიტი ფილოსოფოსი „დარწმუნებულია, რომ მხოლოდ იქ (ანუ: ჰადესში, – ზ.ხ.) ჰპოვებს სიბრძნეს მისი წმინდა სახით და არა სხვაგან“ (XII, 68b, იქვე, გვ. 23) ზემომოყვანილი პასაჟების გათვალისწინებით ნათელი ხდება არა მხოლოდ ის ფაქტი, რომ მურმან ლებანიძის განსახილველი ლექსის ლიტერატურული წყარო პლატონის „ფედონია“, არამედ – ის გარემოებაც, რომ პოეტი პლატონის /

ანა კალანდაძე
(1924-2008)

ეკატერინე კობახიძე

ანა კალანდაძე იყო გამოჩენილი ქართველი პოეტი, ფილოლოგი, მთარგმნელი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის დასრულების შემდეგ მუშაობდა არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ლექსიკოლოგიის განყოფილებაში უფროსი მეცნიერ-თანამშრომლის თანამდებობაზე. მისი პირველი ლექსები გამოქვეყნდა 1946 წელს და თავიდანვე მიიპყრო ყურადღება სინატიფით, ჰარმონიული ჟღერადობით, პოეტური სიღრმით და ფორმის საოცარი სიმსუბუქით. კრიტიკოსთა თქმით, „ანას მოსვლა ქართულ პოეზიაში გარკვეულ ესთეტიკურ ორიენტირთა შეკრული წრის გარღვევას მოასწავებდა“.¹¹³⁰ აღნიშნულია, რომ „ანა კალანდაძის პოეზია იყო „ახალი სუნთქვა“. ამ ახალი ამოსუნთქვისთვის ქართული პოეზიის ადგილის დედა კარგა ხანს იკრებდა ძალას“¹¹³¹.

მიუხედავად ანას პოეზიის აპოლიტიკურობისა, პოეტის ლექსებს უწოდებდნენ „სოციალისტური იდეოლოგიის წინააღმდეგ სერიოზულ ამბოხებას... ყველაზე დიდ ბრძოლას, თანაც უსისხლოს, რომელიც ადამიანის სულში იწვევს „აღორძინებას“ და ამ „აღორძინების“ შედეგად ადამიანი თავისუფლდება იმ გარემოსგან, რომელიც აკნინებს და ამცირებს ადამიანს... და ანას პოეზიამ სწორედ ისეთი გარდატეხა მოახდინა ჩვენს სულში“.¹¹³²

პოეტს მიღებული აქვს არაერთი სახელმწიფო ჯილდო და ლიტერატურული პრემია, დაჯილდოებულია ღირსების ორდენით.

ანას პოეზია გამოირჩევა ფორმის სისადავითა და შინაარსის სიღრმით, რადგან „პოეტის მსოფლმხედველობის წყაროები მოიცავს როგორც მსოფლიო კლასიკური პოეზიის ფართო სივრცეს, ისე ცნობილ ფილოსოფოსთა, ღვთისმეტყველთა ნააზრევს,

სოკრატეს თვალსაზრისს პერიფრაზული, სახეცვლილი ფორმით გადმოცემს, კერძოდ, უსადაგებს იუმორესკისთვის დამახასიათებელ სტილს, თუმცა, იმავდროულად, ინარჩუნებს მის არსს [ზ.ბ.]. ხელმისაწვდომია ონლაინ:

https://classicaltradition.tsu.ge/geo/%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%AC%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%94%E1%83%91%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98?info_id=2165 ბოლო

ნახვა: 13.07.2024.

¹¹³⁰ გ. კვარაცხელია. „აჰა, ტაძარი... ცათუმაღლესი...“. წიგნში: ა. კალანდაძე. ლექსები. თბილისი, 2004, გვ. 6.

¹¹³¹ ნ. კილასონია. სიტყვა ანა კალანდაძეზე. ცისკარი. №12. 1974.

¹¹³² ავ. ბაქრაძე. სამი მწერალი. მნათობი. № 3-4. 2000, გვ. 132.

რაც სულიერი ინდივიდუალობის პრიზმაში გადატეხილი ესთეტიკური ფენომენია, წარუვალობის ნიშნით გამორჩეული“.¹¹³³

ანა კალანდაძისთვის ბერძნული და რომაული მითოლოგიური სიუჟეტები იშვიათად ქცეულა შთაგონების წყაროდ, თუმცა რამდენიმე ლექსში ანტიკური სიმბოლოები საკმაოდ ორიგინალურადაა გააზრებული. ანტიკურობა პოეტისთვის არის „მიწყვი მიუწვდენელი“ მშვენიერება:

შეუცნობელ გულისთქმას
ვპოვებ ამ დარბაზებში,
ვით სიზმრულ ჩვენებას
მიწყვი მიუწვდენელის,
როგორც მშვენიერებას
თეთრი ბელვედერელის...“

ძველ სასახლეში¹¹³⁴

აქ პოეტი გულისხმობს აპოლონ ბელვედერელის ცნობილ ქანდაკებას, რომელიც ვატიკანის მუზეუმშია დაცული და რომლის სრულყოფილება თაობებს აღაფრთოვანებდა.

ანტიკურობა ანა კალანდაძის პოეზიაში განხილული გვაქვს ე.წ. თემატური პრინციპით, რაც საშუალებას გვაძლევს თვალი გავადევნოთ ერთი და იმავე სიმბოლოს მხატვრულ ფუნქციას სხვადასხვა პერიოდის ლექსებში.

ანტიკური ჰადესი და მასთან დაკავშირებული სახე-სიმბოლოები ჩანს პოეტის რამდენიმე ლექსში.

1945 წელს დაწერი უსათაურო ლექსში („ასე თუ ჩურჩულებს...“) პოეტი ელისეს მინდვრებს ახსენებს:

„ასე თუ ჩურჩულებს
ელისეს მინდორი,
ასე თუ შრიალებს?
თუ ასე ნაზია
მიმქრალი ვარსკვლავის
კრთომა და ციალი,

¹¹³³ ლ. სორდია. ანა კალანდაძის ესთეტიკის საკითხები. თბილისი, 2009, გვ. 13. ხელმისაწვდომია ონლაინ: <https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/13575/1/AnaKalandadzisEstetikisSakitxebi.pdf> ბოლო ნახვა: 12.04.2023.

¹¹³⁴ ა. კალანდაძე. ლექსები. თბილისი, 2004, გვ. 533.

სხივს ასე აბნევს?
ასე თუ ირხევა
მთვარეში ასკილი
ღვია და ბალბა
და ძალმიცემული
ტყის სული რიალებს?
ასე თუ ჩურჩულებს
ელისეს მინდორი,
ასე თუ შრიალებს?“¹¹³⁵

ელისეს მინდვრები, რომლებიც ანტიკურ მითოლოგიაში ნეტართა განსასვენებელ ადგილს წარმოადგენს, პოეტს „სამოთხის“ მნიშვნელობით აქვს გამოყენებული. როგორც ვნახეთ, ელისეს ველი/მდელო ჯერ კიდევ ძველ ქართულ ლიტერატურაში გვხვდება, როგორც პროზაში („ქართლის ცხოვრება“), ისე პოეზიაში (ჩახრუხაძე, „თამარიანი“), და მეტაფორულად სამოთხის მინდვრებს განასახიერებს.¹¹³⁶ ანა კალანდაძე ანტიკურობასთან დაკავშირებულ ამ ტერმინს მნიშვნელობას არ უცვლის, თუმცა ორიგინალურ მხატვრულ გადაწყვეტას გვთავაზობს – პოეტი ეკითხება მკითხველს, რამდენად ჰგავს ელისეს მინდორი სააქაო მდელოებს, არის თუ არა ასეთი ამაღელვებელი სილამაზე იმქვეყნადაც. ამ კითხვას პოეტი, ერთი შეხედვით, უპასუხოდ ტოვებს, თუმცა ის ჰარმონიული მშვენიერება, რომელიც სააქაოს აღწერისას პოეტის სტრიქონებიდან გამოკრთის, გვაფიქრებინებს, რომ ელისეს მინდვრებს პოეტის „გულის აძგერება“ არ შეუძლიათ.

ამაში კიდევ ერთხელ გვარწმუნებს 1980 წელს დაწერილი უსათაურო ლექსი („ღვენთავენ კერეონები...“), სადაც ვკითხულობთ:

„ღვენთავენ კერეონები...
უამურ ფიქრთა ოტებით
შევდივარ ელიზიუმში,
ფშვინავენ ვარდის ტოტები...
ვერწყმი უდაბურ ლაჟვარდებს,
მოულოდნელად ვღონდები:
და...ისევ მიწას ვინატრებ

¹¹³⁵ ა. კალანდაძე. ლექსები. თბილისი, 2004, გვ. 36.

¹¹³⁶ ე. კობახიძე. ანტიკური ჰადესის რეცეფცია ქართულ ლიტერატურაში. ლოგოსი, წელიწდეული ელინოლოგიასა და ლათინისტიკაში. 6. 2020, გვ. 49-50.

თვისი მადლით და ცოდვებით!“¹¹³⁷

ანა კალანდაძის აზრით, მართალია, ელიზიუმში „ფშვინავენ ვარდის ტოტები“, მაგრამ ამ „უდაბურ ლაჟვარდებში“ ანას სევდა ეპარება, მას ისევ ამქვეყნად ყოფნა და სააქაოს მშვენიერებით ტკბობა ურჩევნია.

1994 წელს დაწერილ უსათაურო ლექსში („კვლავ იმქვეყნიურ მინდვრებს გადადის..“) პოეტი კვლავ უბრუნდება ანტიკური ელიზიუმის თემას და წერს:

კვლავ იმქვეყნიურ მინდვრებს გადადის,
მიეძინება ჩურჩულით ლეთე.....
მე არ ვიქნები თქვენთან მარადის,
მე არ ვიქნები მარადის თქვენთან!¹¹³⁸

მდინარე ლეთე, რომლის ხმაურს პოეტი მხატვრულად ჩურჩულს ადარებს, ანტიკური ტრადიციით, ელიზიუმის საზღვარზე გაედინება.¹¹³⁹ „ენეიდაში“ ვერგილიუსი განმარტავს, რომ მხოლოდ მაშინ, როცა გარდაცვლილთა სულებს ლეთეს წყლის დაღვვისას ყველაფერი ამქვეყნიური ავიწყდებათ, ისინი ხელახლა იბადებიან (VI.703-751).

მდინარე ლეთე კვლავ ჩანს 1960 წელს დაწერილ უსათაურო ლექსში „რომი, გენუა, პიზა, ვერონა...“, რომელიც პოეტმა იტალიაში მოგზაურობისას შექმნა. ჰადესის სამყარო, პოეტის აზრით, ერთგვარი ჯურღმულია, სადაც საზარელი მდინარეები: აქერონი და ლეთე მიედინებიან, რომლებიც ამქვეყნიურ მშვენიერებასთან კონტრასტს ქმნიან, თუმცა, ამავედროულად, მასთან ერთგვარ ჰარმონიაში არიან:

„რომი, გენუა, პიზა, ვერონა
არნოს მინდვრებზე
ფოთლების ცვენა...
ჯურღმულში ლეთე და აქერონი...
„გრაცია პლენა“,
„გრაცია პლენა“...
კოლიზიუმში ძვლებს ითბობს მზეზე
ვეზუვს...

¹¹³⁷ ა. კალანდაძე. ლექსები. თბილისი, 2004, გვ. 380.

¹¹³⁸ ა. კალანდაძე. ლექსები. თბილისი, 2004, გვ. 438.

¹¹³⁹ R. Graves. Greek Gods and Heroes. 2014, გვ. 16.

გვირგვინი შემოსძარცვია
ო, ვეროკიო და ვერონეზე
„გრაცია პლენა“
„პლენა გრაცია“.¹¹⁴⁰

ამავე ლექსში ვხედავთ ქალაქ რომის სიმბოლოს, ფლავიუსების თეატრს, რომელსაც პოეტს გასულიერებულად წარმოგვიდგენს – ერთ-ერთ სტრიქონში კოლიზეუმი, როგორც ანტიკურობის უკვდავი სიდიადის განსახიერება, მოხუცი ადამიანივით „ძვლებს ითბობს მზეზე“. ლექსში რეფრენად მეორდება ფრაზა „გრაცია პლენა“ (ლათ. gratia plena – „მადლით მოსილი“), რომელიც, მართალია, ლათინურ ენაზეა, მაგრამ არ უკავშირდება ანტიკურ პერიოდს. ეს გამონათქვამი სახარებისეულია და ხარების ეპიზოდს მიემართება. გაბრიელ მთავარანგელოზი მიმართავს მარიამს: „Ave, **gratia plena** Dominus tecum benedicta tu in mulieribus (ლუკა,1, 28) – „გიხაროდეს, **მადლით მოსილი**: უფალი შენთანაა; კურთხეული ხარ დედათა შორის“ და უკავშირდება ღვთისმშობლისადმი ლოცვისა და ლიტურგიული ჰიმნის პირველ სტრიქონებს.

ანტიკური პანთეონის რამდენიმე ღვთაებას ვხედავთ ანა კალანდაძის სხვადასხვა ლექსში.

1946 წელს დაწერილ ლექსში „**მხმობს ვარსკვლავების თეთრი ღვთაება**“ პოეტი წერს:

„გრძნებით მოვყვები ჰაეროვან
ღამეს მთვარიანს...
აქ, ცის სიღრმეში, სად ვარსკვლავთა წყნარი უბეა,
თეთრით მოსილი დედოფალი დგას, **ურანია**,
და მიხმობს თვისკენ,
ვარსკვლავების სამეუფოს:
- აქ ვარდიც ხარობს,
მზის ბაღებში ნუშის თოვლია,
აქ... სიცოცხლეს
თავიდან იწყებ!
ციმციმებს ღამე...
დედოფალი ვარსკვლავებისა
ნისლმა ღამისამ გალაქტიკის

¹¹⁴⁰ ა. კალანდაძე. ლექსები. თბილისი, 2004, გვ. 510.

მტვერში არია...
წარსულზე ფიქრი...
ნეტარზეც კი...
სიმწუხარეა,
მომავალ დღეს
მოველი მიწყვი!“¹¹⁴¹

ურანია, რომელსაც პოეტი ლექსში ახსენებს, ბერძნულ მითოლოგიაში ასტრონომიის და ასტროლოგიის მუზაა. ურანიას ცისა და ვარსკვლავების ღვთაებად მიიჩნევდნენ. ანა კალანდამე მას უწოდებს „თეთრით მოსილ“ ღვთაებას და „დედოფალს ვარსკვლავებისას“. ურანია პოეტს უხმობს საოცნებო სამყაროში, სადაც მარადიული გაზაფხულია („აქ ვარდიც ხარობს, მზის ბაღებში ნუშის თოვლია) და ცხოვრების ახლიდან დაწყებაა შესაძლებელი. („აქ... სიცოცხლეს თავიდან იწყებ!“), თუმცა ურანია ოცნებასავით ქრება და ღამის ნისლში იკარგება.

1970 წელს დაწერილ უსათაურო ლექსში („უარგიყვია სხივდაღვარული“) კვლავ გაზაფხულთან და ოცნებასთან არის დაკავშირებული ანტიკურობის კიდევ ერთი ღვთაება, ამური:

„უარგიყვია სხივდაღვარული
მზე და ბნელ ქვაბში ტირი, ღამურავ!
სულ ახლოს... ცვივა ვარდის ფურცელი,
თავდავიწყებით როკავს ამური...
გახსნია გული იავარდობას,
ეშვება ახლო სისხლსავსე კალთა...
გულში იმკვიდრებს ბედნიერება
და სიხარულის თეთრ სანთლებს ანთებს...
სულ ახლოს... ცვივა ვარდის ფურცელი“.¹¹⁴²

სიყვარულის რომაული ღვთაება, ღმერთქალ ვენუსის ვაჟი – ამორი/ამური (ბერძნ. ეროსი), რომელიც ლექსში გაზაფხულის დადგომას ცეკვით ეგებება („როკავს ამური“), პოეტისთვის ბედნიერებისა და სიხარულის სიმბოლოა. საყურადღებოა, რომ

¹¹⁴¹ ა. კალანდამე. ლექსები. თბილისი, 2004, გვ. 99.

¹¹⁴² ა. კალანდამე. ლექსები. თბილისი, 2004, გვ. 296.

მოცეკვავე სიყვარულის ღვთაების გამოსახულება არ იყო უცხო ანტიკური ხელოვნებისათვის.¹¹⁴³

ბერძნული ეროსის კიდევ ერთი რომაული შესატყვისი, ამჯერად კუპიდონის სახელით ჩანს 1989 წელს შექმნილ ლექსში „ო, იმა გრძნულ ხალხურ სიმღერებს...“:

„მღეროდნენ, რასაც მღეროდა პიზა,
ძველი რომი და ძველი რავენა...[...]
ვხედავდით... ცეცხლში გახვეულ გულებს
და კუპიდონის გაფრენილ ისარს...
მღეროდნენ, რასაც მღეროდა რომი,
ნეაპოლი და
ბებერი პიზა“.¹¹⁴⁴

ლექსში ვხედავთ ტრფობის ცეცხლში გახვეულ გულებს და სიყვარულის ღვთაების იქ ყოფნის კვალს – კუპიდონის მშვილდიდან „გაფრენილ“ ისარს.

1983 წელს დაწერილ სახუმარო ლექსში „სუფრაზე“, ანა კალანდაძე ახსენებს ღვინის ღვთაება ბახუსს:

„მომიჯდა თანაკლასელი,
გულის გადმოშლა ესურვა...
დითირამბები აფრქვია,
ბახუსის ემხში შესულმა...“¹¹⁴⁵

ბერძნული დიონისე/ბაქკოსის, ღვინისა და მევენახეობის მფარველი ღვთაების რომაული სახელი „ბახუსი“ ლექსში თრობის სიმბოლოდ წარმოგვიდგება. შემთხვევით არ გვეჩვენება ის ფაქტი, რომ ამავე სტროფში ნახსენებია „დითირამბები“ – ქოროს მიერ შესრულებული ჰიმნები, რომლებიც ანტიკურ სამყაროში ასევე დიონისეს სახელს უკავშირდება და ზოგჯერ მის ეპითეტადაც გამოიყენებოდა.¹¹⁴⁶

1990 წელს დაიწერა ანა კალანდაძის ლექსი „უსასყიდლოა შენი გულისხმა“, რომელშიც იგი მიმართავს ბერძნულ ქალღმერთ თემისს/თემიდას:

¹¹⁴³ J. Huskinson. Roman Children Sarcophagi: Their Decoration and Social Significance. Oxford, 1996, გვ. 43.

¹¹⁴⁴ ა. კალანდაძე. ლექსები. თბილისი, 2004, გვ. 514.

¹¹⁴⁵ ა. კალანდაძე. ლექსები. თბილისი, 2004, გვ. 215.

¹¹⁴⁶ Dithurambos. In: A Greek-English Lexicon. Compiled by H. G. Liddell and R. Scott. A New Edition Revised and Augmented throughout by Sir H. S. Jones. Oxford, 1961.

„ო, სიბრძნე შენი, დიდო თემიდავ,
 მწამს, არ დატოვებს სამკვიდროს ჩვენსა...
 გვფინე სამართლის შენის სხივები,
 წარღვნათა შორის ასე რომ ვესავთ!
 კვლავ გადმოგვხედე დიდო ქალღმერთო,
 ისევ ერევა მწუხრი დაფიონს...
 უნეტარესი შენი ღიმილი
 სასომილებულთ გადმოგვაფინე!
 საწაღმართოსკენ გზა დაგვილოცე,
 ნათელი შენი... თვით მზესაც ასწრებს!
 უსასყიდლოა შენი გულისხმა, -
 ვერვინ შეეხოს ზეციურ სასწორს!“¹¹⁴⁷

თემისი, სამართლიანობის ბერძნული ქალღმერთი, რომელსაც სასოწარკვეთილი პოეტი დახმარებისთვის მიმართავს, ლექსში წარმოდგენილია როგორც მოუსყიდველი სამართლის სიმბოლო („უსასყიდლოა შენი გულისხმა“). საინტერესოა, რომ პოეტის აზრით, სამართალი მნიშვნელობით თავად მზეს – სიცოცხლის წყაროს აღემატება („ნათელი შენი თვით მზესაც ასწრებს“). ქალღმერთის სასწორის პიწები უზენაესს სამართალს განასახიერებენ („ვერვინ შეეხოს ზეციურ სასწორს“). ლ. სორდიას აზრით, „ანას მარად ახსოვს მართლმსაჯულების ღმერთი თემიდა და თვითონაც ცდილობს, ყოველთვის უცდომელი იყოს მისი მსჯავრი...“¹¹⁴⁸ აქვეა ნახსენებია თემისის დახმარების აუცილებლობა „წარღვნათა შორის“, რაც, ჩემი აზრით, უნდა მიაწიწნებდეს წარღვნის შესახებ ბერძნული მითის ერთ-ერთ ეპიზოდზე – წარღვნას გადარჩენილი დევკალიონისა და პირას ლოცვა დელფოში სწორედ ქალღმერთ თემისის მიმართ, რომელმაც დედამიწაზე მარტოდდარჩენილ უიმედო ადამიანებს დაცარიელებული დედამიწის ხელახალი განსახლებისთვის ენიგმატური რჩევა მიაწოდა.

ასევე, ვფიქრობ, რომ პოეტი შემთხვევით არ უძღვნის ლექსს თემისს – ლექსის დაწერის თარიღიდან გამომდინარე, პოეტი „წარღვნის“ გამოხატულებად მშობლიურ თბილისში მიმდინარე სამოქალაქო ომს გულისხმობს, რომელმაც კატასტროფის წინაშე დააყენა საქართველო და ადამიანებს სამართლიანობის განცდა დააკარგვინა.

¹¹⁴⁷ ა. კალანდაძე. ლექსები. თბილისი, 2004, გვ. 425.

¹¹⁴⁸ ლ. სორდია. ანა კალანდაძის ესთეტიკის საკითხები. თბილისი, 2009, გვ. 100. ხელმისაწვდომია ონლაინ: <https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/13575/1/AnaKalandadzisEstetikisSakitxebi.pdf> ბოლო ნახვა: 12.04.2023.

1999 წელს დაწერილ ლექსში „ჰკარნახობთ ქრონოსს!“ ანა კალანდაძე წერს:

„გისმენენ ვითა წინასწარმეტყველს, -
მანტია მისი მხრებზე მოირგეთ!
არეულობა ქვეყნად მორიგი
და...
თქვენნაირთა
ბრწყინდება ეტლი!
ჰკარნახობთ ქრონოსს (მეტსაც მოველით!)
ზესაუფლოში იჭრებით სულთა!
დაჩეკენ მრავლად ჟმნი ყოველნი
წინასწარმეტყველთ
ცრუთა
და
ცრუთა!“¹¹⁴⁹

მამხილებელი სულისკვეთებით გამსჭვალულ ამ ლექსში პოეტი ახსენებს ქრონოსს, ბერძნულ მითოლოგიაში, ფილოსოფიასა და ლიტერატურაში დროის პერსონიფიკაციას. ორფიკულ ტრადიციაში ქრონოსი იშვა მიწისა და წყლისაგან და თავად წარმოქმნა ეთერი, ქაოსი და კვერცხი.¹¹⁵⁰ ლექსში ქრონოსი უზენაესი, მარადიული ძალების განსახიერებაა, დროითი კანონზომიერებაა, რომელსაც ვერასდროს შეენაცვლება დროებითი ცრუ წინასწარმეტყველი, ქვეყანაში არეულობის მომწყობი, საკუთარი ანგარება რომ ამოქმედებს. ვფიქრობ, ამ ლექსშიც გარკვეულწილად აირეკლა 1998-1999 წლებში მიმდინარე სამოქალაქო კონფლიქტები და არასტაბილური ვითარება. სხვადასხვა პოლიტიკურ ლიდერთა „ცრუ წინასწარმეტყველებანი“ სწორედ ამაზე უნდა მიაანიშნებდეს.

გარდა მითოლოგიისა, ანა კალანდაძე ლექსებში ანტიკური ხანის ისტორიასაც მიმართავს. 1946 წელს დაწერილ ლექსში „ბალკანეთში პოვეს სადგური...“, რომელსაც ეპიგრაფად წამძღვარებული აქვს ნიკო მარის სიტყვები („პელაზგები მკვიდრდებიან ბალკანეთის ნახევარკუნძულზე“), პოეტი იდუმალ პელასგთა შესახებ საკუთარ ფიქრებს გვიზიარებს:

„საით მოვიდნენ პელაზგები?

¹¹⁴⁹ ა. კალანდაძე. ლექსები. თბილისი, 2004, გვ. 529.

¹¹⁵⁰ M. L. West. The Orphic Poems. Oxford, 1983, გვ. 178.

ჩუმი კიაფით
საით გამოჰყვა ძველი მდინარე
გრძნეულ იალქნებს?
ამ ხალხებივით იდუმალი
და ისევ ძველი
ასე კრთოდა და ციმციმებდა,
ბრწყინავდა სპერი?
გამოიარეს გზად უძველეს
საქართველოში,
მათ ძლიერ სხეულს სწვავდა ჩვენი
მზეი ქალდური,
თუ... ბალკანეთში ოდიტგანვე
დაიმკვიდრებდნენ,
დასაბამით პოვეს სადგური?“¹¹⁵¹

ლექსში გადმოცემულია პელასგების, წინაბერძნული მოსახლეობის შესახებ არსებული თეორიების პოეტური ინტერპრეტაცია. ნიკო მარი თავდაპირველად ქართულ ენას სემიტური ოჯახის წევრად თვლიდა. შემდგომში ქართული და მედიტერანული მკვდარი ენები (პელაზგური, ეტრუსკული და მათთან ერთად ბასკურიც) ერთ იაფეტურ ენათა ოჯახად მიიჩნია და ბოლოს ამ ოჯახს ინდოევროპული ოჯახის ენებიც დაუკავშირა. ნიკო მარის აზრით, იაფეტიდებმა (პროტოქართველებმა) საფუძველი ჩაუყარეს წინაბერძნულ კულტურას.¹¹⁵² პოეტი პელასგების შესახებ 2 თეორიას განიხილავს – ესაა პელასგთა შემოსვლა საქართველოში და მათი აქ დამკვიდრება და მეორე – პელასგთა მიგრაცია ბალკანეთში. ენათმეცნიერების ინსტიტუტში წლების განმავლობაში მომუშავე პოეტი, როგორც ჩანს, დაინტერესებული იყო მარის და სხვა მეცნიერთა თეორიებით პელასგთა შესახებ, რაც საკუთარ ლექსში პოეტურად წარმოადგინა.

ლექსში „კლეოპატრა“, პოეტი ეგვიპტის უკანასკნელი დედოფლის, პტოლემეაიოსთა დინასტიის წარმომადგენლის, კლეოპატრას შესახებ წერს:

„სამეფო მისი ბრწყინავს,
თვალ-მარგალიტში ცურავს...

¹¹⁵¹ ა. კალანდაძე. ლექსები. თბილისი, 2004, გვ. 105.

¹¹⁵² N. Marr. Der japhetische Kaukasus und das dritte ethnische Element im Bildungsprozess der mittelländischen Kultur., Berlin/Stuttgart/Leipzig, 1923.

მაგრამ... არც ერთი უნდა,
 მაგრამ... არც ერთი სურის:
 მარტოდენ თავის რჩეულს
 მიუსალამოს მდაბლად!
 მაგრამ... არც ერთი ნავი,
 ზღვაზე არც ერთი აფრა!
 ხვატში დაკიდულ მთვარეს
 ფერი გრძნეული ადევს...
პტოლემეოსის სვეტებს
 ფრთხილად მიყვება ლანდი“. ¹¹⁵³

ანა კალანდაძის აზრით, **კლეოპატრას** არ ხიბლავდა არც სიმდიდრე და არც ძალაუფლება. მას მხოლოდ სატრფოსთან შეყრა ეწადა. ძნელი სათქმელია, პოეტი კლეოპატრას რომელ სახელგანთქმულ რჩეულს გულისხმობდა, თუმცა მთავარი აქ კლეოპატრას პიროვნების ორიგინალური ინტერპრეტაციაა – პოლიტიკურ ინტრიგებში ჩართული ეგვიპტის დედოფალი აქ სიყვარულის ქურუმადაა წარმოდგენილი. აქვე პოეტი „პტოლემეოსის სვეტებს“ ახსენებს, რითაც ხაზს უსვამს კლეოპატრას კუთვნილებას ამ დინასტიისადმი.

ესოპოსის ცნობილი იგავი ჩანს ანა კალანდაძის 1976 წელს დაწერილ ერთ-ერთ უსათაურო ლექსში („უწყოდა ბრძენმა“):

„უწყოდა ბრძენმა -
 გლეხმა თუ მეფემ
 (ხამს დავიწყება
 მისი აროდეს):
 ვინც... წნელის კონას
 ცალ-ცალკე დაშლის,
 დედა-სამშობლოს
 შხამს მიაწოდებს!“ ¹¹⁵⁴

ანა კალანდაძის ლექსი ესოპოსთან („მოხუცი და მისი ვაჟები/ჯოხების შეკვრა“ (Aesopus, LIII) და სულხან-საბას „სიბრძნე სიცრუისაში“ („ძალა ერთობისა“ ¹¹⁵⁵)

¹¹⁵³ ა. კალანდაძე. ლექსები. თბილისი, 2004, გვ. 513.

¹¹⁵⁴ ა. კალანდაძე. ლექსები. თბილისი, 2004, გვ. 354.

¹¹⁵⁵ სულხან-საბა ორბელიანი. იგავ-არაკები. თბილისი, 1959, გვ. 4.

მოცემული იგავების ერთგვარ სინთეზს წარმოადგენს. ესოპოსთან მთავარი გმირი გლეხია, ხოლო სულხან-საბასთან – მეფე. ესოპოსთან მამა ვაჟებს წნელების კონის დამტვრევას სთავაზობს, სულხან-საბასთან – ისრების. ანა კალანდაძე იგავის ორივე ვერსიას იცნობს („უწყოდა ბრძენმა-გლეხმა თუ მეფემ“), თუმცა „წნელის კონის“ ხსენებით უფრო ესოპოსის ვერსიას მისდევს. პოეტი იგავს ეროვნული ერთობის მნიშვნელობის ხაზგასასმელად იყენებს და აფრთხილებს მკითხველს, რომ ერთობის დამრღვევი „დედა სამშობლოს შხამს მიაწოდებს“.

ამრიგად, ანტიკურობის გამოყენება ანა კალანდაძის პოეზიაში, მართალია, ხშირ შემთხვევაში ფრაგმენტულ ხასიათს ატარებს, მაგრამ გამოირჩევა მრავალფეროვნებითა და საინტერესო ინტერპრეტაციებით. პოეტი, როგორც წესი, შემოქმედებითად და ორიგინალურად გადაიაზრებს მითოლოგიურ თუ ისტორიულ მასალას და მოხერხებულად არგებს მას საკუთარი ლექსის მთავარ სათქმელს და ძირითად აქცენტებს. საყურადღებოა, რომ ხშირ შემთხვევაში პოეტი ცდილობს, ანტიკურობის ესა თუ ის ფიგურა, მითი, ნარატივი დაუკავშიროს თანამედროვეობას, რაც ესადაგება პოეტის მიერ ანტიკურობის უნივერსალური სახე-სიმბოლოებად აღქმას. ანა კალანდაძისთვის ანტიკურობა, ისევე როგორც ძველი სამყაროს ისტორია: „ქრონოლოგიურად უფრო დაშორებული შრეებია კაცობრიობის სულიერი ისტორიის, რომელსაც ანა კალანდაძის პოეზია ისევ და ისევ მარადიულ აწმყოში მოიაზრებს...“¹¹⁵⁶ საინტერესოა, რომ ანა კალანდაძის ლექსებში ხშირად ანტიკური ელემენტები ბუნებრივად თანაარსებობენ ქრისტიანულ და ფოლკლორულ მოტივებთან, რაც სხვა ნიშნებთან ერთად ანა კალანდაძის პოეზიის ინდივიდუალიზმს, მის თვითმყოფად ხელწერას განაპირობებს.

თამაზ ჭილაძე (1931-2018)

გიორგი უგულავა

თამაზ ჭილაძე XX-XXI საუკუნეების პოეტია, რომელიც თავის შემოქმედებაში არაერთ ანტიკურ ტერმინს გამოიყენებს. თუმცა, ანტიკურობას მის პოეზიაში უფრო

¹¹⁵⁶ მ. გელაშვილი. ემოციური მეხსიერების როლი ანა კალანდაძის შემოქმედებაში. ლექსმცოდნეობა, ანა კალანდაძისადმი მიძღვნილი მეორე სამეცნიერო სესია. მასალები. 1. თბილისი, 2008, გვ. 51-52. ხელმისაწვდომია ონლაინ: <https://literaturatmcodneoba.tsu.ge/leqsmcod-lana-kaland.pdf> ბოლო ნახვა: 17.05.2024.

ფრაგმენტული ხასიათი აქვს, ვიდრე ძირითად სიუჟეტურ, თემატურ და მსოფლმხედველობით მოტივებს ქმნის.

თამაზ ჭილაძე თავის პოეზიაში ხშირად იყენებს ანტიკურ სიმბოლოებს შედარებისთვის. მაგალითად, იგი ადარებს შუქურას ანტიკური მითოსის კიკლოპს, რომელსაც ერთი თვალი აქვს (ლექსი – „სადღაც ქალაქის იქით“), გალიაში გამოძვრულ ლომს კი – ასევე ანტიკური მითოსის იაპეტოსს, ტიტანს, ურანოსის და გეას შვილს, ანტიკური მითოსის ერთ-ერთ ყველაზე ძველ წარმომადგენელს. ელვა მას შეუძლია ანტიკური ეპოქის ხალებებს შეადაროს, რომლებიც კავკასიიდან სამხრეთით ცხოვრობდნენ და ზოგიერთი მეცნიერი მათ ქართველური სამყაროს ნაწილად აღიქვამს. ელვა პოეტისთვის ღრუბლებიდან ისევე კრთება, როგორც ხალების ხმალი. ხალებები ანტიკურ წყაროებში ცნობილი იყვნენ მეტალის დამუშავების ხელოვნებით და XX საუკუნის ქართულ მწერლობაში მათ ხშირად წარმოადგენენ სწორედ ამ კუთხით. თამაზ ჭილაძეც არ არის გამონაკლისი (ლექსი – „აპრილი იყო ასე ღარიბი“).

იგი თავის პოეზიაში ასევე იხსენიებს არგონავტების მითს და ანტიკურ კოლხისს, რომელშიც არგონავტების ხომალდი არგო ჩადის (ლექსი – „რა ღამე იყო, რა ხმა ისმოდა!“). თამაზ ჭილაძის პოეზიაში ანტიკურ ტერმინებს მხოლოდ ეპიზოდური გამოყენება და არცთუ დიდი მნიშვნელობა აქვთ და მის საკმაოდ მასშტაბურ პოეტურ შემოქმედებაში მხოლოდ რამდენიმე ანტიკურობასთან დაკავშირებული ტერმინი იძებნება.

უფრო ხშირად გამოიყენებს ავტორი ანტიკურ ტერმინებს თავის პროზაში. ამ ტერმინების ის გამოიყენებს როგორც სიტყვის მასალად, უბრალო შედარებისთვის, ასევე სიმბოლური მნიშვნელობით. პირველ კატეგორიაში შედის მაგალითად „მკვლელობაში“ აღწერილი სცენა, როდესაც ერთ-ერთი პერსონაჟი ბადრი მარიკასთან დიალოგში უცილობელი ჭეშმარიტებებზე საუბრის შესახებ აღნიშნავს, რომ დედამიწა ბრუნავს, ხოლო სოკრატე – ადამიანია. იქვე მარიკა პასუხობს, რომ სოკრატე არა მხოლოდ ადამიანია, არამედ უკვდავიც არის.¹¹⁵⁷

„ნახვის დღეში“ ანალოგიური ტიპის დიალოგია, სადაც უკვე აღნიშნულია, რომ სულ ჰომეროსიც რომ ესტუმროთ, მათ არაფერი აქვთ და ვერაფერს მისცემენ.¹¹⁵⁸ ამ შემთხვევაშიც ანტიკური ტერმინი უფრო მეტად შედარებისთვის არის გამოყენებული. თუმცა ისიც ჩანს, რომ ავტორისთვის ჰომეროსი ავტორიტეტია, ისე,

¹¹⁵⁷ „მკვლელობა“, თ. ჭილაძე. რჩეული თხზულებანი სამ ტომად. ტ. III. ლექსები, პიესები. რედ.: მ. ჯაფარიძე. თბილისი, 2002, გვ. 172.

¹¹⁵⁸ „ნახვის დღე“, თ. ჭილაძე. რჩეული თხზულებანი სამ ტომად. ტ. III. ლექსები, პიესები. რედ.: მ. ჯაფარიძე. თბილისი, 2002, გვ. 449.

რომ მისი პერსონაჟი, როდესაც განსაკუთრებული ადამიანის სტუმრობაზე საუბრობს, სწორედ ჰომეროსის მაგალითს იშველიებს.

ამავე ნაწარმოებში აღნიშნულია, რომ უკვდავება სრულიად ზედმეტი რამ არის და შედარებულია ციცერონის მუყაოს თავს, რომლითაც სტუდენტები შესვენებაზე ფეხბურთს თამაშობენ.¹¹⁵⁹ ამ შემთხვევაში უბრალო შედარებასთან არ გვაქვს საქმე. ამ შედარებას უფრო მეტი სიმბოლური მნიშვნელობა აქვს. ისტორიულ ციცერონს მართლაც თავი მოჰკვეთეს მარკუს ანტონიუსის ბრძანებით და შემდეგ მისი მოკვეთილი თავი, კასიუს დიოს და პლუტარქოსის მიხედვით, იქცა კიდევ ანტონიუსის ცოლის, ფულვიას გართობის და შურისძიების ობიექტად. ამის გათვალისწინებით შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ აქცენტი სწორედ ციცერონის მუყაოს თავზე კეთდება, რაც ისტორიული ციცერონის მოკვეთილი თავის ალუზიას წარმოადგენს.

ის, რომ თამაზ ჭილაძე კარგად იცნობს ანტიკურობას და ანტიკურ ლიტერატურას ჩანს ამავე ნაწარმოების სხვა ეპიზოდშიც. ერთ-ერთი პერსონაჟი, ნესტორი, აღნიშნავს, რომ, როგორც ძველი რომაელები ამბოდნენ, სიყვარულზე ახალგაზრდობამ უნდა იმდეროს. ამ შემთხვევაში ეს ფრაზა მიემართება ძვ.წ. I საუკუნის რომაელ პოეტს, პროპერციუსს და მის ელეგიებს, რომელშიც მას ზუსტად ეს ფრაზა აქვს ნათქვამი – „ახალგაზრდობამ უმდეროს ვენუსს (სიყვარულის ქალღმერთს) (aetas prima canat Veneres, II, 10, 7).¹¹⁶⁰

ამავე ნაწარმოებში ნესტორი დიალოგისას ასევე კიდევ ერთ იდიომად ქცეულ ლათინურ ფრაზას („კართაგენი უნდა დაინგრეს – Carthago delenda est) ეხმიანება, რომელსაც ანტიკური ისტორიოგრაფიული ტრადიცია რომაელ სენატორ მარკუს პორციუს კატოს და პუნიკური ომების ეპოქას მიაკუთვნებს. ამ შემთხვევაში ამ ფრაზის გამოყენებას უფრო სატირული ხასიათი აქვს. ნესტორის კითხვაზე, ბოლოს და ბოლოს უნდა დაინგრეს თუ არა კართაგენი, ამირანი, სხვა პერსონაჟი, სარკასტულად პასუხობს, რომ კართაგენის ნანგრევებზე უნდა აშენდეს ახალი გარაჟები. ამის შემდეგ ბაბული ამბობს, რომ ფეხზე უნდა ადგნენ და ასე მიაგონ პატივი დანგრეული კართაგენის ხსოვნას.

¹¹⁵⁹ „ნახვის დღე“, თ. ჭილაძე. რჩეული თხზულებანი სამ ტომად. ტ. III. ლექსები, პიესები. რედ.: მ. ჯაფარიძე. თბილისი, 2002, გვ. 468-469.

¹¹⁶⁰ „ნახვის დღე“, თ. ჭილაძე. რჩეული თხზულებანი სამ ტომად. ტ. III. ლექსები, პიესები. რედ.: მ. ჯაფარიძე. თბილისი, 2002, გვ. 487.

ამ ეპიზოდშიც ჩანს, რომ თამაზ ჭილაძე საკმაოდ კარგად იცნობს ანტიკური ისტორიის და კულტურის მნიშვნელოვანი მომენტებსა და ეპიზოდებს და სურვილის შემთხვევაში შეუძლია მათი თავისი მხატვრული მიზნებისთვის გამოყენება.¹¹⁶¹

თამაზ ჭილაძის „ნახვის დღე“ ანტიკურობის რეცეფციის კუთხით საინტერესო ნაწარმოებია, რადგან ანტიკური მოტივების და სიმბოლოების ორიგინალური, საინტერესო ფორმით რეცეფციას ახდენს. ანტიკურობა გადმოაქვს აბსოლუტურად სხვა ეპოქაში, სხვა კულტურულ სივრცეში და არგებს ამ სივრცის კულტურულ და ურთიერთობის ნორმებს და საშუალებებს. შედეგად, ვხედავთ სტუდენტები როგორ თამაშობენ მუყაოს ციცერონის თავით, ანდაც როგორ „აგებენ“ გარაჟებს კართაგენის ნანგრევებზე. ქართულ მწერლობაში ანტიკურობის რეცეფციის კუთხით თამაზ ჭილაძეს თავისი ამ ნაწარმოებით განსხვავებული ნიშა უკავია.

ეს ხაზი ნაწილობრივ გრძელდება მის კიდევ ერთ პროზაულ ნაწარმოებში – „არაბეთის სურნელოვანი ბალახები“. ანასტასია და მარიამი, ნაწარმოების ორი პერსონაჟი, ტრაგედიის შესახებ საუბრობენ. ამ შემთხვევაშიც ვხედავთ ანტიკური მოტივების და სიმბოლოების თანამედროვე ყოფაში ტრანსფერს, რასაც ნახევრად იუმორისტული ელფერიც აქვს. ანასტასია აღნიშნავს, რომ თანამედროვე ადამიანი ტრაგედიისთვის არ არის შექმნილი. შემდეგ მას ოიდიპოსი ახსენდება, ანტიკურობის მიერ შექმნილი, ალბათ, ყველაზე უფრო ტრაგიკული, არქეტიპული გმირი და აღნიშნავს, რომ ოიდიპოსი არ შეიძლება მათ ეპოქაში ცხოვრობდეს. ოიდიპოსის ტრაგიზმი თანამედროვეობაში ვერ იარსებებს. ამის ნიშნად იქვე აღნიშნავს, რომ სანამ თანამედროვე ოიდიპოსი თვალების დათხრამდე მივიდოდა, იქამდე ინფარქტით მოკვდებოდა.¹¹⁶²

ეს ხაზი – ანტიკურობის თანამედროვე ყოფაში გადმოტანის და ინტეგრირების – გრძელდება „სიზმრების ახსნაშიც“. ამჯერადაც ანტიკურობის რეცეფცია იმდენად ანაქრონისტულად გამოიყურება, რომ იუმორისტული დატვირთვაც აქვს. სოლიკო აღნიშნავს, რომ მათი ბებია ნათელმხილველია და ადარებს ანტიკურობის ცნობილ მისნებს – პითიას და კასანდრას.¹¹⁶³

ანტიკურობის რეცეფციის კუთხით მნიშვნელოვანი ნაწარმოებია თამაზ ჭილაძის „პოსეიდონის სახლი“. მასშიც ავტორი აგრძელებს ანტიკური ტერმინების თანამედროვე ყოფაში მხატვრული შედარების ფორმით გადმოტანას: მაგალითად,

¹¹⁶¹ „ნახვის დღე“, თ. ჭილაძე. რჩეული თხზულებანი სამ ტომად. ტ. III. ლექსები, პიესები. რედ.: მ. ჯაფარიძე. თბილისი, 2002, გვ. 503.

¹¹⁶² „არაბეთის სურნელოვანი ბალახები“, თ. ჭილაძე. რჩეული თხზულებანი სამ ტომად. ტ. III. ლექსები, პიესები. რედ.: მ. ჯაფარიძე. თბილისი, 2002, გვ. 619.

¹¹⁶³ „სიზმრების ახსნა“, თ. ჭილაძე. რჩეული თხზულებანი სამ ტომად. ტ. III. ლექსები, პიესები. რედ.: მ. ჯაფარიძე. თბილისი, 2002, გვ. 659.

მამუკა, რომელსაც მრავალმხრივი ნიჭი, უნარები და საქმიანობა აქვს შედარებულია იულიუს კეისარს, რომელიც ანტიკურ წყაროებზე დაყრდნობით ტრადიცია სწორედ მრავალმხრივი ნიჭის ადამიანად წარმოადგენს. მაგალითად, პლუტარქოსი კეისრის შესახებ გადმოგვცემს, რომ მას ერთდროულად შეეძლო რამდენიმე საქმის წარმოება.¹¹⁶⁴ ექიმი ილარიონი, რომელიც საქმეშია ჩართული და თავდაუზოგავად შრომობს, ალექსანდრეს არის შედარებული. თეთრი ხალათით ის ისევე მოძრაობს პაციენტებს შორის, როგორც ალექსანდრე ბრძოლის ველზე დაჭრილებს და დაცემულებს შორის.¹¹⁶⁵

თამაზ ჭილაძის სტილს ანტიკურობის რეცეფციის კუთხით, ალბათ, ყველაზე მეტად და ყველაზე კარგად ამავე ნაწარმოებში მოყვანილი პასაჟი გადმოგვცემს. გაზეთის რედაქცია, რომელშიც მხოლოდ ქალები მუშაობენ, შედარებულია კუნძულ ლემნოსს. ანტიკური ტრადიცია და მითოსი ლემნოსს მხოლოდ ქალების კუნძულად წარმოადგენდა, რადგან მითის თანახმად ლემნოსელმა ქალებმა მათი ქმრები ღალატის გამო დახოცეს. შედეგად, კუნძულზე მხოლოდ ქალები დარჩნენ. აპოლონიოს როდოსელი თავის „არგონავტიკაში“ აღწერს, რომ როდესაც არგონავტები ლემნოსზე შეჩერდნენ, იქ მხოლოდ ქალები ცხოვრობდნენ. მათ ჰიფსიპილე მართავდათ. რედაქციის რედაქტორს, რომელსაც თავაზიანი ქცევა, მუდმივი ღიმილი და დახვეწილად, ზედმეტად კეთილგანწყობილად (ავტორი გამოიყენებს ტერმინ „დათაფლულ ენას“) ჰანიმედს, ანუ მითოსურ განიმედესს უწოდებს.¹¹⁶⁶ ჰომეროსის მიხედვით, განიმედესი გამოირჩეოდა შეხედულებით და მიმზიდველობით და ჰომეროსის შემდეგ ანტიკურ კულტურაში განიმედესი სწორედ ამ სახით შემორჩა.

ანტიკური სიმბოლოებს და ტერმინებს მოიხსენებენ თამაზ ჭილაძის პერსონაჟები ერთ-ერთი დიალოგის დროს. გივი ჭილაძისთვის სახასიათო იუმორისტულ სტილში აღნიშნავს, რომ „ჩვენ გარეული ტახები ვართ“ და ხოლო სოფიკოს კირკეს უწოდებს, მითოსურ პერსონაჟს, რომელმაც ჩვენამდე განსაკუთრებით ჰომეროსის „ოდისეას“ წყალობით მოაღწია. ჰომეროსმა კირკე თავის ეპოსში მნიშვნელოვან პერსონაჟად აქცია. გივის ამ ხუმრობა-შენიშვნის შემდეგ აღნიშნავს, რომ მას ურჩევნია ოდისევსი იყოს. ამ ფორმით მან მოხერხებულად გამოხატა ინტერესი სოფიკოს მიმართ, რადგან „ოდისეაში“ ჰომეროსი ოდისევსს და კირკეს სასიყვარულო ისტორიას აღწერს. ოდისევსი კირკეს კუნძულზე ერთი წელი

¹¹⁶⁴ „პოსეიდონის სახლი“, თ. ჭილაძე. რჩეული თხზულებანი სამ ტომად. ტ. III. ლექსები, პიესები. რედ.: მ. ჯაფარიძე. თბილისი, 2002, გვ. 350.

¹¹⁶⁵ „პოსეიდონის სახლი“, თ. ჭილაძე. რჩეული თხზულებანი სამ ტომად. ტ. III, ლექსები, პიესები. რედ.: მ. ჯაფარიძე. თბილისი, 2002, გვ. 394.

¹¹⁶⁶ „პოსეიდონის სახლი“, თ. ჭილაძე. მდგმურები. მეორე გამოცემა. რედ.: თ. ცინცაძე. თბილისი, 1979, გვ. 365.

რჩება. ელიზბარის ამ შენიშვნასაც სოფიკოსადმი მკვეთრად გამოხატული ინტერესის ფორმა აქვს. ელიზბარი თავის ინტერესს სოფიკოსადმი ანტიკური სიმბოლოების და მოტივების დახმარებით გამოხატავს.¹¹⁶⁷

ამ ეპიზოდებში კარგად ჩანს, რომ თამაზ ჭილაძე კარგად იცნობს ანტიკურ ისტორიულ, კულტურულ და მითოსურ მოტივებს, არა მხოლოდ ყველაზე ცნობილი ამბების, არამედ შედარებით ნაკლებად ცნობილი მოტივების დონეზეც და ძალიან ზუსტად იყენებს მათ საკუთარი მხატვრული მიზნებისთვის. ეს მოტივები მას თანამედროვე კონტექსტში გადმოაქვს, შეგნებულად მიდის ანაქრონიზმის, სარკაზმის და იუმორის გზით და ახერხებს, რომ ანტიკური სიმბოლოები მისი ეპოქის ყოფის და ურთიერთობების ნაწილად აქციოს.

384-ე გვერდზე კი ჩანართის სახით მოცემულია პოსეიდონის მცირე აპოლოგია. ნაწარმოებს „პოსეიდონის სახლი“ ეწოდება და ანტიკური მითოსის და რელიგიის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ღვთაება მხოლოდ ერთ ეპიზოდში ჩნდება. ავტორი აღწერს პოსეიდონს როგორც ზევსის ძლევამოსილ ძმას, რომელიც მისგან შორს მეფობს და ზღვას სრულად აკონტროლებს. თამაზ ჭილაძე პოსეიდონის აღწერის დროს მისი გარეგნობის სხვადასხვა მითოსურ დეტალს აღნიშნავს. ავტორი იხსენიებს ამფიტრიტეს, პოსეიდონის ცოლს, ტრიტონს, ზღვის გამგებელს, მის ვაჟს და პოსეიდონის აღჭურვილობის და აღკაზმულობის დეტალებს (მაგ., სამკაპს).¹¹⁶⁸ როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჩანს, რომ ავტორი სიღრმისეულად იცნობს ანტიკურ მითოსს.

ანტიკური მითოსის რეცეფციის მსგავსი მაგალითი ორჯერ გვაქვს თამაზ ჭილაძის სხვა ნაწარმოებებში – „მდგმურები“ და „აუზი“. ორივე ამ ეპიზოდში თამაზ ჭილაძე ანტიკურ მითოსურ მოტივებს და სახეებს იყენებს. „მდგმურებში“ აღწერილია სცენა, როდესაც კაცი ცხენზე ზის და მიდის, ცხენიც და კაციც პოსეიდონის შვილები არიან. ცხენს – პეგასი (პეგასუსი – ეწოდება, ხოლო – კაცს ქრისაორი (ქრიზაორე ავტორის მიხედვით), რომელიც ბერძნული მითოსის თანახმად პეგასუსის ძმა და პოსეიდონის შვილია.¹¹⁶⁹

„აუზში“ კი მწერალს ეუბნებიან, რომ ყველაზე მნიშვნელოვან რაღაცებს ფლობს, რაც კი კაცობრიობას შეუქმნია. მწერლის კითხვაზე კი ანტიკურ მითოსურ და ისტორიულ სიმბოლოებს ჩამოთვლის – კენტავრის ფლოქს, თემიდას სასწორს, პრომეთეს ღვიძლის, არიადნეს ძაფს, აქილევესის ქუსლს, სიზიფეს ლოდს,

¹¹⁶⁷ „პოსეიდონის სახლი“, თ. ჭილაძე. მდგმურები. მეორე გამოცემა. რედ.: თ. ცინცაძე. თბილისი, 1979, გვ. 388.

¹¹⁶⁸ „პოსეიდონის სახლი“, თ. ჭილაძე. მდგმურები. მეორე გამოცემა. რედ.: თ. ცინცაძე. თბილისი, 1979, გვ. 384.

¹¹⁶⁹ „მდგმურები“, თ. ჭილაძე. მდგმურები. მეორე გამოცემა. რედ.: თ. ცინცაძე. თბილისი, 1979, გვ. 440.

დემოსთენეს კენჭებს, ტროას ცხენს, იკაროსის ფრთებს, სპარტაკის მახვილს და დიოგენეს ფარანს. ანტიკურობა გადმოცემულია ანტიკური სამყაროს ყველაზე ცნობილი მითოსური და ისტორიული სიუჟეტებით, სახეებით და სიმბოლოებით. ავტორი სწორედ ამ სიმბოლოებს წარმოადგენს კაცობრიობის ყველაზე მნიშვნელოვან მონაპოვრებად, რომლებიც კი მწერლის ხელშია და მას გამოყენება შეუძლია.¹¹⁷⁰

ოთარ ჭილაძე
(1933-2009)

გიორგი უგულავა

ოთარ ჭილაძის შემოქმედებაში ანტიკურობის რეცეფციაზე მსჯელობის დროს რამდენიმე სხვადასხვა კატეგორია უნდა გამოიყოს: ა) ოთარ ჭილაძის პოეზია, სადაც ანტიკურ ტერმინებს მხოლოდ ეპიზოდური გამოყენება აქვთ; ბ) მისი პოემა – „სიყვარულის პოემა: ევრიდიკე და ორფეოსი“, რომელიც მთლიანად ანტიკურ მითოსურ მოტივს ეფუძნება; გ) ოთარ ჭილაძის რომანი – „გზაზე ერთი კაცი მიდიოდა“, რომელიც მისი მაგნუს ოპუსია და ასევე მთლიანად ანტიკური მითოსური მოტივების მხატვრულ გადააზრებას ეფუძნება.

თავის პოეზიაში ოთარ ჭილაძე ანტიკურ ტერმინებს, სახელებს და მოტივებს არაერთხელ იყენებს. ზოგადად, ოთარ ჭილაძე ის ავტორია, რომელიც ძალიან კარგად იცნობს ანტიკურობას და ანტიკური მხატვრულ-მითოსური მოტივები მისი შემოქმედებისთვის მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს.

ერთ-ერთი ასეთი სიუჟეტი, ამბავი, რომელსაც იგი მთელ მცირე ზომის პოემას უძღვნის არის, ორფეოსის და ევრიდიკეს მითოსური სიყვარულის ისტორია. ამ მითის სხვადასხვა ვერსია არსებობს ანტიკურ მითოსში. ვერგილიუსის „გეორგიკების“ მიხედვით, ორფეოსის მეუღლე ევრიდიკე დაიღუპა არისტეოსის, მეფუტკრის, დევნის გამო, რომელმაც ევრიდიკეს ხელში ჩაგდება მოინდომა. ოვიდიუსი თავის „მეტამორფოზებში“ ევრიდიკეს სიკვდილის მიზეზად ნეიადებთან ერთად ცეკვას ასახელებს (მეტ. 10, 1-39).

ოთარ ჭილაძე თავის პოემაში ეყრდნობა ფსევდოპოლოდოროსის „ბიბლიოთეკას“, რომლის მიხედვითაც ევრიდიკე გველის ნაკბენის გამო დაიღუპა (1,3,2).

¹¹⁷⁰ „აუზი“, თ. ჭილაძე. მდგმურები. მეორე გამოცემა. რედ.: თ. ცინცაძე. თბილისი, 1979, გვ. 547-548

ოთარ ჭილაძე არ იზიარებს ორფევის და ევრიდიკეს მითის პლატონისეულ აღქმას, რომელიც თავის „სიმპოსიუმში“ ორფევს მხდალ, მშიშარა ადამიანად წარმოადგენს, რადგან თავისი სიყვარულის გამო სიკვდილი და ევრიდიკესთან ჰადესის სამფლობელოში გადასვლა არ აირჩია.

პირიქით, ოთარ ჭილაძე თავის პოემაში ორფევის და ევრიდიკეს სიყვარულს რომანტიკულად, ჰეროიკულად წარმოადგენს. უნდა აღინიშნოს, რომ პოემაში ორფევის და ევრიდიკეს ამბის გარდა სხვა მითოსური მოტივებიც არის ჩაქსოვილი. ამ კუთხით, ავტორი არ უნდა შემოიფარგლებოდეს მხოლოდ ანტიკური მოტივებით. პოემის დასაწყისშივე თითქოს ვხედავთ ბიბლიური მოტივის ალუზიასაც – ევრიდიკეს მდგომარეობას, რომელსაც ყვავილების კრეფისას გველი კბენს, ავტორი ახასიათებს, „როგორც თვალისთვის სივრცე, გახსნილი იყო სიცოცხლისათვის“. იმავე წინადადებაში აღნიშნულია, რომ მასში უკვე ღვიოდა ნაყოფი. თითქოს ავტორი აერთიანებს ბიბლიურ, სამოთხისეულ სცენას, როდესაც ადამს და ევას აკრძალული ხის ნაყოფის გასინჯვის შემდეგ აეხილათ თვალი და აბსოლუტურად სხვა სივრცე, სხვა რეალობა, სხვა განზომილება დაინახეს. შემდეგ წინადადებაში ავტორი უკვე მეგობრებისთვის, ნიმფებისთვის, საიდუმლოს გამჟღავნების სურვილზე საუბრობს. ამ ეპიზოდის გაგება ორგვარად შეიძლება – პირდაპირ, რისი მიხედვითაც ევრიდიკე უკვე შვილს ელოდება და ირიბად, როდესაც ასოციაციურად თითქოს სახარებისეული მოტივის ანტიკურ სივრცეში ტრანსფერს ვხედავთ.

აქვე ჩნდება დიონისესეული სცენა. კლასიკური აღწერილობა დიონისეს და მისი გარემოცვის. დიონისეს ავტორი ვაზის გვირგვინით, ცეკვით, სიმღერით, სიმთვრალით, გართობით და ეროტიკული სცენებით წარმოადგენს. ეს დიონისესეული სცენის სტანდარტული აღწერილობაა. საინტერესო ის არის, რომ ორფევის და ევრიდიკეს ამბავში დიონისესეული სცენის ინტეგრაცია ოთარ ჭილაძის მხატვრული ფანტაზიის ნაყოფია. ანტიკური წყაროები ჩვეულებრივ ორფევის და ევრიდიკეს ისტორიაში დიონისეს არ მოიხსენიებენ.

ორფევის პოემაში იდეალიზირებულია. მისი მუსიკა, მისი სიმღერა სამყაროსთვის მამოძრავებელი ძალა და ენერგიაა. ორფევს ავტორი მოიხსენიებს როგორც მარადიული სინათლის სვეტს და სიმართლის წვეთს. ევრიდიკეს დაკარგვას ის ტრაგიკულად აღიქვამს, თუმცა სიმღერას მაინც არ წყვეტს, რადგან სამყარო, იმედი, რწმენა სწორედ მის სიმღერაზეა დამოკიდებული.

ისევე, როგორც ევრიდიკეს სცენაში ორფევის პასაჟშიც ავტორი მოხერხებულად აერთიანებს სხვა მითოსურ სცენებს და პერსონაჟებს. კერძოდ, ურანოსის და გეას, წინარეოლიმპიელი ღმერთების, უძველესი თაობის ორი უმთავრესი ღვთაების ამბავს – გეა და ურანოსი შემფოთებულები და დამწუხრებულები არიან.

პოემის საკვანძო ეპიზოდი, როგორც დრამატული, ასევე სიუჟეტური კუთხით, ორფევის და მითოსური ქარონის შეხვედრაა. ოთარ ჭილაძეს ძალიან ზუსტად გადმოაქვს ანტიკური მითოსის ტრადიცია ჰადესის სამეფოს, იმქვეყნიური სამყოფლის შესახებ, სადაც გარდაცვლილ ადამიანთა სულები ხვდება. მდინარე სტიქსის გადალახვა ჰადესის სამეფოში შესვლის წინაპირობაა. ჰადესის სამეფოს კერბეროსი იცავს, ხოლო მითოსურ ქარონს გარდაცვლილთა სულები გადაჰყავს მდინარე სტიქსზე. ყველა ეს ტრადიციული მითოსური ელემენტი ოთარ ჭილაძეს დეტალურად აქვს აღწერილი.

კიდევ უფრო საინტერესოა, თუ როგორ ხედავს იგი ქარონს. ჭილაძისეული ქარონი პირქუში, უტყვი, ჩუმი და უემოციო პერსონაჟია. ავტორი კარგად ქმნის ჰადესის სამეფოს განცდას – ფერები, შუქი, გარემო, ხმები – ჰადესის სამეფოსთვის მკითხველისთვის ძალიან ორიგინალურად, მაღალმხატვრულად და ზუსტად აცოცხლებს. მკითხველი თითქოს გრძნობს იმ ენერგიას, იმ სულს, რომელიც ჰადესის სამყოფელს აქვს. ქარონი ამ სამყაროს მთავარი ატრიბუტია. ოთარ ჭილაძე მას ასე აღწერს: „თვალები მშრალი და ტყვიისფერი ჩაასო მტვერში. არ შეკრთობია არც ერთი ნაკვთი... არ შერხევია არც ერთი ღერი ჭაღარა თმისა... უძრავად იდგა ქვად ქცეულ ნავში და მდორე წყლისგან დამჰკნარ წვივებზე მიჰკვროდა შლამი და წურბელები“.

ემოციური და მხატვრულობის თვალსაზრისით გამორჩეულია ორფევის ვედრება ქარონისადმი.¹¹⁷¹ ის ქარონს ჰადესთან შეხვედრის უფლებას სთხოვს. უნდა, რომ ევრიდიკეს სული სთხოვოს ჰადესს და თავისი მეუღლე კვლავ ცოცხლებს შორის დააბრუნოს. ოთარ ჭილაძე თითქოს მიჰყვება მითის ძირითად სტრუქტურას, თუმცა უამრავი სხვადასხვა დეტალით, ეპიზოდით, ხასიათით, შტრიხით, გარემოს აღწერით იმგვარად ამდიდრებს და აფერადებს მას, რომ მითს აბსოლუტურად ახალ სიცოცხლეს შთაბერავს.

ისევე, როგორც წინა პასაჟებში ამ შემთხვევაშიც ავტორი ახერხებს სხვადასხვა მითოსური ამბების ერთ სიუჟეტში გაერთიანებას. მაგალითად, ორფევის ქარონისადმი ვედრების პასაჟში მოხსენიებულია ჰერაკლეს ამბავიც. ჰერაკლე ის გმირია, რომელიც მითის თანახმად უვნებლად ჩავიდა ჰადესის სამეფოში და თავად კერბეროსი, ჰადესის მცველი, ამოიყვანა იქიდან. ოთარ ჭილაძესთან ორფევის თავისი

¹¹⁷¹ „მე კი სიკვდილი არ მინდა, ქარონ, თორემ ამასაც მოვახერხებდი და მაშინ აღარ დამჭირდებოდა ამდენი ხვეწნა... და თავსაც აღარ დავიმცირებდი, მაგრამ მე სხვა მსურს. ჩემი სურვილი უფრო დიდია, ვიდრე სიკვდილი. სიკვდილზეც ბევრად უფრო ძნელია, რომ სინამდვილედ ვაქციო იგი. სათხოვნელად ვარ, ქარონ, მოსული და დღესვე უნდა ვნახო ჰადესი და ვთხოვო ჩემი მეუღლის სული, რომ დავაბრუნო მიწაზე იგი და მასთან ერთად ვიცოცხო კიდევ, თუნდაც ერთი დღე, ან ერთი წუთი, ოღონდ ვიცოცხო, ოღონდ შემემძლოს, რომ კვლავ შევახო მთრთოლვარე ხელი, რომ კვლავ გამოვჩნდე მის დიდ თვალებში და გავიგონო მისი ჩურჩული, ვით გაღვივებულ ცეცხლის შრიალი...“

ვედრების დროს ჰერაკლეს ამბავსაც იხსენებს და მათ შორის განსხვავებაზე ამახვილებს ყურადღებას. ჰერაკლე ძალით მივიდა და კერბეროსი მოიტაცა, ხოლო ორფესი მხოლოდ მთხოვნელია და სურს, რომ მისი ახალგაზრდა მეუღლე, რომელიც ბოროტ შემთხვევას ემსხვერპლა, დაიბრუნოს.

ორფესის ვედრებას, რომელიც რამდენიმე ეპიზოდად არის შემოთავაზებული, ქარონი მრავლისმეტყველი და პირქუში დუმილით პასუხობს. მაშინაც კი, როდესაც ორფესი მას ეუბნება, რომ მას მხოლოდ სიყვარული ამოძრავებს, ის გრძნობა, რომელსაც თავად ზევსი და ჰადესიც კი ემორჩილებიან. ორფესის მორალური გამარჯვების სიმბოლო ის არის, რომ სულ ბოლო სცენაში, მას შემდეგ, რაც ევრიდიკეს მეგობარი ნიმფაც კი მზად არის თავისი სიცოცხლე ევრიდიკეს შესწიროს, ქარონს ცრემლები ადგება.¹¹⁷²

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სტრუქტურულადაც და სტილურადაც ოთარ ჭილაძე ძალიან კარგად ახერხებს ანტიკური დრამის სულის გადმოცემას. ანტიკურობის რეცეფცია მასთან მხოლოდ სიუჟეტების, გმირების და პერსონაჟების დონეზე არ ხდება. პოემას ანტიკური დრამის სტრუქტურა, სტილი და ხასიათი აქვს. ორფესის და ქარონის დიალოგი კლასიკური პერიოდის ბერძნული ტრაგედიის აგონს ჰგავს თითქოს. დიალოგური პარტიების მიღმა ცალკე არის წარმოდგენილი ქოროს ტიპის პარტიები. ეს პოემას უფრო მეტად დრამატულ ხასიათს აძლევს.

ოთარ ჭილაძე ორფესის სახეს კიდევ უფრო მნიშვნელოვნად და აღმატებულად წარმოადგენს. ანტიკური მითისგან განსხვავებით ორფესი ევრიდიკეს გადარჩენას მხოლოდ თავისი პირადი სურვილისა და ემოციისთვის არ ცდილობს. როგორც ნაწარმოების დასაწყისშივე ჩანს, ორფესი ადამიანთა შორის იმედთან, რწმენასთან, სიხარულთან არის დაკავშირებული. მაშინაც კი, როდესაც ორფესი ქარონს ეუბნება, რომ ის მზად არის მისი პირადი ტანჯვა აიტანოს, მას შეეგუოს და იცის, რომ ევრიდიკე მისთვის დაკარგულია, მას არ შეუძლია ის ხალხი დააღალატოს, რომელიც მის უკან იმედით და მომლოდინედ დგას. ორფესის გაჩუმება და ევრიდიკეს ბედის ჩუმად მიღება მისთვის „დაჩოქება“, რაც შემდეგ ამ ხალხს დააშინებს. მას პირიქით სურს, რომ ხალხს მაგალითი და იმედი მისცეს.¹¹⁷³

ორფესი მაინც გამარჯვებულია. ნაწარმოების უკანასკნელ სცენებში ავტორი კიდევ უფრო მეტად შორდება მითის ანტიკურ ვერსიას. ქარონი ორფესის თხოვნების მიმართ შეუდრეკელია, თუმცა პოემის ფინალურ ნაწილში მთვარე

¹¹⁷² ქარონი დუმდა, ოღონდ თვალებში რაღაც ჩაუდგა ზეთის მაგვარი: ორი მოძრავი ლაქა... ყვითელი...

¹¹⁷³ „ჩემს უკან ხალხი დგას, ქარონ, დაეჭვებული და დაბნეული. და მთავარია, თუ რას წაიღებს და როგორ წავა შინისკენ იგი: დაშინებული შენი დუმილით, თუ ჩემი ვნებით და სითამამით აღტაცებული?! ამიტომ ვდგავარ მე შენს წინაშე, მაგრამ ვერასდროს ვერ ეღირსები ჩემს დაჩოქებას და ვერც სიმშვიდეს ვერ ეღირსები, რადგან სისხლში გაქვს ამოვლებული სული...“

მიმართავს ორფევსს და ეუბნება, რომ მისი ტკივილი და ემოცია მარადიული გახდა. ქარონმა ორფევსის თხოვნა არ/ვერ მიიღო, თუმცა ორფევსის ემოცია, მისი ძალა, სიყვარულის ძალა, ის იმედი და რწმენა, რომელსაც იგი განასახიერებდა, მომავალში აღმოცენდება და ადამიანებს სიცოცხლის სურვილს და იმპულსს მისცემს.¹¹⁷⁴

ორფევსი ოთარ ჭილაძესთან, ერთი მხრივ, თითქოს ქრისტიანული გმირია. ის თავს წირავს, ტკივილს განიცდის, იმისთვის, რომ ახალი ცხოვრება, ახალი ადამიანი დაიბადოს. მეორე მხრივ, მასში არის რაღაც პრომეთესეული. ორფევსი ხდება მარადიული და მისი მაგალითი, მისი შეუპოვრობა, მისი ემოცია სხვა ადამიანებში ბადებს ძალას. ის ადამიანებს სიჯიუტეს, შეუპოვრობას, მიზანსწრაფულობას ასწავლის. მწყემსი ორფევსის სახელს გამოკვეთს კლდეზე. როგორც დასაწყისში ევრიდიკეს სცენაში ჩანს, თითქოს ინტუიციურად ოთარ ჭილაძეზე გავლენას სახარებისეული აკრძალული ხის სცენაც ახდენს. ორფევსის წყალობით მწყემსმა პირველად იგრძნო „ნახირის, ფუნის და ერბოს“ სუნი. სხვანაირად უკრავს მისი (მწყემსის) სალამური. ორფევსი თითქოს მიდის ღვთაებრივი, ბუნებრივი წესრიგის წინააღმდეგ და ევრიდიკეს გადარჩენა უნდა. მისი ბრძოლა მაგალითი ხდება ადამიანებისთვის. მაშინაც კი, როცა მწყემსი ნახირის და ფუნის სუნს გრძნობს, რაც მანამდე უცხო იყო მისთვის, ანუ არცთუ ყველაზე საამო და სასიამოვნო სურნელს, ეს ავტორისთვის მაინც უფრო მეტად მისაღებია, რადგან მასში მეტია ადამიანური, ამქვეყნიური.

მთვარის სიტყვას ევრიდიკეს სიტყვა მოჰყვება. ევრიდიკე დაბრუნდა, მისივე სიტყვებით, „გამოვიდა“, თუმცა ზუსტად არ ჩანს, ის ფიზიკური ფორმით დაბრუნდა ორფევსთან, თუ ორფევსის ბრძოლის და შეუპოვრობის შემდეგ, მისი სიყვარული იმარჯვებს სიკვდილზე და ეს „დაბრუნება“ უფრო სულიერ, მეტაფიზიკურ დონეზე უნდა გავიგოთ.

„სიყვარულის პოემა: ორფევსი და ევრიდიკე“ ძალიან საინტერესოა იმ კუთხით, რომ, ერთი მხრივ, ანტიკურობის რეცეფციას ახდენს, ხოლო, მეორე მხრივ, ავტორი ანტიკურ სიუჟეტს მნიშვნელოვნად გადაამუშავებს, ამდიდრებს მას სხვა ანტიკური თუ არაანტიკური მოტივებით და მთლიანად გადაიაზრებს ანტიკურობის ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ მითს, ორფევსის და ევრიდიკეს შესახებ. მისი მსოფლალქმა უფრო ოპტიმისტური და ადამიანოცენტრულია. მას სჯერა სიყვარულის და თავის პოემაში

¹¹⁷⁴ სამაგიეროდ შენი ტკივილი, შენი ოცნება და ვნება შენი – სწორედ დღეს გახდა მარადიული. არ დაკარგულა შენი სიტყვები. ამ ყრუ კედელზე ასხლტნენ ისინი და შორს, შენს იქით იპოვეს ხნული: ადამიანის სული, შიშველი. ჯერ გულუბრყვილო, მაგრამ ჯიუტი. აი, მე უკვე ვხედავ აქედან, როგორ დააგდო მწყემსმა ნახირი და ხანჯლით ხელში მიხობავს კლდეზე, რომ იქ ამოჰრას შენი სახელი... რადგან პირველად დღეს ეცა ცხვირში ნახირის, ფუნის და ერბოს სუნი. სხვა ხმა აღმოხდა მის სალამურსაც. სხვა, უცნაური... და შეკრთა იგი, როგორც წყვდიადი მზის ამოსვლისას...

ხატავს, რომ ორფევისისეული სიყვარული მთელ სამყაროს ამოძრავებს და უკეთესს ხდის, თუნდაც მაშინ როდესაც ბუნებრივ, ღვთაებრივ წესრიგს უპირისპირდება.

თავის პოეზიაში ოთარ ჭილაძე არაერთხელ ახდენს ანტიკურობის რეცეფციას პირდაპირი თუ არაპირდაპირი ფორმით. ამ უკანასკნელის მხრივ, ძალიან საინტერესოა მისი ლექსი „მხოლოდ ხანდახან (დაბინდულ ფარდას)“, რომელშიც იგი კატულუსისეულ მოტივს „odi et amo – მიყვარხარ და მძულხარ“ იმეორებს. რთული სათქმელია, თუ ზუსტად რა იყო ავტორის წყარო. იგი კატულუსს თავის ლექსში არ იხსენიებს, თუმცა გამომდინარე იქიდან, რომ ოთარ ჭილაძე ანტიკურ მწერლობას კარგად იცნობს, ლოგიკურია, დავუშვათ, რომ ის კატულუსისეულ ფორმულას იყენებს.

თავის სხვა ლექსში („ოხ, მახსოვრობის ბოროტო ღმერთო“) იგი საუბრობს იმაზე, თუ როგორ ტოვებს ადამიანს მისი მოგონებები და ემოციები და შემდეგ აღნიშნავს, რომ ის ცარიელია, როგორც პანდორას ყუთი. სიცარიელის პანდორას ყუთთან შედარება, ერთი შეხედვით, საკმაოდ უცნაურია, რადგან პანდორას ყუთი, მითის თანახმად, კაცობრიობისთვის დამლუპველი დაავადებებით, უბედურებებით და მანკიერებებით იყო სავსე, ხოლო თავად პოეტისთვის ის მოგონებები, რომლებმაც იგი დატოვა, ძვირფასია. თუმცა შემდეგ სტრიქონში ჩანს, თუ რატომ გადაწყვიტა პანდორას ყუთის შედარებად გამოყენება. მითის თანახმად, პანდორას კაცობრიობისთვის ერთადერთი ნუგეში აქვს თავის ყუთში დარჩენილი – იმედი. ასევე ამ ლექსშიც – ამ მოგონებებისგან ცარიელ „ყუთში“, ადამიანში, ერთადერთი იმედი რჩება, რომ ეს მოგონებები, რომლებიც რეალურად მის მთელ განვლილ ცხოვრებას წარმოადგენს, ისევ განმეორდება.

ლექსში „გახსოვდეს ვისი გორისა ხარ“ პოეტი იმ ადამიანებს, რომელთაც თავისი წარსული, წარმომავლობა და წინაპრები ჰყავთ დავიწყებული, ადარებს ბერძნული მითოლოგიის ტანტალოსს, პერსონაჟს, რომელიც მარადიული ტანჯვისთვის გაწირეს ღმერთებმა. ღმერთების დასჯის შემდეგ, ტანტალოსი წყალში დგას, ზემოდან ხილით დახუნძლული ხის ტოტები აქვს გადაფარებული, თუმცა არც წყლის დაღევა შეუძლია და არც ხილის დაგემოვნება. ავტორისთვის ადამიანი, რომელმაც თავისი წარსული დაივიწყა, სწორედ ტანტალოსის მსგავს მდგომარეობაშია.

საინტერესოა, რომ თავის სხვა ლექსში („მან აიფარა პირზე ხელები“) ის იხსენიებს კიდევ ერთ მითოსურ პერსონაჟს, სიზიფოსს (სიზიფეს ფორმით), რომელიც მარადიული ტანჯვისთვის გაწირეს ღმერთებმა.

კიდევ ერთი ანტიკური პერსონაჟი/სიმბოლო ჩნდება ლექსში „რკინის საწოლი“. ლექსი რამდენიმე ნაწილად იყოფა. ერთ-ერთ ნაწილში ოთარ ჭილაძე განიხილავს ადამიანის, განსაკუთრებით კი პოეტის, ცხოვრების არსს და მნიშვნელობას. ის

ამბობს, რომ ადამიანი მთელი მისი არსებით უნდა ცხოვრობდეს და სრულად შეიგრძნოს სიცოცხლე.¹¹⁷⁵

მისთვის იდეალური ცხოვრებისეული გზა პოეტის გზა და მისი ცხოვრებაა – ანუ მთელი არსებით ცხოვრება, როდესაც მართალი ხარ საკუთარ თავთან და შენს სიმართლეს ემსახურები. ოთარ ჭილაძე პოეტს შემდგომ ანტიკურ დიოგენეს ადარებს. ფილოსოფოსი, კინიკოსი დიოგენე ანტიკურობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სიმბოლოა, რომელიც შემდგომდროინდელ ხელოვნებასა და ლიტერატურაში არაერთხელ არის ასახული. დიოგენე ყველაზე ცნობილი მისი ალექსანდრესთან გასაუბრებით არის. დიოგენეს რეცეფცია განსხვავებული სახით და ფორმით გვხვდება ხოლმე. მას წარმოადგენენ ხოლმე, როგორც განმარტოებულ მიზანთროპს, რომელსაც არ აქვს ადამიანური სამყაროს რწმენა (მაგალითად, შექსპირის „ტიმონ ათენელი“), თუმცა ოთარ ჭილაძესთან, პირიქით, დიოგენე წარმოდგენილია როგორც ჭეშმარიტების და სიმართლისთვის მებრძოლი ადამიანი. პოეტი დიოგენეს უნდა ჰგავდეს თავისი სიმართლით, ამ სიმართლისთვის რწმენით და მისთვის ბრძოლის მზაობით. ოთარ ჭილაძისთვის დიოგენე ინდივიდია და არცერთ შემთხვევაში არ უპირისპირდება ამ ქვეყანას, პირიქით („ყველაფრის განცდას ცდილობდა, ამ ქვეყანაზე, რაც არსებობდა“). ამ მხრივ, ოთარ ჭილაძის დიოგენე განსხვავებულია, ვიდრე ჩვეულებრივ ამ ანტიკური ფიგურის რეცეფციას ვხედავთ ხოლმე.

ერთდროულად რამდენიმე ანტიკური ტერმინი გვხვდება ოთარ ჭილაძის ორ ლექსში – „იტალიური რვეული“ და „სინათლის წელიწადი“. „იტალიურ რვეულში“ ის მოიხსენიებს რომს, პომპეის და ვეზუვს, ხოლო „სინათლის წელიწადში“, რომელიც სასიყვარულო თემატიკას ეძღვნება – მედუზას, ამურს და არიადნეს. ამ ტერმინებს ძირითადად ეპიზოდური ხასიათი აქვთ, მაგალითად, აღწერს, რომ მიჯნურის ხელი მას ისე ეჭირა, როგორც არიადნეს ძაფის გორგალი.

ანტიკურობის რეცეფციის თვალსაზრისით ოთარ ჭილაძის შემოქმედებაში და შესაძლოა მთლიანად ქართულ ლიტერატურაში ყველაზე მნიშვნელოვანი რომანი – „გზაზე ერთი კაცი მიდიოდა“. ეს არის მითოსურ-ისტორიულ მოტივებზე შექმნილი რომანი, რომელშიც მოქმედება ანტიკური ხანის მითების ლეგენდარულ კოლხისში ხდება.

რომანში ანტიკურობის რეცეფციის შესახებ ცალკეული დეტალების თუ ეპიზოდების დონეზე მსჯელობა შეუძლებელია, რადგან მთლიანად რომანი, განსაკუთრებით სამიდან მისი პირველი ნაწილი („აიეტი“) მთლიანად ანტიკურობის რეცეფციას წარმოადგენს.

¹¹⁷⁵ „და თუ სიცოცხლეს ბუნება აძლევს, ცხოვრება უნდა შეძლოს თვითონვე“.

ისევე, როგორც მთელი მისი შემოქმედების მანძილზე ოთარ ჭილაძე ანტიკური მოტივების რეცეფციას შემოქმედებითად ახდენს, მთელი რიგი სხვადასხვა მოტივით, პერსონაჟით, ხასიათით და სიტუაციით ამდიდრებს. ამავე დროს, ის ახალ სიცოცხლეს სძენს ანტიკურ მითოსურ სახეებს. ისინი ქართულ მხატვრულ და მითოპოეტურ გადმოჰყავს.

მის რომანში ანტიკური, სახარებისეული, აღმოსავლური, ლათინური ამერიკის პოსტმოდერნიზმის, „ქართლის ცხოვრებისეული“, ზოგადად, ქართული მოტივები ერთმანეთს ისე ერწყმის და ისე გადადის ერთმანეთში, იმდენად ქმნის ერთ მხატვრულ მთლიანობას, რომ მათი განცალკევებით განხილვა პრაქტიკულად შეუძლებელია.

ამის ყველაზე მარტივი მაგალითი არის ქალაქი ვანი, სადაც ძირითადი მოქმედება ხდება. მოქმედების ლოკაციად ვანის არჩევა ერთდროულად რამდენიმე მოტივს აერთიანებს. ერთი მხრივ, ვანის ისტორიული რეალობა, დადასტურებული არქეოლოგიური გათხრების დონეზე ადასტურებს, რომ ვანი ანტიკური პერიოდის კოლხისის მნიშვნელოვან ცენტრს წარმოადგენდა, თუმცა სავარაუდოდ, უფრო გვიანდელი საუკუნეების. მეორე მხრივ, არგონავტების მითი და მისი ლიტერატურული გადმოცემები იცნობს აიეტის ქალაქ აიას, რომელიც ხმელეთის სიღრმეში მდებარეობს და ყველაზე ხშირად ქუთაისთან, ან მის მიმდებარე რეგიონთან აიგივებენ ხოლმე. ამავე დროს, ანტიკური კოლხისი ბერძნული კოლონიზაციის ტალღის შემდეგ ხდება თავისი პოლისებით ბერძნული სამყაროს ნაწილი, რომელიც მთელ ხმელთაშუაზღვისპირეთს და შავიზღვისპირეთს მოიცავს.

ოთარ ჭილაძე ამ მოტივებს ვანში აერთიანებს – მისი ვერსიით ისტორიული ვანი არის აიეტის ქალაქი, აქ ჩამოდიან არგონავტები. ამავე დროს ის ვანს ზღვისპირა ქალაქად, ტიპურ პოლისად წარმოადგენს. ზღვის ვანიდან უკან დახევა, დაშორება, ნაწარმოების ერთ-ერთი ძირითადი მოტივია. ზღვა ეტაპობრივად უკან იხევს და შორდება ვანს.

ვანი მხოლოდ ერთი მაგალითია, თუ როგორ უდგება ოთარ ჭილაძე შემოქმედებითად ანტიკურ და სხვა მოტივებს და ანტიკურ მითზე დაყრდნობით ქმნის აბსოლუტურად განსხვავებულ, თავის საკუთარ სამყაროს. არგონავტების მითს ოთარ ჭილაძის რომანი ინტერტექსტუალურად უკავშირდება.

ვანის მსგავსად შეცვლილია არაერთი სახელი – მაგალითად, აიეტის შვილებს ქარისა და აფრასიონი (აფსირტოსის ნაცვლად) ჰქვიათ. მედეა მხოლოდ ამის შემდეგ იბადება. განსხვავებულია, ფრიქსეს კოლხისში მოხვედრის ამბავიც. ოქროს საწმისი რომანის მიხედვით ფრიქსეს ჩამომყვანი ვერძის ოქრომჭედელთა უბანში გატარების

შედეგია. ოქრომჭედელთა უბანი ვანის და, ზოგადად, აიეტის სამეფოს კეთილდღეობის და აყვავებულობის სიმბოლოა.

რომანი სამ ნაწილად იყოფა – „აიეტი“, „უხეირო“ და „ფარნაოზი“. „აიეტში“ სწორედ არგონავტების კოლხისში, აიეტის სამეფოში არგონავტების ჩასვლის და ოქროს საწმისის მოპოვების ამბავია აღწერილი. ზოგად დონეზე ავტორი თითქოს მიჰყვება არგონავტების მითს. ჩანს, რომ კარგად იცნობს აპოლონიოს როდოსელის და ორფიკულ „არგონავტიკას“.

თუმცა მრავალი დეტალი განსხვავებულია. მაგალითად, აფრასიონი (აფსირტოსი) ბავშვობაშივე წინასწარმეტყველებს, რომ მას არგონავტების დევნისას მოკლავენ და ასეც ხდება. მედეა მითოსური ტრადიციის შესაბამისად რომანშიც შელოცვების და ჯადო-წამლების ოსტატია, თუმცა ეს მამიდა ყამარისგან, სრულად ჭილაძისეული პერსონაჟისგან, ისწავლა.

აიეტის სამეფო ოქროს ხანაა, ბედნიერი სივრცეა, აყვავებული და ბედნიერი ქვეყანა. უცხოელის, პირველი ბერძენის ფრიქსეს გამოჩენა აიეტის სამეფოს დაცემის დასაწყისია. სწორედ ამ პერიოდიდან იწყებს ზღვა დაშორებას და უკან-უკან მიდის, შორდება ვანს. ამას თავდაპირველად მხოლოდ მეთევზე ბედია ამჩნევს. ვანი საზღვაო სივრცეა, კლასიკური პოლისის ცხოვრებით ცხოვრობს – მეთევზეობით, ვაჭრობით, ზღვაოსნობით. იქვეა განვითარებული ანტიკურობისთვის კლასიკური „ქართული“ ხელობა – ოქრომჭედლობა. ანტიკური ტრადიცია მითოსურ კოლხისს, ოქროს საწმისის ქვეყანას და, ზოგადად, კავკასიას (მაგალითად, სვანეთს) წარმოადგენდა ოქროს და მეტალების მოპოვების სივრცედ. ოთარ ჭილაძესთანაც ეს ორი ტრადიცია – ბერძნულ-პოლისური და ანტიკურ-ქართული ერთმანეთს ერწყმის და მისი რომანის ვანში იკვეთება.

აიეტის სამეფოს დეკადანსი ოქროს საწმისის გატაცებასთან ერთად შეუქცევადი ხდება. ბედნიერი ხანა დასრულდა. ფრიქსეს შემდეგ უკვე არგონავტების ლაშქრობამ, ოქროს საწმისის გატაცებამ და მედეას გაქცევამ, აიეტის სამეფო, პრაქტიკულად, დაასრულა.

კოლხისში დაბრუნების შემდეგ აიეტს მის მიერ გაძევებული ბიძაშვილის ოყაჯადოს და მისი შვილის ჯარი ამარცხებს, კლავს და მმართველობას ართმევს.

რომანის მეორე და მესამე ნაწილი უფრო მეტად ორიგინალურია და მეტად სცდება ანტიკურ თემატიკას. მოქმედებას ამ ნაწილში ავტორი თითქოს სრულად თავისი მხატვრული ფანტაზიით ავითარებს. მეორე ნაწილის ერთ-ერთი მთავარი მოქმედი პირი, ოყაჯადოს ყოფილი მეზრდოლი უხეიროა.

მთავარი მოქმედი პირი კი მეორე და, განსაკუთრებით, მესამე ნაწილში უხეიროს შვილი ფარნაოზია, რომლის ცხოვრებისეულ ამბავსაც ეძღვნება რომანი. ფარნაოზი,

ისევე, როგორც ნაწარმოების მეორე და მესამე ნაწილის პერსონაჟების აბსოლუტური უმრავლესობა გამოგონილი პერსონაჟია და ანტიკურობასთან საერთო არ აქვს. თუმცა, შესაძლოა, ამ სახელს „ქართლის ცხოვრების“ გავლენა განაპირობებდეს.

საინტერესო პერსონაჟია ინო, ფარნაოზის სიყვარული, რომელიც თემატურად ანტიკურობას არ უკავშირდება, თუმცა სახელი, ინო, ანტიკური მითოსიდან არის აღებული.

მეორე და მესამე ნაწილში მოქმედება კუნძულ კრეტაზეც ვითარდება. მინოსური კრეტა წინარეანტიკური ბერძნული სამყაროსთვის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ადგილს წარმოადგენს. ფარნაოზმა, რომელმაც სამშობლო დატოვა, კრეტაზე, მეფე მინოსის საბრძანებელში აგრძელებს ცხოვრებას. მინოსური კრეტა ოთარ ჭილაძის ინტერესის საგანია და მისი თხრობის კრეტაში განთავსება შემთხვევითი არ არის. კრეტაზე ფარნაოზი ხვდება დედალოსს, იკაროსის მამას, ლეგენდარულ პერსონაჟს.

საერთო ჯამში უნდა ითქვას, რომ ანტიკურობის რეცეფციის კუთხით ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწარმოებია ქართულ ლიტერატურაში. მწერალი მონუმენტურ რომანს ანტიკური მითოსის და ანტიკური კოლხისის გადააზრების საფუძველზე შექმნილ მხატვრულ სივრცეში განათავსებს და საინტერესოდ და ორიგინალურად ახდენს ანტიკურობის გადააზრებას.

ვახტანგ (ვახუშტი) კოტეტიშვილი (1935-2008)

ეკატერინე კობახიძე

ვახუშტი კოტეტიშვილი იყო ცნობილი კრიტიკოსი, ლიტერატურათმცოდნე, მეცნიერი, ფოლკლორისტი, მთარგმნელი და მწერალი.

1959 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი. 1965 წლიდან იყო ამავე უნივერსიტეტის დოცენტი, ირანული ფოლოლოგიის კათედრის ლექტორი და თბილისის კულტურის ინსტიტუტის პროფესორი. 1994 წლიდან ხელმძღვანელობდა ფოლკლორის სამეცნიერო ცენტრს, ხოლო 1995 წლიდან – ხალხური ხელოვნებისა და აღორძინების ცენტრს. იყო ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ეკუთვნის მრავალი სამეცნიერო ნაშრომი სპარსულ ენაზე და მონოგრაფიები ლიტერატურის სხვადასხვა ჟანრში.

თარგმნიდა სპარსულ, გერმანულ, რუსულ და ესპანურ პოეზიას. განსაკუთრებული აღიარება მოუპოვა სპარსული ენებიდან შესრულებულმა: ომარ ხაიამის, ჯამის, ჯაფეზისა და სხვა სპარსელ პოეტთა თარგმანებმა. მიღებული აქვს რამდენიმე, მათ შორის, საერთაშორისო პრემია და ჯილდო – რაინერ მარია რილკეს პოეტურ ციკლთა თარგმანისთვის (1990 წელს პარიზის ქართულ-ევროპული ინსტიტუტის პრემია და 1995 წელს ავსტრიის კულტურისა და ხელოვნების სამინისტროს პრემია. 2007 წელს ირანის სამთავრობო კომისიამ იგი სპარსულიდან ექვს საუკეთესო მთარგმნელთა შორის დაასახელა და საგანგებო სამთავრობო სიგელით დააჯილდოვა. 2005 წელს მიღებული აქვს პრემია „საგურამო“; 2003 წელს – ლიტერატურული პრემია „საბა“, ქართული ლიტერატურის განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის.¹¹⁷⁶

ვახუშტი კოტეტიშვილმა პირველი ლექსი 1954 წელს გამოქვეყნა, ხოლო პირველი თარგმანი – 1958 წელს. მის პოეზიაში საკმაოდ მძლავრად აისახა როგორც აღმოსავლური პოეზიის, ისე ქართული ფოლკლორისა და ზეპირსიტყვიერების მოტივები და ელემენტები. მართალია, ანტიკურობასთან დაკავშირებული მასალა მისი პოეზიის მაგისტრალურ ხაზს არ წარმოადგენს, მაგრამ რამდენიმე ლექსში ამ თემაზე საინტერესო პოეტურ მიგნებებს გვთავაზობს. ვახტანგ კოტეტიშვილის ლექსებში ანტიკურობა ასახავს არა მხოლოდ უნივერსალურ და მარადიულ ღირებულებებთან დაბრუნებას, არამედ ბერძნულ-რომაული სიმბოლოების ახლებურ კონტექსტუალიზაციას და ორიგინალურ ინტერპრეტაციას.

პოეტის მიერ ანტიკურობის აღქმის ერთგვარ გასაღებს წარმოადგენს „სულის და ხორცის სონეტი“:

„ნაქანდაკარი ანტიკური ქალღმერთის ტორსი
სრულყოფილია, თუნდაც იყოს ხელფეხნაკლული,
რადგან სული ქმნის ამ სისრულეს და არა ხორცი“.¹¹⁷⁷

ამრიგად, პოეტისთვის ანტიკურობა სრულყოფილების განსახიერებაა, რომელსაც არა მხოლოდ ფიზიკური ხიბლი, არამედ შინაგანი ჰარმონია განაპირობებს, რასაც პოეტი „სულს“ უწოდებს. პოეტის ეს თვალსაზრისი ერთგვარად ეხმიანება ანტიკურობის ცნობილ კონცეფციას, რომლის მიხედვითაც, ჰარმონია სხეულის და სულის მშვენიერებაში მდგომარეობს. პოეტის აზრით, ანტიკური ქანდაკების სხეულის მშვენიერება მისი სულიერი მშვენიერებითაა განპირობებული.

¹¹⁷⁶ ქართველი პოეტები: ენციკლოპედია. შემდგ.: ალ. ელერდაშვილი. თბილისი, 2021, გვ. 194.

¹¹⁷⁷ ვ. კოტეტიშვილი. სონეტები. თბილისი, 2015, გვ. 22.

რადგან სხვადასხვა პერიოდში დაწერილ ლექსებში პოეტში ხშირად რამდენჯერმე უბრუნდება ერთსა და იმავე სიმბოლოს, ანტიკურობასთან დაკავშირებული მასალა დავაჯგუფეთ არა ქრონოლოგიური, არამედ ე.წ. „თემატური“ პრინციპით.

სისიფოსის ცნობილი მითი ჩნდება 1990 წელს დაწერილ უსათურო ორსტრიქონიან ლექსში ციკლიდან „მრჩობლედები“:

„სიზიფე

ვერ გამიგია, ამ დიდებულ მთასთან ჭიდილი

თქვენს წყლის ნაყვავზე უფრო ფუჭი რატომ გგონიათ?!“¹¹⁷⁸

საინტერესოა, რომ ლოდი, რომელსაც ღმერთების მიერ ჰიბრისისთვის დასჯილი კორინთოსის ცბიერი მეფე სისიფოსი ტარტაროსში მთის მწვერვალისკენ მუდმივად მიაგორებს და ამაო შრომის საყოველთაოდ დამკვიდრებული სიმბოლოა, პოეტს აღქმული აქვს წყლის ნაყვავზე უფრო ღირსეულ, მიზანმიმართულ სწრაფვად, რადგან მთის ციცაბო კალთებზე სვლა, „დიდებულ მთასთან ჭიდილი“ მეტ გამბედაობას და ხასიათის სიმტკიცეს მოითხოვს.

სისიფოსის მითს მეტი დეტალებით პოეტი კვლავ უბრუნდება 2003 წელს დაწერილ ლექსში ციკლიდან „იუმორესკები“ სათაურით „უარი-ორევუარი“:

მქონდა ოდითგან ოცნება ორი -

ოდნავ მბჟუტავი და შორზე შორი.

ვცადე **სიზიფეს** ლოდის ატანა

მაგრამ სიბერემ მითანდათანა,

და გავისტუმრე ორივ უარით

თავაზიანი „ორევუარით“.¹¹⁷⁹

სისიფოსის შრომა ლექსში პოეტს აღქმული აქვს საკუთარი აუხდენელი ოცნებისთვის გაწეული შრომის სიმბოლოდ. ლექსიდან ჩანს, რომ სისიფოსისგან განსხვავებით, რომელიც იძულებულია უკან დაგორებული ლოდი კვლავ აიტანოს

¹¹⁷⁸ ვ. კოტეტიშვილი. ლექსები. ხელმისაწვდომია ონლაინ: <https://www.aura.ge/101-poezia/14664-vaxushti-kotetishvili--mrchobledebi.html> ბოლო ნახვა: 10.10.2024.

¹¹⁷⁹ ვ. კოტეტიშვილი. ლექსები. ხელმისაწვდომია ონლაინ: <https://poetry.ge/poets/vakhushti-kotetishvili/poems/1408.iuioreskebi.htm> ბოლო ნახვა: 10.10.2024.

მწვერვალზე, პოეტი საკუთარი სურვილით მიისწავოდა მიუღწეველი მიზნისაკენ და რომ არა სიბერე, განაგრძობდა ამ ოცნებისკენ ჯიუტ, თუმცა კი ფუჭ სვლას. ახლა ამაზე უარის – „ორეუარის“ თქმა უწევს, რასაც იგი ერთგვარი სინანულითა და ირონიით გამოთქვამს.

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ სისიფოსის მითი პოეტის ცხოვრებისეული კრედოს ერთგვარი ირონიული შეფასებაა. პოეტი საკუთარ თავს აღიქვამს სისიფოსად, რომელიც მუდმივად მიისწრაფვის მწვერვალისკენ, სადაც საკუთარი, თუნდაც მიუღწეველი ოცნება ეგულება.

კინიკოსი ფილოსოფოსი დიოგენე ნახსენებია პოეტის უსათაურო ლექსში („სულ დიოგენედ ვიქეცი“) ციკლიდან „წუთისოფლისანი“:

„სულ დიოგენედ ვიქეცი,
არ ვცვლი ცხოვრების წესს,
ის, რაც თქვენ ქვენა გგონიათ,
მე იმაში ვჭვრეტ ზეს.
ამ კასრში, ჩემო მპოვნელო,
ნუ გაგაოცებს ეს.
გაიწი, მაკედონელო,
ნუ დამიჩრდილავ მზეს!“¹¹⁸⁰

როგორც ცნობილია, სინოპელი ფილოსოფოსი დიოგენე ცნობილი იყო თავისი უცნაურობებით, რამაც მის შესახებ არაერთი ანეკდოტის შექმნას დაუდო სათავე. სიღარიბის სიქველედ შემრაცხავი მაწანწალა ცხოვრებას ამჯობინებდა და ღამეს ბაზრის მოედანზე დიდ პითოსში თუ ცარიელ კასრში ათევდა.¹¹⁸¹ მაკედონელის ხსენებისას პოეტი გულისხმობს დიოგენესა და ალექსანდრე მაკედონელის შეხვედრის ცნობილ ეპიზოდს, რომელიც პლუტარქოსს „პარალელური ბიოგრაფიების“ „ალექსანდრეს ცხოვრებაში“ აქვს ნახსენები. მოვიყვანთ ამ მონაკვეთის თარგმანს: „ახლა კი ბერძენთა საერთო კრება გაიმართა ისთმუსში, სადაც კენჭისყრით გადაწყვიტეს ალექსანდრესთან ერთად სპარსეთის წინააღმდეგ ლაშქრობის მოწყობა და იგი მათ წინამძღოლად გამოცხადდა. ამის შემდეგ მრავალი სახელმწიფო მოღვაწე და ფილოსოფოსი მივიდა მასთან მილოცვით და ის ელოდა, რომ კორინთოსში მყოფი დიოგენე სინოპელიც ანალოგიურად მოიქცეოდა. მაგრამ

¹¹⁸⁰ ვ. კოტეტიშვილი. ლექსები. ხელმისაწვდომია ონლაინ: <https://www.aura.ge/101-poezia/4695-vaxushti-kotetishvili--ciklidan-tsutisoflisani.html> ბოლო ნახვა: 10.10.2024.

¹¹⁸¹ W. Desmond. Cynics. Berkeley, Los Angeles, 2008, გვ. 21.

რადგან ამ ფილოსოფოსმა ოდნავადაც არ მიაქცია ყურადღება ალექსანდრეს და განაგრძო დასვენება გარეუბან კრანიონში, ალექსანდრე პირადად წავიდა მის სანახავად; და იპოვა იგი მზეზე მწოლიარე. დიოგენე ოდნავ წამოდგა, როცა დაინახა მისკენ მომავალი ამდენი ადამიანი და ალექსანდრეს მიაპყრო თვალები. და როდესაც მეფემ მიმართა მას მისალმებით და ჰკითხა, უნდოდა თუ არა რამე, დიოგენემ უპასუხა: დიახ, ცოტა მოშორდით ჩემს მზეს. ამბობენ, რომ ალექსანდრე იმდენად გაოცებული იყო ამით და იმდენად აღფრთოვანებული იყო ამპარტავნობითა და სიდიადით ამ კაცისა, რომელიც ალექსანდრეს მიმართ მხოლოდ ზიზღის გარდა არაფერს გრძნობდა, რომ უთხრა საკუთარ თანხმლებ პირებს, რომლებიც წასვლისას იცინოდნენ და ხუმრობდნენ ფილოსოფოსზე: „ჭეშმარიტად, მე რომ არ ვიყო ალექსანდრე, ვიქნებოდი დიოგენე“ (Plut. Vit. Alex, 14. 1-5).

ლექსიდან ირკვევა, რომ პოეტი, საკუთარი ცხოვრების წესიდან და „ძლიერთა ამა ქვეყნისა“ მიმართ დამოკიდებულებიდან გამომდინარე, ბევრ საერთოს პოულობს დიოგენესთან. მისი ცხოვრებისეული კონცეფცია კარგად ჩანს „მიწის სონეტში“:

„ურჩობა ბედის რჩეულთათვის რომელ ერთს შერჩა,
მაკედონელებს, რამზესებს თუ ასარგადონებს?“¹¹⁸²

„მაკედონელები“ ლექსში უდიდესი ძალაუფლების მქონეთა მეტაფორაა, რომლებიც „დიოგენეებს“ არაფრად მიაჩნიათ, რადგან კარგად ესმით, რომ ბედისწერა არავის დაინდობს.

საინტერესოა, რომ სიცოცხლის ბოლო წლებში დაწერილ ლექსებში, რომლებიც კრებულში „სონეტები“ დაისტამბა, პოეტი ისევ უბრუნდება დიოგენეს თემას და „სიბერის სონეტის“ ბოლო სტრიქონებში საკუთარ თავზე წერს:

„შენა ხარ მხოლოდ დიოგენეს ფუტურო კასრი,
რომელშიც უკვე დიოგენე აღარ ბინადრობს.
აღარ გაწუხებს აღარცერთი ძველი ჭრილობა
და ეუფლება შენს სულს სრული უსურვილობა“.¹¹⁸³

პოეტი ორიგინალურად და ემოციურად აღწერს სიცოცხლის მიწურულს ადამიანის ფიზიკური ძალების, ბრძოლის უნარის დაშრეტას. წინა ლექსთან ერთ კონტექსტში, მართლაც, უფრო გასაგები ხდება ალექსანდრე დიდის არაფრად

¹¹⁸² ვ. კოტეტიშვილი, სონეტები. თბილისი, 2015, გვ. 22.

¹¹⁸³ ვ. კოტეტიშვილი, სონეტები. თბილისი, 2015, გვ. 2.

ჩამგდები კინიკოსი დიოგენედან „დიოგენეს ფუტურო კასრამდე“ ტრანსფორმაციის ემოციური, ერთგვარად ირონიული მხატვრული დატვირთვა.

ამავე სონეტში ვახუშტი კოტეტიშვილი **ანტიკურ ჰადესთან** დაკავშირებულ რამდენიმე პოეტურ სახეს წარმოადგენს: ახსენებს მენავე ქარონს, მდინარე ლეთეს. საყურადღებოა, რომ სონეტების კრებულის წინასიტყვაობის მეორე გვერდზე აღნიშნულია, რომ ამ სონეტების გაერთიანება შესაძლებელია პირობითი სათაურით „ფიქრები ლეთეს ნაპირზე“.¹¹⁸⁴ მართლაც, მდინარე ლეთე და ანტიკურ ჰადესთან დაკავშირებული სხვა ტერმინები კოტეტიშვილის სონეტებში საკმაოდ ხშირად გვხვდება:

„სულმა სხეული გამოფიტა და ტვინიც გახმა,
და უქმად ყოფნაც აღარ არის უკვე ადვილი.
ლეთესთან დგახარ, მაგრამ **ქარონს** არ უნდა გაღმა
შენი გაყვანა, რადგან ნავში არ აქვს ადგილი.
დრო აღარ მიდის და რატომღაც არც შენ მიდიხარ,
ქვეყნად არავის ენადვლები, არ ენატრები.
გრძნობ, ზედმეტი ხარ და ყველაფერს ანარიდი ხარ
და ხსოვნას ეკრანს ეცრიცება ბნელი კადრები.
ხვდები, რომ ქვეყნად აღარაფერს არა აქვს აზრი,
რაზე იფიქრო, რა ისურვო ან რა ინატრო?“¹¹⁸⁵

სიკვდილის მოლოდინის მეტაფორულად გადმოცემისათვის პოეტი ანტიკური ჰადესის მითოლოგიურ სიმბოლოებს იშველიებს. ნახსენებია ჰადესის ერთ-ერთი მდინარე ლეთე, რომლის წყალსაც გარდაცვლილი სულები სააქაო ცხოვრების დასავიწყებლად სვამენ,¹¹⁸⁶ ლექსში საიქიოსა და სააქაო სამყაროთა შორის საზღვრად აქვს წარმოდგენილი. ბერძნული მითოლოგიის მიხედვით, ამ ფუნქციას არა ლეთე, არამედ აქერონი ასრულებს.¹¹⁸⁷ სწორედ აქერონში ხვდება გარდაცვლილთა სულებს მენავე ქარონი, რომელსაც ისინი მდინარეზე გადაჰყავს. ლექსში ქარონს ნავში ადგილი არა აქვს პოეტისათვის, რაც იმას აღნიშნავს, რომ მისი გარდაცვალების დრო ჯერ არ დამდგარა. ქარონის მიერ საკუთარ ნავში ჩასმაზე უარი გარკვეულ მიმართებებს პოულობს ვერგილიუსის „ენეიდას“ ერთ-ერთ ეპიზოდთან, სადაც

¹¹⁸⁴ ზ. აბზიანიძე. სონეტი როგორც გვირგვინი. წიგნში: ვ. კოტეტიშვილი. სონეტები. თბილისი, 2015.

¹¹⁸⁵ ვ. კოტეტიშვილი. სონეტები. თბილისი, 2015, გვ. 2.

¹¹⁸⁶ D. Sacks, O. Murray, L. R. Brody. Encyclopedia of the Ancient Greek World. New York, 2014, გვ. 12.

¹¹⁸⁷ D. Sacks, O. Murray, L. R. Brody. Encyclopedia of the Ancient Greek World. New York, 2014, გვ. 12.

განრისხებული მენავე ენეასს უარს ეუბნება ჰადესში გადაყვანაზე, რადგან იგი ცოცხალია (Verg. Aen. 6. 384-416).

პოეტის მიერ ბერძნული მითში აქერონის ჩანაცვლება მდინარე ლეთეთი შეიძლება აღვიქვათ მითის თავისუფალ ინტერპრეტაციად, სადაც ლეთე, როგორც დავიწყების მდინარე, აღიქმება ერთგვარ საზღვრად საიქიოსა და სააქაოს შორის. საინტერესოა, რომ ვერგილიუსიც „ენეიდაში“ მდინარე აქერონის ნაცვლად ამ ფუნქციას მდინარე სტიქსს ანიჭებს (Verg. Aen. 6. 384-385).

მდინარე ლეთე და ჰადესი კვლავ ჩნდება პოეტის სხვა, „სიკვდილის სონეტში“:

„სიცოცხლის წყლები დღეს რასაც ჰქვია,
ყველანი **ლეთეს** ტალღებს ერთვიან [...]
შემაცნობინეთ ბნელი **ჰადესი**,
სააქაოზე უდიადესი“.¹¹⁸⁸

სიმშვიდის მოპოვების და სიკვდილთან ზიარების სურვილის გამო პოეტი ბნელ ჰადესს სააქაოზე „უდიადესად“ მიიჩნევს, რადგან ხანმოკლე სიცოცხლეს გარდაუვალი სიკვდილი მოსდევს – სიცოცხლის ყველა მდინარე ბოლოს ლეთეს ერთვის. ლეთე, როგორც ეს სხვა სონეტებშიც ვნახეთ, პოეტს სიკვდილის სიმბოლოდ აქვს წარმოდგენილი.

მდინარე ლეთე კვლავ ჩნდება „**ნამცევობის სონეტში**“, სადაც პოეტს „ქვეყნიდან გუდა-ნაზადის აკრეფამდე“ სურს გამართოს „სულის სუფრის ნამცევობა“ და საკუთარი ლექსებით გაუმასპინძლდეს:

„ასე მთლიანად ჩამოვიხსნა ცხოვრების ტვირთი.
არ დავიტოვო თუნდაც საგზლის მცირე მარაგი,
ვიდგე **ლეთესთან**, რომლის ტალღას არც ეთქმის ზვირთი
(ჰაი დედასა! მლეთასთან რომ მოჰყევს არაგვი!)“¹¹⁸⁹

სიტყვების თამაშზე დაფუძნებულ ლექსში (ლეთე-მლეთა) ლეთე პოეტს კვლავ წარმოუდგენია საიქიოსა და სააქაოს გამყოფ მდინარედ, რომლის ტალღები დუნედ მიედინება („რომლის ტალღას არ ეთქმის ზვირთი“), განსხვავებით სააქიოს მდინარისგან – „მლეთასთან რომ მოჰყევს არაგვი“.

¹¹⁸⁸ ვ. კოტეტიშვილი. სონეტები. თბილისი, 2015, გვ. 8.

¹¹⁸⁹ ვ. კოტეტიშვილი. სონეტები. თბილისი, 2015, გვ. 37.

სულების საიქიოში გადამყვან ქარონს პოეტი კიდევ ერთხელ ახსენებს „გზის სონეტის“ ერთ მონაკვეთში:

„სიცოცხლე გზაა, სიკვდილი კი ამ გზის შედეგი,
ადრე თუ გვიან ჩვენ იქ უნდა დავცეთ ბანაკი.
არსთა გამრიგემ თუკი ბრძანა: – აბა, შემდეგი! –
გიხმობს ქარონის ქარავანის ზარ-ზანზალაკი..
იქ, სამსჯავროზე შენ განგსჯიან იმის მიხედვით,
თუ ცხოვრებაში სად კი არა, როგორ მიხვედი?!“¹¹⁹⁰

საინტერესოა, რომ პოეტი ქარონს ამჯერად მას არა მენავედ, არამედ ქარავანბაბაშად წარმოადგენს, რომელიც ჰადესისკენ მიუძღვება გარდაცვლილთა სულებს, როგორც კი „არსთა გამრიგე“ გადაწყვეტს ადამიანის ყოფნა-არყოფნის საქმეს.

ანტიკურ ჰადესთან დაკავშირებული კიდევ ერთი პასაჟი ნახსენებია „საითკენხედვის სონეტში“, რომელიც ეძღვნება ცნობილ მითს ორფეოსისა და ევრიდიკეს შესახებ:

„ჭაბუკო ორფევს, რატომ დგახარ განაკვირვები?
რას ნიშნავს შენი შებრუნება და შეჩერება?
რატომ ირწმუნე პანთეონის დანაპირები,
წარმართულ ღმერთებს განა რამე დაეჯერებათ?!
რატომ ჩახვედი ევრიდიკეს დასაბრუნებლად,
რად შეაწუხე თვით ჰერმესი, მისი მხლებელი?
იგულმაღიწყე წარმავალი კაცის ბუნება
და გულუბრყვილოდ მოინდომე შეუძლებელი.
მე ვინც მაკლია, ქვეყნად მათი გზა-კვალი არ ჩანს,
და მათ სამებრად არ ღირს მთა-ბარს მოდება,
რადგანაც ყველა, სიცოცხლეში ვინც უკან დამრჩა,
ახლა, მიღმიურ ცხოვრებაში, წინ მელოდება.
და იმის ნაცვლად, რომ მეჩივლა, ანდა მედავა,
ამაქვეყნიდან მივალ უკანმოუხედავად“.¹¹⁹¹

¹¹⁹⁰ ვ. კოტეტიშვილი. სონეტები. თბილისი, 2015, გვ. 25.

¹¹⁹¹ ვ. კოტეტიშვილი. სონეტები. თბილისი, 2015, გვ. 48.

ლეგენდარული მუსიკოსი ორფეუსი, რომელიც, ბერძნული მითის მიხედვით, ქორწინების დღეს გველის ნაკბენისგან გარდაცვლილი მეუღლის უკან დასაბრუნებლად ჩავიდა ჰადესში, მომაჯადოებელი სიმღერით მოახერხებს ქვესკნელის მბრძანებლის მოხიბლვას და ევრიდიკეს სულის უკან გამოთხოვას ერთი პირობით – იგი წინ უნდა გაუძღვეს ევრიდიკეს აჩრდილს და უკან არ მოიხედოს. ორფევსმა ვერ დასძლია ცნობისმოყვარეობა და უკან მოიხედა. ევრიდიკეს აჩრდილი გაქრა და ორფევსმა უკვე ვეღარ შეძლო ხვეწნა-მუდართ ჰადესის გულის მოლბობა და სამუდამოდ დაკარგა მეუღლე.¹¹⁹² სონეტში პოეტი ორფევსის ამ სურვილს ადამიანის ბუნების წინააღმდეგ წასვლის ფუჭ მცდელობად აღიქვამს და ფიქრობს, რომ გულუბრყვილო პოეტს არც წარმართული ღმერთების ნდობა უნდა ჰქონოდა და საკუთარი აღსასრულის ჟამს დალოდებოდა სატრფოსთან შესაერთებლად. აქვე ნახსენები ღმერთი ჰერმესი, სულთა გამყოლი საიქიოში, რომელიც ორფევსმა „შეაწუხა“. განსხვავებით ორფევსისგან, პოეტი მზადაა ყოველგვარი დავისა და ჩივილის გარეშე „უკანმოუხედავად“ ჩავიდეს საიქიოში.

„მადრევნის სონეტში“ პოეტი ფილოსოფიურად განიხილავს სიცოცხლის წრებრუნვას და ბუნების კანონზომიერებათა მარადიულობას. ლექსის დასკვნით სტროფებში ავტორი წერს:

„ასე სრულდება სურვილების ბრუნვა წრიული,
მას ვერვინ შეცვლის, ამაოა ყველა მცდელობა.
დროებითია ფრენა, ქვეყნად მარადიული
არის მარტოდენ დედამიწის მიმზიდველობა.
რა ბედი სწია, გახსოვს ზეცამ ჭაბუკ იკაროსს?!
მისი წესია, მიწიერი არ მიიკაროს!“¹¹⁹³

როგორც ვხედავთ, ვახუშტი კოტეტიშვილის ლექსში სრულიად შეცვლილია ბერძნული მითის მთავარი გზავნილები. მითის მიხედვით, გენიალური გამომგონებელი დედალოსი და მისი ვაჟი კრეტის მეფე მინოსის სატუსალოდან დედალოსის მიერ შექმნილი ფრთებით ცდილობენ გაფრენას. იკაროსი იღუპება, რადგან ის ფრენისას ზედმეტად უახლოვდება მზეს, რომელიც ფრთების ბუმბულების შემაკავშირებელ ცვილს დაადნობს. იკაროსის სიკვდილის მიზეზი, მკვლევართა აზრით, მისი ჰიბრისია,¹¹⁹⁴ რომელმაც დედალოსის ვაჟს დაავიწყა

¹¹⁹² R. Graves. The Greek Myths. Vol. 1. Ch. 28, “Orpheus”. London, 1955, გვ. 115.

¹¹⁹³ ვ. კოტეტიშვილი. სონეტები. თბილისი, 2015, გვ. 15.

¹¹⁹⁴ S.-C. Man. Instances of Death in Greek Tragedy. Newcastle upon Tyne, 2020, გვ. 147.

საკუთარი ადამიანური შესაძლებლობები. ვახუშტი კოტეტიშვილის სონეტში იკაროსი არა ჰიბრისის, არამედ ბუნების კანონზომიერების – დედამიწის მიზიდულობის ძალის მსხვერპლია. პოეტის მიერ მითის ამგვარი ინტერპრეტაცია უნდა გავიგოთ არა როგორც ბერძნული მითის ძირითადი გზავნილის ერთგვარი „გაუბრალობა“ თუ მატერიალიზაცია, არამედ ლექსის ძირითად სათქმელთან ადაპტაცია, რომლის მიხედვით, „მარადიული არის მარტო დედამიწის მიმზიდველობა“.

თვალსაზრისთა პირობითობაზე მსჯელობისას „**დღევანდულობის სონეტში**“ პოეტი განიხილავს ამ „ფარდობითობის“ კონკრეტულ მაგალითებს და მათ შორის-ანტიკურობიდან:

„რომელთათვის **ჰანიბალი** კანიბალია,
კართაგენისთვის – ბელადი და დიდი სარდალი“. ¹¹⁹⁵

სიტყვების თამაშზე დაფუძნებულ ლექსში (ჰანიბალი-კანიბალი) პოეტი ახსენებს მეორე პუნიკური ომის სახელგანთქმულ გენერალს, კართაგენელ ჰანიბალს, რომელმაც ალპების გავლით იტალიაზე მოულოდნელი თავდასხმით შიში მოჰგვარა რომაელებს და მათი სამხედრო ძალები თითქმის სრულად გაანადგურა. ¹¹⁹⁶

„**ბუნების სონეტში**“ კაცობრიობის უმწეობას ბუნების ძალების წინაშე პოეტი კონკრეტული მაგალითებით წარმოაჩენს:

„და იმარხება ქვესკნელების წიად ცივილიზაციები და
კულტურები ავლა დიდებით,
მას კი არაფრად მიაჩნია ჩვენი ტკივილი -
ჰერკულანუმი, პომპეა თუ ატლანტიდები“. ¹¹⁹⁷

79 წლის 24 აგვისტოს ვეზუვის ლავის ქვეშ დამარხული რომაული ქალაქები პომპეი და ჰერკულანუმი და პლატონის „კრიტიასში“ მოთხრობილი ამბავი ატლანტისის ცივილიზაციის განადგურების შესახებ მათი მკვიდრების ჰიბრისის გამო (Pl. Criti, 17A-27B), პოეტს ადამიანის, ბუნების ამ „უძლები შვილის“ ბუნების მიერ დასჯის მაგალითებად მიაჩნია.

¹¹⁹⁵ ვ. კოტეტიშვილი. სონეტები. თბილისი, 2015, გვ. 38.

¹¹⁹⁶ J. Prevas. Hannibal Crosses the Alps: The Invasion of Italy and the Punic Wars. 2001.

¹¹⁹⁷ ვ. კოტეტიშვილი. სონეტები. თბილისი, 2015, გვ. 16.

საინტერესოა, რომ ქალაქ ჰერკულანუმს პოეტი სხვა კონტექსტშიც ახსენებს უფრო ადრე დაწერილ უსათაურო ლექსში („მე მგონი არაფერია“):

„მე მგონი არაფერია
გასაოცარი ამაში,
რომ მაინც ხარობს ლექსის ხე
ჩვენი დროების გვალვაში.
ამომეყრება ლექსები,
როგორც თონიდან ლავაში,
ვარ როგორც ჰერკულანუმი
ლექსის ვულკანის ლავაში“.¹¹⁹⁸

როგორც ვხედავთ, პოეტი ვულკანის ლავას ლექსს ადარებს, ხოლო საკუთარ თავს, როგორც პოეტს – ქალაქ ჰერკულანუმს, რომელიც ამ ლავის ქვეშ დაიმარხა.

საგანგებო აღნიშვნის ღირსია ის ფაქტი, რომ პოეტი განსაკუთრებით ხშირად და საკმაოდ ორიგინალურად იყენებს ტროას ომთან დაკავშირებულ სიუჟეტებს.

მაგალითად, ლექსში „ტროას სონეტი“ პოეტი ტროას დაღუპვის მიზეზებზე – პარისის სამსჯავროზე საუბრობს:

„ვიხსენებ მითებს, იწყებოდა ახალი ერა
კაცობრიობის და ამ სურათს ვერაფრით წაშლი.
სამი ქალღმერთი: აფროდიტე, ათინა, ჰერა -
ეს სამი ევა და მათ შორის სადავო ვაშლი...

პირისპირ მდგარი დაბნეული ნორჩი პარისი...
ტროა, ქცეული სამუდამო ლაქად თუ დაღად.
აწ რომელი დგას ნეტავ რიგში: რომი, პარიზი,
ფილადელფია თუ მოსკოვი, ვენა თუ პრაღა?

ვის ელის ახლა ისტორიის მსახვრალი ტორი,

¹¹⁹⁸ ხელმისაწვდომია ონლაინ:

<https://sites.google.com/site/literaturulitsre/%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%9B%E1%83%AC%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%90/%E1%83%95%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%A3%E1%83%A8%E1%83%A2%E1%83%98-%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%A8%E1%83%95%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%98> ბოლო ნახვა: 10.10.2024.

ვინ განიცადოს, აწ რომელმან წალკოტმან შლილმან?..
იქნება, ეს დღე, ავბედითი, არც არის შორი.
თქვენი გუმანი რას გკარნახობთ, ბატონო შლიმან?

დღეს მითიურზე ბევრად უფრო საშიში დროა,
ნუთუ არაფერს გვეუბნება ეს სიტყვა: **ტროა?!¹¹⁹⁹**

პოეტური თვალსაზრისით საკმაოდ საინტერესოა პარისის სამსჯავროს სამი ქალღმერთის: აფროდიტეს, ჰერას და ათენას გაიგივება „სამ ევასთან“. ამ მეტაფორის საფუძველი ისევ ბერძნულ მითში უნდა ვეძიოთ – განხეთქილების ოქროს ვაშლის, რომელსაც, „ყველაზე ლამაზს“ დააწერა განხეთქილების ქალღმერთმა ერისმა, ხელში ჩაგდების სურვილით შეპყრობილი ქალღმერთები პოეტმა დაუკავშირა ბიბლიურ ნარატივში ედემის ვაშლით ცდუნებაში ჩაგდებულ ევასთან. ორივე შემთხვევაში ვაშლის დასაკუთრებას კატასტროფული შედეგები მოჰყვება – პირველ შემთხვევაში ინგრევა ტროა, ხოლო მეორე შემთხვევაში, ადამი და ევა, მათ კვალდაკვალ კი მთელი კაცობრიობა პირველქმნილი ცოდვის გამო ისჯება. საინტერესოა ტროას დაცემის ავტორისეული შეფასება: „ტროა, ქცეული სამუდამო ლაქად თუ დაღად“, რაც ტროას დანგრევის, როგორც მოვლენის, თუ შეიძლება ითქვას, ვერგილიუსისეულ შეფასებებთან უფრო ახლოა, ვიდრე ელინურ მითოლოგიურ აღქმასთან.

ტროას დანგრევა პოეტს სხვა მოსალოდნელი კატასტროფების, სხვა ცივილიზაციებისა და ქალაქების განადგურების ერთგვარ სიმბოლოდ მიაჩნია. მისი აზრით, „დღეს მითიურზე ბევრად უფრო საშიში დროა“ და ტროას დანგრევის მსგავსად, ეს მოსალოდნელი კატაკლიზმები შეიძლება გამოიწვიოს რომელიმე „ოქროს ვაშლის“ დასაკუთრების სურვილმა. ლექსში ასევე ჩანს ბერძნული მითების მიხედვით, ტროას ომის მთავარი დამნაშავე – ტროელი უფლისწული ქალღმერთების „პირისპირ მდგარი დაბნეული ნორჩი პარისი“, რომელიც აქ განასახიერებს ერთგვარ ადამს, რომელიც სხვათა სურვილების მსხვერპლია.

პოეტი სხვა ლექსებშიც ახსენებს ტროას ციკლის სხვა მითებსაც – მაგალითად, ლექსში „**ჩემს შვილს ტატოს**“, რომელიც ეძღვნება ემიგრაციაში გარდაცვლილ ვაჟს, კინორეჟისორ ტატო კოტეტიშვილს, პოეტი წერს:

„აი, ეს არის «**ოდისეა**» ჩვენი ცხოვრების,
რომელიც თურმე ბევრად უფრო მოკლე აღმოჩნდა,

¹¹⁹⁹ ვ. კოტეტიშვილი. სონეტები. თბილისი, 2015, გვ. 15.

ვიდრე ჰომეროსს ეთქმევინა. და კინო-ფირი,
რომელსაც თურმე «ნოსტალგია არარსებულზე»
უნდა რქმეოდა, შესაძლოა, რომ უცებ გაწყდეს
მანამდე, სანამ «დასასრული» დაეწერება“.¹²⁰⁰

ჰომეროსის „ოდისეას“ ძირითადი მოტივის, შინ დაბრუნების იდეით გამსჭვალული ლექსის ძირითადი სათქმელი გარდაცვლილის სულის შინ დაბრუნების თემაა. ლექსში პოეტის ვაჟი სიკვდილის შემდეგ შინ დაბრუნებული ოდისეესია:

„ის, ვისაც ვტირით, იქ ხომ მხოლოდ სხეული გდია,
იმისი სულის სამოსელი, გამონაცვალი.
თავად სული კი დაუბრუნდა მშობლიურ სივრცეს.
თავად სული კი დაუბრუნდა მშობლიურ სივრცეს)“.¹²⁰¹

ციკლში „ეროტი“, რომელიც სასიყვარულო ლექსებს აერთიანებს, პოეტი რამდენიმე ლექსში ახსენებს ეროსს, სიყვარულის ღვთაებას, რომელსაც ერთგან ორსახოვანი ნიღბებით მორთულ ვნებას უწოდებს. ეროსის ნიღბების მნიშვნელობა ლექსში ნაწილობრივ განმარტებულია. ერთ-ერთი ნიღაბი, პოეტის აზრით, განასახიერებს დაუფარავ გრძნობას, „უძღებ ლტოლვას“, ფარულ ვნებას, „მალულ და ნაპარავ ცოდვას“:

საწოლზე ლოგინს აწეწს ეროტი,
და ორსახოვან ნიღბებით ირთვის,
მამაკაცია ოდნავ მელოტი,
ქალი – ახლახანს გაშლილი კვირტი.
მამაკაცია ვიღაცის ქმარი,
ქალი კი ალბათ ვიღაცის ცოლი.
ლტოლვა უძღები და არა მკმარი
არის მიზნისკენ მსხლტომი და მჭოლი.
ჩანაოჭდება წიაღის ფარდა,
ბნელში ჩასახვას ღამობს ნაყოფი,

¹²⁰⁰ ვ. კოტეტიშვილი. ლექსები. ხელმისაწვდომია ონლაინ: <https://www.aura.ge/101-poezia/14659-vaxushti-kotetishvili--shin-dabruneba.html> ბოლო ნახვა: 10.10.2024.

¹²⁰¹ ვ. კოტეტიშვილი. ლექსები. ხელმისაწვდომია ონლაინ: <https://www.aura.ge/101-poezia/14659-vaxushti-kotetishvili--shin-dabruneba.html> ბოლო ნახვა: 10.10.2024.

და ეჩვენებათ, რომ იმათ გარდა,
იქ ჯერ არავინ არის ნამყოფი.

ბოლოს კვლავ ნიღაბს მოირგებს ვნება,
რომ არ შეიცნოს ქვეყნად არავინ
და სადღაც ჩუმი სიამით დნება
ცოდვა მალული და ნაპარავი.¹²⁰²

ამ კონტექსტში საინტერესოდ მეჩვენება პლატონის „ნადიმში“ პავსანიასის აზრი 2 აფროდიტესა და 2 ეროსის არსებობის შესახებ (Pl, Symp.180 c-185 c), რომლის მიხედვითაც, არსებობს ციური აფროდიტე და მიწიერი აფროდიტე. შესაბამისად, არსებობს ღვთაებრივი და მიწიერი ეროსიც. „ეროსი მიწიერი აფროდიტესი მართლაც რომ მიწიერია და აღვირახსნილი. სწორედ ეს ეროსი მეფობს ბიწიერ კაცთა შორის, რომელნიც განურჩევლად ეტრფიან როგორც დიაცებს, ისე ყრმებსაც, ხოლო ვისაც ეტრფიან, მასში სხეული უფრო ხიბლავთ მისი, ვიდრე სული. თავისი სიყვარულის საგანს ისინი ყველაზე უფრო თავქარიან არსებათა შორის ირჩევენ და, თუ ვნება დაიცხრეს, ნაკლებად დაგიდევენ, კანონიერის გზით მიაღწიეს ამას თუ არა. ამიტომაც ყველაფერს რომ კისრულობენ ისინი და ნაკლებად არჩევენ კარგსა და ავს. რადგან ეს სიყვარული მიწიერი აფროდიტესგან მომდინარეობს, რომელიც მეორე ქალღმერთზე უმრწემესია და ამასთან ორი საწყისის – მდედრობითის და მამრობითის ნაშიერი“.¹²⁰³ შესაბამისად, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ლექსში წარმოდგენილი ეროსი შეიძლება აღვიქვათ, როგორც მიწიერი ეროსი და მის მიერ მორგებული ნიღაბი

ამ ციკლის მეორე უსათაურო ლექსშიც („სანამ ჩვენს შორის ჩადგებოდა უცხო ეროტი“) ჩანს „უცხო ეროტი“, რომელსაც ვახუშტი კოტეტიშვილი უარყოფითი, ყალბი გრძნობის სიმბოლოდ იყენებს, ეს ირონული, „უიერო“ ღვთაება სულს უხუთავს გამიჯნურებულ პოეტს:

„სანამ ჩვენს შორის ჩადგებოდა უცხო ეროტი
ირონიული სახით, თითქმის უიეროთი,
როგორ მიყვარდი, როგორ გგრძნობდი, მწამდი, მჯეროდი,
ჩემი მეგონე საიმიერ-ამიეროთი . . .
და როცა საფრთხეს არსაიდან აღარ ველოდი,
თურმე თვალებზე ჩრდილს მაფენდი წამწამთ ჩეროთი.

¹²⁰² ვ. კოტეტიშვილი. ლექსები. ხელმისაწვდომია ონლაინ: <https://www.aura.ge/101-poezia/11256-vaxushti-kotetishvili--ciklidan-eroti.html> ბოლო ნახვა: 10.10.2024.

¹²⁰³ პლატონი. ნადიმი. ძველი ბერძნულიდან თარგმნა ბ. ბრეგვაძემ. თბილისი, 2019, გვ. 9.

თურმე ჩვენს შორის უკვე იდგა **უცხო ეროტი**
და მიხუთავდა სულს ჰაერით უეთეროთი.
მაინც მიყვარდი, მაინც მწამდი, მაინც მჯეროდი . . .“

როგორც ვხედავთ, ვახუშტი კოტეტიშვილის სხვადასხვა პერიოდში დაწერილ ლექსებში საკმაოდ ხშირად გვხვდება ანტიკურობასთან დაკავშირებული სხვადასხვა ხასიათისა და შინაარსის მასალა. ვახუშტი კოტეტიშვილი თავისუფლად, იმპროვიზაციულად ეპყრობა ანტიკურობასთან დაკავშირებულ ტერმინებს, ხშირად ცვლის ანტიკური მითების ძირითად სათქმელს, ქმნის ახალ სიმბოლოებს, მეტაფორებს და ზოგიერთ შემთხვევაში – რეცეფციასაც. ანტიკურობასთან დაკავშირებული მასალა ორგანულად ერწყმის ლექსის ძირითად გზავნილებს და მათ პოეტი მოქნილად არგებს საკუთარ პოეტურ სათქმელსა და ჩანაფიქრს.

გურამ დოჩანაშვილი **(1939-2021)**

ეკატერინე კობახიძე

თბილისის ვაჟთა პირველ სკოლაში სწავლისას გურამ დოჩანაშვილი თანაკლასელებიდან განსაკუთრებით დაუახლოვდა ეროვნული მოძრაობის მომავალ ლიდერებს: მერაბ კოსტავას, ზვიად გამსახურდიას, ჯონდო მეტრეველს, თამაზ გუნჯუას, თემურ ცერცვაძესა და გურამ ცეცხლაძეს და ჩაერთო არალეგალურ ანტისაბჭოთა ორგანიზაცია „გორგასლიანის“ საქმიანობაში. 1956 წელს სუკმა „გორგასლიანის“ წევრები დააპატიმრა, სასამართლომ ყველას სამწლიანი პატიმრობა შეუფარდა, თუმცა შემდეგ პირობითი მსჯავრით შეუცვალა. 1957 წელს გურამ დოჩანაშვილმა ექსტერნად დაასრულა თბილისი 61-ე საშუალო სკოლა და მუსიკალური სასწავლებლის ვიოლინოს კლასი, იმავე წელს ჩაირიცხა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე. სწავლის პარალელურად მომავალი მწერალი მონაწილეობას იღებდა არქეოლოგიურ გათხრებში და უკრავდა უნივერსიტეტის სტუდენტთა ორკესტრში. უნივერსიტეტის დასრულების შემდეგ 1962-1975 წლებში მუშაობდა ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის არქეოლოგიის განყოფილების უმცროს მეცნიერ-თანამშრომლად და აქტიურად მონაწილეობდა ქვის ხანის პერიოდის არქეოლოგიური ძეგლების

კვლევაში. 1975- 1985 წლებში იყო ჟურნალ „მნათობის“ პროზის განყოფილების გამგე, ხოლო 1985 წლიდან – კონოსტუდია „ქართული ფილმის“ მთავარი რედაქტორი. მოთხრობების პირველი კრებული „მთის გადაღმა“ მწერალმა 1966 წელს გამოსცა. 1968 წელს ჯერ კიდევ ახალბედა მწერალი მიიღეს მწერალთა კავშირის წევრად. ავტორის ორიგინალურმა ხელწერამ, სათქმელის სადად და დახვეწილად გადმოცემის უნარმა და ინტელექტუალურმა სიღრმემ მის მოთხრობებს, ნოველებსა და რომანებს თავიდანვე დიდი აღიარება მოუპოვა. სიცოცხლეშივე თანამედროვე ქართული ლიტერატურის კლასიკოსად აღიარებული მწერალი 2010 წელს დაჯილდოვდა საქართველოს ბრწყინვალეების საპრეზიდენტო ორდენით, ამავე წელს მიიღო პრემია „საბა“ ლიტერატურის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის, 2018 წელს – ვაჟა-ფშაველას სახელობის პრემია რომანისთვის „ბრმადყოფილზე. და...“ და მთელი შემოქმედებითი მოღვაწეობისთვის. ანდერძით დაკრძალულია საბურთალოს საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში ტრაგიკულად დაღუპული 22 წლის ვაჟის, ირაკლი დოჩანაშვილის გვერდით.

ანტიკურობასთან დაკავშირებულ მასალას მწერალი საკმაოდ ხშირად, სხვადასხვა პერიოდის თხზულებებში იყენებს.

მოთხრობაში „ცალ-ცალკე და ერთად“, რომელსაც ავტორი თანამედროვე ზღაპარს უწოდებს,¹²⁰⁴ ამ თვალსაზრისით საინტერესო მაგალითს წარმოადგენს. ნაწარმოებში სამი ძმა კეჟერაძეების: გრიშას, ვასიკოს და შალვას ამბავია მოთხრობილი.

ნაწარმოების სიუჟეტი ასეთია: სამი ძმა ერთად შეიკრიბება ფუნქულიორის ზედა სადგურზე, ბუჩქებში გაშლიან სახელდახელო პურ-მარილს და გადაწყვეტენ ერთად წავიდნენ საქართველოს პატარა სოფელში და იქ საცირკო წარმოდგენები, კერძოდ კი კლოუნადები გამართონ, იტალიური კომედია დელ არტეს მსგავსი. ძმებს სურთ ამით თავადაც მოიპოვონ თავისუფლება და ბედნიერება და ეს სხვებსაც გაუზიარონ.

მოთხრობაში ჩართულია ანტიკურობასთან დაკავშირებული რამდენიმე პასაჟი. მწერალი ნაწარმოების დასაწყისშივე ახსენებს ვინმე „არაბერძენ“ ლამაზ ქალს, რომელიც „არაბერძნულად“ მიმართავს ერთად შეკრებილ ძმებს (აქ „რუსი“ და „რუსული“ იგულისხმება), მას კეჟერაძეები ფარული გადამყიდველები ჰგონია და მათგან არკვევს, რა საქონლით ვაჭრობენ. ერთ-ერთი ძმა, ვასიკო ორჯერ იმეორებს: „კლიტემნესტრას ჰგავს, შეჩვენებული“, – ქართულად აღნიშნა ვასილმა [...] კლიტემნესტრას ჰგავდა, შეჩვენებული“.¹²⁰⁵ ტროას ომიდან უკანდაბრუნებული

¹²⁰⁴ გ. დოჩანაშვილი. ოთხტომეული. ტ. III. თბილისი, 2003, გვ. 255.

¹²⁰⁵ გ. დოჩანაშვილი. ოთხტომეული. ტ. III. თბილისი, 2003, გვ. 258.

აგამემნონის მკვლელი მეუღლე – კლიტემნესტრა ამ კონტექსტში ვერაგობისა და მუხანათობის სიმბოლოდაა აღქმული, თუმცა, ამავდროულად, კომიკურად კონტრასტულია იაპონური ქოლგის შეძენის მსურველი უცნობი „არაბერძენი“ ქალი და სისხლიანი შურისძიების მოსურნე ბერძენი დედოფალი.

ნაწარმოებში განსაკუთრებით ვრცელი მონაკვეთი ეთმობა ჰომეროსის „ილიადას“ სიუჟეტისა და პერსონაჟების განხილვას.

XI საუკუნის იტალიის მოხეტიალე ჯამბაზთა ცხოვრების შესახებ საუბრისას ნახსენებია, რომ როდესაც ერთ-ერთი ჯამბაზი გიტარის თანხლებით დამწუხრებული მღეროდა ჰექტორის სიკვდილზე, „როგორც კი მიაღებოდა იმ ადგილს, სადაც **ჰექტორი იმქუსლიანმა** უნდა მოკლას, თურმე ერთი ვენეციელი თითო ოქროს უხდიდა ჯამბაზს მხოლოდ იმისთვის, რომ შეეწყვიტა სიმღერა... ერთი დღით კიდევ რომ გაეხანგრძლივებინა ჰექტორის სიცოცხლე...“¹²⁰⁶

ამის შემდეგ ძმები საუბარს იწყებენ ჰექტორზე და ემოციურად განიხილავენ ტროელი უფლისწულის ტრაგიკულ ბედს, აქვე აზრს გამოთქვამენ ჰომეროსის ეპოსის სხვა პერსონაჟებზეც. ერთ-ერთი ძმა, ვასიკო, ამბობს:

„მთელ ჰომეროსში ჰექტორი ჩემი ყველაზე მეტად საყვარელი გმირია, რადგან **ოდისევსი** კარგა გაქნილი და ცბიერი იყო, თავის დამცირებაც კოხტად შეეძლო საჭიროების შემთხვევაში... **აქილევსის** გმირობებითაც არ ვარ მაინცდამაინც გადარეული – შე კაი კაცო, თუ მშვენივრად იცი, რომ ქუსლის გარდა სხვაგან არსად არაფერი წაგეკარება, გადაეშვები გულადურად, აბა რა იქნება, შუაგულ ომში... [...] მერედა, იმ ცალ ქუსლსაც რომ ვერ მოუარა, ეს იყო საქმე? მაგრამ ჰექტორის ცოდვამ უწია... თანაც გაქანებულ ომში ვიღაც ქალის გულისთვის აიღო და გაიბუტა, წამოწვა სადღაც მხარეთემოზე არხეინად, განზე. მაინცდამაინც **პატროკლე** უნდა მოეკლათ, რომ განრისხებულიყო? იფ... პატროკლესათვის წავიდა თავიდან ომში? არა, აჰ...თუ იბრძვი, გენაცვალე, იბრძოლე, რას ინაწილებ არჩევან-არადაწზე სხვადასხვანაირი მონაცემების ქალებს. აი, ჰექტორი კი ჰექტორი – სიამაყით გაიბადრა კიდევ ვასიკო, – კანონიერი მეუღლის სანახავადაც კი ვერ იცლიდა, ნამდვილი გმირი თუკი ვინმე იყო მთელ ტროას ომში, ვინ და, გენაცვალე, ჰექტორი! ქარაფშუტა ძმის ვნებიანობისა გამო მუდამ პატროკლეს, აქილევსის, ოდისევსის, აგამემნონის კოტიკას სამართებელივით ალესილი ხმლის ქვეშ [...] და ერთხელ, როგორც იქნა და მოიცალა და ცოლ-შვილს დახედა ისე იყო გადაღლილი, გატანჯული, სისხლსა და ტალახში ამოთხვრილი, ეს მოხდენილი ვაჟკაცი ადამიანს აღარ ჰგავდა, და შვილი ხელში რომ აიტაცა, იმისმა შემხედვარემ, შეძრწუნებისაგან იტირა ბავშვმა! რა ხასიათზე დადგებოდა?... და

¹²⁰⁶ გ. დოჩანაშვილი. ოთხტომეული. ტ. III. თბილისი, 2003, გვ. 275.

ყველაფერი ეს – სხვისი გულისთვის! [...] ხოლო ტროას ყველაზე ცნობილი გმირებიდან, აგამემნონიც, რბილად რომ ვთქვათ, ვერ იყო უბიწო კაცი“.¹²⁰⁷

ამგვარად, ვასიკოს ამ მონოლოგში წარმოდგენილია „ილიადას“ ტექსტის არა მხოლოდ შინაარსი, არამედ – პერსონაჟთა შეფასებითი, კრიტიკული ანალიზი. ნაწყვეტში ნახსენებია აქილეესისა და აგამემნონის დაპირისპირება და მისი მიზეზები (პირველი სიმღერა); ჰექტორისა და ანდრომაქეს შეხვედრა (მეექვსე სიმღერა), პატროკლოსის სიკვდილი (მეთექვსმეტე სიმღერა); აქილეესის შურისძიება პატროკლოსის სიკვდილის გამო და მის მიერ ჰექტორის მკვლელობა (ოცდამეორე სიმღერა); ლაკონურად და არგუმენტირებულად შეფასებულია აქილეესის, აგამემნონის, ოდისეესის. პარისის და ჰექტორის პიროვნებები.

ერთ პასაჟში მსუბუქი ირონიითაა გაჯერებული ანტიკურობაზე აგებული ინტელექტუალური პარადოქსების მთელი კასკადი, რომელიც მწერლის ერუდიციას, მის ნატიფ იუმორს ცხადყოფს და ნაწარმოებში კომიკური განწყობის გაძლიერებას ემსახურება: „**ჰერკულესი** რომ არა, [...] ისე ვერასდიდებით ვერ აიღებდნენ **შვიდკარიან ტროას**, ტროაში ხეოფსის პირამიდებს აგებდნენ ხისცხენიანი მაჰარაჯები, ხოლო იმათ კი ფადიჰამად **კეისარი** ეჯდათ, ხოლო როცა კეისარი დაუნდობლად განგმირეს, იმისი უკანასკნელი სიტყვები იყო: **შენც, თეზევს?**“¹²⁰⁸

აქ მწერალი საგანგებოდ ყოველ წინადადებაში რამდენიმე „გადაცდომას“ გვთავაზობს, სადაც აღრეულია მოვლენები, ეპოქები და პერსონაჟები: ჰერკულესი ტროას ომში არ მონაწილეობდა, ტროა არ ყოფილა შვიდკარიანი (შვიდბჭიანი იყო თებე), ტროაში არ მართავდნენ ხისცხენიანი (აშკარა მინიშნებაა ტროას ცხენზე) მაჰარაჯები, ტროას ფადიშაჰი არ ჰყავდა, მით უმეტეს – იულიუს კეისარი, ხოლო შეთქმულთა მიერ განგმირული იულიუს კეისრის ბოლო სიტყვები იყო: „შენც, ბრუტუს?“

ჰომეროსსა და მის გმირებს გურამ დოჩანაშვილი კვლავ უბრუნდება სხვა თხზულებებში, კერძოდ, რომანში „**ლოდი, ნასაყდრალი**“.

„ლოდი, ნასაყდრალი“ სიუჟეტურად მრავალპლანიანი ნაწარმოებია. მკვლევართა შეფასებით, „ლოდი, ნასაყდრალში“ ლინეარულ თხრობას ორი მიმართულება აქვს: 90-იანების საქართველოში მიმდინარე მოვლენები და უღირსად წოდებული ავტორ-პერსონაჟის პირადი ცხოვრება, რომელშიც მწერლის პიროვნული ტრაგედიით გამოწვეული ცხოვრების საზრისის ძიება ღმერთის ყოვლისშემძლეობის აღიარებამდე მიდის. რომანი ისეთი ნარაჯიითაა დაწერილი, რომ ავტორი მკითხველს

¹²⁰⁷ გ. დოჩანაშვილი. ოთხტომეული. ტ. III. თბილისი, 2003, გვ. 275-277.

¹²⁰⁸ გ. დოჩანაშვილი. ოთხტომეული. ტ. III. თბილისი, 2003, გვ. 275-277.

„შესვენების“ უფლებას არ აძლევს: ეპოქალური მოვლენები, მწერლისეული რეფლექსიები საკუთარ მონათხრობზე, ესეისტური ჩანართები ქართველ და უცხოელ მწერლებზე, პირადი ცხოვრებიდან აღებული დეტალები, ემოციური აღმოჩენები და ირონიანარევი დეტალები იმდენადაა ერთმანეთზე გადაჯაჭვული, რომ ეს ვეებერთელა, თითქმის 800 გვერდიანი რომანი ერთ მონათხრობად აღიქმება, რომელსაც არა აქვს არც ნაწილები და არც ცალკეული თავები“.¹²⁰⁹

რომანში, მისი რთული კომპოზიციური სტრუქტურიდან გამომდინარე, დოჩანაშვილის მსჯელობებში ხშირია ისტორიული წიაღსვლები და ანტიკური ხანის პერსონაჟთა ხსენებისა და მათი ავტორისეული შეფასება, საყურადღებოა ერთ-ერთ პასაჟში მწერლის ორიგინალური მეტაფორა „დედამიწური ქარონები“:

„თეორიული პრაქტიკოსები (მარქსი, ენგელსი, ლენინი, დარიოსი, სტალინი, პუანკარე, ბისმარკი, საშა წულუკიძე, ბინდით მოსილი **ცეზარები**, [...] **იმპერატორები** [...] ორპირი ოლივერ კრომველი და ერთპიროვნულად მტარვალი **სულა** [...] აეს სულსწრაფი დედამიწური **ქარონები**, ღვარდლით და შხამით აქავებულები, [...] რომ ბერძნების ქარონს ჯოჯოხეთამდე მაინც თუ მოჰყავდა მისწილი ხალხი, აესენი კი მაინცდამაინც დედამიწაზე როგორ ცდილობდნენ მიმნდობთა ღუპვას [...] ერთადერთი, ვინც ბევრად კაცურად გამოიყურებოდა ვრცელდამპყრობლებში, ეს, ალბათ **ალექსანდრე მაკედონელი** იყო, რადგან თავისი ლაშქრის მეწინავეებში იბრძოდა ხოლმე“.¹²¹⁰

აქვე ყურადღებას იპყრობს ე.წ. „ანტაგონისტურ წყვილებში“ ანტიჰუმანურობითა და განსაკუთრებული სისასტიკით გამორჩეული რომის ორი იმპერატორის გამოჩენა:

„დიდია სხვაობა სხვადასხვაგვარულად გამოჩენილ ადამიანთა შორის, ხოლო განსაკუთრებით, – ჩვენთვის ცნობილებში: ვაჟა-ფშაველა და, ნერონი... ანდერსენი, და კალიგულა... ვან გოგი და ჰიტლერი“.¹²¹¹

90-იანი წლების პოლიტიკური სიტუაციის შეფასებისას მწერალი სამოქალაქო ომის პერიპეტიებზე მსჯელობს და განიხილავს, პირობითად რომ ვთქვათ, ქართულ „ტრიუმვირატს“ (მწერალი მას „ტრიოს“ და „სამკაცას“ უწოდებს), რომლის სამივე წევრი სწავლობდა იმ სკოლაში, ამ ბრძოლების დროს ლამის მათი ხელით რომ დაიწერა. მწარე სარკაზმი და ნატიფი იუმორი გასდევს ნაწარმოების იმ მონაკვეთებს,

¹²⁰⁹ ზ. კიკვიძე. ნარატიული დისკურსის ასპექტები თანამედროვე ლიტერატურაში. XIII საერთაშორისო სიმპოზიუმი ლიტერატურათმცოდნეობის თანამედროვე პრობლემები. XX საუკუნის 80-90-იანი წლების პოლიტიკური მოვლენები და ლიტერატურული დისკურსი. მასალები. ნაწილი II. თბილისი, 2019, გვ. 146.

¹²¹⁰ გ. დოჩანაშვილი. ოთხტომეული. ტ. III. თბილისი, 2003, გვ. 111.

¹²¹¹ გ. დოჩანაშვილი. ოთხტომეული. ტ. III. თბილისი, 2003, გვ. 706.

სადაც თანამედროვე საქართველოს ისტორიის ტრაგიკული ეპიზოდები კვლავ ტროას ომისა და ბერძნული ტრაგედიის პერსონაჟების ალუზიებითაა წარმოჩენილი:

„ასე, მაგალითად, თუ იმ ერთგვარად ახლობელ-მებრძოლ ტროელთაგან [ტროას გავლენა, ისევ – ე.კ.], ერთ-ერთზე იტყოდით, ვერ იყო კიკუა ჯგირიკაციო, ეს ამაყუას უცილობელ ქებად ჩაგეთვლებოდათ, ხოლო თუ ქედმაღალიაზე დასძენდით, ერთი გოროზასაც კი შეურცხვა მანიაკალური უღვაშიო, მაშინ ეს „სისუას ვენაცვალე შავ კოჭებში“ოდ ჩაგეთვლებოდათ...[...] ტრიოელები!... ეს როგორ, კაცო, აგამემნონი თუკი არ გამოირჩეოდა მორალური თავდაჭერილობით **ტროასთან** ახლოს, მაშ **კლიტემნესტრა** კარქი იყო ზედ **ეგისტეთი**? პურის რიგებში, დგომისა გარდა თავდავიწყებით ვკამათობდით, გადიოდა დრო... მერე როგორი“.¹²¹²

ანტიკურობასთან დაკავშირებული სიმბოლოები რამდენიმე მონაკვეთში უჩვეულო ინტერპრეტაციით ჩნდებიან:

„იმ საჯოჯოხეთოდ ზედგამოჭრილი **ტიტანური** ნიჭით (**ტიტანური** – ქათინაური არ გეგოგოთ, უბრალოდ ეს გამოთქმა არასწორად დამკვიდრდა) [...] თავისთვის ყოვლად უცხო და ამიტომ ამისთანავე საუცხოო მწერლობითაც კი როგორ **ტიტანა**“.¹²¹³ „რასაა რომ მომჩემებხარ... **ნარცისივით**“.¹²¹⁴ „რისი **სიზიფე** და იმის კენჭი, თვით თავად სიტყვას შეჭიდებულები, ბეჩავებია, კი“.¹²¹⁵

მთლიანად ანტიკურ სიუჟეტზეა აგებული მწერლის მოთხრობა „**მხოლოდ ერთი კაცი**“.¹²¹⁶ რომელიც ეფუძნება მითოლოგიურ ამბავს თესევსის მეოთხე გმირობის, კერძოდ – ყაჩაღ სკირონის დამარცხების შესახებ. ბერძნული მითის მიხედვით, რომელიც ანტიკური ხანის სხვადასხვა წყაროშია გადმოცემული, ტროიზენიდან ათენისკენ მიმავალ ჭაბუკ თესევსს გზად არაერთი დაბრკოლების გადალახვა მოუხდა. ერთ-ერთი მათგანი მას მეგარასა და ატიკის საზღვარზე მცხოვრები სკირონის, კორინთოსელი ყაჩაღის სახით ელოდა. სკირონს ლეგენდარული პელოპსისა და ჰიპოდამეას ან პოსეიდონის შვილად მიიჩნევდნენ, თუმცა არსებობდა მისი წარმომავლობის შესახებ სხვა ვერსიებიც. სკირონი გამვლელ-გამომვლელებს ზღვის ნაპირას, ისთმოსის ყელთან კლდეზე უსაფრდებოდა და აიძულებდა, რომ მისთვის ფეხი დაეხანათ. როდესაც შეშინებული მგზავრები ძირს იხრებოდნენ, სკირონი მათ ფეხს ამოარტყამდა ხოლმე და კლდიდან აგდებდა ზღვაში, სადაც მათ გიგანტური წყლის კუ შთანთქავდა. თესევსმა ვერაგ ყაჩაღს ფეხზე წაავლო ხელი და ზღვაში მოისროლა (Apollodorus, Epitome, 1.2; Plutarch, Theseus, 24.5-5;

¹²¹² გ. დოჩანაშვილი. ოთხტომეული. ტ. III. თბილისი, 2003, გვ. 237.

¹²¹³ გ. დოჩანაშვილი. ოთხტომეული. ტ. III. თბილისი, 2003, გვ. 136.

¹²¹⁴ გ. დოჩანაშვილი. ოთხტომეული. ტ. III. თბილისი, 2003, გვ. 315.

¹²¹⁵ გ. დოჩანაშვილი. ოთხტომეული. ტ. III. თბილისი, 2003, გვ. 636.

¹²¹⁶ გ. დოჩანაშვილი. ოთხტომეული. ტ. III. თბილისი, 2003, გვ. 426- 485

Pausanias, 1.39.6; Apollodorus, 3.12.6; Strabo, 9.1.4). საყურადღებოა, რომ პლუტარქოსთან სკირონი სხვაგვარად არის წარმოდგენილი – იგი სულაც არ იყო ყაჩაღი ან მძარცველი, არამედ ყაჩაღთა რისხვა და სამართლიანობისთვის მებრძოლი გმირი (Plutarch, Theseus 10.2-3).

დეტალური ანალიზისთვის წარმოვადგენთ მოთხრობის შინაარსს.

ნაწარმოების დასაწყისში მწერალი მიუთითებს, რომ პლუტარქოსთან [იგულისხმება „პარალელური ბიოგრაფიები“, კერძოდ „თესევსი“ – ე.კ.] ის ადგილი განსაკუთრებით უცნაურია და საგულისხმო, სადაც განსხვავებულადაა აღწერილი სკირონის პიროვნება: „მეგარელი ისტორიკოსები არ ეთანხმებიან ამ გადმოცემას, სიმონიდეს სიტყვით რომ ვთქვათ, ომს უცხადებენ ძველთაძველ ამბებს და ამბობენ: სკირონი არც ავაზაკი და არც ასეთი ურცხვი ვინმე იყო; პირიქით, იგი ყაჩაღთა დამსჯელი და კეთილშობილი ხალხის მოყვარე და მეგობარი გახლდათ. ეაკე ბერძენთა შორის უწმინდეს კაცად ითვლებოდა; სალამინელ კიქრევსს ღვთაებრივი პატივი აქვს ათენელებში; ხოლო პელევსისა და ტელამონის ვაჟკაცობა ყველასათვის ცნობილია. სკირონი კი იყო კიქრევსის სიმე, ეაკეს სიმამრი და პაპა პელევსისა და ტელამონისა, რომლებიც სკირონისა და ქარიკლოს ასულ ენდიედისგან წარმოიშვნენ. ყოვლად შეუძლებელია, წარჩინებული ვაჟკაცები გავარდნილ არამზადას დანათესავებოდნენ და მასთან გაეზიარებინათ ის, რაც ყველაფერზე წმინდა და ძვირფასია ადამიანისთვისო. თეზევსმა, როგორც მეგარელი ისტორიკოსები დაასკვნიან, სკირონი მაშინ კი არ მოკლა, როცა პირველად მიდიოდა ათენში, არამედ უფრო გვიან, მეგარელთა ხელში მყოფი ელევსინის აღების დროს, როცა არქონტი დიოკლე მოატყუა“.¹²¹⁷

ამ შესავლის შემდეგ მწერალი იწყებს სკირონის ამბის განსხვავებული, მისეული ვერსიის გადმოცემას, რომელშიც პერიოდულად ჩართულია დიდი იტალიელი კინომსახიობის, ანა მანიანისადმი მიძღვნილი სიყვარულით გამთბარი მონაკვეთები.

მოქმედება იწყება კორინთოსკენ მიმავალ გზასთან შემალლებულ ადგილას, სადაც წელს ზემოთ შიშველი ათლეტური აღნაგობის მომხიბვლელი ლურჯთვალა მამაკაცი თხას წველის და პურსდანატრული ამაოდ ელის გამვლელს. და, აი, წერომ გაიელვა ცაში, ზღვაში უზარმაზარი მშვიერი კუ აწრიალდა, რითაც სკირონი ხვდება, რომ გზაზე ვიღაც მოემართება. სკირონი მოამზადებს მახვილს და ჩასაფრდება. გზაზე ერთადერთი გამვლელი მოდის. სკირონმა ორჯერ ზათქით დააგორა ლოდი მგზავრის ფეხებთან, თუმცა შიში ვერ შეატყო. შემდეგ უშიშარი ჭაბუკი აზვიანად ილლიაში ამოიღო, კლდის ქიმზე შეაყენა და ფეხების დაბანა უბრძანა. ყმაწვილმა უარი უთხრა, რადგან ელადელს ეს არ შეშვენოდა და როდოსული დოქი

¹²¹⁷ გ. დოჩანაშვილი. ოთხტომეული. ტ. III. თბილისი, 2003, გვ. 426.

ნამსხვრევებად უქცია. სკირონმა აუხსნა ყმაწვილს, რომ ასეთ ღირსეულ კაცს არ გაიმეტებდა და მღვიმეში შეუძღვა, სადაც სტუმარს ღვინო, თაფლი, თხის რძე და ხორცი შესთავაზა. სკირონმა ადღეგრძელა მგზავრი და მას საკუთარ თავზე მოუთხრო – მისი ქალიშვილი ეგინაშია გათხოვილი ღვთაებრივ ეაკოსზე. უცნობი მგზავრი ლაერტესი აღმოჩნდა, თავგადასავლების მოყვარული ითაკელი უფლისწული, რომლის ხომალდი პოსეიდონმა მეზღვაურებთან ერთად შავ მორევში დაძირა. ლაერტესმა სკირონს აბგაში შემონახული ნედლი ხორბალი შესთავაზა და საკუთარი თავგადასავალიც მოუთხრო – როგორ შეიკედლა ნიმფა კალიფსომ და ბოლოს გაათავისუფლა. სკირონმა დალოცა მგზავრი, მახვილი აჩუქა და მომავალიც უწინასწარმეტყველა: მას შეეძინებოდა სახელგანთქმული ვაჟი, სახელად ოდისეესი. ამ დროს წერომ კვლავ ამცნო სკირონს მგზავრების მოახლოება. გზაზე მომავალი მგზავრები ვაჭრები აღმოჩნდნენ, რომლებმაც გაქცევით თავს უშველეს. სკირონმა დაიჭირა ერთი მათგანი – პილოსელი ქეთესიპე, რომელიც მლიქვნელურად ეპირფერებოდა სკირონს, ფეხებზე ჰკოცნიდა და თავის გადარჩენას ცდილობდა. სკირონს შეზიზღდა ხალხის მძარცველი ვაჭარი და მას ფეხების დაბანა უბრძანა, ხოლო შემდეგ კლდიდან გადაგდო.

თხრობაში ჩართულია სკირონის მიერ ქედმაღალი როდოსელი მოკრივის, იფიტეს დამარცხების ამბავი. თავდაპირველად იგი იფიტეს დაჩაჩანაკებულ მოხუცად მოევლინა და მოწყალება სთხოვა, უარის შემდეგ ნამდვილი სახე გამოაჩინა და ორთაბრძოლაში დაამარცხა. როდესაც იფიტე მისთვის ფეხის დაბანაზე დათანხმდა, კლდიდან უყოყმანოდ გადააგდო.

მარტოდმყოფ სკირონს ხშირად ახსენდებოდა საკუთარი ცხოვრება. ლომებზე მონადირე თექვსმეტი წლის სკირონს ბერძნები უკვე გმირთა-გმირად მიიჩნევდნენ. ისიც თავყვანს სცემდა ოლიმპიელ ღმერთებს, აღიარებდა მათ დიდებულებას, მაგრამ „ერთხელაც, გმირმა სკირონმა აპოლონისა და აფროდიტეს, ამ თვალთმაქც ღმერთთა დაუნდობელი, ფრთხილი და ამო, სულის შემძვრელი და მოტკინარი, შეხება იგრძნო“.¹²¹⁸

აპოლონის გავლენით სკირონი მინდორ-მინდორ სიარულს, ყვავილების გვირგვინების წნას ამჯობინებდა, ხოლო აფროდიტეს ხიბლმა ის სიყვარულის მოტრფიალედ აქცია „აფროდიტე ურანიასთვის, წმიდათაწმიდა სიყვარულისთვის აბა სად ეცალა მოწიფულ სკირონს, და ეროსმა აფროდიტეს პანდემოსის ნერწყვმოცხებული, მკვრივიც და მყიფე, ავი ისარი ზედ ბეჭისთავზე მწვავედ ჩაასო“.¹²¹⁹

¹²¹⁸ გ. დოჩანაშვილი. ოთხტომეული. ტ. III. თბილისი, 2003, გვ. 441.

¹²¹⁹ გ. დოჩანაშვილი. ოთხტომეული. ტ. III. თბილისი, 2003, გვ. 442.

და ასე, სანამ ნამდვილი სიყვარული ეწვეოდა, 15 წლის სკირონს ქაოსის ნაშიერი, ცხრა წლით უფროსი ქალი შეუყვარდა. ქალი ბნელ გამოქვაბულს ამჯობინებდა და იქ ათასგვარ ამბავს უამბობდა სკირონს ბნელეთის შვილებზე: ქაოსზე, ერეოსზე, ნიკტზე, თანატოსზე, ჰიპნოსზე, ტარტაროსზე, უნდოდა სკირონი ერეოსის კუთვნილი გამხდარიყო, მძინარეს ღამურას ტვინს უსვამდა შუბლზე. მალე წყვილს ოქროსთმიანი გოგონაც შეეძინა. ერთხელ ისე, რომ ქალი არ ელოდა, სკირონმა ნახა, როგორ უსვამდა სატრფო ღამურას ტვინს პატარა გოგონას, და გამოაშკარავებულ ბნელეთის მოციქული სამუდამოდ გააგდო.

ამის შემდეგ ველად გაიჭრა სკირონი, არდეს მწყემსავდა, ხოლო ქალიშვილი მეგარაში ძიძას მიაბარა და სარჩოს მგზავრების ხელით უგზავნიდა.

ერთხელ სკირონი კიქრევსს შეხვდა, სალამინელ მეფეს, რომელიც დემეტრეს ელევსინის ტაძარში გველად გარდაისახა, რომლისგანაც დემეტრეს მისტერიების ამბავი შეიტყო და პერსეფონეს ჰადესის მიერ მოტაცების მითიც. ღმერთებზე და სიყვარულზე იმედგაცრუებულ სკირონს კიქრევსმა საკუთარი ულამაზესი ქალიშვილი, ტირო¹²²⁰ შესთავაზა, თუმცა გააფრთხილა, რომ პაპის, პოსეიდონის გამო გარყვნილებისკენ უნებური ლტოლვა ექნებოდა და გაჰფრთხილებოდა – წყლისთვის მოერიდებინა.

ერთხელ სკირონს ლელკიანში კვნესა შემოესმა და ტალახში ამოსვრილი არსება ზღვაში რომ განზანა, ულამაზესი ქალიშვილი შერჩა – ტირო, რომელიც თავდავიწყებით შეუყვარდა. ბედნიერება და სიხარული დაეუფლა სკირონს, ქვეყნად არაფერი ახსოვდა. ტიროს ხშირად სევდა ეუფლებოდა, წყლის არა მხოლოდ დალევა სურდა, არამედ წყალში ბანაობაც – რასაც სკირონი უკრძალავდა. ერთხელ წვიმაში მოყვნენ და ქალი წაიქცა, იჭმუხნებოდა და კვნესოდა. ბორცვის იქით სურდა წასვლა, სადაც მდინარის ღმერთი ენიპევსი ბინადრობდა. ერთხელაც ჩაძინებულს ტირო ენიპევსის წყლებში ნეტარად ჩაწოლილი დახვდა და გააგდო.

ამის შემდეგ ცხოვრებაზე, ღმერთებზე, ადამიანებზე გული აუცრუვდა და გამვლულების ძარცვას და მკვლელობას მიჰყო ხელი.

ერთხელ მასთან ეაკოსი, კუნძულ ეგინას მეფე მივიდა, ქალიშვილის ხელი სთხოვა და აუხსნა, რომ რაკი თავად კეთილსინდისიერებით იყო განთქმული, ყაჩაღის სიძე ვერ გახდებოდა. სკირონმა განუმარტა ეაკოსს, რომ იგი მხოლოდ მათ ზოცავდა, ვინც პატივმოყვარეობით და მლიქვნელობით იყო წაბილწული.

სკირონი იმითაც დაინტერესდა, ვინ იყო იმჟამად საბერძნეთში ყველაზე სახელოვანი გმირი. ეაკოსმა უთხრა, რომ ასეთი გმირი იყო თესევსი, რომელმაც

¹²²⁰ მითის მიხედვით, ტირო სალმონევსის ქალიშვილია, რომელიც გაუმიჯნურდა მდინარის ღმერთს, ენიპევსს.

ამორძალების დედოფალი, ანტიოპე მოიტაცა. სკირონმა იწინასწარმეტყველა, რომ მალე დაიბადებოდა უმშვენიერესი ელენე, რომელსაც მომავალში თესევსი გაუპატიურებდა და ელენეს გამო დაიწყებოდა ტროას სისხლისმღვრელი ომიც.

ერთხელ სკირონმა გამოქვაბულში თანატოსი იხილა, რაც მისი სიკვდილს მოასწავებდა. მართლაც, ცოტა ხანში სკირონს ათენის მეფე, თესევსი გამოეცხადა, რომელსაც, მისი სიტყვებით, ქვეყნიერება ავაზაკებისგან უნდა განეწმინდა. სკირონმა უთხრა თესევსს, რომ მას მხოლოდ ჰერაკლეს ბაძვის სურვილი ამოძრავებდა და ორთაბრძოლა შესთავაზა. სკირონმა არ მოკლა წაქცეული თესევსი, და თვითონვე დაუჯდა ფეხის დასაბანად, თესევსს შეეშინდა, რომ წიხლნაკრავს მისივე ფეხიც ჩაებლუჯა და თან არ გადაეყოლებინა. მაშინ სკირონი თავად დადგა გადასავარდნის წვიპზე და თესევსის ბიძგს მორჩილად დაელოდა. სკირონი კუმ არ იგემა, მისი ცხედარი თევზებმა დაღრნეს.

ნაწარმოები სრულდება იმავე ამონარიდით პლუტარქეს თხზულებიდან.

ამრიგად, როგორც ვხედავთ, გურამ დოჩანაშვილი მითს სკირონზე, პლუტარქოსთან დაცული ინფორმაციის კვალდაკვალ, ტრადიციული ვერსიისგან განსხვავებულად ასახავს. გურამ დოჩანაშვილი ინსპირირებულია პლუტარქოსთან დაცული ამ ცნობით და მიზნად ისახავს იმის გარკვევას, რამ მიიყვანა გმირი სკირონი ყაჩაღობამდე, რა იყო მისი საქციელის ძირითადი მოტივაცია. მწერალი კარგად იცნობს ბერძნულ მითოლოგიას და ნაწარმოების სიუჟეტში მრავლად აქვს ჩართული სხვადასხვა ცნობილი მითი. მაგალითად: დემეტრესა და პერსეფონეზე (გვ. 458), თესევსზე (გვ. 460; 477); ენიპეოსზე (გვ. 467); ბერძნულ პანთეონზე (გვ. 469-472); ატრევსზე და თიესტესზე (გვ. 472-473); ტროას ომზე (გვ. 477-478) და ა.შ., რასაც მეტწილად სწორად, გარკვეული სახეცვლილებით, თუმცა კონტექსტის შესაბამისად იყენებს.

ამ მოთხრობით გურამ დოჩანაშვილი ერთგვარად აგრძელებს ანტიკურობის რეცეფციის ხაზს, რომელიც ჩაისახა ბორხესისა და კორტასარის თხზულებებში. ეს არის, პირობითად რომ ვთქვათ, ტრადიციული სიმბოლოების გადააზრების, ე.წ. მონეტის რევერსის ასახვის სურვილი. მსგავსად ბორხესის „ასტერიონის სახლისა“ და კორტასარის „მეფეებისა“, სადაც მინოტავრი, ტრადიციულად აღიარებული ურჩხული, საზოგადოებისგან გარიყულ მსხვერპლადაა წარმოდგენილი, ხოლო თესევსი – გმირის „სტატუსის“ მოპოვების მსურველად, რომლისთვისაც საზოგადოების მიერ ურჩხულად მონათლული არსების მკვლელობა ერთგვარად „კარიერული წინსვლის“ საწინდარია. გურამ დოჩანაშვილის სკირონიც, ჩემი აზრით, ერთგვარი მინოტავრია, საზოგადოების მიერ ყაჩაღად შერაცხული ურჩხული, რომელიც თავად გაერიყა მისთვის მიუღებელ სამყაროს. სკირონი არც ღმერთებს და

არც ადამიანებს აღარ ენდობა, თავად სურს აღადგინოს სამართლიანობა და ეს ქვეყანა ნაძირლებისგან გაათავისუფლოს. სკირონი არ არის ჩვეულებრივი ადამიანი, მას განსხვავებული უნარები აქვს – ძალუმს ადამიანების ამოცნობა და მოვლენეთა წინასწარმეტყველება. საყურადღებოა, რომ დოჩანაშვილის თესვესიც ძალიან ჰგავს კორტასარის თესვესს, რადგან მისთვისაც მთავარი სტიმული თავის გამოჩენაა, გმირის სახელის მოპოვება. დოჩანაშვილის სკირონი, ბორხესისა და კორტასარის მინოტავრის მსგავსად, წინააღმდეგობას არ უწევს გმირს, თავად სურს სიკვდილი, რადგან მას სიცოცხლის მიმართ ინტერესი სრულად დაკარგული აქვს.

ნაწარმოების კონცეფციის სრულად აღსაქმელად, საყურადღებოა თხზულებაში ალაგ-ალაგ ჩართული ეპიზოდები, რომლებიც გენიალური იტალიელი მსახიობის, ანა მანიანის უკავშირდება. მწერალმა ანა მანიანი, რომელიც შვიდიოდე წლის ასაკში იხილა ეკრანზე, სიყვარულის განსახიერებად აღიქვა და მთელი ცხოვრების მანძილზე მის თაყვანისცემას აგრძელებდა. მწერალს ხიბლავდა მსახიობის მეტყველი თვალები და სხეულის განუმეორებელი პლასტიკა, ვულკანური ტემპერამენტი, მისი ბუნებრიობა და გულწრფელობა. ეს „მარად მართალი და ჭეშმარიტი“¹²²¹ მსახიობი, რომელსაც ტრაგიკული ცხოვრება ჰქონდა და რომელიც მთელი იტალიის სიმბოლოდ გარდაისახა, იმდენად ახლობელ ადამიანად იქცა მწერლისთვის, რომ მანიანის ხასიათში საკუთარ თვისებებსაც კი ხედავდა: „იმასაც, ბავშვობაში, ეგ თქვენი დარდი ადარდებდა, თქვენსავით, იმასაც ბეზია ზრდიდა, და თავის გამორჩეულ შვილს, თქვენი საყვარელი სახელი ჯერ რომ არც იცოდა, ისე დაარქვა, და ამავე სახელის გამორჩეულ კაციდანვე ჰქონდა შეზიარებული თავისი ყველაზე მეტად ვრჩელი ამბავი, და ხადახან იმას ვულკანს არა და, დენტოს კი ხუმრობით ეძახდნენ ხოლმე“.¹²²² ნაწარმოების ჩანართებში გადმოცემულია ანა მანიანის ცხოვრების, სამსახიობო კარიერის მთავარი ეპიზოდები, მისი გარდაცვალება. საყურადღებოა, რომ ნაწარმოები მთავრდება სწორედ ანა მანიანიასადმი მიმართვით: „ყოვლად სასარგებლო ქალბატონო, დიდო სენიორა ანა, მანიანი... – სიყვარული არის.“¹²²³

ძნელი სათქმელია, რა აკავშირებს ერთმანეთთან ნაწარმოებში გადმოცემულ ამ ორ – სკირონისა და ანა მანიანის – ისტორიას ერთმანეთთან, თუმცა, ვფიქრობ, მწერალი ამ პერსონაჟებს შორის გარკვეულ მიმართებას ხედავს, რაც მათი განსხვავებულობით, ქარიზმატული ბუნებითაა განპირობებული. ორივე მათგანის მძიმე ცხოვრებას თან ახლდა იმედგაცრუებები და სასოწარკვეთილება, რამაც ისინი სხვებისგან განსხვავებულ, ბუნებრივ ადამიანებად აქცია. სკირონის

¹²²¹ გ. დოჩანაშვილი. ოთხტომეული. ტ. III. თბილისი, 2003, გვ. 447.

¹²²² გ. დოჩანაშვილი. ოთხტომეული. ტ. III. თბილისი, 2003, გვ. 447-448.

¹²²³ გ. დოჩანაშვილი. ოთხტომეული. ტ. III. თბილისი, 2003, გვ. 485.

წინასწარმეტყველური და ადამიანების ცნობის უნარი რაღაცით ჰგავს ანა მანიანის სამსახიობო ნიჭიერებას. როგორც ანა მანიანი, ისე ყაჩაღი სკირონი მწერლის აღტაცებას იწვევს გულწრფელობითა და სიყვარულის უნარით. ორივე მათგანს სძულდა ამპარტავნება და უღირსობა და ამას საკუთარი ძალებით ებრძოდნენ. მათი ხვედრი სხვადასხვანაირი აღმოჩნდა – სკირონი გარდაიცვალა მარტოდმარტო, ხოლო ანა მანიანი – თაყვანისმცემლების სიყვარულით გარემოცული. ნაწარმოების სათაური „მხოლოდ ერთი კაცი“ სწორედ პერსონაჟთა განსაკუთრებულობაზე მეტყველებს – ისინი მარტოდმარტო უპირისპირებოდნენ საზოგადოების სიყალბესა და ამპარტავნებას.

ანტიკურობა გურამ რჩეულიშვილის ნაწარმოებებში ბუნებრივად ერწყმის თხზულებათა სიუჟეტს, მხატვრულ და ენობრივ ქსოვილს, პერსონაჟთა მეტყველებას და წარმოადგენს ავტორის მთავარი სათქმელის გადმოცემისთვის მნიშვნელოვან ელემენტს. ანტიკური სამყარო, როგორც მარადიულ ღირებულებათა, სიმბოლოთა ერთგვარი საუნჯე, ავტორის ხელში იძენს ახალ, ხშირად სრულიად ორიგინალურ მნიშვნელობას, რისი საშუალებითაც მკითხველი კიდევ უფრო უახლოვდება და ითავისებს კაცობრიობის ამ ფასდაუდებელ მემკვიდრეობას.

გიორგი ხომერიკი (1955-2015)

ნანა ტონია

დაიბადა ბათუმში. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი კლასიკური ფილოლოგიის განხრით. დაიცვა დისერტაცია სოფოკლეს შემოქმედებაზე. ქართველ მკითხველს თავი დაამახსოვრა სოფოკლეს ტრაგედიათა შესანიშნავი თარგმანებითა და ორიგინალური ლექსებით. იგი ანტიკური სამყაროს მკვლევარი იყო, გამოცემული აქვს წიგნები და მრავალი პუბლიკაცია ბერძნულ და რომაულ მითო-რელიგიაზე, დაბეჭდილი აქვს თარგმანები ანგლო-ამერიკული და ძველბერძნულ-რომაული პოეზიიდან. გამოქვეყნებული აქვს საკუთარი შემოქმედების რამდენიმე კრებული, მათ შორის მხოლოდ ანტიკურ რემინისცენციებს ეძღვნება წიგნი სახელწოდებით „მშვენიერი ჰელენე ანუ ლექსები ძველ საბერძნეთს“, რომელიც პირველად 2010 წელს გამოიცა და ლექსებს, რომლებიც მასშია წარმოდგენილი, ავტორის მიერ ანტიკური სამყაროს სიღრმისეული ცოდნისა და განცდის დაღი აზის.

კრებულში ვერ წავიკითხავთ ვერც ჰერედიასებურ რაფინირებულ სონეტებს, ვერც ობიექტურად წარმოდგენილ პოეტურ სურათებს, სამაგიეროდ აქ სხვა სამყაროა, თავად გიორგი ხომერიკის მიერ გათავისებული და განცდილი. იგი ხან თავად ჰომეროსია და მისი ბრმა მზერით საუკუნეთა შემდეგ მკითხველს ესაუბრება:

„მე: ნათლად: ვხედავ: როგორ: კაშკაშებს: მიზანს: აცდენილი:
გრძელ-გრძელი: შუბის: სპილენძ-ბუნკი: შავი: მიწის: ქვეშ:
დედამიწაში: რომელიც: ცოცხლობს: და: არასდროს:
არასდროს: ტყუის“.

„ბრმა ჰომეროსი“

ხან ჰეროსტრატოსია და ლამოზს მკითხველს აუხსნას, რაზედ გადაწვა გასაოცარი ტაძარი:

„ჰოი, არტემის,
დილით ვარდების სურნელი იდგა
იათვარდების.
ასაკი აკმეს რომ მიმიდგა,
აპრილი იდგა.
ჩვენც სწორედ მაშინ დავასრულეთ მისი ტაძარი,
იდგა ტაძარი და აღარსად არ მიდიოდა,
გეგონებოდა, ფრენას ლამოზს...
და არ მიდიოდა.
ნელ-ნელა მკლავდა: იდგა თეთრი ჩვენს შავ მიწაზე.
როგორც არყოფნის სიკვდილი! სიცოცხლის ყოფნა!
და მეც იმ დილით, ცხელ ბნელეთში, სწორედ იმ დილით
ჰეფესტოს მივუძღვენი მხურვალე და ლამაზი ოდა.
შორს ვიღაც მღეროდა სიმებდასველებულ, ნაზ კითარაზე.
იმ ბნელი დილით,
როცა იგი იისფრად ღვიოდა
მე ცეცხლს მივეცი ჩემივ ხელით ნაგები ტაძარი.
ვეღარ გავუძელი, ვეღარ გავუძელი მის სილამაზეს!“

„ჰეროსტრატოსი“

არაფერია ამ მშვენიერ ლექსში იდუმალი და დაფარული. თუ მითიც გახსოვს და ისტორიაც, რა თქმა უნდა, გეცოდინება, რომ ეს ტაძარი უძღვნეს არტემისს; ის იდგა თეთრი მარმარილო ამ შავ მიწაზე („შავი მიწა“ მუდმივი მეტაფორაა ძელებერძულ პოეზიაში) და ისეთი ლამაზი იყო, „გეგონებოდა, ფრენას ღამობსო“, მაგრამ ის იდგა, „როგორც არყოფნის სიკვდილი! სიცოცხლის ყოფნა!“ – უბრალოდ თქმული ღრმად ფილოსოფიური ფრაზა, რომელიც მშვენიერების მარადისობის აზრს გვახსენებს. მაგრამ ამაოდ. და აი, კითხვა: ჰეროსტრატოსი, რომელმაც იგრძნო, განიცადა ეს სილამაზე, ვერ გაუძლო და ცეცხლს მისცა არის უგონო, თუ ის, რომელსაც სილამაზის მძაფრად შეგრძნების ნიჭი არ გააჩნია? ლექსის ავტორთან ამ თემაზე მიკამათია. მან თქვა: ან სილამაზე კლავს პოეტს, ან უმისობით თავად კვდება.

ანტიკურ თემებზე დაწერილი ლექსების კითხვას აუცილებლად სჭირდება ანტიკური სამყაროს ცოდნა და არც ეს არის საკმარისი, საჭირო გიყვარდეს ეს სამყარო, გიყვარდეს ის პიროვნებები, რომლებმაც შექმნეს ეს სამყარო, რამეთუ იგი მშვენიერია:

„ლამაზმა: ბიჭმა: მთის: ნიმფები: გვერდით: მიისვა:

და: ცრემლიანი: სილამაზე: ვნებად: თარეშობს:

ჰელენი: ერთად-ერთი: არის: ქვეყნად: ვისთვისაც:

ღმერთი: გაცხადდა: აბსოლუტურ: სილამაზეში“.

„სილამაზის რელიგია“

გიორგი ხომერიკს თავისებურად ჰქონდა განცდილი იმ მითოსურ გმირთა თუ ისტორიულ პიროვნებათა ბედი, რომელთა შესახებაც წერდა. ეს განცდები ღრმად სუბიექტურია და მით უფრო საინტერესო, რადგანაც თითოეულ ლექსს გადაჰყავხარ პოეტის სულიერ სამყაროში ფართო განათლებითა და ცოდნით დაბუდებულ განცდებში. ეჭვს არ იწვევს ამ განცდათა სუბიექტურობა, მაგრამ მათი კითხვა ემოციის გარეშე შეუძლებელია. ასეთია მრავალი ლექსი, რომელთაგან გარდასულ დროთა „იებით დამშვენებულ“ ლარნაკად დგას „ალკეოსისა და საპფოს“ გაბაასება. ლექსი დაწერილია დიალოგის ფორმით. ანტიკური სამყაროს ორი დიდი პოეტი ესაუბრება ერთმანეთს მარადიულ პრობლემებზე: სიცოცხლეზე, სიკვდილზე, სიყვარულზე, მშვენიერებაზე, უკვდავებაზე . . .

„– საპფო: რა: არის: ეს: ცხოვრება: მზემდამალული:

– ჰოი: ალკეოს: სიკვდილია: და: სიხარული:

– რად: არის: საპფო: უკვდავებაც: უსიხარულო:

– იმად: რომ: ისიც: სიკვდილია: სასიყვარულო:

„ალკეოსი და საპფო“

ამ ლექსის კითხვა და გაგება საპფოსა და ალკეოსის ცხოვრებისა და შემოქმედების ცოდნასაც ითხოვს მკითხველისაგან და მისი ავტორის დამოკიდებულებასაც ამ „მზემიმალული ცხოვრების“ მიმართ. ანტიკურ სამყაროსთან ზიარებულთათვის ცნობილია ორი უმთავრესი რამ, რამაც უბიძგა გიორგი ხომერიკს დაეწერა ეს ლექსი ესოდენ დატვირთული სუბიექტური ემოციებით: უპირველეს ყოვლისა, ჩვენამდე მოღწეულია ფრაგმენტი, სადაც საპფოსა და ალკეოსის გასაუბრება იკითხება (Lobel-Page. ფრ. 137), გარდა ამისა მიუნხენის მუზეუმში ინახება ძვ.წ. VI საუკუნით დათარიღებული ლარნაკი, სადაც წარმოდგენილია საპფო, რომელიც ესაუბრება ალკეოსს, ალკეოსი კი დგას თავდახრილი. არავინ იცის რას საყვედურობს საპფო მის თანამედროვე და თანამოქალაქე პოეტს, ანდა რატომ ღებულობს ამ საყვედურს მორჩილებით „მებრძოლ პოეტად“ ცნობილი ალკეოსი. მაგრამ ეს იცოდა პოეტმა და იცოდა ეს ოცდაექვსი საუკუნის შემდეგ და არ შეეძლო, არ ამოეთქვა ვითარცა საკუთარი სულის ამოძახილი:

„– საპფო: თქვი: მაინც: ვინ: მიგაჩნდა: შენმიერებად:

– სიყვარული: და: სიყვარულის: მშვენიერება:

– რად: მტანჯავ: საპფო: მაინც: რაა: მშვენიერება:

– ჩვენი: ღმერთი: და: ჩვენი: ღმერთის: ჩვენმიერება:“

„ალკეოსო და საპფო“

ეს საოცრად ემოციური დიალოგი მკითხველს ძველი სამყაროს ორი დიდი პოეტის დაუვიწყარ პორტრეტს უტოვებს, პორტრეტს „კეთილბოროტი“ სიყვარულით გასხივოსნებულს.

დიალოგის ფორმა, როგორც ჩანს, განსაკუთრებით ხიბლავდა გიორგი ხომერიკს. კრებულში ვხვდებით მის გასაუბრებას როგორც მითოლოგიურ გმირებთან (ოდისეოსი, ჰექტორი და სხვა), ასევე ისტორიულ პერსონაჟებთან, სადაც ნათლად იკვეთება ავტორისეული აზრები სამყაროსეულ პრობლემებზე:

„– რად არ უშვებდი შენს ქალაქში პოეტებს, პლატონ?

ამაზე მკვლევრებს დღესაცა აქვთ მიეთ-მოეთი.

– შენ მკითხე რატომ? აჰ, ვარსკვლავო, შენ მკითხე რატომ?

მიტომ, რომ თავის უფალია ყველა პოეტი!“

„პლატონის აზრი“

ეს ოთხსტრიქონიანი ფრაგმენტი მოითხოვს პლატონის მთელი ფილოსოფიის თუ არა, იმის ცოდნას მაინც, თუ რას წერდა იგი პოეტისა და პოეზიის დანიშნულებაზე თავის დიალოგებში. მაგრამ XXI საუკუნეა და განათლებული მკითხველისათვის ანტიკურობის ცოდნა განვლილი საფეხურია. თუმცა კი მისთვის საინტერესოა, თუ როგორ ესმოდა თავად პოეტს, გიორგი ხომერიკს, ის უმნიშვნელოვანესი ფასეულობები, რაც ანტიკურობამ უანდერძა თანამედროვე ცივილიზაციას და ეს ნათლად, გასაგებად, გარდასული ეპოქისათვის ნიშანდობლივი ფორმებითა და ხილვებით, მშვენიერების განცდითა და პოეტური სრულყოფილებით არის წარმოდგენილი მის ამ პატარა კრებულში, რომელიც პოეტური სულის ამოძახილის განცდას გვიტოვებს.

ბესიკ ხარანაული (დაიბ. 1939)

გიორგი უგულავა

ბესიკ ხარანაული თანამედროვეობის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და პროდუქტიული პოეტია. მისი შემოქმედება ძალიან სწრაფად იზრდება და მისი ახალი ლექსები თითქმის ყოველკვირეულად ჩნდება. აღნიშნულ ნაწილში განვიხილავთ ანტიკურობის რეცეფციას მხოლოდ იმ ლექსებში, რომლებიც 2015 წლამდე შეიქმნა და ბესიკ ხარანაულის შემოქმედების ადრეულ ეტაპს განეკუთვნება.

ანტიკურობა ბესიკ ხარანაულის მხატვრული სამყაროს და პოეტური თემატიკის ძირითად ნაწილს არ ქმნის. 1991 წელს გამოსულ ლექსების კრებულში ის ანტიკურ ტერმინებს მხოლოდ რამდენჯერმე, ეპიზოდურ კონტექსტში ახსენებს, როგორც მაგალითად, ტიტანებს, ანტიკურობას, ორფევსს, ჰერაკლეს, ვენუსს (ვენერას ფორმით) და ჰომეროსს. საინტერესოა, ის ეპიზოდები, როდესაც ის თანამედროვე პოპკულტურის გმირებს ანტიკურ მითოსურ ფიგურებს ადარებს, როგორც მაგალითად, ჯონ ლენონს – ორფევსს, ხოლო ბელმონდოს – ჰერაკლეს.¹²²⁴

თავის სხვა ლექსში პოეტი ერთ კონტექსტში იხსენიებს სამ სხვადასხვა პოეტს, სხვადასხვა ეპოქიდან და კულტურული სივრციდან – არქილოქოსს არქაიკის ეპოქის ბერძნული სამყაროდან (დაახლ. ძვ.წ. VII საუკუნე), ედგარ ალან პოს და ნიკოლოზ ბარათაშვილს. სამივე ამ პოეტს ის აერთიანებს, რომ მათი ცხოვრება უკიდურესად რთული იყო („ცხოვრებამ მაგრად ათრია“ – პოეტის შეფასებით). ჩანს, რომ პოეტი

¹²²⁴ ბ. ხარანაული. ლექსები, პოემები. რედ.: ნ. ინასარიძე: თბილისი, 1991, გვ. 265.

კარგად იცნობს არქილოქოსის ცხოვრებას და შემოქმედებას. არქილოქოსი არ იყო ანტიკური სტანდარტით კანონიერი შვილი და მთელი ცხოვრების გატარება დაქირავებულ მებრძოლად მოუწია. მისი ცხოვრების შესახებ ყველაზე მნიშვნელოვანი წყარო თავად მისი შემოქმედებაა. ბესიკ ხარანაულიც, როგორც ჩანს, იცნობს არქილოქოსს და როდესაც სურდა, რომ სხვადასხვა პერიოდის ხელოვნების შესახებ დაეწერა, რომლებსაც ბედისწერამ არ გაუმართლა, სწორედ ბერძნული არქაიკის არქილოქოსს იხსენიებს.¹²²⁵

ანტიკურობის რეცეფციის კუთხით ბესიკ ხარანაულის ამ კრებულში ყველაზე საინტერესო ლექსი მისი „სიყვარულის წარმოსახვანია“. ლექსი მთლიანად ანტიკურ თემატიკას ეძღვნება. პოეტი მკითხველს ანტიკური რომის სამყაროში ამოგზავნის. რომაელი კონსული თავისი განცდების და ემოციების შესახებ მოგვითხრობს. რომი წარმოდგენილია სტანდარტული სახით, როგორც სიმდიდრის, პოლიტიკური ბრძოლების და კორუფციის, მანკიერებების და მომხვეჭელობის სივრცე. ამას თავად მთხრობელი, რომაელი კონსული აღიარებს. ლექსში მოხსენიებულია იულიუს კეისარიც, რაც გვაფიქრებინებს, რომ პოეტი მოქმედებს რომის ისტორიის, ალბათ, ყველაზე ცნობილ პერიოდში, ძვ.წ. I საუკუნეში, რესპუბლიკის უკანასკნელ პერიოდში განათავსებს.

რომაელი კონსული, ლექსის პროტაგონისტი ყველაფერზე, ანუ რომის სიმდიდრეზე, ამქვეყნიურ სიამეებზე, ძალაუფლებასა და პოლიტიკურ ბრძოლებზე წინ სიყვარულს, თავის პირად ისტორიას აყენებს. იქვე პოეტი იხსენიებს რიცხვს შვიდს, შვიდგზის რომში შობას. შვიდის მოხსენიება რომის კონტექსტში შემთხვევითი არ უნდა იყოს. ამ რიცხვს რომის ისტორიისა და კულტურისთვის სიმბოლური დატვირთვა აქვს – რომი შვიდ ბორცვზე დგას და მას შვიდი მეფე ჰყავდა. პოეტიც არცთუ შემთხვევით რომის კონტექსტში მისთვის ყველაზე ტრადიციულ რიცხვს მოიხსენიებს.

ლექსში ასევე მოიხსენიებიან ბერძენი პოეტები – ალკეოსი და სპჟო. ბერძნული და რომაული კულტურა თითქოს ერთმანეთს უპირისპირდება და ერთმანეთს გამორიცხავს კიდევ. რომაელები ბერძნებზე მეტად გამბედავები არიან – ლექსში ამას პოეტი პირდაპირ გვეუბნება. ბერძნული კულტურა კი, რაც ალკეოსის და სპჟოს მიწერ-მოწერაში ჩანს, თითქოს უფრო მეტად ემოციური, გრძნობისმიერი და სენსიტიურია.¹²²⁶

¹²²⁵ ბ. ხარანაული. ლექსები, პოემები. რედ.: ნ. ინასარიძე: თბილისი, 1991, გვ. 170.

¹²²⁶ ბ. ხარანაული. ლექსები, პოემები. რედ.: ნ. ინასარიძე: თბილისი, 1991, გვ. 388-390.

ჯანდიერი კოტე (დაიბ. 1958)

გიორგი უგულავა

კოტე ჯანდიერი თანამედროვე ავტორია. 2009 წელს გამოცემულ მის მოთხრობათა კრებულში („სიტყვა და წიგნი“) შესულ მოთხრობაში „კონკიას ღამე“ ის არაერთ ანტიკურ ტერმინს იხსენიებს. მაგალითად, როდესაც ის მსჯელობს იმის შესახებ, რომ ადამიანებს ღმერთები ცხოვრებაში უამრავ განსაცდელს მოუვლენენ, ის ამ მხატვრული მოტივის პირველწყაროდ ჰომეროსის „ოდისეას“ იხსენიებს.¹²²⁷ იქვე ადარებს იგი უფრო თანამედროვე პერიოდის (XIX-XX საუკუნეები) პოეზიას, კერძოდ მაღარმეს და ანტიკურ რაფსოდებს, მწერლობის ანტიკურ ტრადიციას.

იქვე, უკვე შემდეგ გვერდზე, ის აგრძელებს ამ საკითხის განხილვას. დეტალურად მიმოიხილავს სხვადასხვა პერიოდის მხატვრული ტრადიციის შესახებ და მათ შორის იხსენიებს ანტიკურ ტრადიციას, კერძოდ, პითაგორას და სოკრატეს, რომლებიც საერთოდ არ წერდნენ და თავიანთ სათქმელს ზეპირი ფორმით, ვერბალურად, სიტყვით გადმოსცემდნენ. იქვე განიხილავს პლატონს, რომელიც ასევე წერასთან შედარებით უპირატესობას აზრის ზეპირად, ვერბალურად გადმოცემას ანიჭებს.¹²²⁸

ზოგადად, ანტიკურობის აღქმის თვალსაზრისით კოტე ჯანდიერის ეს მოთხრობა და მისი ზემოთ განხილული პასაჟი ძალიან საინტერესოა, რადგან ანტიკურ ლიტერატურულ და მხატვრულ ტრადიციას გვიანდელი ეპოქების და თანამედროვეობის კონტექსტში, მათთან შედარების გზით, განიხილავს და საინტერესო დასკვნებამდე მიდის.

ამავე კრებულში მოცემულია მისი სხვა მოთხრობა – „მაყვლიანი“. „მაყვლიანი“ „ქართლის ცხოვრების“ ეპიზოდის მხატვრულად, ალუზიურად გადააზრებულ ეპიზოდს ეყრდნობა, კერძოდ, ელიოზის მიერ მცხეთაში ქრისტეს კვართის ჩამოტანას. ისტორიული კომპონენტი ნაწარმოებში მხოლოდ მცირედ როლს ასრულებს. ავტორი მას მთლიანად გადაამუშავებს და არგებს თავის მხატვრულ ჩანაფიქრს. ავტორის მიხედვით, ელიოზის ისტორიას თითქოსდა მოგვითხრობს ლათინური ხელნაწერი, რომელიც საფრანგეთში აღმოაჩინეს. ნაწარმოები მნიშვნელოვნად ითვალისწინებს და ეყრდნობა სახარებისეულ და „ქართლის ცხოვრების“ მოტივებს. ელიოზი, მთავარი პერსონაჟი, რომელიც თავად ხვდება ქრისტე, მისი მსგავსი ცხოვრებისეული გზის გავლა უწევს. ეცემა, სცოდავს და შემდეგ ისევ მონანიების და განწმენდის გზით მიდის.

¹²²⁷ „სიტყვა და წიგნი“, კ. ჯანდიერი. კონკიას ღამე. თბილისი, 2009, გვ. 5.

¹²²⁸ „სიტყვა და წიგნი“, კ. ჯანდიერი. კონკიას ღამე. თბილისი, 2009, გვ. 5-6.

რადგანაც მოქმედება ძირითადად რომის იმპერიაში მიმდინარეობს, ავტორი არაერთ ანტიკურ ტერმინს მოიხსენიებს. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ რომის და რომაული იმპერიის მისეული აღქმა, უფრო ქრისტიანულ, სახარებისეულ პერსპექტივას ეფუძნება. რომი დაცემის, ცოდვის სივრცეა ელიოზისთვის. ელიოზი ცდილობს გაერკვეს რომაულ სამართალში, ისწავლოს რომაული ცხოვრების წესი (ანგარიში და სავაჭრო წიგნთა შედგენა), რიტორიკა, თუმცა ეს მაინც ცოდვილი სივრცეა, რომელიც მას ჭეშმარიტებას აშორებს.¹²²⁹ ის თავადაც ვაჭარ ზენონის შვილია, რომელიც მისმა ბიძამ, ზებულონმა წაიყვანა იერუსალიმში სამართლის შესასწავლად.

ელიოზის დაცემას ყველაზე მეტად თამაშებზე და გლადიატორთა ბრძოლების საყურებლად წასვლა განასახიერებს. რასაც შემდგომ მოჰყვება უკვე მისი დაცემა მემთვრალეობით და მრუშობით. ზებულონის შვილებმა ელიოზს გლადიატორთა ბრძოლები ანახეს. იქ დაღვრილმა სისხლმა და ნანახმა ძალადობამ ელიოზის ფსიქიკაზე მძიმე გავლენა იქონია. ავტორი აღნიშნავს, რომ ის უფრო ცუდ დღეში იყო, უფრო მეტად დაეცა, ვიდრე მხეცისგან დაგლეჯილი გლადიატორი.¹²³⁰

ამ მოთხრობაში რომი კოტე ჯანდიერისთვის დაცემის, ცოდვის, ძალადობის, ნაყროვანების და ჭეშმარიტებისგან დაშორების სივრცეა. ეს არის ტრადიციული აღქმა რომისა ქრისტიანული ტრადიციისთვის. საპირისპიროდ, ელიოზს ამშვიდებს ქრისტესთან სიახლოვე და მცხეთაში დაბრუნება. ეს მოთხრობა უაღრესად საინტერესოა ანტიკურობის რეცეფციის კუთხით, რადგან მოქმედება თითქმის სრულად ანტიკურობაში, რომის იმპერიაში ხდება და მისი მხატვრულობის მიუხედავად ანტიკური რომი, თუნდაც ქრისტიანული პერსპექტივიდან აღქმული, ძალიან საინტერესოდ არის რეკონსტრუირებული.¹²³¹

კრებულში შესულია კიდევ ერთი ნაწარმოები – „საოჯახო ქრონიკა“, რომელშიც გაკვრით, თუმცა მაინც ნახსენებია ბერძნული თემატიკა. კერძოდ, ერთ მომენტში დეიდა ფლორა სტუმარს, რომელიც ღვინოს წყლით გაზავების გარეშე სვამს, ნახევრად ხუმრობით ბარბაროსს უწოდებს და აღნიშნავს, რომ ბერძნები ღვინოს მუდამ წყალგარეულად სვამდნენ. დეიდა ფლორას ეს რეპლიკა ანტიკური ეპოქისთვის სახასიათო აღქმას ეფუძნება, რომლის მიხედვითაც სამყარო ორ ნაწილად იყო დაყოფილი – ელინურ, ბერძნულ ნაწილად, და არაელინ ბარბაროსებად, რომელთა ბარბაროსობასაც ბერძნული კულტურისგან დაშორება განსაზღვრავდა.

¹²²⁹ „მაყვლიანი“, კ. ჯანდიერი. კონკიას ღამე. თბილისი, 2009, გვ. 17-24.

¹²³⁰ „მაყვლიანი“, კ. ჯანდიერი. კონკიას ღამე. თბილისი, 2009, გვ. 34-35.

¹²³¹ იხ. ნ. ბერძული. ნარატივის ფუნქცია კოტე ჯანდიერის *მაყვლიანში*. ბათუმი, 2019.

ამავე ნაწარმოებში მოხსენიებულია ბერძნული მითები, რომელსაც პერსონაჟი კითხულობს, შემდეგ კი ესიზმრება, რომ აიეტის სასახლეში ეღვიძება.¹²³²

ანტიკურობის რეცეფციის კუთხით ერთ-ერთი გამორჩეულად საინტერესო მოთხრობაა ამავე კრებულის „დაპატიჟება კინოში“. მოქმედება XX საუკუნის თბილისში ხდება და კინო, საბჭოთა რეალობისა და ყოფისთვის მნიშვნელოვანი ატრიბუტი დროსა და სივრცეში მოგზაურობის საშუალებაა. პერსონაჟები სხვადასხვა რეალობაში მოგზაურობენ.¹²³³ მათ შორის ნაწარმოები ეხმიანება ახ.წ. I საუკუნის რომს, პრინციპატის ეპოქის დასაწყისს. კერძოდ, ტიბერიუსის და კალიგულას მმართველობის პერიოდს.

შოთა იათაშვილი
(დაიბ. 1966)

მაია დანელია

მავედრებლები (გაგრძელება)

თანამედროვე ავტორები საკმაოდ დიდი გამოწვევის წინაშე დგანან ანტიკური სიუჟეტების მხატვრული რეციპირებისას. მათ მკითხველს უნდა შესთავაზონ შემოქმედებითად ათვისების მაღალი ხარისხი, კონკურენცია რომ გაუწიონ ორიგინალურ ნაწარმოებს და მკითხველში აღძრან ახალი ინტერპრეტაციების წაკითხვის ინტერესი.

შოთა იათაშვილიც იდგა გამოწვევის წინაშე, ისეთი სიუჟეტი შეერჩია, რომელიც თანამედროვე მკითხველისთვის საინტერესო და აქტუალური იქნებოდა. ამდენად, საკმაოდ კარგი მიგნება იყო, როდესაც მან არჩევანი ესქილეს „მავედრებლებზე“ შეაჩერა.¹²³⁴

ეს სიუჟეტი მისთვის რამდენიმე ასპექტით უნდა ყოფილიყო საინტერესო. როგორც ცნობილია, ესქილეს ტრილოგიის მხოლოდ პირველმა ნაწილმა მოაღწია ჩვენამდე, დანარჩენი ორი კი, რომლებიც დანაიდების ეგვიპტიდებზე შურისძიებას და ჰიპერმნესტრას გასამართლებას გადმოგვცემდა, ჩვენამდე არ მოსულა. ამდენად, შოთა იათაშვილს ჰქონდა თავისუფლება, შემოეთავაზებინა დაკარგული ნაწილების რეკონსტრუქცია.

¹²³² „საოჯახო ქრონიკა“, კ. ჯანდიერი. კონკიას ღამე. თბილისი, 2009, გვ. 90.

¹²³³ აღნიშნულთან დაკავშირებით იხ. ლ. გელაშვილი. კინოფილმის აქტივაცია ტექსტში (კოტე ჯანდიერი „დაპატიჟება კინოში“). თბილისი, 2018.

¹²³⁴ ესქილე/შ. იათაშვილი. მავედრებელნი. თბილისი, 2023.

გარდა ამისა, მისთვის ამოსავალი უნდა ყოფილიყო ამ ტრაგედიის თემები, რომლებიც თანამედროვე საზოგადოებისთვისაც რელევანტურია: ესქილეს „მავედრებლების“ მთავარი თემა თავშესაფრის, სამართლიანობისა და გადარჩენისთვის ბრძოლაა. ტრაგედია მოგვითხრობს ორმოცდაათ ქალზე, დანაოსის ქალიშვილებზე, რომლებიც გარბიან არგოსში, რათა თავი დააღწიონ იძულებით ქორწინებას საკუთარ ბიძაშვილებთან, ეგვიპტიდებთან. ქალები თავშესაფარს ითხოვენ არგოსში და კონფლიქტი წარმოიქმნება, რადგან ისინი ითხოვენ შველას მეფე პელასგოსისგან, რომელმაც უნდა გადაწყვიტოს, მისცემს მათ თავშესაფარს თუ უარს ეტყვის მათ პოლიტიკური და სოციალური ზეწოლის გამო. თავისდა უნებურად მკითხველისთვის ჩნდება პარალელი მედეასთან, რომელიც პირველი ლტოლვილი ქალია კოლხისიდან, რომელსაც უცხოობაში უწევს ყოფნა და უცხოდ ყოფნის პრობლემებთან გამკლავება.

ამ თემასთან უშუალოდ არის დაკავშირებული პოლიტიკური და მორალური პასუხისმგებლობა. მეფე პელასგოსი დილემის წინაშეა პოლიტიკურ პრაგმატიზმსა და მორალურ მოვალეობას შორის, რადგან მან, ერთი მხრივ, უნდა შეასრულოს ვალდებულებები, რომლებიც მას აკისრია როგორც მეფეს საკუთარი ხალხის წინაშე და, მეორე მხრივ, მთხოვნელთა მფარველის, ზევსის, კანონი უნდა დაიცვას და მხედველობაში მიიღოს მთხოვნელთა საჭიროებები. ამდენად, მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ღვთაებრივ სამართლიანობას. ქალები უხმობენ ღმერთებს, განსაკუთრებით ზევსს, რომელიც განიხილება როგორც მავედრებელთა მფარველი. ეს ღვთაებრივი მხარდაჭერა ხაზს უსვამს ღვთაებრივი სამართლიანობის რწმენას და მის კეთილმოყოფელობას.

ტრაგედია ასევე განიხილავს ქალის როლს ძველ საზოგადოებაში. დანაიდები იღებენ გადაწყვეტილებას, რომ შეეწინააღმდეგონ ბიძაშვილების სურვილს, იძულებითი ქორწინებისგან გაქცევით, ერთგვარად ეწინააღმდეგებიან იმდროინდელი პატრიარქალური ნორმებისთვის დამახასიათებელ ადათს. აქ, რა თქმა უნდა, შემთხვევითი არ არის, რომ ეგვიპტიდები არიან ამ აქტის გამტარებელნი, ხოლო ქალები, რომლებიც უარყოფენ მას, ილტვიან არგოსში – საპირისპირო სამყაროში, რომელიც ემყარება დემოკრატიულ პრინციპებს.

გასათვალისწინებელია ესქილეს ტრაგედიის შექმნის დრო და ისტორიული კონტექსტი: ძვ.წ. V საუკუნეში, ათენი მნიშვნელოვანი პოლიტიკური, სოციალური და კულტურული განვითარების ცენტრი იყო. ამ ეპოქაში, განსაკუთრებით ძვ.წ. V საუკუნის I ნახევარში, კლისთენესის რეფორმებმა საფუძველი ჩაუყარა პირდაპირ დემოკრაციას და იმ დროისთვის, როდესაც ესქილე ქმნიდა ტრაგედიებს, სისტემა

მნიშვნელოვნად გაფართოვდა იმით, რომ მოქალაქეებს უფლება მიეცათ მონაწილეობა მიეღოთ პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღებაში.

თანასწორობა და სამართლიანობა გახდა ცენტრალური საყრდენები და ათენის მოქალაქეებს სჯეროდათ დემოკრატიის ძალა, რითაც შეძლებდნენ ქალაქ-სახელმწიფოს მოთხოვნილებების მმართველი ელიტის მიმართ დაბალანსებას. ეს აისახება ესქილეს ბევრ პიესაში, მაგალითად, „ევმენიდები“, სადაც სამართლიანობისა და სახელმწიფოს როლი არის მთავარი თემა.

შესაბამისად, შემთხვევითი არ არის, რომ დანაიდები ილტვიან არგოსში, თავიანთი წინაპრის, იოს სამშობლოში, რომელიც არის დემოკრატიის სამშობლო. ტრაგედიაში ძალიან მოკლედ არის ჩამოყალიბებული შეხედულება, თუ როგორი უნდა იყოს დემოკრატიული სახელმწიფო: ხალხი უნდა იყოს პატიოსანი, რადგან ის არის სახელმწიფოს საყრდენი. მმართველებმა უნდა იზრუნონ შინ საზოგადო საქმეებზე, გარეთ – სტუმრებზე. დავა უნდა გადაწყვიტოს სასამართლომ და არა არესმა.

ესქილესეულ არგოსში არ არის თვითმმართველობა, არამედ მნიშვნელოვანი როლი აქვს ხალხის ხმას. მიუხედავად იმისა, რომ პელასგოსს შეუძლია ერთპიროვნულად მიიღოს გადაწყვეტილება დანაიდების შეფარების შესახებ, იგი უფრო ხალხის აზრს. ამაზე აქცენტი რამდენიმე ადგილას გვხვდება ტრაგედიაში: „ამად არ ძალმიძს, რომ ახლავე შეგპირდეთ რასმე, / ვიდრე ამ ამბავს არ ვაუწყებ მოქალაქეთა“. ხალხის აზრი რომ მნიშვნელოვანია, ამაზე ეს ეპიზოდიც მოწმობს: ხელმწიფე ანუგეშებს დანაიდებს, რომ დიდხანს არ მიატოვებს, უხმობს ხალხს, რომ დაადგინოს მისაღები დადგენილება და დანაოსსაც ურჩიოს, რა უნდა თქვას, ხალხის თანაგრძნობა რომ დაიმსახუროს. მეორე ეპიზოდში კარგი ამბავი მიაქვს ხელმწიფეს დანაიდებისთვის, სადაც მათ ამშვიდებს და ეუბნება, რომ ხალხმა განსაჯა და გადაწყვიტა, რომ მავედრებელნი შეიფარონ, რადგან ზევსის რისხვას ვერ დაემალებიან, თუ მავედრებლებს უარით გაისტუმრებენ. ქვეყნის მოქალაქეებმა კანონით დაადგინეს, რომ დანაიდებს ძალით ვერავინ ახლებს ხელს და არავის აქვს უფლება, დაარღვიოს ეს კანონი.

კანონი რომ უზენაესია, ამას ეს მონაკვეთიც მოწმობს. ერთ-ერთი საკითხი, რომლის გარკვევასაც ცდილობს პელასგოსი არის ის, თუ რა კანონი მოქმედებს დანაიდების სამშობლოში: თუკი მათ ქვეყანაში კანონი ვაჟებს ნებას რთავს, რომ იქორწინონ ნათესავებზე, დანაიდებს სთხოვს, დაუმტკიცონ მას, რომ მათი კანონებით ასეთი ქორწინება არ არის მიღებული.

ახლა დავაკვირდეთ, რა გამომსახველობით ფორმებს და თემებს ირჩევს შოთა იათაშვილი. ცდილობს შეინარჩუნოს ესქილეს სტილი და გვიჩვენოს ბმა ზემოთ

ჩამოთვლილ მთავარ თემებთან, თუ მისგან დამოუკიდებელი „ერთეულის“ შექმნას განიზრახავს.

შოთა იათაშვილი ცდილობს, შეინარჩუნოს დრამისთვის დამახასიათებელი არქიტექტონიკა და სტილი. მისი ტრაგედია შედგება შვიდი ეპიზოდისგან და დაცულია ქოროს პარტიები, რომელიც დანაიდებისგან შედგება. სტილთან დაკავშირებით ავტორი თვითონ აღნიშნავს გაგრძელებისთვის წამმღვარებულ მცირე შესავალში, რომ ორგანული მთლიანობის მისაღწევად მის მიერ გარკვეულწილად სტილიზებულ იქნა ესქილეს მთარგმნელის, გიგლა სარიშვილის პოეტური ხელწერა და ენობრივი ფორმები. მას სურდა, ერთი მხრივ, შეენარჩუნებინა ესქილესეული სტილი და, მეორე მხრივ, ენა ყოფილიყო გასაგები და აღქმადი თანამედროვე მკითხველისთვის.

მიუხედავად იმისა, რომ ავტორი ცდილობს ესქილეს მავედრებლების გაგრძელების რეკონსტრუქციას, ის მხოლოდ მეორე ნაწილზე კონცენტრირდა, სადაც დანაიდები შურს იძიებენ ეგვიპტიდებზე, ხოლო მესამე ნაწილი, რომელიც, სავარაუდოდ, მოიცავდა ჰიპერმნესტრას გასამართლებას და საყოველთაო შერიგებას კიპრისის ნებით, მისი ყურადღების მიღმა დარჩა.

მოკლე შინაარსი ასეთია:

ეპიზოდი პირველი: მაცნე მიდის პელასგოსთან ცნობით, რომ არგოსელებს უჭირთ ეგვიპტიდების მოგიერიება და არგოსელების სიკვდილი ხალხის წყრომას იწვევს მეფის გადაწყვეტილებაზე. მოდის დანაოსი, რომელიც ფიქრობს, რომ ქალაქის ბედი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე მისი ქალიშვილების და მეფეს ამცნობს გადაწყვეტილებას, რომ თანახმაა ასულები ეგვიპტიდებზე დააქორწინოს.

ეპიზოდი მეორე: დანაოსი მიდის ქალიშვილებთან და აძლევს მათ დავალებას, რაც მოტივირებულია ქვეყნის გადარჩენის სურვილით, რომ პირველივე ღამეს ყელი გამოსჭრან ეგვიპტიდებს. ასულებმა არ იციან რამდენად შესწევთ ასეთი ძალა ნაზ ქალწულებს, თუმცა იღებენ მამის დავალებას.

ეპიზოდი მესამე: ქურუმი ატარებს საქორწინო ცერემონიას. ხელმწიფე და დანაოსი ლოცავენ დანაიდებს და ეგვიპტიდებს.

ეპიზოდი მეოთხე: ჟინით ანთებული ეგვიპტიდები მიეშურებიან დანაიდთა სანთილობებისკენ. დანაიდები ემზადებიან სათანადოდ დასახვედრად. ეფროდიტეს სთხოვენ მიმზიდველობას, თუმცა ამავე დროს დანებს ლესავენ.

ეპიზოდი მეხუთე: დანაიდები კლავენ ეგვიპტიდებს. აღწერილია ეგვიპტიდების მკვლელობის მრავალფეროვანი სცენები.

ეპიზოდი მეექვსე: მხოლოდ ჰიპერმნესტრა ვერ იმეტებს ლინკვეს მოსაკლავად.

ეპიზოდი მეშვიდე: ლინკევის დახოცილ ძმებს დასტირის. დანაიდები ამბობენ, რომ არ იციან, როგორ შეძლეს ნიავივით ნაზმა ქალწულებმა ამის ჩადენა.

პრაქტიკულად იათაშვილის ტრაგედია გრძელდება იმ მომენტიდან, რითაც მთავრდება ესქილეს „მავედრებლები“. კერძოდ, დანაიდების არგოსში შეფარების შედეგად წარმოქმნილი პრობლემებით. იგი უშუალოდ კონფლიქტით იწყება. უკვე პირველი მსხვერპლია არგოსელების მხრიდან და ხალხის უკმაყოფილებაც ისმის. მათ ეჭვი შეაქვთ პელასგოსის გადაწყვეტილებაში, სწორად მოიქცა თუ არა ის, როცა შეიფარა მავედრებლები.

ხალხის აზრი შოთა იათაშვილის ვერსიაშიც წარმმართველია. ეს ჩანს პელასგოსის და დანაოსის მოტივაციაშიც. გადაწყვეტილების მისაღებად საკმაოდ დიდი დრო დასჭირდა პელასგოსს, რადგან იგი დიდ ანგარიშს უწევდა ხალხის რეაქციას, რომ დანაიდების შეფარებით უბედურება არ დასტეხოდა თავს ქვეყანას. მეორე მხრივ, კი მას აქვს მორალური პასუხისმგებლობა მთხოვნელი ადამიანები შეიფაროს. ეს დილემა ძალიან კარგად ჩანს, როდესაც მაცნეების ავისმომასწავებელი ცნობები მოდის, ამას მეფე ზევსის სასჯელად აღიქვამს, რადგან დრო დასჭირდა გადაწყვეტილების მისაღებად: „ვაგლახ, რამდენი ვიჭოჭმანე, / შენი და იოს ლაჟვარდოვანი ტრფიალების ნაყოფთა ნაყოფთ / სანამ ჩემი კაბის კალთის ქვეშ შევიფარებდი. / ამ ჭოჭმანმა განგარისხა, გაგაგულისა?!“ (ეპ. I). „გულჩვილი და მოყოყმანე ხელმწიფენი კი / მუდამჟამ უფრო მეტ სატანჯველს / დაატეხენ თავზე სამშობლოს!“ (ეპ. I).

დანაოსის მოტივაციაშიც ჩანს, რომ მისთვისაც მნიშვნელოვანია ხალხის აზრის გათვალისწინება. დანაოსი პელასგოსთან თავის გადაწყვეტილებას, რომ დანაიდები დააქორწინოს ეგვიპტიდებზე მხოლოდ არგოსის დალუპვისგან გადარჩენის სურვილით ასაბუთებს. და ჯილდო ამისი იქნება, ის, რომ მთელი არგოსი იამაყებს მათი საქციელით. ანუ ამ შემთხვევაშიც საგანგებოდ არის ხაზგასმული, რომ ძალიან დიდი ძალა აქვს ხალხს და მათ აზრს. „გადაურჩება არგოსის მეფე ხალხის რისხვას“. დანაიდებსაც გააზრებული აქვთ ეს და ამბობენ, რომ დააკისროს მშობელმა ის, რაც ღმერთების, მეფის და ხალხის ნებაა. (ეპ. II). ჰიპერმნესტრა დილემის წინაშე დგას, ერთი მხრივ, ვერ იმეტებს ლინკევის მოსაკლავად, მეორე მხრივ კი, ჩაესმის ხალხის ხმა: „ჰიპერმნესტრა, სულის ძალა მოიკრიბე, სანამ დროა, და აღასრულე განაჩენი ხალხის და უფლის“ (ეპ. VI).

ესქილეს მსგავსად, აქაც ზევსს მნიშვნელოვანი ადგილი უკავია, როგორც მავედრებლების მფარველის. თუმცა იათაშვილთან განსაკუთრებული ინტენსივობით შემოდის სამართლიანობის ქალღმერთის, დიკეს, ფიგურა, და შეიძლება ითქვას, რომ მას ცენტრალური ადგილი უჭირავს თითქმის ყველა

ეპიზოდში. მას ყველაზე ხშირად მიმართავენ დანაოსი და დანაიდები: „მძლეთამძლე ზევსო, / უსინათლო, მართალო დიკე! / მოგვეცი ძალა, / გაჭირვების ჟამს / ამოვუდგეთ გვერდში სამშობლოს!“ (ეპ. II); „ქალღმერთო დიკე, / წამით მაინც გადმოგვხედე / ოლიმპოს მთიდან!“ (ეპ. II); „დარწმუნებული ვარ, რომ დიკე გადმოგხედავთ, / და საჭირო წამს / წვერწამახულ თავის ხანჯალსაც ჩამოგაწოდებთ!“ (ეპ. II). როდესაც დანაიდები ეგვიპტიდებს კლავენ პირველ საქორწინო ღამეს, დანაიდების პარტიას რეფრენად გასდევს: „აჰა, ესეც შენ საჩუქარი ქალღმერთ დიკესგან!“ (ეპ. V).

კიდევ ერთი თემა, რითაც იათაშვილი ეხმიანება ესქილეს, არის ბედისწერისა და თავისუფალი არჩევანის თემა. თავისუფალი არჩევანი აქვს პელასგოსს, მიიღოს თუ არა დანაიდები, თავისუფალი არჩევანი აქვს დანაოსს, მიიღოს თუ არა დანაიდების ეგვიპტიდებზე დაქორწინების გადაწყვეტილება, თავისუფალი არჩევანი აქვთ დანაიდებს, მიიღონ ქორწინება ეგვიპტიდებისგან თუ წინ აღუდგნენ მათ. დანაოსი ამას ეუბნება დანაიდებს: „საკუთარი სიმამაციო, / საკუთარი ხვედრის არსის ზუსტი ცოდნით / ქვეყანა უნდა გადაარჩინოთ!“ (ეპ. II). ამ შეგონებაში კარგად ჩანს ორივე კომპონენტი, თუმცა კარგად ჩანს ისიც, რომ მხოლოდ ღმერთზე მინდობილი ვერ იქნები და მოქმედებაა საჭირო: „ქალღმერთ დიკეს მფარველობა და / საკუთარი მტკიცე მარჯვენა (ეპ. II).

ყოველთვის რჩება სივრცე თავისუფალი არჩევანისთვის და ამისი ყველაზე კარგი სიმბოლო, ალბათ, ჰიპერმნესტრაა, რომელსაც მიუხედავად იმისა, რომ მამისგან ჰქონდა დავალებული ლინკევის მოკვლა, ვერ გაიმეტა იგი სასიკვდილოდ და დამოუკიდებლად მიიღო მისი გადარჩენის გადაწყვეტილება.

მთლიანობაში, მავედრებლები არის ტრაგედია ადამიანის უფლებების, ღვთაებრივი ნებისა და ადამიანის ქმედებების ურთიერთკავშირზე და მმართველთა და საზოგადოებების პასუხისმგებლობებზე.

ამ ინტერპრეტაციის გზაზე, შოთა იათაშვილმა შეძლო, ერთი მხრივ, გაეთვალისწინებინა ესქილესეული მთავარი ხედვები და, მეორე მხრივ, შეექმნა ტექსტი, განსაკუთრებით შთამბეჭდავი დანაიდების შურისძიების სცენებით, რომელიც ერთდროულად არის ძალიან ექსპრესიული, ირონიული და თვითირონიული, ტრაგიკული და ამაღელვებელი. მან შეძლო თავისი პოეტური ენით ახლებურად აემეტყველებინა ტექსტი თანამედროვე მკითხველისთვის, რითაც მან გარკვეულწილად შექმნა ხიდი თანამედროვე მკითხველისთვის ანტიკურ ლიტერატურამდე მისასვლელად.

„მავედრებლების“ გაგრძელება არის წარმატებული მცდელობა, კვლავ შეგვახსენოს, როგორი მრავალფეროვანია ანტიკური თემები და ინტერპრეტაციისა თუ რეფლექსიის რამდენად უსაზღვრო შესაძლებლობას იძლევა.

ლაშა ბუღაძე
(დაიბ. 1977)

ეკატერინე კობახიძე

ლაშა ბუღაძე არის თანამედროვე ქართველი მწერალი, დრამატურგი, კარიკატურისტი და გრაფიკოსი. დამთავრებული აქვს თბილისის იაკობ ნიკოლაძის სახელობის სამხატვრო კოლეჯი, თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის კონედრამატურგიის ფაკულტეტი და თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელოვნების ფაკულტეტი.

ლაშა ბუღაძე ესეების, მოთხრობების, რომანების ავტორია. მისი ნაწარმოებები თარგმნილი და გამოცემულია: ფრანგულ, გერმანულ, ინგლისურ, რუსულ, სომხურ და პოლონურ ენებზე. სხვადასხვა წელს მიღებული აქვს ლიტერატურული პრემია „წინანდალი“ (1999), საქართველოს თეატრალურ მოღვაწეთა კავშირის პრემია (2004), თეატრალური პრემია „დურუჯი“ (2011), ლიტერატურული პრემია „საბა“ (2004; 2007, 2009, 2012; 2018), რუსული სახელოვნებო პრემია: „ტრიუმფი“ (2007), ბრიტანული რადიო BBC-ის პრემია რადიოპიესისთვის (2007, 2011) და სხვ.

ანტიკურობა ლაშა ბუღაძის შემოქმედების ერთ-ერთი ყურადსაღები თემაა. მას ეკუთვნის 2020 წელს გამოქვეყნებული პიესა „ანტიმედეა“, რომელიც 2021 წელს „საბას“ პრემიის ფინალისტებს შორის აღმოჩნდა.¹²³⁵ „ანტიმედეა“ ავტორისვე შეფასებით, ევრიპიდეს „მედეას“ „არაკლასიკურ“ რეცეფციას წარმოადგენს.

ანტიმედეა

ნაწარმოების დეტალური ანალიზისთვის წარმოვადგენთ თხზულების შინაარსს.

მოქმედება ხდება თანამედროვე ეპოქაში, ე.წ. „გაერთიანებული ევროპის“ ერთ-ერთ ქვეყანაში, სადაც ორი თვის წინ რეფერენდუმის შედეგად ხელისუფლებაში

¹²³⁵ საინტერესოა, რომ ამავე წელს 2021 წლის საუკეთესო პიესის ნომინაციაში გაიმარჯვა პაატა ციკოლიას პიესამ „მედეა s01e06“, რომელსაც ჩვენ ამ ავტორთან დაკავშირებით დეტალურად განვიხილავთ.

მოვიდნენ ულტრანაციონალისტური ძალები, რომელთა ლიდერია კრეონი. ახალმა მთავრობამ მიიღო სპეციალური კანონი, ე.წ. „განკარგულება N 301“, რომლის მიხედვითაც ემიგრანტები, რომლებიც 30 წელი ლეგალურად არ ცხოვრობდნენ ქვეყანაში, უნდა გააძევეთ საზღვრებიდან – ევროპის ახლადშენებული გალავნის კედლების მიღმა.

მედეა, იასონის ყოფილი მეუღლე, ამჟამად ანტიმოქალაქე N 2411, 17 წლის წინ გამოიქცა საკუთარი ქვეყნიდან, რომელსაც ჩრდილო-სკვითები თავს დაესხნენ. მედეას თქმით, „ის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ოლქი, საიდანაც მე ვარ, ახლა დაპყრობილია, იქ ჩვენი მტრის სამხედრო შენაერთებია განლაგებული“.¹²³⁶ იასონმა, რომელიც მედეას ქვეყანაში ჰუმანიტარულ ფონდში მუშაობდა, გადაარჩინა მედეა – მტრით გარშემორტყმული მიწიდან გაყინულ უღელტეხილზე ფეხით გადმოიყვანა და აქ, ევროპაში დაასახლა. მედეამ პოლიტიკური თავშესაფარი მოითხოვა და მიიღო დევნილის სტატუსი. მედეას და იასონს დაქორწინების შემდეგ ორი ვაჟი შეეძინათ. რამდენიმე წლის შემდეგ იასონმა მედეასთან განქორწინება და მასზე ბევრად ახალგაზრდა გლაუკეს, ულტრანაციონალისტური პარტიის ლიდერის, კრეონის შვილის შერთვა გადაწყვიტა. მედეამ, რომელმაც ევროპაში ლეგალურად მხოლოდ 3 წელი იცხოვრა, სხვა ემიგრანტებთან ერთად უნდა დატოვოს ქვეყანა. მედეა ეცადა, რომ შესწინააღმდეგებოდა კანონის აღსრულებას და სარჩელი შეეტანა, რის გამოც იგი გადაიყვანეს სპეციალურ დახურულ ზონაში, სადაც იგი საკუთარი სტატუსის შესახებ სასამართლოს განაჩენს ელის. მედეას, ზონაში ყოფნის მიუხედავად, ცოცხალი კავშირი აქვს ქოროსთან – მის ფეისბუკ მიმდევრებთან, რომლებსაც მუდმივად აბარებს ანგარიშს. მედეას გვერდიდან არ შორდება მისი შვილების ძიძა, ემიგრანტი, რომელიც 34 წელია, რაც აქ ცხოვრობს, თუმცა „არც ენა უსწავლია ნორმალურად, ძლივს მეტყველებს, ასოციალურია“.¹²³⁷

მედეას ბრალი ედება იმაში, რომ იგი მხოლოდ სამი წელი ცხოვრობდა ლეგალურად, დანარჩენი 14 წელი კი არალეგალურ საქმიანობას ეწეოდა: აცხობდა ნამცხვრებს, ჰქონდა ე.წ. ბიოდენების ბიზნესი, რის გამოც გადასახადების გადახდას თავს არიდებდა. მედეას ქვეყნიდან გაძევების მიზეზი არა მხოლოდ ულტრანაციონალისტების მიერ მიღებული კანონია, არამედ მისი განქორწინება იასონთან, რომელიც კრეონის ქალიშვილის საქმროა.

მედეას არც ულტრანაციონალების აგიტატორობამ უშველა, რისკენაც მან ლიბერალური მთავრობის სიძულვილმა უბიძგა.

¹²³⁶ ლ. ბულაძე. ანტიმედეა. წიგნში: ნ. ხარატიშვილი, ა. ფლურაკისი, ლ. ბულაძე. სამი მედეა. თბილისი, 2020, გვ. 128.

¹²³⁷ ლ. ბულაძე. ანტიმედეა. წიგნში: ნ. ხარატიშვილი, ა. ფლურაკისი, ლ. ბულაძე. სამი მედეა. თბილისი, 2020, გვ. 133.

თუმცა, მედეა, ძიძისგან განსხვავებით, თავს წარმატებულ ადამიანად მიიჩნევს, მან თავისუფლად იცის უცხო ენა, აქვს სერტიფიკატები, მას რადიო და ტელე ეთერებში იწვევდნენ როგორც ექსპერტს და ამიტომ მისი თქმით, „ულტრანაციონალისტები რომ არ მოსულიყვნენ რეფერენდუმის მერე ხელისუფლებაში, კიდევ უფრო წინ წავიდოდი, სულ წინ და წინ“.¹²³⁸ „ამიტომ ჩემნაირებს ზიზღით მოისვრიან, რადგან მე ამათ ცხოვრებას წავართმევ, სამსახურს წავართმევ, ხელფასს წავართმევ... და კიდევ ქმრებს... თუ ვიკადრებ ოღონდაც“.¹²³⁹

იასონი, რომელიც მედეას გამეგებით აღშფოთებულია, ცდილობს, კრეონი დაარწმუნოს, რომ მედეა დატოვოს ქვეყანაში, თუმცა ამაოდ. იგი სასამართლოზეც იცავს მედეას, მაგრამ განაჩენი უცვლელია – მედეა დაუყოვნებლივ, ღამის 12 საათამდე უნდა გავიდეს ევროპის საზღვრებიდან. მედეას შვილები მამასთან რჩებიან. იასონის აზრს იზიარებს გლაუკეს, რომლისთვისაც იასონი არის სიყვარული, რომელმაც შეცვალა მისი ჰომოსექსუალური მიდრეკილებები და ოჯახური ბედნიერების იმედი დაუბრუნა. კრეონი უხსნის გლაუკესა და იასონს, რომ მედეას მისი სოციალური აქტივობა უშლის ხელს – იგი ყველასთვის ცნობილია მისი ფეისბუკ ლაივებით და მხარდამჭერებთან ურთიერთობით. კრეონი ცდილობს, მედეას მატერიალური კომპენსაცია შესთავაზოს, მედეა თითქოს ვაჭრობას იწყებს, თუმცა ირკვევა, რომ იგი ფარულად იღებს და ლაივში აზიარებს მათ საუბარს.

პიესის ფინალი ერთგვარ გაუგებრობას იწვევს. მედეასთან მოდის იასონი, რომლის საუბრიდან ირკვევა, რომ კრეონს გულის შეტევით რენიმიაციაში ათავსებენ, გლაუკეს კი ნერვული შეტევა აქვს და დამამშვიდებლების ქვეშაა. მედეასთან გამოსამშვიდობებლად მოსულ ბავშვებს დედა ოთახში კეტავს. მედეა ისევ ფეისბუკ ლაივს რთავს და ქოროს უცხადებს, რომ „დედა არც აქ დატოვებს თავის შვილებს და არც თან წაიყვანს...“¹²⁴⁰ პიესის ბოლო ფრაზებსაც მედეა წარმოთქვამს: „აი, კარზე აკაკუნებენ... მორჩა... აქ მკვდრებს ვერ ნახავენ და ვერც ცოცხლებს“.¹²⁴¹

როგორც ვხედავთ, მიუხედავად იმისა, რომ ანტიკური კორინთოს ნაცვლად მოქმედება თანამედროვე ევროპაში ხდება, ლაშა ბულაძე ძირითადად მისდევს ევრიპიდეს „მედეას“ ძირითად სიუჟეტურ მონახაზს: მედეა ემიგრანტია, მას გაშორდა

¹²³⁸ ლ. ბულაძე. ანტიმედეა. წიგნში: ნ. ხარატიშვილი, ა. ფლურაკისი, ლ. ბულაძე. სამი მედეა. თბილისი, 2020, გვ. 134.

¹²³⁹ ლ. ბულაძე. ანტიმედეა. წიგნში: ნ. ხარატიშვილი, ა. ფლურაკისი, ლ. ბულაძე. სამი მედეა. თბილისი, 2020, გვ. 136.

¹²⁴⁰ ლ. ბულაძე. ანტიმედეა. წიგნში: ნ. ხარატიშვილი, ა. ფლურაკისი, ლ. ბულაძე. სამი მედეა. თბილისი, 2020, გვ. 215.

¹²⁴¹ ლ. ბულაძე. ანტიმედეა. წიგნში: ნ. ხარატიშვილი, ა. ფლურაკისი, ლ. ბულაძე. სამი მედეა. თბილისი, 2020, გვ. 215.

იასონი, რომელსაც სურს კრეონის ასულის, გლაუკეს შერთვა. მედეას აძევებენ, იგი შურს იძიებს იასონზე, კრეონსა და გლაუკეზე.

ევრიპიდეს მიერ გამოყენებული მითოლოგიური ნარატივი ბუღაძესთან თანამედროვე რეალობაშია პროექცირებული. კორინთოს მეფე კრეონი ბუღაძესთან ულტრანაციონალისტური პარტიის ლიდერია, კოლხეთის მეფის ასული მედეა – აფხაზეთიდან დევნილი ემიგრანტი, კოლხეთის მეფე აიეტი – ჩრდილო-სკვითების მიერ შევიწროებული პოლიტიკური ლიდერი, თესალიელი გმირი იასონი – აფხაზეთში მივლენილი ჰუმანიტარული ორგანიზაციის წევრი. ძიძა – მედეას შვილების ემიგრანტი მომვლელი, ასოციალური პიროვნება.

მიუხედავად მოქმედების დროისა და სივრცის ასეთი რადიკალური ცვლილებისა, ლაშა ბუღაძე ცდილობს ევრიპიდეს „მედეაში“ წარმოდგენილი სიუჟეტური კომპონენტები და მნიშვნელოვანი დეტალები, თუნდაც გარკვეული ცვლილებებით, მაინც ასახოს „ანტიმედეაში“. მართალია, ოქროს საწმისის თემა საერთოდ გამქრალია პიესაში, მაგრამ აღნიშნულია მედეას გარკვეული მიმართება მაგიასთან – „ბიოდენების ბიზნესი“, რის საშუალებიდანაც მედეას შეუძლია განკურნოს ადამიანები. ნაწარმოებში, ერთი შეხედვით, არსად ჩანს მედეას მიერ იასონის დახმარების მოტივი (მედეას ჯადოსნობის წყალობით ცეცხლისმფრქვეველი ხარების მოთვინიერების, დრაკონის კბილებიდან ამოზრდილი გოლიათების დამარცხების, ოქროს საწმისის მოდარაჯე დრაკონის დამინების ეპიზოდების აღუზიები), თუმცა „ანტიმედეას“ ერთ-ერთ მონაკვეთში იასონი საკუთარ თავს უტყდება, რომ მედეასთან მისი განქორწინება, რაც მასთან ფიზიკური სიახლოვის შეუძლებლობითაა განპირობებული, გამოწვეულია იასონის მიმართ მედეას გადამეტებული, დედობრივი ზრუნვით, რაც ერთგვარი ინცესტის განცდას უღვიძებდა.¹²⁴² ასევე საინტერესოდ არის გადაწყვეტილი საწამლავის თემა. ევრიპიდესთან საწამლავით გაჟღენთილი სამოსითა და გვირგვინით იასონის საცოლის და მისი მამის მოკვდინება, „ანტიმედეაში“ ტრანსფორმირდა გლაუკესა და კრეონის ფსიქოლოგიური „მოწამვლით“. მამაზე გაბრაზებული გლაუკე ეუბნება მამას: „ერთმანეთს უნდა ჩავეხვიოთ და ერთად მოვკვდეთ, რადგან სხვანაირად ვერ გადავრჩებით“.¹²⁴³ კრეონი ეუბნება გლაუკეს მედეაზე: „შენი ქმარი იმ ყაჩაღმა ქალმა მოწამლა, შენმა ქმარმა შენ, შენ კი მე მწამლავ შენი შხამიანი სიტყვებით!.. ეს უკვე

¹²⁴² ლ. ბუღაძე. ანტიმედეა. წიგნში: ნ. ხარატიშვილი, ა. ფლურაკისი, ლ. ბუღაძე. სამი მედეა. თბილისი, 2020, გვ. 186-187.

¹²⁴³ ლ. ბუღაძე. ანტიმედეა. წიგნში: ნ. ხარატიშვილი, ა. ფლურაკისი, ლ. ბუღაძე. სამი მედეა. თბილისი, 2020, გვ. 206.

ვირუსია... მე არ მინდა შენთან ერთად სიკვდილი...“¹²⁴⁴ „ანტიმედეას“ იასონი ევრიპიდეს იასონის მსგავსად, ძირითადად საკუთარ ცოლს ადანაშაულებს იმაში, რომ ქალს ქვეყნიდან აგდებენ. თუკი ევრიპიდეს „მედეაში“ იასონის თქმით, მედეას სულელური „ლაყბობისთვის“, მეფისა და მისი ოჯახის მიმართ მუქარისთვის აძევებენ (Eur. Med. 450 და შმდგ.), „ანტიმედეაში“ ამის მიზეზი მედეას პოლიტიკური და სოციალური აქტივობაა: იასონი ეუბნება მედეას: „შენ ულტრანაციონალისტების აქტივისტად ჩაეწერე ჩვენს უბანში, მათ პროპაგანდისტულ დეკლარაციებს არიგებდი და ხალხს მოუწოდებდი, ხმა ამ ფაშისტოიდებისთვის მიეცათ [...]... შენ მიეცი ხმა ამ არამზადებს...[...] შენ გეგონა, რომ ეს კანონი შენნაირ შედარებით ძველ ემიგრანტებს არ შეეხებოდა [...] შენ მათზე უფრო აგრესიული ნაციონალისტი გახდი...“,¹²⁴⁵ ხოლო კრეონის თქმით, „ეს მისი ბრალია: აქტუალური გახდა... იმიტომ, რომ ამბიციური ქალია. არ აეტება ამხელა ხმაური და მეტი შანსი გვექნებოდა, რომ რაღაცით დავხმარებოდით“.¹²⁴⁶

გარდა ევრიპიდეს „მედეასი“, „ანტიმედეაში“, ჩემი აზრით, ჩანს ფრანც გრილპარცერის ტრილოგიის „ოქროს საწმისის“ მესამე ნაწილის, „მედეას“ გარკვეული კვალი. საქმე ეხება ევრიპიდესთან ე.წ. „მუნჯი“ პერსონაჟის, კრეუზას აქტიურ, მეტყველ გმირად გამოყვანას. ბუღადის გლაუკე, გრილპარცერის კრეუზას მსგავსად, ყველაფერს აკეთებს საკუთარი ბედნიერებისთვის საბრძოლველად. აქვე აღსანიშნავია სასამართლოს თემა, რომელიც შეიძლება დავუკავშიროთ გრილპარცერის „მედეაში“ ნახსენები ამფიქტიონების¹²⁴⁷ განაჩენს იასონისა და მედეას მიმართ ქალაქიდან გაძევებაზე. იასონს კრეონი უწევს შუამდგომლობას, ხოლო მედეა დაუყოვნებლივ უნდა წავიდეს კორინთოსიდან. თავად ამფიქტიონების ლიგა, ჩემი აზრით, „ანტიმედეას“ „გაერთიანებული ევროპის“ გარკვეულ ალუზიებს იწვევს. ასევე, შესაძლოა, გარკვეული მიმართებები იგრძნობოდეს გრილპარცერის „მედეასთან“ ბავშვების თემასთან დაკავშირებით. მართალია, „ანტიმედეაში“, თავად მედეასვე ნებით, ბავშვები იასონთან უნდა დარჩნენ (როგორც ამას ევრიპიდეს „მედეაშიც“ ვხვდებით – მედეა სასიკვდილო ძღვენით შვილებს გლავკესთან აგზავნის ამ

¹²⁴⁴ ლ. ბუღადე. ანტიმედეა. წიგნში: ნ. ხარატიშვილი, ა. ფლურაკისი, ლ. ბუღადე. სამი მედეა. თბილისი, 2020, გვ. 207.

¹²⁴⁵ ლ. ბუღადე. ანტიმედეა. წიგნში: ნ. ხარატიშვილი, ა. ფლურაკისი, ლ. ბუღადე. სამი მედეა. თბილისი, 2020, გვ. 152-153

¹²⁴⁶ ლ. ბუღადე. ანტიმედეა. წიგნში: ნ. ხარატიშვილი, ა. ფლურაკისი, ლ. ბუღადე. სამი მედეა. თბილისი, 2020, გვ. 159

¹²⁴⁷ ძველ საბერძნეთში, პოლისური სისტემის დამკვიდრებამდე რელიგიური ასამბლეა, რომელიც საბერძნეთის ექვს ქალაქს აერთიანებდა და რომელზეც ძველი საბერძნეთის სახელმწიფოს წარმომადგენლები ბჭობდნენ საერთო ინტერესებზე და იხილავდნენ ურთიერთშორის წამოჭრილ უთანხმოებებს (კანონთა გონი. ფრანგ. თარგმნა დ. ლაბუჩიძემ. შესავ. წერილი ნ. ნათაძის. რედ.: რ. ფეიქრიშვილი. თბილისი, 1994).

წყალობის სათხოვნელად) და ორივე შემთხვევაში ეს მედეას ერთგვარი ხრიკია შურისძიების მოსამზადებლად, მაგრამ სასამართლოზე წამოიჭრება საკითხი მედეას ათი და ექვსი წლის შვილების (უნდა აღინიშნოს, რომ ეს პირველი შემთხვევაა, როდესაც შვილების ასაკი ნაწარმოებში დაკონკრეტებულია) მშობლებს შორის „განაწილების“ საკითხი, რაც სწორედ გრილპარცერის „მედეას“ ერთ-ერთ ეპიზოდშია წარმოდგენილი.

პიესაში არის ტრადიციული მითოლოგიური პერსონაჟების სრულიად ახლებური, ორიგინალური გადაწყვეტის შემთხვევები. მაგალითად, „ანტიმედეას“ იასონი, რომელიც, როგორც ევრიპიდესთან, ისე გრილპარცერთან, მედეას გაძევების აშკარა მომხრეა, ბუღადის „ანტიმედეაში“ კრეონისა და სახელმწიფოს წინააღმდეგ ვერბალურ პროტესტს არაერთგზის გამოხატავს და ცდილობს, დაარწმუნოს კრეონი, დაეხმაროს მედეას, ასევე სასამართლოზეც მედეას დასაცავი სიტყვით გამოდის: „მე აქ მოვედი, რათა სახელმწიფოს ვუჩივლო... ჩემი პირადი საჩივარი შემაქვს, რომლითაც ადამიანის უფლებების დისკრიმინაციას ვადასტურებ... ჩემს ქვეყანას ჩემი ყოფილი ცოლის დაჩაგვრისთვის ვუჩივი... და თუკი აქ წავაგებ, ევროპის ადამიანი უფლებათა უმაღლეს სასამართლომდეც მივალ... ეს ადრეც უნდა მექნა...“.¹²⁴⁸

ამრიგად, ლაშა ბუღადის პიესა „ანტიმედეა“, რომელსაც თავად ავტორი ევრიპიდეს „მედეას“ არაკლასიკურ რეცეფციას უწოდებს, შეიძლება ჩაითვალოს ანტიკური ტრაგედიის რეპრეზენტაციის საინტერესო, ახლებურ ვერსიად, რაც ანტიკური ტექსტის ნაწილობრივი მოდერნიზაციითაა გამოწვეული. მიუხედავად მოქმედების დროისა და სივრცის რადიკალური ცვლილებისა, პერსონაჟების სტატუსის განსხვავებულობისა, „ანტიმედეაში“ ძირითადად შენარჩუნებულია ევრიპიდეს „მედეას“ მთავარი გზავნილები (განქორწინება, „ბარბაროსობა“, ქალთა უფლებები, შურისძიების მართლზომიერება), რომელთაც ლაშა ბუღადე დამატებით ურთავს თანამედროვე საზოგადოებისთვის აქტუალური და მტკივნეული თემების განხილვას (ემიგრანტობა, ადამიანთა უფლებები, ულტრანაციონალისტური განწყობები და ლიბერალიზმისადმი უნდობლობა, მართლმსაჯულების მიკერძოებულობა, ევროპული საზოგადოების ინდიფერენტიზმი, ჩაკეტილი საზოგადოების საფრთხეები, გენდერული საკითხები, სოციალური ქსელების როლი და სხვ). აშკარაა, რომ ევრიპიდეს „მედეას“ ტექსტის მოდერნიზაცია „ანტიმედეაში“ არის ერთგვარად ფორმალური ხასიათის, რადგან მის მიღმა იკვეთება ანტიკური ტრაგედიისთვის ნიშანდობლივი ოპოზიცია და დრამატული ელემენტები, მთავარი პერსონაჟები და მთავარი კონფლიქტი. „ანტიმედეაში“ ჩანს „მედეას“

¹²⁴⁸ ლ. ბუღადე. ანტიმედეა. წიგნში: ნ. ხარატიშვილი, ა. ფლურაკისი, ლ. ბუღადე. სამი მედეა. თბილისი, 2020, გვ. 181.

ევრიპიდეს შემდგომი რეცეფციების კვალიც, რაც პიესაში გლაუკეს პერსონაჟის „ამეტყველებით“, ბავშვების თემისა და ამფიქტიონების ლიგის ელემენტის შემოტანაში იკვეთება.

პაატა ციკოლია
(დაიბ. 1976)

ეკატერინე კობახიძე

თეატრის რეჟისორი, დრამატურგი. 1996 წელს დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისი სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი, 1999-2002 წლებში სწავლობდა და დაამთავრა აშკროფტის საერთაშორისო ბიზნეს სკოლა კემბრიჯში. 2011 წელს დაასრულა შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის დრამის რეჟისურის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამა. 2016 წელს მოიპოვა პრემია დურუჯი სპექტაკლის „კალიგულა“ საუკეთესო დრამატურგიისთვის. მისი რეჟისორობით იდგმება სპექტაკლები მარჯანიშვილის, რუსთაველის და ბათუმის თეატრებში. არის რამდენიმე მონოპიესისა და პიესის ავტორი.

2021 წელს მიენიჭა ლიტერატურული პრემია „საბა“ პიესისთვის „მედეა s01e06“.

ნაწარმოების ანალიზისთვის გადმოვცემთ მის შინაარსს:

1. თხრობას იწყებს მეფე აიეტის დაცვის უფროსი, ეპოპე, რომელიც კოლხეთის მთებში მდებარე პანსიონატ „ეგალეში“ ერთ საღამოს იხსენებს 40 წლის წინათ მომხდარ ამბებს.

მედეას სახელის ხსენება მთელ კოლხეთში აიკრძალა, თუმცა ტაძრებში, ქუჩებში სულ მასზე ჩურჩულებდნენ, აიეტი ისე გარდაიცვალა, რომ შვილის სახელი არ უხსენებია. დაცვის უფროსს კარგად ახსოვს, როგორ კიოდა მედეა და ხელში პატარა ეგალეს მოჭრილი თავი ეჭირა: „ეს მე ვარ, მედეა!“

დაცვის უფროსი სიზმარს იხსენებს, ზღვიდან უეცრად გამოჩენილ ხომალდს, სისხლით დაფარულს და მას არგოს ამსგავსებს. სიზმარში ნავის კოფოზე ამოკვეთილი სახე კი ეკითხება: „შენ იცნობ მედეას?“

2. შემდეგი ეპიზოდი მონასტერში ხდება, ილუმენია ქალკიოპე უბრაზდება და სცემს პატარა მონაზვნებს, რომლებიც ფერადი ილუსტრაციებიან ჟურნალს ათვალიერებენ და ჭორაობენ მუქი ფერის მუზარადიან ბერძნებზე და ოქროსფრად

აპრიალეებული მუზარადების მქონე კოლხებზე. აქვე ეგალეზეც, 10 წლის უფლისწულის სილამაზეზეც საუბრობენ. აიეტი მისი დაბადების დღისთვის ზეიმის გამართვას აპირებს. ამ დროს გალავანთან ხელებშეკრულ მედეას მოიყვანენ, იქვეა აბსირტო, მწვანედთმაშელბილი, მონაზვნებმა ადვილად იცნეს – მას ხომ ფოტო გაზიარებული ჰქონდა. მედეას, ალბათ, დასჯიან „უწია ღმერთების რისხვამ“.

3. უფროსი უფლისწული აბსირტო მხლებლების თანხლებით გამოდის. იგი მონებს უბრაზდება, რომ მათ მედეას სცემეს. მერე დას თვითონ დაუწყებს გინებას, ცემას და ლაივს უღებს. მისი საუბრიდან ირკვევა, რომ მედეა ისჯება იმისთვის, რომ გაყიდა საკუთარი მამა, გააწყვეტინა კოლხეთის ჯარი, რადგან ვიღაც ბერძენის სასქესო ორგანოზე გული შეუვარდა. აბსირტოსი აფურთხებს მედეას და სხვებსაც მოუწოდებს. ურტყამს წიხლებს და შეურაცხყოფს. ართმევს ტელეფონს მედეას, რომელიც თურმე მთელ კოლხეთს ემესიჯება.

4. შემდეგ მოქმედებაში ეპოპე (დაცვის უფროსი) და მედეა საუბრობენ, მედეა სასოწარკვეთილია, ის, მმის ბრძანებით, ეპოპემ ტყეში გააუპატიურა. მედეა ქალიშვილი აღმოჩნდა. მას გული ერევა, ერთიანად განავალსა და ნარწყევშია ამოსვრილი. გალავნიდან ქალკიოპე და მისი მონაზვნები კმაყოფილებით უმზერენ ამ სანახაობას. მედეამ მინის ჭურჭელს თავი მოამტვრია, რაღაც შეიყნოსა და გუნება სრულიად შეეცვალა, გამოუკეთდა. ეპოპე სიყვარულში უტყდება მედეას. არწმუნებს, რომ ქალიშვილი აიეტსაც უყვარს. მედეას სარკასტული სიცილი აუვარდება და მძულვარებით საგსე სიტყვებით მიმართავს ეპოპეს.

5. ამ დროს კოლხეთში ჰეკათეს ფესტივალია. ყველა ჰელიოსის ტაძარში მიდის. ქალები მიხაკებით ტაძრებში შედიან. ხიდებზე მოღალატეების გვამები კიდება. სადღაც ტყეში ბერძნები მიიპარებიან, მათ მედეა მისდევს, მძინარე ეგალე გულში ჩაუკრავს.

6. კვლავ 40 წლის შემდეგ პანსიონატ „ეგალეში“ ვბრუნდებით, სადაც დაცვის უფროსი აგრძელებს ამბის თხრობას. როდესაც აბსირტო და მისი მხლებლები სასტუმრო „ფაზიფაში“ მივიდნენ, იქ არგონავტებისთვის მსტოვრებად მიჩენილი ადამიანების გამოფატრული გვამები დახვდათ. აბსირტომ და მისმა მხლებლებმა გარდაცვლილთა ნაწლავებზე დაიწყეს სრიალი და ვიდეოების გადაღება, ხოლო აბსირტო მედეას ეძახდა შემოიღო ხმით და იმუქრებოდა. მსტოვრების მუცელგამოფატრული გვამების ნაწილი ბერძნებს სხვა სართულებზე აეტანათ და ფანჯრებიდან გადმოეკიდათ. მხლებლებმა უზომო რაოდენობით შეიყნოსეს ცაიანის ფხვნილი და სისხლზე სრიალი განაგრძეს. ყველა გვამს გენიტალიები ჰქონდა მოჭრილი და პირში ჩატენილი. ამ დროს აიეტის სასახლიდან მონა მოვიდა და შეატყობინა დაცვის უფროსს, რომ ეგალეს ვერ პოულობდნენ და შემოიღო აიეტი

მედეას ეძახდა. ეპოპე პორტში ნავი-მდევერების მომზადებას ბრძანებს – ბერძნებმა ოქროს საწმისთან ერთად ეგალეც გაიტაცეს. გამხეცებული აბსირტომ ეპოპეს მუქარა დაუწყო და თავში რამდენჯერმე დანა ჩაარტყა. ერთ-ერთ მსტოვარ ქალს, მინოსელ მონა მიასმას ყელზე ფირფიტა შეამჩნიეს, რომელზეც ბერძნულად და კოლხურად ეწერა: „ჩემი საშო, შენი განძი შეგინახო სუფთად“. ეს მხოლოდ მედეას შეეძლო დაეწერა. ეპოპესთვის ნათელი გახდა, რომ ისინი „დაამხო მედეამ“.

7. ამ ეპიზოდში კვლავ სასტუმროში გრძელდება ამბავი. გამხეცებული აბსირტო კვლავ ცაიანის ფხვნილს იფრქვევს პირში. შემოიღო ახალგაზრდები შენიშნავენ, რომ მედეამ ლაივში დადო ბერძენთან სექსი გემზე.

8. ამ მოქმედებაში მწერალი უბრალოდ ჩამოთვლის ყველა იმ ეპიზოდს, რომელიც არგონავტების ტრადიციულ მითს უკავშირდება და ახსენებს: მეფე ესონის ტახტიდან გადაგდებას, იოს – ბოროტ დედინაცვალს, ჰერას მოხუც ქალად გარდასახვას, ფრიქსოსის და ჰელეს გაფრენას ოქროს ვერძით; კენტავრ ქირონს; ნავ არგოს; დედოფალ ჰიფსიპილეს; ლემნოსელ ქალებს, მეფე ფინევსს; ჰარპიებს; პილასს; სიმპლეგადებს; ორფეოსს და სირინოზებს; კოლხეთის ხარებს; ოქროს საწმისს; გველეშაპს; აფსირტოსს; კირკესს; ეს არის მხოლოდ ჩამონათვალი, რომელიც პიესის სიუჟეტში არ ვითარდება.

9. დაცვის უფროსი კვლავ განაგრძობს თხრობას. ეპოპე იხსენებს, რომ არგო ვერ გაექცეოდა ხომალდ იდიიას, რომელზეც თავად მეფე აიეტი ავიდა. ამ ხომალდს მეფემ გარდაცვლილი მეუღლის, რომელმაც თავი მოიკლა, სახელი დაარქვა. ამ გემით კოლხები მალე დაეწივნენ კიდეც ბერძნებს. არგონავტებმა შიშმა მოიცვა. მეფე მედეას ეძახდა. მედეა ძმასთან ერთად გემბანზე იდგა. აიეტმა ეგალეს დაბრუნება სთხოვა. მედეამ კი ყველას თვალწინ ყელი გამოსჭრა მას: „აი, რას ვფიქრობ შენზე, აიეტ, თვალი გამისწორე, მამა“ – მიაძახა. სისხლის სუნმა ხომალდ იდიიას მიაღწია, აიეტი ჩაიკეცა, აღრიალდა და სულ გაჭაღარავდა, უძლურ მოხუცად იქცა. გატყდნენ კოლხი მენჩბეებიც. გემბანზე იდგა მედეა ძმის მოჭრილი თავით.

10. ამ ამბიდან 12 წლის შემდეგ ეპოპე და აბსირტო სასტუმრო „ფაზიფაში“ საუბრობენ. ეპოპე სთხოვს აბსირტოს, რომ რაღაც შეცვალოს, კოლხებს მისი თავნებობის ატანა აღარ შეუძლიათ. აიეტს ინსულტის შემდეგ მეტყველება უჭირს, სოფელ-სოფელ ატარებენ ტახტით და ყველგან ქვრივ-ობოლთა პანსიონატებს ხსნის, რაც აბსირტოს დაცინვას იწვევს. აბსირტოსი აქაა გამოკეტილი, მას შეშლილად თვლიან, ყველა სურვილს უსრულებენ. ამ სასტუმროში კი უცნაურ გარემოებებში ხალხი იღუპება. ქალკიოპე მამას ეხმარება, მას სურს, რომ მისი ძმა გონს მოეგოს. მთელი კოლხეთი აბსირტოს დასჯას ითხოვს. აბსირტოსის აზრით, ქალკიოპეს დედოფლობა სურს, მან სამჯერ მისი მოწამვლა სცადა. ეპოპე უკანასკნელად

აფროთხილებს აბსირტოს, რომ შეწყვიტოს ამაზროზენი ვიდეოების დადება, სადაც ჩანს გაუპატიურება და მკვლელობები.

11. ამ ეპიზოდში კვლავ 40 წლის წინანდელ ამბავს ვუბრუნდებით. მოქმედება გრძელდება ხომალდ „არგოზე“. მედეა ნაკუწებად ჭრის ძმის სხეულს და ზღვაში ისვრის. არგონავტებს სძინავთ, ისინი კირკეს შელოცვამ დააძინა. მედეას კი ჩაესმის შეშლილი მამის სიტყვები. მედეა დიდხანს ჭრიდა სისხლის გუბეში ძმის სხეულს წვრილ ნაფლეთებად. შეშლილი აიეტი ევედრებოდა მედეას, რომ წყალში არ ჩაეყარა ეგალეს თავი და ხელები, არამედ მის გემზე გადმოეყარა. მედეა კი აგინებდა კოლხეთს, მათ კულტურას და საკუთარ მამას. გემი უახლოვდება საბერძნეთს. მედეა ევედრება ღმერთებს და შელოცვასავით რამდენჯერმე იმეორებს:

„ღმერთებო! მედეა ვარ! კოლხი უფლისწული. მეფე აიეტის შვილი, უფლისწულ აბსირტოს მესაიდუმლე და მეგობარი, უფლისწულ ეგალეს საყვარელი და [...] ნეტავ წინ რა მელის, ღმერთებო, ამარიდეთ განსაცდელი. მაკმარეთ ტანჯვა“. მედეა მუცელზე იწყობს ხელებს და ფეხმძიმობაზე ფიქრობს. ნაწარმოები სრულდება მედეა შემდეგი ფრაზით: „ეს მე ვარ, მედეა! თავისუფალი გვამი!“

როგორც ვხედავთ, პიესის სიუჟეტი, მართალია, უკავშირდება არგონავტების მითის კოლხეთის ეპიზოდს, მაგრამ ტრადიციული ნარატივის სრულიად ახალ, ორიგინალურ გააზრებას გვთავაზობს. სიუჟეტში, ერთი შეხედვით, ძირითადი ხაზი უცვლელია: მედეას შეუყვარდება იასონი, დაეხმარება ბერძნებს ოქროს საწმისის გატაცებაში, მღევართაგან თავდასაღწევად საკუთარი ხელით აკუწავს ძმას: თუმცა მედეას ქმედებების ძირითადი მოტივაცია არის არა სიყვარული, როგორც ეს ბერძნულ მითშია მოცემული, არამედ სიძულვილი. მას სძულს საკუთარი ოჯახი, მამა, სამშობლო, კოლხეთის კულტურა, რომლის „დასამხობადაც“ იგი არგონავტებს იყენებს. ავტორმა კარგად იცის არგონავტების ტრადიციული მითის ყოველი ეპიზოდი, რასაც დაწვრილებით ჩამოთვლის კიდევ ნაწარმოების მერვე ნაწილში, რაც პიესის შინაარსის გადმოცემისას უკვე ვახსენეთ, თუმცა ამ ეპიზოდებს პიესაში არ რთავს. ნაწარმოებში მოქმედება თანამედროვე სამყაროში ხდება, რაც ყველაზე ხშირად მობილურ ტელეფონთან დაკავშირებულ ეპიზოდებში ჩანს – პიესის გმირები იღებენ ვიდეოებს და სურათებს, მათ აქვთ ფეისბუკპროფილები, სადაც დებენ ლაივსტრიმებს; რამდენიმე ეპიზოდში მოქმედება თანამედროვე მრავალსართულიან ფეშენებელურ სასტუმროში თუ პანსიონატში ხდება და ა.შ. ამ თანამედროვე „ანტურაჟის“ მიუხედავად, შენარჩუნებულია ტრადიციული მითის ძირითადი ტოპონიმები (კოლხეთი, საბერძნეთი), ღმერთების და გარკვეული სახეცვლილებით – პერსონაჟთა საკუთარი სახელები (მედეა, იაზონი, აიეტი, აბსირტო, ქალკიოპე, იდიია, კირკე, ჰეკატე), აქვე დამატებულია ახალი მოქმედი გმირები (ეპოპე – აიეტის დაცვის

უფროსი; ეგალე – მედეას უმცროსი ძმა); თუმცა სიუჟეტში ჩართული ეპიზოდები, პერსონაჟთა ქმედებები, ლექსიკა მკვეთრად განსხვავებულია ტრადიციული ნარატივისგან. ნაწარმოებში ძალადობის, სისხლიანი მკვლევლობების, გაუპატიურებების, ნარკოტიკული თრობის ამსახველი ეპიზოდების მთელი კასკადია: მედეას, აბსირტოს ბრძანებით, აუპატიურებს დაცვის უფროსი, მედეას სასტიკად უსწორდებიან ნარკოტიკული ზემოქმედების ქვეშ მყოფი აბსირტო და მისი მეგობრები, რომლებიც მოგვიანებით ჰიპერბოლიზებული შემზარათობით გამორჩეული ქმედებებით ტკბებიან (მუცელგამოფატრული გვამების ნაწლავებზე სრიალი, ხრწნად გვამებთან სურათის გადაღება); არგონავტები კოლხ მსტოვრებს მუცლებს უფატრავენ და მოკვეთილი გენიტალიებით გუდავენ, მედეა ლაივში დებს სექსს იასონთან, მედეა მამის თვალწინ საკუთარი ხელით თავს ჰკვეთს უმცროს ძმას, ეგალეს, მის სხეულს ნაკუწ-ნაკუწ ჭრის და ზღვაში ყრის, აბსირტო დასცინის პარალიზებული მამის მეტყველებას, ილუმენია ქალკიოპე ძმის მოწამელის ბრძანებას გასცემს და ა.შ. ამ წარმოდგენლად შემზარავ რეალობაში მოქმედებენ პერსონაჟები, რომელთა მეტყველება და ლექსიკა გაჯერებული ბილწსიტყვაობითა და სიძულვილით, ავადმყოფური მისწრაფებებით და სადიზმით. რა მთავარი გზავნილები შეიძლება დავინახოთ პაატა ციკოლიას „მედეას“ ვერსიაში? ვფიქრობ, ეს არის კოლხეთის (რომლის მიღმაც ადვილად იკითხება თანამედროვე საქართველო) მორალური და სულიერი დეგრადაციის ილუსტრაციის სურვილი – ოჯახის წევრებს ერთმანეთი სძულთ, ძალაუფლების მქონეთ ყველაფრის უფლება აქვთ, მათთვის ადამიანის ღირსება და სიცოცხლე არაფერს ნიშნავს, ყველაფერი შეიძლება შეიბილწოს, ყველაფერი ჩამხრჩვალა სისხლსა და ძალადობაში. ახალგაზრდების უმეტესობა ნარკოტიკულ თრობასა და ძალადობას მისცემია... ამ ფონზე მედეა ერთგვარი რევოლუციური ფიგურაა, რომელსაც სურს, ეს მოჰადოებული წრე გაარღვიოს, თუმცა ამ წრის გაღრვევას ისევ და ისევ ძალადობით ცდილობს – არგონავტების დახმარებით შემზარავ ხოცვა-ჰლეტას მართავს, საკუთარი ხელით კლავს და ანაკუწებს 10 წლის უდანაშაულო ძმას. ეს „პროტესტი“, რაც მას, მართალია, ერთი შეხედვით, თავისუფლებას ანიჭებს, თუმცა, ეს მის მორალურ და სულიერ კვდომას მოასწავებს – სწორედ ამ ფრაზით სრულდება პიესა: „ეს მე ვარ, მედეა! თავისუფალი გვამი“.

დიანა ანფიმიადი თავისი ორიგინალობითა და პოეტურ სახეთა უჩვეულო წარმოსახვით, ასოციაციათა სიღრმითა და მეტაფორათა ელეგანტური იდუმალებით გამოირჩევა თანამედროვე ქართულ პოეტურ გალერეაში. მას გამოქვეყნებული აქვს ლექსების რამდენიმე კრებული და არაერთი სამეცნიერო სტატია. მის პოეტურ შემოქმედებაში განსაკუთრებულია ანტიკური მითოლოგიის ასოციაციებით შექმნილი ლექსები. ხშირად მათი ანალიზი რთულია, დამაფიქრებელია ის, თუ რის თქმა სურს პოეტს, მაგრამ ეს რეზუსულობა მკითხველს პოეტურ სახეთა თავისუფალი აღქმის გზას უხსნის.

დიანა ანფიმიადის შემოქმედებაში ანტიკურობასთან მიმართების თვალსაზრისით გამოირჩევა კრებული „კონსპექტური მითოლოგია“,¹²⁴⁹ რომელიც 2009 წელს გამოიცა და იმთავითვე აღმოჩნდა საზოგადოების ყურადღების ცენტრში. მან, როგორც წლის საუკეთესო დებიუტმა, ლიტერატურული პრემია „საბა“ დაიმსახურა, ხოლო თავად დიანა ანფიმიადი ყველაზე პოპულარულ პოეტად მოველინა ჩვენს პოეზიის მოყვარულ მკითხველს. ეს მრავალი მიზეზით იქნა განპირობებული. უპირველეს ყოვლისა იმით, რომ მის ლექსებში ამოვიკითხეთ ფრიად საინტერესო ხილვები პოეტესასი, რომელიც თავისი ძირებით იყო რა ზიარებული მითოსურ სამყაროს, საუკუნეებს მიღმა სივრციდან კი არ საუბრობდა, არამედ თანამედროვეობის გადასახედიდან. თუმცა მითოლოგმათა „გრიგალი“ მის სულში უკვე იყო დავანებული: „შიგნით შევუშვი გრიგალი და მე გარეთ დავრჩი“ – ეს არის „კონსპექტური მითოლოგიის“ პირველი სტრიქონი, რომელიც, ვფიქრობ, რეფრენივით უნდა გასდევდეს მთელ კრებულს. საინტერესო პოეტური სახეა, თუმცა დაზუსტებით მაინც არ შეიძლება იმის მტკიცება, თუ რას გულისხმობდა პოეტესა „გრიგალში“, როდესაც ამ ლექსს წერდა. ზოგადად რომ ვთქვათ, ვერასოდეს მიხვდება მკითხველი, თუ რას განიცდის პოეტი, როდესაც თავის სტრიქონებს თხზავს, არის ეს მისი ნიჭისა თუ ზეგარდმო ძალის დამსახურება. მკითხველს შეუძლია მხოლოდ შეიგრძნოს პოეტური ხატის იდუმალება და ამით აღფრთოვანდეს; ახლებურად შეხედოს იმ სახე-სიმბოლოს, რომელიც საუკუნეთა მიღმიდან ისევ ცოცხალია და მრავლის მოქმელი; დაეთანხმოს ან არ დაეთანხმოს ლექსის ავტორს.

¹²⁴⁹ დ. ანფიმიადი. კონსპექტური მითოლოგია. თბილისი, 2009.

დიანა ანფიმიადს თავისი სამყარო აქვს, მხოლოდ მან იცის რატომ უწოდა „მითოლოგმა“ ლექსს, სადაც ასეთ ემოციურსა და თავგზააბნეულ სტრიქონებს წავაწყდებით:

„მე შეგიყვარე
მაშინ როცა
აღარ მიყვარდი
ოქრო – სპილენძად
ვერცხლი – რკინად
რკინა მოვკაღე
შენ – ჯერ ცოცხალი
ლექსის ბოლო ხაზთან მიხვალ და
გაიგებ
სანამ შენ მომკლავდი –
მანამ მომკალი“.

„მითოლოგმა“

„მითოლოგმა“ ბერძნული სიტყვაა და იგი „ზღაპარს“, „არაკს“ ნიშნავს. ზღაპრის მოყოლა სურს პოეტს იმის თაობაზე, თუ როგორ „განკაცდა ღმერთი მაშინ, როცა კაცი გაღმერთდა, ველარ გაბედა კაცობა და გაღმერთდა ისევ?“ მერე რა მოხდა? ბიბლიური თემა გრძელდება: „და მე შევქამე ვაშლი, როცა თვითონ შემქამა და ვაშლის გულში დამწყვდეული ვიყავი მატლი...“ (იქვე). დიახ, საოცარი პოეტური ხილვებია, და მთელი წიგნი აღსავსეა მსგავსი ხილვებით. მათი ავტორი ზოგჯერ ევრიდიკეა, რომლის „მყუდრო სახლის გარშემო წყალში დამხრჩვალ ტივტივებენ პეპლის ჭუპრები“ – აქ მკითხველს მართებს დაფიქრება, რა შუაშია აქ ევრიდიკე? მაგრამ ყველაფერი ნათელი ხდება, თუკი იგი ამ ლექსის რეფრენ სტრიქონთა აზრს ჩასწვდება. რეფრენი კი ასე იკითხება:

„რატომ მეგონა, მომივლიდი, მანუგეშებიდი,
შენ კიდევ ამბობ – Nomen Omen – ანუ გაშეშდი“.

„ევრიდიკე“

აი, აქ კი მითოსის გახსენებაც გვმართებს, კერძოდ, ორფეოსის მითის, როდესაც მგოსანმა დაარღვია პირობა და ეს არ იყო დანაშაული, მან ვერ გაუძლო არხილვის ცდუნებას; მაგრამ რას ნიშნავს ლათინური გამოთქმა “Nomen Omen”, ანუ “Nomen est Omen”? ის უშუალოდ ითარგმნება როგორც „სახელი წინასწარმეტყველება“ ან

„სახელი წინასწარმუწყებელი ნიშანია“. როგორ გავიგოთ, სახელი „დიანა“, რომელიც რომაულ მითოლოგიაში ტყეთა ღვთაებას მოგვაგონებს, პოეტსას ცხოვრებისეულ გზაზე უნდა მიგვანიშნებდეს? ფრაზის იდუმალებას ფრაზის სილამაზე ფარავს.

დიანა ანფიმიადის ამ კრებულში ისეთ ლექსებსაც შევხვდებით, რომლებიც უფრო უახლოვდებიან მითის სიუჟეტს („დანაე“, „არიადნე“, „ანტიგონე...“), მაგრამ ისინიც თანამედროვე პოეტურ მიმდინარეობათა ტალღის ქვეშ მოქცეულნი მკითხველს ავტორის ლაბირინთებში იწვევენ და მის სულიერ სამყაროს ახალი სახეებით ამდიდრებენ. ამის ნიმუშია ლექსი „ელენე“.

დასაწყის სტრიქონებში მინიშნებები: „გადასახლება არის ისე გარდაუვალი“ (ელენეს მითი), ან „თუ ღმერთის შვილმა გამოტყუე კვერცხის ნაჭუჭი“ (ლედას მითი), ან „ათი წლის ალყა“ (ტროას ომის მითი) და სხვა, მაგრამ მოულოდნელი და აღფრთოვანების ღირსი არის ის პოეტური მიგნება, რაც ბოლო სტრიქონში ჩადო ავტორმა:

„ამ მტვრიან გზაზე
კაბის კალთად რაც კი ვეთრიე –
სხვა არაფერი –
მაგ პოემის ჰეგზამეტრია“.

„ელენე“

ვისთვისაც ნაცნობია ელინური ეპოსი, კარგად მოეხსენება, რომ მისი პოეტური საზომი დაქტილური ჰექსამეტრია. კიდევ ბევრის თქმა შეიძლება დიანა ანფიმიადის ამ პოეტურ კრებულში წარმოდგენილი უცნაური ლექსების შესახებ. შეიძლება თითოეული მათგანის განხილვა ძველბერძნულ მითოსურ სახე-სიმბოლოსთან შეთანასწორებით, მაგრამ ამ განხილვებს თავის ნაკლი აქვთ: ისინი ვერასოდეს გამოიწვევენ იმ ემოციას, რასაც თავად ლექსის კითხვა იწვევს. ერთს კი აღვნიშნავ: დიანა ანფიმიადის პოეზიის მკითხველს უპირველეს ყოვლისა უნდა გააჩნდეს ლექსის განცდის უნარი და კიდევ მეტი – უნდა იყოს შეპყრობილი მითოსურ სიმბოლოთა სახისმეტყველებით, რათა შეიგრძნოს თანამედროვე პოეზიის სასოწარკვეთა და არ შეკრთეს, თუკი პოეტს ეს აღმოხდება:

